



1910–1920-იანი წლების ჟურნალები

მეორე წიგნი

მეოცნებე ნიამორები, კრონოსის სარკე,
თოლაბულისის სარტყელი, შვილდოსანი,
ხომალდი, ლომისი, ილიონი

© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი 2011

იდელის ავტორები:	იზა ორჯონიკიძე, თამაზ ჩხენკელი
გამომცემელი:	ლაშა ბაქრაძე
რედაქტორი:	თეა თვალავაძე
შემდგენელი:	მარინა ხუბულური
კორექტორები:	კახი ორჯონიკიძე, ეკა გრიგოლია
ფოტორეპროდუქციები:	მირიან კილაძე
კომპიუტერული მომსახურება:	ფატი გაგულია, ირინე ამირიძე, ლიანა ქიტიაშვილი

დაიბეჭდა სტამბაში „ფორმა“

**ლიტერატურის მუზეუმი მადლობას უხდის კომპანია „მაგთიკომს“
გამოცემის დაფინანსებისთვის**

ISBN 978-99940-28-59-7 (ყველა ნიგნი)

ISBN 978-99940-28-61-0 (მეორე ნიგნი)

მაგთი
MAGTI



ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

მეოცნობე ნიამოტრები

თეგეჩვალნი
1919

ს ა რ ჩ ე ვ ი

პოზია:

გრიგოლ რობაქიძე — უაღლდი ჰარიზში.

პაოლო იაშვილი — ოფელის ორდენის კავალერს.

ტიციან ტაბიძე — პეტერბურგი.

ვ. გაფრინდაშვილი — მისტიური მარულა, ჯვარისწერები დაისში.

შალვა აფხაიძე — ქარვის სანეტი.

კოლაუ ნადირაძე — იფანე მანაბელს.

გ რ. ჯ ა ფ ა რ ი — Requiem.

შალვა კარმელი — დამის ფრაგმენტი.

რაქდენ გვეტაძე — ავტობიოგრაფია.

შეცვრული პოზია:

სანდრო ცირეკიძე — ლადა.

კრიტიკა:

შალვა აფხაიძე — ქართული პოეზიის პერსპექტივაში.

ვ. გაფრინდაშვილი — სანეტის პრობლემა.

ალ. ცირეკიძე — მინიატურა.

შეცვრული შეცვიანე — ქრონიკა და ბიბლიოგრაფია.

რედაქტორები: ვალერიან გაფრინდაშვილი
ალექსანდრე ცირეკიძე.

ფასი ხუთი მანეთი.

უაღლდი პარიზში

პარიზის სალამო. სოველი სმარაგდი.
თქორიან ნისლში ელექტროს მარმაში.
ნაორთქლი მინები. სეირი მარადი.
ლამაზი ფეხის თეთრული გამაში.
ტაძარის აჩრდილი ტორტმანობს განზე;
ქვების ლოცვებით ეტრფის ქერუბიმს.
„ნოტრ-დამის“ პირქუშა თუჯურა ტანზე —
მთქნარება ერევათ მოლიმარ ქიმერებს.
კაფეში: ხმაური. სიცილი. ხალისი.
კისკასი ჰკაზმავს ლამაზ ჰეტერებს.
იხრჩობა ქეიფით სირუხე ხვალისა.
მოჟღალო თვალი სიგიჟეს ატარებს.
ყიფით შემოდის უცხო მთავარი.
ტრფიალით ეკვრის გულზე ნარგისი.
ორჭოლი ღიმილით ლხენის მთოვარე —
არავის მოხედავს: ამაყი, გარისი.
სინელით უჯდება მეგობრის მაგიდას.
მზერაში უბრწყინავს ახალი რასსა.
ეტყობა უდარდელს: არას დაგიდევის:
ზოგი თუ რას იტყვის და ზოგი რასა.
მადას ჰმოსავს ქებათა ქებით.
ისვრის სიუხვით ახალ სახელებს.
აფორიზმს აბნევს ინდოელ ქვებით.
გენიის ჟინით ქვეყანას ახელებს.
ჰკიაფობს კაფე: უყივის მთვარეთ.
ნერვებით უხმობს: ვის რა უაღდეს.
და... მეგაზეთე ქუჩაში გარეთ —
ხმამაღლა ყვირის: ლანდი უაღლდის.

გრიგოლ რობაქიძე

13 იანვ., 1918 წ.

ოფელიას ორდენის კავალერს

შენ როცა გძინავს დამძიმებულ წვიმიან დღეში,
 თმებს გიხელს შენი ოფელია მწვანე თითებით.
 იმას გედები ჩააბარეს თეთრ სამოთხეში
 და გულსაფარი მოუქარგეს მარგალიტებით.
 გაახელ თვალებს, მორცხვად იტყვი: ახ, უკაცრავად,
 ჩამოხსნი ფრთხილად თეთრ ნაბადს და დერიდახოლებს,
 და თუ დაჰკოცნი იმის თითებს დაუკანრავად
 ათ კოცნას თვალი ათ მარგალიტს გადააყოლებს.
 ქვეშევრდომ პოეტს ენა მეტად დაგებორკება,
 ახლა საყურეს დაჰპირდება შენ, უხერხული.
 მან დაგავალა შენ მესტების ფეხზე მორგება
 და ემზადება, რომ გამართოს შენთვის ფერხული.
 სურს ოფელიას პირველობა და ძვირფასობა,
 ქალწულ სურვილებს შენ გაგიმხელს, შენ დაგენდობა,
 და თუ მხოლოდ შენ გეკუთვნოდა ეს დარბაზობა,
 აღარ სჭირდება ოფელიას ცოდვის შენდობა.
 და ეს შეხვედრა კიდევ ხშირად რომ გამეორდეს,
 რომ მის მაღლობით ამაყობდეს პოეტის მკერდი,
 შემოგთავაზებს ოფელია საკუთარ ორდენს,
 რომ იყო მისი კავალერი შენ ერთად ერთი.

პაოლო იაშვილი

პეტერბურგი

კუნძულებიდან მოჰქრის ქარი დაუდევარი,
 აწვევა ქუჩებს, ყუმბარების ცეცხლით გადახრულს.
 თუ სცივა ვინმეს?.. მხოლოდ კახპებს მუდამ გადაკრულს:
 ჩრდილების ლანდში მიდის ლანდი თეთრი ედგარის.
 ჯერ არ ყოფილა შებრძოლება ასე მედგარი,
 ასდის სიმყრალე სალდათების გადამთვრალ მაცრულს,
 რეცხავს მოიკა მატროსების გვამებს ჩაყურულს,
 თუჯის მხედარსაც უბნელდება გული ბედქარი.
 ვინ გამოუშვა, ვინ დაიჭერს, ვინ დააკავებს,
 ჭაობის ნისლში სისხლის ოფლი გამოდის მკლავებს.
 მოიგონებენ და იტყვიან მხოლოდ ერთ სახელს...
 გასიებული ძირს ეშვება პოლანდიელი,
 სნეული ჭინკა დაბლა უყეფს — ანდრეი ბელი
 და უერთდება პეტერბურგი ქაოსის ნახველს.

ტიციან ტაბიძე

მისტიური მარულა

შევიჭერ ბროლში, ვიმორჩილე ამაყი რაში,
ვჯირითობ მკრთალი მოთენთილად, ვით მთვარეული;
როცა მიტაცებს საოცარი ქროლვა-თამაში,
მარად მერანზე იყინება ჩემი სხეული.
თეთრი რაშები, დახოცილნი ბროლის სიმკაცრით,
ყრიან გარშემო ვით ქალწული ნაამბორვეი.
ავიცარ სული იმედებით, დაფერფლილ აზრით,
შეირხა ზანტად უზენაეს ჩრდილთა მორვეი.
მეფრქვევა თოვლი, მიცქერიან რაშები წყრომით,
და მე მხედარი გაყინული თეთრ ცხენზე ვკვდები.
ბროლში სამყარო გამოჩნდება — კვლავ მიუდგომი
და თავის საზღვრებს ასკდებიან რაშნი მკერდებით.
სპეტაკ სიკვდილის და სიცოცხლის უცხო მარულა: —
თეთრი სიგიჟე თეთრ მათრახით ათრთოლებს რაშებს,
ნერონთა ავი სახეებით ცა დაფარულა
და მთვარე სდევნის უსახლკარო ბინდფერ აპაშებს.
კიდევ ზამთარი, გაზაფხულის დაგვიანება,
შლეიფისავით ნაცხადევი სულ დაიბურდა,
იმსხვრევა ქარში გაფითრებულ ბროლთა ზმანება
და კიდევ ერთხელ გაიელვებს მხედართა ურდო.
ჩნდებიან ღამით სასახლეში თეთრი ცხენები,
განწირულს მხედრებს მოელიან და ნავარდობენ,
იქ არის ჩემი სამუდამო განსასვენები,
სადაც რაშებზე ორეულნი თეთრად დარდობენ.

როცა სარკის წინ მე ვიკეთებ ყელსახვევს ცბიერს,
მირჩევს სარკიდან ორეული თავის დახრჩობას,
ვიგონებ მაშინ სასოებით რაშებს ნუთიერს,
გაყინულ მხედარს ვეუბნევი მე: — გამარჯობას.

ვალერიან გაფრინდაშვილი

1916 წ.

ჯვარისწერები დაისში

ცეცხლის ენებით ცის დაღმართი კვლავ გარდიკალმა,
ჩემ თვალთა ცქერა მირაჟებით დაიბურება.
ისევ ღრუბლები აიშალენ ფაიფურებათ
და აჩრდილები მიაჩეკა დაისს გრივალმა.

მაგრამ იისფრად იმოსება წუთი მედგარი:
 სდგანან ტალღებზე ტიციანი და კოლომბინა,
 იმათ ჯვარსანერს წაუკითხავს სონეტს ედგარი,
 და ისევ ცეცხლში იკარგება სატრფოთა ბინა.
 ქარს ჯიოკონდას შლეიფები ხარბად მოჰქონდა,
 ეანგელოზა მას კოლაუ ცხვირგატეხილი;
 ავზნიან მგოსანს გაუღიმებს თვით ჯიოკონდა.
 ავზნიან მგოსანს შლეიფების დასწვავს გრეხილი.
 იქ ანდროგინებს შეაუღლებს ლექსის მთავარი,
 მათ არტურ რემბო დაამშვენებს, ამაყ შაფერად;
 ინვის დაისი, ვით ფრინველი, ვით ფრთაჯავარი,
 და იკაზმება სიკვდილის წინ რაგინდრაფერად.
 მოდის პაოლო ფრთადაქანცულ ფარშავანგებით: —
 ძვირფას თამარის მანეკენი მას ჩაბარდება.
 მაღალ უფსკრულში ინთებიან თეთრი მანგები: —
 საღამო გრიგალს დაისებით ეხაბარდება.
 ახვეტს გრიგალი აჩრდილების მშვენიერ ნაგავს:
 არ ვიცი რატომ და გრიგალმა ასე ინება.
 წუ თუ ეს წუთი ყელგადაჭრილ სიზმარს არა გავს:
 ჯვარისწერები, ედგარი და განქორწინება.

ვალერიან გაფრინდაშვილი

1918 წ.

ქარვის სონეტი

მომპარა თვალი შენმა ხილვამ. გშენის ამარტი,
 დათენთილ მკლავებს გიდარაჯებს ცხრა ჯავაირი,
 და ბროლის კისერს აფერადებს ქარვის შაირი.
 მე კი თითებზე ვითვლი თვეებს: მაისი, მარტი.
 ვიტყვი ხანდახან, რათ არა ვარ მე ბონაპარტი,
 რომ ჟოზეფინას გითავაზო ცელქი დაირი,
 ჩაგაცვა კაბა: შავი, ლურჯი ან სხვა ნაირი.
 შენ გასართობად მუქ ხავერდზე გავშალო კარტი?
 და მიწვევს ლოცვად ცრემლნარევი შენი პროფილი,
 მისი შეხედვით მე ყოველთვის ვარ კმაყოფილი.
 თუ აბნევ სიცილს ჩემთვის, მაშინ კარგი დარია.
 გიშრის თვალებით კრძალვით ვამსხვრევ ღამეს მთვარიანს,
 შენ სადიდებლად ვწერ სონეტებს ნაზს და ქარვიანს:
 შენი პიერო მომიგონე, წმინდა Maria.

შალვა აფხაიძე

ივანე მაჩაბელს

შენ დაგეუფლენ კოშმარები გამხთარ ხელებით;
კუდიანებმა, როგორც მაკბეტს დაგასხენ რეტი;
ინოდი ჩუმათ სილამაზის ცეცხლით ნაშრეტი,
დაგდევდა ღამე ამღვრეული მძიმე ხველებით.

წუთების ტკივილს შენ იტანდი ბრაზ გახელებით;
მთვარით დახაშმულს მოგინვევდა ხმალში ჰამლეტი,
ალბად სიგიჟეც დაგემუქრა შენ სიდამბლეთი,
და სიყვარულმა გაგაფითრა ციებ-ცხელებით.

მწარე ვარსკვლავთა შენ გხიბლავდა ნაზი ფანდები,
და ბევრი ღამე გააზღაპრე იდუმალებით,
როს ლედი მაკბეტ შეგიყვარდა ჩუმი წვალეებით.

როდესაც მთვარე დაიფანტა ძვირფას ღანდებათ,
შენ ოფელიამ გადაგხურა დალალ-კავებით
და ამ ქვეყანას გამოგტაცა სათუთ მკლავებით.

კოლაუ ნადირაძე

Requiem

ამ სავსე წუთში — მოქანცებით, მოგვიანებით
თეთრად ავყვები მე, სნეული, თქვენ შეშლილ კრებულს,
ო, ჩემი წმინდა, სარაინდო ხელთათმანები
ტყვილად უხმობენ სითამამეს, ძველს, ასისხლებულს,
ტყვილად გვაოცებს მთვარე ყველას — ის იგვიანებს,
ის, უცნაური, ჩვენ გვაერთებს უცნაურ ხმებად —
ის, როგორც ლექსი, დილისფერი და სევდიანი
სადედოფლოში ასვენია თეთრ სახარებად.
ყველა გაფითრდა ყვავილები ჩვენს ფართო ბაღში
და აღარ არი აღარცერთი სამაგიეროთ —
ჯადოქარ ილბალს მივეჯაჭვეთ, ბედო, მე და შენ
და ასე მუდამ, მუდამ ერთგზით უნდა ვიაროთ.
ო, მეგობრებო, ველარცერთმა კოშმარები ვერ დავაძინეთ,
საოცრებაში ჩვენი ლექსიც ველარა გვშველის —
დავდივართ მარტო და სასტიკი მწარე დაცინვით
გვაჭლექებს ქურჩა და ურიცხვი ფიქრი შიშველი.

გრ. ჯაფარი

ლამის ფრაგმენტი

მარგალიტის მანიაკიდან

ფირუზისფერი აბაჟურით ჩაქრა შანდალი,
 ცივი ბალიში თეთრ ლოცვებმა დამინოტიეს.
 თოვლიან იღბალს ანადგურებს ხელი ვანდალი.
 მსდევნის სიკვდილის ორეული როგორც გოტიეს.
 ველარ მამშვიდებს სახარება, საღვთო ბიბლია.
 შავ ბალდახინით დამიკრძალებს ყოფნის მოდელი.
 თვალი ჯირითში ჩქარ ნიამორს მოუხიბლია
 და მომსდევს ღამე სამუდამოდ გულდამკოდელი.

ძვირფას ეტრატზე თუ ამსახავს მემატინე,
 ვიქნები ფერშავ ოდრიკალში ბედსაბრალისი.
 ასე გამშორდა ჯერ ღმუდმილა, დღეს ტატიანა,
 და მათ სამარემ გაანელა ჩემი ხალისი...
 ვსტიროდი დებზე და სიბნელე თავზე მეხურა.
 მტანჯდა სიმძიმე პირამიდის აუნუსხავი.
 სხეულს ჰყინავდა გამძაფრებით ყინვა-ტეხურა, —
 ფანჯრის დარაბებს აკვნესებდა ქარი მსუსხავი.

განთიადისას მაჯლაჯუნამ სული განაბა,
 მაგრამ აისი უმირაჟოთ იყო ჯანაბა.
 რა მოკლავს სევდას: — ყრუ სიგიჟე თუ ალკოგოლი? —
 მახინჯ მონყენით დადიოდა ქვეყნად გოგოლი!
 გავსდევ დების ლანდს: — მეშინიან არ მიმიკაროს,
 დავილუბები ფრთადაშლილი ზღვაზე იკაროს!
 ისე კი ბედი კორიანტელს არ ამაცილებს, —
 ვკბენ მშრალ ჰაერში მოთარეშე ჭლექის ბაცილებს!..

შალვა კარმელი

ხავერდის ქალი

სიკვდილის სუნთქვა აფართოებს ღამის ლაყურებს.
 ზვიად გუმანით ვიარები გიჟთ მუშაბახი.
 მაქეზებს ჟინი რაყიფობის, ტრფობა ნაბახი,
 მაგრამ საზღვარი ლელვილ გრძნობებს დარდით აყურებს.

ხავერდის ქალი აბოროტებს ქალაქს და ქურებს,
 საბედისწერო ასპარეზზე დინჯობს ყაბახი.
 სანატრ ლექსებით მომლიმარი დავნვი თაბახი,
 — ჩემი ფიქრები დაემსგავსა გამხმარ ალურებს.

მის ღრმა თვალეში სონეტებით ვამთავრებ მითებს.
ვით ქვრივ დედოფალს, მეტად ჰშვენის შავი პროფილი.
მაჯავრებს, როცა სალამის დროს კოცნიან თითებს.

მწარდება მისგან მონაძღვენი ალიბუხარი,
და ბედი ჩემი — ყველასაგან უარყოფილი —
მასვედნიანებს, ვით ზამთარში მცხრალი ბუხარი.

რაჟდენ გვეტაძე

ავტოპორტრეტი

ვიმღერი მარტო, ვით ბესიკი — ხარბ მუხამბაზებს,
მკვდარ სიყვარულზე ლექსებსა ვწერ, როგორც მამია.
სიკვდილზე ფიქრი სათუთ გრძნობას დარდით აბაზებს,
მაგრამ მახარებს, ჩემი სიტყვა რომ თამამია.
მინდა, ნახშირი რომ წავისვა, ვგავდე არაბებს,
რადგან შემძულდა ჩემი სახე, მიმქრალ თვალეებით.
როცა თენდება, თრთოლვით ვალებ ფანჯრის დარაბებს, —
მზის აყვავებას მინდა შევხვდე დალილ წვალეებით.
ველარ ვიშორებ სასიკვდილო ტანჯვის მარწუხებს,
მხარჩობს ხველება, მიფერმკრთალებს ტუჩებს ნახველი;
უბედურ მგოსანს მარტოობა მეტად მანუხებს,
ველი ვილაცას... მაგრამ, არ ჩანს არვინ მნახველი.
მხიარულ სიცილს და სიგიჟეს მახარებებს ბედი.
ჩემი ფიქრები ცივ სარკეში ბრმათ არიყრაჟდენ,
და მუნჯ ლექსებს ქვეშ ვნებით იწვის — როგორც აბედი —
ღარიბი გვარი და სახელი — გვეტაძე რაჟდენ.

რაჟდენ გვეტაძე

ლადა

ბაზრის ქუჩაზე სცხოვრობდა ლადა. იმას ჰქონდა ოქროს თმა.

ხშირია აღმოსავლეთში მზიანი დღე. ლადას არ უყვარდა მზიანი დღე.

ფირუზის ღამეებში, ბაზრის დარაბები რომ დახურული იყო, სეირნობდა იგი გაშლილი თმით. შედიოდა ჭრაქით განათებულ მხიარულ ყავახანებში; ოქროს კავეებს დაასველებდა წითელ ღვინოში, გეტერას რომ მიქონდა შეღებილ ტუჩებთან. ზარხოში კავალრები ველარ არჩევდენ ლადას თმის ოქროს ფერს და ქამარ შეხსნილნი მიიწვედენ მის მაცდუნებელ ტანისკენ. სიცილით გამორბოდა ლადა ორთქლიან კარებიდან და ბნელი ქუჩებით მიდიოდა სხვა სანთლებთან.

მძინარი დარაჯები მაშინ სიზმრათ ხედავდნენ ოქროს თმებს. მეორე დღეს მთელი ქალაქი დაეძებდა ქუჩაში ოქროს თმის ნაცვენს. ლადას თმებს ფიცულობდა მთელი ბაზარი.

ხან დანებდებოდა ლადა მზის ცხელ პატიყებს. თავშიშველი გავიდოდა ბაზარში. მაშინ იქნებოდა ბაზრის დღესასწაული. აირეოდა ხალხით ქუჩები. ხარბი მზე აცხელებდა ლადას თმებს. მშვიერი თვალების ტალღებში მთვარისფრად ბზინავდა გამთბარი ოქრო ჩამოვარცხნილი. სოვდაგრები და ქუჩის ქალები ჩოქვით მისდევდნენ ლადას და ოქროს თმის ჩუქებას ევედრებოდნენ.

ღერ თმას დაარიგებდა. ნაჩუქარისთვის ერთიმეორეს ატირებდნენ მოხუცი ვაჭრები. ლადა მიდიოდა მზეზე ზმორებით.

ლადას უყვარდა ფირუზის ლამე. მისი ოქროს თმა უყვარდა მზიან დღეს.

სანდრო ცირეკიძე

მზიანი ტარაველი

ქართული პოეზიის პერსპექტივები

ბრძოლის ველი მოიფინა ძველი არმაზების ნამსხვრევებით. დღეს აღარ გვანახებებს მათი ყვითელი გამონათება. ახალი შკოლა შეიმოსა გამარჯვებულის სამოსით. „ცისფერი ყანების“ ვუაღით დასაქირნობენ დღეს ჩვენში პოეზიის მსახურნი.

საქართველომ ნახა თავისი თავი. და პოლიტიკურ აღორძინებასთან ერთად დაიწყო ქართული ხელოვნების რენესანსიც. საქართველომ უნდა დაიმკვიდროს თავისი თავი კულტურულად. შემთხვევითი არაა, რომ განთავისუფლებულ საქართველოში ხელოვნების რენესანსის სადავე ახალმა შკოლამ — სიმბოლიზმმა დაიკავა ხელში. იგი სხვა გზას ვერ აირჩევდა.

იყო წარსულში მზიანი გურჯისტანი. პოლიტიკურმა გენიამ შორს გადაიტანა მის მიერ დანთებული ჩირაღდნები. გაასალაშინა გზა მწველი ბალდათისაკენ მიმავალი. ძვირფას ფარჩებით და ნოხებით დატვირთული აქლემები როგორც დღეები იბანებოდნენ ამ გზაზე. ძვირფას ქვებს კინძავდნენ ქართველი ჯელტმენები მაცდურ კრიალოსნებათ. ფერად მირაჟებში და ამ ქვებში დაიბადა რუსთველის სიტყვა. უნივერსალურად განვითარებული საქართველო რუსთველის მონყვეტილმა სიტყვამ დაავიკინა. ასეთივე გვირგვინით უნდა შეამკოს განთავისუფლებული საქართველო ახალმა შკოლამ — სიმბოლიზმმა. რუსთველის სიტყვა ასახავდა ორ ქვეყანას, ორ აზრს. ასეთი იქნება ახალი სიტყვაც.

შოთა რუსთველიდან დაიწყო გზა ძვირფას კენჭებით მოკირნლული. უხსოვარ დროში დაიკარგა იგი: „ცისფერმა ყანებმა“ მოძებნა და განიზრახა მასზე სიარული.

საქართველო მდიდარია უცხო ფერებით, განებივრებულია სურნელოვან ხმებით. სიმბოლიზმმა დაისახა მიზნად მათი გაცხოველება. მისთვის საჭიროა მდიდარი ფერი და სურნელოვანი ხმა, როგორც იარაღი ხელოვნურ ტანჯვისა და შემოქმედებისა. ფერისა და ხმის სინტეზი სიტყვაში იკვანძება. ამიტომ, აქედან იწყება ისტორია ქართული სიტყვის ძიებისა. იგი (სიტყვა) დროთა განმავლობაში ცხრა კლიტულში იყო ჩამწყვდეული. სიტყ-

ვა გაძარცვული იყო იმ ძვირფას განძებიდან, რომელნიც მას რუსთველმა შესთავაზა: „ცისფერი ყანწებიდან“ იწყება ორგანიული გასალაშინება სიტყვისა, მისი ესთეტიური ფასეულების აღდგენა. ხმა იღებს თავისებურ სახეს, დამოუკიდებელ არსებობის უფლებას.

ჩვენ არ გვანუხებს მოტორების და ქარხნების ხმაური, არ გვაბრძავებს ელექტრონის სხივები.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქართველის ფსიხიკა არ გართულებულიყოს, მის სულს არ მიეღოს ნერვიული სახე. გაიზარდა განცდათა სფერო. დაიბადა ახალი გრძნობანი. ახალი სიტყვა საჭირო იყო უჩვეულო ემოციების გადმოსაცემად. მომავალ ქართველ ლინგვისტს მადლიერი მასალა ექნება სამუშაოდ. სიმბოლიზმი წინად უცნობ განცდების ასახვისათვის ჰქმნის ახალ სიტყვებს. ახალისებს ძველს, ობით დაფარულს. ვითარდება სიტყვის ტექნიკა. უკვე მდიდარი ლექსიკონი გვაქვს ხელთ. ეს მხოლოდ დასაწყისია დიდი შრომისა. სიტყვის პირდაპირი აზრი უკვე აღარ აკმაყოფილებს ქართველ ხელოვანს. ხმაში ეძიებს შინარსს. გიპნოტიური ალიტერაციებით, ასონანსებით და დისონანსებით ეუბნება იგი მკითხველს იმას, რისი თქმა სიტყვით ვერ მოახერხა. სიმბოლიზმი აამაღლებს ენის ემოციონალურ მნიშვნელობას. პოეტური ენა უნდა დაისვას ისევე თავის ტახტზე. მეორე მხრით საქართველო, ბოდლერის სიტყვებით რომ გამოვთქვათ: „ბუნების ტაძარია, სადაც ცოცხალი სვეტების წყება მალულად თუ დააგდებს ძნელად გასაგონ ხმას. იგი დაეხეტება სიმბოლოთა ტყეში...“ და ამ სიმბოლოების დახაზვას უკვე მოკიდეს ხელი ჩვენში. ხაზავენ მისტიურ სახეებათ.

მონუმენტალურ ფრაგმენტებში შეფერილი ხმებით გაიმიჯნა სიმბოლიზმი ჩვენში ისე, როგორც სხვაგან გაზეპირებულ ფორმულებიდან, დაღრეჯილ შაბლონებიდან, მარტივმა და ღრმა რეფლექსებმა გამოაქანდაკეს უკვე ახალი ლექსები, ახალი აღნაგობით, ახალი სტილით და ტექნიკით დაწერილი. არ არის მომნიშვნეული ახალი შკოლა ჩვენში, არის დაუმთავრებელი სილუეტები, მოუხაზავი პროფილები. მაგრამ ჯანსაღია სხეული ახალი ლექსისა.

ჩვენ გვწამს საქართველოს მესიანიზმი: შედუღება დასავლეთის და აღმოსავლეთის კულტურისა. მიმქრალი იყო ეს იდეა, დღეს კვლავ გაიზმორა იგი ჩვენ წინ. ეს მისია უნდა შეასრულოს ხელოვნებაში სიმბოლიზმმა გასალაშინებულ სიტყვის საშვალებით.

მართალია, სიმბოლიზმი, როგორც შკოლა დასავლეთიდან მოვიდა ჩვენში, მაგრამ მის უმაღლეს განვითარებისათვის არსად არ არის ნიადაგი მზათ ისე, როგორც ჩვენში. აქ უკვე გაჟღენთილია ჰაერი სიმბოლიური შემოქმედების ელემენტებით: აღმოსავლეთის თვალუნვდენი მისტიციზმი, ჰაერში გაფანტული სახეები, სპარსეთიდან მოტანილი ფერები და მეტყველი ხმები. დღეს ჩვენში არის უკვე ორი პოლფუსი ერთი დასაწყისის. არიან განცალკევებულად.

პაოლო იაშვილში ახმაურდა ხალიჩიანი აღმოსავლეთი: გაბედულ მეტაფორებით, თვალმჭრელ კონტრასტებით. პაოლო იაშვილის პოეზია მშვენიერი მოზაიკაა ძვირფას ქვებით, ფერების ჩრდილებით და ხმებით მოკაზმული. პაოლოს ტრიოლეტებში გამთბარ სიტყვებით იკვილა აღმოსავლეთმა. მეორე მხრით დასავლეთიც გაიშმუშნა ვალერიან გაფრინდაშვილში, თავისი შეუზღუდველი ფანტასტიკით, ინდივიდუალიზაციის ავთომყოფობით, შეშინებულ სახეებით. გაფრინდაშვილის პოეზია დორიული ტაძარია გამოზომილ, ამაყი არხიტექტონიკით. მისთვის საყვარელია სიტყვის არა ნამდვილი, არამედ შესაძლებელი, ინტიმური აზრი. უნდა მოხდეს ამ ორ პოლფუსის შეხვედრა. ამ ორმა მსოფლმხედველობამ უნდა იქორწილოს ერთ ტაძარში. მეთორმეტე საუკუნემ ეს შესძლო. უნდა შესძლოს განახლებულმა საქართველომ. ქართული ხელოვნება ნაცადი გზით წავა.

სიმბოლიზმი ამაყი სიტყვით შეადულებს შვენში პაოლო იაშვილის კერპთაყვანისცემის პანტიეზმს და ვალერიან გაფრინდაშვილის ქრისტიანულ სიღრმეს. და თუ მართლაც დაღლილ დასავლეთს ექივრება გადახალისება აღმოსავლეთის მისტიციზმით და მაგიურ ქვებით, ამას შესძლებს უეჭველად გამოცდილი დოსტაქარი — საქართველო. ამ მიზნისაკენ წავა ჩვენში აჩქარებულ ტემპით ცხოვრების მიერ გამართლებული სიმბოლიზმი.

შალვა აფხაიძე

სონეტის პრობლემა

სონეტი — თეორემაა. შეიძლება მისი ავტორი მათემატიკი იყო და არა პოეტი. სონეტს უხვად უანდერძეს თავისი სახელები შეკსპირმა, მიკელ-ანჯელომ, ტეოფილ გოტიემ, პეტრარკამ, მარია-ტერეზამ. ბუალო ამბობს: ჭეშმარიტი სონეტი გრძელ პოემათ ღირს. არის ერთი მაგალითი ლიტერატურის ისტორიაში, როდესაც პოეტმა მთელი თავისი შემოქმედება შესწირა სონეტს. ეს არის ფრანგი პოეტი სახელოვანი პარნასელი ხოზე-მარია-ერედია. ბოდლერის ლექსი: „მშვენიერება“ სონეტის სახით მოევლინა კაცობრიობას. სტეჰან მალარმეს დაუვიწყარი გედიც — სონეტია. სრულებით არ არის გასაკვირი, რომ განსაკუთრებით საფრანგეთში განვითარდა სონეტი: ფორმის კულტი არსად არ არის ისე გავრცელებული, როგორც საფრანგეთში. იმ მონოგრაფიაში, რომელიც დაინერება სონეტზე, ღირსეულ ადგილს დაიჭერენ პარნასელები. თუმცა გერმანიას ყავდა სონეტისტი პლატენი, ეს ფორმა სრულებით არ არის სავალდებულო გერმანიისათვის, ისე, როგორც ის არ ახასიათებს რუსეთს, ჟორჟ ბრიომელი სწერდა სონეტებს და დენდიზმი წარმოუდგენელია უსონეტოთ. დენდიზმის ესთეტიურ პროგრამაში შედის სონეტი, როგორც ყელსახვევი. სონეტი არის არისტოკრატიული ფორმა და მეფეებმაც მოიხადეს თავისი ვალი მის წინაშე. მეფეები სწერდენ სონეტებს და ინგლისის დედოფალი ელისაბედი მფარველობას უწევდა სონეტს. სონეტი ფენომენია. იგი მუსიკაა და იგი მარმარილო არის. ბევრმა საუკუნოებმა მიიტანეს იერიში სონეტზე, მაგრამ იგი სდგას ვით ციხე ხელუხლები და ახლა ადვილია იმ პრინციპის აღიარება, რომ სონეტი უკვდავია, როგორც ფორმა, როგორც ნივთიერება და იარსებებს უკუნისამდე. ლაჭორგის ტრაურულ მარშში, როდესაც მსოფლიო იღუპება და ისევ პირველყოფილ ქაოსად უნდა იქცეს, ნგრევის გაბრაზებულ სტიქიას მოაქვს ჰეგელის წიგნებთან საალერსო სონეტი.

ჩვენ ვიცით სხვადასხვა ლირიკული ფორმები: მაგალითად სექსტინა, ოკტავა, ტრიოლეტი, რონდო, ვიცით კიდევ სხვა ელასტიური ფორმები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ისე დასრულებული, ისე თაღმეკრული, არც ერთი ისე არ შემორკალავს შემოქმედებას, როგორც ღვთაებრივი სონეტი. შინაარსი და ფორმა თუ გარმონიულად არ არიან განვითარებული სონეტში — სონეტი მარცხდება ფორმის და შინაარსის მხრით. სონეტი ჰგავს ალბრეხტ-დიურერის რაინდს, რომელიც არის დატვირთული მძიმე დერიდახოლებით, მაგრამ ღირსეულად ატარებს თავის რკინის ტანსაცმელს. ვისაც არ შესწევს ძალა, არ უნდა ჩაიცვას სონეტის რკინის პერანგი, თორემ უსათუოდ ამ სიმძიმის ქვეშ ჩაიკეცება და ვერ გაშლის ფრთას. არც ერთი ფორმა არ მოითხოვს იმისთანა გარმონიას შინაარსთან როგორც სონეტი. აქ ფორმა ქმნის შინაარსს. უნაკლო სონეტი სასწაულის შთაბეჭ-

დილებას ახდენს. ქართველ ფუტურისტის არჩილ მიქაძის სიტყვით სონეტი უფრო ხშირად ოდაა, მას უფრო ხშირად წარსულისაკენ უჭირავს თვალი. სონეტი, როგორც ოდა, ძვირად ეხება ყოველდღიურს, მისი საგანი რაიმე განსაკუთრებულია: სიყვარული, რევოლუცია, ისტორია მისი გმირებით. ხშირად სონეტი არის პორტრეტი რომელიმე პიროვნებისა, ხშირად პოეტები მიმართავენ ერთმანეთს სონეტებით. როგორც არ იციან, ვინ გამოიგონა სამყარო, ისე არ იციან, ვინ გამოსჭყედა პირველად 14 სტრიქონი სონეტისა. საბერძნეთის მითოლოგია მოგვითხრობს, რომ ათინა დაიბადა სრულიად შეიარაღებული ზევსის თავიდან და შეიძლება ამნაირი იყო სონეტის დაბადებაც. არც ერთი ფორმა ლექსისა არ უწვალეობიათ ისე, როგორც სონეტის. ბევრი პოეტი ცდილობდა გამოეცვალა სონეტის სახე და მიეთვისებია სონეტის რეფორმატორის სახელი. აქ პერსპექტივაც მეტად ცბიერი და მიმზიდავი იყო. ეს ფორმა მეტად კონსერვატიული ფორმაა, ცვალებადობის კანონს არ ემორჩილება. არქიმედი ამბობდა: მომეციოთ დასაყრდნობი წერტილი და მე მთელ დედამიწას გადავაბრუნებ. პოეტები, რომელნიც ცდილობდნენ აეფეთქებიათ სონეტი და მის ნანგრევებზე ახალი ფორმა აეშენებიათ, გრძნობდნენ თავის თავს არქიმედებათ სონეტის წინაშე, მაგრამ არც ერთ მათგანს არ გაუმარჯვია ამ ბრძოლაში. საქართველო, რომელიც ბევრ რამეში ენათესავება საფრანგეთს, გატაცებულია ახალი სონეტის პრობლემით. ჩვენ გაბედულათ ვამბობთ ერთ პარადოქსს, რომელსაც მომავალი გაამართლებს: იტალიის და საფრანგეთის შემდეგ სონეტის ბრწყინვალე ისტორიაში მესამე ადგილს დაიჭერს საქართველო. არსად სონეტს არა ჰყავს ისეთი თავგამეტებული რაინდები, როგორც საქართველოში. უცნაური, მაგრამ სასიხარულო ის არის, რომ მთელი დასი ქართველ პოეტებისა ავადმყოფია სონეტით, იმათ სონეტი ეჩვენებათ როგორც უნივერსალური ფორმა შემოქმედებისა. არტურ რემბოს მოულოდნელი და საშინელი მეტაფორა მთელ პლანეტების კატასტროფას იტევს, პოეტს შეუძლია ამოსწუროს რევოლუცია ერთ მეტაფორაში; ერედის სონეტებში ატორტმანდენ საუკუნოები.

არც ერთ პოეზიაში არ არის იმდენი მრავალსახეობა სონეტისა, როგორც ჩვენს პოეზიაში. გადაბრუნებული — ყირამალა სონეტი, კოჭლი სონეტი, ტიპიურია ჩვენი პოეზიისთვის. ჯერ არ არის ქართულ პოეზიაში „სონეტების გვირგვინი“.

გრიგოლ რობაქიძემ შექმნა ახალი ფორმა სონეტისა, რომელშიდაც ყოველი სტრიქონი წერტილით თავდება. ყოველი სტრიქონი სრულ ქანდაკებას წარმოადგენს და არსად კავშირი „და“ სონეტში არ იხმარება. ამის გარდა ქართულ სონეტისთვის ის სავალდებულოდ ხდის თოთხმეტ მარცვლოვან ლექსს და ქალურ-ვაჟურ რითმების მორიგეობას. სონეტები: „ფრანგ პოეტს“, „აქლემი“. გარდა იმისა, რომ პირველი კლასიკური სონეტი დასწერა ელენე დარიანმა ჩვენში, პაოლო იაშვილმა შექმნა შემდეგი სონეტები: ელამი სონეტი, სონეტი ამორძალი და სონეტი უნაგრიო. ჯერ კიდევ დაუბეჭდავია ტიციან ტაბიძის: — სონეტი ჰერმაფროდიტი. ეს სათაური წინამორბედია არა ჩვეულებრივი სონეტისა: შეიძლება ამ სონეტმა გადაავაროს ძველი სონეტის აღნაგობა და დაამკვიდროს ახალი სონეტი. კოლაუ ნადირაძეს აქვს იდეა ორიგინალური სონეტისა: — მისი სახელწოდება არის — „სონეტი ქამრით“. ამ სტრიქონების ავტორმა დასწერა ყრუ სონეტი, რომელშიდაც წინააღმდეგ ხმოვანობის კანონს და რიტმიულ, მაგრამ ურითმო 14 სტრიქონში სონეტი დააყრუა. ეს სონეტები ჩვენ დეტალურათ არ გაგვიჩვენია, მაგრამ მოკლე მიმოხილვაც საკმაოა, რომ დავრწმუნდეთ, როგორი ყურადღებით ეკიდება ქართული პოეზია სონეტს. ჩვენ, ქართველები, ელლინების, რომაელების და ფრანგების მემკვიდრეები ვართ ფორმის სიყვარულში, ჩვენი ბუნება იმდენად მჭერმეტყველია, რომ შეუძლებელია აქ ფორ-

მის პრიმატის დაგმობა და უარყოფა. ქართველ პოეტებს სწამთ სონეტი, როგორც უნივერსალური ფორმა შემოქმედებისა. სონეტი ამნაირად გაგებული უახლოვდება სიმბოლოს და მის მაგიერობას ასრულებს. ერთი ქართველი ბელეტრისტი ამბობს, რომ ჩვენს უძველეს პოეზიაში არსებობდა ფორმა სონეტისა. ამის დამტკიცება ძნელი იქნებოდა, მაგრამ ამისთანა ლეგენდაც საინტერესოა. თუ ჩვენს წარსულ პოეზიაში არ ყოფილა სონეტი, იყო ისეთი ფორმები, რომელნიც ეშურებიან სონეტს.

სონეტის ფორმა მარადია ისე, როგორც თვით ლიტერატურა. როგორ მოხდა, რომ ადამიანის გონებამ ისე დააწყო 14 სტრიქონი, რომ სონეტის შეუდარებელი გოტიკა სავალდებულო შეიქნა ყველა საუკუნოებისათვის? ჩვენ რომ დავშალოთ სონეტი ცალკე სტრიქონებათ, ჩვენ რომ დავამახინჯოთ იგი, მაინც შეუძლებელია მისი სიკვდილი და იგი ყოველთვის აღორძინდება, როგორც ფენიქსი. სონეტი ჯერ კიდევ არ არის დაფასებული, ყოველივე ის, რაც ამ ფორმაში იმალება, მხოლოდ მომავალში იქნება აღმოჩენილი. ედგარ პომ თავისი „ყორანის“ ლაბორატორიაში შეგვიყვანა, დაგვანახა თავის განმარტებაში, როგორ შექმნა მან ყორანი. შაპელენმა ბერძნულ ტრაგედიაში აღმოაჩინა სამი ერთობის პრინციპი და ეს პრინციპი თავის L'Art Poétique-ში დააკანონა ბუალომ. მომავალში ახალი შაპელენი აღმოაჩენს სონეტში მთელ თეორიას და მანამდე კი ეს ფორმა აუხსნელი სფინქსი იქნება ჩვენთვის. შეიძლება ყველა ცდა ახალი სონეტისა იყოს გამონვეული ერთი სურვილით, რომ გავიგოთ უკანასკნელად მომხიბლავი ძალა და აუცილებელი მკაცრი კანონები სონეტისა. უსათუოდ ფორმა სონეტისა მიუდგომი და ძლიერი გვიტაცებს ჩვენ და იმავე დროს ჩვენ გვინდა ეს ფორმა დავიმორჩილოთ, რომ მისი იდუმალება რამენაირად ცხად-ვეოთ, მოვხადოთ მას ნილაბი. საგულისხმოა, რომ სონეტი გაჩდა ალხიმეოსების დროს და დღესაც სონეტი ლიტერატურული perpetuum mobile არის. ბევრი ფიქრობს, რომ სონეტის ფორმა უბრალოა, მაგრამ სონეტის მარტივობა უფრო რთულია, ვინემ სექსტინის კაზმულობა. აქ ადვილად მოსტყუვდება თვალი. სონეტში ხომ 14 სტრიქონია, სონეტი ხომ ჰამლეტის გამოცანა არ არის! სონეტის ფორმის იდეია აქამდის გაუგებარია, სონეტის ფორმის თეორია ჯერ კიდევ არ დაწერილა. ჩვენ ვიცით ბუალოს პრინციპი: ერთი და იგივე სიტყვა სონეტში არ უნდა მეორდებოდეს, რითმები ოთხეულებში (ჯვარედინი და მოღვედილი რითმები) და ტერცეტებში უნდა იყოს აგებული ისე, როგორც ამას გვიკარნახებს თვით ბუალოს და ან პეტრარკას სონეტი. მაგრამ განა ეს ამოსწურავს სონეტის ფორმის შინაარსს და სონეტის იდეიას? იმან, ვინც ეს ციხე ააშენა, გადაკეტა ამ ციხის კარები და გასაღები ზღვაში გადაისროლა.

ვალერიან გაფრინდაშვილი

მინიატურა

ჩვენში ახლა ძალიან გავრცელდა მინიატურა. ეს ფორმა ყველაზე უფრო შეიყვარა ანინდელმა ქართულმა ბელეტრისტიკამ. მაგრამ ჩვენი ხალხი და ხშირად კრიტიკაც ყალბი აზრისაა მინიატურაზე.

მეოცე საუკუნეში ყველაფერს მიზეზი უნდა მოეძებნოს და ჩვენში მინიატურასაც მოუნახეს მიზეზი. მის გენეზისს ელექტრონის ტრამვაის უკავშირებენ და ამბობენ: ევრო-

პაში ელექტრონის და მოტორის ხანაა; იქ ცხოვრების ტემპი ძალზე აჩქარდა, გძელი ამბებისათვის, დიდი მხატვრობისათვის აღარავის სცალია; ბუნებრივია, რომ ევროპაში მინიატურის წერა დაიწყეს რომანების მაგივრათ. დასძენენ: ჩვენში ცხოვრება ჯერ საკმაოდ ნელია, აქ მინიატურა ანორმალური მოვლენაა, ჩვენ ჯერ რომანები უნდა ვწეროთ. არაა ეს მართალი.

არც ისაა მართალი, ვინც ყველა მინიატურისტებს ერთ შკოლაში აჯგუფებს.

მინიატურა ფორმაა ისე, როგორც რომანი, ტრიოლეტი, სონეტი. შკოლას უმთავრესად ახასიათებს წერის მანერა და არა ფორმა. სონეტებს სწერდენ კლასიკებიც, პარნასელებიც, სიმბოლისტებიც; და არავის მოსვლია ფიქრად სონეტის ავტორები ერთ რკალში, ერთ სახელში მოემწყვდია. პეტრარკა, პრაფდომი და მალარმე არ არიან შკოლის მოზიარენი.

მინიატურის ფორმა არ შობილა ევროპაში. მისი აკვანი, როგორც ბევრი სხვა ფორმის, აღმოსავლეთში დაირწა პირველათ.

მინიატურა ყველაზე უფრო მხატვრობაშია ცნობილი. დიდი ხანია ადიდებენ სპარსელ მინიატურისტებს. და სწორედ აღმოსავლეთში უნდა შობილიყო მინიატურიზმი, მიკროსკოპიზმი. დიდ სურათს უნდა ფართო, გაბედული კალმის მოსმა. ეს შეიძლება ჩქარ ქვეყნებში. მინიატურა წერტილებით იწერება. იმას ზანტი, მოზომილი ხატვა უნდა. მინიატურას მოცლილი სპარსელი უნდა ხატავდეს შუადღისას ქანდრის ჩრდილში. მონასტრის მშვიდ კედლებში ხატავდენ მინიატურებს გელათის სახარებისთვის, სადაც მინიატურაზე ფიქრობენ, იქ ცხოვრების ფერადი კარუსელი ისე ნელა უნდა ბრუნავდეს, როგორც არსად სხვაგან. მინიატურული ფორმა აღმოსავლეთის კანონიერი შვილია და ევროპაში ის მოგზაურობს მხოლოდ.

ევროპაში მინიატურას მაინც ჰყავს თავისი სახელოვანი კავალერები: კატულ მენდესი, შარლ ბოდლერი, ოსკარ უაილდი, სტეფან მალარმე, ვილჟე დე ლილ ადანი, ალტენბერგი, ტეტმაფერი, რუსეთში — ტურგენევი, რემიზოვი.

საქართველო ევროპის კარებზეა. ჩვენ ევროპას სამხრეთის ლურჯ ჰაერში უნდა შევხედოთ პირდაპირ და არა ჩრდილოეთის გაყინულ სათვალეებით. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ეს როლი საქართველოსი. ყველაზე უფრო ჩვენ უნდა შევიყვაროთ მინიატურის ფორმა და ერთხელ კიდევ გავაკვიროთ ევროპა, როგორც ჩვენი წინაპრები აოცებდენ მათ უჩვეულო მინანქრებით.

ჩვენ მწერლობაში მინიატურის ფორმა გვიან შემოვიდა და მალე გაბატონდა. ყველგან მინიატურებსა სწერენ ახლა საქართველოში, მაგრამ ეს მწერლები ეკუთვნიან სხვადასხვა ლიტერატურულ ჯგუფებს თავის მსოფლმხედველობით, მანერით, ტემპერამენტით. მინიატურის ფორმაში შეიძლება ამღერება მრავალნაირად და ჩვენი მინიატურისტების მანერაც ნაირია.

ყველაზე ადრე ჩვენში მინიატურიზმის გზას დაადგა ვაჟა-ფშაველა. მისი წერის მანერა ძველია, რეალისტური. ვაჟას უყვარს დეტალების ამოხატვა, მაგრამ ისე, რომ მის ხელს მუდამ მართავს ვაჟას თავისებური პანტიფიზმი.

ვაჟა-ფშაველას დროსვე ადრე დაიფერფლა ნიჭიერი დეკანოზიშვილი, ნაზი, უცხო.

ვაჟას შემდეგ თანდათან იკლო ქართული მოთხრობის მასშტაბმა და ახლა ქართული ყურნალ-გაზეთები ნამდვილი მინიატურებითაა მოფენილი.

რომანის გადაგვარების პროცესი ჩვენში დამთავრდება მინიატურის საბოლოო დაკანონებით და მიღებით.

ჩვენ მინიატურისტებში ყველაზე უფრო პოპულიარულია ჯორჯიკია და ნიკო ლორთქიფანიძე.

ჯორჯიკია დამთავრებულ სიუჟეტს გადმოგვცემს უბრალოთ, მოკლეთ.

სულ სხვაა ნიკო ლორთქიფანიძე. მას ერთი გარკვეული წერის მანერა აქვს რომანში და მინიატურაში. ლორთქიფანიძე იმპრესიონისტიცაა და, როგორც ასეთი, ნამდვილი შვილია ელექტრონის და სიჩქარის. ლორთქიფანიძის მანერა ფრანგ მხატვარ ლოტრეკის მანერასა ჰგავს. ის აიღებს რომელიმე ნაჭერს მთელისას და ამოხატავს. მის მინიატურებში ყოველთვის გრძნობთ, რომ ეს ეპიზოდია მთელის.

კიდევაა ჩვენ მინიატურისტებში საინტერესო სახელები. აღარ ჩამოვთვლი.

მე მინდოდა მხოლოდ ზოგი კორექტივი შემეტანა პოპულარულ აზრებში მინიატურის შესახებ.

ალ. ცირეკიძე

მხატვრული მატთანე

გამოვიდა დია ჩიანელის ნოველებისა და ლეგენდების წიგნი „შემოდგომის ცრემლები“. წიგნში, „წინათქმის“ გარდა, ცამეტი ესკიზია. ვერც ერთში ვერ იხედება ავტორი საგნების გადაღმა. ეს ცამეტი ლეგენდა ბელეტრისტიკაა. სამაგიეროთ ამ ფარგალში ავტორი დაგვაკმაყოფილებდა გრძნობით და ტემპერამენტით, რომ მოენახა თავისი სტილი. ავტორს არ ეხერხება მეტაფორა და აჭრელებული სტილი, განსაკუთრებით „წინათქმაში“, სუსტია. ავტორს აქვს საინტერესო ტემები: „დამდნარ ტრფობაში“, „ლურჯ თვალეში“.

კიდევ ერთი შენიშვნა: ნოველა — რომანის და მოთხრობის დაპატარავებაა, უარყოფაა, თუ ამ გზას დაადგა ავტორი, უნდა მივიდეს მის ლოგიურ ბოლომდე, მინიატურამდე. იმედი ვიქონიოთ, რომ შემდეგ წიგნში ბ. დია ჩიანელი მოგვცემს ნამდვილ ქართულ მინიატურას. მაგრამ მინიატურა ვერ აპატიებს ასეთ ზერელე სტილს და ავტორმა ამ მხრივ უსათუოდ უნდა იმუშაოს.

სასიხარულოა ახალი წიგნი ჩვენ ლიტერატურაში, განსაკუთრებით დღეს, როდესაც მთელი ენერგია პოლიტიკურ შემოქმედებაზე იხარჯება. წიგნში 80 გვერდია, სუფთადაა გამოცემული და ჰლირს 6 მანეთი.

ა. ც.

ქუთაისში გამოვიდა მონაფეთა სალიტერატურო ჟურნალი „წინსვლის ემბლემა“. სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდობაში არი ჯგუფი ხელოვნებით ესოდენ დაინტერესებული. ჟურნალს უსათუოდ ემჩნევა ჩვენი პოეზიის უკანასკნელ მიმდინარეობათა გავლენა. ჟურნალის მასალას უნდა შევხედოთ როგორც ვარჯიშობას და უპრეტენზიო ავტორები ჭეშმარიტი ქების ღირსნი არიან.

პაოლო იაშვილის რედაქტორობით მალე გამოვა „ცისფერი ყანების“ მესამე წიგნი. წიგნში დაიბეჭდება ლექსები: გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინ-

დაშვილის, ტიცვიან ტაბიძის, ლელი ჯაფარიძის, კოლაუ ნადირაძის, გ. ლეონიძის, ა. ჩაჩიკაშვილის, ალ. ცირეკიძის და სხვ. წიგნში დაიბეჭდება აგრეთვე „მანიფესტი აზიას“.

გამოვა „მეოცნებე ნიამორების“ მეორე რვეული ძველი თანამშრომლებით და გუდიაშვილის სურათებით.

პაოლო იაშვილის და ტიცვიან ტაბიძის რედაქტორობით მოკლე დროში გამოვა „პოეტების გაზეთი“. დაიბეჭდება მანიფესტები და დეკრეტები.

დამზადებულია და დაიბეჭდება „ცხოვრება და მეცნიერების“ მეორე კრებული.

კომპოზიტორ მ. ბალანჩივაძის ინიციატივით 2 თებერვლიდან ქუთაისში გაიხსნება მუსიკალური სასწავლებელი. ხელმძღვანელებათ მონვეულია ქართველი და უცხოელი მემუნიციპალიტეტის. აღსანიშნავია მელიტონ ბალანჩივაძე, თამარა ძნელაძე, რაისა ქუთათელაძე.

რამოდენიმე თვის წინათ გრ. მესხის ინიციატივით ქუთაისში მოეწყო სამხატვრო სტუდია. სტუდიაში ყურადღებას იქცევდა გრ. მესხის „ამირანი“ და დ. წერეთლის საინტერესო ესკიზები. პატარიძემ აქ დახატა ვალერიან გაფრინდაშვილის „დეული ორეულთან“. ინიციატორებს აზრათ აქვთ სტუდიის გაფართოება. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ძველი ქართული სტილის შესწავლას.

ქუთაისის მისთვისაა გაჩენილი, რომ აქ იყოს მუზეუმი.

მუზეუმისათვის საკმაო ნივთები აქვს საისტორიო საზოგადოებას. საჭიროა ან მთავრობამ, ან კერძო პირმა იკისროს ხარჯები მის დასალაგებლად. არასოდეს არ დაგვჭირდება მუზეუმი ისე, როგორც ახლა, როდესაც ყოველ დღე ნაირფერი უცხოელი მოდის ჩვენ გასაცნობათ. ბაგრატიის სობორის ნანგრევები და გელათი ჩვენ ძველებს ამართლებს, ჩვენ გაგვამართლებს მუზეუმი.

ქართველ მწერალთა კავშირი ტფილისში გამართავს ქართულ ესთეტიურ საღამოებს. ერთი საღამო შეენიერება რუს პოეტებს ტფილისში. მომხსენებლებათ გამოვლენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი და ტიცვიან ტაბიძე.

ქუთაისში დაარსდა თავისუფალი ესთეტიკის საზოგადოება, რომელიც სისტემატიურათ გამართავს ინტიმურ ესთეტიურ საღამოებს. მონაწილეობენ პოეტები, მემუსიკენი, მხატვრები.

ქუთაისში მოკლე დროში გაიხსნება „ფერეული დუქანი“, სადაც თავს მოიყრიან ხელოვანნი და ესთეტიკნი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მე-14-ე ნუმრით გამოდის პატრიოტების ესთეტიური ლიგა. სიაში შედიან მხატვრები და პოეტები: პაოლო იაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, პავლე ინგოროყვა, ტიცვიან ტაბიძე, ვლადიმერ გუდიაშვილი და ალექსი არსენიშვილი.

ტფილისი გადაიქცა ამ რევოლუციის დროს რუსეთის ფუტურისმის ბუდეტ. ერ-
თხანს აქ კითხულობდა ლექციებს ცრუ ფუტურისტი კამენსკი. ტფილისში მოღვაწეობს
გოროდეცკი — აკმეისტი და სიმბოლიზმის აპოლოგეტი ჩვენში. მან გამოსცა ორი ნუმე-
რი ჟურნალის „Ars“-ისა. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი მოვლენაა ა. კრუჩონიხი. ის არის
პოეზიის ლენინი. ამ პოეტს ჭინკას უძახიან და ეშმაკის მსახურს. მაგრამ მომენტებით ის
ნაზია როგორც ბავში. „ფანტასტიური დუქანი“, სადაც თავმჯდომარეობს და კითხუ-
ლობს ლექციებს კრუჩონიხი, ნამდვილი შკოლაა და აკადემია ახალგაზრდა პოეტები-
სათვის. კრუჩონიხი არის გონების გარეშე მდგომ პოეზიის ბელადი და გამომგონი. იგი
ბუმბერაზია და მას ანგარიშს უწევს თვით რუსეთის ლიტერატურის ნოტარიუსი ვენგე-
როვი. კრუჩონიხის ნიჭიერი მონაფეები არიან: ი. ზდანევიჩი, ტერენტიევი, დეგენი. აღ-
სანიშნავია ჩაჩიკოვის ლექსები: „მაგარი გრგვინვა“. რუსის პოეტებმა გამოსცეს: „ფენიქ-
სი“, „კურანტები“, აღმანახი „ფანტასტიური დუქანი“. დროა ქართველ პოეტებმაც ნაბა-
ძონ მათ მაგალითს.

მეფცნება ნიაშფრები



აკრლი
1919



კ რ ი ა ლ ო ს ა ნ ი

გრიგოლ რობაქიძე
 პაოლო იაშვილი
 ტიცციან ტაბიძე
 გ რ . ჯ ა ფ ა რ ი
 ლელი ჯაფარიძე
 კოლაუ ნადირაძე
 ვ. გაფრინდაშვილი
 ი ვ . ყ ი ფ ი ა ნ ი
 შალვა აფხაიძე
 რაჟდენ გვეტაძე
 შალვა კარმელი
 ინ—რე—უან
 ნიკოლოზ მიწიშვილი
 ნ. ლ.
 სერგო კლდიაშვილი
 ვ. გაფრინდაშვილი
 ლადო გუდიაშვილი

დიდი შოადლე.
 აფთხოტტრუცი.
 2 აპტილი.
 თუთი კარავი.
 მატატრულიდან.
 მალდსინი.
 დისი მესამე.
 ატიქტაქქმა.
 თუთი სელამო.
 ტუქმა.
 მუდისქალნი ტრატრუმი.
 ნიმტრუმი.
 რმინდანიანი
 მთვარიან ლამის ჩრდილში.
 მთვრალ სკრმართ
 სფრან მალატრე.
 ყდა (ნიმტრუმი)

რედაქტორი—ვალერიან გაფრინდაშვილი.

დიდი შუადღე

მზვარის წურბელნი სრიალობენ ლალის პეშვებით.
ყარამფილს აბნევს მზის ტევრების ნელი კალმასი.
ყვითელ აღმურში ილენება თეთრი აღმასი.
მინის მკერდები ალებს სვამენ აზარფეშებით.

ცხელ ნირვანაში მოთენთილი მძიმედ ვეშვებით:
ვით მდინარეში შეძირული ნელი კალასო,
ხელდება ჟინი ალესილი ქარვის კალოსი!
დიდი შუადღის ავხორცობით დავიგეშებით.

მწიფე მარცვლები ცვივა ხვეტის გამსკდარ ბროწეულს.
თვლემის ბადეში აზმორებენ ყველა რიტმები.
ნათელი ჩქური ერთვის ვნებით სივრცის ძონეულს.

ღვთის სიახლოვით მენამულნი: ვინვით; ვითვრებით.
რახსებ-შებმული ტყდება პანის სპილენძის კევრი.
და სიყვარულით ბნედას გვაცრის მზის ავი ტევრი.

გრიგოლ რობაქიძე

1918 წ., ენკენისთვე

ავტოპორტრეტი

ამპარტავანი და ყოველთვის პირგაპარსული,
ბუნებით შავი, ხელოვნურად გათეთრებული,
ლამაზ რითმისთვის ერთის წუთით ჩაფიქრებული
ვამაყობ მითი, რომ არა მაქვს ვრცელი წარსული.

დამონებულ ხალხს შევაპარე სიტყვა თარსული.
ყოველთვის მელის მშვენიერი ქალთა კრებული.
მხოლოდ უალდის ყელსახვევით გაკვირვებული.
მათრობს გაშიში, სურნელება ძველი, სპარსული.

საქართველოში არ ინამეს ჩემი დენდობა,
მაგრამ ბოდღერის ცივი ლანდი მე თუ მენდობა,
ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი.

მე მახალისებს მხოლოდ ჩემი salto-mortale
შევხარი მზესა, ვეტრფი მთვარის ყვითელ ხავერდსა
და რუსთაველთან გადავდივარ მე ალავერდსა.

პაოლო იაშვილი

1917

2 აპრილი

ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი...
ატმის ყვავილით სისხლიანი სტირის აპრილი.
ყვითელ სატურნის უბედობით ავით გამხდარი —
პიეროს სულიც საქართველოს კუზათ დახრილა.
უახლოვდება საუკუნის მას მეოთხედი,
ჰგონია, თითქო საქართველოს წინ დაიბადა.
საბედისწერო წუთს ელოდი, წუთოქ მოხვედი..
პიერო წუთით წითელ ქუდში გაგარიბალდდა.
თავზე დამნათის ჩემ ქალდეას ყველა ვარსკვლავი.
ვანქის ტაძართან სალოცავათ მივედი მარტო,
მაშინ ტფილისმა კომმარების გამიშვა მკლავი,
განვლილ ცხოვრებას ეშაფოტი რომ აუმართო.
საკუთარ თავის და სამშობლოს ახალ შერცხვენის
ტანჯული ფიქრით სამუდამოთ მოვიქანცები.
ახ! მეგობრებო, ჩემი სული ჭვარტლია სხვენის,
ცრემლით სავსეა ჩემი წილი „ჩვენი ყანების“.
მხოლოდ თქვენ იცით, რისთვის მტანჯავს ასე ტფილისი,
მისი სიბერე, მრუდე სახე და სიფილისი...

ტიციან ტაბიძე

აპრილი, 1918 წ.

თეთრი კარავი

ოცნება თეთრი — ნაზი წუთი — და სალოცავად
ფირუზის ფიქრით ათოვლილი თეთრი კარავი —
ო, როცა, ძმებო, შემოდგომის ბილიკით წავალთ
ნაზ დატირებათ და საუბრათ დაგვიფარავენ.
უფალო, იყოს — იყოს ჩვენთან ეს ნორჩი ნდობა —
ნუ დაიძინებს ლოცვა დახრილ ქუთუთოებზე —
და მეჩვენება თეთრ კარავათ და სამშვიდობოთ
მე მოგონება ნისლისფერი — ის ფართო ეზო —
ძველი სახლები, მონყენილი რომ ასე სდუმან
და ყვავილები — ყვავილები სათუთი, ნაზი —
ვინ დაგვიტირებს უკანასკნელთ ამ ქვეყანაზე

თეთრი ოცნებით — უცნაურით და ჩუმით — ჩუმით!
და ასე გვართობს ფერმიხდილი ეს საუბარი,
თეთრ სიხარულში საოცნებოთ რომ მოგვეჩვენოს —
ო, ეს ლექსები, სუსტი, ნაზი მას დაუბარეთ,
ვინც აქ თეთრ კარავს და მშვიდობას ჩვენ აგვიშენებს.

გრ. ჯაფარი

მატარებლიდან

დინ, დარი-დან,
დან, რე-ზე-დან!
ო, ჩქარა, ჩქარა, ორთქლმავალო და მემანქანე!
ველარ ვჩერდები შენს კარებზე და
საითმე სწრაფად გადამაქანე...
ფიქრიან ტყეში მეჩვენება ავი ლანდები,
თითქოს შეშლილებს მოურთვიათ იქ ვერანდები.
ო, ჩქარა, ჩქარა, მემანქანე! ნუ გვიანდები.
დინ, დარი-დან,
რომელ მხარიდან?
რის ნიშანი ხარ, ავის, კარვისა?
მაგრამ რას ვჩივი: ჩემი მარკიზა
დღეს იქ დავტოვე, იმ მხარეზედა.
რიონი
სვირი
აჯამეთი
აუ!! ყვირილა!!!
ნუ თუ ამ დაბამ ჩემი სული ააგვირილა?
ცეცხლიან ყვავილს დამწვარ გულში მაინც არ გრილა.
ხეები ხეზედ, ხეები ხეზედ; საითკენ, საით?
ო, მე თქვენს სირბილს ჩემს სიცოცხლეს უთანაბარებ,
განვლილ დღეებსაც კი ველარ ვგრძნობ და უცხოსავით
ყველაფერს წარსულს გაკვირვებას ერთს დაუბარებ.
სადმე სადგურია,
სად მე, სად გურია?
მაგრამ თუ ნისლში არ მარხია ჩემი ფიქრები
და ჩემმა სხივმა ერთხელ მაინც ვერ ივარგისა,
ო! ეს ხომ ვიცი, რომ მზეზედ შორს ვერ გამიქრები
და მზის დახრისას მაინც გნახავ, ჩემო მარკიზა!
დინ, დარი-დან,
დან-რე-ზე-დან
ო, ჩქარა, ჩქარა, მემანქანე ნუ გვიანდები,
ფიქრიან ტყეში მაშინებენ ავი ლანდები.

ლელი ჯაფარიძე
ქუთაისი-თბილისი
ვაკონი №15 20

ბალდახინი

შევალ Notre-Damme-ში მოღუნული, როგორც იუდა;
 დიდი ქუჩების ავხორცობით ტანდადალული;
 ვიცი, ვერლენი მონანებით აქ მოდიოდა,
 რომ დიდი ცოდვა შეევედრა გადანახული.
 შემომხედავენ წმინდანები დატვირთულ ცქერით;
 აკანკალებით იმათ სახეს ჩავაშტერდები;
 მლოცველთა ზურგებს ეფინება ყვითელი ფერი;
 დავთვალე შიშით ქარვისფერი ქრისტეს გვერდები.
 ისევ ღვთისმშობლის გაღიმებას გავეკიდები;
 შევკადრებ მხოლოდ: „ქალბატონო, ახ ჩემი გული!..“
 და თუ ავტირდი, მე მლოცველებს მოვერიდები,
 რომ სხვაზე მეტათ არ ვეგონო მათ დაკარგული.
 როცა ქუჩებში ნოემბერი დადის წვიმებით,
 იქნება სცივათ მაშინ გამხდარ უბინო ძაღლებს...
 თეთრ ბალდახინზე ქანაობენ სერაფიმები: —
 მოასვენებენ მოქალაქეს ყველაზე ნაკლებს.
 ვინ შეგვახვედრებს, ვის უნდებვართ, ვინ მოგვიგონებს?!
 დიდია ღამე... ვინ გადახდის სახლებს სახურავს?
 მხოლოდ პოეტი გაბრაზებით დაცლის სტრიქონებს,
 და ჭლექიან ცოლს ნაუკითხავს — ღმერთზე მომდურავს.
 მივმართავ ჩემ თავს მონოლოგით და ვეტყვი ასე:
 „თქვენ, სულო ჩემო, საცოდავო სნეულო ბავშო:
 რისთვის არ მოგნონთ ეს ცხოვრება და სიძვირფასე?
 წავიდეთ ერთად, ჩუმად ჩავსხდეთ მოთეთრო ნავში.
 მე თქვენ ოქროს თმებს გადავვარცხნი იქ მორიდებით:
 ჩაგაცვამთ კაბას, დაგიკოცნით მცივანა ფეხებს;
 და თუ ქალაქმა გადაგვრეკა თავის დიდებით,
 წავალთ და მტრედებს გადავუყრით პურის ნატყებებს.
 გრამოფონის ხმა (უკვდავია მომგონი მისი!)
 ჩვენ მოგვესმება სახლებიდან ნელი ხრიალით,
 და თუ დაგვიდგა დღე მზიანი და სამაისო,
 დაუვლით ლეკურს თავმომწონე ცეკვა-ტრიალით“.

კოლაუ ნადირაძე

დაისი მესამე

და ცის უფსკრულში აიღენა კაფე ლანდური:
 ახალ პოეტებს გაუმართავთ ლურჯი კაბარე.
 ინვის არლანი, იკლაკნება იქ ფისმანდური,
 და ჩემი ცქერა მოჩვენებას კვლავ შევაფარე.

ანგელოზები სამართებლით პარსავენ ლოთებს,
მსახურებს დააქვთ ოპიუმი მაღალ ვაზებით:
ისევ მედუზა ყავისფერი მათ ააშფოთებს,
ვინც ლექსებს ამბობს ტირილით და რუხ გაბრაზებით.
ლალის სიგიჟე, ყირამალა და ხარაკირი,
ჯამბაზობს კაფე და ჰაერში გადაბრუნდება...
ისევ დაისი ატორტმანდა, როგორც საკირე,
და ჩემი ცქერა ჩვენებასთან ბრძოლას უნდება.
რამს შემოაგდებს მთვრალ კაფეში ლალი მგოსანი
და ეს იქნება თვით პაოლო, თვით სხივოსანი;
ნისლიან ხალხში ის სონეტით გადავარდება
და მისი ტანი დამსხვრეული ტალღებს ბარდება.
ისევ მსახურებს ოპიუმი დააქვთ ვაზებით:
ლალის სიგიჟე, ყირამალა და ხარაკირი —
ვინც ლექსებს ამბობს ტირილით და რუხ გაბრაზებით,
მას მოიტაცებს მოდაისე უცხო ფაკირი.
და კიდევ ერთხელ გაფითრდება კაფე ლანდური:
სავსეა ქალი თავისმკვლელთა ავი ძორებით.
ისევ მეძახის გრიგალიდან მე ფისმანდური
და თეთრ სურდოთი მემუქრება განმეორებით.

*ვალერიან გაფრინდაშვილი
1917 წ., 11 ნოემბერი*

არიჟრაჟება

კვალ და ზღაპრულად აფერადდა ქართველის დიდება.
მხიარულ სიცილს აღარ შხამავს ფიქრი ზანგური.
ყიფიან გრძნობით სიკვდილისაც არ მერიდება.
სულში ანთებულ ჩირალდანმა დაისადგურა.
სისხლში ათრთოლდა ჟინიანი ლხენა — სპარსული.
დღეს იმას ვმღერი, რაც არავის არ უმღერია.
კვლავ შემეყვარდა ეს ქვეყანა ცრუ და თარსული.
ჩემი თვალები დღეს მზესავით მშვენნიერია.
სალამს არ ვაძლევ შეხვედრის ჟამს შავნარბა ღამეს.
ატმისფერ ბაგით თმებს ვუკოცნი ოქროვან აისს.
საზღვარი არ აქვს ჩემ სიგიჟეს და სითამამეს.
იალბუზიდან ვუხმობ ალპებს და ჰიმალაის.
სწრაფად დამინყო აღტაცებამ ფრენა გედური.
ცხელი ფიქრები მიტაცებენ ფერად ლანდებით.
და თუ აქამდის სული მქონდა მე უბედური —
დღეს ტანს მიმშვენებს სიხარულის ბრილიანტები.

ივ. ყიფიანი

თეთრი საღამო

მე შენ ნაზ სურათს, მოფერებით, ნმინდა Maria,
ვატარებ ყველგან ავანტიურა — ჩუმი დიდებით.
თითქოს ქვითინებს იდუმალი თეთრი არია
სათუთ ჩარჩოში, მე პიერო, რომ ვაკვირდები.
ჩემი ოცნება შენ მორცხვ ცრემლებს დაედევნება
და უცაბედათ წამომცდება: „ახ, ჩემო Madame“.
მოჩვენებაა ეს სიყვითლე, თუ მკრთალი ვნება?
მე შენი ცქერით დავითვრები როგორც თამადა.
გავიხმობ ცალკე შენ თალხ თვალებს ძვირფას ლორნეტით,
თეთრი დუელი სამუდამო გაიმართება,
არ ვიცი, რომელს წაგვიღებენ ცისფერი ეტლით.
— მარად ქალწული, ზეციური ღიმილი კრთება, —
არ მომწყინდება სურნელ კვამლში მე სანთლით დგომა,
ნათელ სიზმრებში უშენობით არ მესვენება.
ნაირ ფერებში ითენთება თვით შემოდგომა —
ო, ლურჯ წარსულის სილამაზის — თეთრი ხსენება.

შალვა აფხაიძე

რევმა

ღარიბ ოთახის არ მამშვიდებს ღია კარები,
ჩემი ოცნება კეთროვანი — ფიქრებს აბანდებს,
დავდივარ მარტო და არავის არ ვეკარები,
როგორც შეშლილი ქვით დავეძებ ძველ შუშაბანდებს.

ღარიბ ოთახის არ მამშვიდებს ღია კარები.

ჩემს მეფურ პროფილს აღარ ჰშვენის ლალი, მარჯანი.
მოუსვენრობით გაუტოლდი უბედურ ციგნებს,
მაგრამ მაკუნტებს სიუძღურე ვით მემარჯანი.
საშიშ ღამეში ჩემი თვალი გზას ველარ იგნებს.

ჩემს მეფურ პროფილს აღარ ჰშვენის ლალი, მარჯანი.

დამტყდარ ლოცვებით შევიყვარე მე ვაზის ჯვარი.
მარტის ხასიათს ვერ მათვისებს სახე ატამის.
არავის ხიბლავს სითამამით დღეს ჩემი გვარი,
და დანანებით მუდამ მტანჯავს ცოდვა ადამის.

დამტყდარ ლოცვებით შევიყვარე მე ვაზის ჯვარი.

ჩემი ვარსკვლავი აღარ ბრწყინავს, ოდნავ აშუქებს,
ვით მომაკვდავი ბედს ვემდური გულის ნუხებით.
ველარ ვთამადაობ შაირებით ჯიბრში აშულებს.
როგორც დავრიში ვიარები ძველი ნულებით.

ჩემი ვარსკვლავი აღარ ბრწყინავს, ოდნავ აშუქებს.

რაყდენ გვეტაძე

მეფისქალნი ტრაურებში

დღეს განვიცადეთ ღვთაებრივი დანაკარგისი.
ფიქრობ: პრინცესა უბედური რომ სიზმარშია.
ამაყ სეფექალთ შემოევლო შავად არშია:
მომკვდარა პანი, მეოცნებე ღამის მარკიზი!

ქრება გლოვილში ორეულად ორი ნარგისი.
მნუხარე დების ღრმა თვალები ცრემლთა ღვარშია.
ჩვეულო მგზავრო! ქალბატონი ძველ საყდარშია, —
ქალნულთ აჩრდილიც ხატს აშურებს — სარკის სარგისი!

ერთხელ ელოდა მათ იღბალი და სილამაზე.
ახლა ტირიან მოლოზნებათ დღეცვლილ მამაზე.
დააქვთ საფლავზე ხრიზანტემა, ხან აკაცია.

კარგი რომ ჩემში ნილაბებით მამაკაცია,
და, ვიტან გრიგალს, სასიკვდილოდ გულს რომ აყურებს, —
თორემ ვიხრჩობი და ვერავის ვერ ვთხოვ ლაყურებს!..

შალვა კარმელი

ნიამორები

როს დაღალდება მზის ხელები ცხელ ტაშის ცემით,
და დღეც ჩაჯდება დაქანცული მუქ სავარძელში, —
სხივთ აჰყვებიან ნიამორნი — ნაზ ატაცებით —
მაღალ მწვერვალთა ლაჟვარდოვან საბრძანებელში.
დათლილ ფეხებით — სრიალობენ და ნავარდობენ;
მოხდენილ ტანით ეხვევიან შუქროვან თმებში.
კენჭები როკვით ეშვებიან ყრუ ნაპრალებში;
ჰაერის სერვით მძინარ კლდეებს ხშირად აკრთობენ.

მნათობი ცისა დასავლეთით მათ აცქერდება,
 შეჩერებული ერთის წამით ჩასავალ თალზე,
 უმალ დახატავს უცხო სურათს და აძგერდება;
 განშორებისას ორ მაყვალ ცრემლს დაუშვებს ღანვზე.
 შორის ამბორით ცელქნი მნათობს ჩააცილებენ...
 და უცებ, თითქოს, იდუმალსა რამეს ხვდებიან, —
 მიმქრალ თვალებით უცნაურად განაზდებიან;
 და დიდ-ხანს მდგომნი თვალთა სხივებს აციმციმებენ.
 აგრე თავდება ცხელ ზაფხულის დღეთა პარადი, —
 ვით დასრულდება დიდ ნადიმთა — მოლლილ ზმორებით.
 იმ დროს იშლება საიდუმლო ჰანგი მარადი,
 და მას ისმენენ მხოლოდ ნაზი ნიამორები.

ინ-რე-ჟან

წმინდანიანი

საუკუნეში ერთხელ ქვეყანას მოევლინება წმინდანიანი: —
 ცეცხლის ფრინველი, მთოველი ცოდვის და როგორც თევზი-წვრილტანიანი.
 აითვალთვალებს ღამით მალლობზე საყდრის გალავანს მგზავრი შორითი
 და დააცხრება წვერმაღალ ნაძვებს, ვით მონყვეტილი მეტეორიტი.
 ძირს, დახავსებულ მუხის საყდარში შეშფოთდებიან სულ წმინდანები:
 ისე იელვებს ხატებთან შუქი, ვით დამარცხებულ მტრის წინ დანები.
 დამბლა ეცემა წმინდა გიორგის და გველეშაპიც მოუჭერს რკალებს,
 ხელთ გავარდება მარიამს შვილი და პეტრეს შიში ააკანკალებს.
 ქრისტე წამებით ჯვარს გადატეხავს, გაიშვერს ხელებს ცხელ ლურსმანებით,
 გუმბათზე თვალი დაიხუჭება, გაციებული გველურ ზმანებით.
 თუ ვინმე ამ დროს გაივლის ახლო — თავს დაემხოზა ცეცხლის სვეტები,
 ავი სახადით დასნეულდება და ჭკუას მოსწყვეტს კუპრის წვეთები.
 დილამდე გასტანს საყდართან ბრძოლა და რიჟრაჟამდე სული ცდომილი
 ავ მოჩვენებით აწვალებს საყდარს, დაუძლევი და მიუწდომელი.
 დილით გაქრება ცოდვის ფრინველი, კივილით ღამეს გაეკიდება.
 ცეცხლის ნაკვერცხლებს დააყრის ტყეებს და ტყეებს ცეცხლი წაეკიდება.

ნიკოლოზ მინიშვილი

მთვარიან ღამის ჩრდილში

ხუთი ცხენოსანი, რამდენიმე ქვეითი, და სამი ურემი ბრუნდება დღეობიდან. მოყვარე კარგათ დაუხვდა სტუმრებს; ყველა ნასიამოვნები მიდის სახლში: ყმანვილები შეზარხოშებულნი არიან, მოხუცი — მთვრალნი; დედაბრებმა მოიგონეს თავიანთი წარსული,

იმასლათეს — მკვდარი აქეს და ცოცხალი გაქექეს; ქალიშვილებმა ცეკვით იჯერეს გული; ჭრელი თავსაფარი, წითელი ქოლგა ხალხს აჩვენეს, იკასკასეს, იცინეს. ბავშებმა ირბინეს, ბურთი ითამაშეს; მასპინძელმა ოჯახის ბედნიერებით მტერს თვალი დაუყენა და მოყვარეს გული გაუხარა. როცა უკან ჩამორჩენილი ურემი ჩრდილით მიძინებულ ადგილას მოხვდება, ახალგაზრდა, ჩაბალახ-ჩამოფარებული ბიჭი მივარდება ურემთან, ვილაცას მუჯღუგუნს ნაჰკრავს და ჩაუჩურჩულებს:

— მეინიე აქეთ, ძლაბო;

— გაჩუმდი, დეიდა გეიგონებს...

— ნუ გეშინია, სძინავს. თუ გინდა გეიგონოს, — მაგი ჩემკენაა, საფერისცვალებით ისეთი ბაღდათი მოუტანე, სულ იკვილა სიხარულით. მითხრა, მე ვიციო...

— ნადი, შე გასაწყვეტო, მომშორდი; აქ სინათლეა:

ბიჭი შორდება რამდენიმე ხნით.

ჩრდილთან ერთად ისიც აჩრდილსავით მიეპარება ურემს.

გოგოს, სანამ მოვიდოდეს, გული მოსდის, სად არის ამდენხანსო.

— ოლიკო...

— ჰო, რა გინდა, რა შემინვრილე გული?!

— ი ბიჭი ვინ იყო, შენთან რომ ცეკვავდა?

— ვინ იყო?! რა შენი საქმეა, ვინ იყო?...

— თავს ნუ იგდებ? ვინ იყო-მეთქი? — ბიჭმა გოგოს ხელი წაატანა ხელში და მოუჭირა.

— ვინ იყო და ძან კაი ბიჭი! ოქრომჭედელია... ბიძიამ მითხრა იმას მიგცემო... იი! გასკდი გულზე!

— ძალღმა შემჭამოს, თუ შენც და ისიც საშობო გოჭსავით არ გამოგფატროთ!.. — და ბიჭმა ძალზე მიიზიდა გოგო თავისკენ, ხელი კიდევ უფრო მოუჭირა და ჩაეკითხა:

— მართალს ამბობ თუ ხუმრობ?... მთვარის სინათლემ ისევ გადაკრა მათ.

— ვხუმრობ, ვხუმრობ! ნუ გადირიე — შეგვხედავენ!

მგზავრების წინ, სულ თავში გოგოს მთვრალი მამა მიდის; ცხენზე აქეთ-იქით ეკეცება და ბუზღუნობს: „ძან კაი, შენ ნუ მომიკვდე! გვარიანათ ვიქეიფეთ, დავთვრით... ჩემი გოგო იმ ბიჭს მეწონა... შეძლებული და კაი ხელობის კაცია. ერთი ორი კვირე კიდე და უფსკვნი ჯვარს... და... მოვრჩები ერთ საქმეს“...

— აბა, სიტყვა მომეცი! — მიუახლოვდა ისევ ბიჭი.

— რისი? — თითქოს არ იცისო, იცუღლუტა გოგომ.

— რომ არ მიმტყუნებ, ჩემს მეტს არ ინდომებ...

— ჯერ შენ მომეცი. არა! შემომფიცე!

— შენ თუ გიმტყუნო, დამექცეს ოჯახი. წმინდა გიორგის ლახვარი მომხვდეს!

— შენ მეტს თუ გავყვე, ღმერთი გამიწყურეს, დედა წამიწყდეს...

— აბა, ნახვამდის, არ დაგავიწყდეს! — და ბიჭი გადუხვევს გზა- ბოძალში.

მზადდება დრამა.

— ქალაღზე კი არ დაიბეჭდება,

— მსახიობები კი არ წარმოადგენენ,

— ცხოვრების ჭრელ დაფაზე შეეტაკებიან ხასიათები;

მოხდება ბრძოლა ნებათა და სურვილთა.

ძალა უფლებებზე მიიტანს იერიშს;

დამარცხებული ველარ იხარებს მთვარიან ღამის ჩრდილში.

მთვრალ საუბარით

დღეს ისევ მეგობრებში ვარ.

და, როგორც ყოველთვის, თრობა ფერად საუბარით.

ო, ეს სიტყვებით დათრობა, — ო, ეს საუბარი რჩეულ მეგობრებში.

ის მაღლარის წვენიზე უტკბესი და ძლიერია.

თამბაქოს კვამლი ამძიმებს ოთახს..

აქ, პატარა ოთახში, კვამლით დამთვრალ ოთახში უცხო სამყაროა და ყოველი საათი, ყოველი წუთი ქარავანია ზღაპართა და ქიმერების. ოთახში თრთიან იდუმალი კუთხეები და სცხოვრობენ ლანდები, კედელზე ფრთხილათ რომ დადიან.. ცოცხლდებიან ხავსიანი ქვეყნები და ჰკივიან ჯერ არ ნახული.

დაორთქლილი ფანჯარა საზღვარია ორ სამყაროსი.

კვამლიან ოთახში, სადაც ჩემი მეგობრებია, შესაძლებელია უკვდავება — კვამლიან ოთახში, სადაც ჩემი მეგობრებია, ცოცხლდებიან უცხო ქვეყნები — კვამლიან ოთახში, სადაც ჩემი მეგობრებია, გნამს შეუძლებლობა.

დღეს ისევ მეგობრებში ვარ..

უსაზღვროების მშვიდი თავადი ფერადებით მთვრალ ნანამებ ოთახში.

სერ. კლდიაშვილი

სტეჰან მალარმე¹

I

მალარმე არასდროს არ ყოფილა პოპულიარული, როგორც მწერალი. მისი აუდიტორია არ იყო დიდი, მაგრამ ის შესდგებოდა პოეტებისაგან, რომელნიც უსმენდენ მას, როგორც სიბილლას მოწინებით და თრთოლვით. პოეტებმა აიყვანეს ის დიდების განმარტოებულ სიმაღლეზე. მალარმე სწირავდა თავის ლექსებს არა განათლებულ ბრბოს, არა გაზეთების მკითხველებს; ის სჭედდა თავის სონეტებს მისი კარჩაკეტილ გენიალობის დაულალავ და ვნებიან თაყვანისმცემელთათვის. მალარმე არასოდეს არ გახდებდა კლასიკური: ის ყოველთვის გამოიწვევს ფილისტერების გულისწყრომას, რომლებსაც მისჯილი და გადანყვეტილი აქვთ იალტაცონ ვულგარული მწერლებით.

ვერლენთან ერთად მალარმე იყო მამათმთავარი ახალი შკოლის ფრანგულ ლიტერატურაში — სიმვოლიური შკოლის. მისმა მრავალმა საუბარმა პოეტებთან, არა ნაკლებ ვიდრე მისმა ნაწერებმა შექმნა ის ნიადაგი, რომელზედაც აყვავდენ შხამიანი ყვავილები ახალ ხელოვნებისა. თავის შემოქმედების დასაწყისში მალარმე იყო პარნასელი და პარნასელების პოეტის გავლენით, რომელიც აღიარებს ფორმას, როგორც ერთად ერთ საფუძველს ხელოვნებისას, მალარმე სამუდამოთ დარჩა სტილის რაინდი და სიტყვით აგზნებული. იმ წრეში, რომელიც იკრიბებოდა მალარმეს სალონში, არსებობდა მალარმეს კულტი.

მალარმემ შექმნა სიტყვებიდან კომპოზიციები ულმობელი სითეთრისა. სონეტი, ეს თავადური ფორმა ლექსისა მალარმემ, ვით ჯადოქარმა გადააქცია ამაყ და კეთილშობილ ჩვენებათ. და მალარმეს მაღალი სახელი შეერთებულია გედის წარმოდგენასთან, რომელიც

1. ნაკითხული იყო „ცისფერ ყანების“ სალამოზე ტფილისში 1917 წ. 2 თებერვალს.

კვდება სონეტის თოვლიან სარკეში. მალარმე იყო „პოეტების მასწავლებელი პოეზიაში“. მის მოწაფეებს შეუძლიათ აღმოაჩინონ მის ლექსებში ძიება უდიდესი სტილისტისა, რომელიც, სანამ მიანდობდა თავის თავს სიტყვას, ანთავისუფლებდა ამ სიტყვას ყოველდღიურ ცხოვრების სამარცხვინო გავლენისაგან და უკანასკნელად სიტყვები განწმენდილი, სასჯელთა რკალში გატარებულნი, გამომწვარნი გონების ცეცხლში, იძენდნენ საფირონთა და აღმასთა ღირებულებას, რომელთაც მინიჭებული და ნაბრძანები აქვთ ინვოცენ და არ იფერფლებოდნენ პოეტურ შემოქმედების სასწაულში.

მალარმეს პოეზია სიმვოლიურია, მაგრამ ის თვითონ იყო გასაოცარი და სამაგალითო სიმბოლო. მისი არა ვრცელი და არა მდიდარი ბიოგრაფია ზღაპრულია ჩვენთვის, როგორც ბიოგრაფია არტურ რემბოსის, ამ ბარბაროსის, რომელმაც, როგორც ჰანიბალმა, თავს დაესხა პოეზიას, გაანადგურა ის და შემდეგ წავიდა თავის მოჩვენებებით გაალებულ უდაბნოში. მალარმეს პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს ოთახს, მაგრამ ეს ოთახი დამშვენებულია მოროს იროდიადით და იაპონიის ეკზოტიურ ვაზებით. ბუხარი მის პოეზიაში და ცხოვრებაში იყო მომხიბლავი დეტალი, როგორც ყალიონი; წიგნი კი იყო უკანასკნელი ასრულება მისი ოცნებისა. ეს ხომ იმან სთქვა, რომ სამყარო არის გაჩენილი იმიტომ, რომ დაინეროს ერთი შესანიშნავი და ღირსეული წიგნი. და მისგან, როგორც სახარებას, მოელოდნენ ამ წიგნს, რომელსაც ის სწერდა მთელი თავისი სიცოცხლე. ეს წიგნი არავის არ წაუკითხავს. ის დასწევს მალარმეს სიკვდილის შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა. შეიძლება ამ წიგნის დაკარგვა უსწორდება ალექსანდრიულ ბიბლიოთეკის დაკარგვას.

მალარმეს ყურადღებას არ იპყრობდა პოლიტიკა და როდესაც მას სთხოვეს გამოეთქვა თავისი აზრი ფრანგების და გერმანელების დაახლოებაზე, რომელიც მაშინ უნდა მომხდარიყო, მალარმემ სთქვა: „ჩემთვის საკმარისია ის, რომ ბოდლერი ითარგმნება გერმანულ ენაზე და ვაგნერს ტაშს უკრავენ პარიზში“. ის ახლა არ იტყოდა ამას, მაგრამ მისი სიტყვები მაინც საგულისხმოა.

II

მალარმეს უყვარდა ლათინურ დეკადანსის პოეტები, რომელნიც ენათესავებოდნენ მას ფორმის და შთაბეჭდილებათა შემოდგომის კულტით. დაისი და შემოდგომა — აი, ორი მომენტი, რომელნიც დიდ ხანს შეადგენდნენ მალარმეს იდეალს. მაგრამ არსად არ იფეთქებს ისეთი ძლიერებით ზამთრის ალი, როგორც „გედში“, რომელიც არის დამაბრმავებელი ნირვანა თეთრი წყვდიადისა. მალარმე უფრო ადრე ეხმაურებოდა შემოდგომის მენამულ აგონიას, ცეცხლ მოკიდებულ ხეებს, უიმედო ხეივნებს, მაგრამ შემდეგ მან უარყო დილის და შუადღის ვარდისფერი ბრწყინვალეობა, რადგანაც ის მიიზიდა თეთრმა ფერმა, რომელშიდაც უფრო ნათლად აისახა მისი დენდიზმი, მისი ამპარტავანი სევდა. აქამდის გაურკვეველი გამოცანა — მალარმე ნახულობდა თავის ოცნებისთვის სამოსს თითქმის უხილავს, გამჭვირვალეს და ლანდურს. ჩვენთვის განსაკუთრებით არის ძვირფასი ის ლექსები, რომელნიც არ არიან მისანვდომი ვულგარულ გაგებისათვის და ინვევენ შიშს, როგორც უცხო იეროგლიფები. მისი ლექსები — ხშირად მოკლებულნი მძიმეებს და წერტილებს თითქოს არიან ფრაგმენტები, თითქოს ჩვენს წინ იშლებიან შეწყვეტილ ორგიათა და განთიადთა ოაზებში. ვიაჩესლავ ივანოვმა აღნიშნა მხატვარ ჩურლიანისის სურათებში გაბატონება სწორი ვერტიკალური ხაზისა, რომელიც მუდამ ცისკენ არის ამართული; მე ავნიშნავ მალარმეს პოეზიაში თეთრი ფერის უპირატესობას. თეთრ ფერს მალარმემდისაც ყავდა მოტრფიალე. გავიხსენოთ ტეოფილ გოტიეს ლექსი — სიმფონია ღია ფერისა. მაგრამ გოტიეს პოეზიაში, თუმცა ის პარნასელია, ეს ფერი არ არის გავრცელებული მთელ

მის ლირიკაზე, მალარმეს შემოქმედება კი არის დაბურვილი ამ ფერით, როგორც უნაზე-სი პუდრით.

მალარმე ქანდაკებრივია. როდენმა — თანამედროვე ქანდაკების ფიდიასმა — იგრძნო და დააფასა მასში მოქანდაკე, როდესაც სთქვა მალარმეს გასვენებაზე: „ბუნებას ბევრი დაავიანდება, სანამ ის კიდევ შექმნის ამისთანა ქალას“. ბალეტში მოცეკვავემ ნიჟინსკიმ განახორციელა მისი ფაზნი, ნიმფებს რომ სდევნის ვნებიანი თავდავინყებით. „ფაზნის ნაშუადღევის მოსვენებაში“, რომელიც რჩება ხსოვნაში, როგორც უსპეტაკესი ქანდაკება, მალარმემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ოცნების ძლიერება. ეს ოცნება, რომ წარსული დაიბრუნოს, სძლევს ანმყოს და მასში ამეფებს სასურველ ზმანებათა ცხადებას.

მალარმემ შექმნა ოთახის ესთეტიკა. რასაკვირველია, ოთახის თვალსაჩინო კათეგორია არის სარკე. შეიძლება მალარმე არის პირველი პოეტი, რომელმაც მიაქცია ყურადღება სარკეს, როგორც შემოქმედების საგანს და მალარმემ მოგვცა სარკის პოეზია. სარკე ხომ უდიდესი სიმბოლოა ჩვენი ყოფნისა. არაფერი ისე მისტიურად არ გამოხატავს ჩვენი ყოფნის ლანდურობას, ჩვენს ორობას, ჩვენს კავშირს წარსულთან და მომავალთან, როგორც სარკე. აი, ციტატა მალარმეს: „ზამთრის კანკალიდან“: ის ელაპარაკება ქალს: „ვინ იხედებოდა შენს ვენეციურ სარკეში, რომელიც ღრმაა, როგორც გრილი წყარო, დატყვევებულია გველივით დაკლავნილ ნაპირებში გახუნებულ ოქროთი. მე მრწამს, რომ არა ერთმა დედაკაცმა ჩაასვენა ამ წყაროში თავის სილამაზის ცოდვა და დიდხანს რომ ჩავუკვირდე, მე დავინახავდი ტიტველ აჩრდილს“. აი, როგორი სიტყვებით მიმართავს სარკეს მალარმეს იროდიადა: „ო, ცივი სარკე! უფერო წყალი, ეს ბროლის სევდა, მომწყვდეული გაყინულ რკალში, ო, მეტად ხშირად უნუგემო, მრავალი ხანი, მე დალალული სიზმრებისგან, მდომი ოცნების, რომ ჩაითენთა ვით ფოთლები შენ წყლის უფსკრულში, მე გამოვკრთოდი შენ სიღრმიდან ობოლ ჩვენებათ. ო, დაისის დროს შენი ლურჯი წყლების სიღრმეში ვიგრძენი ტიტველ ოცნებათა ამაოება“.

მალარმემ უაილდზე ადრე შეიყვარა ნივთები და ამხილა მათი ინტიმური რაობა. მალარმემ გაიგონა თეთრი ქვითინი სერაბიმთა და აქაც ვნახულობთ ჩვენ სერაბიმთა ვიოლებში და მიზრაფებში მალარმესათვის ტიპიურ სითეთრეს. ქალწულობის და ზამთრის სითეთრე კიდევ ერთხელ გვატყვევებს ჩვენ „იროდიადაში“. ამ პოემაში ხომ ყველა ფიქრები და ოცნებები იფრქვევა თოვლიან სარკეში და „მოქმედება“ სწარმოებს მხოლოდ მინაში. თვით მალარმეს პორტრეტი, მისი დათოვლილი სახე იძლევა სითეთრის შთაბეჭდილებას. ეს არ არის როდენბახის სანტიმენტალური სითეთრე, მთვარემ რომ დაბადა თავისი საუკუნო სევდით. ეს არის სითეთრე ზამთრის, სარკისა და ქანდაკების. ეს სითეთრე არის სიმბოლო უმაღლესი სულიერი ძლიერებისა, ეს სითეთრე არის ნირვანა, რომელშიდაც პოეტს უნდა გაანცალკევოს თავისი სული. აქ სითეთრე მხოლოდ სახეა რჩეული უკვდავების. ბრწყინვალე და ქალწულ ზამბახებში გვევლინება ჩვენ მალარმე, როგორც ბრძენი, სიტყვების მესაიდუმლე, სიმბოლოს ქურუმი და ჩვენ გვიყვარს ეს ამაყი აჩრდილი.

III

მალარმე ლოცულობს იზიდისათვის, მოხიბლული იმით, რომ ვერასოდეს ვერ დაინახავს მის ღვთაებრივ სახეს, რომ მას შეუძლია მუდამ იოცნებოს მასზე და მორცხვით გადაშალოს მისი სამოსის ხვეულები, როგორც გრძნეულ ყელსაბამის ქვები, როგორც სიმები ჭიანურისა, უქამანჩოთ რომ ქვითინებს. იდუმალეობა — ეს მარად ქალწულებრივი იზიდა — თითქოს მადლობელი იყო მალარმესი, რომ ის ასე ფრთხილად ეხებოდა მას, ანანავებდა მას თავის ოცნებაში და იდუმალეობამ მისცა თავისი თავი მალარმეს საამბოროთ. თავის თეო-

რიაში და თავის ლექსებში მალარმე იყო მცველი და მთრთოლვარე პაჟი ამ იდუმალების. ის არასდროს არ გვაჩვენებს თავის მუზას, ის წინააღმდეგია სიცხადის და მეტად უმადურნი უნდა წავიდნენ ამ ტაძრიდან, სადაც ღმერთების ყოფნა საგრძნობელია არა ყველასათვის.

მალარმემ უარყო პოეზიაში აღწერა და მოთხრობა, მაგრამ არც ერთს მგოსანს არ უმუშავნია ეპიტეტზე ისე, როგორც მალარმეს. შეიძლება მალარმემ პირველად აგრძნობინა პოეტებს ეპიტეტის დიდი მნიშვნელობა. ეპიტეტი საღებავია საგნის და რამდენად ეს ეპიტეტი უფრო ღრმაა და შინაარსიანი, იმდენად შემოქმედება უზრუნველყოფილია დროისაგან. გიუისმანსის გმირი დეზესენტი ოცნებობს იმისთანა ეპიტეტის შექმნაზე, რომელსაც შეუძლია მთელი თვეები აქანავოს სული სხვა და სხვა მოგონებებში. სიმვოლიური ეპიტეტი არა გავს რეალისტურ ეპიტეტს, რომელიც ყოველთვის განსაზღვრული და მცირე მისსიით გამოდის პოეზიის საჯირითოზე. რეალიზმი არის უხეში ანარეკლი სინამდვილის, სიმვოლიზმი კი არის ქმედითი ფერისცვალება ქვეყნიერებისა, როგორც ესთეტიურ ფენომენის, როგორც სიმბოლოსი, რომელიც მოითხოვს შთაგონებულ გამოცნობას. მალარმე აზროვნობს სიმვოლებით, რომელნიც, როგორც გრძნეული სარკეები იძლევიან სინამდვილის უამარ სახეებს. სახე ყოველთვის ერთია, სიმბოლო კი მრავალსახიანი, მისი შინაარსი უძირია და ამოუნურავი, რაც სიმბოლოს აძლევს ცხად უპირატესობას, როგორც პოეტურ შემოქმედების მეტოდს. უაილდმა სთქვა: სიძულვილი საზოგადოებისა თანამედროვე ხელოვნებისადმი არის კალიბანის გახელება, რომელიც ხელოვნების სარკეში იხედება და მასში თავის თავს ვერ ნახულობს. მალარმე იყო ბრწყინვალე იმპროვიზატორი თავისი ოცნების და ცხოვრება, როგორც უვარგისი სუფლიორი სამუდამოთ უარყოფილი იქნა პოეტისაგან.

სიმვოლიზმი არის ძიება და ნახვა იმ გარმონიულ პარალელებისა, რომელნიც პირველად აღიარა ბოდლერმა თავის „შესაბამებაში“. მალარმემ ნახა თავისი ოცნების ცხადსაყოფათ სიტყვათა ახალი დასი, დაუზოგავ სიმბოლოთა სინტეზი მისი ლექსების მოელვარე კომპოზიციებში და ობელისკებში სიტყვები, როგორც ნილაბიანი ბრილიანტები და ოპალები ამაცობენ ერთმანეთის სხივებით, ერთი სიმვოლიური სახე იხედება მეორეში, სანამ მთელი სიმბოლო არ აიმართება ცაში, როგორც „ფეერიული სობორო“. მალარმეს სიმბოლო არ არის ალევორია და უბრალო კალეიდოსკოპი. სიმვოლისტებმა შექმნეს პოეზიაში პერსპექტივა, პერსპექტივა მარადისობისა, კლასიკური პოეტები კი ახლო იდგენ თავის შემოქმედების საგანთან და შეგნებულად არ განიშორებდნენ მას. ჭეშმარიტ ხელოვნებაში კი გადამწყვეტ როლს თამაშობს მანძილის და ჟამის პათოსი. ჭეშმარიტ სიმვოლისტს სწამს მომენტები დროთა და სივრცეთა გადადგმისა, მას სწამს, რომ ერთ უსახელო ამბოროში არის მთელი სიბრძნე ქვეყნისა და ერთ საღამოში მიცვალებულ პრინცესების და ვარსკვლავების ოხვრა.

IV

როგორც ფლობერი, მალარმე არის მონამე სიტყვისა და მესაიდუმლე. მან შექმნა „მისტიკა“ და ფანტასტიკა სტილისა. გამოუთქმელი აზრი სდევნიდა მალარმეს, რომ მთელი მსოფლიოს იდუმალება დამარხულია სიტყვის სამკაულში. მალარმე ყოველთვის იყო სიტყვის მთვარეული, სიტყვის მონა და ბატონი. მალარმეს შეეძლო მოეჯადოვებია და აელავმა სიტყვა, როგორც ფაფარაყრილი მხეცი. მის სიტყვაში, რომელიც უფრო ხშირად პლასტიური იყო, სახეები ინაკვთებოდნენ ნისლებით და ლაჟვარდებით. სიმვოლისტებშიც განმარტოებულია მალარმე, როგორც სტილისტი და სიტყვის კავალერი. ის ჯაშუშია სიტყვების; როგორც არაბს მას უნდა ყოველი კეკლუცი სიტყვა მოაქციოს თავის სასროლში, დაამწყვდიოს ის დაფერფლილ რითმების ცისფერ სატუსალოში. შეიძლება

სიტყვები ხანდახან ლალატობდნენ თავის კავალერს, მაგრამ ლიტერატურა ალტაცებით მოიგონებს ამ სულთანს, რომელმაც შეიყვანა პოეზიის არამხანაში მრავალი სიტყვები. სიტყვის და ლაპარაკის მეფე ლექსების გარდა სწერდა მინიატიურებს. ეს პოემები პროზათ ბოდლერის ამდაგვარ პოემებზე მაღლა სდგანან. აქ მოწაფე იმარჯვებს მასწავლებელზე. ცნობილია დამოკიდებულება მაღარმეს ბოდლერიდან. აი პარალელები: ალბატროსი — გედი, ჰიმნი სილამაზეს — იროდიადა, ბოდლერის შუშის პეიზაჟი და მაღარმეს ფანჯრები. მაგრამ გიუისმანსის სიტყვით მაღარმე არის კვინტესენცია ბოდლერის და ედგარ პოეს. მაღარმეს პოეზიაში ბოდლერის კომმარი დაინმინდა და ავიდა იმ სიმალლეზე, საიდანაც იყურებიან მარმარილოს ვენერები და აპოლონები.

მაღარმე, ვით ჯავაირი მთელი თავისი სიცოცხლე სჭედდა ძვირფას ქვებს და იგონებდა მათ. ამის გარდა ის იყო იდეალური ქურუმი და იცავდა ხელოვნების სინმინდეს ქუჩის თავდასხმიდან; ხელოვნება, რომელიც დაამცირეს ნატურალისტებმა, მან გახადა რელიგიურ გაღმერთების საგნად, ოლიმპათ, რომელზედაც სხედან მხოლოდ რჩეულნი, დაგვირგვინებულნი დიდების ეკლიან გვირგვინებით.

მაღარმეს პოეზია დაუთავებელია, მის ლაბორატორიაში ბევრი ნანგრევებია, რომელნიც გვირჩვენია ჩვენ ბევრ დამთავრებულ ძეგლებს. მისი პოეზია, როგორც ვენერა მილოსელი მოტეხილ ხელით გვიხმობს მარადისობისაკენ და ამეფებს ჩვენ სულში უკვდავების წყურვილს.

ვალერიან გაფრინდაშვილი

1917 წ., იანვარი.

ვასაკა

უკარებელი. მიზანტროპი. ტანდაყუდრული.
ხავსისფერ კანზე მზის ხაოთი სქლად მოწვეთილი.
სოფელში ცოცვით მკერდზე თეთრათ გადაცვეთილი.
ჩუმი. გვერდულა. ალმაცერა. ცქერაქურდული.

თავისიანებს თავისძულვით ჩამონყვეტილი.
მუხის წყალიან ფულუროში გადამუდრული.
ქოსა. თვალკუსა. ლორწიანი. ცხვირდასურდული.
სოფლის ავიზნით ცხარე ტვინში ხშირათ წვეტილი.

გიყვარს: სიდამპლე: შმორი: მატლი: მშვიდო ვასაკა, —
მაგრამ პანის ჟამს ცნობ ყველაფერს ასე ფარსაკათ:
როს ნანვიმარზე მზე იშლება ნელი თაყვანით, —

ბნელ სინესტეში ყველას უნინ შენ გოცდები:
ხის სენაკიდან მალვით ზემო ამოცოცდები, —
და შეუდგები ღვთის დიდებს კვახე ყაყანით.

*გრიგოლ რობაქიძე
სტამბოლი, 1919, მარტი*

ფატმან-ხათუნი

ჩემ სულს ასარკებს მოგონება ცხელი ასულის,
ფატმან ხათუნი ელანდება ძილშიც ხარბ თვალებს.
მიყვარს ეს ლანდი, მაშინაც კი, როცა მანვალებს.
შეიძლებოდეს დაბრუნება ნეტა წარსულის!..
მუტრიბ-მომღერალთ ისმის ქება აქ სიყვარულის.
ალიონამდე კოცნის ფატმან ავსებულ ყანნებს
და კუროების ქარავნები ამტვერებენ გზებს —
ელიან ნახვას ნდომისაგან ფერგადასულის..
არ დაიღლება მისი ტუჩი კოცნით არასდროს.
ის სულს მიინდობს, რომ ლალატით შემდეგ დალადროს.
მისთვის ერთია ჩაჩნაგირი და ავთანდილი.
ფატმან! ოცნებით სცხოვრობს სული შენ ცხელ საბანში,
ის შენ ტყვედა გყავს, როგორც თავი სინის ხაფანგში;
მეც გზას მინათებს მარტო ერთი ვნების ნადილი.

*ტიციან ტაბიძე
1917, იანვარი*

1. თბილისის ოფორტი

ამთქნარებული თბილისი,
ალამპრებული ქუჩები,
ვერის ბალები ხილისა
და იქ მკოცნელი ტუჩები.

წარბები როგორც კამარი,
ქალის კაბებზე რუშები.
ვერცხლის სამარხი ქამარი
და დახალული ნუშები.

ლამდება. მოდის მებარხნე —
ნაგვიანები მელოტი.
საკინძ გახსნილი მეარღნე, —
ავლაბრელ პულჩინელოთი.

შალვა ამირაჯიბი

2. მწვანე კაკადუ

რა საუცხოვო ამბავი არი,
იქნება ასე თქვენც გემართებათ.
მალე დადგება თვე იანვარი
და დავიცლებით მალე მარტებათ.

მე მაგონდება თბილი მაისი,
და იშვიათი ქართული რითმა,
სომხის სახელი არამაისი —
სტამბოლს რომ სტანჯა უხვოთ ხალიფმა.

და წახდენილი სიტყვა ალკადუ,
მერე ხომალდი — მიმდგარი კაპზე,
და თქვენი, თქვენი მწვანე კაკადუ —
მოზრდილი ცხვირი, მოზრდილ ნიკაპზე.

შალვა ამირაჯიბი

ყალბი ავტობიოგრაფია

ახ, მე დავრწმუნდი — საჭიროა მეტი ზრდილობა:
(ჩვენი პლანეტა აღარც ისე დიდი განძია),
მხოლოდ სიბერით არი მისი ფერმიხდილობა;
როგორც ამბობენ, მისი ფასი ბირჟამ აწია.

ო, მე ვეცდები, რომ დღეიდან ვინამო რჯული,
და მეც შევიქნე მოქალაქე პატიოსანი.
დიდი ფულია ჩემ ჭკუაზე გადახარჯული,
მაგრამ ჯერ კიდევ მიღებული არ ვარ მგოსანი.

ამის მიზეზი — თუ არ ვცდები — ის არის მხოლოდ,
რომ ვერ ვახერხებ მეთქიმა მე ჩემი კეფა.
სამარადისოდ ავირჩიე მთვარე საცოლოთ,
და ახლა, ვატყობ, ჩემ არჩევანს ძალმაც დაჰყეფა.

აუცილებლათ საჭიროა მეტი ზრდილობა!
(ო, მომიტევეთ ამ უხერხულ რევერანსისთვის)
ჩვენ საუკუნეს არ აშინებს დღეს უძილობა,
მას დრო დარჩება, მოიცალოს სულ სხვა დარდისთვის.

ბიოგრაფიას უსათუოდ დასწერენ ჩემზე.
უნდა ვეცადო, რომ გამოვდგე ყველაზე კარგი,
რომ დიდ ბრალდებათ არ დამადვან ჩემ ვინრო მხრებზე
ამ ძველი ქვეყნის უსარგებლო და მძიმე ბარგი.

კოლაუ ნადირაძე

1919

სევდის ჭარმანდი

უბედურება გველის ყველას, ვიცი ეფუთით.
ხშირათ უცნობი, მორიდებით სანამლავს მასმევს.
ნალვლიან თვალებს დამიბრმავებს ვერცხლის ბებუთით,
ის ცოლის თმებით გამიკეთებს დასახრჩობ თასმებს.

ვით რუქაია მაჯადოებს ნაზი ფანდებით,
მის სურათის წინ მლაღავს ლოცვა და მეტანია.
ჰშვენის ქოშები თეთრ ფეხებზე სირმის კანტებით,
მაგრამ სიმკაცრე მისი სახის ნამეტანია.

ლამაზათ მორთულს, ლილისფერი აცვია მანტო,
როცა შემხვებთა, არ მაშორებს თვალებს უგეშებს.
მაგრამ იღბალი, როგორც ყაჩაღს, ვერც იმან მანდო, —
მუდამ მწუხარეს, მე ვერავინ ვერ მანუგეშებს.

იტაცებს ღამე — მძაფრი ქარი სახლის ძველ ყავრებს,
გრძელ მოლოდინში ტკივილებით მატირებს ბრაზი.
მივალ ჭიმკართან ფრთხილათ, მაგრამ ვერ ვხედავ მგზავრებს,
ო! როგორ მინდა მეხვეოდეს, ვით ხარდანს ვაზი.

ვგრძნობ: ლოცვას ვიტყვი უკანასკნელს, ვით მონა ბერი,
ჩემი სიკვდილი შეარიგებს მომდურავ მძახლებს.
სიო მაცნობებს ღვთის განზრახვას ცით მონაბერი.
ჩემი ალერსი მოუნდებათ ზამთარში ძალლებს.

ველარ მომხიბლავს ის, სინაზით და ხან გარებით,
ველარც დამათრობს სურნელებით, როგორც სოსანი.
მტანჯავს ოცნება სურვილების ხარბ ანგარებით,
მაგრამ მახარებს მხოლოდ ერთი, რომ ვარ მგოსანი!

*რაჟდენ გვეტაძე
მარტი, 1919*

ზამთრის დღეების გასვენება

მოასვენებენ ზამთრის დღეებს ანეულ ქუჩით.
მინის კუბოებს დაუფარავთ მკრთალი ცხედრები.
სალამო აბნევს ლურჯ ზამბახებს — შორი, პირქუში.
ამძიმებს ქალაქს სულთათანა შემავედრები.
მედიდურ დროთა რაინდები ხვდებიან ზარით,
და აცილებენ მოკრძალებით თოვლის თავადებს.
ფარშავანგები და გედები ხმით უეცარით
სტირიან დღეებს გრძლადგანოლილს და ნაავადებს.
თეთრ ბალდახინზე თუთიყუშნი სხედან მეფურად.
კრთიან ლანდები — შემოსილნი დინჯი ტრაურით.
და პროცესია გვიანდება აქ უნებურად, —
მაგრამ სად მიდის განდევილი და უცნაური?
გზა თითქოს არი გოიადან ნაქირავები,
და ქიმერები დარაჯობენ დაღმართ ხიდებს.
ქუჩის უფსკრული — ანთებული მოჭრილ თავებით —
ახლა მიჰყვება დამარცხებულ მჭკნარ ორხიდებს.
თან პროცესია გაიყოლებს წვიმებს და ქარებს.
ბევრ გასვენებებს შეაჩერებს ეს გასვენება.
საფირონების და ჭინკების ამაყ ოლარებს
დაუბრუნდება ადრინდელი მათი შვენება.
ცეცხლშია ქუჩა და ალებით შემოგარსული
შედის დაისში პროცესია თავის ლანდებით;
გარდაცვლილ დღეებს აგონდება მათი წარსული —
ცის აივანი თოვლიანი შუშაბანდებით.
ვით ძველი კიბე ჩაინგრევა ქუჩა ცბიერი.
დამსხვრეულ დღეებს დაისებში არ ყავთ მაშველი.
და ისე, როგორც ეშაჰოტზე რობესპიერი,
თავის სარკიდან დაიკვივლებს გაფრინდაშვილი.

*ვალერიან გაფრინდაშვილი
ოქტომბერი, 1919*

ბინდის ფერები

ნაზი ფერები მოგონების ბალში დადიან —
სოველ ლოცვებით გადავფარე თეთრი კარავი.
ღმერთო, მაპატიე,
რომ უწინდელი აღარა ვარ და აღარა მყავს მე აღარავინ!
და მაგონდება სალოცავი — ჩუმი კრებული —
თოვლის სინმინდით დაჩოქილი უფლის წინაშე.
ო, ეს თვალეები, საოცნებოთ გაჩუმებული —
შოდა-ღარულა და ნაზი „მაშინ“!
დღეს ჩემს თვალეებში ვინღა ნახავს ცისფერ სინმინდეს,
ცხარე ვედრება გადაჰყურებს გალავანს იქეთ
და ამ საყდარში ტყვილა ვეძებ მე ფსალმუნს იმდენს,
ყველა ბორგვილებს სამშვიდობოთ რომ ეყოს იგი.
იღლება წუთი. მოვიღალე ჩუმი დგომითაც.
წუთუ ამ კედლებს უცაბედათ მე დავეგულე
და ფირუზისფერ საგალობელს ვედარ მოგვიტანს
ველარც ეს რაში გაჭენებული!
მაშინ სიზმარი არსადყოფილი
თეთრ სახარებათ სად დავასვენოთ! —
ნაღვლით დამცქერის წმიდა მშობელი
და მანუგეშებს უდავო რწმენით —
და მესმის მღერა — წმიდა მღერა — წმიდა იესო,
რომ სუყოველმა სულმა ვიხაროთ.
ბინდის ფერები მამძიმებენ ქუთუთოებზე
და მენევიან სიჩუმით გარეთ.
და ეს რაინდი მისტიურად მოხრილ მახვილით
თეთრი ოცნებით ეფინება ჩემს დალილ კარავს —
და მესმის მწვანე შორეთიდან ნაზი სახელი,
რომ არ დამტოვებს, მანუგეშებს და დამიფარავს.

გრ. ჯაფარი

სამგლოვიარო მარში

შორით უყეფდენ ამ ცას ხეთები.
აქ არმავს სწავდა მზე ალმაცერად.
დღეს ტვინ-დაფშვნილი მე ვეხეტები
და გახრულ სხეულს ვჩელტავ ფაცერად.

გონებას რწყავდა აქ ბიზანტია,
თვლემდა აზია გადარუჯული...
ფიქრის ჭენება ეხლა ზანტია.
მინას ჩავყურებ მცდარი, ურჯულო.

თავი მგონია მე დანამნვარი: —
დაცხრილულ სხეულს ვაცლი მუგუზლებს.
წრთობით მაკივლებს ავი დღის ცვარი
და სხვა გზის მატლი ნელა ხრავს ქუსლებს.

საფლავის ქვებად ჩამოქნილ დღეებს
მოავარაყებს მოგვთა ამქარი.
და ჩემი სულის გადამხმარ ტყეებს
გაანიავენს სხვა ქვეყნის ქარი.

ძველი ადამის ცოდვების ვალში
მე შავი ღამე მომიჭერს ხელებს,
და საუკუნის გამოთხრილ თვალში
კივილით მისვრის და გამახელებს.

ცნობადი ძარღვის ძაფებათ დართულს
გამადნობს, დამსწვავს ცეცხლი, ვით კალას.
მაგრამ მერმისის ცეცხლით დათართულს
ქვეყანას ვესვრი მე თავის ქალას.

მას გამოვატან ჩემს ვექილობას,
რომ სხვა იღბალი მიწას ასხუროს.
მისი კუზიან-მოდრეკილობა
უცრემლო ზარით გაამასხაროს.

მე კი გავათბობ გველის შავ კვერცხებს,
გულზე ავშოლტავ შხამიან ტყემალს
და ჩემი სულის ჩამქრალ ნაკვერცხლებს
ამოვაცოლებ დამპალ ხერხემალს.

ნიკოლოზ მინიშვილი

1919

ბოდლერის ოქორტი

ბოდლერს ამბოხით შეხვდა პარიზი,
როს დეკადანსით დასწვა ფრანგული.
მან აირჩია მზის ასპარეზი, —
მრუშ მირაჟებში გზადაბანგული.

ქუჩის ყვავილთა გაბოროტებით,
შავ ვენერაზე აშრიტა ჟინი.
შეხვდა იდეალს დაფნის ტოტებით,
როცა ქალაქებს მოედვა სპლინი.

ცოდვიან ქალებს ეკაბადონა,
მათ ტანის სურნელს, პუდრს, სამკლაურებს.
ო, ბეატრიჩე! წმინდა მადონნა!
დაატარებდა სულში ლაურებს!

ხავერდის კატა, ბუ და ლამურა,
უაღერსებდენ კაინის ძმობილს.
ბოდლერის ლანდი ესალამურა,
მძაფრ საუკუნის დიდებას თრობილს.

მაგრამ დაეცა დამბლა მედგარი
და ნუგეშინად ის ჰქონდა ნალალს:
პოეტის სულზე, — მამა, ედგარი, —
შეევედროდენ მეუფეს მალალს!

ხალხში შეიქნა მიეთ-მოეთი.
უხმოდ კვდებოდა დენდი ნარინდი...
აგონდებოდა კვლავ ინდოეთი,
ალბატროსები და ტამარინდი!..

შალვა კარმელი

1918

ვაგნერი და ნიცშე

ერთხელ ვისმინე სულთა შორის მე საუბარი:
გახსოვს: ვაგნერი და ნიცშე?
მერე? უცებ მათ მოუსწრო...
ვინა? განა არ იცი შენ?
ზარატუსტრამ...

და იყო სულთა სიმფონია მწყობრი, მაღალი...
გათავდა სულთა სიმფონია უცნაურ ტეხით...
გაჩნდა ბნელ ცაზე, მე მგონია, ძალა ახალი:
ღრუბელთა მძიმე აგონია დამთავრდა მეხით.

და ვინღა ჰპოვოს აქ საჭირო ახალი გზები?
ან ვინ გამოცვლის არ საჩინო დროთა პარიკებს?
ვინ შეაერთოს კვლავ საჩინად წარსულის ხმები?
ო, ამ თეთრ სულებს ან საშვენად ვინ შეარიგებს?!

ინ-რე-ჟან

ევა ტაძარში

ფირუზებით მოჭედულ ძველ ხის ჩარჩოდან დასიზმრულ თვალებით იხედება წმინდა მარიამი.

ძვირფას სახეს შვენის დუმილი და ღრმა სიმშვიდე.

მღვდელმსახურებს სიზმარი და ლოდინი საოცარის.

ათასი ხარბი თვალი იხედება აღსავლის კარის გადაღმა.

როცა ყველანი სტოვებენ ტაძარს, ჩუმათ შეაღებს რკინის კარებს ევა და მიაშურებს ღვთისმშობელს.

დანატრებულ ლოდებზე ვინრო ფანჯრიდან სიჩქარით ეშვება მზის ცხელი სვეტი.

ცხელი ზარხოში მზის და დაუცხრომელი ტანის სურნელება უმართავს ბრძოლას ტაძრის კედლებში მიძინებულ საკმეველს.

უცხო ლანდი აშფოთებს ძველ ხატების ფირუზების სიზმარს.

ღვთისმშობლის გაცივებულ ტუჩებზე იღვიძებს ღიმილი.

იხსნება ჩარჩო და წმინდა ქალწულის ხელები ვაზივით ეხვევა ევას.

— ძვირფასო დაო! — ხარობს ღვთისმშობელი და ხარბათ უკოცნის მზისგან დამწვარ ტანს.

სერგო კლდიაშვილი

1919

მოზაიკის ღვთიშობელი

შუა ბაზარში ტაძარია. ცოდვებით მიძიმეა ძველი კედლები.

ნოტიოთი და საკმეველით სუნთქავენ ფრესკის გამხდარი წმინდანები.

სათნოა თვალები მოზაიკის ღვთიშობლის, შეშლილ დიაკონს უყვარს. წირვის დროს ის ოცნებობს კიბეზე, რომ ასწვდეს და კოცნით დაფაროს შიშველი ფეხები.

მზეში და სიცხეში ათას ფერად ჰყვირიან ფეხზე ვაჭრები მუავე კიტრზე და იაფ გალანტერეაზე. ხარბია თვალები, ფულებს რომ ითვლიან მუშტრის ხელში.

ფეხშიშველმა ქალმა შეშინებულათ გაიარა ბალახანებში.

ტიტველი ძუძუ აღიზიანებდა მეწვრილმანე ებრაელს.

მარტო შეშლილმა იცნო ქალწული მარიამი, შეწუხებულმა აინაბა და გაიქცა ტაძარში.

ბაზარი იცინოდა.

ბნელ კუთხეში დაუშვა ძვირფასი ტვირთი აჩქარებულმა. დაიჩოქა და მტვერიანი ფეხები დაუკოცნა მტირალს.

ბედნიერმა ახედა გუმბათს და შეუშინდა თვალები, იქ მოზაიკის ღვთიშობელი რომ ისევ დაინახა. სათნოა სახე მისი და გუმბათი მაღალ.

ცოდვებით მიძიმეა ტაძრის კედლები.

სანდრო ცირეკიძე

1918

სევდიანი ფრაგმენტი

აღმოსავლეთის მეფის საპყრობილეში, რომელიც სატახტო ქალაქის ახლოს იყო კლდეში გამოკვეთილი — არქეოლოგმა ერთ საკანში ადამიანის ჩონჩხი აღმოაჩინა. იგი გრძელი ჯაჭვით იყო მიბმული რკინის რგოლზე და გვერდით ადამიანის თავის ძვლიდან გამოკვეთილი ჭიანჭური ქონდა, რომელიც ძვირფასი ხელოვნებით იყო გაკეთებული... ქვის კედელზე კი შემდეგი წარწერა იყო: „მეფის ვეზირის ვაჟი ვიყავ, ჯადო მეჭიანურე: ჩემი ხმით მეფეს ვატყვევებდი, დედოფლის სეფისწულეებს ვაგიჟებდი. შემეყვარდა მეფის ასული: თექვსმეტი გაზაფხულის ქორწინავარცხნი, სილამაზის რძით რომ დაებანა სახე და ტუჩებზე ატმის ყვავილი გაშლოდა. ცა ჩაკვდომოდა თვალებში და შავი ღრუბლით შემოეღობა... შემეყვარდა და ორივე გავიქეციით სასახლიდან... არაბეთის უდაბნოში იწვოდა ცხელი ქვიშით ჩვენი ფეხები, მაგრამ გაგიჟებულ აღმურის კოცნით ვკლავდით მზის ელვარებას... გადავხვეტეთ ცხელი უდაბნო და ერთს ქალაქში დავსახლდით: სიყვარული განუზომელი იყო ჩვენი. წელიწადები უფსკრულში იხვეწოდენ და ჩვენ ცეცხლით ვიწვოდით...“

ერთს საღამოს — ჭადრის ქვეშ მონყენილი ვნახე მეფის ასული... აღმოსავლეთით მიეპყრო თვალები — და ცრემლი სდიოდა...

სადგომში შევარდი, ძველი ჩემი ჭიანჭური, რომელიც მტვერით იყო მოცული, გავწმინდე და მის გვერდით გავჩნდი...

ჩამოვკარ სიმებს ხელი... დუმილი იყო.

ახალი ავუბი... ისევ დუმილი. გავშტერდი. ცრემლით დაინვა ჩემი ლოყები, ველარ შევძლე გავიძება მკვდარი სიმების. მთელი დღეები ვტიროდი. ლანდივით დამდევედა უკან ასული. ცრემლათ დნებოდა. კივილით გადადიოდენ ჩემს თავზე კვირეები, თვეები...

მე ვტიროდი, სულ ვტიროდი... მოკვდა ჩემი სული, ალბათ გადაყვა სიყვარულს ჩემი ხელოვნება... ერთ ღამეს საშინელი სიზმარი ვნახე: აჩრდილი გამომეცხადა, ხელში ეჭირა საოცნებო ჭიანჭური.

— ხედავ, მითხრა, ეს ჭიანჭური, რომელიც ასე ჯადოსნურათ ფლერს, გაკეთებულია შენი სატრფოს თავის ქალიდან: სიმებათ მისი გულის ძარღვებია გადაჭიმული. მოკალ შენი სატრფო და გააკეთე ასეთი საოცნებო ჭიანჭური, მხოლოდ მაშინ შესძლებ დაკარგული საუკუნეთა მყუდროებას გამოსტაცო.

გამომეღვიძა... მთელი დღეები, თვეები გიჟივით დავრბოდი... ყურში ჩამწვდა ჯადო ჭიანჭურის ხმა და მეც მის ხმაზე ვცახცახებდი...

ერთს ღამეს, როცა აღმოსავლეთის ქარი ზუზუნებდა — მე მოვკალი ჩემი სატრფო. მისი თავის ქალიდან გავაკეთე ჭიანჭური... მზეზე გავახმე მისი გულის ძარღვები და სიმებათ დავუბი... და კვლავ ვიპოვე ჩემი თავი... მთელი არაბეთი ლაპარაკობდა მაშინ ჩემზე... როცა სამშობლოში დავბრუნდი — მთელი სატახტო ქალაქი ჩემთან ერთად — ჩემი ჭიანჭურის ხმაზე სტიროდა... მეფემ მიცნო და ამ ცივ საკანში ჩამჭედა.

და როცა სიკვდილი მომიახლოვდა, ჩემი გადამტყდარი სულის უხმო კივილი — ამ ქვის კედელზე ცეცხლით ამოვკვეთე.

ღია ჩიანელი

შენიშვნები ლირიკაზე

ლირიკა მონოლოგია. ლირიკოსს არა ყავს აუდიტორია. მისი ლექსი ლოცვაა და ამ ლოცვის ავტორი ყველაზე უფრო განმარტოებულია პოეზიაში. ლირიკოსი უდაბნოში ქმნის თავის ლოცვებს. ლირიკა არის „თეატრი თავისთვის“ და აქ საჭიროა უმძაფრესი ფანტაზია, რადგანაც ლირიკოსი თვითონ არის ამ თეატრის მსახიობი, რეჟისორი, ავტორი და მაცურებელი. გავიხსენოთ დიდი მაგალითი ედგარ პო: ისე დაინვა და დაიფერფლა თავის კოცონზე, რომ ერთხელ არ გაუგონია პარტერის თანაგრძნობა. ბოდლერი, რემბო, ლოტრეამონი დაილუპენ, როგორც დიდი ქალაქები თავის შემოქმედების ცეცხლში, მაგრამ აუდიტორია არ მიშველებია იმათ სევდიანი აღტაცებით. პოეტი ვერ დაივიწყებს თავის დანიშნულებას, თავის განცალკევებულ ბუნებას, ისე როგორც ვერ დაივიწყებს თავის სქესს ქალი. პოეტი თვითონ არის თავისი მსხვერპლი და ჯალათი. თანამედროვე ლირიკა, როგორც მისტიური თვითმკვლელობა, რაინდულია.

მსოფლიოს იდუმალებად, როგორც ლოტრეამონის საშინელმა გომბეშომ, ლირიკაში ნახა თავისი ბუდე და პოეტი — მშვენიერ გომბეშოს კავალერი ყოველთვის ილუპება იდუმალებასთან ბრძოლაში.

ლირიკოსი „ობოლი სულია“, მაგრამ ის ინვის და მისი ცეცხლი დიდ მანძილზე ანათებს.

ლირიკა ხშირად ავტობიოგრაფიულია, მაგრამ პოეტმა უნდა გააზღაპროს თავისი ავტობიოგრაფია. ტკივილი, რომელსაც ის განიცდის მაზოლებიდან, უნდა ავიდეს მსოფლიო პრობლემის სიმაღლეზე. ვინ იყო ცხოვრებაში ვერლენზე უფრო მახინჯი და წვირიანი, მაგრამ ის დღეს დიდებული კერპია, რომელსაც ჩვენ თაყვანს ვცემთ პოეზიის ტაძარში. ცხოვრება არის დანტეს ჯოჯოხეთი, შემოქმედება — განსანმენდელი და ხელოვნება — შორეული სამოთხე. პოეტისთვის საჭიროა პოზა, როგორც ფორმა იმის შემოქმედებისა. პოზა ნიჭის უტყუარი მაჩვენებელია. ვინც ნახა თავისი ორიგინალური პოზა (ხელოვნური თუ ბუნებრივი — ეს სულ ერთია), ის არის ღირსი პოეტის სახელის. ვისაც არა აქვს პოზა, იმას არა აქვს პოეტური დამოკიდებულება სინამდვილესთან. ლირიკა არის პოეტის ავტოპორტრეტი და არა ფოტოგრაფია. ავტოპორტრეტი გულისხმობს პოზას და ფოტოგრაფია მხოლოდ სინამდვილის გამეორებას. ვან გოგმა, სანამ ის თავის ავტოპორტრეტს დახატავდა, სარკის წინ ყური მოიჭრა და ყურმოჭრილი ვან გოგი უდიდესი სიმბოლოა თანამედროვე ხელოვნების, რომელიც სინამდვილეს არ ემორჩილება. დღეს პოზა ლირიკაში სიმბოლიურია, რადგანაც ლირიკას სწამს გარეგანი სინამდვილე, როგორც საშვალება, და არა როგორც მიზანი, როგორც ფენომენი და არა როგორც ნოუმენი. ჩვენ ვნახულობთ პოზას რემბოს ცხოვრებაში და ეს ლეგენდარული ცხოვრება ღირსეულად ახასიათებს მის „მთვრალ ხომალდს“. ლაჭორგის პოეზია მისი ქლეტის რეზონანსია.

არის განსხვავება თანამედროვე და წარსულ ლირიკას შორის. თანამედროვე ლირიკა უეჭველად შექმნა ქალაქმა და ქალაქის ბოგემამ. ბოგემელი იყვნენ ვიიონი, ბოდლერი, ედგარ პო, რემბო, როლინა და სხვები. ეს ლირიკა ქალაქის ქუჩაში ან კაფეში დაიბადა ელექტრონის სინათლეზე — იმ ჰაერში, რომელიც გაჟღენთილია პუდრის მოგონებით, როსკიპების და კურტიზანების სურნელით. ეს ლირიკა ხშირად კომმარულია. ნევრასტენია — უსახელო ყვავილი — ბოგემის ტალახით იკვებება. კორბიერის „პარიზი დღით“ და „პარიზი ღამით“ არის ბოგემის გენიალური ქმნილება. იქ, სადაც უნინ ბატონობდა სულთანით ამაყი ვიკტორ ჰიუგო, ახლა არის თანამედროვე პოეზიის პანი — ვერლენი, რომელიც ცხოვრობს ყავახანაში, გოსპიტალში და საპყრობილეში. ვერლენის მათხოვრობა საკვირველია და ბაირონის ცხოვრება წარმოგვიდგება ჩვენ, როგორც ყალბი ბუტაფორია. დღეს ლატაკი ბოგემა არის ნოყიერი ნიადაგი, რომელზედაც იზრდებიან პოეზიის შხამიანი ყვავილები.

წარსულში ლირიკას არ ქონდა დიდი პრეტენზიები და მისი წრე განსაზღვრული იყო პრიმიტიული გრძნობებით და იდეებით. დღევანდელი ლირიკა მთელ მსოფლიოს უპირდაპირებს თავის თავს, უნდა შექმნას საკუთარი სამყარო, უნდა მეტოქეობა გაუნიოს თვით ტრაგედიას. დღეს ტრაგედიის მაგიერობას ასრულებს ლირიკა, რომელსაც ყავს თავისი გმირები — პოეტები, თავისი მიჯაჭვული ამირანები. მეტერლინკის ლირიკული დრამები კლასიკური ტრაგედიის უარყოფაა. ლაჭორგის ლექსები ლირიკული ტრაგედიებია, მაგალითად მისი „პიერობის გამოძახება“. იმ პსიქოლოგიურ მასკარადში, რომელსაც პოეზია ქვია, მონამულ და უცხო მასკებს ატარებენ ლირიკოსები. ლირიკა, დაიარებული ძვირფასი იარებით, საუკუნეების მელანქოლიით, ამერიკანელ ყორანის „Nevermore“-ით, დაისების ქლექით, სიგიჟით, სიმახინჯის სიყვარულით — არის აღსარება სიკვდილის წინ. ლირიკული ატირება თითქოს სავალდებულო გახდა პოეტისათვის ვერლენის შემდეგ. ბოდლერი ძვირად გვიჩვენებს თავის ცრემლებს და მისი მუზა „არასოდეს არ სტირის და არასოდეს არ იცინის“. მალარმეს თრთოლვა ხანდახან ქვითინში გადადის, თუმცა მას სურს იყოს „თოვლივით თეთრი და ყინულივით ცივი“. ბოდლერის მუზა ირონიის ნიღაბით გვევლინება, მაგრამ ჩვენი ფანტაზია ამ ირონიით გაფითრებული, აქამდე კანკალებს და ცრემლებს ღვრის. ყოველ პოეტს მოაქვს თავისი პოეტიკა.

პოლ ვერლენს სწამდა მხოლოდ ლირიკა, როგორც ნაჩრდილი, დანარჩენ მწერლობას მან თავის L'Art Poetique-ში ლიტერატურა უწოდა ამ სიტყვის დამამცირებელი მნიშვნელობით.

ხანდახან ერთი ლირიკული კვნესა გადასწონის მრავალტომიან რომანს. ილია ჭავჭავაძის „ტყემ მოისხა ფოთოლი“ არის შედეგრი, რომელსაც ვერ შეედრება ვერც მისი „განდეგლი“. ლირიკა იძლევა მთელი მსოფლიოს სევდის კვინტესენციას.

მეოცე საუკუნეში ყოველი ლიტერატურული რევოლუცია იწყება ლირიკის სფეროში და შემდეგ პოეზიის სხვა სფეროებში იჩენს თავს.

ლირიკამ გამოიყენა ყველა საოცნებო სახელები, მთელი წარსული პოეზიის სევდა მან აღიარა, როგორც ერთი ძვირფასი ქვა, ყველა გრიგალები, ორგები და მარადი საყვედურები მან შესთავაზა ერთ სონეტს. შექსპირის „გამლეტი“ და მალარმეს „გედი“ — ორი თანასწორი სამკაულია.

ლირიკა არის მთელი პოეზიის უკანასკნელი დასრულება და ოხვრა. ლირიკა სესხულობს სახეებს ეპოსიდან და დრამიდან, მაგრამ ეს სახეები კარგავენ თავის პირველყოფილ ხასიათს და ლირიკულ სახეებათ იქცევიან. ლირიკის დაბინდულ ბალში ჩვენ შევხვდებით ყველა წარსულ შემოდგომებს, წარსულ ყვავილებს, დეზდემონებს და ოფელიებს, დონკიხოტებს და გამლეტებს, პაჟებს და ინჭანტებს. პარნასელების ლირიკას შეჰყავს თავის სასუფეველში მთელი ისტორია, როგორც მოჩვენება. ლირიკა არის ელიზიუმი, სადაც ნებივრობენ პოეზიის გმირები და აჩრდილები. ლირი — მოქანცული ბრძოლით შექსპირის ტრაგედიაში — ლირიკაში ისვენებს. ლირიკა დაეძებს იმისთანა სახეებს, რომელნიც იძლევიან მარადისობის წინაგრძნობას. ძნელი აღსადგენია რომელიმე ეპოქა ლირიკის საშვალებით. ლირიკა თითქო დროს და სივრცის გარეშეა. ლირიკამ დასწვა ყველა ხიდეები და წინ მიდის. იქნებ ეს წინსვლა ლირიკის კატასტროფით გათავდეს, მაგრამ უკან დახევა შეუძლებელია. დღეს ლირიკაში სიჩუმესთან ერთად გრიგალებია, დღეს ლირიკაში ტიუტჩევის ქაოსია გამეფებული და პოეტი დაურიდებლად მიექანება წინ, თუმცა იცის, რომ დამარცხება აუცილებელია. ქართული პოეზია ჯერ ეპოსით ამაყობს, მაგრამ დგება საბედისწერო წამი, როდესაც ლირიკის გოლგოთაზე უნდა ავიდეს ქართველი პოეტი, როდესაც ქართული პოეზია, როგორც სალომეია, მოითხოვს იოქანანანის მოკვეთილ თავს.

სათაური პოეზიაში

პოეტის სახეს ახლა დაეძებენ რითმების ხასიათში და რიტმის ანომალიებში. ადამიანი იცნობა ყელსახვევის გამოსკვნით ან ახალუხის ფერით. ამ მეთოდით მწერლის დასახასიათებლად შეიძლებოდა სიტყვების, ცალკე ხმების ან სასვენი ნიშნების სტატისტიკური გადარჩევა. მოვლენებში საგნები ცნაურდებიან მრავალნაირად.

ამ მხრივ ყველაზე უფრო შესანიშნავია სათაური. ტეოფილ გოტიეს თქმით, „მოკლე და პოეტურ ფორმაში იგი დაასკვნის საერთო იდეას წიგნისას და აღნიშნავს მის ტენდეციებს.“ ჩვენ სხვანაირად ვიტყვით.

ბოლოს და ბოლოს: პოეზია არის მოვლენათა იქით გადახედვა და სახელების დარქმევა საგნებისთვის. ამ სასწორზე უნდა აიწონოს ყველა, ვისაც აქვს პრეტენზიები პოეტის სახელის ტარების. მარტო ეს კრიტერი გამოიცნობს მართალ ხმას და გაზომს მის სიმაღლეს. ამ ხაზით შეგნებულათ მიდის სიმბოლისტიკების შკოლა. ინტუიციით ამ გზასთან მისულა ბევრი ქვემარტივი პოეტი სხვა ჯგუფებიდან.

ლექსში, პროზაში — ყველგან მთავარი მომენტია სახელების დარქმევა, მოძებნა მოთანაბრე სახეების, ინტიმურ განცდათა სიტყვიერი პარალელების. და, თუ ავტორმა სათაურში რეზუმე უნდა გაუკეთოს მთელ ნაწარმოებს, მთელ წიგნს, მაშინ სათაურშიდაც არი შემოქმედების მთავარი მომენტი, მაშინ სათაურიც სახელის დარქმევა უფრო მოკვეთილი და, ამიტომ, უფრო ინტენსიური. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ სათაურის შესახებ, რომელიც იწერება ნაწარმოებზე ადრე: ხშირად აქ მიგნებული ნამდვილი სახელი შრეტს შემოქმედ ნებას და სათაური სჯობნის ვრცელს. ასეთია გრიგოლ რჩეულოვის სათაური — „ქვრივის ლიმონები“. ქმედითი სათაური თანაბარია თვითონ წიგნის და თავისთავად წარმოადგენს ესთეტიურ ღირებულებას.

გრძელად თქმა, შედარებებით და აღწერით ასახვა საგნების აღარ აკმაყოფილებს კულტურით დატვირთულ ადამიანს. მეტაფორა თანდათან ფასდება და შეიძლება მინიატურისზმის გზას რომანიდან სათაურთან მივყავდეთ. შეიძლება წიგნების მაგივრად სათაურების წერა დავინყოთ. ამის ნიშნები უკვე არი ჩვენ ლიტერატურაში. აქ დავიმონებთ ვალერი ბრეჟნევისა: „ო, დაფარე შენი მკრთალი ფეხები“.

ამ მხრივ თითქო ბოლომდი მივიდენ რუსი ფუტურისტები: სათაურს გადასცილდენ და ცარიელ ქალაქებს ჰყიდდენ წიგნებათ. მაგრამ ეს უსიტყვო წიგნები უფრო ახლო იყო სენსაციასთან.

მინიატურების გზა დიდია, გრძელი. მისი თავი აღმოსავლეთში იკარგება. მაგრამ საშიში და ძნელია გზა იგი, ქვემარტათ ბენვის ხიდია პოეზიის სასუფეველში და მასზე სიარული ემარჯვება მარტო რჩეულებს. „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“. მაგრამ ყველას არ ვურჩევთ „შაირი“-ს თქმას. პოეტის მთელი ხელოვნობა. მისი კულტურა სათაურს დააჩნდება პირველათ. ის სახეები და ის სახელები, რომლებიც აწუხებენ პოეტს, პირველათ მის სათაურში უნდა ვეძიოთ.

ბოდლერი:

„ბოროტების ყვავილები“, „დონ-ჟუანი ჯოჯოხეთში“, „პარიზის სიზმარი“, „დედაბრები“, „ბრბო“, „ქვრივები“, „ბებერი პაჟაცი“, „ნახევარი სამყარო თმებში“, „მიპატიჟება სამგზავროთ“, „მთვარის საჩუქრები“, „ლიტანია სატანას“.

ამ შემთხვევით ამონერილ სათაურებშიდაც ხომ ცნაურდება ავტორი, რომელმაც შეხედა ქვეყანას ახალი ასპექტით და მოიტანა ახალი სახელები. ჟღერს ლაქორგის ირონია და მონყენა, მისი კვირა დღეები ასე განათებულია მის ჩივილებში:

„ჩივილი ორგანიზაციის წმ. ღვთიშობლის ეკლესიაში ნიცცაში“, „ჩივილი პროვინციელ მთავარეს“, „მაღალი ფიჭვების ჩივილი მიტოვებულ ვილლაში“, „სამგლოვიარო მარში მიწის სიკვდილზე“, „ზამთრის დაისი“, „ახალი მთვარის ლიტანია“, „მთვარის სოლო“, „კვირა დღეები“, „კეთილი შემოდგომა“ და ყველა ერთად: „ფეერიული სობორო“.

მარტო სათაურები რომ დაეტოვებია უფულ ლაჭორგს, მისი პოეზია ჩვენთვის არ იქნებოდა ნაკლებათ ძვირფასი და გასაგები.

თითოეულ ავტორზე ამ მეთოდით შეიძლება დაიწეროს სპეციალური გამოკვლევა.

ქართულმა ლიტერატურამ შემთხვევით იცოდა საინტერესო სათაურები. სათაურის კულტურა ჩვენში უეჭველად ახალმა შკოლამ შამოიტანა და „ცისფერი ყანნები“-ს შემდეგ ქართულ სათაურს მეტი პრეტენზიები აქვს. შეიძლება პოეტის სახე მომავალში მარტო სათაურებში ეძიონ.

მეტათ გაიზარდა წიგნთსაცავები და აჭრელდა ვიტრინები.

პოეტების სახელები ძნელი დასამახსოვრებელი შეიქნა. აღარ დაიტევს ერთი ადამიანის სიცოცხლე ამოდენ წიგნს. იცვლება წერის მანერა. გზა მინიატურით მიდის სათაურისკენ. შეიძლება შეიცვალოს კითხვის მანერაც და მომავალმა ერუდიტმა მარტო სათაურები იცოდეს.

სანდრო ცირეკიძე

იანვრიდან იქნება გაშვებული

სტრუქტურული აღწერა:

„შვილდოსანი“

თანამშრომლები (ანბანზე): ამირაჯიბი შ., არსენიშვილი ა., აფხაიძე შ., გაფრინდაშვილი ვ., გვეტაძე რ., დარჩიანი ე., იაშვილი პ., კარმელი შ., კლდიაშვილი ს., ლეონიძე გ., ლორთქიფანიძე ნ., მიქაძე ა., მიწიშვილი ნ., ნადირაძე კ., რევაქიძე გ., ტაბიძე გ., ტაბიძე ტ., ყაფიანი ი., ცეცხლაძე გ., ცირეკიძე ს., ჯაფარიძე ლ.

„ბოლნისი ნაბიჯები“-ს

გამოცემები:

„მეცნებე ნიამოცემები“—ალმანახი № 1 (გაიყიდა)

სტეფან მალარძე—„ლექსები და პროზა“ (გაიყიდა)

„მეცნებე ნიამოცემები“—ალმანახი № 2 (გაიყიდა)

„მეცნებე ნიამოცემები“—ალმანახი № 3—20 მან.

მზადდება:

კვლავ ნადირაძე—წიგნი ლექსების.

„მეცნებე ნიამოცემები“—№ 4.

„კირჩხიბი“-ს გამოცემები:

„ახალი პოეზიის ანტოლოგია“—25 მან,

ვალერიან გაფრინდაშვილი—„დასები—25 მან.

მზადდება:

ელენე დარჩიანი—წიგნი ლექსების.

ტიციან ტაბიძე—წიგნი ლექსების.

თეატრალში გამოვა:

რაქვენი გვეტაძე—წიგნი ლექსების.

შალვა კარმელი—„მარგალიტის მანიაკი“.

ვასილი კამენსკის

დადგება ხანი: შენც მოდუნდები:
გილალატებენ ძველნი მღერანი.
ფიქრი დაგამხობს: ვის რად უნდები:
ხმაჩახლეჩილი ბერი ვერანი.
წამოგებურვის სევდა რუსული,
გადატრუსული ვით ნაპურალი.
და მრისხანებით პირგალურსული
აღარ დაგინდობს თეთრი ურალი.
ჩაგეთესლება ტვინის დუბეში
გადაშენების ავი შივილი:
უკანასკნელი შენი ნუგეში
იქნება მხოლოდ ბავშვის ყივილი.
ბაბუ ვასდა: გვითხარ ზღაპარი:
სად დათარეშობს სტენკა რაზინი...
და გადიშლება შენ წინ საფარი:
უფა: აშტრახან: ავლან: კაზვინი.
და ვოლგა, ვოლგა დაუნდობელი —
გადალემილი ვნების ტბორებით:
შიგ ქერა ქალი მუდამ მდომელი:
მკერდებს რომ იზელს მრუში ზმორებით.
სიტყვა ჩაგითრევს — ნელი: დარული:
ხანდახან კიდევ ჩაგეყვინთება.
მაგრამ ეს მხარეც ლეგენდარული
შენში უეცრათ გადაინთება, —
და ეტყვი ბავშებს: კარგი რამ არის
გველი წითელი და რქანაყარი.
წადით, აკოცეთ მიწას თამარის:
სადაც მგოსნებში ვიყავ მაყარი.

*გრიგოლ რობაქიძე
თფილისი, კონსერვატორიის ზალა
კამენსკის იუბილედ
1919, ნოემბრის 23*

L'art

ემონე ლაჟვარდს ყველაზე მეტად —
ჭეშმარიტ საზომს არჩეულ სულთა,
რომ ჩაგესვენოს ბრწყინვალე სვეტად
მარადი რწმენა და ფიქრი სუფთა.

მატყუარია სამყაროს სახე
და ორმაგობით ჩვენ წინ ირთება...
სულისთვის ყველგან აგია მახე,
როცა ღამეა, ან დღე ირთება.

არ არი სხვა გზა, არ არი არსად:
ეს მასკარადი მოეწყო ისთე!
დაფერფლე სული და ეცვი ჯვარსა,
ვით ავაზაკი, და როგორც ქრისტე.

უარყავ ბრძოლის ცეცხლი მაცდური,
და ბრაზი ჩუმათ ჩაახჩვე სულში.
ინამე ყოფნა ჩვენი ლანდური
შორ მომავალში და შორ წარსულში.

მისაღებია ყოველი ფერი,
მაგრამ ეძიე მათში ფარული.
გასაოცარდეს სპეტაკ სიმღერით
დღის სინამდვილე, ღამე მთვარული.

ერიდე ტირილს უხეშ ჩივილით:
ეს იაფათ ყველას დაურიგდება!
და განწმენდილი მაღალ ტკივილით,
ღიმილით ყველას შეურიგდება.

კოლაუ ნადირაძე

ჯვარის დაწერა მარგალიტზე გოტიურ ტაძარში

ნიგნიდან – უჩვეულო ჯვარისწერები

ჩემი საცოლო — ძვირფასი ქვა — მოდის ამალით.
არა აქვს რიცხვი ქიმერიულ ნაირ შაფერებს.
დაიკარგება დღიურობის ცრუ ნატამალი,
როს მარგალიტის მოვლინება შემასხვაფერებს.

ძვირფასი ქვეები ნილაბებით დაგვესწრებიან.
თვალჩასმულ სფინქსებს შაფერობა ეხალისებათ.
რაინდებივით ჩვენს გარშემო ხარბათ სდგებიან
და ელვარება აირჩიეს ამაყ თვისებათ.

მღვდელის მაგიერ ტრაპეზიდან ყორანი მოდის —
უნაფორო, მუცელმოგვი, მაღალი, ზანგი:
კითხულობს ლოცვებს და მძიმეა მისი ხმა ლოდის.
უცხო ფერების ფარშავანგობს ტურნირი ბანგი.

ჩვენ გავცვლით ბეჭდებს — მარგალიტი აკანკალდება.
ძვირფასი ქვეები დაითვლიან თავის იარებს.
ახლა ქიმერებს გულგრილობა ტყვილად ბრალდება —
სფინქსი-შაფერი ათრთოლებას გაიზიარებს.

სფინქსები გვირგვინს დაგვადგამენ თავზე თვლებიანს.
ოქროს ამბიონს შემოუვლის ქვეების კრებული.
არ ვიცი, რატომ და მშვენივრად იცრემლებიან.
სდგას პირბადეში მარგალიტი გაფითრებული.

მაგრამ თავდება ჯვარისწერა — ეგრედ ქარული.
ვეამბორები მარგალიტის კუკლას ზმორებით.
და კიდევ ერთხელ ის ყორანი, ის ედგარული
დაქორწინებას მოგვილოცავს „ნევერმორებით“!

ვალერიან გაფრინდაშვილი

1920, 1 მაისი

სალამოები ზღვის პირზე

რამდენი მახსოვს დაბურდული წუთები —
რამდენი დღე, ცივი — სოველი —
ახლაც კი მხოლოდ იმას ვუნდები,
რომ სუყოველდღე შენს წერილს მოველი.
თუმც ათას გზებად გინახულებს ოცნების რაში,
მაგრამ მე ველი სხვანაირ შენს ამბავს —
(გემი აქ ორჯერ მოდის კვირაში:
ხვალ და სამშაბათს).
მომწერე: ღარულა — მე რომ მახარებს —
შოდა, ჩემსობას რომ თოვლი ეფარა —
მურიას, ნიშას, უფროს ხარებს
სიბერე ხომ არ შემოეპარა.

იცოდე — მიყვარდა მე მხოლოდ წამი,
 თუ მენწეოდა თქვენი ხსენებით,
 და მწამდა მხოლოდ ერთი სიამე:
 ჩემი სული რომ შენს ხელებში მოისვენებდა.
 როგორც გაზაფხულის ქაფიანი და თეთრი ღელე,
 როგორც ყნოსვები დაბინდული მივარდნილ ბაღში,
 ისე ნაზია ჩვენს გარშემო მადონნას ხელი
 და ყოველმხრიდან დაგვიფარავს იგი მე და შენ.
 მაგრამ მალეღვებს მაინც კიდევ თეთრი ეჭვები;
 როდის შემატყობინებ, შე გლახა, თქვენს ამბავს!
 ფოსტაში სიარულს მე ვერ მოვეშვები
 და ყოველდღე მოველი „ხვალ და სამშაბათს“.

გრ. ჯაფარი

მეათე მუზა

ზურმუხტის კუნძული ლურჯ სივრცის ქარგაზე.
 ზღვის ნაკვთი ჩვენება ალისფერ ფარდაზე.
 ტალღათა გრეხილებს ქაფების რუშები
 ვით ქედებს თოვლისა, მიჰყვება ტუშები.
 სხვა ქვეყნის დიდება, სხვა ძალთა მგრძნობელი,
 კლდის წვერზე ადის და ძირს გადმოქანდება;
 ვით მცდარი ვარსკვლავი თვალს მოელანდება...
 მოისმის კვილის ხმა შეუცნობელი.

ინ-რე-ჟან

რომანი

მოსწყინდა პეიზაჟი ბალახუნის ქუჩის: სამიკიტნო, გაყვითლებული ხეები, მტვერი.
 უსაქმო ქარი აფრიალებს ყურძნით დასვრილ ქალაღებზე.

აგონდება რუსეთი: დიდი ქალაქის ხმაური. საკონცერტო დარბაზი. ამხანაგები. სა-
 მოვართან ოცნება საქართველოზე, ქუთაისზე. გრძელი გზა. ჩქარი მატარებელი. ჯერ
 იალბუზი. მერმეთ კასპიის ზღვა. მელოტი ბაქო. გორის ატმები. რიონის ტყე — ხუთი
 წლის უნახავი. ბალდახინივით ნელი მატარებელი. დიდი გზა დარჩა რიონში. გამოჩნდა
 ბაგრატის ტაძრის ჩონჩხი. ბოლოს ქუთაისი: ცოცხლების სასაფლაო — ჩუმი, ნელი, უდარ-
 დელი. არღანი. აპატია. შემთხვევითი ნაცნობების ნელინელ ჩამოშორება. კარჩაკეტი-
 ლობა. ცარიელი იყო წლები. არავინ ახსოვს, რომ მოელანდოს.

სცვივიან ფოთლები უიმედოთ. ეფერებიან ფანჯარას. მიყვებიან ქარს.

წყაროდან ადიოდა აღმართზე. დაილალა. კენჭი მოხვდა ქუდზე. გული მოუვიდა. აიხედა: ციხის ყორეზე გადმომჯდარა ქალი და კენჭებს ათამაშებს.

აუჩქარა. ავიდა. შეამჩნია თეთრი თითები. გულში სარკმელი გაიღო. გრძნობა გაიშალა. გამოჩნდა გელათი, რიონის ქალა, აჭარის მთები.

ქვაზე ჩამოჯდა შორი ახლო. ნატრობს ქალის გამოხედვას. გამოიხედა: ქერა თმა და ამ ცასავით ლურჯი თვალები. სიხარულით თავის ხელს აკოცა.

ქალი ნანგრევებისკენ წავიდა. უნებურათ უკან გაჰყვა. შევიდენ ტაძარში. ხავსიანი ქვეები პატივით ხვდებოდენ ახალ დედოფალს. უნებურათ ქუდი მოიხადა.

გახუნებული ბერი თავისებურად უხსნიდა ამაყი კედლების ისტორიას. ნელინელ ბინდში იკარგებიან სუროები და მერცხლის ბუდეები.

ქალმა საათს დახედა, ტუჩზე იკბინა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა ტაძრიდან. ამან ბერს ფული აჩუქა. გამოვიდა: ქალი აღარ იყო.

მთელი ღამე არ დაუძინია. ფიქრობდა საბედისწერო კენჭზე. იხსენებდა კაბის ფერს. საბანში ვერ ისვენებდა.

სადილობს. ზარი ნერვიული, სხვანაირი. სარკმელში გაიხედა და გული აუთამაშდა: კარებთან შენუხებული სახით იდგა და რეკდა ის ქალი. აჩქარდა. სავარძლებს ბუდეები გადააძრო და გაათბო ჰაერი ხავერდის ფერებმა. დავიწყებული ყელსახვევი გამოისკვნა სარკის წინ. თმა გაისწორა და ფრთხილად გაულო კარი ძვირფას სტუმარს.

აზიელი მონის მორიდებით ემსახურებოდა ბედნიერი ამაყს, უსიტყვოს, უცნობს. წავიდა აბრეშუმის შრიალით.

გალიმებული თვალებით აშტერდებოდა ქალის ფეხის ნაკვალევს. პაციენტებს აკვირებდა მისი სადღესასწაულო ფერი და ზრდილობა.

გაიარა ზამთარმა თოვლით და მარხილებით. გაშრა მარტის ტალახები. დაცალიერდა თეატრი, კლუბი, ამწვანდა საფიჩხია და ქალაქის ბაღში გამოეფინენ გადასული მოდებით. იარა ყველგან. ველარ ნახა.

გადაეჩვია ყელსახვევის ღამაზათ გამოსკვნას. თითებს აღარ ილამაზებს. მიატოვა საღამოები, თეატრი. აღარ იპარსავს წვერს ყოველთვის.

ჩაიკეტა ოთხ ოთახში. მარტო პარასკეობით გამოდის მწვანე ბაზარში და ყაფანზე. თვითონ ამზადებს თავის სადილებს: მოსამსახურეს ველარ ჰგუობს.

ოთახები არ იხვეტება. მტვერით იფარება სავარძლები, მაგიდები, ჩარჩოები. იძინებენ ოთახები და ნაცრისფერდებიან.

გაბურძგვნილი დადის კაბინეტიდან სანოლ ოთახში, იქიდან სამზარეულოში. ეშინია მარტოობის და უხარია ცეცხლის დანთება. ადამიანები არ უყვარს, აღარც გაზეთები.

გადიან წლები. ქუთაისი არ იცვლება. ძველი ბინა, პაციენტები, მარტოობა.

მთელი ღამეები ფიქრობს ბედნიერ ზაფხულზე.

ობობამ დაქსელა ყველა კუთხეები. სურათები კედლებზე გამოხუნდენ. დამტკვერულ სარკეში არავინ იხედება.

ერთხელ სიზმარში დააკაკუნეს. გაიხედა: მოსულა თავსაფრით, ფეხშიშველი. ცეცხლი დაუნთო. ქალი ხელებს ითბობდა ბუხართან და სწუხდა.

უცბათ სურათი შეიცვალა. ცხენებით მიდიან რაჭისკენ. დედოფალი მორთულა ფარჩით და ძვირფასი თვლებით. ეს — მისი პირველი ვეზირი — ამაღლას მიუძღვის და კრძალვით ისმენს დედოფლის ნაჩუქარ სიტყვებს.

მზიანი დღეა. აბრეშუმის ფერები ინაზებიან ცხელ სხივებში. გაპოპილ კლდეებიდან წყაროები ჩამორბიან დედოფლის სანახავათ.

ჭადრის ჩრდილში დაისვენეს.

— პირველო ვეზირო! აქეთ ჩვენ ორი წავალთ. — ბრძანა დედოფალმა.

გაშორდნენ ამაღლას. თეთრი ცხენებით მიარღვევენ გოლიათ კლდეებს. გული უცემს. ელის უცნაურს, კარგს.

გამოაღვიდა ხმაურობამ: სამიკიტნოში ჩხუბობდენ.

მხიარული იყო მთელი დღე.

მეორე ღამესაც მოვიდა სიზმარში. შეხვდნენ ძველი ნაცნობებივით. უამბო თავისი მარტოობა, ტანჯვა. ქალს შეეცოდა, მოეფერა. გააჟრჟოლა მისმა შეხებამ.

წასასვლელად ადგა სავარძლიდან ძვირფასი სტუმარი. ფარჩა მტვერით დასვროდა. გაუწმინდა. ბოდიში მოიხადა.

დილიდან არავინ მიუღია. მთელი დღე სწმენდა. ობობას ბინა არ დაუტოვა: სურათებმა ჩარჩოებიდან გადმოიხედეს და სარკე გაპარსულ სახეს იზიდავდა.

შეიცვალა:

დღისით პაციენტებს იღებს, ამოქნარებს, სადილობს ზარმაცათ, გამვლელებს ათვალელებს.

როცა შებინდდება, გამოცოცხლდება. ჰხვეტავს, სწმენდს სავარძლებს, დაალაგებს მთელ ბინას.

პირს გაიპარსავს. ბუხარში ცეცხლს დაანთებს. აღელვებული გამოისკვნის ყელსახვევს. ასე მორთული გაიარს გაჩირალდნებულ დარბაზში. მხიარული დაიფშვნეტს ხელებს. ნავახშმევს მორთულობას სკამით თავთან დაინყოფს და სიზმრისთვის დაწვება სუფთა ლოგინში.

ძილში ავინყდება ბალახვანი, ავათმყოფები, მარტოობა. ფეხაკრეფით მოდის ძველი მეგობარი. იხსენებენ პირველ შეხვედრას. მიდიან გელათში, მონამეთაში. უხარიათ მონასტრის სიმშვიდე. მოგზაურობენ უცხო ქვეყნებში. ითოშებიან მოსკოვის ყინვაში და თებიან ეგვიპტეში.

სანდრო ცირეკიძე

წმინდა ქალწულის ცისფერი გადმოხედვა ციდან ქვეყანაზე

P. S. ძვირფასო სანდრო! ჩემთვის ამ ქვეყნის გარდა არაფერი არის. მე ძალიან უბედური ვარ, რო ვერ მივიღე ზეცა, — ის ხშირათ გამშვიდება შენ, ჩემთვის კი ცარიელია, — მაგრამ არის წუთები, როცა მეც, წარმართს, მომელანდება გახსნილი თალი და წმინდა ქალწულის გადმოხედვა.

სათაურსა და მინაწერს შუა, რომელიც ახლა ცარიელია, იყო სტრიქონები. შენ იცი, რომ სიტყვა უფრო ძლიერათ მათრობს, ვიდრე ყვავილის სურნელი ან ღვინო, როცა ჩვენ

ჩავდივართ სარდაფებში, მაგრამ აქ უნდა გამოვტყდე ჩემს სისუსტეში, — მის ღვთიურ გადმოსხედვას, რომელიც ვიგრძენი ერთ საღამოს, ვერ შევკადრებ ჩემს სტრიქონებს ძონძებიდან.

ჩემი ძვირფასი ქალბატონი მაპატიებს შიშს და სიძუნწეს — მას ხომ მრავალჯერ ალერსით მიუღია მოხუც დიაკვნების გაურკვეველი ლოცვა — და გამხდის ღირსათ დაუჭირო უზანგი მისთვის განწირულ რაინდებს, რომლებიც კვდებიან იმედით, რომ წმინდა თვალებმა სიყვარულით გადმოსხედა მათ.

სერგო კლდიაშვილი

ქართული პოეზია

კოლაუ ნადირაძე. ბალდახინი. ქუთაისი. „მეოცნებე ნიამორების“ გამოცემა.
პოეზიის დღე. 7 მაისის გაზეთი. მწერალთა კავშირის საბჭოს გამოცემა.

ეს სათაური ღირსეული გვირგვინია წიგნის. ერთი მიღწევა ნადირაძის არის სათაური, რომლითაც მთელი წიგნი განათებულია, როგორც შავი მეტეორით. „ბალდახინის“ ავტორი არის 1916 წ. ყანწელი. იღებდა მონაწილეობას ყველა უკანასკნელ წლების ლიტერატურულ ბრძოლებში. უკვე პირველ ლექსში, რომელიც რამოდენიმე მოკლებულია ფორმას, მოსჩანდა ავტორის განსაკუთრებული და დიდი ნიჭი. სხვა კეთროვან სტრიქონებ შორის მის პირველ ლექსში იყო ეს სტრიქონები:

„მკლავებში მახრჩობს მე ვინრო კვალი — ავზნიანი და ცოდვებით მთვრალი.
ბალღამს აქცევენ რუხ ქვაფენილებს ქუჩის მნათობთა თეთრი თვალები.“

ლექსი გავარდა ყუმბარასავით და ზედმეტი ალელვება გამოიწვია ფილისტერების ბანაკში. მოხვდა ეს ლექსი პიესაში (შალვა დადიანის „გუშინდელნი“), როგორც ფუტურისტიკული კურიოზი. გამოიწვია პაროდები. ნადირაძე არის ჯიოკონდას რაინდი და მისი პოეტური ღერბი დამშვენებულია მონა-ლიზას ღიმილით.

„ბალდახინის“ ავტორი ქეშმარიტი და ამაყი პოეტი. ის არასდროს არ ეძებდა იაფ პოპულარობას და შეიძლება ის არის ყველაზე უფრო დანყვევლილი პოეტი. ის მიმართავს სამშობლოს ერთ ბრწყინვალე ლექსში შემდეგი სიტყვებით:

„გაუტანელი შენი გული დღეს ვის არ ელტვის!
და მხოლოდ ჩემზე შენი მტრობა აღარ დასცხრება,
და სამუდამოთ უნამები დარჩება შენთვის
ჩემი ტირილი, სიყვარული და დამარცხება.“

ყველაზე უფრო ნაკლებათ ახასიათებს ნადირაძეს კომპრომისი; ის არასოდეს არ შეურიგდება ბრბოს და პოეზიას სამიკიტნოზე არ გაცვლის... კოლაუ ნადირაძე იშვიათი სტუმარია ჟურნალების (გაზეთებში გამოსვლას ის პრინციპიალურად უარყოფს), მაგრამ ყოველი მისი ახალი ლექსი არის კიდევ ერთი გამარჯვება შემოქმედების ეკლიან გზაზე. როდესაც მან დაბეჭდა ლექსი — „ბალდახინი“ ნიამორების მეორე ნომერში, ყოველმა ობიექტიურად განწყობილმა მკითხველმა იგრძნო, რომ ჩვენი ღირსის სატურნირო მოედანზე გამოვიდა ახალი მხედარი.

„ვინ შეგვახვედრებს: ვის უნდებვართ, ვინ მოგვიგონებს?“

ამისთანა სტრიქონის დაწერა შეუძლია მხოლოდ დამნიფებულ პოეტს.

„უნიჭო პიესის — ამ სიცოცხლის ორი მასხარა“ — პოეტი და მისი ლანდი დაშორდებიან ერთმანეთს: —

„ქუჩის ძაღლები გვიტირებენ ხელის გახსნაზე“ —

შეიძლება ეს სახე არის ყველაზე უფრო ინტიმური სახე ქართულ პოეზიაში.

კოლაუ ნადირაძემ გამოიგონა „დახაშმული მთვარე“ და ვარსკვლავების „მწვანე ფანდები“. მის ლირიკაში მყარალი და ნაზი სახეები ენაცვლებიან ერთმანეთს, როგორც ორი საოცარი ნილაბი. რასაკვირველია, კოლაუ ნადირაძემ განიცადა ვერლენის და ლაჭორგის ნაყოფიერი გავლენა. თუმცა ჩვენში ლაჭორგის და ირონიის პირველი მოციქული არის ტიცინი ტაბიძე, მაგრამ ნადირაძე სრულიად დამოუკიდებელია ტაბიძიდან. ირონიის მუზით არის შთაგონებული ნადირაძის შედეგები: „პატრიოტული ეკლოგა“ და „ყალბი ავტობიოგრაფია“.

„ბიოგრაფიას უსათუოდ დასწერენ ჩემზე —
უნდა ვეცადო, რომ გამოვდგე ყველაზე კარგი,
რომ დიდ ბრალდებათ არ დამადვან ჩემ ვინრო მხრებზე
ამ ბებერ ქვეყნის უსარგებლო და მძიმე ბარგი“.

ამისთანა ირონია ჯერ საქართველოს არ მოლანდებია. ქართული პოეზია იამაყებს ამ ამოთხი სტრიქონით, როგორც თავისი უმძაფრესი მიღწევით. აი, სტრიქონი ტრიოლეტიდან:

„ვინ იცის, დედოფალს რად გაელიმა“ („ვერსალი ნვიმაში“).

ამისთანა სინაზე ნაკლებათ ახსოვს ჩვენს პრიმიტიულ პოეზიას. მომყავს ოთხი სტრიქონი ლექსიდან „საქორწინო მოგზაურობა მთვარესთან ერთად“:

„ჩვენ დიდი გზებით მოსული ვართ და ნავალთ მალე,
როგორც ბავშვები დავატარებთ არშინ კაბებს,
ჩვენი ცრემლები დიდ ქალაქში ვერსათ დავმალეთ
და გვსურს ვენვიოთ ახლა სტუმრათ სულ მცირე დაბებს“.

ამ შესანიშნავ სტრიქონებს ვერ დასწერდა ვერც შანშიაშვილი, ვერც გრიშაშვილი და ვერც გალაქტიონ ტაბიძე. ნადირაძის ლექსი „ოცნება საქართველოზე“ დარჩება ჩვენს პოეზიაში, როგორც წარსულის მისტიური ხილვა. წიგნის სუსტ მხარეებზე მე არ მინდა ვილაპარაკო. არის უხერხული გამოთქმები, უსწორი რითმები, დროებითი გავლენები, მაგრამ ეს ეხება წიგნის უმცირეს ნაწილს. ორი ან სამი ლექსი სრულიად არ უნდა შეეტანა ავტორს „ბალდახინში“. შეუძლებელია მოთავსება ერთ წიგნში ჰიერატიულ „ტარანტულის“ და „წმინდა ფრთების“. ეს რეცენზია ოდნავადაც არ ამოსწურავს „ბალდახინის“ მდიდარს და ფერიულ შინაარსს. წიგნის გარეგნობა არის სტოკრატულია და ბანალობის გარეშე დგას.

„ბალდახინის“ შემდეგ კოლაუ ნადირაძის სახელი შეუერთდება ქართული პოეზიის თავადების კეთილშობილ სახელებს.

გაზეთს „პოეზიის დღეს“ წინდანინ უკეთებდენ რეკლამას „სახალხო საქმეში“. იქ იყო ნათქვამი, რომ გაზეთი იქნება „მთელი მოვლენა ჩვენს ლიტერატურაში“. დაპირება გამართლდა: — ეს გაზეთი მოვლენაა — მხოლოდ უარყოფითი. ლექსები, პროზა და კრიტიკული წერილები აქ მოთავსებული ხელოვნების შეურაცხყოფაა. გაზეთი „პოეზიის დღე“

ბანალობის შედეგია და ამ ბანალობის ზღვაში ილუპებიან ისინიც, ვისაც ჩვენ ვაფასებთ. გაზეთს არ აკლია ანასტასია ერისთავი-ხომტარია, აკაკი პაპავა, კოკი აბაშიძე, ვ. მალაქიაშვილი, აკაკი ბერეკაშვილი. გაზეთი სანიმუშოა თავისი ფორმის და შინაარსის სილატაკით. გოტიეს ობელისკებივით იცრემლებიან გრიგოლ რობაქიძის სახეები, აქვს ორისამი ილბლიანი სტრიქონი იაშვილს, ტაბიძეს, ნიკო ლორთქიფანიძეს, მაგრამ ეს მწერლები სრულიად დაჩრდილული არიან იასამანებით და ერთანმინდებებით. ჩვეულებრივად კარგია „შემოდგომის აზნაურების მოზარე“, ილიას და აკაკის მემკვიდრე — დავით კლდიაშვილი. საყურადღებოა კოტე მაცაშვილი — ჩვენი პირველი სონეტისტი, პირველი ჰექსამეტრის ავტორი ჩვენს პოეზიაში, რომელსაც სურს, „ჭაობის ყვავილში“ რაღაც საიდუმლო მიანდოს ერთ მარცვლიდან შემდგარ ვაჟურ რითმებს. გრიშაშვილი, ახნაზაროვი, მჭედლიშვილი ბაზელის პანთეონისთვის თუ გამოდგებიან, თორემ პოეზიას ისინი ვერაფერს შემატებენ.

ვუსურვებ მწერალთა კავშირს, რომ ეს უნიჭო გაზეთი საბედისწერო არ გახდეს მის მომავალ გამოცემებისთვის.

ტრისტან მაჩაბელი

დავით გურამიშვილი

პარალელები

1

ერთმა ახალგაზდა პოეტმა, რომელსაც ახასიათებს დიდი გაბედულობა და დიდი ნიჭი, სთქვა პარადოქსი: „როდესაც მე ვიყურები წარსულისკენ, რუსთაველამდის ვერავის ვხედავ“. ეს არ არის მართალი თუნდაც იმიტომ, რომ რუსთაველის შემდეგ იყვნენ გურამიშვილი და ბარათაშვილი. ეს პარადოქსი იმასაც მოწმობს, რომ თანამედროვე პოეტების და რუსთაველის შორის უფსკრულია. დღეს რუსთაველი ჩვენთვის უდიდესი სახელია, მაგრამ მისი ესთეტიური დაფასება კიდევ პრობლემაა. რუსთაველის გაგებისათვის აუცილებელია იმ პოეტების შესწავლა, რომელნიც მას განაგრძობენ, მაგრამ დღეს სემირამიდის ბალებივით კიდიან ჰაერში. რუსთაველის ცოდნა შეადგენს მცირერიცხოვან ფილოლოგების და ლინგვისტების უპირატესობას, მწერლები კი რუსთაველს შესაფერისად ვერ იცნობენ. დროა დაარსდეს რუსთაველის სახელის აკადემია, სადაც პოეტები ფილოლოგებთან ერთად შეისწავლიან ჩვენს ბუმბერაზ პოეტს.

თუ დღეს შექსპირს და პუშკინს პოეტები სცემენ (სუინბიორნი, ბრიუსოვი, ბლოკი, ვიაჩესლავ ივანოვი), რუსთაველის გამოცემა შეუძლია მხოლოდ მეცნიერს (მარი, აბულაძე, ინგოროყვა, კაკაბაძე). რუსთაველი ჩვენთვის არის დაკეტილი სასახლე, ამ სასახლეს გაუგებარი სიტყვები სდარაჯობენ, როგორც ლომები.

ახლა იწყება ქართულ პოეზიაში რუსთაველის და ძველ პოეტების რენესანსი. თუმცა ეს რენესანსი ჯერ ლექსიკონის აღდგენას შეეხება. წარსული ეპოქები, მათი ინტიმური სტილი უფრო ძნელი მისაწვდომია. და ეს იქნება მიზანი მწერლების შემდეგი მოღვაწეობისა. თანდათან უნდა დავიბრუნოთ წარსული, როგორც პომპეია და გერკულანუმი. გურამიშვილი არის საფეხური იმისთვის, რომ ჩვენ შევიდეთ რუსთაველის სასახლეში და უკანასკნელად დავბრმავდეთ მისი ლალებით და ზურმუხტებით.

2

გურამიშვილის ავტობიოგრაფიული — მოჩვენებაა. მოჩვენებაა მთელი მისი ტანი — თითქოს დასველებული, ლოცვად აპყრობილი ხელები, აწეული მხრები, დაფერფლილი სახე, მისი კანკალი და შემოდგომა!

ერთი შეხედვით გავს ალჭრედ მიუსეს — აბსენტით დასნეულებულს.

მისი ტყვეობა ლეკებთან, პრუსიელებთან, ტყვეობიდან გამოქცევა, ხეტიალი უდაბნოში, მონაწილეობა სხვა და სხვა ომებში და სიკვდილი თოვლიან რუსეთში გვაგონებს სერვანტესის და ვერლენის ცხოვრებას, რომელმაც თავისი დღეები გაატარა ყავახანაში, საავატარმყოფოში და საპყრობილეში.

გურამიშვილი არ არის დონ-კიხოტი, თუმცა ის დონ-კიხოტს გავს, რომელიც უკვე დაბრუნდა რაინდულ მგზავრობიდან და ლოგინში კვდება. გურამიშვილი დონ-კიხოტი უნდა ყოფილიყო და ბედმა მას გამლეთობა არგუნა.

გურამიშვილი ენათესავება თავისი შემოქმედებით ფრანგ დეკადენტებს და მეოცე საუკუნის ქართველ პოეტებს. მის რითმებს და სახეებს (ხანდისხან შეუგნებლათ — ატავისტურად) იმეორებს თანამედროვე პოეზია. გურამიშვილს აქვს ქართული პოეზიის ყველა რიტმები, მისი რითმა მდიდარია და მოულოდნელი. მთელი თავისი პოეზიის ფორმით და შინაარსით ის დღევანდელი პოეტების ნინამორბედია. გურამიშვილი ჩვენს პოეზიაში პირველ რეალისტად და ხალხურ პოეტად ითვლება (ეროტიული იდილია — „ქაცვია მწყემსი“), მაგრამ გურამიშვილს აქვს გამძაფრებული სახეები, რომელთაც არ დაიზარებდა თავის ედემისტვის ახალი პოეზიის მღვდელმთავარი ბოდლერი („კაცის და სიკვდილის შელაპარაკება და ცილობა“).

გურამიშვილი უფრო განწირული იყო ცხოვრებიდან, ვიდრე რომელიმე სხვა ქართველი პოეტი. გურამიშვილი, როგორც ნიკო ფიროსმანაშვილი, უნდა გადაიქცეს ჩვენი ხელოვნების და ბოჰემის ლეგენდათ. ვერლენზე უფრო დააქვრივა ცხოვრებამ გურამიშვილი და, ღმერთო ჩემო, როგორი ცრემლიანი სიტყვებით, უიმედო ქვითინით შესჩივის ის ბედს თავის ობლობას („ანდერძი დავით გურამიშვილისა“). ვერლენი ეუბნება მადონას: „ჩემი პირი, შებილწული ღვინით და გინებით, ვერ ბედავს თქვენს ქება-დიდებას“. გურამიშვილს აქვს, როგორც ვერლენს, საუბარი ქრისტესთან და მადონასთან. არა ნაკლებ ვერლენზე ქონდა უფლება მშიერს, ბრუციანს, უცოლშვილოს, კოჭლს, მელოტს და სამშობლოდან განდევნილს გურამიშვილს მიემართა დამწვარ სონეტებით მადონასათვის („ვედრება ღვთის მშობლისა დავითისაგან“). ის უძახის მადონას „დავითიანში“ სიონველ ასულს — ქალწული ღვთისა მხვეველი. „მიგრძე ცოდვით სანჯავი — იესო-ქრისტეს მშობელო, განმადდე მადლით მშიერი, იესო ქრისტეს მშობელო“. „შენ საქებრად რიტორიცა არს, ვით თევზი, უხმო, უტყვი, მე ვით ვიტყვი შენს ქებასა, ნანვართი ვარ, ვით პირუტყვი“.

ქართულ პოეზიაში არავინ არ ატირებულა ისე, როგორც გურამიშვილი. მთელი ვერლენის მათხოვრობა არის გურამიშვილის ლირიკაში, არის ვერლენის ღვთის მოსაგობა. თავადი გურამიშვილი იყო ბოჰემა თავისი ცხოვრებით და მის პოეზიაში იშლება ბოჰემური მსოფლმხედველობა.

ჩვენ პოეზიას ყავს საკუთარი ვერლენი, სევდის და რელიგიის ორგინასტობით, სიკვდილის ესთეტიკით, სოველი, ქვრივი, ქრისტეს და მადონას მოტრფიალე, სათუთი და კეთროვანი, ტკბილი და შხამიანი, უსახლკარო და უსამშობლო, რუხი და ყვითელი, პრინცი და მათხოვარი, განწირული და უბედური დავით გურამიშვილი.

გურამიშვილი, როგორც ბოდლერი, ადარებს სიკვდილს მხატვარს. მას წარმოუდგენია სიკვდილი, არა ჩვეულებრივად, არა ცელით ხელში: „ტურფა ხარ თვალად, ტანადა, სულად ერჩევი ჯარშია; ტანზედა დიბის ქათიბი გიხდების კაბის არშია, ფეხზედ წითელი ჩახჩური, მწვანე კემუხტის მაია“. გურამიშვილის „სიკვდილი“ გავს ბოდლერის „სიკვ-

დილს“, რომელიც ფრანგმა პოეტმა მოიყვანა მასკარადში, როგორც მშვენიერი კავალერი („სიკვდილის ცეკვა“). გურამიშვილმა ბოდლერზე უფრო ადრე შექმნა სიკვდილის ესთეტიკა. ედგარ პოეზე უფრო ადრე შექმნა გურამიშვილმა საშინელების პოეზია: — ის ადიდებს სიკვდილს, როგორც პუშკინის ვალსინგამი ადიდებს ჟამს, როგორც დე-კვინსი „ღვთაებრივ ოპიუმს“. გურამიშვილი როგორც არლეკინი, ირონიულად ეტყვის სიკვდილს: „თუ შენ გვჭამ, შენ გვთიბ, შენს ნაჭამს ვინ გიხვეტს, გინმენდს, გიგავსო, თუ არვინ გიხვეტს, უთუოდ ნიფხავი ნეხვით შიგ-ავსო“. ეს ირონია სიკვდილისადმი იშვიათი მოვლენაა არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში. გურამიშვილის პოეზია შუაზე იყოფა: — ის ბოდლერია თავისი კეთროვანი სახეებით („საუბარი სიკვდილთან“), უფრო ხშირად კი ვერლენი თავისი აქვითინებული და უიმედო ჩივილებით („სულის ამბავი“; „ანდერძი დავით გურამის-შვილისა“).

ჩვენს კრიტიკაში უკვე აღნიშნული იყო გურამიშვილის პესიმიზმი, მისი კავშირი მსოფლიო სევდის პოეტებთან. ნიკოლოზ ბარათაშვილი უნდა ჩაითვალოს გურამიშვილის მემკვიდრედ, რადგანაც „დავითიანის“ ავტორმა უფრო ადრე დასწერა „სანუთროს სოფლის სამღურავი“ და „კაცისა და სანუთროსაგან ცილობა და ბჭობა, ერთმანერთის ძვირის ხსენება“. მთელი პოეზია გურამიშვილის არის გაუთავებელი, „გულსაკლავი“ გოდება და მოქმედობს მკითხველზე, როგორც მიუსეს უკვდავი ქვითინი „დეკემბრის ღამეები“. თავის ნიჭის ავხორცობით გურამიშვილი დოსტოვესკის გავს: რალაც მისტიური ალტაცებით ეძლევა ის თავის დამცირებას და ათასჯერ იმეორებს თავის დაჩაგრულ ცხოვრების ამბავს — თითქოს სიამოვნებით გვიჩვენებს თავის მუნუკებს. მან სრულებით აღიარა წამების კულტი. გურამიშვილი განმარტოებულია ქართულ პოეზიაში — მასთან შედარებით ყოველი პოეტი სევდის დილეტანტია. გურამიშვილმა, რომელიც იყო ლომონოსოვის თანამედროვე, თითქოს ჩრდილოეთის გავლენა განიცადა და თავის ლირიკას მისცა შემოდგომის ხასიათი.

თავის პოემის პირველ თავებში გურამიშვილი აგვინერს ქართლისა და კახეთის ბრძოლას, მაგრამ მისი ეპოქა იყო მხოლოდ დეკორაცია, რომლის ფონზე სწირავდა თავის ლიტურლიას გურამიშვილი.

ის დაშორებულია რუსთაველს და თუ რუსთაველი ქანდაკებაა, გურამიშვილი მუსიკაა. წაიკითხავ მის „დავითიანს“, სიტყვები დაგავინწყება, მაგრამ ავტორი დაგყვება ყველგან, როგორც ორეული და შეუძლებელია მისი მოცილება. გურამიშვილი ტანჯულია და თანაუგრძნობს ქრისტეს, რომელიც მასზედ უფრო ადრე ანამეს. მე არ გამიკვირდებოდა, რომ გურამიშვილს ჭრანსის ჟამესზე უფრო ადრე დაენერა ლექსი: „ლოცვა იმაზე, რომ მე ვირებთან ერთად შევიდე სამოთხეში“.

ცხოვრებას და ლიტერატურას ჰყავს, როგორც ეკლესიას, მსახურნი და კათაკმეველნი, გურამიშვილი აქამდი კათაკმეველი იყო.

დღევანდელი პოეზია, როგორც ჯვარზე გაკრული ქრისტე, პირდება წამებულ გურამიშვილს ადგილს სასუფეველში — აღდგომის შემდეგ.

3

„როდის გადაიცვალა, ან სად არის დამარხული გურამიშვილი, ნამდვილად არ ვიცით. შესაძლოა დაკრძალული იყვეს ახტუბის მონასტერში, რომელიც მდებარეობს ხარკოვის, ჩერნიგოვის და პოლტავის გუბერნიების საზღვარზე. პოეტი ბოლოს დროს ცაღის თვალთ დაბრმავდა და მეორეთი სუსტად ხედავდა. გადაიცვალა მალოროსიაში — დიდ სიღარიბეში“ (ალექსანდრე ხახანაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია). პოეტი ამბობს:

„ბედს საქორრიდან თვალთ უჩანს, ქალის სახე აქვს ბრმისაო,
დაიარების ქვეყნადა ხელით მძებნელი ქმრისაო;
ვისაც ხელს მოჰკრავს, აიყვანს, ნახავს, გაუჩხრეკს პირსაო.
თუ მოენონა დაიჭერს, თუ არა დასცემს ძირსაო“.

გურამიშვილი თვითონ უძახის თავის თავს გლახაკს, რომელიც საუნჯის გარეშე სდგას. ცნობილია მსოფლიო ლიტერატურაში ჭრანსუა ვიონის დიდი და პატარა ანდერძები. გურამიშვილის ლექსი „ანდერძი გურამის-შვილისა“ ატირების შედეგია:

ალარ მსურს ქნარი, საკრავად სტვირი,
არ ზედ დამლერა, ან ამას ვსტირი:
ცრუმან სანუთრომ მარიდა პირი,
არ აღმისრულა მან დანაპირი.

მკითხა ცოდვისა, მიჰსენა ძვირი,
ვით გალსა ხესა განმიწმო ძირი;
დამაგლახაკა, გამაადა მწირი,
საყვარლისაგან მქნა განანირი.

გული მიშავა ვითა ნახშირი,
გამაყრევიანა თავზე თმა ხშირი,
პირი დამიჭკნო ვითარცა ჩირი,
დამაშვებინა დაღმა ჩიჩვირი.

შემყარა ძნელი ილაო ჭირი,
გულზედ მასვია მჭვლად დანაჭირი;
მომიახლოვდა მწარე სიკვდილი,
ცელ-გალესილი ჰრმალ-ამონვდილი.

ვინ ხართ ლჷთიანი და მადლიანი,
კოდ-სასწორ მართალ სწორ-ადლიანი,
გთხოვ შემიბრალოთ, როს მკვდარი მნახოთ,
შენდობა მითხრათ, როცა დამმარხოთ!

ვისაც რა გცოდე, ვითხოვ შემინდოთ,
ჩემზედ გონება აღმოიწმინდოთ;
მე ალარ ძალმიძს თქვენი რამ წყენა, —
სიტყვის თქმად ენა მე დამეყენა.

თუ გინდათ, კიდეც მაგინოთ თქვენა,
ვერ გავიგონებ, დამიდგა სმენა;
ალარ მაქვს სუნთქვა, არც ამოქნეშა.
მანვე დამშალა, ვინც აღმაშენა.

მცხედრად მდებარე გულ-პელ-კრეფული.
მივალ, არ მიმდევს თან ერთი ფული;
თუ რამე მაქვნდა, ყველა მანდ დამრჩა:
ყმა, სახლ, ბაღ, ბოსტან, თეთრი თუ ფარჩა.

ყველას გაფიცებ ამ საფიცარსა:
თუ ღმერთი გნამდეთ: ამ სამს ფიცარსა
ნუ გაიძნელებთ ასაშენებლად,
გარს ნურას უზამთ დასაშენებლად.

ნუ გაირჯებით შესალებლადა.
მსუბუქი ქენით ნასალებადა.
ფასს ნუ დაჰკარგავთ დასახატავად.
თეთრს გაუფრთხილდით დასაფანტავად.
მალ მათელების მას სილამაზე, —
მინა ეყრების, ქვა, სილა მაზე.

ვისაც გინდოდესთ თქვენ ჩემთვის კარგი,
თან გამატანეთ ასეთი ბარგი,
რომ ცუდ-უბრალოდ არ დამეკარგოს,
სანყალ ჩემ ცოდვილ სულს რამე არგოს.

ჩემს ცოდვილ სულსაც ეს შეენევა:
მღვდლის წირვა-ლოცვა, საკმევლის კმევა,
მშიერთა ჭმევა, შიშველთა ცმევა,
უსამართლობით არვისა რთმევა.

მკვდარს არას მარგებს ტყეზა-ტირილი,
ვერ გამაცოცხლებს თავს დაყვირილი;
სჯობს არ ჩაიცვათ ტანთ ძაძა-ფლასი,
მიმიცეთ რამე მღვდელთ წირვის ფასი.

ვამე ცოვდილსა, მე უმადლოსასა,
დავრდომილობით უხუც-უმღვდლოსა!
მე ვინ მილოცავს, ან ვინ მიწირავს,
ან ვინ დამმარხავს, ვინ დამიტირავს?!

უმკვიდრო ვიქმენ, არ დამრჩა შვილი,
რომ მას აღენთო სანთელი-ცვილი,
ექნა აღაპი დაედგა ტაბლა:
ასე მალალმან მე დამამდაბლა!

შატობრიანმა ღმერთი უცოლო კაცს შეადარა, ლაჭორგმა სთქვა ერთ ლექსში, რომ კაცობრიობის ისტორია არის ერთი უცოლო კაცის ისტორია. არ ვიცი, ეს რამდენად მართალია, მხოლოდ უეჭველია, რომ მთელი გურამიშვილის ლირიკა არის ერთი უცოლო კაცის აღსარება.

გურამიშვილის პოეტიკა დიდაკტიურია:

„ისმინე სწავლის მძებნელო! მიჰყევ დავითის მცნებასა
ჯერ მწარე ჭამე — კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“.

გურამიშვილი ტირის უცხოეთში, როგორც ებრაელები სტიროდენ ბაბილონში. ამართა იღვია საქართველოს გაერთიანებისა, რომელიც იმ დროს დაგლეჯილი იყო. გურამიშვილმა შეიგნო თავისი პოეტური დანიშნულება, როგორც მოვალეობა ღმერთის და კაცის

წინაშე, მაგრამ მისი უსაზღვრო წამება გადალახავს მის ტენდენციებს და ქმნის ავტორი-სათვის მოულოდნელს პოეტიკას.

ეს არის პოეტიკა და ესთეტიკა ბოჰემის, საშინელების და მათხოვრობის.

გურამიშვილი თავისუფალია სპარსულ გავლენიდან, ის პირველი ნაციონალური პოეტია. გურამიშვილის რითმას ახასიათებს სიფაქიზე, ეს რითმა უფრო ორგანიულია, უფრო ნოყიერია, ვინემ ძველ პოემათა პრტყელი რითმები. გურამიშვილი ისე ხშირად არ იმეორებს ერთ და იმავე რითმას, როგორც რუსთაველი. მისი რითმები უმეტეს შემთხვევაში ქალურია, დაკტილური და ხმოვანი. მისი რითმა თოთხმეტმარცვლოვან ლექსში ხშირად რაინდულია. ათმარცვლოვან ლექსში მისი რითმა შეყენებულია მელანქოლით და უმეტესად ვაჟურია.

რუსთაველის რითმა ფოლადია, გურამიშვილის რითმა მინაა, რომელშიდაც მოსჩანს სამყარო. რუსთაველის რითმა მიგაფრენს როგორც მერანი და ხანდისხან ხრამში გადავისვრის. გურამიშვილის რითმა კარუსელია — დატვირთული ზღაპრული ნიღბიანი სახეებით.

მთელი მისი პოეზია ავტოპორტრეტია, ისე, როგორც მისი უკანასკნელი სურათი. სევდის და ატირების შედეგადად უნდა ჩაითვალოს გურამიშვილის შესანიშნავი „ანდერდი“, „სულის ამბავი“ და „სულის მოხსენება“. ჩვენი პოეზიის სწორუპოვარი შედეგია — „კაცის სანუთროსთან ცილობა“, „კაცის სიკვდილთან საუბარი“.

ალიტერაცია უსათუოდ დიდ როლს თამაშობს „დავითიანში“. მომავალი კრიტიკოსი გამოარკვევს ამა თუ იმ ასოების იშვიათობას და სიხშირეს გურამიშვილის პოემაში. ჩემის დაკვირვებით, მთელ პოემაში ხშირია ასო „მ“ — რომელიც ღმუილის — ესე იგი ჩივილის შთაბეჭდილებას სტოვებს. ხმოვან ასოებიდან ხშირია დავითიანში ასო „ა“ — რომელიც რემბოს დახასიათებით ტრაურულია.

გურამიშვილს აქვს ორმარცვლოვანი ლექსი, შემდგარი ორ ათმარცვლოვან ლექსიდან:

„ნუ გძინავს სულო, ან განიღვიძე, რომ არ შეიქნა ლამპარ შრეტილი“ (121 გვ.).

თექვსმეტ მარცვლოვანი ლექსი, შემდგარი ორ რვა მარცვლოვან ლექსიდან:

„გაბრძანდა კახი-ბატონი, განიდგა კარავ სევანი“ (39 გვ.).

„სავარგონია მგონია, ეს სიტყვა გასოგონია“ (65 გვ.).

თოთხმეტ მარცვლოვანი ლექსი, შემდგარი ორ შვიდმარცვლოვან ლექსიდან:

„ჰაადეო ადეო, გულით მოინადეო“ (64 გვ.).

თოთხმეტ მარცვლოვანი — შემდგარი რვამარცვლოვან და ექვსმარცვლოვან ლექსიდან:

„დიდება შენდა დიდება, სახით მზეთა მზეო!“ (63 გვ.).

აქვს ცამეტმარცვლოვანი ლექსი:

„ჩემგან თვალად უარესი შენ შეიყვარე“ (142 გვ.).

ათმარცვლოვანი ლექსი შემდგარი ორ ხუთმარცვლოვან ლექსიდან:

„ვინ ხართ ღვთიანი და მადლიანი
კოდ-სასწორ მართალ სწორ-ადლიანი“ (202 გვ.).

აქვს თერთმეტმარცვლოვანი ლექსი:

„ცხოვრებასა ჩემსა მით ვატარებდი“ (143 გვ.).

რვა მარცვლოვანი ლექსი:

„ვადიდებ ღმერთსა ზენასა“ (125 გვ.).

ექვსმარცვლოვანი ლექსი:

„იროკა ისამა,
საბაოთ ინამა
მამის და ძისამა
და სულის თქმისამა“ (126 გვ.).

ხუთმარცვლოვანი ლექსი:

„მუნ ვერსად ვნახე“ (167 გვ.).

მოყვანილ ციტატების გვერდები აღნიშნულია ზაქარია ჭიჭინაძის 1911 წლის გამოცემის მიხედვით. ეს ციტატები საკმარისად მოწმობენ გურამიშვილის ზომათა სიუხვეს და მრავალფერობას.

გურამიშვილი ინტიმურია, მაგრამ მას ინტიმის გარდა ახასიათებს მერანის გაქანება და ვეფხის სისასტიკე („კაცის სიკვდილთან საუბარი“). გურამიშვილი შებოჭა ასკეტურმა მსოფლმხედველობამ, მან პოეზია მიიღო, როგორც დიდაკტიური მცნება, მაგრამ მისი ფანტაზია ქმნის წამებით აელვარებულ სამყაროს. გურამიშვილი განგებ შეაყენებს თავის ფანტაზიას, ღვთის მორჩილი, დავალებული სახარებით; — მისთვის ფანტასტიური წარმართული იქნებოდა და ამიტომ გურამიშვილს თავის ოცნების სადავე ხელში ეჭირა. თუ მაინც იფეთქებს მასში დემონიური, ეს იმას მოწმობს, რა დიდი პოეტური ცეცხლი ენთო მის სულში.

არტურ რემბომ სინამდვილე გადაიტანა პირამიდებში, ბოდლერმა შუშის პეიზაჟში, ვერლენმა კალეიდოსკოპში. გურამიშვილმა აირჩია საიქიოთ ორი ვეებერთელა შავი და თეთრი სარკე — ჯოჯოხეთი და სამოთხე. ამ ორ სარკის შუა მისტიურ საქანაოზე ქანაობს გურამიშვილი და ჯოჯოხეთის შავი სარკე აკვილებს მას ისე, როგორც სამოთხის თეთრი სარკე.

პოეზიისათვის განსაკუთრებით ძვირფასია წარსული: ყველა მისი მოგონებები წარსულშია (საბერძნეთი, რომი) და პოეზიისათვის მომავალი მისაღებია იმდენად, რამდენათ მასში განხორციელდება წარსულის ლოზუნგები და ნაჩრდილები. ეს ფორმულა შემიძლია გავამართლო ბევრი მაგალითებით. გრიგოლ რობაქიძემ პანი გააცოცხლა პოეზიაში, პაოლო იაშვილმა აღადგინა პოეზიაში ცეცხლთაყვანისმცემლობის კულტი, ტიცციან ტაბიძემ წარსულით გაანათა თავისი პოეზია (ქალდეას ქალაქები).

ვის შეუძლია დაიტრაბახოს და სთქვას, რომ არ ყოლია ორეული და პირველად მოეგლინა კაცობრიობას? თვით უკიდურეს ფუტურისტს კრუჩინონის ყავს წინაპარი — გოგოლის პეტრუშკა — ჩიჩიკოვის ლაქია და ხლესტაკოვი. (Петрушкь нравилось не то, о чем читал он, но больше самое чтение, или, лучше сказать процесс самага чтения. Что вот де из букв выходит какое нибудь слово, которое иной раз чорт знает, что и значит. Гоголь - Мертвая души. Хлестаков: я, признаюсь, сам люблю иногда заумствоваться: иной раз прозой, а в другой и стихи викинутя. Гоголь - Ревизор).

მთელი ტერმინოლოგია და პოეზია კრუჩინონის ნასესხები აქვს გოგოლის დასახელებულ გმირებიდან.

ორი წლის უკან გრიგოლ რობაქიძემ წარმოსთქვა შესანიშნავი აფორიზმი: „სიმბოლიზმის დევიზი არის მარადისობა და ფუტურისმის — მომავალი“. სიმბოლიზმი არის ნილაბთა შესაბამება. სიმბოლოზე უფრო მაღალი საფეხური არის მითი. მითში სიმბოლო კარგავს საშვალეების ხასიათს და პოულობს დამოუკიდებელ არსებობას. ამრიგად თანა-

მედროვე პოეზია უბრუნდება წარსულს (მითი გვიანდერძა წარსულმა საბერძნეთმა) პოლიუსები ხვდებიან ერთმანეთს. პოეზიაში არის მარადი ტრიალი — მომავალში მოსჩანს წარსული და წარსულში მომავალი. პოეზიაში იმდენი სახეები და იდეები დაეხეტება, ისინი ისე გულმოდგინეთ დაეძებენ ერთმანეთს, რომ შეხვედრა აუცილებელია. საჭო და ოფელია ერთმანეთს დაეძებენ, როგორც გამლეტი და ლოტრეამონი, კრუჩონიხი და ნოვალისი. პოეზიის და ლიტერატურის გმირებს (რომ ისინი მარიონეტები არ იყვენ) შეუძლიათ დააარსონ თავისი ლანდური სამეფო და სრულიად მიგვატოვონ ჩვენ. გურამიშვილი, როგორც ვინჩი, იყო მხატვარი და გამომგონი — მას გამოუგონია სარწყავი და წისქვილის დასაბრუნებელი მანქანა. წარმოიდგენდა თავის თავს კუბოში, როგორც ჟერარ და ნერვალი (ეპიტაფია თავის თავს). მისი ანდერძი აგრეთვე მოგვაგონებს ჭრანსუა ვიონის სახელგანთქმულ და ირონიულ სასონარკვეთით სავსე ანდერძებს. პოეზია დიდი სარკოფაგია და დიდებულნი ამ სარკოფაგისა ისე სარგებლობენ ჩვენი ოცნებით, როგორც მათ უნდათ.

დიდია გურამიშვილის კავშირი მეოცე საუკუნის ქართველ პოეტებთან, მაგრამ ეს ცალკე გამოკვლევის საგანს შეადგენს. გურამიშვილი იყო მათხოვრობის ჯამბაზი და იმავე დროს მას არ უთქვამს ერთი ყალბი სიტყვა. დროა დავაფასოთ მისი მათხოვრობა და ჩავაცვათ მას ჩვენი აღტაცების პორფირი. ძონძები დაიხა მის ტანზე, ის ქვითინებს უდაბნოში, როგორც მეფე ლირი. დროა კორდელია ნუგეშით მივიდეს მასთან და დაუბრუნოს დაკარგული სამეფო.

ვალერიან გაფრინდაშვილი

1919 წ.

მეფეწემა ნამეფემა

წიგნი მეხუთე



ნიკეაჩი
1921



სინაქსარი.

გრიკოლ კრობაქიძე—ორი სონეტი.
გო. ჯაფარი—თეთრი თოვლის მოგონებები.
კოლაუ ნადირაძე—მონოლოგი საქართველოზე.
ინ-რე-ჟან—ჩვენება ღამის ტაძარში.
ვ. გაფრინდაშვილი—ტოსტი აშორდიას გარდაცვალებაზე
კოკი ებრაელიძე—ტირილი თხის ფეხთან.
სანდრო ცირეკიძე—სონეტი პროზით.
სერგო კლდიაშვილი—მზე ბალდახინზე.
სანდრო ცირეკიძე—პარალელები.
ვ. გაფრინდაშვილი—Terror antiquus
ლადო გუდიაშვილი—ყდა (ნიაშორები)

რედაქტორი—ვალერიან გაფრინდაშვილი

ამწყობი—ერმალ მუგენეიშვილი

„მეოცნეუნი ნიამორეუნი“, 1921, იანვარი, №5.

ტიციან ტაბიძეს

შენში ინვიანი ძველ ქურუმთა ლოცვის თესლები:
ტკბილი სინელით ესიტყვები გვართა მოირას.
ხსოვნას გილბობენ იზიდასი შენ სარეცლები:
ქალდეას სიზმარს რომ აგძელებ ასე ზმორიანს.

ცხელ ზმანებაში: ქვეყნის საშოს თითქო ეცლები:
ჟღალი თვალებით „შიში ძველი“ შენთან მოიარს.
წარღვნის სიავით ამღვრეული დაიგესლები:
სიკვდილის ღრენა ფიქრს დაგიფრთხობს როგორც მორიალს.

ღამის გუბეში გაღეშილი ბნელი ქაოსი:
შენში აპირებს მუნჯი რიტმის უხვად ამოცრას,
როს მოგესმება ლუში ლორწი მისი ხავოსი, —

ყვილით ისვრი საიდუმლო სიტყვას საოცარს.
არ შეგეშინდეს ძნელი ცნობის: ბავშო ტიციან:
რომ დიონისო შენი ჩუმი ძმად ნაფიცია.

*გრიგოლ რობაქიძე
სტამბოლიდან — ბათუმს
1919, მარტის 31
ბრიტანიის გემი „კატომბა“*

ვალერიან გაფრინდაშვილს

შენ გესმის მუდამ ჯადოსანი ხმა შორეული:
სურნელოვანი შენში თითქო ვილაცა მოჰკლეს.
ორეულების მასკარადზე სიზმარეული
მალვით გინიშნავს შენი ცალი პაემანს მოკლეს.

მოლუშო მასკით შენც იქ მიხვალ თვით ორეული:
მაგრამ მის ადგილს შეეყრები მხოლოდ მის მომკელს.
შიში აგიტანს: გადასძახებ ძველ ემპედოკლეს:
რომ სიტყვით შეჰკრა ეს ქვეყანა გადარეული.

და შენი ხელი ახელებით ცდას ველარ ითმენს:
უვალ ხრამებში ის მოანგრევს და ბელტავს რიტმებს.
მაგრამ ხანდახან სარკე ხილვას რომ დაგპირდება, —

შენში უეცრად აიშლება მარადი ქვრივი:
დაგირბილდება მაშინ შენი სონეტი კვრივი:
და უღმობელი უცნობისთვის შენც ატირდება.

გრიგოლ რობაქიძე

თეთრი თოვლის მოგონებები

ო — თეთრი თოვლი — თეთრი თოვლი —
 სიზმარის ფერი და მოქანცული
 მაგონდება მე თეთრი ქალწული
 და ის წუთები რომ აღარ მოვლენ.
 თეთრი ქალწული — ო, თეთრი თოვლის
 მოგონებები აჩუმებს ტუჩებს —
 ყველაფერს ამ ნაზ სიზმარს აყოლებს
 და თოვლის ფერად ყველას აყურებს.
 და მოგონება ქოშების კვალის —
 ის ერთ წამებულ წამში ერთდება
 და ტირის დღესაც — და ტირის ხვალეც
 სასონარკვეთილ წითელ წვეთებათ.
 ო, სასტიკია ეს საპყრობილე!
 მე მტანჯავს ფიქრი, ერთი ეჭვი რო
 ჩვენი შეხვედრა არა ყოფილა
 არც საოცნებო და არც საჭირო.
 და ის ზღაპრებიც ხომ აღარ მოვლენ,
 ჩვენ რომ გვაგვებდენ სითბოთი ნაზად —
 სიზმარი მიდის და თეთრი თოვლი
 ცივ სინამდვილეს ჰფენს ქვეყანაზე.
 ღმერთო, გავედრებ მე ყველას — ყველას,
 მე, დაჩოქილი და საცოდავი,
 ვინც სიყვარულში წითლად ახველოს
 და ასე მწარედ ჩაჰკიდოს თავი.

გრ. ჯაფარი

მონოლოგი საქართველოზე ნაშუალამევს 28 სექტემბერს

დავაკვირდები გაკვირვებით შენ მაცდურ სხეულს:
 გარდაიცვალენ თურმე შენთვის დიდი გმირები;
 რათ აღმაცერობს ჩემი სული ნაცდომი წრეულს?
 გმირულათ სიკვდილს ნუთუ ახლა მეც ვეპირები!

სიმტკიცე ძველი ფუქსავატი და იჭვიანი...
 გიპირდაპირებ ჩემ სიძულვილს, ხველებას მწარეს.
 აგათრევს ღამით ეშაჰოტზე ქურდი ვიონი
 და გიდელივით გადაგკიდებს რქებიან მთვარეს.

საკორწიანო დაქანდება გაყინულ ხელით,
 მაგრამ ავია მთვარის ხაშში, სურნელი მღვრია;
 შენ გადარჩენას ამ ქროლვაში ამაოთ ელი,
 არყოფნა მოდის. უფსკრულები სიცივით ჰქრიან.

ვუმზერო ერთმანეთს დაიჭვებით: მაგრამ ქურდულათ...
ჩემ დამარცხებით ვერასოდეს ვერ იმამაცებ!
მაღე სიკვდილი დაგედება მძიმე ურდულათ
და მონოლოგით ნაშუალამევს აგაბარბაცებ.

კოლაუ ნადირაძე

ჩვენება ლამის ტაძარში

ზოდიაკიდან: ეფვნები ცაზე

სიზმრის ბალებში ისახება ერისიონი.
სანთლის ცრემლებათ როს იღვრება ლოცვის წუთები
და სიჩუმეში მოლაღადე თეთრი სიონი
წმიდა ოსანით სხვა განთიადს ესათუთება, —

თუმც იგვიანებს მოლოდინის უცხო ღვთაება,
მაგრამ აქ თვალი არ ჩაჰქრება შანდლებთან ერთად,
ფიქრი ლოცვებში უნაზესად დროს გადაება,
მას თეთრი სული ეცხადება უკვდავ წვის ღმერთად.

ჩუმად შენდება საოცნებო ბროლის აღალმა
მის წყნარ სახეზე დაისვენებს თვით სასოება
და თუ აანთო კვლავ შანდლები სხივმა ახალმა,
ველარ დაჩრდილავს სულს წარსულის ამოება.

სანთლის ცრემლებათ როს იღვრება ლოცვის წუთები
და ნათელ ზეცად მათ აღავლენს თეთრი სიონი,
წმიდა ოსანით მეც განთიადს ვესათუთები,
სიზმრის ბალებში მესახება ერისიონი.

ინ-რე-ჟან

სამგლოვიარო ტოსტი ამორდიას გარდაცვალებაზე

ჩემმა ოცნებამ ცის გაღებულ კარებს მიასწრო.
მოველი ჯარებს დაისიდან, ვით კეისარი.
ორი სარდალი: ამორდია და კალიოსტრო —
ინყება ომი ძველებური შუბით, ისარით.

ცრუ ქიმერები შეებრძოლენ ცრუ აზნაურებს.
სიკვდილის ცეცხლში გაჰკვივიან ამორძალები.
თავის დანაკლისს იმ წუთშივე ინაზლაურებს
გრაჰ კალიოსტრო და სნორია ისევ ძალები.

ქმნიან: რაინდებს აშორდია დაუზვერავი
და კალიოსტრო-ჯავაირჩი ფრთიან საპფირებს.
ლურჯ და ალისფერ ლაშქრობაში მეტობს ვერავინ,
მაგრამ დახევას თვალ-ლალების მეფე აპირებს.

მას ქართულ ჯარით ჩოხოსანი გაეკიდება.
აზნაურები ამარცხებენ ბროლის ყაჩაღებს.
და რადგან ერგო აშორდიას მეფის დიდება —
მარგალიტის ტახტს დაისებში ის გააჩაღებს

ახლა უყვივის თავის მგოსანს — უნდა აჩუქოს
თავადის ღერბი — ზიარების ზამბახათ შლილი.
ოქროს გვირგვინით სამუდამოთ რომ გააშუქოს
თავის მემკვიდრე — ვალერიან გაფრინდაშვილი.

ვალერიან გაფრინდაშვილი

1920

ტირილი თხის ფეხთან

ფერმიმქრალი ფიქრი უმთვარო ღამეში.
მიუნდომელ ლანდებში უსულგულო მთქნარება,
სნეული ნეტარება ცრემლის ღვრა ტოლ-ფარდებში
მკლავებში რევოლვერის განუყრელი ტარება.

ათასგვარი ნდომები ხვეული შავი ფარდით.
მონაცრული დარდით ნერვის ტოკვა, ხმაური,
დაზამთრება ზღვაური უთვალავი ვარდით,
გვირგვინიან დარდით შორს კივის მეზღვაური!

ვის უნახავს, ვის, განცდა ვნებით მწყურვალ თამარის?
საშიშარი რამ არის ტარიელის რკალებში.
შავ უსაზღვრო თვალეებში უფსკრულია სამარის,
მას ბებუთი ქამარის — უთამაშებს მკლავებში.

ვერ მივწვდი მას ორლესულს ჩუმი ქლეკის ნატეხი,
თუმც მასხია ცხრა ფეხი ოქროს ფრჩხილით მარმარა —
ქრისტემ დამასამარა ჭაბუკი ანატეხი,
სიქალნულის თხაფეხი, ვაი, რაფერ დამჭენარა...

კოკი ებრალიძე

სონეტი პროზით

უდაბნო გზაზე იყო ბროლის კოშკი.
დაისი რომ გაფითრდებოდა ჩამავალ მზისთვის,
დაგვიანებული მგზავრები დაისვენებდნენ ბრინჯაოს კარებთან.
პირიმზე მიიწვევდა ერთს.

თავგადასავალს უამბობდა არჩეული.
ყველას ენახა ძვირფასი ქვები, მეფეები, დიდი ქალაქები.
გააზმორებდა მზეთუნახავი ძველი ამბით მოწყენილი.
ვაჟი აედევნებოდა თავის ქარავანს.

ერთხელ შორით მოვიდა მგზავრი ფეხშიშველი.
პირიმზის დალლილმა ცქერამ აანთო იგი.
ალაპარაკდა მათხოვარა ცივ ღამეებზე, სიშორეზე.

განთიადისას ბროლის კოშკი დაცალიერდა.
უდაბნო გზაზე ისევ მიიმლერიან უცხო მგზავრები.
დანგრეულ გალავანთან ფეხს აუჩქარებენ.

სანდრო ცირეკიძე

1919

მზე ბალდახინზე

მთების ფერდობებზე და მის ძირს ველზე სამხრეთით, ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით ყვითლად გამხმარა ფორთოხლის ტყეები. ტბაში იხედება ფორთოხლებით დამძიმებული შტოები და წყალი ყვითელფერობს.

ქვიშა და სილა დაყრია მიწის ბებერ ზურგს.

მშვიდათ ასვენია მზე ბალდახინზე.

უთვალავი ტანი სითბოს მონატრული ზანტათ იზმორება ბალდახინის გრილ სვეტებთან. დალალული თვალეები როგორც სიზმარში უყურებენ ერთმანეთის ყვითელ კბილებს. ზღვის დაობებული ნაპირი აღარ მოელის შორეულ ხომალდებს დატვირთულს ფარჩით და ძვირფასი სამკაულებით. უკანასკნელათ ცისფრად იელვა თაღმა და წმინდა ქალწულის გადმოხედვა გაიბნა სივრცეში. სამყაროს ხაშმიანმა ცქერამ უეცრად შენიშნა ახალი კერპი, ქონით გატენილი ქალის დიდი ტანი, შეუმოსავი, ურცხვი, გაბერილი მუცლით, ძუძუებით როგორც მწიფე კვახები გადმოეყუდა სივრცეს და მიიღო თავყვანი გაცივებული სამყაროსი.

* * *

ჯერ არ გადმოაბიჯებს შენი ქოშები ჩემ ჭიშკარს მოწნულს თხილის წნელიდან, მაყარის მხრებზე არ მოახვევს სეფე ქალი სამახარობლო წითელ აბრეშუმს, მაგრამ ყოველთვის ხარ ჩემ საათებში და არ არის დრო უშენოთ:

დღეების გარდაცვლა მიახლოვებს შენს მოსვლას და სამუდამო მაყრებათ მოგდევნე ტანის წირვების ღამეები.

შენ შემოხვალ როგორც დიდი სიხარული. ხალიჩების სიჩუმე ალერსით დაგნებდება ძვირფასი ქალბატონის ნაბიჯებს და ყველა სიხარული და მოწყენა გადმოაბიჯებს მხოლოდ შენიდან.

იქნება საათები როცა სურვილი გახდება მხოლოდ შენ და შენი თმების სურნელებაში დამთვრალს დამეზარება დატოვება აშლილ ნაწნავებში დასიზმრებულ სამყაროების.

სერგო კლდიაშვილი

პარალელები

მოვლენათა სწორი ასახვა საქმეა ფოტოგრაფიის და მეცნიერების. მათი თავისებურად დალაგება — სტილიზაციაა და მოდერნიზმი, მაგრამ არიან სხვები, რომლებმაც ქვეყანას უცნაურად შეხედეს.

მოვლენების იქით საგნები იზმორებიან უცხონი. სოფელს დიდი ხანია გაუჩნდა ორეული და მოჩვენებებით დასახლდა ქვეყანა. გაიცრიცა ფირუზის ცა, აინგრა ზურმუხტის ხმელეთი და მოისმა სუნთქვა ქაოსის. აქ აღარ გამოდგება კოდაკის აპარატი. ორი თვალი ადამიანის დაძველდა. პოეზია და რელიგია იხედებიან მოვლენათა გადაღმა და მათთვის საჭირო შეიქნა ათვისების და გამოთქმის ახალი ფორმები.

მას აქეთ რაც ადამიანმა იგრძნო სოფელი წარმავალი, იგი ჰაერში დაეკიდა და ეძებს მაგარ წერტილს თავის ნიშნის მისამაგრებლად. აქ გაიყო გზები მოგვის და პოეტის: რელიგია ეძებს ნამდვილ ორეულს ქვეყნისას და უნდა ეზიაროს მის უკვდავებას. პოეტმა თავიდანვე იჭვის თვალთ შეხედა ამ ძიებას. იმან დაიჯერა, რომ ღმერთს ჭეშმარიტს ვერ იპოვის და ეძებს მხოლოდ მის ბუტაფორიას.

ყოველი მოვლენა თავისთავად კენცია და საწყალი. ისინი ცოდვილებივით მოდიან პოეტის ანთებულ თვალებთან და შიშით ელიან მის განაჩენს. პოეტს მინიჭებული აქვს იგრძნოს იმათ გადაღმა დიდი პარალელი უკვდავების. სათითაოდ ამართლებს და ფასს აძლევს სახეებს. მოვლენა პოეტის რეკომენდაციით — დადალული ღირებულებაა.

„ვაძლევ ქიმერებს მე — პოეტი აზნაურობას“. —

ამბობს ვალერიან გაფრინდაშვილი. ესაა მისი პოეტის: ქვეყანა ტანჯიანია. ტანჯაა მოვლენათა წარმავლობისათვის. პოეტმა უნდა შექმნას მაგარი ფონის ილფუზია, რომ მიაღწერს წარმავალი. ჭეშმარიტად მოვლენათა ჯვარცმა შეიქმს კათარზისს ბარათაშვილის სულისას.

პოეზიაში მოვლენები იწმინდებიან და მარადიულის შრიალი ისმის იმათ-იქიდან. ნივთები აითვისებიან, როგორც ნიშნები გამოუთქმელის და სახეები ხდებიან ღირებულებათ.

მაგრამ უკვე ტრადიციულია ჭორი პოეზიის დაპირისპირებისა სტილისტიურ პროზასთან. მარცვლების ერთი ზომით გადამთვლელი არაა პოეტი. პოეტია ის, ვინც იგრძნო ფენომენალობა სამყაროსი და აჩრდილი მარადიულის. პოეტია, ვინც კომპეტი აუგო ჟამთა სიავეს და როსტომ მანველიძე ბუხართან გაათბო. გამოთქმის საშუალება სტილის საკითხია მხოლოდ. პოეტი მოგვია და მისტიფიკატორი რამოდენიმეთ. ის არ გვაჩვენებს ჭეშმარიტ ორეულს ქვეყნისას. ის მხოლოდ გვამცნობს მის შესაძლებლობას და არლეკინის კოლპაკში დასტირის კარტონის სატრფოს.

პოეტი არ შეიძლება იყოს ნატურალისტი. ის, ვინც ენდობა ორ თვალს, ვერ იგრძნობს უფსკრულებს ნივთების შუა. ნატურალიზმის დამსახურება ისაა, რომ იმან პირველათ დაინახა სიმახინჯე. სინამდვილე მახინჯია, მაგრამ სიმახინჯის ფოტოგრაფია არაა ესთეტიური ღირებულება. ნატურალიზმმა მოიტანა აწინდელ პოეზიაში ეს უცხო ხილი და საჭირო შეიქნა მისი ესთეტიური გამართლება.

ათვალწუნებული მოვლენები ბოდლერის „ბოროტების ყვავილების“ და ვერლენის ცოდვიანი ლექსების შემდეგ ახალ სურნელებას აკმევენ. ტიცთან ტაბიძემ ორპირის სანახებში ციებას სხვა სიყვითლე მისცა და ღვედელსა და მალაღრიას სამუდამოთ ჯვარი გადასწერა.

ნატურალიზმი ჰგულისხმობს პოზიტივიზმს და ქვეყნის მთლიანობას. პოეზია არასოდეს არ იქნება პოზიტიური. იგი მისტიციზმია და კაბალისტიკა ნიშნების. ნატურალიზმი სტატიურია, პოეზია — დინამიური. პოეზია ქმნის ახალ ღირებულებას.

პოეტის აზროვნობა მეტაფორულია. პოეტი ეძებს ნივთების ფარულ დამოკიდებულებათ და ქმნის პარალელურ შეფარდებებს. ნატურალისტის ერთიან ქვეყანას არ ემჩნევა ფენომენალობა. სანამ გვაქ ერთი შეფარდება A/B , იგი მაგარია და მძიმე. როდესაც ითქმის მისი თანასწორი C/B , როდესაც შეიქმნება რეალობის შესაბამისი სახეები, მაშინ იგრძნობა დენა ჟამთა და უცნაურად ამჩატებულ ნივთების კადრილს მიყვება დაბერებული სახე სამყაროსი. ფარდა გადაეხდება საიქიოს და მის წინ ვდგევართ ტრაგიულ სილუეტებათ.

რეალობა, მეტაფორათ გაგებული, იცრიცება და ხდება გამჭვირვალე. მაშინ დავდგებით პირისპირ ქაოსთან და მას უნდა დავარქვათ ახალი საშინელი სახელი. ინდივიდი მოვლენა იშლება მარადიულში და ეს კოსმიური გრძნობაა წმინდა ესთეტიური განცდა.

სიმახინჯე გადაიქცა ახალი პოეზიის მთავარ თემად. სიმბოლიზმის თეორიებში მოთავსდა რეალიზმი (*realibus ad realiora*) და რკინით და ფოლადით გაშავებული ქალაქები მატერიალურ სიმძიმეს ჰკარგავენ ემილ ვერხარნის კეთროვან ლექსებში და მირაჟებათ გადაქცეულნი ახალ თრთოლვას იწვევენ. პოეზია გვაგრძნობიებს მთელ პირობითობას ქვეყნისას და გვებადება სურვილი, რომ ეს მახინჯი ნილაბი გადავხადოთ მის უთქმელ ქვედაპირს. სიმახინჯე რეალობაა და მეტაფორაში იგი საშუალებაა მისტიური განცდის.

პოეტისათვის ლურჯი ფარდა გაიხა, მაგრამ იმის გადაღმა ის გვიჩვენებს ყალბ სასძლოებს და გვაჯერებს თავისი გატაცებით. ვალერიან გაფრინდაშვილის თქმით — პოეტი აშორდია და მისი სახეები — ყალბი აზნაურები. პოეზია ქვეყნის ბუტაფორიული გამართლებაა.

სანდრო ცირეკიძე

Terror Antiquus

I

ჩვენი დროის პოეტს გაბედულათ შეჰყავს ლირიკაში საშინელი და მახინჯი სახეები. ჭრანსის ჟამესი ნატრობს ვირებთან ერთად სამოთხეში შესვლას. ვერლენმა თავის „კალეიდოსკოპში“ მოსწამლა ჰაერი შარდის სუნით. ბოდლერი ცხენის ლეშს ადიდებს და სტოვებს უყურადღებოდ ბანოვანებს. იგივე ბოდლერი აღიარებდა შავი ვენერის კულტს. გოჭმანმა ქალის მანეკენი შეიყვარა და რაინდულად დაჩოქილი ეფიცებოდა მას ერთგულებას. ლოტრემონის მუზა არის მშვენიერი გომბეშო. არიან სხვა პოეტებიც, რომელნიც კატებივით ერიდებიან ტალახს და უთუოდ ხელთათმანი აცვიათ. მაგრამ პოეზიის გიგანტებს — ედგარ პოეს და მალარმეს სახე გამურული აქვთ და იმათ არ ეშინიათ სიმახინ-

ჯის, რადგან მიხვდენ სამუდამოთ, რომ სიმახინჯე ქმნის ახალ სილამაზეს. ეს სასწაული სიმახინჯის ფერისცვალებისა ხდება ზედმინევენით ლირიკაში, ეპოსში კი, თუნდაც ავტორი გენიალური მხატვარი იყოს, სიმახინჯე რჩება სიმახინჯეთ — მაგალითად, გოგოლის ტიპები. ლირიკამ გარდაქმნა მთელი რიგი მახინჯ სახეების და აზიარა ისინი ესთეტიკას. ვოლტერი ამბობდა: ჩემი იდეალი არის გომბეშო. შექსპირი ამბობს მაკბეტში: საშინელი მშვენიერია და მშვენიერი საშინელია. ჰიუგო ფიქრობდა, რომ სიმახინჯეს აქვს ათასი ფორმა, მშვენიერს კი — ერთი. მახინჯს დიდი კავშირი აქვს საშინელთან. მახინჯი საშინელია, საშინელი კულტია თანამედროვე ხელოვნების. საშინელებას ბერძნულ ქანდაკებაში და ტრაგედიაში დიდი ადგილი უჭირავს — მაგალითად, ლაოკოონი, მეფე ოიდიპო, პრომეთე, ანტიურ ტრაგედიის თავადებმა — ესხილმა, სოფოკლემ და ევრიპიდმა იცოდენ იდუმალეზა საშინელის და მას დიდ ადგილს უთმობდენ თავის შემოქმედებაში. ჰომეროსის სფინქსები და ციკლოპები მახინჯი სახეების გამოფენაა. ბაგრატის ტაძრის ნანგრევები სიმახინჯის შედეგია, როგორც ნოტრ-დამის ბრწყინვალე ქიმერები.

ბოდლერის „ჰომნი მშვენიერებს“ საშინელების აპოთეოზია. არსებობს დიდი კავშირი თანამედროვე ლირიკის და ანტიურ ტრაგედიის შორის: ეს ტრაგედია და ლირიკა აღიარებენ საშინელების კულტს. ჩვენი დროის ლირიკა ანტიურ ტრაგედიის მაგიერობას ასრულებს. გრძნობას, რომელსაც განიცდის ტრაგედიის მაყურებელი, არისტოტელმა დაარქვა კათარსისი. ლირიკა არის განსანმენდელი.

ის რაც ცხოვრებაში ლამაზია, ხშირად პოეზიაში მახინჯია და რაც სინამდვილეში მახინჯია, ხელოვნებაში მშვენიერია. ლამაზი და მშვენიერი ერთი და იგივე არ არის. მშვენიერება შექმნა ხელოვნებამ და ის ხელოვნების კათეგორია არის, სილამაზე კი არის ცხოვრების კათეგორია. ხდება ასეც, რომ პოეზიაში ლამაზი მშვენიერს უსწორდება, რომელთანაც მეტი კავშირი აქვს, მაგრამ მეტ აკტივობას იჩენს ხელოვანი, როდესაც შეჰყავს მახინჯი ხელოვნების სფეროში და მშვენიერ მოვლენად აქცევს. ხელოვნებაში მახინჯი არ კარგავს თავის გარეგან ატრიბუტებს, თავის ფორმას, მაგრამ მისი შინაარსი სულ სხვა არის და ესთეტიურია ის ემოცია, რომელსაც ჩვენ ვიღებთ მახინჯიდან ხელოვნებაში. ბუნებაში სიმახინჯეს ჩვენ ვაფასებთ ფორმის თვალსაზრისით, ხელოვნებაში კი როგორც ფორმის ისე შინაარსის თვალსაზრისით. როგორ ხდება ეს სასწაული, როდესაც მახინჯი გადადის მშვენიერში და მის ადგილს იჭერს? ამაზედ ბევრ პასუხს იძლევიან. ამტკიცებენ, რომ მახინჯი არის მშვენიერის ქვედა საფეხურის დარღვევა უფრო მაღალი საფეხურის მისაღწევად. ჰიუგო ამბობს: მახინჯი არის რგოლი იმ ჰარმონიის, რომელსაც ჩვენ ერთბაშად ვერ ვითვისებთ. შელლინგი ნუსხავდა მშვენიერს, როგორც დამახასიათებელს. ბალზაკის აზრით, ლამაზი წარმავალია, მახინჯი კი მარადი. შეიძლება აგრეთვე ავხსნათ ესთეტიური გრძნობა, რომელსაც იწვევს მახინჯი კონტრასტის კანონით, ესე იგი მახინჯი, როგორც დისჰარმონიული, არის პირობა მშვენიერის — ჰარმონიულის.

დოსტოევსკი (მისი ტანჯის კულტი ენათესავება მახინჯის კულტს) ამბობდა: პროზაული, მეტად პროზაული ფანტასტიურში გადადის. ამ თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია გავვიგოთ მახინჯი, როგორც არა ჩვეულებრივი, ახალი. ბოლოს და ბოლოს ხელოვნება იმდენად არის მისაღები, რამდენად იძლევა ის საიქიოს წინაგრძნობას. მახინჯი ირრაციონალია და ის აკმაყოფილებს ჩვენს პოეტურ მოთხოვნილებას და ლტოლვას საიქიოსადმი.

II

ჩვენ სულში ერთი წუთით არ შერყეულა მშვენიერების გრძნობა. სიმახინჯე ჩვენ გვესმის როგორც სიმბოლო და როგორც ირონია. მახინჯს ჩვენ ყოველთვის ვგულისხმობთ, როგორც მოვლენის ზედაპირს, როგორც ფანტასტიურ ნილაბს. ჩვენ არ გვიტაცებს ის, რაც პირდაპირი სახით გვევლინება — ჩვენ გვინდა ნილაბი. ყველაზე უფრო საშინელი და ირონიული ნილაბი მშვენიერის არის სიმახინჯე. ზღაპრებში ბაყაყი გადაიქცევა დედოფლად. მახინჯში დატყვევებულია და იტანჯება მშვენიერი სული, რომელიც განთავისუფლებული უნდა იქნას ხელოვნების ჯადოქრობით. ჩვენი ცხოვრება მახინჯი ანარეკლია მეორე იდეალური სამყაროსი, რომელსაც პლატონი ჩვენს პირველყოფილ სამშობლოს უწოდებს. მახინჯს მეტი კავშირი აქვს ქრისტიანულ და არა ანტიურ კულტურასთან; ქრისტემ აღიარა როსკიპი, კეთროვანი, მათხოვარი და დააყენა ისინი ფარისევლებზედ უფრო მალა. არის ორი წყარო: ლამაზი და მახინჯი, რომელთა ბედნიერ შეერთებიდან იბადება ერთად ერთი მშვენიერება. თავის უკვდავ სონეტში „შესაბამება“, რომელიც სიმბოლიზმის მთელ თეორიას შეიცავს, ბოდლერი ამბობს: არსებობს კავშირი შორეულ საგანთა შორის; როდესაც პოეტი ამ საიდუმლო კავშირს (მალარმეს სიტყვით — ანალოგიას) ნახულობს, ჩვენ განვიცდით მარადისობის გრძნობას. ხელოვნებაში ხვდება ერთმანეთს ორი წინააღმდეგი მოვლენა — მახინჯი და ლამაზი და ამ მისტიურ შეხვედრიდან იბადება ახალი ესთეტიკა.

მახინჯი არის ვაჟური დასაწყისი, ლამაზი — ქალური. პირველში სჭარბობს იდეია, მეორეში კი ფორმა.

შემოქმედება ქიმიური პროცესი არის, რომელშიდაც სხვადასხვაგვარი ელემენტებიდან იქმნება ახალი ნივთიერება. პუშკინის „ქეიფი ჟამიანობის დროს“, ტიუტჩევის მალიარია, ედგარის მოთხრობები, ბოდლერის ყვავილები, აპოკალიპსი, როპსის და გოიას სურათები მახინჯის გამარჯვებაა ხელოვნებაში. სინამდვილე თავისთავად მახინჯია — ლირიკა ამართლებს ამ სიმახინჯეს და მასში ნახულობს თავის იდეალს. ლოტრეამონის გომბემო უფრო ანათებს პოეზიაში, ვიდრე შილერის რიტორიკა. სალომეია, ლიგეია, ლედი მაკბეტ გვაზინყებენ გრეტიხენს და დეზდემონას. ესთეტიკის წინაშე ბაირონს გაამართლებს მხოლოდ მისი „კაენი“ და მისი კოჭლი ფეხი. ინით შელებილი და ცალი თვალით ბრმა აკაკი უფრო მისაღებია ჩვენთვის, ვიდრე სულიკოს ახალგაზრდა ავტორი. წინამურის ტრაგედია ოლიმპიელთა სიმალლეზე აიყვანა ილია და დაჩრდილა მისი ბანალობა. შელლის სინაზე დაგვაზინყა ლაფორგის სინაზემ, რომელსაც ლოყები ანითლებული აქვს ჭლექით. თანამედროვე პოეზიამ ისურვა მოვლინებოდა კაცობრიობას მახინჯ ნილაბით, მაგრამ ამ ნილაბიდან იყურებიან ბეატრიჩეს თვალები. სილამაზე ათასჯერ გაკოტრდებოდა აქამდი, რომ მას არ ეხმარებოდეს სიმახინჯე. უკანასკნელი არის გადაბრუნებული სახე სილამაზის. დღეს პოეზიას ქმნის ბოჰემა. ამ პოეზიას მედუზის სახე აქვს, ბოჰემამ გარდაქმნა თავისი სილარიბე და კეთილშობილ აჩრდილად აქცია სიგიჟე და თვითმკვლევლობა.

ლამაზი უშუალოა და პრიმიტიული, მახინჯი რთულია და სიმბოლიური. მახინჯი დინამიურია, ლამაზი სტატიურია. მახინჯი, როგორც უცნაურობის წყურვილი არის ხიდი სინამდვილის და საიქიოს შორის. ნერონი მახინჯი იყო: ახლა ის უფრო მომხიბლავია, ვიდრე მარკ ავრელი და პეტრონიუსი. დანტეს ჯოჯოხეთი მახინჯია, მაგრამ ხელოვნებისთვის ის ძვირფასია, როგორც სამოთხე და სამოთხეზე უფრო მშვენიერია. ედგარის ყორან-

მა დააბნელა სამყარო და მთელი პოეზია დანავსა. დოსტოევსკის იდიოტი ფუტურისტების წინამორბედი და ეპილეპსია შედის ფუტურიზმის პროგრამაში. მთელი ფუტურიზმი მახინჯის ქადაგებაა, რამდენად ის უარყოფს გონიერ ხელოვნებას და იცავს გონების გარეშე მდგომ პოეზიას. პარადოქსი ამბობს: ახლა რომ პოეტმა ქალი შეიყვაროს, მას უთუოდ უნდა ჰქონდეს ერთი ხელი, როგორც ლუერის ვენერას. ის უნდა იყოს ან კოჭლი, ან მუნჯი, ან ელამი, რადგანაც მხოლოდ მახინჯ ქალს შეუძლია აამღეროს პოეტი და ათქმევინოს გედის სიმღერა.

შეიძლება მოყვანა ურიცხვ მაგალითების, რომელნიც უმკვიდრებენ სიმახინჯეს ხელოვნებაში დიდ ადგილს, ტახტს თუ არა. სიმახინჯე არსად არ არის ისე ფანტასტიური, როგორც ლირიკაში. ეპოსში ის უფრო რეალურია და მიტომ უფრო მიუღებელია. მომავალ პოეზიაში კიდევ უფრო გაბატონდება სიმახინჯე, თუმცა ის თავის კავშირს მშვენიერებასთან არ დაკარგავს. ხელოვნების სფეროში სიმახინჯე სრულიად ზნეობრივი მოვლენაა და ცხოვრების უზნეობასთან საერთო არა აქვს რა. სილამაზის მარადი იდეალი არ არსებობს. ჩინელები და იაპონელები თავყვანს სცემენ მახინჯ კერპებს. ჩინეთში ყველაზე ლამაზ ქალად ითვლება ის ქალი, რომელსაც უფრო დამახინჯებული და პატარა ფეხები აქვს. შეიძლება მომავალმა ესთეტიკამ სრულიად უარყოს ის ხელოვნება, რომლითაც ჩვენ ვამაყობთ.

ჩვენ გვნამს, რომ ხელოვნება კიდევ უფრო გააღრმავებს თავის შინაარსს და ეცდება მთელი სინამდვილის გარდაქმნას. მახინჯი სახე თანდათან უფრო კეთილშობილი გახდება. იქნება იმდენი სილამაზე, რამდენიც კაცი და ნივთი არსებობს. ხელოვნება გააღმერთებს მთელ ქვეყანას და, როგორც, ქრისტი განკურნავს კაცობრიობას ყველა სენებიდან. დადგება დღე და სამყარო, როგორც მსახიობი მოიცილებს სახიდან დამპალ ნილაბს და პირვანდელ იდეალურ სახეს დაიბრუნებს.

ვალერიან გაფრინდაშვილი

რთველი

შავი საწნახელი ვეშაპათ როფილი.
მტვენების ტევრები მთელი და სრესილი.
სურნელის ტბორით დამთვრალი პროფილი.
წვივები მწურავის წითურ შეგლესილი.

გიდელი გოდორი ძარი და კალათი:
ყურძენი მოდის ყვითელი და შავი.
ცხვირგადატეხილი ხაპის ქალათი —
ტკბილს ეძალებიან ყივილით ბავშები.

გადახრილ მზის ლალებს აქარვებს ხარდანი.
ზანგელა გველებათ აწვდილან ლერწები.
იშმუშნებიან ფოთლების ფარდანი:
ჩეროან გრილოში რაღაც იღენება.

სუნთქვა განაბული შრიალი ჩურჩული:
ჩემი ხარ, ჩემი ხარ: რათა ხარ ურჩული.
კოცნის შაირი ნელი ხმა თანაბარ:
მეც შენთანა ვარ: მეც შენთანა ვარ.

ფერები გარბიან სარზე სარიდან.
ვაჟები მღერიან ოდელა დილანოს.
გვიახლოვდები რომელი მხარიდან:
ევოჲ დიანოს: ევოჲ დიანოს.

გრიგოლ რობაქიძე

პაოლო იაშვილს

ჩემი სონეტი მოელოდა ეპიტალამას.
სიამის ტყუპნი სიამითაც ვიყოთ ტყუპები.
საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ლამაზს
მაშინაც, როცა პოეზიით დავიღუპებით.

სხვა მეგობარმა და პოეტმა გვადარა აღმასს.
ვიცი: გავტყდებით და არასდროს მოვიღუნებით.
თვით პოეზიას ურიდებლათ ვახურავთ ჩალმას,
მაგრამ სავსეა სიყვარულით თვალის უპები.

წითელი ხარის გამძლეობა მაგარი ჯიში.
და იალაღზე შენ იქნები მუდამ წინამძღვრათ,
ამიტომ არ აქვს არც ერთ ყანწელს აქამდი შიში,
რომ საქართველოს მოვედებით ლექსის ნიაღვრათ.

ყველას გვინდოდა ყოფილიყავ ჩვენი ამარა,
მაგრამ ჩვენ ძმობას დღეს გიბრძანებს შენი თამარი.

ტიციან ტაბიძე

ავტოპორტრეტი

ვარ ბარბაროსი, ვარ ხაზარი, ვარ სარაციანი,
რომის კედლებთან ურაგანი და დინამიტი.
ცხელ რუსუდანის მესრისება მე სარეცელი,
დაუბრუნებელ სივრცეების მალრჩობს ამინდი.
ძველი სისხლები არის ჩემში დარეულები,
(კახეთის მსუქან თეძოების ვწოვე მტევნები).
თავზე მადგიან კვირეები მთვარეულები
და პურპურივით მზე მეცემა დაუტევნელი.
რასის ჭრილობებს ტანზე ვითვლი, როგორც ყვავილებს.
ქართლის თავადი და პარიჟის დიდი ტრიბუნი.
მიყვარს დროშები საქართველოს გამოყვანილი,
მზე — ჩემი გვარის ლაშქრობაში გათეთრებული.
პოეზიაში, როგორც რუმბში ჩაყუდებული.
ყველა წვენებში, ყველა შხამში სული ჩავანე
არტფურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული —
მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე.
მე ვარ პოეტი, კვირეული ვარ ნიამორი.
შეგვიანებულ ტრამვაების ყრუ „ნევერმორით“!

გიორგი ლეონიძე

ინფანტა

ვერ მოვიგონე, ვინ შემეხო სისხლიან ხელით.
ხუთივე თითი აღიბეჭდა თეთრ აბრეშუმზე.
ჩემი ფიქრები გადაინნა მენამულ გველათ
და ჩემს ხატებას თეთრ სარკეში მე ველარ ვუმზერ.
კომპარტა გროვას ათამაშებს დამშეულთ ლანდი,
ლამის კალთაში რომ ატარებს გამხდარ მემკვიდრეს.
მოიმღერიან მოცეკვავენი ძველი ელლადის.
იყავ ცბიერი და თვითმკვლელობა არ გაგიკვირდეს.
გულს დამისერავს შეყვარება ელექტრო ცეცხლის,
გაყინულ ბროლით სულს დაობლებულს რომ ვერ გაათბოს.
მომენატრება მდუმარება ცისფერი ვერცხლის.
ქუჩის დედოფალს დიამანტებით არვინ შემამკობს.
ო, რა ენაზე, რა სიტყვებით, ან ვის მივმართო,
რომ გამოვტაცო საშინელი იდუმალება!
წყეულ იჭვებით დაფერფლილი დავრჩები მარტო.
სიგიჟე ჩემი ჩინურ ვაზაში დაიმალება.

ლილი მეუნარგია

ყვითელი მალაელი — პოეტი მანეკენი

ახლოა წუთი ულმობელი ნაცაღი ხშირათ.
აცბიერდება კუზიანი მთვარე მაისის.
გაყვებები ჩემ სულს დაღმართებით ჯაშუშათ, გზირათ;
დამატრიალებს დღეს ოცნება უზენაესი.
საბედისწერო ახლოვდება შეხვედრა ჩვენი;
დაღბობილ სახეს ვაკვირდები, ვაშორებ რიდეს;
მღვრია შუშიდან გაღიმება მას მეტათ შვენის;
მივესალმები როგორც პოეტს უჭეშმარიტესს.
წვრილი ფეხებით გადმოიარს მაგიდას მარცხნით,
და მომიჯდება ირიბულათ თვალეზ დახრილი;
თმებს გახუნებულს გაისწორებს ზარმაცი ვარცხნით,
და ურიცხვ ჟამთა მას მოჰყვება ნიაფი გრილი.
დამპალ უბიდან ის ალაგებს ლექსებს სხვანაირს,
და მანვდის ხელში, ვით მუმეებს, ვით ტარანტულებს;
სანამგლავებით გააბრუებს, დატვირთავს ჰაერს,
და სინამდვილეს ის კანკალით ჩემ წინ ართულებს.
შავ კრიალოსნათ მე სამყარო გადმომბარდება,
მაგრამ მალაელს დაანვება მთვარე მტყლიურათ;
ჩამომპალ სახეს ხორცმეტები მძიმეთ ვარდება,
და მანეკენი ილუპება ფეერიულათ.

კოლაუ ნადირაძე

გამოთხოვება

მოვკვდები ჩემად ჩემს კუთხეში სანყალი მგზავრი.
სულს გამიცეცებს მე ქალაქში თუჯის სახლები.
და ნავალ ისე მოკრძალებით, უცნობი ჯავრით
რომ სიბრაღით დამკოცნიან ქუჩის ძაღლები.

არ გამანათებს გვირგვინები და პროცესია.
გულდია საფლავს არ დააბნევს ვარდს ქალწულები.
კუბოს ცხენებიც არ წაიღებს როგორც წესია —
აშლილ ნაბიჯით ნამათრევენ დაქანცულები.

ო, მეგობრებო! მომიტევეთ შეცოდებანი.
დაბეუილ სხეულს ვინ გაუღებს სამოთხის კარებს.
განსაზღვრულია წმინდანების იქ წოდებანი
და პატიოსნად ცხონებულებს ვინ მიმიკარებს.

მე ხომ უეცრად დამიმარცხდა ყველა უჯრედი
და ჩემი სისხლიც მოიწამლა გადაშენებით.
წინაპართ თესლის ძლიერება მხნე და უშრეტი
ცოდვამ წაიღო ვნებიანმა ჩქარი ჭენებით.

ჩემით თავდება წელმაგარი გლეხების გვარი.
მამათა სისხლი გადავლესე შხამიან ძმარში.
დავიწვი ისე, როგორც ჩვენსას იწოდა კვარი.
და მშობელ მინას ვაგონდები მე ავ სიზმარში.

მე ბევრი მიმაქვს უცნობი და გაუგებარი.
ჩემს ტვინში ბევრი უცხო აზრი გადაგლესილა.
მე არ მსმენია ტკბილი სიტყვა — ძმა, მეგობარი.
ო, რომელიმეს მტრულად მაინც გაერტყა სილა.

და ეხლა მკვდარი, ფეხშიშველი, გახუნებული,
ხმელი ვკიდევარ ორი ქვეყნის მე ორბოძალზე.
მე წარსულ დღეებს გადავტირი დაღონებული.
და ყველა ღმერთებს სათითაოდ ვაგინებ ძალზე.

ნიკოლოზ მინიშვილი

წერილი სანდროს ტფილისიდან

ძველი ხატების დიდ მინანქრებში
კვდება ტფილისი — ქართლის დიდება.
და მოგონებას ქვების ნამქერში
ჩემი თვალები გაეკიდება.

ო, საქართველო! მინდა მივმართო
დარღვეულ სხეულს, ჩემ მინას — დობილს:
შენ ამ სივრცეში იწვები მარტო,
ვინ შეგიფარებს აქ არ შენდობილს?

ლამეებს მიაქვს დღის მწუხარება.
და მოჩვენება ცხელი ისანის.
გადაავიწყდა ტფილისს ხარება:
ჩვენც ერთმანეთი გადავიცანიო.

აქ საოცარი იწვის ხველება,
საფლავი არის თვალების უპე.
სანდრო! გვანუხებს საშინელება,
ბაღლინჯოს სრესა, შმორი და წუმპე.

შემოგვეჩვია ქარი სოველი,
გვიანი სპლინი ომით ნალესი.
შემოლამებას კრთომით მოველით.
იქნება ჯვარცმა უმწვერვალესი.

პილიგრიმები. უდაბნო ცხელი.
ნინო წარმართი და კლეოპატრა.
სანდრო! მეძახის შენი სახელი
და საფიჩხია კვლავ მომენატრა.

შალვა აფხაიძე

მარო მაყაშვილს

მე არ გიცნობდით, ამორძალო, სწორო თამარის, —
მაქვს სანანებლათ თქვენი სახის უნახველობა.
მაგრამ ამბობენ: რაჭაელის უნდა ხელობა
თქვენს ნამდვილ პორტრეტს, დღეს რომ ვარდი ფარავს სამარის.

ო, არ დაგცალდათ ნაზი ცქერა მზიან კამარის,
და როს იგრძენი, გშორდებოდა უნალველობა —
გტანჯავდა უხმოთ განწირული ბედის ქველობა
და სიყვარული საქორწილო თეთრი ქამარის.

მოსჩანს მთვარეზე განწირული მამაცი ჯარი.
და უჩვევ შიშით ვეფარები ქვის მოაჯირებს:
მოულოდნელათ თქვენს სასთუმალს მოძვრება ჯვარი —

ვით ქაფის სვეტი წამოდგებით გაშლილ ქოჩორით.
და მოგონებით გულდანყვეტილს დიდხანს გაჩერებს:
ქოროლლის ციხე, ტაბახმელა, რუხი კოჯორი.

რაჟდენ გვეტაძე

მკვდარი ბრფუგგე

დღეს ქუთაისი თითქო ჩემთვის მკვდარი ბრფუგგეა.
ყველა წარსული დანგრეული მოდის ბალებად.
აქ მოგონებას შრიალების ფრთები უგია
და ღამდებიან ოცნებები როდენბახებად.
გადიარს მთვარე მკვდარ ქალაქზე მარადი სევდით.
ო, რა უცხოა ეს სალამო და გამობრწყენა.
თავდავინწყებას ჩვენ მგზავრები ამაოდ ვსდევდით.
როგორც პრინცესა მგლოვიარე — გვფარავს მოწყენა.
გუშინ ვაგონში ფერმკრთალები შიშობდენ ჭლექზე.
ისროდა ველებს სექტორებად უცხო მედისკე.
მე კი მათრობდა მხოლოდ ერთი ძვირფასი ლექსი:
„მიმქონდა ხსოვნა ელენესი იმერეთისკენ!“
მკვდარო ქალაქო, გაიღვიძე! შენს ხნიერებას
ჩემში ტირიან ხავსიანი ტაძრის სვეტები.
მე წარმოვადგენ აქ პირველად ქვეყნიერებას,
მერე დაჰქრიან სივრცეებში სხვა პლანეტები.
არ არი ღმერთი! გადმობრუნდა ცა შერყეული.
უნდა გავექცე ამ ქვეყანას საგველეშაპოს...
მშობელო მიწავ! ჭემმარიტად იყავ წყეული
და ვერ გადურჩე დამარცხებას, სირცხვილს, ეშაფოტს!

შალვა კარმელი

Divagation

როგორც ჰამლეტი — წარმოდგენას თვითონ განაგებს
ლურჯი საღამო — შავ ლორწოვან მოხეტიალეს.
ის თავის კუკლებს კაჭეებში დააბანაკებს
და ბალაგანის დაინყება ჩქარი ტრიალი.

ჩვენ, პოეტები, რუს ქუჩებში გავიფანტებით.
ტრამვაებს შორის აჩრდილები კენტათ დადიან.
ცქერას დავიტკობთ აჩრდილების ავი ფანდებით,
თითქო ეს წუთი საოცარი სხვა პარადია.

პატარა ფრთებით მოფრინდება გრიგოლის ალკა
და უიმედოთ გვეკითხება ის მამის ბინას;
ჩვენ კიდევ გვინდა, ვემსახუროთ მას კათაქალკათ,
მაგრამ მოინყენს და გაჰყვება ქალაქის სინას.

ჩვენი ძეგლებით მედიდურობს ქუჩა გვიანი:
შუადღის პანი ამართულა ვით ოქროს ბუდდა:
გამოკვეთილი ალმასიდან სდგას ტიცვიანი:
ბრწყინავს პაოლო ბუმბერაზი და ნალდი მუდამ.

მაგრამ ეს ქუჩა მობრუნდება ვით კარუსელი:
მახინჯი სახლი და წარწერა: ყანწელთა მორგი.
სანახაობას აუტანელს ველარ უძელით
და გავექეციტ მოჩვენებას ხმა-დანაბორკი.

ვალერიან გაფრინდაშვილი

პოეზიის ნაპირები

სამთავრო პოეზიის არაა შემოხაზული საბოლოოთ. პოეზიას ყოველთვის სჩაგრავდენ და პოეტის სახელს სცვეთდენ ათასნაირად. იმას გაუჩნდა მეზობლებიც და მეტოქეებიც. პოეზიას ურევინ ლექსთწყობაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში და პუბლიცისტიკაშიდაც კი.

პოეზია ენერგიაა, ქმედობაა, გადალახვაა საზღვრების. პოეზია მაშინვეა, როდესაც ათვისება იღებს მისწურ ხასიათს და მისი თქმა ფერებით და ხმებით არაა სავალდებულო. ალი არსენიშვილს და არჩილ მიქაძეს არც ერთი სტრიქონი არ შეუტანიათ პოეტურ მწერლობაში, მაგრამ ისინი პოეტები არიან უთუოდ: მე მნამს, რომ მათთვის ჩვეულებრივი ნივთები იზნიდებიან სხვა სამყაროების გამოსაჩენათ.

პოეზია არ ეტევა ლიტერატურაში. ის უფრო მაღალია და მისი თვალეები ისვენებს ხან მუსიკაში, ხან მხატვრობაში. პოეტებია სკრდაბინი და გუდიაშვილი. პოეზია განცდაა და მისი გამოთქმა შეიძლება პეტრარკას სონეტით, პროზით, სიმფონიით, უესტლერის სა-

ღებავებით. არაა სავალდებულო თქმის სიკეთეც. ცუდი პროზა ხშირათ ჩვენი აზიური მოდერნისტების გათლილ ლექსებზე უფრო პოეტურია.

პოეტის განცდა მაღალ საფეხურებზე იღებს ან ტრალედიის ან ირონიის ხასიათს. ვისაც ეზმანება ორეულები წარმავალის, იმას შეუძლია ლაჭორგევით გაასვენოს დედა-მინა. ირონია შეიძლება მივიდეს თქმის უარყოფამდე და უნდა მოველოდეთ ამაყ პოეტებს, რომლებიც აღარ გამოსთქვამენ თავის განცდებს. ჭეშმარიტი პოეზიის ორლობე მიდის ამ უფსკრულისაკენ; აქ იქნება ნამდვილი კრიზისი ძველი პოეზიის: დიდი განცდები აღარ დაიმტვერება ვიტრინებში მუშტრის მოლოდინში და ფილისტერებს აღარ დასჭირდებათ აუბილევების გადახდა პოეტებისათვის. მაგრამ აუბილევები მაინც იქნება: ფილისტერმა არ იცის ჭეშმარიტი პოეზია — მისთვის ყველა სახელები თავსდება ხელოვნებაში. მისთვის მისაწდომია მხოლოდ უშუალო განცდა, განცდა ფიზიოლოგიური. ის ხუთი გრძნობის გალიაშია და ყველა სიმფონიები ბეტჰოვენის მის ყურის ბარაბანს არ სცილდება.

პოეზია არაა ნაწილი ხელოვნების. ხელოვნებას საკუთარი სამთავრო აქვს: იგი სტილია, ფორმაა, საფარველია მათსი. გარეგნობაა ერთი სიტყვით. მას აქვს ინსტინქტიური მიხვედრა გრძნობათა კაპრიზების და ეძებს უფრო მისაღებ და ადვილ ფორმებს. საუკუნოებით მუშავდებოდა კანონები სიმეტრიის, გარმონიის; ხელოვნება ტენიკაა, მიღწევაა. ის არაა დინამიური, ის სტატიურია თავის უმაღლეს საფეხურებზე. ხელოვნებამ იცის მარადი ფორმები ფუგის, სონეტის, კორინთის და იონიის კოლონების. ფორმა უდიდეს როლს თამაშობს არხიტექტურაში და აქ ყველაზე უფრო გამოჩენილია ხასიათი ხელოვნების: დაკანონებული ფორმები და კომპოზიციები ორეულებივით მეორდებიან დროში და სივრცეში.

ხელოვნებას საქმე აქვს მარტო მატერიალურთან. ფერების შერჩევა, ხაზების მოშვილდვა, ხმების შეწყობა ისე, რომ თვალს ეამოს, სმენა დატკბეს — ხელოვნებას სხვა აზრი არა აქვს.

ხელოვნური ნაწარმოები შეიძლება იყოს თავისთავადი, მარტოოდენ ფორმა უშინა-არსო. იგი შეიძლება შედევრიც იყოს ოსტატობით, მაგრამ მეცხრე ცის გადაღმა არ გადავახედებს. ასეთია იგორ სევერიანინის ლექსები, იტალიანური მუსიკა ხშირათ, მოდერნიზმის ცრუკლასიკური ხელოვნება და ყოველი კლასიციზმი იდეალში. ესაა ხელოვნება ხელოვნებისთვის, ფორმა ფორმისთვის, წმინდა ფორმა წმინდა ფაბულით. მას პოეზიასთან არაფერი კავშირი აქვს და მისი მნიშვნელობა იმგვარივეა, როგორც „ზაფხულში ტკბილი ლიმონათის“.

უფრო ხშირათ ხელოვნება მოჯამაგირეა. იგი თავისი ლამაზი ფორმებით ტანსაცმელივით მიდის საცვეთად პუბლიცისტიკასთან, ფილოსოფიასთან, არითმეტიკასთანაც კი. იგი პასიურია მონასავით და ადამიანის ხუთ გრძნობას მორიდებით უსწრებს წინ, რომ მის სასიამოვნოთ გაალამაზოს ყოველივე — მეცნიერება, რელიგია, ქუჩები, ოთახის მორთულობა.

უტილიტარული ხელოვნება ხშირათ სალდება „აზრიან ხელოვნებათ“. ასეთია აკაკი წერეთლის ლექსები ბანკობიაზე. მისმა მონაფებმა ვერ გაიგეს მისი „ალმართ-ალმართი“ და „სულიკო“ და თმაგათეთრებულები დღემდე ლექსავენ მიმდინარე ცხოვრების ფილოსოფიას 200 ბნკარში და პოეტების ლექსიკონში თავის სახელს ელიან. მაგრამ მხატვრულად დაწერილი ფილოსოფია ან პუბლიცისტიკა იგივეა, რაც ვრუბელის ორნამენტებით შემკული ბუხარი. აკაკის საბანკო ლექსები გავს შაქრით დატკბილულ პილფულებს. ეს „აზრიანი პოეზია“ არაა პოეზია; იგი მხოლოდ ბელეტრისტიკაა,¹ სულ ერთია ლექსათა თუ სადათ დაწერილი. აქ გალამაზებული ნივთებია მთელი თავისი სიმძიმით.

1. ბელეტრისტიკაა ყველაფერი, რაც მხატვრულ ლიტერატურაში პოეზიის გარეშე რჩება.

ასე რაინდებივით პირისპირ დგანან პოეზია და ხელოვნება და ხმალში ინვევენ ერთმანეთს. ბედნიერ მომენტებში ისინი მეგობრებივით ხვდებიან. პოეზიასთან თანამშრომლობა ყოველთვის ამალღებდა ხელოვნებას: აქ იგი არ იყო არც აზრიანი და არც ცარიელი.

პოეტური თქმა არაა ყოველთვის ხელოვნური თქმა. ჩვენ დიდ პოეტებს ნიკოლოზ ბარათაშვილს და უფრო ვაჟა-ფშაველას უწუნებენ სიტყვის ოსტატობას.

ხელოვნებას საქმე აქვს ჩვენ ხუთ გრძნობასთან უმთავრესად. იგი თითქმის ხელშე-სახებია და უფრო ადვილია მასთან მეცნიერული მეთოდებით მისვლა. ამიტომ, რომ ესთეტიკა იმედინათ ეძებს სიმეტრიის და სილამაზის კანონებს. ესთეტიკა ფორმის, სტილის, ათვისების თეორიაა. პოეტიკა იქნება თეორია განცდის. პოეტიკა უმთავრესად მეტაფიზიკური და მისტიური იქნება.

ხელოვნების ჩაქუჩი გაუძღვებს დროთა ბრუნვას. იმას არ ეშინია ფორმების გამეორების. მაგრამ თუ პოეზიამ უარი თქვა სოფელზე და თავის სენაკში ჩაიკეტა, ხელოვნების გამონვდილ ხმალს არავინ უპასუხებს და ფილისტერები ვერ შეამჩნევენ მის მარტობას.

სანდრო ცირეკიძე

12 ივნისი, 1921 წ.

სახელების მაგია

დღეს პოეზია დატვირთულია სახელებით, როგორც კალიოსტროს თითები ძვირფასი თვლებით. ერთი სახელი შედის პოეზიაში, როგორც დედოფალი და მეორე, როგორც მონა.

პირველად სახელს აქვს რეალური შინაარსი, მაგრამ ის თანდათან ინმინდება რეალობიდან და საკუთარ ღირებულებად იქცევა. მთები საბერძნეთის მითოლოგია დღეს სახელების მაგია არის, დაშორებული თავის პირვანდელ ნიადაგს.

დღეს პოეზია ინვის თავის საკირეში და არაფერს არ სესხულობს ცხოვრებიდან.

პოეზიის მთავარი მიზანი არის გამოგონილი ან არსებული სახელის დამტკიცება და გაძლიერება. სახელი არის რკინის მავთული, ჰაერში გაბმული, რომელზედაც პოეტი ჯამბაზი სიარულს ბედავს.

სახელი და სიტყვა ერთად იზრდებიან, შემდეგ სახელი გაუსწრებს ზრდაში სიტყვას და მალა ააგდებს ტანს. როგორც რომელიმე გმირი ჰქმნის ლეგენდას, ისე სახელი პირველი აშრიალების შემდეგ ჰქმნის თავის ფანტასტიკას.

პოეტის კულტურა გაიზომება სახელების შესაფერი ხმარებით. ქართულ პოეზიისათვის ბოლო ხანამდი არ არსებობდა სახელების ჯადოქრობა. არ იცოდენ, რომ სახელი დიდი საშვალეება მხატვრული მიზანის მისაღწევად.

ტიციან ტაბიძემ თავისი ბრწყინვალე სონეტი „ესკურიალი“ ასე გაათავა:

„მაგრამ სახელი პოეტების უფრო გვაბრმავებს“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მგოსნის მდაბიო სახელწოდება ტიციან ტაბიძემ შესცვალა პოეტის კეთილშობილ სახელით.

არიან პოეტები, რომელნიც სახელის გამოტანას ვერ ახერხებენ: სახელები იცნობენ პოეტებს და ყოველ მეტიჩარას არ ემორჩილებიან.

პოეტების სახელი ანათებს, მაგრამ არიან სხვა სახელები, რომელთაც ეზიარა ჩვენი ოცნება: ბირნამის ტყე, სააკაძე, ერესეჭესერ, თამარი, წინამური, ეიფელი, აშორდია, მაკადამი.

ზოგი ნივთები და მოვლენები თავისი მოკვეთილი სახელით უტოლდებიან ადამიანთა სახელს.

სანდრო ცირეკიდის აზრით პოეზია სათაურით გათავდება. მაგრამ შეიძლება სათაურის უარყოფა ავტორის სახელისათვის, რადგან ავტორის სახელი უფრო მჭერმეტყველია. სახელი როგორც საოცნებო მირაჟი პირველად აღმოაჩინეს პარნასელებმა (ტეოფილ გოტიე).

პარნასელებს შეჰყავთ ისტორია ლირიკის სასუფეველში და დღეს ლირიკა ქანაობს სახელების საქანელაზედ.

ქნუტ ჰამსუნის ილიაილი სახელია და ეს სახელი ევლინება მშიერ ბოგემას როგორც მუზა, როგორც მუცელ-მოგვი მადონა.

უეჭველია ის, რომ სახელი ახალმა პოეზიამ გააზღაპრა, იმ ლირიკამ, რომელიც არის ლიტერატურის სინტეზი და დასრულება. სახელის როლი ისე დიდია დღეს პოეზიაში, რომ უსახელო პოეზია პრიმიტიულია და ვინრო საზღვარს ვერ გასცილდება.

ბეატრიჩეს სახელი გადასწონის მთელ დანტეს პოეზიას და მისი ალევგორიული პოემა გამართლებას ნახულობს ბეატრიჩეს სახელში. საფოს პოეზია ჩვენ თითქმის არ ვიცით, მაგრამ მისი სახელი თავის თავად პოეტურია. ჩვენ არ ვიცით ნერონის ლექსები, მაგრამ მისი სახელი, ამოვლებული ცეცხლმოკიდებულ რომის დაისში, შედის ლირიკაში, როგორც მოქანცული ქიმერა.

მერის სახელი უსწორდება შელლის სახელს და ამშვენებს ინგლისურ პოეზიას, როგორც მარადი ინფანტა. ედგარის „ნევერმორი“ არ არის მხოლოდ სიტყვა. ეს სახელია და მკითხველს შეუძლია ამ ერთი სახელით მოიწვიოს ბევრი მოჩვენება და ბევრი სახე.

პოეზია არის „Notre Dame“ და მის მაღალ კედლებზე აიმართენ სახელები, როგორც ქიმერები.

დღეს რომ პოეზიას სახელები გამოვაკლოთ, პოეზია მთელი საუკუნოებით დაიხვეს უკან, იქნება უშუალო და სადა, როგორც ველურების შაირობა. ჯერ არავის გამოუცხადებია სახელების კულტი, მაგრამ შესაძლოა იმისთანა შკოლის გამოსვლა პოეზიაში, რომელიც აიღებს სახელს, როგორც თავის პოეტიკის მთავარ ხაზს. ქართულ პოეზიაში სახელების მაგია გამართლებულია ყანწელების გაქანებული სახელებით და აგრეთვე მათი პოეზიით. გრიგოლ რობაქიძის „ვასაკა“ უკვე შეიცავს სახელში თავის ფანტასტიკას და მომავალი ქართული პოეზიის წინამორბედი. პაოლო იაშვილის ფარშავანგი დარჩება, როგორც რევოლიუციის ბაირალი და ამის გარდა ბევრ სახეებს შესძენს ქართულ პოეზიას. ეს ლამაზი და უცხო ფრინველი პირველად პაოლო იაშვილმა ააკივლა პოეზიაში და მე მჯერა, რომ ფარშავანგი იქნება ფანტასმაგორული სახელი და არა მარტო სახე. ტიცინან ტაბიძე მთელ ევროპას მოივლის თავის ქალდეას ბალაგანით. მისი ქალდეა დააბრმავებს პოეზიას ახალი სხივებით და ეს სახელი, როგორც „მღვდელი და მალღარია“ ბევრ აჩრდილებს შექმნის და ფროიდში გადავა, როგორც ყოველი შესანიშნავი სახელი. ლოტრეამონის მალდორორი საშინელების აპოთეოზია და ისმის, როგორც ნევერმორი. მალარმეს „პენიულტიემი“ სახელში გადადის და მისი პირვანდელი აზრი იკარგება.

სახელების მისტიკა იმდენად თვალსაჩინოა, რომ ამას მონმობს ყოველდღიური ცხოვრება. ცხოვრებაში გაბატონებულია რამოდენიმე სახელი და ყოველი დანარჩენი მათი ანარეკლია.

არის მომენტი, როდესაც სახელი, როგორც კათაკმეველი, პოეზიის გარეშე სდგას, მაგრამ ცის თალი გაიხსნება და სახელი ამალდება თავის ტახტზე. მე ვლაპარაკობ კეთილშობილ სახელებზე, რომელთა ნიშნის ქვეშ მიდის დღეს პოეზია.

ლირიკა არის სპილოს ძვლის კოშკი. ამ კოშკიდან იყურებიან ანდროგინები და ქალწულები, რაინდები და დამები, მაგრამ თვით პოეტიც კოშკის ხუროთმოძღვარი.

როცა პოეტი კვდება, მისი სახელი ვარსკვლავად მიჰყვება მის კუბოს და შემდეგ იწყებს ხეტიალს მსოფლიოში. პოეზიის ცაზედ ბევრი ვარსკვლავებია: ჩატერტონი, მარლო, ვიონი.

რომელიმე პოეტი ან ესეისტი შეადგენს პოეტურ სახელების გერალდიკას და აქ იქნებიან აზნაურები და თავადები.

ფუტურისტებს უნდოდათ ხელოვნურად დაეღუპათ პოეზია, მაგრამ ეს თავის თავად მოხდება, რადგანაც პოეზია დღეს იკვებება თავისი სისხლით და ხორციით. ის ჩონჩხად იქცევა და გადატყდება წელში, როგორც მოხუცი აკრობატი. მთელი ფუტურიზმის რიტორიკა და ერუდიცია მიმართულია სახელის წინააღმდეგ, მაგრამ თვით კრუჩიონიხი სახელია და ყველაზე უფრო დაწყევლილი თანამედროვე პოეზიაში.

პოეტები როსკიპებივით ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ იძულებულნი არიან იცხოვრონ ერთ სახლში.

დადგება დრო, პოეზია სახელებს დაივინყებს და ისევ დაუბრუნდება ფუტურებს და ყვავილებს. მაგრამ რაც უნდა თავიდან დაიწყოს პოეზიამ, რაც უნდა ობიექტიური იქნეს ის, მისი განვითარება სახელის გამარჯვებით დაგვირგვინდება. სიტყვები როგორც მონები ნახავენ თავის სპარტაკს და დაამარცხებენ არისტოკრატიულ სახელებს, მაგრამ ეს დამარცხება იქნება დროებით. ყოველ სიტყვას იმედი აქვს, რომ სახელის წოდებას მოიხვეჭავს ოდესმე.

ყველაზე უფრო დიდი მაგალითი სახელის გაზღაპრების არის ღმერთი: არავინ არ იცის, რას ნიშნავს ეს ნოუმენი, მაგრამ იგი კაცობრიობის რეჟისორია.

ვალერიან გაფრინდაშვილი

პოეტები სტამბაში

(ფრაგმენტები ბიოგრაფიისთვის)

გრიგოლ რობაქიძე. აქვს თავის ფანტასმაგორია და მისტიკა დიდების. ვილიე დ'ელილ ადანამ დასწერა „დიდების მაშინა“. საქართველოში გრიგოლ რობაქიძემ გაანათა ამ ფოსფორით. გადაკარგული უცხოეთში ქართველები, თვითონ უცხოელებიც და გამურული მუშაობით ასოთამწყობნიც მიაჩერდებიან მის რომაულ პროფილს. არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს რობაქიძე არ შეემჩნია, არ ეცნო და არ გახარებოდა მისი შეხედვა. გრიგოლ რობაქიძეს სტამბაში მიაქვს თავის ლექსები პერგამენტზე დანერილი — ასე სწერდენ ძველი ქართველები, რომელთა ხელნაწერიც უფრო გამძლეები გამოდგა, ვიდრე ბევრი დაბეჭდილი წიგნები. მაგრამ მისთვის კორექტურის შეცდომა საბედისწეროა. არ დაბეჭდილა არც ერთი მისი ლექსი, რომ არ გამოჩნდეს ეს ჭინკა.

ერთხელ სანდრო ცირეკიძემ „ანტოლოგიის“ თვითეულ დაბეჭდილ წიგნში თავის ხელით გაასწორა ერთი შეცდომა გ. რობაქიძის ლექსის „პანი“. სულ რამდენიმე თვის წინათ თვითონ გრიგოლ რობაქიძემ თავის ხელითვე გაასწორა „ბარრიკადაში“ პაოლო იაშვილის ლექსის „არტურ რემბოს“ ერთი შეცდომა. მაშინ ეს ნომერი ათასსზე მეტი დაიბეჭდა. ორი ახალგაზდა სტუდენტი, რომელნიც შედიოდნენ ამ საქმეში, გაკვირვებული უყურებდნენ მის მუშაობას.

სტამბაში ბეჭდვის დროს ასოთ-ამწყობნი ორ საქმეს აკეთებენ: უსმენენ გრიგოლ რობაქიძეს და აწყობენ შრიფტს.

ერთად-ერთი შემთხვევაა, ალბათ, როცა ამ დაწყევლილ პროფესიის ხალხს უყვართ თავის ხელობა.

პაოლო იაშვილი. იგივე „მაშინა დიდების“. არ ყოფილა არც ერთი სტამბის პატრონი ან ასოთ-ამწყობი, რომელიც მას პირადათ არ იცნობდეს. პირველ შესვლისთანავე გაღიმება — და ამუშავდება რეჟისურა. ყოველი სიტყვა დაპირებაა და არავის ეეჭვება მისი ასრულება. ასოთ-ამწყობებს უკვირთ, რომ ის მთვრალი არ არის — მაგრამ იცინან მალე ერთად დათვრებიან. პაოლო იაშვილს არ დაუნერია არც ერთი ლექსი, რომელიც ან სტამბაში არ დაენერა — ან ხელმეორედ არ გაესწორებია. სტამბაში დანერილ ლექსებში ჯერჯერობით

პირველობა მაინც ერთ ლექსს რჩება „ფარშავანგები ქალაქში“. არის ბედნიერი ადამიანი, რომელსაც ეს შეუძლია. პაოლო იაშვილი პირველათ სტამბაში მიხვდება, რომ საჭიროა ლექსის წერა. რასაკვირველია, ისეთი ლექსის, რომელსაც ის დაბეჭდავს და არა იმ ექსპრომტების, რომლითაც ის ყველა საღამოებზე აპურებს ფილისტერულ საზოგადოებას.

მხოლოდ უახლოესმა მეგობრებმა იციან, როგორ აფასებს პაოლო იაშვილი პოეტის სახელს, როცა მას სტამბაში ხედავენ. ის უკვირდება ყოველ სტრიქონის გამართვას. პირის სახე და ხელები გამურული აქვს. ის ერთ და იმავე დროს ასოთ ამწყობსაც ეხმარება, მაშინისტაც და მეტრანაჰუსაც. და ყველას საქმიანად. დაბეჭდვის შემდეგ მისთვის დაბეჭდილი არ არსებობს.

ვალერიან გაფრინდაშვილი. ვალერიან გაფრინდაშვილმა სრულიათ მოულოდნელათ დაიწყო რედაქტორობა. ალიონზე მთიან ტყეებიდან გადმოვარდებიან „მეოცნებე ნიამორები“, და ტფილისში გამოჩნდება თეთრ ყდიანი წიგნები. მისი ენერგიული სახე, რომელიც მისმა მეგობარმა ახალ მოსეს სახეს შეადარა, ყველას აჯერებს გაფრინდაშვილის საქმიანობაში. ამ პოეტს ჯერ არავინ შეხვედრია, რომ განშორების დროს ალტაცებით არ ექოს მისი სინაზე და მჭრელი ჭკუა.

ჩემთვის პრობლემაა, თავის ნახევრათ დაბმული ენით როგორ ელაპარაკება ის ასოთ-ამწყობებს — რომელთა ჯიუტობაც ასე ცნობილია პოეტებში — მაგრამ ყოველთვის ამკარათ გამარჯვებულია პოეტი.

სწერს ნერვიულ ხელით, როგორც ბავში. ამას მანიფესტის კარაკული ეწოდება. არა მარტო კორექტურის გულისხმობით, მას ეკუთვნის ერთი ფრანგი პოეტის ეპიტეტი: შეუცდომელი.

სანდრო ცირეკიძე. დარჩება ალბათ საქართველოში პოეტის და გამომცემლის სახელი — ყველაზე უფრო მის მეგობრებში. ჩვენმა დრომ ბევრი გამომცემელი გაამდიდრა. სანდრო ცირეკიძეს შეუძლია გაიმეოროს დორიან გრეიდან — ანტრეპრენიორის სიტყვები:

— მთელი სიცოცხლე იშრომო გამდიდრებისთვის, რომ უეცრად გაკოტრდე შექსპირზე. შექსპირის მაგიერობას, რასაკვირველია, პოეზია გასწევს.

კოლაუ ნადირაძე. „ცხოვრება ჯიბეებში ხელებ-ჩანყობილი“ — უკეთესი ავტოპორტრეტი. მე არ ვიცი, როდის იცლის კოლაუ ნადირაძე სტამბაში შესასვლელათ. მაგრამ ამ დაუდევარმა პოეტმა მაინც მოასწრო წიგნის გამოცემა. მისი „ბალდახინი“ კათოლიკური სიმტკიცით არის გამოჭედილი (არის პოეტის სისხლში მართლა კათოლიკური). პირველ შეხედვისთანავე შეატყობს ყველა, რომ შეიძლება მას უმიზეზოთ ვინმე შემოელახოს. ამას, ალბათ, სტამბაშიც ხვდებიან.

ნიკოლოზ მინიშვილი. როგორც ჭინკა გამოჩნდება მოულოდნელათ: რედაქტორი ცხრა ალაგას და უფრო მეტ ალაგას მდივანი. პირველ შეხედვისთანავე ენდობიან — ისეთი სპეტაკი ხალხიც, როგორც სტამბის პატრონებია. გიპერბოლებში არ ჩამორჩება ტიციან ტაბიძეს. მის ამხანაგებს არ გაუკვირდებათ, რომ ერთ დღეს ნ. მინიშვილმა ისინი საკუთრათ შეძენილ სტამბაში შეიყვანოს.

ტიციან ტაბიძე. როცა სხვებთან არის, ნაკლებათ ლაპარაკობს, სხვისი იმედი აქვს, განსაკუთრებით თუ მთვრალი არ არის. როცა მარტო დარჩება, ერთად ერთი იარაღია — გიპერბოლა. მესამედიც რომ ვინმემ დაუჯეროს, საქმე გაკეთებულია. უნდოდა, როგორც ლეკონტ დე ლილს, შეუძლებლათ გაეხადა სალიტერატურო განყოფილების წარმოება, მაგრამ ყოველდღე აპირებს კომპრომისებზე წასვლას ახალგაზრდა პოეტებთან. თავის დღეში არც ლექსებში და წერილებში ნიშნები არ დაუსვამს და გულში ახარებს ყველა კორექტურის შეცდომა (თუმცა ხანდისხან მეგობრებს უმაღლავს). თავის გამართლება ბევრია: სულ ერთია, მაინც ვერავინ გაიგებს და ამას გარდა გადავარდნაც საჭიროა. შეიძლებოდა კიდევ მიმატება, მაგრამ შეიძლება ამან ავნოს მის რედაქტორობის სახელს.

„ამოცნება ნიამორაზი“, 1922, ნოემბერი, №7.

ავტომედალიონი

პასუხად პაოლოს

ჩემი ღერბია დიონისოს მედალიონი.
ცეცხლით სწერია: მოხარული საშურო ხმალზე.
ჩემთვის ყვავილობს სიხალისით თვით ალიონი
და მელის მუდამ მზიურ საქმროდ მე სილამაზე.

დღეს დაღვენთილი დათენთილი თუ ვფიქრობ სხვაზე,
დღეს თუ არ ლალობს ჩემთვის ნელი თეთრი სიონი:
იცოდე მისთვის: რომ ავლესო სანატრიონი
და ქვეყნის ბედი გადავტეხო ჩემს ხერხემალზე.

ჰელადას შვილი ვარ ერთგული მე „ამორ ფატის“
სავენებო სხვერპლად გამზადილი ვით სავსე თასი.
და თუნდ რაინდი ცხოველი მზე სულ დაიფუტოს:

თასზე თასს ვამსხვრევ, რომ ავმართო კიდევ ათასი.
თავალებული: მე სარკე ვარ ყველა თვალეების
და მასკა ჩემი ქერქი არის მხოლოდ ცვალების.

*გრიგოლ რობაქიძე
1917, ეკენისთვე,
კაფე „ინტერნაციონალი“*

უცხო თვალეები შუშაბანდში

იყო ის გაზაფხული, გალურჯება ზღვაური.
ფიქრი დაგვიანებით აღარავის ელოდა.
თქვენ შუშაბანდს ავსებდით პიანინოს ხმაურით,
პიანინოს ხმაურით და თან ნაზათ მღეროდით.

და მესმოდა ეს ხმები გამოუცნობ მოტივად.
მე სარკმელთან შევჩერდი, სიზმარი დავიჯერე.
თქვენ ისე გადმომხედეთ, როგორც ლედი გოდივა,
როგორც ლედი გოდივა და სულში დავიჭერი.

გრიგოლ ზოდელი

ლილი მეუნარგიას

პატარა ბალიშს დაეცა ცრემლი,
 პატარა ფილტვებს მიეპარა ჭლექი და ხველა...
 ჩამონყდი როგორც ყვავილი ტყემლის,
 შენ, რომ იყავი საიდუმლო და ჭიანჭველა.

სამარადისო ნისლს დაუბრუნდი.
 მაგრამ მგზავრობას შენსას ჰქვია: ბავშვის სიკვდილი.
 ასე მგონია, ფუტკარის გუნდი
 დაესეოდა შენს მკვდარ სხეულს, ტკბილ სხეულს — ლილი.

შენ ბავშობიდან გელოდენ ცაში.
 ჩვენც მოგელოდით: გაშორება უფრო ძნელია.
 მაგრამ მე მჯერა თავის საბანში,
 შენ მიგიღებენ ბეატრიჩე და ოფელია.

პაოლო იაშვილი

13. 10. 22

სეზონი უიმედო მგზავრობის

წეროების ხმა (უღმობელი მოვა ზამთარი)
 წუხელი ცაზედ მიფრინავდა მწუხარე გუნდი,
 რა გულსაკლავი დანანებით იყო გამთბარი
 უკანასკნელი დაძახილი: კიდევ დაბრუნდი.

ეს იყო ღამე უვარსკვლავო და უშავესი
 (სული ნოტიო ოცნებათა ფერისცვალებით),
 როცა ყვავილთა სურნელება და ეგ თვალეები
 მენატრებოდა ეგ თვალეები მუქ-მუშავაზი.

წეროვ, ოდესმე მეგობარი მყავდი იმედათ,
 მარად ძვირფასო, უნაზესო და მადლიერო,
 ოჰ, ასეთ იღბალს არასოდეს არ გავიმეტებ
 მე, პოეზიის ფეხშიშველი კაბალიერო:

იქნებ სიმღერა გაიგონო ჩქარა გედური,
 მაშინ ოცნებებს გადაყვები ქარში, ავდარში
 (საყვარელ ქალის მოშორებით ვარ უბედური),
 ასეთ ზამთარში ნუ დამტოვებ, ასეთ ზამთარში.

ლევან ასათიანი

ცხენი ანგელოსით

თავი პირველი

აპოკალიპსის თეთრი იმედი.
გზა შორეული
ქიმერია, ქალდეა, ჟღალი კავკაზი.
საქართველოს ბედს
მხოლოდ ცხენით თუ დაენევი.
მორბიხარ თეთრი — მარტო იმედი
ცხენი ანგელოსით.
გზას შორეულს რა გაიარდა?
ერს ამორჩეულს ჩამორჩებოდი,
რომ ცხენით არა...
ჩვენ პოეტებიც, თუ ვართ დღემდე
შენი ამარა.
რა გაიარდა ამ ჭაობებს?
ორპირში ყანჩაც ეფლობა,
სდგას მარტო ეკლესია
თეთრი გიორგის
და მამის გულზე
აბჯენია მაგარი მუხლი
გაფრენილ ცხენის.
ყოველი ღამე მატირებდა
ქალდეას ზეცა.
ჭაობის სვეტად
დასდგებოდა მალიარია.
მე სამუდამოთ გავალმერთე
ერთი არია.
დაიმასხოვრებს ამ სიმღერას
ჩემი სამშობლო.
მე აქ ვიხილე პირველად ყრმამ
ყრმა უკვდავი
აპოკალიპსის თეთრი იმედი
ცხენი ანგელოსით...

ტიციან ტაბიძე

20 ოქტომბერი, 1921 წ.

ქ. თფილისი, სასახლე პოეტების

ცისფერი ქოლგა

მე სოფლის ამბავს შენ მოგიყვები,
 (შენ რომ ჰკოცნიდი ტუჩების კიდეს);
 ისე დაზდილან ჩვენი იხვები,
 რომ პეპლაობა დაიწყეს კიდევ.
 შემომეჩვიენ ჩუმი მტრედები,
 თმას მიხილავენ ლურჯ ნისკარტებით.
 ამ სიყვარულით ნაიმედები,
 თავს ვიმშვიდებდი სოველ ვარდებით.
 ვკითხულობ ვაჟას, ვიძულებ პოეს,
 ვნატრობ სუსხიან მწარე ამიდებს;
 ზურგს ვუფხან დღისით პატარა ხბოებს,
 და სალამოზე ვიფერავ თითებს.
 ვნოვ ყურძენს, როგორც მკივანა ბზიკი,
 ტყეში ვნახულობ მე წითელ სოკოს;
 ხან მღვრიე მაჭარს ვსვამ რგვალი ჭიქით,
 ხან ვგავარ სოფლის მკერდ-სავსე გოგოს.
 ნვიმაში ვარჩევ სიმინდის ტაროს
 და ლამაზ ტაროს ვაკოცებ უცებ,
 მერე კი ვათევ ლამეს უმთვაროს,
 და იჭვით სავსე გულს არ ვახუცებ.

*ელენე დარიანი
 სექტემბერი
 სოფ. ავლევი*

Natur Morte

ობობას ქსელივით კიდია ქსოვილი ფანჯარაზე.
 კედლებს იქით ღამეა და გახელებული ქარი. ცოცხლდებიან
 თეთრი ლარნაკები, გამშრალი კათხები, ძველი სურათები
 და თაროებიდან გადმოდიან ფრთხილი ნაბიჯით.
 მორიდებით გადაივლიან ხალიჩებს და სარკეების
 უფსკრულებში გადაიხედავენ, ეძებენ წარსულს მის
 უსაზღვროებაში, სადაც შენახულია დრო და სთვლემენ ლანდები.
 ჩუმი შრიალი გაისმის სარკეებში. იმღვრევა მათი
 სინმინდე და გადასული მაყრიონები ჩქარობენ
 ნაპირების გადმოსასვლელათ.
 ქარივით გადმოლახეს სარკეების ჩარჩო და ჯარასავით
 დატრიალდა ჩემი ოთახი, მიმჯაჭვავს დრო უსახელო
 და ველი, შემოვა უცხო ძლიერი, მოვა როგორც
 ახალი მოციქული და დაუზოგავი გამაკრავს ჯვარს.

სერგო კლდიაშვილი

გამგზავრება მალაელთან ერთად ჩემს დაბადების დღეს 24 თებერვალს

ნიგნიდან „ყვითელი მალაელი“

შენ კიდევე ერთხელ გადმოლახავ შუშას კვამლიანს
და მოხვალ ჩემთან, მეგობარო უკანასკნელო,
იტყვი, „დავშორდეთ ამ ქვეყანას მაცდურს, შხამიანს,
წავიდეთ ერთად, არ იქნება ეს გზა საძნელო“.

შენი აქ ყოფნა მისტიური თავდება ახლა,
ვუღარაჯებდი ღამეებით მე შენ ოცნებას;
უხსოვარ დროთა უფსკრულებით მე შენ გეახლე,
დავემორჩილოთ გარდაუვალ განგების ნებას.

გავშალოთ აფრა, გავიაროთ სუყველა ზღვები,
ყველა ვარსკვლავებს გადავშორდეთ! ო, ჩქარა, ჩქარა!
მარადისობის მოახლოვდა ცივი საზღვრები
და უკვდავება შემოგვერტყა ცეცხლიან ქარათ.

გააღე თვალი, დაიბრმავე ცქერა მშიერი:
შენ დღეს იხილავ ამ სამყაროს სახეს დაფარულს,
უკვე აინგრა გრივალეებით ღამის ჰაერი,
წულარ იგონებ მარტოობას, ცრემლებს დაღვარულს.

ღამის მელანი შემოადგა ტორტმანით მინებს;
გვემშვიდობება მანეკენტა ნაზი კრებული.
მათი ძახილი იდუმალი აღარ გვაშინებს.
და ჩვენ ფანჯრიდან გადავდივართ გაფითრებულნი.

კოლაუ ნადირაძე

საფირონი-აშორდია

დღეს მუცელმოგვი საფირონი, როგორც ქიმერა,
ოქროს სცენიდან გაფითრებულ პარტერს ამონებს.
ის ერთი წუთით წარმოიდგენს თავს ცრუ იმერად,
მიესალმება ლორნეტიან ლოტრეამონებს.

ლოუბში ჩადგმულ ნავებიდან იცქირებიან
კურტიზანკები და პარტერიც, აღბად, წყალშია.
თეთრი გედები ორკესტრიდან ბლომათ ჩნდებიან
და ერთი სკრიპკა ნისკარტების კარნავალშია.

თვით კლეოპატრა არომატის ნილაბით მოდის...
 ცრუ აზნაური — საფირონი უტყვი გახდება.
 დაქორწინება ქიმერების იქნება როდის?
 როცა ეს წუთი რუბინებით დაირახტება.

დედოფალს ბეჭედს საფირონი იქ შესთავაზებს,
 მარა სურნელში იმალება ვინრო თითები.
 ის მიუგზავნის დაუგეშავ მეფურ გავაზებს,
 რომ კლეოპატრას მოაგონდეს სხვა ჯირითები.

შორ აივნიდან ამხნევებენ იმას მგოსნები
 და საფირონი დაიჩოქებს, როგორც სალოსი.
 სახე არ ჩნდება იმ სურნელში ნასხივოსნები,
 ხოლო ხმა ისმის გაყინული სატრფიალოსი.

ზღვის სერაჭიმი — კლეოპატრა განიავდება,
 მაგრამ დარჩება დათოვლილი მისი ხაბარდა.
 ატირდებიან პოეტები ედგარის გარდა.
 ნილაბიანი საფირონი იწვის, ბრმავდება
 და გრიგალივით დაეშვება ხანძარის ფარდა.

ვალერიან გაფრინდაშვილი

დეკლარაცია

(ახალი მითოლოგია)

პანი მოკვდა. გაიმარჯვა ქრისტიანობამ. მაგრამ პოეზია მთელი საუკუნეების განმავლობაში სარგებლობდა მითოლოგიური სახეებით, თუმცა არ სჯეროდა ეს მითოლოგია.

ავრორა, არტემიდა, ათინა, გება, ზევსი, აპოლონი, გელიოსი, ნეპტუნი, ორფეოსი, ევრედიკა, აქილესი, ჰერაკლი, ნიობეა, მშვენიერი ელენე, პარისი დიდხანს ამშვენებდენ პოეზიას და დიდ სამსახურს უწევდენ მას.

მითი თანდათან გადაგვარდა.

ქრისტიანობამ დაიპყრო ხელოვნება. დადებითი გავლენა ქრისტიანობის განსაკუთრებით განიცადა მხატვრობამ. ნამდვილი ჭეშმარიტი მხატვრობა შექმნა ქრისტიანობამ (რაფაელი, მიქელ ანჯელო, ლეონარდო და სხვები). დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ არის ქრისტიანობის ენციკლოპედია. ხუროთმოძღვრებაში ქრისტიანობამ შექმნა გოტიკა. (Notre Dame). მთელი რომანტიზმი ქრისტიანობით არის წარმოშობილი (ძიება ცისფერი ყვავილის).

შეიძლება ითქვას, რომ ელლინურმა მითოლოგიამ მეტი სახეები და სახელები მისცა პოეზიას, ვიდრე ქრისტიანობამ. ამ შემთხვევაში პოლიტიეზმი უფრო ნაყოფიერი გამოდგა პოეზიისთვის, ვიდრე მონოტიეზმი. ქანდაკების და პოეზიის განვითარებაში ელლინურმა მითოლოგიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა, როგორც მხატვრობის განვითარებაში ქრისტიანობამ. ყველაზე უფრო დიდი მითი ახალი დროის იყო ქრისტიე. ქრისტიანობის

პირდაპირი გავლენით დაინერა „ღვთაებრივი კომედია“, მისტერიები, კლოპშტოკის „მეს-სიადა“, მილტონის „დაკარგული და დაბრუნებული სამოთხე“, დოსტოვესკის რომანები. ქრისტიანობაში შექმნა თავისი საკუთარი მითოლოგია, რომელმაც გაამდიდრა ხელოვნების შინაარსი და აღმოაჩინა მარადისობის პერსპექტივა.

თანამედროვე პოეზია ნაკლებათ ხმარობს წარმართულ და ქრისტიანულ სახეებს. დღეს პოეზია ქმნის რეალურ სახეებიდან სიმბოლოებს, ქმნის ახალ მითებს. წარმართულ-მა და ქრისტიანულმა მითოლოგიამ დაკარგა თავისი კავშირი ჩვენ შეგნებასთან და პოეტიც სხვა ობიექტებს ეძებს თავისი შემოქმედებისთვის. ძველი მითები არავის არ სწამს, იმავე დროს ჩვენ გვინდა მითი, ჩვენ გვწყურია მითი.

დღეს პოეზიაში თვალსაჩინოა ერთი ხაზი, ერთი ტენდენცია, რომელიც თანდათან უფრო პოპულიარული ხდება.

ძალიან დიდხანს პოეტების ბიოგრაფია, მათი ცხოვრება და პიროვნება ნაკლებათ აინტერესებდა მკითხველ საზოგადოებას და თვით პოეტებს. მთავარი ყურადღება მიჰყრობილი იყო პოეტის შემოქმედებაზე.

პოეტი თავის შემოქმედების გარეშე იდგა. დღეს კი პოეტის პიროვნება ინტენსიურ ინტერესს იწვევს, იწერება ცალკე მონოგრაფიები და პიესები ჩატერტონზე, პუშკინზე, შექსპირზე, სადაც მათი ცხოვრების ყოველი დღე და წელიწადი შესწავლილია მათ შემოქმედებასთან ერთად. ძალიან გვიან მიხვდნენ, რომ ლირი, მაკბეტი, ჰამლეტი, არიელი და კალიბანი შექსპირის ორეულები არიან.

ხშირად პოეტის ცხოვრება ორიგინალურია არა ნაკლებ, ვიდრე მისი პოეზია.

ტყვილად იკარგებოდა პოეტის ბიოგრაფია და სახელი.

თანამედროვე პოეზიას სურს გამოიყენოს პოეტის ბიოგრაფია და მისი მაგიური სახელი, რომელიც არის მისი შემოქმედების სარკე და ეკვივალენტი.

დღეს პოეზიაში საბერძნეთის ღმერთების ადგილს იჭერენ პოეტები. ჩატერტონი, რემბო, ბესიკი, მაჩაბელი, გოფმანი, ვილიე დე-ლილ ადან არა ნაკლებ ალაფრთოვანებენ პოეტის ოცნებას, ვიდრე ზევსი და აპოლონი, აფროდიტე და ათინა. წინანდელი პოეტები — გარდაქმნილნი დროის და სივრცის ჯადოქარობით უნდა გახდნენ არა მარტო დრამატიულ და ეპიურ, არამედ ლირიკულ სახეებათ.

თუ წინათ პოეზიაში იყო აპოლონი, ახლა არის გიოტე, თუ წინათ იყო მედუზა და გორგონა, ახლა არიან ედგარი და მალდარორი, არის სიფილისი და ბოგემა.

თუ წინათ პოეზიაში იყო ოლიმპი, ახლა არის წინამური, ბირნამის ტყე, თუ წინათ იყო სცილა და ხარიბდა, ახლა არის მაკადამი, თუ წინათ იყვნენ აქილესი და ჰერაკლი, ახლა არიან ოფელია და ჰამლეტი. ის, რასაც მე ვამბობ სრულიად არ არის მოულოდნელი. აქ არის პირდაპირი ანალოგია ყოფილ ფაქტებთან. წინათ პოეტი — შთაგონებული იყო ელლინურ და რომაულ ღმერთებით და გმირებით, ახლა ის შთაგონებულია წარსულ პოეტების ფანტასტიურ სახელებით. წინათ პოეტი შთაგონებული იყო ორფეოსით და ევრედიკით, ახლა კი შთაგონებულია ბეატრიჩეთი და ალიგიერით. „ღვთაებრივ კომედიაში“ ვირგილიუსი ბეატრიჩესთან ერთად მოქმედი პირია.

ღმერთების ადგილს იჭერენ პოეტები და ძველ ანტიურ გმირების ადგილს იკავებენ ახალი გმირები (ოფელია და ჰამლეტი).

ამნაირად იქმნება ახალი მითოლოგია, რომლის გმირები არიან არა ღმერთები, არამედ პოეტები და მათგან შექმნილი მანეკენები.

სრულიად არ არის საჭირო, რომ პოეზია ამოიწეროს პოეტების სახელებით, ეს სახელები, როგორც მითები, ძვირფასია, მაგრამ პოეტს შეუძლია შექმნას ახალი მითი (აშორდია, ირრუბაქიძე, ელენე დარიანი, ორპირი). ახალი მითის შექმნა უფრო ძნელია და მას მეტი ღირებულება აქვს.

ლირიკამ უნდა გამოიყენოს ყველა საოცნებო სახელები: ისტორიული, გეოგრაფიული და ლიტერატურული, ქალაქების, ძვირფასი ქვების სახელები და შექმნას ამ სახელებიდან ახალი მითები.

II

პოეტის სახელი ანათებს ლირიკაში, როგორც მეტეორი. ეს შეიძლება ყველაზე ადრე იგრძნო ტეოფილ გოტიემ — პირველმა პარნასელმა და ბოდლერის მასწავლებელმა. ლეგენდარული სახელები, როგორც ქიმერები სდარაჯობენ პოეზიას. ასეთი სახელები, როგორც ბართლომეს ღამე, საფირონი, პათმოსი, ერესეჰესერ, სტრადივარიუსი, კალიოსტრო უფრო აღვიძებენ და ახელებენ ფანტაზიას, ვიდრე დიდი ურაგანები. საჭიროა სახელი. უსახელო და უავტორო პოეზია პრიმიტიულია. ახალი მითოლოგიის შექმნაში დიდი როლი ითამაშეს „ყანწელებმა“. სახელების პოეტიკა და ახალი მითოლოგიის პრინციპები შეგნებულად აღიარა და გამოაცხადა პირველად ამ სტრიქონების ავტორმა (წერილი: სახელების მაგია — „მეოცნებე ნიამორები“ — წიგნი მეექვსე; ლექსები: „ჯვარისწერები და ისში“, „დაისი მესამე“).

ყანწელები ხშირად ახსენებენ ლექსებში ფრანგი პოეტების სახელებს, რადგანაც ქმნიან ახალ მითოლოგიას.

ამ ახალი მითოლოგიის მასკარადში „ყანწელებს“ დიდი გაბედულობით შეჰყავთ ერთმანეთი (პაოლო იაშვილის ლექსი — ალი არსენიშვილს). შეიძლება ეს პირველი მაგალითი იყო მსოფლიო პოეზიაში, როდესაც პოეტებმა მოინდომეს პირადი მეგობრობის გაზღაპრება, როდესაც პოეტებმა გარდაქმნეს ინტიმობა პოეზიათ და თავის ინტიმურ გრძობებს მისცეს უნივერსალური ლირიკის ხასიათი (ქალდეა, „თფილისის ხერხემალი“). ინტიმობა არის ხაზი, რომელიც განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს „ყანწელებს“ მსოფლიო პოეზიაში. ტიცთან ტაბიძის სონეტი „ვალერიან გაფრინდაშვილი“ არის ახალი მითოლოგიის შედეგრი. იგივე ითქმის პაოლო იაშვილის სონეტზე: „ტიციან ტაბიძე“. სონეტის დრამატიზაცია უთუოდ „ყანწელების“ დამსახურებაა.

კოლაუ ნადირაძემ შექმნა პოეტის — მანეკენის მითი.

„ყანწელების“ პოეზია (კოლომბინა — ნინა მაყაშვილი, ტანიტ, ალკა, მინიშვილის ჩიბის) არის ბრწყინვალე განთიადი ახალი მითოლოგიის, რომელიც შემდეგში მეტ განვითარებას მიიღებს: შალვა აფხაიძე თავის „ეპიტაფიაში“ იგონებს ყანწელების სახელებს სიკვდილის წინ. სერგო კლდიაშვილმა წერილის პოსტ-სკრიპტუმი გადააქცია მინიატიურათ და აღსარებათ, რომლითაც ის მიმართავს „ძვირფას სანდროს“ (სანდრო ცირეკიძეს). ქართული მინიატიურის უნაზესმა მოცარტმა — სანდრო ცირეკიძემ გამოაცხადა სათაური შემოქმედების სინონიმათ, სათაური, როგორც სახელი, როგორც პოეტურ შემოქმედების კალიედოსკოპი.

გიორგი ლეონიძემ დასწერა „ყანწელების“ გენეალოგია, სადაც მოცემულია გვარების ესთეტიკა და ქიმერიადა.

მაჩაბელი — უგზო-უკვლოდ დაკარგული შემოდის პოეზიაში, როგორც მითი.

თავისმკვლელები — საგანელი, გრიშა აბაშიძე — ქართული პოეტური მითოლოგიის გმირები არიან. როგორც ტომას ჩატერტონმა გამოიგონა მე-14 საუკუნის პოეტის — როულის მითი, ისე ერთმა თანამედროვე პოეტმა გამოიგონა ელენე დარიანის მითი.

ქართულმა პოეზიამ უნდა შექმნას რუსთაველის მითი.

ყანწელები არ უცდიან მომავალ პოეტებს, რომელნიც გააზღაპრებენ მათ, როგორც ღმერთებს და გმირებს და თვითონ შეჰყავთ პოეზიაში ერთმანეთის პიროვნება, როგორც

პოეტური სახე, თვითონ ქმნიან ერთმანეთის მითებს და სიმბოლოებს. მათი იდეალია ჭან-ტასმაგორია და მითი.

ბოდლერმა დასწერა მთელი გამოკვლევა ცნობილ ოპიოჭაგზე — დე-კვინსიზე და მხოლოდ ტიცინ ტაბიძემ შეიყვანა პოეზიაში დე-კვინსის ყვითელი მალაელი („ბირნამის ტყე“). დიდი გაბედულობის შედეგია ეს მოჩვენება: „და ოფელიამ თვალი მოავლო, ვალერიანმა გამლეთს გაარტყა“.

„დაისების“ ავტორმა მოიწვია თვითონ დე-კვინსი დაისების მასკარადში (მოხეტიალე პარადიზი).

ფრანგი პოეტები ყანწელების ლექსებში მეორე დაბადებას და მეორე ყოფნას განიცდიან სიკვდილის შემდეგ.

ეს ახალი მითოლოგია არის და უეჭველად იქნება ძლიერი საშვალეა ახალი პოეტური სახეების, სიმბოლოების, მითების და ახალი პანთეონის შექმნისათვის.

ვალერიან გაფრინდაშვილი

ორპირის ოქროპირი მალდარორი

მინდოდა ყოფილიყო ეს ავტოპორტრეტი, ან პრელიუდია იმ ეპოპეის, რომელსაც შემდეგში დაერქმევა სახელად „ტიციან ტაბიძე“.

ეპოპეის დაწერისთვის გომერი არ არის საჭირო. ანდრეი ბელლიმ ჩვენ დროში პირველად დაამტკიცა, რომ პოეტის პიროვნება თვითონ ეპოპეაა, თუ მოინდომებს თვითონ ამის დაწერას; მაგრამ დღეს სხვა რკალებში იხსნება ეს მოხსენება და, რასაკვირველია, შორიდან იქნება დაწყება. რაც არ უნდა იყოს, საქართველოში პოეტს არ უხდება თავის თავზე ლაპარაკი, სხვა ბევრ სათნოება თუ ზრდილობასთან ყველაზე უფრო ამას ავალებს ტრადიცია. პირადი ინტიმი, თუნდა ლირიკაც ხანდისხან მეტია; შეიძლება ყოველთვისაც, თუ აგრეთვე ტრადიციებზე მივა საქმე.

ორპირი — ეს ძველი სახელია. ოდესღაც აქ იტვირთებოდნენ შუა ზღვისკენ მიმავალი გემები, სიმიდით, წაბლით, ყავრებით და ბევრი კიდევ სხვა საგნებით, რომელნიც ეხლა გამოვიდნენ ხმარებიდან. დღესაც ამ ადგილს დარჩენილია დანგრეული სანაოები და დიდი ბელლები. სხვა დროს როცა ორპირის მართლა ისტორია დაინერება — მაშინ იქნება მიშველება რომაელი და ბერძენი ავტორების ფაზისის ადუღებაზე, და ბევრი რამ მართლა საინტერესო შეიძლება გამოჩნდეს. მაგრამ დღეს ამ მხარეს ანათებს მარტო მაღიარია და შეიძლება მარტო ამისათვისაც იყოს გამართლებული პოეზიაში. ეს რაც შეეხება ორპირს, ოქროპირს კი რაც შეეხება, ესეც ადვილი ასახსნელია, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც არ არის სხვა პირი გარდა ოქროსი, და განსაკუთრებით პოეტებში, ამიტომ შეიძლება ეს ასახსნელი არც კი იყოს, მით უმეტეს, რომ ეს სრულებითაც არ არის მეტაფორა. მთავარი საქმე, მაშასადამე, არის მალდარორი.

მაგრამ ეს სიტყვა სრულიად არ არის ქართული.

არც ეს მოეთხოვება ვინმეს, უთუოდ იცოდეს მალდარორი.

მალდარორი პოეზიის თუ ლიტერატურის ისტორიაში ისეთი პიროვნებაა, როგორც ჰამლეტი, და როგორც ჭაუსტი. ლოტრეამონის იმ წიგნს, სადაც პირველათ ალაპარაკდა მალდარორი, ჰქვია „Poesiae“.

ავტორები, რომელნიც გულწრფელად არიან განწყობილი ლოტრეამონთან, ამბობენ, რომ მთელ საპალნე ტომებს წმიდა და დასრულებულ წიგნებისას არ გაცვლიდნენ ამ სომ-

ნამბულა პოეტის ნახევრად შეშლილ სტრიქონებზე. პირადათ მეც ყველა მონოლოგებს ყველა ტრაგედიებისას არ გავცვლიდი ამ ყვითელ გომბემოს ატირებაზე, რადგან ეს არის კოსმიური ორეული თვითონ პოეზიის, პოეზიის გილიოტინაზე; სადაც ჯალათი თვითონვე პოეზიაა. ხომ ყოფილა ასეთი მაგალითი, რომ ჟამიანობის დროს თვითონ აბატი უკითხავდა თავის თავს განსასვენებელს... ასეა პოეზიაც ჟამის დროს.

ამ შემთხვევაში მალდარორი ვასილგამია, მაგრამ პუშკინის დროს მეორე ხმაც ჰქონდა პოეზიას, ხმა მერის.

იყო დრო, რომ პოეზია ერთად ერთი ხმა იყო ღმერთისთვის, მაშინ პოეზია ღვთიურ შთაგონებით, ღვთიურ სიხარულით და სიყვარულით დაიბადა. ეს არის თუნდა გეზიოდის კოსმოგონია, შემდეგ პოეზიაზე უტკბესი სიტყვა ლესბოსი ანაკრეონი, ალკეი, საჭო, რომის მხედრებზე უფრო ისმის რომის პოეტების ლექსების თქარუნი და ფოლადის ადუღება და შემდეგ განცხრომილი ალექსანდრია, რომელსაც მართლაც ვინ იტყვის რა იყო (მამია გურიელი). კიდევ შემდეგ დანტე, ბაირონი, გიოტე — და მართლაც რომ გადავიდენ ეს ხალხი ღმერთებში, და აქ ბეატრიჩეს, მანჭრედის და ჭაუსტის მაგიერ ლაპარაკობს მალდარორი თავის გაუთავებელ მონოლოგს. გამეორებაა, მალდარორი დღეს პოეზიის კოსმიური ორეულია. დღეს თვითონ პოეზიას დაემართა მალლიარია. პოეზია აფრა გატეხილი არტურ რემბოს მთვრალი ხომალდია. იქ, ძირს იხრნება ლევიაჰანი, სადაც ხეებზე გველებს სნიკნიან ბალნინჯოები, და ოთხმოც ლიეზე ისმის ჭიხვინი, როცა მალმტრამს ამაკებს გიპოპოტამი, პირველად აქ გატყდა პოეზიის ხერხემალი.

რასაკვირველია, ხანძარით განადგურებულ სახლის სოროებშიაც სცხოვრობენ თავვები, რომელთაც ვერც კი გაუგიათ ცეცხლის სისასტიკე, მაგრამ როცა გამოვლენ სოროებიდან, ხომ გაიგებენ და შეხედავენ გადამწვარ დიდ ბუდეს. დღესაც არიან ნუგეშიანი პოეტები, პოეზიის გარეშე, მათ ხომ არც მალდარორის მონოლოგი შეეხება. პირველად ედგარ პომ იგრძნო ეს მინის ქვეშ გაზმორებული დარღვევის ტალღა, მაგრამ მისი მატემატიკის გონება ამას არ შეუშინდა, რადგან მისთვის სულ ერთი იყო; ის, როგორც ჩინელი, სახლს ნალმაც ააშენებდა და უკუღმაც, მაგრამ უკვე ცხადი იყო, რომ „დანგრეულ ეშერის სახლი“-ს დანგრევის შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა.

(ჰიუსმანსის „Надгроб“ მატემატიკურის სისწორით გამოდის პოს ეშერის სახლიდან). მალდარორზე წინ ადამიანური ენით ამაზე ლაპარაკობს გერცოგი დეზესენტი, როცა აპოკალიპსის კონვულსიებით კითხულობს დანერას „Великий сифились“.

ეს წიგნი დიაბოლის პრესია ლათინურ რასსის, ამ პრესსში პოეზიაც გავიდა.

ერა კეთილშობილი და მაგარი პოეზიისა გათავდა.

ვერლენმა მოითხოვა პოეზიაში ღორსაც ჰქონოდა ადგილი.

და დღეს პოეზიას დაეუფლა მალდარორი.

შუბლ გატეხილი მონანიებული ვერლენი ატირებული ჯვარცმასთან „O, mon Dieu“ მეორე თვალთ უყურებს მალდარორის ყვითელ თვალს. ბევრ გულუბრყვილო პოეტისთვის მაგალითად სასონარკვეთის და შიშის უდიდესი სიმბოლოა პოეს „ყორანი“. მაგრამ იმისთვის, ვინც ერთხელ მაინც თვალში შეხედავს მალდარორს, „ყორანი“ იმ უბრალო ბოსტნის ჩიტების საფრთხობელათ იქცევა, რომლისაც არც ბავშვებს ეშინიათ, არც ჩიტებს.

და მაგარი ტერორი, ყველაზე უფრო მწუხარე და დამლუპველი სდგას მაინც მალდარორი, რომელსაც ვერავინ შებმას ვერ გაუბედავს.

ოხ, ეს ღამეები დილიყანის სახურავზე.

მე ალბათ იმით გავათავებ, რომ ციება შემეყრება.

დილიყანის სახურავზე აკანკალებული ლაჭორგი, თვითონ პოეზიას ალაპარაკებს ამ სიტყვებით. მართლაც იმით გათავდა, რომ დაემართა ციება. აქვე მეორე თვალსა და თვალს შუა დანერილი ოქორტი.

ის, როცა კვდება,
— სადაა რეკვიემი?
— ჩემო ძვირფასო,
ის არ იქნება.

ლაჭორგმა მაინც დასწერა ეს რეკვიემი: „სამგლოვიარო მარში დედამინის სიკვდილზე“, სადაც გამოტირებულა: მონასტერები, კატორღა, ჟამი, შიმშილის ბუნტი, საროსკიპოები, გეგელის ჭკუა და თვითონ პოეზია, და მოალერსე სონეტი. — ამის შემდეგ არაფერი არ რჩება და ყველაფერი ილუპება იმ კუბოში, რომელსაც ჰქვია დედა მინის ბურთი, რომელიც მირბის უხსოვარ სიბნელეში, სადაც არის მხოლოდ სიშავე, და სიჩუმე, სადაც არ არის არც მონმე, არც თვალი და არც შეგნება. და მნათობების ოქროს რქებიანი კორტეჟი — ტრაურით უყურებს ამ დაბნელებას. ლაჭორგი პირველი პოეტია, რომელიც აიტანა ცხელების კანკალმა, მთელი მისი პოეზია — ეს გადაკრული სიტყვებია ჟრუანტელის. ეს სიტყვებიც პოეზიას ეკუთვნის.

ახ, ქალბატონო, სადა გაქვთ თქვენ ან სირცხვილი და ან სინდისი,
სრულიად არ გავხართ მონა ლიზას
ისე კი იღებთ მის სახეს
და გინდათ ქვეყანა გაავსოთ სპლინით.

ეს არის ირონია პოეზიის:

ხშირად მართალია არის პირდაპირი ატირება.

ნამდვილი Miserere, ღვთისმშობლის ეკლესიის ფანჯარაში დიდი როზეტკის ატირება — მაგრამ ყველაფერს ფარავს, როცა ბულვარებში გაიარს მწარე სიცილი აბესენტიტით და ორსული ქალები; რომელნიც აჩენენ მკერდსაც და მუცელსაც და ეს Dies irae იმ დამპალ ჭკუაზე, რომელსაც ოდესღაც მინა ერქვა.

ლაჭორგზე უფრო ადრე კიდევ ბოდლერი მიმართავდა პოეზიას:

თქვენ სინაზის ანგელოსო,
გაკანკალეხდათ როდისმე ციება?

ეს იმის შემდეგ, როცა ბოდლერმა პირველმა დახრწნა სამყარო, ეს ის ბებრების კუბოა, რომელიც ასე აგავს ბავშვების კუბოს დაპატარავებით — და მართლა გასაკვირია მხატვარი სიკვდილის ამნაირი გულაჩვილება. პირველად პოეზიას ბოდლერიდან აუვიდა გახრწნის სუნი, ამის შემდეგ დაშლა არ შეჩერებულა.

ასტრალი ძალღი გრძნობს დახსნის სუნს

და იფხანს გვერდებს — მოლოდინში.

Les fleurs du Mal,

Mal'aria.

რუსეთში პირველად ტიუტჩიევმა იგრძნო ეს ბოროტი აყვავება.

ეს არის ლექსი „Mal'aria“.

„მიყვარს ეს ღვთის რისხვა. უხილავათ ყველაფერში გათესლილი

იდუმალი ბოროტება. ყვავილებში, მინის სიფაქიზე წყაროში

და თვითონ რომის ცაში. ისევ მაღალია ცის ლაყვარდი

კიდევ მსუბუქად და ტკბილათ ინძრევა შენი გული, კიდევ

უბერავს თბილი ქარი, ისევ ვარდების სუნთქვა, მაგრამ ყველაფერი

მაინც არის სიკვდილი.“

ეს იქ არის, სადაც გადამწვარ მინას უერთდება კვამლი ცის ლაყვარდის იქ განცხრომით სიამეში ცხოვრობს სიგიჟე განწირული (Безумье жалкое).

საქართველო თავის ბუნებით კლასიკურ ეპოქაში იყო გამზადებული მალიარიისთვის. ყველაზე უფრო ალექსანდრიელი და ატაცებული ნამდვილ პოეტ თეიმურაზ მეფეს აქვს გაბაასება:

ღვდელის და მალიარიის.

სიტყვები ამ ლექსის ძალიან პრიმიტიულია, რომ მოყვანათ ღირდეს — აქ დასაფასებელია მარტო შეხება იდეის.

მე-XIX საუკუნის ულამაზესი ქალი მანანა ორბელიანიც სწერს ლექსს „დიალოგი მალიარიასთან“.

ეს ლექსიც ძალიან პრიმიტიულია, აქაც მოცემულია მარტო მოტივი, მაგრამ ასანიშნავია.

ეს არის წინდანი მოცემული შესავალი წიგნის

„ორპირის ოქროპირი მალდარორი“.

ეს არის მანიჭესტი მალდარორის.

აქვს გამართლება საქართველოში მოლდარორს.

მონოლოგი, სიკვდილის და თავის მონამვლა მორიელის,

იმ ქვეყანაში სადაც „ვარდულებულიანი“ კიდეც პოემობენ,

სადაც იწერება ამდენი გულუბრყვილო პოემა და ამდენი

ნუგეშიანი ლექსი?.. სადაც არიან ისეთი დაიმედებული

ხალხი, რომ მოელიან ახალი ერა დაიწყოს პოეზიაში,

და ამას ნაჯახით გათლილ ლექსებით იწყებენ...

ამაზე ბევრი მსჯელობა დაარღვევს მოხსენების სტილს.

თუმცა აქ ისედაც ბევრია ზედმეტი თქმა. და როცა მე დავდიოდი რიონის ფშანებში, ატეხილ ფშანებში, რომელსაც იორდანე დავარქვი და რომლის კუნძულსაც ახალი პატროსი, ჩემთან ერთად დადიოდენ ლაჭორგი, ტიუტჩევი, ბოდლერი. და იმ ქვეყანაში, სადაც ხალხი გადაშენდა, სადაც მხოლოდ ერთი ბაყაყების ორკესტრი დარჩა, მე ვფიქრობდი პოეზიაზე — რომ პოეზია ბოლოს როგორც უკანასკნელ წყაროს ამ ფშანს უნდა დანაფებოდა. და აკი ამბობდა არტურ რემბო:

„მე თუ ევროპის წყალი მინდა: მსურს მხოლოდ ფშანი: ცივი და შავიო. და იყო ეჭემერი ჩვენება ცივით გასიებულ ადამიანების, დავიწყებულ საყდრებს მელამურები ესიენ, და ამორძალები დასეოდენ უზარმაზარ ბაყაყებს, ამ ფოსფორით ადუღებაში როგორც უკანასკნელი საყვირის ცემა ისმოდა მაღალი ხმა მალდარორის... ეს სიტყვებია ჩანერილი იმ პოემაში, რომელსაც დაერქმევა „ორპირის ოქროპირი მალდარორი“.

ტიციან ტაბიძე

მინის სჯული

ხორალი მისტერიიდან „ჯვარი ვაზის“

ღმერთმა მიაყარა მაღლი საქართველოს.
მკერდი არ უშრება მინას უთვალოსა.
უხვი მზე გამოდის ხალისით სართველოს:
ბულრაობს მწვანეზე და მართავს კალოსა.
მუხას გადაგრაგნილს და მაგარ წვივიანს
სურო ეგრიხება ლურჯი არტახებით.
გადათქვირებული რკობი ცვივიან
და ეშვებს ლესავენ ველური ტახები.
ლელავენ ჯავარი ტალღები სიმინდის.
სული ეხუთებათ ხულებს და თაროებს.
დალოცოს უფალმა ნაყოფის სინმინდე:
ლამაზი ქალები ქურჩავენ ტაროებს.
და პირგაგუდული დიდი სანნახელი —
ყურძნით გაღეშილი ლუმი გველეშაპი,
რომელმა გიორგიმ არ ჩასცეს მახვილი,
მტევნების ტბორები რო ხვრიბოს პეშვებით.
რკო მრუში. მტევანი. ტარო დაყურსული.
ალო ატეხილი და თესლი ხურვალი.
ვერვინ დაიურვოს ხარი გალურსული,
მთელ წყაროს ამოცლის რომ არი წყურვალი.
ჯოგების ურდოებს მორეკავს მეზვარე:
ნინ ხარი ნიქარა და ძროხა ბელეშა.
იქ აედევნება უშობელს მოზვერი
და განზე უეცრად დაიყეფს ქელეშა.
ყუყუდება ფარეხი და თანაც ბნელდება.
ჩუმად იმუდრებენ მსუქანი დედლები.
ჩვენც დასიცხულები მათთან დავნელდებით:
სასვენათ გველიან ძელური კედლები.
ვაჟები. ქალები. შვილები. მამები.
დედავ: ჩაგეხვევით უბეში კვართული.
და ძილში მალულად ფიქრი გვეამება:
რომ არ გაგვიმეტებს ჩვენ მინა ქართული.

გრიგოლ რობაქიძე

ევროპა

შესავალი

1915. იანვარში

პორტმა, რომელსაც გლაზგო ჰქვია

დიდს ნიაღვარში

მე გამისტუმრა ევროპიდან ინგლისის გემზე „კაბადოკია“
ეს იყო მაშინ

როცა სენაში

ყრიდენ პარიზის მოქალაქენი გერმანელ ტყვეებს...

ვიგონებ დღეებს

როცა ვერდენს მოადგა შანთი.

როცა დასცალეს ტროკადერო

და ლუვრს მოსტაცეს ლაურა-დე-დიანტი.

გახდა პარიზი უსიცილო და უსიმღერო.

ლიუქსემბურგში:

იდგა ვერლენი ცრემლიანი და თოვლის ქურქში.

ლამის ქალები, პოეტები მოშორდენ „დარკურს“ და კაჭე „ლილლას“
და მათხოვრები სენის ხიდებ ქვეშ მარსელიეზით ხვდებოდენ დილას.

პარიზელები ყვავილებით, პატარა ჯვრებით

გზავნიდენ ბავშვებს პერლაშეზის სასაფლაოზე.

გამოვექეცი ევროპის ქაოსს.

სისხლს.

დანგრეულ რეიმისის ტაძარს

უზარმაზარ ტანკების ქშენას.

რეინის ირგვლივ თაობათა გადაშენებას.

ვიგონებ მართლა ჟრუანტელით

ლამანშის სრუტეს

იქ ჩალაგებულ ატლანტიკის ანთებულ გემებს.

შოტლანდიაში:

ვნახე თეთრი ძროხების ჯოგი

და გავიღიმე ვით ნახევრად გაგიჟებულმა....

გამოვექეცი ევროპის წარღვნას.

...

პარიზში დამრჩა ერთი საფლავი:

ლეგიონის ორდენის წევრი,

აღმოსავლეთში განთქმული გმირი

და ქუთაისში გადამტანი რევოლიუციის

(1905)

მკვდარი მარნასთან,

პერლაშეზე გასვენებული:

ბუჭუტა აბაშიძე.

პაოლო იაშვილი

სეზონის ფალავანი

ეს სულ ერთია, მაინც გაუგებარია
შეიძლება წერა ჰიეროგლიფებით.
თითქო პატარა ბავში ვარ — დაფაზე გრიფელით
და ჩემი სულიც სხვას აბარია.
მადონა დეზერტირის ბაზარზე
(უსათუოდ ტემაა ახალი)
გულგრილობით ქვეყანა გადავრაზე
„დასავლეთის დივან“-ს დასწერდა ბაყალი.
მე თვითონ მიყვარდა წინად ლირიკა
მზად ვიყავ უმიზეზოთ მთელი დღე მეტირა,
დღეს ყველა იმედი მართლა გაირიყა —
ლირიკის პოეტი მგონია მესტვირე.
მართალი გულით უკანასკნელ თავის განწირვით
მივმართავ ყველას უსათუოდ გამომიტირონ.
ლაფორგის კვირა ჭიანურის ატირდა წირვით
დანყევლილ პოეტს ნუ ამადლით, როცა გთხოვთ მირონს.
წვიმს შემოდგომა წარღვნის წვიმით... მე ვარ ორპირში
და ეს გრიგალიც მოთხრის ღამე ხომ იხტიოზავრს.
მე მეჩვენება ჩემი თავი მეფის პორფირში
სოველი ჭინკა თავმდაბლობით მეუბნება ზარს...
მე თვითონ მივზდევ ყოველ წასულ დღეს.
მზად ვარ ვიტურო ბავშსზე უმწარესს.
თორმეტმა ღვდეღმა მამა გასუდრეს.
მე ერთი ღვდეღიც არ ამიგებს წესს..

და ვმადლობ უფალს, ჩემი სული მას აბარია,
მან ერთმა იცის, რომ არ იყო იგი სამინე.
ასე ატირებდა პოეტს მალლიარია,
ასე გაუგებრად სწერდა ტიცციან ტაბიძე.

*ტიციან ტაბიძე
18 ოქტომბერი, 1922 წ.
ქ. ტფილისი*

სოლო სიონში

პირველი სეანსი

დაუმთავრებელ მთვარის სოლოს იმღერებს ქალი.
იმღერებს სოლოს დასველებულს სქელი ისრიმით.
და გამწვანდება მის სახეზე ბოროტი ხალი.
ხალი დამპალი, შეხვეული დანესტილ სირმით.

(მე ეს ამბავი დავასრულო მინდა რომანით)
 თუმცა ქალბატონს გადაესხა სისხლი კაბაზე.
 მას კაბა ეცვა შეკერილი ობობას კანით,
 და ასდიოდა ოხშივარი გამოჭმულ ყბაზე.

ქალი თითქოს მთვარით შემოსილი

„არ გააცილებს გვიან ეტლით მთვარეს არავინ.
 ძალღის ღამეებს სიცივეში ვფურცლავ წვალებით.
 და რძის სატურნი იყო ჩემი მხოლოდ მფარავი.
 ახლა გრივალებს დავედევნე აცრილ თვალებით.

ო, ცა ტიტველი გადმომაყრის ბამბის ვარსკვლავებს.
 და ჩემ ყეფაზე ატირდება სიონში თაგვიც.
 ამ განაპირა ქუჩის ტირილს რა გაათავებს?
 ღმერთო მალალო! დიდ უფსკრულში გთხოვ დაგვიცევი!

მოვიდა კვირა გაბერილი: წვიმით, ტალახით.
 წვირიან უბანს მოეჩვიენ მძიმე ავდრები.
 ჩემია სოლო: კოჭლი მთვარე ისევ შავდება.

უკანასკნელი სეანსი

ახლა ქალბატონს ვეთხოვები სანთლის ღიმლით.
 შეწყვიტა წყნარი, ხავსიანი მთვარის სეანსი.
 გაფრენილ სიონს მოაფინა გუმბათზე მლილი.
 ო, ვინ შეხვდება დიდ სივრცეში ასულს ცოფიანს.

შალვა აფხაიძე

ახალი მთვარე — კახეთში

მთვარე ხორციტ გაივსო.
 მოსწყდა უნაზეს მუცელს, აბრეშუმის საბუდარს
 მთვარე ხორციტ გაივსო.
 ხსნიან რუმბებს მარნებში. ყოჩი დაკლეს მყვირალი
 მოზვერი საგაისო.

უბნებში გადადიან ცეცხლები ყირამალა
 სოფელზე წამოვიდა მთვარიანი მორევი —
 გამოსული ლორივით
 მთვარე ხორციტ გაივსო.

მინა, დედალო, ადუღდი მაჭრათ,
დუმით გადაზელილს ვეძებ შენს ძუძუებს
მანოვე. შევხვრიტო; დვრიტა და შრატი.
რომ გავძღე უცებ.

მოდგეს და მოდგეს გატენილი შენი ნახირი,
მე წყურვილი გამინახევროს.
მოსხენი ჯიქანი შენი ნამთვარევი.
ვაფეთებ თვალებს მე აფთარივით.

...

ქონების ჭრაქები ინთება ფერებად.
მთვარე ტყირპით იბერება...

გიორგი ლეონიძე

წერილი ანა ახმატოვას

მე მინდა ვითხრა სამძიმარი:
რომ ბლოკი მოკვდა!
ხან და ხან ჩუმი და მძინარი
მეცა ვარ ბლოკთან.
ჩამოდი ჩემთან. მე მგონია,
ვიქნებით დები:
თუ პეტერბურგის აგონია
გიყვარს... და ვცდები.
თბილისის მადლი და შვენება
გიშველის, ვიცი.
ორივეს ერთად გვეჩვენება
ნასული პრინცი.
შენ დაღალული გიბანია
სხეული ნისლში...
ჩემი ქვეყანა ისპანია
არი ივლისში.
მე ცოტას მიცნობს: სხვანაირი
მენვია ბედი.
შენთვის საჩუქრად მაქვს დაირი
და ოქროს გედი.
ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ლურჯი
ლოყებს აგინთებს;
აკოცე შენი ცივი ტუჩით
თამარის თითებს.

ელენე დარიანი

მანიფესტი ვირებს

მოქალაქენო, ეხლა სიკვდილს აღარ ვაპირებ:
გამიჩნდა საქმე საარაკო (თქვენ გეცინებათ).
ჩემი ფიქრები ისევ მოსჩანს მთვარის სინებათ
და მანიფესტით მე მივმართავ საყვარელ ვირებს:

ჩემო ვირებო, თქვენს სინაზეს ყველა ამცირებს,
თუმცა თქვენს თვალებს მე ვიხმარდი სარკის მინებათ
და გადავწყვიტე, რადგან ღმერთმა ასე ინება,
თქვენი სიცოცხლე ავაშორო სიკვდილის გზირებს.

ვერ შეხვალთ, ძმებო, სამოთხეში დღეს მარტო გარჯით,
ამაზე მახსოვს ბევრი ფიქრი დამიხარჯია,
საჭირო არის გადავარდნა ცეცხლის ყამირში.

გეძლევათ ნება დააარსოთ ცალკე სამეფო,
მგონი, დრო არის, რომ გაექცეთ მონურ წამებას
და შეგიძლიათ მფარველ მეფეთ მე ამირჩიოთ.

რაჟდენ გვეტაძე

ივანე მაჩაბელს

მე ერთად ვგლოვობ; უცნობ მაჩაბელს
და ძმას, დაკარგულს შორეულ ფრონტზე
ო, იოანე! თავს გადანაბელს
მე ახლა ვხედავ შავ ჰორიზონტზე.

აღარ თავდება ეს აგონია...
კიდევ მეორეთ ინგრევა გორი.
სასაფლაოზე (ასე მგონია)
სდგას მაჩაბელი ვით კამანდორი.

უცდის დონ ჟუანს და დონნა ანნას,
რომ გადუხადოს მათ მაგიერი.
და ხნიერ ლამის ავ გამოცანას
უცქერის როგორც ალიგიერი.

ის ყოველ ლამით ვერის კიბეზე
მომელოდება ვით ორეული.
ის არის ლანდი უღარიბესი
ფიროსმანებრივ ჩამოხეული.

დეზერტირებაზე ჰყიდის სურათებს —
ნახევრად გიჟი, მუნჯი, მშიერი.
ის თავის მკვლელებს დაუყურადებს
და გაექცევა მათ — კადნიერი.

ტრამვაის მოსვლას ჩვენ ერთად ვუცდით.
მისი ჩვენება კვლავ ისარკება,
იგი მიყურებს როგორც ჭაუსტი
და უცბათ ბრბოში დაიკარგება.

ალარ გათავდა ეს აგონია—
შლილი შხამიან ლამის ვარდებით.
და მაჩაბელი (ასე მგონია)
ხიდიდან წყალში გადავარდება.

უკვე დაინგრა ბედითი გორი.
დგებიან მკვდრები საყვირის ხმაზე.
და მაჩაბელი — მხნე კამანდორი —
ტფილისზე მოდის ვით სააკაძე.

ვალერიან გაფრინდაშვილი

ქიულ ლაფორგი

სამგლოვიარო მარში მიწის გარდაცვალებაზე

შეტუობინება

ოქრორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე.
ლალის ტვირთები დაიგრაგნენ შორი ხმაურით.
თქვენ მნათობებო! მგლოვიარე ხოროთა ხმაზე
გაყინულ მიწას მოევლინეთ ოქროს ტრაურით!

მიწა კვდარია და შესრულდენ ყველა დროები.
შენ უკანასკნელ დაიკვნესე ავი ხროტინით.
შავ სიჩუმეში, რომ გელოდა გილიოტინით,
შენ როგორც ბუში დასცურავხარ განმარტოებით.
ყველგან ზღვა არის მოჩვენებით თუ სინამდვილით.
დაეხეტები როგორც კუბო და ძორი შავი,
მაგრამ წარსული მოიგონე — პოემა ავი.
არა, იძინე აღსასრულის მარადი ძილით!

ოქრორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე.
ლალის ტვირთები დაიგრაგნენ შორი ხმაურით.

თქვენ მნათობებო! მგლოვიარე ხოროთა ხმაზე
 გაყინულ მიწას მოევლინეთ ოქროს ტრაურით!
 მაგრამ წარსული მოიგონე: ის წმინდა ხანა,
 როცა შენ, მიწავ, გიგალობდა ქალწული ქარი.
 გულში გეკვროდა საალერსო ფოთოლთა ჯარი
 და ტკბილი იყო დაულალავ მდინარის ნანა.
 მაგრამ აჯანყდა უწმინდური: მხიბლავი ქსელი,
 მაიას ქსელი მან გაგლიჯა მეტი წყურვილით.
 და დროთა კვნესა აიმართა ზეცისკენ ნელი.
 არა, იძინე აღსასრულის მარადი ძილით.

ოქრორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე.

.....
 შენ საშუალო საუკუნის ხომ გახსოვს ღამე,
 როცა სამსჯავრო საშინელი მეხით გრგვინავდა.
 როს გაჭირვება მკვდრების ჩონჩხებს თავისთვის ფქვავდა,
 რომ გამოედლო სისხლიანი, უღმობი ჟამი.
 და ადამიანს, შეშინებულს სიტყვების ბნედიტ
 სწამდა ღვთაება და ასხამდა ხოტბას იმედიტ.
 მან თავის გვარი შეიძულა მეტ სიძულვილიტ.
 მაგრამ იძინე აღსასრულის მარადი ძილიტ.

ოქრორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე.

.....
 საკურთხევლებზე წმინდა სისხლი, ვით გამოცანა.
 ბნელი ტაძრების ვიტრაჟები და საკმეველი.
 მიდის ზეცაში ორგანონის წმინდა ოსანა.
 ბნელი მონასტრის ტყვეობაში კვდება მხევალი.
 ისტერიული საუკუნე — უკვე წარსული.
 მთელ მსოფლიოში იგი იყო სულ ერთი ერთად.
 იგი მიჰქროდა მიწის ბელტზე ობლათ, უღმერთოდ.
 მაგრამ იძინე, დღეს გენვია შენ აღსასრული!

ოქრორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე.

.....
 საპყრობილენი, ჯალათები, კოცონი, ფერფლი.
 საროსკიპონი, საგიჟეთი, რკინა და ბროლი.
 ომი, რომ მინდვრებს ანაკელებს უზომო მსხვერპლიტ.
 მეცნიერება, ხელოვნება, ჭკუა-გოდოლი!
 კეთროვანება, ღვინო, ჭირი, ურდო მშვიერთა,
 ტრფობის, მოწყენის, აღტაცების ამაყი კრება.
 ამ შარმა ბევრი განიცადა, ახლა რომ კვდება:
 მაგრამ იძინე, შენ ქაოსის ზღვამ შეგიერთა!

ოქრორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე;

.....
სად არის ბუდდა, რომ ბრწყინავდა ვით განთიადი,
მთელი ქვეყანა რომ უყვარდა ერთ სიყვარულით?
სად არის ქრისტე, რომ სცხოვრობდა რწმენით ალურით,
და რწმენის მსხვერპლათ დაიღუპა ნაზი, დიადი?
სადლა არიან წამებულნი, ყველა ისინი,
ვინაც ატირა მსოფლიოთა იდუმალობამ,
მათი წიგნების სადლა არის ბოდვა, გალობა?
მაგრამ გათავდა აგონია! ახლა იძინე!

ოქრორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე.

.....
უკვე არ არის არაფერი! ლუვრის ვენერა!
გეგელის ჭკუა! საალერსო სონეტი მჭრელი.
ტომები, სადაც დიდ გონების დადუმდა ბგერა.
ვაზა, ოფორტი უსარგებლო და ეიფელი.
რაც იყო, მიწავ, სიამაყე შენი შვილების,
შენი ტალახი, ბრწყინვალეა ხარბათ ფრქვეული —
ახლა ეს მხოლოდ ოცნებაა სიზმარეული.
მაგრამ იძინე! დაივიწყე ხმა სურვილების.

ოქრორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე.

.....
სიკვდილი მოდის! დაივიწყე, რაც იყო წინათ.
ის საშინელი ტრაგედია იყო — კომმარი.
მხოლოდ კუბოა უგზო-უკვლო დღეს შენი შარი:
უხსოვარ ბნელში ის უცნობი არის რუინა.
შენ არ ყოფილხარ! შენ იყავი მხოლოდ ჩვენება!
აქ აღარ არის მონამე და მაცურებელი.
არის სიშავე, დრო, სიჩუმე, როგორც მხლებელი.
შენი ბედია აღსასრული და განსვენება!

ოქრორქიანი ვარსკვლავების კორტეჟი ცაზე.
ლალის ტვირთები დაიგრაგნენ შორი ხმაურით.
თქვენ მნათობებო! მგლოვიარე ხოროთა ხმაზე
გაყინულ მიწას მოევლინეთ ოქროს ტრაურით!

ვალერიან გაფრინდაშვილი

დაბრუნება

სანდრო ცირეკიძეს

თითქო პირველად დაინახა თავისი პატარა ფანჯარიდან ცა დიდი, წმინდა. ახლა ქუჩები იყო წყნარი. ხმაურობდენ მხოლოდ ეტლები და ტრამვაები.

მალე ლალავდა ქუჩა. ქალაქის სკვერები მტვერისაგან ნაცრიანია. მოენატრა წმინდა ტყეები, ჭრიჭინები, ადრე ჩაძინებული სოფელი.

დასტოვა ქალაქი. უკანასკნელ სადგურზე დიდი ომი, რევოლიუცია, ბარიკადები. ხალისით შეუდგა ჯერ ჭალებს, მერე აღმართებს. გადაღმა წყნარი სოფელია, დაჩრდილული ორღობეები, გრძელ წვერა მეზობლები.

ხარი დაეტაკა ხარს. ორივეს კუნთები ღონიერია და თვალები ცეცხლიანი. ხანჯლებით აილესა რქები ერთმანეთზე. ჰაერს შეერია მტვერი. გახელებული მზე ქაფათ გადიღვარა ორ მსუქან ტანში. მორჩენ ბულრაობას და მძიმე ნაბიჯით გაუდგენ გზას. ამძიმებდათ ხორცის სიმრავლე და სიმხურვალე ბარძაყებში.

ახ, ეს სოფელი სულ არ შეცვლილა! მხოლოდ გამრავლებულა ეზოები და დავაჟუკაცეზულა საკვირიკო ლეღვები. სოფლიდან წასულან გოგოები, ახლაც მოიგონებენ სიძის მოსვლას და მაყრების გაბრუნებას. გასათხოვრები წამოიზარდენ და სხვები მოვლენ მაყრულით. ერთ დღეს ყოველი ოდა აყვავდება მწვანე შტოებით მორთულ სეფათი და ღობეებზე მიბმულ მაყრიონის ულაყებს ჭიხვინში დაათენდებათ ღამე.

მასპინძელი იხდიდა ბოდიშს ღარიბი ვახშმისთვის. სუფრაზე ეყარა ცხელი ჭადები, საინები პირამდე სავსე მსუქანი საცივით. აქვს ღვინო. მასპინძელს უხაროდა, მისი მწივებით დაწურულია, და ხელადები არ ცარიელდებოდა. ფარვანები ეხვევოდენ სანთელს და ცვიოდენ წვენში. აივანს ეცემოდა ცვარი, მაგრამ ღვინოს შექონდა სითბო ტანში. ყველა შეიქნა ძვირფასი და საყვარელი: გაქონილი ტუჩები კოცნიდა ერთმანეთს.

— თქვენ ალბათ კარგათ მღერით. უარს ნუ ამბობთ!

მორცხვობდა.

— ახ, არა ღმერთმანი!

— აზნაურის ქალი ხარ და გასათხოვარი! უარი როგორ გეკადრება!

ახ, ეს მთვარე, თეთრი მთვარე! ის მხოლოდ აზნაურის ქალის სამკაულია და მეგობარი სიმღერის დროს. ახლაც ქალის სიმღერამ ამოათრია. გამოჩნდა მთები და ხეები, ნიგვზის ტოტებზე — დაბუდრებული ქათმები. ქალი ნაღვლობდა სიყვარულზე, ეშინოდა ღალატის, იმუქრებოდა სანამღავით. რცხვენოდა ყველაზე უფრო ქალაქიდან ჩამოსულის. ალბათ ბევრი კარგი სიმღერა გაუგონია და გიტარაზეც უკეთ უკრავენ. მასპინძელს რო არ ეთხოვა, არ დაამღერებდა.

მზემ დააწოვა მინდვრები, ყანები, ვენახები. მთებიდან დაბრუნდენ ძროხები ეჟენების რაკუნით. მოათრიეს სავსე ჯიქნები. ცხელი კუროები ბლავილით დაეშვენ წყაროსკენ და შეივსეს მარჯვენა ფერდიც. მწყემსები ამბობდენ დათვის ტორის ნაკვალევზე. ნასაყდრევისთვის შენირული ვერძები განადირდენ, ექავებათ რქები და ებრძვიან ხეებს ბრაზის მოსაკლავად.

ცდომილი ვუბრუნდები ძველ სამკვიდრებელს და მივიღე, ძვირფასო, შენი ქალწული მინა. მიხარია ცხელი სისხლი არტერიებში, ბროწეულების დამძიმებული ტოტები და ჩემი ეზო გავსილი ჰაერით, დევებით და ცისარტყელებით. უფალო, გადაიღვარე ჩემში! უფალო ველი შენგან დამაკებას!

თექვსმეტი წლის კუნთები ღონიერია და შეუძლიათ აიტანონ შენი ტანი ტოტებზე, როცა მივარდები ქვიშნის ხეს. ქვიშნის წითელი წვენი შეისვრი ტუჩებს, ლოყებს, შენი თეთრი ტანსაცმელი ქვიშნის სისხლითაა შეღებილი. ასე ბრუნდება ბრძოლიდან გამარჯვებული. ყოველ დღე ეჭიდები მზეს, ახელებ ამ ცხელ ამორძალს შენი ტანის სიმაგრით და სურნელებით. მზე ისხმება შენს ტანში ცხელი და უზოგავი. ინვის ტანი, ეჭიდება წარმართს მზე. როცა დაღალული მიიღებს სპილენძის ფერს, ჩაძირავ ტანს ბალახებში. ბალახები ისხამენ ცვარს და ენის წითელ წვერს აგრილებ ცივი წვეთებით.

ყველაზე ადრე დასტოვა გალავანი და ჩქარი ნაბიჯით დაეშვა ორღობებში. გაიარა ნისქვილები და გაყვა მდინარის ნაპირებს. მეზადურები იჭერდენ კალმახებს. დაგუბებულ კალაპოტთან შეგროვილიყვენ ბავშვები. ტანისამოსი დაეგდოთ ქვებზე. ისვრებოდენ სილაში და კივილით შეცურდებოდენ წყალში. მზეზე ბრწყინავდა ბავშვების სპილენძის ტანი. კიჟინით მორეკეს ცხენები. დაუშალეს კუდები და ჭენებით ჩარეკეს მდინარეში. ჩქარობდენ ცხენები ამოსვლას და ფრუტუნით ერეკებოდენ წყალს ნესტოებიდან.

გაბრუნდა ყანით და როცა ადიოდა ფერდოს, დაინახა ნაცნობი სახე, მშიერი ნადირით გამომზირალი ჩირგვიდან.

— ასე ადრე რათ დასტოვე ეკლესია. გამოგყევი შენს ნაკვალევს.

ღონიერი მკლავებით მოეხვია კისერს და ცხელი ძუძუებით მიეკრა ტანს.

დაღალა, დაჰკოცნა და დასტოვა მოთელილ ბალახზე.

„ახლა სოფელში ვარ. მაცვია წულები. ჩოხის ნაქსოვები გაჟღენთილია მინის და ბალახის სურნელით. მწამს ძლიერება ძელი ჭემმარიტის. თვალები მაქვს მწვანე და უშიშრათ ვხედავ წმინდა გიორგის. ველი ამბავს, როცა წაუკიდებ ცეცხლს შენს თერთმეტ სართულიან სახლს“.

სერგო კლდიაშვილი

სიტყვის როია

კამარა პირველი

მაგიდას უსხედან: პოეტები, მწერლები, ესთეტიკოსები. გადასწყვიტეს ჟურნალის გამოცემა. სახელს ეძებენ. უეცრად მოვარდება ერთი სიტყვა. დაფიქრდებიან. სინჯავენ სახელს. „ვერ არის ხმოვანი სათანადოთ“ — ამბობს ერთი. დასთანხმდებიან. შემოვარდება მეორე სიტყვა. მასაც იგივე ბედი ეწვია. შემდეგ: მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე. არ აქვს ბოლო. გაისმის ნაირი ხარაქტეროლოგია: აკლია სიმძიმე. არ აქვს კოლორი. არ უვარგა სურნელი. არ აქვს სიმაგრე. სუსტია პლასტიური ჭედი. წამახულია მეტად. ყოველს სახელს მოსდევს ასეთი და სხვა დახასიათება. მოგონების ლაბორატორიაში კი

ინტენსივდება პროცესი ძიების. ბოლოს: უეცარი ცხენივით მოვარდება უცნაური სიტყვა და მოსანათვლელს გამოეჭრება სწორხაზიან პროფილად. ჩნდება სახელი როგორც უკანასკნელი აკვეთილი სახე საგანის: სახელი-სახეული. ფსიხიკის სივრცეში იგი ისმის როგორც მედალიონი ნივთის, ისახება მისტიური აპერცეპცია: სახელი-სახეული-სხეული.

სახელდებული საგანი სხვანაირად იგრძნობა. თითქო სახელამდი იგი არც კი არსებობდა. ან თუ ჰქონდა ყოფა, სახელით მიიღო უკანასკნელი არსება. დაფიქრება იშვილდება სითამამით. ახლოვდება შეცნობაში ემპედოკლეს თქმა: არსნი და ნივთნი იქმნიან მხოლოდ სახელებით, რადგან „პირველიდან იგი იყო“ სახელი მხოლოდ — და ნორმა საგანის თუ მოვლენის არის დარქმევა. დიდი სიცილიელის უცნაურ სიტყვაში არის მისთიური სიმართლე. ნამდვილი სახელი ასტრალური სხეულია საგნის თუ მოვლენის. აქ არის მისი მაგია. ყავის სქელ სითხეში ხელთათმანი გამოიჭრა ასტრალი ხელის: ასე იჭრება სახელში ნივთის თუ განცდის ძირეული არსი.

დასახელების ფენომენში ნათლად ცნაურდება „როიას“ ფენომენი. ხშირად წარმოვიდგენთ: მიზეზი, მიზეზი, მიზეზი, — შემდეგ: შედეგი. ეს გრეხილი მექანიკურია მეტად. იგი იწყება აქტიური „თაურით“ და სრულდება პასსიურ „ბოლოში“. შესაძლოა ამ პროცესს მობრუნებულათ გავავლოთ ხაზი: შედეგი ჯერ კიდევ არ წარმოშობილი, რომელიც მოელის მის შემქმნელ მიზეზს. თესლიდან ნაყოფამდე მანძილია გარკვეული. მაგრამ შეცნობის სხვარიგ მოტრიალებით მანძილი შესაძლოა გაჰქრეს: იხსნება ორმაგი რკალი. ნაყოფი აქ იგივე თესლია. ან კიდევ უკეთესი: ნაყოფი უცდის გაცხელებული თესლის ღელეს საშოში. ამ ფენომენს შესაძლოა ეწოდოს ძველი სახელი „როია“ (შემხვედრი ნაკადი). თუ სახელი გამოიჭრა „როიის“ რკალში, იგი გახდება ასტრალურ სხეულად.

რემი დე გურმონ ამბობს: „რეალური გამოიყოფის შესაძლოსაგან მხოლოდ სიტყვით. შესაძლოს, რომელიც არ არის აბექტილი რომელი წოდებით, შეიძლება ჰქონდეს უკანასკნელი, — რეალური კი ხშირად იკარგება ჩვენთვის, მხოლოდ მისთვის, რომ იგი რჩება ანონიმური. მარმარის უსახელო ბაუსტებ შორის ლუვრში (და ყველგან) შესაძლოა იყოს ის ბაუსტიც, რომელსაც ჩვენ ვეძებთ: ბაუსტი ლუკრეციასი, ბაუსტი კლოდისა, ხოლო, სწორედ იმისათვის, რომ იგი არ არის ანიშნული ცნობილი სახელით, ჩვენ, როცა მას ვუცქერით, არა ვგრძნობთ იმ ჟრუანტელს, რომელიც შეიცავს ჩვენ სხეულებათა წინ ოდესლაც ნაცოცხლი ხალხისა“ („ნიგნი მასკების“): ესკიზი მარსელ შვობზე).

სახელი არის ასტრალის დალი. იგი საიდუმლოთია მოცული. ძველი თქმა მართალია: რომელიმე ქალაქს აქვს მეორე სახელი: იდუმალი. იგი მისი უკანასკნელი სიმაგრეა. ვინც მას გამოიცნობს, ქალაქს აიღებს. ქურუმები ძველად ორი ენით მეტყველებდნენ: ჩვეულით და უჩვეულოთი. უჩვეულო სიტყვა მხოლოდ შენირულებმა იცოდნენ. ამ სიტყვას ჰქონდა მაგიური ძალა. ჰიერატიულ სიტყვას ჟანგი არ ედება. არც ცვდება იგი. მაგალითები: კრატერ-სული. ლირა-მსოფლიო. ქვაბული-შობა. ასტერია-კუნძული დელოს. სკამანდრიდ-ყრმა ასტინიაქსი შვილი ჰექტორის. და სხვა მრავალი.

ასტრალური ხაზები ზოგიერთი სახელის.

ქალების: მარია დორვალ: ოქროს თმები ლოკავენ შიშველ თეთრქაფა სხეულს. დოლენა: სირბილე მინის ძუძუების. აშარა: უშრეტელი. ნინო: ლოცვის ნანა. სირენა: სრიალი ქალური ცვლის. როგნედა: სკვითის სიგიჟე სლაფურ მოდუნებაში. სალომეა: ვნება სიკვდილში. დალილა: სიდედლე და „ეგვიპტეს ღამენი“. ოფელია: შეშლილი ფოთლები მდინარეში. ჯიოკონდა: დაეჭვების ღიმილი სივაჟეში. არაბელა: ატეხილი სურვილი დაურევბისათვის. თამარ: გათვალვა დედოფალის.

გმირების: ასსარგადონ: რკინის რისხვა და საფლავების ამოვარდნა. სალმანასარ: გველის სილამაზე. ჰანნიბალ: აფრიკის სიცხე გოლვიანი. სარდანაპალ: მოჩვენება გაჭენებული. სოლემიან: უდაბნოს მირაჟი სოველი. ჩინგიზხან: აწყვეტილი მარტორქა. ტამერლან: კენტავრი გავარდნილი. თიმურლენგ: მონგრეული ლიანგი. ნაპოლეონ ბონაპარტ: ბედისწერის დუელი.

გეოგრაფიული: ვოგეზი: მოღვედილი ტევრი. ვაგრამ: დანგრევა ჭარმაგი. სკანდინავია: სიმაგრე დათოვლილი. სიცილია: ცისფერი სიცილი. ქირმანშახ: ქიმერების ქარავანი. ხამადან: მზის ხაო. მარმაროშ სიგეტ: თეთრი შოლტი მოქნეული. ქალდეა: ჰალღუცინაცია ხაშმით. კიმერია: სპლინის აგური. ანგორა: გადალახვა ქედმაღალი. საგარეჯო: გარუჯული განდევილი. ორპირი: რასსების ჯვარედინი. წინამური: წამება. გელათი: სინათლე.

ლიტერატურული: შარლ ბოდლერ: გენია სპლინში. ვერლენ: ქალური დათუთქვა. ვერხარნ: გრიგალი თავნაჭრილი. ბორგეზე: ულაცი გეზი. უაქლდ: დენდის კამარა. ლოტრეამონ: გიჟი თავადი. დორიან გრეი: ლანდი სარკეში ჩარჩენილი. ირრუბაქიძე: მოურავი მოურეველი. რადზივილ: სივილი ვილაში. აშორდია: აშორება შაირით.

და მრავალი სხვა: ტეტრარხ, ალექსანდრ სევერ, დადიანი, ნაუზიკაჟა, განგ, ვოლგა, რონა, რიონ, სარიდან, თენგიზ, ოთარ, თეიმურაზ, თამაზ, ლორედან, ქარავანი, ქარვა, რვალი, სპილენძი, დედალ, ტრისტან, ენგური, ნარრაბოთ, სკალდ.

ასახული ხაზები არ არიან უკანასკნელნი (სახელების ასეთს თუ ისეთს შეგზნებაში). შესაძლოა სხვა ხაზებიც. მაგრამ თავი და თავი ის არის, რომ ეს სახელები იძლევიან ასტრალურ ხაზებს (ასეთს თუ ისეთს მაგრამ უთუოდ ასტრალურს). ყოველი მათგანი ჰქმნის საგანს: სულ ერთია — რომელს. ეს არის „როიდა“. ბუნება არ არის ერთსახოვანი: იგი მრავალსახიერია. ყოველს ცნაურის მომენტში იგი სხვა სახეს გაიცხადებს: სახელი ჰკვეთს ამ სახეს. აქედან: მრავალნიშნულება სახელის. ამ მხრით იგი მუსიკალური თაურის ეპიფენომენია.

ჰსევდონიმის პრობლემა ძიებაა ნამდვილი სახელის.

ერთი მაგალითი. ვასილი როზანოვ, გენიალურ მგზნებარე სიტყვისა და სახელის, სწერს:

„Иду раз по улице. Поднял голову и прочитал: „Немецкая булочная Розанова“. Ну так и есть: все булочники „Розановы“ и следовательно все Розановы — булочники. Что таким дуракам (с такой глупой фамилией и делать... Я думаю „Брюсов“ постоянно радуется своей фамилии. Поэтому сичинения В. Розанова меня не манят. Даже смешно. Стихотворения В. Розанова совершенно нельзя вообразить. Кто же будет „читать“ такие стихи. Ты что делаешь, Розанов? — Я пишу стихи. — Дурак. Ты бы лучше пек булки. — Совершенно естественно“ (Вед., 54).

რომელი ჯობს: ისიდორ დეუკას, თუ თავადი ლოტრეამონენ?!

არჩევანი ცხადია.

ხშირად ხალხი ჰქმნის სახელებს, როგორც ასტრალურ დალებს:

ჩიკორა. ოყლაცი. ოჩანა. ჯანჯლა. ყოყონა. ჭყეტელა. ქიცილა. ოცონცორე. კვაცანა. ოჩონჩრე. ქოთილი. კონა. ძაბრა. ანდაზა. ტანტრე. ლუტა. დუგლეგი. დუღრიმა. ლიფლიფა. ცანცარა. ხინჩლა. ლოქოქა. ცვეტა. დღაჯია. ბადრაჯა. წირალა. ჩობინა. ტუბია. ცუგო. ძიძგლა. ტალიკი. წონოქა. წრუტა. წრიპა. ჭინჭლა. ხაჭილა. ხვართელა. ხოჭიჭი. ლაჭო. ყაპყაპა. შანგლა. შანთრაქა. წიკო. წიპლანკი. ჭიპლა. რახრახა. ჟიჟმატა. პუნკია. ხარხლა. კუდბანარა. ქინქლა. ბუდრუგუნა. ბენტერა. დოდრიალა. ზოზო. ნანალა. ბუზანზარა. ჯინჯორა. თუთულა. გოდელა. ხუთქალა. ფუფულა. ქოცეცა. კენჭა. ხრინწა. შეშქენა. პუნკა ჩიტირეკია. ჭალია. ყბაჩა. აგანგალა. აღჩუ. ბაჯაჯლანა. ყლურწა. კოჟორა. დანდროზა. დიდრაჯა. დრუზა. ფონფლე. კოკნოჭა. ლართხა. ლუყურტი. ოდროგელა. ტინგიცი. ლეიტეკელა. ყაპყაპა. ყვარალა. ყრუჩუნა. ბუზანზარა. წონწრე. კიკო. ჩიფლახა. ჭიკარტულა. ჭიმია. კვაჭა. კვანჭა-

ლა. კვაჭანტილა. აყლაყუდა. ცხვინჯა. ტყაპუჭა. ჩხმახმარა. ცქიფურა. წრიპა. ცანგალა. დრუნჩა. მანჭკვალა. ქონტოლი. ფანქვალა. ქონდარა. ჩლადი. ხოჩოლა. ფუჩინა. აჩუა. ოტ-როველა. დურუზუნა. ქუცალა. მანნია. ქაცვია. ფალთახა. ჩინჩახვა.

აი უცნაური სახელები...

ყოველი ასეთი სახელი ისახება ენის საშოში. მაგრამ საგულისხმო: შობისთანავე ასეთი სიტყვა დეკადანსით იხრება და თითქმის სცილდება გრამატიკულ ნორმას. ეს „გადახრა“ აძლევს მას ასტრალურ ხასიათს. ყოველი სახელი აქ ცხელი დალით არის გაშანთული. ასეთი სიტყვა მთელი პოემაა ჰომერის სიუხვით მოზმული. საგანი თუ ნივთი თუ მოვლენა უკანასკნელი ამონურვით იკვეთება ასეთს სახელში: რომელიმე ასპექტის თუ რადიუსის მხრით. დაარქვით ვინმეს „ჭიკარტულა“ და შექმნით ახალ ადამიანს. „დურუზუნა“: ეს ხომ ფიზიური დალია კაცის: საკუთრივ ქალის, „ჩაბაკვერა“: ამის მტარებელს ათასს კაცში გამოიცნობთ.

სახელი-სახეული-სხეული. ამ შემთხვევაში ასტრალური. აქ ცხადდება როიდა. მას-შია მოქცეული სიტყვის საიდუმლო. სიტყვა როგორც როიდა არის სიტყვა პოეტური. პოეზიის არსი აქ არის დამალული: ხატი, რიტმი, რითმა, ეპიტეტი.

გრიგოლ რობაქიძე

გეოგრაფიკული ნიუმერები



№ 9

ტფილისი

ი ა ნ ე ა რ ი

1923

წმინდა ნინო

ხორალი მეორე (მისტერიიდან „ჯვარი ვაზის“)

ქალწულო ნინო!
მოდინარ ჩრდილებით:
დალურსულ ფოთლებში მზის თვალი დაღვარული.
ვით რკინა ხორასანის —
ჩვენც გულახდილები
შენ წინ ვეფინებით ელვარე სიყვარულით.
შენი სიქალწულე:
ცინცხალი წყაროს თვალი.
და შენი სირბილე:
ალერდი ხალასი.
ნაყოფი. სურნელი. რომელი მოვსთვალოთ
იისფერთვალემა უცხოელ ქალისა.
ნინო!
სილამაზით მცხეთა გაგვირისხე —
რომ ხარ საოცარი ქალწული და ქალი.
ძალზე შეიყვარე შენ მხოლოდ ღვინისხე
და ისიც ვნებული სასხვერპლოდ დაჰკალი.
და როცა მოგესმა ნელი ხმა ზევიდან
(გული ღვთისმშობელის ჩვენთვის ხომ უხვია) —
ჯვარი გამოსჭერი ვაზის ნასხლევიდან
და ცხელი ჭრილობა თმებით შეუხვია.
ქალწულო ნინო!
ათასჯერ გვენახე.
შენ გეალერსება ვაზნარის ფურცელი.
მოგელის მარადის დედული ვენახი.
და ოდეს გიხილავს: ტორტმანობს. ირევა.
ვით წყაროს მუცელი —
რომელსაც დაეცემა დედალი ირემი.
აქ არის ტკივილი. არ არის წამება.
(გვეუბნებოდენ ამას ჩვენ მამები).
არ გვინდა, დედაო, სხვა ჯვარი ბერნების.
არ გვინდა სხვა მიწა და სხვა ნასახლევი.
ვიცი: ჯვარი ვაზის ღვინია ღვინების —
ტოტებს აიყრიან როცა გადასხლავენ
სასტიკი სასხლავით.

ნინო!
შენი ტანი ლხინის დამტევენელი
არც ერთი ქალწულის არ არის ნაცვალი.
ძუძუებავსილი ნეტა ვის ევნები.
გაივლი ზვარში და ჩაყურსულ მტევენების
მზის თესლით ივსება ყოველი მარცვალი.
ქალი უძლეველი. სასძლო სასურველი.
(მზის ტანი თუ არის ქალწულის საკმარი).
შორიდან გიყურებს ან შენთვის ურვილი
მზევაჟი ლაშარი მაღალი საქმარო.
ის არის საქართველოს მცველი და მზვერავი
და ჯვარსა ვაზისას წაართმევს ვერავინ.
წმინდაო ნინო!
ვით მინის ხნულები
შენ წინ დაღარულან აქ ჩვენი გულები.
მკერდებზე გადაიარ — და — ბედს გადაურჩებით
და ტერფებს დაგიკოცნით მაგარი ტუჩებით.
დაო და დედაო!
ღვთისმშობლის დობილო.
შენზე ვართ დანდობილი.
და შენი შენდობით
არ გადავშენდებით.

გრიგოლ რობაქიძე

პავლე ინგოროყვას

გადამეტებით ტანჯულ დღეებით
წარსული ჰკივის უკულმართული;
ჩვენ კი უტკბილეს სამოთხეებით
გვინდა გავმართოთ მხარე ქართული.

საუკუნენი ცხელ თავანებით
ჩვენი სამშობლოს მზეში დნებიან;
მაგრამ ჯერ კიდევ ქარავანები
სცლიან ოქროებს ძველ მადნებიდან.

მიწა მსუქანი სისხლის დაღევით
შენ შეგვათვისე — იმედიანი.
და გულში გივლის მკივან ალივით
შენ რუსთაველის მერიდიანი.

ძმა ინგორუყო! ჩვენება არი
და ტკბილის ტანჯვით მოსაგონები:
მწველ ინდოსტანში ქართული ჯარი
და ტრაპეზონდში გარნიზონები.

და გვიბრუნდება ის ნეტარება
ამაყ დღეების — გადაჩვეულებს;
თუ პოეზია შეეძარება
ჯვარზე გასალტულ წმინდა რჩეულებს.

ძმა ინგორუყო! პოეტო ადრე
და მერე დარდო წასულ დიდების:
გულს პოეზია იჭვებით ანგრევს
და სისხლს — დაპყრობა პირამიდების.

პაოლო იაშვილი

ნინა მაყაშვილს

შენ წითელ კაბას... ბალაგანის ჯვრის გარდამოხსნას,
შენ ტუბერკულოზს და სინაზით ავადგამხდარ ხმას!
ძველი სონეტის მხოლოდ დარჩა... ერთი ტერცინა.

შაითან ბაზრის დაიხურა ყველა დუქანი,
ამოდის მთვარე — თავისმკვლელთა ლეშით მსუქანი
ვანქის ტაძარში „Sabachtan“-ით შენ გაგეცინა.

მუხრანის ხიდზე დასახრჩობათ კიდევ დავდგებით.
საქართველოში ცხოვრება ხომ — თვითმკვლელობაა.
ამიტომ გვიყვარს საქართველო ჩვენ თავდადებით,
ამიტომ მოგვწოვს და შეგვინდობს ჩვენ ეს ობობა.

ძველი ორდენი თავისმკვლელთა: ილო, ზენონი.
ჩვენი ორდენი პოეტების შხამის ყანწებით.
თავის მკვლელობის თავზე დაგვფრენს იგივე დემონი.
მე ვხედავ იმ მორგს, მონამლული სადაც დავწვებით.

ღმერთს, პოეზიას, შენ სიყვარულს მე დავაფიცე:
წამებულებზე ლოცულობდეს ტანიტ ტაბიძე!

ტიციან ტაბიძე

15/VII. 22 წ.

ლამის პეიზაჟი

გაივლის მთვარე მონყენილი ნანვიმარ ბაღში:
ჩამომხმარ ხეზე კუზიანი დაეკიდება.
დარჩენილ სანთლის ბნელ ოთახში მოსჩანს არშია.

შავ ფანჯარაზე ჩამომჯდარი ცრემლებს ქსოვს ობი.
მიაქვთ ობობებს დატვირთული დროგი ნაგავით.
მობრძანდა ნისლით უეცარი: ნამი, ჭაობი.
და თეთრი ბალი სოველ ქარმა კალთით დაგავა.

(ო, არ ვყოფილვარ ჯერ ასეთი მწუხრის მნახველი)
თითქოს ქალაღის უცხო მგზავრი ცოდვით ცივდება.
მიყვება სანყალს ლოკოკინა ვერცხლის ნახველით.
გზა მოვერცხლილი სინესტისგან ისევ სივდება.

მელანქოლიით გააცილებს ქუჩა ტიცინანს.
მხოლოდ პაოლო მიიძინებს ქაშუეთის კართან.
ო, ვინ გაყვება მივიწყებულს ეტლს ასე გვიან.
ვინ არ იტირებს შემოდგომის შორეულ ქართან.

(ჩნდება პოეტი თითქოს შენუხებული).

გამოვა ისევ კვირის მთვარე სველ ბუნაგიდან,
და გაორთქლილი ჩავარდება ზამთრის ნარვალში.
ლამის ქალბატონს მწვანე დორბლი ცვივა ბაგიდან.
თითქოს ჩაბრმავდა ფილოქსერა მის მაცდურ თვალში.

მოველი უხმოდ დიდ პროსპექტზე ნათელ ამინდებს,
მე საცოდავი, მანანნალა და დედის მკვლელი
ლამის სინებზე მწუხარებით განოლილ ბინდებს
ნავყვები მარტო შორს მნათობის ფარული მეკვლე.

(უახლოვდება ქალბატონს).

მიაქვს ქალბატონს სხვანაირი მთვარე თვალებით.
ახლა ეს მხარეც ამოივსო ქარით და ხრეშით.
.....
დაკარგულ ვარსკვლავს მე, პოეტი, ვეძებ სივრცეში.

ჰქრება სივრცეში.

(ქალბატონი ხრინწიანი ბანით).

ვნახავ ნაგავში გადმოვარდნილ ქალაღდის მთვარეს.
მთვარეს დახეულს, სასოებით შეფერილს კირით.
ღამის მადონა ცის სტუმრებმა თითქოს გამთვალეს.
თითქოს მობრძანდა წასაყვანად სატურნი კვირით.

(ბავშვი თითქოს მთვარეულის ხმით).

ქალაღდის კუკლა, ქალბატონო, აღბად, ბრძანდებით.
ო, უცხო ბავშვმა რომ წაგიღოთ, მომეცი ნება.
თქვენ ძვირფას მთვარეს გავაცილებ საოცარ ქებით.
და თეთრ კალთასთან სხვა ვარსკვლავზე მიმეძინება.

(ისიც ჰქრება სივრცეში ორთქლად).

შალვა აფხაიძე

ელამი სარკე

საყდარის თავები მზით შეიმოსა
მინებს აწვება მარჯნების ღვარი.
მძინარე ქალი როგორც მიმოზა
სიზმრებში ტირის დაკარგულ გვარით.

შიში აღვიძებს ლოცვების მორჩილს:
ოთახში ფრინავს ყორანი შუშის.
და ელანდება ძუძუებ მოჭრილს
თუთუნის კვამლში ღიმილი ბუშის.

დიდხანია ეს ბედი არგეს.
თავი ჯერ კიდევ ვერ გაიმეტა.
მუხლ მოკვეთილი უცქერის სარკეს —
და ეშაფოტი მოსჩანს იმედათ.

მაგრამ ამ სარკეს დღესვე გამოცვლის,
რომ შიგ ბრწყინავდეს კვლავ საფირები.
და დაინახა მან გამოსვლისას
მოდიან მისი სოფლის ვირები.

რაჟდენ გვეტაძე

ყელსახვევის პოეტიკა

მე გამოვიგონე ყელსახვევის პოეტიკა,
პოეტს რომ წვირიან კისერზე ეკიდა.
ოთხასი წლის ყორანი თავის ცქერით მაჩერებს,
როცა ეხეთქება რკინის მოაჯირებს.
შენ, სულო, ცრემლების ნახე ილიონი.
ო, ვინ დამავალა ყელსახვევის პოეტიკა!
ნანას მიგალობდა აღმზდელი — რიონი,
როცა ჩემი სული სინაზე ეკიდა.
გამოჩნდა ინფანტა ცარიელი, ლამაზი.
და მკვდარი ბელურა მას გულზე ეკიდა:
ბევრი ჩატერტონი დაფიქრდება ამაზე:
ლამის და ყელსახვევის შავი პოეტიკა.
ჩემი აქვითინება, სიკვდილის მონატრება
და სალომეასთვის სალამის კადრება.
ჩემი თვითმკვლელობის შავი პოეტიკა,
როცა ყელსახვევი კისერზე მეკიდა.
მე — იოქანაანი, მწვანე ვით ფანქარი:
საფირონის ტახტზე წითელი ლანგარი,
კვლავ მომელანდება სასტიკი ლანგარი,
მასზედ მოკვეთილი თავით რომ ვტიროდი.
წვიმიან მუსიკის ტირილი ხარბი.
ყელის და ყელსახვევის შავი პოეტიკა.
და ჩემი ოცნება ბოდლერის წარბით
სოველ მოგონებას კვლავ გამოეკიდა.
ქუჩა და ფარანი: უმიზნო, უნაყოფო,
როცა ჩემი სული წამნამებზე ეკიდა.
დალუპულ ოცნების ღამეში ლალობა.
როცა თვითმკვლელობის ინვის პოეტიკა!

*ვალერიან გაფრინდაშვილი
ხელოვნების სასახლე
ტფილისი*

ირონია და ცინიზმი

პრობლემა მემარცხენეობის პოეზიაში

ჩვენ დროს, შესაძლებელია, ისე არაფერი აწვალვდეს, როგორც პრობლემა მემარცხენეობის პოეზიაში. შეიძლება ითქვას, მე კი მგონია, აუცილებლათ უნდა ითქვას, რომ ისტორია პოეზიის არის ერთი განუწყვეტელი სამოქალაქო ომი, რომ ვილაპარაკოთ პოლიტიკურ ჟარგონით, რომელიც დღეს დასჩემდა ქვეყანას.

პოეზიის ისტორიას არ ახსოვს, რომ გამოსულიყოს პოეტი და მიეღოს წინანდელი შემოქმედება. ამ შემთხვევაში რევოლუციებს ვერც კი დაითვლიდა ადამიანი. თავი რომ დავანებოთ მაგალითებს ანტიურ ქვეყნიდან, საკმაოა მარტო დასახელება ბაირონის და ვოლტერის, რომ ვიგრძნოთ ამ ტეზისის პირდაპირობა. წინათ ეს იყო საკითხი პირადობის, შემდეგ შეიქნა საკითხათ შკოლების და უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც თვითონ პოეზია დაუახლოვდა თავის დასასრულს, როცა ამოიწურა ლირიკა და ქვეყანა გადაბრუნდა ყველა კუთხეებით. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის რომანტიზმი ნაპოლეონის ბარაბანივით სცემდა თავის პირველ ბრძოლაში, მაინც პრობლემა მემარცხენეობის და საზოგადოთ პრობლემა პოეზიის დააყენეს მხოლოდ ფრანგმა სიმვოლისტებმა, მათი მანიფესტი, რომელსაც შემდეგ მოყვა დამტკიცება შემოქმედების, მსოფლიო რადიუსით გადაჭრის ამ დავას. ჩვენ არასდროს არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ როცა შარლ ბოდლერი ჯერ კიდევ ბარაბანულ ვიკტორ ჰუგოსავით აჩენდა ახალ ჟრუანტელს პოეზიაში, როცა ის აქებდა სიკვდილის შავ კაპიტანს და ანალოგიას ხედავდა ბავშვის და დედაბერის კუბოებში, როცა ყველაზე ფანტასმაგორიულმა ედგარ პომ გაიარა მის პრესაში და მიიღო ახალი შობა პოეზიისთვის, როცა უარყოფილი იქნა პრიმიტიული, სილამაზეს დაუპირისპირდა კოსმეტიკა და კულტი შავი ვენერის და დეკადანსის პირველი არგუმენტაცია, როცა ბოდლერი 48 წლის რევოლუციაში ბარიკადებზე იბრძოდა და სცემდა კიდევ გაზეთ „ბარრიკადს“, მაშინ საქართველოში არც იყო დაწყებული დავა ილია ჭავჭავაძისა და კნ. ბარბარე ჯორჯაძის შორის. მაშინ შინ გაზრდილი კნენინა სრული დაუფეხველობით სწავლობდა ანბანის თეორეტიკას და ან ვის გაახსენდებოდა ის ამბავი, რომ პოეზიის ხერხემალი სწორედ მაშინ ტყდებოდა.

ილია ჭავჭავაძე 70-იან წლებში კომუნის დამარცხების დროს მაინც გრძნობს ანალოგიას, სხვა პოეტებისთვის კი პოლიტიკური ანალოგიაც არ ყოფილა. ამ დროის შემოქმედება მოგვაგონებს ჭურში ჩამოჯდარ ადამიანის სიმღერას. მთელი ტრაგიზმი ქართულ პოეზიის ის იყო, რომ პოეტები ჩამორჩენ მშობლიურ პრიმიტივს და ევროპის რადიუსი ყოველთვის უარდა გვერდით ტფილისს. თუ ილიასთვის არ არსებობდა ეს პრობლემა, მით უმეტეს ეს არ იყო აკაკისთვის, იმიტომ რომ, უნდა ითქვას მთელი მეცხრამეტე საუკუნის არა მარტო პოეზიის, არამედ ყველა იდეოლოგია მარტო ილია ჭავჭავაძემ გადაიტანა... და დიდხანს დარჩებოდა კიდევ ქართული პოეზია რუს სემენარიელების ესტეტიკის დამრღვეველთა რკალში, რომ „ცისფერი ყანწები“ არ ყოფილიყო.

პირველად „ცისფერ ყანწების“ მანიჭესტებში დაისვა პრობლემა პოეზიის საქართველოში, პირველად აქ გაიმართა სიტყვა და პირველი ეს იყო მაგარი უარი რუტინის, ფილისტერობის და ესტეტიურ ბარბაროსობის წინააღმდეგ.

„ცისფერი ყანწელები“ მაშინ გამოვიდნენ პოეზიაში, როცა სიმვოლიზმი ათავებდა თავის ციკლს, როცა ფუტურიზმი დეკლარაციების შემდეგ დარჩა მხოლოდ სიტყვათ და როცა მსოფლიო ომი აპირებდა ხირურგიულად გადაეტეხა კულტურა. ეს იყო გზა ჯვარედინი.

„ცისფერ ყანწებმა“ პირველად შეგნებულათ უარყვეს თეორია აზიის და ევროპის „სინტეზის“... გრიგოლ რობაქიძემ დაამტკიცა, რომ არავითარ აზიურ გავლენაზე ლაპარაკი არ შეიძლება საქართველოში, აქ გავლენა კი არ იყო მონგოლების და სხვა დამპყრობელ ერების, არამედ სრული განადგურება, და ამიტომ არის, რომ გრიგოლ მერჩულის და რუსთაველის შემდეგ ქართული ენა გადაგვარდა და ლექსი გაიტეხა. ჩვენში დღემდე გრძელდებოდა ეს ეროვნული დეკადანსი, ქართული ლექსი და ქართული სიტყვა „ცისფერ ყანწელებს“ ჩაუვარდათ ხელში, როგორც გადამწვარი მუგუზალი. და საჭირო იყო მართლა სასწაული, რომ ლექსი გამართულიყო ლექსად და ამდგარიყო პრიმატი ფორმის და იდეის (აქ ბრჭყალებში უნდა ითქვას, რომ საქართველოში დღევანდლამდე ფორმა სწამთ, როგორც ლირიკული წყალი და იდეა, როგორც კრეტინობამდე დაყვანილი რიტორიკა). ჯერ კიდევ ადრეა „ცისფერ ყანწები“-ს ისტორიის დაწერა.

ჯერ კიდევ არ გათავებულა ცეცხლით გადანვა. შეიძლება ამკარად ითქვას, რომ „ცისფერი ყანები“ ისე იბრძოდა ქართულ კულტურისთვის, როგორც მთანმინდელეები ათონში, ისე ებრძოდა ლიტერატურულ ფეოდალიზმს, როგორც გიორგი სააკაძე (ამიტომ არის, რომ პირველად „ყანებში“ დადგა სააკაძის პრობლემა).

მართალია ნოვატორობისთვის საქართველოს მზად აქვს ჭავჭავაძის წინამური და მაჩაბელის მტკვარი თუ საკირე.

შეიძლება ეს წინასწარმეტყველებაც გამოდგეს, შეიძლება იყოს ამგვარი სასჯელიც, მაგრამ საქართველოს ბუდე ყველაფერს მოინელებს, ამ შემთხვევაში ზედმეტია სიბრალულიც, რადგან ფრანგი დენდიზმის მომგონის სიტყვაა: არ შეიძლება შეცოდება იმ ადამიანის, რომელსაც ერთხელ სწავდა შემოქმედება...

მე ვამტკიცებ გადაჭრით, რომ ბოდლერის შემდეგ პოეზია ერთი ხაზითაც არ გახრილა. იდეოლოგია და თეორია სიმვოლიზმის, რამდენათაც ამას გვაძლევს ისტორია სიმვოლიზმის, ყველა ხაზებით ამოიწურება ბოდლერით.

რა არის ის მთავარი, რომელიც განიჩქვება სიმვოლიზმის ყველა განმარტებიდან, და რომელიც ბოდლერს აყენებს პოეზიის უკანასკნელ პოზიციაზე.

რემი-დე-გურმონს, რომელიც თავის „ნილაბთა წიგნის“ შესავალში იძლევა ელემენტარულ განმარტებას სიმვოლიზმისას, გაკვრით წამოცდება: რომ უკანასკნელი გამართლება პოეზიის არის ირონია.

ანდრეი ბელი, რომელიც თვითონ ითვლებოდა რუსულ სიმვოლიზმის იდეოლოგათ, შემდეგ დასცინის თავის თავს, რემი დე გურმონს და მალლარმესაც, მაგრამ მას ერთხელაც არ უგრძვნია რემი დე გურმონის ეს პარადოქსი, რომელიც შემდეგ შეიქნა თეორიით.

ბოდლერში არის დაწყებული ურბანიზმი, ეს რკალი შემდეგ გაარღვია ვერჰარნმა, მაგრამ იგივეა სათავეში ირონიის. ეს რკალი დაიყვანა ძირამდი ჟიულ ლაჭორგმა.

და აქამდე არ ყოფილა სხვა ხმა პოეზიაში, რომელიც გაუსწორდეს ლაჭორგის ჟრუანტელს, აქ ქვეყანა პირველად არის მობრუნებული უკულმა, აქ არის არა მარტო დედამინის რეკვიემი, ეს იმავე დროს რეკვიემია პოეზიის. „მონყენა არა მარტო ირგვლივ, არამედ პლანეტაზეც“, აქ ორივე მხრივ არის გამართლებული ბოდლერის ინტელექტის სუვერენობა. უნდა ითქვას აგრეთვე, რომ ირონია, არა თუ დამთავრებაა ფრანგული პოეზიის, შეიძლება ეს იყოს მისი ეროვნული გამართლებაც.

ყოველ შემთხვევაში ეს არის ნიშანი: ჭრანსუა ვიონის, არტურ რემბოს, ტრისტან კორბიერის, ლოტრეამონის...

მოლდარორის დიალოგი ლოტრეამონის არის უკანასკნელი დაწურვა ირონიის, განა უნდა გამეორება იმ სიტყვებს, როცა მოლდარორი ხედავს ყველა ერთად შეერთებულს: აკვარიუმის სასწაულებს, ძერას, რომელიც სდარაჯობს მკვდარ ილიუზიას, რვა ფეხას აბრეშუმის ცქერით, ყველაფერს ძილის მომგვრელს, ანემიურს... და ვინ დათვლის ამ პარადს ლეშებისას, მოლდარორი მოითხოვს ამის რეაქციას...

სხვა დროს მეტი დამტკიცებით იქნება თქმული ფრანგულ პოეზიაზე. რუსეთმა საფრანგეთის ირონიას უპასუხა ცინიზმით. მე მხოლოდ ამ მხრივ ვხედავ რუსულ უკანასკნელ პოეზიის გამართლებას. ერთხელ ფლობერი ამბობდა: მე ვიქნებოდი მისტიკოსი, რომ ფორმა არ მიყვარდესო. რუსულ მისტიციზმს სწორედ ფორმის უქონლობა აიძულებს ხლისტობას და აქ არც ვასაკვირია, რომ ირონია გადავიდა ცინიზმში. შესაძლებელია ეს ეროვნული გამართლება იყოს რუსული ახალი პოეზიის. მაიაკოვსკიმ დაიწყო ლაჭორგით და გაათავა ჟურნალისტიკით და ცინიზმით, ვასილი კამენსკი, მეორე ეპიგონი ფუტურზიმის, სამუდამოთ დაიხრჩო ბანალობაში. აპოლოგია ცინიზმის ეკუთვნის ვ. როზანოვს.

ყველაზე უფრო პრინციპიალური რუსულ ფუტურზიმში, რომელიც ენათესავება ფრანგულ დადაიზმს, ეს 41 გრადუსი: ილია ზდანევიჩი, ა. კრუჩიონიხი და ი. ტერენტიევი — ნამდვილი წარმომადგენლები არიან რუსული ცინიზმის.

მათ უკვე დაკარგეს თავის იდეოლოგია „ზაუმნაია“ პოეზიის და დღეს განიცდიან უკანასკნელ დეკადანსს.

მათი სიკვდილი უკანასკნელი დამარცხება იქნება ფუტურისმის.

რასაკვირველია, ჩვენ აქ არ ვეხებით მარინეტის სკოლას. ყველაზე უფრო უშედეგოთ პოეზიისთვის გაიარეს მარინეტის მანიფესტებმა. მარინეტი შეიქნა გ. დანუნციოს ეპიგონი, მისი დეკლარაციები მაშინაზე და მილიტარიტულ ლექსებზე დარჩენ მხოლოდ ნიმუშებათ ყალბი რიტორიკის და უნაყოფონი.

რასაც მარინეტი ლაპარაკობდა ზედმეტი ყესტიკულიაციით, უკვე გადაიმღერა ვერჰარნმა, პოეზია ეკვივალენტით რომ აყვეს კიდევ მაშინას, ამით სრულიად არაფერი არ იცვლება.

რადგან დღეს ლექსი იზრდება უფრო სიღრმით და მარინეტი ვერასდროს ვერ მისწვდება ლოტრეამონის უკანასკნელ ტერროსს.

ამიტომ არის დიდი გაუგებრობა, რომ მარინეტი ითვლებოდეს პოეზიის მემარცხენე ფრონტზე. მართალი იყვენ რუსი ფუტურისტები, როცა მარინეტის უთხრეს რუსეთში: „Воистину Россия футуристичнее Маринетти“.

ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ პოეზია უფრო ტრაგიულია, ვინემ მარინეტის მაშინა.

ინგლისელების ტანკებმა დალენეს გერმანიის მილიტარიზმი, მაგრამ პოეზიას ამით არაფერი მომატებია.

პოეზიის სედანი და მარნა — ერთად იყო ლაჭორგში და ლოტრეამონში. პირველად აქ გადატყდა ხერხემალი, და ამას ვერ გაამართლებს რახტიკების თაობა, ბევრიც რომ წერონ მაშინის პაჭოსზე.

სად არის მემარცხენეობა პოეზიაში:

დადაიზმი თუ „ცისფერი ყანნები“

ეს იყოს ტემა შემდეგი წერილისა.

ტიციან ტაბიძე

პოეტი და მკითხველი

კულტურა კონუსით შენდება: მეტი მაღალი მეტი ვიწროა და მწვერვალზე დგომა შეუძლია მარტო ერთეულებს.

პოეზია ყველგან ერთია არსებითად, მაგრამ ადამიანის განცდას აქვს საფეხურები და ისტორიის სიგრძეზე პოეტური თრთოლვა იცვლება და წვრილდება, იცვლება პოეტური ხედვის ობიექტი, საუწყეტი, იცვლება თვითონ ხედვის მახვილობა და მომართვა. როგორც მუსიკალური ხმები, ისე პოეტები არიან სხვა და სხვა სიმაღლის. მოვლენასთან მისვლას აქვს ნაირი დალუნვა და აფერადება სანახაობის. არი აღმართები და დაღმართები, მაგრამ საერთო ხაზი მაინც აღმართია.

არი პოეტური ხედვის დაფერვა, არი პოეზიის კულტურა: მიწვდომა, გაჩვევა, გზის გაგნება. ყოველი შემდეგი ეპოქა უფრო რთულია და ახალი. ფრანგმა პარნასელებმაც კი — წმინდა ლიტერატურულმა შკოლამ — პოეზიას ახალი ბოროტების ყვაველები დაამყენეს: გაუგომ მისწერა ახალგაზდა ბოდლერს — „პოეზიაში თქვენ მოიტანეთ ახალი თრთოლვა“. პო, ბოდლერი, მალარმე — ესაა ხაზი ამ ახალი თრთოლვის. „ყორანი“, „ბოროტების ყვაველები“, „ზამთრის თრთოლვა“. შემდეგ ლაჭორგი ირონიით და ტკივილით. მისი ჩივილები ჭეშმარიტათ ახალი ხილვაა სამყაროსი, „გაბზარული ვაზის“.

ასევეა სიტყვიერ და ყოველ სხვა ხელოვნებაში. ჩვენი ათვისების მთავარი გზები — სმენა, მხედველობა — არაა ერთიანად ღია და გატკეცილი. კულტურა, დისციპლინა სცვლის შვენიერი ათვისების კანონებს. ერთეულებში ყოველთვის არი შესაძლებლობა ძველით დადაღვის და წყურვილი ახალი სპეტაკი ხილვის. ვაგნერი, სკრიაბინი, თავისუფალი ლექსი, იმპრესიონიზმი, თავის დროზე საერთო დონეზე მაღლა დგომა იყო. არი კონუსი ოსტატობის.

მწვერვალებმა იცის სიცივე მარტოობის. პოეტს შეუძლია იყოს მარტო: ამაში ერთნაირი სიამოვნებაც არი — სიამოვნება ტანჯვის. ხელოვანისთვის მარტოობა სიკვდილია. ხელოვნება ხომ თქმაა — თქმას მსმენელი უნდა. მსმენელები მრავლათაა კონუსის დაბლა ფენებში. მსმენელები ჯოგათ მიყვებიან ეპიგონებს უკვე მიღწეულ სიმაღლეზე. კონუსი წვრილდება და ვიწროვდება რკალი მკითხველების. ევოლიუცია ნელია და თანდათან. ევოლიუციას ადვილათ მიყვება ფართო აუდიტორია. მაგრამ რევოლიუციონერს — გულიერის დიდი ნაბიჯებით რომ ადის მაღლა ახალი ცის დასანახავათ — ბრბო ვერ გაყვება — ბრბო გატკეცილი გზით მიდის. ოსტატს გენიოსს სჭირდება მკითხველი გენიოსი, რომელიც მისი თანაბარი იქნება ხედვის და სმენის დაწვრილებით. პოეტს გენიოსს უნდა შეხვდეს მკითხველი გენიოსი, რომლის თვალეები გაუძლებდეს ქვეყნის ახალი გვერდით დასახვას. მაღალი აუდიტორია ზოგჯერ ამაღლებს ხელოვანსაც და ათქმევებს მაქსიმებს. მკითხველების სახელებს იშვიათად ინახავს ისტორია — არიან ბედნიერები — მეცენატი, სტანკევიჩი, ბელინსკი, ლიუდოვიკ ბავარიელი, არჩილ მიქაძე, ალი არსენიშვილი. ეს ხდება მაშინ, როდესაც მკითხველი შემოქმედების ბედში ერევა ქონებით ან დამფასებელი სიტყვით. მაგრამ მკითხველის პათოსი უფრო ხშირად პასივობაა, სმენაა, მიმღეობაა.

როდესაც კითხულობ ლიტერატურის დიდებული ეპოქების ისტორიას, გრძნობ დიდებული ჩრდილების სიახლოვეს. არ ვიცით მათი სახელები და სახეები, მაგრამ კეთილშობილი ჩრდილები მათი უცნაურათ არხევენ და ათბობენ ჰაერს.

სანდრო ცირეკიძე

ლირიკის ელიზიუმი

ეს შემდეგ: აპლოდისმენტები, ხმაურობა, ალტაცებული, ან მრისხანე სახეები. მაგრამ პოეტი შემოქმედების დროს ყოველთვის მარტოა და მის აუდიტორიას შეადგენენ ოთახში მომწყვდეული ნივთები. „ყორანის“ ავტორმა მარტოობაში დალია სული და არასოდეს პარტერის თანაგრძნობა არ უნახავს. ლოტრეამონი მოკვდა ყველასათვის უცნობი. მან დაგვიტოვა თავისი ჭირვეული და ზვიადი სტრიქონები დემონიურ სახესთან ერთად. ის უთუოდ ანთებული იყო დიდი პოეტური ცეცხლით და ისე დაიფერფლა, როგორც მირაჟი უდაბნოში. ჩვენ ვხედავთ, რომ არტურ რემბომ უკანასკნელად დადუმება არჩია. მას შემთხვევით არ დაუტოვებია ევროპა. არის მომენტი შემომქმედის ცხოვრებაში, როდესაც ის გრძნობს, რომ სიტყვები ზედმეტია, რომ სიჩუმე უდიდესი ჭეშმარიტებაა. ნიც-შესავით განმარტოებული და ჯვარცმული არავინ არ ყოფილა მე-19 საუკუნეში. ლირიკული პოეზია ენათესავება სიჩუმეს ეპოსზე და დრამაზე უფრო. ეს მაშინ, როდესაც სიტყვები კარგავენ თავის ძალას და უთმობენ ადგილს შთაგონებას სხვანაირს. არა სიჩუმე სინამატოგრაფის ლანდების, არამედ სიჩუმე ცეცხლის, რომელსაც შეუძლია, როგორც ქარს, შექმნას ხმაურობის და გრიგალის ოპერა. ნახულ დრამის შემდეგ გწყურია ლაპა-

რაკი, მოძრაობა, ეპოსის შემდეგ გვენატრება შორეული ქვეყანა და უცხო სანახაობა. ლირიკა იძლევა ნირვანის გრძნობას და არც ერთ ხელოვნებას (მუსიკის გარდა) არ გადაყავს სული ნირვანაში ისე, როგორც ლირიკას. მოსალოდნელია, რომ მუნჯები ყველაზე უფრო გაიგებენ და დააფასებენ ლირიკულ ატირებას, რადგანაც ლირიკა ყოველთვის არის პრელიუდია დამშვიდების და სიჩუმის. ლირიკაში ისვენებენ ყველა ტრაგედიების გამირები: მეფე ლირი, ოფელია, მაკბეტი, დეზდემონა, თვით ბაირონი, თვით შელლი და თვით ედგარ პო. ეპოსი და ტრაგედია ნამდვილი ცხოვრებაა. ლირიკის მუსიკალური სამეფო უკვე ელლიზიუმია, სადაც ტრაგედიის გამირები მხოლოდ ფანტომები არიან და ნაზათ გაულიმებენ თავის წარსულს. აქ აღარ არის რეალობა, აქ მხოლოდ მისტიკაა მსუბუქ აჩრდილები. ლირიკაში რეალური სახე კარგავს თავის სიმძიმეს და ეზიარება იმ სიმალლეს, სადაც სუნთქავენ ბეატრიჩე და ნაუზიკაია. ეპოსი და ტრაგედია ჯოჯოხეთის და განსაზღვრულობის როლს თამაშობენ, ლირიკა სამოთხეა და ამ სამოთხეში შეხვედრა შორეული მიზანია ყველა ლიტერატურული გამირების.

ხდება ერთგვარი გადაღაცება ეპიური და დრამატიული სახეების. ვინც იცნობს ჰომეროსის ნაუზიკაიას და შექსპირის ოფელიას, მისთვის საკვირველი არ იქნება ამ ორი ფანტომის შეხვედრა ლირიკაში. შესაძლოა ითქვას ერთი აქორიზმი: ეპიური და დრამატიული სახეები თავის განვითარებაში უნდა იქცენ ლირიკულ სახეებათ. მაგალითად — დულცინია, დონ-კიხოტი, კორდელია, ჰამლეტი. უამისოდ ეპოსი და დრამა კარგავენ თავის მხიბლობას და რეზონანსი მათი სახეების ყოველთვის განსაზღვრულია. ჯერ — რეალობა, ორგინალობა, სილოგიზმი, სიმტკიცე, შემდეგ უნაზესი ნიავი ლირიკის, თუ გნებავთ, ირონიის (ლაფორგის ირონიის). ლირიკას შესწევს ძალა ერთი ანეული სონეტით დაუკარგოს სიმძიმე როდენის სახელს და აქციოს ის მთავარანგელოსად. ლირიკის ციური მექანიკა ბედავს მიკელ-ანჯელოს და ლეონარდოს ამეტყველებას მონნა-ლიზას სახელით. ლირიკა ყველა ხელოვნებაზე უფრო უნივერსალურია და რევოლიუცია პოეზიის უპირველეს ყოვლისა იწყება ლირიკაში. ლირიული ხვეული აქვთ ეპიკოსებს და დრამატურებს. დღეს ლირიკა და ბერძნული ტრაგედია უახლოვდებიან ერთმანეთს, რადგანაც ორივეს ახასიათებს საშინელების და უკანასკნელი დაღუპვის კულტი. მაგრამ ლირიკა არ არის მხოლოდ დაღუპვა. ლირიკის დაღუპული გამირები ისევ ლირიკაში ნახულობენ თავშესაფარს. ლირიკულ ელიზიუმის მეფეა ბოდლერი, რომელიც იქცა მითოლოგიურ სახეთ. ასეთი მითიური სახეები მოიპოვება ლირიკაში; ტეოდორ გოჭმანი, პოლ ვერლენი, არტურ რემბო, მარსელინა დებორდ-ვალმორ, საფო, ტომას ჩატერტონი, კრისტოფორ მარლო და სხვები. ლირიკა მეტი სიყვარულით უმღერის ნანას თავის საკუთარ შვილებს. ლირიკოსის კარიერა ჩქარია და ნერვიულია. არიან ლირიკოსები მხოლოდ ფორმით, და არიან ლირიკოსები პიროვნებით. ვისაც თავისი თავი მიაქვს ლირიკის სამსხვერპლოზე, ისინი უფრო ადრე ეთხოვებიან სამყაროს, მაგრამ ლირიკა უთმობს მათ უძვირფასეს ტახტებს. ორი მაგალითი: ხოზე მარია-ერედია — ესპანელი, რომელმაც დასწერა წიგნი სონეტების ფრანგულათ და ტრისტან კორბიერი, რომელმაც დასწერა ორი წიგნი ლექსების და უდროვოდ მოკვდა ჭლექისაგან. მეორე თავიდანვე ლირიკოსია, რადგანაც თავიდანვე ინდივიდუალურია, პირველი (ხოზე მარია-ერედია) ოსტატია და ლირიკულ სახეებათ აქცევს ისტორიულ აჩრდილებს: კლეოპატრას და ანტონიუსს, სციპიონს, ჰანიბალს და სხვებს. ხოზე მარია-ერედია ქმნის ლირიკულ სახეებს ეპიურ სახეებიდან, მაგრამ იმისათვის, რომ ის თვითონ იქცეს ლირიკურ სახეთ, საჭიროა მეორე პოეტი, რომელიც შეიყვანს ერედიას პიროვნებას ლირიკის სამეფოში.

პოეტების და ლიტერატურული გამირების სახელები დიდ სამსახურს გაუწევენ ლირიკას და ლირიკის წინ იშლება დიდი პერსპექტივები.

ბალმონტის და ბრიუსოვის, სუინბორნის და სტეჭან გეორგეს სახელები იმდენად გაიმარჯვებენ მომავალ საუკუნეებში, რამდენად მათ მიიღებს მომავალ ლირიკის მითოლოგია. პოეზიას აქვს თავისი გერალდიკა, თავისი გენეალოგია და ლირიკულ პოეზიაში ხდება ახალი გადაფასება სახელების. აქ გლენს შეუძლია მეფის ადგილი დაიკავოს და მეფეს — ჯამბაზის.

ლირიკა სესხულობს სახეებს ეპოსიდან და დრამიდან, მაგრამ შეუძლია სამსახური გაუწიოს თავის უფროს დებს. ლირიკას შეუძლია აჩუქოს დრამას და ეპოსს არტურ რემბოს, პოლ ვერლენის და ედგარ პოს ბიოგრაფია.

თვითონ ლირიკა არავისთვის სავალდებულო არ არის. ის არისტოკრატიულია ზედმინვნით. ლირიკის წინ დიდი პერსპექტივებია: ბავშვის ტიტინიდან ფაუსტის სიბრძნემდე, ბიორნსის სიმღერიდან მალდარორის მონოლოგამდე. არტურ რემბოს გრიგალით დაწყებული კარიერა სიჩუმით დამთავრდა. ლირიკა არის დიდი ელიზიუმი გმირების და პოეტების, სადაც ნებვირობენ ბედნიერი ლანდები. ტიუტჩევის ლირიკა ქაოსია — მაგრამ ეს ქაოსი უკვდავების წინაგრძნობით არის ამღერებული. დღეს უბედური ჰამლეტი უთუოდ ლირიკული სახეა — ის ლირიკის სამეფოშია ოფელიასთან ერთად და ნუგეშს გვაძლევს თავისი ბრწყინვალე სახით. ვილიე-დე-ლილ ადან მოკვდა სილარიბეში. ვერლენმა ერთი სონეტით გააცოცხლა ის ლირიკისათვის და დღეს „გედების მკვლელის“ ავტორი თანამგზავრია დეზდემონასი და შელლის. ივანე მაჩაბელი დაიკარგა, მაგრამ ის ელიზიუმის აჩრდილია და ამასთან ერთად თფილისის მარადი მოქალაქეა. გრიგალზე უფრო საშინელია სიჩუმე. ლირიკას აქვს იერიქონის საყვირი, რომ გააღვიძოს სული ძილიდან, მაგრამ ის უფრო ხშირად მოქმედობს სიჩუმით და მთვარით. ლირიკა ის ლამეა, როდესაც ჰამლეტს გამოეცხადა მისი მამა საიქიოდან და მოითხოვა შურისძიება. ლირიკა ის მთვარეა, როდესაც მოჰკლეს ივანე მაჩაბელი და სიჩუმეს მიაბარეს მისი სისხლიანი სხეული. მაჩაბელის მთვარის ნიშნის ქვეშ მიდის დღეს ქართული ლირიკა და ვერ ნახავს დამშვიდებას, სანამ არ აღმოაჩენს მის სამარეს, სანამ არ მოინანიებს თავის დანაშაულს. ლირიკის კოშმარი დროებითია. მისი დანიშნულებაა — ნეტარება სიჩუმეში.

პოეტების მასწავლებელი პოეზიაში ტიუტჩევი ჰქმნის პოეზიის ასეთ პოეტიკას:

Среди громов, среди огней
Среди крокочущих зыбей,
В стихийном пламенном раздоре,
Она с небес слетает к нам,
Небесная, к земным сынам -
С лизурной ясностью во-взоре,
И на бунтующее море
Льет примирительный елей.

როგორც დეკემბრის ვეფხვი, მოვარდნილი სპარსეთიდან საქართველოში, ლირიკა ხშირად დაიცხრილება ტყვიებით, მაგრამ მის გასასვენებლათ ვერ გამოდგება ურემი. საჭიროა შავი ბალდახინი ედგარის მორცენგერშტიენის ცხენებით. საჭიროა, როგორც პარტიერი — დიდი ზღვა — დაისების ლოყებით და უკანასკნელი ფარდით.

ვალერიან გაფრინდაშვილი

მზის ნარქენი

თიმურ. დრამიდან „კარდუ“

.....
მონლოლუ რუხი.
საშო უდაბური.
ღვრია თვალისგუგა დაბუგულ ველების.
დაუგეშელი ნადირის ბოლმა.
შუბლი მოლუშული დაბორგილ ნალველის
ჩემი სამშობლოა.

.....
სისხლი აინთება ჩვენი ავი ცეცხლით.
თესლი გახურდება უცხოის ნდომით.
ნისლი გადაუარს ელამურ თვალებს.
სუნთქვა დაგუდდება ამწვარი სურნელით.
და პირმოკუმულნი
ვართ მაშინ
მარტო საფეთქელი.
ავარდებიან მთვლემარე ბუნაგები.
შეშლილი ნადირები ცხენებს მოვახტებით.
სისხლს გამოუშვებთ:
თან ჩათქმას ჩავანვეთებთ.
და გამსკდარ ველებს ცეცხლად მოვედებით —
გრიგალი თავნაჭრილი.
არ არის შეჩერება.
არ არის მოსვენება.
არ არის ნაპირი —
რომ არ გადავთელოთ.
არ არის უფსკრული —
რომ არ გადავლახოთ.
თუ ვერ გადავლახეთ:
გადავიჩეხებით —
დამთვრალი ვეფხები.

.....
ყივჩაყეთს იყო.
ქალი მოვიტაცე.
ცხენზე შემოვიდე დედალი ავაზა.
ტანი დაყურსული გავშხვართე უნაგირზე.
თეთრი თეძოების ვიხილე გახელება.
ხტოდენ ატეხილი ავხორცი მუხლები.
და თვითონ ნადირი გავხდი მე ნადირი.

კოცნა კბენა იყო.
ალერსი — დანა.
მუცელი გაზნექილი
პირით გადავლადრე.
და მარჯვე ნაპრალიდან
ქალი გაფატრული
ვესროლე მდინარეს.
ტუჩები სისხლიან ფაფარზე ავიწმინდე.
სიგიჟის წვეთი
ცხენს მოხვდა საფეთქელში.
ცეცხლი წაეკიდა უნალო ფლოქებში.
და თითქო დაკოდილი —
გავარდა ჭიხვინით.
მე სისხლის ყივილი მოლუშულ სივრცეებს
მათრახად გადავკარი.
.....
ეს იყო ყივჩაყეთს.
ვეფხების თვეში.
.....

გრიგოლ რობაქიძე

ჩემს თავზე

გარდაცვალება, ფერი ლაზარის.
გამხდარი მღვდელი და სახარება.
ჩუმი კალთები რუხი მაზარის
უკანასკნელად მომეფერება...

გავქრები, როგორც ლანდი მაჩაბლის
თქვენ მიუტანეთ ამბავი დედას.
მე მუდამ მქონდა სული ყაჩაღის,
მაგრამ სიკვდილი ვერ გამებედა.

დანვება ჯავრი რკინის ლოდებათ.
მანვალებს ფიქრი ტუბერკულოზზე.
იქ, საიქიოს ძმა მელოდება.
ღმერთო მაღალო, გზა დამილოცე.

მთაში გარეკეს ყველა ცხენები.
ვილამ წაიღოს ჩემი ცხედარი?!
მოკვდება ყველა ციებ-ცხელებით
და ბედაურით უცხო მხედარი...

იოანნე ყიფიანი

მელიტა

დადაისტური მადრიგალი

ყველაზე უფრო არცხვენს ჩემ სახელს ტიცციანს,
 ძველ ხავერდის ტიცციანთან შედარებით დახეული კანაპები
 ალბად არ ელოდა ტიცციან: ასეთ ორეულს.
 მერი შერვაშიძე (გიგო დიასამიძის ჟურნალიდან ამოხეული),
 ურია მხატვარმა სამ წელს რომ ხატა,
 უყურებს ამ ლექსს და ეცინება.
 წინად ღვთისმშობელს ეს სახე ჰქონდა
 წინად აშენებდენ ამისთვის ტაძრებს.

.....

თავზე დამყურებს მერი შერვაშიძე
 (სანდრო ყანჩელის ჟურნალიდან ამოხეული
 ურია მხატვარმა სამ წელს რომ ხატა).
 მელიტა! შენ ალბად უყურებ ტიუტჩევის და რომის ცას,
 იქნებ მარინეტიც შენით აღტაცებულია.
 ჩვენი ტფილისი კი თანდათან ძირს იწვეს,
 გრიგოლ რობაქიძემ ხერხემალი გადაუტეხა,
 მაგრამ მიწის ძვრა მაინც იგვიანებს.

ტიციან ტაბიძე

იოკაგამა

ვილას სცალია სწეროს სონეტი.
 დაუნყოს კრეფა ცაში ვარსკვლავებს
 (ლექსია თითქოს ჟამის შან-სონატ),
 როცა პროსპექტზე ყრიან მკვლევები
 სისხლიან თავებს.

ჩვენი პლანეტაც დგება ყირაზე.
 (იქნება მოდის დრო გასვენების)
 მთვარე — ჭინჭარი დაგვესხა ბრაზით
 და პოლფუსების სიცივე ქვების.

მოვარდა ხმები:
 კიუ-სიუ, სან-ჩიო-სან იოკაგა-მა
 და თითქოს მიწა
 ირღვევა, ხმება.

ო! ამ ქალაქებს შორი უფსკრულის
ააციმციმებს დამსკდარი გამმა.
აუ! ტრიალებს კავაკა-ამა
მზესაც ქერძაფის გადაესხა მრავალი გრამი
(მართლაც გვჭირდება პოეზიის ჩვენ დიოგრამა)
გრიგალმა ღამე შელესა:
დორბლით.
ახ! ვის სცალია სწეროს ტერცინით.
იქნებ რადიო კიდეც მიდენის
ტალლას შეკვეცილს:

ლაუ-დენ-დორფ.
ოოხ! ო-ო-ს! ოოხ!
მთვარეა ისე, თითქოს მიეღოს
შორს ცდომილებზე გახსნილი მორფი.
ვის შეუძლია სთქვას ტრიოლეტი?
და ერთი ცრემლი ვინ გაიმეტა?
როცა სივრცეში განოლილა:

ღი-ა-ლე-კტი-კა!
(ასეთი არის საიმედო ჩვენი ეთიკა)
და შტეინახი მაკრატელით სჭრის
ესკურიალს.
ეებს! ეებს! მიდენის წყევლა
პოეზიის უკულმა ტრიალს.

შალვა აფხაიძე

დიჭირამბები

მე ასე ვფიქრობ: ეს ხუმრობა გლახათ თავდება
და ანეგდოტათ შეიძლება აღარ ივარგოს.
ბებერი დედის ატირება იყოს თავდებათ,
მიტოვებული მამის ძვლები თუ დაიკარგოს.
გვესტუმრებინან სიყვარულით თვეები, წლები.
ყოველი წამი სავსე არის უტკბეს ალერსით,
ღმერთი მაღალი მფარველია ჩვენი ყოველთვის,
უხვათ გადმოდის მისი მაღლი უზენაესი.
ბოლოს და ბოლოს სადარდელი ვილას რა რჩება:
დედის და მამის მიცვალება მოხდება ერთხელ
დიდი ალაპი: ცხელი ფლავი და ფქვილის ღომი...
მათ ვინრო ბინებს გაზაფხული ამკობს ფარჩებით.

ახ, მხოლოდ ბავშვებს გააკვირვებს დედის სიკვდილი.
 კუბოს სითეთრე, საკმეველი, ვარდები, ღვდელი,
 პანაშვიდები და კიბეზე კუბოს გათრევა,
 და უცნაური სიყვითლე სახის.
 ეს ფიქრი ჩემში შემოიჭრა მოულოდნელათ;
 მე არ მინდოდა ამ თემაზე დღეს საუბარი;

მე მოგაგონებთ, თუ ინებებთ, ნოემბრის დღეებს,
 უსაზღვრო წვიმებს, ყვითელ ფოთლებს — ტალახით დასვრილს.
 სანუგეშოა მაშინ ჯდომა ფართე ბუხართან,
 ორსული ცოლის საუბარი, კარგი გაზეთი
 და საზოგადოთ ლიტერატურა.
 პერსპექტივა — რომ მაგიჟებს და მენატრება, —
 როგორც ჭლექიანთ აბასთუმანი
 — უკანასკნელი მათი ეტაპი —
 იქ, სადაც უნდათ ჩემ ბავშვებს წასვლა
 ავადმყოფ დედის მოსაფერებლათ.

ბევრჯერ შევატყვე — მარტოობას მთვარე განიცდის;
 (მიუხედავად, რომ ჩამოგავს ის ოქროს კუნძულს)
 მახსოვს, ის ერთხელ შეადარეს — ხუმრობით ალბათ —
 იმ ვერცხლის მედალს, რომ არიგებდენ
 წყალ ნალებულთა გადასარჩენათ.

ათბობს ჩემ ხსოვნას მოგონება პატარა ამბის:
 შენი სხეული ჩამომდნარი, ძვლებზე დასული,
 — ჯადოქარობა ტუბერკულოზის
 და კარნავალი: ვინრო კუბო, ცრემლები დედის,
 უცნობი ხალხი და კატაჭალკი.
 გაიმართება ახალი გზა გელათისაკენ;
 ხავსიან კედლებს ჩვენ ვინამებთ მეტი ცრემლებით...
 ჩემი სხეული დაინვება როგორც აბედი,
 და ნაწილებათ, გამოდგება, რომ დავარიგო.

ქვევით, სულ ქვევით, ჩავიძიროთ უკანასკნელად!
 ვიყოთ მართალი — ეს არ არი ისე საშიში,
 მორიელივით დაუბრუნდი ისევე ჩემ თავს.
 გზა არსად არი,
 და ჩავიხრჩობი გაბრაზებით სადმე განთიადს,
 ილღაიალი!

კოლაუ ნადირაძე
 1923 წ., ქუთაისი

წერილი

დღეს გადავწყვიტე მოგწეროთ წერილი
რადგან ქალაქში იშვიათად გხედავთ:
ალბათ მთებში სიარულით
კეთილი სახე ეკლებით გაქვთ დასერილი.
მოვესწრებოდე ნეტავ;
როცა ჩემი განზრახვა წმინდა და ფარული,
და თქვენი ყროყინი ვით ახალი კარმანიოლა —
მეხათ დაატყდება ამ დაწყველილ ქალაქს,
სადაც თქვენი ბედი
(ღმერთებზე მეტი)
ყველაზე უფრო ჰგავს თათრის ბაზარში კბილების მთხრელ დალაქს.

ჩემთან ყოველ-დღე დადის ერთი სპარსელი
და მთხოვს მივყიდო ქარვის კაკილა,
რომლის პატრონი ეხლა დედოფალია სამოთხეში თეთრი ვირების
და რომელიც იყო ყელსაბამი ჩემი ასულის.
ო, ჩემი ბედი დღეს ყველამ გაკილა,
მაგრამ ვერ მომხრის შური მწირების
და ჩემი ლოცვა ცაში ასული
მოგვევლინებათ როგორც მანანა.

იყავით ფრთხილათ: ქარს არ მისცეთ ოცნების ყანა.
და თუ სევდები თქვენს ამაყს სულს დაუდარაჯდენ —
ნუ დაგიჩივებთ ჩემი სიტყვა, ძმებო, სანანოთ.
და კვლავ გახსოვდეთ გვეტაძე რაჟდენ.

რაჟდენ გვეტაძე

ტფილისის სასაკლაო

დაფეთებული შენსკენ მორბიან
სქელი ჯოგები, როგორც ლატანი.
შენ — დაგეშილი დედალი ორბი.
შენ — დაგრაგნილი ლევიათანი.

გლადრავენ მუცელს მწარე აფთრები:
ნუგზარ. ატილა და ტამერლანი.
იხევა ბოძზე გამოფატრული
აპოკალიპსის მწვანე მერანი.

საკლავით სავსე ეგ ხვიმირები.
 იფქვის ნახირი გამოხვეტილი.
 და ჭრონტონებზე ხიმერებივით
 სწვეთს საშოები გადმოღვენთილი. —

ბლოკადა სისხლის. დაუძრახავი
 ნასუქარ მინდვრებს ლეშხებს უწველი
 და ფარაონის სხვილი ძროხები
 მორგის სანოლზე ყრიან მუცლებით.

დანებით დგანან ვით სატრაპები
 ყასბები ტოგით შემოსილები.
 დახეთქე სისხლით ყველა სარდაფი
 და ჭურგონები შემოსეული.

ბლავი ჩანგლებით: ჯერ უძიროა
 და არ ავსილა შენი ღარები:
 განწველილ მინას გაუწირია
 ჩამდგარი ღალის ნატბევარები.

დაარტყი ალყა, დააგრიალე,
 ჩაასვი ღვიძლში პრესსი წყეული;
 კიდევ დაბურღე მინა ძლიერი
 შადრევანებათ ამორწყეული.

მაგრამ მძინვარე თუ კი ჩაჰქერი,
 გაძლევენ რევანშს ბუდის ბლარტები:
 როცა გასკდება როგორც ჩანჩქერი
 შენი ძარღვები დასაბლერტელი.

მორწყე და მორწყე მინის ფესვები!
 მკვდარი ვერხარნის მუცელი მშრალი;
 შენგან ოცნებას ეალერსება
 ბარბაროსული სისხლის შრიალი!

გიორგი ლეონიძე

3-XI — ტფილისი

დარიანული

დაიტანჯა
 მაჯა
მარჯნის
 მძიმე
ჯაჭვის
 ტარებით
ბერი ცრემლი
 დამეხარჯა
ერთ ლამის
 ნეტარებით
დაიტანჯა
 მაჯა
მარჯნის
მძიმე ჯაჭვის
 ტარებით
მე ლოყაზე
 დამრჩა
 ფარჩა
ცხელ პირის
 მოკარებით
დაიტანჯა
 მაჯა
მარჯნის
მძიმე ჯაჭვის
 ტარებით
ჩემ დამტანჯველს
 ღმერთი
დასჯის
 ქაჯათ
 გადაგვარებით.

ელენე დარიანი

მაჩაბლის მთვარე

მაჩაბლის მთვარე, ქურდებს მოხედე!
შენს სამკაულებს ღამეში იძენს
ორი პოეტი, ორი მოხეტე —
გაფრინდაშვილი და ლეონიძე.

მათ წინ სასახლე და ზედ წარწერა:
თავისმკვლელების პანოპტიკუმი.
ყალყზე დამდგარი ნერვების ძგერა
და სასახლეში შეპარვა ჩუმი.

სახლის ღერბია თვით მორიალი.
კიბეს დარაჯობს სანთლის ქაბუკი.
თითქოს ახალი ესკურიალი
აქ აიმართა — გადასაბუგი.

კედლებზე მკვდარი თუთიყუშები.
სანთლის აჩრდილნი, ცრუ ვარსკვლავები.
ვერცხლის ლანგარზე მწვანე შუშები —
შიგ მოკვეთილი ობლად თავები.

როგორც მედუზა სპირტში დაცურავს
მაჩაბლის თავი ღია თვალებით.
გულს ნესტიანი ჩვენება ჰბურავს
მეტი კოშმარით, მეტ განვალეობით.

და ლეონიძე იპარავს შუშას
მაჩაბლის თავით, თუ ორეულით.
მან ვერასოდეს ვერ დააშუშოს
თავის ოცნება ბრაზმორეული.

მაჩაბლის მთვარე, ქურდებს მოხედე!
შენს სამკაულებს ღამეში იძენს
ორი პოეტი, ორი მოხეტე
გაფრინდაშვილი და ლეონიძე.

*ვალერიან გაფრინდაშვილი
1923 წ., ზაფხული*

გონორარი ყელსახვევისთვის

პროლოგი

ავტორმა ამ პატარა რომანში კინემატოგრაფის სიჩქარით გაარბენინა რაინდები, ქალი გრძელი თმით, ვარსკვლავთმრიცხველი, მოედანი აჯანყებული ბრბოთი, გაპუდრული პარიკები და მრავალი სხვა, რისიც წინდანინ თქმა მოთხრობას ავენებდა.

ავტორი მოერიდა სერიოზულს და სხვების გასართობათ დასწერა ამბავი, რომელიც შესაძლებელია არასოდეს მომხდარა.

თავი პირველი

ამბავი იწყება ქალაქის მოედანით.

როცა ქალაქის უფროსი ამალით გაივლიდა მთავარ მოედანზე, დიდი საათი ტაძრის მალალ კედლიდან დარეკდა თორმეტს. მრავალი მოქალაქე საგანგებოთ მოდიოდა ამ დროისთვის მოედანზე, დაენახათ როგორ გაივლიდა გაპუდრულ პარიკით თავდახურული მალალი, ხმელი უფროსი. შესწყდებოდა წუთით ვაჭრების ყაყანი, მოქალაქეთა მოძრაობა. დარბოდა მხოლოდ ერთი: ეს იყო მოედანის დამგველი, რომელიც თუ ვერ მოასწრებდა დაგვას, დახტოდა ქალაქის უფროსის წინ და ნაგავს წინსაფარში იყრიდა. ეს იცოდა უფროსმა და მოსწონდა კიდევ.

ქალაქის უფროსს ისე ჰქონდა ნაანგარიშევი დრო და ნაბიჯი, რომ შეაბიჯებდა თუ არა სამართველოს პირველ საფეხურს, საათიც მოათავებდა თორმეტს.

და სწორეთ ამ დროს საბნიდან ხალიჩაზე პირველ ნაბიჯს გადმოსდგამდა დონა-დიტა. დონა-დიტას ისეთი თმა ქონდა, რომ შორეულ სამთავროებშიც იცოდენ ამაზე.

ყველას არა აქვს სახლი აივნებით და ოთახებში ნოხები. ქალაქში ყოველთვის მეტია ქოხი და ლატაკები.

ლატაკებს არც მიხვრა-მოხვრა უფარგა, არც გაზრდილობა აქვთ. მათ იმის წარმოდგენა არა აქვთ, რომ სირცხვილია სთქვა — მშია! ქალაქის ლატაკები ხშირად არცხვენდენ თავის მთავარს. აჯანყებოდენ, დაიყრიდენ თავს და მიადგებოდენ მთავრის, დონა-დიტას მამის კოშკს. დონა-დიტა გამოვიდოდა მაშინ ქვედა აივანზე, გაიშლიდა ნაწნავებს და გადმოყრიდა ხალხით სავსე მოედანზე. სიხარულისაგან ყვიროდა ბრბო, კოცნიდა თმას და იშლებოდა მაძლარი.

თავი მეორე

ქუჩის შესახვევში, მარჯვნივ ზემო სართულში სცხოვრობდა ვარსკვლავთმრიცხველი. სახლს ჰქონდა აივანი. აივანი დიდ სამსახურს უწევდა.

კარგ ამიდში, როცა ქარს მტვერი არ ამოქონდა, ვარსკვლავთმრიცხველი დაჯდებოდა აივანზე, გვერდით მაგიდაზე დაანყობდა ჭიქებს ყავით, სვამდა, სჭამდა და დურბინდით უყურებდა ვარსკვლავებს. თუ სტომაქი მაძლარი ჰქონდა, ორ ვარსკვლავს ერთად უყურებდა.

ქალაქში სცხოვრობდა ორი რაინდი — დონ-პაპინო და დონ-ბაბინო.

დონ-ბაბინოს მან ასწავლა მთავრის ჩამოკიდება ძაფზე, დონ-პაპინოს კი არაფერი, რადგან ის ამაყი იყო.

ავტორს განზრახვა აქვს დასწეროს რომანი, ამიტომ იწყებს სიყვარულის მოთხრობას. როგორც ყველა ქალს, დონა-დიტას სწყუროდა სიყვარული.

ბევრი ღამეები დაითენეს დონა-დიტას აივნის წინ ორივე რაინდებმა, შეტაკებაც მოუვიდათ და ერთი რომელიმე კვდარი იქნებოდა, რომ ღამის დარაჯებს არ გაეშველებიათ, მაგრამ დონა-დიტას ცივი გული ვერც ერთმა ვერ გაალო.

ბოლოს შერცხვა ქალს თავისი გულცივობის, დაატანა ძალა თავს და გადასწყვიტა ენახა მალულათ დონ-პაპინო.

დონა-დიტამ გაიკეთა სამაჯურები, ჩაიცვა ქოშები და გაიპარა დონ-პაპინოსთან.

დონ-ბაბინოს უყვარდა დონა-დიტა და როცა გაიგო, რომ სალამოს ის მიდიოდა მალულათ დონ-პაპინოსთან, ჯერ გადასწყვიტა თავი მოეკლა, შემდეგ პაპინო მოეკლა, ბოლოს კი ისევ დონა-დიტას გული მოეგო.

ახ, რა ქნას ისეთი, ქალს გადაავინყოს მოქიშპე რაინდი.

ვარსკვლავთმრიცხველი მეთერთმეტე ჭიქა ყავას სვამდა და მხოლოდ მესამე ვარსკვლავი ჰქონდა დანახული, როცა რაინდი დონ-ბაბინო რჩევისათვის მოვიდა მასთან.

პატარა ხნის შემდეგ რაინდის გამწარება შეიცვალა აღტაცებით. რაინდი დონ-ბაბინო მირბოდა თავის ბალისკენ და რაც გზაში ელოებოდა, გაქონდა მკერდით.

ახ, ეს დონ-ბაბინო! დონ-ბაბინო ბებერი მელაა! მან კარგად იცის გაპუდრულ პაროკის მელოტ თავზე მორგება, მაგრამ უკეთ სცოდნია ქალის მონადირება, რა თქმა უნდა, ბევრი დაუჯდება ეს ოინი ბაბინოს, შეიძლება ამის შემდეგ განახევრდეს მისი სიმდიდრე!

დონა-დიტას ბალი უნდა გაეველო გზათ: შევიდა თუ არა ბნელ ხეივანში, ასი დაქირავებული ციციანთელა გაუძღვა წინ. დონა-დიტა ჯერ შეშინდა, მერე გაკვირდა. ქვიშის მაგიერ ბილიკებზე ეყარა ძვირფასი ქვები. როცა ფრინველებმა, რომელნიც წმინდანინებს გავდენ, ჩამოყარეს ფრთებიდან ნაკვერცხლები, დონა-დიტა შეშინდა და მოაგონდა დონ-პაპინო. მაგრამ ჰაერში გამოჩნდნენ ხომალდები და მათ ისევ დაუკარგეს ქალს ხსოვნა.

ამ დროს დონ-ბაბინო ალვის ხის წვერზე იყო და იქიდან უყურებდა ყველაფერს.

როცა ქალი გაუსწორდა ხეს, დონ-ბაბინომ მოგლიჯა მთვარე ცას და ნელა ჩამოშუვა. დონა-დიტას ყველაფერი გადაავინყდა და მამინ, როცა გამარჯვებული ბაბინო ხიდან ჩამოსვლას აპირებდა, უეცრად განყდა ძაფი, ჩამოვარდა მთვარე, დაეცა ქოშის წვერს და დონა-დიტას ატკინა ნეკი.

ახ, დონა-დიტა, უბედურო დონა-დიტა!

ნეკი მორჩება, მაგრამ მთვარისგან გასრესილი ქოშის წვერი არასოდეს გასწორდება! დასასრულ უნდა ყოფილიყო ტრაგიული, მაგრამ ავტორის გულკეთილობამ შეარიგა მტრები.

ქალაქის მოედანზე, დონა-დიტას სახლის წინ, კვირა შუადღეს, დნიშნული იყო დუელი. მთავრის აივანზე თავი მოეყარა ყველა წარჩინებულს. დონა დიტა ყველაზე წინ იჯდა.

როცა დონ-პაპინომ გაგზავნა მასთან მხლებელი გასაგებათ — შეხედავდა თუ არა თანაგრძნობით დუელის დაწყების წინ, დონა დიტამ პასუხათ შეუთვალა, რომ სავარცხელს კბილი მოსტყდა და ცუდ ხასიათზეა.

დუელი დიდხანს გაგრძელდა. მოპირდაპირენი ლომებივით იბრძოდნენ და ერთმანეთს არ უთმობდნენ.

დუელი ალბათ დამთავრდებოდა რომელიმეს სიკვდილით, მაგრამ დონა-დიტას რიკულზე ჩამოეყვინთა და ამის შემდეგ ბრძოლაც აკრძალეს.

ეპილოგი

დასრულდა რომანტიული ამბავი.

ავტორი სთხოვს რეჟისორებს ისარგებლონ ამ სცენარით და შემოსავალი თითონ აიღონ, რომ შეიძლონ ახალი ყელსახვევის ყიდვა.

სერგო კლდიაშვილი

დადაიზმი და ცისფერი ყანწები

შესავალი

მხოლოდ მეზრდოლ ლიტერატურულ შკოლათა უშუალო მონაწილე იგრძნობს, რომ ყოველი მემარცხენე ფრთა პოეზიაში ნამდვილად მხოლოდ მცირე ნაწილს გამოხატავს იმ შინაგან საკირეს დუღილისას, რომელსაც ეწოდება შემდეგში რომელიმე ლიტერატურული მიმართულება და ისტორიაში შედის თავის შტამპით. უდიდესი ქროლვა დაცხრილულ ქარებისა, რჩება შემოქმედების გარეშე, მაგრამ ეს შინაგანი ცეცხლის ნვა, გამოუთქმელი დულაბი ჰქმნის ტემპერამენტს, პაჭოსს და თვითდამტკიცებას. ამიტომ არ არის ყალბი ის გატაცება, კადნიერება და გადავარდნა, რომელიც ყოველთვის ახასიათებს მეზრდოლ შკოლას.

ერთხელ რომანტიზმის ნაპოლეონის ბარაბანის ცემა პარიზში უყრიდა თავს ვალანტიორებს, ნოტრდამის ზარის რეკასავით ისმოდა ვიქტორ ჰიუგოს ხმა, ამაზე უფრო გამდგარი ენტუზიაზმით სწერს გეორგ ბრანდესი.

ყველაზე უახლოესი ლიტერატურული შკოლა ფრანგი სიმვოლისტებისა ამტკიცებს კიდევ ამას. ბევრისთვის საფრანგეთშიც გაუგებარი იყო სტეჟან მალლარმეს უდიდესი ავტორიტეტი. მწერლობით მალლარმე ავტორია რამოდენიმე ოქორტისა პროზით, რამოდენიმევე სონეტის, კრიტიკულ წერილებისა... ამასთანავე ყველაფერი ეს ისე გაუგებარია, რომ მალლარმე ფრანგებმა შეიტანეს გაუგებარ ავტორთა სიის პირველ რიგში. ნამდვილად კი მალლარმე იყო უდიდესი მეტრი, რომელიც ახსოვს პოეზიას. ყველაფერი ეს გამოჩნდა მის შემდეგ, რაც მისმა მონაფეებმა დასწერეს აპოლოგიები და ადიდეს უძვირფასესი მასწავლებელი.

პირველი ქრისტიანი აპოლოგეტები არ სწერდენ ისეთი მონინებით მაცხოვარზე, როგორც დეკადენტი პოეტები სწერენ აქამდეც მალლარმეზე. აქ ლაჭორგი ემგვანება ტერტულიანს და მალლარმე დაადგა მსოფლიო პოეზიას, როგორც გამოკვეთილი თეთრი გედი, რომელიც სიკვდილის წინ კიდევ იზომავს ხმას და უანასკნელ დასკვნამდე მიიყვანს პოეზიას.

შეუძლებელია აგრეთვე არტურ რემბოს მსოფლიო როლის გაგება, რომ ბიოგრაფიას არ გაემხილა ამ უკანასკნელი პოეტის ფენომენი. ეხლა იწყება ჩვენ თვალის წინ რუსი სიმვოლისტების ისტორიაც. ალექსანდრ ბლოკის სიკვდილმა გახსნა ეს რკალი. იქნება იყო კიდევ ბევრის მაჩვენებელი, რომ ალექსანდრ ბლოკი მოკვდა ახალგაზრდა, ან და ისიც, რომ ის იყო რომანტიული. დღეს ანდრეი ბელლი სწერს ტომებათ მოგონებებს: ადგენ საფლავები: დოსტოევსკის და სოლოვიოვის.

ვალერი ბრიუსოვი სდგას, როგორც ჯამბაზი, რომელიც პირიდან უშვებს დამწვარ ქალაღს ქრელი გველივით. ირკვევა, რომ ა. ბლოკის „კულიკოვოს პოლე“-მ დაიწყო ანდრეი ბელლის „პეტერბურგი“, რომ ბლოკი იყო ანდრეი ბელლის ლორენცო მედიჩი, შთამგონებელი, მეცენატი და უფროსი ძმა.

რამდენი კიდევ სხვა ამბებია აქ მოყოლილი... და ა. ბლოკი ჩნდება, როგორც ნერონი, რომელსაც კეთილშობილება მიმატებია... ეხლა რამდენს იტყვის ვიარესლაგ ივანოვ, რომელიც ამზადებს მონუმენტალურ მოგონებას ა. ბლოკზე.

ვინ იფიქრებდა, ვის ეზმანებოდა, რომ ყოველ ლექსს ჰქონდა ასეთი რომონტიკა, რომ გამოუთქმელი დარჩა უძირო ჭა და მხოლოდ ნაფერფლი იქცა ლექსად.

სულ ბოლოს განა გაკადნიერებული ვლადიმირ მაიაკოვსკი არ ამბობს ავტობიოგრაფიაში, რომ ის იქნებოდა უბრალო პროპაგანდისტი პრესნიას ქვერაიონის, რომ ის არ მოენვია პოეზიისათვის დავით ბურლიუკს, რომელმაც პირდაპირ შეჰქმნა მისგან ოსტატიც და პოეტიც?

სიკვდილის შემდეგ გამოირკვა, რომ ველემირ ხლებნიკოვი „თავმჯდომარე დედამინის ბურთის“, ბლუ გენია, ცეცხლი დაუქრობელი, იყო და დარჩება რუსულ ჭუჭყურიზმის გამართლებად. გავიმეორებ, რომ ალბად სასწაულით მოხდა, რომ რუსეთის სიმვოლიზმმაც და ჭუჭყურიზმმაც დაჰკარგეს მეთაური, გული დაცხრილული გენით: ალ. ბლოკი და ვ. ხლებნიკოვი.

ეს გამოტირილი გმირების აცოცხლებს ამ ეპოპეას.

გიჟი იქნება ის, ვინც იფიქრებს, რომ „ცისფერმა ყანნებმა“ მოასწრეს იმის თქმა, რაც უნდა ეთქვათ, ან და სთქვეს თუნდა მეთათსედი იმის, რაც უნდა ეთქვათ.

გარდა საერთო ბედისა, რომ მეზრდოლი შკოლები ვერ სწურავენ თავიანთ შესაძლებლობას, ამას დამატა ისიც, რომ საქართველოში პირველი იყო ასეთი მეზრდოლი შკოლის შემოსვლა. „ცისფერი ყანნები“ ისე გრძნობდენ თავს, როგორც ქვეყნის შემოქმედი შექმნის პირველ დღეს, როცა აგრავნილი ქაოსი ეძებდა ჭორმას. აპოლონის სახე რუსთავლის დაჩრდილეს საუკუნეებმა, ასეთ ეპოქების განმავლობაში ქართველ ერს თავისი ენაც დაუვიწყებია, ვინ იცის, რამდენი ენა გამოვიცვალეთ ქალდეას შემდეგ?.. რუსთაველის შემდეგ მთელ მწერლობაში მოსჩანდა მხოლოდ ილია ჭავჭავაძე: მართალია, ის იდგა, როგორც დარიალი, მას ეხეთქებოდა ყოველი შესაძლებლობა ქართული კულტურის ასახვისა, ის იყო ავტორი პროზის, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ისტორიკოსი, ბანკირი, ორატორი, საზოგადო მოღვაწე, მეცენატი, პოლიტიკოსი და კიდევ სხვა, აგრეთვე პოეტიც, უფრო გამართლებული წინამურით, მაგრამ ყველაფერი ეს არ იძლეოდა პაჭოსს: ეს ამოუვსევლობა ქართული კულტურის შემდეგ დაეჯახა მეორე პოეტს გრიგოლ რობაქიძეს, მაგრამ სამოქალაქო ცხოვრების განვითარებამ, როცა პოლიტიკა ცალკე გამოიყო და უფრო და უფრო კიდევ პოეტის დაბადებულმა შეგნებამ მისცა მას საშუალება უფრო ემხილა თავისი პოეტის ბუნება (დამტკიცება ამისი არის საგანი 27 ტეზისიანი აპოლოგიის — „გრიგოლ რობაქიძე“)...

„ცისფერი ყანნები“ დამზადებული ტერორისტული დინამიტებით დარჩენ თავიანთ თავის ამარა: აკადემიის და კლასიციზმის მაგიერ ალაპარაკდენ ფილისტერები ოჯახებიდან: საჭირო იყო დიდი ტაქტი, რომ ეს უდიდესი ლიტერატურული ჯვაროსნობა არ ჩაეთრიათ ამ ქაოზში და ბრძოლა არ დაწვრილმალეზულიყო.

და დაიწყო ამოუვსებელ კულტურის ხვრელების გავსება: როლი გრიგოლ რობაქიძის, რომელიც პოეზიის აგიტაციისათვის უნდა მისულიყო პროფესორის კათედრამდე. ლექსის ტენნიკაში გაინანელეს ყველა ყანნელებმა. და იმ დროს, როცა „დადამ“ და „ჭუჭყურიზმმა“ დახსნეს ლექსი, ყანნელები ომებს იძლეოდენ მართალი სონეტის წერისათვის. იმის მაგიერ, რომ ძველი ლექსი წყობა დანგრეულიყო, გრიგოლ რობაქიძე აკანონებს ქართული ლექსის ელემენტარულ ბუნებას: ლიცეიში ამას ეწოდება სიტყვიერების თეორია. ყანნელებს უხდებათ ძირს ჩამოგდება მეშჩანური კრიტიკისა და პოეტებს დაანყებიეს ლექსზე წერა. მიუხედავად ამისა, რომ ეს ამბავი არც ისე შორია, დღეს, როგორც არავინ კითხულობს, ვინ ააშენა კავკასიონის ქედი, ისე არავინ კითხულობს, ვინ გადაადგო ქართულ მწერლობიდან მეშჩანური კრიტიკა და შექმნა მოდერნისტული სტილი.

ალბად, დიდხნის მოთხოვნილება იყო ეს და ამოსასუნთქ ჰაერზე კი არავინ ფიქრობს:

ერთი მხრივ იმან, რომ ყანნელებს უხდებოდათ არა თავისი საქმის კეთება, მეორე მხრივ სამოქალაქო ომის ცეცხლმა და რევოლიუციამ, რომელმაც მოუსწრო საქართველოში ამ პოეტებს შემოქმედების დაწყებისას და ამასთან ეს რევოლიუცია ორგანიულად არ იყო გამოტანჯული ქართველ ხალხისგან, არამედ „მოვიდა ფოსტით პეტროგრადიდან“ (რაც ამჩნევია პროლეტარულ დემოკრატიულ პოეტებსაც) და აგრეთვე ქართულმა სამხრეთის ბუნებამ, რომელიც აკანონებს ზარმაცობას და უფრო მწვავეთ აყენებს სიცოცხლის პრობლემას — გამოიწვია ის, რომ ყანნელებს არ უთქვამთ საჯაროთ თავისი

სიტყვა, როგორც ამისთვის იყვენ მონოდებული. მთავარი მაინც რჩება ლიტერატურულ ჭონის უქონლობა და ასპარეზის სივინროვე.

ალბად, შემდეგ ყანწელები გამოიტანებენ იმ წამებს, როცა ისინი მეტს ფიქრობდენ „ცისფერი ყანწების“ სახელის მოგონებაზე, ვინემ აკაკი წერეთელი „თორნიკე ერისთავის“ დაწერაზე, როცა იყო ისეთი წამები ალტაცებისა და უდიდესი ინტიმის, როცა ყოველი ყანწელი უარს იტყოდა „ჭაუსტი“-ს გადაწერაზე, რომ თვითონ ყოფილიყო მისი ან მისი მადარი პოემის ავტორი...

ეს არის ისტორია ბოგემის, მისტიური ძმობის ორდენის, რომლის კონსტიტუციასაც მარტო სიკვდილი დასწერს.

მაგრამ აქ სიტყვა ბოგემა მარტო სიტყვაა. სინამდვილეში კი ამას ახსოვს ათასი ტფილისში გათენებული ლამეები, რომელნიც უცხო პოეტების ოდებსაც ინვევდენ. როდისმე ალბად პოეზიაში განკაცდებიან კონტრაბანდისტი ოპიოჭაგი სპარსელები.

ასე დაწყევს ყანწელებმა დინამიტები და მოკიდეს ხელი მწერალთა კავშირის ორგანიზაციას... მაგრამ ძველი მწერლობა გამოდგა ბაზალეთის ტბა და პოეზიის მზე ვერ დასწვდა ზმანებულ აკვანს. რკინის პალო მხოლოდ კახაბერის დროს ესობოდა მიწას; დღეს პოეზია თვითონ ებრძვის თავის თავს სასიკვდილოთ:

ჭრამენტებით შეუძლებელია „ცისფერი ყანწების“ ისტორიის დაწერა: ყოველი ყანწელი თავის თავს გრძნობს ჯვაროსნათ და დაინერება ეს ეპოპეა: ეხლა წერილის დაწყებისთვის მე მიწდა მოვიგონო ერთი ეპიზოდი: ეს იყო კაჭე „იმედი“. ტფილისში ამ კაჭედან დაიწყეს ყანწელებმა: მეორე საღამო მოაწყვეს რუსის ფუტურისტებმა: ილია ზდანევიჩმა, ა. კრუჩინიხმა და ტერენტიევმა. ეს საღამო იყო ფუტურისტული მხატვრობის. უმთავრესად აქ წარმოდგენილი იყო მეორე ზდანევიჩი და ლადო გუდიაშვილი: მოხსენებას კითხულობდა „ფუტურისტულ სიტყვის ეზუიტი“ ა. კრუჩინიხი. როდესაც ტფილისის აკადემიურმა წურბელებმა იჯერეს გული (მახსოვს, იყვენ მატემატიკის დოქტორი გ. ხარაზოვი და ს. გორდეციკი), როცა ჭუტურისტების ჭრონტი მოიხსნა და ა. კრუჩინიხი ჩხაოდა, როგორც მოგდებული კატა, სიტყვა აიღო გრიგოლ რობაქიძემ. ეს იყო ქარიშხლის მოვარდნა (ალბათ, ეს ლამე დაამახსოვრდა ა. კრუჩინიხს, როცა გრიგოლ რობაქიძეს დაარქვა: Специалист по Апокалипсису и безумию)... არ ვიცი, იმ ლამეს ვისთვის ლაპარაკობდა გრიგოლ რობაქიძე: ამართლებდა ფუტურისტებს, თუ ამართლებდა თავის თავს, რომელიც ბედმა გასწირა ამ ღვანლისთვის („подвиг“) ამოევსო ყველა ხრამები ქართული კულტურის და ხანდისხან ამისთვის მორიდებოდა პირდაპირ გზას...

ის ლაპარაკობდა გაცოფებული და ერთათ ერთი სიტყვა იყო, როცა ის თავის წინ არავის ხედავდა. მას უღალატა ორატორის ზომიერებამ, ის ყვიროდა როგორც დაჭრილი ვეფხი: ეს იყო ლამე მართლა ტიუტჩივის ციციერონის: „Оратор римской говорил, сред бурь гражданских и тревоги, я поздно встал и на дороге застигнут ночью Рима был“... ოხ, მართლაც იყო ეს ლამე: როცა არ იყო მარტო სიტყვები „блажен кто посетил сей мир с его минуты роковые... его призвали всеблагие, как собеседника на пир“.

ასეთი ლამის და საუბრის მონყობა დაამტკიცა მარტო ლადო გუდიაშვილმა, რომელიც ამ ლამის შემდეგ ჩაიკეტა თავის სახლში და დახატა გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი: ეს არის უდიდესი, რაც შეუქმნია ლადო გუდიაშვილს: გრიგოლ რობაქიძე არწივის თავით, რომელსაც გადმოსდის ტვინი ბალღამივით და შუბლი შედრეკია ისე, თითქო მაცხოვარს ჩასცეს ლახვარი: ამ ლამის სიმჭონიის გადმოცემა არ შეიძლება, ეს ლამეც დაიკარგა ისე, როგორც ათასი ყანწელების ლამე, დამარწმუნებელი დღემდე დიდი პოეზიის ნიშნობაში...

ამ აპოკალიპსის ორკესტრიდან, რამდენიმე ჭრაზა დავიმახსოვრე: აქ იყო ლაპარაკი ნიცშეს ინსტინქტების ანარქიაზე, ედგარ პოეს მიწის ქვესკნელის გაჭრულებაზე, გეო-

ლოგიურ კატასტროფებზე, ამ ღამეს გრიგოლ რობაქიძის ასოციაციებით დაინერებოდა ლატრეამონის „Poesies“ და დასტოვა ბეჭედი მალდარორის რობაქიძეში გუდიაშვილმა: დასკვნა ასეთი იყო: ფუტურისტები გამართლებული არიან ცხოვრებით: თქვენ ამტკიცებთ, რომ ისინი შეგნებულად ჯამბაზობენ: მაგრამ კარგი: თუ საუკეთესო ახალგაზრდობა: საფრანგეთის, რუსეთის, საქართველოსი და შეიძლება მთელი ქვეყნისაც შეგნებულად ჯამბაზობს, მით უარესი თვითონ ქვეყნისთვისო.

განა არ იყო ეს უდიდესი ტერორი?

ამ ღამეს გრიგოლ რობაქიძემ გახსნა თავისი მასკა: ამ ღამეს ის არ იყო მთანმიდელი, ღვანლით შემოსილი, მასში დასძლია პოეტის უკიდურესობამ... შეიძლებოდა ეს ღამე ყოფილიყო ქართული ფუტურიზმის დეკლარაცია: მაგრამ ეს იყო წმიდა ანტონის ცდუნება.

ეს ღამე მართლა იყო იერონიმუსს ბოსხის ფანტასტიკიდან და ჩაბნელებული ესკუ-რიალივით: ჩემთვის ის აქამდე დარჩა როგორც ნიშანი: მხოლოდ უდიდესი სიყვარული, როგორც მეტრისადმი მახედივს ვსთქვა: რომ იმ ღამეს გრიგოლ რობაქიძე დარჩენილიყო თავის თავის მიმდევარი: დადაიზმი უკვე ფაქტი იყო საქართველოში. ეს იყო დაგუბებული იარის გახსნა, ბალღამის დანვითება.

მართალია, აქედან ახლოს არის თავის მკვლევობამდე, მართალია, მე გრიგოლ რობაქიძე მაფრთხილებდა ამისგან, და გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდა და ჩემთვის ჩემ გამოსვლის დროს: თუნდა როცა დავით კაკაბაძემ მოაწყო ტფილისში მხატვრობის საღამო სუდეიკინთან ერთად და უნდოდა ეს ყოფილიყო პირველი ფუტურისტული საღამო, მე ნავიკითხე დადაიზმის დეკლარაცია, მაგრამ მე აქამდე მახსოვს, რომ ნამდვილი და წმიდა გრიგოლ რობაქიძე იყო ის იმ ღამეს: მთელი შემდეგი მტკიცება, რომ დადაიზმი და ჭეუტურიზმი არის ეშმაკის საქმე, რომ ა. კრუჩინიხი ჭინკაა, ჩემთვის არის მხოლოდ სქოლასტიკა...

ორი აზრი არ არსებობს იმის შესახებ, რომ ქართული პოეზია, როგორც ასეთი, მოგებულია ამ ღვანლით, აკი მეშინი კრიტიკოსებიც აღიარებენ ჩვენ კულტურტრეგერობას ქართულ ლექსის საკითხში: მაგრამ ის მსოფლიო ხაზი, რომელიც უნდა გაემართა „ცისფერ ყანნებს“ გამრუდდა: ის პაჭოსი, რომლისთვისაც ვიყავით ჩვენ მოწვეული იკითხება მხოლოდ იმ წიგნში, რომელსაც ჰქვია „ყანნების პროლოგომენი“...

ვაჟა-ფშაველა იყო უკანასკნელი ქართველი პოეტი, რომელმაც ამონურა საქართველოს საკუთარ საშოს ნიადაგი. შემდეგში, როგორც არ დაიბადება მეორე კახაბერი, ისე არ იქნება მეორე ვაჟა-ფშაველა.

ყველაზე უფრო გასამასხრებელი საქართველოში არიან ვაჟას მიმდევარი პოეტები. მთა ერთხელ იფეთქებს ვულკანივით და შეიძლება ამოაგდოს ისტიოზავრი, სხვა დროს ის მშვიდია და მასზე ცხვრის ჯოგები ბალახს სძოვენ. ყოველი ცდა რუსეთში ასეთი „მუჟიკური პოეზიის“ აღდგენის, როგორც ესენინია და კლიუევი, მარცხდება თავიდანვე, რომ არაფერი ითქვას პირველ პერიოდის აკმეიზმზე და ადამიზმზე: „ყანნების მისსია“ იყო და რჩება გამართოს ქართული პოეზია მსოფლიო რადიუსით.

რა არის დღეს პოეზია: რითი დაინყეს ყანნელებმა და რას ამბობს დადა...

ტიციან ტაბიძე

ნითელი დროშა

(კრებულიდან „სივრცეები“)

ნითელი დროშა — პროლეტარიატის ხარება —
რგოლების მსგავსი,
ცისფერ უფსკრულებში დაიარება
კრემლის სასახლის თავზე.

სიტყვები საოცარი, ახალი, ახალი,
ერთბაშად მღერიან,
აჩრდილი მოირის ძველი და მაღალი
მოსკოვს მოერია!

ნუ თუ ვერ ვიცანი ნაცნობი სახე, —
უცხოა დღეს!
ისე ვით ზღაპარში, ჩვენ გადავლახეთ
ღრუბელიც, ტყეც!

სალამი თაობას, რომ საუკუნური
ცეცხლი გააჩაღა.
ვერ მოევლინება ბედი უგუნური
მას უხეშ ყაჩაღად.

ცხოვრებავ! უქებო კიდევ აქამდი,
ისმოდა გრგვინვა და თქეში,
მაგრამ უკვდავებს ღმერთებთან ვსვამდი
მე — სიცოცხლეში!

ჰკურნავს დალილობას სასმელი მისანი
წლების დაქცეულის.
ჩემი იარები მე ველარ ვიცანი,
მარჯვეა სხეული!

ვარ აღტაცებული, ვარ დაუყურები
გრიგალი, კოცონი!
და ახალგაზრდობას ტუჩებში ტუჩებით
მე ახლა ვკოცნი!

*ვალერი ბრიუსოვი
თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის*

უჟმური კვირეები

27 ივლისი

ექვსი ნელინაღია ვემზადები დავსწერო ლექსი „Dimanche“.
 ამას ჰქვია ლაჭორგის კვირა.
 ასეთი უჟმური კვირა მაინც არ მახსოვს,
 ზარები ქალაქშიც არ რეკავენ.
 ყველა ტაძარი შეიქნა ფეერიული.
 ეს ლექსი, რომ ამ დღეს დამენერა,
 ნალველი დაიქცეოდა ფოლადივით.
 შემძლია დავიჩემო, რომ სიზარმაცის
 ღმერთი მაინც ვარ.
 თუ ისიც დაემატა, რომ ლოთობა ჩემი მეორე სტიქია —
 ჩემზე ეროვნული პოეტი არ ყოფილა საქართველოში.
 მე, კოტე მარჯანიშვილი, შალვა დადიანი და დავით ჩხეიძე
 ტანტების ცირკში ვართ: კულა გლდანელის იუბილეზე.
 ვინ მისცა ამდენი ტემპერამენტი ყარაჩოღელებს!..
 სანყალი გლდანელი დგას გაკოტრებულ სოვდაგარივით.
 მის წინ მისი ძველი პორტრეტია —
 რკინა, ჩამოსხმული ადამიანათ.
 პაოლო იაშვილის მაგიერ სიტყვას ამბობს
 არბიტორი: „შენ დაუკა, ვანუა“.
 როგორც თავის მკვლელი რუსთაველზე მოდის კოლლაუ ნადირაძე.
 ერთად ვიხრჩობით:
 ოპერეტა „მხიარულ ქვრივზე“.
 ჩვენ თავის მკვლელთა ორგიას
 აკლია ვალერიან გაფრინდაშვილი.
 თუ ეს არ არის ლექსი,
 იყოს ერთი ვარიანტი გაუქმებულ კვირეების.
 შემდეგ, ალბად, ასეთ ლექსისთვისაც ვერ მოვიცლი.
 ყველაფერი წინ მიდის პოეზიის გარდა,
 ინყება ლექსის უკულმა ელექტროფიკაცია.
 მე ვარ ამის წინასწარმეტყველი.
 იყოს ბიოგრაფია ერთი დღის.
 მჯერა — შემდეგ მაინც გამოვა ეპოპეა: ტიცციან ტაბიძე.

ტიციან ტაბიძე

29/VII

ტფილისი

მდაბიო

„მე ვცხოვრობ ვირივით წყნარათ და შრომით“

პაოლოსადმი მიწერილ ბარათიდან

ჩემი რევოლუციონერობა არავის სჯერა,
თუმცა 12 წლიდან ვმუშაობ სტამბაში,
და დღეში ვფიქრობ ასჯერ:
რატომ ვარ ასეთი უბედური
და სალახანა.
მე მახსოვს კარგათ:
როცა ერთხელ ბოქაულმა მამაჩემი გალახა,
და მე სამაგიერო ვერ გაუბედე —
(ეს მოგონება სულს აწევს ბარგათ) —
როცა დედაჩემს ნავთი არ ჰქონდა ლამფაში
და მთვარეზე ვკითხულობდი აკაკის ლექსებს,
როცა ფუნაში ნახულ ჭიებს ვაგებდი ანკესებს,
და მივდიოდი წყალნითელაზე,
რათა კვირას მაინც გვქონოდა თევზით ვახშამი.
ო, დარჩეულ სურვილებს სევდა მითელავს,
რადგან მამა ჩემი, რომელსაც კიდევ სჯერა ხატის.
ისევ დახეულ ქალამნებით დადის
და ახრჩობს მევახშე.
მე აღარ ვფიქრობ ქალებზე, რომლებიც ჰგვანან გაპენტილ ბამბებს,
არც იმ გლეხზე, ციმბირის ჭირმა რომ მოუკლა ცალი ხარი,
და ლექსების მაგიერ ვსწერ ახალ ამბებს
(ყველაზე უფრო იოლია ეს ხელობა)
და მიხარია —
როცა ავტომობილი ვინმეს გასრისავს,
ან რომანიულ ნიადაგზე თუ მოხდა მკვლელობა.
მინდა ვიყო ერთი აზრის:
არ ავყვე ოცნებას ქარიანს
და მოვესწრო, შესული ხანში, —
წვერულვაშიან ვაჟებს,
(ეს იმედი გულს მიკაჟებს)
რომლებიც ეხლა სოფელში არიან
და ბაბუას ეხმარებიან თოხნაში.
თუმცა სხვა შეხედულების ვარ ცხოვრებაზე,
და მეზარება ყველა, ვისაც მუცელი აქვს ტიკის,
მაგრამ რადგან არაფერი მესმის მსოფლიო პოლიტიკის,
რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ახალი ომი, —
გადავწყვიტე ვიცხოვრო ასე:
ვირივით წყნარათ და შრომით.

რაჟდენ გვეტაძე

ჯიოკონდა

ასეთი იყო მთვარე მაშინაც,
ხუთასი წლის წინ, არნოს ნაპირად,
როდესაც ტრფობამ გადაგვაშენა
და სიკვდილს ხარბად გადაგვაპირა.

ეს იყო ღამე უელვარესი,
დაგუბებული ვნების ტბორებად.
გადაშენების ნაზი ალერსი
ახლა ჩემ ხსოვნას ეამბორება.

არ იყო სხვა გზა გადასარჩენი:
ერთად დაგვაკრა ილბალმა დალი:
ჩვენ გვიბარებდა დიდი გამჩენი,
და ჩვენ გველოდა ციური ბალი.

მზე ემაუსის მიგვინათოდა,
და ნაზარეთი გვენატრებოდა;
ანგელოზების ფრთები გვათოვდა,
და ვარსკვლავები ჩუმად ჰქერებოდა.

ასეთი იყო მთვარე წარსულში,
ასეთი იყო გზა დაბრუნების;
ისევ ის მთვარე ფერგადასული
დღეს ცაში ლელავს და ილუნება.

და სხვა მდინარის ცისფერ ნაპირებს
მოადგებიან ჩვენი ლანდები;
და ისევ სიკვდილს გადაგვაპირებს
წარსული ტრფობის მძაფრი ფანდები.

შენი ღიმილი ისევ ის არი,
და თვალთა ცქერა დაუხსოვარი.
მე ვარ ამდგარი მკვდრეთიდ ლაზარი,
დღეს შენი მონა და მაცხოვარი.

არ არი სხვა გზა გადასარჩენი!
მოგველის ზეცა თეთრი ბალებით;
ისევ გვიბარებს წმინდა გამჩენი,
ისევ სიკვდილით დავიდალებით.

და ძველი გზებით გავყვებით მნათობს
პილიგრიმები გაფითრებული:
ანგელოზების ფრთები დაგვათოვს,
და ვარსკვლავების სუფთა კრებული.

ქრისტეს ცრემლებით ნაბანი ველი,
ცა — აღმასებით სავსე საუზი:
და როგორც წინად, დღეს ისევ გველის
ჩვენ ნაზარეთი და ემაუსი.

კოლაუ ნადირაძე

თამარის ხიდი

შემოდგომის პატიოსნება,
კეთილშობილი კაცის სახელი.
წარსულ დღეებზე ჩუმი ოცნება.
და ნაღვლიანი თვალის გახელა.

დაგვემკვიდრება სასუფეველი,
დავიმსახურებთ, ასე მგონია...
პატარა ამბავს კიდევ მოველი
და გათავდება ეს აგონია.

მცირე შეცდომებს დაგვამალიებს
თვე იანვარი თბილი ბუხრებით:
მხოლოდ ლექსების სატურნალიებს
გავყვებით მარტში, ცოტა მწუხრები.

მე მისხარია, როდესაც ბედი
ნაკლული მთვარის ნიშანით მიდის;
არის ინტიმი: — მალარმეს გედი,
და იმერეთში თამარის ხიდი.

კოლაუ ნადირაძე

ვეფხი

(ვეფხი მოკლული დილომში 1922 წელს ნოემბერში)

ვალერიან გაფრინდაშვილს

სარაცინების თესლით ამტყდარი
და პამირების ბურში მყვირალი,
მოატყდი სივრცეს გასაკვირალი,
პანმონგოლიზმის ბაირახტარი.

ხალიჭატების დასტოვე ტახტი
და სისხლი მღვრიე ვერსად დასტიე,
ალბად შენ ყავდი ბრწყინვალე რახტიო —
უკანასკნელი ძველ დინასტიებს.

რომელი უნდა გელეუნა რასა
და მერამდენე გემტვრია რომი,
როცა დაეშვი დაუდგრომელი
და მზე გტეხავდა ბარბაროსული.

ვერ გაჰხეთქავდი რომელს ავმარას,
რომელ გუმბათზე ხმალით დადგები?
ბერდუჯის წყალზედ წივის ჯავშანი
გამოქცეული ათაბაგების.

მაგრამ ავია ბედის ტრიალი.
შენი ვარსკვლავიც ყოფილა მკვდარი.
ველარ დალაშქრე შენ დარიალი.
სისხლი შაასხი მსუქან კედარებს.

გადმოვარდნილი წითელი ფაშვი
შენ აზრაილის შუბზე მბრუნავი,
ურემზედ ეგდე ვით ქუჩის ბავში
ასპიტ ლამეში დასახურავი.

და საყვირების ხმები გრგვინავი.
მემკვიდრის გული აღარა ტოკავს.
თესლო! ყველაზე ნაგვირგვინარო,
გადაგეფარა სიკვდილის ტოგა!

გიორგი ლეონიძე

1922 წ.

ტომას ჩატერტონ

(1752—1770)

პროვინციელის სინაზით ეწვია ლონდონს — ბრისტოლიდან,
თვრამეტი წლის ბავშვი,
მომავალი თავისმკვლელი და პოეტი,
გენიალური სხემით:
აღედგინა მეთოთხმეტე საუკუნის არ არსებული
პოეტი როული, —
თავისი ფანტასტიური წინაპარი-ორეული,
როგორც გრიგოლის ორრუქაბიძე.

უფრო ძნელია გამოგონება პოეტის,
ვიდრე აზნაურის;
პოეტები ძლივს ასაღებენ თავის თავს,
როგორც კახაპები.

ლონდონის კაჭეებმა ნახეს ჭაბუკი —
ესკურიალის ბნედით, რომანტიულ შეველიურით.
ჰსურდა დაუფლებოდა შექსპირის
და დედოფალ ელისაბედის ქალაქს.
სცხოვრობდა საეჭვო ოთახებში.
დიასახლისები იბრალებდნენ როგორც მათხოვარს.
ის დადიოდა ვით უცხოელი და ჯამუში,
ტემზის ნაპირების ბოგემა,
დიდ ვიტრინების ჟინიანი მაყურებელი.
ქმნიდა სათაურებს: „ქარის ოპერა“, „წვიმის აპოკეოზი“.
„ნიბელუნგები“.

ერთ ღამეს გამოეცხადა როული
და დაემუქრა მიზრაფის ჩონჩხით.
თან დაუტოვა თვითმკვლელობის რუქა.
აპირებდა პროვინციაში დაბრუნებას,
მაგრამ არ ჰქონდა შესაფერი ტანისამოსი.
უკანასკნელად მოიწვია თავის ბინაზე
ლონდონის ნისლები.
კვამლით შემოსილი, როგორც ნერონი-აენობარბი,
ამბობდა ლექსებს.
ენატრებოდა პარაცელზი, ხანძარი, ცირკი,
ბოთლში ამოსული ეკლესია,
კარაბადინი.
მან მოიგონა ღამის ადრესი:
ქუჩა — მიზრაფი, დეზერტირი უცნობი სკრიპკის,
სადაც ჰკიდია და ექანება

დანის პრინცი — ელსინორის მეფური მსხვერპლი,
წარმოუდგა მარადისობა, ვით საყურე ბეატრიჩესი,
როგორც ქარვასლა, სადაც ხსნიან ანგელოზები
ამერიკულ ტიუკებს.

ის კიდევ ერთხელ შეაჩერა
საყვარელ რითმის გამოქროლებამ.
მაგრამ მოისმის ვესტმინსტერის დროის საყვირი,
მაგრამ შუალამემ შეასრულა თავისი ცეკვა
და მოითხოვს იოქანაანის თავს.

ა-გო-ნი-ა!
უკანასკნელი კოშმარების ავი დაღმართი!
კირიალეისონ!

მას ამტყუნებდენ, როგორც ყალბი ფულის მკეთებელს —
გარდაიცვალა ჭეშმარიტად.
აფთიაქებმა დაიგლოვეს თავისი მსხვერპლი
და შავ კატაჭალკს მიჰყვებოდა ნოსტრადამუსი.

კიდევ არ არის სიმჭონია „ჩატერტონი“,
მაგრამ იქნება:
მოსდება აჯანყება ორკესტრის,
რომელიც გამოაცხადებს დირიჟორათ დაღუპულ მგოსანს,
და საკრავები, გადაქცეულნი ქიმერებად,
დაერევიან მოკაზმულ ფილისტერებს.

ხომ შეიძლება დასწვა ლონდონი,
რადგან იქ თავი მოინამლა სიმშილისაგან
ჩატერტონმა?
ეს იქნებოდა დიდებული შურისძიება!

დარჩა მხოლოდ პოეტების კაზინო,
რომლის საპატიო თავმჯდომარეა
ტომას ჩატერტონ და მის აჩრდილს
წელიწადში ერთხელ ურიგებენ კარტს.
და ვალერიან გაფრინდაშვილი —
სახელების მარადიორი და პირანეზი
„პოეტის კარიერაში“ სვამს
ჩატერტონის სადღეგრძელოს.

ვალერიან გაფრინდაშვილი
1924 წ.

ბალლადა¹

(სანდრო ცირეკიძეს)

აქ აღარ ისმის ქვეყნის ხმაური,
სდგას დანგრეული ჩუმი ტაძარი,
სავსე იდუმალ ხავსის ტრაურით.
აქ თითქო სუნთქავს ელეაზარი.
თუ წინად იყო აქ მულაზარი,
თუ იყო ცეცხლი, სისხლის ღვრა ხარბი.
დღეს არის მხოლოდ შავი ნაცარი
და მე — გვიანი აენობარბი.

ბევრი რამ არის აქ საცნაური:
შორი გელათი, ზეცის ფაზარი,
რიონის ბნელი ქათინაური,
ხნიერ ქალაქის ძველი ბაზარი
და ნაქერალა უზარმაზარი,
აჭარის მთების ჭაღარა წარბი,
ჩამავალი მზის უხვი ხანძარი
და მოდაისე აენობარბი.

ჩამოხეული, ვით აზნაური
და საოცარი, ვით ღამის ზარი,
დარდობს ტაძარი ციურ საურით,
მოსკდება ლოდი, ვით ცრემლის ცვარი.
მოიღუშება ციხე დამწვარი.
ო, სადღაც არის სიცოცხლე ჭარბი,
არის ხანძარი და მასთან ქარი,
არის ლორწეტი აენობარბი.

მიმართვა

სანდრო! ფითრდება საღამო ჩქარი
და მოდის ღამე უძველეს შარფით.
„როდის იქნება ძვირფასი დარი“?
ვიტყვი მე — რითმის აენობარბი.

ვალერიან გაფრინდაშვილი

1. ეს ლექსი დაწერილია ძველი ფრანგული ბალლადის ფორმით, რომლითაც სწერდენ ბალლადებს მეთხუთმეტე საუკუნის პოეტები ფრანსუა ვილლონი და კარლ ორლეანელი.

ტრისტან კორბიერ.

ორი პარიზი:

I ლამით

ხარ ოკეანე და ტალღების შავი გუნდები
სუსტ ხმაურობით შორდებიან ნაპირს დროებით.
ჩუმი შრიალით აიშალებს კვლავ კიბოები,
მაგრამ უკანვე უეჭველად შენ დაბრუნდები.

ხარ სტიქსი — მხოლოდ ამომშრალი სხვა ჯადოსნებით.
ენვია ფარნით დიოგენი წყაროს გაღეშაილს.
ანკესებისთვის დაწყველილი ხარბი მგოსნები
ექებენ ჭიებს საკუთარი თავის ქალაში.

შენ ხარ მინდორი. ეშვებიან შავი ყვავები
და დამპალ ძონძებს იტაცებენ მეტ დაბრმავებით.
ჯიბგირებისგან, რომ ელიან მოგებას ახლა,
კურდღელი გარბის, სახურავზე მიძვრება მალლა.

შენ ხარ სიკვდილი! პოლიციას ხროტინით სძინავს.
ქურდი ვარდისფერ მსუქან ხელებს ჰკოცნის და გმინავს.
კოცნამ ხელებზე მენამული დასტოვა დალი.
ახლა სიზმრები უძრავია. დრო არის ლალი.

შენ ხარ სიცოცხლე — ამლერებულ ტალღებით სავსე,
რომ ხმაურობით გადადიან ტრიტონის თავზე.
მორგის საწოლზე იშმუშნება ზანტად ზღვის ღმერთი:
მწვანე, ტიტველი, ბუმბერაზი და ერთად ერთი.

II დლით

ხედავ, ზეცაზე ბრწყინავს თუჯის დიდი კარდალი.
სადაც მანანას ჩვენთვის ხარშავს ღმერთი მართალი.
არის მორწყული სიყვარულით ჩვენი საჭმელი
და კიდეც ოფლით. საკვებავი დაუხაშმელი!

სამზარეულოს ეტანება ხალხი მშიერი
და მედიდურათ იხრაკება ხორცი ხმიერი.
აშვერენ ჭურჭლებს აქ ლოთები მეტი წყურვილით,
მათხოვარს სცივა და მოელის რიგს — დაურვილი.

იქნებ გგონია, რომ ყველასთვის აქ გამზადილი არის მზისაგან ეს ბრწყინვალე, უხვი სადილი? ძალღის ბულიონს ჩვენ მივირთმევთ, ვით მათხოვრები. ისინი მზისა და ჩვენ წვიმის ვიყოთ მცხოვრები! არის სიკვდილი ჩვენი მტერი და დამდაღველი. ჩვენი არსია საფლავამდე — ბუშტი ნალველით.

თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის

ტავერნა გზაჯვარედინზე

მოთხრობიდან

თავი 7

გზაჯვარედინზე ყოველთვის უბერავდა ქარი.

ყველამ, ვინც მიდიოდა ტავერნაში, იცოდა — გზაჯვარედინთან ქუდი უნდა დაემაგრებია, რომ ქარს არ მოეტაცა. ვისაც პარიკი ჰქონდა, ორივე ხელით უნდა მიშველებოდა, რომ მელოტი არ გაემხილა.

სალამოთი აქ იყრიდნენ თავს გამოპარული ჯარისკაცები. ქალაქის ავარები, კახპები. ხშირი სტუმარი იყო რაინდი დონ ბილბაოც.

რაინდს ჰქონდა დიდი ცხვირი და მისი დეზები რეკავდა ისეთი წმინდა ხმით, რომ უნდა ყოფილიყო გაკეთებული საუკეთესო ლითონისგან.

ორი ოთახი, სადაც გროვდებოდნენ სტუმრები, მალე იკვამლებოდა თამბაქოთი. ზოგიერთის ჩიბუხი ისეთ კვამლს აღრჩოლებდა, რომ კახპების გაჭვარტლული ნესტოებიც ვერ უძლებდა სიმყრალეს.

ტავერნის პატრონი, ორსულ ქალივით გაბერილი პასკვინო, სტუმრების მოსვლის შემდეგ მალე თვრებოდა. მიეგდებოდა დახლის ქვეშ და ხვრინავდა.

ღვინომ, თუ იმ აუცილებლობამ, რომ ყოველ შემოსულს ღიმილით და ტკბილი სიტყვით უნდა შეგებებოდა, პასკვინო გახადეს ზედმეტ გულკეთილათ.

პასკვინოს მოვალეობის შესრულება უხდებოდა მის ცოლს დელფინას, რომელიც სიმსუქნისგან ბევრს ვერ დადიოდა და ძუძუები ეკიდა როგორც მენველი ძროხის ჯიქნები.

დელფინას სიამოვნებით ელაპარაკებოდნენ სტუმრები, როცა ის მიუჯდებოდა მათ მაგიდას.

მხოლოდ რაინდ ბილბაოს არ უყვარდა ტავერნის პატრონის ცოლი. მას ყოველთვის ჰქონდა საჭმელების სუნი და ლაპარაკი უყვარდა გრძელი და უაზრო.

— დონა დელფინა, თქვენ ისეთი აღტაცებით მესაუბრებით მყრალ ღორებზე და ბანჯგვლიან ვერძებზე, თითქოს ისინი თქვენი ახლო მეგობრები იყვენ, — გაჯავრებით მოუჭრიდა სიტყვას ბილბაო.

ასეთი უზრდელობა სწყინდა დელფინას და მეტი რა გზა ჰქონდა, უნდა გაშორებოდა.

რაინდი ბილბაო ყოველთვის ცალკე დაიკავებდა მაგიდას. ვერც ერთი კახპა ვერ გაბედავდა მასთან მისვლას. იცოდნენ, ის ელოდა თავისას.

პირველ ოთახიდან, სადაც შემოსასვლელი კარები იყო, უეცრად ისმოდა საერთო შე-
დახება და კიჟინა. მეორე ოთახმა უკვე იცოდა, რა იყოს ეს.

მეორე ოთახიც იმავე კიჟინით ეგებებოდა ტერეზას. მაგრამ კავშირი ტერეზასთან
ამით თავდებოდა. რაინდი დონ ბილბაო მხოლოდ ამ დროს მოითხოვდა ღვინოს და ორ
სასმისს.

ქალს ჰქონდა პატარა ვარდისფერი ქოლგა და თმებში დიდი სავარცხელი ქვებით
მოჭედული.

აუჩქარებელი ნაბიჯით გაივლიდა მაგიდებს. ურცხვათ, თითქოს განგებ იჩინდა ამას,
გაუხედნავ ცხენივით მიათამაშებდა თავის დიდ საჯდომს. თხელი ნაქსოვი დაკვროდა
ბარძაყებს და მის სათავეს. სჩანდა, კუნთები იყვენ მაგარი და მამაკაცების ხელებს ვერ
დაესრისა ისინი. მაგიდებიდან მას თან მიჰყვებოდა სტუმრების ამღვრეული თვალები.

სერგო კლდიაშვილი

ტრისტან კორბიერ

ედუარდ იოახიმ კორბიერ (პსევდონიმით ტრისტანი), შვილი ედუარდ კორბიერის —
შორი მგზავრობის კაპიტანის და რამოდენიმე საზღვაო რომანების ავტორის, დაიბადა
„მორლე“-ში 1845 წ. თექვსმეტი წლისამ დასტოვა ლიცეი იმ ავადმყოფობის გამო, რომ-
ლისგანაც შემდეგში გარდაიცვალა. ორმა წელიწადმა, რომელიც მან გაატარა როსკოქში
მეთევზეთა შორის, გამოაკეთეს მისი ჯანმრთელობა. ის იყო მეზღვაურის შვილი და თაყ-
ვანისცემამდე უყვარდა ზღვა. მამამ აუშენა შლიუპკა და ტრისტანი მუდამ ზღვაში იყო,
სძინავდა მხოლოდ გამაკში, ყოველთვის ეწყობოდა როგორც მატროსი.

1873 წ. ტრისტანი ჩამოვიდა პარიზში და თანამშრომლობდა ჟურნალ „პარიზის ცხოვ-
რებაში“. იმ წელშივე გამოსცა თავისი ერთად ერთი წიგნი „ყვითელი სიყვარულები“.

ორი წლის შემდეგ ის გარდაიცვალა მორლეში, 1875 წ. ოცდა ათი წლის, ფილტვების
ანთებით.

დიდი ხნის შემდეგ ის აღმოაჩინა პოლ ვერლენმა და მისცა მას ადგილი „დაწყველილ
პოეტებთა“ შორის.

ცნობილია დახასიათება, რომელიც მისცა ლაჭორგმა ტრისტან კორბიერს: „ოკეანის
ბოგემა. დამცინავი და ცუდლუტი. შხამიანი და ლაკონიური. ლექსი მათრახის ქვეშ. მისი
კვილი მჭრელია, როგორც თოლიას კვნესა. თოლიასავით დაუღალავია. არა აქვს ესთე-
ტიკის კულტი. არც პოეზია და არც ლექსები, თითქმის არც ლიტერატურა. ვნებიანი, მაგრამ
ხორცი მას არა აქვს. წვრილფეხა ყულიკი და ბაირონისტი. ყველა პოეტებზე უფრო თავი-
სუფალი პოეტურ ლექსიკონისაგან. პლასტიურ ინტერესს მისი პოეზია არ წარმოადგენს.
მთელი მნიშვნელობა, მთელი ეფფექტი შოლტის მოქნევაში, გრავიროვკაში, კალამბურ-
ში, ნახტომებში და რომანტიულ ლაკონიზმში. სურს იყოს გაუგებარი და კლასიფიკაცი-
ის გარეშე. არ უნდა არც სიყვარული, არც სიძულვილი. მოკლეთ რომ ვსთქვათ, უცხოა
ყოველ ქვეყნისათვის, უცხოა ჩვეულებათათვის პირინეების იქით და აქეთ“.

რემი დე გურმონი ამბობს: „ის იყო დონ ჟუანი ორიგინალობის. ერთად ერთი ქალი,
რომელიც მას უყვარდა, იყო ორიგინალობა. ტრისტან კორბიერი, როგორც ლაჭორგი,

რომელსაც ჩვენ შეგვიძლია ვუნოდოთ მისი მონაფე, ეკუთვნის იმ ტალანტებს, რომელთა კლასიფიკაცია შეუძლებელია. ლიტერატურის ისტორიაში ისინი არიან ძვირფასი გამო-ნაკლისი, იშვიათი თვით საოცრებათა გალერეაში“.

ტრისტან კორბიერი მორის როლლინასთან ერთად ბოდლერის მემკვიდრეა.

როდესაც კითხულობთ მის ლექსს „დასასრული“, სადაც ის, აღტაცებული, რეკვიემს უმღერის ზღვაში დამხრვალებს, ყოვლად შეუძლებელია, არ მოგაგონდეთ არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდი“, რომელიც დაინერა „დასასრულზე“ გაცილებით უფრო გვიან.

რემბო დაიბადა 1854 წ. 20 ოქტომბერს.

მე მოვიყვან „დასასრულიდან“ ნაწყვეტს პროზაულ თარგმანში:

„ზღვისაგან დამარხულნი. დაუკვირდით ამ სიტყვას. თქვენი სიკვდილი ხმელეთზე მკრთალია. არ არის დიდი საქმე, იყო პალუბაზე ქარიშხლის დროს და უცქერდე მატროსს, რომელიც ებრძვის ზღვას. ჩამოდეგით! ბებერი, გამოფიტული ფანტომი — სიკვდილი იცვლის სახეს: ახლა ის ზღვაა!“

„ისინი არიან არა საუენიან სამარეში, არა სასაფლაოს ვირთხებს შორის, ისინი ხვდათ აკულებს, მატროსის სული, იმის მაგივრად, რომ ასაზრდოვოს კარტოფილი, სუნთქავს ყოველ ტალღაში“.

„ისმინეთ, ისმინეთ ნამება, რომელიც ღმუის. ეს მათი წლისთავია! პოეტო! შეინახე შენთვის ბრმა სიმღერები! დალუპულ მეზღვაურთათვის ქარი თავის საყვირით ამბობს de Profundis. ისინი (დამხრვალები) უსაზღვროთ – მიექანებიან ქალწულ სივრცეებში, მწვანე და შიშველნი, თავისუფალნი ლურსმებიდან, ფიჭვის დაფებიდან, სახურავიდან, სამგლოვიარო სანთლებიდან. თქვენ, ხმელეთის მოხეტენო, ჩამოდეგით, ისეირნონ მეზღვაურებ-მა თავის ნებაზე“.

საკმაოდ სჩანს კორბიერის ირონია მის ლექსში „ვეზუვის“:

მე შენ კომიკურ ოპერაში გნახე, ვულკანო,
როლში, რომელიც შენ ოდესმე შეჰქმენ „პომპეის
უკანასკნელი დღე“. შენ ხანძარს ფლობდა.
შენ გიბერავდენ და იყავი შენ, მხოლოდ, ფეჩი.
შენ ხარ უთუოდ მთა პირველი, ჩემთან მოსული,
შენ სანახავად გამოვდივარ მინდორში განგებ,
შენ ჭეშმარიტი ხარ ვეზუვი, მაგრამ ნახული,
ო, ის მეორე, უფრო მეტად დასაჭერია!

ბოგემიელის ფსიხოლოგია კორბიერმა გამოხატა ორ კომმარულ ლექსში ერთ ტემაზე: „ორი პარიზი“.

პარიზი ღამით საშინელია და საზიზღარია, პარიზი დღით საცოდავია. ამ ორი პარიზის შექმნა შეეძლო მხოლოდ კორბიერს — ჭლეკით დაავადებულს. ეს ლექსი თითქმის ბურჟუაზიულ ქალაქის წყევლასავით ისმის, თუმცა ავტორს არ უჭირავს ხელში იუვენალის მათრახი.

დაუვინყარია მოჩვენება ქალაქის მორგის, სადაც იშმუშნება ზღვის ღმერთი — ტიტველი და მწვანე.

„პარიზი დღით“. ამ ლექსში ისმის მთელი კაცობრიობის ბოგემის გოდება.

თავის „ეპიტაფიაში“ კორბიერმა კარგათ დაახასიათა საკუთარი თავი: „საკვირველი და გარყვნილი ნარევი ყოველივესი: მაქვს შეძლება და არა მაქვს ერთი ფარა, თავისუფა-

ლი და შეზღუდული; მაქვს გული და უსულო ვარ, ბევრი მეგობრები და არც ერთი ამხანაგი, ბევრი აზრები და არც ერთი იდეა, სიყვარული და არც ერთი საყვარელი, კარგი თვისებები სჩანან, როგორც ნაკლი, სული ნაყროვანი და გაუმაძლარი, მოვკვდი და ვერ განვიკურნე სიცოცხლისაგან, გამშრალი ტანით და მთვრალი სულით, იმედიანი და მომავლის უარმყოფი, ის მოკვდა, ცხოვრების ლოდინში და სცოცხლობდა სიკვდილის ნატვრაში.“ მისი პეიზაჟი მონამლულია სპლინით, და გომბეშოების სიმღერით. ეს არის „საზიზლარი პეიზაჟი“.

კორბიერი ცდილობდა სიმახინჯე ექცია სილამაზეთ და მისი ცდა ხშირად გამარჯვებით თავდებოდა.

ვალლოტონის სურათზე კორბიერი — თავმოკვეთილი იოანეა.

ქართველ პოეტებში კორბიერსა ჰყავს ორეული, თუ პოეზიით არა, იღბალით და სახით მაინც. ეს არის ქლექისაგან გარდაცვლილი იროდიონ ევდოშვილი.

ვალერიან გაფრინდაშვილი

თ ბ ი ზ ი ს ი

No 1

ს რ მ ნ მ ს ი ს

ს ა ჯ მ ვ ე

თქცომ 1919 ზერი.

პ ა ნ ა ქ ს ი.

ტ. წალენჯიხელი: „სონეტი გრიგოლ რობაქიძეს“

„სონეტი“

კონნე სპერელი: „თეთრი გვირგვინოსანი“

ტერენტი გრანელი: „სონეტი“

არჩილ კორინთელი: „ძველ პოეზიას“

„ტრიოლეტი“

ჭერკულეს ყანჩელი: „შავი ყაბახი“

სარედაქციო კოლეგია.

ახალ სამყაროში

სიმბოლიზმის ჯადოსნური ცეცხლის ალი მოედო ძველ შაბლონიურ პოეზიას. დაიწყო ჩქარი რენესანსი ხელოვნებისა, რომლის სწრაფი გაქანებით იბნევა ბრილიანტებით შემოსილი ლანდები, და წითელ რაშების თეთრი ზმანება. ამიერიდან ჩვენ არ შეგვანუხებს ძველი დახავსებული პოეზიის მკრთალი ფერები. დღეს ალურ ფრთებით ვეშვებით ახალ სამყაროში, სადაც უხილავი სახეების ჩუმი თამაშია გამეფებული. ჩვენ არ შეგვაშინებს სივრცის უსაზღვროება, არც პატარა კაცუნების პრიმიტიული იერიშები. ჩვენ უკვე თეთრი სამოსით დავიწყეთ ჯირითი იქ, სადაც იზრდება სიმბოლიზმის მწვანე ყვავილები, ჩვენ დავტოვეთ სინამდვილე, დავგმეთ შავი წარსული და ახალ ფერებთან დავიწყეთ ვრცელი საუბარი. დღეს ჩვენ წინ იშლება ახალი ქვეყნის მუქი სურათები, რომლის მშვენიერი სანახაობა მეტად გვაბრმავებს.

ფერად კრიალოსნებით და მზის ნათელ ელვარებით იმოსება ჩვენი სავალი გზა.

ოცნება ჩვენი ამაყია და ციურ ბგერებში იფერფლება ყვითელ აღმურით. არ გვანუხებს სიკვდილის შიში. ჩვენი უახლოესი მიზანია შევქმნათ მარადისობა, და უტეხი სხეულებით მივგვებოთ ყოველგვარ საშინელებას.

სული ჩვენი ჩქარია და შეუკავებელი.

გვიყვარს ქანობა უმაღლეს ლიცენციაში.

სონეტი

გრიგოლ რობაქიძეს

ავი ზმორებით დაითალხა შენი ფარდები.
ფიქრთა მორევში დაეშვები ალურ ზანგებით.
მენამულ გედი გინახულებს ოქროს სანკებით.
და შენც ოცნებით მზის სხივებში გადავარდები.

ფარულ თვალებით გაგაოცებს შავი დარდები.
და თვით ეროსი აგამლერებს ფერად ჰანგებით.
ფერ წასულ მთვარეს შენ შორდები ყვითელ მანგებით.
რკინის სხეულით ბოროტ სიკვდილს ეხაბარდები.

საფირონ ღამით გაგაბრაზებს ლექსი ქართული —
და ყრუ რიტმები, ერთმანეთში გადახლართული.
სტეჰან მალარმის გაგონდება თეთრი წიგნები.

წითელ ფერებით ჩამოდნები მწვანე კანდელი.
ცეცხლის რკალებით აგათროლოებს კორიანტელი.
და უთვალავი მოთარეშე ქუჩის ციგნები...

ტ. ნალენჯიხელი

სონეტი

ფართო ქუჩებში დავივინყეთ ნელი თამაში.
წყრომით იკივლებს ჩემ ცხელ ტანში შენი სხეული.
მაშინებს ყოფნა ყრუ ფიქრებში გამოხვეული.
და მაგონდება აბრეშუმის თეთრი გამაში.

ცრემლი იფეთქებს დაბნელებულ ყრუ ყაზარმაში.
მალლა აინევს ყვითელ ფრთებით წამი ეული.
დაბურულ ტყეში ჩუმად ივლის ლანდი გრძნეული.
შავი წერვები ატირდება წითელ ნარმაში.

ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერწამი,
და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით.
უცხო ლამეში მოკრძალებით ჩვენ, თითქო სამი,

ისევ ერთმანეთს დავშორდებით შორი მანძილით.
როცა დადგება მოთენთილი თეთრი მაისი,
ჩვენ შეგვაერთებს ელვარებით ნაზი დაისი.

ტ. ნალენჯიხელი

თეთრი გვირგვინოსანი

ციურ ბგერებში აკვნესდება დამწვარი სული;
ათამაშდება შენს გარშემო ლამის ლანდები;
გიტხრობს შავ ღრჭენით ჯოჯოხეთურ ზღაპრებს ავსული;
მკვდარ ოცნებათა მეფედ-მეფე შენა გახდები...

დაუნდობლობა, აღკვეთილი ჟამთა ლალატით,
რწმენას გაყინავს, მოგინამლავს მზისეულ გრძნობას.
შორს სინამდვილე გადაგისვრის ოცნების ტახტით,
და სიმახინჯეს განუცხადებ ყრუ მეგობრობას...

მკვდარი წარსულის თეთრ აჩრდილთა შავ დაკრძალვაზე,
მდულარე ცრემლით განბანილი თვით დაესწრები;
თვითონ აღბეჭდავ მონურ სიტყვებს სამარის ქვაზე,
და წუთის არსი მომქმედ წუთზე არც დაჰფიქრდები...

მოუთმენელად ჩაივლიან ყოფნის წუთები...
პარადოქსები ამოგინვამს განანამებ ტვინს, —
კითხვა კითხვადვე დაგრჩება და მოქანცული
ბოლოს დაიდგამ მედიდურად გიჟის თეთრ გვირგვინს...

კონნე სპერელი

სონეტი

ჩემ წყეულ სახელს შეაჩვენებს ავი ლანდები.
ოქროს ვარდებში დამანვება გულზე ამარტი.
ისევ ბურუსით შეიმოსა რკინის დაღმართი.
კუდიანებმა დამატყვევა მაცდურ ფანდებით.

წითლად დაიმსხვრა დიდ ქალაქის შუშაბანდები.
მე კი ქუჩებში საქეიფო სუფრა გავმართე.
შეშლილ ფერებით მოქანცული დღეს გავა მარტი.
და ყვითელ ზღვაში გამოჩნდება ცეცხლით ბანდები.

ფერ მიხდელ გედებს ჩაბარდება ყოფნის დავთარი.
მენამულ საბნებს აელვარებს წყრომით აფთარი.
და ფარულ წამით იფერფლება სწრაფი კანდელი.

დილის ფერ სახით მე მივყვები თეთრი ვარსკვლავებს.
და გაბრაზებით ვემუქრები ფოლადის მკლავებს.
მაგრამ სიზმარი არ მშორდება მე შარშანდელი.

ტერენტი გრანელი

ძველ პოეზიას

შავ ჩირალდნებით მოურთვიათ ლურჯი ოთახი.
ანკანაკება გაუმართავს ქართველ მარაქას.
გოზაურებით გაუვსიათ ქვით-კირის თალი.
დიდ უზენაეს მიუცია უხვი ბარაქა.

ქალთა შვენებას კაცის თვალი ველარ უყურებს.
მკერდს მეტად უმკობთ ჯავაირი ლურჯი გოარი.
შავად დაგკოდავს ბრონეული ბროლის ყურები,
გვაჯის დაგმართავს მომხიბლავი თვალი გოდარის.

სუფრა შემკული ნაირ-ნაირ ორთომელებით,
და პაროფსიდზე მნიფე ხილი, როგორც გოდლედი;
ჩამორიგული, აღგზნებული ბროლის ხელებით,
ოქროს გოვზაკზედ აღბეჭდილი ლექსი ბოდლერის.

მათი ყურებით ჩამოდნები ვით კერეონი,
და შენი სახე ღრუბელივით დაითალხება.
დუმილს აგიშლის ცოფიანი დიდი რიონი,
და სულს ქლექიანს ჩუმი ხველა ჩაეპარება.

არჩილ კორინთელი

ტრიოლეტი

როგორც ბენერგეს გავილაშქრე ლურჯ პელაგონზე,
ცხენს დეზი ვკარი, გავაფრინე ფრთა მოკვეთილი,
მათრახი ვურტყი, ყალყზე შედგა, მოვიდა გონზე,
(როგორც ბენერგეს გავილაშქრე ლურჯ პელაგონზე).
მთვარე ციალით შავათ კრთოდა ხანჯლით კვეთილი,
კბილისა ღრჭენით ქათქათობდა ცხვირ ნარკვეთილი,
მინც არ შევკრთი, მთვრალი ცხენი ვახტუნე განზე,
როგორც ბენერგეს გავილაშქრე ლურჯ პელაგონზე,
ცხენს დეზი ვკარი, გავაფრინე ფრთა მოკვეთილი.

არჩილ კორინთელი

შავი ყაბახი

ვპოვე ფოლორცი გამართული დიდი ყაბახით,
და მეიდნები, იქ მორთული ნაირ ხალებით,
იქ გმირნი სვამენ გამარჯვებას ერთი ბიდახით.
კეკლუც ქალები სჭვრეტენ იმათ ჭოგრი თვალებით.
გამარჯვებულნი დეზებს ჰკრავენ მოქანცულ რაშებს,
შემოარბენენ, ერთხელ კიდევ, დიდსა ფოლორცს გარს
და ვისი სახეც მათ სახეზე გაიკაშკაშებს,
თვალთ ხამებაში ქალთ მოსწყვეტენ თვალთაგან ამცდარს.
რაშს ამოვჭიმე მოსახტომად გრძელი ქეჯიმი:
მოვახტი ზურგს და შედგა იგი ორთავე ყალყზე,
ტრფობისა ქნარი იყო იმ ნუთს ჩემი ეჯიბი,
ტრფობას ვაჟღერდი, ვაპირებდი მეტყორცნა ხალხზე.
რაშს დეზი ვკარი, შედგა ჯერედ, შემიტრიალდა,
ნაჟღერი ტრფობა ვსტყორცნე, მაგრამ იმ ნიშანს ასცდა,
სათუთი გრძნობა რაშისაგან გამიტიალდა,
ჩემი ქვითინი ძირს მინას და მალლა ცას ასწვდა.
ნუთი და სახე გამიბრწყინა ბანოვან ქალმა,
რაშს შემოახტა გადმაფარა ლარი-კუმაში,
ნუთს გამიტაცა ნაპერწკალი „ყაბახი“-ს ქარმა,
„ყაბახი“ შავად დამიმთავრდა ფიქრთა ბრუნვაში.

ჰერკულეს ყანჩელი



სონეტი

ობობას ქსელში ჩავაქსოვე ფართო ზმანება.
შემლილ ხელებით ვათამაშებ ბოქსის საპირებს.
ყრუ სიცოცხლეში იღენება აღფრთოვანება.
ლურჯი ოცნება თვალ წინ მიშლის უცხო ნაპირებს.

ჩემი სონეტი ოქროს ტყეში ზეიმს აპირებს.
მარსის წიაღში შემეიყვარდა მე გაქანება.
ლოთი ჰამლეტი გადამიშლის მარცხენა პირებს.
მაგრამ წარსული მკრთალ ფერებით არ მენანება.

ღამის აჩრდილი შეიმოსა ბრილიანტებით,
მთვარის სხივებში იფერფლება მწვანე პროფილი,
მაგრამ ედგარი არ ჩერდება, მიდის ლანდებით.

უცხო ფერებთან იზმორება ლექსი ყოფილი,
წითელ რაშები ანიავეს მენამულ ნალებს.
და როდენბახი ეწირება მხატვრულ ჟურნალებს.

ტ. ნალენჯიხელი

ჩემი მართალი

შენ სარკეში: ტერენტუს გრანელს!

ლურჯი ნვეთებით ამოსწურე თეთრი ოცნება.
შემლილთ ღიმილი ამოსწყვიტე სითამამეში.
მაღალი სიტყვა დაბალ აზრში თუ გაოცდება,
შავ კარლეილთან გაშიშვლდები ცოდვილ ღამეში.

ახალ ლოცვებში შეიყვარე ლოთი ხუცესი.
ცივი ამბორით ააკვნესე კუბო საყდარში.
გამხდარ ფრჩხილებით ამოჰშალე ცამეტი წესი,
და უცხო ბგერა ააღელვე სევდიან გვარში.

ამპარტავნობენ შენი ყოფნით ფართო ქუჩები.
არაყეთელი დაიმონე ქურდულ სინაზით.
ნაცნობ ყაბახში იკუმშება ზიზლით ტუჩები.
ნანამებ ბალში მიაბიჯებ სისხლიან ხაზით.

ორჯელ დაჰდულრე ბალღმინი საფლავთ ხუილი.
 ყვითელი რიტმით ითამადე შემოდგომაზე.
 ჟამთა სრბოლაში არ იმსხვრევა შენი ტყუილი!
 მიხვალ? გიცნობენ შორეულნი დანმენდილ ხმაზე.

კონნე სპერელლი

ოდრიკალიდან

აღარ მასვენებს შავ მდინარის უშნო ღრიალი,
 და ხეტიალი დაღლილ ცრემლის თვალის უბეში.
 ჩემს ნაზ ოცნებას იზიარებს ყრუ დარიალი.
 ლექსს სიმბოლიურს გადავისვრი თერგის უბეში.

მთვარის სივრცეში გამოვჭედე სიტყვა ბასრული.
 უცხო ღამეში ველანდები ავადმყოფ ქედებს.
 ქურჩის მათხოვრებს ააკვნესებს სტვენა ბაზრული.
 ტბა ხავსიანი ესალმება სევდიან გედებს.

აღერსს დამინყებს ოფელია ლურჯ-ყვავილებით.
 გულს დამანვება ანდამანტი ალურ ფერებათ.
 ნალენჯიხელი გამოჩნდება მწვანე ქილებით,
 და გამხდარ სახით შეშლილ ლანდებს ეამბორება.

არჩილ კორინთელი

ფანტასტიური ღამე

I

უძილო ღამე. ყრუ ფიქრები, და ფანტაზია.
 ცხოვრების რბენა, მარტოობა აუნერელი.
 წითელ ოცნებას მდუმარებით ფანტავს აზია.
 უძილო ღამე. ყრუ ფიქრები, და ფანტაზია.
 ჩვენი სიტყვები ყველასათვის ფიანდაზია.
 თავის ლექსებში იხედება კონნე სპერელლი.
 უძილო ღამე. ყრუ ფიქრები. და ფანტაზია.
 ცხოვრების რბენა. მარტოობა აუნერელი.

II

მწვანე მირაჟი. ღამის რკალი. სახე ღამაზი.
 უტეხი ტევრი. და სპეტაკი ნიამორები.
 სწორი მეტეხი. დამსხვრეული ოქროს არმაზი.
 მწვანე მირაჟი. ღამის რკალი. სახე ღამაზი.

პანის მორევში იღვინთება ცრემლით აღმასი.
ყვითელ სივრცეში ცეცხლით იწვის ღია ზმორები.
მწვანე მირაჟი. ღამის რკალი. სახე ლამაზი.
უტეხი ტევრი. და სპეტაკი ნიამორები.

ტერენტუს ვრანელი

შამილის ლოცვა

მთის წვრილ ბაქანზე ჩხუბის შემდეგ, დასვენებისას,
მწარე ნალველის დასაკოდათ აჰვარდი მასზე,
და უხემ დოლის, ტკბილი ზურნის გაგონილ ხმაზე,
შენ ამხანაგი შეიქმენი ცის ჩვენებისა...

გაშიშვლდი მთელად... მტრის სატევრებს ლომებრ დაჰყვირე,
სიამოვნება თხელ ლეჩაქად გადაგეფარა,
მთვარე გიმზერდა, მზე კი მალრიბს გადაგემალა,
როს მუხლზე ჩოქვით შენი ოხვრა „ალლაჰს“ მიჰყიდე.

წკრიალ ხანჯლებით ვით ქორნილში შეჰქმენ ჟღარუნის;
(პალესტინაში, შეაძრწუნე მღვდელი „არონი!..“)
შენს მარდ ფეხებთან მიწის მინა დაარაკუნეს...

დრტვინვა შეექმნათ გაუმაძღარ ვეშაპ-დრაკონებს;
შენ წრფელი ლოცვა ნამოაგე ბასრ-სატევრებზე,
და გაილაშქრე რკინის ლოცვით, დრაკონ-თეთრებზე...

ჰერკულეს ყანჩელი

შავი წვეთები

.....

რად, რად დააკარი თვალები ამ ოთხ შავ წერტილს, მეგობარო?!

გსურს ამოიკითხო შინაარსი?

ტყვილად, სულ ტყვილად!

არარას გამგმყლავნებს ამათი ღრმა საიდუმლოებით მოცული, გარინდებული სახე!

არას გითხრობს შავი დუმილი!

ო-თ-ხ-ი დაჭლექებული ბგერა!

გაყინულ ყოფის ო-თ-ხ-ი შავი წვეთი!

.....

არა! უკეთესი იქნება, ამ ორ ღრმად ჩაცვივნულ,

მიბნედილ ცისფერ წერტილს დააკვირდე! —

ესენი გითხრობენ მომხიბლავ ზღაპარს ყოფილ სიყვარულზე ღვთაებრივ ჩურჩულით!
 ესენი გეტყვიან, ჩუმის კვნესით, თუ ვით ვევენე!
 შავი ზოლები გიამბობენ თეთრ ღამეებზე!
 ესენი, ესენი გიჩვენებენ, თუ სად არის დაკრძალული ტანჯვის ცრემლში ამოვლებულ
 ლი ყოველი ბგერა ღვთაებრივ სახელისა, მეგობარო!..

ჰოდა, დააკვირდი კარგად ამ ოთხ შავ ნერტილს!..

კონნე სპერელი

შემონაჩრდილი

ჟამს გახრწნისას, სიბოროტე ქალაქს მძიმე ღამეთ ჩამოანწვება და ბრბო ავხორცობის
 ზღვაში შესცურავს...

ამ დროს ჩემი აჭენებული ვნებაც შეიჭრება ქალაქის ბნელი ქუჩების სიმუნჯეში ჩასა-
 ძირავად...

იგი გახრწნილების მიზეზს დაეძებს.

მოლოდინე ღამის დედოფლების მუქი ლანდები საქმროს მოახლოვებას მკაფიოდ იგ-
 რძნობენ და აკეკლუცებულნი აიშლებიან...

ნაცადი შეხედვით საცოლეს ავირჩევ, — არ ვკითხავ სახელს...

ის აუღელვებლად მკითხავს:

— სად ვიქორწინოთ?

და მეც ჩემ გაქურდულ სასახლეში მივიწვევ.

დავნიშნავ ქორწილს...

ნითელი ჯალათი თამადად დადგება და შარბათს დამაძალებს...

ქორწილი იმ დრომდე გასტანს, სანამ თავდავიწყების ფიალას ძირამდი არ გამოვსც-
 ლი და გალოთებული გრძნობას არ დავკარგავ...

დილას ნამთვრალევს დავხედავ მის სახეს უფერულს და მკრთალს.

უცეცხლო თვალების უაზრო რონების — ჩემს ვნებას მომაკვდარს.

და სახე შეშლილი, ცივი ვით კუბო, დავტოვებ სარეცელს, და სახის წამებით შევიძუ-
 ლებ მას.

შენს სურათს დავხედავ...

იგი გუშინ მღიმარი, დღეს ზიზღნ-ნარევ საყვედურით შემომხედავს...

მე ვიგრძნობ ჩემს დანაშაულს და თვალებს აგარიდებ...

სირცხვილისაგან დამწვარს შენი სურათი ხელიდან გამვარდება და ქვითინი წამსკდება.

ვსტირი, სანამ დღის ბრწყინვალეობა „რალაცას“ მამხილებს.

არ ვიცი, რას ვიგლოვ:

ჩემს შეცდომას, შენს დაკარგვას, თუ იმ მხურვალე ვნებას, ცივი მეძავი ქალის ჭუჭყი-
 ან სარეცელს რომ შევწირე!..

სალამოს თმა გადავარცხნილი სადარბაზოთ წავალ.

არ ვიცი, ნამტირალ თვალების რად არ მრცხვენია!..

აკაკი ბერეკაშვილი

„სისხლის ყვავილები“

რკალიდან მერის

I საათები

ჩემს სატრფოს კუნაპეტივით, გიშრის სიზმარივით შავი თვალები აქვს.

ჩემი სატრფო მემკვიდრეა მაისეთის სამეფო ტახტისა. იგი ნაზია, ნაზი, როგორც ყვავილის მკერდში მოფანცქალე ფარვანა.

მისი მოახლოვებით საათები ჩერდებიან, ავინყდებათ თავის მსვლელობა. რაც ჩემი სატრფო შეიქმნა, მესაათენი შეუსვენებლივ მუშაობენ, მაგრამ ვერაფერს უხერხებენ მოშლილ საათებს.

ჩემი საათიც მოიშალა, არ მუშაობს...

ყოველ წუთში კი უკრავს თავის ერთსა და იმავე სიმღერას.

უეცრად შუალამეზე ამღერდება იგი და შემკრთალს გამომღვიძება. გავახელ თვალებს და მაშინვე ვიგრძნობ ხოლმე ჩემ სატრფოს ფიქრის სიახლოვეს.

ჩემს სატრფოს კუნაპეტივით, გიშრის სიზმარივით შავი თვალები აქვს.

მისი თეთრ-ყირმიზ ღაწვთა კან ქვეშ ალისფერი სისხლი ისე თქრიალობს, როგორც გახლეჩილ ბროწეულში ძონის ფერი წვენი.

ასეთია ჩემი სატრფო, ასე მღერის იგი ჩემს სულში!..

გზები

ათი, ასი, უამრავი გზებია ჩემ წინ გადაშლილი წყალში ჩაშვებულ სასროლ ბადის ზოლებივით და ათივეს, ასივეს, ყველას შენთან მოვყევარ...

მითხარ, ძვირფასო, მასწავლე გზა, რომ მოგშორდე და თავი არ შეგაწყინო ჩემი სიმღერებით, გზებს, რომლებზედაც შენ დამაყენე, ისევ შენთან მოვყევარ... მასწავლე გზა, რომ ჩემმა სიმღერამ თავი არ მოგაბუზროს...

ათი, ასი, უამრავი გზებია ჩემ წინ გადაშლილი, წყალში ჩაშვებულ სასროლ ბადის ზოლებივით და ათივეს, ყველას შენთან მოვყავარ...

შემინყნარე!..

მუდარა

ვინ-ღა დამლოცავს ძილის წინ ამას შემდეგ, ჩემო ძვირფასო, ვინ?..

როდესაც ღამის თავადი გაჰშლიდა თავის ოქროს ლილკილოებით ასირმულ ლაჟვარდ ქულაჯას, მაშინ გაშლიდი შენ ჩემთვის თოვლივით ლოგინს და მომასვენებდი და ძილის წინ თვალებს, შუბლს, ბაგეებს დამიკოცნიდი და როდესაც მეც დავაპირებდი მეპასუხნა, შენ ანთებულ ბაგეებზე ხელს დამაფარებდი, რომელზედაც ჩემი ნაზი კოცნა ამოიწვებოდა ხოლმე.

ვინ-ღა დამლოცავს ძილის წინ ამის შემდეგ, ჩემო ძვირფასო, ვინ?..

ირგვლივ სიბნელეა. ღამის თავადი შავგვრემან დედოფალს ეალერსება, მე კი ვწვევარ და გელი შენ და სულ მთლად მავინყდება, რომ შენ დამშორდი.

ვინ-ღა დამლოცავს ძილის წინ ამის შემდეგ, ჩემო ძვირფასო, ვინ?

ვემსობი ბალიშებში და ვქვითინებ ბავშვივით, ვიქვითინებ უნუგეშოდ, უშენობით, ძვირფასო...

ვინ-ღა დამლოცავს ძილის წინ ამას შემდეგ, ჩემო ძვირფასო, ვინ?!..

დემნა შენგელაია

„დაისები“

ვალ. გაფრინდაშვილი

„დაისების“ ყველა ლექსები ბანაობს მუსიკის უსაზღვრო ზღვაში. ეჭვი არ არის, რომ „დაისები“ უნიკინია საქართველოში. მისტიციზმი, როგორც ძირითადი ლეიტ მოტივი სიმბოლიზმისა, ვალ. გაფრინდაშვილის შემოქმედებაში პოვა რეალური გამოსახულება. ის „ორეულები“, „ოფელიები“ და „ამრსიფალები“, რომელიც ეზმანება პოეტს ახალ ქვეყანაში, აბსოლიტიური თავდება პოეტის უსაზღვრო ფანტაზიის და უძირო სულის. გაფრინდაშვილმა შეჰქმნა ისეთი მრავალ ფეროვანი პოეზია, რომელშიაც გამოსჭვივის მისტიური სახე და ახალი სამყაროს გიგანტიური სული. პოეტის ასეთი ორგინალობის გენეზისი, უეჭველია, მის განსხვავებულ ტალანტში იმალება. გაფრინდაშვილმა დაიმსახურა პოეტის წმინდა სახელი. მან სთქვა ახალი სიტყვა და შექმნა თავისებური სამყარო, მაგრამ ამ სამყაროს განსჭვრეტა ძნელია ყველა იმათთვის, ვისაც არ ესმის სიმბოლისტურ ლექსების მნიშვნელობა. დიდი გაუგებრობა და ყალბი წარმოდგენა ჩვენში სიმბოლიზმზე. ორგინალობა მხოლოდ სიცილს იწვევს საქართველოში, მაგრამ ამას მომავალი გაამართლებს და ეჭვი არ არის, კერძოდ გაფრინდაშვილის და საერთოდ სიმბოლისტების სახელი წარუშლელი დარჩება ხელოვნების ისტორიაში.

ტ. ნ.

„ხელოვნება“

ამ უკანასკნელ ხანებში ქუთაისში გამოვიდა ჟურნალი „ხელოვნება“.

ჟურნალში მოთავსებულია ვალ. გაფრინდაშვილის წერილი „მსახიობი“, სადაც მკაფიოდ და მარტივად არის დახასიათებული მსახიობის დანიშნულება. აქ არის ლექსი რაჟდენ გვეტაძის: „სინანული“ და „პორტრეტი“. ორივე ლექსში არის დაცული რითმის სიხალე და ორგინალობა. აგრედვე კარგია შალვა კარმელის ლექსი „ერთი დღე ტყეში“. აღსანიშნავია ნ. ლორთქიფანიძის „ალკიზაიდესი“ და დია ჩიანელის „საქართველო მასკარადში“.

ჟურნალი სუფთად არის გამოცემული და კიდევ ამართლებს თავის სახელს, მხოლოდ ზემო აღნიშნულ მწერლების მეოხებით.

ტ. ნ.

ყოველთვიური

საღიტიტრატურო და სამხატვრო ჟურნალი

თოლაგულისის
ს ა რ ტ ყ ე ლ ი

№ 1.

თბილისი, 1919 წ.

აპრილი.



ეკრანკამარა

ფიქრთა უღრანი ტყეების მისტიურ გაუვალობაში, ადამიანის მაღალი სული ძიებით საზრდოობს.

პატარა კაცები მალე აღწევენ მიზანს ინდივიდუალური ბრძოლისა და დაუსრულებელი ძიების განგრძობის გუნება ეკარგებათ და მიჰყვებიან სხვებს, ყურს უგდებენ, იმეორებენ...

პოეტი ხელოვანი არავითარ სკოლას არ უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც შეუქმნია სხვას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავისი უსახო მისვლით ზედმეტი სტუმარი იქნება პოეზიის მრავალსახეებიან დარბაზში და კამერდინერი მას უარს ეტყვის.

პოეტმა ყველას უნდა დაურიგოს თეთრი მარმარილოს ფურცლები, რომელზეც მას დახატავს თითოული.

ყოველმა პიროვნებამ უნდა მოიხადოს ქუდი, თუ ახალ ლექსს, ან მოთხრობას კითხულობს, ახალ სურათს მზერს, ახალ შექმნილ მუსიკას ისმენს და გააჩუმოს თლილი გიშრის კრიალოსანი, რა წამს თვალს შეავლებს სცენაზე გამოსული პიესა.

დაიმორჩილეთ ყველამ უძვირფასეს გამოთქმათა და უნაზეს მიმღეობათა სიმასტე, რომ მხიარული იყოს ახალი სახეების გამოცხადება!..

შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში

ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს,
გადირეკს ნოემბრის ბალები.
მხურვალე ვნებები გამივლის,
სასახლის ჩაქრება ჭალები.

დარჩება აუზთან სანდალი
და ძველი ფოთლები, ყვითელი...
რომანზე ისვენებს შანდალი,
რომანში შემლილი სკვითელი.

ვენევევი განდეგილ მამათა
„უმანკო ჩასახვის“ სავანეს:
იქ შავი თოვლივით დამათოვს
ჭვარტლი და ბურუსი თავანის.

სიმკაცრით შემხედავს საშვენი
თაღები შეკრული კამარის:
ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის!

დაჰქრიან უდაბნო ქარები,
მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!

გრიგალთა სადაურ შებერვას
მისდევნ ფოთლების შვაგები;
თებერვალს უხმობენ, თებერვალს
სამრეკლოს ჯვარიდან ყვაგები.

და ვიცი ღელვათა საგანი,
როდესაც ღამეა უკუნი.
და ჩემი მდუმარე საკანი
და ცეცხლის მტანჯველი გუგუნი.

ერთგვარად მიიტანს ამ სახის
ზმანებას ოცნება-მტკივანი,
გაზელებს — მგოსანი სასახლის,
ხელთათმანს — სასახლის მდივანი.

გალაკტიონ ტაბიძე

1917 წ.

უცნობ ქალს კაბარეში

ცამეტ ქვასავით აინთება მწვანე კაბარე,
დაჭრილ სკვითივით როიალი მოგესალმება;
შენი თვალები გაიშლება ღამის პალმებად
ნეტამც გამხადა აშფაშაგის მელსრაბარი!

ვნატრობ, ყაბახებს გამარჯვება მერგოს პირველი,
და შემაჩერდეს შენი სახე მღვრია ქარვისა,
ამაყ მზერაში ჩაინვოდა ჩემი გაისი.
შენი თვალების ფერადიდან გამომჭვირვალი!

არ იქნებოდით, ქალბატონო, ჩემი მსაჯული.
ყვითელ სარკეში გამოხედვა ესერაბამი,
მეჩვენებოდი ჯირითის დროს, ვით სერაბიმი,
ყარყუმის ქუდში ვარდისფერი მანასაჯურით.

და საზანდარშიც ითოვლებდა ნისლი მთიური.
დაჭლექდებოდა შავს თვალეში ეგ სიამაყე;
როგორც კაფეში მაიმედებს მე თერიაყი;
შენი შემოსვლა და გიჟური უვერტაურა!

გ. ლეონიძე

1917 წ.

ლაზო-სონეტი

ჩუქურთმად მ...ს

სიკვდილს უჭირავს ხელში ჩემი ბედის ყანთარი.
შენზე ოცნება ჩემს იარებს ველარ აშუშებს.
როცა ღამეში წვიმა ნესტავს ფანჯრისა შუშებს,
ცივია ხედვა შენი სახის როგორც ზამთარი.

ვალად აღნიშნავს ჩემს ცხოვრებას ყოფნის დავთარი.
მივყიდი ბრმა ბედს სადღუშმანოთ ცოდვის ჯაშუშებს.
მოეწონებათ თამამ ქცევით ჩემი სჯა ბუშებს —
როცა შენს მკერდზე ავაღელვებ დანას აფთარი.

მაგრამ... მამუნჯებს ღამის ლანდთა ქცევა ქურდული.
როგორც სუსტ ტუსალს მიმარტოებს კარის ურდული.
მანამებს ფიქრი სევდით სავსე და უდაბური.

ო! როს გავიგებ: — სიკვდილს ებრძვი, გახრჩობს ლაბური. —
მსწრაფლ გამოგიკვეთ სამარის ქვას ძველ ჩუქურთმებით.
და... მერე ჩემს თავს მეც დავიხრჩობ შენს შუქურ თმებით!..

რაჟდენ გვეტაძე

ხავერდის ჩარჩო

მე ქალზე უფრო შემეყვარდა სონეტის ფორმა,
ხავერდის რკალში ოქროთვალით მეტად მწყობრია.
მეფურ ჯირითის ქამანდები ჩვენ ვიცით ორმა.
ვიცით ტაეპთა მოშვილდული ჯვარ-ღვედობრია.

ავხორც ქეიფში დიონისო დამმეგობრია.
ქარვის მეფისქალს მაძმობილა ცრემლების თქორმა.
ნელ სიმღერებში რაც ჩემ სულის სახელდობრია, —
ყველას საცქერათ აიტაცა სივრცეში ქორმა.

ვფურცლავ სქელ ნიგნებს, ძველ რვეულებს, ლურჯ ლექსიკონებს.
 ვდარაჯობ სიტყვებს მეფე, მონა და მაძებარი.
 არის რითმები სამუდამო, მკრთალი, მგზნებარი.

გულის თარეში აჩუქურთმებს ხატულ სტრიქონებს.
 ვრცელ ხალიჩაზე: ცისარტყელა, ქნარი, დაფინე, —
 დიანას ფეხთა საროკავათ მე დავაფინე!

შალვა კარმელი

სონეტი გიორგი სააკაძეს

ზვიადი სახე ივერიის სევდით ტყვედრია.
 თარეშობს ბული ზედ ცხირეთის და მარაბედის.
 კენესის აჩრდილი: ინდოეთის, მწველ არაბეთის.
 ბალდათი, ავღან, ყანდაარი სისხლს გაყვედრიან.

თავხედ მტრისათვის შებრალება არ გივედრია.
 გათრობდა ბოლი ჯებირებზე დამწვარ აბედის.
 გარბის ყორჩიბაშ, ფეიქარხან წყეულ გზაბედის.
 მაგრამ სიახლე გადატეხილ ხმალს არ ხვედრია.

ვერავ შაჰხაბაზს დაუჩრდილე მზის მუზარადი.
 დიდებულ გურჯით სახელობდენ სპარს-ოსმალები.
 წმინდა გიორგის, თეთრ გიორგის, ქება მარადი!

საქართველოში მას შხამავდენ ხარბი თვალეები!
 ლალატით დევნილს ბრმა მახვილი გულზე დაესო...
 ერის სიმბოლოვ! ო, სარდალო უზენაესო!..

შალვა კარმელი

ტრიოლეტი

მარგალიტები და გიშრები, რომ ატირდება,
 იაგუნდები დაიმსხვრევა ზურმუხტ-ლალებად,
 ჩუმი სიმღერა დატყდება და ანაფირდება,
 მარგალიტები და გიშრები, რომ ატირდება.
 ზამთრის თვალეები ზღაპრების თქმას მე დამპირდება,
 დაილევიან ვარსკვლავები მზის ვალალებად,
 მარგალიტები და გიშრები რომ ატირდება,
 იაგუნდები დაიმსხვრევა ზურმუხტ-ლალებად.

ლადო მაჭავარიანი

კავალკადა

ექვის რკალებით გამოკრთიან თვალები გრემა,
როცა ვშიშვლდები, ვით სარკეში, მარად შენ წინა:
ქცევა გულწრფელი, უშიშარი, ალბათ, გენყინა:
შენი ცქრიალი კამათია და ეპიგრამა.

მწყდება ილაჯი. ვხვდები. ვქრები მწარე ფიქრებად.
ციების ბნედის დარდით ვკოცნი ბარათში ქინას.
მოულოდნელად შემობრუნდი და დაგეძინა.
ურწმუნოება დაგანვება, როგორც დაღვრემა.

მოსანყენია ჯიუტობა ჩვენი უვადო,
მენამულ საზღვრებს გაგშორდები შენი რაუდი:
გამოთხოვების პარადებში ტრაურს ავანთებ.

იქ ფიცს მოიხსნის ჩემს წინაშე მზე – კავალკადა, —
და ოდეს უცბად გავყვითლდები, ვით სურავანდი,
ზურგს შემომაქცევს უგემურად ბევრი შენს გარდა.

რაუდ გოგობია

სალამი ყველას

სალამს ვარიგებ მხიარული. როგორც წყალობას,
მე იახში ვარ! ტოლუმბაშმა ვინც ადღეგრძელოს,
მისტიურ გზებზე ჩემი ბედის გაუვალობის
არ გავიყოლებ არასოდეს მფარველ ანგელოსს.

მე მდაბალ ძმებათ ვალიარე ბევრი ამაყი.
რომ ვერ უწვდენენ მოკლე ხელებს მაღალ ბაღდათებს. —
თუა ქორნილი მეც უთუოდ ვარ ბაშმაყარი,
მოგიკვდეთ ხათრი დავუქციო ჩხავრის ადათებს.

გრიგოლ ცეცხლაძე

ავი სიზმრები

მოლლილ ფიქრების ვიარები მე თხილამურით,
სიზმრებში მტანჯავს დაუნდობლათ ლამის მორევი.
ედემში შევალ, ანგელოზნი მიცქერენ შურით,
ხან ჯოჯოხეთში სტუმარივით გამოვერევი.

ვნახავ მეგობარს, სიყრმიდანვე მე რომ მიყვარდა,
 გუშინ რომ მიწას მივაბარეთ, — იქ კუპრში სცურავს,
 არაფერს ამბობს ღამის ფერი სიჩუმის გარდა
 და მე კი მესმის: „არ წარმოვსთქვამ ბედის სამღურავს!“...

გაჰქრა, მაგრამ ჰა!.. სულ სხვა სახე აქ ინაკვთება —
 წითელი თმები აბურძგვლილი, თვალ ამღვრეული,
 ჩამოგლეჯილი ტანსაცმელი ფეხთ ეხლართება
 „ე...ჰეი!... — ღრიალებს — არ მიწოდოთ გადარეული!...“

მზემ ფეხი დამწვა, ნეტა როდის გაავდარდება!...
 — და გაყინებულ ხელებიდან სისხლს ინმენდს ფურთხით —
 განაგრძობს ისევ: — ტაში, ტაში რა მედარდება,
 მითხარით გიჟებს რატომ სდევნით, ან რატომ უფრთხით?!

შავი ხავერდის ტანსაცმელი მსურს შევიკერო,
 ჩემს წითურ სახეს, მეგობარო, ხომ მოუხდება?!
 სეფედარბაზი... დედოფალი... დენდი... პიერო...
 მე ღმერთივით ვარ, ჩემთვის ნურვინ ნუ შესწუხდება...

იცვლება წამი... თითქოს მე ვარ ბოროტი ქუჩაზე.
 ბედგადამწვარი მათხოვარის ბინძურ ძონძებით.
 დღეებს ვალამებ პირუტყვივით ერთ ალუჩაზე.
 მოდის გამვლელი და მამცირებს გროშის ბოძებით.

არ მცილდებიან აბეზარი ქუჩის ბიჭები,
 უესტებს მახამენ, ზოგნი მცემენ, მუშტებს მიღერენ,
 დავინმანნები, საცოდავთ დავიღრიჯები.
 მუქარის შიშსქვეშ უნებურათ ჩემდა მამღერენ...

შეველ კაფეში... მიხარია, ვერ შემამჩნიეს —
 ყავა და ღვინო, მწვადები და ხაჭაპურები.
 აღძრული მადა ნერწყვს მიხშირებს, ხელებს მაფშვნიებს,
 კეთილ კაცს ვეძებ, აქეთ-იქით გავიყურები.

უცებ ლაქია... მერეკება ძალღვივით გარეთ.
 ვილაც თავადი დაინახავს და გაჯავრდება.
 თავადმა ღვინო მომანოდა, მიცნო მოყვარეთ:
 — ავიღებ ჭიქას და უეცრათ ხელთ გამვარდება.

სირცხვილი... შიში... ჯავრით გული გამეყინება,
 მსურს, ავექვითინდე, ავატირო ცრემლებით სხვები,
 სამუდამოთაც რომ დაბნელდეს არ მეწყინება.
 არ მენანება ძვირფასი მზის ოქროს სხივები...

ასე მანამებს ავ სიზმარში ავი ბურანი,
მოლლილ მოქანცულს აისზე რომ გამელვიძება,
თუმცა მე არ მწამს სახარება და არც ყურანი —
უცებ მატყვევებს საიქიოს კდემით ძიება.

გრიგოლ ცეცხლაძე

ტრიოლეტი

მე ხალხისაგან ცნობილ გიჟათ დავიარები,
რუსთაველის პროსპექტზე, ვით წვიმიანი ქარი,
სულს სტანჯავს მზის ფრჩხილებით დაჭრილი იარები,
მე ხალხისაგან ცნობილ გიჟათ დავიარები.
განმკითხავი არვინ მყავს, თუ საით მივიჩქარი,
ასე ობლათ მოვკვდები, უღვთოდ, უზიარები;
მე ხალხისაგან ცნობილ გიჟათ დავიარები,
რუსთაველის პროსპექტზე, ვით წვიმიანი ქარი.

კოკი ებრალიძე

ირმები

დავიკრებ იმედს
მეყვსეულათ მომეჩვენება
მომეფერები
შემათრთოლებ ნელი ამბორით
დაგიშლი წყენით
სიახლოვე თუმცა მწყურდება
მე მეშინია
უცხო თვალი
ჩვენთანები
შენი ალერსი
როგორც ლექსი ნაზი
თაგორის
მე მიმარინდება
მერე ამბორს უფრო ახშირებ
უცებ ოთანში
შემოდინ ბნელში ქურდები
და ჩამოშლილ თმებს შევაფერებ
შიშისგან
შირმებს

ისევ შენ მოხვალ
 შემოიყვან ჩვენს ბაღში ირმებს
 მოხვალ და მოსვლა სიხარულით
 გამიხარდება...

ლიენა ლანი

აუტო-და-ფე

კონცერტი, ბალი ღრუბლიან გულს ვერ მოგვრის დარებს;
 მეძავ ქალივით თავს მომანყენს ქვეყნის ყურება;
 სული ნისლოვან ტრაურებით შეიბურება.
 უცნობი ლანდი ჩამომირეკს მგლოვიარ ზარებს.

ძალმიხდილ ხელით გამოვალებ ოთახის კარებს,
 მათი ჭრიალი გულში კვენესით ჩაიხურება,
 შეწყდება ჩემთვის მუნჯ ოთახის ყრუ ხმაურება
 და ხმიან ქუჩებს ლენცივთ ვავლებ ნაბიჯთა პნკარებს.

ლიუციფერივით ჩავეშვები ბნელ საჩაეში,
 აქ მომინდება ანთებული ათასფრად კაფე
 და თუ ვერ გავძლებ ცივ ბრინჯაოს სისუფთავეში,
 სულს დაპატიჟებს ნითელ სახლის აუტო-და-ფე;
 იქ ბილნ აღერსში გადამათრობს რღვევის ამინდი
 — მე ვარ დასისხლულ ბოროტების გიჟი რაინდი.

შ. ლორდელი

გადაიფრინა

გადაიფრინა სიზმარეთმა გარიჟრაჟების,
 მომსკდარი ღვარით ნაილეკა ყვავილნარები,
 გადაიბურდა გზა მლიმარი ცეკვით ნარები,
 თვალს მიეფარა მოლანდება თეთრი რაშების.

დამიმეგობრდა ცივი ზამთრის მე დეკემბერი:
 თან მახლავს მუდამ სუსხი, ყინვა და ბოროლანში,
 შავი გრიგალი მესიზმრება თვლემა-ბურანში,
 ფიქრს არ ასვენებს ქარი ცივათ წამონაბერი.

ბედი აღმიკვეთს მე ხეტიალს საქართველოში,
 სიმი განყდება მგლოვიარედ ანამღერ თარის.
 მუნჯი საფლავი გაითხრება ველურ მდებლოში
 და ჩემთან ერთად აქ მოკვდება ავი ზამთარი.

შ. ლორდელი

ტრიოლეტები

ლილის

ჩემს ლექსებში ნისლი დაიბანაკებს
და მაისის მზიან ქორწილს არ ველი,
მწუხარება მოვა, მიამხანაგებს;
ჩემს ლექსებში ნისლი დაიბანაკებს.
ეტირება გულს ეკლებზე დანაგებს.
მითხარ, ლილი, ვინლა მექნეს მფარველი!
ჩემს ლექსებში ნისლი დაიბანაკებს
და მაისის მზიან ქორწილს არ ველი.

ვინ ესტუმროს კოშკს ბადახშით ანაგებს,
ვინ მამლეროს თმის ნაბლისფერ ფოთლებში!
ბრილიანტით ვსეტყვავ თვალთა დანაკებს;
ვინ ესტუმროს კოშკს ბადახშით ანაგებს,
ჩემს ოცნებას დალილობა განაგებს,
ალარ მრჩება ღვინო თასებ-ბოთლებში.
ვინ ესტუმროს კოშკს ბადახშით ანაგებს,
ვინ მამლეროს თმის ნაბლისფერ ფოთლებში.

არ ვზეპირობ ლექსს ბრწყინვალეს და ნაქებს.
ჩამქრალია ტრფიალების სანთლები.
ბრილიანტით ვსეტყვავ თვალთა დანაკებს,
არ ვზეპირობ ლექსს ბრწყინვალეს და ნაქებს.
მითხარ, ლილი, დამიბრუნებ ნანაგებს,
თუ გადავსცე სხვას ბედის კამათლები?!.
არ ვზეპირობ ლექსს ბრწყინვალეს და ნაქებს,
ჩამქრალია ტრფიალების სანთლები.

გ. მეგრელიშვილი

დონია

ის იყო ფიქრი გამივერანდა.
მომწყინდა ბალი, კაფე, კომფორტი,
წარსული ყრმობის თეთრი ვერანდა,
მაგონდებოდა ვით ეშაფოტი.

მე ალარ მსურდა სიმღერა წრფელი.
სამათ დავსტეხე, სუსტი ლერწამი
და ვით ამ ლექსში გაჩნდა ნიფელა,
გამომეცხადა სათუთი ნამი.

თვალეები მუნჯი იადონია.
 მომღერალა გულის აზარტის
 კოლხეთის ბალში ვნახე დონია,
 იგი პირველი ყვავილი მარტის.

Narcis

ფოთოლთა შრიალი

ობლათ ვმოგზაურობ? გზას ვუდგვივარ ტყიანს,
 თვალნი ვერ ხედავენ ირგვლივ ადამიანს.

ბუნება მდუმარებს. სიჩუმეში მკრთალი.
 მისტიურ შიშს ჰბადებს ფოთოლთა შრიალი...

ფრთათეთრი ოცნება მომეჩვენა, გაჰქრა,
 მოშხამულმა ფიქრმა გული დამიზაფრა...

განვაგრძობ სიარულს იდუმალ ბილიკით,
 იდუმალ ბილიკით... იქით... იქით... იქით...

Narcis

ნელი ხაზები

„მეოცნებე ნიამორები“

ქუთაისში ვ. გაფრინდაშვილის და ა. ცირეკიძის რედაქტორობით გამოიცა სალიტერატურო ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“.

სახელის არჩევანში უეჭვოთ მიქცეული აქვს ყურადღება სიტყვების მხატვრულ ხმაურს და რედაქტორებს ამ მხრით უარი არ ეთქმის.

ჟურნალის სათაურის სიტყვების ხმაური სტოვებს შთაბეჭდილებას — თითქოს დაბინდულ ქაოსში ექანება გამოუცნობი შეერთება **ნიავისა და მორევის** და იქმნებიან დაუსრულებელი ფანტასტიური სურათები...

ჟურნალის გარეგნული ფორმა ვერ არის არჩეული.

მონაწილეობენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ტიცციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა აფხაიძე, კოლაუ ნადირაძე, გრ. ჯაფარი, შალვა კარმელი, რაჟდენ გვეტაძე, სანდრო ცირეკიძე.

ლიენა ლანი

„შემოდგომის ცრემლები“

მიმდინარე წლის იანვრის რიცხვებში ქ. ქუთაისში გამოიცა დია ჩიანელის ნოველები-სა და ლეგენდების წიგნი „შემოდგომის ცრემლები“.

პირველი წიგნი ახალგაზდა მწერლის ცხოვრებაში ერთგვარი მისი ფერის ცვალებათაა. აქ პირველად ადის ავტორი მწერლობის თაბორის მთაზე. ათასი თვალი მიიმართება მისკენ ცნობის მოყვარე მოლოდინში. ყველას სწყურია დაინახოს: შეიმოსება იგი ბრწყინვალე ნათელით თუ დაჰკარგავს იმ შუქსაც, რომელსაც აქამდე თან ატარებდა. სამწუხაროდ, დია ჩიანელს ეს უკანასკნელი ხვდა წილად. მისი წიგნი უფერულია და ჩრდილს აყენებს მის სახეს. დაწერილია წვერ-მაგარი კალმით, ლამაზ ხაზმოსმებს თან ახლავს თეთრ ნარევი ნაძალადევი ხაზები. ხშირია დრო გადასული ბუნების აღწერა, მოძველებული სტილი და სიტყვების მოსაწყენი სრესა, მეტადრე ეს უკანასკნელი. აქვს ლამაზი მხატვრული გამოთქმები, მაგრამ ისინი მწერლის ხელში კლიშეთ არის ქცეული. ავტორს ვერ უნახავს ჯერ თავისი სახე, ვერ უპოვია თავისი კალამი. ეხერხება ფაბულის გამოძებნა, მაგრამ მისთვის შესაფერი სამოსი ვერ მოუქსოვია. ამ მხრით მას უსათუოდ დიდი მუშაობა მართებს.

ვერ გვაკმაყოფილებს აგრეთვე გამოცემის სახე. იგი იაფ-ფასიან პოლიტიკური შინაარსის ან და საკოოპერაციო ბროშიურას უფრო გვაგონებს, ვიდრე მხატვრულ გამოცემას. ასეთი უყურადღებობა არ მოეტივება ახალგაზრდა ავტორს.

შ. ლ-ი

გ. მეგრელიშვილი. სამფერი ბაირალი ეჭირა ხელში, როცა მტრის უნდო თვალი შეუსწორდა მის ნათელ სახეს; ავაზაკმა შემთხვევამ არ დაინდო ნაზი გული და დამიზნებულმა ტყვიამ განგმირა სამშობლოს თავისუფლების მცველი ჯარის, კაცი პოეტი გ. მეგრელიშვილი. ეს მოხდა ამ წლის იანვრის რიცხვებში, ახალციხეში თათრების ბრბოებთან ბრძოლის დროს. იგი ჯერ 22 წლის ახალგაზდა იყო. ლექსების ბეჭდვა რომ დაიწყო 15 წლის არც კი იქნებოდა. პირველათ სწერდა ფსევდონიმით „მთისნიავი“. შემდეგ ნამდვილი გვარით — „გ. მეგრელიშვილი“. მის უკანასკნელ ლექსებს ტეხნიკის მხრით უეჭვო წარმატება ემჩნევა — ამავე წურნალში დაბეჭდილი „ტრიოლეტები“, ჟურნალ „აისში“ — „ჩემი მადამი“ და ქუთათურ გაზ. „ჩვენს ქვეყანაში“ უკანასკნელათ დაბეჭდილი ლექსები უთუოდ იმსახურებენ ყურადღებას. მაგრამ ნიჭიერ პოეტს ცამ აღარ დააცალა სიმღერა „თმის ნაბლისფერ ფოთლებში“ და ჩვენდა გულდასაწყვეტათ, უეცრათ და სამუდამოთ გაუვარდა ხელიდან „კამათლები“.

გრ.

პოეტური ფელეტონები

ქართული პოეზია ჯერ კიდევ ვერ არის „ძვირფას ახალში“. ბევრ პოეტებს არ გაუძვრიათ ლურჯი ბლუზები და პოეზიას ვერ დაუტოვებია შემთხვევით კალთა გაშლილი პარტიული გაზეთები.

რამდენიმე თვის წინათ პოეტური ფელეტონებით გამოვიდა ქუთათურ გაზ. „ხალხის მეგობრის“ ორი ნუმერი და ერთი გაზ. „საქართველოსი“ — პირველში შესანიშნავია თავისი სიახლით **პაოლო იაშვილის** ლექსი „**წერილი დედასთან**“, მეორეში (გაზ. „საქ.“ ფელეტონში) **გრიგოლ რობაქიძის** კლასიკური ასხმის სონეტი „აქლემი“, რომელშიც ქალური და ვაჟური რითმები ერთმანეთს სცვლიან. ფორმის მხრით ეს ერთად ერთია ქართულად დაწერილ სონეტებში და არ შეეცდებით თუ გამოცდილ ხელოვანის კალმის შედეგრათ ჩავთვლით. იქვე არის **ტიციან ტაბიძის** ინტიმური ლექსი „ბირნამიის ტყე“, რომელსაც მეგობრულათ გამოეხმაურა „**ჯვარის წერები დაისში**“. საზოგადოთ არც ერთი უშნო ლექსი არ არის ამ ფელეტონებში დაბეჭდილი: მხოლოთ უცნობი ავტორის გრძელ ლექსს „აღერსის ბალს“ შეაქვს დისონანსი საერთო შთაბეჭდილებაში.

ს.

ყოველთვიური **თოლაგულისის** **სარტყელი** ქ უ რ ნ ა ლ ი

ფასი სამი თვით—15 მან. ცალკე ნომერი 6 მან.

მისამართი—თბილისი, სას. ქუჩა; № 5.

„თოლაგულისის სარტყელის“ რედაქცია:

რედაქტორი: გრიგოლ ცეცხლაძე.

დაიბეჭდა და იუიღებ
გალაქტიონ ტაბიძის
ლექსები.

ტ. II.

CRANE AUX
FLEURS ARTISTIQUES,
(1914—1919)

თიბათვეში გამოვა **გ. ლაონიძის** პირველი წიგნი:

„უაბანები“, „ცვივი ხაზრუსი“, „საქართველო“.

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი.
მწუხარე თვალებით მინას დაყურებდა.
მშვიდობით, მშვიდობით! ამაოდ დაგენდე
ელვარე სალამოვ აღმას საყურეთა!
ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო,
უთუოდ მახსენებ ოდესმე... ოდესმე!
გრაალის კოშკები, ლიდის სამრეკლო
შენს ფეხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა.
ოჰ! როგორ გაფითრდა ციურთა თანადი
ოცნება, ნახაზი: საგანთა უარით
ღრუბელი ფერადი და ალვა ტანადი,
რომელსაც აზიის ცით გადავუარეთ.
ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი
და ფოთლებს ისროდა სიფითრე ბარათის.
ამაოდ დაგენდე, და ჩვენ ერთმანეთი
ამაოდ გვინდოდა! მშვიდობით მარადის!
ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები —
სალამო კანკალებს შიშით და რიდობით —
სალამო ნელდება და კვდება ვარდები...
მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით.

გალაკტიონ ტაბიძე

მარსული

გნოლები ატირდენ გარდაცვლილ ბალებში.
უეცრათ შეირყენ მსოფლიოს მკვიდრები.
კოშკები დაიმსხვრა მეწყერის ტალღებში.
შეშლილი ძახილით გაფრინდენ მინდვრები.

სამარეთ გარდისხნა ქვეყნები მხატვრული.
წითელმა ყორნებმა დაგლიჯეს ტიტანნი —
და მთები ალისფერ სისხლის მონატრულნი
ნელი-ნელ დაითვრენ ვითა მიკიტანნი“.

რაშები აცეკვდენ ლოთური ხმაურით.
ძეგლებათ წარმოსდგა ველური ზმანება.
მღერაში ჩასაფრდა კვნესა უცნაური.
ძაძები ჩაიცვეს მოცინარ ზარებმა.

ივ. ყიფიანი

ცისკარი ფანჯარაში

დაზრახულ სურვილებს შემოვახვევ შავ ვნებისაგან შეჭორილ შავს სუდარას.

შებოჭილი გრძნობების ყვითელ ჩარჩოს გულისთქმის ცეცხლზე დავსწვავ.

ბრბოს აზრს სულის თავისუფლებით დავახრჩობ...

შურის ძიებად გადმონვდილ ენებს შეუპოვრობით დავამუნჯებ.

და ჩემს ოცნებას მოსეს კვერთხად ავღმართავ, — ახალი ცხოვრების შესაქმნელად —
შენი სიახლოვით, შენთან ერთად...

სივრცეში ოცნებათ გაგაფრენ...

სიზმარ-ცხადათ გაგხდი, — კაცუნების საზღაპროდ და მერე ჩემი
სულის საიდუმლოს გაგიმჟღავნებ...

ას ცამეტ მინიატიურას დავსწერ — საოცრების წამებს სიტყვებით
ავქარგავ და მით შენს სახელს შევამკობ...

აი, ჩემი ძალა, ჩემი სიმდიდრე, შენ რას იტყვი სიზმარო?

ეს შენ სათუთ სახეს არ შეეფერება?!

წამომყევ, წამომყევ — სიზმრათ წავიდეთ, ზღაპრულ ქვეყანაში და
სული სულთან დავაქორწინოთ...

აქ მეშინია, კაცუნების სულის ოფლმა თეთრი ოცნება არ დამიჭლექიანოს.

აკაკი ბერეკაშვილი



დავით კაკაბაძე.

„ნახაზობა“

გაჭენებული მონუმენტი

მხიარულ სახეებს ენიშნათ სიტყვები
არმაზი არ გვინდა **არმაზი** არ არის
ყველა ასილადღენ ხმლებით და ტყვიებით
რანდებს ინვევენ თვალეხი საპყარის
დროშები იტაცებენ ბრბოს წითელ ფერებით
სისხლიან ხელებით
ტაშს უკვრენ მკვლელები
ავაზაკთ დაუდგათ სანატრი დროება
იმათ არ უყვარდათ ქუჩის მყუდროება
დალენეს დალენეს აიკლეს ბაზარი
სიბრაზით იხრჩობა ვაჭარი გულხარბი
თავქუდმოგლეჯილი
გარბის
დაღრეჯილი...
არის ღრიანცელი და ამოძახილი
გავსწორდეთ
გავსწორდეთ
შორს დინჯი სიფრთხილე...
სისხლიან ყიჟინით ხალხის ბელადები
მონოდებებს სცემენ
იფხიზლეთ ძმანებო
თავზარდაცემულნი ძრწიან თავადები
როგორც მოხალული ივლისის ზმანება
მეფე დაემზგავსა საცოდავ მათხოვარს...
მიუნდომი იყო ოქროს თმებში ბანტი
უნინ ამაცობდენ მათი დანახვითაც
ეხლა, მეფის ქალებს ბანტუც გვერდს აუვლის
რომ ალი ეხვევა
სასახლის შერყევას...
პატიოსნათ მოკვდენ **თეთრი ყაჩაღები**
ალისფერი სისხლით მკერდი შეეღებათ
ალარ არიან მაგრამ სულ მდაბალთ ეხლაც შეაშინებს მზერა
მათი მაუზერის...
საუკუნო იყოს ხსოვნა მეგობრებო
მე მათთვის სონეტებს ყოველთვის ავანთებ
იქნება ლექსებში ბერდანკით **ფირალი**
ტერორი მიტინგი დროშების
ფრიალი

გრიგოლ ცეცხლაძე

ქუთაისი

თეთრი სამკაული. ჩემი ქუთაისი.
 მწვანე ყვავილა. გელათის შარა-გზა.
 ბაგრატიის თვალეში ნასვენია აისი.
 მხურვალე ლოცვებით ნაკურთხი თეთრი ბზა.
 ოლასკურაზე მკვდარი საფლავები.
 წყალნითელისკენ იშლება ნახირი.
 რიონის რკინის წელი. ფოლადის მკლავები.
 ბალახვანში ცრუ პარიკმახერი.
 ქალაქის ბაღში ქალვაჟთა მწკრივი.
 ღამემ თუ იცვალა უეცრად ნირი,
 საფიჩხიაზე ატყდება კრივი.
 მოჰყვება ჭორები ათასნაირი.
 ცეცხლად დაანება სიცივით სავალი.
 ზამთრის მჭლე სხეული ჩამოხმება ზეზე.
 თუ გაზაფხულის აენთო თვალი.
 ყინულიან დილას ჯვარს დასწერს მზეზე.
 მწვანე ბაზარი. პარასკეობა.
 უგნური თვალეები სოფლური ქცევით.
 დატეხილი სიტყვების ცალცალკეობა
 რბილდება მაისის მზის გადაქცევით.
 წინდა წინდის ჩხირი. მეძველე ურია.
 უზალთულად ჩითები. ყურძნობა. ყაფანი.
 ქალაქის თუმანი სპილენძის შაურია.
 დოქები. ხელადები. გაცვდა ქალამანი.
 ჩემი ქუთაისი. ჭურები. მარნები.
 ინვის აზიურად, ინვის სიზმარივით.
 მოხვეული ქუჩები ფერნასულ ფარნებით
 წელზე ერტყმებიან ქალაქს ქამარივით.

ლადო მაჭავარიანი

...19 წელი

საფირონის ნატეხები

ა.

ტრიოლეტი

ჩემს შვილს: რამაზს

მაცხოვრის სახე შევიყვარე კეთილი, ნაზი,
 და წრფელ ლოცვებით მას ვავედრებ საყვარელ რამაზს,
 რომ უკვდავი ვყო ჩვენი გვარი — მიჭირავს ხაზი.
 მაცხოვრის სახე შევიყვარე კეთილი, ნაზი.

შვილის ალერსი დარდს მავინყებს და როგორც ვაზი —
ვეხვევი ხშირათ და ვუკოცნი თეთრ სახეს ლამაზს.
მაცხოვრის სახე შევიყვარე კეთილი, ნაზი,
და წრფელ ლოცვებით მას ვავედრებ საყვარელ რამაზს.

ბ.

Memento mori

შენ თრთოდი ისე სიცივეში, როგორც ხბოს ტანი.
მე საყვედურით გიცქეროდი სახე მაღლიანს,
რადგან ზამთარმა დამითალხა ბალი, ბოსტანი.
და შენის ხელით მიმზადებდი საფლავს მატილიანს.
როცა ასკილმა ფანჯარასთან თავი დახარა —
შენს ნაზ სახეზე აბოროტდა ღიმი კეთილი.
ჩემმა ბოდვებმა, შეგამჩნიე, რომ გაგახარა
და ნასასვლელათ გამოაღე კარი კეთილი.
ვფიქრობ: ვიყავი, არ ვიქნები... ვფითრდები ჯავრით —
როცა ხმა მესმის უჩინარი, დადასტურების.
ინგრევა სახლი ქარისაგან, ნახური ყავრით,
მაშინებს ღამე, კატები და ჩხუბი ტურების.
როცა ვიგონებ ჩვენს სიყვარულს — (რა ძვირფასია?)
შენი სიყალბე არ მაკვირვებს, რომ იჩარხება.
რადგან სიავით, სიკვდილი ცვლის მდიდარ ხასიათს,
ცივია მიწა... კაცთა ხსოვნაც შიგ იმარხება,
არავისი ვარ მაღლიერი, ნუთის მზვერავი
და როს მოვკვდები, აქარვდება სახე გედური —
(თუმცა ჩემს სიკვდილს ვერ გაიგებს დიდხანს ვერავინ)
არვინ მიტიროს, მე ამ ქვეყნათ ყველას ვემდური.

რაჟდენ გვეტაძე

მარგალიტის მანიაკიდან

მეფის ქალი კაბარეში

ლალის დარბაზში მოიღალა ლხინი მარადი.
დედოფალს მთვარე ფანჯრებიდან ორეულს უდრის.
დაკრთის ლეილა ვარსკვლავედში ნაზ-ნარნარადი
და შუშპარობენ სეფექალნი დათოვილ პუდრით.
შეჯიბრებაში მოთარეშეს ვხედავ პარიკებს.
აჩაღებს ქეიფს ბანოვანი მეჭორხაბარე.
ნაღდი ზარხოში ყომარბაზებს ათოხარიკებს, —
ნელა ინვება და ზეიმობს მთვარის კაბარე!

მთვრალ მუსიკაში ირკალება მწყობრი კადრილი.
 ჰაერს აბრუებს სურნელება ცხელ სიხარულის.
 და მეფისქალი ღვთაებრივი და უკადრელი, —
 როკავს ლურჯ გედათ მბრძანებელი მსუბუქ მარულის!
 სარკულ ჩვენებათ მოლანდაობს ამპარტავნებით.
 ცქერის ტალღები ეჯახება მკერდის ფიორდებს.
 ოქროთვალ ქოშებს ამზეურებს ფეხი თავნებით, —
 როცა იტაცებს ჩუმ ჯირითში ნაზ ხარდიორდებს!

ჟინაშლილ ქალებს აყოლია გუნდი კერშილი.
 მოედვა დარბაზს: წვა, სიგიჟე, ხარბი დათრობა...
 ტახტის ამაღა წუთს დარაჯობს თვალდაგერშილი...
 მაგრამ ანელებს კვლავ თავადებს მეფის ხათრობა!
 ჩვიდმეტ ზამბახათ დაიშალა თეთრი ფერხული.
 მხოლოდ ერთ ზამბახს ეტმასნება ფიქთა ხვანჯები...
 ჩემი დუმილი სასახლეში დღეს უხერხული, —
 თორემ ბეგია, ლეილასთვის რომ ვიტანჯები!

მაღე, მუტრიბნო! მეფისქალი ზეიმს შორდება!
 ჩუმ განშორების აახუვლეთ ჩანგი — ჩალანა.
 მარგალიტები ჩვენს თვალეში ახოშორდება.
 ყრუ მისტერია დღეს ლეილას ეარმალანა!
 ბატონიშვილებს გაახურებს დოღში ჩალიჩი.
 იანვრის ქარი გულანთებულთ ვერ გაგვაციებს.
 იშლება ველი საჯირითოდ მონახალიჩი, —
 მივსდიოთ ყველამ მეფისქალის ლანდურ გრაციებს!..

შალვა კარმელი



ვლ. გუდიაშვილი.

XII-ტე საუკუნე

შ ვ ი ჯ ღ მ ს ა ნ ი

№ 1

ი ა ნ ვ ი რ ი

1920

რედაქტორი: სანდრო ცირეკიძე

აანყო: ერმალო მეგენეიშვილი

ფრანგ პოეტს

შენი გენია მეტეორის ალმა გაჰმურა.
სიგიჟის ხორბლით ავსებ მარად ქვეყნის ხვიმერებს.
ლამის სოროებს დასტრიალებ როგორც ღამურა.
ავხორცი ტვინით ბუდეს უნგრევ ყვითელ ქიმერებს.

ტანამღვრეული ეშურები მაცდურ აშარას.
ლუესის წვეთით გიხელდება ბნელი დიანოს.
აპოკალიპსის ცხენს აუბამ ლექსის ავშარას.
ხერხემლით ჰშიშობ: განკითხვის დღემ არ იგვიანოს.

თეთრად ათენებ: თავს გესხმიან ავი ბოდვები.
ბნედა გერევა მიწის წყლულის ხილვით გაოსილს.
დამხჩვალ კატებში გაგონდება მთვარის ცოდვები.

პირზე გაშრება ცოფიანი დუჟი ქაოსის.
განთიადისას ლორწიან ტუჩს მზის ძალი გლოკავს.
შენს სონეტებში გადარევა შეკრული როკავს.

გრიგოლ რობაქიძე

ღვდელი და მალჲარია

ძველი ორპირი. დანგრეული სანაოები.
ენყება მთვარეს ხაშმიანი ცხელების სრესა.
მამის ოლარზე ობობების ქსელი მოება.
ღამეა თეთრი და შავია ქალდეას მესსა.
ძველია თემა: გიჟი ღვდელი და მალჲარია.
ატირდენ ერთად ბაყაყები დამშრალ ფშანებში,
თითქოს ახველებს ჭლექის ხველით Misse Lea Lee-ს.
თითქოს ყანჩები გაერიენ ფარშავანგებში.
მიბორგავს მთვარე, ყვითელ საბანს მიასრიალებს.
ძველია თემა: გიჟი ღვდელი და მალჲარია.
ვარსკვლავით შეშლილს უსახო ძმებს სალამი ღამის,
მიყვება სული დავინყებულ სატურნალიებს.
ჩემთვის სამშობლო სახვევია მშრალი ბალღამის,
დანყევლილ მინდვრებს გაუმზადებს მშიერ კალიებს.

დისერტაციას დავამზადებ მე ამ საგანზე:
 ყვითელი თვალი მონგოლების და სააკაძე...
 ძველია თემა: გიჟი ღვდელი და მალფარია.
 ძველი ორპირი. დანგრეული სანაოები,
 ქალდეას ზეცა ამართული, ვით ეშაფოტი.
 მონომანისთვის აღარ არის სხვა სათნოება,
 რომ დაჭრილ სულის გადითვალოს ყველა ნაფოტი.
 ბედის ვარსკვლავი საქართველოს მართლა მკვდარია,
 რეკვიემივით ისმის ეხლა ყველა არია.
 ძველია თემა: გიჟი ღვდელი და მალფარია.

ტიციან ტაბიძე

ალი არსენიშვილს

**ვაგონი, ცხენებით. ხუთი გუსარი.
 აწყურისაკენ. აპრილი. 1917 წელი.**

გაცოცხლდა შენი უცნაურობა
 გადაქცეული მარჯნების ხვავათ;
 და რჩება ჩვენი მოგზაურობა
 სიკვდილის დღისთვის შესანახავათ.
 ჰფანტავდა კვამლსა მატარებელი
 აყვავებული ტყემლის რტოებათ;
 შენი სიტყვები უდარებელი
 უკან მისდევდა ქარს ლევკოებათ.
 და ტოგა მოხსნილს მაინც დაგშვენდა
 შენ რეტიანი ლექსით ბარბაცი;
 და მოდიოდი, ძვირფასო, ჩვენთან,
 ვით ლოუნგრინი და ჯარის კაცი.
 ჩვენ ძირს გვეფინა გამხმარი თივა
 და გვინათებდენ თავს გვირგვინები;
 გვეზმანებოდა ლედი გოდისა
 ქრისტეს მოახლით შენაგინები.
 უღელტეხილზე მაშინ დაბინდდა,
 მზე დაიმალა როგორც ყაჩალი,
 ჩვენ აფთიაქმა მძინარ დაბიდან
 გამოგვატანა ბოდლერის ბალი.
 მთვრალი წარსულით, მთვრალი „მერეთი“
 გარს გვეხვეოდა ლექსი ხროებათ,
 გვეჩვენებოდა ეს იმერეთი
 არაბულ ზღაპრის დაბოლოებათ.
 თითქოს უეცრად შენ გაგარეტა,
 ნერონის ხმებმა ცეცხლიან ქარში;

თითქოს ორღანომ ხმა გაიმეტა
კათოლიკების წმინდა ტაძარში;
თითქოს ამალით შეგხვდა ყვენი,
ან იგერებდი შენ მზის ნატყებებს
და ან თვით იდა რუბინშტეენი
გაბანიებდა დაღალულ ფეხებს.
უცბათ იროდის გამოჩნდა ტახტი
და სალომეას მოგესმა ფიცი —
მერე უეცარ მონამეთ გახდი,
როგორ კვდებოდა დანიის პრინცი.
უკანასკნელად გაჩნდა ბრომელი
მწვანე ცილინდრით, თვალ ნისლიანი,
შევხვდით სამება დაუდგრომელი:
ალი, პაოლო და ტიცციანი.

პაოლო იაშვილი

საქორწინო მოგზაურობა მთვარესთან

და ისევ ღამე, ისევ წვიმა ფეხის ხმაურით;
ვერ გადურჩები შემოდგომის მე ნაკლულ დღეებს.
და მანანწალა ჩემი სული ნათრევი ყურით
კიდევ გამოცდის შეყვარების მწარე სიცხეებს.

გაფითრებული დავენდობი შუალამის ხმაურს;
გადამალაგებს იდუმალი მისი ანთება.
თქვენ, ვარსკვლავებო, გზა მოგვეციოთ მგზავრებს უცნაურს:
მეფე-დედოფალს, მე და მთვარეს გვაგვიანდება.

ჩვენ დიდი გზებით მოსული ვართ და წავალთ მალე;
როგორც კუკლები დავატარებთ არშიან კაბებს.
ჩვენ მწუხარება დიდ ქალაქში ვერსად დავმალეთ.
და გვსურს ვენვიოთ ახლა სტუმრათ სულ მცირე დაბებს.

სასტუმროების სიბინძურე და მყრალი სული
აღარ აკვირვებს ჩემ ქალბატონს, აღარ აშინებს;
დღეს მისი ცქერა ავათმყოფი, ფერგადასული
ჩემ დაღლილ სულში ფეერიულ კოშკებს აშენებს.

ახ, სულ ერთია ნათრევალა გადამშეულებს
მოგვეჩვენება თვით სამოთხეთ დუქანი ბნელი,
და ისევ ღამე შეგვაერთებს მგზავრებს სნეულებს,
და ისევ ღამე, როგორც ჯვარცმა, იქნება მხსნელი.

კოლაუ ნადირაძე

საფერფლე

(ჩემი ძმის რაჟდენის ხსოვნას)

ლამის დუმილი მეჯადოსნება,
მაგრამ ვენევი ერთგულ პაპიროსს,
რომ სევდიანი ჩემი ოცნება
ისევ წარსულმა გაინაპიროს.

ყოფილ ფიქრებში გავიბანდები...
ჩემი საფერფლე წინ მისვენია,
ცრუ ხეტიალში ბევრი ლანდები
იმის სიპტყეზე გამინვენია.

უმშვენიერეს ცისფერ ვასაკით
მოდის გრიგოლი — ლანდი პირველი.
მაგრამ ვინ არის ეგ ავაზაკი? —
თვით აშორდია გასაკვირველი.

ქმნიან საყვარელ, ძველ ამხანაგებს
დაორსულებულ კვამლის კირთები.
და პაპიროსის წვერზე ანაგებს —
მაცდურ პაოლოს დავუკვირდები,

ჩემ საფერფლეზე აქვითინება
უყვარს ტიცციანს ნაზათ, გედურად.
იმან ტირილი ახლაც ინება,
ლაჭორგის მთვარეს უსაყვედურა.

დავტრიალდები ლანდურ ჯარაში.
ლამე ობლობას კვლავ მომანდომებს —
და ფერფლთან ერთად ბნელ ფანჯარაში
გადავისროლი სათუთ ფანტომებს.

ვალერიან გაფრინდაშვილი

სასაფლაო და ყვავები

რუხი კედლები, ხავსიანი თლილ ქვის ტრაპედი,
ხის ჩარჩოებში უძძიმთ ტანი მტვერიან ხატებს.
აღარ იხარებს დიდი ვერხვი გადანაბელი.
ძველი საყდარი დანგრეული უყვართ შავ კატებს.
სურნელს არ აკმევს ია ნაზათ ანაყვავები,
და სამრეკლოზე ჭოტი სუნთქვას ოდნავ აქშინებს.

სასაფლაოზე ოცნებობენ ღამე ყვავები, —
 მძლავრი შრიალი მათი ფრთების მგზავრებს აშინებს.
 დააქვთ ყოველ წელს შესანიერი ნადისიანებს, —
 და თითქოს შველით, ვით მოფურჩხულს ლოცვა, ზერანი;
 ღმერთს ავედრებენ ნათესავეებს და მისიანებს.
 წმინდა გიორგის თურმე აქ ყავს ხშირათ მერანი.
 არ ემეტებათ, რაც რამეა სულის მაქნისი,
 მაგრამ ყვავები პატრონობენ აღსავლის კარებს,
 მათი თვალები მკვეთრი არის, როგორც სახნისი.
 ატირებს ქარი ბნელ ღამეში გატეხილ ზარებს.
 ისმის გოდება ნალვლიანი საღვთო ოდებზე,
 საკმევლის კვამლი ველარ ახრჩობს ცოდვილ ამურებს.
 დავინწყებული სახელები ტირის ლოდებზე.
 კეთროვან ვირის საზარი ხმა აფრთხობს ღამურებს.
 ზამთრის დღეები წვიმიანი, ახ, როცა არი —
 ბრმა მათხოვრები უიმედოთ ფიქრობენ დარზე.
 სახლებზე კვამლი, დახურული ფანჯრები, კარი.
 სხედან ყვავები მონყენილი საფლავის ჯვარზე.
 მკვდრებზე ოცნება, სევდა, დარდი, ყოფნა მარტივი,
 მძიმე წუთების უფერულათ განმეორება,
 მოუსვენრობა, ხასიათის შეცვლა მარტივით —
 მტანჯავს და უხმოთ მაკანკალებს ავი ზმორება.
 ვატყობ: ყვავები მიყურებენ მუდამ უნდობლათ,
 ახ! თითქოს უნდათ, რომ დამლუპონ ფიქრში ტრიალით.
 როცა ღამდება და ოთახში მარტო ვარ, ობლათ —
 სასაფლაოდან მაშინებენ ფრთების შრიალით.

რაჟდენ გვეტაძე

დეკემბერი 19-20, 1919

ღვთისმშობელი პროსპექტზე

ნ. თ-ს

ის ამ პროსპექტზე გამოივლის ყოველთვის მშვიდი
 და გამოყვება სათუთ მცველად თეთრი არაკი.
 მოეფინება მკრთალ ვიტრინებს წმინდა ლარნაკი.
 ო, მის თვალებში გიშერია და პანაშვიდი.

ძვირფას ტაძარში მას მოელის პატივი დიდი.
 ცის ფერ აღთქმებით გაფითრდება უცხო, ამაყი.
 ო, მისი სახე ლურჯ ზღაპრების წყნარი ბანაკი.
 დახვეულ თმებით თავს დაიხრჩობს სალამოს ბინდი.

ათასი ქვეები მის მკრთალ თითებს აედევნება.
 ეტყვის გამვლელი: „რომ ავთრთოლდე, მომეცი ნება“.
 ურიცხვ ვედრებას ღვთისმშობელი მოკრეფს მოწყენით.

გაივლის წყნარი და ტაძართან ის გაიღიმებს.
 დაათოვს პროსპექტს მწუხარებას სურნელის ფენით
 და აატირებს ღვთიურ ცქერით ბევრ პილიგრიმებს.

შალვა აფხაიძე

დეკემბრის აგონია

გარეთ ქარია. დეკემბერი უკრავს ჭიანურს.
 და თეთრ ქალწულებს გაუშლიათ მინდვრათ ბაღეტი.
 ჩემს ოთახში კი ფავნი ლოშნის დამთვრალ დიანოსს
 და ეშმაკურად იყურება ლურჯ სათვალეთი.
 მე — ყაჩაღივით მაფრინდება მუხლებში დამბლა
 და გახურებულ მარწუხებით ალურჯებს ძარღვებს.
 უცნაურ შიშმა ხერხემალი სულ დამიდაძაპა:
 თავის ქალასაც ეს ფიქრები მალე დაარღვევს.
 და მეშინია. მეშინია, ო, მეშინია.
 ჩემი სახელი გუშინს აქეთ სულ მავინყდება.
 ცივდება ტვინი. სისხლის ჩქეფაც მალე მიწყდება:
 მე კარგად ვიცი, ეს რა არის, რისი ჟინია.
 წუხელი ღამით ეს თითები ვერხვის ფოთლობდენ.
 ღებავდა სისხლი მოღალული ტუჩების მარჯვანს.
 სუსტი თვალები შავ სტრიქონებს ველარა ფლობდენ
 და მე ვფიქრობდი, რომ ეს კვირა არ გადამარჩენს.
 ვუცდი და ველი — ბედი როცა დამაყირავებს
 და ამ ქვეყნიდან გამისტუმრებს თქვენი არული,
 როცა გამყვება პროცესია მე ბულვარული
 და მელოტები მოიხსნიან გადამსკდარ თავებს.

ნიკოლოზ მინიშვილი

ჩარდაში

გერმანიის პატარა მივარდნილი ქალაქი.

ცხელი ზაფხულის გრილ საღამოს ქალაქის ერთს ეზოიან ყავახანაში გზათ გამვლელი უნგრეთელი მუსიკა უკრავდა. აქ იყვნენ პატარა ქალაქის პატარა არისტოკრატები, პატარა ქალაქის პატარა მდიდრები, სტუდენტები და მუშები.

მხიარულ ამღზნებ მუსიკის ხმაზე საზოგადოება ლუდს ხშირათ ენაფებოდა. ჩემს განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევდა ერთ სუფრაზე მსხდომი ჯგუფი; მუშები იყვნენ. აჩქარებით ლაპარაკობდნენ ლუდს ერთის დიდის ჭიქიდან სვამდნენ, მაგრამ შედარებით ცოტას, რადგან ლუდი აქ ძვირია — უფრო მდარე ყავახანიდან უნდა მოსულიყვნენ მუსიკის მოსასმენათ ლუდის სმით უკვე საკმაოთ დაკმაყოფილებულნი. ერთი მუშათაგანი მუსაიფში თითქმის არ ერეოდა და როცა ხმას ამოიღებდა, ამხანაგები მეგობრულათ ნაჰკრავენ მუჯღუგუნს და ეტყოდენ:

— ნამდვილი პატრიოტი ხარ, ერთი წელიწადია ჩვენთან ცხოვრობ და ერთ სიტყვას ვერ იტყვი მართლად! — და ყველა გაიცინებდა...

უნგრეთელი იყო ჩუმი მუშა, იგი მონყენით ისმენდა მუსიკას, ფიქრები ხმებს თან მიჰყვებოდა და სადღაც სხვაგან ტკბებოდა ჰანგებით. მუსიკამ ჯერ ერთი დაუკრა, მერე მეორე, ხან ეს, ხან ის და ერთხელაც იყო, დაიწყო ჩარდაში.

უნგრეთელს სახე გაუბრწყინდა. ვინ იცის, რა წარმოუდგა, რა მოაგონდა. სუფრის ქვეშ ფეხები აუთამაშდა; ქუსლები დააბაკუნა.

— ეი, კელნერ! — დაუძახა მან მსახურს, მთელი საზოგადოება მას მიაჩერდა. — კელნერ, მართვი დამკვრელთ ოთხი ბოთლი ჩვენებური, უნგრული ღვინო! უთხარით, კიდევ დაუკრან ჩარდაში.

კელნერი გაიქცა.

— ოღონდ ჩქარი... ჩქარი... თითქოს ველში გრიგალი ტრიალებდეს... ცეცხლი და ქარიშხალი! — თვითონ გადასძახა მუსიკოსებს, რომელნიც ცოტა მოშორებით იდგნენ.

მუსიკამ ხელმეორეთ დაიწყო, უნგარელი წამოხტა. ბუქნით ჩამოუარა, გაუსვა და შეტრიალდა, ერთი გასწორდა წელში და ისევ ბუქნას მიჰყო ხელი.

— ჩქარი! ცეცხლი! მეტი ცეცხლი!

მუსიკამ კიდევ აუჩქარა, მაგრამ უნგარელი წინანდებურათ ცერებზე ტრიალებდა, ქუსლებს აბაკუნებდა მწყობრად, ბუქნის დროსაც არც ერთი ტაქტი არ შეშლია.

— მეტი ცეცხლი! სიცოცხლე და სიკვდილი! — კიდევ დასჭყივლა უნგარელმა. მუსიკამ მართლაც ცეცხლი მოუკიდა. უნგარელს ფეხი აერია, შემოტრიალდა, უცბათ დაჯდა სკამზე, მუშტი მუხლზე დაირტყა და სასონარკვეთილებით ჩაიბუტბუტა:

— წამხდარვარ, წამხდარვარ კაცი: ფეხი ველარ ავაყოლე — ჩქარია... ლუდი და ჩარდაში ვერ არის მოწყობილი... ღვინო უნდა მესვა... მაშინ გაჩვენებდით, როგორ ცეკვავენ ჩვენი ბიჭები მთვარიან ლამეში, სოფლის გარეთ, იქ, დუნაის პირათ.

ნიკო ლორთქიფანიძე

საუკუნეთა ორლობეში

1

ძველი სასახლე ამთქნარებდა. წელიწადები მისრესოდა მის იდუმალ კედლებს და მზის ცხელი სხივები რუხ ლოდებზე ზაფხულებათ დაწერილიყო. ხავსებათ გადაკვროდა საუკუნოები სახურავს. დიდი ეზო კოინდრის ხალით მოგებული, ჭადრებითა და კოპიტებით შრიალებდა.

ძველი თავადი ელიზბარ იყო მფლობელი აქაურობის; მან მარტო იცოდა გარდაღმა საუკუნოების იდუმალობა.

აივანზე იჯდა იგი და გზისკენ იყურებოდა; მისი ერთად ერთი ქალი, დედულში პატარაობიდან წასული, უნდა ეწვიოს. მარტო ის იყო ელიზბარის ნუგეში. მარტო ის ყავდა ამ ქვეყნათ და ხუთი წელიწადია არ ენახა. ზის აივანზე ქოჩორ დავერცხლილი ელიზბარი და გზას გასჩერებია. გზაზე კი არავინ მოსჩანს, როგორც მომავალ საუკუნეების აჩრდილებში.

2

ყვავილებათ გაიშალა თექვსმეტი წელი მზისანასათვის. ცხელი ტუჩებით გაადნო სიცილი და ვნების ორლობეში მოასხურა. სადაც ის იფრქვევოდა, კოცნის ნარგიზები იშლებოდა და თავის დედას ეძებდა. თეთრ ვარდებათ შეიკუმშა მისი ტანი და მოცახცახე მზის სხივს უცდიდა, რომ გაშლილს მნახველი გაეკვირებია.

— მზისანა, მზისანა, — ეძებდა მზე მის თვალებს, როცა შიგ სევდას დაინახავდა. მზისანა გრძნობდა ამას და ილიმოდა მაშინაც კი, როცა სევდა აწვალებდა.

მაგრამ მისი ვარდი სხვა მზეს ეძებდა და ვნებით საუკუნეები მას ეძებდენ.

3

სიცილით შეიჭრა დიდ დარბაზში. არავინ იყო. ელიზბარი ორი დღის ცდის შემდეგ მთაში სანადიროთ წასულიყო.

მზისანა წელიწადებია აქ არ ყოფილა. ნოხებით დაფენილ დარბაზში დაისვენა. შემდეგ გადიას დაუძახა და დედის საპირფარეშოში გავიდა. ძვირფასი ტანსაცმელებითა და სამკაულებით სავსე იყო ოთახი. მზისანა კაბით მოირთო, სამკაულებით დაძვირფასდა. ცელქობით გამოხტა ოთახიდან და ტახტზე წამოწვა.

ნეტარ ოცნებას მიეცა: ვითომ იგი მეფის ასულია: ნიშნავენ; შემდეგ ქორწილია. შეკრთა. გააჟრჟოლა და ზეზე წამოხტა, რომ კარებში თვალი მოატანა ჯერ ახალგაზდა კაცს, რომელსაც ვერცხლის ფერი გზები თმაში შეჭროდა.

— შვილო!

— მამა!

და გაშტერებით მიეკვრენ ერთმანეთს. ნუთები ოცნების წელიწადებათ გადაიქცენ და შიგ ორივემ შესცურეს.

— მამა, ხომ არ გაუნყრები შენს ასულს, რომ ასეთი ტანსაცმელით დაგხვდი — მომეწონა და ჩავიცვი.

— განა მზეს უწყრებიან, გასაწყრომიც, რომ იყოს! — და ელიზბარი აქვითინდა.

4

მზისანას ღამით მოსვენებას არ აძლევდენ სიზმრები. ჯვარს იწერს, გარშემორტყმული დიდებულებით: შვენით ქულაჯა, ჩოხა, მესტები და წვრილ წელზე: დამბაჩა, ხმალი, სატევარი.

ირხვეიან, უცდიან იმ წამს, როდესაც ნადიმი დაიწყება, რომ ჯიხვზე გასცვალონ დამბაჩა, აზარფეშაზე — სატევარი. დაიუფლონ: ქალის ტუჩები, წითელი ღვინო.

ნადიმი იწყება. ისმის ტოლუმბაშის ყიჟინა. შემდეგ ყველაფერი მისწყდება, დაჩუმდება და გაისმის სევდიანი ბაიათი. გახედავს: ეს ელიზბარია. მამა მისი მღერის სევდიან ბაიათებს დაკარგულ ტრფობაზე. ყველა მას მისჩერებია.

მზისანას ცრემლები სდის. ყოველ დილას ნამტირალევი იღვიძებს. თვალეები სველი აქვს. ფიქრობს და ვერ აუხსნია.

ელიზბარი იშვიათად ნახულობს ასულს. იგი ქეიფში გაერთო. როცა ერთმანეთს შეხვდებიან, იდუმალი, არ ნახული ლანდებით ორივენი შეკრთებიან და ვნების საზღვრებზე დაინვებიან.

5

ზაფხულის ის საღამო იყო, როცა ეროდეს ბრძანებით იოქანაანს თავი მოკვეთეს: ყველა საღამოზე ცხელი, ვნებიანი და ცოდვილი, ყველაზე — უფრო ტრფიალებითა და ტანჯვის ორლობებით სავსე.

ორი დღეა ელიზბარი გადაბმულათ ქეიფობს. მაგრამ ქეიფობამ ვერ გაანელა მზისანას სულით დაისრული გული. მზისანა მისთვის აღარ იყო, ის რომ ცოლის — ჯადოსნურ სამკაულსა და ტანსაცმელში ნახა, დაიკარგა მისთვის ასული, წარსულის და მომავლის საზღვარმა წაართვა იგი. ცოლის ხავსიან აკლდამის ლანდს ებრძოდა ელიზბარი — ასულში გამოცხადებულს სტიროდა. მზისანა სწვადა ცოლის სახით მოჩვენებული, და ელიზბარი სცილდებოდა დღისა და ღამის საზღვარს იმ თვეში, როცა იოქანაანმა სალომე გააგიჟა.

6

ცხელი დღე კვესდა. ნალვერდალით იფეფქებოდა ჰაერი. იცოხნიდა მზე. მზისანა მოთენთილი მთელი დღე დარბაზში იჩრდილებდა.

მზის ლანდები გრძნობას უხუთავდენ. თეთრ თალხში გულლიას გაშლილი თმები სწვავენ. დიდ დარბაზში ტახტზე მარტოობა აგიჟებდა. ჩასთვლიმა. ცხელი სანახაობით აიხაზა ნადიმი. იგი კვლავ დედოფალია.. გულლია სუფრა. სევდიანი ბაიათი. შავი თვალეები მიაშტერდება. მიწყდება. მის წინ კივილით გადივლიან საუკუნეები. ჯვარედინათ გადისერხება ნოთა ყანნები. გადირბენენ კედლებზე ნიამორები, აყივლდება ბაღში ყარყუმი. და როცა შეშინებული გაიღვიძებს — კარებში დამდნარ მზის სხივების ლანდებში გამორჩნდება ელიზბარი: გადატყდება მთვრალ ზმორებით. გადაიქცევა ჭვრეტათ და ელიზბარი შავი თვალეებით დაიჭერს მზისანას ტანის ცოდვილ ზმორებას.

7

ელიზბარმა თავის ხელით მორთო ძვირფასი ძონეულის კაბით ასული. მენამული თავსაკრით შეუმკო შუბლი და შავი ბრილიანტის კოპით დაუმშვენა. ეთერის ლეჩაქით მოუფრქვია ჩიხტი. თვალმარგალიტით დაუძვირფასა შვილს ყელი. მზისანა კვირობდა. ეს ის იყო: ყოველ ღამე რომ სიზმრათ ელანდებოდა.

— მზისანა. — მოესმა მთელი დარბაზის ხმა. დიდებულები გარს ახვევიან.

— მზისანა! — გაიქვითინა აჩრდილებმა. იგი ერკვევა. დარბაზი ათასი ჩირალდნით ციმციმებს.

იგი ძვირფასი მუთაქებით მორთულ ტახტებზე ზის.

შორს, კუთხეში დარჩილი ელიზბარის ქვითინი მოისმის.

ჩაქრება ჩირალდნები. სარკმელიდან თეთრ ანგელოზებათ შემოფრთხილდებიან მთვარის სხივები. სიჩუმე... მოისმის ნელი, სევდიანი სიმღერა დამდნარ ტრფობაზე.

— მამა... — სიჩუმე.

გადიწვა საუკუნეების საზღვრები.

— ელიზბარ, — სულის ნანგრევებში წამოიძახა მზისანამ..

— მზისანა, — და ელიზბარი მის წინ გაჩნდა. იელვა ხანჯალმა და სიზმარეთის დედოფალი აჩრდილებს შეუერთა.

8

ოქროსფერ ნოხზე უძილო ძილით ეძინა მზისანას. მის ტუჩზე ღიმის თესლი ნარგიზათ ქცეული კიდევ ზღაპრობდა.

ელიზბარი თავით უჯდა და მოკლულ ზღაპარს ჩასჩერებოდა:

— ამისთვის... ამისთვის! — და მის ტუჩებს ჩაეკონა. დარბაზში უკანასკნელათ გაიქვითინეს ლანდებმა და კედლებზე წყევით აიხაზენ... ცხელი ავზნიანი ღამე იყო. ის ღამეა, როცა იოქანანს ეროდეს ბრძანებით თავი მოკვეთეს და სალომეს მიაერთვეს.

ღია ჩიანელი

9 იან., 1920 წ.

დაისრული სებასტიანე

„შვილდოსანი“ არ არის უკან დაბრუნება პრიმიტივისკენ. ბრძოლის იარაღათ ქართულ პოეზიას მარტო შვილდი არა აქვს. პირველი აფეთქება ქართულ პოეზიაში ყველა ყუმბარების აფეთქება იყო და „ცისფერი ყანწები“ დინამიტიტით გატენილი სარდაფია დღევანდლამდე. ჩვენ თავზე ჩვენ არ დავწერთ ისტორიას, ეს ბრძოლის გათავება იქნებოდა. ბრძოლა პოეზიაში არასდროს არ თავდება და მით უმეტეს „ცისფერი ყანწების“-თვის.

არის უცნაური ანალოგია: რევოლუცია ქართულ პოეზიაში უფრო ადრე დაიწყო პოლიტიკურ რევოლუციაზე, მას არ ჰქონია ეტაპები: თებერვალის და ოქტომბერის და აქამდის გრძელდება ამოვარდნილი გრიგალი. ვერავინ იტყვის, რომ „ცისფერ ყანწებს“ თანასწორი ომი გადაეხადოს ლიტერატურულ მოპირდაპირებთან, ჩვენი გული ერთხელაც არ გაუხარებია კეთილშობილ შებრძოლებას.

გილიოტინა, რომელიც „ცისფერმა ყანწებმა“ დაუდგეს წინა პოეტებს, ჯერაც ვერ ნახულობს მსხვერპლს, რადგან არავინ არ არის ღირსი თავის მოკვეთის, მხოლოდ ბანალური პოეტები ბუნებრივი სიკვდილით კვდებიან და შორდებიან პოეზიას. ბევრი სცდილობს შეგუებას, მათ არ რცხვენიათ „ცისფერი ყანწების“ მიბაძვის — მაგრამ ყველაზე უიმედო სწორეთ ესენი არიან და ყველაზე სამარცხვინო მათი სიკვდილია. ამ ხალხს იმდენი გამბედაობაც არ გამოაჩნდათ, რომ თვითმკვლელობით გაეთავებიათ.

ოთხი წელი „ცისფერი ყანწების“ გამოცემის დღიდან საკმაო გახდა, რომ ქართულ პოეზიას ერთიანათ შეეცვალა ჭრონტი. ამ წლების განმავლობაში არც ერთი სახელი არ შემატებია ქართულ პოეზიას, რომელიც თავის შემოქმედებას არ იწყებდეს „ცისფერი ყანწები“-დან, და მის ნიშნის ქვეშ არ მიდიოდეს...

მართალია, ზოგჯერ ეს ახალგაზობა ვერ იკვლევს გზას და კარიკატურით აჩვენებს თავიანთ მეტრების სახეს — მაგრამ აქ მხოლოდ ფაქტია ასანიშნავი. „ცისფერი ყანწების“ პოეტების წინ სხვა უფრო დიდი პრობლემა იდგა, ვინემ წინა პოეტებთან ბრძოლა.

მაშინ, როდესაც სიმბოლიზმმა შეკრა თავისი რკალი: ბოდლერმა ისე დახრწნა ლექსი, როგორც მისი ბებერი დედაკაცის კუბო, რომელიც ბავშვის კუბოსგან ვერ ირჩევა, როცა ატირდა გაუისმანსის დეზესენტის რასიული სიფილისი და ყფულ ლაჭორგის ჭლექი და

მთელი პოეზია, ლოტრეამონის გომფაშო მალდარორის მონოლოგათ იქცა, და ვერხარნი დატეხილი ლექსის თუჯის ბარაბანით მარხავდა კულტურას, როცა ანდრეი ბელიმ, როგორც მენამულმა ჭინკამ დაატრიალა პეტერბურგი — და მთელ რუსულ პოეზიას, გრიგოლ რობაქიძის თქმით, მოედვა „აპოკალიპსის ეპილეპსია“ — ქართული პოეზია ამ დროს უნიჭო პოეტების არენა იყო.

არ არის საჭირო ამ ხალხის გვარების გახსენება, მათ თანდათანობით მივიწყებას პოეზიის პრესტიჟის დაცვა მოითხოვს.

არ უნდოდა დიდი გმირობა ამ პოეტების უარყოფას, უფრო საჭირო იყო ნამდვილი ღირებულების შექმნა... და სწორეთ ამ კრიზისის დროს გამოვიდა „ცისფერი ყანწები“...

შვიდ სტრიქონიანი „სონეტები“, შანსონეტური ეროტიკა, ყარაჩოლული უზრდელობა, გაკრეტილებული „მიმართულების“ პოეზია, ყარამანიანის გძელი პოემები ძველი მგოსნებისა ჩამოშორდა პოეზიას.

გრიგოლ რობაქიძემ ლექსს მისცა ბრინჯაოს ჭედა, ჩამოსხმული სონეტები კლასიკური სიმტკიცით თანდათან ადიდებდენ დიდ ოსტატის სახელს, მისივე თქმით, მიქელანჯელოს ინტელექტი პირველათ დაეუფლა ქართულ პოეზიას; ყოველი მეტრის ბედია, ახალი ღირებულების შექმნის დროს არ იყოს უკიდურესი.

ამიტომ გრიგოლ რობაქიძეში მეტია კლასიციზმი, ვიდრე დეკადანსი. იგი დაჯერებული სიმბოლისტია. ეს შემოქმედებაში. კრიტიკაში პირველათ გრიგოლ რობაქიძემ ნამოაყენა ქართული ლექსის პრობლემა.

პაოლო იაშვილი დარჩა ისეთივე ამაყი, როგორც თავის „პირველ თქმაში“. მისი „ფარშავანგები“ ამ რევოლუციის დროშათ ანათებს და ჯადოქარ ხელით გაჭედულ სონეტებთან ერთად ის ყველაზე უფრო სტეხავს ლექსს და აძლევს ახალ სტიქიას. მან მზეს მისცა სხვა სიმწვავე და ბოგემას სხვა უფსკრული.

მან დაიჯერა თავის მანიფესტით საქართველოდან დიდი ქალაქის შექმნა და ქალაქის პოეზიას მისცა თავისი სტილი და გაქანება და ისევე ჯვარცმულია ამ ეფემერულ ქალაქში, როგორც ვერხარნი.

ვალერიან გაფრინდაშვილმა შემოიტანა ქართულ პოეზიაში ინტიმობა. მისი „დაისები“ ფარდაა, რომელიც ამიერიდან გაჰყოფს ნამდვილ პოეზიას წარსული ბანალობიდან. არც ერთი ხაზი ეტნოგრაფიის — მისი მარშრუტია საფრანგეთი და მსოფლიო. მისი ფანტაზია, რომელიც გადადის ფანტასმაგორიაში, ეყოფა ყველა ქართველ პოეტს მიქელ მოდრეკილიდან დანყებულნი ჩვენ დღემდე, მის ლირიკას არ აქვს ერთი წვეთი წყალის, ყოველი ლექსი ამღერებულია და დათავებული. ვალერიან გაფრინდაშვილმა შეისწავლა ჩრდილების ბიოლოგია და შეუძლია, როგორც ჩინელმა, უკუღმა ააშენოს სახლი.

სხვა დროს სხვა მწერალმა სამი ტომი მაინც უნდა დაწეროს თვითეულზე ამ სამში — ქართული პოეზიის ისტორიაც აქედან დაიწყება.

ის რაც „ცისფერი ყანწებით“ შეიქმნა, მართალია ავსებს წარსულის ცარიელ ხრამს, მაგრამ კრიზისი მაინც გრძელდება.

„ცისფერი ყანწების“ შემდეგ შესაძლებელი გახდა ამისი თქმა:

„პოეტების სახელები ძნელი დასამახსოვრებელი შეიქმნა. აღარ დაიტევს ერთი ადამიანის სიცოცხლე ამდენ წიგნს, იცვლება წერის მანერა. გზა მინიატურით მიდის სათაურისკენ. შეიძლება შეიცვალოს კითხვის მანერაც და მომავალმა ერუდიტმა მარტო სათაურები იცოდეს“ (სანდრო ცირეკიძე: „სათაურები პოეზიაში“).

„შვილდოსანის“ ისრები არ იქნებიან მიმართული მარტო ლიტერატურულ მონინაალმდეგეებზე. დღეს თვითონ პოეზია, როგორც წმინდა სებასტიანე, უნდა დაიცხრილოს ისრებით.

ლაჭორგის და ლოტრეამონის შემდეგ დღე ისე არ ღამდება, როგორც წინათ და ამ კოშმარულ ღამეებს უნდა სხვანაირი გათენება.

პოეზია, როგორც მორიელი დაუბრუნდა თავის საკუთარ თავს შხამით — ეს ყველაზე უფრო საშინელი ტერორია.

მსოფლიო ომი, სოციალური რევოლუცია და კომუნისტების გამარჯვება ამტკიცებს, რომ ძველი ქვეყანა მოკვდება როგორც მოხუცი კრეტინი. — სთქვა მან უკანასკნელი რეკვიემი საკუთარ თავზე და არის ნიშნები ახალი მსოფლიოს შექმნის?

ყველა პოლიტიკურ რევოლუციებს წინ უსწრობდა რევოლუციები პოეზიაში. ძველი კულტურის ბედიც პოეზიის ხერხემალზე უნდა გადატყდეს... მაღდარორის პირით ლაპარაკობს თვითონ პოეზია და მოითხოვს ახალს და სხვანაირ რეაქციას.

რუსეთში ამ მაღდარორის ენით ლაპარაკობს ა. კრუჩონიხის მისი ტეზისით „დირ-ბულ-შჩილ“. ფუტურში კრუჩონიხით არ ამოიწურება — არის სხვანაირი რეაქციაც გარდა „ბუდეტლიანებისა“ და ამ ახალ რეაქციაზე ვიტყვით ჩვენ...

ტიციან ტაბიძე

რითმა და ასონანსი

ქართულ რითმას აქვს თავისი ისტორია.

მას ყავდა მცველები და აპოლოგეტები. შოთა, შავთელი, გურამიშვილი, ბესიკი რითმის დონ-ჟუანები იყვნენ. ილიამ და ბარათაშვილმა დააქვრივეს რითმა. ქართულ რითმას დიდხანს არ ენახა თავი საქორწილო სანოლში. მეოცე საუკუნეში ქართულ პოეზიაში დაინყო რითმის რენესანსი.

გრ. რობაქიძემ სთქვა ქართული რითმის შესახებ საბედისწერო სიტყვა და იმის შემდეგ რითმა გაიმართა, როგორც მიმინო. „აისში“ დაიბეჭდა „რითმების ტურნირი“ და იქ რითმა ასე იყო დახასიათებული:

„რითმა არის სიტყვის ორეული და სტრიქონის ბრწყინვალე მსაჯული.

მას შეჰყავს ჩვენებათა ქაოსი სამუდამო ნაპირებში.

აი, რითმები — პოეტების ახალი პორტრეტები“.

მოყვანილ რითმებში იყო ასონანსებიც.

ბერძნებს და რომაელებს არ ქონიათ რითმა. უალღი ამბობს: „ღირას, რომელიც ძველებმა გვიანდერძა, ჩვენ მივუმატეთ ერთად ერთი სიმი — რითმა“. რითმაში არის რალაც მისტიური და საიმედო. ბარატინსკის აზრით, რითმა არის იმის სიმბოლო, რომ თვით სამყაროში არსებობს ფარული გარმონია. მხოლოდ რითმა სცნობს პოეტის ოცნებას და ამხნევებს მას ცხოვრებასთან ბრძოლაში.

ჩვეულებრივი სწორი რითმების რიცხვი ყოველ ენაში განსაზღვრულია.

პოეზიაში შემოიჭრა ასონანსი — მოულოდნელი და უცხო სტუმარი — ავზნიანი და ჩქარი, აპოკალიპსის ჩვენებასავით გაუგებარი.

ქალაქის პოეზიაში თავისუფალ ლექსს და ასონანსს დიდი ადგილი აქვთ, რადგან პსიხიკის გართულება მოითხოვს ახალ ხერხს და მეთოდს. დადგება დრო, როდესაც არ დაგვაკმაყოფილებს არც დისონანსი — მაშინ დაიწყება ძიება ახალი რითმის. ახალი რითმის გამოგონებას დასჭირდება თავისი კოლუმბი. პოეტებს ახლაც შეაქვთ ცვლილება რითმაში ასონანსის და დისონანსის სახით.

ქართულ პოეზიაში ასონანსი სრულიად შეგნებულად და არა შემთხვევით შემოიტანა პაოლო იაშვილმა.

თუმცა რითმის ნახვა შრომის საქმეა, მაგრამ აქ ფანტაზიაც საჭიროა უსათუოდ. ვისაც შეუძლია მოიგონოს ასეთი რითმა: სილაში ვარდი — სილაჟვარდე (გალაქტიონი), უკაცრავად — დაუკანრავად (პაოლო) — იმას აქვს რითმის მჭერმეტყველი ფანტაზია და რითმის ხილვა.

ტიციან ტაბიძის ნესტიანი რითმა: „საცოდავი — სადავე“ აქამდე ხმაურობს ჩემთვის, როგორც ნვიმიანი დღე. „ქალდეას ქალაქების“ ავტორს არ უყვარს მყვირალა რითმები — მისი რითმა ინტიმურია. გრ. რობაქიძემ იცის ნახვა რუხი რითმების (მელანქოლია), რომელნიც ავტორთან ერთად იზმორებიან დილის ფერფლიან ბურუსში. მის ლექსებში არის ამაყი და უქალწულესი რითმები: „მესხური — მოესხურა“, „ქიმერებს — ხვიმერებს“, „დაათავებს — ათოვებს“. რითმებს დადგმა, შეფარდება სჭირდება (მაგალითად, სონეტში) და ყველაზე უფრო დიდი რეჟისორი რითმის არის — ფარშავანგი პაოლო იაშვილი.

ახალგაზდა პოეტებში რითმას ყავს ერთგული მსახური და კოლეკციონერი — შალვა კარმელი — თუმცა მისი რითმა ხშირად უსულო და მექანიკურია. ქმედითი რითმა ყოველთვის სავსეა სიცოცხლით და იწვევს უამრავ ემოციებს მკითხველში.

რაჟდენ გვეტაძეს უყვარს მედგარი რითმა — კომანდორივით მძიმე და უღმობელი.

კოლაუ ნადირაძის რითმას: „ქანდირბაზი — ძვირფასი“ — ბევრი პოეტი ინატრებს თავისთვის, როგორც ლამაზ ქალს. აქამდე გრიშაშვილი რითმის მეფედ ითვლებოდა, თუმცა მის გვირგვინში ბევრი ნასესხები მარგალიტი იყო. მის რითმებს სხვები იმეორებენ, მაგრამ ის თვითონ რითმის ავაზაკია. ბევრი რითმები მოსტაცა გრიშაშვილმა მეგრელიშვილს, რომელიც იყო რითმის პაყი და არგონავტი. გრიშაშვილს ემარჯვება კლასიკური რითმა და იმას შეუძლია რითმების ლექსიკონი შეადგინოს, რომელიც ჩვენ არა გვაქვს. ნაკლებად არის ცნობილი რითმა, როგორც პორტრეტი, როგორც მორალური და ესთეტიური კათეგორია. თუ პოეტს თავისი რითმები არა აქვს, მისი ფიზიონომია ძნელი გამოსარკვევია. რითმა ხომ უმეტეს შემთხვევაში არის მხატვრული სახე. სხვისი რითმის გამეორება უდრის სხვისი სახის მითვისებას. რითმა იმის გარდა, რომ ლექსს გარმონიას ანიჭებს, ბადებს მკითხველში ახალ სახეებს. ხანდახან რითმა უკარნახებს პოეტს მისთვის უცაბედს და უცხო სახეს.

პოეტი რითმებიდან კოშკს აშენებს. ზოგი რითმა შურდულიდან გასროლილ ქვას გავს, ზოგი მოელვარე ყუმბარას. ახლა ქართულ პოეზიაში მაღალი და ახოვანი რითმებია (დაკტილიური რითმა). საჭიროა რითმების დარბილება. ბრინჯაოს რითმების გარდა საჭიროა ფაიფურის და გიშერის რითმა — აგრეთვე სურნელი რითმა — თეთრ ყვავილებიდან. არის ჩონჩხიანი რითმა — მაღალი დაზიანებული ხერხემლით, რომელიც დონკიხოტური გიჟი თვალებით დაჰყურებს სამყაროს. ეს არის ასონანსი. ასონანსი გერმანოფონიის მსგავსია.

„ჰაერი — სხვანაირი“, „მაესტრო — დაესწრო“. ეს ხმები ერთ ორეულ ბგერათ ელანდება სმენას. ზოგი ასონანსი მაღალია, როგორც კოშკი, როგორც სულამითის ან გედის კისერი. რითმებს — ამორძალებს დიდი ხანია ადიდებს პოეტი, მაგრამ დღეს ძველი რითმა უნდა გაუქმდეს, ან აღდგეს ასონანსის სახით. ქართული ასონანსი ჯერ არ არის გაბედული და უფრო კანონიერ რითმას გავს: „ტანსაფარავი — არავინ“. მაგრამ ქართულ რითმას უკვე ეზმანება ქალაქი და ქალაქი მისცემს მას თავის ჭირვეულ ტემპერამენტს.

დღეს ბევრია პოეზიაში პატივხადილი რითმები, რომელნიც ყველას ეკუთვნიან. არიან პოეტები, რომელთა ბანალური ლექსები რითმების ნამდვილი საროსკიპოებია. ძველი სახელგანთქმული რითმების და ასონანსების შორის იწყება ბრძოლა ქართულ პოეზიაში. აღსანიშნავია ფუტურისტების რითმა. ასონანსი ფუტურისტულ ლექსებში ყირამალას გადადის. რუსი პოეტის მაიაკოვსკის რითმები — მაკადამია. ამ პოეტის ლექსებში ასონანსები წამებულა და ისინი კუნტების, კოჭლების და ქიმერების შთაბეჭდილებას ახდე-

ნენ. ქართულ პოეზიაში არის გადაჭრილი რითმები (ампутированные рифмы), „ნორჩი — მორჩილი“, „არამხანა — ამხანაგი“. აქ რითმა შეყენებულია მაშინ, როდესაც მან უკანასკნელი ნახტომი უნდა გააკეთოს. არის ქართულ პოეზიაში რითმა, რომელიც იწყება პირველ სტრიქონის ბოლოში და თავდება მეორე სტრიქონის დასაწყისში.

ქართული ასონანსი ჯერ თითქმის ხელუხლებია და აქ შესაძლოა დიდი მიღწევები.

რიტმა სტატიურია — ასონანსი დინამიური. ასონანსი ხშირად იძლევა კატასტროფის ილიუზიას, ხშირად გრგვინვის, საფირონის და ზურმუხტის განცდას. ზოგი ასონანსი ჰაერში ავიატორის დაღუპვას გავს. არის პატრიარქალური რითმები, არის რითმები — ოფელიები და რითმები — მედუზები. არის ნათელი და ბნელი კომპარული რითმები. არის რითმა — აივანი და რითმა — ეშაქოტი.

ლოტრეამონის საშინელი ცქერა და ცივი ტუჩები, ვერჰარნის განწირული სახე, ვერლენის ბელატი თავი, რემბოს ავათმყოფი ფეხი, როლინას ნევრასტენია და ბოგემის მთელი სასონარკვეთა უნდა გატარდეს რითმაში, რომ შეიქმნას ახალი რითმის პოეტიკა.

რიტმას ქონდა თავის ოქროს ხანა, ახლა იწყება რითმის შემოდგომა და როდესაც გათავდება რითმის გახრწნის პროცესი — მაშინ ჩვენ ვიტყვი: რითმა მოკვდა. მაგრამ რითმა, როგორც კლეოპატრა, ბევრ საყვარელს გამოიცვლის, ბევრ მასკებს ნახავს, სანამ ის, როგორც ნანა, სრულებით არ გაიხრწნება და არ გადააგვარებს პოეზიას.

ჯერ ქართული რითმა ჯანსაღია და მზით არის განათებული. მის წინ დიდი გზაა და დიდი პერსპექტივებია.

ვალერიან გაფრინდაშვილი

ქართული პოეზია

გ. ტაბიძე. „grüne aux fleurs Artistiques“. II ტ. თფილისი. 1919 წ.

ვ. რუხაძე. „ცხოვრების ყვავილები“. III წიგნი. კანტორა განათლების გამოცემა. თფილისი. 1919 წ.

„ლეილა“. აღმანახი ი. გრიშაშვილის რედაქციით. თფილისი. 1920 წ.

მიუდგომელი მინდა ვიყო. გალაკტიონ ტაბიძე ჭეშმარიტი პოეტი არის — მაღალი რანგის. ეს ბევრს ავალებს მას. მისი ლიტერატურული ბიოგრაფია 1907 წლიდან იწყება. პერიოდი „სევდიან“ ლექსებისა მან განვლო და პირველ წიგნში ვალი მოიხადა თავის ახალგაზდობის წინაშე. რამდენიმე წლის შემდეგ მისი მეორე წიგნი გამოდის. ჩვენ დიდის ყურადღებით შევხვდით მას, მით უფრო რომ ჩვენ ის დასრულებულ პოეტათ მიგვაჩნდა „ცისფერ ყანნებში“ მოთავსებულ ლექსების შემდეგ.

„ლურჯა ცხენები“ შედეგია, თუმცა გალაკტიონ ტაბიძის ქმედით ინდივიდუალობას არ ეთვისება. ამ ლექსის შემდეგ ჩვენ სხვა შედეგებს ველოდით, მაგრამ წიგნში ვერსად აღმოვაჩინეთ. ირრაციონალური პოეზია „ლურჯა ცხენებისა“ არსად არ მეორდება მისი საოცარი დინამიკით. იქნებ ეს უკანონო მოთხოვნილება იყოს. შეიძლება ის შემთხვევითი ლექსია — ალკოგოლის კომპარი, ცრემლებით და რითმით გაკეთილშობილებული.

მთელი წიგნის მიღება გასაჭირია: აქ არ არის დაცული ესთეტიური კულტურა და მხატვრული სისწორე. პრეტენზიებს ჩვენ გვერდს ვუართ.

„ფარულ ტკივილების ბალი დაბურული
 ასეთ გრადაციით მიდის ფრთა — ზვიადი! (?!)
 ღამე — მარტოობის მტევნით დახურული (!)
 ფარდა იდუმალი, სარკე — იშვიათი.
 ღამე ჩრდილოეთში უნდა გამეთია.
 როცა აზიიდან მოდის განათება —
 ათას საუკუნის მთელი ტრაგედია
 მოსდევს მოგონებას როგორც ანათემა.“

(„გრადაცია“. გვ. 27)

„ვენერა სარკესთან. ეგონა ფრაგონარს (?)
 პალაცო პიტტი და პერუჯი, ვენეტა.
 ფერები მიენდო მშვენიერ საგონარს,
 რომელსაც იძლევა ხმები მასენეთა“. (!)

(„ვუალისა და ვიოლის შესახებ“, გვ. 47)

არის სასტიკი ადგილებიც, უმხატრო, ყალბი „ბუტაფორიის შეხლა“. ჩვენ ამას თამამათ ვამბობთ. მაგალითი:

„მინც სად გაქრა ეს წერეთელი
 ჩხეიძეც გაქრა, როგორც ასეთი! (?!)
 ვიყავი ჩემთვის. ეხლა წერტილი!
 სიკვდილი ერთი და უცაბედი“. და სხვ.

(„რამდენიმე დღე პეტერბურგში“. გვ. 109)

ზოგიერთი შედარებები და მეტაფორები თარგმანია ჩვეულებრივ რუსულ სახეებისა, თუმცა სიძვირფასის შთაბეჭდილებას იძლევიან. მაგრამ ერთი რამ ითქმის უსათუოდ: ნიგნში არის ამლერება (наплев), და თუ სამი სტრიქონი ყალბია, მეოთხეში დიდ პოეტს იგრძნობთ. კარგია ლექსები: „მარმარილო“, „პარალელი“, „ედგარი მესამედ“, „სახლი ტყის პირად“, „შენი სადღეგრძელო“. გალაკტიონ ტაბიძისთვის სახიფათოა ის ქება, რომელიც მას ერგო ბ. გომართელის, პაპავას და სხვების მიერ. ეს სწრაფი მიღება არ არის გასახარელი მით უმეტეს, რომ მას ყველაზე პირველათ აგრარულ საკითხზე ჭკუა დაქნილი კრიტიკოსები ასხამენ ქებას.

საქართველოში ყოველთვის ადვილი იყო პოეტის სახელის ტარება, და არც ერთ ქართველისთვის პოეტათ ყოფნა ჯერ კატასტროფით არ დასრულებულა. ქართული პოეზია და ქართული სცენა ყოველთვის ერთი განცდის ქვეშ იყვნენ და ერთ ღირებულებას წარმოადგენდნენ. ქართველი პოეტი და ქართველი არტისტი ეს ორი საოცარი კონვენიალობაა ბანალობისა. გრიშაშვილი და „არშინ მალ-ალან“ — ჩვენი გემოვნების და ესთეტიურ კულტურის კოეფიციენტათ უნდა ჩაითვალოს. მათი გამარჯვება სასწაული არ ყოფილა, არც მოულოდნელი. დღეს საქართველო ეშაფოტათ გადაიქცა ზოგიერთისთვის და ბევრი დაიტირებს მას, როგორც დაკარგულ იმედს.

იოსებ გრიშაშვილის პოეზია „არშინ მალ-ალანია“, სადაც საუკეთესო როლი ასკარას ეკუთვნის. ვარლამ რუხაძის პოეზია მაზოლია, რომელიც უნდა მოიჭრას. თუ გრიშაშვილის ნიჭი და კულტურა (ჩვენ ვიცით, რომ ის მოკარნახეთ იყო თფილისის თეატრში) ავლაბრელ მოქალაქის ემოციების გალექსას მოუნდა, მეორე სანწერილმანო სავაჭროს ნოქრის პოეტურ განცდებს გადმოგვცემს. მაგალითი:

„ნუ მტანჯავ, გეთაყვა, ნუ მტანჯავ უწყალოთ.
 წყურვილით ვიხრჩობი, ნუ მომკლავ უწყალოთ.
 მომხელე, შემიტკბე, სევდა — ჭირს მარიდე...
 ბადრ სახეს რომ გიმკობს, მაჩუქე მა რიდე!“

(„ბარათი“)

ან და:

„საქართველოს არნივმა — დაამსხვრია გალია;
 ფრთა ფრთას ჰკრა და გაჰფრინდა, თავს მოველო ამაყ მთებს.
 ცხოველ მყოფელ მზეს მისწვდა, იქ ნექტარი დალია,
 გამარჯვება დიად მიულოცა მაშვრალ ძმებს.“

(„საქართველოს არნივი“. ძღვნათ კაკი წერეთელს)

ყოველი ლექსი ამგვარ შედეგს წარმოადგენს. ჩვენ არაფერს არ ვურჩევთ ვარლამ რუხაძეს და მის ამხანაგობას.

„ლეილას“ ჩვენ არ ვუცდიდით დაიჭვებით: ჩვენ ვიცოდით, რომ თბილისი პოეტების ელდორადოა და გრიშაშვილს არ გაუჭირდებოდა თავისი აღმანახის გავსება. „ლეილამ“ გაამართლა თავისი *raison d'être* სრული, ყველასათვის მისაღები ვულგარობით და მხატვრულ სიღატაკით. მოუხერხებელია ყველა ლექსის დაფასება, ვინაიდან მხატვრულ საზომის გარეშე სდგანან. ამ ციკლს ეკუთვნის უმრავლესობა: ფაშალიშვილი, მჭედლიშვილი, მარიჯან, აბაშელი, შანშიაშვილი (ეს დიდი პოემისტი ჩვენი დროის) და სხვები.

დიდი პოეტის შემოქმედებაში ყალბი ლექსი შესაძლებელია. მაგრამ ეს უბედური გამონაკლისია; მდარე პოეტისათვის კარგი ლექსი ბედნიერ შეცდომას შეადგენს. გრიშაშვილი უკანასკნელ კატეგორიას ეკუთვნის და მისი ლექსი, როგორც: „ტრიოლეტები შეითან ბაზარში“ (ფორმის დარღვევით) და უკანასკნელი „ქორწილი ჩვენ უბანში“ (ელენე დარიანის გავლენით) ამგვარ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს.

ვ. კოტეტიშვილის აზიოფილობა საზღვრებს სცილდება და სრულიათ არ ეთანხმება პრინციპს, რომელიც „ლეილას“ პირველ ნუმერში გრიგოლ რობაქიძემ გამოაცხადა. თანამედროვე „ვილაც ფრაკით საქართველოში შემოჭრილი“ ამბობს: „ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ვერ დავსთმობთ. უმჯობესი იქნება, მათი ქორწილი ქართულ ნადიმით გადავიხადოთ“. მეორე ქმრის ხელში „ლეილა“ გამოიცვალა. ეს ქალის თვისებაა.

ჩვენ ვიცით აზიის ღირებულება. ქართულ პოეზიას აზიურობა არ დაკლებია. არ აკლია ახლაც. საიჭვო არის მხოლოდ ის, რომ ევროპამ „ლეილაში“ ვინმე „შეშალოს“: ამისათვის ისინი საკმაოდ აზიელები არიან და საკმაოდ ჯანმთელნი — საბედნიეროთ.

კოლაუ ნადირაძე

ლიტერატურული პროფილები

ვალერიან გაფრინდაშვილი — „დაისები“

ქუთაისმა გვიჩვენა წიგნის კულტურა. „მეოცნებე ნიამორებისა“ და „კირჩხიბის“ ყოველ გამოცემას ამჩნევია ოსტატის ხელი. ასეთია „დაისებიც“. ეს პირველი წიგნია ყანწელის და მით უფრო საინტერესო: აქ უნდა ვეძიოთ სიმბოლიზმის პირველი გამართლება საქართველოში.

ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზია სუბიექტურ ემოციათა ანარეკლია, ჯადოსნური სარკეა. მისი სულიერი განცდების ყოველი ნაჟანსი საოცარი ფერებით არის ჩაძირული ამ სარკეში. ინდივიდუალური ასახვა მოვლენისა რელიგიური განცდაა შეპუდრული ნილაბით მოჩვენებული. პოეზია, როგორც სავანე რელიგიურ ჭვრეტისა, გავლას შეუმჩნეველ ხიდზე მეორე დასაწყისში, კავშირია ორი სამყაროსი. გაფრინდაშვილის პიროვნება გაორებულია და ეს მეორე „მე“, ჰამლეტის ტოგაში გამოსხვეული, მუდმივი თანამგზავრია მისი. წარმოდგენა უხსნის გზას პოეტის ფანტაზიას და ინვესს მასში დაუშრეტელ ოპტიმისტურ სიხალისეს. გაფრინდაშვილი წარმოდგენის საშვალეებით ჰქმნის ახალ სამყაროს, არსებულის ანარეკლს. იბადება კითხვა — რომელი უფრო რეალურია ყოველ შემთხვევაში, რეალობა პოეტისათვის ერთი გარდამავალი ზონაა. მის გადაღმა, პოეტის შინაგან ათვისებაში, ჩამოისხმის მარადიული სახე დაუსრულებელ სამყაროსი. აქ თვით პოეტია მდგომარეობის ბატონი. ასეთია ექსტატიურ წარმოდგენის სიძლიერე. მას შეუძლია უფრო ცოცხალი სახით, დამძიმებულ ფერებით, გააცოცხლოს ყოფილი ან ზმანებული სურათები. პოეტმა ნახა ქარვისფერ ქარში საოცარი ხელთათმანი და შეიყვარა იგი ხელზე უფრო. საკმარისია პოეტისთვის ხელთათმანის ხილვა, რომ მოელანდოს მას უცხო ქალწული სარკის სურნელოვან სიღრმეში. პოეტი ეტრფის ხელოვნურ თითებს: მათში არის დამალული სული უცნობი ქალწულისა.

გაფრინდაშვილისთვის ჭვრეტა არის მთლიანი და რთული პროცესი. იგი წინამორბედი საგნის შეცნობისა. ამიტომ პოეზია და ხელოვნური შემოქმედება პრიმატია. ფარავს ყველაფერს — სინამდვილე გამოგონებაა. პირველი სრულყოფილია, ავხაზებში მომწყვდეული. მეორე დაუსრულებელია, მცდარი და მოკლებული სიღრმეს. პოეტი გათქვეფილია სავსებით პირველ სამყაროში და იქიდან იყურება მონყენილ ირონიით. ფუგა — სადაც ინასკვება დუალისტური აღელვება სულის — სარკეა, ყველაზე უფრო ღრმა და წმინდა. ამიტომ უყვარს პოეტს სარკის ნატეხი. იქ, მის სიღრმეში მოსჩანს აჯანყება მიღმა არსებულ ფანტომების, მისტიურ ორეულების. ეს პოეტის მეორე სამყაროა ფანტასმაგორიულ სახეებით დასახლებული. ამიტომ დაეზარება სინამდვილეში დაბრუნება. პირველი უფრო ნამდვილია და განცდილი. პოეტს სწამს ერთი ესთეტიკა: ესთეტიკა მოჩვენებების და გაურკვეველ ლანდების. ორეული პოეტის მუდმივი, მარადიული თანამგზავრია.

„ორეულებთან შეხვედრა ხიდზე“ სასტიკი შებრძოლებაა პოეტის თავის ბედისწერასთან, უაღრესი დაჭიმვაა ენერჯის.

„შევებრძოლები ორეულებს მეტი სიმწარით
და წრეს ჯადოსნურს თავს დავაღწევ გაგიჟებული“.

არც ერთი არ ეგუება თანამედროვე ფსიხიკას ისე, როგორც გაფრინდაშვილი მისი „შუა-გაპოზილ სულით“, შემოქმედ გალიუცინაციებით.

ჩამავალ მზის სპილენძის სხივებში, ლაღით შეღებულ ცაზე დადიან ნაირი მოჩვენებანი, რომელნიც მესმერიულ ჩაგონებით იჭრებიან პოეტის ასარკებულ სულში: დაისი პირ-

ველი, დაისი მეორე, დაისი მეხუთე ამ მოჩვენებების რკალია მჭიდროდ შეკრული. საკვირველი სიძლიერით ქრის ეს მოჩვენებათა გრიგალი. ეს მოჩვენება კი ისევ — მისი ორეულია. კვლავ იბადება ეჭვი: რომელი დამარცხდება ამ დაუსრულებელ ქაოტიურ დუელში? ყოველ შემთხვევაში მისი ორეული უფრო ნამდვილია, უფრო მისაღწევია:

„მე ისევ ვეტრფი ორეულთა სასტიკ მყინვარებს
რომ აჩრდილების მოვისმინო თეთრი ბრძანება“

(„სურნელი სარკე“)

გაფრინდაშვილი ყველაზე უფრო მდიდარია ფანტაზიით. მან დააყენა ქართულ პოეზიაში სახის პრობლემა. ყოველი მისი ლექსი ამ სახეების მზიური გამოფენაა. „დაისი მესამე“:

„ინვის არლანი, იკლავნება იქ ფისმანდური
და ჩემი ცქერა მოჩვენებას კვლავ შევაფარე.
ანგელოზები სამართებლით პარსავენ ლოთებს
მსახურებს დააქვთ ოპიუმი მაღალ ვაზებით“ და სხ.

ამ ლექსში საოცარი სიუხვევა კვეთილი სახეების. მაგრამ ამასთანავე არის აღმოსავლური ყნოსვა კაფესი და დაისის დაფერფილი სუნთქვა. აქ არის დაქცევა ჩამავალ მზის სიჯამბაზის.

უფრო ხშირად გაფრინდაშვილის სახეებს განყენებული იერი აქვს. ეს აძლევს მთელ პოეზიას აბსტრაქტიულ სახეს. ჩემთვის ეს დადებითი მოვლენაა.

პოეტი ახალი ესთეტიკის ვირგილიუსია ჩვენში: ამით აიხსნება მისი მიდგომა გაუგებარ აზრის და მისტიურ თრთოლვის. მან გააბატონა მკრთალი მისტიური სახეები, ანალოგიები, სიმბოლოები საკვირველ ლითონებით. მისი ოფელია პირველი მარადიული ქალური სახეა ჩვენ პოეზიაში.

„შენ სულს ჩემო, საოცრება ისევ შეჰქმენი“.

(„ოფელია დაისებში“)

ოფელია — მიუნვდომელი სახეა სიზმარში ნახულ წმინდა ასულის, რომელიც ხან „განისლდება“ — ხან ლოცვად იქცევა.

გაფრინდაშვილმა გვიჩვენა ქართული პოეზიისათვის უჩვეულო ინტიმოზა და სულიერი განწყობილება.

„მივეყები მთვარეს დაულალავს მე მორიდებით
ვით კოლომბინას ტიცვიანი ნორჩი, თვალღია“.

(„თვალთა საფერფლე სევდიანი – ყვითელი მთვარე“)

რას შემოადგებს მთვრალ კაფეში ლალი მგოსანი
და ეს იქნება თვით პაოლო, თვით სხივოსანი“.

(„დაისი მესამე“)

ან და — მკრთალი ხელებით ასწევს სტრიქონებს შუა ფარდას კოლაუ „ცხვირგატეხილი“.

გაფრინდაშვილის ლექსს აქვს თავისი არხიტექტონიკა, ინდივიდუალური სახე. უმთავრესად მისი აზრი გაბედულად და შეუზღუდველად იშლება 14 მარცვლოვან სტრიქო-

ნებით აწყობილ ლექსში. უკანასკნელის მძიმე რიტმიული სვლა სავსებით ეგუება პოეტის აზრის აბსტრაქტიულ გაქანებას. მთელი მისი პოეზია — დორიული ტაძარია მძიმე და ამაყ სვეტებით დაჩრდილული.

პოეტს უყვარს სიტყვის სიამპარტავნე და ინტიმური აზრი. მისი სიტყვა ფოლადივით მძიმეა, ხანდახან ძნელი ასაღები ხელში, მაგრამ მძიმეა თვით პოეტის მოჩვენება, მათი დენა მოითხოვს სიტყვის ნელ რიტმიულ სვლას. გაფრინდაშვილი სიტყვის არისტოკრატი-ოსტატია. მოხდენილად თლის სიტყვის ახალ ფორმებს; არსებით სახელს აძლევს ზმნის ხასიათს: დარბაზი — ედარბაზა, ანგელოზი — ეანგელოზა.

გამოიყვანა ასპარეზზე ბევრი დაკარგული სიტყვები: მერამლე, ფისმანდური, ყირამალა.

იგი რითმის საოცარი ვირტუოზია. მიმართავს ყოველგვარ საშვალებას, რომ შექმნას დაუსრულებელი გარმონია. მისი ლექსები დამძიმებულია უხვი ასონანსებით, დისონანსებით და ახალი რითმებით.

საუცხოვო ასონანსები: რაინდს — მაინც, ჰაერი — სხვანაირი, სარკეზე — ნარგიზი, მინაში — წინაშე. უფრო საყურადღებოა ერთი ხერხი, რომელსაც მიმართავს პოეტი რითმის არჩევის დროს; ასეთ შემთხვევებში იგი შეუდარებელი მაესტროა, მაგალითად: მარტო — ვიდარდო, რითმა: არტო — არდო. ორი თანხმოვანი ბგერა ტ და დ ეკუთვნის კბილისმიერთ და ამიტომ იძლევა სრულყოფილ გახანგრძლივებულ ერთნაირ გარმონიას, რაც აძლიერებს სახეს. ასეთი მაგალითები: იარაღს — არაყს (ღ, ყ), ყოველთვის — ელტვის (ტ, თ), მომანოდებს — მაცოდებს (ნ, ც), თავგამეტებით — მედებით (ტ, დ)...

აქვს ალიტერაციით დაწერილი ტრიოლეტები, რომლებშიაც ერთ და იმავე თანხმოვან ბგერის სიუხვეს მივყევართ თავის მწუხარების სითეთრეში („სენტიმენტალური ტრიოლეტი“).

სახეების და ლექსის ტექნიკის ამოდენი სიახლე ერთ წიგნში — უჩვეულოა ჩვენ ლიტერატურისთვის. „ცისფერი ყანწების“ ჯგუფი თავისი ოთხი წლის გამოფენას აწყობს და მათი პირველი წიგნი გვიჩვენებს, რომ ქართული პოეზიისთვის იწყება ახალი გზები. ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისებში“ აღარაა აზიის პრიმიტიული კეკლუცობა, აქ ევროპის პუდრაა და ყელსახვევი. ქართულ პოლიტიკას ქართულმა ლიტერატურამ დაასწრო ევროპისაკენ დაბრუნება.

შალვა აფხაიძე

ამორძალი ღონდა

სონეტი ნაპირებ-გადალახული

ყიჟინი. როკვა. ახელება. სიტყვა. თამადა.
ხელიდან ხელში აზარფეში ამართული და გადმოსული.
ფილიპის ძესთან ომს ელიან ამორძალები ასე თამამად.
ხოლო რად კუშტობს ქერა ღონდა მტევანივით ტანდაყურსული..

როგორც ნადირი იმართება ის გალურსული:
ამბობს ამაყი: მაპატიოს ქალთა თავადმა:
მე მსურს შემერთოს ალექსანდრემ: თუ გინდ ერთი დღით: მიხმოს თავად მან:
გესმით ქალებო: მინდა გავხდე მისგან ორსული.

სამი დღე არის: ამორძალთან მაკედონელი —
ვაზის ფოთლებში ლხინობს მეტის ველარ მდომელი:
და ეტყვის ლამაზს: მრავალი ხალხი დავიმონე: მტრები ავხოცე:

მოვშვილდე ბედი: გამოვკვეთე ძლევის კამარა, —
მაგრამ ღმერთობას მასმევს მხოლოდ შენი გიჟი ტანი ავხორცი:
რაც მე პირველმან მას მოვხსენი ოქროს ქამარი.

ვრიგოლ რობაქიძე

ფრანგ პოეტიებიდან

ტეოფილ გოტიე.

L'Art

ქმნადი მით უფრო მშვენიერია,
ნივთიერება მისთვის რჩეული —
თუ ცბიერია:
ლექსი, მარმარი, ან რკინეული.
ყველა ხუნდები დასწყევლე კრული.
სუსტი ნაბიჯით გაიკურნები,
როს კოტურნები
ექნება მუზას თასმით შეკრული.
ნუ გინდა რიტმი სადა, ქებული,
დიდ ფეხსაცმელთან შესადარები,
დღეს მიღებული,

და ყველასაგან დღეს ნატარები.
შენ, მოქანდაკე, რბილ თიხას მზიურს
ამაოდ ნუ სრეს მაგარ თითებით,
როცა ზეციურს
და შორ ოცნებას ეჯირითები.
სძლიე კარრარის ავი ნამორი
და შეებრძოლე უდრეკელ პაროსს,
რომ ნიამორი
ოცნება შენი ქვამ ჩაიბაროს.
შენ გამოჰკვეთე აჩრდილი ნაოში.
დღეს იმალება სირაკუზების
შავ ბრინჯაოში
მარადი სახე ამაყ მუზების.
თუ ხელი საკვეთს დიდხანს ერიდა,
ახლა სხვა ხაზი შენ შემორკალე,
და გიშერიდან
თვით აპოლონი ამოვა მალე.
მხატვარო! ნახე გზა საყვარელი —
ახლა ნუ გინდა სადა ფანქარი
და აკვარელი.
ცეცხლში დაადნე შენ მინანქარი.
სირინოზების შეჰქმენი ტევრი —
ჯარი ლურჯთვალა, კუდიან დების.
დევები ბევრი —
საშინელება ოქროს ლერბების.
სამსართულიან ალში ზმანება
წმინდა მადონის და მაცხოვარის.
ცეცხლოვანება
გოლგოთასი და ლათინურ ჯვარის.
უკანასკნელად ყოველი კვდება.
ხელოვნებაა მარად ძლიერი
და ქანდაკება —
თვით სახელოვან ერზე ხნიერი.
მშრომელის ხელით მოინახება
მინის უფსკრულში მედალი — არის
მასზედ სახება
გადავინწყებულ ძველ კეისარის.
ღმერთებსაც სცელავს სიკვდილი ბასრი,
და მუდამ ლექსი დარჩებმა მხოლოდ,
ფოლადზე მკაცრი —
მარადისობის ამაყ სიმბოლოდ.
ჰქმენ მედალები შენ დასადალი!
და წარმავალი შენი სინაზე —
ოცნება ლალი —
ალიბეჭდება მარად რკინაზე!

ვალერიან გაფრინდაშვილი

პოლ ვერლენი.

L'Art Poétique

გნამდეს მუსიკა და ეტრფიალე
 ზომას, რომელშიც მოეთავსება
 ნაზ მინაქარის ნაზი შრიალი,
 მაგრამ ნუ გინდა მძიმე სავსება.
 გადაარჩიე სიტყვების დასი
 და შეიყვარე მათი ზმანება.
 მთვრალი სიმღერა არის ძვირფასი —
 ნათელ ბოდვაში მიექანება.
 თითქო ნაზ ცქერას ფარავს ვუალი...
 ეს სიმღერაა შუადღის კრთომა,
 პირველ ვარსკვლავთა ცა მიუალი,
 ეს არის მწუხრი და შემოდგომა.
 მხოლოდ ნაჩრდილი ხიბლავს ოცნებას,
 ფერი კი არა — ღია და ავი.
 მწყობრ ნაჩრდილებში ეჯადოსნება
 ფიქრი ოცნებას, საკრავს საკრავი.
 ერიდე ზიზლის სასტიკ გრიგალებს,
 მახვილ სიტყვათა სდევნე რაზმები,
 (რომ აცრემლებენ ლაჟვარდის თვალებს)
 და უარყავი ცრუ საკაზმები.
 შენ რიტორიკას მოსტეხე ქედი
 და მეტის მეტად ნუ გიყვარს რითმა,
 თუ თავის დროზე მას არ მიხედე,
 შორს გაგისროლოს მისმა ჯირითმა.
 ო, რითმა არის მუდამ ცბიერი.
 ვინ იყო — ყრუ, თუ ზარხოში ზანგი,
 რომ გვითავაზა იაფი ჩანგი
 ხმაჩახლენილი და წუთიერი?
 გასურდეს მუსიკა ახლა, ყოველთვის!
 და ფრთამარადი შენი შაირი
 ამ ქვეყნის იქით ზეციურს ელტვის,
 სადაც ტრფობაა სულ სხვანაირი.
 ცას როცა ჰფარავს ღრუბლების სურო,
 გამოაქროლე ლექსი ჭალებით —
 მთვრალი სურნელთა იდუმალებით.
 სხვა ყველა არის — ლიტერატურა.

ვალერიან გაფრინდაშვილი

წიგნიდან: NOTRE DAME

მთვარის წყალობა

მთვარის ლანდები კრთიან ხეებზე —
თეთრათ ნაქარგი;
შენ ნულარ სტირი წარსულ დღეებზე,
დამშვიდდი, კარგი.

ისეთი ღრმაა და წმინდა ზეცა —
ალერსით სავსე.
თითქოს ხვთისმშობლის ცრემლი დამეცა
ლოცვის დროს თავზე.

ო, ღმერთო ჩემო, ეს სავსე გული
შენ ჩაგაბარე,
და მას ეს ღამე, ბროლით ქარგული,
გადააფარე.

კოლაუ ნადირაძე

ოცნება საქართველოზე 28 იანვარს

დავინწყებული ძველი ფონები;
შავი კედლები დიდ ციხეების;
ჩვენი დიდება მოსაგონები;
და ფართო ჩრდილი ცაცხვის ხეების.

შედიხარ ჩუმათ. გრილი ტაძარი...
მოთაფლისფერო სახე მამების.
და საცეცხლურში ცოტა ნაცარი;
და შავი ხატი წმინდა სამების.

ნიშანი ბედის — კარზე ნალები.
სახურავები დახავსებული.
და ხვთისმშობლის მოგრძო თვალები
უმანკო სევდით ამოვსებული.

კოლაუ ნადირაძე

დისონანსები

ხშირათ გიყურებთ გატაცებით და აღელვებით,
მხიბლავს და მათრობს თქვენი ტანის მალული ვნება.
როგორც ორი ტბა დაჩრდილული მაღალ ალვეებით —
შავია ცივათ მაგ თვალების აელვარება.

კეკლუცი ცქერა გაღიმებით ნორჩ გეტერისა,
უცხო ფერისა პირის სუნთქვა, ბაგეთა ალი.
ოცნებას იპყრობს, ვით სიზმარში ხმა სიმღერისა.
ვით ბნელ ოთახში, როიალის ნაზი გრიალი.

კაბის შრიალი თქვენი ხშირათ მე შორს მიტაცებს:
ცხელი ქვეყნების მთა, მინდვრები, უსაზღვრო ზღვები,
ჩემ თვალთ წინ შლიან სხვა სიტურფეს, სხვა ფეროვან ცებს,
სხვა ზღაპრებს მიმცემს ინდოეთის დამწვარი ქვები.

ჭიანურის ხმით სასიკვდილოთ დანაბულ თვალებს
არაბულ ბალებს მე ვადარებ, სადაც სულთანი
მის წინ მოცეკვავ ტიტველ ქალებს თვალს გადაავლებს,
რომ აირჩიოს ერთი ღამისთვის მაცდური ტანი.

სისხლის ფერ თასში თეთრათ სხედან ხარბი კბილები.
„შემოგევლები, თავს შეგნირავ“ — თქვენ ვინ არ გეტყვით?
უცხო რაინდზე ოცნებაში ხშირათ ილღებით
და ყოველ უხეშს თქვენ ანამებთ დაცივნის სეტყვით.

მაგრამ ქალწული თქვენი ტანი ხშირათ მაჯავრებს:
საშინელ დანუსს, ბოროტ ჩემ სულს, ეგ სილამაზე
სურს მისცეს მსხვერპლათ და სავაჭროთ, თუ გინდ რომ მავრებს,
რომ ვით დიაცმა აქვითინდეთ საზარელ ხმაზე.

და მენატრება დაგინახოთ თქვენ სარეცელზე,
საყვარლის მკერდზე მოთენთილი, დამონებული;
მისი კბილების წითელ დალით მოღერილ ყელზე,
აშლილ ლოგინზე ურცხვი ხელით გატიტვლებული.

კოლაუ ნადირაძე

1917

ქალბატონებს

მე კიდევ ერთხელ მინდა ჩემ თავს მოვესაუბრო:
— უძილო ღამით ყველას საქმე გამოუჩნდება —
ვფიქრობ, ჩემ სიტყვებს დაედება პატივი უფრო,
თუ უსარგებლოთ ჩემი ნიჭი არ გაფუჭდება.

ჩემსა სამშობლოს, ახლა მივხვდი, ჭკუა სჭირდება:
ვინ არ გაასწრო მას დიდებით და აღმატებით.
და მხოლოდ მაშინ მამალმერთი დაგვაკვირდება,
თუ საქართველო მოირთება ძვირფას ხატებით.
ეს კარგი აზრი მე მეწვია ცოტათი გვიან.
მე ასე კარგათ ჯერ არასდროს არ მიფიქრია!
ახ, ბატონებო! გული ბევრჯელ დამიდალია,
მაგრამ, დღეები უნუგეშოთ მაინც მიჰქრიან.
ვგონებ ჯერ ბედზე სამდურავი მე არ მქონია.
ო, დაილოცოს ეს ქვეყანა და ეს გამჩენი —
ჯერ საყვედური ჩემი არვის გაუგონია.
ჩემთვის ცხოვრება არ ყოფილა დალის დამჩენი.
ქალბატონებო! გვაპატიეთ, თქვენ გენაცვალეთ!
ვეცდებით გვქონდეს მუდამ სუფთა ხელთათმანები,
თუ გადაწყვეტა ვერ შევძელით იმისი მალე,
რომ მოვაგვაროთ უპატრონო სოფლის ყანები.

კოლაუ ნადირაძე

პირველი მარტი

პირველი მარტი! (მოვიგონოთ მთვარე ნაკლული).
ცოტათი გვასწრებს კალენდარი ახალი სტილით.
ყველას გაგვწვდება დღეს ქალაქში ხორცი დაკლული:
ყველა ვიშოვით სანოვაგეს სულ ახალს დილით.

თეთრი ტყემლების აყვავებას ბევრი უცდიდა;
ახ, მეც ვეცდები დავალაგო ჩემი ცხოვრება!
იქნება მერგოს სიხარულის მეც ერთი ციდა;
ო, ეს წყალობა მე ყოველთვის მემახსოვრება.

წრეულს ზამთართან მეგობრულათ ვერ გავატარე;
ცივი ალერსით თითქოს მთვარეც აღარ მწყალობდა;
ყველა მაყვედრებს, რომ მამაჩემს ვერ დავედარე
და უდედობით ორი შვილი ჩემი დაობლდა.

დაბრუციანდა ჩემი ძალღიჯ — მტრის გასახარათ;
სისხლიან თვალთ მოფერებას ის მევედრება:
მადლობა ყველას, უსათუოთ, გულწრფელი მარად!
ბედნიერებით ჩვენ ვერავინ ვერ შეგვედრება.

კოლაუ ნადირაძე

მასკები კარნავალში

ვალერიან გაფრინდაშვილს

მხრებზე მოიგდეს აჩრდილებმა წამოსასხამი.
ქარულ ჯირითში მოიარეს ყველა ტოტები.
კვლავ გარეტებას მთვარეები ღვრიან... ასხამენ...
და კვლავ მოქრიან თავგანწირვით დონ-კიხოტები!

ჭრელ არლეკინთან კოლომბინამ რომ იცბიეროს,
ჩაიცვამს ნილაბს სარკეებში მისი პროფილი.
თეთრ ბალახონით გადაიყვანს მთვარე პიეროს
და მეოცნებეს შეუყეფებს მეფისტოფელი.

ამ აჯანყებულ სალამოში იმუქრებიან:
ძველი ჩონჩხები ჩირალდნებით გაშლილ მდელოზე...
ჩნდებიან ხმლებით ჰამლეტები და კვლავ ქრებიან...
და ფიქრებია წელგაფატრულ შავ ოტელოზე!..

აპარებს დანას თავისმკვლეელი... ვილაც მტყუანი...
შიში მხიარულ გაგიჟებით და კარნავალი...
დაითრევს ქალებს საროსკიპოთ თვით დონ-ჟუანი...
ცოცხლებში მკვდარი გაერევა უფრო მრავალი!..

მაგრამ გრიგალი წამოუშენს სტუმრებს რაპირებს.
აჩეხილ ნილაბს ყრუდ ფანტავენ უსახლკარონი...
გაშიშვლებულნი ასხდებიან სტიქსის ნაპირებს
და უმადურად გადაზიდავს ყველას ხარონი!..

შალვა კარმელი

გამოთხოვება: სულთან ავათმყოფ სხეულის

სულო მისმინე: არ გაუშვა ფიქრთა სადავე.
ვიცი, შენ გქვია: ჩემ სხეულის ხანმოკლე დგმური.
მოგეხსენება, რომ თვისება ჩვენ გვექონდა ძმური.
თუმც საეჭვოა — რად მოგწონდა ეს სისადავე!

შენთან დუელში მე ოცნება დიდხანს ვადავე.
შენ გაიმარჯვე. შენ მრავალში აღძარი შური.
მასკარადებში ბნელ ნილაბათ წაისვი მური.
ვნუხვარ: ტოლობა შენთან ადრე რომ გავათავე!

კვლავ ბოდის ვიხდი უსათუოდ ჩემი ცხოვრებით.
ვერ განებივრე ლაჟვარდებით და საძოვრებით, —
რომელმაც ჩემში პოეზია უხვად დატიე...

შენ წახვალ მზესთან! ანდა სხვაგან! მე სისხლნაკლული,
ფარაონივით, სარკოფაგში ჩავალ დაკლული.
ახ, სულო ჩემო: დამიტირე და მაპატიე!..

შალვა კარმელი
1919

არტემიდა

შენი თვალეხი კუდიანის ჯადოს ფარავენ.
მათ გადმოხედვას ანგელოზი არ ეკარება.
მაშინებს ხალხში ეშხიანი შენი გარება.
პოეტს ჰგონია: რომ ყველაფერს შენ მოგპარავენ;

მინდა იქ მყავდე: — სადაც გნახავს მხოლოდ არავინ.
სადაც ბავშვივით დაგაყურებს ღამის მთქნარება.
ტყე, მთა, ირმები და ლაჟვარდი თუ გეყვარება —
მზად ვარ, ძვირფასო, აგიფოთლო ღმერთთან კარავი!

ჩვენი სალამო სურნელია ხრიზანტემიდან.
ვხედავ, მთვარიდან გადმოეშვა ცის არტემიდა.
მიჰქრის მწვერებით სანადიროთ, როგორც გრიგალი.

ვიცი, შენც წახვალ! გზა გეშლება ვარდის ტევრებათ.
დაგედევნება არტემიდას ერთგულ მწვერებათ:
ჩემი სონეტი, ჩემი რონდო — და მადრიგალი!

შალვა კარმელი
1919

დატეხილი

გრძელ ღამეებში, როცა ხარ მარტო
და სევდას გმატებს კვიმატი მარტი,
როცა ფანჯრიდან ითვლი ვარსკვლავებს —
მსურს შენთან ვიყო მორიდებით, როგორც ფარეში
რომ განუგემო სიმნუხარეში.

როს შემოიჭდობ თმა გაშლილ თავზე, ნაზი ზმორებით თეთრ შიშველ მკლავებს —
 მხურვალე კოცნით ამოგიშრობ ოფლიან ღლიავს,
 და შენს ღრმა თვალებს, რომ გავს ორ შავ ქლიავს,
 ვნებით შევმატებ ელვარებას ვერცხლის დანისას.
 და სიახლოვეს ათროლოებულს ჩვენი ტანისას —
 კედლის დიდ სარკის ბროლის მინაზე
 ფანჯრიდან მორცხვით ბაკმიან მთვარის კვლავ აქარგავს ქარვის სინაზე.
 როცა ვერ ვბედავ, რომ მოვიდე მე შენს ბინაზე, —
 სასაფლაოზე ვათევ ღამეს, როგორც უჭერო.
 ო, თუმცა მიშლის მამაჩემი ღამე სიარულს,
 და მირჩევს იმის დარიგებას მე დაუჯერო,
 მაგრამ ჩუმდება, რადგან სახლში ვერასოდეს მხედავს მხიარულს.
 ვიცი, რომ სურვილს შიში აბრუშებს.
 მათხოვრის ჯოხით დიდხანს ვიარ მე საცოდავით.
 და ჩემს სიცოცხლეს გაუხარელს, ცოდვილს, ნამრუშებს
 გაუთხრი საფლავს მე თვითონ თავათ.

რაჟდენ გვეტაძე

1918, მარტი 20

დამქვრალი სანთლები

შენი თვალები მაფიქრებენ, ვით თიმსარები.
 და უცხო ასულს გემონები აშარას, ცფიერს.
 მიცნობენ, როგორც ღამის სტუმარს ღობის სარები, —
 ახ, სევდიანი ხეტიალში ვკარგავ ნაზ იერს.

როგორც ცოდვილმა დავივიწყე საყდრის კარები.
 უკანასკნელათ მინდა რამე გითხრა კადნიერს.
 ისევ შენთან ვარ შორეული, უგზოთ ნარები,
 მაგრამ აღარ მაქვს მწველი ვნება, ვით მოხუცს, ხნიერს.

ყველას იყვარებ: მგოსანს, მდიდარს, ღარიბებს, თერძებს,
 და შენს ღიმილში ინისლება მზის ტაროსები.
 გაქვს მოღერილი მკერდ-კისერი, ვით ამაყ ვერძებს.

ო, აღარ მომწონს შენს მრუმ ტანზე ლურჯი მანტია.
 ვით ხატთან ზეთი და სანთლების კვიპაროსები —
 შენს სურათის წინ, ჩემს ოთახში აღარ ანთია.

რაჟდენ გვეტაძე

ბებრები

ხელის გულივით სწორია აზნაური ბეგლარის ფრჩხილის ოდენა ეზო. ნაშუადღევის სიოს ქინძისა, პიტნისა და ომბალოს სუნი ბოსტნიდან მეორე მხარეზე გაშენებულ ვენახში გადააქვს. წკნელის ღობე, კვინძები და ყორე გადახლართულია მაყვალით; დაუღლეელი ღორი ამოთ ღრუტუნობს — შემოსვლას ვერ ახერხებს. ყავარ-აყრილი ორსართულიანი პატარა ოდის პალატში იცოხნება ცალი ხარი და ქალბატონ ეკატერინეს უშობელი. ზედასართულის აივანზე მოსჩანს კედელზე ჩამოკიდებული სასროლი ბადე და მოძველებული კები. ოდის წინ ნიგვზის ძირში გაფენილ ჭილოფზე წევს პერანგის ამარა, ნაღებ გახდილი ბეგლარი. გრძელ სკამზე გულ-მკერდს იშმუშნის მძინარე ეკატერინე.

დაცხრა მზე. ჩრდილმა მოიკიდა ფეხი. მეზობლებმა ფანჯრები გააღეს. დახურულ ოთახიდან ხალხი ჰაერში გამოეფინა.

ეკატერინემ ძილში მოიგერა ბუზი.

— ქალო! — მიტენარებით და ზმორებით წამოიძახა ბეგლარმა და სკამ-ლოგინზე წამოჯდა, — გეყოფა, ბატონო ამდენი ძილი — დეიხაშმები... ქე შემოუქროლა პატარეი, გაგრილდა ქვეყანა..

ეკატერინე. შენ რა გიჭირს მიწაზე იწევი; აქანე კი სული კილამ წამივიდა... ი სიზმარი რომ არ დამსიზმებოდა, მგონია, შევიშლებოდი... ბუზებიც რომ უფრო ეტანებიან...

ბეგლარი. რა დაგესიზმა, ჩემო ეკატერინე?

ეკატერინე. მიხვდი, აბა....

ბეგლარი. რა ვიცი, შე ქალო?! ანგელოზი დაგესიზმებოდა, აბა, სხვა რა იქნებოდა?

ეკატერინე. (მაცდურად) ანგელოზი კი არა.

ბეგლარი. აბა?...

ეკატერინე. (იციინის)... შენ!.. (სიყვარულით) კი არა დამსიზმებია... ძილში მომაგონდა, რაც წინეთ ვნახე.

ბეგლარი. მითხარი, ჩემო ეკატერინე... (და დაგლეჯილ ჭილოფს სკამისკენ მისწევს; ეკატერინე წამოჯდება სკამზე, შიშველ ფეხს ჭილოფზე დადებს; ბეგლარი გვერდში მიუჯდება. შავი შალვარი და თეთრი შალის წინდები აცვია).

ეკატერინე. პირველად რომ გვეცანით ერთმანეთს... შენ ოქროს ფერი ბოხოხი გეხურა, ლურჯ ახალუხზე ნაბლის ფერი ჩოხა გეცვა... შავი ნულამესტი სირმებით გქონდა მოქარგული... თეთრ ცხენზე იჯექი და ჭისკარში ჩამოაჭენე... გახსოვს?

ბეგლარი. როგორ არა!..

ეკატერინე. აჯირითებდით ცხენებს შენ და — აცხონოს ღმერთმა — სანყალი პეტრე...

ბეგლარი. მახსოვს... მახსოვს, როგორ არა. შენი ეშხით არ ვიზოგავდი თავს... კაბა ჭადრაკული გეცვა და ზედა ტანი სახელო გამოშვებული წითელი; თავი თეთრი პეპლებიანი ბლონდით წეგეკრა... გიხდებოდა აივნის ბირკვილზე დაყრდნობა... გასაფრენ ჩიტსავით შემკრთალი, ყურადღებით გვათვალეირებდი... გახსოვს?

ეკატერინე. რავა არა?! რავა არა?! მაინც ხის ტოტმა რომ ქუდი გადაგიგდო და შენ გადმოიხარე ასალეხათ... ხუჭუჭი თმა გადმოიყარა... თვალის დაშორება არ მინდოდა და თან შიშით თვალს ვხუჭავდი, ხეს არ დაეტაკოს-მეთქი, ბესარიონმა მერე რომ ლაგამში ხელი გტაცა, ძალი-ძალით ძლივს ჩამოგახტუნა... ჩემი ბრალი იყო — მე შევეხვეწე... ზევით რომ ამოდი... ნასვამი, ნაჯირითევი... სახე აგწითლებოდა... ყვითელი შავ არშიანი

ცხვირსახოცით იწმენდდი შუბლზე ოფლის წვეთებს... როგორ გშვენოდა კოკობი უღვაში, დაკრაკნილი წვერი.. რამხელა თვალებს აბრიალებდი, და ხანჯალზე რომ ხელს დაიდებდი... ასე ვფიქრობდი — ამიყვანდეს, ნამიყვანდეს მეთქი. გახსოვს?

ბეგლარი. ჰო, ჰო და შენ წითელ ტუჩებს რომ ჩავაჩერდი, თეთრ კბილებს და შავ-შავ თვალებს, შენი წასვლა ვერ მოვითმინე და, როცა შებრუნდი, ხელი მინდოდა მეტაცნა ტევრათ კოჭებზე ჩამოყრილ ნაწნავებში... პეტრემ ხელი ამიკრა... სხვებმაც შემამჩნიეს... შეიქნა მინევ-მონევა გახსოვს?

ეკატერინე. როგორ არა? მერე მთელ დღეს დამცინოდენ, მანვალელებდენ...

მუსაიფის დროს ბეგლარი ხელს მოხვევს; ეკატერინე თავს გულზე დაადებს; მოგონებათა ბურუსში გახვეულნი ჩუმად სხედან და ძნელი გამოსაცნობია სთვლემენ თუ გაქვავებულან.

P. S. შეიძლება ჰგავდეს ოციოდე წლის წინათ მიუნხენის Kunst-lerkabaire-ში მოსმენილ „Denkst du daran?“-ს.

ნიკო ლორთქიფანიძე

..

ხალიფი უზლაპროთ

დაყრდნობილი მოქარგულ მუთაქაზე, ოდნავ დამთვრალ ნარგილეთი, მშვიდათ მოელის მეგობრის მოსვლას — კამათლის შეჯიბრებაში მოჰკლას გრძელი დრო.

ვინრო ქუჩებში აჩქარდენ დაგვიანებული ქარავნები.

შეშინებულმა კივილმა ელვასავით გადაირბინა ქალაქზე.

ჩაქრა ყველა სანთლები.

ქალაქი ატორტმანდა და უეცრად გაფრინდა.

მუხლ მაღია მზე მატაშირის თვეში, მაგრამ დიდია ღამე და ცივი ქარით ამთქნარებენ უდაბნოები.

დაყრდნობილი სირმიან მუთაქაზე, დამთვრალი ნარგილეთი, ბოროტი ღიმით გაუცინებს ღამეს და დამშვიდდება ამოხვრით:

— დაშვენებოდა დროს პანაშვიდი!

სერგო კლდიაშვილი

1918

პეიზაჟი

ქვაზე ჩამოსხდენ. ვაჟის ყელსახვევი დაცრეცილია.
— მზე ჩადის.
— ხვალ ქარი იქნება: ცა წითელია.
— გახუნებული აბრეშუმის ფერია.
დაღლილი თვალებით ისვენებენ ქალაქის ღარიბ სახურავებზე.
— ჩვენ ბალში ვარდები აღარაა.
— ზაფხული გათავდა.
— დაინყება ნვიმები და ტალახი.
— დაზამთრდება. კერიასთან ზღაპრებს მოჰყვებიან.
— ბავშებს დაესიზმრებათ მეფეები.
— და დედოფლები.
მწუხრისას რეკენ. ქალმა დაამთქნარა.
— ლამდება.
— რა ნელა ლამდება.
არღნის უიმედო ხმა მოიტანა ქარმა. სცივათ.

სანდრო ცირეკიძე

ზამთრის ქიმერა

კრძალვით და სიცივით მოკუნტულმა შეალო ყავახანის კარები. კალთა მოხეულ სმოკინგს თოვლი ადნებოდა.

ჩირალდნებიან სუფრებზე ქეიფობდენ სტუმრები. დამჭკნარი სახე გაუსწორდა, მონყენილი თვალებით დოქებს გაულიმა. ათქმევებს ლექსები სიყვარულზე, სიცილზე. ვინმე ზარხოშმა ღვინის ნაჟური მიაწოდა: ეზიარა ქეიფს.

სუფრიდან სუფრასთან გადადიოდა

შეკრთა. სმოკინგის მოხეული კალთა ხელით დაიფარა. მოიკუნტა. ამღვრეულმა თვალებმა მოიწყინა და კანკალით გამოვიდა გარეთ.

სიცილი და სითბო დარჩა ყავახანაში.

გათენებამდი დაბორგავდა თოვლიან ქუჩებში. ბრილიანტებათ ბრწყინავდა გაყინული ფიფქი. სმოკინგზე, თმაზე ათოვდა მეოცნებეს: აშენებდა სასახლეებს, ქალაქებს. ფარნის ქვეშ ატირდა თეთრ დედოფალზე.

სანდრო ცირეკიძე

ბოგემა¹

1

ბოგემა დღეს და გუშინ არ გაჩენილა, ის იყო საბერძნეთში (ანაკრეონი) და რომში (მარციალი) ბოგემა, როგორც ტიპიური მოვლენა, შექმნა ქალაქმა და მისი ისტორია გადამბულია ქალაქის ისტორიასთან. იყო ბოგემა საშუალო საუკუნეებში. მინეზინგერები, ტრუბადურები, ტრუვერები, ჩვენში აშულები შეადგენენ ბოგემის გაფანტულ ოჯახს. ტრუვერებმა შექმნეს მშვენიერ დამის კულტი და რაინდული პოეზია. იყვნენ ტრუბადურები, რომელნიც ჰიმნებს უგალობდნ ომს და ინვევდენ რაინდებში გაჟკაცობის და სახელის სურვილს.

გაფიზი აძლევს სპარსულ ბოგემას ღვინის, სიყვარულის და მზიურ ქეიფის კოლორიტს. ვიკტორ ჰიუგოს Notre Dame-ში არის პოეტი გრენგუარი, ჭკუამახვილი, უბინო, მხიარული, არა ყოველთვის პატიოსანი. ის ჩაუვარდება ხელში ჯერ ქურდებს, შემდეგ მთავრობას და სრულიად შემთხვევით აიცდენს სახრჩობელას. ეს გრენგუარი არის ჭრანსუა ვიონის — ვერლენის წინამორბედის — პორტრეტი. სერვანტესი იყო ბოგემა და მისი დონკიხოტი ირონიის შედევერია. ინგლისში დედოფალ ელისაბედის დროს ბოგემის საშინელ ეკრანზე გაიელვებენ დიდი პოეტები: კრისტოფორ მარლო, რომელიც მოჰკლეს სამიკიტნოში ჩხუბის დროს, ვილიამ შექსპირი და ბენ დჟონსონი.

საფრანგეთმა შექმნა მე-19 საუკუნეში შესანიშნავი ბოგემა, რომელიც კიდევ მოელის თავის ისტორიკოსს. მონმარტრი მისი კაჭეებით და ლათინური უბანი წარმოადგენენ სცენას, რომელზედაც ბოგემა ქმნის თავის ლეგენდას.

თანამედროვე წესწყობილება არ უზრუნველყოფს პოეტებს, ისინი გაურბიან მეშჩანინობას და სწყურიათ თავისუფალი ცხოვრება. ბოგემა უცხადებს ომს კონსერვატიულ ფორმებს, როგორც ცხოვრებაში, ისე ხელოვნებაში და მისი ფსიხოლოგია ანარქიულია. ბოგემას არა აქვს თავისი კერა, თავისი ოჯახი, ის უსახლკაროა, ხშირად ქუჩაში, ხიდების ქვევით, ყავახანაში და ნაობახში ითევს ღამეს. ბოგემა უარყოფაა ოჯახური და მშვიდი რეჟიმის, იგი მტერია ნორმის და უფრო სკანდალს ენაფება. არის ანალოგია ბოგემის და პროსტიტუციის შორის. ბოგემის წევრები ხშირად ახალგაზრდები არიან, მაგრამ ოთხმოცი წლის დეგაზი — ბალერინების მეხოტბე და მახინჯი ვერლენი არიან ბოგემის მუდმივი აგასჭერები.

2

დღევანდელი პოეზია შექმნა ბოგემამ. ეს პოეზია ატარებს სიმბოლოს, ანუ ირონიის ნიღაბს, რაც ერთი და იგივეა. ვინც ახალ გზებს დაეძებს ხელოვნებაში, ვინც პოეზიაში რევოლიუციონერია, ის ბოგემით იქცევა, რადგანაც მასზედ მოდიან იერიშით საზოგადოების და მწერლობის ფილისტერები. ბოგემას ყავს თავისი საკუთარი მუზა და პოეზიის ბევრი შედევერები ამ მუზით არის შთაგონებული.

არსებობს სილარიბის და შიმშილის მისტიციზმი, როგორც არსებობს მისტიციზმი სიამაყის. არის მისტიკა ოპიუმის და ჰაშიშის. სილარიბეს და შიმშილს, როგორც ოპიუმს, აქვს თავისი გალიუცინაციები. კნუტ გამსენის „ილაიალი“ არის მოჩვენება, რომელიც

1. ფრანგები ციგნებს ეძახიან ბოგემას. მიუხედავად პირველად ლათინურ უბნის სტუდენტები მონათლა ამ სახელით და შემდეგ ლიტერატურული პროლეტარები.

დაბადა შიმშილით და სიღარიბით აგზნებულმა ფანტაზიამ. პირველად ბოგემას მისცეს უჩვეულო სახე ფრანგ და გერმანელ რომანტიკოსებმა. ესენი არიან: ერთი მხრით, ჟერარ და ნერვალი, მიუსე, პეტრუს ბორელი, შარლ ნოდე და მეორე მხრით გერმანელები: გოფმანი (ორეულების ფანტასტიკით), ლენცი, შამისსო, კლეისტი, ზაქარია ვერნერი და სხვები. რომანტიზმის მსოფლმხედველობა რამოდენიმე ბოგემის მსოფლმხედველობაა. რომანტიულ ბოგემამ შექმნა ირონიის თეორია. სიმბოლისტებმა გააცოცხლეს პიერო და არლეკინი და მიანიჭეს იმათ ირონიული ხასიათი. „Sturm und Drang“-ის პერიოდი გერმანულ პოეზიაში არის ბოგემის პერიოდი.

სიმბოლიურ და ფუტურისტულ შკოლების დაარსებაში დიდი როლი ითამაშა ლოთმა ბოგემამ. სიმბოლიზმის თეორია პარიზის კაჭეებში დაიბადა და რუსულ ფუტურისტების საუკეთესო ბელადები არიან ბოგემა: კრუჩინინი და ხლებნიკოვი, მაიაკოვსკი და კამენსკი. პირველი რუსი დეკადენტი იყო ბოგემა — ალექსანდრე დობროლიუბოვი — პოეტი და წინასწარმეტყველი, მდუმარეთა სეკტის დამაარსებელი.

მიურჟეს „ბოგემა“ არის იდილია. ამ წიგნის წინასიტყვაობა საუცხოვოა და ისმის, როგორც ბოგემის მანიფესტი. მიურჟეს „ბოგემას“ ჩვენ ოპერაში ვხედავთ და მისი გმირები კიდევ ერთხელ სტოვებენ იდილიის და ბუტაფორიის შთაბეჭდილებას. თანამედროვე ბოგემა ტრაგიულია. ვედეკინდის დრამები ამ ტრაგიულ ბოგემას უკეთებენ ღირსეულ რეკომენდაციას. ლოთი და ლატაკი ბოგემა ქმნის ახალ პოეზიას.

ავილოთ ბოგემის დიდებულნი: ედგარ პო და ბოდლერი. მათ ავანტიურა პოეზიაში ალკოგოლს, ჰაშიშს და ოპიუმს უკანასკნელი როლი არ უჭირავთ. ამ პოეტებმა შექმნეს ბოროტების და საშინელების კულტი. ედგარ პო და ბოდლერი ორივე უდროოდ დაიღუპენ გოსპიტალში. ბოგემა უფსკრულია და პოეტისთვის აქ კატასტროფა არ არის მოულოდნელი. ბარბე დ'ორევილის ყალყზე შეყენებული დენდიზმი, ლაჭორგის პროვინციალური მთვარე და კვირები, რემბოს და ვერლენის ხეტიალი უდაბნოში ბოგემის საკუთრებას შეადგენენ. ტრისტან კორბიერი — „ზღვის ბოგემა“, ლოტრეამონი — რვაფეხას აბრეშუმ ცქერით, შარლ-ვან ლერბერგი მისი პოეზიებით და სიგიჟით ბოგემის შვილები არიან. შეიძლება მათი მუზა მუცელმოგვი მადონა იყოს და ან სხვა ქიმერა. ყველა ეს პოეტები ცხოვრობენ არა ნორმალურ პირობებში და ქმნიან სხვანაირ სილამაზეს. ბოგემა ქმნის ახალ პსიხოლოგიას და ახალ ესთეტიკას.

ბოგემა ქმნის სიმახინჯის ესთეტიკას. სიმახინჯის ესთეტიკას, რომელიც დაამკვიდრა პოეზიაში ბოგემამ, ყავს აპოლოგეტები მეცნიერებაში — მაგალითად, ვენის პროფესორი კარლ გროსი. ამ ესთეტიკის შედეგებია: როდენის ქანდაკება: კაცი გატეხილ ცხვირით, წარსულში ლუვრის უხელო ვენერა, რემბოს „თმებში მაძიებელნი“, როლინას „ბოგემა“, ლოტრეამონის „მალდორორი“, ტრისტან კორბიერის „საზიზღარი პეიზაჟი“, ვიონის „დიდი ანდერძი“. მთელი ფუტურისტების ფილოსოფია არის სიმახინჯის ფილოსოფია, რომელიც ხელოვნებაში დამოუკიდებელ ესთეტიურ ღირებულებას ქმნის. ამაზე მე ვიტყვი შემდეგ წერილში.

ქართული ბოგემის ისტორია აშულებიდან იწყება და აქ ყველაზე უფრო თვალსაჩინოა საიათ-ნოვა. ბოგემათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე გურამიშვილი, ბესიკი, მამია გურიელი, გრიშა აბაშიძე, აკაკი. ეს არის არისტოკრატიული ბოგემა. თანამედროვე პოეტებიდან თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით ბოგემის ლეგენდას ქმნიან: პაოლო იაშვილი (წერილი დედას), ტიცინი ტაბიძე (ბირნამის ტყე), სანდრო ცირეკიძე (მთვარეული), ქუჩიშვილი (მეძავი), გალაკტიონ ტაბიძე (მერი). „ცისფერი ყანების“ იდეა ქუჩაში დაიბადა და ყანელებმა ქართულ ბოგემაში შეიტანეს ახალი ყესტი და ინტონაცია. ამიერიდან ქართული ბოგემა იქნება უფრო კულტურული, ასკარას — გრიშაშვილის მაგივრად ჩვენ მოგვევლინება ჟერარ დე ნერვალი.

3

ბოგემის პოეტები ტანჯვაში ატარებენ თავის სიცოცხლეს, მაგრამ როგორც მონტეკრისტო, აბნევენ ხალხში ოცნებაში ნახულ მარგალიტებს. ერთ და იმავე დროს ისინი მეფეები და ლატაკები არიან. აი, მორის როლინას სონეტი „ბოგემა“:

უკანასკნელი ჩემი ბინა — მაკადამია,
სადაც ვატარებ ძველ მაზოლებს ამდენი ხანი.
გიჟურ ძებნაში ვერ ვამხილე ბედი გვიანი,
ვერ გავექეცი, ვით მევალეს, შიმშილს შხამიანს.
ო, ბაბილონო, შენს მღვიმეებს ბრწყინვალეს, ხმიანს,
ტვინის კოლოფი აღარ ეტრფის — კვლავ ჟანგიანი,
სული იკაკვის ტკივილიდან იქ, როგორც ტანი,
და უეჭველად, იქ ბუდე აქვთ ჭიებს ნამიანს.
მე ვარ აჩრდილი, რომ კანკალებს ძონძთ სიმყრალეში,
შურიან ბედმა გამასწორა მათთან და ლეში
ჩემი აშინებს თვით ძაღლების ბრაზიან ხროვას,
მე ბებერს, დამპალს მდის ბალღამი, როგორც მათხოვარს.
მაგრამ ის ფიქრი — ზიზლით სავსე, ჩემი ფარია,
რომ არავისთან მე უღელში არ მიარია.

აქ არის თვითშეყვარების და წამების კულტი. აქ არის სიამაყის მისტიციზმი. მარტო სილატაკე და ლოთობა არ შეადგენს ბოგემის თვისებას. ბაირონი და შელლი არ იყვნენ ლარიზნი, მაგრამ იყვნენ დაუდგრომელნი, როგორც ტამერლანები: ერთი დაიხჩო და მეორე მოკვდა ბრძოლის ველზე. ბოგემას შეუძლია მიიღოს ისინი თავის ჯოჯოხეთის ცეცხლიან დარბაზში.

დღეს ბოგემის სამშობლოდ და სატახტო ქალაქად უნდა ჩაითვალოს პარიზი. იქ დასწერა ბალზაკმა თავისი რომანები — არა ღვთაებრივი კომედია. იქ დასწერა ვილიე დე ლილ ადანმა დემონიური ფანტასმაგორია — გედების მკვლელი, იქ მიიცვალა ბოგემის მეფე — დაუვინყარი და ძვირფასი ვერლენი, იქ თვრებოდა აბსენტით რომანტიზმის გედი — ალჰრედ მიუსე, იქ კვდებოდა „სილამაზის მოციქული“ ოსკარ უალდი, რომელმაც დაიწყო დენდიზმით და გაათავა ბოგემით. იქ სწერდენ ჟან-ჟაკ-რუსსო და ვოლტერი — ირონიის და პოეზიის წინაპრები და ორივე ბოგემა. პარიზი ახელებს ფანტაზიას თავისი ძვირფასობით და გარყვნილებით, თავისი ქუჩებით და ბრბოთი, თავის ტრამვაებით, ავტომობილებით, ეტლებით, აეროპლანებით, ხმაურობით. იქ ჩნდება ყველაზე საოცარი ქიმერები. პარიზი არის ქეშმარიტი ქიმერიონი. ის ჯვარია, რომელზედაც ქრისტეს და ყაჩაღების მაგივრად არიან გაკრული პოეტები.

პოეზიის ისტორიაში არაფერი ისე ნაღვლიანათ არ ხიბლავს ჩემს ოცნებას, როგორც ბრანდესის მოთხრობა რომანტიზმის „დავინყებულ და გამორჩენილ“ პოეტებზე. აქ ბრანდესი ინტიმურია, როგორც რემი დე გურმონი. მომყავს „დავინყებულ“ პოეტების სახელები: ჭონტანეი, ჭელიკს არვერი, იმბერ გალუა, ლუი ბერტრანი, ტეოჰილ დონდეი, პეტრუს ბორელი. ამათმა ვერ გაიმარჯვეს, იმიტომ რომ იყვნენ მეტად ორიგინალური და ვერ შეეთვისენ საზოგადოებას. ისინი დამარცხდნენ საზოგადოების მიერ აღიარებულ უნიჭობისაგან. ისინი პოეტები იყვნენ და ვერ იყვნენ თავისი ლექსების კომივოიაჟორები. ისინი არიან პოეზიის ბენიამინები და ბოგემის უდროოთ დაკარგული გამლეთები. ბრანდესი, როგორც ერთგული ჰორაციო დიდი ლირიკული პათოსით გვიყვება მათი დაღუპვის ამბავს.

თანამედროვე შემოქმედება ბოგემის ნიშნის ქვეშ მიდის. აქ არის სოციალური და პოლიტიკური მიზეზები.

ორსახიანი იანუსი

ორი ანტიტიზაა: პოეზია და პროზა, ლექსი და პროზა. პირველში იგულისხმება ფსიხოლოგიური მომენტი, მეორეში — სტილისტიური. ეს ანტიტიზები ჯვარედინია და არ ფარავენ ერთმანეთს.

ძველიდანვე ბევრი **პროზა** იწერებოდა ლექსით. პირველი ქართული ბილეთი ლექსად იყო: „შაური ორი, გაბრიელ მაიორი“. მაგრამ **პროზისთვის** უფრო მოხერხებულია სადათ თქმა.

პოეზიამ თავიდანვე იცოდა ორივე სტილისტიური სახე. პოეზიისათვის ყველაზე უფრო თავდადებულ სტეჰან მალარმეს რჩეულ კრებულს ჰქვია — „ლექსები და პროზა“. პოეზია ერთია და მისი სამკაული რაგინდ რაფერი და ყველა ძვირფასი. ვინ დაეჭვდება „მკვდარ ბრძულებს“, უაღლდის ზღაპრების, ანდრე ბელის „პეტერბურგის“. დავით კლდიაშვილის „როსტომ მანველიძის“ ან ნიკო ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონის“ პოეტურ ღირებულებაში!

ევროპაში ლექსმა და პროზამ ძმურათ გაიარეს ყველა პოეტური შკოლის სამჭედური. ჩვენში თავიდანვე სხვა პირობები შეიქნა. მე-X-XI საუკუნიდან ქართული პოეზია მეფის სასახლეში დაბინავდა. კარის მწერლობა არასოდეს არ სწყალობს პროზას: ეს სადა, შორს სამგზავრო სამოსია, უცხო ამბების მოსასმენი; მისი ბინაა სავაჭრო ცენტრები, შარა გზები, დიდი მონასტრები. ფეოდალის სასახლეში საჭიროა ხოტბა, მჩატე, სასიმღერო ფორმები. ლექსი ბრილიანტების და თვალ-მარგალიტის სამკაულია, მოჭედილი ხანჯალია. იგი უხდება სასახლის მუდმივ დღესასწაულს, ცელქობას და მსუბუქ ინტრიგებს. ლექსის წერაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს საქართველოს მეფეები და დიდებულები. ეს მდგომარეობა მეტათ დიდხანს გაგრძელდა. ქართული პოეზია ბოლომდე დარჩა მეფის კარზე: იყო პროზის ცდა, მაგრამ ვერ შეითვისა; ლექსის ფორმები დაობდა და სპარსელების მონობაში ლაფავდა სულს.

ამას გარდა ქართული რომანისთვის საბედისწერო შეიქნა „ვეფხისტყაოსნის“ უჩვეულო ავტორიტეტი და მისი ფორმები დღემდე მაგალითად გაუხდიათ (ს. შანშიაშვილი). მე-XIX საუკუნეში ჩვენი პოეზია რუსულს აძლევდა ხარაჯას. იქ დიდი ხანია პუშკინს პირველობას ეცილებიან გოგოლი, ტოლსტოი, დოსტოევსკი. მოსკოვიდან და პეტერბურგიდან წამოიღეს მათი სიყვარული ახალგაზდა ქართველებმა და პოეტურმა პროზამ საქართველოშიდაც შეიძინა სახელები: ჭონქაძე, რჩეულოვი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ყაზბეგი, ნინოშვილი, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, შიო არაგვისპირელი... მაგრამ რვა საუკუნის კარის მწერლობის ინერცია იმდენათ ძლიერი გამოდგა, რომ ქართულმა პოეტურმა პროზამ დღემდე ვერ იპოვა მკითხველი და დეკანოზიშვილის მინიატურები ყოველდღიურ პრესის ფურცლებზე იკარგებიან. ქართველ მკითხველს გადაავინწყდა იანუსის მეორე სახე.

სულ სხვა იყო ევროპაში. დიდი სახელები ტოლსტოისა და ბალზაკის არ იმტვერებოდა ბუკინისტის თაროებზე. იქ პროზა არ დარჩენილა იაფ რბილ რკინათ და სონეტთან ერთად მუშავდებოდა პროზის ბრინჯაოსა და ფოლადის ფორმები. პოეტები იხდიდნენ ვალს იმის წინაშე: ვიქტორ ჰეგო, პუშკინი, ტეოფილ გოტე, ვილჰელმ დელილ ადანი, გუისმანსი და დიდი ამერიკელი ედგარ პო. ევროპის დიდი ოსტატების ხელში ლექსიც და პროზაც ისე დაიქნა, დაიშალა, რომ ამ ფორმების შესახებ შეიძლება დაიბადოს ახალი აზრი და პერსპექტივა.

ახალმა პოეზიამ არ იცის ლექსისა და პროზის გარკვეული საზღვარი. აქ ნახევარ ტონებია. თანდათანობით გადასვლა ერთი სტილისტიური ფორმიდან მეორეზე. უკვე შარლ ბოდლერი ასე აფასებდა პოეტურ პროზას: „რომელი ჩვენგანი არ ოცნებობდა სასწაულიან

პოეტურ პროზაზე, უმეტროთ და ურითმოთ, საკმაოდ მოქნილზე და მორჩილზე, რომ შეეფარდოს სულის ღირიულ გაქანებათ, ოცნების ხვეულობას, სინდისის შეშფოთებას“.

პოეტური პროზა უკანასკნელათ დაიფერფლა და დაინმინდა მაღარმეს ხელში. მაღარმემ ყველაზე უფრო მართლა ასწონა სიტყვის ფონეტიკა და უკანასკნელად არია ლექსის და პროზის საზღვარი. მისი თქმით: „ლექსი არის ყველგან, საცა კი არის რიტმი, ყველგან, გარდა აფიშებისა და გაზეთების მეოთხე გვერდის. რასაც პროზას უწოდებენ, იქ ლექსიც გვხვდება, ხანდახან საოცარი ყველა რიტმებით. ბოლოს და ბოლოს პროზა არც კი არსებობს: არის ალფაბეტი და მერე ლექსები, ბევრათ თუ ცოცხათ შეკრულნი, ბევრათ თუ ცოცხათ არეულნი. ყოველთვის, როცა კი არის მოჭიმვა სტილით, არის ვერსიფიკაცია“.

ლექსს ახასიათებს მეტრი და რიტმი. უაღლდისა და მაღარმეს პროზაში რიტმი ძალიან მაღლა ადის. ქართულ პოეზიაში რიტმიული პროზის ნიმუშები აქვთ ნიკო ლორთქიფანიძეს, გრიგოლ რობაქიძეს, არისტო ჭუმბაძეს. მეტრიც თანდათან ჰკარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას. ფრანგმა სიმვოლისტებმა დააკანონეს თავისუფალი ლექსი და ემილ ვერხარნმა ყველაზე უფრო იცოდა მისი ფასი. თავისუფალ ლექსში მეტრის მნიშვნელობა მინიმუმამდე დადის და პროზის რიტმს უახლოვდება: თითებზე დათვლილი ლექსის მონოტონური ხმაური იქ იცვლება ნაირ ზომათა ახალი გარმონიით. თავისუფალი ლექსის კულტურა ჩვენში პაოლო იაშვილს ეკუთვნის. გრიგოლ რობაქიძემ ეს თავისუფლება სონეტის ორტოდოქსალურ ფორმასთან შეარია: „სონეტი ნაპირებ გადალახული“. ლექსისა და პროზის უკანასკნელი საზღვარია რითმა. პროზას არ ეგუება და ამახინჯებს წმინდა რითმა (ჩვენში სცადა მ. ბოჭორიშვილმა). მაგრამ რითმა — ალიტერაციით გაგებული — პროზას თავიდანვე სჩვევია. ბოლოს და ბოლოს: ლექსი უმთავრესად დამყარებულია ხმოვანი ასოების დალაგებაზე, პროზა — თანხმოვანებზე. მაგრამ პროზა თანდათან ითვისებს ხმოვანი ასოების მეთოდს. ლექსის ახალი რაინდებიც თანხმოვანებს მეტი ყურადღებით ეპყრობიან (დისონანსი).

ლექსის სასტიკი ფორმები საჭირო იყო მაშინ, როდესაც პოეზია მუსიკის მხლებელად ითვლებოდა. ფრანგ სიმვოლისტების ხელში პოეზიამ იცნო თავისი თავი: მის არსებას შეადგენს სახეები და სიტყვის შინაარსი. ფონეტიკა მხოლოდ სამკაულია მისი. პოეზიის ემანსიპაცია ხდება თანდათან: სონეტის მკაცრი ფორმების გვერდით გაიხარა თავისუფალმა ლექსმა, პროზა დაინმინდა გჟუსმანსის და მაღარმეს პროზამდე. ანდრე ბელის „სიმფონიებში“ საზღვრები იშლება.

პროზისა და ლექსის გზები არაა ბოლომდე პარალელები და რადგან მათი სიბრტყე ერთია (პოეზია უმთავრესად), ისინი სადმე შეხვდებიან ერთმანეთს. სადაა ეს მათი საერთო წერტილი? შეიძლება ეს იყოს ვალერი ბრჟუსოვის: „ო, დაფარე შენი მკრთალი ფეხები“. შეიძლება — პოეზიის უკანასკნელი სტილისტიური სახე სათაურია.

სანდრო ცირეკიძე

ქართული პოეზია

„შვიდი მნათობი“. გამოცემა ამიერ კავკასიის კოოპერატიულ კავშირისა. ქ. ფილისი. ოქტომბერი. 1919 წ.

მიხ. ბოჭორიშვილი. „ეტიუდები“. პირველი კრებული ქ. ქუთაისი. 1919 წ.

„თფილისი“. ხელოვნებათა და ლიტერატურის ყოველკვირეული ჟურნალი. №1. თფილისი. 1919 წ.

„შვიდ მნათობს“ არა აქვს სახე, და მით უმეტეს შკოლა. ბარბაროსობაა მოთავსება ერთის მხრით გრ. რობაქიძისა, ნ. ლორთქიფანიძისა, და მეორეს — ს. შანშიაშვილისა და პ. კაკაბაძისა, ვინაიდგან მოუხერხებელია ერთის ზომით აღება იმნაირ პოეტებისა, როგორც არიან გრ. რობაქიძე და ს. შანშიაშვილი. ეს უკანასკნელი ნევრი ჩვენი პოეზიის „წმინდა სამების“ დიდხნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ეროვნულ თავგამოდების შემდეგ დაუბრუნდა ისევ პოეზიას, და პოემების წერა დაჟინებით განაგრძო. მის წინანდელ პოემებზე ლაპარაკი არ შეეფერება ჯენტლმენს, რადგანაც მათი ანაზღუელი, მაგრამ კანონიერი, სიკვდილი და დავინწყება მათ შესახებ ლაპარაკს უხერხულათ ხდის. რაც შეეხება „შვიდ მნათობში“ დასტამბულ „ელბერტ ბატონიშვილს“ ის შესანიშნავია იმ მხრივ, რომ ს. შანშიაშვილი თავის L'Art poétique, გვაცნობს შოთას მანერით, თუმცა შაირი ს. შანშიაშვილისა იმდენათ ტლანქია და ფორმას მოკლებული, რომ სრულებით უალაგოთ ხდის მის ლექსათ გამოთქმას: ჩვეულებრივი პროზა არაფერს არ მოაკლებდა მის ესთეტიურ ღირებულებას.

გასაკვირია, ავტორის დარწმუნება თავის ნიჭში; ჩვენც ყოველთვის ვფიქრობდით, რომ ბ. შანშიაშვილი ხალასი ნიჭის მქონეა და მეტათ „ფაფუკი“ პოეტი.

მხოლოდ მგოსანი ხშირათ ეწინააღმდეგება მის მიერვე უარყოფილ მგოსანთა ზნეს:

„უფრო არ მიყვარს მგოსნის ტრაბახი,
თუ კი დასწერა ერთი თაბახი!“

მაგრამ შემდეგ:

„როს კალამს ვიღებ, ხმა გამაგონე!
ხვთიური ცეცხლი შენ შთამაგონე,
შევქნა მარტივი, გრძნობით მაღალი,
შაირ-თქმულება ჰანგით ახალი“.

დაუკვირდით აქ სტილის პროსტიტუციას!

მე ვამბობ გაბედულათ: ბ. შანშიაშვილი და „კომპანია“ უნდა მიხვდენ, რომ ამგვარი ბანალობით ქვეყნის მოტყუება შეუძლებელი გახდა და მათი სპეკულაცია პოეტის სახელის უნდა გათავდეს, ვინაიდგან პოეზია დღეს კულტურას მოითხოვს და ყოველმა აქლემმა უნდა გაიგოს, რომ ნემსის ყუნწში ვერ გაძვრება.

„ზე შთაგონებულ“ პოეტებს ეკმაროთ ქართულ პოეზიის გარყვნა და საროსკიპოთ გადაქცევა, რადგანაც ის ადამიანი, რომელიც პოეტის სახელს ატარებს და „ელბერტ ბატონიშვილის“ მზგავს რამეს სწერს მე-XX-ე საუკუნეში, პოეზიის მტერია და პოეზიის გარეშე სდგას (იქონიეთ მხედველობაში იოსებ გრიშაშვილის და მისი უნიჭო ეპიგონების კრეტინიზმი).

გასაკვირია, რომ გოტეს, ვაგნერის და ნიცშეს ქვეყანამ ვერაფერი ვერ შესძინა ს. შანშიაშვილს გემოვნების მხრივ.

ალმანახის სამხატვრო ნაწილი თავდება პოლიკარპე კაკაბაძის ლირიკულ დრამით, რომლის ტრაგიზმი მდგომარეობს იმაში, რომ კომედია-ვოდვეილის ეფექტს იძლევა.

მხოლოდ მეორე სამეცნიერო ნაწილი ალმანახისა ამძიმებს ამ დიდ რვეულს.

დავიდ კაკაბაძის „სამხატვრო წერილები“ პირველი პრეცედენტია ჩვენ ლიტერატურაში, როდესაც მხატვრობაზედ სწერს პროფესიონალი ერუდიციის და გემოვნების მქონი. ეს გასახარელი მოვლენაა. გვინდა აღვნიშნოთ, რომ წერილი ლეონარდო და ვინჩის შესახებ მეტათ სუსტია, რომ მეტი არ ვსთქვათ. ეს უდიდესი ჭკუა და გენიალობა იტალიის რენესანსისა, რომელიც, როგორც გიგანტი სჭარბობდა ყველა თავის თანამედროეთ, მოითხოვს მეტ სიყვარულს, მეტ ცოდნასა და ინტუიციას, ვიდრე თუმცა მიქელ ანჯელო და რაფაელი.

გარეგნული ფორმა ალმანახისა — ცუდია. არ ვარგა დ. კაკაბაძის ვინაეტიკები და ყდა; სათაურის დიდი ასოები — შეუწყნარებელია de facto.

ქართული პროზა ჯერ პრობლემაა. მას არა აქვს ისტორია; არავინ არ დაბრმავებულა, არ დასწრულა ქართული ენით ჯერ ისე, რომ ის რელიგიით გადაექციოს, როგორც ეს მოხდა საფრანგეთში გუსტავ ფლობერის სახით; ბარბე დ'ორევილი, ვილიე დე ლინ ადან და მალარმეს შემდეგ ფრანგული ენა გადაჰყვა მუცელს და დღეს ის გადაგვარების მშვენიერებას იჩენს, როგორც ეს საბერძნეთში და რომში მოხდა.

ქართული პროზის პირველი მონათვლა ილია ჭავჭავაძის ხელით დაიწყო. არავინ ცმულა ჯერ მისთვის ჯვარს. მისი ზრდა ჯერ არ დასრულებულა, ჯერ ის ნორჩია და სუსტი. თანამედროვე კულტურამ გაასწრო მას სირთულით.

ამისათვის, როდესაც ვინმე ბედავს ქართული პროზის კალამზე აგებას, ის დიდ ხიფათში ვარდება და დიდ გაბედულებას იღებს თავის თავზე.

ამ მხრივ მიხ. ბოჭორიშვილის „ეტიუდები“ მიუღებელია. დავანებოთ თავი სტილს, რომელიც თავის ქრისტეს მოითხოვს; ავიღოთ ჭაბულა, ეს მინიმუმი ყოველ გვარ შემოქმედებისა. აქაც სიღარიბეს ნახავთ. ჩვენ ვფიქრობთ, მიხ. ბოჭორიშვილის კულტურით თანამედროვე პოეზიაში გამოსვლა საბედისწერია.

თფილისის გამოცემები ჩვენ გვაკვირვებენ უბრალოობით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პოეზიის ყველა „ქურუმები“ იქ ბრძანდებიან და ტეხნიკური მხარე მათ უფრო ხელს უწყობს. ჟურნალი „თფილისი“ თითქმის არარაობას წარმოადგენს, რადგანაც ნახევარზე მეტათ უბრალო თარგმანისგან შესდგება, „чтец декламатор“-იდან. კარგია გ. ტაბიძის ლექსი „თფილისი“, თუმცა ბუნების ანერით იწყება (მგონებ, იგი დასცდა იმ დროს, როცა ამ მანერით სწერდენ და ცოტა გრძელი არის. სუსტია პირველი და მეშვიდე ტაეპი. გ. საგანელის ლექსი ძრიელ ხელოვნურია და ოდნავ მძაფრი. არის აუტანელი „lapsus“-ები გემოვნების მხრივ. რა არის მაგალითათ:

„სხვაგან წვეულების თითქო ბრმა ქარია“.


ან და:

„მესმის არეული ცა მტვრეული ხმები,
უნუგემო ძმების ყვითელ ალერსით!“

ა. გაბუნიას „ფანტაზმა“ ჩვეულებრივი დამარცხებაა.

რაც შეეხება კრიტიკულ ნაწილს, „გენიალური გალაქტიონის“ მიღება ჩვენთვის ძნელია. გენიალობა ცოტა უხერხული პრივილეგია არის და სახიფათოც, რომ ასე ადვილათ დაბოლოვდეს ს. ს-ანის მიერ პატენტის მიცემა და გენიალობის არსებობაზე ხელის დადება.

კოლაუ ნადირაძე



სოცალი

წიგნი პირველი

დამბეჭდი

1921

თბილისი



სტეპლუი

უ ი ნ ა ა რ ს ი:

ს. აბაშელი
ხარიტონ გარდოშვილი

იახაშანი

ობოლი მუშა
ვარლამ რუხაძე

ვ. ტუქნიშვილი

გ. ქუჩიშვილი
ლეო ქიაჩელი
დემნა შენგელაძე
ალერტი
ხომალდელი
შარლემანი

შორეული ნაპირი
სამდურავი შუალამეს

{ ზღვაზე
შენდამი
მე—რკ ლებში
ს უ ლ ს

{ ძველი აღთქმა
სანათა

{ ჟამსა ავადმყოფობისას
ნაცნობ-მეგობრები

შეურაცყოფა
დ დოფალი მია
ჩვენი მწკრივობის შორი-ახლო
ბიბლიოგრაფია
ყ დ ა

წიგნი პირველი
დეკემბერი
1921

№ 1

შორეული ნაპირი

I

იყო უჩვევი და უეცარი
ცის უცნაური აელვარება.
ციდან დაეშვა ცეცხლის ზენარი,
სწუხდა სალამო და მდუმარება.
სწუხდა სალამო დაფიქრებული,
მოსილი ცისფერ შადრევნის სხივით.
სერაფიმების თეთრი კრებული
იდგა ჰაერში მსუბუქ ნისლივით.
მოვარდა ქარი ცეცხლის ფაფარით,
დასწყვიტა ცაში ყველა სიმები.
გარდაიცვალა ძველი ზღაპარი
და გადაფრინდნენ სერაფიმები.
სივრცე დაეთმო შავ-ფრთიან გველებს,
ცაში ავარდა რკინის აფრები.
და პროპელერმა მწუხრის ანგელოზს
მოულოდნელად მოსწყვიტა ფრთები.
და სადაც წინად, შეუმჩნეველი,
მხეს იჩრდილებდა შუადლით ფავნი,
იქ აკაკანდა ტყვიისმფრქვეველი,
ჰაეროპლანით გამონაგზავნი.

II

ჩემს სიყმანვილეს ნალვლიან ბედმა
ყვავილთა ნაცვლად დაუგო ნარი.
შეჰმოსა სევდის შარავანდედმა
სიმღერა სხვისთვის გაუგონარი.
და როცა მთვარის თოვლიან ჯამით
იღვრება შუქი და მყუდროება,
მე ხშირად მესმის ხავერდის ლამით
უცნაურ ხმათა მოახლოება.
თითქოს მზის ტვირთი ცამ ვერ აზიდა
და მიწას ელის ცის დაბნელება.
და შუქთან ერთად ციურ თასიდან
იღვრება შიში და სურნელება.
შორეულ წვიმის ხმა ისმის წყნარი,
ანთებულ ღრუბლის ღია სავანით,
და იბურება ჩემი სიზმარი
ჰაერში მცურავ იასამანით.

III

ანგელოზით ძირს დაიხრება
 ოცნება, სულის ნაზი მხლებელი,
 და დამშვიდებულ გულში იღვრება
 მოგონებათა ნელსაცხებელი.
 გახსნის ნაპირებს ნაკადი ტკბილი,
 მოდის სიზმარი განაცხადები:
 დედის ოთახი ყოველთვის თბილი,
 დაბალ კედელზე ძველი ხატები.
 ხატის წინ სამი თაფლის სანთელი,
 და ვერცხლით სავსე პატარა ქისა.
 ხატზე დოლბანდი და შარშანდელი
 ფოთოლ-გამხმარი წმინდა შტო ბზისა.
 შუაში ჯვარცმა, როგორც საყდარში,
 ირგვლივ — მადონნა, მირქმა, ხარება.
 თაროზე ტყავის გაცრეცილ ყდაში
 ძველი ფსალმუნის და სახარება...
 აქ იყო ჩემთვის გამონარჩევი
 ოცნება, დედის ცრემლით ნათესი.
 ამ დროს ეკუთვნის კურთხევა ჩემი
 და მოგონება უძვირფასესი.

IV

არ ვიცი, ზეცა თუ რას მიქადის.
 მივყავარ ბედის საშიშარ ქარებს.
 ჩემს სულში ვილაც უცნობი დადის
 და ეძებს უცნობს აღსავლის კარებს.
 არ არის კარი! არ არის კარი!
 უნდა დაიწვას საკანი ძველი!
 მოვარდა უცებ მზის ნიაღვარი
 და გადარეცხა ათასი წელი.
 ათასი წელი, ათასი აზრი —
 და ერთი წამის დახამხამება!
 ო, რა ჩქარია, მწველი და მკაცრი
 დროთა საზღვარზე შემოლამება!
 პირქუში ზეცა ჯანყს არ გადიერის,
 ყამი არ სცხრება მუდამ მბრუნავი,
 და უვარსკვლავო ღამეში მიჰქერის
 შიშით მოცული უაფრო ნავი.
 და მოსჩანს შორით ზღვაზე დახრილი
 ცეცხლით და სისხლით ნაფერი სარკე,
 და განწირულთა ისმის ძახილი:
 ნაპირისაკენ! ნაპირისაკენ!

V

დაჰკრავს საათი კერპთა დასეტყვის.
 მინას მოივლის ცეცხლის მოდება.
 და ძველ ქვეყანას რეკვიემს ეტყვის
 ჩემი ნაღვლიან სულის გოდება.
 ოხ, ჩემთვის ძნელი მისაღებია
 შურისძიება ახალ მეტოქის.
 ცეცხლის ეკრანზე ისახებიან
 ძვირფასნი ჩრდილნი წარსულ ეპოქის.
 ცეცხლში უეცრად გადასხვაფერდა
 ძველი ფიქრები და იმედები.
 და ილენება ბორკილთან ერთად
 წარსულ დიდების თეთრი სვეტები.
 და ერის ტანჯვის გამომსახველი
 იზრდება გულში ორი მწვერვალი,
 ერთი ნაღველის ორი სახელი:
 კრწანისის ველი და თებერვალი.
 და ჩემს ფიქრებში ცრემლი გროვდება.
 ვილაც ჩურჩულებს: არ არის მკვდარი!..
 დროთა მიჯნაზე სალამოვდება.
 სადღაც ჰქვითინებს მწუხარე თარი...

VI

მგოსნის გონება სარკეა სრულის.
 არ არის მისთვის სამშობლო კერძოდ.
 ყველგან ერთია მუსიკა სულის,
 და სული ჰბრუნავს მსოფლიოს ღერძად.
 სხვა და სხვა ქვეყნის აურ-ზაურში
 მუსიკად ისმის შექსპირი, შოთა.
 ერთად იწვიან სულის აუზში
 ელვარებანი სხვა და სხვა დროთა.
 მაგრამ სხვა არის — სისხლში ფარული,
 როცა იელვებს ძველი სახელი.
 მიჰქროლავს რაში ლეგენდარული
 და წინაპართა ისმის ძახილი.
 ჩემი ქვეყანა მიყვარს მე მაშინ
 განსხვავებულის ლმობიერებით,
 და ჩემი სისხლის გრძელ პოემაში
 ბრწყინავენ დრონი ძვირფას ფერებით.
 გამქრალ სახეებს ფიქრი გარს უვლის,
 მოგონებებით რომ ავენთები,
 და იფერება ჩემი წარსულის
 ფერგადასული ორნამენტები.
 და მიყვარს მაშინ მზის სიმხურვალე,

ჩემი სამშობლოს ცა სხვანაირი,
 სული, სიახლის მარად მწყურვალი,
 და ჩემი მინა, ჩემი ჰაერი;
 მიყვარს ჟინჟილილი ნათელ ხელებზე,
 ერი, ჩირალდნით განათებული,
 და საქართველო, ცეცხლის ელიპსზე
 ჟამთა სივრცეში გაქანებული.

VII

აქ უყვართ ბრძოლის სპეტაკ რაინდებს
 მიუვალი გზის ახმაურება,
 მაგრამ შობილი სულს ვერ აინთებს
 მშობელი ზიზლით თუ იბურება.
 და სძულთ ამიტომ აქ ნაძირალი,
 სული ნაყიდი და გაყიდული.
 აქ გზას იკაფავს ნათელ სპირალით
 ახალი ძველთან გადახიდული.
 აქ სათნოება უდაბნოელის
 ერის წარმართულ გრძნობას არა ვნებს,
 და ძველი კოშკი მუდამ მოელის
 ოქროთ დატვირთულ ზღაპრულ ქარავნებს.
 ო, აქაც უყვართ თამაში ქართან,
 როცა ინგრევა ზღუდე მაღალი,
 მაგრამ იციან როდის სთქვან: ფარდა!
 და სად ამართონ მიჯნა ახალი.
 ხშირად მახვილი შეუპოვართა
 ელვათა სისხლით დაიფერება,
 მაგრამ გრივალი თუ ამოვარდა,
 მას შეჰკრავს რიტმი და ამღერება.
 და ნაპირებში თუ აღარ იცდის
 საზღვარ-წაშლილი ვნების ქაოსი, —
 უცებ მოვარდნილ ცეცხლის ღვარისთვის
 მზად არის ჩარჩო ცივ ბრინჯაოსი.

VIII

ტკბილია სისხლით შეზარხოშება.
 ვრცელია ბრძოლის ხმის ასპარეზი.
 მზის ნაფლეთები წითელ დროშებად
 გადმოეკიდა ჩამქრალ მთვარეზე.
 და მიჰქრის მინა, გიჟი პლანეტა,
 ალისფრად მოსჩანს ცა გაფატრული.
 მიჰქრის, მძებნელი სხვა სავანეთა,
 და სხვანაირი მზის მონატრული.
 ძველი ორბიტის იმსხვრევა რგოლი.

ბურუსში ბრწყინავს ახალი რკალი.
ელვით გაბზარულ ცით მონაქროლი
მძაფრდება ომში რღვევის გრიგალი.
ეჰა, ვინ იცის შორეულს კიდეს
ეს გაქანება ნახავს თუ არა!
იქნება მინის სურვილს უდიდესს
სატანამ ადრე გადაუარა.
მაშინ ცას შეჰკრავს ძველი თაღები,
და მზის ამოსვლა დაიგვიანებს.
და სხვა ბორკილი, სხვა არტახები
შესცვლის აწყვეტილ მერიდიანებს.
ვინ იტყვის მაშინ, სად დამშვიდდება
რკინის გონება აზავთებული!
სად დაემხო ბრძოლის დიდება,
და სად ჩაჰქრება გზა ანთებული!

ს. აბაშელი

სამდურავი შუალამეს

2

თვალეზი არ მაქვს მე დავსებული
რომ ვერ ვიხილო სიშავე ქვეყნის.
ო, შუალამევ დახავსებული
ზურგზე ცოდვების გადგია კეხი.

კეთროვანებით წელგატეხილი
ხარ დაბურული მძიმე მთიებით;
უფსკრულის გელის შენ ქარტეხილი
აზვირთებული შურისძიებით.

შენს ნაპრალებში ქაჯები ჰქრიან
და სახეები საუბედურო.
შენზე რამდენი მე მიფიქრია
და მითქვამს შენი სასაყვედურო.

ლელვიან ფიქრათ და მოჩვენებათ
გატეხილ გზაზე ოდითვე დამდეგ,
განმარტოებულს — შენში თენება
მიმიყვანს რომელ ჯოჯოხეთამდე?

შავი კვამლებით ხარ გათანგული
და დაფენილი ბინდისფერ ყავრით;
დავდივარ შენში მე — დაკარგული,
და დატვირთული უცნაურ ჯავრით.

უნაპირო და განუჭვრეტელი
სივრცეა შენი ნისლებით სავსე.
მეხდაცემული შენი კედელი
ამართულია ლოდათ ჩემს გზაზე.

შურიანი და გაულახველი
თვალეები რომ გაქვს ასე უდარდო,
ეს არის ჩემი მძიმე ნალველი
და სატირალი ეს არის მარტო.

ჩემი სიკეთე ღმერთს რო ენება —
მომიკალ სული ასული ცამდე.
იყოს წყეული შენი ხსენება
უკუნითიდგან — უკუნისამდე.

ხარიტონ ვარდოშვილი

1920 წ.

ზღვაზე

ხელი მომხვიე. უფსკრული გვიცქერს,
ხედავ, უნდობი, განუსაზღვრელი.
რას დაეყრდნობი? არ ენდო ტალღათ:
მატყუარაა ზღვის სწორი ველი.
სახიფათოა ლტოლვა ამ გზითა.
ფრთხილად მომეკარ — მომხვიე ხელი.

ზღვისებრ მედგარი, დაუდეგარი,
ამაყი, მარდი, ვით ტალღა ზღვისა,
გულის სიღრმეში იშვა ტრფიალი
შენდამი, სვეტო ცხოვრების გზისა.
გულს ამოგლიჯე ის საუკუნოთ,
ხოლო თვით წახველ, შეიქენ სხვისა.

თან გამოგყევი. ვერ მოგიცილე:
შორს ვეველებოდი შენს არე-კარსა,
ვერ გამოგიტყვი სევდა გულისა,
კრულვას ვუთვლიდი ცას — გარენარსა.
ველარ ისმენდი, ველარ ხვდებოდი,
ველარ მამჩნევდი შენს თანამგზავრსა.

...და განვლეს დროთა. ტლანქათ შეეხო
შენს წმიდა გრძნობათ თანამავალი:
ვერ შეითვისე, ველარ მიგიხვდა —
და გაღვრევიანა ცრემლი მრავალი,
შემდეგ უეცრათ გადაწყვიტევი
და სანეტარო მომაპყარ თვალი.

თუ ღრუბელსა და ზღვის უფსკრულს შუა
ამაყი სვეტი აიმართება,
ტალღათა გორათ ფრთა გამოებმის,
ხოლო ჩვენს ნავსაც გზა შეეკვრება, —
ეს დაგვრჩენია: უფსკრულს გავანდოთ
წმიდა ფიქრები და მტკიცე ნება.

მანამ თამამათ... უფსკრული გვიცქერს,
ხედავ, უნდობი, განუსაზღვრელი.
რას დაეყრდნობი? არ ენდო ტალღათ:
მატყუარაა ზღვის სწორი ველი.
სახიფათოა ლტოლვა ამ გზითა.
ფრთხილათ... მომეკარ, მომხვიე ხელი.

იასამანი

შენდამი

ვით სანეტარო მაისის დილა,
ღრუბლის დარაჯი და გამკიცხავი, —
შენში ბრწყინვალე სული გაზრდილა,
და განუყრელად ჩვენთან იყავი.

გაჩაღდა ომი, ბრძოლა მხურვალე.
დაეცენ ძმები შეუდრკელები.
აზრი მახვილი და გამსჭვინვალე
ისევ თანაგდევს და ჩვენთან რჩები.

და საარაკო გამოსვლა ძმათა
გასცდება ჟინით დროის ჯებირებს.
ამაყ სიმღერებს, ბრწყინვალე ძმათა
ნორჩი თაობა გაიზეპირებს.

კვლავ გაიტაცებს მომავლისაკენ,
ვით ბრძოლის წინეთ ამ ამბებამდე.
და ივლის რაზმი ტკბილ მიზნისაკენ,
გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

იასამანი

მე — რკალებში

1

მობხუცი მამა... და ძვირფასი დედის ალერსი
იელვებს სულში, ვით მოწყვეტილ ვარსკვლავის გზნება.
შემდეგ ოცნება მზის ღიმილზე უელვარესი,
და ბრძოლის ცეცხლში გახვეულის თავდავინება.

ახალი ქრისტე. შორეული ქვეყნის ნაპირი.
და მოწოდება, როგორც ხმალი აელვებული.
მედგარი სიტყვა, განწირულთა ცრემლით ნაპირი,
და ყველა კერპი სიძულვილით აფეთქებული.

როგორც ყაჩაღი იარაღის მოსიყვარულე —
მუდამ ბომბების და ნალმების ტრფობით ხსენება.
მარად წინ და წინ გატაცებით მოსიარულე,
და ნაპრალებზე ბრძოლის რაშით გადაჭენება.

მებრძოლთა ჯარში ჩაქსოვილი და არეული,
მე — საკუთარი დაჩრდილული უცხო ზმანებით...
ჰკიოდა ტალღა მწვავე ბრაზით გადარეული
და წინ ილტვოდა გახელებულ სარდლის ბრძანებით.

ძვირფასო მამავ! შენი სახის ნაზი იერი
მე მავალეზდა — ვყოფილიყავ უფრო ჭკვიანი,
მაგრამ ვიხილე უცხო ქვეყნის მზე მშვენიერი
და ავირჩიე უტეხ ბრძოლის გზა ეკლიანი!

2

ტკბილი წამება. უცხოეთის ცივი ველები.
მშობელი ქვეყნის სიყვარული წინაპარული.
რომ დამსეოდა ცხელ აზიის ყველა გველები,
მანც ვპოვებდი გზას მე — მისკენ გამოპარული.

მშობლიურ ცის ქვეშ სიხარული ღამით ქურდული.
დედის ცრემლები, დარიგება და მოფერება...
მეტეხის ციხე. ბორკილები. რკინის ურდული.
და ბნელ საკანში მომწყვდეული ქვეყნიერება.

სიყრმის დღეები ნაზ ოცნების ფერფლად ქცეული.
და პოეზიის იდუმალი მოახლოება.
შორს ცის ნაჭერზე მწვანე რიდე ჩამოხეული,
და წმინდა ფიქრთა უცოდველი უმანკოება.

შორეულებთან ჯადოსნური დაძმობილება.
დღიურ ლანდებთან ბრძოლა მტკიცე, შეუპოვარი.
წამების ჯვარი. გოლგოთა და კმაყოფილება:
რადგან თან მახლდა მეგობარი სხივთა მთოვარი.

ძვირფასო დედავ! ვერ აგიხდა შენ დანაპირი:
წმინდა გიორგის დაავიწყდა ჩემი სახელი.
სულს იტაცებდა შორეული ქვეყნის ნაპირი,
შენი ცრემლების და ღიმილის გამომსახველი!

3

რღვევის ქაოსი. დანგრეული ყველა კედლები.
და აღტაცება ფრთებ-შესხმული, უზენაესი.
ქუჩის ზეიმი. დროშები და შავი მჭედლები.
ნითელ ფერებით შემოსილი უცხო მაისი.

გმირი ჭაბუკი თეთრი რაშით ცათ აფრენილი.
მარადისობა გადმოსული აკლდამებიდან.
წინაპართ ხმალი კრძალვით მთებში გადარჩენილი.
წრფელი სალამი გამარჯვების ძმებსა ძმებიდან.

პირდაღებული ნაპრალები და ურდოები.
ბრძოლის საყვირი. და გმირობა მტერთგან ქებული.
პირსისხლიანი, მოცახცახე კერპთა ხროები
ელვარე ნალმით დაუნდობლად აფეთქებული...

და მე — ვით მწირი და ნაფოტი — ამ მდინარეში,
შორეულებთან ნაოცნებარს ვგზავნი ბარათებს...
რღვევის ქაოსის, დღიურობის შეშლილ მხარეში,
უცხო ზმანების ელვარება მაინც ამანთებს!

და ასე მუდამ ვიტრიალებ მრვალ რკალებში,
ვიდრე დამბურავს მდუმარების თეთრი მანდილი;
მაშინც იელვებს გაოცებულ ღია თვალეებში:
სიყრმის ოცნება... შორეული ქვეყნის მანძილი!

ობოლი მუშა

სულს

სულო! იყავი მოუსვენარი,
 ღრუბელთა შორის დასდევდი ელვას.
 გიყვარდა ფრენა, ფიქრი ზენარი
 და უმღეროდი ქარიშხლის ლელვას.
 ფიქრით ეძებდი შორეულ ნათელს,
 მეუდაბნოეს ჰგავდი მწყურვალეს,
 ალთქმის ტაძარში ანთებდი სანთელს,
 და ალაგლენდი ლოცვებს მხურვალეს.
 ქვეყნის ვარამი გარს გერთყა სალტეთ,
 ჰხედავდი ირგვლივ ცრემლებს და წყლულებს,
 შენ კი იდექი მათ შორის სალ-კლდეთ,
 ცეცხლით ათბობდი გაყინულ გულებს.
 შენ არ ყოფილხარ სათუთი, ნაზი,
 მაგრამ ცხოვრება ნაზია განა?
 და შენც გრგვინავდი მუდამ, ვით ფაზი,
 და ხელში გეპყრა ელვარე დანა.
 ვერ გაშინებდა ლამის სიბნელე,
 რადგან არ გნამდა ყოფნა ლანდური.
 ბევრჯერ შეგემთხვა გზაზე სიძნელე,
 არ დაგიგდია რწმენის ფანდური.
 შენ ასეთივე დარჩები მარად,
 ველარ გამოგცვლის ჟამთა ტრიალი,
 ვიდრე არ მიხვალ საფლავის კარად,
 და არ დაგფარავს ლოდი ტიალი!
 და თუ ხანდახან წაიფორხილებ,
 გულში მოგვხდება ფინთიხი მწყვლელი,
 შენ მაინც იტყვი: დავლენთ ბორკილებს,
 და მახვილისკენ გაინწევს ხელი.

ვარ. რუხაძე

ძველი ალთქმა

ცეცხლის ამბორში ეწრთო გონება,
 იმედი წრფელი წინ წავიმძღვარე,
 მაგრამ შორს დავრჩი ვით მოგონება, —
 წინ სხვა გამოჩნდა ოცნების მხარე...

გრძელს მოლოდინში გლოვა მომწყინდა,
 გაშრა, გაცივდა ცრემლები ცხარი;
 მამცნე ვარსკვლავი არ აღმობრწყინდა,
 მოკვდა იმედი დაუვინყარი...

და სიყვარულში გაჩნდა ნალველი,
გამოუცნობი ტკბილი სიმწარე;
თრთის შემოდგომის ვერხვზე ფოთოლი,
შიგ ნაკადულად იღვრება მთვარე...

ცრემლი დაგუბდა ტირიფის წინა,
შიგა ზის ჭმუნვის ლანდი მწუხარე;
იჭვის სარკიდან მან შემომცინა,
დაფრთხა ღიმილი — ვერ გავიხარე...

გონების თვალი ვერ ჩასწვდა გულსა,
სიცხადეს ვძულვარ — ვერ შევიყვარე,
და მწარეს ტკბილათ მობადა გულსა,
ცივ ნაკადულად ეღვრება მთვარე...

* * *

თუ ძიებაში დასკვნილა ტრფობა,
ღრუბელთ ქროლვაში ელვის კამკამი, —
ბნელს გაჰკვეთს ნათლის პირ უტყვიფრობა,
წრთობის სახმილში სთვლემს შვების წამი...

მე შენს სიყვარულს ვერ გავექცევი,
ვიდრე სიძულვილს აქვს დასაბამი:
წყევლა საყვირად გარდავიქცევი,
გეძიებ, გდევნი ვით სივრცეს ჟამი...

არ დავიღლები უიმედობით,
ლოცვას არ ვიტყვი მაშინ შენდამი:
სიცოცხლეს დავლევ ვით ცეცხლს აბედი,
თუ შეგხვდე — ვიქმნე სულ ამომხდომი...

ბედს დასძლევს სევდა, იყივლებს გედი,
დახუჭავს თვალებს დაჭრილი ლომი;
ნულარ იქნება შმაგი, თავხედი,
აღსრულდეს აღთქმა, გათავდეს ომი...

და მაშინ იგი შენს ამბორს ცბიერს,
გულს ჩაისვენებს, როგორც აკლდამი:
სიყვარულისას იტყვის მაგიერს
გამარჯვებულის უენო გვამი...

ვ. ტუქსიშვილი

ივლისი, 1920 წ.

სანათა

(დაბადების წერილი)

დედა ჩავარდა მწუხრის ეკალთა;
გულში იცეკვეს ვნების დანათა,
და ინანწკარეს სისხლის სპეკალთა
წიალთა მიერ, სახმილვანათა...

ლამეს წყვდიადი შემოეკვალთა,
დროს ბინდი შვების ამოცანათა;
უცრემლო ელვა აფრქვიეს თვალთა,
შიში მუქარას ემოსანათა, —

ტანჯვის ზვირთებით აივსო კალთა,
იზრდება ტვირთი თანისთანათა,
ჭირთა გოდებამ თუ გზა გაკვალთა,
თუ მისწვდა ზეცას ხმა ოსანათა...

...მაშინ დუმილში სთვლემდა წყვდიადი,
თუ განთიადი კრთოდა მის ძილში,
აღმობდა სულთქმა ურიცხვ-დიადი,
ნელი ვით წვიმა დღიურ სიცილში...

და იქმნა ჟამი აღმოსავლისა,
როცა მზემ სრულათ ამონათა:
იშვა ასული ვინმე ფშავლისა
და მას სახელად არქვეს სანათა!..

ვ. ტუქსიშვილი

23 აგვისტო, 1920 წ.

ჟამსა ავადმყოფობისას

სული სწუხს, სული, ლოგინში წოლით,
ლოგინში წოლით სწუხს ჩემი სული;
გარეთ კი, ბაღში, ნერვიულ თრთოლით
ცვივა ფოთოლი შეყვითლებული.

ცვივა ფოთოლი და მეც ცახცახით
ვსწყდები სიცოცხლის დაღუნულ ტოტებს;
მჭლე შემოდგომის ქლექიან სახით
სიკვდილი მოდის და მოაბოტებს.

ვ. ქუჩიშვილი

ნაცნობ-მეგობრები

ეჰ, მეც მყვანდნენ, მეცა მწამდნენ
ნაცნობ-მეგობრები;
სიყვარულით გარს მეხვივნენ,
როგორც სკას ფუტკრები.

და დღეს, როცა ყველა მათგანს
ავად ვეგულედი, —
ალარც ერთს არ ვაგონდები, —
ალარც ვეკითხები.

ეჰ, გავიგე, რაც ყოფილა
ნაცნობ-მეგობრობა:
ლხინში ძმობა, თანაგრძნობა,
ჭირში გადაცნობა.

*გ. ქუჩიშვილი
ნოემბერი, 1921 წ.*

შეურაცყოფა

...ეს შაბათი საღამო ილიკო კ.-სას უნდა გაგვეტარებინა მეგობრებს. ილიკო უნდა გაგვემასპინძლებოდა ჩაითა და საინტერესო ამბით. ამბავი უნდა ყოფილიყო ან შემთხვევა მისი ცხოვრებიდან ან მის მიერ გაგონილი, ან შეთხზული რამ მოთხრობა.

— კაცო, იმისთანა რა უნდა გითხრათ, რომ გაგართოთ? ხომ იცით, ამისათვის საჭირო ნიჭი არა მაქვს: ჩემს დღეში ერთი ლექსიც კი არ დამიწერია, შენ ხარ ჩემი ბატონი, და მოთხრობის შეთხზვის აზრიც კი არასოდეს მომსვლია თავში!.. იქნება დაკმაყოფილდეთ რომიან ჩაით და...

ამის წინააღმდეგ ერთხმად გავილაშქრეთ.

— ეს ლალატია!.. წესის დარღვევაა და არ იქნება! — შევძახეთ.

— რა გზა მაქვს, უნდა დაგემორჩილოთ. მაგრამ გაფრთხილებთ, პოეტობის არაფერი მომთხოვოთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, და სილამაზისა! ერთს შემთხვევას გიამბობთ და მით მოვიხდით მოვალეობას!

„ცოტა პიკანტური კი არის, მაგრამ რა გაეწყობა. არ გამაცხადოთ კი!..“

მოხდა ეს, შენ ხარ ჩემი ბატონი (სხვათა შორის, ასეთი მითქმა იცოდა ხოლმე ბიძაჩემმა და მეც მიწვევია. მისთვის წინ და წინ ბოდიში მომიხდია!) დიად, მოხდა ეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩემი მოსკოვს ყოფნის დროს, როცა მეორე კურსის ახალგაზრდა სტუდენტი ვიყავი. ვიდექი, როგორც ღარიბი ქართველების უმრავლესობა, განაპირას და ისეთი პანია ოთახი მქონდა დაქირავებული, რომ ძლივს ვიმართებოდი შიგ. თვითონ სახლიც, შენ ხარ ჩემი ბატონი, მინიატურული რამ იყო, ხისა, კირით შელესილი. დიასახლისს ჩემს გვერდით მეორე ოთახიც ჰქონდა გასაქირავებელი სწორედ ისეთივე ზომისა, როგორიც იყო ჩემი. ამასა და ჩემ ოთახს შუა თხელი კედელი იყო და ზედ ეკიდა კარი, რომელიც, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩემი ოთახიდან იყო გადარაზული. უნდა მოგახსენოთ, ბატონო, რომ ეს ორივე ოთახი ოდესღაც ერთი უნდა ყოფილიყო და შემდეგში კედლით განცალკევებული.

ის დრო იყო, როცა ეგზამენებისათვის ვემზადებოდი და დღე-და-ღამ ვზეპირობდი. მოხარული ვიყავ ფრიად, შენ ხარ ჩემი ბატონი, რომ ჩემ გვერდით ოთახს მდგმური არა ჰყავდა და მეც თავისუფლად შემეძლო თუ გინდ გათენებამდე ხმა-მაღლა მეზეპირებინა ჩემი საყვარელი „მედიცინა“.

ყოველივე წარმავალია ამ ქვეყნად, როგორც იტყვიან ხოლმე ფილოსოფოსები, და ჩემს ფუფუნებასაც, შენ ხარ ჩემი ბატონი, მალე მოელო ბოლო: — ჩემ მეზობლად ვილაცა ქალი დაბინავდა. მენყინა ორ ნაირად, მდგმური ხომ მდგმური იყო, ამას ზევით იგი ქალი იყო! რაც უნდა იყოს, ქალი სხვა ამბავია, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვინემ მამაკაცი... განსაკუთრებით კი მეორე კურსის სტუდენტისათვის. და მე იდუმალ შემეშინდა ჩემი ახალი და უცნობი მეზობლისა!

პირველ საღამოსავე გავეცანით ერთმანეთს: ქალმა ასანთი მთხოვა, დაუყოვნებლივ შევთავაზე და თვალის შევავლე, შენ ხარ ჩემი ბატონი. გვარიანი ქალი იყო, შავთვალ-წარბა და მაღალი. არც ისე ახალგაზრდა, ვარსკვლავს გათამაშებოდა, მაგრამ მაინც უფრო ახალგაზრდებში ჩაირიცხებოდა.

მივეცი, გამომართვა. მეტი არაფერი, შენ ხარ ჩემი ბატონი. ცოტა ხანს შემდეგ დამიბრუნა. გამოვართვი. ამ შემთხვევაშიც თითქმის მეტი არაფერი ყოფილა, მხოლოდ, შენ ხარ ჩემი ბატონი, თვალეზმა კი რალაცნაირად დაიწყეს თამაში. ჩემი თვალეზმას ვერაფერს მოგახსენებთ, რადგანაც მათ ვერ ვხედავდი, ხოლო მეზობლის თვალეზმა კი თავისუფლად გაინავარდეს ჩემს პირ-სახეზე, კეკლუცი შუქები მტყორცნეს, დამზვერეს და თითქო რალაცა მომტაცეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, ცბიერი გაღიმებით მიიმალნენ!..

ვაიმე, ჩემო მედიცინავ! — გავიფიქრე გულში, მაგრამ მაინც ვაჟკაცურად დაუბრუნდი ჩემს წიგნს.

უბედურება ის იყო, შენ ხარ ჩემი ბატონი, რომ თითქული ჩამჩამი მესმოდა ოთახიდან, არა თუ გავლა-გამოვლა, და სხვა ასეთები! ეს გარემოება ისეთი აღმოჩნდა, რომ მთელი ჩემი ყურადღება მიიპყრო და წიგნი სულ დამავიწყა...

აი, დაჯდა! აი, ჩაი დაისხა! აი, პურს მოსჭრა!.. აი, კოვზი აიღო!.. აი, სჭამს... — საკვირველი იყო პირდაპირ! — თითქო ერთ ოთახში ვყოფილიყავით, შენ ხარ ჩემი ბატონი!

ჰეე, ვსტევი, უნდა თავს ვუშველო როგორმე, თორემ ცუდია მეთქი! ავდექი. კიდევე უარესი. მაშინ აზრი მომივიდა: მოდი, მივეჩვევი ამ ახალ გარემოებას და შემდეგ ასე არ იმოქმედებს ჩემზე მეთქი. წამოვწევი ლოგინზე და სმენად გადავიქეცე.

ჯანდაბას ეს ერთი საღამო! სამაგიეროდ ხვალ თავისუფალი ვიქნები მეთქი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და გადავწყვიტე ეს საღამო შემეწირა მეზობელ ქალისათვის.

ზედმინევიტით მესმოდა, თუ როგორ დალია ქალმა ჩაი, როგორ მიაღაგ-მოაღაგა სტოლი, როგორ დაიბანა ხელი, შეიმშრალა, შემდეგ როგორ გააღო „ჩემოდანი“, რალაც-რალაცები ამოიღო და ლოგინს მიმართა. მიაბრუნ-მოაბრუნა იგი და განყობას შეუდგა. გავიგე, რომ ლოგინი ჩემი ოთახის კედელთან ჰქონდა მიდგმული.

აი, გაშალა ზენარი, გადააფარა. ხელი გადუსვა ზედ. აი, გაფერთხა ბალიში, პირი გამოუცვალა...

დასწყევლოს ღმერთმა მეთქი, შენ ხარ ჩემი ბატონი! აუტანელი იქნება აქ ცხოვრება მეთქი.

ჩემი სმენა მაინც ძალაუნებურად განაგრძობდა: აი, სტოლს მოუჯდა, ისევ რალაცები აიღო. გადადვა. კვლავ აიღო... და... და შეწყდა უმავთულო ტელეფონი!

მადლობა ღმერთს! — მითხრა ერთმა გულმა, მაგრამ მეორემ ჩემი ყური კედლისკენ მიიზიდა. — რადგანაც საღამო მაინც გეკარგება, მოისმინე მაინც ბოლომდით, შენ ხარ ჩემი ბატონი, — მითხრა მეორე გულმა.

აქ უნდა აღვნიშნო, რომ ადამიანის ცნობისმოყვარეობა უცნაური რამ ყოფილა, მეტი რომ არა ვსტევა, ღია რო ყოფილიყო კარი და შემძლებოდა მემზირა მეზობლისათვის, დარწ-

მუნებულები ვარ, ჩემი ცნობისმოყვარეობა მიყურებულები იქნებოდა, მაგრამ ახლა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ისე მალნიზიანებდა იგი, რომ მეზობელი ქალის თითველი უმნიშვნელო მოძრაობა საიდუმლოებით აღსავსე მეჩვენებოდა და ისეთ რამედ, რაც აუცილებლად უნდა გამეგო!

ჭეშმარიტად, საკვირველია ადამიანი, შენ ხარ ჩემი ბატონი! მაგრამ ეს თქვენც კარგად იცით!

მალე გამოარკვია ჩემმა უკვე გამახვილებულმა სმენამ, რომ ქალი თმას ივარცხნიდა! მგონია, რომ თმის დავარცხნა არაფერს ნარმოადგენს ისეთს, რაც განსაკუთრებულად მოქმედობს ადამიანზე. ჩვეულებრივზე უჩვეულებრივესი რამ უნდა იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ამ გარემოებამ თვალების მზერა ისე გამიმახვილა, რომ კედელს იქითაც კარგათ ვიცქირებოდი: ნარმომიდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, თეთრი სავსე მკლავები, თეთრი გაშლილი გულმკერდი თვისი მორთულობით და ზედ უხვად გადაფენილი შავი ყურყუმი თმა...

ჟრუანტელმა დამიარა ტანში... და სასიამოვნო სითბო ვიგრძენი ძარღვებში.

ღმერთმა იცის, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩემში მოვლინებულ საამო სითბოს ქალის თმის ვარცხნასთან? პირდაპირ უცნაურია და სასაცილოც: ერთს ჩაკლიტულს ოთახში, შენ ხარ ჩემი ბატონი, ქალი თმას ივარცხნის და მეორეში კი ამის გამო კაცი აღტყინებას განიცდის!

თქვენი აზრის გამოთქმას როგორ ვიკისრებ, ხოლო ჩემი კი ასეთია საზოგადოდ: ცხოვრება ან ციგნობაა პირდაპირ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ან ისეთი რამ რთული, რისი დაახლოვებით ნარმოდგენაც კი არ შეუძლია ადამიანს!

ჰო და, აი, გაათავა ქალმა თმის დავარცხნა. ადგა, სკამი გასწვრივ, შეჩერდა, ჩამთქნარა ერთი და კაბა შეიხსნა. დასაწოლად გამზადებას შეუდგა... მალე ჩაიშრიალა კაბამაც და სკამის ზურგზე გადაეკეცა.

უნდა მოგახსენოთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, რომ ეს ჩაშრიალება მთელ სიმფონიად ჩაესმა ჩემს ყურთა სმენას. ვეჭვობ, არსებობდეს ისეთი მუსიკალური ნაწარმოები, ისეთი მდიდარი ნარმტაცი ჰანგებით, ისეთი პირდაპირად მეტყველი და ხორციელად შემხები, ამათრთოლებელი, ამგზნები და ადამიანის მთელის არსების ერთიანად შემზოჭველი, როგორც იყო, შენ ხარ ჩემი ბატონი, იმ წამში ჩემი მეზობელი ქალის კაბის შრიალი. მომეჩვენა, თითქოს კაბის თითველს ნაოჭში, თითველს ნაკეცში რამოდენიმე ორკესტრი იყო მოთავსებული და ყველა ერთსა და იმავეს უკრავდა ერთდროულად, და ეს იყო ჩემი განცდის მუსიკა!!

ლოგინისკენ წამოვიდა ქალი. ჩამოჯდა. თითქო ვხედავდი, რომ პერანგის ამარა იყო. ცხადი იყო, ახლა ფეხსაცმელს იძრობდა მეზობელი...

რომ გითხრათ, შენ ხარ ჩემი ბატონი, მეხი გავარდა და ბორძალი დამეცა თავზე მეთქი, ამით კიდე ვერ გამოვხატავ იმას, რაც ვიგრძენი, როცა გაძრობილი ფეხსაცმელი ქალმა იატაკზე დაავდო და ამისაგან ხმა გავარდა ოთახში!

მეორე მსგავსმა ხმამ იქვე დამაკრა, სადაც ვიყავი და ნების-ყოფა წამართვა. თან ბეჯითი აზრი ჩამისახა თავში: რაც არ უნდა დამმართოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, იმ ღამეს, როცა მთელი სახლი, ძილს მიეცემოდა, უნდა ვწვეოდი ჩემს მეზობელს!

ტყვილა შევეცდები, რასაკვირველია, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩემი სულიერი და ხორციელი მდგომარეობა სავსებით ავინეროთ. ახლა, რა თქმა უნდა, ფილოსოფიურად ვუცქერი ჩემი წარსული ცხოვრების ამ ფურცელს, ასე ვსთქვათ, ამ სიშორიდან, მაგრამ გადამეშლება თუ არა სურათად იგი მესხიერებაში, მომაგონდება იმ მომენტის ჭეშმარიტი ტრაგედია!

მე ვადასტურებ, რომ ვნება სტიქიონური მოვლენაა და ისეთი ბრმა ძალა, რომლისათვის ჩემი ოთახის პატარა კარი, შენ ხარ ჩემი ბატონი, დაბრკოლება არ იქნებოდა, რა თქმა უნდა!

არ ვიცი, რამდენმა საათმა განვლო, რაც მე შეუნძრევლად დავრჩი იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩამავდო მეზობელი ქალის ფეხსაცმელის ხმამ. ის ღამე იყო, რომ ვიგრძენი

მთელი სახლის მიყურება და მთელს ჩემს არსებას, შენ ხარ ჩემი ბატონი, შეეხო ნამდვილის ფრთებით სანატრელი ქალის ძილი.

მეზობლად ღრმა ძილის სამეფო დამკვიდრებულიყო.

რაც კი ძალა გამაჩნდა, მოვიკრიბე. არასოდეს გაერთიანებულან, მგონი, ასე მჭიდროდ ჩემი სულიერი და ფიზიკური ძალები. ჰაერიც კი არ შემინძრევია, ისე შეუერთდი სივრცეს და როგორც ზებუნებრივი რამ, შენ ხარ ჩემი ბატონი, მივეკარ კარებს და რაზას ჩავჭიდე ხელი.

ახლა მნამს, რაც ზღაპრებში გამიგონია: კაცს ყველაფერი შეუძლია და ზღაპარი ნამდვილზე უფრო ნამდვილია... ზღაპარში გაიგონებდით: სული ჩაჰბერა, კარი გააღო!.. სწორედ ასე მოხდა, შენ ხარ ჩემი ბატონი!.. პირდაპირ ასე... თითქო ჩემი სულის ჩაბერვით გაიღო კარი! სრულიად არავითარი გახმაურება!!

შეუკავებლად ლტოლვილი თქვენი უმორჩილესი მონა, შენ ხარ ჩემი ბატონი, გაჩნდა ქალის ოთახში.

მაგრამ...

იმ წამს ჩემი მიღწევა უდიდესი უნდა ყოფილიყო! უდიდესი ყოველი მხრით, შენ ხარ ჩემი ბატონი! ფსიხოლოგიურად წარმოიდგინეთ და მიხვდებით!

მაგრამ...

ეს საშინელი მაგრამაა!! — ისეთმა ატმოსფერამ შემიპყრო, რომ... რომ... არ ვიცი, როგორ გადმოგცეთ, შენ ხარ ჩემი ბატონი!

სურნელებით სავსე ვარდის დასაყნოსავად რომ გამზადილი იყო და მიახლოვებისას ცხვირში შეგეყაროსთ უმყრალესი ბურნუთი ან უსაძაგლესი რამ... შენ ხარ ჩემი ბატონი... ეს რას განგაცდევინებდათ, ჩემზე უკეთ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ!

და ჩაიფუშა უცებ ჩემი ცეცხლი... დაიშალა უცებ ჩემი სხეული... უკვე სხვა ვიყავი! და დაცალიერებული ვნების ტყვიისა და წამლისაგან შურდულივით შემოვარდი უკანვე ჩემს ოთახში!

ჩემზე უსაწყლესი ვინ იქნებოდა იმ წუთში. არ ვიცი? რამდენი გრძნობა მეხვია გარს და ერთი მათგანი უმთავრესი და გარკვევით შეცნობილი — ეს იყო, შენ ხარ ჩემი ბატონი, გრძნობა უაღრესის შეურაცყოფისა, რომელიც გულს მისერავდა!

შეურაცყოფა ბევრნაირია, შენ ხარ ჩემი ბატონი!

თუ მართლა ღმერთმა გააჩინა ეს ქვეყანა და მისი გვირგვინი ადამიანი, როგორც იტყვიან ხოლმე, ასეთნაირ შეურაცყოფას არ უნდა ჰქონდეს ადგილი ქვეყნად!..

ჰე... მაგრამ... ვინ არის გამკითხავი, შენ ხარ ჩემი ბატონი! ვიტყვი მხოლოდ: ღმერთმა დაგიფაროსთ ასეთი შეურაცყოფისაგან თითქუელი და ყველა შთამომავლობითურთ! თუმცა ვინ იცის, ეს ცხოვრება, იქნება, უბრალო ციგნობაა და მეტი არაფერი!

ლეო ქიაჩელი

1920 წელი

დედოფალი მია

ბატონის ასულს მიას მოსვენება არ ჰქონდა. მას ავი სიზმრები ანუხებდნენ, მეტად სასტიკი სიზმრები. მან არ იცოდა, რა იყო მოსვენება და იტანჯებოდა ტკბილად, სათუთად; მისი სული განამდა რაღაც შემტაცებელი ქავილით, რომელიც მთელ სხეულს, მთელს მის არსებას აღიზიანებდა.

ერთ დილით ადგა იგი საოცარი, ტკბილი სიზმრებითგან გამორკვეული და იგრძნო, რომ გუშინდელი მია არ არის, მისი გული ამ დილით გასაოცარი მოუსვენრობით ადიოდა და დიდობდა და თითქოს მკერდი აფეთქებოდა კიდეც. ერთ ღამეში, ერთმა სიზმარმა დაამნიფა იგი მოსაწყვეტ მაისის ვარდივით, რომელიც ერთ ღამეში გადიფურჩქნება ხოლმე. იგი გარინდებული ჩაეკრა გერმის ბალიშს გასაოცარი ჟინიანობით და გაყურდა, მაგრამ დიდხანს მაინც ვერ მოისვენა, რადგან შავგვრემანი სხეულით გამთბარი სარეცელი მოსვენებას არ აძლევდა და რალაც უცხო, მომაჯადოებულსა და გამანამებელს ნეტარებას ჰგრძნობდა საშინელი სიცხადით.

იგი ინვა ლოგინში და ჰგრძნობდა, რომ ფიქრის თავი არ ჰქონდა, ეხუტებოდა ბალიშებს, კბილით ეტანებოდა, მკლავებს იკბენდა ჟინიან ზმორებით, მაგრამ ის ჯიუტი, აბეზარი, ტკბილი და ჟინიანი არ სცილდებოდა. მია ჰგრძნობდა, რომ მის სხეულში ძარღვები ვერ უძლებდნენ ბრონეულის ალის ფერი წვენივით მდულარე სისხლის თქრიალს. მთელი მისი არსება რალაც ერთისაკენ მიისწრაფოდა და არ იცოდა, არ ესმოდა, მის უმანკო პატარა მოფანცქალე გულს თუ სად მიჰყავდა, საით ეზიდებოდა ეს სურვილები. და იგი საშინელ გზააუხვეველ ნალვლით აქვითინდებოდა ბალიშებში თავჩარგული და ისე ტკბილი იყო ეს ქვითინი, ისე მტანჯველი, ბოლმით აღსავსე, რომ მისგან უფრო და უფრო აქვითინდებოდა ხოლმე.

ასეთი იყო მია და მან არ იცოდა, საით ან სად წაელო ის ტკბილი, მაგრამ ავი განცდანი, ის მოუსვენრობა. ვის გულში ჩაეთესა იგი? მაგრამ მია გრძნობს თავისი ქალური ალლოთი, რომ იგი სხვას, უცხოს, მაგრამ სასურველს უნდა მიართვას გულითად, გრძნობიერ ნობათად, და ოცნებობდა მია საოცარი გატაცებით ვილაც უცხო ვაჟზე, რომელიც მასთან ოქროს ნალებით დაჭედით თეთრი რაშით უნდა მოფრენილიყო წითელ, მარწყვის ფერ ქულაჯით და თივთიკის ყაბალახით, რომლითაც მოწყვეტილი ალმასის ვარსკვლავები უნდა მოეტანა მისთვის საჩუქრად. მოვიდოდა, მოფრინდებოდა ამაყი, ზვიადი ვაჟკაცი და გაიტაცებდა მას და გაფრინდებოდნენ შორს, შორს, ცხრა მთას იქით. მია შიშით, რომ არ გადმოვარდნილიყო, მიეკვრებოდა საქმროს ძლიერ მკერდში და მიეცემოდნენ ორივე ერთად თავზე ხელალებულ, გიჟურ ჭენებას. მის სრულიად არ ეშინოდა გადმოვარდნის, რადგან ვაჟკაცს მაგრა ჰქონდა მკლავი შემოხვეული, მაგრამ მას უნდოდა, რომ ჰშინებოდა, რათა უფრო მაგრად მიჰკვროდა ვაჟკაცის გახურებულ მკერდს.

ასეთი იყო მია.

ნუგზარ ქსნის ერისთავს გატაცებით უყვარდა მია, იგი ერთადერთი შვილი იყო მისი და მეუღლის ქეთევანის სიკვდილის შემდეგ მია, რომ არ ყოფილიყო, ბერად აღიკვეცებოდა, გადგებოდა შორს გელათის ან ათონის მონასტერში და სარწმუნოებრივი ცეცხლით დამწვარი ამოაშრობდა თავის ძვირფას მეუღლის გამანამებელ ხსოვნას.

მამა ანებივრებდა მას. მისთვის იყო ყველაფერი გაჩენილი, მისთვის გადაყვავილდა ლამაზად ჩვიდმეტი გაზაფხული. მისთვის ჰფეთქდა სიცოცხლე ქსნის ციხე-სიმაგრეში. ნუგზარ ქსნის ერისთავის სიძლიერე მხოლოდ იმიტომ მძვინვარებდა ქსნის ხეობაში და თავზარს სცემდა ხელალებულ ყაჩაღ ლეკებს მისი სახელი, რომ მის სიცოცხლე უზრუნველად აყვავებულიყო. რისხვა იყო ამ სახელის ირგვლივ გამეფებული. იგი ავი ლომივით სდარაჯობდა თავის დაღრჯენილ ციხე-გალავანის კბილებით მის უდარდლობას, მისთვის ირეკებოდა პარაკლისებისა და წირვისათვის კარის ეკლესიის სამრეკლოს წკრიალა ზარები. შორს ზედაზენის მონასტერიც ამწვარიყო სივრცეში და მისთვის მხურვალედ ლოცულობდა. საშუალო საუკუნეთა ქარიშხალი გრიგალის რაშებით აჭენებულ იყვნენ და დაწყვეტილ სადავეებში უზანგებს მოუსვენრობით ჰხეთქდნენ და მათი ხვითქ გადაკრული სხეული ოფლში აქაფებულიყო.

თეთრი სვეტიცხოველი ამაყად სდარაჯობდა მცხეთის ადათებს და მივიწყებულ ნაზ სიზმრებივით ილანდებოდა მის მეხსიერებაში არმაზისა და ზადენის მოთაყვანე მოგვთუბანი და მობედანი.

და აი, აქ ინახებოდა სათუთი მია, ნაზი, როგორც მდელს შროშანი.

ასეთი იყო ნუგზარ ბატონის საბრძანებელი.

და ერთ დღეს ერისთავს ახალგაზდა მეფე ნოდარი ესტუმრა.

გაისმა საყვირის ხმა...

— გაუმარჯოს მეფე ნოდარს, გაუმარჯოს!..

კიბეები გადუშვეს...

მობრძანდა მეფე. მისი ამაყი და კეთილშობილი შუბლი ყველას იპყრობდა.

მოვიდა იგი, მოფრინდა ქსნის ხეობაში და ყველგან ზეიმი და ნადიმი გამეფდა.

მოფრინდა ამაყი არწივივით ნოდარი და მისი ნალვლიანი, სვედიანი, რალაც გზააუხვეველ ნეტარებას მონყურებული თვალები კიდევ უფრო ლამაზად შინისლულიყვნენ.

მოფრინდა სიძე...

მეფეს ნუგზარ ერისთავის სიძობა სწყურიან!

— გაუმარჯოს სიძე-ბატონს!..

— გაუმარჯოს დედოფალ მიას!..

— ქეიფი...

ნადიმი...

სმა...

აზარფეშების დაყუდება... ალავერდი!..

სადღეგრძელო...

და მია ვნებით აწივლებული, ტრფობით ამწვარი გაიქცა თავის ოთახში, კოშკის წვერზე და ხატის წინაშე აქვითინებული დაემხო...

* * *

სალამო: შორს დოღბანდიანი ყაზბეგი. ცაში დანენილი ნარინჯისფერი ფარდები და ჩამავალი მზის გადახეთქილ ბროწეულივით სისხლის ყვავილებიანი ჩასვენება.

ქსანი გველური სრიალით მილიკლიკობს...

გადამწვარი, გამომზეურებული და ავი ქარით ახვეტილი მაკე მთის ხრიოკები.

შორს მტკვარის დუდუნი და აქოჩრილი, ალორთქილი მწვანე ქალები...

მია და ნოდარი კოშკის ბურჯზე სხედან, კარის ეკლესიის წინ მიას დედის, ქეთევანის საფლავთან, რომელზედაც მძიმე გათლილი ლოდი ადევს, ზედვე ბარელაფეფად ამოქანდაკებულ ქართულ ჩიხტაკოპიან ქალით და საოცარი უსწორმასწოროდ ამოჭრილ ქარაგმიან ლოცვით, შენდობის ვედრებითა და ქორონიკონით.

მია ზის ნაზი და ნალვლიანი, როგორც პეპელას ამოკვნესა...

ნოდარი — ანთებული ზურნის საარვივით.

რამდენიმე უხერხული სიტყვა და უხერხული სიჩუმე...

სიჩუმე... მეტყველი...

უეცრად ზარდაცემულმა მიამ ცივი ხმით დაინივლა, ბურჯიდან ჩამოიჭრა და თავში ხელნატანებული ვერხვის ფურცელივით აკანკალდა...

— გველი!..

მიას დედის საფლავის ლოდის ქვეშ გველი გამოსრიალდა და ბალახებში ფირლულის მძივივით ქენჯნის ტანტალით მისისინებდა...

მია აკანკალებული დატორტმანდა და თითქოს განგებ მოეწყო, ნოდარის გახურებული მკერდს მიეყრდნო...

მერე დაბნელდა... აიძვრა ყველაფერი...

მია მოქნეულ შურდულივით სადღაც გაქანდა და ბაგეებზე ავარვარებული კოცნა იგრძნო.

შეჟრჟოლდა, ოდნავ ამოიკვნესა, მოეშვა და ნოდარს კისერზე მოწყვეტილ ყვავილივით ჩამოეკიდა.

მოსხლეტილი სუსტად უპასუხებდა ვაჟის კოცნას...

* * *

მზითვის შეკვრა...

მაფრაშების წყობა... ჭრელი თუნუქით მოჭედილი ზანდუკები...

ჯეჯიმები...

ვეფხის ტყაოსანი...

ქორნილი... მეფე-დედოფლის მაყრების მიერ კარებთან გადაჯვარედინებულ მხლებ ქვეშ გატარება და კარის ზღურბლზე თეფშის გატეხა...

სეფა...

დუდუკი და ზურნა...

— გაუმარჯოს სიძეს!.. გაუმარჯოს მეფე-დედოფალს!..

ზეიმი.

* * *

ლამე...

მიას საწოლი ოთახი.

კანკელი ოდნავ ილანდება ოთახში, ოდნავ მბჟუტავ ზეთის ჭრაქით მაცხოვრის ხატის წინ. ხალი და ნოხები...

ექვსკუთხიანი სპარსული სკამები.

ჭრელი თუნუქით მოჭედილი ზანდუკი, გერმის ბალიშები და მუთაქები... ჩანგური და თარი...

დიბის ფარდები ლოგინზე დაფენილი... სპარსული ხახვისფერი მინიატურები კედელზე...

მია მიწოლილია. ძიძა სასთუმალთან იატაკზე დაგდებულ მუთაქაზე ზის და კრია-ლოსანს სთვლის.

ოთახში ყრუდ მოისმის მაყრების სიმღერა და სადღეგრძელოები... მია კარგა ხანს გაყუჩებულია, უსაზღვროდ ბედნიერი, თვალე მთლულული...

უეცრად წამოიწევა, ლამაზ მკლავებს გაშლის და უცნაურად ანთებულ თვალებით ლაპარაკობს:

— ძიძა, მე არ შემძლია იქ ყოფნა!.. მისი თვალები მწვავენ, ვერ უძლებ!.. მე არ შემძლია უცქირო მეფეს, მე ვგრძნობ, რომ მთელი ტანი მესუსხება!.. — წამოიძახებს იგი და წუთით თავდახრილი თეთრი შროშანივით ნაზად ჩაფიქრდება, მერე თითქოს რალაც დიდი მოაგონდაო გულუბრყვილო აღგზნებულ თვალებით, გატაცებით დაიწყებს: — ჩემი საქმრო მოფრინდა თეთრი რაშით, წითელ ქულაჯით და მხრებზე გადაგდებულ ყაბალახით. მოაფრიალებს მეფე ყაბალახს გიჟურ ჭენებაში, როგორც დროშას ამაყად!.. ოო, ძიძავ, ძიძავ, რა ნეტა-

რებით დავირჩობდი თავს მისი აბრეშუმის ყაბალახით მისსავე ძლიერ მკერდზე!.. მე შევნიშნე, რომ მისი მკერდი ძლიერ ადიოდა-ჩადიოდა... მე რომ შემხედა, ფერი ეცვალა.

— შენც ხომ შენიშნე, ძიძა, ხომ?.. და მე ისე ავკანკალდი, როგორც ზამთარში მოყინული ნიბლია.

— მე კი დავინახე, რომ... — უნდა რაღაც სთქვას ძიძამ, მაგრამ მია მოუსვენარ სიჯიუტითა და ნებიერ ჟინიანობით გაანწყვეტინებს...

— ნუ ლაპარაკობ, ძიძავ, ნუ!.. მე მინდა ვილაპარაკო!.. სულ მე მინდა ვლაპარაკობდე... საოცარია, ძიძა, მე მგონია, რომ, როდესაც ბედნიერებას თვალეში ჩასცქერი, მაშინ მსჯელობა და ლაპარაკი სინმიდის გამობაა, მაგრამ როცა დროებით ჩაივლის, თვალს აგარიდებს ეს ბედნიერება, გესმის, ძიძა, რამდენიმე წუთით მხოლოდ, შენ მზად ხარ, ეს რამდენიმე წუთი მის მობრუნებამდის სულ იტიტინო, იტიტინო უაზროდ შენს ბედნიერებაზე და რაც უნდა სულელური სთქვა, მაინც ჭკვიანურია. მე რომ ახლა მარტო ვიყო, მაინც ვილაპარაკებდი, ვილაპარაკებდი... გულში ჩავიკრავდი ოცნებით მის შავს ხუჭუჭ თმიან ლამაზ თავს და ვკოცნიდი თავდავინწყებამდის... ძიძა, მე მგონია, ვერ გაუძლებ ამ ნეტარებას. მეტად დიდია იგი და ვერ ავიტან. მე აღსავსე ვარ სიყვარულით; ჩემი ძარღვები ვერ იტევენ ამდენ გრძნობას და გული რინდდება. რა კარგია, არა, ძიძავ, სიყვარული?.. გახსოვს, შენ რომ ზღაპარს მიაშობდი. გახსოვს ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ტრფობა, შენ რომ მიკითხავდი?.. მე ჩუმად ვიყავ და ყურს გივდებდი, ისე კარგი იყო, ზღაპარით კარგი, მაგრამ იგი შორს იყო, შორს ცხრა მთას იქით და მინდოდა სულ შენ გელაპარაკა და მე კი ჩუმად ვყოფილიყავი, ჩუმად და ყური მეგდო. მე ვგრძნობდი, რომ სიყვარული მოდიოდა ჩემთან და ჩუმად ვიყავი, უცდიდი სულის განამებით, გაყურებული. როცა სიყვარული მოდის, ძიძა, ხმას არ იღებენ, ჩუმად არიან... ახლა ზღაპარი ჩემთან მოვიდა და ზღაპარს მე ვუყვარვარ, ახლა სულ მე მინდა ვლაპარაკობდე, სულ... მე შორს გამიტაცებს თავის კოშკში ჩემი ქმარი და ისე მიმიკრავს თავის ფოლადით მაგარი მკლავებით ძლიერ მკერდში, რომ ჩემი ძვლები ჭახჭახს დაიწყებს. მე ოდნავ დავიკვივლებ, გავრინდები, თავს დავმალავ მის ქულაჯის თოქმებში და დავდნები... რისთვის შეიკარ ნარბები, ძიძავ, განა ცუდია ასე?

სიჩუმე...

მექორწილეთა ქეიფი და სიმღერა ისმის მხოლოდ...

სადღეგრძელოს ხმა, დუდუკი...

მიას გულუბრყვილო, უმანკო სახე წუთით მოღრუბლულია, მერე უეცრად მოცოცხლდება, ბედნიერად ღრმად ამოისუნთქავს და ისევ დაიწყებს:

— მე არ შემიძლია, დიდხანს უცქირო მის თვალებს, ასე მგონია, ღამეს უცქერი უბეში მეთქი და თავბრუ მესხმის, ვილუპები მის უბსკრულელებში... რა კარგი თვალეები აქვს ჩემს მეფეს... მე დამესიზმრება იგი ამაღამ!.. სულ ასეთი მესიზმრებოდა ჩემი საქმრო და იგი ასეთივე მოვიდა ჩემთან და მოიტანა საჩუქრად სიზმარი და ბედნიერება... სიზმარი და ბედნიერება...

— მოისვენე, ბატონიშვილო, დაიძინე და ხვალ დილით შენ თვითონ უნდა შეეგებო შენს საქმროს, ძღვევამოსილი მამაშენიც გახარებულია...

— ხვალ დილით მე სულ ადრე ავდგები!.. ცა რომ მტრედის ფრად ინათებს, მე თვითონ გავიტან ჩემ მოქსოვილ პირსახოცს, ზედ რომ ჭრელი ფარშევანგები ამოვქსოვე, ჩემის ხელით გაუტან ვერცხლის ტაშტსა და თუნგს და პირს დავაბანინებ... და იგი გაიხსნის საყელოს და იქიდან მზისგან დამწვარი ვაჟკაცური მკერდი გამოჩნდება, ძლიერი მკერდი, რომელშიც მე უნდა მიმიკრას... რა კარგია, ძიძა, ბედნიერება... ამაღამ სიზმარში სულ ის მეყოლება თვალწინ... მაგრამ, რომ არ მეძინება!.. მე კი ისე მინდა სიზმარში ვნახო, ძლიერ მინდა... გამხადე, ძიძა!..

ძიძა ტანთ ხდის მიას და მისი ნაზი, ვნებით დაღვენთილი სხეული თავისუფლდება ფარჩეულობისაგან. მია ღამის პერანგში თეთრ ანგელოსს ჰგავს ალისფერ ატლასის საბ-

ნის პირზე ამოქსოვილს, ძიძამ მისი შავი დაღალეები დაშალა და თოვლის ბალიშზე დაღვრილ გიშერივით გადაჰყარა... და დაწვა დედოფალი მია, დაწვა ანგელოსი ნაზი, როგორც უმანკოდ დამწვარი ოცნება.

— ჩემი მეფე!.. რა კარგია იგი!.. ცა კი ისეა მყუდრო და ბედნიერებით აღსავსე, რომ ასე მგონი, ა ღმერთს დავინახავ... გრძელი თეთრი წვერებით... — მია ცოტა ხანს შეჩერდება, თითქოს სულის მოსაბრუნებლად და მერე ისევ დაიწყებს: — ძიძა, როცა ყველას გამოვემშვიდობე დასაძინებლად, მამამ შუბლში მაკოცა და ვიგრძენ, რომ მისი მკლავების ცახცახმა მეც ამაკანკალა... მეფე კი ანთებული მიყურებდა ღამურ თვალებით... მე კი ისე თამამი ვიყავი!.. ასე მეგონა ბედნიერებას შიგ თვალეში ჩავცქერი მეთქი!.. წამოველ და იქ დარჩა ჩემი ბედნიერება!.. ახლა ისინი ნადიმობენ... ამალამ ნუ მოვა იგი ჩემთან, მე არ მინდა იგი ამალამ!.. თუ ძილი მოერიოს, კოშკის თავზე მოასვენეთ ოთახში, ხმაურობამ არ შეანუხოს!.. მე კი მისთვის ვილოცებ!.. ღმერთო!.. ღმერთიც კი დამავინცა მისმა სიყვარულმა!.. რა საოცარი ღამეა!.. მე არ მინდა, მაცხოვარს ვევედრო!.. უნინაც მაცხოვრის მაგივრად სულ ის მელანდებოდა ლოცვის დროს!.. ის უცხო, სასურველი და ახლა კი ახლობელი!..

ლოცულობს იგი უმანკო ბავშვივით, ანგელოსივით მთელი თავისი გულუბრყვილო სულის გადმოშლით, ატიტინებული უაზროდ და უბრალოებით, უნდა უფრო ჭკვიანური სიტყვებით მიმართოს მაცხოვარს, მაგრამ ვერ ახერხებს, სიტყვები ებნევა, მერე სამჯერ პირჯვარს გადისახავს კდემა მოსილი...

— მეტი არ შემიძლია, ძიძა, არა!.. როგორ არ ეწყობიან ერთი მეორეს ლოცვა და ბედნიერება... ალბად მხოლოდ წამებულნი და უბედურნი ლოცულობენ კარგად. გაჩერდი, ძიძა, გაჩერდი!.. უყურე... უყურე... მოდის მეფე... მე თმებს ვიშლი და ფეხქვეშ უფენ ჩემს მეფეს, ფეხქვეშ... მოდის მეფე... ოქროს ნალები... დაკრეფილი ვარსკვლავები... მოვიდა მეფე...

— მე არ ვიცოდი, არსებობდი შენ თუ არა, მაგრამ მაინც მიყვარდი... ვიგონებდი ჯერ არ გაგონილ ღამაზ სახელებს შენთვის, რომელიც ჯერ არავის ჰრქმევია და ძვირფას ქვებით ვთამაშობდი ამ სახელებთან, ვიცინოდი, რომ ეს სახელები მხოლოდ მე მესმოდა და სხვას არავის... ჩემი ქალიშვილობა შენ მოგელოდა, რომ შენი ძლიერი მკლავებით ჩაგეკრა იგი... მე მიყვარდი შენ, სასურველო, უნახავადაც.

...გაისმის საყვირის ხმა საშინელი გულ ჩახვეულობით, რომელშიც ომის ყიჟინის მოსალოდნელება, დაჭრილის უმწეო კვნესა და მხედარ დაკარგული ცხენის ხვიზინი ისახება...

— რა ამბავია?.. — შეკრთება ნოდარი და რისხვით აკვესილ თვალეებს მიანათებს შემოსულ მსახურს.

— ავაზაკი სელიმბეი დედოფალს მოითხოვს!.. მოციქულები გაახლნენ...

ნოდარი ხელს ჩამოაცილებს ფერ დაკარგულ მიას და გაისმის საზარელი განკარგულება გააფთრებულ ნოდარისა:

— თვალეები დასთხარეთ და მარგილებზე აცმულნი კოშკის თავზე გადმოჰკიდეთ!.. რისხვა და მეხი...

ცოტა ხანს შემდეგ კოშკის თავს უცნაური თვალეებ დათხრილი სამკაულები რთავენ საზარელებით.

...ბუკი და ნალარა...

ბრძოლის სამზადისი...

— ნახვამდის, ჩემო მეფევ, ნახვამდის!.. მოგელი, ჩემო, გამარჯვებულს!..

ქვითინი, ტირილი...

ბრძოლა...

ცხენთა თქრიალი...

კვნესა...

ხმლების ელვა...

— მოგვიკლეს მეფე!.. მოგვიკლეს მეფე!..

...მია გულ გახეთქილი იატაკზე ასვენია...

გათავდა მია... ვერ გასძლო მია...

სიზმარი საშინელი და სიკვდილი...

* * *

დილა იყო...

მაყრები დილას შედღულთ ეგებებოდნენ.

— დედოფალი სად არის, დედოფალი... ღმერთმა ადღეგრძელოს დედოფალი მია!..

უეცრად ტვინის დამაბნელებელი წივილი გაისმა და თმა გაშლილი ძიძა მოთქმა-კივილით ლანჯებს იხოკდა და კავებს იგლეჯდა...

მიას ძიღში მოულოდნელი სიკვდილი შეიცხადა ძიძამ...

— რა იყო, ძიძავ, რა ამბავია?.. — დაიძახა ფერ შეცვლილმა ნუგზარ ბატონმა ენის ბორკვით.

— მია აღარ არის, მია გათავდა!..

ნუგზარმა შუბლში საშინლად გაირტყა ხელი, დატორტმანდა და ვილაცის ხელებზე გადასვენა.

— დედოფალო... დედოფალო!.. — ძლივს მოახერხა სასონარკვეთილმა მეფემ...

და მთვრალი მაყრები აქვითინდნენ სიყვარულით მკვდარ დედოფალზე...

დემნა შენგელაია

1921 წ., ზაფხული, ჯუმათი

ჩვენი მწერლობის შორი-ახლო

დღევანდელ ჩვენს მწერლობას დამთავრებული ფოქუსები არა აქვს. ამიტომ გარკვეულ პერსპექტივებს მოკლებულია იგი.

მასალა კი ბევრია. მაგრამ პატარა, — ფართოდ მოქნეულის ხაზები არ სჩანან.

საერთო შტრიხებზე ლა შეიძლება ლაპარაკი და სულის კვეთების იმ მომენტებზე, რომელნიც ეყრდნობიან რაიმე საფუძველს და მომავლის ნიადაგს ასუქებენ.

ახალი მწერლობის ერთ ფრთას დასჩემდა ზოგი რამ, რაც ბოდვიანი დეკადანსის გავლენის ნაყოფია და მისი კოშმარების წინამორბედი. მიუხედავად ამისა აღფრთოვანება ჩვენი მწერლობის მაინც შემოქმედა და მის სულს არ მოელის განძარცვა საღ შევენებათაგან, რომლებიც მარად სწნავდნენ ხოლმე მის გამარჯვებათა და მიღწევათა გვირგვინს.

დრო ისეთია, რომ კალაპოტი არა აქვს. ძველი ყალიბები გამოუსადეგარია. შფოთიანი დუღილი სწარმოებს და ოდესმე დამდგარი სფერო შემოქმედებისა შერყეულია.

ახალის ძიების პროცესი სუფევს. ახალი კი კიდე შორს არის. ძიების ძალა მომწყვედი უღია ქართული სულის შესაძლებლობის ფარგლებში. მიღწევა მცირეა... ისიც სხვაგან მიღწეულის განმეორებაა ხშირად. — სამზადისია უთუოდ.

მაგრამ ისარი მაინც გატყორცნილია. ნიშანი თითქმის აღებულია, და მას დიდ მიღწევისკენ მივყვართ.

ჩვენ გვაქვს იმედი ახალისა. თავდებია: ჩვენი მწერლობის მარად რძიანი ძუძუ-მკერდი!

* * *

რუსთაველი იყო უდიდესი მიღწევა ქართული შემოქმედებისა. ასეთი დარჩება იგი მარად.

მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის განმეორება არ იქნება, ქართულმა მწერლობამ უნდა სთქვას სიტყვა რუსთაველური. ჩვენი შემოქმედების ენერჯიაც აქეთკენ უნდა იყოს მიმართული. როგორც გამართლებას, აგრეთვე გამარჯვებას იგი მხოლოდ ამ გზით ჰპოვებს.

ისტორიას თვისი ეფექტები აქვს. მათი შლა შეუცნობელს კანონებს ემორჩილება ხოლო ერთი კი ცხადია: თითოეულს კვებავს წინანდელის ძალა-დიდება, და ყველანი მეორდებიან შემდეგში.

ქართული მწერლობის მორიგი ეფექტი უთუოდ მომავალს ეკუთვნის. არსებითად იგი რუსთაველური უნდა იყოს, რუსთაველური იმ აზრით, რომ მოცულობა მისი მთელი ქვეყანა იქნება და სიტყვა მისი — სული, ამ ქვეყნის გარდამქნელი თვისდა ნებისად.

გარეშე ამისა მიღწევა ყოველი — ნამდვილი არ არის, „სიტყვა“ ყოველი — მხოლოდ მასალაა.

* * *

შემოქმედება — შემეცნებაა. ეს უკანასკნელი კი დამამკვიდრებელია სულის მეუფებისა და მისი გამანთავისუფლებელია სრულიადი. ის არის გამარჯვება, რომლის შინაარსი თავისუფლებაა.

ცხოვრებას შემოქმედების სახე აქვს, რომლის ყოველი ნამი შემეცნებას ეკუთვნის, სულის განთავისუფლებას ეწირება.

პოეზია უინტიმესი მომენტია შემეცნების პროცესში. იგი ერთი უაღრესი სახეა შემოქმედებისა და იწყება მაშინ, როცა მიღწევა ფაქტი ხდება.

მიღწევა პოეტური შინაგანია და საიდუმლო, მაგრამ მისი მოვლინებისათვის საჭიროა სახე, ფორმა თქმისა, რომელიც მიღწევასთან თანარსებულია.

ამიტომ პოეზია აღსავსეა შინაარსით, რომელიც უსაზღვროა და განსაზღვრულიც ერთსა და იმავე დროს. უსაზღვროა მიღწევაში, ხოლო განსაზღვრული — თქმაში. ეს მომენტია მისი ყოველჟამიერი ქმედობის საფუძველი.

ტყუილია, თითქო პოეზიისათვის სავალდებულო არ იყოს — „თქმა ხმებით.“ ს. ცირეკიძე ამ შემთხვევაში სამსუხარო გაუგებრობაში იმყოფება.

განსახიერება მიღწევის გარეშე არ იქნება, არც მიღწევა გარეშე განსახიერებისა. ორივე პოეზიაში ერთარსებიანდება.

აქედან: პოეზია — შემეცნებაა, და როცა ის ეს არ არის, მაშინ შარლატანობად იქცევა. ჩვენში მრავალთათვის არის ეს აღსანიშნავი.

* * *

რა არის ობიექტი მწერლობისა? რომელია გზა მისი ჭეშმარიტი? ეს კითხვები კოორდინალურია მწერლობაში. ისინი არიან გამომწვევნი სხვა-და-სხვა სკოლისა და მიმართულებათა. ახალის ძიება, ახალის დამყარება — ყოველივე ეს უტრიალებს ხსენებულ კითხვებს და ამათგან წარმოიშვის.

ობიექტი მწერლობისა იგივეა, რაც ობიექტი შემეცნებისა. ეს უნივერსუმია მისი სახეებით, მისი უსაზღვროობით, ამოცანებით, ხილულ და არა ხილულ ქვეყნებით, სულით, ხორციით, გრძნობით... მაგრამ თავის თავად ეს კი არ არის უთანხმოების გამომწვევი, ეს

არ არის სადავო. სადავო ისაა, თუ სად არის და რა არის სინამდვილე ამ უნივერსუმისა, — ჩვენს გარეშე ობიექტიურად არსებობს იგი, თუ მხოლოდ ის არის იგი, რაც წარმოდგენაა ჩვენი, განცდა ჩვენი, რაც ჩვენშია მხოლოდ.

ობიექტიურია თუ სუბიექტიური სინამდვილე?

ჩვენს მწერლობაში ამ დავას არ აქვს თითქმის ისტორია; და, თავის თავად ცხადია, ჩვენში არც ლიტერატურული სკოლები არსებულან ამ ნიადაგზე აღმოცენებულები. სულ სხვა სურათს წარმოადგენს ამ მხრით ევროპა.

ნატურალისტური სკოლა დარწმუნებული იყო, რომ სინამდვილე სრულიად ობიექტიურია, მისი ჭეშმარიტი სახე — გარეგანი მისი გამოხატულებაა. ამ სკოლის დრო იყო, თუ შეიძლება ითქვას, „მეცნიერული“ მწერლობის ხანა, როცა აზროვნებას ევროპაში საერთოდ დარვინიზმის ბეჭედი ესვა და მისი ფილოსოფიის დროშა ბატონობდა.

რეაქციას, რომელიც მოჰყვა ამ სკოლას, სუბიექტიური მსოფლმხედველობა ახასიათებს. ეს არის ხანა მეტაფიზიკურისა და მისტიურის სულისკვეთების გამეფებისა, რომელმაც „სიმვოლიზმისა“ და „ნეორომანტიზმის“ სახე მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძიება ამაზე არ შეჩერებულა, ამით არც განსაზღვრულა იგი: მრავალი იყო ანარეკლი, ფერი და ჰანგი...

თავის თავად ცხადია, რომ ნაწილობრივი ცოდნა არასოდეს აკმაყოფილებდა კაცობრიობის სულს. პოზიტივიზმი ვერა ჰკლავდა ადამიანის ნყურვილს, და შემოქმედი სული მუდამ ეძებდა თავშესაფარს თავისუფლად მოქნეულს ინტუიციის ცეცხლით გაალებულ ფართო აფრთოვანებაში, რომელიც მთლიანი შემეცნების უმთავრესი საშუალებაა.

ყველა სკოლას, ყოველ განცდას თავისი შეჰქონდა მწერლობაში, მიზნისა თუ მიზნის მისაღწევ საშუალების მხრით. დავა ობიექტივიზმისა და სუბიექტივიზმის შორის დამთავრდა ჯერ სუბიექტივიზმის გამარჯვებით და შემდეგ კი ისეთის სინტეზით, რომლის კონცეპცია აერთიანებს ორსავე და შლის ახალ ჰორიზონტებს.

ის გარემოება, რომ მწერლობა მუდამ იწვის ძიების ცეცხლში, მომასწავებელია იმისა, რომ დიდია განცდა მისი და ამოუწურავი როგორც საშუალებანი, აგრეთვე მიზნები მისი.

* * *

შემოქმედება ყოველთვის იყო და არის გარემოცული მრავალის დაბრკოლებით. მისი თავისუფლება იმ საიდუმლო კლიტულშია, რომლის გაღებისათვის იწირება ყველა ენერგია კაცობრიობისა დასაბამიდან. საიდუმლოების კოშკის კარებს იცავენ ისეთი ძალები, რომლებიც თითქო დაუძლეველნი არიან.

— მძიმე განცდები, ტრადიკული სულისკვეთებანი და გამარჯვება-დამარცხებათა ქარიშხალური მორიგეობანი წინაშე საშინელისა და თითქო გარდუვალის აუცილებლობისა, — აი, მთავარი მომენტები შემოქმედების გზისა.

შემოქმედი სული მუდამ ჯანყის ალზე იწვის. ქვეყნის გარდაქმნა მისდა ნებისად და გარღვევა აუცილებლობის შემორტყმულ რკალთა — აი, მისი ჯანყის მიზანი.

ქვეყნის გარდასაქმნელად კი საჭიროა მისი შეცნობ-შეგრძნობა. ეს კი მოასწავებს შემეცნობელის გაერთიანებას შეცნობილთან, რაც მწვერვალია შემოქმედებისა.

აქვე იჭრებიან ყველა კითხვები, რომლებიც კი უტრიალებენ გარშემო ამ საგანს.

აქედანვე უნდა გამომდინარეობდეს გზათა სხვაობა, თუ ძიებანი მწერლობაშია.

* * *

თანამედროვე მწერლობა დიდ განცდათა მატარებელია. მასში მომწიფდნენ ახალი შესაძლებლობანი, რომლებიც კვლავად ახლებს გამოიწვევენ.

თანამედროვე შესაძლებლობა უკვე უარყოფს ესრედ წოდებულ რეალიზმს, სიმვოლიზმს, რომანტიზმს, როგორც ესეთებს. მისი პერსპექტივები უფრო შორს მიდის, მაგრამ ამათი მონაპოვრებით.

წარსულ ძიებათა ანარეკლები, რომლებიც ჩვენში ზოგიერთებს ჰსურთ ახალის სახით მოგვაჩვენონ, არსებითად ქართულ მწერლობას არაფერს მისცემენ. მიზაძვით მწერლობას არსად არასოდეს შეუქმნია ახალი. მიზაძული განცდა კი — ყალბია.

ჩვენ გვჭირია არა განმეორება ვისიმე, არამედ საკუთარი განცდა, გაღრმავებული, თუ გნებავთ, კაცობრიობის როგორც წარსული, აგრეთვე აწმყო ცდითა, მიღწევითა და მოპოვებულითა.

სკოლას, „მიმართულებას“ არსად შეუქმნია მწერალი, პირიქით — კი. ჩვენც მოვითხოვთ მწერლისაგან არა „მიმართულებას“ არამედ შემოქმედებას უპირველესად ყოვლისა.

* * *

თუ რეალიზმს ცხოვრების ხუნდზე ჰყავდა დაკრული მწერლის სული, სიმვოლიზმს იგი ჰაშიშით გაბრუებული უნიადაგო საგალიმატიო სფეროში შეჰყავდა. ასე გამოიხატენ პოლიუსები ამ მიმართულებათა.

ჩვენი მწერალი არც ხუნდზე უნდა დაეკრას, ხოლო არც საგალიმატიოდ უნდა მოიცალოს. მისი გზა ერთად ერთი უნდა იყოს — თავისუფალი შემოქმედება, რომელიც შინაგანი დამოუკიდებელი განცდის საშუალებით შეიგრძნ-შეიცნობს სამყაროს თვისდა ნებისად გარდაქმნისათვის.

ამ გზას მე არ მინდა უწოდო რომელიმე სკოლის სახელი. ის უფრო სინტეზია, რომელშიაც ბოლოს და ბოლოს უნდა მოექცნენ ყველა ძიებანი და „მიმართულებანი“ მწერლობისა.

ხოლო მისი მთავარი მომენტები მოთავსდებიან უფრო რეალიზმის მცნებაში, თუ ამ უკანასკნელს მივცემთ იმ ახალ განმარტებას, რომელიც მოაცლის მას ძველის სკოლის უარყოფითს მხარეებს, და რომელსაც ზემოდ თქმულის მიხედვით მივასაკუთრებთ ახალსა, ფართოსა და ღრმა შინაარსს...

ალერტი

ნოემბერი, 1921 წ.

ბიბლიოგრაფია

სანდრო ცირეკიძე. „მთვარეულები“. კირჩხიბის გამოცემა. ქუთაისი. 1921.

თორმეტი მინიატიურა 30 გვერდიან მინიატიურულ წიგნაკში. თორმეტი მკაფიო და მაცდუნებელი ტემის დანურული ექსტრაქტი ერთ პანია რვეულში. მარტო „რომანი“ — რომ გაშლილიყო, — გაავსებდა 200 გვერდიან წიგნს. მაგრამ სანდრო ცირეკიძე ფანატიურად ებრძვის სიტყვას. ოსტატი ებრძვის მასალას, რომ სავსებით დაიმორჩილოს იგი, მაგრამ, გატაცებული, ამსხვრევს და სრულიად უარყოფს მას. მან ერთხელ სთქვა, რომ შესაძლოა პოეტური თქმა მარტო სათაურებით ამოიწუროსო. ბოლოს მან სათაურებიც უარყო და განაცხადა: პოეტური თქმა ფერებით და ხმებით არაა სავალდებულოვო. ეს უარყოფაა პოეტური შემოქმედების და სანდრო ცირეკიძე კიდევ ელის ისეთ „ამაყ პოეტებს, რომლებიც აღარ გამოსთქვამენ თავის განცდებს“.

„მთვარეულებში“ ცირეკიძე ზოგან აღწევს სავსებით მიზანს: უმცირესი მასალით ქმნის მაღალ ფორმას. ასეთია მისი „რაინდთა ლანდები“, „მთვარეული“ და „ეპილოგი“. აქ რამდენიმე სტრიქონში, როგორც ჩიტი გალიაში, მომწვედელი დასრულებული ფაბულა. მაგრამ ზოგი მათგანი წვალობს „პროკრუსტის სარეცელზე“.

„მეოცნებე ნიამორები“. ნიგნი მეექვსე. ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით.

მოთავსებულია ლექსები ჩვენში უკვე ცნობილ „ცისფერ ყანწელ“ პოეტების. გრ. რობაქიძის „რთველში“ მოსჩანს ტკბილი წვენი სურნელით გაჟღერებული ჰაერი, რომელიც დამძიმებულია ატორებულ ვნებით. გ. ლეონიძე „ავტოპორტრეტში“ ამჟღავნებს, რომ „სწოვა კახეთის მსუქან თეძოების მტევნები“... რომ ის არის „ბარბაროსი, ხაზარი და სარაცინი“ და (ამიტომ?) მას თავზე „ადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე“... ლექსი „დაუტევნელად“ სავსეა ახალგაზრდული ენერჯით და გამბედაობით.

ყრმა პოეტის გულში ქანაობს „ურაგანი და დინამიტი“, რომელიც, — მწამს, — გამოიწვევს პოეტურ აფეთქებას. კარგია სახე: „მზე — ჩემი გვარის ლაშქრობაში გათეთრებული“.

ამ ორ ლექსში სცემს სიცოცხლის მაგარი ძარღვი და ენერჯის სიჭარბით განირჩევა სხვა ყველა ლექსებიდან. ტიცინ ტაბიძე ელის „პოეზიით დაღუპვას“. ვალერიან გაფრინდაშვილს, თავის მშვენიერ ლექსში „Divagation“ ელანდება „ყანწელთა მორგი“. კოლაუ ნადირაძეს „ყვითელი მაღელი დამპალი უბიდან აწვდის ხელში სხვანაირ ლექსებს, ვით მუმიებს და ტარანტულებს“. ლილი მეუნარგიას ისე დააფრთხობს „კომმარტა გროვა“, რომ მისი „სიგიჟე ჩინურ ვაზაში დაიმალება“. ნიკ. მინიშვილი „მკვდარი, ფეხშიშველი, გახუნებული ჰკიდია ორ ქვეყნის ორბოძალზე და ყველა ღმერთებს სათითაოდ აგინებს ძალზე“.

შალვა აფხაიძე სწერს სანდროს თბილისიდან, რომ „აქ საოცარი იწვის ხველება, საფლავი არის თვალების უპე. სანდრო! გვანუხებს საშინელება, ბალღინჯოს სრესა, შმორი და ნუმპე“. შალვა კარმელი ჰკვივის: „არ არი ღმერთი! გადმობრუნდა ცა შერყეული... მშობელო მინავ! ჭეშმარიტად იყავ წყეული“... განცალკევებით სდგას რაჟდენ გვეტაძის ნაზი სონეტი, მიძღვნილი ტრალიკულად დაღუპულ მარო მაყაშვილისადმი:

...მოსჩანს მთვარეზე განწირული მამაცი ჯარი.
და უჩვევ შიშით ვეფარები ქვის მოაჯირებს:
მოულოდნელად თქვენს სასთუმალს მოძვრება ჯვარი —
ვით ქაფის სვეტი ნამოდგებით გაშლილ ქოჩორით.
და მოგონებით გულდანყვეტილს დიდხანს გაჩერებს:
ქოროლის ციხე, ტაბახმელა, რუხი კოჯორი...

ლექსებს გარდა ნიგნიში მოთავსებულია ორი წერილი — სანდრო ცირეკიძის: „პოეზიის ნაპირები“ და ვალერიან გაფრინდაშვილის: „სახელების მაგია“. ორივე ავტორი საინტერესო ტემებს ეხება, მაგრამ ამჟამად მე მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება ერთ მოტივს, რომელიც ორივე წერილს აერთებს. ეს არის კატასტროფის წინაგრძობა. სანდრო ცირეკიძე ჰფიქრობს, რომ მომავალი პოეტები დადუმდებიან, ვინაიდან „ჭეშმარიტი პოეზიის ორლოზე მიდის ამ უფსკრულისაკენ“. ვალ. გაფრინდაშვილი ამბობს: „ფუტურისტებს უნდოდათ ხელოვნურად დაეღუპათ პოეზია, მაგრამ ეს თავისთავად მოხდება, რადგანაც პოეზია დღეს იკვებება თავისი სისხლით და ხორციით. ის ჩონჩხად იქცევა და გადატყდება წელში, როგორც მოხუცი აკრობატი“. ეს არის ავადმყოფი ევროპის კვნესა, თბილისში გადმოსროლილი. დამპალი ცივილიზაციის მიძიმე ტვირთი არ უნდა აწვებოდეს მრავალ-ხნოვან, მაგრამ ჯერ კიდევ „ბარბაროსულ“ საქართველოს ძარღვიან მხრებს, რადგანაც „მსოფ-

ლიოს დეფორმაციის“ საშინელი მოჩვენება, რომელიც ეიფელის კოშკიდან ელანდება და-ქანცულს და შეშინებულს ევროპიელს, ძნელი დასანახავია თბილისის ფუნიკულორიდან.

„რევოლიუციის პოეტები“. სახელმწიფო გამოცემა. ტიცინ ტაბიძისა და გ. ლეონიძის რედაქციით.

ნიგნი ძლიერ ნაჩქარევად არის შედგენილი, რაც წინასიტყვაობაშიაც არის აღნიშნული. მასალა არ არის შესაფერად შერჩეული და დალაგებული, აკლია ზოგი თვალსაჩინო რევოლიუციის პოეტი და არის რამდენიმე რევოლიუციის გარეშე მყოფი პოეტი. უკეთესი იყო სახელად დარქმეოდა: „რევოლიუციონური ლექსები“, რადგანაც შეიძლება არა რევოლიუციონერმა პოეტმაც დასწეროს რევოლიუციონური ლექსი და ერთი და ორი ლექსით პოეტი რევოლიუციის ღერბს ვერ მიიღებს. საინტერესოა ტიცინ ტაბიძის წერილი „რევოლიუცია და პოეტები“, სადაც ავტორი სცდილობს პარადოქსალურ აზრის დამტკიცებას, რომ „ყოველ დროის და ყველა ქვეყანათა პოეტები ყოველთვის იდგნენ რევოლიუციის მხარეზე.“ ეს გადაჭარბებაა. ყველა პოეტი რომ რევოლიუციის მხარეზე იდგეს, საჭიროც არ იქნებოდა ცალკე „რევოლიუციის პოეტების“ შერჩევა და მათი გამოცემა. წერილში დამაჯერებელი დალაგებით არის დაგროვილი ისტორიული მასალა ამ ტეზისის დასამტკიცებლად. გარეგნულად ნიგნი კარგადაა გამოცემული.

ვახტანგ კოტეტიშვილი. „უოლტ უიტმანი“. სახელმწიფო გამომცემლობა.

ნიგნაკი შეიცავს უიტმანის შემოქმედების შესახებ — პოპულიარულ წერილს. კარგად არის გადმოცემული ამერიკელი „ქუჩის მოგვის“ ბიოგრაფიის ყველა უცნაურობა. სტილი ცოტა მყვირალაა, მაგრამ ეს შეიძლება უფრო უხდებოდეს ამერიკულ რეკლამის მოყვარულ პოეტზე საუბარს. არის შიგა და შიგ ბანალობისკენ „გადავარდნა“. „უიტმანის შესახებ, — ამბობს ბ-ნი კოტეტიშვილი, — ჯერ ხეირიანი ბიოგრაფიაც არ არის დაწერილი... იქნება ერთი მხრით ეს კარგიც იყვეს, რადგან მისი შემოქმედება ისეთი დიდია და საშინელი, რომ გინდა მის დამწერს (შემოქმედების დამწერს?) მომაკვდავი დედამა არც კი ჰყავდეს, რომ ქაოსიდან იყვეს იგი წარმოშობილი. მაგრამ მეორე მხრივ (!) ვიცი, რომ ეს ასე არ არის (ნუ თუ?), და გვინდა, რომ გავიგოთ მისი მშობლების ვინაობაც...“

წერილის ბოლოს ასეთი ფანტასმაგორიაა დატრიალებული: „დღეს ამ პოეზიის გოლიათს მხოლოდ ძლიერები გრძნობენ. უიტმანის სიცოცხლე ამას იქით გაიშლება.

მოკვდება კი მაშინ, როცა მას სუსტებიც იგრძნობენ, გაიგებენ და შეიყვარებენ.

უიტმანის სიკვდილი, როგორც პოეტის, ეს მისივე ხელახალი გამარჯვება იქნება.

ისე, რომ საბოლოოდ უიტმანი სიკვდილს ამარცხებს“.

ასეთ მოჯადოებულ წრეში იტრიალებს უიტმანი მანამ, სანამ ვ. კოტეტიშვილის ნიგნი არ გაცვდება.

ნიგნაკს ბოლოს დართული აქვს უიტმანის რამდენიმე ლექსი ნიგნის ავტორის მიერვე ნათარგმნი. კარგი იქნებოდა რჩეული ლექსები დარიგებოდა სათარგმნელად პოეტებს. თარგმანიც უკეთესი იქნებოდა და ლექსების რაოდენობაც მეტი, თორემ სამი სუსტად ნათარგმნ ლექსით მკითხველი ვერ შეადგენს შესაფერ აზრს უიტმანის შემოქმედებაზე.

სანდრო ეული. „რევოლიუციის საყვირი“. ლექსები. სახელმწიფო გამომცემლობა.

ამ ნიგნაკს ჩვენ არ მივაქცევდით სრულიად ყურადღებას, რომ მასში არ ნაგვეკითხავინმე კ-რი-ს წინასიტყვაობა, რომელიც ერთი ხელის მოსმით ანადგურებს სანდრო ეულამდე არსებულ ყველა პროლეტარულ პოეტებს: ვ. რუხაძეს, გ. ქუჩიშვილს, იასამანს, ობოლ

მუშას და სხვ. ესენიო, — ამბობს განრისხებული კ-რი, — ხანდახან უხვევდნენ თავიანთ გზას ან საქართველოს ხაზით, ან მარადისობის, ყოფნა-არყოფნის, ან ქალის საკითხებითო. მაგრამ ყოვლად ძლიერი რევოლიუციის შემდეგ შეუძლებელი იყო სხვა და სხვა პრობლემებზე მღერა, როცა რევოლიუციამ გაანადგურა ყოველივე და ძველი ქვეყანაც თავისი ჰამლეტური იჭვიანობით და მარადისობის პრობლემებითო. გამოდის, რომ რევოლიუციას გაუნადგურებია საერთოდ პოეზია, რადგანაც თუ პოეზიის სამთავროდან **ამოიშალა პატრიოტიზმი, ეროსი, მარადისობის, ყოფნა-არყოფნის** და სხვა „წყეული“ პრობლემები, რალა დარჩება მაშინ ბარაბანის რახუნის გარდა? გაანიავა რა ერთი სულის შებერვით ყველა აქამდი არსებული პოეტები, ბ-ნმა კ-რი-მ ბუკითა და საყვირით აიყვანა სანდრო ეული რევოლიუციის უმალლეს საფეხურზე და ჰლადადებს: „ეულის პოეზია არის რევოლიუციის დღეებში ნაგრძნობი მოზღვავებული ძალა, აქ თქვენ წინ იმლება რევოლიუციის სურათები, მისი ცეცხლები, ბარიკადების ძახილი, სისხლი და ბაირალები, — ერთი სიტყვით, მთელი აპოთეოზი რევოლიუციისა! ეს ბედნიერი ბედი (!) ხვდა სანდრო ეულს!“ გადავხედოთ ამ „აპოთეოზს“ ეულის ლექსებში. „ბარიკადებიდან“ ისმის ასეთი ძახილი:

„ნუ შეგვაშინებს სვავეთა ღმუილი,
ყვავეთა ჩხავილი, გველთა სისინი,
და ღამის მცველთა მწარე სიცილი!

„მუშის სიმღერა“

სხვისთვის ვქმნიდი ოქროსა მთებს,
სხვისთვის ვქმნიდი ბატონობას,
სხვისთვის კოშკებს ვაშენებდი,
სხვისთვის ვქმნიდი მე განცხრომას.

„პირველ მაისისთვის“

დღეს კი, ძმაო, სხვა დღე არის,
დღე — პირველი მაისისა,
დღეს ჩვენ უნდა გავიხაროთ,
დღეს მტრები კი ცრემლს დაღვრისა...
დღე დაგვიდგა საიმედო,
სანეტარო მომავლისა,
როს ოცნება — სიხარული
ამა ქვეყნად ფრთებს გაშლისა..

„დურგლის სიმღერა“

მაგიდას ვაკეთებ,
სასუფრე მაგიდას,
რომ მაზე მიერთვას,
მიერთვას კაც-მდიდარს
სადილი და სხვა და სხვა...

ეს თუ რევოლიუციის აპოთეოზია, მაშინ რას უნდა ეწოდოს, ბ-ნო კ-რი, უნიჭობის აპოთეოზი?

მართალი უთქვამს ჰენრიხ ჰეინეს: „რევოლიუციის ქარიშხალი აქრობს პოეზიის ჩირალდანსო“. მართლა ჩამქრალა პოეზიის ყველა ჩირალდანი, თუ რევოლიუციის აპოთეოზის განათება სანდრო ეულის მუგუზხალს დაევალა.

ჭეშმარიტი რეალიზმი

სხვა და სხვა არის გზა პოეზიის მწვერვალებსკენ. საუკუნეთა განმავლობაში ყველა ქვეყნის და ერის ნამდვილი პოეტი ანთებული ჩირალდნით იკაფავს ბილიკს ამ მწვერვალისაკენ. სდუმს მარადისობა, და წყვედიადით მოცულ სამყაროში უიმედოთ კრთიან ვარსკვლავთა ანთებული წერტილები. ამ დუმში ისმის მხოლოდ პოეტების ძახილი და საუკუნეთა ფრთების შრიალი.

სხვა და სხვა არის პოეტების გზა, სანამ ისინი მწვერვალებზე ავიდოდნენ. მათ ხშირად არ ესმით ერთმანეთის ხმა და არა სწამთ ერთი-მეორის გზა, მაგრამ ავლენ თუ არა პოეზიის მწვერვალებზე, ისინი ხედავენ ერთმანეთს და მათი ჩირალდნები ანათებენ მათთვის საერთო საიდუმლოების პერსპექტივებს.

ათასში ერთი თუ მიაღწევს ამ სიმაღლეს. დანარჩენები დალოდავენ მთის ორნოხებში და ადრე თუ გვიან ან ხრამებში სცვივიან, ან ჰქრებიან დავინყების ბურუსში. ყოველი დიდი ხელოვანი სცილდება თავისი ქვეყნის და დროის საზღვრებს.

აქ, პოეზიის ამ მაღალ საფეხურებზე, ზედმეტია ლაპარაკი პოეტის „მიმართულებაზე“, მის ლიტერატურულ „სკოლაზე“, ვინაიდან ყოველი მიმართულება, ყოველი წინდანი გამიზნული ხაზი, არის ტენდენცია, რომელიც დამახასიათებელია ვინროდ შემოქმედის ნიჭის, ხოლო ვერ ურიგდება ღრმა შემოქმედის უნივერსალურს ბუნებას.

როდესაც მისტიკოსი ამბობს, რომ ხილული ქვეყანა არის მხოლოდ მოჩვენება და ლამაზი ბუტაფორია, რომლის იქით იმალება ნამდვილი, მაგრამ მიუწვდომელი სამყარო, იგი ამით ტენდენციურად უარყოფს სიცოცხლის რეალობას, ხოლო პოზიტივისტი, რომელიც არა სცნობს ხილულ საგანთა შორის საიდუმლო კავშირს და ხუთი გრძნობის ჩარჩოში ათავსებს მოვლენათა მრავალშეცულობას, აგრედვე ტენდენციურად უარყოფს მსოფლიოს გარდამავალ სახეთა დინამიურ ცვალებადობას და სიცოცხლის ღრმა შინაარსს.

„აქაურსა“ და „იქაურს“ შორის ხელოვნურად გაყვანილი საზღვარი ყალბია. მსოფლიო მთლიანი და განუწყვეტელი პროცესია და მხოლოდ ამ მხრივ არის შესაძლო მისი თანდათან შეცნობა. ვთქვათ, ხილული ქვეყანა არის მხოლოდ მოჩვენება და ბუტაფორია, მაგრამ ის ხომ მაინც ერთად-ერთი შინაარსია ჩვენი სიცოცხლის? ნამდვილია ის თუ მოჩვენებითი, ჩვენი განცდათა წყარო მაინც იგია და განცდა ხომ თავისთავად რეალობაა? სადღაა სხვა უფრო ნამდვილი ქვეყანა?

„ჭეშმარიტი სიმბოლიზმი, — ამბობს ანდრეი ბელი, — უერთდება ჭეშმარიტს რეალიზმს. დიდსა და ღრმა ხელოვანს უკვე აღარ შეიძლება ეწოდოს არც რეალისტი, არც სიმბოლისტი, წინანდელის მნიშვნელობით“.

მსოფლიოს პოეტურად განჭვრეტისათვის საჭიროა რეალურ ნივთთა და განცდათა შორის არსებობდეს სიყვარულით გამთბარი ინტიმობა, რადგანაც მხოლოდ სხვანაირი სიყვარულის ცეცხლს შეუძლია გაანათოს ის უხილავი კავშირი, რომელიც აერთებს ადამიანს ყველაფერთან, რაც მის პიროვნების გადაღმა მხარეს იმყოფება. პოეტისათვის ნივთი არ არის მარტო ის, რასაც იგი ამ წუთს ჰსახავს, ამავე დროს იგი არის უცნაური შიფრი, მარადისობის უფსკრულიდან გამოგზავნილი. ყოველი საგანი თავის არსებაში ატარებს განვლილ უსახობის ელემენტებს და მაჩვენებელია მომავალ დროთა მრავალსახო-

ვანი დენის, ერთ და იმავე დროს შეიცავს დასრულებულ ფორმის ნუთიერ დალს და მომავალ სხეულებათა დაუშრეტელ პოტენციას.

პოეტი ხედავს მზის სხივებში მოთამაშე წვეთებს, და ამავე დროს მას იტაცებს ის ნიაღვარი, რომელსაც ქმნის ამ წვეთების შეერთებული გაქანება.

ჭეშმარიტი რეალიზმის საფუძველზე დამყარებული შემოქმედება — ეს ანთეოსია, რომელიც გრძნობს მინის სიმტკიცეს, სტიმულია ძლიერების და იმედიანი გაფრენის. ასეთ შემოქმედებაში ფსიქიურ ძალთა კონფლიქტი არ გადადის მისტიციზმის პასიურ ჭვრეტის ბურუსში, არამედ პოულობს ჰარმონიულ სინტეზს დაგუბებულ ენერჯის გაშლაში.

ყოველი მოვლენა და ნივთი, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს იგი, შემოდის პოეზიაში ახალის განათებით, რადგანაც მატარებელია უნივერსალური კავშირის უზენაესი ნიშნის. აქ ისპობა ობიექტთა შორის ყოველგვარი რანგი და პოეტის წინაშე ყველაფერი სდგას ერთის ღირსებით შემოსილი, მარადისობის ბეჭედ-დასმული. ყოველნაირი დაახლოება და ინტიმური კავშირი უბრალო ნივთთანაც კი ამჟღავნებს, სრულიად ძალ-დაუტანებლად და წინასწარ განზრახვის გარეშე, ამ ნივთთა სიღრმეში დამალულ ჯერ ხელუხლებსაიდუმლოებას, რომლის აღმოჩენისათვის ბევრი ტენდენციური ხელოვანი ამოდ აფორიაქებს ტრანსცენდენტალურ სფეროთა გაუვალ სივრცეს. ხშირად მინის უბრალო ბელტის ფეხით გადაგორებაც საკმარისია იმისათვის, რომ უცებ იფეთქოს შავმა ელვამ და გაიხსნას საშინელი უფსკრული.

„ძმებო, იყავით დედამინის ერთგულნი!“ — ამბობდა ნიცშე. ბევრს ავიწყდება ეს ბრძნული ანდერძი, სტოვებს მინას და მაშხალასავით დასრიალებს ცაში. შესაძლოა მან ერთის წამით მშვენივრად გააშუქოს ცის ერთი ნაჭერი, მაგრამ იგი მალე ჩაჰქრება და გაციებული დაეცემა ისევ იმ მინაზე, რომელიც მან უარყო. მაშხალა უნდა შესცვალოს პოეტური ცეცხლის ვულკანმა და ეს შესაძლოა მაშინ, როცა პოეტის გული დედამინის ცეცხლის გულში ამოვლებული. ყოველ ადამიანში არის უთუოდ ფარული შესაძლოება იგრძნოს მინა, როგორც შვილმა მშობელი. მაგრამ მხოლოდ პოეტს შეუძლია მისცეს ამ გრძნობას რეალური განცდის სიღრმე. ამ დროს მისთვის დედამინა არ არის უბრალო პლანეტა, არამედ სათავეა ყველა მასში ანთებულ ძალთა. საყვარელია იგი მისთვის თავისი ლურჯი ზღვებით, ცისფერი მდინარეებით და ცეცხლის სისხლით აძგერებული არტერიებით. იგი მინის იქით იხედება და გრძნობს ნათესაურ კავშირს მზესთან და მისი სული ბრწყინავს მსოფლიოს ელვარებით. ასეთი განცდის წინაშე მზერისა და სმენის სამთავრო უკვე აღარაა „მაიას საფარველი“, არამედ რეალობაა ნათელ-შემოსილი. აქ არის ამ შემთხვევაში „აქაურის“ და „არაქაურის“ ერთ ნაკადში მოქცევა და შემოქმედების უმაღლესი განათება.

ჭეშმარიტი რეალიზმისათვის მსოფლიოს გარდამავალი სახე ყოველ ჟამს არის გაქანებული წყალვარდნილის არქიტექტონიკა. არც ერთი მოვლენა, არც ერთი საგანი არ არის დროსა და სივრცეში შეჩერებული, როგორც კინემატოგრაფის ლენტის ცალკედ ამოჭრილი სურათი მოკლებულია ლოლიკას და შინაარსს, ისე საგანი და მოვლენა, მონყვეტილი მთლიანი პროცესის ნაკადს, ჰკარგავს თავის ნამდვილ სახეს და მნიშვნელობას. ყველაფერი მოძრაობს და შეიძლება ითქვას რომ საბოლოო ანგარიშით მოძრაობა არის ერთადერთი რეალობა. ამ მარადიულ მოძრაობაში არც ერთი სახე არ უბრუნდება ერთხელ განვლილ ფორმას, ვინაიდან სამყაროში ყველა ორბიტი არის სპირალი და არა რკალი. აქ არის საფუძველი ქვეყნის ოპტიმისტურად შეცნობის.

საერთო პროცესის პრინციპია დინამიური აქტუალობა და ჭეშმარიტი რეალიზმიც ამაში ხედავს ჯანსაღ ოპტიმიზმის გამართლებას, სულ წინ და წინ! ყოველთვის ახალ პერსპექტივებისაკენ!

ლოცვა უბედურათვის

მე სულ გარეთ ვარ ქარის ოხვრა და წვალეებაზე
და ვამბობ: ღმერთო, შენ უშველე ყველა უბედურს,
და ჩემი სული ავათმყოფი და ცვალებადი
ექებს დამალულ სიხალისეს და ალერსს დედურს.

და ყოველ წუთში, ყოველ ჯავრის გადატანაზე
ჩემთან ჩემივე ლანდის გარდა არავინ არი.
ო, რამდენია უბედური ამ ქვეყანაზე,
ო, რამდენია ნატეხები მზისა და ქარის.

მაგრამ უფსკრული ვერ ივსება გაუმაძღარი...
სამსხვერპლოები განწირულთა სულებს ელიან;
ინგრევა წმინდა იმედების თეთრი ტაძარი,
ბერდება ჟამი და მიზანი აუხსნელია.

თოვლში რომ ჩანვა სიხარული და ჩაიყინა,
ფიქრი რად მოკვდა ქარიშხლიან სითამამეში?
სული ცივია. სული მძიმე ვით შავი რკინა.
ვარ ჩარჩენილი მე — გაუვალ შუალამეში.

ესლა ღამეა ჩემი ბინა და საპყრობილე.
ღამის სიმაღლე ჩემი სულის ნალველს ედრება.
უბედურათვის აქ ვლოცულობ ხელ აპყრობილი,
მაგრამ ღმერთებმა არ ისმინეს ჩემი ვედრება.

ხარიტონ ვარდოშვილი
1920

ღმერთის ხსენებაზე

ღმერთო, ყოველთვის, შენს ხსენებაზე
ვიყავ სათუთი და წამიერი,
ლოცვებში მწირულ გათენებაზე
ინვოდა მარად ჩემი იერი.

ოჰ, სიცივეში ბევრი ვეწვალე
თუმცა მეხურა ღამის ნაბადი,
მძულდა დღეების ცბიერი თვალი
ცამეტი რიცხვი და ორშაბათი.

ხვალის იმედი არ მაბადია.
მზის სითამამეს რად შევეცილე?
ღმერთო, ცოდვები სულს აპატიე
მე შენს ხსენებას თუ შევეწირე.

ხარიტონ ვარდოშვილი

შეშლილი ნელი

ნაკიან დღეებს ვერ გადაურჩა
გარდაიცვალა შეშლილი ნელი.
და ამის გამო ჩასთვალეს ურჩად
გრიგალი, კისერ გადანაცელი.

ელოდა ჟამი გადაბრუნებას,
მაგრამ განსაცდელს დააკლდა შხამი,
და გახუნებულ დედა-ბუნებას
მოევლო თალხი წამოსასხამი.

ვიტყვი: (არ არის დასაქადელი),
ეს ბრალი იყო ბედის დაცინვის,
მზეო, დაშალე ეს საყადელი
სულში დადგმული თოვლის და ყინვის.

ხარიტონ ვარდოშვილი

1921

ღამე — მაღალი კუბო

ღამეს ბანდი აქვს შემოვლებული
სახე დაღარულ შავი ბინდების,
როდესაც მთვარე დასოვლებული
არის მოწყენით და გარინდებით.

გამოვა მკვდარის სული ვნებული
და ეძებს მალულ სამოთხის კარებს,
მზე — ღამეებით დამონებული
შველას სთხოვს მთაში დაკარგულ ქარებს.

სივრცე: უფსკრული დაუსაბამო
ჩრდილი ყვითელი და უფერული,
მოელოდება ახალ საღამოს
რომ დააძინოს ფიქრი ველური.

იშვება სახე — სიზმარეული:
ეს ცვალებადი ჟამის ლანდია,
მაღალ კუბოში ვართ ჩამწყვდეული
და ვემონებით ღამეს ბანდიანს.

ხარიტონ ვარდოშვილი

1921

სამკაულები

სამსურათად

მოქმედობენ:

პოეტი

სულიკო

ქალი იგივე სულიკო

ტყის დედოფლები და მშვენიერი არსებანი.

სურათი ზირველი

პატარა ოთახი სცენის წინ, უბრალოდ მორთული. წიგნები, ყურნალები, გაზეთები და ქალაქები არეულ-დარეულია ყველგან.

კედელზე რამდენიმე სურათი. ერთიც მოდიდო ფანქარით ნახატი. იგი წარმოადგენს: თმაკულულებიან ტირიფს, რომლის ძირში სდგას მშვენიერი ქალწული. ქალწულს შორით სალამს აძლევს ყრმა.

სურათი აფერადებულია ყვავილებით.

აბაჟურიანი ლამპის სინათლე.

მაგიდას უზის პოეტი კალმით ხელში.

სწერს.

სურათის იერი სიზმრულია უფრო, ვინემ ნამდვილი.

დიდი პაუზა.

პოეტი. (ავზნებულია). მერმე, მერმე? მერმე რა? მაინც არ არის?... რომ არ არის და არა. ღმერთო ჩემო, თუ ტყუილია ყოველივე (თავზე წაივლებს ხელს). ჰო, ეს ტანჯვა... საშინელი ტანჯვა.

პაუზა.

არა, სიზმარი კი არა, ცხადი იყო! (შეხედავს ტირიფის სურათს). ჰო, რომ ნამდვილი იყო! მაგრამ მერმე?? ნუ თუ პირველი იყო მისი დანახვა და... უკანასკნელი... ვაიმე, თითოეული მოგონება მისი — დაფლეთვაა ჩემის გულის, დაწვაა ჩემის სულის... ხოლო როდისაა, რომ არ ვიგონებ მე მას? (მცირე პაუზა).

(უცებ ადგება ნერვიული. მიუახლოვდება რამპას და დაუნყებს თვალიერებას მაყურებელთ). უკაცრავათ... რომ ყველანი მე მიცქერით, ჩემთვის ხომ არ გასჯილხართ და მობრძანებულხართ?

უკაცრავათ... ლექსებს კი ვწერავ, მაგრამ საჯაროდ მათ არ ვკითხულობ (უცხად თითქო მოაგონდაო). აჰა... შესაძლოა, ჩემი წინაგრძნობა გადმოგეცათ დღეს, მოქალაქენო, და აქ შეიყარებით, რათა საკუთარის თვალთ დაინახოთ საშინელი სურათი პოეტის უკიდურესი ტანჯვისა, როცა იმედი მისივე თვალწინ ფერფლად იქცევა და ცხოვრება საარაკო ცინიზმით გასთელავს მას ფეხქვეშ... გნებავთ, იხილოთ დამარცხება ჩემი და...

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

ხოლო თუ მართალია, რომ ჩემს საშინელს წინაგრძნობას თქვენ გაცნობილი ხართ, იცოდეთ ისიც, რომ ჩემთან ერთად ბევრი რამ დამარცხდება... თუმცა...

(კვლავ ათვალიერებს დარბაზს).

თუმცა... (უცხად). ღმერთო ჩემო... მთელი ქალაქი აქა ყოფილა! ეს რაღაცას კი ნიშნავს... ჩემი წინაგრძნობა უთუოდ გამართლდება! ჰო, მე არ მეშინია... თუმცა საშინელება კი იქნება.

(სხვა ხმით). ქალბატონებო და ბატონებო. მე ვეძებ ქალწულს, რომელიც მიყვარს მას შემდეგ, რაც მახსოვს თავი და რომელსაც ამკობს ჩემი ჩანგი მისი აჟღერების წამიდან... ვეძებ და ვერ მიპოვნია! ძველი ამბავია, მოქალაქენო... ძველთა ძველი... მაგრამ დღეს

აივსო ფიალა ჩემი ტანჯვისა და დღესვე ვიგრძენი საშინელი ჩხვლეტა ეჭვის მონამლულის ნემსისა... — ის თქვენს შორის არის... მაგრამ... (სიტყვას არ დაათავებს. თავს ჩაქინდრავს).

პაუზა.

(სხვა ხმით). მე პოეტი ვარ, ბატონებო. სხვათა შორის, ეს იმას ნიშნავს, რომ იდუმალ განცდებით ვცოცხლობ... ხოლო დღეს, თუ ირღვევა ეს წესი, ამის მიზეზი არაჩვეულებრივი გარემოებაა, რომელიც სცვლის ჩვეულებრივს ლოლიკას (უცბათ ნერვებით). უჰ... ეს ლოლიკა... იგი ხუნდია მონობის დროისა, რომელზედაც დაკრულია კაცობრიობა დასაბამიდან (ჩვეულებრივი ხმით). საცოდავი კაცობრიობა... ვერავითარი ჯანყი ვერ გიხსნის შენ ამ ხუნდისაგან... იქმნება, მხოლოდ პოეტის ძლევამოსილმა აღმაფრენამ... (კვლავ უცბად და ნერვებით). თუმცა ამაზე მეტია ლაპარაკი... მეტად მწვავეა ტკივილები, რომ არ შევიცოდო ნერვები.

პაუზა.

(გაივლის. დაფიქრებულია. ტირიფის სურათზე შეჩერდება და შემდეგ თითქო თავისთვის საიდუმლო ხმით).

პატარა ვიყავი... არ მახსოვს, რამდენის წლისა... მახსოვს, სოფლად ვიყავი და მარტოდ დავდიოდი ტყედ და ველად და ყრმის ოცნების აბრეშუმის წმინდა ძაფით ვქსოვდი პანია ზღაპარს ტყის მშვენიერ დედოფალზე... იქვე ჩამესმოდა ყურში ჩემის მეგობრის მდინარის ალერსიანი დუდუნი და გულითადის მესაიდუმლის კობტა ტყის ფარჩის შრიალი... (მოგონებით). არ მახსოვს, მე ვამბობდი, თუ გარემო მეტყველობდა: „ერთმა ლამაზმა ყმანვილმა ნახა ტყის მშვენიერი დედოფალი... ფეხშიშველი, თეთრთმიანი, თეთრი ყვავილებით შემოსილი... ნახა და შეუყვარდა...“ — სწორეთ ამ დროს თმაკულულებიან ტირიფის ძირში პირველათ თვალი მოვკარი მას... ფეხშიშველი იყო, გულ-მკერდლია და ზღვათვალეებიანი... თითქო ვიცანი... თითქო დაბადებამდე ვიცნობდი... თითქო ჩემი სულის ნაწილი იყო. გაოცებით შევსდევ:

„გამარჯობა, შენი, სულიკო“.

„შენ საიდან იცი, რომ სულიკო მქვიან? ვინა ხარ?“

„გამარჯობა, შენი, სულიკო“.

„დედა ჩემი ავად არის... მის მოსარჩენ წამალს ვეძებ... გაგიგონია უსახელო ყვავილი?.. იმის გულშია თურმე ის წამალი... არ იცი, სად არის უსახელო ყვავილი?.. რად გაჩემდი... სთქვი, თუ არ იცი... მეჩქარება...“

(ღრმა მოგონებაშია)

პაუზა.

(მწუხარებით). ეს იყო პირველი ნახვა და უკანასკნელი...

(გულ-აჩვილებული). ცოდო არ ვარ.

პაუზა.

სულიკო... სულიკო...

პაუზა.

თუ გინდ, მხოლოდ ხმა... ერთხელ მაინც მარტო ხმა... შენი ხმა, სულიკო... იცი, რა იყო შენი ხმა??. შენი ხმა იყო... (თავს ვერ შეიმარგებს, აქვითინდება).

პაუზა.

(გამორკვეული). უკაცრავათ, ბატონებო, ღობე-ყორეს მივედ-მოვედევი, არა? (სხვა ხმით). მე თქვენს ადგილზე ყველა მეოცნებეს ქვით ჩავქოლავდი. (კიდევ სხვა ხმით) ოცნება — ჭირია, მოქალაქენო, და ამ ქვეყნად მხოლოდ ის არის საქები, ვისაც იგი არა სჭირს!.. (მიბრუნდება. აჩქარებით მიდის მაგიდასთან, აიღებს რვეულს და დარბაზს უჩვენებს).

აი, ბატონებო, უბედურება... მადლობა ღმერთს, რომ თქვენში ბევრს არა აქვს ამისთანა... ამაშია ის სანამლავი, რომელსაც მშვენიერება ეწოდების და რომლისთვის თქვენს უმორჩილეს მონას არა ერთხელ და ორხელ დაუფლეთია გული და ცეცხლის შმაგ ალზე უწამებია სული. ჰოი, ეს უსაშინელესი სანამლავი...

(დაანარცხებს რვეულს იატაკზე).

მცირე პაუზა.

(უცნაურათ აღელვებული, აგზნებული). აღარ შემიძლია... რომ არ შემიძლია, ღმერთო ჩემო!!! (ჭირვეული ხმით). სულიკო! სულიკო! სულიკო!

პაუზა.

არსაიდან ხმა! (უფრო ჭირვეული ხმით). სულიკო! სულიკო! სულიკო!

პაუზა.

დარბაზში მცირე ჩოჩქოლი გაისმება, გაუბედავი: „ღმერთო ჩემო“ (პოეტის ყურს გამორჩება ეს).

კვლავად არსაიდან ხმა (ცრემლ-მორეული ჭირვეული ხმით). სულიკო! სულიკო! სულიკო!!! (დარბაზში გაისმება ქალის ტირილის ხმა).

პოეტი. (ყურს მოჰკრავს). სულიკო! ჩემო სულიკო, სად ხარ?

ქალი. (დარბაზიდან). მე მქვიან სულიკო! რა ვქნა, აგრე რად მეძახი?

პოეტი. (გადმოადგება რამპას). ღმერთო ჩემო! ნუ თუ ამლამინდელი ღამე გამარჯვებული გამომიყვანს განსაცდელისაგან და წინაგრძნობა ჩემი არ გამართლდება. თუმცა ხმა შხამად მენვთება ყურში და შავი შიში იპყრობს ჩემს არსებას (მოუთმენლად). სულიკო! სულიკო!

ქალი. (დარბაზიდან). აქა ვარ, რა გინდა?

პოეტი. (ხმას უსმენს სულგანაბული. მცირე ხნის შემდეგ). სადაური ხარ?

ქალი. სოფლელი.

პოეტი. (მცირე ხნის დაფიქრების შემდეგ, ცდით). დედა გყავს?

ქალი. არა.

პოეტი. არა? დიდი ხანია მოგიკვდა?

ქალი. დიდი ხანია.

პოეტი. მაინც რამდენი?

ქალი. პატარა ვიყავი მაშინ.

პოეტი. (თითქო აგრძელებს ქალის სიტყვას). ფეხშიშველი დადიოდი... გულმკერდლია... სოფლის გოგონა.. უსახელო ყვავილს ეძებდი დედის მოსარჩენად... (თავის ხმით). მაშ... დედა მოგიკვდა... ნუ თუ ვერსად მონახე უსახელო ყვავილი?

ქალი. ვერსად!!!

პოეტი. არ გიკითხავს არავისთვის, ვინძლო ეჩვენებია.

ქალი. ვერავინ მაჩვენა.

მცირე პაუზა.

პოეტი. მე გახსოვარ?

ქალი. მგონია, კი... სიზმარივით... რომ მოგისმინე ამ საღამოს, მომაგონდა...

პოეტი. რა... რა მოგაგონდა?

ქალი. აი, ის შენ რომ მოიგონე!

პაუზა.

პოეტი. (აგზნებული). სოფლიდან როდის ჩამოხველ?

ქალი. დედის სიკვდილის შემდეგ...

პოეტი. რას აკეთებდი... ან ახლა რას აკეთებ აქ?.. მარტო სცხოვრობ?.. ვინა გპატრონობს ამ დიდ ქალაქში?

ქალი. (სდუმს).

პოეტი. რად გაჩუმდი? მიპასუხე!

ქალი. (კვლავ სდუმს).

პოეტი. (აცახცახებული). ჰო, აღსრულდეს... წინაგრძნობა ჩემი უტყუარია... (ძალდატანებული გაბედულობით). მაშ ამაზე მიპასუხე: ბედნიერი ხარ, თუ უბედური...

ქალი. (დაუყოვნებლივ). უბედური ვარ!

პოეტი. ჰო, ეს არის, რომ ვიცოდი... ჰო ეს არის რასაც ვგრძნობდი... ბედის წერას ვერსად წაუხვალ, საცოდაო პოეტო... (ქალს). რომ მესმის ის შენი ხმა... ნამდვილი შენი ხმა, სულიკო, თუ...

ქალი. ჩემი ნამდვილი ხმა... ხოლო სიყმანვილისა დაკარგულია...

პოეტი. (შენუხებულად). მანდ რომ ზიხარ, ვერ გიმზერ... იქნება, ინებო და აქ ამოხვიდე... აი, გზა...

ქალი. (ადგება მის ადგილიდან. დარცხვენილია. ადის სცენაზე).

პოეტი. (რომელიც მას თვალს არ აშორებს). აი, აქეთ... ნუ გერიდება.. მომეცი ხელი! (აყავს სცენაზე).

(ქალს აცვია ნითელ-ჭრელად, ფერუმარლით და ფერადებით აქვს შეღებილი სახე, თვალ-წარბ-წამწამები. სასტიკად ემჩნევა მსუბუქი ყოფა-ქცევის ქალის გარეგნობა).

პოეტი. (დალონებულად შეუშვებს ხელს. თავს ჩაღუნავს უფრო ზრდილობისათვის და ჩაღუნული ხმით) სულიკო... ჩემი სულიკო...

ქალი. (თითქო თავს იმართლებდეს). მე არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ მოხდა ეს. შენმა ტანჯვამ სასწაულებრ იმოქმედა ჩემზე... რომ მოგისმინე, თითქო სიზმარი ამიხდა... მომავონდა... თუმცა, იქნება, შემთხვევითია, რომ ჩემი მოგონება შენსას ასე დაემზგავსა.

(პოეტი მიუახლოვდება. ჩააცქერდება. მერმე გაიწევეს მისგან)

პაუზა.

პოეტი. (მოგონების ხმით). „გამარჯობა შენი, სულიკო“.

ქალი. (სდუმს).

(მძიმე პაუზა).

პოეტი. (ნერვებით, სასტიკად). შენ სულიკო არ ხარ!

ქალი. მე სულიკო მქვია.

პოეტი. შენ ჩემი სულიკო არ ხარ!

(კვლავ მიდის მასთან, ღრმად ჩააცქერდება და საშინელის გამოთქმით) შენ ყველასი ხარ!

ქალი. შეიძლება... მაგრამ მე სულიკო ვარ.

პოეტი. შეუძლებელია... სტყუი!!!

ქალი. არა, არ ვსტყუი!

პოეტი. როგორ?

ქალი. მე კარგად მახსოვს ახლა ის დღე სოფლად... მახსოვს თმაკულულებიანი ტირიფი და ჩემი თავიცი... მახსოვს შენი დაუფინყარი სალამი: „გამარჯობა, შენი სულიკო“. და... მზის სხივების საოცარი გათამაშება შენს ალტაცებულ მზერაში... არა ვსტყუი...

პოეტი. (სიღრმიდან ყრუდ). მაშ, რამ გაგიღურჯა ეს თვალეები და ეგ სახე რამ დაგიჭკნო აგრე საშინლად. დიდ ქალაქის დიდ ქუჩების მზგავსად რამ გაგითელა ეგ გულმკერდი და საროსკიპო სახლისაებრ რამ შეგიჭრელ-შეგინითლა ეგ ტანი, ეგ საცმელი... რამ გაგიელა ეგ მიმქრალი თვალთა მზერა და გადასადებ ჭინჭისაებრ გაგიცვით-დაგიგლიჯა ეგ ღანვ-ბაგენი, ეგ კისერ-ყელი და მკლავ-ხელები... რამ აგაფარა ეგ ზარდამცემი კოშმარების სანავარდო ნილაბი როსკიპისა სახეზე და წყვდიადის აყროლებულ ბალამში სამუდამდ ჩაახრჩო სულიკოს ნათელი არსება???

ქალი. ჰო... აბა... რა ვიცი... ქვეყანამ... ცხოვრებამ...

პოეტი. და შენ კვლავ ცოცხალი ხარ?

ქალი. ცხოვრებაა ასეთი.

პოეტი. (საშინელი განცდით). ჰო, ეს ცხოვრება... ცხოვრება! ვერა... ვერ გინამებ! ყოველივე ეს ტყუილია... არა, შენ სულიკო არ ხარ. ჩემ სულიკოს მე ვნახავ კიდევ... (ხმა მაღლა ეძახის). სულიკო!.. სულიკო!..

ქალი. (უძრავად სდგას ქანდაკებასავით).

პოეტი. (უყვივის). სულიკო... (ქალის კვლავად დანახვაზე გულს შემოეყრება, ერთს საშინლად დაიგმინებს და გრძობანასული დაეცემა).

ქალი. (უძრავად სდგას, თავჩაქინდრული დასცქერის პოეტს).
დიდი პაუზა.

ქალი. (მდაბალი ხმით, გრძლად, თითქო თავისთვის). რაინდო სიყრმის ოცნების, ჩემი უმანკობის პოეტო... მე მაინც სულიკო ვარ... (უფრო მდაბლად). შენი სულიკო... ხოლო უმანკოებისა და ყვავილის ნილ ახალმა ცხოვრებამ სხვა სამკაულებით შეამკო ჩემი არსება... (სიტყვა დააკვდება პირზე და უძრავად დარჩება).

(ოთახი თან-და-თან ბნელდება).
გძელი პაუზა.

სცენის სიღრმეში თან-და-თან იშლება სურათი გულნასული პოეტის ზმანებისა, რომელიც გაგძელებაა და...

სურათი მეორე

თან-და-თან გამოჩნდება: ტყე, დიდი თმაკულულებიანი ტირიფი. მერმე მთვარე, რომელიც ოქროს ფერად მოავარაყებს გარემოს.

ტკბოლის ზმანების სიზმრის უცნაური იერით შეიმკობა ყველაფერი. ტყისა, ღამის, ცისა და მთვარის მშვენიერების სურათია. – ყვავილებია ყველგან.

მერმე: ტყის ერთ კიდეში პირალმა დანოლილი მძინარე პოეტი.
პაუზა.

უცებ გამოიღვიძებს პოეტი. სწრაფად წამოხტება, თვალს მოიფშვნეტს.

პოეტი. (მკვირცხლად). უჰ... რა საშინელი სიზმარი იყო... ღმერთო ჩემო! კოშმარი... ნამდვილი კოშმარი! (მიმოიხედავს, გაუხარდება გარემოს ხილვა). რა თქმა უნდა, სიზმარი იყო! მერე რა საშინელი სანახაობა, რა საშინელი დაცინვა... იფ... ჰა, სინამდვილე. ჰა, ცხადი და მართალი! რა მშვენიერი, რა ღამაზია!.. ეს ტყე, ეს ღამე. მთვარე, ეს ლაყვარდი... თითქოს ზღაპარია... ფანტასტიური რამ სიზმარი! ღმერთო ჩემო, დამესიზმრა: ჰაერდახშული დარბაზი, ხალხი მრავალი... წვალეა საშინელი და... და ჩემი სულიკოს სახელით ვილაც მაჯლაჯუნა წარმოუდგენელი! დახრჩობას მიპირებდა, მგონი... ღმერთო დიდო, როგორ გაბედა და სთქვა: „სულიკო ვარო“. უცნაური სიზმარია. ფიქრადაც არ მომსვლია მზგავსი და საიდან დამესიზმრა ნეტავი? (ხელების გაშლით და ტანის შესროლით გაიბერტყავს, თითქოს სიზმრის მძიმე შთაბეჭდილების მოშორება უნდა). შორს! შორს! (ტყის სიღრმეში გაიწევის). ყოველთვის მიყვარდი, ტყეო, ღამე და მთვარეო! ცაო, ვარსკვლავებით ანთებულო, და ლაყვარდო იდუმალო. აჰა, კვლავ მოველ თქვენთან. კვლავ თქვენთან ვარ!.. კვლავ თქვენ შორის ვარ მეგობარი. მოველ თქვენთან თქვენებრ ფიქრიანი და იდუმალი. ათასია სახე თქვენი, ათი ათასი ფიქრი თქვენი, მაგრამ ერთია თქვენი არსება და ყველა ფიქრი თქვენი — ერთი ფიქრია. ეგრემცა თქვენი პოეტი: „არსება მისი მხოლოდ სიყვარულია და ფიქრები მისი მხოლოდ „სულიკო“ (თითქო ახლა მოაგონდა). იგი ხომ თქვენთან არის, ჩემი სულიკო?... იცით, ალბათ, რომ დიდი ხანია მას მე დავეძებ. ერთხელ ვნახე... ისიც აქა... თქვენს ნიაღში... „ო, ახლაც აქ არის, ვიცი ნამდვილად!“ (იმედიანი). სულიკო! სულიკო! ჰაუ, სულიკო!

(მის ძახილზე თმაკულულებიან ტირიფთან გამოჩნდება სულიკო. ტყის დედოფლის ტანთსაცმელში, რომელსაც გარს ახვევია ტყვის მშვენიერი არსებანი).

ტყის არსებანი. (გარს ახვევიან სულიკოს). ჩვენ ვართ ნაზი ყვავილები და ვყავით მხოლოდ ტყისა ნიაღში. ჩვენ გვკვებავს ღამე და ვარსკვლავები... და ვართ სულიკოს სამკაულები.

ჩვენა ვართ ფარჩა ოცნების... თუმცა განი არა გვაქვს, არცა გვაქვს სიგრძე... უძაფოდა ვართ ყველა ნაქსოვი... და ვართ სულიკოს სამკაულები... უმანკო ნატვრათა ჩანგის ჟღერა ვართ, რომ ისმის ისე, რომ ყურს არ ესმის... და ვართ სულიკოს სამკაულები.

პოეტი. (მიუახლოვდება. ლოცვისა და მოგონების კილოზე). „გამარჯობა შენი, სულიკო!“.
სულიკო. (მოღიმარი). „შენ საიდან იცი, რომ სულიკო მქვია.“

(გადაეხვევიან ერთმანეთს).

პაუზა.

(რომლის განმავლობაში მშვენიერი არსებანი ჟივილ-ხივლით ყვავილებს აფრქვევენ პოეტსა და სულიკოს).

პოეტი. სიხარულო ჩემო, სულიკო!

სულიკო. მეუფეო ჩემის ცხოვრების, მოგელოდი და ველირსე შენს ნახვას კვლავად.

პოეტი. აჰა, წიაღი ნეტარებისა... აჰა, წიაღი სიყვარულისა... აჰა, შენცა ჩემო სულიკო! რამდენი ხანია, ვიტანჯებოდი... შენთვის ვტიროდი... შენთვის ვცოცხლობდი, ჩემო გვირგვინო. შენით დავთრგუნე მე ან სიკვდილი და მოვიპოვე ნეტარება სამარადისო! ჩემო ოცნებავ, ხორც-ფერ შესხმულო! (ეხვევიან ერთმანეთს).

სულიკო. ამიერიდან მსურს ვიყო შენთან განუყრელ... იქ, სადაც სცხოვრობ, იქ სადაც მეფობ, მეც იქ მსურს ყოფნა ყოველთვის შენთან.

პოეტი. მარად განუყრელ, მარად სულ ერთად!

სულიკო. იქ შენთან, იმ დიდ ქალაქში, ცხოვრება მეტად კარგი არისო. მეც იქ მსურს ყოფნა ჩემის ყვავილებით, ჩემი ბუნების სამკაულებით.

პოეტი. ჩემთან... ჩემთან... ჩემს სენაკში, რომელიც შეიცავს ყველა ოცნებას, ყველა სამკაულს ყველა დროისას.

სულიკო. შენ იქ მეფე ხარ?..

პოეტი. მხოლოდ პოეტი...

სულიკო. ეს სულ ერთია. შენ ჩემი მეფე ხარ... მაგრამ გაყრა ან არ იქნება. მე ასე მსურს.

პოეტი. მეც ასე მსურს. არცა ოდესმე ვიყავ უშენოთ, ჩემო სულიკო. დღიდან პირველი შეხვედრისა ჩემი სული განუყრელია შენთან. ჯერ კიდევ ისმის ქვეყნად ჩვენი პირველი სალამის ჯადო ჰანგები... არცა შესწყდებიან ისინი, ვიდრე ქვეყნად არსებობს ყურთასმენა და სიყვარულის სიო დაჰფარფატებს კიდითი კიდე...

ტყის არსებანი. ჩვენც მან დაგვბადა... ჩვენც მან ჩავვიდგა სული ცოცხალი... ჩვენი არსება პირველი სიტყვაა სიყვარულისა და თქვენ გეკუთვნით... თქვენი ვარ მარად. მაგრამ ნასვლისა ჩვენ გვეშინია. ჩვენ გვეშინია იმ ახალი ქვეყნის! — გაგვიგონია იქ ცხოვრება — ტანჯვა არისო და სიკვდილის სუფევს მეუფებაო...

პოეტი. ჰო, ეს ვინა სთქვა? მთელი ქვეყანა თქვენა გნატრობთ და თქვენს ხატს ლოცულობს სასოებითა! სადაც თქვენ იქნებით, იქ ტანჯვას რა უნდა, ან კი სიკვდილი როგორ იქნება? მე დავამკვიდრებ იქ თქვენს მეუფებას!

სულიკო. იქაც ხომ ვიქნები მე დედოფალი?.. ჩემი ვარდები ხომ იქაც გაიხარებენ, და სიხარულს ჩემის სულისას ხომ არ დააზრობს ქარი იმ ქვეყნის?

პოეტი. შენ იქნები იქ მზეც და მთვარეც... არა მხოლოდ დედოფალი... გაიშლებიან იქ შენი ვარდები და აყვავდება საარაკოდ სიხარული შენი სულისა! წამოდი ჩემთან! — მე იქ ღმერთი ვარ და შენ იქნები იქ ღმერთი ჩემი! (ხელებგაყრილნი მიდიან).

ტყის არსებანი. დიდია ძალა სიყვარულისა... და ჩვენც ვმორჩილობთ... ვაქებთ სულიკოს... ვაქებთ მის პოეტს!

დიდია ძალა სიყვარულისა... ჩვენა ვართ მისი გულისთქმა... ჩვენა ვმორჩილობთ ნებას სიყვარულისას... ვაქებთ, ვადიდებთ მეფეს, დედოფალს!

მიდიან ყველა. ნელ-ნელა ქრება მთვარის შუქი. თანდათან ბნელდება, იკარგება სურათი, ხოლო ნაცვლად ჩნდება პანია ოთახი პოეტისა და სურათი პირველი სურათის დასასრულისა: გულწასული პოეტი და მასთან ქალი, რაც არის გაგრძელება და...

სურათი მესამე

პოეტი იღვიძებს და დგება – სიზმრის ისეთის ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ, რომ არ გრძნობს სიცხადესა და განაგრძობს ცხადში სიზმარს უცნაურის მეტყველებით და არაჩვეულებრივი აღმაფრენით. ქალი უძრავად და სახეშეუცვლელად სდგას.

პოეტი. აი, ჩემი ოთახი... ჩემი საყვარელი, პანია, მყუდრო ოთახი. ის პატარაა, მაგრამ დიდია... ძალიან დიდია თვისის შინაგანის მოცულობით... აქ გაისმის წირვა ყოველ უამისთვის და ისხამენ ხორცსა ჩემის ოცნების ნაირფერების ნაირსახენი!!! ხოლო სული ჩემი აქედან, ვით წმინდა კომლი წმინდის გუნდრუკისა შეუცნობი განგების სამსხვერპლოზე, ალევლინება ცათა ნიალსა თვისი გამოუთქმელად შეთხზული საგალობელით... აქ, ამ პანია ოთახში, ჩემი არსების ყოვლის შემძლებელის და შემცნობელის იდუმალი ძალა გაცალებს ხოლმე მთელის სამყაროს საკვირველებათა საიდუმლო სკივრს და გადმოშლის მუნით მიუნდომელ სიზმრებს უხილავთა და ხილულთ ქვეყანათა... აქ გული ჩემი ვითარცა რიტმი მსოფლიოსი რეკავს, რეკავს დიდებისას და უერთებს ყოველ სულდგმულს არსთა არსის არსებასა... აქვე, ამ ოთახში შენი სახე მიდგა სალოცავ ხატად და მას ვწირავ ლოცვებს, თვით ჩემი სულის მსგავსებს, თვით ჩემი სულის ბგერათ (ხელს გაუყრის მკლავში ქალს, მიყავს კედელთან და ტირიფის სურათის წინ დააყენებს). აი, შეხედე... იცანი ეგ სურათი... ჩემებურად ნახატი, ჩემებურად ნახაზ-ნაქსოვი... ეგ სურათი დასაბამია ჩემის ცხოვრების... არ ვიცი, რა იყო იგი, რა სასწაულით მოვლინებული ჩემს ცხოვრებაში... ვიცი მხოლოდ, რომ ჩემთვის იგი იყო პირველი სიტყვა ღვთის მიერ თქმული: „იყავნ“.. სთქვი, ხომ მოგწონს სულიკო იგი... ხომ გაგონებს...

ქალი. კი... მაგონებს...

პოეტი. (ქალის ხმა შეაწუხებს. ოცნების ციდან მიწაზე დანარცხებული). ეს... ეს ვინ არის? (შუბლზე ხელს გადისვამს, თვალებს იფშენებს).

ქალი. ისევ სულიკო...

პოეტი. (მიდის ქალთან. აკვირდება. უკან იხევს ზარდაცემული. ისინჯავს ხელებით თავს. ისევ ქალთან მიდის. შეეხება ხელით). აა! ნამდვილია?.. ცხადია?.. ნუ თუ? ა? ვინა ვარო, რა სთქვი?

ქალი. ღმერთო ჩემო, სულიკო ვარ.

პოეტი. როგორ სულიკო (უცქერის). მერმე სად არის შენი უმანკო სახე, შენი ციურ ლაყვარდზე უფრო ღრმა თვალები... სად არიან შენი ვარდები... შენი ყვავილთა სიმფონია, ხელთუქმნელ ფარჩათ რომ გემოსა მთვარის შუქებრ ნათელ ტანზე... სად არიან შენი დედოფლები, ეს მაყრიონი შენის მარადის ნეტარებისა.

ქალი. ყოველივე დავსტოვე ოცნების მხარეს.

პოეტი. მერე? ასე უცნაურად რამ გამოგანყო... ეს ნილაბი საიდან გაქვს... ეს... ეს... შემზარავი სამკაულები...

ქალი. ჰო, შემზარავი სამკაულები... დიახ... შემზარავი...

პოეტი. (მოშორდება ქალს. შორს დადგება თავისთვის თითქო დარბაზისაკენ). აჰა, მართლდება ჩემი წინაგრძობა... საშინელების სამეფოში შევსდგი ფეხი და იქედან დაბრუნება მე არ მიწერია... ახალი წინაგრძობა მაქვს... მშვიდობით, ჩემო მშვენიერო ღმერთო!!!

პაუზა.

(ქალს მიუბრუნდება). მაშ, შენ სულიკო ხარ?

ქალი. (არ უპასუხებს. თვალებში შეხედავს).

პოეტი. (მიდის მასთან ახლო). შენ სულიკო ხარ... განძარცული... სამკაულებ მოშორებული.

ქალი. (თითქო აწყვეტინებს). არა... მე მაქვს სამკაულები.

პოეტი. (გაკვირვებით). შენ გაქვს სამკაულები? (შეხედავს მთელს ტანზე და სახეზე) შენ საზარელი ხარ...

ქალი. მე არა მაქვს უმანკობა და არ ვატარებ ქალწულობის ყვავილს...

პოეტი. რატომ? რისთვის?

ქალი. ისინი მსხვერპლად მომთხოვა ცხოვრების დიდმა ღმერთმა და მეც შევწირე ისინი მას...

პოეტი. ნაცვლად კი რა მიიღე, საბრალოვ?

ქალი. (ხმის აწევით). ნაცვლად მივიღე სხვა სამკაულები... აი, (სახეზე და გულ-მკერდზე უჩვენებს). ეს ღარიბი ცრემლის მდინარის... აი, ეს ლურჯი კვანძები კომპარების ბუქნისა და თარეშის... და... და... ერთი დიდი სამკაული... ყოველივე სამკაულის მეფე გვირგვინი, რომელმაც დღეს შენთან შემყარა, ხმა გამაცემინა (გულზე მიიტანს ხელს). ამ სამკაულს მე აქ... ამაში ვატარებ... ყოველთვის... ყოველ ჟამს... ყოველ წუთსა და წამს... მისი სახელი... არ ვიცი, როგორ ვსთქვა... მისი სახელი არ არსებობს!

პოეტი. (რომელიც თან-და-თან უახლოვდება და დიდი ყურადღებით უსმედა). სთქვი... შენი ხმა მე აქამდე არა მსმენია!

ქალი. მშვენიერების სამკაულია უმანკოება... ქალწულობის ყვაველი. ხოლო ათასი უმანკოებისა და ათი ათასი ქალწულობის ყვაველის, თუ გინდ საუკუნიანი ცხადება ვერ შეედრება ნამდვილი ტანჯვის წამიერ გაელვებასაც კი... დიად, გულ-მკერდს მიმკობს არა, როგორც ოდესღაც კოკორი ვარდისა, არამედ ხედავ — სისხლიანი ნაფეხური ქუჩის ტლანქი ფეხისა... და ჩემი თვალებიდან იმზირება არა უმანკოების მოციალე სიხალისე, არამედ... შუქდაფერფლილი სილურჯე ტანჯვის დიდი ღვთაების.

(პაუზა, რომლის დროს პოეტს ემჩნევა ცვლილება). ჩემში ცეცხლი ანთია, პოეტო... ცეცხლი ქვეყნისა! რა არის მასთან მიბნედილი შუქი მთვარისა? ჩემში ტირილია... ქვეყნის ტირილი... რა არის მასთან მაყრონი ტყის დედოფლის?... არსება ჩემი დათუთქული სულის და ხორცის ფერფლია, შემზარავი სახეშესხმული, რომელიც მტყვევლობს სულ სხვას რასმე. ვინემ აქამდე...

პოეტი. (მაშინალურად ხელს მოჰკიდებს ხელზე და თვალებში უმზერს). სთქვი... შენი ხმა მე აქამდე არა მსმენია.

ქალი. (ინტიმურად). სულიკო ვარ...

პაუზა.

პოეტი. (ინტიმურადვე). შენი თვალები უცნაურია... მიუწდომელი რამ მეხატება მე მათ მზერაში... (უცქერის). (პაუზა).

(შოშიანი ხმით). საზღვრები არა აქვს ამ უფსკრულს... მასში მართლა ცეცხლი ანთია!.. ჰო, რა უფსკრულია იგი?... ჰო, რა ცეცხლია იგი...

პაუზა.

ეს რა განცდაა, რომ შექსოვია ამ ცეცხლსა და ამ უფსკრულს? მითხარი, ცნობა მისი სად არის? (იდუმალეებით). ეს... კიდეც რა არის?

(უცქერიან დიდხანს ერთმანეთს).

ქალი. (დიდხანის შემდეგ მისტიური განცდით). მისი სახელი არ ითქმის!

პოეტი. (ქალის განცდის გიჰნოზს ქვეშ). მისი სახელი რა უნდა იყოს, თუ არა... (ძლივს გასაგონად). ღმერთი?... ახალი ღმერთი!!!

ქალი. ღმერთი... ღმერთი...

პოეტი. სამკაულთა სამკაული!..

(დიადის განცდის შეგრძნობით დაეშვება მუხლზე ქალის წინ).

ქალი. სამკაულთა სამკაული...

პოეტი. (ლოცვის კილოთი). ჰო... სთქვი... სთქვი... სთქვი... მე გისმენ.

(ქალი დაეკონება თავით მუხლმოდრეკილ პოეტს).

ნელა დაეშვება ფარდა.

ლეო ქიაჩელი

1921 წ., ნოემბერი, ქ. თბილისი

მთებში

კარი მეორე

1. გარიყული

სისხლიან ტალღებში სისხლისფერ ალამით
 იბრძოდა განწირვით მამაცი მხედარი.
 დაიჭრა... და მინა ცრემლებით ნალამი
 დადუმდა ისე, ვით თვალღია ცხედარი.
 მეც მაშინ დამიჭრეს მფეთქავი ძარღვები.
 ნალველმა ცრემლებში შხამები გარია.
 არ ვიცი, ამ კუბოს სადამდი ნავეყები, —
 გოლგოთას გადაღმა რომელი მხარეა?!
 გარიყულს თან დამდეგს ამბორი იუდის,
 ნამების ჯვარი და იესოს თვალები.
 ყრუ კვენესა შორეულ მნათობს არ მიუდის,
 და ირგვლივ იშლება ნაპრალთა რკალები.
 ო, მთებო, თქვენ იცით ამ გზების სიშორე,
 სად ბრწყინავს უკვდავი სულის მზე ნეტარი,
 რომ გაჰქრეს ცხედართა სიშორე
 და აღსდგეს კვლავ ჩემი მხედარი.
 თქვენ იცით, შორეულ და ნათელ მშვენებას,
 სული რომ ღვთიური ოცნებით აანთო,
 ვით ველი მარად მის სხივოსან ჩვენებას,
 რომ წმინდა ფიქრები ალერსით გავანდო.

2. მარადისობა

დროთა და სივრცის უცნობ ზღვაში გადაჩეხილი,
 საუკუნეთა დაუღვეველ მდინარებაში,
 როგორც ატომი მზის სხივებით ამოკრეფილი,
 შევსცქერი სარკეს ლურჯ ეთერის ელვარებაში.
 და აქ ხილული ცის ზმანება უკვდავ ელვებით,
 სიყრმის ჟამსავით რომ უხდება ფერისცვალება,
 ენთება ფეთქვით და იფრქვევა ირგვლივ ფერფლები,
 სხვა სახეს ეძებს და სივრცეში დაიმალება.
 ამობრწყინდება ისევ როგორც ბავშვის თვალები.
 ახალი რწმენა შემორკალავს ახალ ზმანებას.
 და გაიხსნება უკუნეთის შავი ბრჭყალები.
 სივრცეს დაათრობს ახლადშობილ მზის გაქანება.
 დედაო მინავ! შენი ღერძი გადატეხილი,
 ფერფლთა ნამქერში გახვეული შენი ლოცვები.
 ხედავს სარკეში, ვით მოსცურავს დროთა გრეხილი,
 როცა კვლავ სიყრმის ნაზ ფერებით შეიმოსები.
 ჩემი სამშობლოც კვლავ მონახავს თავის მეობას,
 და გაიხარებს მისი თესლი მრავალ შტოებით.

და მე — ატომი გადავიხდი მაშინ დღეობას,
სადმე სივრცეში სანეტარო განმარტოებით.

3. შორეული ზმანება

ჩაჰქრა სანთელი დღიურ ჩვენების
და გადიკარგა ფიქრი შორეთში.
მოჰქრის წამები ტკბილ მოსვენების,
სული დასცურავს სიზმრის მორევში.
ღმერთი. ედემი. ბავშის სიზმარი.
მინის მეუფე — ძე-ადამისა.
აფეთქებული ღია ცის კარი.
და უკვდავება ყოველ წამისა...
ო, რა შორსაა იგი დროება,
როცა მეფობდა სისხლის მწოველი.
უნაზეს ლოცვად სულს ექსოვება
ოცნება ცისა სხივთა მთოველი.
გადაშლილია ყველა საზღვრები
და წინ მიილტვის აზრი მნათობი.
იყო ოდესღაც ველურთ სანგრები
და ხმალი ბრძოლის ცეცხლში ნანრთობი.
საოცარია: როგორ უხდება,
რომ მინის გული და მზეც მისია!
მთელი გარემო მას ეუფლება —
ღმერთია იგი თუ მინის ჭია!

4. თვალები

სხივოსანი სიზმრებით დატვირთული ოცნება
უცქერს თვალებს უცნაურს, ტრფობით რომ ელვარებენ;
სული წმინდა ლოცვების შუქით შეიმოსება,
ცის ასულნი მინის წყლულს რიდეს დააფარებენ.

და იმ მზიურ თვალეში აენთება კანდელი,
როგორც ღამის ვარსკვლავი, გზების გამშუქებელი,
სათნოებით აღსავსე, უტეხ ნების აღმზრდელი,
უკვდავებით დამტკბარი, მარად მისი მქებელი.

თვალი სარკედ იშლება, სარკე ისე კამკამებს,
რომ მის სულის სიღრმეში ღამეს არ ჩაუხედავს;
სახეს გრძნობა ამშვენებს და სხივები — წამწამებს,
სიყვარულით ღმერთად ქმნილს მტრობას ვინ გაუბედავს!

ო, თვალების ღიმილი სანეტარო ფერებით
ისე აციმციმდება უმხურვალეს სიამით,
რომ სულის ტკბილ სიხარულს იდუმალ სიმღერებით
ცის მწვერვალზე ააფრენს ფრთებ გაშლილი ნიავიტ.

შვებას ზეცით გადმოსულს, ნათელ სხივად მჩინარეს,
 თვალი ეღვათ იტაცებს, რომ მით სული აშუქოს...
 მეც მივყვები ოცნებით ამ სიზმრების მდინარეს,
 რომ შორეულ მხარეში თვალმა ღიმი მაჩუქოს.

5. უცნაური ალერსი

ვის უნახავს მეგობარი ისეთი —
 დამწვარ გულის ყველა წყლული დაჰფაროს,
 დაგიუფლოს საოცნებო მზისეთი,
 და სხვა სახით მოგაჩვენოს სამყარო.

დედა-მინა სავსე მსხვერპლთა ძვლებით,
 როგორც შავი ჯოჯოხეთის ზღაპარი,
 თვისი სისხლით, ცრემლით, თავისქალებით
 მიეფაროს... და აენტოს ლამპარი.

შორს ალერსით მოციმციმე მინაზე
 აისახოს სულის ეღვათ ანთება.
 სიხარულით დაფერფლილი სინაზე
 სანეტარო შუქათ გაიფანტება.

და ოცნებით აყვავებულ მიდამოს
 დაეფრქვიოს უცნაური ნამები.
 სულმა ტკბილი უკვდავება იწამოს,
 სამარადო შვებად იგრძნოს ნამები.

მეგობარო! შენის ტრფობით ანთებულს,
 მავინყდება დღის სიცხადე საზარი,
 ლოცვად გიძღვნი სევდას ცრემლით ავსებულს:
 შეინირე, როგორც სულის ლამპარი!

6. ეპილოგი

აღბათ ვარ მთვარეული, ანდა გადარეული,
 რომ უხილავს მხარეში სული დაეხეტება.
 შორეული ზმანება რიდე-ჩამოხეული
 სიზმარიან ოცნებას მფეთქავ ეღვათ ედება.

მინამ შვებად მაჩუქა გადარევა ამგვარი,
 რადგან მზის სამეფოში არის ორი რკალები:
 მედგარ ბრძოლის გუგუნე, წარღვნის ტალღათ ამდგარი,
 და შორს წმინდა ვარსკვლავად მოციმციმე თვალები.

რწმენამ სული აშუქოს — მეტი არა მინდა რა —
 მრავალ ბილიკს გადავივლი სევდით დანაოსები.
 თუ მშობლიურ ზეცის ქვეშ ისევ გამოიდარა,
 ფრთებ შესხმულ სიხარულის შუქით შევიმოსები.

და ცივ სასაფლაოზე დავწვავ მე ჩემს ნამებას,
 მოელვარე ცის სივრცეს ფერფლად შეუერთდები.
 და საფლავის ლოდის ქვეშ, ვიცი, კვლავ მენამება,
 რომ მიწაზე გადმოვლენ წარღვნის შემდეგ ღმერთები.

აღბათ, ვარ მთვარეული, ანდა გადარეული,
 რომ ნათელი ზმანება სულის მეგობარია,
 და დღიური სიცხადე ბურუს-შემოხვეული
 მედგარ ბრძოლის ალებში იწვის — და მიხარია!

ობოლი მუშა

ავგისტო, 1921 წ.

შემოდგომის ბინდები

I

შემოდგომა... სავარცხელივით ახვეტილი ხეები...

გამხმარი ფოთლები ისე შრიალობენ, ვით გახუნებული შლეიფი მივინყებულ დედოფლისა...

ხეივანში გრძელი, ნახევრად დამპალი სკამი კალმის დანით ამოჭრილ ქალ-ვაჟთა სახელებით.

მწვანედ შეღებილ მესერზე ობოლი ყვავი...

შორიდან ოდნავ ისმის ქარხნის ოხვრა...

იქა-აქ ხეებში დანუწულ წინილებივით ობოლი კიოსკები და მიმკვდარებული, ნაღვლიანი ცისფერი პავილფონი.

დღე ნაღვლიანი და სულის დამნოტიოვებელი.

სიჩუმე სამარისებური — ღარიბი, ნაღვლიანი სურათი შემოდგომისა.

ყვავი დაფრთხა და ჩხავილით იქვე მახლობლად ტელეგრაფის ბოძის წვერზე შემოჯდა და ნისკარტით ფეხებს იკიკნის.

აუზში ჩამჯდარ ქვის შიშველ ბავშვს პირში ჩამშრალ შადრევნის ლულა უჭირავს...

II

სძინავს აგარაკს...

ქარი...

ყვითელ ფოთოლთა ნაღვლიანი კორიანტელი...

რამდენიმე ლურჯი კიპაროსი...

სიწყნარე სამარისებური და ნაღვლიანი...

ვიღაც გლეხის საეჭვო ლანდი...

ტყეში შეშის პობა.

იქვე ნახევრად დახეული და დამპალი ბონბონდერის კოლოფი და გაზეთის ნაგლეჯი ტალახში...

მივინყებულ ძაღლის ნაღვლიანი ყმუილი...
გაციებულ ბუხრის თავზე შემჯდარი ჭინკა ყინვით დამზრალ თითებზე სულს იბე-
რავს და ჰკნავის საცოდავად, ჰკნავის საბრალო...
ეკლესიის ჯვარზე შემჯდარი ყვავი...
კოპნია სააგარაკო სახლები კარებ აჭედინი და ზედ საცოდავად ჩამოძონძილი სუ-
როს ბარდები...
ნაღველი და სევდა ირგვლივ.
შორს ლაინის ფერი მთები...

III

ძველი, წვიმისაგან და ხავსისაგან დალორნილი, გამწვანებული საფლავის ქვები...
დანგრეული ნიში...
სამრეკლო-ჩამონგრეული ეკლესია.
ზარები საცოდავად ჰკიდია ლოთების ქუდებივით.
შავს ძაძაში დათალხული ქალი ფუსფუსით მოდის მნუხარე, ნაღვლიანი...
აქ დაიმარხა მრავალი ბედნიერება და უამრავი ოცნება.
ძველი ლოდები ლექსად წარწერილ ეპიტაფიებითა და შენდობის ვედრებით... ზედ
პატარა ანგელოსის ფრთიანი თავები ამოქანდაკებულნი...
იქვე რიკულებიან მესერით შემოვლებული საფლავი ავიატორისა. საფლავზე პრო-
პელლერის ფრთა გატეხილი ჯვარი და ჯვარზე დაღლილ ქალის მკლავებივით ჩამოხე-
ული დამჭკნარი გვირგვინი.
შუალამით დატრიალდება ეს პროპელლერი და აფრინდება სამარე ავიატორისა, აფ-
რინდება ავიატორი სამარეულ ბნელ ორმო-თვალეებით და...
მამლის ყვილზე იპოვნის ხოლმე თავის ადგილს...
იყო გატაცება თავალებული...
იყო ზეცაში ნავარდი და ანთებული ოცნება...
ახლა ფრთა დაღვნილი ასვენია ცივ სამარეში...

IV

იყო ბრძოლა...
ცივ ზამთარში გაყინულ ლეკვებივით ჰყეფდნენ ტყვიის მფრქვევლები...
ზარბაზნები დაღლილ მდევებივით ოხრავდნენ...
თოფები მჭახეთ იკბინებოდნენ ყურში...
ტყვიები გველის წინილებივით სისინებდნენ ირგვლივ...
იყო ტვინის დამაბნელებელი ბრძოლა ერთ მტკაველ, მაგრამ ძვირფას მიწისთვის...
მათ რამდენიმე დღეში განვლეს მრავალი სიცოცხლე და ფრთა-დაღვნილი დაეცნენ
ბრძოლის ველზე...
იყო ბრძოლა და სიცოცხლე საერთო.
ახლა კი ცივი სამარეა მათი დედა...
იყო ბრძოლა და არის სამარე...

მწუხრი დედაქალაქში

მცირე ლოდინი. დედაქალაქი —
 ვხედავ — საგრძნობლად გამოიცვალა.
 გაზრდილა სული ნაანდერძევი.
 გაშლილა სიმხნე. მატვია ძალა.
 ჩამავალი მზე ლოშნის მთანმინდას.
 ბრაზობს მეტეხი. სთვლემს ნარიყალა.
 გულს ჩარჩენია ჭმუნვის მძივები,
 ვით ცხოველმყოფი სხივნი მზისანი,
 და დარდობს ნალვლით ნაძალადევი.
 ჩაზნექილია შორი ისანი.
 ინვის მეტეხი ჩამავალ მზეზე.
 მას ნიავს ჰფენენ ზვირთნი მტკვრისანი.
 დიდუბე გულში იმარხავს რისხვას.
 გარდასულ ზღაპრულ ბრძოლათ გამოსვლებს.
 მწუხრზე ზარები დაირეკება.
 დაბინდულს გმინვა ვერ გააოცებს:
 ზოგი ნაკადი შეერთვის მტკვარსა,
 ზოგი დამარხავს გულს ნაოცნებებს.
 ბევრი შეესწრო ამ დღესასწაულს.
 მწუხრზეც ლხენანი აქ იაფობენ.
 მის მოლოდინში ჩამქრალნი თვალნი
 მოსალბუნებით დღესაც გვათბობენ.
 რა ვუყოთ: ბევრი ჰქრება მნათობი,
 მაგრამ სხივები კვლავ კიაფობენ.
 და ზარებს რეკენ მწუხრზე შეტევით...
 ქალაქს სავსებით მატვია ძალა.
 გამოეთხოვა სხივი მთანმინდას.
 სერებით ბინდი გადმოიშალა.
 აენტო გმირთა ნაძალადევი.
 ჩაჰქრა მეტეხი. სთვლემს ნარიყალა.

იასამანი

16 იანვარი, 1921 წ.

შემოთენება

გაივლის ეგ დღეც. მგზავრი ოცნება
 ნიავის შურდულს გაეკიდება.
 ლამე — განვება და გაოცდება,
 როს მთით დაუვლის ტკბილი დიდება.

ფოთოლთ შრიალი, ველებს გმინვა,
შტოზე შტოების ნელი შეხება,
ელვის ღიმილზე მდინარის ბზინვა,
ხევში აჩრდილთა შემოფეთება.

კლდეზე უნიშნოთ დაშვება ფრთების,
ცასთან ქადილი და საუბარი.
შეკითხვა მთისა, პასუხი მთების,
თანხმობა, იჭვი, რწმენა, უარი...

მეზობელ ყვავილთ, კლდეთა ნაკადი
კითხავს: თუ რატომ დააგვიანეს.
და განთიადიც, შორს დანაბადი
ლამის ბნელ სახეს დააზიანებს.

განიბნევიან მწარე სიზმრები.
და გადმოფანტავს ელვარე ისრებს.
აენტებიან სანთლებად მთები —
და სასოება კლდეზე მომისწრებს.

გაივლის ეგ დღეც. მგზავრი ოცნება
ნიავის შურდულს გაეკიდება.
ლამე განვება — და გაოცდება,
როს მთით დაუვლის ტკბილი დიდება.

იასამანი

ჩემი დღიური

1. ჩემი ფისუნია

ორშაბათი.

მესამე დღეა, რაც ჩემი ფისუნია დამეკარგა,
მესამე დღეა, რაც ჩემს ოთახში მარტოობამ დაისადგურა.
ჩემი მეგობარი კატა, ჩემი ციცუნია დამეკარგა...
რამდენი ვეძებე, რამდენი ვეძახე, მაგრამ ამაოდ:
ვერსად მივაგენი... საშინელმა სევდამ შემიპყრო, რა ვქნა, არ ვიცი!
არ დავტოვე ეზო, სარდაფი... კუთხე, კუნჭული...
ანაზღეულად სახლის კიბეზე შესაზარი სუნი მეცა.
კიბის ქვეშ შევიხედე და... ვაი, ჩემს თვალებს:
ჩემი ფისუნია, ჩემი კატუნია მკვდარი დავინახე.
ვინ მომიკლა იმ უღმერთომ, ვინ?!
ცხრა ეკლესია რომ ააგოს მისმა მკვლელმა, მაინც ვერ გამოისყიდის ამ დანაშაულს...

ეჰ, ვინ იცის, ციცუნია, უკანასკნელად, სიკვდილის ჟამს როგორ მნატრობდი, როგორის მუდართით მიკნაოდი, რომ ერთხელ კიდევ, მხოლოდ ერთხელ კიდევ დაგენახე შენის ცრემლი-ანის, მოსიყვარულე თვალებით და გამომსალმებოდი, საუკუნოდ გამომსალმებოდი...

სამშაბათი.

თვალთაგან ვერ ვიშორებ ჩემს ფისუნას...

ყურში სულ იმისი კნავილი მომესმის...

სადა ხარ, სადა? — ვიძახი გიჟივით.

ოთხშაბათი.

დღეს ერთი სამწუხარო, მეტად სამწუხარო შემთხვევა გამახსენდა...

ეს ამბავი ამ ერთი თვის წინად მოხდა:

მშიერი მოვედი სახლში.

თან ცოტაოდენი ყველი და პური მოვიტანე და მაგიდაზე დავდე.

ხელ-პირის დასაბანად სამზარეულოში შევედი.

შევიწმინდე პირი, მივედი მაგიდასთან და... ყველისა და პურის ნამცეცებილა დამხვდა...

ჩემი ფისუნია ოთახის კუნჭულში მიტუზულიყო და უღვაშებისა და ტურქების წმენდით, დარცხვენილი შემომყურებდა; ეტყობოდა გრძნობდა თავის დანაშაულს.

გავგულისდი.

სიმშილისაგან გამწარებულმა წამოვავლე ჯოხს ხელი და ვცემე.

მერე რისთვის, რათა?!

განა მას კი არა ჰშიოდა?

დღეს გამახსენდა ეს შემთხვევა და თვალები სინანულის ცრემლებით ამევსო...

მაპატიე, შემინდე, ჩემო ციცუნია...

მერე რა მოსიყვარულე, რა ნაზად მოალერსე იყო... დამინახავდა თუ არა, სიხარული-საგან აღარ იცოდა, რა ექნა: ხან გარს მივლიდა კრუტუნით, ხან მხარზე შემახტებოდა, ყელზე მეხვეოდა, მკოცნიდა...

სეირნობას დავიწყებდი თუ არა ჩემს ოთახში, წინ გადამელობებოდა, ფეხებს მიფხაჭნიდა: ნუ დადიხარ, გაჩერდი, მინდა თვალებში გიყურო, გეალერსოვო...

ეხლა კი, საბრალო ჩემი ფისუნია, ეხლა სამუდამოდ მიმეფარა თვალთაგან...

ვერა, ველარასოდეს ველარ დავინახავ, ველარ გავიგონებ მის კრუტუნსა და კნავილს — ველარასოდეს...

გ. ქუჩიშვილი

მოდ! მახარე...

მზემ ძირს დაჰხარა ცეცხლის თვალები,
სხივთა ლალები უხვად დაჰყარა,
მინა ახარა, ნავალალები,
და ბორკილები ზამთრის აჰყარა.

ამწვანდა ველი, აყვავდა მდელო...
შენ სად ხარ მკვლელი? მომეცი ხელი!
ყოველ წუთს გელი, ჭკუისგან მშლელი,
გულ-დაკოდილი და თვალებ-სველი.

მოდის! ახარე სულში ვარდები;
შავ ფიქრთ ლანდები გარედ გაჰყარე;
შვება ამყარე; გულზე ნადები,
ეს ბორკილები ჭმუნვის — ამყარე!

ვ. რუხაძე

ბარათი

სტირის ღამე... ვერცხლის წყალივით სცურავს შემოდგომის ცრემლები ავადმყოფ ფოთლებზე.

უვარსკვლავო ცა და ტირილი ღამის.

მე კი კრებაზე ვიყავი, მომწყინდა და წამოველ.

გზაზე... უცნაური ამბავი დატრიალდა: მესმის ბნელში, ხის ძირას — წყნარი ჩურჩული, ვით ღამის გმინვა.

— აქეთ! აქეთ, ჩემო სიცოცხლე.

მიველ.

— რად მალოდინე? გცივა?

არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

— კრება მალე დაიშლება.

— რად დაიგვიანე, ჩემს ალერსზე უფრო ტკბილია კრებაზე მთქნარება?

— საცაა დაიშლებიან.

— აქ ვერ შეგვამჩნევენ! როგორ ცახცახებ? არ გათბობს ჩემი სიმხურვალე? ვნებიანი კოცნა.

— რად დანალვლიანებულხარ! რატომ ხმას არა მცემ?

უცებ მიცნო.

შეჰკივლა. ჩაიკეცა.

— უნდობია მტირალი ღამე! ვისაც ელოდი, ალბათ, კიდე დაიგვიანებს.

— გამეცალე!

როდესაც ჩემი მხურვალე სუნთქვა შეეხო მის სახეს, გვიძინივით წაიგრუტუნა:

— შემბრალებ.

მოთენთილი მომეყრდნო მკერდზე.

ჰო! ასეთია შემოდგომის ზღაპრები. ჰო! ასე უკულმართად თავდება ყოველივე სინამდვილეში, და ამიტომ მეშინია შენთან შეხვედრის.

ამიტომ არ მოვალ შენს დანიშნულ პაემანზე.

იცი? მიღებისთანავე დავწვი შენი წერილი, ანაორთქლი იდუმალ გრძნობით. შემეშინდა, სტრიქონებს არ გაეცათ საიდუმლო. კარგი იქნება, ან სრულუბით არას მომწერდე.

ანდა შეისწავლე ჩემთვის მარცხენა ხელით წერა, თორემ ხომ შესაძლებელია ვისიმე ოჯახში წავაწყდე შენი ხელით ამოქარგულ ჩუქურთმებს და საიდუმლოს ფარდა აეხადოს?

რალაი მაშინ? მეშინია, მეშინია შენც ერთი მათგანი არ იყო, რომელნიც ასე იაფად თამაშობენ სიყვარულის ნამსხვრევებით.

იცოდე! თუ ოდესმე შევეხე დრყილებს შენს მკერდზე, სამუდამოთ შემეზიზღები.

ფიქრიც აღარ მსურს მონურ ტანჯვაში გამობრძმედილ სამშობლოზე, რადგან ჯვარს ინერს უღირსო ქმარზე. შევიძულე, რადგან ვაზის ლერწებით აცხუნებული სიტყვა მრუ-

შობით გააფერმკრთალა. შევიძულე, რადგან ძველებურად აღარ ჰშვენობს ბრძოლის ნყურ-ვილით აელვარება.

შენ კი, შორეულო! უცნაურო!

ისე თინათინებ ჩემს სულში, როგორც გამირთა ხსოვნაში კრწანისის ველი.

ამიტომ მსურს დარჩე მარადის გამოუცნობი, როგორც იმ ღამეს, რომ გზაზე ნილაბ ჩამოფარებული, ასიღამასავით რომ შემომანათე ცეცხლოვან თვალებით.

ნავალ შორს, შორს, რომ მუდამ მწვავდეს სურვილი შენი ძიების.

მეშინია ცხოვრების გზაჯვარედინზე შენი შეხვედრა, რადგან ყოველთვის მაშინებს ბედნიერებასთან ახლო გავლა.

დამეკარგვის ძიების სურვილი. სულის ხვეულებში სიცარიელის მეტი არა დარჩება რა.

და ამ დანაკლისს,

ამ სიცარიელეს,

ვერაფრით ამოვაკესებ.

ამიტომ მაპატიე! არ მოვალ.

მის. ბოჭორიშვილი

სულის კვილი

ფრიალო კლდეთა მძლავრო არწივო,
მეფე-არწივო, ფრიალო კლდეთა:
შენლა გიყივის სული უთვისო,
შენლა მოგელის ძლეული მძლეთა!
ჩამოსწყდი მწვერვალს მხრებ-შეკუმშული,
მკვეთრი შხუილით დაეშვი დაბლა;
ფრთები გაშალე მძლავრ-განიერი
და აღმიტაცე მალლა, სულ მალლა!
ვისაც ვემსხვერპლე, ვისაც შევსწირე
ჩემი სიცოცხლე და ჩემი ყრმობა,
მტრად გარდამექცა და ჩასაქოლად
დამიწყო დევნა, დამიწყო გმობა!
არვინ დამინდო, არვინ დამზოგა,
ნაქცეულს გულზე გადამიარეს;
და მკერდ-ჩაღენილ ჩემს მძაფრ კვილზე
ველურ სიშმაგით გადიხარხარეს!
და ეხლა, სული შენლა გიყივის,
შენლა მოგელის მფლობელო კლდეთა;
დაეშვი დაბლა და აღმაფრინე
ღრუბელთა შორის დინჯათ და მძლეთა!
მსურს ერთხელ კიდევ დავხედო მიწას,
მივესაყვარლო ჩემს მკვლელ მოძმეთა,
რომელთაც მაღლი მიქციეს მატლად,
რომელთაც უღვთოდ დამიწყეს ფლეთა!

მინდა დავხედო და ჩამოვძახო
სიმღერა ჩემი — გასაკვირველად:
ხალხო, შენ მომკალ, მაგრამ სხვა სახით
მე ისევ მოვალ შენდა სახსნელად.

გ. ქუჩიშვილი

პროლეტარიატი და ხელოვნება

(მიმოხილვა)

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთში დიდი ყურადღება მიიპყრო პროლეტარული კულტურის საკითხმა. თავი იჩინა მრავალმა პრობლემამ ამ სფეროში. გამოსარკვევი გახდა, თუ როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება პროლეტარიატისა ძველ კულტურულ ღირებულებათადმი, და რა გზით უნდა წარიმართოს ახალი კულტურული შემოქმედება; აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა მუშათა კლასისათვის ძველ ხელოვნებას, თუ მოკლებულია იგი ყოველსავე ღირებულებას ახალი ეპოქისათვის?

ბევრი დაინერა და ინერება ამ კითხვების გასაშუქებლად სხვა და სხვა პერიოდულ გამოცემებში. თეორეტიული მსჯელობა უტრიალებს საერთოდ ორ მთავარ კითხვას:

1. როგორ უნდა გამოიყენოს პროლეტარიატმა ის მხატვრული მემკვიდრეობა, რომელიც მიიღო მან პოლიტიკურ და ეკონომიურ ძალა-უფლებასთან ერთად ძველი საზოგადოებისაგან? და

2. როგორი უნდა იყოს პროლეტარული ხელოვნება?

მხატვრული მემკვიდრეობა

ამ კითხვას ეხება ცნობილი კომუნისტი ა. ბოგდანოვი ერთ თავის წერილში¹, რომელშიაც მეცნიერულად არკვევს პროლეტარიატის თვალსაზრისს. მუშათა კლასის წინაშე, — ამბობს იგი, — ამართულია ორი უდიადესი ამოცანა ხელოვნების სფეროში: პირველი — საკუთარი შემოქმედება; საკუთარ სულიერ ძალთა შექმნა მხატვრულ ფორმაში; შეცნობა საკუთარ თავისა და მთელი ქვეყნისა ცოცხალსა და მწყობრ სახეებში. მეორე — მიღება მემკვიდრეობისა; დაპყრობა წარსულ დროთა მიერ შექმნილ ხელოვნების ძვირფას საუნჯეთა იმგვარად, რომ ყველა დიდებულ და მშვენიერ ქმნილებათა მითვისებით, თვით პროლეტარიატი არ დაემორჩილოს იმ ბურჟუაზიულსა და ფეოდალურ სულს, რომელიც ასახულია ამ ქმნილებებში. ეს მეორე ამოცანა, — ამბობს ბოგდანოვი, — არა ნაკლებ ძნელია, ვინემ პირველი.

ამ ამოცანის ასახსნელად ბოგდანოვს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: სწავლული ქრისტიანი იკვლევს ბუდდიზმს საკუთარი სარწმუნოების თვალსაზრისით. მას ყოველთვის მოეწონება საფრთხე თვითვე შეიქმნეს ბუდდიზმის მიმდევარი, რადგანაც მკვლევარი სდგას თითონ რელიგიურ ნიადაგზე, რომელიც საერთოა ქრისტიანულსა და ბუდდისტურ რელიგიათათვის. ეს საფრთხე სრულიად არ მოეწონება იმავე რელიგიის მკვლევარს, თავისუფლად მოაზროვნე ადამიანს, რადგან იგი მიუდგება ამ კითხვას არა სარწმუნოებრივის, არამედ სხვა უფრო მაღალის თვალსაზრისით. როგორც ქრისტიანი, ისე თავისუფ-

1. იხ. „Прол. Култ.“, №2.

ლად მოაზროვნე არკვევენ ბუდდიზმს „კრიტიკულად“. ძირითადი განსხვავება მათ შორის არის ამ კრიტიკის ხასიათში, მის „კრიტიკრიუმ“-ში. მორწმუნე ვერა დგას იმ საგანზე უფრო მაღლა, რომელსაც იგი არკვევს, მას სურს შეისწავლოს სხვისი სარწმუნოება საკუთარი დოგმისა და გრძნობის თვალსაზრისით და აღარ ძალუძს ჩასწვდეს იმ პოეტურს სიმართლეს, რომელიც ხშირად იმალება უცხო რელიგიაში აღმოჩენილ „წინააღმდეგობებ“-ში. და თუ ჩასწვდა, თვით ჩავარდება „ცდუნება“-ში.

არც იმ მკაცრ ატივისტის შეგნებაა უფრო საღი, რომელიც მხოლოდ იმდენად დგას რელიგიაზე უფრო მაღლა, რომ უარყოს იგი, მაგრამ არც იმდენად, რომ გაიგოს იგი. არც მისთვის არის რელიგიური კულტურა მემკვიდრეობა.

სულ სხვა მდგომარეობაშია თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი. მისი შეგნება რელიგიური შემოქმედებისა, როგორც ხალხურ-პოეტურ განცდისა, ნებას აძლევს მას სრულიად თავისუფლად და მიუდგომლად შეისწავლოს ეს საგანი: იგი თავისუფალია ყოველგვარ რელიგიურ დოგმისაგან და ამიტომ მას შეუძლია როგორც თავისთვის, ისე სხვათათვის ყველა რელიგია გადააქციოს ძვირფას კულტურულ მემკვიდრეობად.

პროლეტარიატის დამოკიდებულება საერთოდ ბურჟუაზიულ კულტურასთან უნდა იყოს ისეთი, როგორც იყო ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში თავისუფლად მოაზროვნე ადამიანის დამოკიდებულება ყველა რელიგიებთან. თუ პროლეტარს არა აქვს თავისი საკუთარი შეხედულება შემუშავებული, თავისი აზროვნების საშუალებები და ყოვლის შემცველი მაღალი თვალსაზრისი, მაშინ იგი კი არ იპყრობს წარსულის კულტურას, როგორც თავის მემკვიდრეობას, არამედ წარსულის კულტურა იმორჩილებს მას თვით, როგორც მასალას თავის მიზნებისათვის.

მაგრამ, მეორე მხრით, თუ პროლეტარი ხელალებით, ანარქისტულად უარყოფს ძველს კულტურას, ე. ი. უარს იტყვის მემკვიდრეობაზე, მაშინ იგი იჭერს იმ გულბრყვილო ატივისტის პოზიციას, რომელიც უარყოფს რელიგიურ მემკვიდრეობას, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ბურჟუაზიულ ატივისტს კიდევ შეუძლია პრაქტიკულად სარწმუნოების გაგების გარეშე მოქმედება, მას აქვს სხვა დასაყრდნობი საფუძველი. მუშას კი ამ შემთხვევაში აღარ შეუძლია მოწინააღმდეგე ბანაკის მდიდარს, დამუშავებულს კულტურას დაუპირისპიროს სხვა, დაახლოებით მანაც შესაფერი ღირებულების კულტურა; ვინაიდან სრულიად ახლად შექმნა ძველი კულტურის მასშტაბით რაიმე ახალის, მას არ შეუძლია.

დასკვნა ნათელია. მუშათა კლასისათვის აუცილებლად საჭიროა გამონახვა, შემუშავება და ბოლომდის განვითარება მთელ წარსულ კულტურისადმი მაღალი თვალსაზრისისა. მაშინ შესაძლებელი გახდება ამ კულტურის დაპყრობა და მისი იარაღად გამოყენება ახალი ცხოვრების შესაქმნელად.

ძველი ქვეყნის სულიერ ძალთა დაპყრობის პირველი მაგალითი გვიჩვენა კარლ მარქსმა. რევოლიუცია, რომელიც მან მოახდინა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში და სოციალურ ფილოსოფიაში, მდგომარეობდა იმაში, რომ მან გადაშინჯა მათი ძირითადი მეთოდები და მონაპოვარი მიღწევანი ახალი, უმაღლესი თვალსაზრისით, რომელიც ამავე დროს იყო პროლეტარულ-კლასობრივი. ცხრა მეათედი, თუ არა მეტი, არა მარტო მასალისა თავისი ტიტანიური შენობისათვის, არამედ მისი დამუშავების ხასიათიც, მარქსმა ბურჟუაზიულ წყაროებიდან აიღო. მაგრამ მარქსის ხელში ამ ბურჟუაზიულმა მასალამ მიიღო სულ სხვა სახე და გადაიქცა პროლეტარული ორგანიზაციის ამშენებელ იარაღად.

ამგვარივე შეხედულებით უნდა იყოს აღჭურვილი პროლეტარიატი წარსულის ხელოვნებისადმი. მან ამ ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებით უნდა შეისწავლოს სახე და ურთიერთობა წარსულ თაობათა. წინად გამქრალ, ან ისტორიიდან ახლა მიმავალ კლას-

თა სულში მხატვრულ ნაწარმოებთა საშუალებით ჩანვდენა საუკეთესო იარაღია ათას ნლოვან წარსულის კულტურული და ორგანიზაციული გამოცდილების ასათვისებლად. ეს გამოცდილება ძვირფასი მემკვიდრეობაა აღმშენებელ კლასისათვის და მან უნდა გამოიყენოს ეს თავისი საკაცობრიო მიზნების განსახორციელებლად.

ამავე დროს მუშათა კლასმა ძველ ხელოვნებაში დაგროვილი ტენიკური და იდეური გამოცდილება უნდა გამოიყენოს აგრეთვე ახალი პროლეტარული ხელოვნების შესაქმნელად.

პროლეტარული ხელოვნება

კითხვა ასე დგას: ოქტომბრის რევოლიუციამ რუსეთში გააბატონა მუშათა კლასი, რომელმაც უნდა გარდაქმნას საზოგადოებრივი წყობილება თავისი იდეოლოგიის მიხედვით. მან უნდა შექმნას ახალი კულტურა სრულიად ახალს საფუძველზე, უნდა გარდაქმნას ხელოვნებაც, მაგრამ ვინ უნდა ჩაუყაროს საძირკველი ამ ახალს, პროლეტარულს ხელოვნებას? მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარებმა, თუ შესაძლებელია ამ მუშაობაში ჩაბმულ იქმნას აგრეთვე, პირველ ხანებში მაინც, ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელნიც იდეოლოგიურად უკავშირდებიან პროლეტარულ მოძრაობას? რუსეთში პროლეტარულ ხელოვნების მუშაკთა წრეებში იმარჯვებს ჯერჯერობით რადიკალური მიმართულება, რომელიც ამტკიცებს, რომ პროლეტარული ხელოვნების შექმნა შეუძლია მხოლოდ პროლეტარებს.

რაც შეეხება პროლეტარ-პოეტების დღევანდელ შემოქმედებას, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მათ ჯერ ხნობით ვერ შესძლეს რაიმე ახალი ღირებულების შექმნა. ინერტა აუარებელი ლექსები, ასპარეზზე გამოსულია მთელი წყება ახალ პოეტებისა, მაგრამ ჯერ ვერც ერთი ვერ გასცილებია ძველს შაბლონს. არა თუ არა სჩანს ახალი, ძველისაგან არსებითად განსხვავებული კულტურის სახე, უბრალო ლიტერატურული სკოლაც არ არის ჯერ ჩამოყალიბებული იმ სახით, როგორც ახალი სკოლები იქმნებოდა წარსულში. ლექსის ფორმა ახალმა პოეტებმა ვერ გარდაქმნეს და შინაარსიც ძალიან გაამარტივეს: ფაბრიკის საკომურები, მანქანები, ოქტომბერი, კრემლი, ისპოლკომი, ელექტროფიკაცია და სხვა ამგვარი სიტყვები, აი, რა მასალა ასაზრდოებს დღეს პროლეტარულ პოეზიას. პოეზია გადაიქცა პროპაგანდა-აგიტაციის იარაღად. შესაძლოა, უაღრესად პოლიტიკურ მომენტში პოეზიისათვის აუცილებელი იყოს ამ გზით სვლა, მაგრამ როცა საკითხი დგას ახალი პროლეტარული ხელოვნების შესახებ, ვინრო უტილიტარული მოსაზრება ადგილს უნდა უთმობდეს უფრო მაღალს და მნიშვნელოვან თვალსაზრისს. პროლეტარული ხელოვნების ზურგს უკან სდგას ათასწლობით განმტკიცებული და შემუშავებული მდიდარი ხელოვნება, გაბრწყინებული მრავალ თაობათა სულიერი განძით. როგორ შეიძლება ასეთი ტრადიციით გამაგრებულ მხატვრულ ღირებულებათა დაძლევა სააგიტაციო მყვირალა ლექსებით? პროლეტარულმა ხელოვნებამ უნდა დაჩრდილოს მიმავალი ეპოქის შემოქმედება, თუ მას სურს ისტორიული მემკვიდრის გვირგვინი.

პროლეტარული ხელოვნება არ უნდა ჰკავდეს ბურჟუაზიულს ისე, როგორც ბურჟუაზიული კულტურა არ ჰკავდა ფეოდალურს და ფეოდალური — ანტიურს.

რითი განირჩევა პროლეტარიატი ბურჟუაზიისაგან და რა განსხვავებული სახე უნდა მისცეს მან ახალს ხელოვნებას? რამდენადაც კითხვა ხელოვნებას ეხება, უნდა ითქვას, რომ აქ რაიმე გარკვეული ფორმის მიცემა ძნელია. ჯერ მომავალი კულტურის მთავარი ხაზებიც არ სჩანს. შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ კერძო საკუთრების ნიადაგზე აღმოცენებულ ინდივიდუალისტურ მსოფლ-მხედველობას შეცვლის კოლექტივისტური

შეგნება და ხელოვნებაც, როგორც კულტურის უმთავრესი ძარღვთაგანი, იქნება საერთოდ მატარებელი ამ შეგნების. გარდა ამისა, ყოველ ეპოქაში კულტურას ჰქონდა კლასიური ელფერი, რომელიც აღნიშნავდა ამა თუ იმ გაბატონებულ კლასის სახეს. პროლეტარული კულტურა კი იქნება არა კლასიური, არამედ საკაცობრიო, ვინაიდან პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდება მუშათა კლასი სპობს ყველა კლასებს და მისს შემოქმედებას ეძლევა საერთო საკაცობრიო მასშტაბი.

ერთი ეპოქიდან მეორეში გადასვლა პოლიტიკურად ხდება უეცრად, მაგრამ კულტურულ სფეროში ამ რევოლიუციას ეძლევა უფრო ნელი და ხანგრძლივი მსვლელობის ტემპი: ამის შესახებ აი, რას ამბობს ერთ თავის წერილში რუსის ცნობილი მწერალი ვალ. ბრიუსოვი¹:

„ახალი კულტურის აღორძინება წარმოადგენს ხანგრძლივს პროცესს, რომელიც მოითხოვს თუ არა საუკუნოებს, მთელ ათეულ წლებს მაინც... ასეთი ცვლა წარსულში ხდება ამაგვარადვე... რომის იმპერიის დაცემიდან ფეოდალური კულტურის ჩამოყალიბებამდის გავიდა არა ნაკლები ორი საუკუნის (V-VII). ფეოდალურ კულტურიდან ევროპიულ კულტურაზე გადასვლამ დაიჭირა კიდევ რამდენიმე საუკუნე (XIII-XV) უფრო ჩქარა დამთავრდა პროცესი აღმოსავლეთის მონარქიების ნანგრევებზე ელლინისტურ კულტურის დამკვიდრებისა, მაგრამ ამ პროცესმაც შეინირა არა ნაკლები ერთი საუკუნისა... ეს ასეც უნდა იყოს. განა ერთი თაობა მაინც არ უნდა აღიზარდოს ახალს პირობებში, რომ ძირეულად შეიცვალოს ცხოვრების ყველა ის მხარეები (მათ რიცხვში მწერლობაც), რომელთა მთლიანობა მისი თავისებურობით ქმნის ამა თუ იმ ხალხის, ეპოქის „კულტურა“-ს?

შესაძლოა, დასძენს ბრიუსოვი, თანამედროვე ეპოქამ თავისი რთული ზეგავლენის აპარატის მეოხებით (რადიოტელეგრაფი, სინემატოგრაფი, სტამბა, ჰაეროპლანი, ავტომობილი და სხვა) უფრო დააჩქაროს პროცესი ახალი კულტურის შექმნისა, მაგრამ რაც უნდა იყოს, შეუძლებელია მოკლე ხანში მრავალ წლობით შესისხლხორცებულ კულტურულ ჩვეულებათა მოსპობა, მით უმეტეს, რომ ეს ჩვეულებანი ატავისტურად გადადის მემკვიდრეობით თვით პროლეტარულ იდეოლოგიის მატარებელზედაც.

ბრიუსოვის დასკვნა ასეთია: პროლეტარული კულტურის შემოქმედნი პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, იქნებიან პროლეტარები, ახალი იდეოლოგიით მოსული კლასის წარმომადგენლები. მაგრამ აღმშენებლობის პირველ საფეხურზე მათთან ერთად საერთო კულტურულ მუშაობაში უნდა მიიღონ მონაწილეობა აგრეთვე სხვა კლასებიდან გამოსულმა პირებმაც, თუ ისინი თავის ცოდნას და ნიჭს გულწრფელად აძლევენ ახალ შემოქმედების საქმეს. მხოლოდ ასეთ მოღვაწეთა საერთო მუშაობით შეიძლება საძირკველი ჩაეყაროს ახალ კულტურას. თითონ შენობის აშენებას კი მრავალი ნელი მოუნდება.

აქ იბადება ახალი კითხვა: არის თუ არა შესაძლებელი რევოლიუციის პროცესში ხელოვნების განვითარება. ამ თემას ეხება ცნობილი თეორეტიკოსი ა. ლუნაჩარსკი², რომელიც ამბობს, რომ რევოლიუციის ქარტეხილის ფილოსოფიურად შეცნობა და მხატვრულად შეთვისება შესაძლოა მხოლოდ რევოლიუციის პროცესის დამთავრების შემდეგ, ან მეზობელ ქვეყნებში, სადაც რევოლიუციას საზოგადოება არ აუფორიაქებია. ამის მაგალითად ა. ლუნაჩარსკის მოჰყავს საფრანგეთის დიდი რევოლიუცია და ამბობს შემდეგს:

„უეჭველია საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ეპოქაში ბევრი რევოლიუციონერი იყო დაჯილდოებული ფილოსოფოსის, პოეტის, მხატვარის, მუსიკოსის ნიჭით, მაგრამ ისინი ცხოვრებამ მეტისმეტად გაიტაცა და იძულებული გახდნენ ყველაფერი შეენირათ

1. იხ. „Худ. Слово“, №1.

2. იხ. „Худ. Слово“, №1.

ამ ცხოვრებისათვის და თავისი შემოქმედებითი ენერჯია უტილიტარულად გამოეყენებოდა ტაქტიკისათვის, მოქმედებისათვის. ვისაც ცხელი გული უცემდა მკერდში, არც ფიქრობდა ამ დროს სადმე კაბინეტში განმარტოებულად მისცემოდა ფილოსოფიურს კვლევა-ძიებას, ან და თავის სულის სიღრმეში დამშვიდებულის სიბეჯითით აღეზარდა დასრულებული მხატვრული ნაწარმოები — იგი უმაღლეს იარაღს ჰკიდებდა ხელს!..

რევოლიუციის იდეოლოგიურმა ძალამ თავი იჩინა მხოლოდ ტაქტიკურ მოსაზრებებში, საუცხოვო ჟურნალისტიკაში, სიტყვებში და, ბოლოს, იმ თავისებურ სააგიტაციო პათოსში, რომელიც ასე დამახასიათებელია მე-XVII საუკუნის დასასრულის მქუხარ წლების ორატორობისა და პუბლიცისტიკის...

ხელოვნების სფეროში საფრანგეთის რევოლიუციამ ნაყოფი გამოიღო მხოლოდ ნაპოლეონის ეპოქაში, როცა მთელი თავისი განმაცვიფრებელი სილამაზით გაიშალა ის დიდებული სტილი, რომელმაც მიიღო „ამპირის“-ს სახელწოდება. ამავე ეპოქაში მოახდინა სენსიმიონმა რევოლიუციის იდეათა შეჯგუფება და აღმოაჩინა საზოგადოების განვითარების კანონთა მთელი რიგი. რევოლიუციის მიერ ყოველ მხრით გაბნეულმა თესლმა შექმნა ახალი ისტორია ტიერისა, ახალი ფილოსოფია ოგიუსტ კონტისა და სოციალიზმი. და განა ჰყინე მართალი არ არის, როცა ამბობს, რომ კანტი, ფიხტე, შელინგი და ჰეგელი წარმოადგენენ საფრანგეთის რევოლიუციის იდეებს, გადმოტანილს რევოლიუციის მდულარ მორევიდან განყენებულ აზრის ნათელ სფეროში. მაგრამ ეს ცოტაა: საფრანგეთის რევოლიუციამ შექმნა არა მარტო გერმანული იდეალიზმი, მისივე ნაყოფია პოზიტივიზმი და სოციალიზმი. ამგვარად, თანამედროვე აზროვნების ყველა ძირითადი სფუძველი, ყველაფერი, რაც მოგვეპოება ჭეშმარიტად ცხოველმყოფელი და ნათელი, თავისი ფესვებით ჩანერგილია საფრანგეთის რევოლიუციაში.

საფრანგეთში ბალზაკი, ჟორჟ ზანდი, ჰუგო, გერმანიაში შილლერი, გიოტე და ჰეინე პირდაპირი შედეგია საფრანგეთის რევოლიუციის. მუსიკაში ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია მუსიკალური სინტეზია დიდი რევოლიუციის სულიერი რიტმისა. მხატვრობაში დავიდის ფესვებიდან აღმოცენდა ენგერის შესანიშნავი რეალისტური სკოლა, რომლიდანაც პროლეტარიატს შეუძლია მეტი გაკვეთილების მიღება, ვინემ სხვა რომელიმე სკოლიდან უკანასკნელ 2¹/₂ საუკუნის განმავლობაში...

ამხ. ლუნაჩარსკის აზრით რუსეთშიაც ასეთ მოვლენას აქვს ადგილი: პროლეტარული პოეტები ბრძოლის ცეცხლში სცვივიან. აი, რატომ არის, — დაასკვნის ამხ. ლუნაჩარსკი, — პროლეტარული ხელოვნება ასე ღარიბი. მაგრამ მოჩვენებითი სიმდიდრე მოესტეტე ინტელიგენციისა არის მხოლოდ მწვანე და ყვითელი ხავსი დამყაყებულ ტბის ზედაპირზე გაშლილი მაშინ, როდესაც პროლეტარული პოეზიის სიღარიბე ჰგავს გაზაფხულის ნიადაგის სიტიტვლეს...

ლუნაჩარსკი იმედოვნებს, რომ მომავალში იმ მშრალ ბარაბანის ხმას, რომელსაც დღეს-დღეობით წარმოადგენს პროლეტარული პოეზია, თანდათან ჩაექსოვება მეტის ვნებით, მეტის აფერადებით და მეტის ოსტატობით ადამიანის სულის ყველა ინსტრუმენტი...

დონალი

ბიბლიოგრაფია

„ლომისი“ — ს-დ საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გამოცემა, №№1, 2, 3, 4.

მარტო ის ფაქტი, რომ ჟურნალი სისტემატიურად გამოდის ყოველ კვირას, დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს ლიტერატურულად დიდისხნით დამშეულ საზოგადოებისაგან. „ლომისი“ მწერალთა ორგანიზაციის ჟურნალია და ამიტომ ის მოკლებულია ჯგუფურ ელფერს, ლიტერატურულ მიმართულებას. ეს გარემოება ჟურნალს უკარგავს იმ ინტერესს, რომელიც თანა სდევს ყოველს ლიტერატურულს ძიებას. აქ გალ. ტაბიძის რომანტიულ ბურუსში მშვენივრად თავსდება ისეთი წვივ-მაგარი რეალისტი, როგორიც არის ია ეკალაძე. ამ მხრივ „ლომისი“-ს დანიშნულება უკვე წინასწარ განსაზღვრულია ერთი მიზნით: ეს არის უკვე დაგროვილ სხვა და სხვა ფერის და ღირსების სალიტერატურო მასალის რეალიზაცია. ფართო საზოგადოებისათვის, ცხადია, ამ ტიპის ჟურნალს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ის პრობლემები, რომლითაც ვინრო ლიტერატურული წრეები არიან დაინტერესებულნი, ვერ აღძრავენ საზოგადოების ცნობისმოყვარეობას. პირველ ნომრის ერთ წერილში არის ანიშნული ჟურნალის ეს საზი: „ჩვენ მეტი სითამამით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში — ამბობს წერილის ავტორი, ვინაიდან „საუკუნე მომნიშვნეულია მათთვის, ვინც მიდის ხალხში“.

პირველი ნომერი იხსნება გალაქტიონ ტაბიძის ლექსით: „ზამთარი“. გალაქტიონ ტაბიძეს ქართულ პოეზიაში აქვს საკმაოდ პოპულარული სახელი. იგი გამომსახველია რომანტიზმის უნაზეს ხვეულების, ცისფერი შუქით დანისლულ სულის მისტიური ნიუანსების. „ზამთარი“ არ არის მისი საუკეთესო ლექსთაგანი, მასში ბევრია ჰაერი, მაგრამ წყალიც საკმაოა, ხოლო ცეცხლი — ოდნავ.

შემდეგ მიდის ლეო ქიაჩელის „უცნაური მოთხრობები“. თემა ახალია ქიაჩელის შემოქმედებისათვის. ორეულების ფანტასმაგორული დაჯახება ქმნის მოულოდნელ კატასტროფის შთაბეჭდილებას. როგორც სათაურიდან სჩანს დაიბეჭდება მთელი ციკლი ასეთი მოთხრობების.

გალაქტ. ტაბიძის წერილი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ სავსეა პოეტურ ჩვენებათა კორიანტელით. ვერ გაიგებ, რაშია საქმე: გასული წლის ლიტერატურული მიმოხილვაა, თეთრი ლექსია, თუ ლირიკა პროზა? „პოეტები სვამდენ საუკეთესო ღვინოს, წარსულისაგან გადარჩენილს, მაგრამ თვალყურს ადევნებდენ თავიანთ თავს, რომ ღვინო არ მოკიდებოდათ.“ ავტორს ვერ დაუჯერებთ, რომ ის საკმაოდ „ადევნებდა თავის თავს თვალყურს“, ვინაიდან იქვე ასეთ ერესს ამჟღავნებს: „მე-XIX საუკუნემ მე-XX-ს საჩუქრად მოართვა მხოლოდ ერთი ზარმაცი ცხენი, ჩვენს საუკუნეს კი გაქანებული მერნები, „ლურჯა ცხენები“ სჭირდება. ახლა ეს მერნები დგანან ახალი ეპოქის კარებთან...“ აქედან ირკვევა ორი რამ: ერთი: მე-XIX საუკუნეს უანდერძებია მე-XX საუკუნისათვის ჯავლაგა პოეზია. მეორე: მე-XX საუკუნე ამ მემკვიდრეობის ამარა სულს განუტევებდა, მაგრამ აი, გამოჩნდება „ლურჯა ცხენები“-ს ავტორი გალაქტიონ ტაბიძე და თავისი პოეზიის მერნებით გააქანებს მთელს საუკუნეს. დიდი ენერგიით არის გასროლილი ეს სიტყვები, მაგრამ პოეტის პრესტიჟისათვის უკეთესი იქნებოდა ეს ეთქვა რომელიმე მკვლევარს პოეზიისას, ვსთქვათ, 1932 წელს. დიდებას მით უფრო მალე მოიხვეჭ, რაც უფრო ნაკლებ ეპოტინები მას. წერილის მეორე ნახევარში ავტორი რალაც გაუგებარი დაჟინებით ლაპარაკობს ხალხზე და ხალხის სახელით. „ჩვენ მივცემთ ხალხს ყველაფერს კეთილშობილურს“, „ჩვენი დაახლოება ხალხთან გვაჩვენებს, როგორი სიხარბით ენაფება იგი ყოველგვარ მხატვრულ სიტყვას...“ აქ უთუოდ არის რალაცა „გლავპოლიტპროსვეტი“-ს ლოზუნგებიდან.

კონია გამსახურდიას წერილი „იმპრესიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი“ ვერ არის მიუდგომელი. აქ ექსპრესიონიზმის სასარგებლოდ დაუმსახურებლად დატუქსულია იმპრესიონიზმი და სიმბოლიზმი. ჭეშმარიტი სიმბოლიზმი არასდროს არ უარყოფდა „ყოველივე რეალობას“ და „ესთეტიური აბსურდები“ სრულიად არ არის სიმბოლიზმის დამახასიათებელი. ყოველ დიდ შემომქმედს აქვს მსოფლიოს საკუთარი ათვისება და ვერავითარი „იზმი“ ვერ დაჰფარავს „ღმერთშემოსილ“ ხელოვანს. თითონ წერილის ავტორიც ამბობს: „საქმეს ღმერთთან განდობილი ხელოვანის ძალა გადასწყვეტს მუდამ“. და ღმერთთან სამოციქულოდ კი ხელოვანს არ სჭირია არც იმპრესიონისტური და არც ექსპრესიონისტური სკოლის მანდატი.

მეორე ნომერში აღსანიშნავია ობოლი მუშის ტემპერამენტიანი ლექსი: „1921 წლის გარდაცვალებაზე“ და კონია გამსახურდიას წერილი დოსტოევსკის შესახებ. აქვე და მესამე ნომერშიაც მოთავსებულია კ. მაყაშვილის ოთხი ლექსი. კ. მაყაშვილი ქართული პოეზიის დონკიხოტია, რაინდული დროშის ბრწყინვალე თავადი. უკანასკნელ წლებში პოეტის შთაგონებას მანიაკალური დაჟინებით იპყრობს დაქტილური მეტრის ჰიპნოზი. პოეტი პირდაპირ ტყვედა ყავს ლექსის ამ ნყოფას და უკანასკნელი ოთხი ლექსიც ამ ზომით არის დაწერილი. თუ მან არ ამოსწურა ეს ნაკადი და არ მოიძულა ეს ზომა, მის შემოქმედებას საფრთხე მოელის: მას დაახრჩობს რიტმიული ეპილეპსია, როცა მელანქოლიური ნანინა მომაბეზრებელი დაქტილისა უმაღლეს რეზონანსს გამოსცემს, დამახასიათებელია სტრიქონი: „ერთი და იგივე: მოდიან, მიდიან...“

მესამე ნომერში კოკი აბაშიძე იწყებს წერილების სერიას: „ახალი საქართველო და ეროვნული შემოქმედება“. წერილი ასე იწყება: „ამ ორი წლის წინად ჩვენ შემთხვევა გვექონდა მოგვეთავსებინა ერთ-ერთ პერიოდულ გამოცემაში რამოდენიმე ფელეტონი ეროვნულ შემოქმედების შესახებ“, სადაც ჩვენ ესა და ეს ვთქვითო — და დაასკვნის: „დღესაც შეურყევლად ვადგივარ ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრსო“. სამწუხაროდ, პატივცემულ კოკი აბაშიძის კონსერვატიზმი უფრო დიდი ხნისაა. მისი წერილის სიმძიმე არ აღემატება მის მიერ 10-12 წლის წინად „კოლხიდა“-ში დაბეჭდილ ფელეტონების წონას, სადაც იგი არჩევდა სოლოგუბს და არციბაშევს. უკანასკნელი წლების პლანეტარულ პერტრუბაციებს ბ-ნი აბაშიძე საქართველოს მასშტაბით ასე აგვიწერს: „ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში შესამჩნევად შეიცვალა წესწყობილება ჩვენი ქვეყნისა. ქალაქებმა და დაბებმა სულ სხვა სახე, იერი მიიღეს. სხვანაირად გამოიყურებიან თვით ქუჩები ჩვენი რესპუბლიკის დედა-ქალაქისა“. აი, ტიტანური სურათის წინ მდგომი გულუბრყვილო „ობივატელი!“

მეოთხე ნომერში კარგია და მდიდარი „ხელოვნების მატრიანე“ სალიტერატურო ქრონიკა. საინტერესოა ლეო ქიაჩელის წერილი „ალიგიერი დანტეს წინა დრო.“ ლექსების განყოფილებაში ერთი კონფუზი მოსვლია რედაქციას: დასტამბულია ილია ჭავჭავაძის ოთხ სტრიქონიანი ლექსი, წარწერა ეკატერინე სარაჯიშვილისადმი მიძღვნილ სურათზე. განამწერალი რასაც დასწერს, ყველაფერი გამოსაქვეყნებელია? რომელიმე სქელტანიან აკადემიურ გამოცემაში რომ მოეთავსებინათ ეს სტრიქონები (რომელშიაც არც ერთი პოეტური სიტყვა არ არის), ამას კიდევ ექნებოდა ცოტაოდენი მნიშვნელობა, მაგრამ მისი ყურნალში მოთავსება „ილია ჭავჭავაძის ლექსი“-ს მყვირალა სათაურით, არაფრით არ არის გასამართლებელი.

ი. გრიშაშვილი — ლექსები, ტომი მეორე, სახელმწიფო გამომცემლობა, 1922 წელი.

საქართველოში ყველაზე მეტად პოპულიარული პოეტი გრიშაშვილია. არ არის საზოგადოების არც ერთი წრე, სადაც მას არ იცნობდენ. თუ ხალხის ფართო მასსაში პატივისცა და სახელის მოხვეჭა პოეტის გამარჯვებას ნიშნავს — გრიშაშვილი კმაყოფილი უნდა იყოს.

გრიშაშვილის ქნარი არ არის მდიდარი სიმებით. შეიძლება ითქვას, რომ მის ლირიკაში მხოლოდ ერთი სიმი წერიალებს, — ეს არის დაუშრეტელი ვნებით ატყეხილი ეროსი. ამ მხრივ მისი პოეტური შემოქმედების დიაპაზონი მეტად მოფარგლულია, მაგრამ მით უფრო განსაცვიფრებელია ის დაუღვეველი ვარიაციები, რომელსაც ეს ერთად-ერთი სიმი იძლევა. გრიშაშვილმა დაასრულა ჩვენს პოეზიაში სპარსეთის გავლენით შემოჭრილი „ვარდ-ბულბული“-ს ნაკადი; მისს პოეზიაში ეს ნაკადი აჰქაფებულია ლოტოსის ყვავილებით და დუღილის ტემპით ერთვის ცისფერ ტბას, რომელზედაც დასრიალებენ ვარდით შემოსილი ამურები. აქ თავდება ეს აღმოსავლური ტრფიალის ჰანგი და გრიშაშვილის პოეზია ჩვენი მწერლობის ახალ საზღვარზე ამართულია, როგორც დასრულებული ძეგლი, უზენაესი და საბოლოო მიღწევა ერთი ლიტერატურული მიმდინარეობისა — გრიშაშვილის შემდეგ წარმოუდგენელია მისი პოეტური ხაზის გაგრძელება, იგი უკანასკნელი წერტილია. გრიშაშვილის შემოქმედების პოეტური ღირებულების შეფასების დამოუკიდებლად მართო ეს ფაქტი აძლევს გამართლებას ქართულ პოეზიის ისტორიაში გრიშაშვილს. აქ იგი დაუძღვევლია და უმაღლესი, როგორც კიბის უკანასკნელი საფეხური.

ამ თვალსაზრისით შეუძლებელია გრიშაშვილის პოეზია დაუპირისპირდეს ახალ საუკუნის გაბზარულ შემოქმედებას. თანამედროვე ეპოქა თავისი სულჩადგმული რკინის აჯანყებით და შხამიანი გველებით, რომელნიც ადამიანის სულის ყოველს ხვრელში პოულობენ გზას, გვერდს უვლის გრიშაშვილის მშვიდობიანს და ყვავილებით აფერადებულ ნალკოტს, სადაც ძველებურად სტვენს მთვარიანი ბულბული და განუწყვეტილვ ისმის შადრევანთა შხეფებით აცახცახებული ფოთლების შრიალი ამ ნალკოტში ვერასოდეს შემოანათებს მსოფლიო რიტმის დარღვევით გაგიჟებულ სამყაროს თვალები. ამისათვის გრიშაშვილს აკლია თანამედროვე კულტურის მაჯის ცემის შეგრძნობა. „განათლება არის მხოლოდ ნაკელი, — ამბობს რემი დე გურმონი, — მხოლოდ აზოტი, ანუ ფოსფორული კირი; იგი აძლევს მცენარეს საშუალებას გაიზარდოს, მაგრამ მის ბუნებას კი ვერ შესცვლის“. ყოველი ხელოვანის ნიჭი არის მცენარე, რომლის თესლს იგი პირდაპირ ღვთისაგან ღებულობს; ხოლო ამ თესლის მცენარედ გაზრდა და მისი განვითარება დამოკიდებულია იმ აზოტისა და ფოსფორისაგან, რომელსაც იძლევა ნაკელი თავისი ეპოქის კულტურულ მიღწევათა. გრიშაშვილმა მიიღო ღვთისაგან პოეზიის მშვენიერი მარცვალი, რომელიც შედარებით მწირ ნიადაგზე დაეცა. მან მოახდინა ენერჯის მაქსიმალური დაგუბება და აღზარდა მცენარე როგორც შექძლო. ჩვენ მადლობელი უნდა ვიყოთ მისი.

„Поэты Грузии“ — ნ. მინიშვილის შედგენილი. სახელმწიფო გამომცემლობა. 1921.

„Фигаро“ — ყოველკვირეული სალიტერატურო გაზეთი ნ. მინიშვილის რედაქტორობით.

როცა ერთი ერის ლიტერატურა ითარგმნება მეორე ერის ენაზე, ეს უთუოდ გულისხმობს ამ ერთა შორის კულტურულ თანამშრომლობის არსებობას. ყოველი ასეთი ფაქტი არღვევს კულტურულ კარჩაკეტილობას და სხვა და სხვა ერს ერთმანეთთან სულიერად აკავშირებს. მაგრამ, როცა თანამშრომლობას ადგილი არა აქვს და დაინტერესება ცალმხრივია — ეფექტი სულ სხვაგვარია. რომელიმე ქვეყნის ვაჭარს შეუძლია თავისი საქონლის ნიმუშები გაავაზავნოს მეზობელ ქვეყანაში საკუთარი აგენტების საშუალებით, მაგრამ ხელოვნების სფეროში კომივოიაჟორობა უხერხულია. რუსეთს ჰქონდა წარსულში და ახლაც აქვს საშუალება გაეცნოს საქართველოს კულტურის საგანძურს, მაგრამ ასი წლის განმავლობაში მას ჩვენში მხოლოდ შავიქვა აინტერესებდა. მოსკოვს რომ თავი დავანებოთ, განა თბილისში ამ ბოლო წლებში ცოტა რუსი პოეტები იყვნენ და არიან ახლაც? მათ მთელი ცეხი ჰქონდათ და ახლაც აქვთ კავშირი თბილისში. რატომ მათ შორის არ

აღიძრა სურვილი და ინიციატივა ქართველი პოეტების რუსულად თარგმნის? ისინი სცხოვრობენ საქართველოში და ემსახურებიან რუსულ ლიტერატურას. ასეთ პირობებში თვითონ ქართველი პოეტების მიერ თავისი ლექსების რუსულად თარგმნა უკვე კომივოიაჟორობაა და თავმოყვარეობის დამამცირებელი. აი, პატივცემული ოვანეს თუმანიანი ნახევარი წელიწადია რაც შეუდგა ქართველი პოეტების სომხურ ენაზე გამოცემას. ეს ბუნებრივი და ორივე ერისათვის სასარგებლო მოვლენაა, რადგანაც მაჩვენებელია კულტურული თანამშრომლობის.

„Поэты Грузии“-ს გამოცემა, სამწუხაროდ, არ არის ამ თანამშრომლობის შედეგი. საქართველოში ახლა განსაზღვრულ წრეებში ფეხს იკიდებს ეროვნული ნიჰილიზმი. რუსეთის კულტურის ცალმხრივი გავლენით იჩრდილება ქართული კულტურის შესაძლო პერსპექტივები. ასეთ დროს საჭიროა ეროვნული კულტურის ფრონტის გამაგრება. ქართული ენა სტიქია ქართული ხელოვნების და ის უნდა იქცეს იმ ატმოსფეროდ, რომლით სუნთქვა აუცილებელი იქნება საქართველოს საზღვრებში. ვინც ქართული ხელოვნებით დაინტერესდება, ის თითონ მოსძებნის მასთან დაკავშირების გზებს. საფრანგეთის ლიტერატურა რუსულად ითარგმნება რუსების მიერ, ისე, როგორც ინგლისის მწერლებს ფრანგულად ალბად ფრანგებივე სთარგმნიან.

ესევე ითქმის „ფიგარო“-ზედაც. ვისთვის იცემა ეს გაზეთი, რომელ ეროვნულ უმცირესობისათვის? თბილისის სპარსელები რუსულ გაზეთს არ კითხულობენ, რუსულ წითელ ჯარში არა მგონია „ფიგარო“-ს გასავალი ჰქონდეს. საქართველოს სომხობამ ქართული ენა კარგად იცის. მაშ, ვინლა დარჩა? უცხოეთიდან გადმოხვენილი სპეკულიანტები და ახალი ემიგრანტები. რუსის ემიგრანტები საფრანგეთშიაც ბევრია, მაგრამ მათთვის იქ რუსულ გაზეთებს ფრანგები კი არა სცემენ, არამედ თვით ემიგრანტები. თუ თბილისის სხვა და სხვა ჯურის ემიგრანტებს რუსული გაზეთი მოუნდათ, ისინი თითონ მოახერხებენ მის გამოცემას. ქართული ძალების ამ საქმისათვის დაბანდვა ჩვენ ცოცხად მიგვაჩნია. ყველა გამვლელ-გამომვლელზე და საეჭვო „გასტროლიორებზე“ ზრუნვა ზედმეტია მით უმეტეს, როცა ასეთ ზრუნვას საბოლოოდ არავინ დაგვიფასებს. როცა ასეთი „გასტროლიორი“ საქართველოდან წავა, უკვე ბათომის ნავთსადგურიდან დაინწყებს გინებას. დაანებეთ მათ თავი და გახსოვდეთ: წყალნი წავლენ და წამოვლენ — ქვიშანი დარჩებიანო.

ხომალდელი

ტანჯვის ბარძიმი

1.

ჩვენ მივდიოდით და ბალის წინ გაიხსნა ხიდი.
აენტო ცაში დახვეტილი ფირუზის მტვერი.
გვესტუმრა შიში და ღვთიური კრძალვა და რიდი:
გზა იყო ერთი და გზის ბოლოს მოსჩანდა მტერი.
ფირუზის თოვლით დაბურული უცნობი ქალი
ჩამქრალ თვალეზით გვიცქეროდა ხიდის ბოლოდან.
ჩვენ იმ თვალეზის გაგვაქრობდა შავი გრიგალი,
რომ საშიშ გზაზე სიყვარული არ გაგვყოლოდა.
დათრგუნა სისხლის აყვავებამ მტრის დანაქადი.
გაიყო სივრცე, სიკვდილისგან გასათიშარი.
ჩვენმა მკლავებმა გადააბა სისხლის ნაკადი,
და ოთხმა თვალმა გაანათა გზა საშიშარი.

2.

ო, როგორ მინდა დავიბრუნო დრო გაქცეული,
როცა ყოველ წუთს უხაროდა ჩემთან ანთება.
დაიწვა უჩვევ სურვილებში ჩემი სხეული
და სულს საკანის დატოვება აგვიანდება.
ნელის ნაბიჯით ვახმაურებ ქუჩებში ღამეს.
ავავსე სული ფრთის ნალენით და დავამძიმე.
დამიხშეს ფიქრთა სურნელება და მომიშხამეს.
ანთებულ გულში ჩამისვენეს ქრისტეს ბარძიმი.
როგორ მწყურია, დავიბრუნო ძველი ხალისი,
როცა ყოველ წუთს ანათებდა მზე უეცარი.
რა ჩქარა გაჰქრა მოჩვენება შესაბრაღისი!
ნუ თუ სიზმარი და სიცხადე მხოლოდ ეს არი!..

3.

გვიყვარდა ფარჩით შემოსილი მიდამოები.
მკერდ-გაბზარული ძველი კოშკი სურო-დართული.
დამდნარი ქარვით დატვირთული თბილი შტოები
და დაბურული ხეივნები, მზით დახლართული.
ოქროს ბილიკებს თავს უყრიდა ზღვისფერი შუკა.
ყვითელ ბურუსში კოშკი ენთო როგორც კანდელი.
მზე ჩამავალი იღვრებოდა ათასფერ შუქად.

მომაკვდავ ფოთლებს ათრთოლებდა სხივთა ჟრუანტელი.
და ჩვენ ვკოცნიდით თბილ ქვიშაზე ჩვენსავ ნატერფალს.
გული თვრებოდა აუტანელ ბედნიერებით.
და გვიხაროდა, რომ ვისრესდით მზით ანატირ თვალს,
როცა ჰაერი ელვარებდა ზღაპრულ ფერებით.

4.

ჩვენ მივდიოდით და ამაღლდა სვეტები ხიდის.
დაეშვა ციდან მოოქრული თოვლის გედები.
ო, უცნაური მოჩვენება რა სწრაფად მიდის!
რა ჩქარა ჰქრება სიმბურვალე მწველ იმედების!
ჩვენ გადავეშვით სანებივროდ და სათარეშოდ
იისფერ ზღვაში მზით დაჟანგულ ვნებიან ტანით.
ვესროლეთ ნაპირს მარგალიტი უანგარიშოდ
და დავასუსტეთ მაჯისცემა ბევრის ამტანი.
და როცა ჩრდილი შემოევლო თვალთა რადიუსს,
და სისხლის ქაფად დაინრიტა ხმა განწირული.
მოვხსენით თვალი დაშლილ მირაჟს და მარადიულს
ცეცხლის სარდაფში გამოვკეტეთ ნება გმირული.

5.

და ჩვენ ვფიქრობდით: არ დათვლილა ჯერ ყველა სხივი.
კიდევ ბევრია ჯერ უცნობი ტყეში ყვავილი.
ყველა სიმღერა ჯერ არ თქმულა, რაც სულში ჰლევვის.
ბევრჯერ იელვებს ღმერთი ციდან ჩამოყვანილი.
ჩვენს ირგვლივ ბევრი იმალება უცხო სანთელი,
და თავის დროზე ჩვენს თვალეში დაბინავდება.
მზეთა ქარავნის უნაპირო კორიანტელი
არავინ იცის, როდის, სად და რით გათავდება...
და შეშინებულ ოცნებაში იშვა ალერსი.
და დავინახეთ სანუგეშოდ ავადმყოფ თვალთა:
ბრინჯაოს მთაზე ნარინჯისფერ შუქ-დანალესი
ციურ ქალწულის მოსასხამის ბრწყინვალე კალთა.

6.

დედაო ღვთისავ! აგვიპყრია შენსკენ ხელები,
ტანჯვის წუთებში დაკბენილი მტკიცე თითებით.
ბნელი მღვიმეა ჩვენი სული, სავსე გველებით.
დაგვემსხვრა სკივრი და დაიბნა მარგალიტები.
გზა დაიჩრდილა. უჩირაღდნოთ მოვალთ ბარბაცით.
გვწყურია ლოცვა, სასნაული და დამშვიდება.
ჩვენს ოცნებაში საფირონის იწვის დარბაზი,
და თეთრ სასახლეს მალე ცეცხლი მოეკიდება.

შავ გოლგოთიდან ისე მოსჩანს იესოს ჯვარი,
ვით ბნელ სივრცეში აფრენილი შავი არწივი.
დედაო ღვთისავ! შეივრდომე სული დამწვარი
და აგვაშორე ანთებული ტანჯვის ბარძიმი...

7.

მიდის უნახავ კუნძულისკენ ოქროს ხომალდი,
მაგრამ იმედი ისე დასჭკნა და გაღარიბდა,
რომ შორეული ნაპირების აღმოხდომამდი
დაღუპავს ხომალდს ზღვაში სცილლა და ან ქარიბდა.
არის სურვილი ამ ქვეყანას ეთქვას დასტური,
როცა სიამით ყალბი წუთი გულს დააჯერებს, —
ცრუ მოჩვენებას ააფეთქებს სივრცე მაცდური,
მაგრამ დიდისხნით ცაში კოშკებს არ შეაჩერებს.
დაჰბერავს ქარი. დაინგრევა ცა დასისხლული.
იელვებს ჯვარი უიმედო და უტყუარი,
რომ ფრთა-დალენილ აღმაფრენას დარჩეს სირცხვილი,
და მთელ ქვეყანას — საბოლოო მტკიცე უარი.

8.

სულ დაგველუპა სამკაული რაც შევინახეთ.
დროთა ცვლისაგან ვერაფერი გადავარჩინეთ.
წუთით-ლა მახსოვს მზის ქორწილში ჯდომა ინახით.
შეგვრჩა ბოლომდის მგზავრის პარკი და ყავარჯენი.
არ ვიცი, ჟამი რატომ დადგა ესოდენ ცუდი:
იქნება იგი თავიდანვე იყო ამგვარი.
ასპიდ გველივით იკბინება ყოველი წუთი,
და თავს ბალიშად ენატრება სისხლის ლანგარი.
შევსდექით გზაზე, — წინ სავალი ცოტა-ლა დარჩა. —
და მოვიგონეთ სულის სარკე რამ დაგვითალხა.
გარდასულ დღეთა წარმოგვიდგა უმიზნო გარჯა,
და ჩვენს თვალეებში გადაიმსხვრა მდულარე ტალღა.

9.

ალარ მწყურია დავიბრუნო დრო გაქცეული,
როცა გონებას აბრუებდა ცა გამჭვირვალი.
საკუთარ ცეცხლში დაიფერფლა ჩემი სხეული.
მეგობრის კუბოს დაჰქვითინებს სული მტირალი.
მტკიცე ბრძოლითაც ბედისწერა არ გამოკეთდა.
ვარ ცისქვეშ მარტო და ვდარაჯობ ჩემსავე საკანს.
ო, ეს ქვეყანა ყოველ მხრიდან ვინ გამოჰკეტა!
დაბმული სული ვერ პოულობს ვერსად გასაქანს!

ვდარაჯობ კუბოს და მიცქერის ძვირფასი მკვდარი.
დალენილ ფრთებით გაიქროლებს ოცნება მძიმე.
ბნელ გოლგოთაზე გაბრწყინდება იესოს ჯვარი
და მთვარესავით აენთება ტანჯვის ბარძიმი.

10.

რა პატარაა დედამინა: სულ მცირე ბალი,
დაუსრულებელ სამყაროში მოხეტიალე.
ყველა ფოთოლზე დასმულია სიკვდილის დალი.
ერთია ცეცხლი: უმიზნობის უშრეტი ალი.
დიდიხანია დათვლილია ყველა სოფელი.
დატკეპნილ ტყეში ნაცნობია ყველა ყვავილი.
ყველა სიმღერამ ამოსწურა საგალობელი,
და არავის სწამს ღმერთი ციდან ჩამოყვანილი.
მივდივარ მგზავრი, ცისფერ შუქით თვალ-ახვეული.
ყოველგან ვხვდები ჩემს ნაკვალევს, გავლილს ათასჯერ.
დახშულ გვირაბის ნაცნობია ყველა ხვეული...
მოვა სიკვდილი და გზას წყეულს უცებ გადასჭრის.

ს. აბაშელი

ყველასადმი

(უოლტ-უიტმანით)

ვინც არ უნდა იყვე
შენ —
მე ვიცი:
ბოდავ მოჩვენებათა გზაზე.
ყველაფერი: რასაც ფეხით სთელავ, ხელით ეხები —
მხოლოდ ჩრდილია ჩრდილთა, რომელიც დნება და ჰქრება,
როგორც ჩრდილი.
ლოცვები და წვალება, შიში და სიმშვიდე,
ოცნება და სიცოცხლე შენი —
დნებიან შენს ირგვლივ, შენ სდგეხარ ჩემს წინაშე
გატიტვლებული!
რა საქმე მაქვს მე შენს ცრემლებთან, შენს ნალველთან, შენს შრომასთან:
რას ჰყიდულობ, ჰყიდი,
ვინ არის შენი დები, ცოლები, როგორ სცხოვრობ,
როგორ ჰკვდები —
ყოველივე ეს ჩრდილია ჩრდილთა, უფერული ჩრდილი ჩრდილთა.
ვინც არ უნდა იყვე, შენ —
მხარზე დაგაყრდნობ მარჯვენა ხელს,
იყავი ჩემს სიმღერებათ.

საყვარელო,
 არ გიცნობ და მიყვარხარ!
 ბევრი მიყვარდა, მრავალი მიყვარდა მე...
 დღეს ყველას ვივინყებ.
 გიმღერებ მხოლოდ შენ ერთს.
 ყველას დავტოვებ, მხოლოდ შენთან მოვალ!
 ახ, როგორ დავიგვიანე!
 ყველა შეურაცყოფდა და გამდაბლებდა შენ.
 და თვით შენ შეურაცყოფდი თავს.
 ყველა გიმონებდა შენ.
 შენზე აღიმართენ მრისხანე ღმერთები, მეუფეები და გმირი მხედრები.
 მხოლოდ მე დავამსხვრიე ისინი.
 დაინახე განა სურათზე წმინდა სახეთა შორის ერთი:
 ოქროთი მოვარაყებული გვირგვინით?
 მე ვწერ სურათებს, რომლებზედაც იქნება სახეები უცნობ ადამიანთა.
 და ყველა ისინი
 წმინდანებია და დიდებით მალაღნი.
 ოქროს გვირგვინოვანი შუბლით.
 დიდებას შენსას
 მხოლოდ მე ვუმღერი!
 ოჰ, რომ იცოდე, როგორი მძლეთ-მძლეველი და საკვირველი ხარ?
 (დაჩრდილულია შენი თვალები, შენ დააძინე შენი თავი).
 შენ — ვინც არ უნდა იყვე:
 სილამაზით ვინ შეგედრება!
 შენ — ვინც არ უნდა იყვე:
 დიდებით, ძლიერებით, ბედნიერებით არავინ არის შენზე უმაღლეს.
 ო, ურაგანებო ზღვების,
 ო, ცეცხლოვანო ვულკანებო,
 წყევით აღსავსე მღელვარებავ ზეცის,
 შეშლილო მძვინვარებავ მიწის —
 ვერვინ მოგლუნოთ თქვენ — ტიტანებო
 და ვერ გისროლონ მტვერში!

ხარიტონ ვარდოშვილი

კლდეზე

უკვე დავკარგე ბედნიერება:
 ხეზე ჰკიდია ფრთებით დაბმული.
 მზით აღგზნებული მშვენიერება —
 გამხდარა ცივი, შორი, ავგული.

და მიჯაჭვულსა მახლობელ კლდეზე,
 საშიშ უდაბნოს განმარტოებით,
 წამერთო ენა დასავლის დღეზე,
 ჩირგვები მკბენენ მწარე შტოებით.

შორით ნიავი დაჰქრის ურნმუნო,
მთვარის სხივთ გასდევს მიუსაფარი:
მე ტანჯვა მრჩება აქ საუკუნო!
აქ საფლავისთვის კლდეა საბარი.

და შემოირბენს, დაარხევს შტოებს:
ჯოჯოხეთურად მკბენენ ეკლები.
ოჰ, უნუგეშოდ ნულარ დამტოვებს,
მე დიდხანს ვსცოცხლობ, დიდხანსვე ვკვდები!

ჩამობნელდება. დაჰქროლავს ქარი.
ალარ ვიქნები: დამხსნის გამვლელი.
მოინახება თავშესაფარი:
ეგ კლდე, ეგ მინა ჩემი გამზრდელი.

იასამანი

კარებთან

მრავალ ბილიკებს გადაეფრქვია
ჩემი ცრემლები სისხლში ნარევი.
უფსკრულის სიღრმეს გადაეხვია
ოცნება წუთით ნამძინარევი.

გამომალვიდა გლოვის ზარებმა
და წარიტაცა სული მდინარემ.
საბედისწერო მიჯნის კარებმა
დაჰფარა სახე ოდნავ მჩინარე.

ვხედავ, ბრმავდება ჩემი თვალები,
ცრემლით აივსო სივრცე ნათელი:
ლამემ წაიღო ყველა რკალები
მედგარი ბრძოლით გადანათელი.

და ამ კარებთან მე ის მეძახის,
მეძახის სული ჩემი სულისა.
უცხო მხარეში თვალწინ მესახვის
სახე უდროოდ გადასულისა.

მინდა, ავხადო კარებს რაზები
და დავინახო თვალთა სინაზე.
უძირო სევდით განაბრაზები
დავსისხლავ თითებს გულცივ რკინაზე.

მაგრამ ავია ბედის დაცინვა
და მიჯნა იგი — გადუცელავი.
სულის ფრთებს ცივი სუსხი გაყინავს
და შემოსუდრავს ღამის მქსელავი.

და მე — უგულო ჟამის ტუსალი,
 კვლავ ვისმენ ტკბილ ხმებს გადასულისას.
 და დაუღვეველ სევდით ვუძახი:
 მოვდივარ, სულო ჩემი სულისა!

ობოლი მუშა

ჩემი ცხოვრება

მე არასოდეს არ მინახავს სკოლის კარები,
 სამიკიტნოში დაჭკნა ჩემი ყმანვილ-კაცობა,
 და, როგორც მწირი, უდაბნოში შენაფარები,
 მარტო ვიყავი, არვის სურდა ჩემი გაცნობა.
 ჩემი ოსტატი უსტაბაში იყო ლოთების,
 „მამალს“ ეძახდნენ მეტ სახელად იმას ამქარში,
 და, როს წკრიალი მოესმოდა სავსე ბოთლების,
 ისე ცეკვავდა, ვით ფოთოლი ვერხვის ამ ქარში.
 შემოიკრებდა ქურდ-ბაცაცებს, ქუჩის კინტოებს
 და გრძელი სუფრა ათასფერად აჭრელდებოდა...
 როს შეთვრებოდენ — გაირჭობდენ ქუდში ხის რტოებს:
 უკან — ისინი, წინ — არლანი ამღერდებოდა.
 და იყო მუდამ ჩხუბი, შფოთი და ღრიანცელი.
 ავკაცობა და გარყვნილება ურთერთს მოსდევდა.
 ჰქონდა ადგილი ბოროტებას აქ დიახ ვრცელი...
 ან კი მიშვებულს მის ლაგამსა ვინლა მოსწევდა?!
 ჰოდა — მეც ბევრჯერ მიგემნია სილა უბრალოდ,
 ხშირად სიკვდილი მინატრია და შავი კუბო
 და მითქვამს: ისე რად გამწირე, ბედო მუხთალო,
 რომ ამ ჭაობში უნდა მოვკვდე და დავიღუპო?!
 მაგრამ ყრუ იყო ჩემს გარშემო ცოცხალი არსი,
 არვის ესმოდა ნორჩი სულის ამონაკვნესი:
 კაცი მჩაგრავდა, შხამს მასმევდა ცხოვრება თარსი,
 დედა შორს იყო, ვერ მწვდებოდა მისი ალერსი.
 სულის მეგობრად მყავდა მხოლოდ თეთრი აკაკი,
 და, როცა ყველას ღრმად ეძინა, ფლობდა სიზმარი,
 მე კი მათრობდა გრძნობის ღმერთის ლექსთა რაკრაკი,
 ვიდრე ტოროლას ჰიმნს ისმენდა დილის ცისკარი.
 ახ, ბევრჯერ ხშირად აკაკობა მეც მინატრია;
 ხელთ ამიღია ტრფობით ჩანგი, რომ მეთქვა რამე:
 და, ჰა, გრძნობათა ნამსხვრევები, ვით მინა, ჰყრია,
 და თუ ვერ ელავს — მიზეზია უძილო ღამე.

ვარლამ რუხაძე

უცნაური მოთხრობები

უფსკრულს შორის

— აჰა, მარტო ვარ და არა ვიცი რა!.. არ ვიცი, რა ვარ, რა ვიყავი, ან რა ვიქნები!.. მყავდა დედა... მყავდა მამა... და ისინი აღარ არიან! სად არიან ისინი?!

— მეუფეო ჩემო, უფალო!.. აჰა, ვარ და არა ვიცი რა!..

— მყავდა ძმა... მყავდა ტოლი... მყავდა მოზიარე ტკბილის სიყრმისა... და ისინი აღარ არიან!. სად არიან ისინი?!

— მეუფეო ჩემო, უფალო!.. აჰა, ვარ და არა ვიცი რა!

— მყავდა ქრისტიე... მყავდა ლმერთი... მყავდა მფარველი ანგელოზები... და ისინი აღარ არიან!.. სად არიან ისინი?!

— მეუფეო ჩემო, უფალო! აჰა, ვარ და ყოფნა ჩემი არ არის ყოფნა! მარტო ვარ და არა ვიცი რა!.. არ ვიცი, რა ვარ, რა ვიყავი, ან რა ვიქნები!

— მეუფეო ჩემო, უფალო! დიდია უფსკრული წინაშე ჩემის... ხოლო დუმილი შენი კიდევ უფსკრული...

და მთვარიანი იყო ღამე. მყუდრო იყო სოფელი და მივდიოდი შარა გზაზე გრძნობებ-აჯანყებულნი. ქვეყანას უცნაური ჰქონდა იერი, და მთვარეს სახე ჰქონდა უცნობი.

ასეთ გზაზე მე არასოდეს მივლია და გარე ასეთი მე არასოდეს მინახავს... ვის უნახავს ასეთი ზეცა, ან მთვარე ასეთი ნეტავი ვისმე თუ ოდესმე უნახავს!..

მარტო ვიყავი და გვერდით მახლდა მე შიში ჩემი...

როგორც სარკეში ისე ვჭვრეტდი ჩემს თავს მთვარეში, და არ ვიცოდი, სად ვიყავი მართლა, ნამდვილად: მთვარედანაც ჩემს თავს ვჭვრეტდი დედამინაში, როგორც სარკეში, და აქაც, იქაც იყო უფსკრული...

საშინელია მარტოობა ასეთ ღამეში!..

და დავინახე ჩემსკენ მავალი შავი რამ სახე. მყისვე შევდექი. რა არის მეთქი ეს შავი სახე? საიდან გაჩნდა, რომ არსად იყო?..

— ჰეი, ვინა ხარ?

პასუხი არ არის. ჩემსკენ კი მოდის. შავია იგი და ლანდს წააგავს, როგორც მგონია!

ლანდი?.. ვისი, ან რასი?.. ნამდვილს ვერ ვხედავ!

— შესდექი მეთქი!!

...მთვარიან ღამეში მოჩვენებები ხშირია, ვიცი: — ხეც კი ჩაიდგამს ხან-და-ხან სულ-სა მთვარიან ღამეში. ქვაც გამოისხამს ხელ-ფეხსა. ხშირად და... ნაფეხურებიც შარა გზის ზურგზე ტან-ხორც შესხმულნი მიმოდიან ხოლმე ასეთ ღამეში. ვიცი. მინახავს. მაგრამ ეს სახე ერთი რად არის? მაგრამ ეს სახე ასეთი რად არის?

— ჰეი, ვინა ხარ?

პასუხი არ არის!.. ჩემსკენ კი მოდის... ვგრძნობ, მე მიცქერის მისი თვალები...

— შესდექი მეთქი!

...მთვარიან ღამეში ტყის დედოფლები მიმოჰქრიან კიდიით-კიდე. მამაკაცებთან ტრფი-ალი უყვართ. სასიყვარულო ყინი სჭირს ყველას მთვარიან ღამეში. სოფელს შიში აქვს ტყის დედოფლების: იმათი კოცნა სასიკვდილოა, იმდენად არის ის ვნებიანი! ვიცი. მსმენია. მაგრამ ეს სახე რომ არ არის ტყის დედოფალის?

— ჰეი, ვინა ხარ?

...ზღაპრებში ხშირად გამოგონია: გმირს ლანდი დასდევს მარტოობაში... ეს ლანდი არის მისი ღვთაების. კეთილი არის იგი უთუოდ. მაგრამ მე რომ ლმერთი არა მნამს?.. ზღაპრებიც არ მნამს დიდი ხანია... და ეს სახეცა ისე იქცევა, რომ კეთილისა არაფერი აქვს...

— შესდექი მეთქი!!

მაგრამ სახე მიახლოვდება. საშინელია მისი მიმოხვრა. მისგან სიცივის ლურსმნები სცივია. თვალებს ვერ ვუშზერ, მაგრამ ვგრძნობ კარგად, და ეს გრძნობა უფრო საშინელია! მისი ჩემს შიშსაც შეეშინდება...

— ჰეი, ვინა ხარ?

...ასეთ ღამეში მკვდრების აღდგომა დასაშვებია. იტყვიან ხოლმე, და შეიძლება მართალიც არის, რომ სული მკვდრისა ლანდის სახით დადის ღამეში... და თუ ეს სახე სულია მკვდრისა და მოდის ჩემთან შეუჩერებლად, ვინ უნდა იყოს, თუ არა მამა... ან დედა... ან ძმა... ჩემი მკვდარი, ერთი სიტყვითა!.. და მოაქვს ჩემთვის რამე ამბავი... ან დარიგება... ან გაფრთხილება... მზრუნველობა რამ ჭირისუფლური... „მამა ჩემო“ და თამამად მისკენ გავექანები... შევსდგები ისევ. „დედა ჩემო“... „მითხარ, საყვარელი ძმა თუ ხარ ჩემი?“ მაგრამ შიში, ჩემს გვერდით მყოფი, დამიხშობს პირსა და დამხვეს უკანა...

— ჰეი, ვინა ხარ?

მაგრამ ჩემი ხმა უკვე სუსტია, და სახეც იგი მომიახლოვდა.

— შესდექი მეთქი!

დავხუჭე თვალი. პირი ვიბრუნე. დავტოვე გზაშარა და გავიქეცი...

„მეუფეო ჩემო, უფალო!“ — და გავახილე თვალი მთვარეზე! დავინახე:

იქაც გავრბოდი, ხოლო შავი სახე იგი ჩემსკენ ვილოდა. დავდექ. წინ გავიხედე: მიახლოვდება იგივე სახე!

— ჰეი, ვინა ხარ?

...ღმერთმა იცის გამოცდა კაცის. ალბად არსებობს ღმერთი, განგება. მე რომ არ მნამდეს, ეს მას არ ნიშნავს, რომ არ არის იგი განგება. იჭვები ჩემი იმდენი არის, რამდენიც აზრი ამ ქვეყანაზე, და იჭვი მთავარი — მე ვარ თავად... ღმერთს სურს მოქცევა ჩემი სულისა და სახე ესე მოგზავნილია მის მიერ, რათა ვირწმუნო იგი!.. თუ ასე არის, მე კარგად მახსოვს „მამაო ჩვენო“, და პირჯვრის დაწერა ვიცი მე კარგად!.. მაგრამ ეს სახე ღვთისგან არ არის. იგი მაშინებს მე ახლა უფრო...

— ჰეი, ვინა ხარ?!

...იქნებ, ეს სახე ჩემი ლანდია, მთვარის შუქებით გატყორცნილი ჩემგან სივრცეში. თუ ასე არ არის, სადღა გავრბივარ?.. ჩემი ნამდვილი მეც იყოს იგი, საშიში მაინც აღარ იქნება. თუ ერთი ვარ, რად არ შემიძლია ორიცა ვიყო?.. თამამად მინდა გაუსწორო მე მას თვალები და გაუღიმო, ვით კეთილს ნაცნობს... მაგრამ შიში წინ დამიდგება... შემრუჯავს იგი რისხვის ცეცხლითა...

— შესდექი მეთქი!..

...მთვარიან ღამეში სიკვდილიც დადის. იგი შავია, როგორც ეს სახე. თვალებიც, ვგონებ, სიკვდილისა აქვს... იყოს სიკვდილი! განა არ ვიცი, ვერ გავექცევი ბედისწერასა!.. იყოს სიკვდილი, ოღონდ სხვა არა!.. სხვა არა ოღონდ!.. მაგრამ...

— ჰეი, ვინა ხარ?! მანდ შესდექი მეთქი!

შევაქცევ ზურგსა მე კვლავ სასწაულს და გავიქეცი ახლა სხვა მხრითა. მაგრამ პირდაპირ ჩემსკენ მომავალს დავინახავ წინ იმავე სახეს! მყისვე ვიბრუნებ კვლავ მისგან პირსა და კიდევ სხვა მხარეს ვილტვი მისაგან... ხოლო ამ მხრითაც წინ დამიდგება საშინელება.

— ჰეი, ვინა ხარ?

... საშინელია გზაზე დაბნევა. საშინელია ღამით დაბნევა. მოჩვენებებსა ჰბადევს დაბნევა და გონების ფუძე ირყევა მისგან! მაგრამ მე ხომ ჩემს სოფელში ვარ! მგონი, სახლამდის ხელითაც მივწვდე! არა! აქ თამაშია უთუოდ რამე: — აი, შუქი მთვარისა სრულიად შემთხვევით შეჭრილა ტვინში, და ერთ-ერთ უჯრედში მოთავსებულა! და იგი არის, რეფ-

ლექსის სახით რომ მევლინება ღამის სივრცეში... თუ ასე არის, ხელის შეხებით დავრწმუნდები და გავიცინებ ამ ჩემს ამბავზე!.. მაგრამ...

— ჰეი, ვინა ხარ?! შესდექი მეთქი!

ვილტვი. გავრბივარ ზურგშექცეული. მაგრამ შევსდგები ზარდაცემული: ჩემს წინ ისევ იგი სახეა. მიმოვიხედავ: ყველა მხარიდან ჩემსკენ მოიწვეს საშინელება! რამდენი არის? ერთია თითქო, მაგრამ ათასად მეხვევა გარსა. მთელი ქვეყანა ლანდებად არის გადაქცეული. ციდანაც მცვივა თავზე ლანდები!.. ერთი... იგივე აქაც, იქაცა!..

— ჰეი, ვინა ხარ?

ვერ არღვევს დუმილს ჩემი ძახილი და საშინელებით გარემოცული თითონვე ვხდები საშინელება ჩემივ თავისთვის...

უფსკრულიდან უფსკრულს ანათებს მთვარე. და შავს სახეებს ყოველ მხარიდან ჩემზე მოაქვთ იერიშები. არსაით გზა. ხსნაცა არსაით. სული ჩემი ღალადებს ლოცვას.

— მეუფეო ჩემო, უფალო! უფსკრულებს შორის ვარ მომწყვდეული!.. მაგრამ პასუხი კვლავ დუმილი არის, და დუმილი იგი უფსკრულთ უფსკრული ჩემი ყოფობის... შავთა ფრთათა ვიგრძნობ შემოკვრას...

— ჰეი, ვინა ხარ?..

ლეო ქიაჩელი

I — 1922 წ.

ნანყმედელი ბერი

I

ფილემონ ბერი...

დატვირთული სასოებითა და ლომის ფაფარით ველურად დაწეწილი შავი გრუზა თმებით... მისი გამოხედვა სასოებრივ სიცივესა და სისასტიკეს ასადგურებდა გულში. ქადაგებისას მისი სათნოებით აღსავსე თაფლის ფერი თვალები მუგუზლებივით აენთებოდნენ ხოლმე და მის ქარიშხალისაგან გაცრეცილ ბაგეთაგან ცეცხლის გველები სცვივოდა ნაპერწკლებად...

ჯუმათის მონასტერი დაეუფლა მის სულს... მონასტერი აზიდული ცაში, მონასტერი დროშის ტარის თეთრ ბუნჩუკივით ატყორცნილი ცის ლაჟვარდში, და დატვირთული ცისფერი სერაფიმებითა და ლაინის ფერი ზეცით.

ჯუმათის სერზე არ იყო გასაქანი, მისი მცირე მოედანი უფსკრულებით იყო ჩასხლეტილი და იქიდან წიფლებისა და რცხილების დაფოტრილი ხეები ბნელ ხახიან დაღრჭენილ გველშაპებივით სდარაჯობდნენ მონასტერს. აზიდულიყო იგი უფსკრულებში თეთრ უმნიკვლო დედოფალივით და ზეციდან ამაყად დასცქეროდა ფოთს, პალიასტომს, უქიმერიონს...

აჭარის მთები შორიდან სდარაჯობდნენ ბაყბაყ მდევებივით და მათს მესხიერებაში ოდნავ ილანდებოდა ამირანის ტვინის დამაბნელებელი ბრძოლა და მისი დაზიდული მკლავები, რომლის სიმძიმეს დედამინა ვერ უძლებდა და მნიფე ხილივით მოწყვეტას ღამობდა.

შორს ზღვა და იქიდან აზიდული თეთრი მოხუცებული გოლიათები, — სვანეთის ქედი და იდუმალი წარმართული ლოცვა შვიდმკლავიან მრისხანე ბოჩი-ლმერთზე. ღამით კუდიანების ასული და ამ ქედზე აბოტებული ქაჯები და უშნო ოჩი-კოჩები...

თეთრი მონასტერი კი ნაზი, როგორც კდემამოსილი დედოფალი. გრძელი ვინრო სარკმლებით და გრეხილ ვაზის ჩუქურთმებით. წმიდა სანთლისა და ჭრაქის კიაფი მთავარ ანგელოსის მინანქრიან ხატის წინ. დამწველი ლოცვა და ახლად დაღვრილ ცრემლებით გამთბარი საცრემლურები...

ირველი უსიერი ტყეები და იქა-აქ მონადირეთა მიერ დანთებულ ცეცხლისგან ავარდნილი ბოლი. წყავი და ურთხელა ეკლებში დაბურდული... მგლების ყმული და ტახების ოხვრა ნიფლებში...

შორს მეძებრების წასისიანება და მათი ყეფა. ხანდახან მონყვეტილი მენყერი და საშინელი ხრიალით დაშვება ჯუმათის უფსკრულოვან კალთებზე და ამ ხმაურობის გამოძახილებად გადატყორცნა მთის ორწოხებში და დამფრთხალ ირმების შტოებიან დაყურადებულ თავების გამოყოფა ხეებში.

ნაზი ნიამორები კისერ განვდილნი ეალერსებიან ლილის ფერ ზეცას ნებიერ ცოხნით. ასეთი იყო ჯუმათი!..

სასოება და ლოცვა იყო გამეფებული მონასტერში. ბერები ლოცვაში და ღვთის სამსახურში ატარებდნენ მთელ დროს.

მონყვეტილნი სოფელსა და მის ყრიაშულს.

ლამით მიყრუვდებოდა ხოლმე ყველაფერი და სამარისებური მყუდროება დასადგურდებოდა. მხოლოდ იქა-აქ სენაკებში გაისმოდა ლოცვის ხმა და სკვნილის გადათვლა.

მთვარე უხვად აფრქვევდა ქარვისაგან დანურულ ნელსაცხებელს და ზმანებით დაიტვირთებოდა ყველაფერი.

ხანდახან თუ გაისმოდა წმიდა, სამღვთო მუხების ძირში ტურების შემზარავი მოთქმა-კივილი და ფოცხვერის უშნო წამოყეფება.

აქედან ჰფლობდა ფილემონ ბერი გამჭრიახი თვალებით თავის სამწყსოს. მისი თვალები ბებუთივით ბასრნი იყვნენ და მის არწივისებურ გამოხედვას არაფერი დაემალებოდა.

მისი გული შენუხებული იყო გურიის მთავრის ჯაბა გურიელის უზნეო საქციელით, რომელმაც თანამეცხედრე თვისი სახლში გაუშვა და სჯულიერ მეუღლის მაგივრად აფხაზის ქალი ფერადინა დაისვა ხასად.

სარწმუნოება ილახებოდა, სარწმუნოება, რომელმაც გამოიტანა საქართველო საუკუნოების დამტკრეულ ხომალდებივით ერთი მეორესთან ჭიდილისაგან აბობოქრებულ ზღვაში.

გალაღებული საქართველო აივსო ნადავლით.

საქართველო ფუფუნებაში და ომის წყურვილში იხრწნებოდა.

ოცნება მაშრიყ-მალრიბზე გალაშქრებით...

„ვეფხის ტყაოსნის“ ვნების ცეცხლით დახვეწილი სულის აყივლება და რაინდულ ტრფობისა და გასაქანის ძიება... კარის მგოსანთა გამეტებული შეჯიბრება მეფის მადლიერ თვალების შემონათებისთვის... და შემფოთებულ წმიდა ბერს ფიცხი მინერ-მონერა ჰქონდა სინას მთაზე, ათონში, გელათში...

მისი ქადაგებანი ანთებდნენ მრევლს. ის იყო სიამაყე ჯუმათის მონასტრისა. ლამით იგი ლოცულობდა გატაცებით, ლოცულობდა სულის მიღევამდის. წმიდა და ძვირფასი სახარება ლოცულობდა აქ, სახარება ღვთიური ასოებით დანერილი. გახუნებული, გამოყვითლებული ფურცლები ეტრატისა, იქა-აქ თაფლის სანთლით დანვეთილი და სველი თითით გადაშლის გამო კუთხე აზნექილი, უნაბის ფერ მინიატურებითა და მოსიყვარულე ხელით წითელ ასომთავრულით ამოხატული ქარაგმიანი ხუცური...

და ერთ ლამით მან საშინელი, გზააუხვეველი მოუსვენრობა იგრძნო, გადაბრუნდა ხმელ სარეცელზე, სცადა წაძინება, მაგრამ თვალებს რული არ ეკიდებოდა, გადმობრუნდა, — უარესი. უეცრად წამოიჭრა თმა გაჩეჩილი ბერი, ქვეშ დაგებული ჩალა აიღო, გადაატრიალა და შემდეგ ისევ დაეშვა მონყვეტით, მაგრამ მაინც ვერ ჰპოვა მოსვენება, რა

ანუხებს ასე წმიდა მოძღვარს, რა?... რა უფროსობს ძილს, რატომ არ უნდა ვილაცას, იმ მოუსვენარს მთელი დღით დამაშვრალ ბერს მოსვენების ნება მისცეს.

ბევრი იტრიალა ბერმა სარეცელში, ბევრი, მაგრამ არ იქნა... უეცრად მას რაღაც, თითქოს თავის ხირხნასავით მოესმა სენაკის კუთხეში. დააკვირდა, — არაფერი. ხირხნა კიდევ განაგრძობდა, ბერი დააშტერდა და უეცრად მან დაინახა, რომ საზიზლარი, მაიმუნის ლეკვის ოდენი ჭინკა გადმოხტა კუთხიდან და ხითხითებდა იგი, ხითხითებდა და ხითხითით ელვის სისწრაფით შეხტა ბუხარში და სახურავში აიჭრა.

შემფოთებული ბერი წამოიჭრა, გაჰკრა კვეს-აბედს, აანთო თავლის სანთელი ხატის წინაშე, დაემხო და ლოცულობდა, ლოცულობდა... ჯაბა გურიელის საქციელი უნდა იქმნას გამოსწორებული, მაშ, რა არის ეს ჭინკები წმიდა სენაკში... სამწყსო წარყვნილი იყო ასეთი მაგალითით და ბერს ბოლო უნდა მოელო ასეთ უსჯულოებისათვის. დიდხანს ლოცულობდა ბერი დამხოზილი ოდნავ მონითანოდ განათებულ სენაკში, სადაც ხახვის ფრად და უცნაურად ილანდებოდა მთავარ ანგელოსის ხატი. სინყნარე იყო სამარისებური და ამ სინყნარეს, თითქოს კიდევ უფრო აძლიერებდა სადღაც ქვევით, უფსკრულში ერთფეროვნად მოჩხრიალე ნაკადული. გამოწითლებული ფიცრით ნაშენი სენაკი დანესტილი იყო თავლის სანთლისა და საკმეველის სუნით და სული მძიმდებოდა, ბრუვდებოდა...

და ბერის განიერი ბეჭები ისე იყვნენ წახრილნი, თითქოს ვერ უძლებდნენ სასოების სიმძიმეს, თითქოს ეს ბეჭები დატვირთული იყო ჯუმათით და იზნიქებოდა, ტყდებოდა...

ლოცულობდა იგი დიდხანს, ლოცულობდა... მისი თვალები, დაინამა მომჯადოებლად წმიდა სანთელზე მოკიაფე ცრემლებით. ლოცულობდა ბოლმის შემონოლამდის.

და მან თავი ისე იგრძნო, თითქოს იღრჩობოდა, სულთქმა ეკვროდა, თითქოს ტვინი გადუბრუნდა, ტვინი ეღრძო და ბნელდებოდა ყოველივე იბინდებოდა. და ამ სიბნელეში გაისმა ტვინის დამაბნელებელი გრიალი, თვალების დამთხრელმა ელვამ გაჰზარა უკუნეთი და დიდი, უზარმაზარი ღმერთი ჩამოინგრა ზეციდან, დაეცა დედამინაზე და საშინელი ქუხილით და ბრწყინვალეობით გაივსო ყველაფერი, შიგნიდან გამომდინარე ბრწყინვალეობით; დაეცა ღმერთი დედამინაზე დიდი, თვალუნვდენი, ჯუმათის სერის ოდენი, არა, როგორც სვანეთის ქედი, არა, კიდევ უფრო დიდი, უფრო განუზომელი და მის დაცემაზე შეირყა დედამინა, დაიბზარა და ბერმა იგრძნო, რომ ფეხქვეშ დედამინა იფშვნიტებოდა, აიმტვერა, აიმტუტა ყველაფერი მტვერითა და ალიაქოთით და ბერმა იგრძნო, რომ მისი სხეული დადნა ღმერთის ბრწყინვალეებაში და ღმერთში დანთქმული მიჰქრა სადღაც, მიიბნადა...

მეორე დღით ფილემონ ბერი გულშენუხებული იპოვეს ბერებმა თავის სენაკში და პირჯვრის წერით ამბობდნენ, რომ იმ ღამით დიდი მინის ძვრა იყო...

II

გურიელის სასახლე... დარბაზი... გაშლილი გრძელი სუფრა... ყანწები და კულები ერთი მეორეს ეცილებიან პირველობაში... საჭმელში დასვრილი თითები... სიმღერა... ქეიფი... ბადიებისა და აზარფეშების შეჯახება... ლოთური ბუტბუტი:

— გაუმარჯოს მეფე თამარს, გაუმარჯოს, მის ახლად შეძენილ ვაჟს!..

ზეიმი... ჰაერში ატაცებული სასმისები... ახლად შეძენილ ტახტის მემკვიდრის საბედოთ გალაშქრებაზე ოცნება... მაშრიყი და უთვალავი ძვირფასი ქვებისა და ხალების თვალის მომჭრელი ფერხული... გაისმის მშობლიური სახელები:

— ტაბახმელა...

— გეგუთი და გელათი...

— უფლის ციხე...

— რუის-ურბნისი...

სახელები ცეკვავენ ძვირფას ქვების ფერხულში, ირევინან...

ჯაბა გურიელი ზის კუშტი, მოჭმუხვნილი... მის მოუხეშავ მზისგან გამომწვარ სახეზე ხმლის მორჩენილი ჭრილობა ნაოჭდება...

ქულაჯები და ყარყუმის ბენვი ეალერსება სტუმართ სხეულებს...

ძვირფასი ქვები კისკასობენ ბანოვანთა ოქსინოს და დიბის სამოსელზე... ლავაშები ჭანდრის ფურცლებივით იხევიან... ღვინო ნიაღვარივით თქრიალებს შექეფიანებულ სტუმართა ძარღვებში... ირევა ფერები, შეშლილი დარბაზი ტრიალებს მომჯადოებელ სინაზით... თამადა ხელმძღვანელობს სუფრას და მისი ომახიანი ბრძანება გრგვინავს დარბაზში...

იქ ვიღაც ღლინებს თავისთვის... აქ გატაცებული ბაასი ცხენის ღირსებაზე...

დავა ისრის ტყორცნაში და მემიზნეობაზე... ფერადინა კი ზის ბანოვანთა შორის ამაყი და უღვთო თავის სილამაზით... ქართული კაბით ამოსხეპილი წელი... წინ გადმონოლილი დალალები... მისი თვალები ორ დობილ ღამესავით არის მიბნელებული და შიგ ორი ნაღვერდალი იღველფება დამწველად...

ვნებიანი ზმორება... განუსაზღვრელი ჟინი გაშიშვლებისა და ცხელ ქვიშაზე გორვისა... ღვინო ნიაღვარივით იღვრება იატაკზე... მანდილოსანთა მაშაიები სისხლის ფრად არიან მტრედის ფეხებივით შეღებილნი დაღვრილ ღვინოში...

საზი და ზურნა... შექეფიანებულ მონადიმეთა ზმებით გაშირება...

ერთი სასტიკი ზმა გადასროლილი მეორისაკენ...

რისხვა და მეხი ამის გამო... ხმალში განწვევა... მანდილოსანთა შემკრთალი სახეები...

ჯაბას სისხლს მონყურებული თვალები...

მონინაალმდეგეთა თვალების აკვესება... ხმლის აელვება და სუფრაზე გადაფრენა... თვალის დახამხამება და გულგანგმირული მონინაალმდეგე სისხლის ფერ ქულაჯით სცურავს თავისსავე სისხლში...

ღვინო და სისხლი... ჩოჩქოლი და აურ-ზაური...

თამადა წესიერებისაკენ მოუწოდებს...

— განა ღირს ქეიფში დაღვრილ სისხლზე ასეთი ამბავი?..

ყიყინა და ღრიანცელი... სისხლი და ღვინო აბნელებს თვალებს...

სისხლისა და ღვინის წყურვილი... სისხლის ალებისაკენ მოწოდება...

ხმლების ჩხარუნი...

უეცრად გაისმის ომახიანი ბრძანება გურიელისა და ფერ დაკარგული ხმლები ქარქაშებს ეძებენ დასამალავად...

მოკლული გააქვთ...

რჩება ცარიელი სკამი მოკლულის მაგივრად!..

ცარიელი და დამნაღვლიანებელი სიცარიელით!..

ობოლი სკამი!.. ცარიელ სკამში მოკლულის სისხლიანი ლანდი!..

მოკლულის ლანდი და ქეიფი...

წინნილ-ებნის კვნესა... ჟინიანი ზმორება ვაჟკაცებისა... უღვაშების თავმომნონე გრეხა და მოჯავარებული ხმლის ტარზე ხელის შევლება...

ფერადინა ზის ანთებული ცეცხლის ფაფარივით, მზაკვრულ მოხდენილობით...

საზი უკრავს მხიარულ, ვნებიან ცეკვას...

— ფერადინა, ჩემო საუნჯევ, იცეკვე, ფერადინა, იცეკვე და ისიც მხოლოდ ჩემთვის!.. — ევედრებოდა ჯაბა ფერადინას, — ყველას თვალებს დავთხრი, ვინც შენის ცეკვით დასტკება!.. მაშხალით ამოვწვავ თვალებს!.. იცეკვე ფერადინა, იცეკვე და მთელი ნადავლი, ჩამოტანილი ქირმანიდან შენ ფეხთ ქვეშ დაიფანტება...

ფერადინა უარზე არის... კოპწიაობს... მაგრამ ჯაბას მუდარა მაინც სჭრის...

დგება ფერადინა მოღერებული, როგორც გედის ყელი... საზის ხმაზე ერთი ვნებიანად შეკრთება, წელში ონავრულად მოზიდულ მშვილდევით გაიმართება, გაშლის მკლავებს და დაუვლის ფერადინა... ცეკვავს ფერადინა... ცეკვავს გატაცებით, ცეკვავს თავდავინყებით, ვნებით და მისი ლამაზი მაშაია, მისი ლამაზი ფეხები ისვრება უხვად დაღვრილ სისხლში და ღვინოში... დარბაზი იბნიდება... რინდება... და მისი მოხდენილი სხეული თეთრ სამოსელში გაშიშვლებული სატევარივით ელავს დარბაზში... ცეკვავს იგი სისხლში და ღვინოში...

თვითონ სისხლი და ღვინო...

სტუმრები გარინდებულნი... თამადა მიყუჩებული... ყველა აღგზნებული...

ჯაბას ხარბი თვალები...

ჰქრება ყველაფერი, არაფერი არ არსებობს გარდა ფერადინას აელვარებული, ავარვარებული ცეკვისა...

და უეცრად იღება კარი... იღება კარი და იმართება შავი ბერი სათნოებით ანთებულ თვალებით...

ჯვარი და ღვინო...

ბერი ფერადინას დანახვისას თითქოს შეკრთა...

რა ემართება ბერს?... არაფერი!.. არაფერი... იგი ისევ ის წმიდა ბერია...

და გაისმის საშინელი წყევა ბერისა!.. შერვენების სიტყვები მორიელელებით იკრუნჩხებიან დარბაზში და ჰშხამავენ მსმენელთ...

ზარდაცემული ფერადინა ფეხის თითებზე გაყინული...

სტუმრები შემკრთალ სახეებით... რისხვა და მეხი...

გარინდებული, უმწეოდ მიყუჩებული დარბაზი...

ზარდაცემული სტუმრები ენა ჩავარდნილნი... გარინდება და დაბნევა...

მოკლულის ცარიელი სკამი დამნაღვლიანებლად...

და ფერადინა ჰქრება დარბაზში...

ფერადინა ბერმა გაიტაცა...

ფერადინა ბერს ეკუთვნის...

ფერადინა ჯუმათს ეზიარა...

ჯაბა ფერდაკარგული... სტუმრები გაქვავებულნი...

გათავდა ნადიმი...

III

ღამე წყნარი ანგელოსებით დათოვლილი.

ქვევით ღრანტეში ნაკადულის ხმაურობა და ნისქვილის ნაღვლიანი ერთფეროვანი ხრიალი...

ცა ლურჯი, მთვარით მოღერებული... უცნაური ლანდები...

დიდხანს ლოცულობდა ბერი თავის სენაკში, დიდხანს... გამოვიდა გარეთ გოროზი, შავი... გაიარ-გამოიარა... შემოუარა მონასტერს... მივიდა უფსკრულის პირთან და შეჩერდა... მის სულს მოსვენებას არ აძლევდა რაღაც ეჭვები...

რა დაემართა ბერს იქ გურიელის სასახლეში, რამ შეაკრთო იგი?..

ნუ თუ ფერადინას დანახვამ შეაპარა მის სულში ცოდვილობის გველი?... არა, არა!.. იგი მტკიცეა და ამაყი თავისი წმიდა ჯვარით!..

ბევრი ილოცა, მაგრამ სულს სიმტკიცე მაინც აკლდა...

შორს, სადღაც ტყეში ბუმ საზარლად დაიჭყვივლა... ბერი შეკრთა... პირჯვარი გადისა... სადღაც ტყის სიღრმიდან ნალვლიანად გაისმოდა წრომის იდუმალი ძახილი...

ბერი კი იდგა ეჭვებით სავსე... მას რაღაც ანუხებდა სასტიკად...

წამონვა უფსკრულის პირას და შორს მთვარის სხივებით რძის ფრად მოლანდულ ეწერს დაამტერდა...

დიდხანს ფიქრობდა იგი, დიდხანს...

იქვე მონასტრის თავლაში ჯორმა დაიფრუტუნა, რაზედაც შემკრთალი ბერი შეხტა, წამოიწია, მაგრამ ისევ ჩაიკეცა...

სენაკები მიბნელებული... მხოლოდ ერთ სენაკში ბუფტავს ნალვლიანად სისხლნაკლები ჭრაქი...

ეს ფერადინას სენაკი იყო...

სენაკის გვერდით ისლით დახურული ხულა იდგა როკაპივით იდუმალად მოფუსფუსე წელში მოხრილ კბილჩაცვენელ დედაბერივით შიშის მომგვრელი ღამურ ლანდებით...

დიდხანს ფიქრობდა ბერი, დიდხანს... რაღაც სასტიკი არ ასვენებდა მის გულს და თითქოს ჰზომავდა რაღაცას... მერე კანკალით შუბლზე ხელი გადისვა... ჩაფიქრდა... უეცრად იგი წამოიჭრა, გაიმართა ახოვანი წელში, ცალი ხელი ზევით ასწია, თვალეები ზეცაში ალაპყრო და ხმა მაღლა დაიძახა:

— მე მრწამს!..

— მე მრწამს!.. — გაიმეორა გამოჯავრებით, თითქოს დაცინვითაც, სადღაც მთის ნაპრალებში გამოქვაბულში მიკუნჭულმა გამოძახილმა...

— მე მრწამს!!! — გადათამაშდა კიდევ სადღაც შორს გამომხაურებით... და მთები შეზანზარდნენ, თითქოს შეირყნენ გუგუნით გოლიათების ქუდებივით...

ბერი დიდხანს უსმენდა ნაპრალებში მოგუგუნე გამოძახილებს... მერე მხრები სასაცილოდ აიჩეჩა და მწარე ღიმილი გაისრისა მის ბაგეებზე...

სიჩუმე...

ბერი დგას შავი ყორანივით, შავი უმწეო ღიმილთ...

— ფრთხილად, ბერო, ფრთხილად!.. — ჩაიხითხითა იქვე, ჯაგებში ვილაცამ.

ბერმა მოიხედა და ჯაგებში მიმალული ცბიერი, გარუჯული ჭინკა დაინახა და ზარდაცემული უკან მოაწყდა პირჯვრის გამოსახვით, მაგრამ მან იგრძნო, რომ მხარზე რაღაც დააჯდა და ხელს უკავებდა, ხელს უშლიდა ჯვრის გამოსახვაში, წაივლო მხარზე ხელი და გარუჯული ჭინკა ხელიდან კალმახივით გაუსხლტა, საოცარ ჭიხვინით გადახტა და წიფლის ღრუში შეძვრა..

და ხითხითებდა ჭინკა ღრუში, ხითხითებდა და მუცელზე ხელს ივლებდა თავშესაქცევ ოხვრით...

ბერმა პირჯვარი გადაისახა და შემფოთებული მოჰშორდა ნაწყმედილ ადგილს...

შეხედა ზეცას, შეხედა მთვარეს და აპყრობილ ხელებით დაემხო მუხლებზე... ლოცულობდა იგი, მაგრამ ის მუნიანი ჭინკა მაინც არ ჰშორდებოდა მის გონებას, ის ერთი ბენვა, ერთი ციდა... მან მეტი ვერ შესძლო და მტკიცე, გადანყვეტილი ნაბიჯით გასწია სენაკისაკენ... გადასწყვიტა მოქცევა ფერადინასი და დედათა მონასტერში გაგზავნა.

გველის წინილი მოშორებულ უნდა იქმნას...

აი, მივიდა სენაკთან, ცოტა ხანს შეჩერდა, ყური მიუგდო, — სიჩუმე იყო სამარისებური. კიდევ დაუკაკუნა, — ხმა მაინც არ ისმის.

ბერმა შეალო კარი და მის თვალთ წინ წარმოდგა სურათი საშინელი თავისი ცოდვილობით, ქალი იმავე სამოსელით, იმავე სისხლში და ღვინოში დასვრილ მაშაიებით იწვა

ხმელ ლოგინზე და ეძინა, ეძინა უღვთოდ ლამაზს, მზაკვრულად მომხიბლავს... საყელოს საკინძე გაჰხსნოდა და სპილოს ძვალივით თეთრი მკერდი გამოსჩენოდა... დათლილი ფეხები წვივებამდის უჩანდა და ისე მომხიბლავი იყო იგი ღარიბ საკანში, სადაც გამხდარი ხატები და გამხმარი ბზის შტო ეკიდა, რომ ბერს სულს შესტაცა და კედელს მიეყრდნო, ხელი უხერხულად იქვე სპილენძის თუნგს ნაჰკრა და ხმაურობით ძირს დაგორდა.

ფერადინა შეკრთა, თვალეები მოიფშვნიტა, ტანში ველურ კატასავით ონავრულად გაიზმორა და ბერის დანახვისთანავე შემკრთალი წამოიწია, შემდეგ თითქოს რაღაც ცბიერი აზრი დაებადაო თავში ჩაიკეცა, ღიმილით ხელახლა გაიზმორა და მკერდი მთლად გაელეღა... გატყდა ბერი...

მას მუხლებმა უსუსტეს და ერთი პირობა გაქცევაც კი დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა.

— რა გინდა, ბერო?... — შეეკითხა იგი ბერს და მომხიბლავი თვალეები მიანათა...

ბერმა ძალა მოიკრიფა და მტკიცე ნაბიჯით წარდგა წინ.

— მოგინოდებ შენ, ასულო ბაბილონისავ, განუტევო მრუშობა და ღიზლობა, რამეთუ მოვა ქრისტე და მსაჯული ქვეყანასა და გვენასა და კუპრს მიეცემა სანამებლად სული შენი!.. — დაჰქუხა ბერმა რისხვით.

ქალი, თითქოს ერთი პირობა შეკრთა, მერე გადანვა სარეცელზე და მცირე ხანს შემდეგ წყნარი, დამცინავი კისკისი გაისმა მისი; კისკისებდა იგი, კისკისებდა და მთელი მკერდი უტოკავდა სიცილით.

მერე უეცრად წამოიწია, ალაპყრო ხელები და ანთებული, აგიზგიზებული თვალეებით დაინყო:

— რა კარგი ხმა გაქვს, ბერო, შენ, რა კარგი!.. სთქვი კიდევ რამე, სთქვი, მათრიე, მლანძღე, ოლონდ ხმა ამოიღე!.. მე მინდა, კიდევ გავიგონო შენი ხმა, იგი გამოქვაბულივით, არა!.. იგი ზარივით გუგუნობს!.. მე მიყვარს ზარის ხმა, მაგრამ არ მიყვარს მისკენ წასვლა!.. სთქვი, ბერო, რამე, სთქვი!.. სწორედ ასე გუგუნობდა შენი ხმა იქ, სასახლეში და ამ ხმას გამოვედევნე!.. შენ წმიდა ბერი ხარ!.. შენ წმიდა ხარ, ბერო, მაგრამ მე არ მესმის შენი სინმიდე!.. რა ნება გაქვს შენ იყო წმიდა და უცოდველი ამდენ ცოდვილებში?... ვინ მოგცა მაგის ნება!.. შენ, უმანკო ბერო, არ იცი, რა არის სიცოცხლე, არ იცი, რა ტკბილია სიცოცხლეში თავდავიწყება... მითხარი რამე, ბერო, მითხარი, მე ველი შენ ხმას, მე ვიძირები შენი ხმის გუგუნში და ისე კარგია იქ, ისე კარგი!..

შეჩერდა ფერადინა და უსაზღვროდ მოწყურებული თვალეებით შესცქეროდა ბერს, თითქოს მის სულში ჩაძვრომას ლამობდა...

ბერს თითქოს ურო დაჰკრესო თავში ისე გარეგტა... არაფერი ესმოდა, განძრევაც კი არ შეეძლო ისე გაიყინა, ამოსუნთქვაც კი ვერ მოეხერხებინა!.. თბილად და მყრყოლავი უჩვეული სიტკბოთი ჩქრიალებდა მის გულში რაღაც...

ხედვა დაუბნელდა და ყველაფერი თვალის მომჭრელ სისწრაფით ტრიალობდა... ფერადინამ ხელახლა დაინყო ვნება აფიცხებულმა ხმის ცახცახით:

— შეხედე ამ მკლავებს, შეხედე ამ მკერდს, რომელიც ასე ახალგაზდურად ჰფეთქს, რისთვის მომცა იგი მსაჯულმა თუ მისით არ დავთვრები!.. რისთვის გაქვს ეგ ლამაზი ხუჭუჭი წვერები, თუ მასში ქალის კოცნას არ დაარჩობ, რისთვის გაქვს ეგ ანთებული თვალეები თუ მისით სიცოცხლეს არ დასწვავ!.. არა ბერო, არა!.. მე არ მესმის შენი სიტყვები და გამანებე თავი!.. — დაიძახა ჯიუტად მან და მერე უეცრად მოშვებული, კატასავით ზმორებით მისკენ გადიზიდა და წვერებში ხელით წაეტანა.

ბერი ხმას არ იღებდა.

— ჰხედავ ჩემ სხეულს, როგორ დნება იგი ცეცხლის მოლოდინით, როგორ იღველფება?... შეხედე ჩემ მკლავებს. განა იგი იმიტომ არ იღუნება, რომ ვნება აფიცხებული ვაჟი მიიკრას მცხუნვარე მკერდში. — განაგრძობდა ფერადინა უღვთო, ბოროტი...

ბერმა შეჰხედა ქალის მკლავებს.

ბერის ფიქრები:

მაშ, რისთვის იყო საჭირო ასეთი მოხდენილი მკლავები, ეს ღამური თვალები, ეს აშოლტილი, ალორთქილი სხეული?..

და მან იგრძნო თითქოს ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა და სადღაც სივრცეში მისცურავდა. აირია ყველაფერი, აიმღვრა, ამტუტდა და ამ ამღვრევაში ბერს რაღაც სიმღერა მოესმა, ყური მიუგდო: სიმღერა გარკვევით ესმოდა, საოცარი სიმღერა, ტკბილი და მყრყოლავი... ხმები უსაზღვრო ჟინიანობით, ბუმბლიან ვნებაატანილ კატეგორიით იზმორებოდნენ, იკრუნჩხებოდნენ და ჰკოცნიდნენ წვერებს, ჰკოცნიდნენ ღაწვებს... ეს სისხლის სიმღერა იყო, სიმღერა ალგზნებული, მცხუნვარე და ტკბილი... გაყურდა ბერი და ყურს უგდებს ამ ქარიშხლიან, ანთებულ სიმღერას, ყურს უგდებს ბერი და თითქოს ჰქრება ყველაფერი და სიმღერაა მხოლოდ და სხვა არაფერი, სისხლის სიმღერა.

და იგი ჰგრძნობს ამ გაბრუებაში, თითქოს ვიღაცა ფათურობს მის სხეულში და სულში მიუძვრება სასიამოვნოდ და ისიც უსაზღვრო ნეტარებაში დაღევს სულს, დაიკარგება... ნეტარებაში... დაიკარგება... ოჰ, რა კარგია ასე, რა კარგი!..

ბერი მიფრინავს სადღაც, სიმღერა თანდათან ძლიერდება, ცხელდება და იგი იწვის ამ მდულარებაში, ცხელი სიმღერა სწვავს მას, სული ეხუთება, იკარგება... აი, ქრება... აი... აი... გაჰქრა...

და უეცრად გაისმის ტვინის დამაბნელებელი კისკის-კივილი, შეუბრალებელი და თვალის დახამხამებაში იფშვნიტება ყველაფერი, ქრება...

კივილი:

— ნანყდა ბერი!.. ნანყდა ბერი!..

ბერი თმაში ხელნატანებული მოიკუმშება და გააფთრებული საზარლად დაჰკაკლავს თვალებს. მერე კარისკენ შემოტრიალდება და უშნო ძუნძულით გაიჭრება გარეთ, ფეხებში ის მუნიანი ჭინკა წამოედება, წაიქცევა, წამოდგება და წელმონყვეტილი მილასლასებს გარისხული.

— ნანყდა ბერი!.. ნანყდა ბერი!.. — გაისმის საშინელი წივილი ფერადინასი.

ბერი თითქოს ახლა მიხვდაო მთელის სიმძაფრით ამ სიტყვის მნიშვნელობას, შეჩერდა, მერე საშინლად ამოიგმინა და გაიქცა. მირბოდა ფილემონ ბერი, მირბოდა და მას უკან მისდევდა ცალი ხელით კაბის კალთა ანეული ფერადინა საზარელი ხარხარით, მისდევდა... მიირბინა უფსკრულთან, შეჩერდა, ერთი საზარლად დაიღრიალა, დაეცა მიწაზე და საშინლად გრეხა დაიწყო. ხოხავდა მიწაზე, დაჭრილ ნადირივით ღმუოდა შეშლილი, დაკაკლული თვალებით.

ფერადინა კი ხარხარებდა, კისკისებდა...

უეცრად ბერი გაყურდა, თითქოს დამშვიდდა კიდეც, მერე წელი ძლივს აითრია, წამოდგა, მაგრამ მუხლებმა უსუსტეს, ფეხი წაუსხლტა, თავი ვერ შეიკავა და თვალუნვდენ უფსკრულში კაბა გაფრიალებული ფრთა მოტეხილ ყორანივით გადემშვა...

სადღაც სიღრმეში ხრიალი გაისმა და ქვევით უფსკრულის კალთებზე რაღაც დაემშვა ხმაურობით.

— ნანყდა ბერი!.. ნანყდა ბერი!.. — ჰკიოდა ფერადინა.

— ნანყდა ბერი!.. ნანყდა ბერი!.. — უპასუხებდა გამოძახილი.

— ნანყდა ბერი!.. ნანყდა ბერი!.. — ესროდნენ მთის ნაპრალები ერთი მეორეს ჭორიკანა დედაკაცებით.

დემნა შენგელაძე

იანვარი, 1922 წ., დედა ქალაქი

პოეტი და რითმა

რიტმა არ არის მხოლოდ სამკაული, როგორც ბევრს ჰგონია, არც „შაურიანი სათამაშო, ფანჯრიდან გადასაგდები“... რიტმა ორგანიულად დაკავშირებულია ლექსთან.

შეიძლება ლექსი ურითმოდ დაიწეროს, მაშინ პოეტს უფრო მარჯვედ უჭირავს ხელში პოეტური იდეის სადავე. მაგრამ როცა სტრიქონებში რითმები შემოდის, მათ შემოაქვთ, გარდა მუსიკალური ეფექტებისა, სახეთა და იდეათა ფერისცვალება.

ურითმო ლექსის წერის დროს პოეტი უფრო თავისუფალია და მეტის სითამამით მისდევს იდეის განვითარებას. მაგრამ თუ მან რითმას დაუძახა, იგი შემოიჭრება ლექსში საკუთარი ენერგიით, იზიდავს მოულოდნელ სახეებს, ხშირად უეცრად სცვლის პოეტური იდეის მიმართულებას და გაგიჟებული ცხენებივით მიაქანებს ანთებულ სტრიქონებს უფსკრულისაკენ.

თუ ურითმო ლექსში პოეტი ისე იმორჩილებს სიტყვებს, როგორც თიხას მოქანდაკე, იგი ებრძვის ხშირად რითმებს, როგორც ყაჩაღების თავდასხმას, და ყოველ პოეტის შემოქმედებაში იცის მომენტი, როცა ის ძალაუვნებურად მიჰყვება დანყვილებულ სიტყვების ჯადოსნურ ფერხულს.

ყოველ ენას აქვს მისთვის დამახასიათებელი რითმის ინტონაცია. ამიტომ არის ასე ძნელი (იქნება შეუძლებელიც!) ლექსის თარგმნა. ვერცხლის ეჟენებივით ანკრიალებული რითმები სხვა ენაზე ხშირად ითარგმნება დამუნჯებულ, ან ხრინწიანი სიტყვებით.

ქართულ ლექსს უფრო ემარჯვება ჯვარედინი რითმა. პირველი ორი სტრიქონი მოლოდინის მყუდროებით არის მოცული. სტრიქონების ბოლოს პატარძლებივით სხდებიან ნილაბ-აფარებული სიტყვები და არავინ იცის, ვის უძახიან, ან საიდან ელიან გამოძახილს. ეს მოლოდინი განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით აცხოველებს პოეტის ინტერესს. ერთი წამიც — და უცნობ სამყაროდან მოჰქრიან საქმრო-რიტმები და მესამე და მეოთხე სტრიქონს საქორწილო მუსიკით ახმაურებენ.

ხშირად პირველი რითმა მორცხვია, სადა და უჩინარი. დაჯდება წყნარად და მორჩილად იყურება დაუსრულებელ სივრცეში. მაგრამ საპასუხო რითმა ისეთი ელვარებით მოვარდება, რომ სრულიად ახალ ელფერს აძლევს პირველს და წინად უბრალო სიტყვა, ბედნიერი შეხვედრით ანთებული, იცვლის სამოსს და იძლევა მოულოდნელ ბრწყინვალეებას. ხშირად, პირიქით, თავისთავად მუსიკალური სიტყვა, შეუფერებელი დაუღლების მეოხებით, ჰკარგავს თავის ღირსებას და გაუმართავ სიმღვით ყალბდება.

რამდენად დამორებულია ერთმანეთს გრამატიკულად რითმები, იმდენად სალია და ნაყოფიერი მათი დანყვილება. ნათესავურად დაახლოებულ სიტყვების დაკავშირება ქმნის სისხლის აღრევის შთაბეჭდილებას და წარმოშობს არასასიამოვნო ეფექტს.

არ ვარგა ლექსი უფრო და უხმო რითმებით გაღარიბებული. მაგრამ არც ზედმეტი ელვარებით და ხმაურობით უნდა იყოს იგი დამძიმებული. ესთეტიურად გამართულ ლექსში ზოგი რითმა მოდის ფრთხილად, შეუმჩნევლად და ჩუმად ჰკოცნის თავის ტოლს, როგორც პეპელა — ყვავილს. ზოგი კი იმდენად სავსეა მიმზიდველობის ვნებით, რომ საპასუხო სტრიქონის პირველ სიტყვებშივე ახმაურდება და ბოლოს შეუკავებელი ენერგიით ეჯახება მისს გამომწვევ რითმას. ასეთი დაჯახება ანთებს ნაპერწკლებს და ორ სტრიქონს ამსგავსებს ორ ჟინჯილს. ეს არის რითმების დუელი, რომელიც კარგ ლექსში უთუოდ მუსიკალური შერიგებით გათავდება.

ერთფეროვანი და მოსაწყენი იქნება ლექსი, თუ იქ ყველა რითმების შეხვედრა შეყვარებულთა პაემანს ემსგავსება. ზოგი მათ შორის ძალით ჯვარდანერილებივით უნდა გაურბოდეს ერთმანეთს. ასეთი რითმები დისონანსში გადავა და ლექსს აამღერებს ახალი სიმით.

ყოველ პოეტს აქვს საკუთარი გემოვნება რითმების შერჩევის. ზოგს უყვარს ნაზი, კდემა-მოსილი, ჩუმი რითმა, უბრალო, უსამკაულო. ზოგის რითმა თვალის მომჭრელ ფე-

რადებით არის მორთული და ორკესტრივით ხმაურობს. არის რითმების მონასტერი, არის ჰარამხანაც.

სხვისი ჰარამხანიდან რითმის მოტაცება სათაკილოა პოეტისათვის. მაგრამ აქ ხშირად ხდება გაუგებრობა. შესაძლოა ერთი და იგივე რითმა ესტუმროს ორ პოეტს სხვა და სხვა დროს. ამ შემთხვევაში სხვისი რითმის მითვისება უნებურია და ბრალი ედება მოლაღატე რითმას, რომელიც თითონ მირბის ერთი პოეტის ჰარამხანიდან მეორე პოეტთან.

პოეტს რითმა უყვარს მხოლოდ ერთი შეხვედრისათვის: შემდეგ მას სტოვებს სამუდამოდ და ახალს ეძებს. ლექსი ათას-ერთი ღამის სიყვარულისა და სიკვდილის სარეცელია რითმისათვის.

მაგრამ არის შემთხვევა, როცა პოეტს არაჩვეულებრივ სიამეს ჰგვრის ძველი რითმის მობრუნება ახალ სულიერ განწყობილებაში, როცა მიმდინარე განცდათა ქაოსში უეცრად იელვებს დიდხნის დაკარგული მეგობრის ძვირფასი სახე.

ამგვარი შეხვედრა ჰგავს გაყრილ ცოლთან ფლირტის განახლებას.

მაგრამ სიყვარულის ასეთი მობრუნება ყოველთვის იშვიათია.

მხოლოდ უნიჭო პოეტს გაუჩნდება რითმა — შეხერაზადა, რომელიც არ მოშორდება ათას-ერთ სტრიქონს.

დონალი

რომენ როლან: „ჟან კრისტოფ“

რომენ როლან ჩვენში უცნობი მწერალია. რუსეთშიაც ნაკლებად იცნობენ მას, მიუხედავად იმისა, რომ ევროპიული ლიტერატურა საზოგადოდ დიდს ბაზარს ჰპოვებს რუსეთში და ყოველი სიტყვა ახალი დაუყოვნებლივად ითარგმნება რუსულად. რომენ როლანის „ჟან კრისტოფ“-ის მხოლოდ ოთხი თუ ხუთი წიგნია რუსულზე თარგმნილი, თუ არ ვცდები, ხოლო ლიტერატურა ამ არაჩვეულებრივი შრომის შესახებ სულაც არ არის, თუ არ ვიანგარიშებთ რუსული პრესის ორიოდ უმნიშვნელო ბიბლიოგრაფიულს ცნობას. — შეიძლება ეს იმიტაც აიხსნებოდეს, რომ რუსეთს ყავს ლ. ტოლსტოი და თ. დოსტოევისკი, რომლებთანაც რ. როლანს დიდი ლიტერატურული მსგავსება აქვს, განსაკუთრებით პირველთან.

ყოველ შემთხვევაში, რომენ როლან დიდი მწერალია დღევანდელი ევროპისა და მისი „ჟან კრისტოფ“ დიდი ლიტერატურული მოვლენა.

საფრანგეთში რომანის სახე ისეა ჩამოყალიბებული, რომ ყოველს ახალს მოვლენას ამ სფეროში დიდი დრო და ხანი სჭირია, რომ მის გარშემო ლიტერატურული ორიენტაცია მოხდეს. ცნობილია ფრანგების ლიტერატურული გემოვნების განებივრება. მთელი რიგი პირველ ხარისხოვან რომანისტებისა, რომელთა სახელები საქვეყნოდ არიან ცნობილნი, შემქმნელია ისეთის მონუმენტებისა, რომ რომანისტს სხვა გზა არა აქვს, თუ არა მიღება მათის სტილისა და ზომის, შეთვისება მათის ფორმისა და კონცეპციის.

რომენ როლან ამ მხრით არა-ჩვეულებრივია საფრანგეთისათვის. მის მიერ დარღვეულია წმინდა ლიტერატურული ტრადიციები „ჟან კრისტოფით“. ფლობერისათვის ეს თხზულება, როგორც რომანი დიდი გაუგებრობა იქნებოდა. მისი ათეული ტომის წაკითხვა ეჭვს გარეშე აწამებდა ფლობერის სტილისტურ გრძნობას. — ამ აზრითაც „ჟან კრისტოფ“ უჩვეულო რამ არის ევროპიული კალმისათვის და ახალი მოვლენა რომანის ისტორიაში.

რომენ როლლან მასწავლებელია. მისი სპეციალობა მუსიკის ისტორიაა. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა შესანიშნავი ისტორიული დრამებით („დანტონ“, „ივლისის 14“, „მგლები“), დიდი ყურადღება დაიმსახურა ბეტხოვენის ბიოგრაფიის წიგნის დაწერით, რომელსაც მოჰყვენ ბიოგრაფიები მიქელ-ანჯელოსი და ლ. ტოლსტოისა. აქვს აგრეთვე მონოგრაფიები მუსიკის განვითარების ისტორიიდან და შესანიშნავი ესტეტიური ნარკვევი თეატრის პრობლემის შესახებ, სორბონს — მოწვეული ყავს მუსიკის ისტორიის კათედრაზე.

„ჟან კრისტოფ“ მოულოდნელი იყო მისგან: ასეთი დიდი სტილის რომანს არა რომანისტიკისაგან არავინ მოელოდა, რასაკვირველია. პირველმა ტომებმა არც მიიქციეს ყურადღება. უკანასკნელი ტომი გამოვიდა 1912 წ. და ლიტერატურული წრეებიც და საზოგადოებაც დიდის აღტაცებით შეეგებენ ამ სამაგალითო შრომას, რომელსაც ახასიათებდა დიდი პრეტენზიის სინტეზები და მსოფლიო მაშტაბით აღებული პრობლემები...

რომენ როლლანის პიროვნებაც განსაკუთრებულია. მას ახასიათებს სიმტკიცე დიდი და დამოუკიდებლობა ზნეობრივ-სულიერი — აქედან ბუნებრივი განდგომილება იმ ოფიციალურ კულტურიდან, რომლის საჭე, როგორც ყველგან, საფრანგეთშიაც უჭირავთ უნიჭოთ და უღირსთ.

საფრანგეთის ინტელიგენციის წრეებს გადაუდგარ. როლლან ომის დროს, როცა გერმანეთსა და საფრანგეთს შორის გაიმართა შემადრწუნებელი დოლი ერთმანეთის ძაგებისა და უარყოფისა წმინდა ინტელექტუალურ ნიადაგზე. ცნობილია, რომ არც საფრანგეთში და არც გერმანეთში არ დარჩენილა ისეთი მწერალი, თუ მეცნიერი, რომელიც არ ჩაბმულიყო ამ დოღში და ზოოლოგიურ შოვინიზმზე მაღლა დამდგარიყო. მხოლოდ რ. როლლანმა შესძლო ამალღება მწერლის მონოდების სიმალღემდე. მან დაჰგმო სამარცხვინო დოღი. მონამღული აზრი საზოგადოებისა აუჯანყდა მას და გერმანოფიღობა დასწამა „ჟან კრისტოფის“ ავტორს. როლლანი იძულღებული შეიქმნა შვეიცარიას შეხიზნეღოდა, სადაც იგი სცხოვრობდა ომის განმავღობაში და ხმას იმალღებდა წინააღმდეგ ევროპიული აზროვნების იმ კურსისა, რომელიც მორალურ კატასტროფისკენ მიაქანეღბდა თანამედროვე კულტურას. შედეგრია მისი წერიღი-პროკლამაცია, წიგნაკად დაბეჭდიღი, რომელიც წარმოადგენს წამეღუღის სინიდისის ყვირიღს და აჯანყეღბას ევროპიული ვაქსანალიის წინააღმდეგ. იგი მოგვაგონეღბს ლ. ტოლსტოის წერიღს მიმართულს სიკვდიღით დასჯის წინააღმდეგ, თვითმჰყობეღლობის ხანაში.

შვეიცარიაში ყოფნის დროს რ. როლლანმა ადგიღობრივ პრესაში მოათავსა რამდენიმე წერიღი რუსული ლიტერატურისა და მუსიკის შესახებ. წერიღები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ააშკარავეღბენ ავტორის ცოდნას რუსუღის განსაკუთრეღუღის სუღისას და რუსული ხეღოვნების უდავო ღირსეღბათა და დამსახურეღბათა გაცნობას კაცობრიღბისათვის.

„ჟან კრისტოფ“ შესდგეღბა 10 წიგნისაგან და განიყოფეღბა სამ უმთავრეს ნაწიღად. პირვეღს ნაწიღს შეადგენს სერია წიგნებისა: ა. „განთიადი“, ბ. „დიღა“, გ. „სიყრმე“, დ. „ჯანყი“. სამოქმედო ასპარეზი გერმანეთის პროვინციაა, ჟან კრისტოფის სამშობღო. ამ ნაწიღს ეწოდეღბა საკუთრივ „ჟან კრისტოფ“. მეორე ნაწიღს შეადგენს სერია: ა. „ბაზარი მოედანზე“, ბ. „ანტუანეტ“, გ. „სახღში“. ამ ნაწიღს ეწოდეღბა „ჟან კრისტოფ პარიზში“. მესამე ნაწიღს შეადგენს სერია: ა. „მეგობრები“, ბ. „ცეცხღმოკიდეღბული ბუჩქი, რომელიც ინვის და არ დაინვის“. გ. „ახალი დღე“. ამ ნაწიღს ეწოდეღბა: „მგზავრობის დასასრული“.

ტემა ამ შრომისა პირვეღ შეხედვაზე თითქო მარტივია და უბრაღო: თანამედროვე ხეღოვანის ცხოვრეღბა დღიდან დაბადეღბისა ვიდრე სიკვდიღამდის. მაგრამ თუ მოვიგონეღბთ, რა დიღია ასპარეზი თანამედროვე ევროპიღლისა, რა დიღია მისი ემოციები და განცდეღბი, რომღებიც წარმოიშეღბიან უურთულეს კულტურის წიაღიდან, მაშინ ტემის სირთულე და სიძნელე ცხადი შეიქნეღბა: თანამედროვე ევროპის სული იმ საზღვრამდე არის

მისული, რომლის აქეთ ამონურულია ყოველი, ხოლო იქით კი იწყება მეუფება შეუცნობელის უფსკრულისა. მით უმეტეს, რომ ევროპის სულს განვლილი აქვს ფაუსტის და ჰამლეტის ჩიხები და შესულია ახალ ხლართში, რომლის გაშლა, შეიძლება, ეკუთვნოდეს მომავალს კულტურულს სტადიას. იმდენად კი, რამდენადაც „ჟან კრისტოფ“ ცდაა ამ ახალ ხლართის „დაძლევისა“ ინტუინტიურად და ინტელექტუალურად, იგი გაგრძელებაა გოეტესი და გადმოტანა „ფაუსტის“ პრობლემებისა მეტაფიზიკურ სფეროდან რეალობაში.

უფრო გასაგები იქნება თქმა: „ჟან კრისტოფ“ ეთანაბრება ჰომერის „ოდისეას“, რამდენადაც ეს უკანასკნელი გამოხატავს ძველი საბერძნეთის სულის მოცულობას, — ან თუ გნებავთ, დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“, რომელიც განსიტყვებაა მთელის საშუალო საუკუნოების კულტურის სულობისა.

ამ გაგებით რომენ როლანის ცდა უმაგალითოა. ასეთ ცდისათვის არ კმარა არც დიდი ნიჭი რომანისტისა, არცა დიდი ცოდნა ცალკედ. დღევანდელი მსოფლიო შეუდარებლად დიდია (და თითქმის უსაზღვროც), ვინემ იყვნენ მსოფლიოები ჰომერისა და დანტესი. ამ ცდამი დასაშვებია ორნაირი გამარჯვება. ერთი სრული, მეორე ნაწილობრივი. სრული გამარჯვება იქნებოდა სინტეზი იდეურ-ფილოსოფიურისა და წმინდა ლიტერატურულისა. რა თქმა უნდა, ეს ტრიუმფი იქნებოდა შემოქმედებისა (როგორც იყვნენ მის დროს დანტე, ჰომერი). ნაწილობრივი კი — ან ლიტერატურული, ან იდეურ-ფილოსოფიური ან ერთგვარი კომპრომისი ამათ შორის. ჩემის აზრით რომენ როლანის „ჟან კრისტოფ“ სრულიად გამართლებულია იდეურად, ფილოსოფიურად, ხოლო რაც შეეხება წმინდა ლიტერატურულს მხარეს, უნდა აღინიშნოს, რომ მასში ბევრთა ბევრია სადავო მასალა, რომლის დაწურვა დიდად მოაგებინებდა რომანს ესტეტიურად. მართალია, ცხოვრება რომანი არ არის, მაგრამ ლიტერატურული სახე ცხოვრებისა რომანს გარეშე არ არის მოცემული...

ჩემი წერილის მიზანია „ჟან კრისტოფის“ დედა აზრის მიწოდება ქართველ საზოგადოებისათვის. სამწუხაროდ, წერილის ფარგალი არ მადლევს ნებას კვალ-და-კვალ მივდიო რომანის გმირს მისი ცხოვრების ათი წიგნის სიგრძეზე. ამისთვის ერთი წიგნის დაწერა მაინც იქნებოდა საჭირო. მკითხველის ყურადღებას შევაყენებ რომანის მხოლოდ იმ მთავარ მომენტებზე, რომლებიც, ჩემის აზრით, დაგვაახლოვებენ ავტორის განზრახვებთან და მისი შრომის დედააზრსაც გავაცნობენ.

პირველი ოთხი წიგნი რომანისა — ეს დაბადება, პირველი შთაბეჭდილებანი, პირველი ნაბიჯები ჟან კრისტოფისა. ისტორია ენერჯის ახლად მოვლინებულის კვირტის თანდათან შლისა, ზრდისა და ორიენტაციისა ახალს წრეში. შეუგნებელი ბრძოლა ზრდისათვის, დაპყრობისათვის, არსებობისათვის... მეობისათვის. ამ ნაწილში ავტორს ეტყობა დიდი გავლენა ლ. ტოლსტოისა, რომლის „ბავშვობა და სიყრმე“ მსოფლიო ლიტერატურის უკანასკნელ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ბავშვის სულის სამყაროს პოეტურ შეგრძნებაში. რ. როლანი მიმართავს ტოლსტოის ტეხნიკასაც, დეტალებსაც ადამიანის სულის შლის პროცესის ასახვისათვის. ეს, რა თქმა უნდა, ნაკლი არ არის, რადგანაც სავსებით შეგნებულია დიდი ოსტატის ხერხი და მეტოდები. ამ სახით ეს ღირსებაცაა, თუ გნებავთ.

აღსანიშნავია რამდენიმე მომენტები „ჟან კრისტოფის“ ამ პერიოდიდან. უწინარეს ყოვლისა წრე, რომელშიაც მოხვდება ბავშვი. იგი არის პროვინციელი ღარიბი მუსიკოსის ოჯახი. მშობლები გერმანელებია. მაშასადამე, სულისათვის — ტრადიცია მუსიკალური. მემკვიდრეობა: სათუთი სული, ფაქიზი გრძნობა და ხელოვნების ატმოსფერაში განცდილი ქვეყნიერება. ფიზიკისათვის — თესლი ჯანსაღი და მოუღალავი ახალი რასისა, გერმანელისა, მაგარი ძარღვი და ველური სისხლი. მემკვიდრეობა: ქედმაღალი ეროვნება, ამაყი ომები, მტკიცე ხასიათი და თავხედური გამბედაობა... — ყოველივე მოცემული არის, რაც საჭიროა გამარჯვებისთვის, ბრძოლის წარმოებისათვის. —

11 წლის ბავშვი უკრავს ყველა ინსტრუმენტზე. მისი სმენა გამახვილებულია. იგი შეუგნებლად, მაგრამ მაინც წვდება მსოფლიოს გარმონიას. შემოქმედების ცეცხლოვანი ფრთები უახლოვდებიან მის სულს უხმობენ.

ცხოვრების გაკვეთილები კი მარადულს მოუთხრობენ მას, რაც გარდუვალია და კანონი, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყველა, ვინც კი ცხოვრობს და არსებობს. აი, ერთი დიდი გაკვეთილი: კვდება ჟან კრისტოფის ბაბუა, 80 წლის მუსიკოსი, გერმანული რომანტიული სულის მატარებელი და შვილისშვილის საყვარელი პიროვნება. ჟან კრისტოფი მონამეა ქვეყანასთან მისი აგონიური გამოსაღმებისა... მეორე გაკვეთილი: მეგობარი, რომელმაც აღავსო იგი სიხარულით, — ოტტო დინერ. აუცილებელი გაყრა მასთან. კიდევ გაკვეთილი: რომანი პირველი მისი, — მინნა. ამართვა მეშჩანური ზღუდესი შეყვარებულთა შორის და... შეურაცყოფვა წმიდათა წმიდასი... კიდევ გაკვეთილი: კვდება მამა ჟან კრისტოფისა, ლოთი და ინვალიდი, მაგრამ მაინც მამა... უკანასკნელი სიტყვებია მომკვდავისა: „კრისტოფ, ნუ გძულვარ მამა!“ ეს ის ლოთი მამაა, რომელმაც შვილს გაუყიდა მისი პირველის მასწავლებლისა და საყვარელის ბაბუას პიანო...

„სიკვდილი — ერთად ერთი რეალობა იქნება, ხოლო ყოველივე ის, რაც ხდება, პატარაა და უმნიშვნელო მასთან შედარებით!.. ამდენი ტანჯვა იმისთვის, რომ მოკვდე?..“

ამ გაკვეთილებიდან კრისტოფ გრძნობს, რომ ცხოვრება წვალეა და იმისთვის, ვისაც სურს ცხოვრება, აუცილებელია ბრძოლა. ბრძოლა თავგანწირული იმ მტრების წინააღმდეგ, რომლებიც ხილულად თუ უხილავად გარსერტყმთან ადამიანს...

„და 15 წლის პურიტანს ესმის ხმა თვისი ღმერთისა:

— წინ, წინ ბრძოლით!.. შეუსვენებლად!

— მაგრამ სად წავიდე, ღმერთო!.. რა გავაკეთო, სადაც უნდა წავიდე, დასასრული ხომ ერთი და იგივეა.

— სიკვდილისაკენ, ვინც სასიკვდილონი ხართ! ტანჯვისაკენ, ვინც სატანჯველი ხართ! არავინ სცხოვრობს იმისთვის, რომ ბედნიერი იყოს! სცხოვრობენ იმისთვის, რომ აღასრულონ კანონი. მოკვდი. იტანჯე. ხოლო იყავი ის, რაც უნდა იყო: ადამიანი!“

ცხოვრება სდულს. მის გარეშე რჩებიან მცნებანი მორალურისა და ამორალურისა. ერთია ნამდვილი: ეს ბრძოლაა.

და მთელი სიყრმე ჟან კრისტოფისა მიმდინარეობს ამ ბრძოლის დროშის ქვეშ. მისი სიყვარულიც. გატაცებებიც. სიხარულიც... ქალი. სქესი. ნეტარება. მეგობრობა.

დაიკარგება კრისტოფი ამ ზღვაში. მას კი რალაც დიდი მიზანი აქვს და ძალა შინაგანი უხმობს დიდი საქმისათვის. ენერგია ეხარჯება, ხოლო კმაყოფილება არ არის!.. რა არის აზრი ცხოვრებისა? რა არის მიზანი მისთვის ბრძოლისა?

დავაჟკაცების საზღვარზე სდგას ჟან კრისტოფ. ის მარტოა. გამარჯვებულია, რომ არ ჩაინთქა იმ უფსკრულეში, რომლებსაც უმზადებდა მას ცხოვრება სხვა და სხვა სახით, ხერხით. მან ახლა ჰპოვა თავი თვისი ნამდვილად. აქედან იწყება ნამდვილი მისი ცხოვრებაც და ნამდვილი მისი პიროვნება აქედან იწყებს შლასა და განვითარებას! შემოქმედება უწინარეს ყოვლისა! მით შეიძლება მხოლოდ ბრძოლა და შეცვლა ამ ქვეყნის სახისა! სიყალბეა ყოველივე, რაც არის და იყო! უნდა იშვას მართალი და ახალი!

და ჟან კრისტოფის სული ორსულდება ახალ სახეებითა, ახალი აზრებით. „ღვთაებრივი სიხარული, შემოქმედება!.. არ არის სხვა სიხარული, თვინიერ შემოქმედებისა! არც არის ცოცხალი, ვინც არ შემოქმედობს... შემოქმედება — თავისუფლებაა და გარდაქცევაა იმათ, რაც ნამდვილია — ღვთაებად!“

და ჟან კრისტოფ გრძნობს უსაზღვრო შესაძლებლობას, რომელთანაც დაკავშირებულია იგი მთელის არსებით. მოსპეთ ეს შესაძლებლობა, მოისპობა თავად კრისტოფი.

ასე: დიდისა და ახალის რასის სული, განაყოფიერებული უფიადესი ევროპული კულტურით, მოითხოვს თვისი შემოქმედ ძალების გაშლას და მონადინებულია ახალი სული ჩაჰბეროს მსოფლიოს, ახალი სახე მისცეს მას! ჟან კრისტოფ — ეს ევროპის ახალი კაცობრიობაა, რომელმაც არ იცის, თუ რა არის დაბრკოლება, შეუძლებლობა. მისთვის ქვეყანა მასალაა მისი გაუმაძღარი შემოქმედებისათვის, და თავად იგი ღვთაებაა, რომელმაც უნდა შექმნას და შექმნილი გარდაქმნას!

აქედან: უნდა გადახალისდეს უწინარეს ყოვლისა კაცობრიობის სული. მასში ბევრი სიყალბეა დაგროვილი. ადამიანი შეგუებულია ამ სიყალბეს რელიგიაში, მორალში, პოეზიაში, ხელოვნებაში. პირველი იერიშები აქეთკენ! განსაკუთრებით გერმანულ ხელოვნებისა და მორალისკენ, რომლებთანაც ჟან კრისტოფი შეზრდილია და რომელთა ატმოსფერაში ახლაც იმყოფება...

და ჟან კრისტოფ აუჯანყდება გერმანეთის მეშჩანობის ხავსმოკიდებულს ხელოვნებას! პირველი იერიში მუსიკაზე მიაქვს!

ბრძოლა საზოგადოების წინააღმდეგ არც ისე ადვილია პიროვნებისათვის. ჟან კრისტოფ ერთი აღმოჩნდა, მისი მტერი კი მრავალი. „დაამარცხეს“ კრისტოფ. ქვეყანა არ დანებდა მას, მაგრამ არც ჟან კრისტოფ დანებდა ქვეყანას. უარყოფილ იქნა მისი შემოქმედება, მისი მუსიკა. „მეშჩანებმა“ გაასკანდალეს მისი გამოსვლა. ერთხელ გააძევეს კიდეც სათეატრო დარბაზიდან. რაც შეეხება მის კონცერტებს, უმრავლესობისათვის ისინი გაუგებარი აღმოჩნდნენ, ხოლო იმათთვის, ვისაც ესმოდა, მიუღებელი ისეთის მოსაზრებების ძალით, რომლებსაც ხელოვნებასთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ჟან კრისტოფ არ ცხრება. ის დარწმუნებულია, რომ მომავალი მას ეკუთვნის. ახლა სიტყვებს მიმართავს და ადგილობრივ პრესაში წკეპლავს მის სამშობლო ქალაქს.

„ბევრია მუსიკა. მეტის-მეტია მუსიკა. ბევრია ჭამაც და სმაც, მეტის-მეტია. ხოლო სჭამენ და სვამენ იმიტომ კი არა, რომ შიათ ან სწყურიათ... არამედ იმიტომ, რომ ჩვეულება ასეთი! სულ ერთია, რა მუსიკასაც უსმენენ... სულ ერთია, რასაც სჭამენ და სვამენ... ბეტხოვენ თუ მოსკანი... ბახ, პუჩინი, მოცარტი თუ მარხნერ... ერთნაირია განცდა ყველასაგან! ერთნაირია ტკობა!.. რა თქმა უნდა, აქ არ შეიძლება იყოს ტკობა, არ შეიძლება იყოს განცდა!.. სიფრთხილე: — ან თქვენ მოჰკლავთ მუსიკას, ან მუსიკა მოჰკლავთ თქვენ! მე არაფერი მიაქვს სანინა-აღმდეგო, რომ მუსიკამ მოჰკლავთ თქვენ, მაგრამ ნებას კი არ მოგცემთ, მუსიკა მოჰკლავთ!“

მაგრამ რა შეარყევს მეშჩანობას?.. დე, იყოს დაცინვა, ირონია! ოლონდ მისგან არ მოითხოვონ პასუხი, არ მოითხოვონ ბრძოლა!

დიდი მთავარიც (Grand Duc) ჩაერევა ბრძოლაში. ის იღებს თავზე გერმანული ეროვნული თავმოყვარეობის დაცვის საქმეს და აფრთხილებს ჟან კრისტოფს...

ეგოიზმი. სიცალიერე. სიმშრალე. პატარა სული. — აი, რა ახასიათებს ჟან კრისტოფის სამშობლო ქალაქს და მის საზოგადოებრივობას. ასეთ წრეში უნაყოფოა ენერჯის დახარჯვა. ამაოა ბრძოლა. ჟან კრისტოფის ყურადღება პარიზზე გადადის. ერთის მეგობრის ქალის დახმარებით ის ეცნობა საფრანგეთის ხელოვნებას, ლიტერატურას. მთელის ძალ-ლო-ნით დაენაფება ამ ახალ ქვეყანას, ვინძლო იმედები ამან მაინც გაუმართლოს. მაგრამ სანამ საბოლოოდ გადაწყვეტდეს იგი გერმანეთის დატოვებას, ეწვევა სახელგანთქმულსა და გერმანიის სიამაყეს დიდ მუსიკოსს ჰასლერს, რომელთანაც მიაქვს თვისი აჯანყებული სული და კომპოზიციები. მაგრამ ეს „დიდი“ კაციც ისეთივე წვრილმანი და პატარა აღმოჩნდება სულით, როგორც ყველანი, და ჟან კრისტოფს არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ სხვაგან ეძიოს ასპარეზი. — პარიზ!.. მომეშველე!.. იხსენი ჩემი იდეები... მიხსენი მე!..

პირველი შთაბეჭდილებანი პარიზისა ჟან კრისტოფზე შედეგრად უნდა ჩაითვალოს: რომენ როლლანი ზედმინენით იცნობს პარიზს, მის ზედაპირს საოცარს და საოცარსავე

შინაარსს. კონტრასტია დიდი გერმანეთსა და საფრანგეთს შორის, — რომანში ეს კონტრასტი ტონებით სჩანს და მით უფრო გამოცხადებულია იგი. დეტალებში ისახება მთელი არსება და ავტორიც მიზანს უჩინარ და იდუმალ ეფექტებით აღწევს.

უფულოა ჟან კრისტოფ. უცნობია იგი ამ მისთვის გაუგებარსა და ანარხიულ ქალაქში. იმედი აქვს ორი ადამიანის: ერთის ოტტო დინერის, რომელიც მისი პირველი მეგობარი იყო და ახლა პარიზში სცხოვრობდა; მეორის — ურია სილვენ კონისა, რომელიც პარიზში ჰამილტონად გადაქცეულიყო. პირველი გაუცრუებს იმედებს, ხოლო მეორე მისი ხელმძღვანელი აღმოჩნდება და პატრონი, მასპინძელი პირველ ხანებში. ეს ორი პიროვნება შესანიშნავი პორტრეტებია რომანში, მაგრამ ჩემი ტემის ფარგალი არ მადლევს ნებას მათზე შევაჩერო ყურადღება.

სილვენ კონი უნივერსალური ურიის ტიპია. მისი საშუალებით ჟან კრისტოფ ეცნობა იმ წრეებს, რომლებიც ჰქმნიან პარიზის გარეგან სახეს. კონი კი ვის არ იცნობს, და თავად კონს ვინ არ იცნობს? როგორც მოსამსახურე ერთ-ერთის დიდის გამომცემლობისა, ის განსაკუთრებით დაახლოვებულია ლიტერატურულ წრეებთან, და ჟან კრისტოფიც ერთ დღეს დაესწრება კონის წვეულებას, რომელიც გაიმართება რომელიღაც რესტორანში. წვეულნი უმეტესად ლიტერატორები არიან. მათ შორის მუსიკოსებიც. ჟან კრისტოფ მოწყურებულია გაიცნოს ეს ახალი ხალხი და სმენად არის გადაქცეული. ფრანგული კარგად არ ესმის, მაგრამ თუ საუბრის საგანი ნაცნობია, გააჩვევს აზრებსა, და ესმის კიდევაც: ხელოვნება, მწერლობა, კრიტიკა... გონორარი. პოეზია. პოეტის ღირსება... და ფულის ანგარიშებიც. ანაზღუულად დიდი ჰიუგოს სახელიც დატრიალდება. კამათი გაცხოველდება. საგანია კამათის: ჰიუგოს ცოლსა და სენ-ბვეს შორის სიყვარული. აქვე მოიტანენ ჟორჟ ზანდის საყვარლების დახასიათებას...

ჟან კრისტოფ გაოცებულია. ნუ თუ პარიზელების აზრით ლიტერატურულ კრიტიკისათვის ასეთ საკითხებს რაიმე მნიშვნელობა აქვთ? იგი შეეცდება სხვა ტემაზე ჩამოაგდოს ლაპარაკი. ყურადღებას არავინ მიაქცევს. გერმანელი მწერლები არავის აინტერესებს, თითქო უცნობნიც არიან. განაგრძობენ ლაპარაკს კვლავ იმავე საგანზე: ლიტერატურა და ქალი... რომლიღაც დიდის აღტაცებით მოუთხრობს კრებას, რომ პარიზის ლიტერატურულ წრეებში კარგად ცნობილი ქალი გაათხოვებს მის ქალს საკუთარ საყვარელზე, რათა უფრო მოხერხებულად დაჰფაროს თვისი კავშირი მასთან!.. ჟან კრისტოფს ამის გაგონებაზე სახე მოექცევა. ფრანგები ამას ისე გაიგებენ, თითქო უცხოელი დიდად დაინტერესდა ამ შესანიშნავი ქალით, და გაცნობა სურს მისი. შესთავაზებენ სამსახურს. ჟან კრისტოფ აღშფოთებულია. აცხადებს პროტესტს და განმარტავს მის აზრს სიყვარულზე, ქალზე. მას სიცილს დაყრიან. ზოგიერთი გაჯავრდება კიდევაც: როგორ? მამაკაცი უარს აცხადებს ქალის გაცნობაზე? მერე ისეთის ქალის, რომელიც ნამდვილი ქალია, და თუ გნებავთ ქალბატონიც!!!

ჟან კრისტოფ იბნევა. იგი შეურაცყოფილი დადუმდება.

ასეთი იყო პირველი შეხვედრა იდეალისტ გერმანელისა პარიზთან, რომლის ზედაპირულს სახეს ჰქმნიან სწორედ სილვენ კონები და მისი მსგავსი ხელოვნებისა და ლიტერატურის სახელით მოვაჭრე ხალხი. ეს არიან უმრავლეს შემთხვევაში გაფრანგებული ურიები, თუ გაურიებული ფრანგები — რეპარტიორები, რეცენზენტები, ინტერვუის მაგები და შემქნელები იმ საზოგადოებრივი აზრისა, რომლითაც სულდგმულობს პარიზის ბულვარი და მოცლილი ქუჩა. ეს ხალხი ნარიყია თანამედროვე კულტურისა და ქალაქის, რომელსაც ფესვს უმაგრებს არსება დღევანდელის წესწყობილებისა!

მსგავსი შთამბეჭდილებები სილვენ კონის წყალობით ერთი მეორეს მოსდევენ. მერე, ეს არის საფრანგეთი? ის დიდი საფრანგეთი, მემკვიდრე დიდის ლათინურის გენიისა, რომელიც ასეთ პრეტენზიებს აცხადებს ხელოვნებაში და საზოგადოთ მთელ კულტურაში! თუ იყო საფრანგეთი, და იგი უკვე გამოფიტულია ახლა, ტრადიციით ლა ცხოვრობს??

ლიტერატურულ სფეროში ჟან კრისტოფ ამჩნევს უტყუარს ნიშნებს დეგენერაციისას. „გონებრივი პროსტიტუცია“ — აი, შთაბეჭდილება მისი.

ორი სკოლა მიიქცევს ჩვენი გმირის ყურადღებას. პირველი: ძველი ფასონის ეროვნული სკოლა მწერლობისა (Je genre gaulois). მას ახასიათებს მსუბუქი სტილი და შინაარსი სათანადო საზოგადოებრივი და ოჯახური მორალით, ქმრიანი ქალებით, რომლებსაც ღალატობენ ქმრები და სხ. მეორე სკოლა მოდერნისტული. მას ახასიათებს ახალი სიტყვის პრეტენზიები, დეგენერატული კოსმოპოლიტური სული, ზნეობა გარყვნილების იერით, და გარყვნილება ზნეობის სახით. ეს სკოლა უცნაური ამალგამაა რასისა და საუკუნის. მის სიღრმეში უდაბნოა. მის ზედაპირზე: გალუცინაციები, თურქული ბაზარი, მთვრალი მგრძნობიერობა და ავადმყოფური ნერვიულობა...

ფორმაა ყველგან. შინაარსი არსად. კონსერვატიზმი რევოლუციისა და რეფორმატიზმის მანდილში. პარიზი ლიტერატურაში იგივეა, რაც ლონდონი პოლიტიკაში, და საფრანგეთის აკადემია — ლორდების პალატა ლიტერატურისათვის.

მაგრამ რაც უმთავრესია, ეს არის ავადმყოფობა. მწერლების ავადმყოფობა გამოიხატება არა ამა თუ იმ მიმართულებაში, ტენდენციაში, არცა აზროვნების უკიდურესობაში, არცა თავისუფლებასა და კრიტიკაში, ვინაიდან ყოველივე ეს ჯანმრთელიც შეიძლება იყოს და ნორმალურიც. სიკვდილის სუნი თუ ასდის ლიტერატურას, იგი მწერლებშია, თვით ადამიანებში!.. განა ჟან კრისტოფმა არ გადაიმტერა სამშობლოს საზოგადოება და მის ფილისტერულ სულისკვეთებას არ გამოუცხადა ომი? იგი იცავდა სწორედ თავისუფლებას, უკიდურესობათაც. მაგრამ... ყოველივე ეს აქ, პარიზში, ისეთ სახეს იღებს, რომ იგი ეუცხოვება მას! განა ჟან კრისტოფ იმიტომ იბრძოდა წარსულის დიდი სახელების დასამარცხებლად, რომ ახლები ასეთი ყოფილიყვნენ?..

ფრანგული ხელოვნება დამშვენებულია მახვილი აზრით, ტექნიკა მისი ზედმინვენით განვითარებულია. სიტყვა აქვს ჭედილი და მუსიკალობა მისი საოცარია. იდეები მისი გალესილი, როგორც ხმლის პირი... და ყველა ეს სამკაული ფრანგული გენიისა იხარჯება იმისთვის, რომ დაკმაყოფილებული იქნას ეგოიზმი პიროვნული პატივმოყვარეობისა, წყურვილი წუთიერი განცხრომისა და ფუფუნების?.. სიკვდილი. სირცხვილი. სიყალბე. ჰიპოკრატისმი.

და რომენ როლლან ანარმოებს უსასტიკეს კრიტიკას მთელის თანამედროვე წყობილების წინამდეგ. იგი არ სტოვებს არც ერთ სფეროს პარიზის ცხოვრებისას, ხელოვნებისას, პოლიტიკისაც; ყველგან შეაქვს ჟან კრისტოფის აფორიაქებული სულის ბასრი ხმალი და სთლის დაუზოგველად დასენიავებულ სხეულს თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურისას.

ჟან კრისტოფს გაუჩნდებიან ნაცნობები. თაყვანისმცემლებიც. ის უკვე თავად იკვლევს გზას საფრანგეთის კულტურის სულისაკენ. ახალგაზდა ენტუზიასტი, პოეტი ოლივიე ჟანენ, ფრანგი სულით და ხორციით — შეიქნება მისი ხელმძღვანელი ამიერიდან.

ოლივიე ჟანენ შეყვარებულია ხელოვნებას, როგორც კრისტოფ. ისიც დამწვარია ახალის ტრფობით და იდეალისტი ცეცხლმოკიდებული. მას უყვარს საფრანგეთი და იცის, სად არის მისი ნამდვილი დიდება. გრძნობს, რაა დანიშნულება დიდის საფრანგეთისა და არ ეშინია იმ ვაკხანალიის, რომელიც სწარმოებს ლიტერატურაში, მუსიკაში, პოლიტიკაში საფრანგეთის სახელით. სწამს, რომ ყოველივე დროებითია, წარმავალი. სად არის ნამდვილი საფრანგეთი და გენია მისი — ეს იცის ოლივიე ჟანენმა და დამშვიდებულია მომავლისათვის.

ჟან კრისტოფის წინ უკვე სხვა ჰორიზონტი იშლება.

— თქვენ არ გინახავთ საფრანგეთში სხვა, გარდა სანახაობისა, რომელსაც მიმართავენ უპასუხისმგებლო პირები... ჩვენი ძალა იქ არის, ხოლო ეს განსხვავება არ დაშლის ჟან კრისტოფისა და ოლივიე ჟანენის მეგობრობას. ისინი ერთად ანარმოებენ მაინც ბრძოლას, თანამედროების კრიტიკას ევროპის ახალი ჰორიზონტებისათვის...

ყველა პრობლემას, რაც დღეს დასმულია ევროპის კულტურის წინაშე, დათმობილი აქვს ადგილი რომენ როლლანის შრომაში: — ფილოსოფიურ-რელიგიური, ესტეტურ-მო-

რალური, პოლიტიკურ-ისტორიული, ეროვნული და სხ. პრობლემები აფორიაქებენ მის გმირების სულს. შემთხვევით არაა, რომ ავტორი ეპიზოდებით ტვირთავს რომანს და ხშირად სცილდება მის ლერძსა. მწერლის ამოცანათათვის ყველა ეპიზოდს არსებითი მნიშვნელობა აქვს. — დღეს ისე რთულია ცხოვრება, რომ მისი ფარგლები ძნელი საპოვნელია, გინდ ლიტერატურულიც. მით უმეტესი, რომ ჟან კრისტოფ დიდი მუსიკოსია, ხოლო მისი მეგობარი ჟანენ — პოეტი, — უუფაქიზესი სულობის მატარებელი, რომელთაც განვითარებულ ინტელექტთან ერთად უაღრესად აქვს გამახვილებული გრძნობების სფეროც.

სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებში სოციალიზმს პირველი ადგილი უჭირავს. სოციალისტურ იდეოლოგიის გავლენას არა მხოლოდ მუშების წრეები განიცდიან. ბურჟუაზიაშიც მრავლად მოიპოვებიან რევოლუციონერები, სხვა და სხვა სახის სოციალისტებიც. მაგრამ მუშათა კლასისათვის სოციალიზმის საკითხი საარსებოა. რა თქმა უნდა, ჟან კრისტოფისა და ჟანენის მაძიებელი გონების თვალს არ შეუძლია არ შეჩერდეს ამ მოვლენაზე. ისინი ნაცნობ მუშების მეშვეობით უახლოვდებიან მუშათა წრეებს და ეცნობიან მათ სულისკვეთებას და შინაარსსა და მიზნებს მათის სოციალურის ბრძოლისას.

კრისტოფ და ჟანენ დიდი სკეპტიკები არიან, რომ ინამონ სოციალიზმი, როგორც იდეალი, რომელიც შესძლებს ევროპიული კულტურის მთავარ პრობლემების გადაჭრას; როგორც სწავლა, მოძღვრება, რომელზედაც შეეძლება დაყრდნობა ჩვენი გმირების სულს თანამედროების უარყოფისა და ახალისათვის ბრძოლის საქმეში. მაგრამ სოციალიზმის საკითხი მათთვის კიდევ სხვანაირად დგება. — სოციალისტური იდეალის მატარებელი პროლეტარიატი — არის ძალა ოპოზიციისა და სოციალურად დაჩაგრული ნაწილი კაცობრიობისა. მის ბრძოლაში დიდი ფილოსოფიაა და სიხალისე ცხოვრებისა; იგი წარმოადგენს ერთს ფრთას საკაცობრიო ჯარისას, რომელიც აწარმოებს ბრძოლას საზოგადო კეთილდღეობისათვის... იქნება, საფრანგეთის დაფარული ძალაც ამ მუშებშია, რომელიც ისინის მას და მოუპოვებს გზას ახალის დიდებისაკენ, აღორძინებისაკენ. საქმე ის კი არ არის, ვინ არის ხელმძღვანელი მუშებისა, რა ჯგუფია მათ სათავეში, ან ბოლოს და ბოლოს რა იდეოლოგიაა მათი მამოძრავებელი.

ჟან კრისტოფ და ოლივიე ჟანენ მიიღებენ მონაწილეობას მუშების დემონსტრაციებში. პირველი მაისის დღესასწაულის დღეს ოლივიე ჟანენ შემთხვევით მსხვერპლი გახდება ქუჩაში გამართული ბრძოლისა, როცა შველოდა ნაცნობ მუშის ბავშვს, რომელიც მოქცეოდა მთავრობის შეიარაღებულ ძალასთან შეჭიდებულს მასსის ტალღაში. ჟან კრისტოფ ვერ მიეშველა მეგობარს: იგი შორს იყო მისგან და ცალკედ იბრძოდა ბარიკადებზე გატაცებული ბრძოლის სტიქიონით, ხალისით.

მეგობრები ჟან კრისტოფს მოხსნიან ბარიკადზე და მალულად გაიყვანენ პარიზიდან, სადაც მის თავისუფლებას საფრთხე მოელის, კრისტოფ შვეიცარიაში შეაფარებს თავს და აქ გაიგებს ოლივიე ჟანენის სიკვდილის ამბავს. აქედან დაიწყება ახალი ხანა მისი ცხოვრებისა.

ევროპა საგიჟეთი თუ არ არის, საავადმყოფოა უთუოდ. მისი ცხოვრება დასწეულ-ბულია ტანჯვით, დამარცხებით. ნორმალური არ არის მისი დღე და ღამე. წინააღმდეგობაშია იგი მომწყვდეული. მის აზრებსა და ცხოვრებას შორის არავითარი წონასწორობა არ არსებობს. ადამიანი დაკარგულია ანარქიულ ქაოსში და მოსპობილია შესაძლებლობა ადამიანობის გამართლებისა. ეს არის განა ცხოვრება? ეს არის განა კულტურა, ცივილიზაცია?.. სად არის რელიგია, მეცნიერება, ხელოვნება??

ჟან კრისტოფ დიდ ტრალედიას განიცდის.

იგი კვლავ მარტოა, ერთად ერთი მეგობარიც ოლივიე ჟანენ, რომელსაც ასე შეეთვისა, გამოსწირა მას ცხოვრებამ. იყო დრო, როცა კრისტოფ შეტრფოდა მარტოობას. მაგრამ ის სხვა გარემოებებით იყო გამოწვეული. ახლა კი მისთვის მარტოობა საბედისწეროა.

შეფარებული ერთი ნაცნობი ექიმის მყუდრო ოჯახს შვეიცარიაში, იგი მიეცემა განცდებს მთელის არსებით. იგი იწვის, მაგრამ არც დაიწვის, ხოლო სიკვდილი სასუქვარია მისთვის. შემოქმედების ძალაც არ აქვს. ან რის შემოქმედება და რისთვის? ხსნა აღარ არის: სადაც დუმილია ამ ჟამად... ხალხში!.. ნარსულში მას ეკუთვნის კომუნა! მისი სულია პასკალი და გოტიკა, რომლითაც მოინათლა ქვეყანა. მისია რევოლუცია, რომელმაც გარდაქმნა მსოფლიო!.. ეს ძალა დღეს ტყვეა საკუთარ სახელმწიფოში... ბურჟუაზია ინდიფერენტულია და ეგოისტი... მეც ვიყავი სასონარკვეთილი. მეც მეგონა, რომ სიკვდილი მოსულია ჩვენთან, მაგრამ... მე ვიგრძენი ძალა საფრანგეთის და დამშვიდებული ვარ... ეს ძალა ჩემშიაც არის!.. ჩვენი გენია არავის უარყოფს, არცა რას ანგრევს. მისი ძლიერება ის არის, რომ იგი ითვისებს და შეთვისებულს ინელებს! დეე, მოვიდეს ჩვენში ნისლიანი ჩრდილოეთი, ლაქლაქა სამხრეთი და სანამლავიანი აღმოსავლეთი!.. განა ჩვენ ასეთები მოგვინელებია?... გალებს კუჭი მაგარი აქვთ! საუკუნეთა განმავლობაში არა ერთი ცივილიზაცია მოუწელებია ამ კუჭს! ყველა მოსულეები დაგვიტოვებენ, რაც კარგი გააჩნიათ და გაითქვიფებიან ჩვენში. ჩვენთვის უმთავრესია არა რასიული სინმინდე, არამედ უნივერსალობა!.. მე არ მაშინებს არც ფუქსავატი სახე დღევანდელი ხელოვნებისა და არამკითხეთა მოჩვენებითი გეგემონია... ეს ყოველივე ფუფუნებაა ჩვენის გამაძღარობისა, პარაზიტია ჩვენის მატერიალურის და სულიერის კულტურის ამოწურავი განძისა!.. დეე, მთელი ქვეყნიერების სული შემოიჭრას ჩვენს გულ-მკერდში... ტალღები უკანვე მიიქცევიან, ხოლო ნალექი გაანაყოფიერებს ჩვენს სულს...

ასე მსჯელობს ოლივიე ჟანენ და ჟან კრისტოფის გონების წინ თან და თან იშლება ნამდვილი საფრანგეთი, — როგორც კუნძული გონებრივობისა და სულობისა იმ ზღვაში, რომელსაც ევროპა ეწოდება.

დამეგობრდებიან კულტურულად და რასიულად მოქიშპე ერების ორი წარმომადგენელი, დამეგობრდებიან ბრძოლისათვის, რომელმაც უნდა ჰშვას ახალი დიდება ევროპისა და გადაარჩინოს მის მიერ შექმნილი ღირებულებანი.

„ყველაზე უფრო დიდი ღირებულება, რომელიც გააჩნია დღეს კაცობრიობას, განსაცდელშია. ეს ღირებულება ევროპა არის! ბრძოლა უნდა მისთვის!

„ბრძოლა იმიტომ, რომ საფრანგეთი კვდება! იმიტომ, რომ ევროპა კვდება! იმიტომ რომ ჩვენი ცივილიზაცია — ეს საოცარი ნაყოფი კაცობრიობის ესოდენის შრომისა — იღუპება, თუ არ ვიბრძოლებთ მისთვის. ეს სიტყვა მხოლოდ სიტყვა როდია! ჩვენი სამშობლო — ევროპული სამშობლო — განსაცდელშია! ფეხზე დადექით სუყველა! ცხოვრება დასაცავი!! თუ აუცილებელია სიკვდილი, ფეხზე მდგარნი მაინც მოკვდით“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს სიტყვები იწერებოდა ევროპული ომის დაწყებამდე ორი თუ სამი წლით ადრე. საკმარისია მოვიგონოთ ეს ომი და ის შედეგები, რომლების კომპარებისაგან ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა კაცობრიობა, რომ ჩვენთვის გასაგები შეიქნეს, რომენ როლანის წინაგრძობა ბრძოლის აუცილებლობისა ევროპის ცივილიზაციის საშველად, ევროპის განსაახლებლად.

მიუხედავად ამისა ჟან კრისტოფში მაინც დიდია თაყვანისცემა გერმანულ-რასიული დემონისა, რომელიც ჯერ კიდევ ბატონობდა მის სულს. ოლივიე ჟანენის შეკითხვაზე მიიღებდა თუ არა ის მონაწილეობას გერმანეთის ომში საფრანგეთის წინააღმდეგ, კრისტოფ გულახდილად აღარებს, რომ იომებდა.

„ჭეშმარიტება დოგმა არ არის. ჭეშმარიტება ცხოვრებაა. ცხოვრება კი ომია და გამარჯვება. საფრანგეთი მისულია ცივილიზაციის იმ საზღვრამდე, სადაც შენელებულია ცხოვრების ინსტინქტი! თქვენ, ფრანგები, არაფერი ხართ გარდა ინტელექტისა... თქვენ მანქანა ხართ, რომელიც ფქვავს აზრებს... საფრანგეთს სიკვდილი უახლოვდება!.. ძვირფასო ოლივიე, მე შენ მიყვარხარ უფრო, ვინემ ჩემი თავი, მაგრამ, უკაცრავად, და მზე

ჩემი რასისა უფრო მიყვარს!.. მძაგს ნირვანა!.. უარვეყოფიერად მელანქოლიას, რომელიც წინამორბედი ენერჯის გამოფიტვისა!.. მოქმედება მხოლოდ ცხოვრება!.. მშვიდობიანობა მიკრიკია სიკვდილისა! — ეუბნება ჟან კრისტოფ მის მეგობარ ფრანგს.

„აჰა, მე ვიცნობ ამ შენს ხმას! იგი ბარბაროსული სულის სიღრმიდან ამოდის!“

ჟან კრისტოფის პირით თავად გერმანეთი მეტყველებს. ეს ის გერმანეთია, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გაუშლია თვისი ძალები მსოფლიოს მაშტაბით და არ მოუკლავს წყურვილი დიდ ერების დამახასიათებელი — წყურვილი ქვეყნის დაპყრობისა და მსოფლიო გეგემონიის მოპოებისა. საფრანგეთი ამ მხრით სხვაა. მას მოჭმული აქვს ცხოვრება. მსოფლიოც გაუტარებია თვის გეგემონიის უღელში და დაპყრობისა და ბატონობის გემო ნაგემები აქვს. მაგრამ ამ გემოსთან ერთად შეცნობილი აქვს ამაოებაც ასეთის დიდებისა, რომლის უკანასკნელი საფეხურიდან იმზირება უკვე ზოგადკაცობრიული თვალეებით. — ოლივიე ჟანენ გამოხატავს საფრანგეთის ცივილიზაციის ამ საფეხურს.

ყოველივე, რაც შექმნილია, უმიზნო და ყალბი რამ გამოდგა! ნეტავი რისთვის იხარჯება და იხარჯებოდა ამოტელა ენერჯია კაცობრიობისა?..

ექიმი ბრაუნის სახლში დაისვენებს კრისტოფ. თუმცა ნამების ცეცხლი არ განელებულა მასში და სული მისი უკიდურესად აფორიაქებულია, მასში სხვა ძალაც იჩინს თავსა, — ბრმა ძალა, ბრუტალური სტიქიონი სქესისა და პატიოსანი სტუმართმოყვარე ოჯახის წიაღში ძალა იგი უხეში უსაშინელეს კომედიას ათამაშებს ჟან კრისტოფს ამ მის ტრალიკულ განცდების წუთებში. — ექიმი ბრაუნის ცოლსა და მას შორის ხორციელი სიყვარული იელვებს.

აჰა, ცხოვრება! რაი არის იგი? სახე მისი ნამდვილი? აზრი მისი ჭეშმარიტი? — ნუ თუ სტიქიონია იგი ბრმა, უაზრო და უმიზნო თავის თავად??

ახლა ზნეობრივი ძალებიც სტოვებენ ჟან კრისტოფს, ის ემსგავსება სასიკვდილოდ დაჭრილს მხედარს, რომელსაც სტოვებს შარა გზაზე მისი ცხენი...

ლემია კრისტოფ. უსულო და უენერგიო. არარაობაა იგი!

იგი სტოვებს ბრაუნის ოჯახს. მიდის ალპებში, ვინძლოა ბუნებასთან დაახლოვებამ გადაარჩინოს იგი სამარცხვინო სიკვდილს.

ალპებში შემთხვევით გადაეყრება იგი ერთს დასნეულებულს მწერალს, ოდესმე სახელგანთქმულს მოწინავე რიგებში მებრძოლს, რომელიც დაუმარცხებია ცხოვრებას და ახლა გაინვალიდებული აქ მოსულა განსაკურნებლად. — რას აკეთებთ აქ? — მოველი! — რასა? — აღდგომას! — საშინელებაა: ამ გაინვალიდებულ მებრძოლში საკუთარ პორტრეტს დაინახავს ჟან კრისტოფ! ღმერთო, ნუ თუ ასეთი დასასრული მოელის მასაც?!

მაგრამ ბუნება, დასვენება და დაფარული სასიცოცხლო ენერჯია ბოლოს მოაბრუნებენ კრისტოფს სასიკვდილო გზიდან და მის სულს მოესმება კვლავ მონოდება ცხოვრების ღმერთისა.

„ჰო, ეს შენა ხარ? დამიბრუნდი კვლავ? რად მიმატოვე ამდენს ხანს?..“

...მე ვარ ცხოვრება, რომელიც ებრძვის უფსკრულს!.. მე არა ვარ უფსკრული! მე ცეცხლი ვარ, რომელიც სწავას წყვიდადს! მე წყვიდადი არა ვარ! მე ვარ ბრძოლა მარადი!.. მე ვარ ნება თავისუფალი, რომელიც ვიბრძვი დასაბამიდან!.. იბრძოლე და დაიწვი ჩემთან ერთად!..“

...მაგრამ ბრძოლა... სულ ბრძოლა?“

— სულ ბრძოლა!.. ღმერთიც იბრძვის ყოველთვის! ღმერთი უდიდესი მებრძოლია და რიტმი ბრძოლისა არის ჰარმონია მსოფლიოსი...“

და კრისტოფის არსებას იპყრობს დიადი საგალობელი ცხოვრებისა. იგი აღსდგება კვლავ შემოქმედებისათვის, ბრძოლისათვის.

ინყება ახალი ხანა ჟან კრისტოფის ცხოვრებაში. მას ვხედავთ ჩვენ იტალიაში, სადაც დაენაფება უუძველესი კულტურისა და ხელოვნების წყაროს. რაფაელისა და ტიცინის

ქვეყანა ახალს სულს ჩაჰბერავს მას და შემატებს ახალ ძალას! — აქედან კიდევ ახალი ჰორიზონტები, ახალი შეძენანი და მიღწევანი.

კრისტოფის შემოქმედება ღრმავდება. მას იცნობს ახლა ევროპაც და პარიზი მოინვეს მას დიდი კონცერტების გასამართად.

ოლივიე ჟანენის გარდაცვალებიდან დიდმა ხანმა განვლო, და ჟან კრისტოფ ამ ტრალედიის შემდეგ ახლა პირველად მოხვდება პარიზში.

ქვეყანა დიდად გამოცვლილია. განსაკუთრებით პარიზი. მიუხედავად ამისა ხელოვნებაში, როგორც პოლიტიკაში, იგივე ანარხიაა გამეფებული. „ბაზარი მოედანზე“ ძველებურად არის გამართული, მხოლოდ აქტიორებს როლები შეეცვალათ: — ნინანდელი (ჟან კრისტოფის დროის) რევოლუციონერები გაბურჟუებული იყვნენ. ახლის მოციქული თაობა გაკონსერვატორულიყო უფრო, ვინემ ოდესლაც მისი მონინააღმდეგენი იყვნენ და სხ.

მის ახალ შთაბეჭდილებებს ჟან კრისტოფ უზიარებს მეგობარ ქალს გრაციას, რომელსაც სწერს იტალიაში და რომელიც დარჩება მისი უკანასკნელი სიყვარული...

ჟან კრისტოფის ცხოვრება უახლოვდება იმ ხანას, რომელიც დუღილს მოსდევს ხოლმე. მის სულში შენათებს დადინჯებულია და განსრულებულის მზის სხივი და ქვეყანაც ისახება მასში, როგორც ფენომენი, რომელსაც აქვს გარდაუვალი გზა განვითარებისა და დასრულებისა... მის შემოქმედებასაც მშვიდი სიდიადის მარადული სიბრძნე დაამძიმებს...

მისი კერძო ცხოვრებაც შეეგუება ამ ხანას. მისი მეგობრებია — ახლა ოლივიე ჟანენის ვაჟი ჟორჟ, რომელსაც იგი უწევს მფარველობას და მამობრივ მზრუნველობას, აგრეთვე გრაცია მისი შვილებით, რომლებზედაც გადააქვს ფაქიზი სიყვარული თვისი დიდი სულისა...

ევროპა გიგანტური ნაბიჯებით მიექანება წინ. მის წიაღში უკვე შემზადებულია შეუსვენებელი ენერჯის ტრიალის წყალობით ნიადაგი ცხოვრების ახალი სახისა და კანონების დასამყარებლად. ახალი ერა ევროპის კარზე სდგას და მოელის გამარჯვებულის ტრიუმფს. — ყველამ უნდა იცოდეს მისი მოვალეობა, ყველა მზად უნდა იყოს ახალისათვის.

— ბედნიერი ხარ, კრისტოფ! შენ ღამეს არ ხედავ!

— მე ღამეში ვხედავ... რადგანაც ბევრი მიცხოვრია და უფრო ბევრი განმიცდია“...

ჟან კრისტოფის ცხოვრების საფეხურები ილევინან. ის მოხუცებულია და ავადმყოფი. რა დიდია განვლილი გზა და რამდენია ბრძოლა მის მიერ წარმოებული?..

თვალს გადაავლებს წარსულს.

რამდენი ძალა დაუხარჯავს ახალგაზრდობისა იმისთვის, რომ მოეპოვებინა უფლება ცხოვრებისა?! რამდენი დრო და ენერჯია მოუნდომებია იმისთვის, რომ დაემარცხებინა თვის არსებაში საშინელი რასიული დემონი და განკაცებულიყო...

მაგრამ განა დამთავრებულია ცხოვრება?.. ბრძოლა?.. არა!.. ახლა იწყება უდიდესი ხანა მისი ცხოვრებისა: — იგი ახლა სდგას პირისპირ ღმერთისა!

ერთი ნაბიჯიც და... მაგრამ ყველაზე უფრო ძნელია ეს ნაბიჯი!

როცა შრომა დამთავრებულია და ცხოვრების უფალის ნება აღსრულებული, მოპოვებულია უფლება დასვენებისა! ხოლო ერთი საფეხურიც ამისთვის, რომელიც ბრძოლითვე მოსაპოვებელი: იგი სიკვდილია!..

მაგრამ... წინ მისკენ!..

— რას არჩევდი, კრისტოფ: ცხოვრების გაგრძობას და შრომას, თუ სიკვდილს და სახელს, მარადიულ ხსოვნას კრისტოფისას?

— ჩემს სიკვდილს, ხოლო ჩემი შრომის სახელსა და ხსოვნას, ვინაიდან ამ შემთხვევაში დარჩება ნამდვილი, რაც არის... ერთად ერთი ნამდვილი...“

მაგრამ ჟან კრისტოფს აქ იჭვები შეიპყრობენ, რას აქვს უფრო მეტი ღირებულება: მას თავად, თუ მის შემოქმედებას?.. ბავშვური ილუზიაა, რომ თითქო დარჩება მისი ხე-

ლოვნება!.. აი, გადაეშლება თვალწინ სურათი, თუ ჟამთა ვითარებაში როგორ გაჰქრება მისი ნაწერები, ნამოქმედარი და არარაობა მოიცავს მის სახელს და ხსოვნას...

მაგრამ თუ ცხოვრებისათვის ასეა საჭირო, ნუ თუ ჟან კრისტოფს მისი შემოქმედება უფრო უყვარს, ვინემ ცხოვრება?.. ხელოვნება აჩრდილია კაცისა! მუსიკა სუსტი ასახვაა მეტრიული სისტემის მეშვეობით სამყაროს მარადული მოძრაობისა!.. იგი კომპრომისია, რომლითაც თავს იტყუებს ადამიანი მსოფლიოს შეგრძნობისათვის... სულს სჭირია ეს ტყუილი შეუცნობელის შესაცნობად და კაცობრიული შემოქმედების გასამართლებლად... ხოლო ტყუილი იგი გაჰქრება მყისვე, როგორც კი იეგოვას თვალები შეხვდებიან კაცი-სას!.. — გაჰქრება სიკვდილთან ერთად!

„ჰო, იეგოვა!.. მე მზად ვარ დავინახო შენი თვალები... ვისმინო შენი ხმა... ვიხილო შენი სახე!..“

დეე, დადუმდეს ადამიანის სული! წინაშე იეგოვასი დუმილი ღა მართებს ადამიანს!!“

სიკვდილის წინ გაუცხოველდებიან მოგონებანი კრისტოფს: ბავშვობა, სიყრმე... გატაცებანი, სიყვარული... სახლი მისი, სადაც დაიბადა და აღიზარდა, მოხუცი ბაბუა, მამა, დედა, ბიძა... ოლივიე ჟანენ... გრაცია...

„მშობლებო, საყვარლებო, მეგობრებო! ჩემის სულის სულებო, სად ხართ?.. ვიცი, სად ხართ... მაგრამ ჯერ კიდევ ველარ მიგწვდით!“

...და კრისტოფ ხედავს უნაპირო მდინარეს, რომელიც რწყავს მინდვრებს, და ნელა, თითქო უმოძრაოდ ტრიალებს... მალე შეამჩნევს იგი ჰორიზონტზე მისკენ მიმავალს მზეზე მოციალეს ვერცხლის ხაზს ტალღისას, რომელიც ვარვარებს როგორც ფოლადის ხმლის პირი... მოესმება ხმაურობაც ოკეანისებური... „ეს ის არის?“ — „ის არის!“

ტვინში კი ამასთან პარალელურად ესახება: თითქო კარი გაიღო და... აი, აკკორდი, რომელსაც ეძებდა ბოლო დროს...

მაგრამ ნუ თუ დასასრული არ არის?

„ღმერთო... მე გავაკეთე ასე მცირე... მაგრამ ვიბრძოლე... ვიტანჯე... უკმაყოფილო ხარ ჩემით, რომელიც გამსახურებდი შენ?.. მიმიღე შენს მშობლიურ ხელებზე... აღვსდგები ერთხელ კვლავ და განვაგრძობ ბრძოლას...“

და მდინარე ადიდებული და ზღვა მღელვარე იგალობებენ კრისტოფთან ერთად:

„ოსანნა ცხოვრებას! ოსანნა სიკვდილს!“

... ჟან კრისტოფის არსებას სიკვდილი მოიცავს: — კრისტოფ ყოველ ადამიანურ ცნობიერების გარეშეა. იგი აღარ არის ჟან კრისტოფ, არამედ წმ. კრისტოფია — ლეგენდა ბრძნული და გმირი მისი წმიდანი.

წმ. კრისტოფ განაგრძობს ჟან კრისტოფს, რომელიც წმ. კრისტოფის სახით ეზიარება უდიადეს საიდუმლოებას სიკვდილისას. იგი განაგრძობს ცურვას ადიდებულს მდინარეში, რომლის ტალღებს ებრძვის მთელი ღამის განმავლობაში. დამძიმებულია, დაღლილი ფრიად, რადგანაც მარჯვენა მხარზე აჯდა ბავშვი ვინმე უცნობი მთელი გზის სიგრძეზე.

კრისტოფმა ძალიან შორს გასცურა და დატოვებული ნაპირიდან აღარ მოესმის ხმა იმათი, ვინც დასტოვა იქ. არცა რა ხმაურობა. ხოლო ბავშვის მშვიდი ხმა ეტყვის მას: წინ! და კრისტოფ მისცურავს...

ანაზდეულად წინ ანგელოზი და ზარების რეკვის ხმა... აი, განთიადიც... და ახალი ნაპირიც.

„— აჰა, მოვედით კიდევცა... ჰო, რა მძიმე ხარ ბავშვო!.. ვინა ხარ?“

— მე ვარ დღე, რომელიც უნდა დაიბადოს!“

ამნაირად დამთავრდება რომანი და დასრულდება ჟან კრისტოფიცა... მაგრამ ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით მათ, რადგანაც დიდია მათგან მიღებული განცდა და უფრო დიდი მათ მიერ აღძრული აზრები...

1. ანთებული საღამოები

მე მიყვარს შუქი ანთებულ მინის,
აყვავებული ცის მყუდროებით.
ჩემს ოცნებაში ყოველთვის იწვის
მზით დასისხლული საღამოები, —
როცა იცვლება აქ ყველაფერი
ათასი სარკის აელვარებით,
და დედამინის მწვანე ნაპირი
შედის უფსკრულში ახალ კარებით.
ძირს დაეშვება ოქროს ბოძები,
და ცეცხლში სცურავს ზღვის ხომალდები.
ელავენ ცაში ანგელოზები,
იწვის ღვთისმშობლის ლურჯი კალთები.
მზე მაღალ მთაზე გადმოაბიჯებს
და გამოჩნდება ცათა მპყრობელი, —
და ერთი წამით თვალს გააგიჟებს
შარავანდედი გაუქრობელი.

ს. აბაშელი

2. ოქტომბერი

მნიფე ყურძენში ქარვა ჩადგება
და ტყე ფარჩებში დაიმალება.
გადაიქუხებს და გაჩაღდება
ყვითელ ოქტომბრის ფერისცვალება.
მოულოდნელად შავი გედები
აიშლებიან მოგონებაში...
შევალ ოთახში, ჩავიკეტები
და სულს გადვისვრი ცეცხლის ემბაზში.
ნისლის მორევში ჩანვება თვალი, —
სევდა მწარეა და მე მარატო ვარ, —
მომეჩვენება მწუხარე ქალი,
ვისაც ვუყვარდი და მიმატოვა...
დახუჭულ თვალებს არ მოშორდება
ქალის სინაზე და ბრწყინვალეა,
და მეასეჯერ განმეორდება
შხამ-დანთხეული სულის წვალება.

ს. აბაშელი

3. სასახლის ბაღში

შემოვა ბინდი ღია სარკმელში,
მთაზე ჩაჰქრება მზის ბაირალი.
მოგონებათა ცისფერ სარკეში
აშრიალდება სასახლის ბაღი.
ახლდება ერთი ამბავი ლექსში
ცრემლის წვიმებით დანაძველები:
იისფერ შუქზე თეთრ ყვავილებში
იელვებს ქალის თეთრი ხელები.
და შეირხევა ყვავილთა გროვა,
ჩუმი კანკალით მოწყდება ღერო,
და თეთრი ქალი აუზთან მოვა,
რომ სიყვარული მეც დავიჯერო.
მაგრამ დარეკავს საათის ზარი —
და დაეცემა ბაგეზე შხამი.
გაჰქრება უცებ ტკბილი სიზმარი,
და ატირდება თვალელებში ღამე...
ნამს ჩამოჰყვება მჭკნარი ფურცლები.
იურვებს მწარედ სული მტკივანი.
და მიმავალი ქალის ქუსლებით
ახმაურდება შორს ხეივანი.

ს. აბაშელი

სახეები ცეცხლიდან

I

ცეცხლზე დაეცა მისი სული, როცა მღეროდა,
ალი დალია და უფსკრულში გადაერია.
შხამით აღსავსე ყვავილების მსუბუქ ღეროთა.
იგრძნეს მარტოდენ, რომ საბრალო — გადაირია.

სტკიოდა გული და ნუგეში ჰქონდა არავის.
მაგრამ ბავშური ატირება ხშირად იცოდა.
თვალელებში ჩარჩა ბევრი ცრემლი დაუფარავი.
როდესაც თრთოდა, ღამეებით როცა იწოდა.

მის იერს კვალი უიმედო დაჰყვა თავიდან.
ამბობდენ: იგი სიზმარია, ჩრდილთა მისანი.
რადგან მოჰქონდა ღამეების ყრუ საფლავიდან
ჰანგები, ნისლი და ლანდები ოქროისანი.

ერთხელ უპოვეს სიხარულის თეთრი სიალე,
 მოსული წუთით, უხილავის წამოსასხამით.
 და მაშინ თურმე მის ბაგეთა გაიშრიალეს:
 „ვიყავი წყლული და იარა კეთროვან ღამის“.

ეხლა სხვა არის მისი სახე. შავია ზეცა.
 და ღამეებში შემოსული სხვა ჰაერია.
 იგი მღელვარე აღტაცებით ცეცხლზე დაეცა.
 ალი დალია და ჭაბუკი გადაირია.

ხარიტონ ვარდოშვილი

სათხოვარი სულისადმი

ლექსი VI

არ შეგეშინოს, ჩემო სულო,
 ჩრდილი კანკალებს!
 ეს მე ვარ მხოლოდ მისი სახე,
 შენი მბურავი.
 მოჰყვება ღამე, სადაც არის,
 ქარის ნაკვალევს
 და შენი თვალი აივსება
 ყრუ სამდურავით.
 მაგრამ ეს წყლული, ღამე ამბობს:
 უნდა გეფინოს.
 არ შეგეშინოს ჩემო სულო, არ შეგეშინოს.

უსიხარულო დღეების ცვლას
 აქვს დავალება.
 რომ დაღალული შენი ფრთები
 ცეცხლში გაივლოს.
 და გათეთრებულ იმედების
 ფერისცვალებას,
 სიმაღლე შეხვდეს უეცარი,
 გატყდეს და ივნოს,
 ოღონდ ეფინოს შენს თვალებზე,
 ჩრდილი ეფინოს.
 არ შეგეშინოს, ჩემო სულო, არ შეგეშინოს.

ეხლა ღრმა არის, სიკვდილის თვალს
 რომ დაჰყვა ალი.
 და უფრო დიდი გაღიმება
 უხილავ ქარის.

შენი ოცნების დამძიმების
ყოველი კვალი,
არის იერი და სახელი
წამების ჯვარის.
მაგრამ ეს წყლული ღამეების
უნდა გეფინოს.
არ შეგეშინოს, ჩემო სულო, არ შეგეშინოს.

გაივლის ასე მოჩვენება
მრავალი ჟამის,
შენ აღელვებულ გრიგალებში
უნდა გეძინოს.
ღამის თვალების გამოხედვა
სავსეა შხამით...
არ შეგეშინოს, ჩემო სულო, არ შეგეშინოს.

ხარიტონ ვარდოშვილი

გარღვეული რკალები

1.

მე მაშინ მოველ, როცა მიწაზე
ცოდვის ნიაღვრათ სისხლი სდიოდა,
როცა კერპები აღარ იწამეს
და ვულკანების ალი ღვივოდა.
ისმოდა ფრთების მძაფრი შრიალი
და მოლოდინის რეკდა ზარები:
და გაჰკიოდა ამაყ გრიალით
ხმები: „გვსურს გავხსნათ ალთქმის კარები!..“
და გაბზარული კოშკის სვეტები
ელოდა ტალღის გამოკიდებას,
რომ გამქრალიყო ცრუ იმედები,
და დაემარხა ძველი დიდება...
ტყდებოდა სადღაც ხიდე მაგარი,
მიჰქონდა გზები ნისლებს მტვერიანს...
...და დაუნდობელ წარღვნათ ამდგარი
მოდიან ძლევით, მოიმღერიან —
ისინი უტყებ რწმენით მთვრალეები,
და ბრძოლის ალში გადაცვენილი,
სისხლით დაფერილ მფეთქავ თვალებით,
და იმედებით ცათ აფრენილი...
მოდიან... ნაპრალს მოსდევს ნაპრალი,
მებრძოლთა ძვლებით ამოვსებული.
და მკვდრეთით სდგება სახე გამქრალი,
ახალი რწმენით გაშუქებული...

მოკვეთილ თავებს მოაქვთ ლანგარი
 და სისხლით რწყავენ ახალ გზის მტვერებს,
 რომ მოაფრქვიონ სხივთა ნამქერი
 ნამების ჯვართი გადავლილ სერებს...
 მოდიან, როგორც გრიგალი მძაფრი,
 ვინ დაუდგება მათ ბრაზ-მორეულთ!
 და სისხლის ზოლად გაება ძაფი,
 როგორც ოცნება, მხარეს შორეულს...
 მოდიან, მოაქვთ დროშების ბალი,
 სისხლით მორწყული, ხმლებით ნაჩეხი...
 ირყევა ძველი კოშკების თალი...
 მოდიან, მოაქვთ რისხვა და მეხი!..

2.

მე მაშინ მოველ... და სწრაფი ტალღა
 მიმაქანებდა შორიდან შორსა;
 და გავჰკიოდი: სულ მალღა, მალღა
 ასნიეთ, ძმებო, ასნიეთ დროშა!
 ყველა რკალები უნდა გაირღვეს,
 ვით რკინის სალტე, სულს რომ აწვალეხს,
 ჩვენგანი უკან არვინ დაიხვეს
 და გადავივლით ყველა ნაპრალებს...
 სანგრები, ირგვლივ ალ-დაფრქვეული,
 იწვის და ლელავს ცეცხლების ზევათ...
 ძმებო! ეს დროშა გულ-გახეული
 ნამების გზებით მწვერვალზე ავა!
 მწვერვალზე ავა და ახალ ზეცას
 მოაფრქვევს სალამს, ვით სულის სიმებს,
 მათგან, ვინც ბრძოლის ველზე დაეცა,
 და ზიდეს ჯვარი ნამების მიძიმე!..
 სანგრებში ვილაც შემლილი დაჰქრის,
 ეთამაშება ტყვიებს გაფრენილს,
 მსხვერპლთა წინაშე კრძალვით თავს დაჰხრის
 და გადახედავს ველზე გაფენილს:
 ამბობს, რომ სიკვდილს ის ვერ იწამებს,
 არის სიცოცხლე და ნეტარება,
 რომ უკვდაება მოაქვს იმ ნამებს
 და უნათლესი სულის ხარება.
 დეე, გაევლოს მუსრი მტრის გუნდებს,
 გზებს ამუქებდეს მზე გადახრილი,
 რომ არ შეაკვდეს სული ცივ ზღუდეს
 და აელვარდეს ცა გადახსნილი! —
 სანგრებში ვილაც შემლილი დაჰქრის...
 გულ-გაჩეხილი ეცემა მკვდარი.
 აავსებს ძმათა საფლავებს გათხრილს

და წინ მიილტვის მებრძოლთა ჯარი.
და ვერ ამძიმებს ამაყ სულს დალლა,
ტალღები მიჰქრის შორიდან შორსა,
და ჩვენ გავჰკვივით: სულ მალლა, მალლა
ასწიეთ, ძმებო, ასწიეთ დროშა!

3.

მე მაშინ მოველ... და მშობელ მიწას
თავს ევლებოდა ტრფობით მხედარი,
ვინაც მუდამყამს მის სახელს ფიცავს
და უკვდავ სულით მარად მხნედ არის...
და გაკაჟებულ სულის კვეთება
გადადის ელვით ჯარიდან ჯარზე;
და დროთა მტვერი გადისვეტება,
ხმლებით დახაზულ რკინის აბჯარზე.
დიდხანს ელოდა რაში გაფრენას
მშობლიურ ლაჟვარდს მონატრებული;
ელოდა ველზე მწყობრად გაფენას
წმინდა დროშებით მებრძოლთ კრებული.
არ დაილევა ცაში ვარსკვლავი,
ისე ვით სულში — იმედის ალი.
წამოვა უცებ რისხვათა ზვავი
და გაბრწყინდება ნალესი ხმალი!
და ბედი ერთხელ გადატეხილი,
როგორც ქრილობა გულს დაფარული,
დაირკალება მათათა გრეხილათ,
რომ ისევ ჰპოვოს სხვა სიხარული.
და სულში ფრთებს შლის დილა მაისის.
მიფრინავს რაში ნათელ ფერებით.
მარად უკვდავი ძლევის ხმა ისმის,
და ჩვენ მთვრალი ვართ მხნე სიმღერებით...
გზა შორეული ისევ ენთება,
და ჟამი იწვის ელვის ძახილით,
რომ სისხლიანი დღე გათენდება,
და ომში უნდა ენდოს მახვილი...
მოდის და მოდის ყოველმხრივ ურდო,
და სანგრებს ჰფარავს ბურუსი ცხელი...
მოდინ, ვისაც გული აქვს უნდო...
ო, მეგობარო, მომეცი ხელი,
რომ არ დაეტყოს ჩვენს მხნე სულს დალლა,
რომ ჰქროდეს ტალღა შორიდან შორსა,
რომ კვლავ დავსძახოთ: სულ მალლა, მალლა
ასწიეთ, ძმებო, ასწიეთ დროშა!

4.

მე მაშინ მოველ... და ვით მთვარეულს
 მიპყრობდა ჯადო-კორიანტელი.
 და სისხლის ლაქებს, მტვერში გარეულს,
 აფრქვევდა სხივებს შორი ნათელი.
 ძმათა საფლავებს მოსავდა ალი,
 მალალ მწვერვალით გადმოფენილი,
 ვით მთვარის ქსელი — გადმონაშალი,
 და როგორც სული ცათ ავლენილი...
 და იდუმალი რეკავდა ზარი,
 ვით მოლოდინი ახალ გაფრენის,
 და ენთებოდა სერებზე ჯვარი,
 როგორც ციმციმი შორი აფრების.
 გზა იყო ვრცელი... და ახალ სამანს
 დროთა სიღრმეში ვერ ხედავს თვალი...
 სისხლის ლანქერი ნაპრალებს გაჰბანს,
 და მრავალ რკალებს გადასჭრის ხმალი!...
 და მეგობარი, სულს რომ ათრთოლებს,
 როგორც ალერსი შორეულ ელვის,
 რწმენით გაჰყურებს სივრცეთა ზოლებს
 და ახალ აღთქმის სასნაულს ელის!
 ჩვენ იმედების ვზიდავთ სიმძიმეს...
 და ყოველ ტალღის დანარცხებაზე —
 სულის ოცნება მალლა ციმციმებს
 და მღერის ახალ განათებაზე...
 შორი ცის თალი მოსჩანს ლანდებათ,
 და ალი იწვის სივრცის უბეში —
 როდესაც უცებ შემოლამდება
 და გულს სწყურია ტკბილი ნუგეში.
 ადგება რაზმი დაუდეგარი
 და გადახედავს საფლავებს ძმათა,
 რომ ისევ ბრძოლის დაჰქროდეს ქარი,
 და გუგუნებდეს ყიჟინა ხმათა;
 რომ არ დაეტყოს ამაყ სულს დალლა,
 რომ ჰქროდეს ტალლა შორიდან შორსა,
 და კვლავ ისმოდეს: სულ მალლა, მალლა
 ასწიეთ, ძმებო, ასწიეთ დროშა!!

ობოლი მუშა

დაზიანებული გული

ძნელია გულის დაიარება
 და მარტოობის ფიქრში დაძირვა:
 ვით ლანდი, ობლად დაიარები
 და კვალში დაგდევს ბედის დაცინვა!
 იგონებ წარსულს, სიზმრათ გაფრენილს,
 ანმყოს მონყენილს და უფერადოს,
 და ხედავ ეკლებს, ფეხთ ქვეშ გაფენილს,
 ვით ჯარს გაქცეულს და უბელადოს.
 ის რაც გიყვარდა და მოელოდი,
 გენატრებოდა, ვით ბნელში, სხივი,
 ისევ შორს არის და შენ კი ლოდი
 გიახლოვდება საფლავის, ცივი.
 და გრძნობ: ყველა გზა გადაჭრილია,
 არა გაქვს არსად ნავთსაყუდარი.
 შენ კი ნუგეში, ვით მზე, გჭირია:
 და ხელებს ცისკენ იწვდი მუქარით.
 ცივი დუმილი. მხოლოდ ვარსკვლავნი
 დაციმციმებენ ოქროს თვალებად:
 და, ლოცვის ნაცვლად, წყევლას აგზავნი
 და ტანში რისხვა გივლის ქარებად.
 და ვით მწუხრისას შავი ყორანი,
 წამოფუყული სადმე კლდის თავზე, —
 დაგჩხავის სევდა და, ვით ბორანი,
 ქანაობ მუდამ ცრემლებს ზღვაზე.
 ძნელია გულის დაზიანება
 და მარტოობის ფიქრთა თარეში:
 სული შავ ფიქრებს ეზიარება
 და ჰრბიან დღენი სიმწუხარეში!

ვარ. რუხაძე

ნაპრალის პირად

სული თან გაჰყვა გადასულ ზღაპარს,
 გული აქ დარჩა ტანჯვით ნასეტყვი,
 და დავცქერ ახლა ხავს-დაკრულ ნაპრალს,
 მაგრამ უფსკრული ჩემს წყლულს რას ეტყვის?
 ბნელა. დამძიმდა ისე ჰაერი,
 თითქო ქვებს ჰყრიან ცის კამარიდან,
 და ისმის ხმები ისეთნაირი,
 ვით გამოხმობა ცივ სამარიდან.

ყოველ ნაბიჯზე მხვდება სატანა
 და გზას მიკენჭავს თავის ქალებით...
 ოჰ, თუ ამ ღამემ დიდხანს გასტანა,
 ვგრძნობ, მეც სიგიჟის დამწვავს ალები!
 მინდა გავექცე ღამის ქიმერებს,
 თან რომ დამდევენ სისხლიან დაშნით...
 რომ შევაფარო თავი იმერეთს —
 ჩემს გულის ნუხილს განა ის დაშლის?
 გონების თვალთ გავყურებ გელათს:
 მასაც ჩემსავით ეს ბნელი ღამე
 შემოხვევია სულის მღრღნელ გველათ,
 და მარტვილს უხმობს: „მითხარი რამე!“
 უთხარი რამე, ჩემო მარტვილო,
 უთხარი რამე, ჭაღარა გელათს:
 კაემნის სუსხმა რომ ვერ დათრთვილოს,
 იმედის ცეცხლი აუნთე მწველათ!

ვარ. რუხაძე

ქართულ სუფრაზე

ალ. რუხაძეს

გაშალეთ სუფრა! მოიტათ ღვინო!
 მე ვარ მოლხინე და არა ლოთი!
 დასძახეთ, ძმებო, ჰიმნი სალხინო,
 რომ დავინყნარო ღელვა და შფოთი!

მინდა დავლიო ბოღმა და დარდი,
 რომ აღარ ვყავდე მონად, მსახურად;
 კახეთის ზვრებში თუ ვარ ნაზარდი,
 უნდა ვლალობდე კიდეც კახურად.

მოიტათ ყანწი! ვინც აქ თავს იქებს,
 მსურს გამოვცადო, შევება სმაში!
 აბა, ერთხელაც დაჰკოცნეთ ჭიქებს!
 ინყება ჯამის ხელში თამაში!

ჰო, ეგრე, ეგრე! გაამოთ ხალხო!
 ნურც დაგხურვიათ მარნების კარი!
 შაბამ, ვინც ეხლა ეშხით დასძახოს
 და გრძნობის ცეცხლით დაფერფლოს თარი!..

გ. ქუჩიშვილი

პირველი მაისი¹

ამბავი

ხვალ პირველი მაისია და მე ამელამ არ მეძინება. ეს იმიტომ, რომ მე ეხლა მინდა ვიყო ქალაქ N-ში. მინდა ვიყო იქ და სატუსალოში კი ვიმყოფები — აბა, როგორ დამეძინოს, ერთი მითხარით! და ჩემი პანია, სატუსალო ოთახი სავსეა თამბაქოს კვამლით და ამ კვამლში გახვეული ვარ მე. სავსეა თამბაქოს კვამლით ჩემი ოთახი, მე კი მაინც პაპიროსი მიჭირავს პირში და ვაბოლებ მას, თან კი ვფიქრობ — მე უნდა ვინახულო ქალაქი N-ი.

ეს არაფერია, რომ მე მკერდი მტკივა და დილა სალამოს მწარეთ მახველებს. წუხელის ღამით კიდე ოფლში ვცურავდი. ეს არაფერია. მე მჯერა, რომ გაივლის ყოველივე ეს — ტყუილათ ხომ არ ვლებულობ თევზის ქონს, რომელმაც მე ფილტვები უნდა გამიმეგროს. მე ვიმოგზაურებ ქალაქ N-ში, გავიქცევი ტყვეობიდან — ამაზე მე ყოველ ცისმარე დღეს ვფიქრობ და შემთხვევას ვუცდი, ხოლო თუ ეს არ მოენწყვა, ტუსალობასაც დასასრული აქვს, სამ წელიწადსა და ორთვეს შემდეგ მე უნდა გამათავისუფლონ. და მე გავიქცევი ქალაქ N-ში, აი, რას ვიზამ მე თავდაპირველათ, როცა მარტო გავალ. აუცილებელი და ისე საჭიროა ჩემთვის ეს მოგზაურობა, როგორც ჰაერი, როგორც საზრდო. მგონი მთლათ იმიტომ ვარ ავათაც, რომ ამდენი ხანია იქ არ ვყოფილვარ — აი, რას შეადგენს ჩემთვის ქალაქი N. ის ძალას შემძენს მე, ენერგიას გამიცოცხლებს, შრომის სურვილს გამიორკეცებს, უფრო ღრმათ, უფრო ძლიერ შემაყვარებს მას, რაც მიყვარს და ერთი ათათ შემადულებს — რაც მძულს. ამიტომ მე აუცილებლათ უნდა წავიდე იქ. აი, ეხლაც გაფართოვდა, მგონია, გული ჩემ მკერდში, უფრო აჩქარდა ის, ტვინი ამუშავდა. ეს იმიტომ რომ მე თვალწინ დამიდგა ქალაქი N და ქალაქის სასაფლაოზე ერთი საფლავი. ამ სამი წლის წინეთ, როცა პოლიცია გაცხარებით დამეძებდა მე, გადავდევი თავი და ავიპარე N-ში, ვინახულე ის საფლავი, უკან დაბრუნებისას, გზაში კი დამატუსაღეს და აი აქ ამოვყავი თავი. ხის გადაზნექილი ჯვარი ესო იმ საფლავზე, მაგრამ ის ჯვარი არ გავასწორე მე, ვერ ვნახე საჭიროთ. ალბათ, ეხლა იმ ჯვარის არაფერია იქ, დაღუპებოდა ის და გადაათრევენ ნენ იქიდან. მივედი მე იმ საფლავზე, ამოვხიე უბის წიგნიდან ფურცელი, რალაცა დავანერე იმ ფურცელზე, გავხვიე იმაში ერთი დამჭკნარი იის კონა და დავმარხე მე იქ. თითებით ამოვუთხარე მას საფლავი და დავმარხე. ის ია ჩემი საკუთრება იყო და იმაზე უფრო ძვირფასი არაფერი გამაჩნდა მე. ამიტომ როცა იმას ვმარხავდი, ავტირდი მე. კაცს, რაც გიყვარს, იმისთვის არავითარი მსხვერპლი არ უნდა გშურდეს, ის საფლავი კი მე ისე მიყვარს, ისე მიყვარს, რომ... არც ის წერილი და არც იის კონა დამხვდება მე იქ, როცა მივალ, მე წავალ მხოლოთ საფლავის სანახავათ. ადვილი მისაგნებია ის, სასაფლავოს ზევით, განაპირას იმყოფება ის და იქიდან, როგორც ხელის გულზე, მოჩანს მთელი ქალაქი და ის მოედანი, რომელიც მე არაოდეს არ დამავინწყდება. რამდენიმე ვაჟკაცი მარხია იმ საფლავში, ერთად, ძმურათ აწყვიან ერთ ორმოში და მათ შორის თინაც, ჩვენი თინა!.. იქ პირველათ მთელ სამ თვეს ჯარის კაცები იდგნენ და იმ საფლავთან არავის უშვებდნენ — ეშინოდნენ არავინ მოიპაროს ცხედრებიო. სულელები! აბა, ვინ დაამორებდა ერთმანეთს ამ განუყრელ ამხანაგებს! თუ სიკვდილი ერთად შეიძლეს, მერმე ერთად ყოფნას ვერ შეიძლებდნენ? და არ უნდოდათ აგრეთვე, რომ ყვავილები მოეტანა ვისმე ამ საფლავზედ. მხეცები! აი, ეს საფლავი არ მინახავს მე სამი წელიწადია და მე მინდა, რამე ნაირათ ვნახო ის.

თქვენ ფიქრობთ იქნება, რომ მე კოლა მინდა ვნახო, იმის გამო მივიღტვოდე თითქოს იქ. თქვენ გგონიათ იქნება, რომ რაკი ის ჩემი საუკეთესო და საიმედო ამხანაგი იყო, ამი-

1. ეს მოთხრობა პირველად იბეჭდება. რედ.

ტომ იმის საფლავი მიტაცებს თითქოს! თქვენ ფიქრობთ იქნება, რომ მე მიჭირს უიმისოთ ცხოვრება! ხან და ხან მეც აგრე მგონია ეს, მაგრამ ახლა ვამცხადებ, რომ ეს არ არის მართალი. ჩვენ ერთად გვხედავდნენ, ჩვენ ბევრი ჭირი და ლხინი გვინახავს ერთად... მე იმას დავარქვი მოზვერი, იმიტომ რომ ის მხიარული, ჯანმრთელი, ღონიერი ბიჭი იყო და თავისუფალ დროზე ჭიდაობა უყვარდა. და რომელი სერიოზული ადამიანი ჭიდაობს, ერთი ეს მითხარით. დალუნავდა თავს მოზვერით და წამოვიდოდა, შიგ მკერდში გეცემოდა თავით — აი, ამიტომ მე იმას დავარქვი მოზვერი. ეხლა კი იმას ვემდური მე და უნდა გამისამართლდეს. თქვენ ამბობთ — ის მოკვდა და როგორ უნდა გაგისამართლდესო! სწორეთ იმიტომ უნდა გამისამართლდეს, რომ მოკვდა ის. ის ჯერ ჩემთან უნდა მოსულიყო და მერმე უნდა მომკვდარიყო. ან მე რომ იმისას მივედი, ის შინ უნდა დამხვედროდა და მერმე უნდა მომკვდარიყო. მაგრამ ეს მან არ ქნა და ამიტომ ის უნდა გამისამართლდეს მე. რატომ მაინც და მაინც იმან დაიჭირა ხელში დროშა! რატომ, სანამ ტყვიამ შუბლი არ გაუხვრიტა, იმ დროშას ხელი არ გაუშვა მან? იცით, რატომ ქნა ეს იმან? ჩემი დასჯა უნდოდა — აი, რატომ ქნა! და ამ დანაშაულს მე იმას არ ვაპატივებ, არაოდეს არ ვაპატივებ და ამიტომ ვემდური მას. რათ მომექცა აგრე სასტიკათ ის. განა ვიყავი ამის ღირსი? განა მე გულით უთხარი ის, რაც უთხარი? გაჯავრებული რომ გავარდა კრებიდან კარში, რათ არ მოვიდა მეორე დილას ჩემთან? როცა მე მივედი იმის ბინაზე, რათ არ დამხვდა სახლში? თინასას რათ არ მოვიდა მეორე საღამოს? აკი მე იმ წუთშივე უკან წავიღე ჩემი მკაცრი და წინდაუხედავი სიტყვა!.. მოსულიყო თინასას და ჩვეულებრივად დამჯდარიყო კუთხეში. მე დაუწყებდი მას ცქერას და როცა, თითქოს უცაბედათ, ჩვენი თვალები შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ვერც მე და ვერც ის სიცილს ვერ შევიმაგრებდით...

— ხასანე! ანარქისტი! — წაილაპარაკებდა კოლა.

— მოზვერი! — ვუპასუხებდი მე და ყველაფერი გათავებული იქნებოდა, მერმე მომკვდარიყო რამდენიც უნდოდა... მე თუ მოზვერს ვეძახოდი მას, ის არ იყო ხასანა რომ დამარქვა? ერთხელ ბათომის სატუსალოში ჯდომის დროს, ვილაც შეპრენტილი აჭარელი ენახა მას, რომელიც თავის თავს „ანახლუსტს“ ეძახოდა თურმე. ამ აჭარელის სახელი იყო ხასანა და იმ ხასანას, არ ვიცი, რათ მამზგავსა მე. მას შემდეგ მე პარტიულ სახელათ გადამექცა ეს სახელი და ყველა ჟანდარმაც იცის ეს. და ეს იყო მოზვერის ბრალი. ვილაც შერეულ აჭარელს შემადარა მე და უცაბედათ წამოსროლილი სიტყვა კი როდი მაპატივა. ასეთი უნდა იყოს სოციალ-დემოკრატი! ანარქისტი მიწოდა მე, იმიტომ რომ შეიარაღებული დემონსტრაციის მომხრე ვიყავი. შემდეგ უფრო გაცხარდა და გიჟათ გამომაცხადა. და თუ მე მწარე პასუხი მივეცი... მე ვთქვი, ალბათ კოლას სიმხდალით მოდის შეიარაღებულ დემონსტრაციის წინააღმდეგობა მეთქი და მესამე დღეს კოლა მოკვდა, მე კი დღემდე ცოცხალი ვარ. ჯიუტი კაცი იყო კოლა და ალბათ იმიტომ მოკვდა, რომ მე იმას სიმხდალზე შევწამე. აქაო და აბა ნახე რა მხდალი ვარ მე. შეგცხვეს, ხასანავ, შენი სიტყვებიო. და მისი საფლავი აბა, როგორ გამიტაცებს მე, ის დამნაშავეა ჩემს წინაშე და მე ვემდური მას. სრულიადაც არ ხარ შენ ჩემი ამხანაგი და შენთვის მე მოზვერი არ დამირქმევია. შენ ისეთი საქმე მიყავი, ისე დამსაჯე, რომ მოსისხლე მტერს აშორდეს ასეთი ამხანაგები, როგორც შენ! შენ გამცე უნდა პასუხი, რათ დამსაჯე აგრე... შენ არ ხარ, ძამია, ჩემი ამხანაგი და თუ მე ეხლა თვალებში ცრემლი მომადგა, თუ რალაც შეიკუმშა ყაყრანტოში და ქშენას მიშლის, ეს იმიტომ კი არა, რომ შენ გამახსენდი. შენთან ერთად მარხია კიდევ ერთი თერთმეტი წლის გიმნაზიელი, ერთი ჩემი ნაცნობი მრეცხავი ქალის ერთად-ერთი შვილი და ის გამახსენდა მე. როცა ძაძებში გახვეულმა დედამისმა დამინახა მე — იმან იყვირა:

— არ დაგინახა, კაცმა არ დაგინახა, ჩემი შვილის მკვლელებო! ღმერთო, ნუ გაუმარჯვებ სოციალ-დემოკრატებს ჩემი შვილის, ჩემი ვანოს დალუპვაზე.

და დაიწყო მოთქმა. დაიწყო მოთქმა მან, მე კი დავიცავი ყურები და გავიჩქარე, გავიჩქარე წინ... ეს გამახსენდა მე და ამიტომ თვალებში ცრემლი მომადგა... შენ კი, შენ უნდა გამისამართლდე, ამხანაგო კოლა — რათ დამსაჯე, ძამია, აგრე?!..

ჩემი პანია სატუსალო ოთახი სავსეა თამბაქოს კვამლით და მე ერთიან გახვეული ვარ ამ კვამლში, მე კი ისევ ვენწევი თუთუნს, ისევ ვაბოლებ, თუმცა ის ექიმმა სასტიკათ ამიკრძალა. რა იცის ექიმმა, განა მიხვდება ის, თუ როგორ მიმშვიდებს ნერვებს თუთუნი? მან მიიღოს ბრომი ნერვების დასამშვიდებლათ, მე კი თუთუნი მინდა. რომ თუთუნი არა, მე ხომ ეხლა უნდა ავტირებულყავი — მოუჭირე პაპიროზს კბილები და ცხვირში გამოუშვი და გამოუშვი კვამლი — აი, რა მინდა მე. და ბრომი შეიძლებდა ამას? ტუსალობამ ძალიან, ძალიან გამისათუთა ნერვები და მე კიდევ ამელამ არ მეძინება. ბრომი დღეში სამჯერ უნდა მიიღო, თითო სტოლის კოვზი, თუთუნი კი განუსაზღვრელათ შეგიძლია მოსწიო. ექიმმა არ იცის ეს, ამიტომ იმით მიხვდეს, რომ დაუჯერებ მას. იმისთვისაც მაღლიერი უნდა იყოს, რომ ამ მყარალსა და საზიზღარ თევზის ქონს ვლებულობ მისი რჩევით. არა, მეყოფა მე ეს ფილტვების გასამაგრებლათ და ამიტომ ჩემი პანია სატუსალო ოთახი სავსეა თამბაქოს კვამლით და მე გახვეული ვარ ამ კვამლში, პირში კი ისევ მიჭირავს პაპიროსი და ვაბოლებ მას. გამიშვით მე ქალაქ N-ში და დავეთხოვი თუთუნის წევას, გამიშვით ქალაქ N-ში და არ მანყენს მე თუთუნის კვამლი, არ დამჭირდება თევზის ქონი. გამიშვით მე იქ და ოთახში არ გავჩერდები ამელამ, გავალ ქალაქ გარეთ და გათენებამდე ვიხეტილებ იმის გარშემო გადაშლილ მინდვრებში, ავალ მაღლობზე, წამოვწევი გულ-აღმა, შევაშტერდები ზეცას და მოვნახავ მე საზიარო ვარსკვლავს, იმ ვარსკვლავს, რომელიც ერთ აღდგომა ღამეს დავისაკუთრეთ მე და თინამ. და როცა იმ ღამეს მე სეირნობიდან დავბრუნდი, მე არ ვიცოდი, რა მექნა, მე არ დამეძინა, მე ვერ შევიძელი ოთახში დარჩენა და კარში გამოვედი, მაგრამ ვერც იქ გავჩერდი. მე მინდოდა ტირილი, სიცილი, სიმღერა, ცეკვა და ისევ ტირილი. მე არ ვიცოდი, რა მინდოდა. და მე ავიღე ინგლისური ქინძისთავი, გავმართე ის და გავახურე ლამპის ალზე. და მარცხენა მკერდზე, იმ ალაგს, სადაც გული სცემს, მე გახურებული ქინძისთავით დავწერე ოთხი ასო და მე არ მიგრძვნია ტკივილი. და ამ ასობმა შეადგინეს ერთი ძვირფასი სახელი — თინა. და ამიტომ მე არ მტკენია ეს. როცა მე დავიხედე მკერდზე და წავიკითხე ეს, სიხარულით მაღლა ავხტი, შემოვკარი ტაში და დავიძახე:

— თინა! თინა!

შემდეგ დავეცი პირდაღმა ტახტზე, გავხვიე პირისახე ბალიშში და ავტირდი მე. და გადავწყვიტე თინასთვის ეს არ მეთქვა.

მითხარით, რა იყო ეს — სიგიჟე? რა იყო ეს — სიმთვრალე? რა იყო ეს?

რა იყო და სიყვარული იყო...

იცით თქვენ, რა არის სიყვარული? მე არ ვიცი, რა არის ის...

მე მოვკრიბე მინდვრის ყვავილები და დავპნენი გვირგვინი. ავიღე ეს გვირგვინი და თინას თავზე ჩამოვაცვი. ჩვენ გრძელი მინდორი უკვე გავლილი გვქონდა და ის იყო აღმართს შეუდექით მაშინ. საღამო იყო და მზე ალმაცერად გვესროდა სხივებს, ხოლო გრილი ნიავი თინას ოქროსფერ თმებს ეთამაშებოდა. აღდგომა დღე იყო იმ დღეს და ყველაფერი მხიარულობდა, რადგანაც მშვენიერი გაზაფხულის დღე შეხვდა ამ დღესასწაულს. მინდორი ამწვანებული იყო, შორეული მაღალი მთის გრეხილი კი თითქოს სუნთქავდა და ზურგს ისწორებდა. როცა შევხედე მაღალ ზეცას და ყველაფერს, მე ველარ მოვითმინე, დავპნენი ყვავილების გვირგვინი და თინას ჩამოვაცვი თავზე. ეს იმიტომ, რომ მე ვკრთოდი მაშინ, მე გული სიხარულით მევსებოდა. მე ხტუნაობა მინდოდა, თამაში მინდოდა, მე თინას ცქერა მინდოდა, და ამიტომ გვირგვინი ვუძღვენი თინას.

თინა თავის პლანს მაცნობს. ერთი ახალი წრე შესდგა რაიონში და თინამ ჩაიბარა ის. აი, იქ თინას სურს ასე მუშაობა...

— ჰე, ერთი შენც, ვიძახი მე — ძირს ჭკვიანური ლაპარაკი! ნუ თუ ამდენ ხანს ვერ დაგარწმუნე, რომ ეს ქალის საქმე არ არის. გაიგე, თინა, რომ დედაკაცის ჭკუა ქრისტე უფალმა ბარდის ფურცელზე დაანერა და ის ფურცელი კი თხამ შეჭამა, ამიტომ დაანებე თავი ჭკვიანურ ლაპარაკს...

— მოყევი, მოყევი ერთი შენებურათ. სამოთხეში როდი შეხვალ, თუ დღეში ერთხელ მაინც სისულელე არ თქვი!

— შენმა მზემ, ინუგეშე თავი იმით, რომ სისულელე არის, რასაც ქალების შესახებ ამბობენო...

ვინ ქალი, ძმაო, და ვინ პრინციპი!

დაჯდეს დივანზე ჭამოს ქიშმიში!

— იცი შენ, ვინ ამბობს ამას? ჩემსავით სულელიო? კარგ კამპანიაში ვყოფილვარ, გმადლობ, თინა, ამ შედარებისთვის. ამას სწერს ქართველი ერის სვინეტი, შჩედრინი და ყოველივე სიკეთე, დიდებული სატირიკოსი მაყაშვილი. ის კი ისეთი დიდებული მწერალია, ისეთი, რომ არვინ არ შებრძოლებია ამ დიდებულ აზრს...

— ეჰ, ნეტავი იცოდე, რა სისულელეს ამბობ...

— მაშ, მოდი ჭკვიანურს გეტყვი — მაკოცე ერთი!

— თინა წყრება და სურს ხელი ჩამკრას თავში. კარგი, გამიმეტე ხომ გასალახავათ! თავის დაცვა ადამიანის უწმინდესი მოვალეობაა და შერცხვეს სოციალ-დემოკრატი ბიკტორ აგიაშვილი, იგივე ხასან, თუ შენი მოქნეული ხელი თავიდან არ აიცილოს. და მე წავატანე მას ხელი ხელში და დავაშვებე ის ძირს, შემდეგ მოვხვებ ხელი და გადავდგი წინა ნაბიჯი — Раз, два! Раз, два! აი, ასე უნდა, თქმულია — Рукам воли не давай! ახლა იარე, ქალბატონო, ასე, იმიტომ რომ მე ასე მსურს და თუ შეგიძლია მებრძოლე, გამისხლტი ხელიდან.

— კარგი, ნუ სულელობ, დაგვინახავს ვინმე.

— ეჰ, მაგის მეტი სადარდო არაფერი დაგვირჩა მე და შენ... იარე ჰო, раз, два! Раз, два! და მე ვლივინებ.

— В ногу ребята идите!

— Слушай команды слова!.. Раз, два! раз, два!

— არა, არ ვარ მე ჩემი თავის კმაყოფილი, ამას წინეთ მე შენ პროზით გამოგიცხადე სიყვარული. მოდი, ახლა ლექსით გამოგიცხადებ.

აბა, დამიგდე ყური.

ჟუჟის! წყალი აღმა მივა — დიდება შენდა, ღმერთო!

შენ ჭიშკართან გევიარე, ვერ დაგინახე კარში.

ვინცხამ ჩემი ძვირი გითხრას, შეაჭამე ნაკვერჩხალი.

შენგან დამწვარ-დადაგული, შენი მორჩილაი.

— აი, ასე მისწერა თავის სატროფოს ერთმა გურულმა ბერმა და მეც გიმეორებ ამ ლექსს და გიცხადებ ჩემს უღრმეს სიყვარულს... მიიღებ თუ არა?

თინა იცინის და მისი სიცილი მე მომწონს, განსაკუთრებით მომწონს. ამიტომ ველარ ვითმენ და ვკოცნი მას. აბა, ყოველთვის ზედმეტ ღირებულებაზე და დემოკრატიობაზე ხომ არ უნდა ბჭობდეს ადამიანი! დღეს აღდგომაა და ყველაფერი ასე მხიარულია. და ეს ზეცაც — რა მაღალია ის და რა ლაჟვარდი! შენ კი, ჩემო თინა, ყველას ჯობიხარ და მე მიყვარხარ შენ. და ამიტომ შენთვის კოცნაც არ მშურს. შეგიძლია დამსაჯო სამაგიეროთ, მაგალითად, მაკოცო — თვალი თვალის წილ! ამას მოითხოვს სამართლიანობა, შენც იცი ეს...

1. ჟუჟი — მდინარეა გურიაში.

იცის, მაგრამ არის ქალი,
მაშ სადღა აქეს სამართალი!..

— და ამასთან, მოიცა, ნუ მიშლი — ამასთან დაიდევ გულზე ხელი და მითხარი — სული არ წამინყდეს, არ მიყვარდეთ. მაშინ, რა გაენყოფა, უკან დავიბრუნებ ჩემ კოცნას... მაშინ მე წავალ სტუდენტ გიორგისთან, შენ რომ უყვარხარ და...

— ნუ სულელობ, არავისაც მე არ ვუყვარვარ...

— მოდი და ესეც გადავარე! აი, დაგიჯერე ერთბაშით! მაგრამ მაცალოს იმან, მე არ მივხედავ, რომ ის კაი ბიჭია და ჩვენი ორგანიზაციის წევრია, არც მე ვარ იმაზე უარესი და მე ვეტყვი იმას: „თუ შენ, ჩემო ძმაო საყვარელო, უყვარხარ თინას, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ბედნიერი კაცი ხარ და ამიტომ თუ ეს ბედნიერება ვერ დააფასე, ვინიცოცხაა, მე და შენ ველარ გამოვსწორდებით!“ აი, რას ვეტყვი მე იმას! თუ გცხვენია — დახუჭე თვალები და ისე თქვი: ვინ გიყვარს: მე თუ ის? მე თუ ის? დახუჭე თვალი, თუ გცხვენია და ისე თქვი.

და ერთხელ კიდევ ვკოცნი მას. რა ვქნა, ასეთი გაუჩინივარ ღმერთს და ნუ დამძრახავ. თინა, ვინც მიყვარს, იმისთვის არც კოცნა მშურს, შენსავით ძუნწი როდი ვარ განა!.. აი, რა ბიჭია ბიკტორ აგიაშვილი, იგივე ხასან.

— არაფერი არ მოჩანს თუთუნის კვამლით თქვენ ოთახში, აგიაშვილო! მოგკლავს თქვენ ამდენი თუთუნის წვევა! — ამბობს ზედამხედველი და მშორდება. ეჰ, წადი, დაიკარგე აქედან, შენ რა იცი! აი, გამიშვით ქალაქ N-ში, მიმიყვანეთ იმ სასაფლაოზე, სადაც ერთ ორმოში, ძმურათ, ამხანაგურათ მარხიან თინა, სტუდენტი გიორგი და რამდენიმე ვაჟკაცი კიდევ სხვა და კოლა მათ რიცხვში, მიმიყვანეთ მე იქ და ვიძლევი სიტყვას, აღარ მოვწევ თუთუნს. ეხლა კი ჩემი პანია სატუსალო ოთახი სავსეა თამბაქოს კვამლით და მე გახვეული ვარ ამ კვამლში. ამ ნუთას მე გავიხსენი პერანგის საკინძე და მარცხენა მკერდზე დავიხედე, იქ ეხლაც არის ოთხი ასო და ეს ოთხი ასო ნიშნავს თინას. და მე მივდივარ თინასთან.

ბნელა. მე და თინა კი უკან მოვდივართ.

— ქრისტე აღდგა, ამხანაგო! — მხვევს ვილაცა ხელს და მკოცნის. ღვინისა და ოფლის სუნი უსიამოვნოთ მილიზიანებს ყნოსვას, მაგრამ ამაზე როდი ვფიქრობ, მე მინდა გავარჩიო მისი სახე, ვინც მაკოცა, მაგრამ ის უკვე თინასთან მისულა, ულოცავს ქრისტეს აღდგომას და შიგ ტურჩებში კოცნის მას. და მირბის, მირბის...

მე უცებ გავიგე ყველაფერი და პირველათ გამეცინა.

— აი, ყოჩაღ! ყოჩაღ!

— რას იცინი შენ ხასანა, შენ! — შეურაცხყოფილი, ცრემლ ნარევი კილოთი მეძახის თინა და თან მეკვრის, მოდის სულ ახლო ჩემთან.

— ძალიან არ გადაგკოცნა! ყოჩაღ, ღმერთმანი, ყოჩაღ!

— შენისანა დამცველი რომ კაცს ეყოლება... შენთან, აბა, როგორ შემეშინდება ანი...

— თვითმპყრობელობის დანგრევა უნდა და... — მინდა დავცინო იმას, მაგრამ გულში უკვე დაბადებულა მეორე გრძნობა, გრძნობა შეურაცყოფისა და ვკუმშავ ხელებს... რათ ვერ მოვასწარი, რათ ვერ გადაუდექი წინ იმ თავხედს... და ვხვევ თინას მაგრათ, ამხანაგურათ ხელს. ეხლა მე მინდა, დაგვეცეს თავზე ხულიგანები, ეხლა მე მინდა, შევებრძოლო ვილაცას. აბა, გაბედონ თინას შეურაცყოფა, აბა, სცადონ! ვხვევ ხელს და ბაგე ჩემი სთხოვს მას პატიებას. იხთის ბოდის, გულს უნდა შეებრძოლოს ვილაცას და გრძნობს, რომ ბედნიერია, ბედნიერია...

და ბინაზე მისულს მე აღარ დამეძინა. გამოვედი კარში, მაგრამ ვერც იქ გავძელი. დავბრუნდი უკან და გახურებული ქინძისთავის წვერით მარცხენა მკერდზე, იმ ალაგას სადაც მკერდი სცემს, მე ამოვწვი ოთხი ასო და ამნაირათ დავსწერე — თინა. და შევხტი ზევით, შემოვკარი ტაში და დავიძახე:

— თინა! თინა!

შემდეგ დავეცი პირდაღმა, გავხვიე პირი-სახე ბალიშში და ავტირდი და გადავწყვიტე, თინასთვის არ მეჩვენებია ის, რაც მკერდზე მენერა.

მითხარით — რა არის ეს სიგიჟე? მითხარით რა არის ეს — სიმთვრალე? მითხარით — რა არის ეს?

სიყვარულია ეს... იცით თქვენ, რა არის სიყვარული?

სიყვარულია ეს, მაგრამ არ ვიცი, რა არის სიყვარული...

მოიცათ, მოიცათ, ხვალ პირველი მაისია და მე ამელამ არ დამეძინება. მაგრამ მღვიძარეს მძინავს და სიზმარს ვხედავ მე.

ვხედავ პანია ბავშვს. ის თმა ხუჭუჭაა და კარის ძირში ზის. თვალეები აცრემლებული აქვს მას და ის უცქერის მტირალე დედას — გული უკვდება მას. დღეს დიდი უსამართლობა ჩაიდინა მამა მისმა, მეზობელს მოუკლა მან მის ყანაში ჩამოსული ღორი და ძაღლებს შეაჭამა. და ამიტომ ტირის, ტირის დედა მისი. მეზობლისას ეხლა იწყებდებიან, იქ ილანძლებიან. ღარიბია გოგია და ერთი ღორი ძვირათ უღირს მას, მტყვანია ღორის მკლელი, ამიტომ მათი წყევლა სამართლიანია, გასჭრის ეს წყევლა და ოჯახს კარგს არას დამართებს, ხედავს ბავშვი საყვარელი დედის ცრემლებს, მიდის მასთან, უსვებს ლოყაზე ხელს და ეუბნება მას:

— ნუ ტირი, ნენა, მე გევიზდები, ვიშონი ფულს და ღორის ფასს გადაუხთი გოგიას.

— შენი ჭირიმე შენი, ჩემო საკუთარო შვილო! — აკანკალებული ხმით ამბობს დედა, იკრავს ბავშვს გულში, კოცნის მას და ტირის, ტირის. ბედნიერია ბავშვი — მას ასეთი კეთილი და ასეთი მშვენიერი დედა ყავს, ბედნიერია ბავშვი! უეჭველათ, როცა გაიზრდება და ფულებს იშოვის ის, გოგიას გადაუხთის ღორის ფასს, ის ყველას მოიმადლიერებს, ვისთვისაც კი მამა მისს უწყენინებია, იმიტომ რომ დედა მისს გაუხარდება ეს და დედა მისი ხომ ისეთი კეთილი ქალია, ისეთი მშვენიერი და მოყვარული.

— ჩემო დამმარხველო! ხომ დამმარხავ ნენა, როცა მოკვდები, ხომ აწირვიებ მღვდელს?

— შენ არ მოკვდები! — დაბეჯითებით ეუბნება ბავშვი მას.

თინა! თინა!

და ხედავს დედა-შვილს, ამ სახარბიელო სურათს, ვილაც ბოროტი, უკბილო და მახინჯი და შურით ივსება გული მისი.

ის მიდის ბავშვთან და ეკითხება მას:

— გიყვარს დედა შენი?

— უჰ, რა მიყვარს.

— ძალიან გიყვარს?

— ძალიან!

შურით ივსება გული მისი და ის შორდება ბავშვს. და კვდება დედა მისი, მისი კეთილი დედა გადააქვთ ეზოდან, მიაქვთ მაღალზე და გათხრილი ორმოს კიდეზე დებენ მას. კითხულობს იქაც რაღაცას მღვდელი და კუბოს უშვებენ ორმოში. ჯერ მღვდელმა გადააყარა კუბოს მიწა, მერმე კი ბავშვს ეუბნებიან — ახლა შენ გადააყარე დედა შენს მიწა, ეს ტალახი, აგრეა წესიო. და მაშინ მიხვთა ის, თუ ვინ დაკარგა, გაიქცა იმ საშინელი ორმოდან, წაიკრა ფეხი ვილაცას საფლავზე და იყვირა, იყვირა.

— ნენა! ნენა-ა!

მაგრამ არაფერი ესმოდა დედა მისს...

თინა! თინა!

მას ყავს დედინაცვალი და თხუთმეტი წლის არის ის. მაღალზეა ის ეკლესია, სადაც დედა მისი მარხია და ის დადის იქ. იქ მშვენიერი ჰაერია. და გონია მას, რომ დედა მისი

ყოველი მხრიდან უცქერის მას და ეაღერსება. დედა მისი უსვებს, გონია, სახეზე ხელს, როცა სიო უქირქილებს, დედა მისი მღერის, გონია, როცა მაგალობელი ჩიტის ხმა მოესმის, ყველგან დედა მისია და ეაღერსება მას.

— რათ გიბრწყინავს თვალები, პატარა ბიჭო?

— მიხარია.

— რა გიხარია?

— ყველაფერი მიხარია.

— მაინც რა გიხარია?

— ყველაფერი. ეს ეკლესია, ეს ტყე — გაღმა რომ მოჩანს, ის მდინარე, დაბლობში რომ მიიკლაკნება, ის მთის გრეხილი — ისიც მიხარია, ეს მერცხალი, აგერ რომ ჟღერს ტყეებს სახურავის კიდეზე და ეს წიგნიც მიხარია, ხელში რომ მიჭირავს. კარგი წიგნია ეს და როცა იმაში ამოვიკითხე, თუ როგორ შეაბეს უღელში დედაკაცი და ცემით მოკლეს — მე მაშინ აი, იმ ნაძვის ძირში ვიჯექი და ავტირდი მე. გურიას ვხედავდი ჩემ წინ გადაშლილს...

— სულელი ბიჭი, აი, რა უხარია თურმე მას.

თინა! თინა!

მოიცათ, მოიცათ, სიზმარია ეს თუ მართლა მოხთა ოდესმე? თურმე ჩემი ბავშვობის ერთი სტრიქონი დამსიზმრებია... და ცრემლები წამომსვლია თვალიდან. და ეს იმიტომ, რომ მე ვერ ავასრულე ჩემი დანაპირები. გავიზარდე, დავაჟაკადი და გოგიას ვერ გადაუხადე მე ღორის ფასი, არც დედაჩემისთვის მიწირვინებია. მოიცათ, ცალმხრივია სიზმარი და ამიტომ მე თავი უნდა გავიმართლო. მე ვერ გადაუხადე გოგიას ვალი, იმიტომ რომ დიდი ყოფილა ის. ხოლო თუ დედაჩემისთვის არ ვაწირვინებ მღვდელს, იმიტომ რომ მე არ მწამს მღვდელი და მისი წირვა. დედაჩემმა არ იცოდა ეს და არც მე ვიცოდი, ამიტომ სიტყვაც მივეცი მას. ეხლა კი, ეხლა გამალაპარაკეთ დედაჩემს და აღარ დამემღურობა მე ის...

თინა! თინა!

თინა, მე მსურს დედაჩემიც იქ ემარხო, სადაც შენ და შენი ამხანაგები მარხიხართ ერთ საერთო, ძმურ ორმოში, მე მსურს ეს. და მსურს აგრეთვე მეც თქვენთან დამმარხო...

თინა! თინა! თინა!

ხვალ პირველი მაისია...

აქვს ქრისტიანებს დღესასწაული აღდგომა, რომელიც ამბობს — **გავიმარჯვეთო.**

აქვს პროლეტარიატს დღესასწაული — პირველი მაისი, რომელიც ამბობს — **გავიმარჯვეთო.**

და დილიდან საღამომდე ამ დღესასწაულისთვის ვემზადებოდით ჩვენ. ჩვენი მოსვენება არ იყო, წრიდან წრეში, კრებიდან კრებაზე, ერთი უბნიდან მეორე უბანში დავრბოდით ჩვენ. ვეცნობოდით მუშების აზრს ამ დღესასწაულის შესახებ, ვკრებდით ცნობებს და თან ვაქეზებდით მათ, თუ ეს საჭირო იყო, ვეკამათებოდით. დღესასწაული რომ საჭიროა, ამაში არ იყო განსხვავება, ყველა ამბობდა საჭიროაო.

მწვავე ბრძოლა ატყდა ამ კითხვის გარშემო — შეიარაღებული დემონსტრაცია მოვახდინოთ, თუ მშვიდობიანად გამოვაცხადოთ საერთო გაფიცვა და ამაზე შევჩერდეთო.

გალესეთ და დალიეთ თქვენი მშვიდობიანი გაფიცვა. ჩვენ ქუჩაში გვინდა გამოვიდეთ და დრომა ჩვენი გამოვამზეუროთ. გავშალოთ ნითელი დრომა, შემოვეხვიოთ მას და შევსძახოთ ქვეყანას — დაგამარცხებთ, გავიმარჯვებთო! ნავილოთ თან ჯოხები, ნავილოთ რევოლვერები, ნავილოთ ქვები და როცა ჩვენზედ წამოვლენ, ჩვენც ნავილეთ იმათზე, როცა გვესვრიან, ჩვენც ვესროლოთ, როცა მოგვკლავენ, ჩვენც მოვკლათ და ამნაირათ ვიდღესასწაულოთ დღესასწაული ჩვენი მომავალი გამარჯვებისა.

სიგიჟეა ესო, ამბობთ თქვენ, ანარქისტობა არის ესო. სცდებით — საჭიროა ეს, ამიტომ სოციალ-დემოკრატიულია. ანარქისტები არ არჩევენ დროსა და გარემობას — ისინი ქორწილშიცა და ტირილშიც ყველგან მაყრულს ამბობენ — აი, ვინ არიან ანარქისტები, ჩვენ კი სოციალ-დემოკრატები ვართ! ანარქისტი ჟუპელი როდია, რომ ამ სიტყვით დაგვაშინოთ — ასე ვამბობდით ჩვენ და ვებრძოდით ოპოზიციას.

და ძალიან გამაჯავრა ერთ კრებაზე კოლამ. გიჟიც კი გამოვედი ანარქისტიც, ეს რა არის, დათვური მეგობრობაც კი დამიმტკიცა თითქოს პროლეტარიატისადმი. და მე ველარ მოვითმინე, მე ვერ შევიმაგრე თავი და ვუპასუხე: ჩვენ მხდალებს როდი ვეძახით, ჩვენ ქვეყანა გვინდა დავიმკვიდროთ, მხდალნი კი ქვეყანას ვერ დაიმკვიდრებენ მეთქი... კოლა ზე წამოიჭრა, არაფერი აღარ უთქვამს მას, გავიდა, მე კი ჩემი სიტყვები უკან წავიღე — ყველა-ყველა მაგრამ კოლას სიმხდალე ჯერ არავის ეთქვა და მე კიდევ ყველაზე უფრო ვიცოდი მხდალი იყო თუ არა ჩვენი კოლა, ჩვენი მოზვერი. ამიტომაც იყო, რომ სიტყვები უკან წავიღე.

გავიდა ჩვენი აზრი და დიდი უმრავლესობით გადაწყდა შეიარაღებული დემონსტრაცია. თინა დაესწრო კომიტეტის კრებას, სადაც პარტიის წევრების ხმას ითვლიდნენ და იქიდან პირდაპირ ჩემთან მოვიდა. შემოალო კარი და შემოიციხა:

— ჭიტა! — დამიძახა მან და უცებ გაშალა ხელი და დაიწყო:
დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა შემომძახა:

„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი ჩამისახა.

მე გამოვართვი თინას ხელი, მივიყვანე ფანჯარასთან და უთხარი:

— თინა, რათ ხარ შენ ასეთი?

— როგორ ასეთი? — გაიკვირვა მან.

— რათ გიხარია ეს?

— რა?

— შეიძლება ბევრი მოგვიკლან!

— შეიძლება.

— მერმე და შეიძლება... არ არის საჭირო ეს?

— რა არ არის საჭირო?

— რა და სისხლი, თინა, სისხლი.

— მერმე და თუ ასე იყო, რათ იცავდი შენ ამ აზრს ასე თავ გამოდებით?

— ვიცავდი მართალია, მაგრამ... მაგრამ, თინა...

— ენას ნუ იტეხ, თქვი, რა გინდა სწორეთ... გეშინია?

— არა, თინა, არ მეშინია... მაინც როგორ გაამარტივე შენ ჩემი კითხვა — შიშზე ჩამოიყვანე... მე შენ სიხარული შეგატყვე, ან სიხარულის მგ ზავსი რაღაც და აი, ამიტომ გკითხე.

— კარგათაც შეგიტყვია — მე მსიარული ვარ.

— მითხარი, თინა, გიფიქრია ოდესმე სიკვდილზე?

— ამ დილას ვფიქრობდი და ეს იყო პირველათ ჩემ სიცოცხლეში.

— მერმე?

— მერმე და... გაიხედე აი აქეთ — ხედავ?

— რას?

— ყველაფერს. ქალაქს. ქალაქის იქით იმ გაშლილ მინდორს და აი, იმ მთას, რომელიც იმ მინდორის დასალიერს იწყება.

— მერმე რა გინდა?

— სად არის იქ სიკვდილი? ხედავ სადმე? იქ სიცოცხლეა, სიკვდილი კი არ ჩანს. იმას ხედავ იქ, მარჯვნივ, ფერდობზე?

— ეს ქალაქის სასაფლაოა, თინა.

— მერმე და სად არის იქ სიკვდილი? შეხედე, როგორ ყვავის იქ ყველაფერი? სად არის იქ სიკვდილი? შეხედე ამ ქუჩას, რამდენი ხალხი დადის — სად არის სიკვდილი, ბიქტორ? რას მიცქერ აგრე გაკვირვებული შენ, ხასანა? სად არის სიკვდილი? ნუ მიცქერ ასე, თვა-რა წავალ, ღმერთმანი, წავალ...

ის მაფარებს თვალებზე ხელს — ნუ, ნუ მიცქერ აგრე... დაჯექი! აი, აქ დაჯექი... ის ძალათ თითქმის მაჯენს მე და კისერში მხვევს ხელს. და სახე კი მოაქვს ახლო, სულ ახლო ჩემთან და ეხლა მიცქერის თვალებში.

— იცი, ამ დილას მე ვფიქრობდი სიკვდილზე და ეს პირველათ ჩემ სიცოცხლეში. და დავრწმუნდი, რომ სიკვდილი სიცრუეა. როგორც არ არსებობს ჭინკა, ქაჯი, ტყის კაცი, არც სიკვდილი არსებობს, დაფიქრდი კარგათ — ადამიანი ცოცხლობს, იბძვის, იტანჯება, მხიარულობს, მაგრამ ადამიანი არ კვდება — ხომ? სიცრუეა, როცა ამბობენ — აი ესა და ეს კაცი მოკვდავო. სად არის სიკვდილი? ადამიანი ცოცხალია, ეს სიმართლეა, მაგრამ როდის არის ადამიანი მკვდარი? მიხვდი?

— ვერაფერსაც ვერ მივხვდი — ეს გალიმატიაა და მეტი არაფერი.

— ჰო და ვერც მივახვდენ ამას ვერაოდეს, ვერავის ვერ მივახვდენ. ეს უნდა იგრძნო. მე ვიცი, რომ არ არის სიკვდილი. სიცოცხლეა მხოლოდ... ვერა, ვერ მივახვდენ ამას ბიქტორ, გენაცვალე, ჩემო ამხანაგო, ვერ მივახვდენ ამას...

და ის თითქოს ილღიაში მიძვრება, თითქოს ტირის.

— რათ, რათ არის ადამიანი ასეთი უტყვი, ასეთი სუსტი? რათ არის, ბიქტორ! ვერც ერთ რთულ გრძნობას, ვერც ერთ ნათელ აზრს ის ვერ გამოთქვამს სიტყვით... ამას ჯობდა სრულებით მუნჯი დაბადებულიყო ის — ეგების რაიმე სხვა საშვალეა ემოვა მაშინ მას, გრძნობათა გამოსახატავათ?.. მე ასე ნათლათ ვხედავ ჭეშმარიტებას და შენ ვერ გეუბნები მას, რათ არის ასე ეს, ბიქტორ?

მე მივხვდი. თინა დღეს დილას დაფიქრებულა სიკვდილზე და შეშინებულა ის. მაგრამ ის ვერ მიმხვდარა ამას, ისე მაგრათ შეშინებია სიკვდილის ჩემ თინას, რომ შიშის გრძნობა დაკარგვია, გაბურანებულა და როცა გამორკვეულა და ბუნებისთვის შეუხედავს — სისულელეთ მოჩვენებია სიკვდილი. სად არის სიკვდილი, როცა მზე ასე იცინის? როცა ასე ყვავის სასაფლაო? როცა ასე ამწვანებულა ველ-მინდორი? სად არის სიკვდილი, რა დროს სიკვდილია — სიცრუეა სიკვდილი. არ უნდა თინას სიკვდილი! და ამიტომ სიცრუეა სიკვდილი. ასე კაშკაშებს მზე და უცებ სიკვდილი! ასეთი შეყვარებულია ის, რა მოკლავს მის სიყვარულს? ასე დამმართია მეც ბავშვობის დროს. ჭინკები ცხოვრობდნენ ჩვენს გადაღმა ღელეში და დიდი სურვილი ქონდათ ჩემთვის რალაცა სიავე ექნათ. და როცა ღამე ამ ღელის პირზე მომინევედა გავლა, მე დავმუნავდი პირს, დავადგამდი მაგრათ კბილებს ერთმანეთს და ვფიქრობდი, რომ მე ეხლა სახლში ვზივარ და ეს ღელე კი შორს არის ჩემგან. და ვივინყებდი ამ ნაირათ ჭინკას, თან კი ვიცოდი, რომ ყოველ ბუჩქის ძირში იყვნენ მიმალული ჭინკები და მე მემტერებოდნენ... მაგრამ ტყუილათ, მე ხომ ღელეში არ ვარ, მე შინ ვზივარ ეხლა. იქ ისე ანათებს სინათლე, ბებია ჩემი ჩონგურს უკრავს, ჩემს პანია დას სძინავს, მე კი ბებიასთან ვზივარ და ვნატრობ — როდის ვისწავლი ნეტავი მეც ჩონგურზე დაკვრას? სად არის ჭინკა და ეშმაკები?.. და როცა დაბოლოს შევდივარ სახლში, მე კაცის ფერი აღარ მაქვს თურმე და ლაპარაკს ვერ ვახერხებ, შემკვრია კრიჭა... ბებიას უდებ თავს კალთაში და ვტირი. რათ ვტირი, ვინ შემაშინა არ ვიცი — ჭინკა კი არ არის, არ არის... მე მივხვდი, რომ თინაც ამ მდგომარეობაშია ეხლა და ამიტომ გადაუწიე თავი და ვაკოცე.

— ხომ გიყვარვარ? — მესმის მისი ფურჩული. მე ვერ ვახერხებ პასუხის მიცემას, მე თვალეები მეცრემლება და ისევ ვკოცნი მას.

— ხომ მუდამ, მუდამ გეყვარები? — ისევ ფურჩულებს ის, თითქოს საიდუმლო რამეს მეუბნებოდეს.

დამუნე პირი, ძვირფასო თინა, და მომადევ მკერდზე თავი. შემომხვიე კისერში ხელი და ასე გაჩუმებული ვიყოთ. მაშინ შენ ბევრ რამეს გაიგებ, ასეთი საუბარი უდიდებულეს მჭერმეტყველზე უფრო მიგახვთენს. ნურას მეუბნები, ძვირფასო თინა, და დაუგდე ყური ჩემი გულის ცემას ისე, როგორც მე ვუგდებ ყურს შენი გულის ცემას, შენს ძვირფასს მკერდში ასეთი საუბარი უკეთესია, ამიტომ დამუნე პირი და მხოლოდ თვალეებში მიცქირე შენი დიდრონი, შავი, ჭკვიანი და სუფთა, სუფთა თვალეებით, მიცქირე, თინა!

მაგრამ თინა ისევ იწყებს ლაპარაკს და ისევ სიკვდილზე. უჰ, წყეული, წყეული სიკვდილი, რა მწარეთ შეუშინებია მას ეს ძვირფასი ადამიანი!

— ნუ ფიქრობ, თინა, — სიკვდილს ტყავს გავაძრობ, იმ ოხერს და შენ თავს არ დავანებებ! სანამ მე ცოცხალი ვარ, შენ ფიქრი ნუ გაქვს სიკვდილის...

— რათ, რათ ვერ მიგახვდინე მე, რომ სიკვდილი არ არის. და რაც არ არის, იმისი როგორ შემეშინდება? სიცრუეა სიკვდილი, არ არის სიკვდილი!..

ძვირფასო ამხანაგო მუშავ! ნუ გაგეცინება ძამია! მე ვიცი, რომ სიკვდილის წინა დღეს შენ სასიკვდილოთ ემზადები და ასეთ ლაპარაკს არ დაიწყებ. მე ვიცი, რომ შენ სიცოცხლე გიყვარს, მაგრამ სიკვდილის ბოლოც იცი. მე ვიცი, რომ შენ ნერვები მაგარი გაქვს, შენი ტვინი არ არის დამძიმებული მავნებელი ტვირთით, მაგრამ იცნობ თუ არა შენ ინტელიგენტს? მე ვიცი, რომ ისტორიამ იცოდა, რას შობოდა, როცა შენ გბადებდა და გეუბნებოდა — შენ უნდა გამოიყვანო კაცობრიობა სირცხვილიდანო. ამიტომ შენ ნუ გაგეცინება. ჩვენ სუსტი კაცები ვართ, ამხანაგო, ჩვენ როცა ვკვდებით, წინ დლით ვტირით — ხვალ უნდა მოვკვდევო! შენ კი ძლიერი ხარ, ღონიერი ხარ, გმირი ხარ შენ და რადგანაც სულგრძელობა გმირთა ბუნებაა, ამიტომ იყავი სულ გძელი შენ, გოლიათო, და ნუ დაგვცინებ, თუ სიკვდილის წინა დღეს, ცოტა წარბი ჩამოგყაროთ და გამოვიტიროთ ჩვენი სიცოცხლის ბოლო! იყავი სულ გძელი და ნუ დაგვცინებ სიკვდილს...

და როცა მე და თინა ერთმანეთს ვანუგეშებდით, მე ბოდიში მოვიხადე მუშასთან. ის პირველი მანისისთვის ემზადებოდა, თინა კი კრთოდა და კანკალებდა ჩემთან. და მეუბნებოდა:

— იცი, მე დღეს სპარტაკის ისტორია გამახსენდა და ასე მეგონა, მე თვითონ ვარ მნახველი იმ ამბების. ხან და ხან ჩემი თავი მე გარიბალდის ცოლი მგონია. აი, ის თავ-გამოდებული ქალი, რომელიც ისე ეხმარებოდა მას და რომელიც გზაში მოუკვდა გარიბალდის. ერთი ბუჩქის ძირში დამარხა ის გარიბალდი და დატოვა. საქმე ქონდა. და მე ხან და ხან მგონია, რომ მე ვარ ის ქალი. და ახლა მგონია, რომ დღევანდელი დღე ათას წელიწადს შემდეგ გამახსენდება. ხან და ხან კიდევ მგონია, რომ ქვეყნიერების გაჩენასთან ერთად გავჩნდი მე და მას შემდეგ ვცოცხლობ.

— თინა, კარგი, დამშვიდდი!

— დამშვიდდი! დამშვიდდი! უი! შენ დამშვიდდი. თორემ მე დამშვიდებული ვარ. შენ ხასანა, შენ!

— მე შენ სრულიად, სრულიად არ მიყვარხარ... ყველა მიყვარს, სულ ყველა, შენ კი არა... გემრიელია?

— იგემე ხასან?

— მეტი?

— მეტი და მე არაოდეს შენი ცოლი არ ვიქნები — заруби это на носу! უი, რა სისაძაგლეა ცოლობა! არაოდეს, არაოდეს არ გავთხოვდები.

— მეტი?

— „მეტი! მეტი!“ რას ერჩოდი კოლას? შენ იმას უნდა უნუნებდე გაბედულებას? რატომ გააჯავრე ისე?

— იმიტომ რომ პროლეტარიატი გვიყვარს ჩვენ.

— „პროლეტარიატი გვიყვარს!“ მეც კი მიყვარს პროლეტარიატი, შენ კი არ მიყვარხარ...

მე მეცინება. მე მიყვარს თინა, ღმერთო, რა მიყვარს და მე მეცინება. მე მეცინება და მე ვიცი, რომ თინას ვუყვარვარ მე. რათა? გიჟია ის? სულელია ის? რათ ვუყვარვარ? მითხარით, იცით თუ არა თქვენ, რა არის სიყვარული? თუ იცით, მითხარით?

მე მეცინება იმიტომ, რომ თინა ღმერთს, ხატს ფიცულობს, რომ არ ვუყვარვარ და მეალერსება, მეალერსება. და მგონია, მძინავს მე დავხედავ სიზმარს.

ასი ათასი წელი გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვკვდით და აი, ჩვენი ძვლები მოიტანეს ერთი გეოლოგის კაბინეტში და მათ იცნეს ერთმანეთი.

— თინა, შენ ხარ?

— ხასან, შენ ხარ? ხომ გახსოვარ, ხომ გიყვარვარ?

— სად იყავი, შენ უღმერთო, ამდენ ხანს, — მე ისე მიყვარხარ, რომ შენს შემდეგ არ მახსოვს, ვიყავი თუ არა ცოცხალი.

— არც მე მახსოვს, ჩემო სულის დგმავ, ვიყავი თუ არა შენს შემდეგ ცოცხალი!

რა არის ეს — სიზმარია? რა არის ეს — ბოდვაა? რა არის ეს — სიგიჟეა?

სიყვარულია ეს — აი, რა არის!

იცით თქვენ, რა არის სიყვარული? მე არ ვიცი.

მე შარშან ამ დროსაც არ მეძინა მთელ ღამეს. მაშინ ჩემთან ერთად ცხოვრობდა ერთი მუშა, ჩემი კარგი ამხანაგი. და ის ეხლა კატორღაშია. და როცა იმას დავუსვი მე ეს კითხვა, — ახირებული კაცი იყო ის — მან მიპასუხა:

— რა არის ეს და ჭრელი ხბო, აი, რა არის...

— ასე მგონია, ხვალ ქორწილი არის ჩვენი — რა ნაირი კაბა ჩავიცვა, ბიკტორ, მე? თეთრ პარუსინის კაბას ჩავიცვამ, შენ რომ გიყვარს — კარგი იქნება?

— შენ ყველა კაბაში კარგი ხარ, თინა!

— მე მინდა, უკეთესი ვიყო ხვალ, ამიტომ თეთრ კაბას ჩავიცვამ. ღმერთო, რა მიხარია, რა მიხარია! ამ საღამოს მოდი, ბიკტორ, აუცილებლათ, კოლაც მოვა და შეურიგდე უნდა, შენ დამნაშავე ხარ იმასთან... როდის ისწავლი შენ ენის პირში დაკავებას, კოლა შენ ათასჯერ გჯობია...

ჩვენ გამოვედით ქუჩაში. ერთი მაღაზიის წინ, ქალაქის კარტონზე ერთი დაღვარული ადამიანი იყო დახატული, რომელსაც თითი შუბლზე მიედო და რალაცას სულელურად ფიქრობდა. ქვეშ კი ვეებერთელა ასოებით ეწერა შემდეგი:

„დიდი გამოკვლევის შემდეგ, მეცნიერებმა, როგორც იყო, დაამტკიცეს ქათამი გაჩნდა უნინ, თუ ქათმის კვერცხი. მაგრამ ვერც ერთი მეცნიერი ვერ დაამტკიცებს — პინკის პილიულებს რომელიმე სხვა პილიული ჯობია. ვერ დაამტკიცებს იმიტომ, რომ ჭლექს ვერავითარი წამალი ვერ არჩენს, გარდა პინკის პილიულებისა. ამიტომ, ვისაც სჭირს:

1. ჭლექი,
2. ბუასირი,
3. კუჭი ტკივა,
4. სისხლი აქვს ნაკლები,
5. მალარია,
6. არა აქვს მადა,
7. სიბერით დასუსტებულია,
8. ვისაც გალამაზება სურს, —

ამათ უნდა იყიდონ პინკის პილიულები. ასი პილიული ღირს მხოლოდ თხუთმეტი შაური!“

— იყიდეთ პილიული პინკი! იყიდეთ პილიული პინკი! დაიძახა თინამ და კისკისით გაიჩქარა, მაგრამ როცა ვილაც მოხეტიალემ შეხედა მას და უცებ თვალი დაუქნია, ის გაჯავრდა და მე დამინყო ჭიჭყინი — რათ ხართ მამაკაცები ასეთებიო. აბა, მე რა ვიცოდლი!...

პირველი მაისი! პირველი მაისი! სალამი პირველ მაისს!

მორთულ-მოკაზმული გამოდით ქუჩებზე, ამხანაგებო, და დასძახეთ სიმღერა! შეიარაღებული გამოდით ქუჩებზე, ამხანაგებო, წითელი დროშით გაისეირნეთ! მორთულ-მოკაზმული გამოდით ქუჩებზე და ამხანაგებო, და სიკვდილი მათ, ვინც არ დაგანებოს სიხარული და სიმღერა! ხედავთ, — გაზაფხული ეღირსა ძველს, ჩაგრულთა სისხლით მორწყულ ქვეყანას! ეკლესიებში ისევ ქადაგებენ მოთმინებასა და მორჩილებას, ისევ აქებენ დღევანდელ წესრიგს და ისევ ყიდნიან ქუჩებში სხეულს მშვიერ-მწყურვალნი ადამიანები. ისევ იღვრება სისხლი პატიოსანთა და ისევ ისმის ლხენის ხმა მაღალ სასახლეებში. იქ ადამიანის სისხლს სვამენ და თვრებიან, იქ ადამიანის ხორცს სჭამენ და ძლებიან და ეს ადამიანები ჩვენ ვართ, ამხანაგებო! ისევ დგას ტახტი უსამართლობისა და იმის წინაშე იკვლება უთვალავი მსხვერპლი, და ეს მსხვერპლი ჩვენ ვართ, ამხანაგებო! ისევ არ იტყვის გულს ქვეყნის მჩაგვრელი, ბედი ისევ უღიმის, გონია, მას! ქვეყანას ძველს, ქვეყანას ცოდვილს ისევ იმედი უღვივის გულში და ეს იმედი უნდა მოვკლათ ჩვენ, ამხანაგებო! ფუი, რა ბინძურია დღევანდელი საზოგადოება, აქ ერთი მეორეს ართმევს ლუკმას და არც კი სცხვენიათ! აქ ერთი რომ ლხინობს, ათს ლუკმა პური ენატრებათ და არც კი სცხვენიათ! აქ სამეძავო სახლებია აშენებული, სადაც შიმშილით გაპირუტყვებულ ადამიანებს ამღერებენ და კოცნიან და არც კი სცხვენიათ! აქ იყიდება სიყვარული, იყიდება სინიდისი, აქ იყიდება ნამუსი და არც კი სცხვენიათ. აქ სატრფოს კოცნაც მონამლულია, აქ უმანკო ბავშვის ტიტინიც კი ვერ ალბობს გაქვავებულ გულს... ფუი, რა ბინძურია დღევანდელი საზოგადოება! მე ვიცი ერთი-ორი წლის ბავშვი, რომელიც როცა დედა ხედავს გაბედულია, ხტის, თამაშობს და მღერის, ხოლო დაინახავს თუ არა გარემე ვისმეს — კუთხეში აპირებს დამალვას, ისიც გრძნობს, რომ ხშულია გული დღევანდელი ადამიანისა, რომ მისი გული არ არის გახსნილი სიყვარულისთვის... აქ საკუთარი ბავშვების გასაძლომათ სხვისი ბავშვები უნდა დაამშვიონ... ფუი, რა ბინძურია დღევანდელი საზოგადოება! აქ მათხოვრები და ქურდები ყავთ, აქ მკვლელები და ავაზაკები იზადებიან, აქ ადამიანი ასამართლებს ადამიანს და სატუსალოში აჯენს... და არც კი სცხვენიათ ეს! თოფებით და ზარბაზნებით იცავენ იმ საზოგადოებას, მღვდლებითა და მოყიდული მეცნიერებით ამტკიცებენ ამ წყობილების უაღრესობას, ეკლესიებით და სასამართლოებით ამაგრებენ მას. ნებით არ დათმობენ ისინი არაფერს — ძალით უნდა დავამარცხოთ ისინი. ამიტომ, ჩვენ უნდა გავინაფოთ ბრძოლაში — მამ, ქუჩაზე, ამხანაგებო! ბრძოლის დროშით ხელში, შეიარაღებულნი, სადღესასწაულო ტანსაცმელებით — ქუჩაზე, ამხანაგებო!.. მოვდივართ შენზე, ძველო ქვეყანავ, გზა მოგვეცი! ვანთხევთ სისხლს, რომ ნიადაგი გავაპოხიეროთ — დაგვხვდით! ჩვენ გავიმარჯვებთ და ამიტომ მხიარული ვართ ჩვენ. მომავალი ჩვენია.

— მამ სიმღერა, ამხანაგებო! აფრიალდი მხიარულად, წითელო დროშავ!

— შენს ქვეშ სიკვდილი ჩვენი! აფრიალდი წითელო დროშავ — შენს ქვეშ გამარჯვება ჩვენი! ქუჩაზე, ქუჩაზე, ამხანაგებო, პირველი მაისია დღეს!

პირველი მაისი! პირველი მაისი! შეხედეთ როგორ იცინის ბუნება!

იმას უხარია, რომ პროლეტარიატი გაიმარჯვებს...

დიახ, ქორნილი იყო იმ დღეს და თინას თეთრი ეცვა. ქუჩის თავში შემხვდა ის და ერთი კონა ია მომცა. ჩამომართვა მაგრათ, ამხანაგურათ ხელი, შემხვდა მისი შავი თვალებით, მოიძრო ქინძისთავით მიკრული იის კონა და მომანოდა.

— გილოცავ პირველ მაისს, ძვირფასო ბიქტორ!

მე უღირსი! მე ხასანა! მე რათ ვერ მოვიფიქრე, რომ მილოცვა იყო საჭირო! იის კონის სამაგიეროთ, მე მხოლოთ მადლობა უთხარი მას. დიდათ, დიდათ გმადლობ, ჩემო თინა, ჩემო მეგობარო, არ ვარ მე შენი ღირსი, არ ვარ ამ ძვირფასი საჩუქრის ღირსი, სხვას აჩუქე, თინა... რათ გიბრწყინვენ აგრე თვალები, თინა, გეძინა ნუხელის?..

— იცი, დროშას კოლა გაშლის დღეს. ამბობენ: სასტიკი ბრძანებაა გაცემული — არავინ დაზოგოთო! დიდი ხალხი მოაწყდება მოედანს დღეს... ღმერთო, რა მიხარია, ქორწილია დღეს და საქორწილოთ გამოვენყვე მეც. მშვენიის, ბიქტორ, ეს ტანსაცმელი? ხომ ლამაზი ვარ მე? მე ქართველი ქალი ვარ და მიხარია მე ეს. მე მიყვარს ქართველი ქალი... შეხედე, შეხედე, ბიქტორ, შეხედე, როგორ იცქირება აი ის, ალბათ ჯაშუშია ის უბედური, ის! ქუცი, ქუცი, შე საბრალო მურია! გავყვეთ, რას გაჩერებულხარ, ამ დილას ნუ დავაჭერივით თავს და მერმე რაც უნდათ, ის ქნან... უცქირე, უცქირე, როგორ დაედევნა ვილაცას... ოჰ, შენ ბინძურო, ბინძურო, რა საცოდავი ხარ შენ! ვინ წავახტინა აგრე!.. ხა, ხა, ხა! იცი, რა ალიაქოთი ატეხა თურმე პეტუა მუშამ — მაინცა და მაინც მე უნდა ავნიო დროშავო. სულ დაულანძლავს ერთი და მეორე. მე იგი ისე მიყვარს, ისე მიყვარს... ჰა, ჰა, ჰა! მე შენთვის არც კი მითქვამს, რამდენი გვაცინა ერთ ღამეს იმან. წრეში ვიყავი და ორგანიზაციულ კითხვის შესახებ გაცხარებულათ ვლაპარაკობდი. და უცებ პეტუამ შემაჩერა.

— რას ნიშნავს, თინა, სიტყვა — სიმპატია?..

სიმპატია რა არისო, ასეთი კითხვა მომცა. თურმე ჩემი გაცხარებული ლაპარაკის დროს, იმან პაპიროსზე წაიკითხა ეს სიტყვა — რუსული კითხვა უსწავლია. აი, თურმე, როგორ მიგდებდა ყურს — სიმპატია რა არისო... აგვიტყდა სიცილი — ვიცინეთ! რა სულელია ის, რა თავდადებული და მე იგი მიყვარს. შენც ხომ გიყვარს, ბიქტორ! კი? აი, აი, ის როგორ შესძულდება ვისმე? ისეთი გულუბრყვილოა. და თავი დაასისხლა თურმე — მე მომეცით დროშავო. როცა არაფერი გაუვიდა, გამოაცხადა: მე თვითონ გავაკეთებ დროშას და თუ იმ დროშას რაიმე გაუჭირდა, მაშინ ჩემ დროშას ავაფრიალებო. — ლაპარაკს არ მანებებს თინა და ვერცხლის წყალივით თრთის, კანკალებს, თან კი მიყვარს ნინ. აღელვებულია ის და მეც აღელვებული ვარ, მაგრამ მე ვცდილობ, მოვერიო ნერვებს, როგორც იტყვიან — დავიჭირო თავი ხელში. თინა კი ხელს მიშლის. მინდა, დავფიქრდე რალაცაზე, თინა არ მანებებს.

— სიტყვას ხომ არ იტყვი დღეს?

— რა საჭიროა დღეს სიტყვა? დღეს სიმღერაა საჭირო, დღეს ქუჩაში სიარულია საჭირო, დღეს დავიძახოთ უნდა, დავემუქროთ მტრებს... არა, არ არის საჭირო სიტყვა.

— Как раз! გიორგი იტყვის სიტყვას... ის კარგი ორატორია.

მე უცებ მაგონდება, რომ გიორგის უყვარს თინა. მაგრამ ჩვეულების წინააღმდეგ, მე ალერსი მეზადება მისდამი გულში, თითქოს დიდი მადლობელი ვარ მისი, რომ თინა უყვარს მას. გიყვარდეს, ამხანაგო, თინა, გიყვარდეს. გიყვარდეს და კარგი სიტყვა თქვი დღეს... გიყვარდეს, ძამია!

— თინა, მოდი ერთი შენც მიმართე სიტყვით ხალხს.

— ვერა, ვერა... მე რომ სიტყვა დავინყო, ტირილი მომისწრებს... ნუ, ნუ მცინი, რა ჩემი ბრალია, რომ შევხვდავ ამდენ ხალხს თავმოყრილს, გული ამიჩვილდება... რა ოხერია კოლა! გუშინ საღამოს აუჩემდა კატია — უეჭველად სიტყვა უნდა თქვა სვალო. მან კი, კატია — ხა, ხა, ხა! — ივარა... უი, კატია, კატია! დღეს დილას ჩემთან შემოვიდა ის და მომიყვა შვეიცარიის ამბები.

„ — მივდივარ ერთ დილას ჟენევის ერთ ქუჩაზე და უცებ ვხვდავ, მოდის ვერა ივანოვნა. ვერა ივანოვნა ქვია ზასულიჩის ქალს.

— კატია, იული ოსიპოვიჩი ხომ არ იცი, სად არის? — მკითხა მან. — იული ოსიპოვიჩი მარტოვის სახელია.

— არა, არ ვიცი!

— ნავიდეო, ერთი გიორგი ვალენტინოვიჩი (პლენანოვი) ვინახულოთ, ეგების იქ არის.

— ნავედით. იქ დაგვიხვდა პაველ ბორისოვიჩი (აქსელროდი), ფედოს ილიჩი (დანი), ლევ დეიჩი და სტაროვერი... გიორგი ვალენტინოვიჩმა მითხრა — გავიგე, კავკასიაში მიდიხართო.

— მართალია, მეთქი

— ჭკვიანათ, ფრთხილათ იყავით, თავი არ დააჭერინოთ და თქვენ იცით — კავკასიაში ერთი რა არის, ერთი მეუმრავლესე არ უნდა ჭაჭანობდესო.

გამოვედი იქიდან და მოდის ვლადიმირ ილიჩი. ვლადიმირ ილიჩი ლენინის სახელია. დამინახა — მომაშურა.

— ეჰ, ამხანაგო კატია, კავკასიაში თურმე მიდიხართ. განა იქ არ კმაროდა მეუმცი-რესეები, რომ თქვენც ემატებით?

ვლადიმირ ილიჩს მე მოვწონდი და სულ მეუბნებოდა — გადმოდი ჩვენ მხარეზეაო. მაგრამ მე მეუმრავლესეებს როგორ მივემხრობი, ლენინი ისეთი ბიუროკრატია, ისეთი, ისეთი, რომ *He дай бог!* — ამბობს თინა ამას და იცინის, იცინის.

ორმოცამდე ცხენოსანმა კაზაკმა გაგვირბინა გვერდში. ჟანდარმებისა და პოლიციე-ლების რიცხვი მატულობს. მუშებიც ჯგუფდებიან აქა-იქ და შეუმჩნეველათ თითქოს მიდი-ან მოედნისკენ, სადაც დემონსტრაცია უნდა დაიწყოს. თითქოს უდარდელათ მიდიან ისი-ნი, ხუმრობენ, მოცლილივით ათვალელებს სახლებს, გამვლელებს. ჩვენც ვუახლოვდე-ბით მოედანს. სულ მეტსა და მეტს ნაცნობებს ვხედავ. ეგერ ვილაცას შემოეხვიენ და საჩქა-როთ ეტლში ჩააჯინეს, ორი პოლიციელი იქით-აქეთ დაუჯდა მას. ეტლი გაქანდა პოლიცი-ისკენ. თინა დუმს და ისე მიაბიჯებს. ვილაცამ მკლავში ხელი მომკიდა და შემაჩერა. — რა დროს გახმობა ეხლა, კაცო, დროა, საქმეს შეუდგეთ. თან კი თინას უცქერი, რომელიც აღარ მიცდის მე და წინ მიდის. ვუცქერი მას და მინდა დაუძახო — მშვიდობით, თინა, მეთ-ქი. გული მეკუმშება, თითქოს სამუდამოთ ვეთხოვები მას, ის არ იხედება უკან, მიდის. აი, ვილაცას გაუღიმა მან და სალამი მისცა. ვინ არის? ვიცი, ის მუშაა, მოწინავე მუშა და მე მიყვარს ის. ის სახელის მოყვარეა. დიდი გავლენა კი აქვს მუშებში... თინა მიმეფარა თვალ-ზე — მშვიდობით, თინა! რალაცას მეუბნება ნაცნობი და მე თავს ვუქნევ: ჰო, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! თანახმა ვარ! ის წასვლას აპირებს. მოიცა, კოლა სად არის, თუ იცი? ვერ ნახავ, თუ იცი? ძალიან მინდა ვნახო... მაშ, არ ღირს ეხლა იმასთან ნავიდე? კარგი, აგრე იყოს, ნახვამდის ამხანაგო, ნახვამდის!.. მშვიდობით, თინა, ჩემო მეგობარო!

პირველი მაისი! პირველი მაისი! სალამი პირველ მაისს!

ნელა, მაგრამ ლამაზათ, ახოვანათ გაიმართა ნელში დროშა, ერთი წამით შეჩერდა ჰაერში, თითქოს თვალი გადაავლო დამცველებს, მერმე კი ცოტათი დახარა თავი წინ და გაცურდა. სალამი, სალამი შენ, წითელო დროშავ! სალამი ჩვენო დროშავ! ნუ შეარცხვენ შენ პროლეტარიატს, პროლეტარიატიც ნუ შეგარცხვენს შენ! სალამი, სალამი ამხანაგე-ბო, გილოცავთ პირველ მაისს, რომელიც ნიშნავს — გავიმარჯვებთო. სალამი თქვენ, ამ-ხანაგებო. მთელი ქვეყნის ჩაგრულები იმედით გიყურებდეს თქვენ, აბა რომელი ბელადი დაიქებს ამას, თქვენს მეტი!

გაუმარჯოს, გაუმარჯოს პროლეტარიატს... გაუმარჯოს, გაუმარჯოს... წინ, წინ, ამ-ხანაგებო!

...ეს ვინ მიზის გულში, რომ ასე უხარიან მას ეს სურათი? ადამიანი ქათამი ხომ არ არის? არა, არა, ეს მე არ ვარ. მე ვერ ვიცნობ იმ კაცს, რომელიც ასე მხიარულობს ჩემ გულში... ვინ არის ის? ვინ არის ის? ისე გულადათ, ისე მარჯვეთ მიაჭენებდა ცხენს კაზაკი და ტიტველი ხმალი ხელში ეჭირა მას. უცებ გაუფითრდა მას სახე და უნაგირზე შეხტა,

იმავე წუთს დაკიდა თავი, გადაიზნოქა გვერდზე და ცხენის ფეხებთან გაიშლართა — ჭკვიანი ცხენი კი იქავე გაჩერდა, არ იძვრის. მოჰკლეს კაზაკი და ჩემ გულში ვილაცას გაეცინა, ვილაცამ ტაში შემოჰკრა... ქათამი ხომ არ არის ადამიანი? არა, მე არ მიხარია ეს, მე არა, არა. მე არა „ის“, „ის“ იძახის — სიკვდილი მაგათო. მე როგორ ვიტყვი — ადამიანი ქათამი ხომ არ არის... არა, არა, მე არვინ არ მომიკლავს, ღმერთმანი არ მომიკლავს. ეს „იმან“ გამოუშალა ფეხი ჩემს რევოლვერს, იმ კაცმა, ჩემ გულში რომ ზის, მოჰკლა ის პოლიციელი, ჩემი თავის გაჩეხა რომ უნდოდა. ღმერთი, რჯული მე არავინ მომიკლავს — ადამიანი ქათამი ხომ არ არის, ადამიანს როგორ მოვკლავ მე, მე ხომ მხეცი არა ვარ!..

— გაუმარჯოს!.. ძირს, ძირს!..

— ნენავ! ნენავ! ნე-ნა-ავ! — მირბის, მუხლები კი ეკეცება. მირბის გონია და ფეხს ვერ ადგამს. ის თერთმეტი წლის არის მხოლოდ, ის საბრალო გიმნაზიელია, იმან არ იცის, სოციალ-დემოკრატია რა არის. იმას ისეთი უსაზღვრო შიში ეტყობა სახეზე — ნუ მოკლავთ იმას, მე მომკალით! იმას მე ვიცნობ, იმისი დედა მრეცხავი ქალია და ქვრივია ის, მაგის მეტი არაფერი გააჩნია მას და ის ეხლა სოფელშია ნასული, გურიშია — ნუ მოკლავთ მას, მე მომკალით! ნუ, ნუ მოკლავთ მას, თქვენ მხეცებო, ნუ მოკლავთ, შეხედეთ — ის გარბის, ის დედას ეძახის, ის ტირის... ნაიქცა ის, ნაიქცა ის და... შენ რალას ერჩი, შენ რალა გინდა, შენ მხეცო — ტყვია არ ეყოფა მას, რომ ეხლა შტიკით გინდა გაგმრო ის? მაშ, აი, შენ! აი, შენ... მიირთვი, გემრიელია? ესეც კიდე შენ... შენ... არა, არ დაზოგოთ, ამხანაგებო, არავინ, ესენი ბავშვებსაც არ ზოგავენ — სიკვდილი მაგათ! სიკვდილი მაგათ — აი, რას გეხვეწები მე თქვენ... ეს მე ვარ, ბიქტორ აგიაშვილი, ორი ტყვიით კაზაკი რომ დავანვინე, მეორე ტყვია მას შუბლში ვარტყი, როცა ის მკვდარი იყო უკვე... ეს მე ვარ და კიდე მინდა მოვკლა ის, კიდე მინდა! აბა, გაბედეთ და დამხვდით ნინ!.. ეი, კოლა, ამხანაგო, რა უყავ დროშა, დროშა რა უყავით, ბიჭებო! ასწით მალლა დროშა, ასწით! ეი, თინა, სულის დგმავ, მე ეხლა მესმის, ეხლა მივხვდი, რასაც მეუბნებოდით — არ არის, თინა, სიკვდილი, არ არის სიკვდილი, ჩემო იმედო, სიცრუეა სიკვდილი, ჩემო თინა! სიცოცხლეა მხოლოდ, ამხანაგებო, და ასწით დროშა! ეი, დროშა ასწიე მეთქი, შენ გეძახი, მოზვერო... ასწიე, მოზვერო, დროშა!.. სადა ხართ, სადა ხართ — ეი, ვინ მოგკლეს ამხანაგებო, გამომეძახეთ მოკლულ ამხანაგებო, რამდენი ხართ თქვენ!.. დროშა! დროშა! დროშა! რათ ვარგა პროლეტარიატი უდროშოთ — დროშა სად არის, ამხანაგებო!.. აი, ჭირიმე, ბიჭო პეტუა, მასე გენაცვალე! ასწიე დროშა, ბიჭო პეტუა, ნინ ამხანაგო!.. ტყვია, ტყვია მომეცით, ტყვია მეთქი... გიორგი, შენ რათ გდიხარ აქ, რა დროს წოლაა, ადექი, თინა დაგინახავს, გიორგი, გიორგი! ადექი, ამხანაგო, ფეხზე!.. მალლა დროშა, პეტუა, მალლა! ეს რაა, რომ ბორძიკობ, ეს რაა, რომ შუბლი გაგინთლდა! არ დაეცე, არ დაეცე, ბიჭო, არ დაეცე — სირცხვილია!.. აი, მე მიჭირავს ხელში წითელი დროშა პროლეტარიატისა — იმის ქვეშ სიკვდილი ჩემი! აი, მე მიჭირავს ხელში წითელი დროშა პროლეტარიატისა და სიკვდილი თქვენ?.. აი, მე მიჭირავს... უჰ, თავი მიბრუის... ქუჩა ტრიალებს... ქუჩა ტრიალებს... მოიცათ, მოიცათ, მოიცათ... დამასვენეთ, დამანვინეთ... ო-ოხ!..

— დაიხჩვება, ჩქარა დაიხჩვება ეს ძალღი. — ამბობს ვილაცა და ვგრძნობ, რომ ფეხი მკრეს.

— თქვენ ჯინაზე არ მოვკვდები! — გამირბინა გულში და, მახსოვს, გამიხარდა. და მინდა ვთქვა მე ეს, ვუპასუხო იმათ, მაგრამ ენას ვერ ვიბრუნებ პირში და ისეც სიბნელე მიცავს.

— Умер... მოკვდება! ისიც გასაკვირველია, რომ ამდენ ხანს ცოცხალია...

მე თვალეხი დახუჭული მაქვს და ექიმს გონია, გრძნობაზე არ ვარ.

— შენს ჯინაზე არ მოვკვდები! — გამირბინა გულში და მახსოვს, გამიხარდა. და მინდა ვთქვა ეს, ვუპასუხო ექიმს, მაგრამ ენას ვერ ვაბრუნებ პირში და ვჯავრობ.

და იმათ ჯინაზე არ მოვკვდი მე. ერთი მილიმეტრი უფრო ახლო რომ გაერბინა გულთან კაზაკის ტყვიას, მე დღეს ამ სატუსალოში არ ვიქნებოდი. არ მოხდა ეს და იმათ ჯინაზე არ მოვკვდი მე.

პირველ დღეს მე ცხედრებთან ერთად ქალაქის საავადმყოფოში წამიღეს და საცხედრეში დამაგდეს, იქიდან კი გადამიყვანეს ოთახში, რაკი დარწმუნდნენ, რომ ცოცხალი ვიყავ. კარებთან კი დააყენეს ჯარის კაცი.

შემდეგ მე ყველაფერი გავიგე — ყველაფერი მიაბზო მოწყალეების დამ, რომელიც ნევრია ჩვენი პარტიისა. იმასვე ვთხოვე მე, მოეტანა ჩემთვის ჩემი პიდუაკი. როცა მომიტანა, გულის ჯიბეში ვიპოვე იის კონა, რომელიც არ იყო მაშინ სავსებით დამჭკნარი. მივიდევ ტურჩზე ის კონა და მოწყალეების დას ცრემლები წასკდა. მან ბევრი რამ იცოდა იმიტომ, რომ ვბოდავდი თურმე ბევრს. და რადგანაც მან იცოდა ამ იის ისტორიაც, მე ვთხოვე მას წასულიყო სასაფლავოზე და ჩემ მაგიერ ეტირა იქ. იქ ჯარის კაცები იდგენ და არავის უშვებდნენ, ამიტომ მოწყალეების დამ ვერ ამისრულა თხოვნა. ამას გარდა მე მინდოდა, იქიდან ერთი მუჭა მინა მქონოდა.

როცა საკმაოდ მოვიკეთე, სატუსალოში გადაყვანა მომინდომეს, მაგრამ ამხანაგების შემწეობით მე გავიპარე საავადმყოფოდან, რის გამო დაატუსაღეს მოწყალეების და, მაგრამ ჩქარა გაუშვეს ისევ. და ის ეხლა ცხოვრობს აქ და ჩემ სანახავათ დადის კვირაში ორჯელ. ერთხელ მან იის კონა მომიტანა, მაგრამ მე ვთხოვე, მეტი არ გაემეორებია ეს და ამისრულა ეს თხოვნა. ყვავილები ბლომათ არის ქვეყანაზე და რატომ მაინცა და მაინც ია უნდა მომიტანონ მე! ის დამეთანხმა და თვალეში კი ისევ ცრემლები შევამჩნიე. ის ეხლა ოცდა ოთხი წლის არის და როცა ვეხუმრები ხოლმე, რათ არ თხოვდები მეთქი, ისევ ცრემლებს ვამჩნევ მას თვალში. ამბობენ არ თხოვდებო, მაგრამ ნამდვილი არ ვიცი... როცა მე საავადმყოფოდან მომიპარეს და შემდეგ გურიაში ვინევი ერთ საიმედო ოჯახში, ის გაუშვეს თუ არა ციხიდან, ჩემთან მოვიდა და იქაც თავ გამოდებით მივლიდა. ერთი მილიმეტრი უფრო ახლო რომ გაველო კაზაკის ტყვიას ჩემ გულთან და ამასთანავე ის მოწყალეების და რომ არ გადამყოფოდა, ეხლა ვიქნებოდი მე ქალაქ N-ში, იმ ორმოში, სადაც რამდენიმე ვაჟკაცი ერთად, ძმურათ აწყვია ერთ ორმოში და მათ რიცხვში თინა, კოლა, პეტუა მუშა, გიორგი და თერთმეტი წლის გიმნაზიელი, რომელსაც ისე ეზარებოდა სიკვდილი. იმას დამმარხველი არ გამოუჩნდა ქალაქში მაშინ და ამიტომ თინასა და სხვებთან ერთად ჩამარხეს ისიც. არ გაასოციალდემოკრატიოთ ის იქ, ამხანაგებო. შენ, მოზვერო, არ გააბრიყვო ბავშვი! დედა მისის იმედია ის, ის უნდა გაიზარდოს და მდიდარი კაცი უნდა შეიქნეს — ასე სურს დედა მისს. დედა მისს ბევრი დამცირება გამოუცდია მდიდრებისაგან და ამიტომ შვილი, ვანო, სურს მდიდარი გახდეს. ამიტომ არ გაასოციალდემოკრატიოთ ის, ამხანაგებო, და შენ მოზვერო, ნუ შეაყვარებ მას თავს, ნუ წაახტენ მოზარდ თაობას. ისიც ეყოფა დედა მისს სადარდოთ, რომ სოციალდემოკრატიებმა შვილი მოვუკალით მას... ჯერ ეს არ დავინყნია მას და რალა იქნება, თუ კიდევ მისი შვილიც მოგვემხრო ჩვენ. როცა მე ფეხზე წამოვდექი და ერთხელ სოფელში გამოვჩნდი, იმან დამინახა მე და იყვირა:

— აგერ, მოდის ჩემი შვილის მკვლელი! ღმერთო, ნუ გაუმარჯვებ სოციალდემოკრატისას. — და მე დავიცავი ყურები და გავიჩქარე, გავექეცი მას. იმ სალამოს იმ სოფელსაც გავშორდი, აღარ შეიძლებოდა იქ დარჩენა... მცხვენოდა ვანოს დედის.

ერთი მილიმეტრით უფრო ახლო კაზაკის ტყვია და ყველაფერი კარგათ იქნებოდა... მაგრამ არა, არა, მაშინ მე ველარ ვინახულებდი ამ სამი წლის წინეთ იმ საფლავს და დამჭკნარ იის კონას ვერ დავმარხავდი იქ, ვერც წერილს მივსწერდი თინასა და ჩემს ამხანაგებს. ეს კი მე ძვირათ მიღირს, ძვირათ!

და ის რათ ღირს კიდევ, რომ მე ვაპირებ იქ წასვლას და იმ ძმური საფლავის ნახვას! ის რათ ღირს, რომ მე წავალ იქ! ეს არაფერია, რომ მე დილა სალამოს მწარეთ, მწარეთ მახველებს და ხან და ხან კიდევ ოფლში ვცურავ. ამის წინააღმდეგ მეცნიერებას აქვს საშვალეობა — თევზის ქონი, რომელიც ფილტვებს, თურმე, ამაგრებს. და მე მოვრჩები, გავიმაგრებ ფილტვებს. გაზაფხულია საშიშიო, ამბობენ, მაგრამ მარტსა და აპრილს გადავახტი თავზე და ხვალ პირველი მაისია. ისევე გადავახტი გავიხტი და იმ გაისსაც. და მე წავალ ქალაქ N-ში, მივალ იმ საფლავზე და ავიღებ იქ ერთ მუჭა მინას ხელში. გამოვალ საჯაროთ და დავიძახებ — ამ მინამ შეჭამა მეთქი, ჩემი ამხანაგები. მე მოვნახვებ მოედანზე ტყვიას, დავიკავებ მას ხელში. გავალ საჯაროთ და დავიძახებ: ასი ათასჯერ შერცხვენილმა ტყვიამ, ერთხელ კიდევ შეირცხვინა მეთქი სახელი და წმინდა სისხლში დაისვარა მეთქი. მე წავალ მუშათა უბანში და ავიღებ ხელში წითელ დროშას, ავაფრიალებ მას და დავიძახებ — ამ დროშის ქვეშ მეთქი დაწყდენ გმირები, რომელთაც დაჩაგრული ქვეყანისთვის მომავალი ბედნიერების მილოცვა უნდოდათ, მაგრამ ჩვენ მაინც არ გვეშინია სიკვდილის და მზათ ვართ იმის ქვეშ, თუ საჭიროა ისევ მოგვკვდეთ მეთქი.

— ხვალ პირველი მაისია, აგიაშვილო, სად არის ეხლა ძველი დრო, როცა ვფიქრობდით პირველ მაისობაზე, შეიძლება რევოლიუციონერებმა აგვაფეთქონო! დამარცხდა რევოლიუცია, აწი ის წელს ვერ აიღებს... — ასე მითხრა დღეს ციხის უფროსმა.

— არა, ბიძია, არ ვართ დამარცხებულნი ჩვენ. მოკალით ჩვენი რწმენა? მოკალით ჩვენი სიყვარული? მოკალით ჩვენი თქვენდამი ზიზღი? მოკალით ჩვენი დიდი სურვილი? ტყვია რომ გულში გვარტყით, ბანარი რომ კისერში მოგვიჭირეთ, ამით მოკალით რომელიმე სურვილი ჩვენი, რომელიც თქვენ არ მოგწონდათ? მაშ, რათ ამბობთ, გავიმარჯვებო? ვიცანით ჩვენი თავი დანაშაულათ და პატიება გთხოვთ? თუ მოგვკალით და აღარ გეშინიათ ჩვენი, მაშ, რათ დაუკარგეთ საფლავებს სახელი, ბნელაში რათ ამოთხარეთ ორმო და მერმე რათ გადაასწორეთ ის, რომ დილას არავის ეცნო — აქ ვინმე დაუმარხავთო? და ერთი რამ კიდევ — როცა საფლავებს ეძებენ, როცა საფლავებზე მიაქვთ ყვავილები, როცა საფლავი უყვართ და იქ მიდიან სალოცავათ, სატირალათ, შურისძიების წყურვილის გასაძლიერებლათ, გეშინოდესთ თქვენ იმ საფლავის, ის არ არის საფლავი დამარცხებულისა. ხვალ პირველი მაისია და ამალამ მე არ მეძინება. ჩემი პანია, სატუსალო ოთახი სავსეა თუთუნის კვამლით და მე ისევ ვენევი თუთუნს. ვაბოლებ. და მე ეხლა არაფერი არ მტკივა, მე თითქოს დავისვენე. თუთუნის ბოლში გახვეულს, მე ბევრი რამ მაგონდება, მაგრამ სურათები ელვის სისწრაფით სცვლიან სურათებს და მე აღარ შემეძლია შევჩერდე რომელიმე ერთზე. ხოლო ამ სურათებში ცენტრი უჭერია ქალაქ N-ის სასაფლავოზე გათხრილ ერთ საფლავს და ის არ იკარგება თვალიდან, იმას მე ვხედავ განუწყვეტლათ. ვხედავ და მიხარია მე ეს და თუ თვალეში ცრემლი მადგება, ეს არ არის ცრემლი უბედურისა, არა, ეს ცრემლი სიმღერაა ჩემი, რომელიც მე სულიერ სიმშვიდეს და აღფრთოვანებას მაძლევს. ამიტომ არ ვარ მე ცოდვა და სულელია ზედამხედველი, მან აი, ამ წუთას, შემოიჭვრიტა ჩემს ოთახში და მითხრა:

— დაიძინეთ, აგიაშვილო, მოგკლავს თქვენ ამდენი ფიქრი, კაცის ჩინი არ გაქვთ!
აბა, ერთი იგი ჩემს გულში ჩამოახედა, რას იტყვის! მგონია, შეეხარბოს...

ჭოლა ლომთათიძე
(სპირიდონ მცირიშვილი)
ბათუმი

მწუხრი

*მენავეთა, მოგ ზაურთა, სნეულთა, მშრომელთა,
ტყვეთა ხსნისა და ცხოვრებისა მათისათვის...*

ალვათა მწვერვალეი ცახცახებს ვნებით.

აბორცვილ ღრუბელთა შორის ნელი რხევით ქანაობს მთვარე. უცნაურ შიშით შეპყრობილი ნაკადი, ვინ იცის, რად არღვევს დუმილს.

ზის ფიქრებით დამთხვეული. თითქოს თვალღია ძილით მისვენებია სამყაროს კალთებს. და გრძელდება იდუმალება გრძნეული ღამის.

ქალ-ვაჟთა ხმაური, ალვათა ათრთოლება.

— აქ ჩამოვსხდეთ.

დაიმსხვრა. დაილენა იდუმალება მოვერცხვილ ღამის.

— უსაზღვრო მწუხარება სცურავდა იმ უცხო ვაჟის თვალეში. დიდი ხანია, რაც ჩვენ დაბას ეწვია?

— არა! მაგრამ მის თვისებათა უცნაურობამ ყველას ყურადღება მიიპყრო იმ თავითვე.

— ხან ბრძენია, ვით დუმილი, ხან ცელქი, როგორც მერცხალი.

— თითქოს ვეფხის სიმარდუა მის მოძრაობაში და ეროსის სიგიჟე. სცხოვრობს განმარტოებით და უმეტეს დროს ზღვაზე ატარებს ნავით, რომელიც ჩამოსვლისთანავე შეიძინა. დუმილი. ხანგრძლივი.

ადგა ფიქრებით დამთხვეული, ალაპყრო თვალნი, თითქოს ვარსკვლავთაგან მონანთომ ციმციმს ითვლიდა. წარმოსთქვა: — იადონა! შავად დათალხულ ოთახში ციციანათელათა ციმციმით ერთხელ კიდევ ავქარგავ შენს სურათს, შეგავედრებ გრძნობათა მოგონებებს.

შემდეგ კი უნდა დავივიწყო ლოცვა მენამული, ლოცვა წარმართი, ამ ღამეს მსურს გადავაბარო განვლილ დღეთა მოგონებანი. და თუ ყოველივე ემსხვერპლება დავიწყებას, ღმერთი, რომელსაც არ ახსოვს დიდება და სიამაყე იყოს მფარველი ჩემი. ვით ნიავის გადაქანება — გაივლის ქალ-ვაჟთა ახლო.

ჩურჩული: — ის არის!

მკრთალი ნათელი — მზის ნამძინარე თვალთა გამომეტყველება შეიჭრა სარკმელში. გამოელვია. გააჟრჟოლა.

— დღეს, ეროვნული დღესასწაული. მაისობა.

წარსულზე ფიქრებით დაიწყო სანოლში ზმორება.

მეთორმეტე საუკუნე — ბრძანებს თამარი: დედაკაცმა დაგიმონეთ. ამიერიდან ატარებდეთ ლეჩაქს ქალისას.

და მას შემდეგ მუსულმანები თეთრ მანდილს იხვევენ ქუდზე. და გასცა განკარგულება მათდამი, რათა დედაკაცთა წესისამებრ...

ხა! ხა! ხა! რა უცნაური ზღაპრებია.

— შემოვფარგლავ სამფლობელოს და ვაი მას, ვინც საზღვარს გადმოცდება.

შესცურა ხომალდით ზღვაში, სადღაც შორს გადაისროლა იაგუნდი.

— აქ იყვეს სამანი.

ვინ მონახდა, რომელ ადგილს ჩაიძირა იგი? და ბიზანტიელი სოვდაგრები განა გაბედავდენ თამარის ნება-დაურთავად ზღვით მოგზაურობას?

ადგა. ზღვაზე შეეგებება მზის ამოსვლას. შესაძლოა მონახოს თამარის სამანი.

წავიდა. წავი ყვავილებით დახვდა მორთული. განცვიფრდა. მაისი. ვარდისი. ყვავილე-ბის თვე. ნეტავ ვინ მორთო წავი? სალამი ზღვას. რამდენიმე ყვავილი ტალღებს შესთავაზა და მძლავრად მოუსო ნიჩბებს. განმარტოებულ თოლიასავით აედევნა მოუსვენარ დენას.

ნავთსადგური. ხალხი. სუროთი შეფოთლილი, ყვავილებით აქარგული ესტრადა. დრო-შების ჩრდილი აგრილებს მიწას. ქადაგთა თქმული აღლევებს მსმენელთ. განმარტოებით ზის ასული, მოუსვენრად გასცქერის ტალღათა სივრცეს.

— დილიდან არა სჩანს, უთუოდ ცუდი რამ შეემთხვა. ღმერთო!

შორს, ნერტილის მზგავს ნავის სილუეტს შეამჩნევს და მაყვალა თვალებს სიხარულის იალციალი მოეფინება. მოცურდა. სასწრაფოთ მიაბა ნავი. შეამჩნია დიასახლისის ქალი, განმარტოებით რომ ისხდა ზღვის პირად. გაუღიმა.

— გმადლობთ ყვავილებისთვის.

მიაშურა ტრიბუნას. ბოდიში. ახალს ვერას იტყვის. გატაცებით, გაამაყებით უამბობს დამსწრეთ უცნაურ ლეგენდებს თამარის შესახებ... ყრუ ტაშისცემით დაჯილდოებული გასცილდება ხალხს. შეაჩერეს, წინაპართა მოსაგონებლად, მათ უყვარდათ ქეიფი აზარფეშებით, ნადიმი იმართება სალამოს. სთხოვენ. იპატიჟებენ.

— ვეცდები გენვიოთ. გრძნობით წარმოთქმული სადღეგრძელო მირჩენია მჭერმეტყველთა აღფრთოვანებულ სიტყვებს, მაგრამ...

არავითარი მაგრამ, სალამო საუცხოვო იქნება. ელიან.

— მაყვალა! კვლავ მადლობას გიძღვნი ყვავილებისთვის.

რა ყვავილები? დილით ნავი. თქვენ არ იყავით? მაპატიეთ, ნეტავ ვინ იყო?

დუმილი.

— მაყვალა!

— რად მეძახი ამ უცნაურ სახელს?

— მაყვალავით შავია ეგ თვალეები და უნაზესი მაყვალის ბურქში გაშლილ ყვავილზე. სთქვი რამე, რად მორცხობ, მთვარესავით ასე ლამაზად რომ იბურავ ღრუბლის მანდილს. გშვენის ღიმილი, თითქოს ატმის ყვავილები ფორიაქობს ნიავის ფრთებზე. რად მიიჩქარი.

იგი ჯერ თექვსმეტი წლისაც არ არის, დღეს პირველად გამოვიდა საზოგადოებაში. დედა გაუჯავრდება დაგვიანებისთვის.

ჩაკიდა ხელი. გააჟრჟოლა. ვაჟის მხურვალე სუნთქვა ცეცხლს უკიდებს მიბნედილ თვალეებს. მოურიდებლათ უხსნის საკინძს. არავის ხელი არ შეხებია მის მკერდს და უსაზღვროა პირველი განცდა შეხების. სიგიჟე და სილალე ორი არსების.

— წადი, იძინე ტკბილად. არ დაივინყებ ამ ღამეს.

ისიც ყოველთვის ილოცებს მისთვის. ღმერთო, რა შიში განიცადა ერთხელ, უფსკრულის პირად მძინარს წაატყდა თავს. ზღვა ბორგავდა. მოვარდნილ ტალღების ნამსხვრევები ეცემოდა მის ტანს. ერთი ძლიერი მოზვავება და დაილუპებოდა. მაინც ვერ გაბედა გაღვიძება. მხოლოდ ლოცულობდა ხელ აპყრობით. და როდესაც გაიღვიძა, მიიმალა, შიში აღარ იყო დალუპის. დაბრუნდი, აკი ნადიმზე ხარ მიწვეული.

— ოჰ, მართლა. აღარც ახსოვდა. ღირს დაბრუნებათ?

— მშვიდობით! მე მოვრთე შენი ნავი.

უკანასკნელი კოცნა და, ვით მოსხლეთილი ფიქრი, მიიმალა.

სიგიჟის ღმერთი ბრძანებლობს სუფრას. ტოლუმბაშის სადღეგრძელოში წამებაა ლოთი ფიქრების. კრძალვით უახლოვდება.

— მობრძანდით! რათ დაიგვიანეთ!

— არა უშავს! კიდევ მოასწრობს დათრობას.

იმ ასულის გვერდით მონახავს ბინას, რომელსაც თვალეები გაუბრწყინდება მის დახახვანზე.

— აუცილებლად უნდა სთქვათ, რათ დაიგვიანეთ.

— ხელ-უხლებ ფორთოხლებს სრესდა სიყვარულის ღმერთის სადიდებლად და შეაგვიანდა. ეხლა მოვიდა, რომ სიგიჟის ღმერთსაც აამოს ყანების გადაკოცნით. ვინ არის თამადა?

— დიონოსი. იგი ნაფიც თამადათაა აღიარებული. სუფრის ღმერთს ეძახიან.

ტოლუმბაში გადაუსვრის მოვერცხლილ თასს. ასული ღიმილით აუვსებს.

— გმადლობთ. კიდეც ამივსეთ, რომ შევსვა სადღეგრძელო თქვენი წამნამების, უხილავ ისრებათ რომ მეჭდობიან გულში. სახელი მითხარ, მშვენიერო. არ მეტყვიოთ? გაფიცებთ ღამის იდუმალეზას.

— მედეა!

— ღმერთო ჩემო! პირველად მესმის ეს მითიური სახელი! რა კარგი ხარ, მედეა!

მოურიდებლად გააცურა ფეხი სუფრის ქვეშ. ბრონეულის ყვავილივით ანითლებული წამოიჭრა და სხვა ადგილი მონახა.

სვამს გატაცებით. დაითრო. ფეხზე ველარ მაგრდება. თეფშების წკრიალი. სიტყვის რიგი გედეონზეა.

— ბატონებო! ვაზი პირველად იქ აღმოცენდა, სადაც ტიგრი და ეფრატი უმღერდა ნანას კაენის შურის ძიებას, სწორედ იმ ადგილს, რომელსაც აბელის სისხლი დაენვეთა, და სათუთად შემოეჭდო იმ კეტს, რომლითაც კაენმა სიკვდილი ამცნო შემოქმედს. და ააფერადა თვისი მტევნები, როდესაც კაეშანმა დაათოვა მთებს.

შემოდგომის ბნელ ღამეში მკვლელნი, უნუგეშონი, უნიადაგონი ღვინის სმით დასტირნიან თვის საშინელ ხვედრს. სადღეგრძელო იყოს „მკვლევების“, სწყალობდეს ყველას სიგიჟის ღმერთი.

კვლავ მიუახლოვდა მედეას.

— აი, ის ვაჟი, გაიოზს რომ ეძახიან, ისე გიცქერის, როგორც მწირი მადონას, რა იცის მან, რომ მედეას უფრო მოხიბლავს იაზონის თამამი ქცევა? დავითვერ. ჩემს თვალებში უსირცხოდ იყურება სიმთვრალე. არა გსურთ ნავით გასეირნება? მძლავრად მოუსობ ნიჩბებს. დალლილი ჩავესვენები შენს კალთაში და...

— რად გქონდათ გუშინ ისეთი მენამული სახე, ანდა ალვათა შორის კვარცხლბეკზე.

— ახ, დამაყურეთ? კვლავ გაცურდა ფეხი სუფრის ქვეშ. მრისხანედ შეჰკივილა: მომაცილეთ ეს უდიერი.

გაიოზი ესარჩლება უმწეო დედაკაცს. ვინ აპატივებს მას სუფრაზე მანდილოსნის შეურაცყოფას. ხელი წამოავლო სურას. მიიწევს. მასაც აქვს მძლავრი მკლავები მოპირდაპირის შესახვედრათ. საერთო მღელვარება. დაირღვა მყუდროობა. უნდა დაიშალონ.

— მედეა! გმადლობ დროს გატარებისთვის. მიიღე სახსოვრად.

მიანოდებს ნამწვავებით ავსილს პაპიროსის კოლოფს.

ხანგრძლივი წვიმები. ჩაიკეტა ოთახში. მოდუნდა. ათასგვარ ფიქრებით აწამებდა დღეებს. იშვიათად სჭამდა, თითქმის შიმშილობდა. ერთხელაც არ ეჩვენა დიასახლისის ქალს. ფიქრობდა მკრთალ უშინაარსო სიცოცხლეზე. რად გაექცა ხალხს, ბრძოლას, იკვლევდა მიზეზს მოლლილობისას, იგონებდა მედეას, ნამწვავებით ავსილ კოლოფს, ეკვროდა ბალიშის სიღრმეს, ემალებოდა მოგონებებს. ბოლოს ვერ გაუძლო ქერძაფის ჟინით დამწვარ თრობის სურვილს, ჩამოიღო თაროდან არაყით სავსე ბოთლი, დასცალა უხმოდ, უსიტყვოდ და ბარბაცით გავიდა ქუჩაში თმა აბურძგნილი, მკერდ გაღვლილი.

თვალი მოკრა ეტლში მსხდომ მედეას და დიანოს. სასონარკვეთილებით ნაივლო თმაში ხელი.

აი, ეს არის ეხლა აპირებდა დიანოსთან წასვლას, რათა მოციქულობა დაევალებია მედეას მშობლებთან, პირადათ მედეასთან. იმ ღამის შემდეგ გარედ არ გამოსულა. უსაზღვრო იყო მისი მწუხარება. ოჰ, ნუ იქნებთან უგულონი, აპატიონ.

— რა მოციქულობა უნდა გაენია მის მშობლებთან?

— იქნებ მემინდის ადგილს მისცემდენ წისქვილში.

— ხა! ხა! ხა! ჩვენ წისქვილი არა გვაქვს.

— ღმერთო ჩემო, რად მომაგონებს თქვენი ღიმილი მწიფე ბროწეულს ორად გახლეჩილს.

— კიდევ დაინწყებთ?

არა! არა! ოღონდ ნუ გაჯავრდებით. არც მწყემსი გჭირდებათ? ღმერთო! მაშ, რა ვქნა.

— ნუ თუ ასეთი უცნაური იყავით ყოველთვის? გვიამბე, რამ თქვენი წარსულიდან.

— ეხლა არა! სხვა დროს. ეხლა, როდესაც ასე ახლო ვარ თქვენთან, არ შემიძლია მოვიგონო წარსული, აღსავსე მწუხარებით. ჰო, როგორ შეთამაშდა ეგ წამნამები. მზათ ვარ ავტირდე. ხომ არ იქნებით ცუდი წარმოდგენის ჩემზე? რად გაგაჯავრეთ იმ ღამეს.

ატირდა. ძლივს დაამშვიდეს. შინ მიაცილეს.

სწუხდა. ბორგავდა, ვიდრე არ ჩაეძინა.

დილა. ხალისიანი სიცელქე მწველი სხივების. ალერსიანი გადაკოცნა ანატორ ყვავილების.

ზღვას მიაშურა. ტალღათა სივრცეში დიდხანს აქანავა, აცელქა ნავი. დაღლილი დაბრუნდა და წალკოტისკენ გაემართა დასასვენებლად.

— მზეო! მნათო უცნაურ მარადისობის, ძნელია ადამიანისთვის რწმენის გადატება.

ჩაფიქრდა. იგი არდადეგებზე დაბრუნდა შინ. აქ იგი ერთობა თმა შეთეთრებულ დიანოსით, ახალგაზრდა გაიოზით. და სრულებით არ ფიქრობდა, თუ კიდევ მესამე დახვდებოდა ვინმე. გაივლის ზაფხული. დარჩება მოგონება. სასაცილო, სამხიარულო და ეს ნაახალისებს მას სწავლის დროს. გაუთამამებს მომავალს.

ისწავლე. ან ვერ შეგიგინებენ მშობლიურ ენას. ისწავლე და როდესაც შენ წინ გადაიფურცლის წარსულ ღღეთა შავი სტრიქონები, განანამებთა რიცხვში მეც მიგონებდე, მედეა, მე, რომელიც ფრთების ცახცახით მივექანები უფსკრულისაკენ.

დუმილი.

ხალისიანი სიმღერა:

„პატარა ბიჭი დამეკარგა წითელ პერანგაო,
ან ავლილი, ან ჩავლილი ხომ არ გინახავთო“.

გააჟრჟოლა. პატარა ხარ, სამშობლო ჩემო, მაგრამ ვაი, მას, ვისაც დააშორიშორებს შენი ხლართი მთები. ვაი, დამრგველს.

ფეხშიშველი, მოკლე კაბით, ყელ მოღერებით მოიმღერის მაყვალა, ნიავი უქოჩრის ხუჭუჭ თმას. დაინახა. შეკრთა.

— ვისთვის დაკრიფე ეგ ყვავილები?

განითლდა. შეენის დარცხვენა.

— იმღერე რამე, შენი ხმა დუდუნია გოლვით დამწუხრებულ ნაკადისა.

შეჰკვივლა.

— რა იყო, ჩემო კარგო?

ბილიკზე მოსჩანს ამაყ გამომეტყველებით მედეა. მიესალმა.

პასუხი არ არის. — სალამი! — უპასუხოდ რჩება ძახილი.

მოზღვავებული ცრემლები აბრწყინებს მაყვალას თვალებს.

— რა მეშველება, დედას რომ უთხრან?

გაიქცა. გამოურკვეველი მდგომარეობა. რად დასტოვა სალამი უპასუხოდ? დაენევა. პასუხს მოსთხოვს. ეტყვის: არ არის კარგი ასეთ ნაირად გავლა ორ არსებასთან ახლო, როდესაც ვნებით მთვრალი ბაგენი ეხება ერთი მეორეს, როგორათაც ქამანჩა სიმებს. ვერ დაენია. გავიდა ნავთსადგურზე. მედეა, დიანოსი და გაიოზი ერთად სეირნობენ. კვლავ მიესალმა. არ უპასუხეს — თითქოს ვერ შეამჩნიეს. ისევ ნავს მიაშურა. ეხლა კი ეძახიან. — არ შეიძლება, დამითმით ნავში ერთი კუთხე?

— მობრძანდით!

გათამამდა, გახალისდა, ჩაკიდა ხელი. ტალღები მხიარულად აედევნა ნავს.

— რადა ხართ ჩემზე გაჯავრებული? სამჯერ მოგესალმეთ და...

— არ შემინიშნავს?

— არც ნალკოტზე?

მრისხანე დუმილით შესცქერის თვალებში.

— იცით! მამა მართლა აპირებს წისქვილის მონყობას.

— გაიოზი გამოადგება მემინდეთ.

მრისხანება აღიბეჭდა მედეას სახეზე.

— მოგწონთ დიასახლისის ქალი?

— ის ბავში მშვენიერია, როგორც თქვენი ფეხსაცმლის ბავთა.

ჩაფიქრება. ნელი შრიალი. ზანტი მოსმა ნიჩბების.

შორია ნავი. ძლივს სჩანს ნაპირი.

— რად გიყვარს ზღვა?

— აქ შორია და უცნობი ბოროტი ხმა შურის ძიების.

სუსტია ძახილი დანყვევლილ შვილთა. აი, შენ ზიხარ ჩემს ახლო. რომ იცოდე, რა კარგი ხარ ეხლა. ისე კარგი, ისე წმინდა! ახ! რად გიფარავს მკერდს „მარკიზეტი“. ნება დამრთე, მოვშორდე ნიჩბებს და შენს კალთაზე დაყრდნობილმა უცქირო ვარსკვლავთ მოსხლტომას, ლამაზია წუთი ცის მნათობთა მონთომის.

— მიაბზე რამე შენი წარსულიდან.

— ამაზრზენია იგი. აი, თუნდაც ერთი ნანყვეტი. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ. ავადმყოფი დავბრუნდი შინ. ვიფიქრე დედის მზრუნველობა შემიმსუბუქებდა საშინელ წუთებს, მაგრამ ისიც სულთმობრძავი დამხვდა. უმწეოდ ებრძოდა სიკვდილს. ყველა დაგვერიდა. მთარულ სენს დააბრალეს ჩვენი უკეთურება და წყეულ ოჯახს ყველა გაურბოდა.

არავინ გვყავდა მომვლელი. დიდხანს ვენამეთ. ბოლოს დედა მიიცვალა. მსურდა ყვირილი — ხმა არ შემწევდა. მსურდა სანთელი ამენთო, ადგომა ვერ შევიძელი. შემოიჭრა კატა ოთახში. ჯოჯოხეთი ენთო იმის თვალებში. დაუნყო კანრა ცხედარს. კნაოდა. საზარლად. საშინლად. ჰო, როგორ მინდოდა დამეფარა დედის სხეული. უკანასკნელი ღონე მოვიკრიბე. შელონებული გადავემხვე ცხედარს.

დილით დარცხვენილი მეზობლები. ნათესავთა პირმოთნე მწუხარება.

კუბოში ჩასვენება დაკანრულ ცხედრის. ოჰ, ნუ სტირი, ნუ სტირი, ჩემო კეთილო.

— მეშინია!

— ნუ გეშინიან! ეს განმარტოებული თოლია ეძახის თავის სასურველს.

ნავთ სადგური. გემი მოაპობს ზღვის სხივებით ახალიჩებულ ზღვას. გედეონი ძლო-კისებური დუმილით გაცქერის შორეულ სივრცეს. ფრთხილად ეკითხება მედეა.

— ამანათებს მოიტანს გემი. ვისგან გაგახარებდა წერილის მიღება.

— არავისგან! მინდა, დავიწყებას მივცე ყველანი.

— შინაურებიც! შენი სოფელიც!

— ჩემი სოფელი? რა რიგ მიყვარდა. მათათა ჩუქურთმა. ნაცრის ფერ ნისლით დათალხული. მწყემსთა სალამურით აკვნესებული. და რა დამრჩა იქ? მშობელთ სამარე უყურადღებოთ მიტოვებული. ველურ ყვავილებით დატირებული.

— მამული?

— თემს გადავეცი. იწყეს დანაწილება. ნადავლის გარიგებამ ორი გლეხი იმსხვერპლა. მადლობის ნაცვლად უპატრონოდ დაშთენილ ოჯახთა წყევა-კრულვამ გამომაცლია. ამ დროს ბარათები მოაქვს დიანოსს, რამოდენიმეს მედეას გადასცემს, ერთს კი გედეონს. ჩამოართვა. კითხულობს კანკალით:

„დაბრუნდი, გედონ! დაივინყე წარსული. გთხოვენ, ჩაიბარო ერთ-ერთი მაზრა. გელოდებით. სავლე.“

— კვლავ მომიგონეს? მომნახეს? კარგია, გიგონებდენ ისინი, ვისი მოგონებაც არ გასურს, მაგრამ არას დროს. წამოდგა.

— მეგობრებო! შესაძლოა კვლავ გავყვე ბედის ნავს, რომელიც არას დროს აღარ მომიყვანს ამ ნაპირებზე. მე არ მიყვარს განცდათა განმეორება, და როდესაც დასავლეთისაკენ მიხმობენ, აღმოსავლეთით მივმართავ იალქნებს, მაგრამ გამამხიარულა ძველმა მეგობრის მოგონებამ. არ ვიცი კი, როგორ გაიგო ჩემი მისამართი. და ჟამსა აღფრთოვანებისასა გავგიჟდე უნდა ლოთი ღმერთივით. მხოლოდ ერთი დამავალეთ, ვინც ნახოთ, ნაცნობნი ყველა მოიპატიჟეთ. მე შევცურავ ზღვაში. მოვნახავ კუნძულს, რომელიც გამოდგება სანადიმოთ. მამ ასე, რაც შეიძლება მეტი ხალხი მოიწვიეთ ნადიმზე.

მიაშურა ზღვას.

— ხომ არ გაგიჟდა?

აქანდა ნავი. სიხალისე აჩქეფდა ძარღვებში:

— მისმინე მარტოობავ! ამეტყველდა ბაგენი ჩემი. ჯვარს ვეცვი სიყმანვილისთვის, ვიყავ ნამებული ძლიერებისთვის და განვიცადე დამარცხება. მკოცნიდა სუნთქა სიკვდილის და მეკმია განახლებულ ცხოვრების სილაჟვარდე. განვმარტოვდი — შემოიჭრენ მარტოობაში. როცა მონა ვიყავ — მალმერთებდენ. როცა ღმერთი ვიყავ — მყვედრიდენ. არ ვიცი, რა ვიქნები. ან არ გამოვეხმაურები მათ მონოდებას. ჩემთვის ყოველისფერი დალუპულია.

დადუმდა.

— სად მიმყავს ნავი? კუნძულზე? სად არის აქ კუნძული? დაიჯერეს. ეხლა მელოდებიან და მეც უნდა ვაუნყო. მეგობრებო, მოვნახე კუნძული, რომელიც ქნარს წააგავს მოხაზულობით, მაზედ მოლივლივე რუები — მოვერცხლილ სიმებს, რომელთა იდუმალი დუდუნი მოგაგონებთ ძველ მუხამბაზების აქვითინებას. არ ირწმუნებენ? სიმშვიდე საკმაო გახდა ნაზარევისათვის ძედ ღვთისად ნოდებულებო.

ჩაფიქრდა.

ნაზარეველი. ამბობენ: ფეხით ვიდოდა მღელვარე ზღვაზე, მაგრამ როდესაც გააკრეს ჯვარზე, თომამაც აღარ ირწმუნა იგი.

გაიტაცეს ფიქრებმა.

ნავი უაზროდ ქანაობს. მოსწყინდათ ლოდინი.

— ჰაუ! ჰააუუ!

გააჟრჟოლა.

— მოვდივარ!

გადაემო ზღვაში. ლალატობს დაუნდობი ტალღები.

იძირება. ძლიერია სურვილი თავდაცვის.

— მიშველეთ! ვილუპები.

გაიგონეს. მარდი მოსმა ნიჩბების.

— ნავი ჩქარა!

გადაარჩინეს. უგრძნოთ გდია ნაპირზე.

— ნუ თუ დაილუპა? — კითხულობს მედეა და მორცხვი ცრემლი ეღველფება მისუსტებულ მკერდს.

ამოიგმინა.

— წამიყვანეთ!

თვალი გაახილა.

სასთუმალთან ზიან დიანოს, მედეა, გაიოზი.

— სადა ვარ ეხლა.

— შენს ოთახში.

— მიბაძვა იყო ქრისტესი. ვერ მზიდეს ტალღებმა. მე ვიხილე იგი და შევეკითხე: ხარ თუ არა შენ შემძლე, მიუნდომელი, რომელიც განაგებს მსოფლიო გონებას.

დახუჭა თვალები. ქვითინით ჩაეკრა საურს.

ვინ, ვინ დამწყევლა ასე საშინლად. გამიგონეთ, მეგობრებო! გაქვთ წარმოდგენა ისეთ ცხოვრებაზე, როდესაც მეტეხის კედლებში დაიკარგება დროთა სვლის ანგარიში? და მთელი საშინელება მეტეხისა გადავიდნე სიყმანვილის ფიცარზე. მქონდა მიზანი — დავკარგე. ვიყავი ხალხში — განვმარტვილდი. მთხოვენ დავბრუნდე. გულს აღარ ათბობს სიყვარული ხალხისადმი და განა ისე ღირს, დასდოს მწყემსმა თავი თვისი ცხოვართათვის? მეგობრებო! ძვირფასო მეგობრებო! რა ვქნა, მწუხრი შემოიპარა ჩემს სულში. სად არის აზრი ჩვენი წამების. ცხოვრების რომელ დარგშია იგი. იქნებ ვნებაში. მაგრამ მე ვერ დავწყურდი ისე, რომ იგი გამხდარიყო ძიების აზრი. ვსცადე მეცნიერება, მაგრამ ყოველი შემეცნებული მყისვე არ კარგავს ძიების სურვილს? ანდა მითხარი, დიანოს! აი, თქვენ, ექიმები, ასე რომ გამრავლდით, რა აზრი აქვს თქვენს მეცნიერებას. ექიმობა — ძველის ძველი ჯამბაზობაა, მაგრამ დღემდის ვერ გასცილებიხართ სხეულის მკურნალობას, აბა, დამისახელეთ ექიმი, რომელსაც შეეძლოს სულის ჭრილობების შეხვევა. ჩვენს საუკუნეში კი სული უფრო ადრე ზიანდება, ვიდრე სხეული. ანდა მითხარით: რა არის პოლიტიკა! ადვილი გახდა აგრივალება, აფორიაქება, თავდაყირება წლობით შექმნილ კანონისა, მაგრამ ცხოვრების ჭაობს ხავსი მაინც რომ არ სცილდება? ჩემო გაიოზ! შენ ხელოვნებაზე მეკითხები? რა განსხვავებაა ხელოვანსა და ხელოსანს შორის. მინახავს ჯადოსნური მონახაზები და მითქვამს: ათას ასეთ სახეს შევქმნი ოცნებაში, ტილოზე აქარგვა სულში ახეტიალებულ ფიქრების კარგია, მაგრამ უაზრო ხელოსნობაა. მომისმენია მისტიური სიმფონიები, მხიბლავი ჰანგი ბუნების იდუმალ აშარიშურების, კარგია მისი დამუშავება ცივ სიმების ასამეტყველებლად, მაგრამ ესეც წარმოების ერთი დარგია მხოლოდ. პოეზია? ფიზიკაში არსებობს წერტილი დუღილის. პოეზიამ უნდა გაშალოს, გააღებოს იგი. მკვეთრი აღმასი, ნაზი ლოტოსი — ასეთია სიტყვა პოეზიაში. ის, ვინც მღერის — მსმენელი მხიბლავ ჰანგით დაათროს, მეძავივით ეპყრობა თვის სათუთ გრძნობებს, ვინც წამებას განიცდის მხოლოდ იმიტომ, რომ პოეტის გვირგვინით დაიდაფნოს — ჯალათია პოეზიის. პოეზიის ყვავილები მხოლოდ პოეტის სულის უნთომ დუღილში იშლებიან, სტრიქონები მხოლოდ ფერფლია შინაგანი წვის, სულის გიზგიზის. კალმის წვერიდან გადმონანვეთი ასოები ანაორთქლია ამ წვის, ამ დუღილის. პოეტი ძუნნი უნდა იყოს სიტყვის ხმარებაში, სტრიქონებისა და ასოების ასახვაში, რათა არ დაეშოს წერტილი დუღილის.

— ჰე, გედეონ! შენ თუ წამებამ მოგვალა, იგივე გვიყო ჩვენ ბედნიერ ნუთების სიჭარბემ. გაგვასათუთა ბედის ვარსკვლავმა. მე ისეთი მიმზიდველი ვერა ვპოვე, რომ ღირდეს მისთვის სიცოცხლის განამება. ამბობენ: სიცოცხლე წამებააო, ჩემთვის თამაშია იგი, მოსაწყენი თამაში, ყალბი სიამე. შენ ეძებ თავდავინყებას? გინდა მწუხრის ჟამი გაასიზმარო — ეს შეიძლება მხოლოდ ვაზის ცრემლებში, ყანების ჩრდილში. ეჰ, სულის ჭრილობები მთელდებიან მხოლოდ ტალავერ ქვეშ გაშლილ სუფრაზე. ადე, წავიდეთ! შენ ხომ უჩვეულო ქეიფს ეპირებოდი.

მცირე ყოყმანის შემდეგ ტანთ ჩაიცვა. გაყვა.

სწვიმს.

კვლავ ატირებს მოგონებანი. წერილის შინაარსი. იგონებს მგზავრობას შორეულ ტაიგეტიდან. დარიალი. ლეგენდა შუშანაზე. ტაძრის გაქურდვა. საბრალო სავლე, კვლავ გატაცებით განაგრძობს ძველი გზით სიარულს. მას კი მოსწყინდა ყოველივე.

აილო ფანქარი. დასწერა: აღსრულებულ არს. სამუდამოდ. საუკუნოდ.

ყველა სიმები დაწყვეტილია, გადასკვნა არ შეიძლება. დავბრუნდე?

თქვენ იცით — ძნელია ჩემთვის ნაცად გზით სიარული. მეგობრებო!

ძვირფასო მეგობრებო! იყავით მხნედ, ჯანსაღად. უკანასკნელად მიიღეთ სალამი განწირულ სულის აკვნესებისა.

გავიდა ოთახიდან. ერთხანს იხეტილა სასაფლაოზე. შემდეგ წავიდა საფორჩტო განყოფილებაში და იქედგან გზად გამოიარა მედეასთან.

სიხალისე აციალდა მასპინძლის სახეზე.

— მოველი, რომ დავემყოფო მონყენილობას. მარტო ხარ?

ჰო! როგორ მღალავს მტირალ დღეებში ზანტი ზმორება. ვიყავი სასაფლაოზე. გული გამინყალა ყვავების ჩხავილმა, სამრეკლოდან რომ წინაპართ რწმენას.

— ეხლა ხომ კარგად გრძნობს თავს? რა პასუხი გასცა წერილზე?

უარყოფითი. განა ის ოდესმე შეურიგდება მათ, რომელნიც თეთრ ხელთათმანებს მხოლოდ მუშათა უბნებში იცილებენ?

არა! მან გამოიწვია ხმალში მთელი ცხოვრება. მისი განანამები სული მუდამ დასტირის.

დასტირიან მეგობრის დაღუპულ სიცოცხლეს. მაშვინაც ერთ-ერთ მაზრის მმართველად იყო დანიშნული. იგი საგანგებოთ გაგზავნეს იქ მაზრაში მოთარეშე ავაზაკთა გასანადგურებლად, დამარცხდა. ავაზაკებმა შეიპყრეს. სიკვდილით დასჯიდნენ, რომ მეთაური არ გამოსარჩლებოდა. ამისთვის ლალატი დასწამეს მეთაურს. მაგრამ სასტიკი იყო მეთაური. თვისი ხელით გაგმირა ორი ავაზაკი თავხედობისთვის, დანარჩენი გაიქცენ. და როდესაც ნილაბი ჩამოვარდა სახიდან მეთაურს...

— შაქრო!

გადაეხვიენ. გადაკოცნენ.

— რას ამდევნებხარ, რა გსურს, გედეონ!

— შაქრო, განახლებულ ცხოვრებასაც ვერ შეეთვისე?

— სად არის, სად! ეს განახლებული ცხოვრება. ხორცშესხმა უმადლეს იდეათა. ლალატი, შური, მტრობა — საუკეთესო ყვავილებია ამ განახლებულ ცხოვრების და სადაც ეს სამება მეფობს, იქ ავაზაკის სახელი ყველაზე რაინდული და პატიოსანია.

მაინც დაითანხმა შაქრო შერიგებაზე. იარალის დაყრაზე. აღძრა შუამდგომლობა სასჯელის პატიებაზე. არ შეინყნარეს. შაქრო იძულებული გახდა კვლავ მთებში შეეფარებინა თავი. ერთი კვირის შემდეგ კი მის სამმართველოსთან მიათრევენ მის ყელ გამოჭრილ გვამს.

ვინ იცის, მოკლა ვინმემ, თვით მოიკლა თავი? და ამის შემდეგ განა მას შეუძლია დათანხმდეს მათ წინადადებაზე? განა ამას ავალებს შაქროს განანამები აჩრდილი?

თავი დახარა. ჩაფიქრდა. თვალი შეასწრო პაპიროსის კოლოფს.

იგი სახსოვრად ინახავს ამ კოლოფს.

— ჩემი სულიც ამ კოლოფს წააგავს, ყოველი გრძნობა დამწვარი და დაფერფლილია. მშვიდობით.

ქუჩაში გასვლისთანავე გაიოზს მოკრა თვალი. მიესალმა. პასუხი არ მიუღია. ნავთ სადგურს მიაშურა. დათალხულია ზღვა. ლელავს, ბორგავს. უმწეოდ აქანავებს მიმბულ ნავებს. სადღა წავიდეს? ჩაფიქრდა.

— მას პაემანი ქონდა დანიშნული მედეასთან!

ამიტომ აარიდა თვალი. დამბაჩის ტუჩთან. უთუოდ პირის პირ უნდა დადგენ დამბაჩის ტუჩთან. რათა, რისთვის? სხვა გზა არ არის.

გამობრუნდა აჩქარებით. დაუკითხავად შეაღო ოთახის კარები.

სახის უეცარი ანითლება.

— გაიოზი არ არის აქ?

— აქ არავინ არ არის?

— მე კი ვფიქრობდი, იგი აქ მოვიდა მეჯინების ადგილის სათხოვნელად. უკაცრავად, მხოლოდ ერთი გაფრთხილება, როდესაც ასე წამოწოლილი კითხულობთ წიგნს, კარებს

ნუ დასტოვებ ჩაუკეტელს, თორემ ხომ შესაძლოა ჩემსავით დაუკითხავად შემოიჭრეს ვინმე და აი, ასე ავიღენოს სახე მხურვალე კოცნით.

ჩურჩული.

— ხომ არ გავიჟდი?

— დარჩეს მოსაგონებლად ეს თავზედი კოცნაც, ვით ნამწვავებით სავსე კოლოფი.

მზიანი დღე. ფანჯარაზე მიყრდნობა და ხალისიანი ფიქრები. ნისლიანი დღეები ნისლავს მის სულსაც. დღეს კი იგი მზესავით ხალისიანია. სწორია. დედანთან სწორი.

შეიჭრა მოგონებებში, რალაცამ მწვავედ უჩქმიტა.

ნუ თუ ასე უნდა დასრულდეს არსებობის დასამხრება.

ნუ თუ ამისთვის გამოიტანჯა მთელი სიყმანვილე?

სად გაქრა აზრი, შინაარსი მყოობადობის?

მეტეხი. იქ, მის კედლებში და იტირა თვისი ცოდვები.

იქ იყო სინანული ჟამთა სიავის. და დღესაც იგი მდუმარედ დასცქერის სიონს, დარცხვენით შეყურებს ძველ ციხის ნანგრევთ. იქ, ჭალარა ტფილისი ახალგაზდურ ჟინით რომ ოცნებობს თეთრ დარბაზში განახლებულ საქართველოზე, ახალ სიონზე. რად სჭირია მას მფარველად ძველი კედლები მეტეხისა, რად არიან მომწყვედელი მოშხამული ყვავილნი ამ ვეშაპის გვამში? ერთხელ ხომ განიპო მისი კრეტსამბელი, ერთხელ ხომ დაცარიელდა ამ ვეშაპის გვამი? და ჰეი, თქვენ დაკოჟრილ ხელებზე თეთრი თათმანები, რომ შემოისხით, რად დაგჭირდათ ისევ ამ საშინელების გაცხრაკლიტულება?

მტერს მახვილში უნდა განვევა და არა გალიაში მომწყვედევა. არა მრწამს, მეგობრებო, მე ეს ნაცადი ხერხი ბრძოლისა. მეგობრებო! არ მიყვარს მე მეტეხი, ეს საშინელი ვეშაპი, რომელიც ისე ვერ სუნთქავს თუ არა ტუსალის განანემებ ფიქრით. დაანგრეთ მეტეხი. სხვა გზა მონახეთ ბრძოლისა. სწორია, დედანთან სწორია, მაგრამ ეს ისევ პოლიტიკაში შეჭრაა, იგი ხომ ჩამოსცილდა მას? და ეხლა აქ, ახალ მეგობრებში, ნაცნობებში ათამაშებს ჟამთა კრიალოსანს. ვინ არიან ისინი?

დიანოს! — სული გაშლილი სუფრის, მისთვის თამაშია ცხოვრება. ჩვენ დავმეგობრდით აქ, როგორც ორი ხვადაგი უდაბნოში ძუ ვეფხის საძიებლად. და მეგობრობა ხანმოკლეა ისე, ვით ძიება სასურველის. სწორია დედანთან. გაიოზ — არ ვიცი, რად მსურდა დამბაჩის ტუჩთან განვევა ამ უცნაურ ადამიანის, რომელიც სცხოვრობს გულჩათხრობით და სალამის მიცემაც კი ეზარება სხვისთვის. იგი საშვალო საუკუნის რაინდი — რამანტიკოსია და სასაცილოა ჩვენს საუკუნეში ასეთ დაგვიანებულ ყალიბის ხალხის არსებობა. გზა მშვიდობისა, ძმაო გაიოზ! მე არას გერჩი, მედეას კი გაუფრთხილდი.

მედეა! — მწუხრის საბედისწერო მირაჟი. სიყმანვილის ხალისიანი ზღაპარი მტანჯავ ზმანებათ გადაქცეული. უყვარს ჩაფერფლილ კერასთან თამაში. ღმერთი ფარვიდეს, ჩამქრალ ნალვერდალში მეშინია თითი არ დაინვას.

მაყვალა! წყურვილი მოლლილი მგზავრის, ყნოსვა გარიჟრაჟზე ფურჩქილ ზამბახის, ტკბილი ზმანება დახუჭულ ნამწვამების. სული ნმიდა რომ კვლავ მოისურვებდეს ზეციდან გარდმოვლენას, ქვეყნად იგი ვერ იპოვიდა ქალწულს მასზე უბინოს. სწორია.

მაგრამ რა აქვს საერთო ამ ხალხთან, რომელნიც არსებობის ჩვეულებრივ დენას ვერას დროს ვერ გასცილდებიან. რა აქვს საერთო მათთან, რომელნიც ცხოვრების მეტოქეობას მხოლოდ ოხვრით უპასუხებენ. რომელი მათგანი გასწირავს თავს მერმისისათვის! რომელი მათგანი მიიტანს სამსხვერპლოს უცნობ ღმერთის საკურთხეველზე? მას კი სუნთქვა არ შეუძლია ჩვეულებრივ ჰაერით, არ შეუძლია ანმყოს გაუნოდოს მეგობრული ხელი. გასცილდი, გედეონ! გასცილდი აქაურობას, მხოლოდ მგორავ ქვას არ მოედება ხავსი. გასწი ახალ გზით. ისედაც ხანმოკლეა სიცოცხლის დღენი და ბოროტებას სჩადის ის, ვინც განაგრძობს ნაცად გზით სიარულს. სწორია.

— რა არის სწორი?

— მაყვალა. მოხვია ხელი.

— ჰო, როგორ მიყვარხარ, გედეონ.

— რათა! რისთვის?

— ჰკითხე გულს, რომელიც პირველად შენმა დანახვამ აათრთოლა.

— მყინვარის ქედზე უარეს დაღარულია სახე ჩემი, რძის სანურზე უმეტეს დაცრეცილია სული ჩემი. შენი სახე სათუთია — მაისში ათქვირული ვაზის ყლორტი. შენი სული — კრავია უმანკო ისააკის მაგიერ სამსხვერპლოდ განაწირი. ჩემი სული, სიავეა ჯოჯოხეთის. მითხარი, რა გსურს ჩემგან.

— მე მსურს ჩემი სახის კანი იყოს ქალამნები შენი მგზავრობის. მე მსურს, ვუსმენდე თოლიების ფრთებით აქოჩრილს ტალღათა ლივლივს და ვლოცულობდე, რომ ბედნიერება იყოს თანამგზავრი შენი სიცოცხლის.

დუმილი.

— შენ სდუმხარ, მაყვალა, და ამ დუმილში ისე მოუსვენრად გაისმის ეგ გულის ძგერა, ვით საათის ხმაური მიძინებულ ოთახში. მეძინება. მიმღერე რამე. მიმღერე, როგორ დაეცა დაჭრილი გედი აღქაფებულ ტალღების მკერდზე, ან და ლეგენდა ტერეზას კოშკზე.

აკანკალდა ნაზი ხმა:

ამაყი იყო თავადის ქალი ტერეზა.

მრავალ წარჩინებულ ვაჟთა ვნებიანი თვალები დატეხილა მის კოშკის ცქერით. და არავინ იცოდა, თუ ყოველ შებინდებისას მისი ენებით აცახცახებული მკერდი ითენთებოდა მწუხარე მწყემსის მკლავებში, მაგრამ დიდხანს ხომ არ გასტანდა ნეტარება?

იყო ღამე. გაბრძოლება განწირულ ქარის. გუშაგობა ნამგალა მთვარის, მოუსვენრობა ხეთა ლანდების, ყელ-გამოჭრილი იპოვა ტერეზამ მწყემსის გვამი ბნელ ხეივანში...

ჩაეძინა. მოსხლეტით შესწყვიტა სიმღერა. ფეხაკრებით გავიდა ოთახიდან.

სძინავს ტანთ-გაუხდელს.

მწუხარე ღიმილი დათამაშებს მძინარე ბაგეთ. უმწეოდ დაუჭდია ხელები გულზე.

კარების შეშფოთება.

— შეიძლება?

გამოელვია. შეშფოთდა. მოიკრუნჩხა.

— მობრძანდით! თვალს არ უჯერის, თრთის სტუმარი. ფერი ეკარგვის მასპინძელს.

— მედეა! მედეა!

სტუმარს სურს რალაც სთქვას, მაგრამ მწველი კოცნა არ აძლევს საშუალებას. მთვრალი ნეტარებით, მოთენთილ აღფრთოვანებით კარგავს გრძნობას. ოდნავი ჩურჩული, ვით ვარდის ფოთლების აშრიალება.

— დამნატრდი! გნახე!

— მედეა! შენს თვალთა გუგას ვნების ზოლების დასამშვენებლად ობობას ქსელად შემოვლებია წამწამნი, ჩემი გული დაცრეცილია წიგნის ფურცელში მივიწყებულ ვარდის ფოთოლივით, მაგრამ ვინ გაუძლებს იმ ეშხს, წითლად რომ ღვივის სახის ნაკვთებში და მომეცი ნება, დავიღუპო შენს მკერდზე, რომლის ბორცვები მწიფე კომპივით გამოიყურებიან თხელ მარმაშის ქვეშ.

თავდავინწყება.

— კიდევ! კიდევ მითხარი რამე.

— ზლაპარია, ზლაპარი. თავდავინწყებამ დაგვათრო. გამოვფხიზლდებით და... დარცხვენა. სიამაყით და მწუხარებით შეზავებული ხმა: — მიყვარხარ!

— მედეა! — ჩააცქერდება თვალბუბუში. ხელს დაუჭერს. სულში აგიზგიზებულ ცეცხლის ნაპერწკალი შენ უკვე მოიტაცე. მეტ წვას ვერ მიიღებს ჩემგნით შენი სხეული. თუ სხვა რასმე გამოელი ჩემგნით, მისამართი შეგშლია. კარები ღიაა. შეგიძლია მიბრძანდეთ.

სახის მრისხანე აელვარება. უნებურად ათამაშდება წამწამებზე ცრემლთა მძივები. სუნთქვა შეგუბებული გასწევს კარებისაკენ.

გადაელოება წინ.

— წაილე, წაილე თუ რაიმე გრძნობას გამონახავ დაცრეცილ სულის ხვეულებში, სიზმარო განანამებ ძილისა.

უეცრივ მედეას ხელის თითები გაიღვებს მის სახეზე.

დაიკვნესებს. შეტორტმანდება. ვით გავაზი აელვარებულ თვალბუბუთ გადახედავს ტკივილით ამწვარ სახეს გედეონისას და საჩქაროდ გავა ოთახიდან.

გაიჭრა მთებში. უაზროდ დაეხეტება უღრან ტყეებში. გამხიარულდა. სიმღერით აკრთობს ტყის იდუმალებას. შებინდდება. მწუხრი დაეუფლის სულს. იგრძნობს მოწყენას. მოუსვენრობას. თვალ ღია ძილი. ფიქრებით განანამების წინ წამოიჭრება სახე იადონასი. თითქოს ეხვევა თავდავიწყებით, თითქოს ჭრილობიდან ამონახეთქი სისხლი დანამავს მის ბაგეთ.

— რად ჩამოშორდი იმ გზას, რომელსაც მე ასე თავგანწირვით ვემსხვერპლე!

— იმიტომ რომ ამ გზას შენი სახე აღარ მინათებს, სასურველო.

— მართლა? რას გიშვრება სახე? კიდევ გენვის?

დაიკვნესა. გამოელვია.

— იადონა! იადონა! — შეშფოთებულ ტყის დუმის ჩაეკვრება მისი ძახილი.

— საყვედური! ასე ძლიერი, საშინელი. მედეა! არარაობის სამყაროც გამოეხმაურა შენს მოქმედებას. ღმერთი იჭვენეულებისა იქაც აშფოთებს დაფერფლილ გრძნობათა მყუდროებას.

სურს წამოდგეს. ძალა არ შესწევს. იბრძვის, თავს ძალას ატანს.

— დედა! დედა! განამდა სული. არ დასცხრა მისი აზვირთება. მწუხრი არ სცილდება სულს. ვერ შეურიგდი ბედს. ოჰ, ნუ მიჩვენებ შენს მკერდს კატის კლანჭებით დაკანრულს. ნუ თუ სამარემაც ვერ ნაშალა ეგ საზარი ნიშნები. დედა! დედა!

წამოდგება. მთვარეულივით გაიყურება სივრცეში.

იტანჯა. გატანჯა ღამე. თვალ ღიას უსწრებს აისი. დილის აგალობება. იდუმალი ფსალმუნი.

— წმიდა, წმიდა არს! ზეცავ! იგრძენ, როგორ ვიტანჯი. მწუხრით დაინისლა სული ჩემი. მიმძიმს. ოჰ, წყელი იყავ, სიმშვიდე, რომელიც ვერსადა გპოვე.

წავიდა შინისკენ. კარებში ბარათი დახვდა გაჩხირული. „სადა ხარ! ამ საღამოს ვინერთ ჯვარს. გვენვიეთ. მედეა. დიანოს. მინანერი. გედეონ! ცხოვრება თამაშია. ნუ გაგიკვირდება“.

დაიღუპენ! სამუდამოთ! და ამიტომ ამატირა მთებში სიზმრებმა. საბრალონი! სულთათანა აღსრულებულ არს. მედეა! დიანოს! შესაძლოა, ასეც უნდა? შესაძლოა მტანჯავ ფიქრებიდან ხსნა ქორწინებაში იყოს? ქალი, რომელსაც არდადეგები გაუთავდა და სასწავლებლად უნდა მიემგზავრებოდეს, საყდრისკენ მიყვება საქმროს ჯვარ დასაწერად. ხა! ხა! ხა! განმრავლდით, ვითარცა აბრაამ და სარა, რებეკა და იაკობ, ხა! ხა! ხა!

ცრემლებმა დაულტო წამწამნი.

უნდა პანაშვიდი გადაახდევინოს, უნდა ააკვნესოს სამგლოვიარო ზარი, რომ ცივმა ლითონმა მაინც დაიტვიროს დაღუპული სიყმაწვილე.

გაიოზ! აქამდე რად არ მოაგონდა? უთუოდ იტანჯება. ორი დაილუპა, მესამეს მივეშველოთ.

— ჩქარა, მეეტლევ! მიველით კიდეც?

— ძმაო გაიოზ! მიდიხარ ქორწილში? რა თქმა უნდა, არა! მაგრამ განა ღირს ასეთი საღამოს დაკარგვა ოთახის ფიქრებზე? ნავიდეთ, იჩქარის მეეტლე. მოუთმენელი არიან მეეტლენი ლოდინში და ზანტი — მგზავრობაში. ნავიდეთ. გველის სირაჯხანა უამრავ ბუზებით და თვის ნალვლიან სიბნელით.

— ღვინო! დაინგრა ცხოვრების ნაწილი. გამხიარულდი, გაიოზ! ყოველივე წარმავალია. ჩვენ ისევ ლაღნი და თავისუფალნი ვართ. ისინი კი დაილუპენ სამუდამოთ. გახსოვს? ერთხელ უკმაყოფილება შევასხვედრეთ ერთმანეთს მედეას გამო. ერთხელ დამბაჩის ტუჩთანაც კი მოვინადინე შენი განწვევა. ხა! ხა! ხა! გაუმარჯოს სიგიჟეს. სირაჯხანაში ლოთ-ფიქრების ატირებას. გადაჰკარ! ნუ ხარ დაღვრემილი. სადღეგრძელო იყოს ახლად ჯვარ-დანერილთა. კედელს მიანარცხებს სასმისს. გადაჰკარ! მედეა?! ჩუმად გეტყვი. საჭიროა მეტი სითავხედე მის დასამორჩილებლად. დაიხსომე, გამოგადგება ეს დარიგება. რაც შეიძლება მეტი სითავხედე.

მთელი ღამე გაატარეს სმაში. და ისინი, რომელნიც დამბაჩის ტუჩთან ღამობდენ ერთმანეთის ანგარიშის გასწორებას, თავდავინყებით კოცნიდენ ერთუროს ლოთ ფიქრებით დაჭარბებულნი. ჯერ კიდეც მზე არ იყო ამოსული. მთვრალი მიბარბაცებდენ შინისაკენ.

ნისლი.

ზღვის გარინდება. უდაოა საშინელ ქარიშხალის ამღერება. ტალღათა აბორგება. უმწეოდ გაჰკვივან თოლიები. ვერც ერთი მეთევზე ვერ ბედავს სანადიროთ წასვლას. იკუპრება ზღვა.

„მენავეთა, მოგზაურთა, სნეულთა, მშრომელთა, ტყვეთა ხსნისა და ცხოვრებისა მათისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ“ — ლაღადებს მოხუცი მოძღვარი ტაძარში.

„ღმერთო, ფარვიდე მოგზაურთ“. ისმის ჩუმი ლოცვა დედაკაცების.

გაფითრებული, პარკით ხელში მიემურება ზღვისაკენ გედეონი. მის ნავის ახლო ჩაფიქრებით ზიან მედეა და დიანოსი.

უსიამოვნოდ აიჩეჩა მხრები. დააპირა უკან გაბრუნება. გადაიფიქრა. ახსნა ნავი და მიესალმა.

— რა სიგიჟეა, ასეთ დროს ზღვაზე სეირნობა.

მწუხარედ ჩაიციხა.

— და მით უფრო შორს გამგზავრება, არა?

— როგორა სცხოვრობთ. როგორ ატარებთ თავლის თვეს?

— ვილუპებით, გედეონ! სრული სიცარიელე და სიცივე ვიგრძენით ბედნიერების სარეცელზე. სიცივე აკანკალდა ჩვენ დაწყვეტილ ნების ყოფაში.

— მიცქირეთ! — მიმქრალი ხმით ამბობს მედეა. ამოიღებს უბიდან პაპიროსის კოლოფს და ზღვაში გადაისვრის.

— მშვიდობით! ცუდათ ნუ მომიგონებთ.

მოუსო ნიჩბებს.

მწუხარედ გადმოხედა დანისლულ ნაპირს, დანალვლიანებულ სახეს დიანოსისას, ფიქრებში წასულ თვალებს მედეასას და შესცურა ზღვის სიღრმეში.

თვით არ იცოდა, სად მიდიოდა. მხოლოდ იყო მტკიცე გადაწყვეტილება, სამუდამოთ გასცილებოდა ნაცნობ სახეებს.

თოლიათა კვილი, და მედეას მიერ გადასროლილი ნამწვავებით სავეს კოლოფი, იყო მისი გამცილებელი.

ალმაცერი ღამე

(დრამა)

მომქმედნი პირნი:

პირიმზე
ცისანა
ნენე
თეონა
მია
იო
თინათინ
როინ

ღები

საჭურისი სულეიმან

იისფერი ღამე...

სინყნარე სამარისებური...

ძველებური ციხის ოთახი...

რამდენიმე მაღალი და ვიწრო სარკმელი...

ყველაფერი მისტიურ დუმილით არის მოცული...

წმ. ნინოს ხატი, ხატის წინ წმიდა სანთელი.

მთვარის სხივები თოვლივით მოიღვრებიან ალმაცერ სვეტებად სარკმლებში.

ნაქცეული თორმეტი ოქროს სვეტი...

უკან დაშვებული მაღალი იისფერი ფარდები...

ექვსი ასული: ზოგი სარკმელთან, ზოგი სვეტებზე, ზოგი ხალიჩაზე წამოწოლილი.

პირიმზეს სძინავს თეთრ სამოსელში.

საჭურისი სულეიმან ფეხებ მორთხმული ზის სცენის სიღრმეში მოფუყულ ყვავივით...

ცისანა. მე მეშინია ნუგზარ-ბატონის, მეშინია!.. მას ისე აქვს სახე დაღარული ხმლის ქრილობე-ბით, რომ მის დანახვაზე ძრწოლა მიტანს... თითქოს მის სახის ნაოჭებში საშინელი, ავი ქარიშხალი ჰბუდობს დანეწილი სულით!.. ამდენ ხანს ვერ შევეჩვიე უცქირო მას გულგრილად!..

ნენე. მე არც ვიცი, რა ხდება ამ ოთახს იქით!.. საშინელებაა ასე ჯდომა. რა უნდა იმ ბოროტს, რისთვის ვყევართ აქ!..

იო. სანამ უნდა ვიყოთ ასე ტყვეობაში, სანამ!.. მომწყინდა ეს ოთახი, მომწყინდა ყველა-ფერი!.. მე არ მინდა აქ ყოფნა, არ მინდა!.. არაფერი მახსოვს გარდა ამ ციხისა, თითქოს აქ დავიბადე და აქვე უნდა დავლიო სული; მე კი ისე მინდა აქედან გადაფრენა, ძლიერ მინდა!..

მია. აქ მუდამ მოღუშული დღეები იცის. მზე და მთვარე ხანდახან თუ გაგვაბედნიე-რებს. შეხედეთ რა კარგი ღამეა და ჩემი მთვარე როგორ გათეთრდა ცის სილაყვარდით და ცა ისე ღრმაა, ისე ღრმაა, რომ მე თითქოს ანგელოსებსაც კი ვხედავ.

თეონა. ეს საჭურისიც რომ არ გვმორდება!.. ზის ავადმყოფ ყორანივით და თავს დაგვჩხავის!..

იო. ის როკაპი გადაცა გასაქანს რომ არ გვაძლევს. მას ჰგონია, რომ ჩვენ გვძინავს.

მია. მას ჰგონია, რომ ჩვენ გვძინავს. მე კი ვერ დავიძინებ ასეთ ღამეში. მე არ შემოიძ-ლია ასეთ ღამის წინ თვალები დავხუჭო. ჩემთან მთვარე ისე ძვირად მოდის, რომ მე ვერ დავიძინებ.

თინათინ. მე მძაგს იგი, მეჯავრება!.. ზის კოშკის თავზე მუდამ და ჰქსოვს და ჰქსოვს!.. მე არ მინდა მისი მოქსოვილი სამოსელი. მე მალჩობს იგი!.. (დაიძახებს იგი გამწარებული და სამოსი უნდა შემოიხიოს, მაგრამ ვერ ერევა და დაღლილი სარკმელს მიეყრდნობა).

იო. მე მეშინია მისი, მეშინია!.. გუშინ საშინელი ზღაპარი მიაბო და მას მერე არ მეძინება, მინდა დავიძინო და არ მეძინება!..

თინათინ. საშინელია და ძნელი მისი ზღაპარი!..

ცისანა. როგორ სთქვა?.. (იგონებს). ჰო: ასულები ელოდნენ მეფეს, ასულები ელოდნენ მეფეს და მოლოდინში დალიეს სული!.. მოვიდა მეფე ანთებული ჟინჯილივით და მას მხოლოდ მკვდარი ასულნი დახვდნენ სასახლეში!.. მას სიკვდილი შეეგება მასპინძლად!.. ეტიკონა მეფეს და აქვითინდა. მდულარე ცრემლებით გაათბო მათი გაცივებული გვაშები!..

მია. ნუ იმეორებ, ცისანავ, ნუ, თორემ ვერ ავიტან!..

თეონა. ხედავთ მთვარე ისევ გამოჩნდა ღრუბლებში ვარდის ფერი, მთვარე გამოჩნდა შროშანივით მოღერებული, არა იგი გადახეთქილ ფორთოხალივით მოირხევა ცის ლაყვარდში!..

თინათინ. მთვარე გამოჩნდა ღრუბლებში გამხმარ ქალასავით ცივი, რომელიც თეთრ ყვავილებში გადუგდია ვილაც საშინელის ხელს!.. მე არ მახარებს იგი!..

იო. აგერ ტყეც გაანათა, ტყეც დაითოვლა ქარვის სვეტებით და საშინელია ტყე, ბნელი, გულჩათხრობილი. მე მეშინია, მეშინია!.. იქ საშინელი ქაჯები დაბორგავენ სისხლით დამთვრალნი!.. კვიმატი ჭინკები და საშინელი ოჩი-კოჩები დადიან!..

მია. მე მეშინია იო, მეშინია!.. აგერ თითქოს ვილაც გამოჩნდა ტყეში!.. ღმერთო!..

თეონა. აგერ: რა გრძელი ჩრდილი გადუშვა ჩვენმა კოშკმა და სათოფურები უზარმაზარი ვეშაპის კბილებ ჩაჭმულ ყბასავით გადაწვა ბალახებში!..

თეონა. ღმერთო, რა კარგი ღამეა!.. მე არ მახსოვს ასეთი ღამე!.. აქ მუდამ გოროზი ღამეები არის!..

თინათინ. კოშკის თხრილი კი სავსეა წყლით, მდორე, მწვანე წყლით და შიგ ქვენარ-მავალნი ჰბუდობენ!.. მწვანეა წყალი და იდუმალი!..

იო. ღმერთო ჩემო, რამდენი ზარნაშოები გამოფრინდნენ ჩვენი კოშკის კედლებიდან და მათი თვალები იასპივით ელვარებენ სიბნელეში!..

ცისანა. ხედავთ კოშკის თავზე, რა საშინლად მოსჩანან მარგილებზე აცმული ჩვენი საქმაროების თავები, და მთვარის სხივებზე ისინი კიდევ უფრო საშინელი არიან. ხედავთ ხუმარამ დააფრთხო ყვავები, სასახლის ხუმარამ და ირევიან ძილდამფრთხალი ყვავები!.. რა საშინლად დაფუსფუსობს იგი ზარდამცემ აჩრდილივით ამ თავებშორის თავისი ყეინის მალალი ქუდით და წკრიალობს ქუდზე ეფვანი!..

მია. მე მეშინია, მეშინია!.. იგი სულ იცინის, იცინის გაყინულად და გავალვიძოთ პირიმზე, გავალვიძოთ, თორემ რალაც არასასიკეთოს მიქადის გული!..

ცისანა. (მიიჭრება მძინარესთან და აღვიძებს). პირიმზევ, პირიმზევ!..

ღმერთო ჩემო, რომ არ იღვიძებს!.. (სასონარკვეთილი ხელებს იმტვრევს).

თინათინ. ღამე მოვიდა შავი, და თალხული და პირიმზემ უნდა იძინოს!..

საჭურისი სულეიმან. არ ვარგა ძილი, არ ვარგა ძილი, თორემ ძილში ბედნიერება ისე გაიპარება, როგორც სიზმარი!..

(ყველა ყურთასმენას მიაპყრობს).

მია. (მიიბრუნს საჭურის სულეიმანთან და მის წინ ჩაიკეცება). რა სთქვი, სულეიმან?..

საჭურისი სულეიმან. მე ვთქვი, რომ ძილში ბედნიერება სიზმარივით გაიპარება მეთქი!..

მია. მართალს ამბობ, საჭურისო, მართალი ხარ?.. გაალვიძე ცისანავ, გაალვიძე!..

ცისანა. (აღვიძებს). პირიმზევ!.. პირიმზევ!.. (ვერ აღვიძებს და სასონარკვეთილი ჰშორდება).

მია. რა უყავ, სულეიმან, წვერები?.. შენ გრძელი თეთრი წვერები გექნებოდა და მე აგიჩეჩავდი ამ წვერებს!.. ნუგზარ-ბატონს გრძელი, ძლიერ გრძელი უღვაშები აქვს და შენ კი!.. შემხედე, სულეიმან, შემხედე!.. უუ, რა უსიცოცხლო თვალები გაქვს შენ, ისინი გველის სოროებს ჰგვანან, გველის სოროებს ბნელსა და გულჩათხრობილს! შენი ტუჩები დაცრეცილია, შენი ტუჩები გველის კანსა ჰგვას, გაზაფხულზე, რომ ჯაგებში დასტოვებს

ხოლმე!.. ვინა ხარ შენ, სულეიმან?.. რა უყავ შენი ადამიანობა, ვინ წაგართვა იგი?.. ვინ წაგართვა!.. შენი სხეული ცივ კუბოს ჰგავს, კუბოს, რომელშიც მკვდარი ასვენია!.. შეხედე ჩემს მკლავებს, განა იგი მომჯადოებელი არ არის?.. შეხედე ჩემს თვალებს და შიგ შენ თავს დაინახავ. ისე გამსჭვრავალა იგი!.. სულეიმან!.. სულეიმან!.. უუ, რა ცივი ხარ შენ, ცივი, ცივი!.. შენი ტანი ცივია და მწვანე, დანურული ვნებისაგან!.. შენი სხეული მწვანეა ჭაობის ლორწოსავით!.. მე მძაგხარ შენ, სულეიმან, მძაგხარ!... (მოსწყდება).

იო. ხედავთ, როგორი იისფერი ღამე მოვიდა, ღამე დათოვლილი ცისფერ სიზმრებით!..

პირიმზე. (ძილში). მე არ მინდა სიზმარი... მომწყინდა... მე მინდა, დავტოვო სიზმარი...

იო. ხედავთ მთვარეს, იგი ქარვის თასს მოაგავს, ვერცხლის ბადიას!..

იგი სავსეა ქარვის მტევნებით, არა, იგი ანგელოსის თავსა ჰგავს, პატარა თოვლისფერ ანგელოსის, ჩვენი კარის ეკლესიის კანკელზე რომ არის ამოხატული!..

თინათინ. ღამე მოვიდა მთვრალი დედოფალივით, უპე ამოლურჯებულ თვალებით და დაეცა ჩემს სულში, ღამე დაეცა ჩემ სულში!.. ხედავთ, რა მომხიბლავია მისი ნაცემ ქალივით იისფერი სხეული!..

ცისანა. (ცაში აპყრობილ თვალებით, მთვარეულივით). ასულები ელოდნენ მეფეს, ასულები ელოდნენ მეფეს და მოლოდინში დალიეს სული!..

ნენე. ნუ გეშინია, იო, მთვარე წავა ტყეში და დაღალული მკლავზე დაიძინებს: იგი მოვა და პირიმზე გაიღვიძებს... მოვა ჩვენი სულის არწივი ჟინფილივით ანთებული.

მია. იგი მოვა ანთებული მაცხოვარივით, მოვა ნაზი, ალგზნებული თვალებით, მოვა თეთრად ანთებული და მისი გიშრის სიზმარივით შავი კულულები შავ ღვინოსავით ჩამოიღვრება სპილოს ძვალივით თეთრ შუბლზე!.. მისი ღვინისფერი თმები ჩამოიღვრება თეთრ შუბლზე!..

ნენე. მე დამესიზმრა იგი სულ თეთრი, ვერცხლისფერ ვარსკვლავებით აყვავებული და მოვა უეჭველად!.. ჩემ სულს სწყურია იგი და მოვა, თონა, მოვა!.. და პირიმზე ჩვენი გამოფხიზლდება ბრონეულის ყვავილივით განთიადისას და მისი წელი და პატარა ფეხები დამშვენდება ვერცხლის სარტყელითა და ოქროს ქოშებით.

იო. ჩუმათ, ნენე, ჩუმათ!.. გესმის?.. გესმის?.. გადია ხამსა ჰქსოვს, ჰხედავ, როგორ ხმაურობს ჯარა?..

საჭურისი სულეიმან. ოცნებები ჰლუპავს ადამიანს, ოცნებები ჰლუპავს ადამიანს!..

ნენე. რას სჩხავი, ბებერო ყორანო?..

საჭურისი სულეიმან. მე ვამბობ, რომ ოცნებები ადამიანს ჰლუპავს-მეთქი!..

მია. საჭურისო, საჭურისო!.. მითხარი: შენ არავინ გყვარებია?..

საჭურისი სულეიმან. მე არ ვიცი, რას ჰნიშნავს ეგ სიტყვა!..

მია. სულეიმან, სულეიმან!.. შენ არ გყავს დები?.. შეჰხედე ჩემს დებს, ხომ კარგია ისინი, ხომ კარგია?..

საჭურისი სულეიმან. მე მარტო ვარ!..

მია. უუ, საძაგელი ხარ, საძაგელი!.. შენ მართლა საჭურისი ხარ, სულით საჭურისი!.. მე მძაგხარ შენ, სულეიმან!.. (სიძულვილით გააყრყოლებს). მძაგხარ!..

საჭურისი სულეიმან. მე არ მესმის რას ამბობ შენ!..

მია. მე მძაგხარ შენ, მე მძაგხარ!.. (მოსწყდება).

თინათინ. ღამე შავია, ღამე შავია ქვრივ დედოფალივით!..

ცისანა. ჩემო პირიმზევ, ჩემო დაიავ!.. აღდეგ ჩემო დაიავ, აღდეგ — ცისანა, მოგელის შენ ქლიავის ფერი სამოსით, მოგელის შენ სისხლისფრად აყვავებულს!..

იო. ჩუმად, ცისანავ, წყნარად!.. გადია გაიგონებს!.. ოო, საშინელია გადია, საშინელი!.. სულ ჰქსოვს და ჰქსოვს!.. არ თავდება მისი საქსოვი!.. დრო კი ისე მირბის!.. დრო მირბის, ცისანავ, დრო მირბის!.. შეაჩერეთ იგი, შეაჩერეთ, თორემ დაგვიანდება და მერე არ მოვა იგი თეთრი, ოცნებრივი, არ მოვა!..

თონა. ნუ, იო, ნუ ამბობ!.. იგი მოვა და ჩვენ ყველანი შევეგებებით და გაფრინდებით თავისუფალნი ლაღად!.. მე უკვე მესმის ცაში ვერცხლის ეფენების ნაზი წკრიალი!.. ყური უგდე, ყური უგდე, რა ლამაზად წკრიალობენ ეფენები, რა ლამაზად!.. და მისი ოქროს უნაგირი დააფრთხობს ლამეს, ოქროს უნაგირი ავარვარდება და გაიფანტება ლამის ლანდები და შენ იმეჯლისებ, ცისანავ, იზეიმებ, მია, და პირიმზე განემზადება მოსანყვეტ შროშანივით. შეხედე პირიმზე: იგი სისხლში დაცემულ პატარა ანგელოსსა ჰგავს ალისფერ საბნის პირზე!.. იგი ანგელოსია და ანგელოსი გაიღვიძებს, გაიღვიძებს და აღდგება თორმეტი სვეტი, აღდგება ოქროს სვეტები და ზედ მიყრდნობილნი დავტკბებით პირიმზის ბედნიერებით.

მია. ჩუ!.. (ზარდაცემულ თვალებით გაქანება, აცახცახებული იოს გულზე მიეხუტება და ყურს უგდებს).

(გაისმის ფეხის ხმა და აბჯრის ხმაური).

ნუგზარ ბატონის ხმა. გუუშაგო!..

1-ლი ხმა. ააუ!..

2-რე ხმა. აააუ!..

3-ე ხმა. ააუუ!.. (გაისმის თანდათან შორს გამოძახილებივით და სადღაც შორს ჩაკვდება უკანასკნელი გამოძახილი).

(ასულნი ზარდაცემული თვალებით ყურს უგდებენ).

საჭურისი სულიმან. ნუგზარ-ბატონი გუშაგებს უხმობს!..

(მცირე ხნის შემდეგ):

თონა. გაიგონეთ!.. ნუგზარ-ბატონს არ სძინავს, ლამის გუშაგებს უხმობს!.. ისიც ჰგრძნობს და მზად არის, მზად არის ნუგზარ-ბატონი!..

მია. შეხედეთ, რა საზარლად ჰკიდია მარგილებზე ჩვენი საქმაროების თავები!.. თითქოს პირველად ვხედავ!..

იო. ისინი ლამის საშინელ ნაყოფსა ჰგვანან, მნიფე ნაყოფს ციდან კოშკის თავზე გადმოკიდებული და ზევით კი მთვარე იწვის თეთრად, მთვარე დნება თეთრ ლოცვასავით. იგი პატარა მნიფე ნარინჯივით ჰკიდია ცაში!..

მია. მე მთვარე მინდა, დებო, მომიწყვიტეთ მთვარე და მაჩუქეთ!..

მე პატარა ვარ და ვერ მივწვდები!.. ეს თავები კი, ეს საშინელი დამჭკნარი თავები, რომელთა შიშით მე მთელი ღამეები არ მძინავს, ნუგზარ-ბატონს ჰქონდეს!.. მე არ მინდა იმათ უტყვირო!.. არც ეს საჭურისი მინდა!.. ჩემი ქმარი მთავრეა!.. (ხელებს ალაპყრობს). ჩემო ქმარო, ჩემო ვაჟო, ჩამოცურდი კოშკის თავზე, ჩამოცურდი და მე ფეხშიშველი ამოვალ შენთან, ფეხშიშველი და ისე ნაზად მიგეკრობი მკერდში, ჩაგეხუტები ისე ნაზად, რომ სულს დავლევ, სულს დავლევ!..

თონა. მია, გაანებე თავი მთვარეს, იგი მიუნდომელია, ის გატყუებს შენ, გატყუებს!..

ნენე. იგი მოვა სულ თეთრი, თეთრ ცხენზე აფრენილი, გაფრიალებულ ყაბალახით, იგი მოვა და შემოანგრევს კოშკს, დაამსხვრევს თუჯის ალაყაფის კარებს და შემოფრინდება თეთრი და პირიმზე შეეგებება მას, თორმეტი ოქროს სვეტი აიმართება ლამაზად და დაამშვენებს ჩვენს ბედნიერებას და მაშინ მია, მთვარე სულ ახლო იქნება შენთან!..

თონა. ნუ უტყვერი მთვარეს, მია, იგი მაცდურია, მე მეშინია შენი, მია, მეშინია!..

იო. იგი მოვა სულ მთლად თეთრი ფაფარ აყრილ რაშით და მოიტანს საჩუქრად ოქროს ქოშს და პირიმზე გაივლის ოქროს ქოშებით, ოქროს სვეტებში და იგი ბედნიერი თავს ჩამალავს მის ქულაჯაში.

თონა. დებო, ავნიოთ ოქროს სვეტები, ავაყენოთ და მაშინ იგი მალე მოვა.

ნენე. ნუ, თონა, ნუ!.. ჩვენ ვერ ავწვთ მას ჩვენი სუსტი მკლავებით!.. განა შენს იასფერ თითებს შეუძლია მათი ზიდვა.

თონა. მაშ, რომ არ მოდის, რომ არ მოდის!.. მე უკვე ძილი მერევა!..

მია. მე არ მეძინება, მე მთვარე მიყვარს!..

იო. მე უკვე რული მეპარება!..

ცისანა. მეც!..

საჭურისი სულეიმან. არ ვარგა ძილი, არ ვარგა ძილი, თორემ ძილში ბედნიერება ისე გაიპარება, როგორც სიზმარი!..

მია. რა სთქვი სულეიმან?..

საჭურისი სულეიმან. მე ვთქვი, რომ ძილში ბედნიერება სიზმარით გაიპარება-მეთქი.

მია. მართალს ამბობ შენ, საჭურისო, მართალს ამბობ!.. ძილში ბედნიერება სიზმარით გაიპარება!.. ძილში მთვარე გაიპარება!..

თინათინ. მე მეშინია მისი მოსვლის, მეშინია!.. ნუგზარ-ბატონი დაამარცხებს მას, იგი მეტად ნაზია, რომ ნუგზარ-ბატონს შეებრძოლოს!.. მე მეშინია, რომ მისი ლამაზი თავით კოშკის თავი არ დამშვენდეს!..

ნენე. ნუ ამბობ, თინათინ, ნუ!..

თინათინ. მე მეშინია, რომ მისი ლამაზი თვალები არ გახდნენ ყორნების საკორტინი!.. ჩემ საქმაროსაც ასე დაემართა!.. მე არც მყავდა იგი სიცხადეში ნახული!.. მას მერე ღამეს ვატარებ სულში, მას მერე ღამეა ჩემი ქმარი, შავი ღამე, ძაძით მოსილი ღამე დაეუფლა ჩემ სულს და პირიშის ბედნიერება ვერ გამინათებს ამ ღამეს!.. მე მეშინია, მეშინია, რომ რამე უბედურება არ მოხდეს!..

მია. არა თინათინ, იგი მოვა და ძღვნად მთვარეს მომიტანს, პატარა ოქროს კიდობანივით, რომ მიცურავს ცის დასალიერში. მე ცა მწყურია, თინათინ იისფერი ცა!.. იგი ვარსკვლავებს დამიკრფეს და იის თაიგულივით შეკრულს მომიძღვნის ძვირფას ნობათად და თაიგულში დაძირული იქნება ვერცხლისფერი, სისხლნაკლები მთვარე!.. იგი მე მთვარეს მაჩუქებს!

ნენე. (ნამონოლილი ოცნებრივად). მე კი იისფერ სიზმრებს მომიძღვნის საჩუქრად, სიზმრებს მომიყვანს, პატარა ფეხშიშველა სიზმრებს და ჩემი ქალიშვილური უმანკო მკერდი მიიკრავს მათ ნაზ ძილისპირის გალობით და გავფრინდები წყნარად, თავისუფალი, ლალი და დავდნები სათუთ სიზმრებში. ჩემი თვალები დაიტვირთება იისფერ სიზმრებით!..

იო. მე იგი იისფერ ფარშავანგებს მაჩუქებს, იისფერ ფარშავანგებს, რომელთა ყივილზე ვარსკვლავები მოსწყდებიან ზეთის ხილივით ტოტებს და ძირს დასცვივიან ოქროს ეყვნებივით და როდესაც ისინი ბოლოს გაშლიან ძვირფას მარაოებივით მთვარე თავს დაანებებს ცის ლაყვარდს და მათს გაშლილს ბოლოებში აცურდება ოქროს საყურესავით!..

თინათინ. მე იგი ძვლის ყუთს მაჩუქებს, ძვლის ყუთს ბროლის სარკით, რომელიც მკვდარ სირინოზის თვალის გუგასა ჰგავს და, როცა შიგ ჩავიხედავ, შავ სიკვდილის ლანდს დავინახავ და სიცოცხლე ჩემი დაჰკარგავს შინაარსს და მოვკვდები სარკეში, ჩემი ლანდი სასიკვდილოდ განგმირული დატორტმანდება სარკეში და მოკვდება იგი!..

ცისანა. მე კი ლამაზ თოლიებს მომიყვანს იგი, ვერცხლით დაფერილ თოლიებს და მათს ბებუთივით აელვარებაზე მთვარეს მარმარა ფრთებით სხივები შეანყდება და ძვირფას ოქსინოს ფარდებივით დაწვებიან დედამინაზე და დედამინა დაემსგავსება მეფის ასულის უმანკო სიზმარს და მე ვივლი ამ სიზმრებში ფეხშიშველი, პატარა ფეხებით და ისე დაუზოგავად დავსრეს, როგორც მოზეიმე დედოფალი სრესს ხოლმე მის ფეხრით განართხულ ყვავილებს!..

იო. შეხედეთ, რა გოროზია ტყე, რა შავბნელი და ღამის ლანდები გზა დაბნეულ ლოთებივით დაბორგავენ. წრომი კი იძახის წყნარად და იღუმალობას ფრთას ასხამს. ღამის შავი მოზვრები ლანდებად დადიან, წიფლები და მუხები კი მახინჯ, ბოროტ მდევებივით დგანან და სდარაჯობენ ჩვენს ციხეს, სდარაჯობენ!..

თეონა. იგი მოფრინდება, მოფრინდება ლალი არწივი, გაჰფანტავს შავს ლანდებს და უშნო, კუზიანი ხუმარა ნაცემ ძალღივით ძუნძულით გაიქცევა!..

იო. ხედავთ ხუმარას, კუზიანს ხუმარას, ყეინის ქუდით, როგორ შავად საშინლად არის ცაში აზიდული კოშკის თავზე მარგილებზე აცმულ საქმროთა დამჭკნარ თავებს

შორის და იცინის ხუმარა, იცინის და მისი სიცილი, თითქოს კიდევ უფრო გესლიანად ცივდება მთვარის სხივთაგან.

საჭურისი სულეიმან. მწარეა ზოგი სიცილი, ლენცოფასავით მომწამლავი!..

მია. რა სთქვი, საჭურისო?

საჭურისი სულეიმან. მე ვთქვი რომ მწარეა ზოგი სიცილი-მეთქი.

მია. (შეშინებულს შეაფრუოლებს, თითქოს ახლა იგრძნო მთელი საშინელება ამ სიცილისაო). მე მეშინია, მეშინია ამ სიცილის!.. იგი სულს მიყინავს!.. (აქვითინდება).

იო. ნუ, მია, ნუ სტირი!.. იგი მოფრინდება, მოფრინდება ლალი არნივი და გააგდებს ხუმარას საშინელ ლანდს, გააგდებს, ჩვენ რომ მუდამ დავცინის!..

თონა. შეხედეთ: შავი ღრუბლები აიმართნენ და ცივი სიოც უბერავს, ცივი სიო უბერავს!.. ო, მე მეშინია, დებო, მეშინია!.. აგერ ელვა დაიმალა შავ ღრუბლებში!..

(გაისმის საშინელი ქუხილი, ელვა შემოიჭრება ოთახში და იისფრად ბნელდება ყველაფერი).

მია. (შენუხებული, უსაზღვრო ნალვლით). მთვარე ბნელდება!.. მე ვქვრივდები!.. მთვარე ბნელდება და ჩემს სულში ღამე სადგურდება, თინათინ, ქვრივი ღამე!.. მე გული მტკივა, დებო, გული!..

იო. ღამე შავია, შავი და მოჭმუხვნილი!.. ელვა ცეცხლის გველივით იგრიხება ცაზე!..

თინათინ. ბობოქრობს ღამე!.. ღამე იმუქრება და ემზადება!..

(საშინელი ღამე...)

უკუნეთი...

ელვა, ქუხილი...).

საჭურისი სულეიმან. ბნელია ღამე და მოჭმუხვნილი, ვით ბნელი საშო!.. ასეთ ღამეში საშინელი ამბები იბადებიან!.. ასეთ ღამეში შეიძლება ქვეყანა შეტრიალდეს!.. ღამე მშობიარესავით არის გამწარებული და ამაღამ დიდი ამბავი დაიბადება!..

მია. გაიგონეთ, რას ამბობს საჭურისი, ასეთ ღამეში ქვეყანა შეტრიალდებაო!.. ნუ ამბობ, ბოროტო საჭურისო, ნუ!.. მე მეშინია!..

იო. მე მაკანკალებს, მია, მაკანკალებს... შეხედე, როგორ თრთიან ჩემი იისფერი თითები!..

ნენე. მეც მეშინია!..

თონა. ღმერთო, გვიშველე!.. ღმერთო, შეგვენიე!..

საჭურისი სულეიმან. ასეთ ღამეში დიდი ამბები იბადებიან!.. ასეთ ღამეში!..

(პაუზა).

(უეცრად ოთახის სამარისებურ დუმილში ყრუდ, თითქოს ქვესკნელიდან მოისმის როინის ხმა):

როინის ხმა. ზირიმზევ!.. პირიმზევ!..

პირიმზე. (შეკრთება, წამოიწევს. თვალებს იფშენებს).

(კოშკის თავზე გაისმის უეცრად ნალარის ხმა და ბუკის კივილი. ნაბათი.

ხმაურობა).

როინის ხმა. პირიმზევ, პირიმზევ ჩემო!..

პირიმზე. (ელვის სისწრაფით წამოიჭრება და სარკმელთან მიფრინდება. შიშით აცახცახებული ასულნი პირიმზეს თვალყურს ადევნებენ).

მია. ვერ მოითმენს და ოდნავ გასაგონად, მიბნედილი ხმით, თითქოს მუდარით). პირიმზევ!.. ნუ იზამ პირიმზევ, ნუ!..

პირიმზე. აქა ვარ, აქ, ჩემო ახალგაზრდა არნივო, ჩემო საყვარელო, და დამიხსენ ცყველობისაგან!.. მე შენ მოგელი, ჩემო ანთებულო სიყვარულო!..

მია. (გაექანება და ფეხქვეშ ჩაუვარდება პირიმზეს). ნუ, ჩემო დაია, ნუ, ჩემო პირიმზევ, ნუ ეძახი!.. მე მეშინია, მეშინია!.. შეხედე, რა ბოროტი ღამეა!.. ნუ ეძახი, თორემ მე ვერ ავიტან, ვერ ავიტან, პირიმზევ!.. ნუგზარ-ბატონი ავია, ბოროტი და სისხლი დაიღვრება... მე მეშინია სისხლის, მეშინია, ჩემო პირიმზევ!..

ექვსივე დები ვეედრებიან: ნუ ეძახი, პირიმზევ, ნუ ეძახი!..

მია. ისე კარგი იყო, ისე კარგი, შენ რომ გეძინა!.. მთვარე ყურძნის მტევანივით ეკი-და ცაში!.. ნუ ეძახი, ნუ!..

პირიმზე. (ყურადღებას არ აქცევს, სარკმელში მოუთმენლად იცქირება ალტაცებითა). მოდის იგი, მოფრინავს ოქროს ნალებით დაჭედელ რაშით, მოფრინავს და მოაფრიალებს მხარზე გადაკიდებულ თივთიკის ყაბალახს!.. მოდის ჩემი ქმარი, მოფრინავს, ხედავთ: როგორ ელავს მისი შუბი, როგორ ანთია მისი ოქროს უნაგირი... მოდი, ჩემო ქმარო, მოდი, მოგე-ლი გამარჯვებულს!.. დალენე ყველაფერი, რაც გზაში გადაგელობს!.. დაამსხვრიე!.. ჩე-მი სახელით დაანგრე ყველაფერი!..

(პაუზა).

(ასულნი ზარდაცემულ თვალებით.

საშინელი ავდარი...

ქარი და თქეში.

კოშკის თავზე მრისხანე გადაძახება.

ელვა სარკმელში იჭრება და ზედ მიყრდნობილ პირიმზეს ზღაპრულად ანათებს...

ხმლებისა და აბჯრების ხმაური.

(ცხენების ხვიხვინი).

ოო, რა საშინელი ღამეა, რა უბედური ქარიშხალი!.. ნუგზარ-ბატონი ემზადება საომ-რად, ნუგზარ-ბატონი ემზადება!.. (დაიჩოქებს ხატის წინაშე და სასოებით ლოცულობს). წმ. ნი-ნო! შენ შეენიე ჩემ სულის არწივს, შენ გაუმარჯვე მის მარჯვენას!.. ნუ გასწირავ ჩემ სუ-ლის წყურვილს!.. ნუ, წამართმევ ამდენ ნალოდინევ და ნალოლიავებ ბედნიერებას!.. ნუ წამართმევ!.. წმ. ნინო! წმ. ნინო!..

(დამხოზილია...

შემდეგ წამოიჭრება და ისევ სარკმელში იხედება: მეტად ჰლელავს.

ქარიშხალი თანდათან ძლიერდება...

ალტაცებით).

იგი მოფრინავს, მოფრინავს!.. აგერ, აგერ გამოჩნდა იგი, შავ ღრუბლებში თეთრად აფრენილი!.. მოფრინავს რაში და მის ნალებ ქვეშ ნაპერწკლები სცვივა!.. მოფრინავს იგი და მისი ოქროს უნაგირი აფრთხობს შავს ღრუბლებს და სანინდრად ოქროს ქოშს მომი-ტანს და სიყვარულით ჩამაცვამს ფეხზე... აი, კოშკს მოუახლოვდა!.. მიიჭრა ალაყაფის კარებთან!.. ღმერთო ჩემო, ნიაღვარივით იღვრება სისხლი, ციხის მცველები იმუსრები-ან, იმუსრებიან, აგერ მარქაფა ჯარი შეეგება და ყველანი შავად არიან გარუჯულნი, ჰა-ერში გაქნეული ისრები გველებივით სისინებენ, ღმერთო, ღმერთო ნუგზარ ბატონი გა-ქანდა მისკენ, შეიბნენ... ღმერთო, ჩემო, ღმერთო ჩემო, ნუგზარ ბატონი გადიხარა ცხენ-ზე, გადიხნიქა და მონყვეტილი ციხის თხრილში გადავარდა და ირჩევა, დამყაყებულ წყალში, ირჩევა, იგი კი უვნებელია, უვნებელი!.. ღვთის მშობელი, ღვთის მშობელო!..

ასულნი. (ზარდაცემულნი ლოცულობენ).

პაუზა.

(ყიჟინა მიწყდება...

დაჭრილთა კვნესა ოდნავ ისმის...

თენება უკვე დაწყებულია...

უეცრად გაისმის საშინელი მსხვრევის ხმა).

პირიმზე. ალაყაფის კარი შემოანგრია შუბის დარტყმით!.. რა მაგარია, რა მაგარია!.. მე ვერ გაუძლებ მის სიყვარულს!.. იგი ფოლაღვივით მტკიცეა და ნაზი გარეგნულად!.. აი ციხის ეზოში შემოფრინდა... შენ გენაცვალე!.. შენ გენაცვალე!..

როინის ხმა. პირიმზევ, ჩემო პირიმზევ!..

პირიმზე. აქა ვარ, აქ, ჩემო თვალის სინათლე!..

(სვეტები დგებიან,

ყველაფერი განათდება.

როინ შემოიჭრება ცალი ხელით ზევით ატყორცნილი ამაყი და სიყვარულს მონყურებული, პირიმზე გაექანება და კისერზე ჩამოეკიდება). შენი სახელი ჩემო, შენი სახელი?... მითხარ შენი სახელი, მითხარ!.. მე შენ სახელს შემოვევლე, მითხარ სახელი!..

როინ. მე როინი მქვიან!..

პირიმზე. (მოშორდება ოდნავ, ჩაფიქრდება). მაშ, როინ!.. მაშ, ეს ძვირფასი სახელია ის სახელი, რომელსაც მე ამდენ ხანს ველოდი!.. ჩემო როინ!.. (კისერზე ჩამოეკიდება). მე შენ მოგელოდი, ჩემო ძვირფასო!.. ჩემს ქალწულობას შენთვის ეძინა და შენ მოგელოდა, რომ შენს ძახილს გაეღვიძებინა იგი!.. მე მეძინა, არ მინდოდა სიფხიზლე, მე მინდოდა, შენთვის გამოვფხიზლებულიყავ... ჩემი სხეული ყურძნის მტევანივით მნიფდებოდა, ივსებოდა ვნებით და შენდამი სიყვარულით... მე შენ მოგელოდი სულის კანკალით, და ჩემი სული აღივსო ვნებით, ჩემს ძარღვებში ვნება აღის ფერ ღვინოსავით შეიპარა და აჰა, მოხველ შენ და მე კისერზე ჩამოგეკიდე ვენახის ლერწივით... მე დავიბადე და ვიცოდი, რომ დავიბადე შენთვის...

როინ. პირიმზევ!.. ჩემო პირიმზევ!..

პირიმზე. მიმიკარ მკერდში შენი ფოლადივით მკლავებით, მიმიკარ!..

ოო, რა ბედნიერი ვარ, როინ, რა ბედნიერი!..

როინ. პირიმზევ ჩემო!..

პირიმზე. მიმიკარ კიდევ უფრო მაგრა, როინ, ოო, რა მაგარი მკლავები გაქვს შენ, რა მაგარი მკლავები!.. (სხდებიან, ალერსი... მცირე ხანს შემდეგ როინ ოქროს ქოშებს იღებს ყაბალახიდან, პირიმზე ალტაცებული). ჩემი ქოშები, ჩემი ოქროს ქოშები!.. შენ ჩამაცვი, შენ, ჩემო ძვირფასო. ჩემო სასოებავ!.. შენ ჩამაცვი!.. შენი ხელებით ჩამაცვი იგი, შენი ხელებით!.. (როინ აცმევს, პირიმზე კიდევ უფრო მაგრა მიეკრობა მკერდში). ოო, რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი!.. (უეცრად ზარდაცემული დაინივლებს, მოსწყვეტს ხელს და ზედ დაიხედავს). რა არის ეს, როინ, შენ სისხლში ხარ დასვრილი!.. (პაუზა). მე ვკოცნი შენს ჭრილობას, მე ვკოცნი ამ ძვირფას ჭრილობას, რომელიც შენ ჩემთვის მიიღე!.. მე თვით შეგიხვევ ამ ჭრილობას, მე დავიშუშებ ჩემი სიყვარულით მაგ იარას!.. მე დავიშუშებ!.. (იგლეჯს მანდილს და უხვევს).

როინ. ოო, რა ბედნიერი ვარ, ჩემო პირიმზევ, რა ბედნიერი!..

პირიმზე. თორმეტი ოქროს სვეტი კი დგას ამაყად, თორმეტი ოქროს სვეტი!.. ჩვენი თორმეტი იმედი!..

როინ. (უეცრად დაინახავს ზარდაცემულ ასულებს, წარმოიჭრება). ვინა ხართ თქვენ, ასულებო, იზეიმეთ, ასულებო, თქვენ თავისუფალნი ხართ!.. თუჯის ალაყაფის კარები დამსხვრეულია!.. განთიადი მოვიდა!.. ციხე შემუხსრულია და თქვენ თავისუფალნი ხართ!.. შეხედეთ ზეცას, როგორ ალუბლის ფრად ინათა!..

თინათინ. (აცახცახებული). ჩემი ქმარი ღამეა, მე არ მინდა განთიადი!.. მე მეშინია დღის სინათლის, თვალებს მთხრის. მე არ მინდისხარ შენ!.. შენ მეტად თეთრი ხარ და თვალებს ვერ გისწორებ.

როინ. (ამოიკვნესებს, დატორტმანდება და სვეტს მიეყრდნობა).

იო. მე მეშინია, მე ვერ ნავალ იქ, მე ხომ არასოდეს არ ვყოფილვარ იქ, მე არ მინდა იქ, მე აქ მინდა.

როინ. (თანდათან სუსტდება, პირიმზე შიშით ენაჩავარდნილი თვალეებში შესცქერის როინს).

ნენე. ჩემი ფეხები სუსტია, რომ მიწაზე იაროს, მე არ შემიძლია სისხლით დასვრილი მიწაზე სიარული.

თეონა. ჩემი ფეხები მხოლოდ ნოხებზე როინობდნენ, ჩემი ხელები მხოლოდ იების საკრეფად არიან შექმნილნი. იქ, გარეთ ეკლებია და ვინრო ბილიკები.

მია. ჩემი ქმარი მთვარეა, ვერცხლისფერი მთვარე. მე არ მინდა ალუბლის ფერი განთიადი. შეხედე ჩემს ხელებს, შეხედე ჩემს ფეხებს, განა ისინი ამისთვის არიან გაჩენილნი: იქ ვინრო ბილიკებია ცაში ატყორცნილი და მე არ შემიძლია იქ სიარული. თავბრუ მეხვე-

ვა. ჩამოჰკიდე ისევ ალაყაფის კარები, ააშენე ისევ ციხე. მე ციხეში მირჩევნია. მე არ მინდა განთიადი. მე მთვარე მინდა, მომეცი მთვარე, როინ, მაჩუქე მთვარე.

როინ. ღმერთო, ღმერთო, მე ხომ ზედმეტი ვარ აქ, მე ხომ არავის უნდევარ აქ, რისთვის გამომგზავნე მე, ნუ თუ იმიტომ, რომ მოსვლისთანავე მოვმკვდარიყავი (ნამოიძახებს იგი უსაზღვრო ნაღვლით, დატორტმანდება და მომაკვდავი ეცემა). ჩემო პირიმზევ! ოო, რა ძნელია ასე სიკვდილი, ჩემო პირიმზევ... (კვდება).

პირიმზე. რა გემართება, როინ, რა გემართება! როინ, შემომხედე თვალებში, როინ! მე მოგელოდი შენ, მე მოგელოდი. მე არ მეშინია შენთან სიარულის, შენ ცივდები, როინ, შენ ცივდები! (წივილით მოსწყდება, მერე ალერსით უახლოვდება). ნუ დამტოვებ, როინ, ნუ დამტოვებ! შეხედე, რა ბოროტი ღამეა! ჯერ არ გათენებულა. მხოლოდ ცისკიდურია შეღებილი ალუბლის ფრად, როინ, ალუბლის ფრად! მე მიყვარს შენი თქმა, როინ, მიყვარს. ალუბლის ფრად არის ცისკიდური, ცა კი ისევ ღრუბლებით არის დაყურსული. შეხედე, როინ, შეხედე შავი ტყე გარბის, დამფრთხალი ტყე გარბის და ილენებიან ასწლოვანი ცოდვილი მუხები, იმსხვრევიან! მე მეშინია უშენოდ, როინ, მეშინია! მე შენით ვიყავ ლალი და თამამი და შენ კი მტოვებ! შენ მტოვებ, როცა ყველაფერი ინგრევა! გაახილე თვალები, გაახილე შენი ღამური თვალები, მე მწყურია შენი თვალები, მე მწყურია! შენი თვალები ორი მოკიაფე ვარსკვლავია, არა, შენი თვალები ორი აყვავებული დობილი ღამეა და შიგ თითო-თითო მოკიაფე ვარსკვლავი კიანთობს. შენი თვალები ჩემი სულის ყვავილებია და ნუ დამიჭკნობ ამ ყვავილებს, ნუ დამიჭკნობ! მე შენთვის დავიბადე, შენთვის შევიქმენ! მე შენთვის დავმნიფდი ყურძნის მტევანივით და შენ მტოვებ! მაშ, რისთვის გავჩნდი, თუ ხილვისთანავე სიზმარივით ხელიდგან გამომეცლებოდი! თუ პირველ შეხებისთანავე ჩაიშმუშნებოდი, აღდექ, როინ, აღდექ, აღდექ, მე ვარ შენთან... შენ ხომ მხოლოდ ჩემთვის მოდი, მე ხომ მიგიღე მთელი სულით, მე ხომ მიგიღე, მაშ, რას მერჩი, რა დაგიშავე! მე დავტოვებ დებს და შენთან წამოვალ, ფენშიშველი გსდევ მათხოვარივით, რომ მოალერსე ღიმი გამოგტყოვო!.. არ მოგშორდები!.. მე მინდა გაკოცო, როინ, და შენი ტუჩები იისფრად არიან გალურჯებული, მე მინდა გაკოცო და შენი ტუჩები ცივია, და მეშინია!.. შეხედე, როინ, რა ნაზი ვარ, შეხედე, რა ნაზი მკლავები მაქვს, შეხედე, რა სათუთი ფეხები მაქვს და განა ასეთ ფეხებს შეუძლია ასეთ რღვევაში მარტო სიარული?.. როინ, მე მიყვარხარ შენ და უნდა აღდგე, როინ, მე მიყვარხარ შენ!.. მე მარტო ვარ, როინ, მე მარტო ვარ!.. შენ აადულე ჩემი სული და ნუ დამტოვებ!.. შენ იყავ ჩემი სასოება, რომელსაც ჩემი ქალწულობა მთელ თავის ხანმოკლე სიცოცხლეში ალოლიავებდა!.. შენ იყავ ჩემი იმედი, რომელიც მყაყე ჭაობში ჰყვავდა და მე მტოვებ ამ ჭაობში!.. როინ, საშინელია ეს ჭაობი და ნუ დამტოვებ!.. გაახილე ეგ თვალები, ასწიე ეგ ქუთოთები, მძიმე იებივით რომ ჩამოჰფარებია შენს ღამაზ თვალებს!.. მე ვკოცნი შენს გაცივებულ ბაგეებს!.. მე ვკოცნი შენს დახუჭულ თვალებს და შენ აღდგები!.. მე შენს სახელს ვლოცულობდი და შენ კი ასე უცებ გამომეცალე ხელში!.. შენს მერე მე უნდა მოვკვდე, როინ!.. მე არ მინდა სიკვდილი როინ, როცა ბედნიერება ასე ახლოა, მე არ მინდა სიკვდილი, როცა შენ ასე ახლო ხარ. მე მინდა შენს ზღვა თვალებში ჩავიხედო, როინ, და შენ არ მაძლევ ამის ნებას!.. მე კი მინდა, როინ, გესმის, მე მინდა!..

როინ, მე მინდა და შენ აღდგები!..

როინ, მე მინდა და შენ აღდგები!..

როინ, მე მინდა და შენ აღდგები!..

დემნა შენგელაძე
დაბადების დღე, 1922 წ.

საქართველო და პოეზია

ალარ მახსოვს, რომელი პოეტი იყო, აქილლესი რომ ინახულა ელლინთა საიქიოს.
გმირთა გმირმა ოხვრით განუცხადა:

— უმჯობესია, დედამინაზე დღიური მუშა იყო, ვიდრე აქ მეფეო.
დიახაც, უმჯობესია!

ბუნება უდიდესი საიდუმლოებაა. სიცოცხლე კი უდიდესი ნეტარება, რადგანაც მხოლოდ ის გვაძლევს საშუალებას, ოდნავ მაინც ავხადოთ ფარდა ამ საიდუმლოებას.

სიცოცხლის ნეტარება იმდენად უსაზღვროა, რომ ადამიანი ვერ შერიგებია მის უარყოფას.

მას შეუქმნია სარწმუნოება, ღმერთი, უკვდავი სული.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მხოლოდ ლამაზი ოცნებაა.

სიცოცხლე ნივთიერი მოვლენაა და ადამიანის გონება და აზროვნება ნივთიერია.

ისპობა ნივთი — ისპობა გონებაც, აზროვნებაც.

გონება და აზროვნება მჭიდროდ არიან შეკავშირებული ნივთიერ არსთან — ტვინთან.

იშლება ტვინი — ისპობა მისი თანაარსი: გონება და აზროვნება.

ტვინის გარეშე მომქმედი გონება და აზროვნება მეცნიერებამ არ იცის.

ტვინსა აქვს ერთი გასაოცარი თვისება: შთაბეჭდილებათა მიღება გარეშე ბუნებიდან და მათი შენახვა, დაგროვება.

აი, ეს შთაბეჭდილებანი საფუძველია ადამიანის აზროვნებისა.

შთაბეჭდილებანი დედაა, საიდანაც წარმოიშვის აზროვნება.

რადგანაც საზოგადოებრივი ცხოვრება ცვალებადია, ამიტომ ცვალებადია შთაბეჭდილებანიც. აქედან თავისთავად აშკარაა, რომ ცვალებადია აზროვნებაც.

ყოველ დროს არიან დიდი მოაზროვნენი და ჩვეულებრივი ადამიანები, მაგრამ ეს ვერ შეცვლის საერთო წესს აზროვნებისას, ისე როგორც მთა-გორები და ქალა-ხევები დედამიწის სირგვალეს ვერა სცვლიან: ყოველ ხანას ახასიათებს თავისი აზროვნება.

ხელოვნებაში განსაკუთრებით არის გამოკვეთილი გონიერება და აზრი.

ამიტომ ხელოვნება განსაკუთრებით არის ნაყოფი ცხოვრებისა.

ყოველ ხანას თავისი ხელოვნება ახასიათებს.

ეგრეთ წოდებული „წმინდა“ ხელოვნება არ არსებობს.

ხელოვნება, ათასი წმინდა იყოს, უსათუოდ გამოჰხატავს მთელი ერის ან მისი რომელიმე ნაწილის ცხოვრებას, აზრს, მისწრაფებას.

რაც უფრო სრულად არის ხელოვნებაში ჩამოსხმული მთელი ერის სულისკვეთება, მით უფრო დიდებულია ის.

ამრიგად, ხელოვნების სათავე თუმცა ცხოვრებაა, მაგრამ ის არ არის ცხოვრების მონა. სადაც მონობაა, იქ ხელოვნებას ალაგი არა აქვს.

ხელოვნება იბადება ცხოვრებიდან, რომ გარდაქმნას ცხოვრება, გარდაქმნას ადამიანი. აქედან იბადება მიზანი ხელოვნებისა.

უმიზნო, უიდეალო ხელოვნება ჩემთვის მიუღებელია.

ვისაც ჰგონია, ხელოვნების მიზანი და მისი თავისუფლება ერთმანეთს არ ეგუებაო, მისი აზროვნება ფრიად შემცდარია.

სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა მიზანი ახასიათებს.

ამიტომ შეუძლებელია, საერთოდ, ხელოვნებას რაიმე საერთო მიზანი დაუსახოთ.

ჩემთვის ერთი რამ არის უდაო: ხელოვნება უმთავრესად ეროვნულია. და თუ სრულად გამოჰხატავს ერის სულს განსაზღვრულ ხანაში, ის უკვე საკაცობრიოც არის.

როგორი უნდა იყოს მიზანი თანამედროვე ქართული ხელოვნებისა და კერძოდ პოეზიისა?

ამისათვის საჭიროა ჯერ ცხოვრების წიგნის წაკითხვა.

რა ახასიათებს ერის ცხოვრებას? კლასთა ბრძოლაო, გვესმის დიდი ხანია.

სრული ჭეშმარიტებაა.

მაგრამ, როდესაც ჩვენ გვეუბნებიან: მხოლოდ და მხოლოდ კლასთა ბრძოლაო, ამას ცხოვრების სინამდვილე არ ეთანხმება.

კლასთა ბრძოლასთან ერთად არსებობს ეროვნული ბრძოლა.

ცხოველთა სამეფოს ახასიათებს ორი უმთავრესი საჭიროება: საზრდოობა და გამრავლება.

რომელია მათში უფრო ძლიერი?

ორივე ძლიერია.

ადამიანი წევრია ცხოველთა სამეფოსი და მასშიაც ეს ორი მიდრეკილება მეტად მძლავრია.

ეროვნულ ბრძოლასაც სწორეთ ეს უდევს სარჩულად.

ამ ბრძოლის უმთავრესი მიზანი არის მიწა-წყლის — ტერიტორიის მოპოება, რადგანაც ტერიტორია აუცილებელია, როგორც საზრდოობისათვის, ისე გამრავლებისათვის.

რაც უფრო დიდი ტერიტორია აქვს ერს, მით უფრო მრავლდება ის, მით უკეთესად საზრდოობს.

წარსული მრავლად გვაძლევს ამგვარ მაგალითს: როდესაც ერთი ერი მეორეს შეესეოდა, გამარჯვებულები მამაკაცებს შეუბრალებლად ჰყლენდნენ.

რით აიხსნება ეს?

მარტო მხეცობით, ველურობით, უკულტურობით?

ეს ხომ ახსნა არ არის.

ასეთ ყლენას სარჩულათა ჰქონდა ტერიტორიის განთავისუფლება საკუთარი შთამომავლობისათვის.

როდესაც ერი ჰკარგავს ტერიტორიას, ის ისპობა ეროვნულად.

ამიტომ ის ცდილობს ან დანაკარგის დაბრუნებას, ან ახალი ტერიტორიის შექენას.

უძველეს დროს ქართველი ტომები მცირე აზიაში ცხოვრობდნენ. ძლიერ მეტოქესთან — ასურელებთან და სხვებთან შეჯახებაში მათ დაჰკარგეს საკუთარი მიწა-წყალი და მონვენ უფრო სუსტ მონინაალმდეგეს, რომელიც მაშინ საქართველოში ბინადრობდა.

ქართველობამ ნელა-ნელა იჩოჩა ჩრდილოეთისაკენ და მიაბჯინა ფეხი კავკასიონის ქედს.

ქართველობას გასაქანი აღარა აქვს: უსიერ უღელტეხილს ვერ გადავახტებით და კიდევ რომ გადავახტეთ, არაფერი გამოვა, რადგანაც იქით ჩვენზე ძლიერი ერია და ჩვენ ის არას დაგვითმობს.

ამავე დროს ქართველ ერს ყოველი მხრიდან აწვებიან ისეთი ერები, რომლებსაც ტერიტორია არა თუ ესაჭიროებათ, სწყურიათ...

ამიერ-კავკასია არის ასპარეზი ეროვნული ბრძოლისა...

ეს ბრძოლა აუცილებელი შედეგია ერის არსებობისა და ზრდისა...

ამისათვის აუცილებელია, სხვათა შორის, ერთი სულიერი თვისება — პატრიოტიზმი, რაც უკანასკნელ დრომდე ჩვენში სამარცხვინოთ იყო აღიარებული.

რევოლიუციამ გამოაშკარავა, რომ ჩვენ ბევრი რამ გვკლებია და განსაკუთრებით — პატრიოტიზმი, ეს ერთ-ერთი ძლიერი იარაღი ყოველი ერისათვის არსებობისათვის ბრძოლაში.

ისტორიას არ ახსოვს ასეთი კურიოზი, რომ ერი მონობის ბორკილებს ამსხვრევდეს, დამოუკიდებლობას აცხადებდეს და ამავე დროს ჰლაღადებდეს: იძულებული ვარ დამოუკიდებლობა გამოვაცხადო, ეს ჩემი გამარჯვება კი არა, დამარცხებააო.

ასეთ საარაკო და ერთად ერთ გმირებად მარტო ჩვენ დავრჩებით ისტორიაში, — სხვა აქ არავინ შეგვეცილება.

პატრიოტიზმი, სხვათა შორის, აღზრდის საქმეა და ჩვენს ხალხს აღზრდა ესაჭიროება. მე მრწამს, რომ ჭეშმარიტ პოეზიას დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს.

ყოველი ერის მიზანი უკვდავებისაკენ გაქანებაა ჩირაღდნებით ხელში.

და ამ ჩირაღდნებში ყველაზე უფრო სპეტაკი პოეზიას უნდა ეკუთვნოდეს.

ჯანსაღი ერი არ კვდება, ისე, როგორც ჯანსაღი ადამიანი.

ივ. გომართელი

მეთვალყურის დღიური

I

წარღვნა და კიდობანი. — არიან თუ არა მემკვიდრეები? — აზრი და განცდა. — პირადი განცდა, როგორც ხელოვნების საგანი. აზრი და უაზრობა ხელოვნებაში. — თვისება და რაოდენობა. — შაბლონი და „გაბედული სიტყვა“. — ქებათა ქება და „სხვანაირობა“. — „ბორკილის მსხვერვა“ და „მარადისობასთან საზიარებელი“ გზა. — უსაზღვრო თავისუფლების საზღვარი ხელოვნებაში. სახეები და „ლანდები“.

* * *

ხშირათ მომაგონდება ხოლმე ბიბლიური ამბავი წარღვნისა და კიდობნის შესახებ. მუდამ ახალია ეს ძველი ამბავი, და საუკეთესოთ შეეფერება დღევანდელ დღეს. კულტურული წარღვნის დროს კაცობრიობა, ერი თრთოლვა-ცახცახით ეტანება სულიერ კიდობანს, რომელიც მშვიდობიანათ გადაატარებს იმის სასიცოცხლო ძალას საშინელ ტალღებზე და გადაარჩენს ნალექვისაგან.

აქვს თუ არა ჩვენ ერს ასეთი კიდობანი, შეუძლია თუ არა იპოვნოს დასაყრდნობი ნერტილი თავის სულიერი ძალებისთვის, კერძოთ, მიმდინარე მხატვრულ მწერლობაში?

კულტურულ წარღვნას განიცდიდა საქართველო მთელი მე-19-ე საუკუნის განმავლობაში, მაგრამ ქართველ ერს მაშინ ქონდა დიდი მხატვრული მწერლობა, რომელმაც შექმნა უკვდავი ღირებულებები, რომელიც „სწავდა ანმეოს“ და „შობდა მომავალს“. საქართველოს ჰყავდა მაშინ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ა. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ნინოშვილი. ამათში ისმოდა მაჯის ცემა ჩვენი ერის. აქ ეტყობოდა საქართველოს, რომ ის „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“...

ჰყავს თუ არა მემკვიდრე მე-19-ე საუკუნეს, ჰყავთ თუ არა იმ დიად მწერლებს მემკვიდრეები, შეუძლია თუ არა ვინმეს სთქვას დღეს თავის წინაპრებზე, რაც პუშკინმა სთქვა დერჟავინზე:

Старик Державин нас заметил

И в гроб сходя благословил!

სანამ მიუგებდეთ ამ კითხვებზე, გარკვევით უნდა ვიცოდეთ, რას ვეძებთ ჩვენ მხატვრულ მწერლობაში, რას მოვითხოვთ იმისგან?

სერგეი კლდიაშვილი „ბახტრიონის“ მე-12 ნომერში არჩევს სანდრო ცირეკიძის წიგნს და ამბობს: — „ლომისეული კრიტიკოსები ვერ დაიწყებენ საზოგადოებრივ საკითხების

ანარეკლის ძებნას. მათთვის ცირეკიძე გაუგებარი იქნება, ხოლო პოეტებისთვის — ყოველთვის ახალი და ძვირფასიო“...

ამ სტრიქონებში არის ძველი თეორეტიული დავა, რომლის ისტორიაც იწყება საერთო მხატვრული მწერლობის ისტორიასთან. სერ. კლდიაშვილი უარჰყოფს საზოგადოებრივ აზრს ხელოვნებაში. ის უნდა უარჰყოფდეს, მაშასადამე, მთელი მე-19-ე საუკუნის მწერლობასაც. ერთი ნუთითაც არ გადაუხვევიათ საზოგადოებრივი აზრისთვის ჩვენი დიდი წარსულის მწერლებს. და ნუ თუ ამ ჯგუფს, რომელსაც „ბახტრიონის“ თანამშრომელი ეკუთნის, შეუძლია გულწრფელათ გვითხრას, რომ ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგი, ნინოშვილი არ არის ნამდვილი ხელოვნება?

თავისთავათ საზოგადოებრივი აზრი, რა თქმა უნდა, არ არის საკმაო, რომ შეიქმნას ესა თუ ის მხატვრული ღირებულება. თავი და თავი საქმეა, როგორ არის გატარებული ეს საზოგადოებრივი აზრი. ილია ჭავჭავაძეც ატარებდა საზოგადოებრივ აზრებს თავის პოემებში და ჩვენი სანდრო ეულიც ატარებს. მაგრამ აქ დიდი განსხვავებაა. ილია ჭავჭავაძის „დედა-შვილი“, „აჩრდილი“, „დიმიტრი თავ-დადებული“. არასოდეს არ დაგვაიწყებდა, სულაც რომ არ ვიზიარებდეთ იქ გატარებულ აზრს. სანდრო ეულის „პოემა“, არ დაგვამახსოვრდება, თუმცა იქ გატარებული აზრი ჩვენი აზრიც არის, სხვისი არ ვიცი და მე მაშინვე დამავიწყდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძე საზოგადოებრივი აზრებისგან აშენებს ნამდვილი ხელოვნების სასახლეს, სანდრო ეული კი სახლობიას თამაშობს...

ავიღებ მეორე მაგალითს. საზოგადოებრივი აზრები გაჰყავს თავის იუმორისტულ ლექსებში დემიან ბედნის და ასეთივე სარჩული უდევს ჩვენ ს. თოდრიას „იუმორს“. მაგრამ დიდი განსხვავებაა აქაც.

ვიმეორებ, მხატვრული ნაწარმოები არ ფასდება საზოგადოებრივი აზრის მიხედვით. საქმე ის კი არ არის, ვინ რას სწერს, საქმე იმაშია, ვინ როგორ სწერს. აზრი სხვა და სხვანაირია, და მარტო საზოგადოებრივი აზრით, რასაკვირველია, არ განისაზღვრება ხელოვნების შინაარსი. ნ. ბარათაშვილის „მერანი“ არ გავს შინაარსით ილია ჭავჭავაძის, ვსთქვათ, „დედა და შვილს“, არც აკაკის „ქართველ დედას“. ნ. ბარათაშვილის ლექსი პირდაპირ უშუალოთ არ ემსახურება საზოგადოებრივ აზრს. იქ თავიდან ბოლომდის პიროვნული განცდაა. განცდა ისეთივე, როგორც მაგალითად ლერმონტოვის ლექსში — „желание“. ქართველი პოეტი მიექანება „უგზო-უკვლოთ“ გაფრენილ მერანით, უნდა გადაიაროს უნახავი კლდენი და ღრენი. რუსეთის პოეტს სწყურია, რომ ფიცრის პატარა ნავით შევიდეს ავარდნილ ზღვაში და უანგარიშოთ მიეცეს ზღვის ტალღებს.

უაზროა ეს განცდა ორივე შემთხვევაში თუ განცალკევებულათ ავიღებთ ამ განცდას. მაგრამ ნ. ბარათაშვილის — ლერმონტოვის პიროვნულ მისწრაფებას ფესვები აქვს იმ დროინდელი კაცობრიობის ყრუ მისწრაფებაში. სინამდვილე თავის დადებული საზღვრებით არ აკმაყოფილებდა ადამიანს. სურვილი ამ საზღვრებზე გადაცილების, უგზო-უკვლო, უანგარიშო ძიება შეადგენდა რაღაც შეუფენებელ, გამოურკვეველ მოთხოვნილებას. ეს გაიხადეს დიდმა პოეტებმა ყველგან — არა მარტო ნ. ბარათაშვილმა და ლერმონტოვმა თავის პირად განცდათ.

უმალღეს საკაცობრიო ნერტილზეა ასული ეს განცდა შოთა რუსთაველის შემოქმედებაში. „ვეფხისტყაოსნის“ დამწერი არ ფიქრობდა საზოგადოებრივი აზრების ჩამოსხმას თავის კალამ ქვეშ. აქ არის ცოცხალ სახეთ გადაქცეული მშვენიერების ძიება, და ეს ძიება თავის თავათ იმავე დროს საზოგადოებრივი აზრი საუკუნეებიდან საუკუნეებამდის.

პირადი განცდა-მისწრაფება, ახლოს იქნება თუ შორიდან, უნდა უერთდებოდეს საზოგადოებრივ-საკაცობრიო განცდა-მისწრაფებას, მაშინ შეიძლება გადაიქცეს ის ხელოვნ-

ნების საგნათ. სხვისი გულის ნადები საყურადღებოა ჩემთვის, თუ ის ჩემ გულსაც ხვდება, თუ ჩემში ის ინვესს გამოძახილს.

ამას ვეძებთ ჩვენ მხატვრულ მწერლობაში, ამას მოვითხოვთ იმისგან.

* * *

ჩვენ არ გვწამს ის ხელოვნება, რომელიც აზრს ექვმდებარება, მაგრამ არ გვწამს არც უაზრო ხელოვნება. აზრი ყოველთვის ვერ გადაიქცევა ნამდვილ ხელოვნებათ, ნამდვილი ხელოვნება კი თითონ არის განხორციელებული აზრი. უაზრო ყველაფერი გაუგებარია, და ვერასოდეს ვერ დავეთანხმებით ხელოვნების იმ თეორეტიკოსებს, ვინც გაუგებარში ეძებენ მშვენიერებას. მხატვარმა, როგორც სერ. კლდიაშვილი ამბობს, უნდა დაგვანახოს „სამყარო ჯერ არავისგან ნახული“, უნდა გვიჩვენოს ცხოვრება, საგნები, ნივთები, დანახული საკუთარი თვალით, „სამყაროში“ შედის, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი აზრიც. ესეც ცხოვრებაა და ცხოვრების საგანი. არ არსებობს ხელოვნება ყოველივე ამის გარეშე, და თუ ასეა, ნიადაგი ეკარგება იმ დიდი ხნის დავას, რომელზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით.

მხატვარს შეუძლია აირჩიოს თავის შემოქმედების საგანი, სადაც უნდა და როგორც უნდა; შეუძლებელია მხოლოდ უსაგნო შემოქმედება. თუ საგანი არ არის, მაშინ არც აზრია, არც შინაარსია. მხატვრის თავისუფლება არ ნიშნავს შინაარსისგან განთავისუფლებას. მხატვარი უნდა ხედავდეს ყველაფერს ისე, როგორც ვერავინ სხვა ვერ ხედავს, მაგრამ, როცა ის ვერაფერს ხედავს და საგნის — შინაარსის მაგივრათ გვანვდის ცარიელი სიტყვების ან ხაზების გროვას, მაშინ ის მხატვარი არ არის.

არ არის ცარიელი სიტყვების გროვა, მაგალითათ, „ბახტრიონში“ მოთავსებული:

„ვინ დაითვალოს იმედები, ჩვენ რომ დავკარგეთ;
ბევრი ვარსკვლავი ალბათ დაჰქრა ჩვენ ხეტიალში;
და დატვირთული იძირება გემი ფოლადის.
ყველა ვადები დაილევიან,
ჯვარზე გაკრული, დაობებული,
დასცვივა ფერფლათ სხეული მჩატე, დაბერებული.
არ ინახება დაკარგული კუბო თამარის;
და მაჰხოლებით გადასერილ გელათის კედლებს
დარაჯათ უდგას იმერეთი გადაცვეთილი,
გადაკეტილი სურამის ქედით.
ეგებ არა ღირს გაგრძელება ამ მცირე ამბის;
ეგებ ტირილიც გადაგვარდეს, და დარჩენ ობლათ:
ჩვენი ცრემლები, სისხლიანი ჩვენი ძარღვები“...

აქ ჩვენ ვგრძნობთ განცდის თავისებურობას, სილამაზეს. ლამაზია იმავე ავტორის „ოცნება საქართველოზე“:

„დავინყებული ძველი ფონები;
შავი კედლები დიდ ციხეების,
ჩვენი დიდება მოსაგონები;
შედიხარ ჩუმად, გრილი ტაძარი...
მოთვალისფერო სახე მამების
და საცეცხლურში ცოტა ნაცარი,
და შავი ხატი წმინდა სამების.
ნიშანი ბედის — კარზე ნალები.
სახურავები დახავსებული.“

და ღვთის მშობელის მოგრძო თვალები
უმანკო სევდით ამოვსებული“...

მაგრამ სილამაზის ნიშანწყალსაც ვერ ვგრძნობთ და უშინაარსო, უსაგნო სიტყვების გროვით გვეჩვენება:

„ცეცხლის გრიგალი აღიმართა ნაშალი თმებით,
ოდეს დაეცა მუხლებზე აზია ლავად...
აიქარგება ლეგენდა ახალ რითმებით,
რათა მიერთვას არმაზის ვაზი ალავად“...

ჩვენ არ ვიცით, რომელ „სამყაროს“ ხედავს აქ ავტორი. თუ ხედავს რამეს, ხედავს ისე „სხვანაირათ“, გადმოგვცემს ისე „თავისებურათ, რომ ჩვენთვის გაუგებარი რჩება ეს „და-ნახულ-გადმოცემული“.

მხატვარს თავის განცდით, ფიქრ-გრძნობებით კავშირი აქვს ჩვენთან. როცა მისი განცდა, მისი ფიქრ-გრძნობა განიავებულია მეტის მეტი „სხვანაირობით“ და „თავისებურობით“, მაშინ წყდება კავშირი, მაშინ გამართლება აღარ აქვს მის ნაკალმევს. არ ვიცით მაშინ, რატომ იკარგება დრო და ქალაქი ამისთანა ნაკალმევისთვის.

„Числом побольше, ценой подешевле“ — გრიბოედოვის ერთი გმირის არ იყოს... აუარებელია დღეს ჩვენში მგოსნები, მაგრამ თვისება არ შეეფერება რაოდენობას. დ. პისარევი ამტკიცებდა ერთხელ რუსულ კრიტიკაში: მგოსნობა ყველას შეუძლია, ვინც კი გულს მიუდებს და მოინდომებსო. ალბათ ასე ფიქრობენ ის ახალ-ახალი სახელები, რომლებსაც ვხვდებით მხატვრული პრესის ფურცლებზე. ძალიან იშვიათად შეამჩნევთ ამათში „ღვთის თვალს“. როგორც კ. აბაშიძე შენიშნავს, — „მათი სიტყვა გულის სიღრმეს ვერ სწვდება, მათი გრძნობა კი აღსავსეა ყალბი პათოსით“. სავსებით ვეთანხმები თითონ ამ კრიტიკოსს, — „არასოდეს ჩვენი ქვეყანა ისე არ საჭიროებდა გაბედულ სიტყვას, ღრმა აზრს და კიდევ უფრო ღრმა განცდებს, როგორც დღეს“...

მიმართულება სულ ერთია ამ მხრივ, რომელიც იქნება. მიმართულების სხვადასხვაობა მე მნამს უფრო პოლიტიკაში, ვიდრე მხატვრულ მწერლობაში. აქ კარგია ის მიმართულება, რომელიც მოსაწყენი არ არის, რომელიც ქაოსიდან ინვესს ცოცხალ, ხორცშესხმულ და სულჩადგმულ სახეებს, რომელიც გულს გვითრთოლებს, გვიტაცებს. გზა ამ მიზნის მისაღწევი მხატვრის პირადი საქმეა. სიმბოლისტი-რეალისტი და სხვა ერთნაირათ მისაღებია, თუ ის ამ მიზანს წვდება.

არ შემიძლია დავეთანხმო კ. აბაშიძეს, როცა ის სხვადასხვანაირ მიმართულებას ხედავს შემდეგში: „თუ პირველნი მთელი თავისი არსებით, მთელი თავის ტემპერამენტით მიიღტვიან უხილავ ქვეყნისაკენ, გაოცებულნი არიან სიცოცხლის უცნაურ მხარეთა საიდუმლოებით და ეძიებენ გზებს მარადისობასთან საზიარებლად, უკანასკნელნი ისევ მიზნის ჭირ-ვარამს დასტრიალებენ თავს და ათასჯერ ნაცად გზით უნდათ მიზნის მიღწევა“.

თითქო აქ, რაღაც გარდუვალი უფსკრულია, თითქო „უხილავ ქვეყნისაკენ ლტოლვა“ არ ნიშნავს ხილული ქვეყნის „ჭირ-ვარამისაგან“ თავის ხსნას, თითქო „ბორკილების მსხვრევით“ არ იწყება „მარადისობასთან საზიარებელი“ გზის ძიება. არა, პატივცემული კრიტიკოსისთვის ამ შემთხვევაში უღალატნია „ღრმა აზრს“, რომელსაც ჩვენი ქვეყანა არასოდეს არ საჭიროებდა ისე, როგორც დღეს. ალბათ ეს კრიტიკოსიც გაუტაცნია „სხვანაირობის“ სურვილს, რომ აღარ მიუდის გული „ათასჯერ ნაცად“ გზაზე. „ბორკილების მსხვრევა“ ველარ იზიდავს მის გულს, ის უარყოფს ამ „დახავსებულ ტრადიციას“ და ვერც კი ამჩნევს, რომ ეს უარყოფაც იგივე „ბორკილების მსხვრევა“.

უხილავი ქვეყნისკენ სვლას არ აქვს დასასრული და ყოველივე მიღწევა ამ სვლაში დასაწყისი იქნება ახალი ძიების. აქ დამთავრებული სიტყვა იქცევა ბორკილათ და მისი დამსხვრევა აუცილებელია ახალი — გაბედული სიტყვის სათქმელათ. „ბორკილების მსხვრევა“ და „ლეგენდარული რაშის ქროლვა“ ერთი მეორეზე გადასკვნილი ძაფია მხატვრული შემოქმედების პროცესში.

* * *

რას ნიშნავს ახალი ძიება მხატვრული მწერლობისთვის? მოპასანის მხატვარი ამბობს, — ყველაფერი, რასაც მე ვეძებ, უკვე ნახულია, ჩემი შემოქმედებისთვის აღარა არის-რა საძიებელიო¹. ეს არის დაჩლუნგებული, ძალა-დაკარგული მხატვრის ამონაკვანესი. სიცოცხლით, ძალებით სავსე მხატვარს კი არასოდეს არ ამოეწურება შემოქმედების წყარო. მხატვარს შეუძლია „ხუთი პურით ხუთი ათასი კაცი“ დააკმაყოფილოს... ათასჯერ ნახული საგანიც შეუძლია ახალ სანახაობათ გავვიხადოს. ზემოთაც ვსთქვი, საქმე ის არ არის რა საგანს ეხება მხატვარი, საქმე ის არის, როგორ ეხება. თითოეული მათგანი თავისებურათ აშუქებს და ქმნის, სამყაროს. ხელოვნებაში ერთი და იგივე საგანი იქმნება სხვა და სხვა საგნათ. ერთი და იგივეა სამყარო პუშკინის, ბაირონის, გიოტესი, შოთა რუსთაველის, მაგრამ თავთავის სახე აქვს ამ სამყაროს თითოეული მხატვრის შემოქმედებაში. აქ უსაზღვროა შემოქმედების თავისუფლება.

ერთი საზღვარი აქვს მარტო ამ თავისუფლებას. მხატვარი ვერაფერს ვერ შექმნის სამყაროს სინამდვილის გარეშე. ხელოვნება არ არსებობს დროსა და სივრცის იქითა ნაპირზე. სახეების თუ პირადი განცდის საშუალებით მხატვარი უნდა გვახედებდეს სინამდვილეში. ხშირათ სინამდვილე ისე გულდახურულია, რომ მხატვრული თვალის ვერ სწვდება იმის სიღრმემდის. მაშინ სახეების მაგივრათ ის ხედავს „ლანდებს“ და ვერაფერს „ლანდების“ მეტს. მაგრამ „სისხლით თვალ დაბინდული ლანდებითაც“, „უბედურ ლანდთან“ საუბარითაც მხატვარს შეუძლია მოგვცეს გაუგებარი, ღამის წყვდიადით მოცული სინამდვილის სურათი. გამოურკვეველია განცდა „ლანდებთან მოსაუბრე“ მგოსნების, ისე, როგორც თითონ სინამდვილე. ხარიტონ ვარდოშვილის, ობოლი მუშის განცდას-გრძნობას უკანასკნელ ლექსებში არ აქვს ისეთი გამჭვირვალობა, როგორიც სჩანს, მაგალითად, რუსი პოეტის ალ. ბლოკის შემდეგ სტრიქონებში:

„Поэт в изгнании и в сомнении
На перепутьи двух дорог,
Ночные гаснут впечатления,
Восход и бледен и далек.
Все нет в прошедшем указанія,
Чего желать, куда идти!
И он в сомнении и в изгнании
Остановился на пути.
Но уж в очах горят надежды
Едва доступные уму,
Что день проснется, вскроет всходы
И даль привиднется ему“...

ეს ჩვენი მგოსნები, რომლებიც სხვათაშორის მე მიმაჩნია წარსულის და მომავლის შემაერთებელ ხიდათ, ვერ გრძნობენ იმედს, გონებისათვის მიუწვდომელს, და ვერ ხედავენ ბილიკებს სიშორისკენ. თითქო ელიან გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს, იმის მაგივრად,

1. „Сильна как смерть“.

რომ თითონ იყონ ეს ვარსკვლავი. მაგრამ ამათ, რაც უნდა იყოს, კავშირი აქვთ ორი გზის ჯვარედინზე შემდგარ საქართველოს სინამდვილესთან. უსაგნობას, უშინაარსობას ვერ შევწამებთ ამათ. მართალია, ზოგიერთ ამათგანსაც შორს იტაცებს ხანდახან ახალი ფორმის ძიება, მაგრამ ესენი მაინც არ გვანან იმ მაძიებლებს, რომლებიც ფორმას ხედავენ მარტო სიტყვაში, რომლებიც სიტყვებს აქცევენ სულსა და გულთან მიუკარებელ კენჭებათ და სადღაც, „სამყარო“ — სინამდვილის გარეშე აჩრხრიალებენ ამ კენჭებს.

ს.

ჭოლა ლომთათიძე

...„ეს სტრიქონები დასწერა კაცმა, რომელმაც ველური ღამე გაატარა. გათენებამდე იმას არ დაუხუჭავს თვალი. ფანჯარს კი სცემდა და ეხეთქებოდა ავსულებით აღსავსე შემოდგომის ღამე, ქარი კვნესოდა და ქვითინით დაძრწოდა, წვიმა ბორბოტი სისინით სცემდა, ამათრახებდა ვილაცას, ხოლო ბებერი, უკბილო კუდიანი ჩამომჯდარიყო ტელეგრაფის ბოძებზე და თავისი ძვალ-ტყავა თითებით ამღერებდა ტელეგრაფის მავთულებს, რაღაც საშინელ სიმღერას. და მთელი ღამის განმავლობაში ესმოდა ეს სიმღერა იმ კაცს, რომელმაც დასწერა ეს სტრიქონები. ის ციხის ოთხ კედელში იყო გამომწყვდეული და საშინელ სევდას გრძნობდა, საშინელ ნუთებს განიცდიდა“...

ჭ. ლომთათიძე

ეს სტრიქონები დასწერა კაცმა, რომელიც იყო ჭეშმარიტი პოეტი და ჩვენი ერის უბედოდ ბედმა ის მოაქცია პოლიტიკურ მოღვაწეთა წრეში, სადაც უმთავრესად იშრიტებოდა მისი ენერჯია და გმირული ბრძოლის ცეცხლით ანთებული სულის გაქანება.

ჭოლა ლომთათიძეს უფრო იცნობენ ჩვენში, როგორც პარტიულ პროპაგანდისტს და სახელმწიფო სათათბიროს კატორღა-მისჯილ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წევრს, ვიდრე სრულიად თავისებურ ბელეტრისტს და პოეტს. და ეს იმიტომ, რომ მისი ნაწერები იბეჭდებოდა სრულიად შემთხვევით, ნაგლეჯ-ნაგლეჯათ და მკითხველთა უმრავლესობას არ ჰქონდა საშუალება სავსებით გაცნობოდა მის შემოქმედებას. ხოლო ჭოლას ნაწერების კრებული, ჩვენდა სამარცხვინოდ, ჯერაც არ არის გამოცემული.

თუ ეგნატე ნინოშვილმა გახსნა საქართველოში მესამე დასის მოღვაწეობა, ჭოლა ლომთათიძე არის პირველი რევოლიუციის უბადლო მომღერალი და რომანტიკოსი.

არავის ისე არ განუცდია ჩვენში რევოლიუციის ქარიშხლიანი დღეები და არ ამღერებულა ისეთის ტემპერამენტით, როგორც ჭოლა ლომთათიძე.

და ისე სწრაფათ გამეფებულ რეაქციის ხანაში არავინ ისე არ დამწვარა უმძიმეს სევდის ცეცხლით, როგორც ჭოლა ლომთათიძე.

ჭოლას პოეტური შემოქმედება უმთავრესად იწყება საკატორღო ციხეებში და იქვე სწავს ის თავის ხანმოკლე სიცოცხლის წამებით აღსავსე დღეებს.

მე ვფიქრობ, იშვიათად მოიპოება მწერალი, რომელსაც ისე განეცადოს საპატიმროთა საშინელებანი და ეს განცდა ისე გადმოეცეს თავის ნაწარმოებში, როგორც ეს ჭოლას უნაზეს ლირიზმით ამღერებულ მოთხრობებშია.

როდესაც ჭოლას ნაწერებს ჰკითხულობ, თვალ-წინ გიდგას ადამიანი, რომელიც მთელ ქვეყანას გადმოჰყურებს საპატიმროს რკინით დახლართულ ფანჯრიდან და, როგორც შეყვარებული, გაოცებული შესცქერის მზის სხივებს, ქალაქის მოძრაობას და შორეულ მინდვრებსა და მთებს...

და უკვირს მას: როგორ შეიძლება, რომ ადამიანი ასე ენამოს, უყვარდეს სიცოცხლე, უყვარდეს ბუნება, უყვარდეს ადამიანები და მას კი გასაქანს არ აძლევდეს მძიმე ბორკილები... და ის შეიყვარებს თავის წამებას...

მელანქოლიური თრთოლვით გაეხვევა პოეზიის იდუმალ ბურუსში და მოწყვეტილი მთელ ქვეყანას, მოშორებული მეგობრებს, აკვნესებული სულის ძლიერი გაქანებით სწერს თავის მოთხრობებს...

პოეზიის შხამიანი ყვავილები იფურჩქნება მის სულში და, როგორც ეს ხშირად ხდება, დაუნდობელი ჭლექის ბაცილები იპყრობს მის სხეულს.

და აჰა, მზათ არის გოლგოთა და წამების ჯვარი: საპატიმროს ველური ცხოვრების პირობები და ჭლექი!

და ჭოლაც რწმუნდება, რომ ის ციხიდან ცოცხალი ვერ გამოვა...

და სწერს თავის ჯერ გამოუქვეყნებელ დღიურში:

„ორი დღე კიდევ და გათენდება შობა! ეჰ, რა მხიარულათ გავატარე შარშან შობა-ახალი წელი! ალბათ გამოსათხოვარი იყო. ყველაფერი გათავდა... წერაც კი არ შემიძლია ისე მტკივა გვერდები, მწვავს რალაც...“

სიკვდილი, სიკვდილი! ამასაც მალე ვნახავ!..“

მაგრამ ჭოლა მარტო ეხლა არ დარწმუნებულა, რომ ის წამებაში დალევდა სულს. ამას ის წინეთაც გრძნობდა, როგორც გულთმისანი. და იმავე დღიურში აი, რას სწერს:

„დღეს არ ვიცი, რათ, უცებ თავში შემიძვრა ფიქრი. უცებ დავრწმუნდი, რომ მე სახრჩობელაზე გავათავებ სიცოცხლეს. არაოდეს არაფერში არ ვყოფილვარ ასე დარწმუნებული, როგორც ამ აზრში. ეს მეორეჯერ შემართება. პირველად ასეთი ფიქრი მომივიდა 1905 წ. ოქტომბრის წინეთ... ამჟამად, ნათლად ვხედავდი ჩემს წინ სახრჩობელას, ჯალათს, პროკურორს და ჭოლას, უკან ხელებშეკრულს, რომელიც თავს უყრიდა ბანარში... განზე გავიხედე, იქაც იგივე სურათი დამიდგა თვალწინ, მივადგი სკამი ფანჯარასთან, შევდექი ზედ და გადავიხედე ქვევით, სადაც სასეირნოთ გასული ამხანაგები ყვიროდენ და თამაშობდენ და იქაც ელექტრონის ბოძი სახრჩობელად მომეჩვენა!“

ჭოლამ იგრძნო, რომ თანამედროვე ცხოვრება დაახრჩობდა მას, რომ ის გერი იყო არსებული სინამდვილის, მაგრამ მას ჰქონდა რწმენა და სიყვარული შორეულის, და ეს რწმენა ათრობდა მას ბრძოლის ხალისით. ამიტომ იყო ის ისეთი გატაცებული, ისეთი დაუდევარი. წმინდა წყლის პოლიტიკური მოღვაწენი მას ხშირად უწოდებდენ ხოლმე ანარქისტს, ვინაიდან ჭოლა ხშირად ვერ თავსდებოდა ყოველდღიურ საქმიანობის ვიწრო ფარგლებში. ამაში გვარწმუნებს ჩვენ იგივე გამოუქვეყნებელი ჭოლას დღიური.

მან პოეტის თვალთ გადახედა ქვეყანას და საგნებმაც სულ სხვა სახე მიიღო. და მათთვის, ვინც დღიურობის რკალის გარეშე ვერ იხედება, ეს გაუგებარი დარჩა...

მას იპყრობს შორეულის მოაღერსე თვალები, ახალი ქვეყნის მზიანი ნაპირები, მაგრამ ის იდუმლად გრძნობდა, რომ საჭირო იყო ამ იდეალისათვის გოლგოთაზე წამების ჯვარით ასვლა...

და აი, ეს არის ის სახრჩობელა, რომელიც მას იმთავითვე ელანდებოდა...

მუდამ ჟამს მიუღებელი სინამდვილე და შორეულის მოაღერსე თვალები: გაუთავებელი წამება დღიურობაში და უხილავ მომავლის რწმენა და სიყვარული, — აი, ის შუქი, რომელსაც გვფენს ჩვენ ჭოლას შემოქმედება და ცხოვრება.

„ყველა სინათლეს დავაქრობ ჩემს უკან და მხოლოდ წინ, მხოლოდ მომავლისკენ დაინწყებ ცქერას. მხოლოდწინ! მხოლოდ წინ!“...

ჭოლას სულში ელავს ცეცხლი ღვთიური, რომელიც არის ანარეკლი შორეულ, უხილავ ქვეყნის ცის გუმბათზე ანთებულ მზის სხივთა ციალისა... ის მთვარეულივით დასტოვებს ხოლმე საპატიმროს საშინელებით აღსავსე საკანს და სულის უნაზეს თრთოლ-

ვით გადაფრინდება შორს, მოალერსე ბინდებით მოსილ მწვერვალებზე და ელის სასწაულს, რომელმაც ქვეყნად უნდა მოიტანოს უდიდესი ბედნიერება და უკვდავება...

მაგრამ დაუნდობელი და სასტიკია სინამდვილე... და ხშირად, ძლიერ ხშირად გამოაფხიზლებს მას საპატიმროს საკანში მომწყვედიული ზმანებანი საშინელებისა და, როგორც „ბებერი, უკბილო კუდიანი“ დასცინის მის ოცნებას, მის აღმაფრენას.

და აკვნესდება ის. აუტანელ ტანჯვის მწუხრით დაითაღხება ფიქრები მისი. ამ დროს გაეხვევა ის პოეზიის შხამიან ბურუსში და ტკბილის წამებით სწერს თავის სულის მისტერიებს... მოდიან ბრძოლაში დალუპულ მებრძოლთა აჩრდილები და ამ აჩრდილებთან საუბრობს ის. საუბრობს, თუ როგორ აღმართეს დროშა ძვირფასი, როგორის გატაცებით გადავარდენ ბრძოლის ალში და მიდიოდენ წინ, სულ წინ!.. და იყო შეწირვა მსხვერპლის, წმინდა მსხვერპლის... და არ კვდებოდა იმედი, ისევ ფრთებს შლიდა ოცნება ლალი... და ეხლა რას დასცინის მას ეს „ბებერი, უკბილო კუდიანი“? ნუ თუ ჰგონია, რომ ყველაფერი გათავდა! არა, სული ისევ სავესეა შორეულის სხივთა ციმციმით და ტკბილია ეს ტანჯვა, ტკბილია წამება... და ისევ ელის ჭოლა სასწაულს... ის დამთვრალია სიყვარულით და თავის მოთხრობებში აქანდაკებს უცხო ასულის მზიურ სახეს, რომელიც მას ისე უყვარს და ისე მოუთმენლად მოელის... მან იცის, რომ ის არასოდეს არ მოვა, მაგრამ მაინც მოელის, მას არ შეუძლია, არ ელოდეს მისი გატაცებული ოცნებით ქაოსიდან გამონვეულ უცხო ასულის მზიურ სახეს.

და სწერს ის:

„გელოდები შენ!

მოდი, მოდი, ჩემო მეგობარო, მოდი, მნახე!

გელოდები — მოდი!

და ვიცი კი, რომ არაოდეს, არაოდეს ეს არ შეიძლება მოხდეს.

და მაინც გელოდები,

როგორც სატუსალოში, ჩემო მეგობარო!

და ამიტომ მიჭირს და ვსწუხვარ მე, როგორც სატუსალოში, როგორც ცხრაკლიტულში...

და ვიცი კი, რომ შენ ვერ მოხვალ ჩემთან.

ვიცი და მაინც გელოდები!“...

უცნაურია ჭოლას მოლოდინი, მაგრამ პოეტია ის და არ შეუძლია არ ელოდეს.

მან, როგორც დანტეს ჯოჯოხეთის საფეხურები, მოიარა რუსეთის და საქართველოს ყველა საპატიმროები და, უდიდეს ტანჯვა-წამებით განწმენდილმა, უფრო მეტის აღგზნებით იხილა შორეულის მოალერსე თვალები, დათვრა მისი წმინდა სიყვარულით და ქაოსიდან გამონვეულ უცხო ასულის სახეს უგალობა ქებათა-ქება.

კაემნიან სტრიქონებში ამღერდა მისი სული და ლამაზი ოცნებით დაიტვირთა მისი პოეზია...

და კიდევ ერთი შესანიშნავი ხაზი.

ის საოცრად გრძნობს და განიცდის მშობელი ერის მუდამ უკვდავებისათვის მებრძოლ სულს. ის ხედავს ერთ „ვილაცას“, რომელსაც ძალა და უფლება აქვს ჩვენება ჩამოართვას ყველა სულდგმულს...

...„და აი, მის წინაშე წარსდგენ სხვა და სხვა ერები და

ქართველიც წარსდგა მის წინაშე.

— შენი სახელი? — გაისმა მისი კითხვა ქართველისადმი.

— ქართველი. — იყო პასუხი.

— წლოვანობა?

— ორი ათასზე მეტი წლისა ვარ.

— რას აკეთებდი ამდენ ხანს ქვეყნად?

— თავს ვიცავდი.

— სულ მუდამ?

— დიახ, სულ მუდამ. ქრისტეს დაბადებამდე და ქრისტეს დაბადების შემდეგაც თავს ვიცავდი მე. თავს ვიცავდი მაკედონელის ლაშქრისაგან, ვებრძოდი მურვან ყრუს, ვებრძოდი ოსმალს, სპარსეთს, ვებრძოდი ლეკებსა და კიდევ სხვებს — ურიცხვია სახელი ჩემი მტრების. ჩინგის ხანს ვებრძოდი, ალა მაჰმად ხანს, შაჰაბაზს და ლანგ თემურს ვებრძოდი, რომ თავი დამეცო...

— ეხლა რაღას შობი შენ?

— მე ეხლაც თავს ვიცავ. მტერი ეხლაც ბევრი მახვევია გარს, მოდიან ჩემზე ხმლი-თაც და მოქარგული ენითაც... და მე ვებრძვი მათ, თავს ვიცავ.

— დაილაღე?

— დალაღვა ჩემი სიკვდილს ნიშნავს ჩემსას. არა, არ დავლლილვარ, სიცოცხლე მწყურია მე...

— არც გაბოროტდი ამდენი ბრძოლით, გრძნობები არ დაგიჩლუნგდა, სისხლი არ გიყვარს?

— არა, არ გავბოროტებულვარ. ვინც თავს იცავს და იმისთვის იბრძვის — შენ იცი თვითონ — ის არ გაბოროტდება...

— გძულს შენი მტერი?

— მე თავისთავი მიყვარს და ვიცოცხლო მსურს მე... მე თავს ვიცავ, იმიტომ რომ თავი მიყვარს. რა ვიცი, მძულს თუ არა ჩემი მტერი!

— და ელი გამარჯვებას?

— რათ უნდა დავმარცხდე, მე თავს ვიცავ...

და წამოდგა ფეხზე ის, ვინც იჯდა, გაშალა მკლავი და გადაეხვია ქართველს და გადაკოცნა ის... და მისცა მას ხმალი ხელში და უთხრა:

— წადი, განაგრძე და კურთხეულ იყოს გზა შენი ფრიად მძიმე და ფრიად სახარბიელო! წადი, განაგრძე!..“

ასე განიცდის ჭოლა საქართველოს უკვდავ სულს, რომელიც მუდამ თავს იცავს და აუარებელ მტრებს გამირულის ბრძოლით იგერიებს... მას ვერ გაიტაცებს ახალი ქვეყნის შორეული ნაპირები ისე, თუ იქ მშობლიური დროშაც არ ეგულება.

და ის უცხო ასული, რომელიც მისმა ტანჯვა-წამებაში აფეთქებულმა ოცნებამ მზიური ფერებით დახატა, სხვა რა არის, თუ არა მშობელი ერის უკვდავ სულით შარავანდედ-მოსული ლამაზი ზმანება...

რუსეთის საკატორლო საპატიმროები.

ციმბირის სუსხიანი ველები.

მეტეხის ციხე.

აი, სად იფერფლებოდენ აუტანელ წამებაში ქართველი ერის საუკეთესო მებრძოლი შვილები. ლამაზი იყო მათი ბრძოლის ალში გადავარდნა და კიდევ უფრო ლამაზი — მათი ამაყი სიმტკიცე და მძიმე ბორკილების უსინანულოთ ტარება...

და ჭოლა ლომთათიძე, რომელმაც ისეთის ქრისტესებური წამებით გამოიარა ყველა ეს გზები, თავის პოეზიით მუდამ დარჩება მათი ლამაზი ცხოვრების და ბრძოლის უმაღლეს ძეგლად.

და ამ ძეგლს კიდევ უფრო შეიყვარებს ქართველი ერი, როცა ის უფრო ახლო გაიცნობს ჭოლას ღვთიურის ცეცხლით ანთებულ შემოქმედებას...

ბიბლიოგრაფია

იასამანი. წიგნი ლექსების. ტომი I. გამოცემა „ხომალდის“ №1. 1922 წ. ტფილისი.

იასამანი საკმაოდ გამორკვეული და საკუთარი გზის პოეტია.

ასეთი სახით მოდის იგი თავიდანვე და როგორც რევოლუციის პოეტი არ სწერს ისე, როგორც ზოგიერთი მისი თანა-მოკალმე ევდოშვილის შემდეგ.

რევოლუციონურ მოტივებით ხასიათდება უმთავრესად მისი პოეზია. ხსენებულ წიგნში მოთავსებულ ლექსების უმრავლესობა ამღერებულია სწორედ ამ ჰანგებით. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თანდათან განვითარების საფეხურებს იასამანის პოეზიისას — ვგრძნობთ, რომ პოეტის უკანასკნელი ლექსები უხვევენ ამ გზას და გადადიან ახალი ძიების რკალში.

ამ ლექსებს ატყვია მეტი სიმდიდრე ფანტაზიის. ბევრი მათგანი დაბურულია ლურჯი მელანქოლიის ნისლებით. პოეტური ინტუიციის სიმძაფრეც უფრო საგრძნობი ხდება. არის სტრიქონები ლამაზი და ჭეშმარიტი. შემჩნეული მჩატე ტრაფარეტი იმალება განცდილ სახეებით.

„დაჰკრას საათმა, ამოტივტივდეს
დილის მედროშე პირ სხივოსანი“.

იცვლება:

„მე ტანჯვა მრჩება აქ საუკუნო,
აქ საფლავისთვის კლდეა საბარი“-თ.

პოეტმა განვლო გრძელი მანძილი და შინაგანი შთაგონებით შედგა ახალ გზაზე. ამის საწინდარია ის ბუნებრივი მსვლელობა, რაიც იხატება იასამანის წიგნით. ეს ახალი გზა თანამედროვე პოეზიის შვილია, იგი აერთებს პოეზიის ცეცხლით აღზნებულ ყველა რაინდს და ითხოვს დიდ მსხვერპლს. მის სიახლოვეს მისვლაც კი არ შეუძლია: „ენა ბრგვილსა და უსუსურს“. აქ რჩეულთა ხმა ისმის მხოლოდ. იასამანი შესდგა ამ გზაზე და მიიტანა ჭეშმარიტი პოეტური სული ღარიბ მორთულობით, მის სამკაულში მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი მარგალიტები გამოიყურებიან. აქ იგი სდგას და ელის ახალ ზიარებას, ელის და ამბობს:

„ერთხელაც არის გიპოვის თვალი
მარად დაღლილი შენის ხსენებით“.

ეს მიღწევა იქნება მისი ახალი შობა. განათება ძვირფას ნათელით. უნდა იშვას იგი. იასამანი, როგორც ფორმათა სისუსტე, როგორც დაუძლეველი პრიმიტივი უნდა გადავიდეს სიახლეში. ასეთი სვლა ემჩნევა მას უკანასკნელ ლექსებამდე.

და როდესაც მისი მდიდარი პოეტური ინტუიცია იპოვის შესაფერ ფორმებს, მისი ლექსებიც მიიღებენ მეტ სიმდიდრეს და ეს აუცილებელია მისთვის.

„კრებული“. ნ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით ქუთაისის ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამოცემა. 1921 წ.

უთუოდ მადლობის ღირსია ბ-ნი ნ. ლორთქიფანიძე, რომელმაც დღევანდელს პირობებში მოახერხა 340 გვერდიანი კრებულის გამოცემა ქუთაისში. ქართული წიგნით დამშეული საზოგადოებისათვის ეს კრებული მოულოდნელი საჩუქარია. წიგნში მოთავსებულია მხოლოდ ბელეტრისტული ნაწარმოებები და წერილები. მშვენიერია ნ. ლორთქიფანიძის „სოფლის აშიკი“ თავისი საოცარი სიფაქიზით და ძალდაუტანებელი სისადავით. ჰკითხულობ და შენს წინ იშლება ქართული სოფლის ცოცხალი სურათები სინამდვილის რეალობით ახაზული და ამავე დროს უზენაეს ხელოვნებაში გადასული. უბრალო, სადა სიტყვით, ორიოდ მარტივი ხაზის მოსმით ავტორი აღწევს განსაცვიფრებელ სისრულეს სურათისას და

რამდენიმე ფერადით იძლევა სრულს განათებას. ეს შესახარბი თვისება ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებისა ანიჭებს ყოველს მისს ნაწარმოებს განსაკუთრებულს გულწრფელობას, რომელიც ინტიმიური გრძნობით ათბობს მკითხველის გულს.

სიყვარულის ძველი და ყოველთვის ახალი თილისმით არის დატვირთული დია ჩიანელის „ფერმკრთალი ზღაპარი“. ძლიერია და შეუდარებელი ადამიანი მხოლოდ სიყვარულის რკალში, მაგრამ ხშირად ისე წარმტაცია ღვთიური გრძნობის ელვარება, რომ ადამიანი ბრმავდება და ვერ ითვისებს ციდან დაშვებულ შუქის სიფაქიზეს. საჭიროა ანგელოზს შეეხარბოს ადამიანის გულში გაშლილი ყვავილის სილამაზე, რომ იგრძნოს სიყვარულის ღვთაებრივობა.

კარგათ იწყება ილია ჭყონიას „არკაცი“, მაგრამ მოთხრობა არ არის დამთავრებული. კრებულში განწყვეტილი მოთხრობის მოთავსება უხერხულად უნდა ჩაეთვალა რედაქციას. ეს ხომ პერიოდიული გამოცემა არ იყო, რომ მოთხრობის მეორე ნახევარი შემდეგ ნიგნში დაბეჭდილიყო. გაგრძელებას რამდენ წელს უნდა ელოდოს მკითხველი ან სად მოიკითხოს?

აქვე მოთავსებულია: ჯ. ჯორჯიკიას „შინიდან გაპარული ზღაპრები“ (მეტად უცნაური სათაური) — ზღაპრები ისე მოკლეა, რომ საშიშოა — ნიგნიდანაც არ გაიპარონ, და თეოფილე ხუსკივაძის ორი პატარა ესკიზი.

კრებულის კრიტიკულ ნაწილში აღსანიშნავია მ. კელენჯერიძის ვრცელი ნაშრომი „ვეფხის-ტყაოსანის ტიპები“, სადაც იშვიათის გულმოდგინებით და შრომის მოყვარეობით არიან განხილულნი და შესწავლილნი შოთას პოემის გმირები. არის საინტერესო პარალელები „ვეფხის-ტყაოსანის“ გმირებსა და ჰომეროსის პოემებში მოქმედ პირთა შორის. საინტერესოა აგრეთვე ცდა ფატმანის პიროვნების რეაბილიტაციისა (უნდა ითქვას, რომ პირველად ფატმანის გამართლება თავს იდო პოეტმა ტიციან ტაბიძემ ერთ თავის ლექსში). ტიპების დახასიათება მეტად დეტალურია და ძალზე გაჭიანურებული, რაც აქარწყლებს შთაბეჭდილებას. თვით პოემის ტექსტის განმარტება ხშირად კომიკურ ხასიათს იღებს ისეთი სასაცილო ენით არის გადმოცემული სრულიად ზედმეტი კომენტარიები. ამოვნერ რამდენიმე ნიმუშს:

„მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდინს ბუსა...“

ამ სტრიქონს ამგვარ განმარტებას უკეთებს ავტორი: „ავთანდილი იშვიათი მომღერალია, იშვიათი ხმის პატრონია... მღერასთან ავთანდილმა საკრავზე დაკვრაც საუცხოვო იცის, ის მუზიკანტია, მეჩანგე მუტრიბია, მებარბითე და მენასე“.

მეორე ადგილზე იმავე ავთანდილზე:

„ავთანდილი დიდი დიპლომატია! ავთანდილი თვით სიბრძნეა! ავთანდილი ენის თაიგულია! ავთანდილი გულის თილისმაა; ავთანდილი ჭკუის კოლოფია! მაგრამ არა მართო ჭკუისა, იგი გრძნობის კოლოფიცაა!!“

როცა ავთანდილმა ასმათთან ძალით ვერა გააწყო რა და ქალს საიდუმლო ვერ ათქმევინა, სხვა ხერხს მიმართა: დაჯდა და ტირილი დაიწყო. ამ დროს ბ-ნი კელენჯერიძის აზრით ასმათი უთუოდ ასე ბჭობდა გუნებაში:

„ვინ ოხერია! საიდან მოთრეულა? რა უნდა ჩემგან? ერთი ტირია მიჭირვებდა საქმეს და ახლა მეორეც ამიტირდა! რა ვუყო ამ ტირიას?“

ნეტავი რა ატირებს ამას მაინცა? საბრალო კია, ვილაცაა, მაგრამ, რომ არ ვიცი, ვინაა, ან რა უჭირს?“

როცა ავთანდილმა ბოდიში მოიხადა და გააგებინა ასმათს, რომ იგიც მიჯნური იყო, ასმათს გაუფიქრია:

„ესეც მეორე მიჯნური! ეს მაკლდა კიდევ! ერთიც გულს მინყალებდა და ახლა ზედ მეორეც დაერთო! გააჭირა საქმე ამდენმა მიჯნურმა! რა უნდათ ჩემგან? რით გავაჩუმო ამდენი ტირია ხალხი?“

„ნესტანის სულში ტრაგედიაა, ჯოჯოხეთია, მაგრამ მაინც მას არ ნაუგდია ენა და არ ელაპარაკება ყველას, თუ რაშია საქმე!“..

„ნესტანი უბრძანებს ტარიელს სასიძოს მოკვლას... და ურჩევს — რაც შეგეძლოს ჩემს მოხუცებულ მამას მაგრად წაუჭირე ხელი ყრონჭშიო“.

„მართ გარდამწყვეტით იცოდი, გეტყვი მართალსა პირასა...
სიკვდილი მახლავს, დამეხსენ, ხანსა-ლა დავყოფ მცირასა;
რომ ცოცხალ ვიყო რას მაქნევ, რა დავრჩე, ხელსა მხდი რასა!
დამშლიან ჩემნი კავშირნი, შერთვიან სულთა სირასა“.

ამ ტაეპს ასეთი განმარტება მოსდევს:

„მე თავი არ ვიცოცხლო, შენ რა გინდაო? — ეუბნება ტარიელი ავთანდილს. — რა ვირი დაგკარგვია, რომ ჩამცივებინარო! სულ გიყი ხომ არ გგონივარ, ცოცხლად რომ დავრჩეო?! ჩემი აზრი და ჭკუა სიკვდილშია და არ სიცოცხლეშიო! ამავე დროს ტარიელი პანტიესტია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მე რომ მოვკვდები, მსოფლიოში ვპოვებ „საუკუნო განსასვენსა ალაგსა“-ო, „დამშლიან ჩემნი კავშირნი“ და შერთვიან სულთა სირასა“-ო. ე. ი. ჩემი მძორი გაიხრწნება ნივთიერ ელემენტებად, მერე, ჩემო, მოხდება საკვირველი მეტამორფოზა, შევეერთები „სულთა სირასა“, ჩიტების სულს შევერევი, ჩიტად ვიქცევი, სამოთხის ჩიტად, და მეტი რალა მინდა? — ნესტანთან მივფრინდები და უბეში, სულში ჩაუძვრებიო!“

წერილი ბევრს მოიგებდა, რომ ასეთი ბალასტით არ იყოს დატვირთული. დიდის სიყვარულით და დაკვირვებით არის დანერგილი ილ. ფერაძის წერილები: „ეგნატე ნინოშვილის მონაფეობის გარშემო“ და „ქართველი გლეხი“ და დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“. ყურადღებას იპყრობს ი. ფანცხავას მონოგრაფია: „ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი“.

საინტერესოა თემა კაპანელის წერილის: „ქალი და სიყვარული ქართულ ლიტერატურაში“.

ვ. გორგაძე თავის „ფოლადის მესია“-ში არკვევს რევოლიუციის პოეზიის გენეზისს. ავტორი ამტკიცებს, რომ სოციალურ რევოლიუციას აქვს არა მარტო კლასობრივი, არამედ ზოგადი უნივერსალური ხასიათი. „მასსებების სტიქიური ამოძრავება და ცეცხლის ზვავი, როგორც მოვარდნილი გრივალნი, აპოკალიფსის ჩვენებით ანთებულნი, არის აზროვნების ძირეული ტეხა“. რევოლიუცია არის როგორც ინდივიდის, აგრედვე მთელი ქვეყნის კოსმიურ სულთან დაკავშირება. ასეთი „აზროვნების ძირეული ტეხა“ უსათუოდ გამოიწვევს პოეტურ შემოქმედებაში შესაფერ გამოძახილს. ეს ასეც ხდებოდა მუდამ. „დღემდის ასე იყო, — ამბობს ავტორი, — ისტორიაში არ მომხდარა არც ერთი პოლიტიკური რევოლიუცია, რომლის პრელიუდიაც არ გახმაურებულყო პირველად პოეზიაში... თავისი მხრით რევოლიუციასაც ჰქონდა გავლენა პოეზიაზე“. მაშასადამე, ავტორის აზრით, ყოველი დიდი რევოლიუცია იწვევს „აზროვნების ძირეულ ტეხა“-ს და შესაფერ გამოხმაურებას პოეზიაში. ეს ერთი დებულება. მეორე მხრით რუსეთში მოხდა დიდი სოციალური რევოლიუცია. „პოლიტიკაში ახალი მსოფლიოს იდეოლოგიად გამოდის საბჭოთა რუსეთი კომუნისტური რევოლიუციით. რუსეთი, რომლის თოვლიანი ველებიც უხვად შეიღება პროლეტარიატის სისხლით, დღემდის რჩება რევოლიუციის დროშად მსოფლიოში“. ამ ორ დებულებიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: რუსეთში რევოლიუციის წინა დღით და შემდეგ თვით რევოლიუციის პროცესში უნდა ახმაურებულყო მსოფლიო მასშტაბით აგრუხუნებული გადატეხის პოეზია, დიდი რევოლიუციის პოეზია, მაგრამ ავტორი სულ სხვა შედეგს წაანყდა. „აქვს თუ არა საბჭოთა რუსეთს, — ჰკითხულობს იგი, — პროლეტარული პოეზია, რომელიც ახალ მხატვრულ ფორმაში ნივთების და მოვლენების ახალი ათვისებით ასახავს პროლეტარიატის ინტიმურ განცდას, და მასთან ისეთი, რომელიც თავის არსში იტევს თესლს ახალი ხელოვნებისა და კულტურისას?...“ და გადაჭრით მიუგებს: „ასეთი პოეზია რუსეთს არა აქვს“. „მასსებების სულიერი ტეხა, — განაგრძობს ავტორი, — ჯერ არ მუღავნებულა რუსეთის პროლეტარული პოეტების შემოქმედებაში. არის პრეტენზია ახალი პოეზიისა და მსოფლიო კულტურის, მაგრამ არ მოსჩანს ცდა ახალი ხელოვნების დანყების“.

რაშია საქმე? რა მოუვიდა რუსეთის დიდ რევოლუციას, რომელიც „დღემდის რჩება რევოლუციის დროშად მსოფლიოში“, რომ ვერ შესძლო პოეზიაში ახმაურება? წერილის ავტორის აზრით რუსეთში რევოლუციის პოეზიის დაქვეითების მიზეზი არის „პოეტების უკულტურობა, ჩამორჩენილობა“. ეს ახსნა მეტად ნაძალადევი. როგორ შეიძლება ვიფიქროთ, რომ უკულტურო ქვეყანამ მოახდინა მსოფლიო მასშტაბით ისტორიისთვის უცნობი გიგანტური გადატეხა აზროვნებასა და სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობაში? და თუ ქვეყანა უკულტურო არ იყო, რაღა პოეტები აღმოჩნდნენ მაინც და მაინც უკულტურონი და ჩამორჩენილნი ამ ქვეყანაში. ორში ერთი: ან შესაძლებელია დიდი რევოლუცია უპოეზიოდ, ყოველს შემთხვევაში ინტენსიური დუღილის დროს, ან რუსეთში არ ყოფილა დიდი რევოლუცია და ამიტომაც არ დანთებულა შესაფერი პოეზიის კოცონი. აქამდის თუ არ ამდერდა პოეზიაში რუსეთის რევოლუცია, სჩანს, აუცილებელი არ ყოფილა რევოლუციონური ქარტეხილის პოეზიაში გადავარდნა. როგორც ერთმა რუსულმა ჟურნალმა აღნიშნა „რევოლუციის ტემპერატურა უკვე შესამჩნევად დაეცა“ და ამის შემდგომ იწყება აღმშენებლობითი ხანა, როცა „პატარა საქმეები“ იპყრობს მთელს ენერჯიას.

საქართველოს შესახებ ავტორი ამბობს: „საქართველოში პროლეტარული რევოლუცია არ ყოფილა ისე საგრძნობი, როგორც ეს იყო რუსეთში“. ეს თუ სწორია, მართალია ავტორი, როცა ამბობს: „არც ერთ რევოლუციას არ მოუცია ჩვენში რევოლუციის არც ერთი ახალი ლექსი“-ო. თუ რევოლუცია ნაგრძნობი არ იყო, რევოლუციის პოეზია საიდან მოვიდოდა? მაგრამ რუსეთში ხომ რევოლუცია საკმაოდ „ნაგრძნობი“-ა. მამ რატომ არის იქ ასე დაკნინებული პოეზია? გამოდის, რომ რევოლუცია თავისთვის მიდის, პოეზია კიდევ თავისთვის. ან იქნება რუსეთში არ ყოფილა „აპოკალიპსის ჩვენებით ანთებული“ გრიგალის მოვარდნა, რომელსაც უნდა გამოეწვია „აზროვნების ძირეული ტეხა“ და ქვეყანა დაეკავშირებინა „კოსმიურ სულთან?“ იქნება მოხდა უბრალო ამბავი: სამასი წლის მონობაში დაგუბებული თვითმპყრობელობა დალპა და თავისით წაიქცა, ამას არ გამოუწვევია მსოფლიო მასშტაბით არავითარი ენტუზიაზმი, ვინაიდან რუსული მონარქიაში იყო ანაქრონიზმი და იდეოლოგიურად დიდი ხანია რუსეთშიაც მომნიჭებული იყო მისი დაცემის აუცილებლობა. ხოლო მას შემდგომ, რაც მონარქია განადგურდა — რუსეთი საშინელი ბრძოლით გზას იკაფავს თანამედროვე კულტურისაკენ და ხდება ქვეყნის თანდათან ევროპეიზაცია. ვერც ეს პროცესი გამოიწვევდა დიდს აღტაცებას, რადგანაც იდეოლოგიურად ევროპის ცივილიზაციაც საკმაოდ ხანშესულად არის უკვე გამოცხადებული. თუ ამ შეხედულებას მივიღებთ, მაშინ ცხადი იქნება, თუ რატომ არ აყვავდა რუსეთში რევოლუციის პოეზია. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ვ. გორგაძე რუსეთის ახალი პოეზიის გარჩევის დროს ხელმძღვანელობდა მეტად „სასტიკი საზომით“.

დასასრულ არ შეგვიძლია უშენიშვნოდ დავტოვოთ ბ-ნ სილოვ. ხუნდაძის წერილი „ვაჟა-ფშაველას პოეზია“. ბ-ნი ხუნდაძე ხელაღებით უარყოფს ვაჟა-ფშაველას პოეზიის მაღალ ღირებულებას და უბრალო ხალხურ მოშაირედ მიაჩნია იგი. პირდაპირ გასაკვირია, როგორ შეიძლება თანამედროვე ქართველ მწერალს შეუმჩნეველი დარჩეს ვაჟა-ფშაველას პოეზიის განუმეორებელი მშვენიერება, რომელიც სრულიად არ საჭიროებს იმ იაფფასიან სამკაულებს, რომლის სიღარიბეს ასე აყვედრის ბ-ნი ხუნდაძე მას. ვაჟას პოეტური ნიჭი ჰგავს მიწიდან ამოთხრილ ოქროს ზოდს, რომელსაც ალაგ-ალაგ მიწა და ქვიშა აცხია. თუ კრიტიკოსი თავის გამანადგურებელ მიკროსკოპს მიაჩერებს სწორედ იმ ადგილს, სადაც ოქრო მიწით არის გასვრილი, რა თქმა უნდა, მას მხოლოდ ტალახთან ექნება საქმე და ის ვერასოდეს ჩასწვდება ოქროს კეთილშობილებას. ბ-ნი ს. ხუნდაძე რითმებს უწუნებს ვაჟას, მე სანიშნოდ ამოვწერ მის მიერ დანუნებულ ზოგ რითმას: **ნიქასა — იმასა; მიწაზე — იმაზე; თურქთანა — მუდამა; იზამენ — სხვისა მენ.** ეს რითმები, ცხადია, მოკლებულია სისრულეს, მაგრამ მასში არის დაცული მთავარი მოთხოვნები მუსიკალობისა: ხმოვან ბგერათა დაქტილური შეწყობა. ეს ქმნის დაფარულს, მაგრამ მუ-

სიკალურად სრულიად დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას. ეს თვისება რითმისა ძალიან კარგად ესმოდა ვაჟა-ფშაველას და ამიტომ მისი რითმები, გარეგნულად ასე ლარიზებული, ყოველთვის რეკავს სამ-ეჟენიან ინსტრუმენტად, რაც ასე იშვიათია ვაჟას თანადროულ პოეტების ლექსებში. ბ-ნ სილ. ხუნდაძეს ვაჟას ერთი ლექსის გასაკვილავად მოჰყავს გრ. ორბელიანის ლექსი, რომელიც მას მიაჩნია „საოცნებო ცისკრის ცისკროვან საგალობელად“: აი, ამ ლექსიდან ამოღებული რამდენიმე რითმა: **ღრუბელნი — მხილველნი; მაგრილებელი — ფოთოლთ შრიალი; კიდობანისა — ერევნისა; ცისკრისა — ჯარისა; მხედრისა — კაცისა.** ზედმეტია მტკიცება, რომ ამ რითმების მუსიკალობა ოდნავაც ვერ უახლოვდება ვაჟას თუნდაც იმ „დანუნებულ“ რითმებს, რომელიც ჩვენ აქ ამოვწერეთ.

ბ-ნი ხუნდაძისათვის ვაჟა-ფშაველას პოეზია მიუღებელია მხატვრული თვალსაზრისით, ვინაიდან მისი ესთეტიზმი სულ სხვა პსიქოლოგიურ ათვისებაზეა აგებული. როგორც ნიმუში ვაჟას „უსიამოვნო, ესთეტიზმის წინააღმდეგი შედარები“-სა ბ-ნ ხუნდაძეს მოჰყავს შემდეგი ტაეპი:

„თუნდ მზე დაადგეთ გულ-მკერდზე,
ზვავი სდიოდეთ ჭექითა, —
**ახველდებიან ხევები,
ვით ავადმყოფნი ჭლექითა“.**

ხაზგასმული სტრიქონები ბ-ნ ხუნდაძეს მიაჩნია უსიამოვნო, არა ესთეტიურ სახედ. ჩვენ ვიცით, რომ ბ-ნი ხუნდაძე გულწრფელად ჰფიქრობს ასე, მაგრამ ჩვენ ასევე გულწრფელად გვებრალეება კაცი, რომლის თვალებსა და სმენას ასცდა ის წარმტაცი სურათები და მუსიკა, რომლითაც ასე ბარაქიანად არის საგვსე ვაჟა-ფშაველას გოლიათური პოეზია.

„ილიონი“, №№1 და 2.

პირველი ნომერი გამოვიდა ა. ნ. აგვისტოში, მეორე — სექტემბერში. ჟურნალში თანამშრომლობენ უმთავრესად ის მწერლები, რომელნიც წინადა „სახალო გაზეთი“-ს გარშემო იყრიდნენ თავს. ჟურნალს განსაზღვრული ლიტერატურული მიმართულება არა აქვს, ვინაიდან თანამშრომლები უფრო პერსონალური სიმპატიებით არიან დაკავშირებულნი, ვინემ ლიტერატურული სკოლის პრინციპებით. პირველ ნომერს ხსნის კ. გამსახურდიას ლექსი: Maria Stella. ლექსში უთუოდ არის კულტურა, რომელიც ახალი თემით და ახალი სიტყვებით შემოდის უკანასკნელი ათეული წლების ქართულს პოეზიაში. მაგრამ არის გადაჭარბებული სიუხვე სალექსიკონო სიტყვებისა, თუმცა შეიძლება ეს თანამედროვე ქართული ენის სიღარიბით აიხსნებოდეს. ლექსში ისმის კათოლიკური ლოცვის დაგვიანებული მელოდია. იმავე ავტორის მეორე პატარა ლექსში: „ფრიდრიჰ ნიცშეს“ არის ერთი სტრიქონი, რომელიც მთელ ლექსად ღირს:

„შენ ამ სამყაროს უღუელოდ ვერ შეეთვისე“.

ი. გრიშაშვილს სამი ლექსი აქვს ამ ნომერში. მესამე ლექსია: „ილბალი დისონანსებით“. რითმები აგებულია დისონანსებზე, მაგრამ ყველაზე მეტი დისონანსია ლექსის ბოლოს წარწერა: „მარიჯანის სოფელი“. შეიძლება ეს ავტორისათვის საინტერესო იყოს, მაგრამ მკითხველისათვის სულ ერთია, ვის სოფელში დაინერა ლექსი. მეორე ლექსი: „ქალს უღვაშებით, კეპით და ჯოხით“ დაწერილია იმ მანერით, რომლითაც ცნობილია გრიშაშვილის შემოქმედება, ხოლო პირველი ლექსი: „ჩემი ლოცვა“ ახალი მოტივია გრიშაშვილის პოეზიაში. ამავე ახალ მოტივზე არის აშენებული გრიშაშვილის ლექსი „ილიონი“-ს მეორე ნომერში „ბებუთი მაგიდაზე“. საქმე იმაში კი არ არის, რომ ამ ლექსებში დარხეულია პატრიოტული ჰანგი, საინტერესოა თვით ცდა ახალი გზის ძებნისა. გრიშაშვილის შემოქმედება დღემდის მომწყვედი იყო ერთ ვიწრო რკალში. მართალია, ამ რკალში მან დიდი ნიჭი გამოიჩინა, მაგრამ იგი მაინც ჰგავდა იმ ფარვანას, რომელიც დაუსრულებლად ტრიალებს ერთ და იმავე ნათელი წერტილში.

ლის ირგვლივ. ახლა გრიშაშვილი ცდილობს გაარღვიოს ეს რკალი და უნდა ითქვას, რომ მისი „ბებუთი მაგიდაზე“ ამ მხრივ უკვე ერთგვარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. სტრიქონებში:

„რა ვქნა! ანდერძი წინაპართა ვერ დავაფასე.
უმოქმედობა შემომეველო, როგორც ღრუბელი“.

ნაგრძნობია დღევანდელი ქართველის დაავადებული ნებისყოფა და პირდაპირ ტრალიკულია ავადმყოფი ნებისყოფის საბოლოოდ დაუძლურების სურათი:

„ვიბრძოლო? ბებუთს აღარა სურს მტერი გარეკოს,
და მაგიდაზე ასვენია წიგნის საჭრელად“...

ლექსი ბევრს მოიგებდა, რომ არ იყოს სრულიად ზედმეტი მესამე ტაეპი, სადაც მოულოდნელად შემოდიან (არავინ იცის, რისთვის!) ანტონიოსი და კლეოპატრა.

მშვენიერია ს. ფაშალიშვილის ლექსი „ჩემი გვარის მოსაგონად“, სადაც მოცემულია გრძელი გენეალოგია ეფრათიდან გადმოსულ „ჯიშთან წინაპრების“ შთამომავლობისა. საუკუნოებში განოლილი ჯაჭვი ბევრგან არის განყვეტილი, მაგრამ იმედიანად ისმის:

„არაფერია! ბედმა იცის სამაგიერო!“

და ელის პოეტი, რომ

„ძვირფასი ლექსი სულს დიდებას კვლავ დაუბრუნებს“...

გარდელის „გაზაფხულის ცულლუტობა“-ში (სათაური არ არის შესაფერი) რომანი ძალიან მოხერხებულად გადადის ეროტიულ კომმარში. კრიტიკის განყოფილებაში მოთავსებულია კ. გამსახურდიას: „გოეთე თუ (?) მისტიკოსი“ და გრ. რცხილაძის: „აცდენილი ტიპები“. კ. გამსახურდიას აქვს ლიტერატურული ერუდიცია, ნიჭი, ტემპერამენტი და ენერჯია და შეუძლია ჩვენს იდეებით ღარბ მწერლობას დიდი სამსახური გაუწიოს ევროპის ლიტერატურულ იდეებთან გაცნობით. ამ მხრით არის ასანიშნავი მისი ვრცელი წერილი გოეთეს შესახებ.

მეტად საინტერესოა გრ. რცხილაძის „აცდენილი ტიპები“, სადაც დიდის ხელოვნებით და დაკვირვებით არის გაკეთებული ანალიზი ქართულის ტიპის პსიქოლოგიური ვითარებისა. ამ წერილში ამოწურულია ქართველი ადამიანის პიროვნების მთელი შინაარსი და ნაჩვენებია მთავარი ხაზი ამ პიროვნების განვითარების მიმართულებისა. „საგარეო ასპარეზზე დამარცხებული ქართველი ხალხი, — ამბობს ავტორი, — მეთვრამეტე საუკუნის დასასრულიდან დაუძლეველ კრიზისს ებრძვის უკვე მხოლოდ ფიზიკურ არსებობის შერჩენის ნათლად გამოხატულ ნიშნის ქვეშ. ფიზიკური არსებობისთვის ქართველს ადამიანს პრინციპიალურად უკვე განირული აქვს ამ დროიდან ყოველგვარი ღირებულება, როგორც ნაციონალური და პოლიტიკური, აგრედვე მორალური და სოციალური“. „მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველი ადამიანის საერთო ტიპი ევოლიუციას განიცდის არა ამალლებისა და გაძლიერებისაკენ, არამედ დაქვეითებისა და დაუძლურებისაკენ“.

შემდეგ ავტორი არკვევს თუ რა მიზეზებმა შექმნა ქართველი ადამიანის პიროვნების დამშლელი ეგოიზმი და ამბობს: „უპიროვნო ადამიანს შეუძლებელია თავისი საკუთარი „მე“-ს პატივისცემა ჰქონდეს, შეუძლებელია ამაყობდეს თავისი თავით, არ გაურბოდეს თავის თავს... საქართველოში ძნელად თუ ისეთი ადამიანი შეგხვდეთ, არ იწუნებდეს თავის პროფესიას, ღვთის წყრომად და ბედის უკუღმართობად არ მიაჩნდეს, რომ მას თავის პროფესიაში უხდება შრომა და არა სხვაგან სადმე. საქართველოს გლეხობის გარდა, სხვა არც ერთი წრის ადამიანს არ მიაჩნია სასურველად იმის ოჯახის მომავალი თაობა იმავე საპროფესიო ან სოციალურ წრის წევრებად იყვნენ, რომელსაც თითონ ეკუთვნის. არავის აქვს სურვილი, იყოს ის, რაც ის არის ნამდვილად. ქართველ ადამიანს თითქოს ყოველთვის ერთგვარი მისწრაფება აქვს: დაუსხლტეს თავის თავს და გაექცეს მას“... მე არსად შევხვედრივარ ქართველი კაცის სულიერი მიდრეკილების ასეთ სწორსა და ჭეშმარიტს დახასიათებას. ცოცხა-

ლი სურათია ნამდვილი ქართველის ტიპის. მხოლოდ ტყუილად ჰფიქრობს ავტორი, რომ ამ საერთო ხასიათს მოკლებულია ქართველი გლეხობა. პირიქით ყოველი გლეხი იმას სცდილობს, რომ როგორმე თავისი შვილი მოაშოროს „მინის ჯიჯგნა“-ს და „გააქალაქოს“. მაგრამ გლეხობის დიდი უმრავლესობისათვის ეს ფაქტიურად შეუძლებელია და მხოლოდ სურვილად რჩება მისი ამგვარი მისწრაფება. ამ დახასიათებაში მოცემულია მთელი სქემა „აცდენილი ტიპები“-ს მოსაბრუნებლად და სასარგებლო იქნება ჩვენის რომანისტიკისათვის, რომ ჩაუკვირდებოდნენ ამ სქემას და გამოიყენებდნენ მას.

წერილის ბოლოს ავტორს მშვენივრად აქვს შეთანხმებული ოსკარ უაილდის იდეალისტური ესთეტიკა რეალისტურ შეხედულებასთან. უაილდი ამტკიცებდა, რომ ხელოვნებას ჰბაძავს სინამდვილე. ჯერ ხელოვნებაში იქმნება ტიპები, მერე ისინი გადმოდიან ცხოვრებაში. რამდენი მელანი დაუღვრიათ რეალისტებს უაილდის ამ აზრის გასაბათილებლად, მაგრამ ბ-ნ გ. რცხილაძის განმარტებით უაილდის იდეალიზმი მშვენივრად თავსდება რეალიზმის ჩარჩოში. „ტიპის განვითარება ერთის ხელის მოსმით არ სრულდება სინამდვილეში: პირიქით ეს განვითარება ხანგრძლივი პროცესია და ვიდრე ბოლომდე დასრულდებოდა, ევოლიუციის ეტაპების მთელი რიგი უნდა იქმნეს გავლილი. მხატვრული შემოქმედება წინ უნდა უსწრებდეს ისტორიულ ტენდენციის მუშაობას და უფრო ადრე, ვიდრე ეს ტენდენცია, წინასწარვე ლოლიკურ სისრულემდე ინვითარებდეს სინამდვილის შთანასახებს“.

მეორე ნომერში კარგია ტერენტი გრანელის ლექსი „სიცოცხლის გრადაცია“. ლოცვით გამთბარ სულში მუსიკის მომაკვდავ აკკორდივით ჰქრება „სურვილთა გროვა“ და ისადგურებს დამამშვიდებელი სურნელება „ცისფერი ღამისა“.

ნაზია და მთვარის შუქით შემოსილი ხარიტონ ვარდოშვილის ლექსი: „მთვარის საცოლე“. პროსპექტზე დამფრთხალი შველივით მოსიარულე „იისფერი ქალი“ ნამდვილი მუზა ვარდოშვილის პოეზიისა: კდემა-მოსილი, განაპირებული, სათუთი და წყნარი მელანქოლიით დაბინდული.

წარმატება ემჩნევა ყოველ ახალ ლექსში ახალგაზრდა პოეტ-ქალს ნინო თარიშვილს. კარგი იქნებოდა მისი „შენი წიგნი“, რომ უკანასკნელ ტაეპში არ იყოს სტრიქონი:

„სიყვარულს ვატან ლექსებს პრობლემად“.

აქ საშინელებაა სიტყვა „პრობლემად“.

მარიჯანის „პასუხი ჭიანურებს“ მსუბუქად და ფაქიზად არის დაწერილი. ბევრი ჰაერია სიტყვებში და სტრიქონები დამშვიდებულ ტალღებივით ირხევა. მთელს ლექსში არ მომწონს მხოლოდ ერთი სიტყვა: „მარიჯან“. საჭიროა ახალი სახელი.

ი. მჭედლიშვილის „ძველს ტყეში“ ლაზათიანად დაწერილი ლექსია, მაგრამ ასევე კარგი იქნებოდა იგი, რომ თხუთმეტი წლის წინათ დაბეჭდილიყო.

ჩემზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ს. ფაშალიშვილის მიერ გოეთეს ბალადის „მინიონ“-ის თარგმანმა. ლექსი სრულიად არ გავს თარგმანს.

დათა აგლაძის და გარდელის ორი პატარა მოთხრობა: „კაცის მკვლეელი“ და „მკვლელობა“ უცნაურად ხვდება ერთიმეორეს თავისი სათაურებით. ორივე მოთხრობაში დამაჯერებელი ბუნებრიობით არის განვითარებული ფაბულა.

სწორ აზრზეა აგებული კონსტ. გამსახურდიას „კრიტიკა და შემოქმედება“. ბრბოსა და ხელოვანთ შორის შუამავალის როლი დასრულდა. ახლა აღარავის სწამს თითქოს პოეტი ფრინველივით შეუგნებლად მღეროდეს. პოეტური შემოქმედება ინტელექტის თასმით არის შეკრული და პოეტზე უკეთ არავინ იცის, როგორ უნდა აუდიტორიასთან მისვლა.

ხომალდელი

რედაქციამ მიიღო „მეოცნებე ნიამორები“ წიგნი მეშვიდე, ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით გამოსული. ბიბლიოგრაფია შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

რედ.



სიმონის


ს. სპარტველოს.
მეგრეთა-ნავშირის.
ყოველავირული.
სახელოვნო-სალიბი.
რატური. ჟურნალი.

ნ^ა 1

1922წ.



ტფილისი:



გალაკციონ ცაშიძე
 ლედი დიარელი
 გალაკციონ ცაშიძე
 უთქია გამსახურდია
 ირაკლი ცოფაძე
 მთხე თთიძე
 მსიპ შატლუბანი

ზამთარი
 უცნაური მთხრობები: მე ღა ჩემი თრი მე
 პოეზია უპირველეს ყოვლისა
 იმპრესიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი
 ნიკო დიროსმანაშვილი
 ქართული მსაფერები
 ყდა და ღერბი

შიშლითგრაფია
 ხელოვნების მაცვიანე

ცვილისა



19 $\frac{1}{T}$ 22

სარედაქციო კოლეგია.
 გამომცემელი: სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი.

ზამთარი

დგება თეთრი დღეები,
რიდების სეზონი;
გაჩდენ ორხიდეები
ყოვლად უმიზეზონი.
ლაჟვარდების კიდევ,
დაბურულო ზმანებით,
ლურჯო მონტევიდევო
ვინრო ხელთათმანებით;
სულში ნისლის ტბებია
და ქაოსის მხატვარი,
სადაც ველარ თბებიან
ფრთები ნამკათათვარი.
სად ოდესმე მეოცნებე აფრებით,
ათასფერი იმედით და ზაფრებით
აგასჭერის მიმოქროდა ხომალდი
მეზღვაურის სულთან გათანაბრებით.
როგორც ზვირთთა ქაფიანი მოდება,
ჭაგოტების მიტაცებდა გოდება
მაოცებდა უმძლავრესი მუსიკა,
თმას მიწენდა ქარის გაბოროტება.
დატვირთული მრავალ უამიდობით
კიდევ დიდხანს ვიქანავებ კიდობნით,
აღტაცებავ სიყმანვილის დროისა,
სამუდამოდ, სამუდამოდ მშვიდობით!
ის ირღვევა, ის ოცნება ბერდება
და ხომალდი ნაპრალებთან ჩერდება
საიდანაც მარად ესმის მსოფლიოს
ზეცის ნგრევა, მიწის გადაფერდება.
ხომალდს მიყვება თოვლის მადონა
და ყვავილები გიიადონა.
შენთვის გაეკრა ჯვარზე იესო
სულო, ჭაობზე უნოტიესო.
იდუმალთა ჩვენი სერობა,
და ლამეების ალმაცერობა,
რომ ოცნებები ცეცხლით გალესო,
სულო, იმ ცეცხლზე უმხურვალესო.

დღეთა სინაზეს ედება კორძი...
 ესე არს სისხლი, ესე არს ხორცი
 და იღუმალი ლოცვა ბაგისა,
 სულო, ლაჟვარდზე უსპეტაკესო.
 ვარსკვლავი იგი — ფიქრთა საგანი,
 ერთი უმრავლეს ვარსკვლავთაგანი
 აელვარებდა ცაზე ოდესმე,
 სულო, დემონზე უბოროტესო!

გალაკტიონ ტაბიძე

უცნაური მოთხრობები

მე და ჩემი ორი მე

ეს რამდენიმე დღეა, რაც საკვირველი რამ მემართება. სასწაულისებური რაღაც ხდება ჩემში. საღამოობით — თითქმის ყოველ დღეს — ორნაირი ჩემი მე მომეველინება ხოლმე და, თუმცა არც ერთი მათგანი არა ვარ, მაგრამ თითქულები ჩემს თავს მაინც ვგრძნობ!

არ შემიძლია სასწაული ვინამო, მაგრამ არც ის შემიძლია, რომ ფაქტები უარვყო. დიდს ტანჯვასა და ვაებაში ვარ. ვერაფერი გამირკვევია, ვერცა რას მიმხდარვარ!

ძალიან ცუდად მენიშნება ეს გარემოება. მეშინია, წლის დასასრული რომ არის, ჩემიც არ იყოს მეთქი.

ერთი ჩემი მეთაგანი დაახლოვებით კი მგავს, ხოლო მეორე დიდად განსხვავებულია. იქნება ეს უკანასკნელი შორეული წარსულის, ან უფრო შორეული მომავლის სახეა ჩემი. ყოველ შემთხვევაში, დიდად უცნაური რამ კი არის. ვერაფრისათვის შემეიდარებია. უცხოა, მაგრამ მაინც.... ჩემი მეთა...

და აი, ეს უცნაური მე მოუახლოვდება პირველსა და ეტყვის:

„უნდა შეგჭამო, ჩემო ძამიკო!.. მზად იყავიო!“

რა თქმა უნდა, ეს დიდად საკვირველი რამ არის. გაუგებარიცა... მაგრამ ფაქტია!..

გულწრფელად ვამბობ:

„ღმერთი მაინც მწამდეს!!“

* * *

ამდენი ხნის კაცი ვარ და მსგავსიც კი არასოდეს მომხდარა ჩემში.

არც ჩემი მოდგმის შინაურ მატთანეს ახსოვს ასეთი რამ გვარში.

მართალია, ბიძაჩემი ხან-და-ხან ძალიან უცნაური იყო ხოლმე, მაგრამ მის შესახებ მაინცა-და-მაინც არაფერი გამიგონია ისეთი, რომ ამ ჩემს უკანასკნელს ამბავს დავუკავშირო.

ჩემს უფროს ძმას კი უთქვამს ჩემთვის ერთხელ:

„ბიძაჩვენს ღამ-ღამობით ვილაც სტუმარი დაუდის საიდუმლოდ. საკვირველია, რომ ვერც მის მოსვლასა და ვერც წასვლას შენიშნავს კაციო!“

თუმცა, იქნება, ვცდებოდე და ჩემს ძმას სხვანაირად ეთქვას ჩემთვის...

ვერაფერი გამიგია!

მინდოდა კი, დამევიწყნა ამ წამავალ წელთან ერთად ყოველი შფოთი, კომმარი... — ერთნაირად განწმენდილ-განსუფთავებული შევსულიყავ ახალი წლის წიაღში, მაგრამ...

აი, გუშინ რომ წარსული წლის უკანასკნელი დღე იყო, გუშინდელი საღამო:

დიდი მზადება ახალი წლის საზეიმო შესახვედრად. ხალისი დიდისა და პატარასი...

გეგმები მილოცვა-მოლოცვისა და გოზინაყები, ხაჭაპურები...

ანაზღეულად ყურში ჩურჩული მესმის:

„თუ შეიძლებოდა, გვნახე ერთის წუთით... შენს ოთახში ვართ და შენ მოგელით!“

ეს ერთ-ერთი მეა ჩემი.

მეწყინება უჩინრად, მაგრამ მყისვე შევდივარ ჩემს ოთახში.

ორივე ჩემი მე იქ დამხვდება.

„კარგია რომ მოხველ!“ — მეუბნება ჩემი უცნაური მე — „უკანასკნელად ვაცხადებ, რომ ამ საღამოს ყოველ მიზეზს გარეშე უნდა შეგჭამო, ჩემი ძამიკო! დაყოვნება არ იქნება! ახალი წლის ცხოვრებაში მას ფეხს ვერ შევადგმევინებ.“

ამას რომ იტყვის, ისეთნაირად შემომხედავს, თითქო თავად მეც „ძამიკოს“ ბედსა მწევსო...

საშინელი შიშის ეკლები დამიჩხვლეტენ ტანსა და სული ჩემი ძალისაგან დაიცლება.

„რა ამბავია?“ — ვიტყვი და იქვე ჩავიკეცები.

„ის ამბავია, ძმავ, რომ თქვენ ცხოვრებაში არა სწერიხართ! ამ ქვეყნად საცხოვრებელი საბუთი არა გაქვთ! ამიტომ სიკვდილიც უარგყოფსთ!.. მგონი, ადვილი გასაგებია, თუ რაც ამბავია! ისეთი არსებისათვის კი, რომელიც არც ცხოვრებისაა და არც სიკვდილისა, არსებობს მხოლოდ ერთი გზა, სახელდობრ ის, რომ მე უნდა შეგჭამო! მორჩა და გათავდა!“

„ეს გაუგებრობაა და მეტი არაფერი!“ — ამბობს დაშინებული მეორე მე და ჩემსკენ მიიწევა.

„შენთვის შეიძლება გაუგებრობა იყოს! ყველამ კი იცის, რომ ცხოვრების საბუთად გამოდგება მხოლოდ ჭამა... ჭამა მსგავსისა, — ჭამა პირდაპირი და გაბედული. ვისაც არ შეუჭამია, ის უთუოდ თითონ შესაჭმელია. ხოლო თუ არც შეუჭამია და არც შეჭმულია, სჩანს, არც შემჭმელად ვარგა და არც შესაჭმელად! — გაუგებარი აქ რაა? თქვენ ხომ ამდენი ხნის განმავლობაში ვერავინ შეგიჭამიათ? ვერც თქვენ შეუჭამიხართ სხვას! უთუოდ ამისი მიზეზი ის არის, რომ არ ვარგხართ... მორჩა და გათავდა! ბევრი სალაპარაკოც აქ არაფერია! თქვენთვის ის ლა დარჩენილა, რომ მე შეგჭამოთ!..“

„შეუძლებელია!.. ჩვენ არ გვესმის ასეთი აზროვნება!“

„გაიგეთ ახლა მაინც, რომ თქვენი არსებობა არალეგალობა არის, ვინაიდან ცხოვრებას არ ნებავს თქვენი თავი, ხოლო სიკვდილის მიერ უარყოფილხართ! სიკვდილსა და ცხოვრებას შუა კი ადვილი არ არის!.. ასეა საქმე და კეთილინებეთ მოემზადოთ... ერთი... ორი...“

„მოითმინეთ... მცირე ხანს მოითმინეთ, პატივცემულო ჩემო მეორე მეო! უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ჩვენის შეჭმით თქვენ შესჭამთ თქვენ თავსაც...“

„დილადაც! ეს მე კარგად ვიცი! სამწუხაროდ, მეც თქვენი კერძი ვარ... სული და ხორცი! ის გვასხვავებს მხოლოდ, რომ ჩემი შეგნება არ ურიგდება არარაობას და საკუთარი თავის შეჭმის წინაშეც კი არ შედგება, ოღონდ კი ბოლო მოელოს ამ საცოდავსა და სამარცხვინო არალეგალობას!.. კმარა, ვამბობ, ამდენი მასლაათი! ისედაც საშინელად მეზიზღებით, რომ ზედმეტად არ შემეზიზღოთ თქვენთან სჯა-ბაასით!.. ერთი... ორი...“

„გთხოვთ მოითმინოთ... გთხოვთ...“

„სამი!“

გაისმა მჭექარედ და ჩემი მეორე მე თვალის დახამხამებაზე პირში ჩაუვარდა იმ საშინელსა. წამი და იგი აღარ იყო საცოდავი!

„ვაიმე!“ — ძალაუნებურად წამოვიკვილე. — „რა დროს მოვესწარ-მეთქი!“

ჩემმა საკვირველებამ კი კმაყოფილი სახით მიისვ-მოისვა ენის წვერი ტუჩებზე. ჩაახველა ერთი და ზიზლით ამოაფურთხა.

„აგრე!“ — ჩაილაპარაკა. მოკლედ გაიარ-გამოიარა და მოულოდნელად:

„შენი ჯერია, ვაჟბატონო!“ — შესდგა ჩემ წინ და ისე შემომძახა — შევეჭამე მერჩინა.

„მე... მე...“

„თუ გინდა, შენ შემჭამე მე, ჩემო ძამია!.. ეს სულ ერთია!“

„როგორ?.. არ შემიძლია... მოითმინე... თუ...“

„მაშ, პირდაპირ: სამი!“

და უმალ თქმისა პირში ჩამიგდო... გაისმა ხრამა-ხრუმი და ვიგრძენი, რომ აღარ ვიყავ.

კვლავ გააყოლ-გამოაყოლა ენა ტუჩებს, კვლავ ჩაახველა და გამოაფურთხა.

„მადლობა ღმერთს, რომ მონელება არ დამჭირდება ამ საძაგლების!“ — ესა სთქვა და მონყდა მის ადგილს, გაიშალა იატაკზე და მალლა ამართა ფეხები. მერმე მოლუნა ისინი, მიიტანა პირთან, ჩაიწყო შიგ და დაუწყო ჭამა. სულ მცირე ხანში ტანიც ზედ მიაყოლა. თავამდის რო მივიდა, შეჩერდა...

ხოლო ახლა თავმა იწყო გადიდება. გადიდდა, გადიდდა... ისე გადიდდა, რომ ყოველ-ნაირი სახე დაჰკარგა.

უცებ:

„ყლაპ!“ — გაისმა თოფის ხმასავით და ყოველივე გაჰქრა!

სადღაც ვიგრძენი სიცალიერის უფსკრულის დამკვიდრება...

ლეო ქიაჩელი

XII/1921 წ.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

გავიარეთ 1921 წელი, ეს ფანტასტიური კიბე მრავალი საბედისწერო და საშიშარი საფეხურებით.

ქართველმა პოეტებმა იგრძნეს მაინც ჭონი, რომლებზედაც უნდა ჩატარებულიყო ჩვენი ახალი ხელოვნების დიდი მისტერია. მივდიოდით რა მომავალ საუკუნეთა დღესასწაულზე, გვევალებოდა ყოფილვიყავით მათი პლანეტარული ქაოსის წამდვილი გამომხატველი ერთი მხრით, და ნაციონალური სახეების მძებნელნი მეორე მხრით. გასული წელიწადი არ იყო სანატრელად ტკბილი, რომ ენაზე დაედნო რომელიმე მეათე საუკუნის წელიწადს, მაგრამ არც იმდენად მწარე იყო, რომ მის მოახლოვებისთანავე ტკივილებით გაბრუებულიყავით. ჩვენც ისე, როგორც მთელმა კაცობრიობამ განვიცადათ ეს ტკივილები, რომ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობის დროს შევიძლოთ მათი სიტყვა უთქმელათ ატანა. გასული წელიწადი დემონიურად მიუძღოდა წინ მრავალ სამგლოვიარო პროცესიებს და აქ დიდი მწუხარების გამო ხშირად გივიწყებდა შენ, პოეზია, საკუთარს თვალს მომავალისაკენ. 1921 წელს აკლდა ეს ცალი თვალი, მაგრამ ის მან განგებ დაიბრმავა, რათა მეტი სიძლიერე მისცემოდა მეორე თვალს. ამნაირი გარეგნობით იგი წამდვილი მეფისტოფელი იყო მარაობით მოსიარულე რომანტიულ, ფერუმარულიან სხვა წელიწადთა შორის. ქართველმა პოეტებმაც ყველაზე კარგათ იცოდნენ, რომ ბედნიერების მოსაპოებ-

ლად სრულიად საჭირო არ არის ყველა გამვლელსა და გამომვლელს ასიამოვნო. გვეზიზღებოდა ყოველგვარი შემთხვევითი საქმე, რადგანაც მრავალი გამოცდილებით დავიტივრთეთ, გონება მახვილი ერუდიტები შევიქენით; მართალია — შეუბრალებელი მოსამართლე ვიყავით წარსულის და სასჯელისთვის ვქმნიდით სრულიად ახალ კანონებს, მაგრამ ვცდილობდით არ დაგვეტოვებია სამართლიანობის საზღვრები. წარსულის მიერ დალუქულ ძვირფას ფოლიანტებს არ ვხსნიდით, არ გვინდოდა მათი შეურაცხყოფა, მაგრამ ლუქახსნილ რელიკვიებს არასდროს ხელახლა არ ვბეჭდავდით. პოეტები სვამდენ საუკეთესო ღვინოს, წარსულისაგან გადარჩენილს, მაგრამ თვალყურს ადევნებდენ თავიანთ თავს, რომ ღვინო არ მოკიდებოდათ; მათ ყოველთვის ახსოვდათ მოვალეობა და ანუხებდათ მხოლოდ ის გარემოება, რომ ჩვენი საუკუნე არც ვალებს იხდის, არც თავდებათ უდგება ვისმეს მევაღეების წინაშე. აი მე-XIX საუკუნეც: მან მე-XX საუკუნეს საჩუქრათ მოართვა მხოლოდ ერთი ზარმაცი ცხენი, ჩვენს საუკუნეს-კი გაქანებული მერნები, „ლურჯა ცხენები“ სჭირდება. ეხლა ეს მერნები დგანან ახალი ეპოქის კარებთან და უცდიან გაბედულ მხედრებს. საქართველოში მხოლოდ ეხლა გვიახლოვდება სივრცე, შემოკლებული გიგანტიური ნაბიჯებით: რადიო, უმავთულო ტელეგრაფი, აერო, ავტო! მათი სამვალეობით საკითხი, რომელიც ეხლა ირჩევა ვერსალში, სამკვდრო-სასიცოცხლოა საქართველოსთვისაც. იგია ფონი, რომელზედაც საქართველოს ახალი პოეტი და ახალი გმირი შექმნიან ახალ სიმღერებს, ახალ პოეზიას.

აქ პოეზიისთვის გაშლილია მეტად დიდი ასპარეზი. წარსულს ნურავინ თვლის უმნიშვნელოდ დაკარგულად: იმ უძველეს ღვინოსავით გამომდგარი ტრადიციის საფუძველებზე, მასში ჩაცვნილ ნაძირალების ქიმიურად განადგურების შემდეგ შეიქნება ახალი პოეზია, ძველი რომანტიზმის განახლებული სულით (რომანტიზმი ყოველთვის იყო, არის და იქნება ხელოვნების ერთ უმთავრეს თვისებად) მოიფინება იგი მუშისკის სინათლითა და ფერადებით, აივსება ახალგაზრდული ძლევამოსილებით. მართალია, ჩვენმა დღეებმა არ იციან ნიუანსები, მაგრამ თანამედროვეობა აქანდაკებს თავის ხელოვნებას უშიშარი ხელებით, რომელიც გააოცებს ქვეყანას უდიდესი გმირობისა და რაინდობის მაგალითებით. ჩვენ ყოველთვის ყოფილვართ ხალხთან, მაგრამ მომავალში მეტი სითამამით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში. იქ დაგროვილია უმრავლესი გრძნობები: წყურვილი სიყვარულის, წყურვილი ოცნების. ჩვენ მივცემთ ხალხს ყველაფერს კეთილშობილურს, ახალ ეთიკას, ახალ წინასწარმეტყველურ განათებას პრობლემებისას. ჩვენ იქ მოვნახავთ ახალ ადამიანებს, რომელთაც ეზიზღებათ ყოველივე არაესტეტიური და მახინჯი, სწყურიათ თვითონ გადაიქცენ ხელოვნების ნაწარმოებათ. ჩვენი დაახლოება ხალხთან გვაჩვენებს, როგორი სიხარბით ენაფება იგი ყოველგვარ მხატვრულ სიტყვას. ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარვყოთ კაჭე-შანტანების პოეზია, იგი დამახასიათებელია საშინლად დაცემის მდგომარეობის ხანისა, დეკადანსის. აქ პოეზია ხდება „სკანდალების“ ხელოვნებად, ისეთი ხალხის გამართობლათ, რომელთაც არავითარი მორალური იდეოლოგია არ ახასიათებს. სრულიად უნდა გავთავისუფლდეთ აგრეთვე იმ კონსერვატიზმისაგან, რომლითაც ნაწილობრივ შებოჭილია თანამედროვე შეგნება პოეზიის. უნდა მოინახოს ახალი რიტმი სიტყვის მოძრაობისთვის და ერთი წამითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართულ პოეზიას აქვს თავისი ცხოვრება, თავისი ისტორიული პროცესი. გასული წლის განმავლობაშიაც შფოთიანი საქართველო ოცნებობდა იმ დროზე: როდესაც მას შეეძლებოდა ცხოვრება პოეზიის უმძაფრესი ცხოვრებით, ამქვეყნიურ სიმდიდრედ ჩათვლიდა თავისსავე სულს და იქნებოდა დასახლებული მხოლოდ ღირსეულებით. ამნაირად იგი არ ეძებდა მას, რის მოპოვებაც შეუძლებელი იყო: ნამდვილი პოეტები იყვენ ხალხში და იცოდენ, წინასწარვე გაზომილი ქონდათ თავიანთი მიზნები, შედიოდენ რა ახალ ტაძარში, არ ცდიდენ მას, რაც დაც-

დილია, რასაც ამბობდენ სიტყვით, ასრულებდენ საქმითაც და ყველაფერი ნათლად ამტკიცებდა ასეთი გამოსვლის თანამედროვეობას. საუკუნე მომნიჭებულია მათთვის. ვინც მიდის ხალხში, საუკუნე გათენდა მათთან ერთად და მათთანვე ჩაესვენება.

ქართველ პოეტებს სწყუროდათ მსოფლიო ხელოვანთა შეერთება. სურდათ ემღერათ ხელოვნების მსოფლიო ინტერნაციონალი, რომ ამ კოსმოპოლიტური მესსივით წაეშალათ საზღვრები გუშინ და დღეს მეომარ ერთა შორის. ეხლა ეს მორიგ საკითხთაგანია.

ქართველ პოეტებს ისე, როგორც ყოველთვის, არც გასული წლის განმავლობაში აუღიათ უღირსთაგან გადმოსროლილი ხელთათმანი.

რადგან საუკუნეების განმავლობაში თვლიდენ სიამაყეს სიკვდილზე უმაღლესად, დიდებას ამა სოფლისას თვლიდენ ამაოებათ და ახსოვდათ მხოლოდ დიდება — მარადისი.

გალაკტიონ ტაბიძე

იმპრესიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი

იყო დრო, როცა ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთის კულტურათა უმეშველო გავლენას განიცდიდა.

იყო არაბული, სპარსული, ბიზანტიური ეპოქები ჩვენს მწერლობაში. ალექსანდრე ჭავჭავაძეს მოუხდა სპარსული ზონის დასრულება. მანვე მოასწრო რუსული ციკლის დაწყება ქართულს მწერლობაში, ეს ციკლი დაასრულა და ამონურა მისმა დიდმა სახლისკაცმა ილია ჭავჭავაძემ, თუმცა დღესაც არსებობს საქართველოში ერთი ფლანგი მწერლობისა, რომელიც რუსული ციკლის წარმომადგენლად ჩაითვლება, მაგრამ ილია ჭავჭავაძის სიკვდილიდან ახალი ეპოქა დაიწყო. როგორც კი ეს დიდი მუხა ქართული აზროვნებისა და მწერლობისა გრიალით წაიქცა, ჰორიზონტზე გამოჩნდა მთელი პლეადა ახალი თაობისა, აღზრდილი ძველ ნაცად ნიადაგზე, მაგრამ სავსებით ახალ მიმართულებით იმვერდა ხელებს ეს ნორჩი თაობა.

ეპოქას ხსნიან ალექსანდრე შანშიაშვილი და იოსებ გრიშაშვილი. ეს ორი ბრწყინვალე დიოსკური ქართული მწერლობისა. მათ შორის განმარტოებით სდგას გალაკტიონ ტაბიძე.

ა. შანშიაშვილი თავის იასონ და რენოთი ცდილობს განაახლოს უძველესი ტრადიცია ქართული ლიტერატურისა. გზა ძველ ჰელენისტურ სამყაროსკენ მავალი. ეს ძლიერი ცდა იყო, მაგრამ მის შემდეგ არავის გადაუდგამს ნაბიჯი ამ მიმართულებით.

ეს იყო მეოცე საუკუნის პირველ ათეულში. ამ ხანებში ევროპაში ბატონობს იმპრესიონიზმი, ანუ სვიმბოლიზმი. ომამდის ჩვენს ლიტერატურაში სვიმბოლიზმის გამოძახილი კანტი-კუნტად ისმოდა. ომი ისეთი დიდი კატასტროფა იყო ევროპიულ ადამიანობის ცხოვრებაში, რომ მან მთელი აზროვნება შეარყია და გეზი შეუცვალა მას.

ყოველ ეპოქას თავისი მმართველი იდეები მოეპოვება, ლიტერატურაც, რამდენად იგი ეპოქის სულისკვეთების გამომხატველია, უთუოდ მატარებელია ამ მმართველი იდეებისა.

იმპრესიონისტულ-სვიმბოლისტური ქროლვა ორი გზით მოდის საქართველოში, ერთი რუსეთით, მეორე ევროპით. იწყება ქართველ მწერალთა ღარიბობად წასვლა ევროპას. ეს აქამდის უჩვეულო ამბავი იყო. ხოლო უკანასკნელმა ხუთი წლის ომიანობამ საქართველო სრულიად მოსწყვიტა ევროპას, ახალი თაობის ლიტერატურას ამ ხნის განმავლობაში ახალი იდეების ნადენი არ მიუღია.

გასული საუკუნის მიწურულში ევროპაში, განსაკუთრებით საფრანგეთსა და გერმანიაში იმპრესიონიზმი-სვიმბოლიზმი უკვე ამარცხებს საბოლოოდ ნატურალიზმს. უკა-

ნასკნელს შეეცვლება ნეორეალიზმი. საფრანგეთში იმარჯვებს სვიმბოლიზმი, გერმანიაში ანალოგიურ ლიტერატურულ მიმდინარეობას ნეორომანტიზმს უწოდებენ. დასავლეთში ლიტერატურას იდეურად ფილოსოფია ჰკვებავდა მუდამ.

ნატურალიზმი თუ სპენსერის, ტენის და ვუნდტის მექანიკური ფილოსოფიით იკვებებოდა, ნეორომანტიზმს იდეურად ასაზრდოებდა ერთის მხრით არტურ შოპენჰაუერი, მეორეს მხრით ფრიდრიხ ნიცშე.

ჯერ კიდევ მეოთხმოდკაათე წლებიდან იწყება ახალი და ძლიერი ლაშქრობა ნატურალიზამისა და რეალიზმის წინააღმდეგ. ამ ლაშქრობის მთავარი სარდლებია: ნიცშე, დ'ანუნციო, იენს პეტერ იაკობსენ, ვერლენ, ბოდლერ, მალარმე, რემბო, ეს ევროპაში, ხოლო ლამანშს გადაღმა ოსკარ უაჟლდი. ყველა ამ ლიტერატურულ ლიდერებს ერთი რამ აერთებდა ეს იყო ბოდლერის: *L'horreur de la vie et l'extase de la vie*.

ნიცშესთვის ყველაფერი ბატონებისთვის, სულის არისტოკრატებისთვის, უნდა ყოფილიყო. სახელმწიფო, მორალი, ერი თუ ლიტერატურა. ყველა და ყველაფერი რჩეულთათვის. ამიტომაც სვიმბოლისტების ხელოვნება იყო ხელოვნება რჩეულთაგან — რჩეულთათვის. ასე რომ 20 წლის რემბო არაფერს წერს, რათა ადამიანების ჯოგს არ გაუმხილოს თავისი ვიზიონერული გამოცხადება. ეგოცენტრიზმი ხელოვნებაში, ეგოცენტრიზმი საზოგადოებრივ მორალში.

ამიერიდან ბუნება ღვთაებრივი სახელოსნო როდია, ასპარეზი დიადი და იღუმალის მისტერიებისა, არამედ ბუნება უსულო კონგლომერატია ძალთა და სტიქიონთა უაზრო, უსტილო და უსულო აბსურდი. ბუნება მტერია სულისა და კულტურისა. ამას ჰქადაგებენ საფრანგეთში ვერლენ, ბოდლერ, რემბო, გერმანიაში სტეფან გეორგე და მისი „ფურცლები ხელოვნებისათვის“. ნატურალიზმი ბუნებასთან ახლოს მისვლას, მისგან სწავლას გულისხმობდა, სვიმბოლიზმი ბუნებისგან განლტოლვას, ბუნებისგან სულობაში გაჭრას.

ნატურალიზმი ადამიანურ საზოგადოებაში ადამიანურ ცხოვრებას ეტრფოდა, სვიმბოლიზმისათვის ადამიანური საზოგადოება ღირსიც არ არის, რომ პოეტი მასში დაეტიოს, ამიტომაც სვიმბოლისტი მწერლები თავის ღირსებად სთვლიან, რომ ისინი როგორც საზოგადოებრივ, ცხოვრების კანონების ურჩნი ხშირად ციხეებისა და სულით ავადმყოფების თავშესაფარს ესტუმრებიან (მაგ. რემბო, ვერლენი, მოპასანი და სხ.).

ნატურალიზმი განსაზღვრული ერის ლანდშაფტსა და სულიერ ნივთს გამომხატველი იყო, ხოლო სვიმბოლიზმი ეკზოტიურ ლანდშაფტებსა და სივრცეს ელტვის.

ამ შკოლის მწერლებს ხელოვნური სამოთხეები აქვთ, ხელოვნური ბალები, ოსკარ უაჟლდის და სტეჰან გეორგეს — ოცნებით შექმნილნი.

ჰუესმანსის „A Rebours“-ში პოეტი ცბიერობს იღუმალ კოშკში, რომლის ერთი დარბაზი მორთულია ვით „გემის კაფეტა“. იქვე მოწყობილია საოცარი საკანი ბერისა, „აბზენტის ორლელით“.

სვიმბოლისტებისთვის ქვეყანა ორ შეურიგებელ ბანაკადაა გაპოხილი: ხელოვანნი და ფილისტერნი (ეს მცნება ფილისტერისა მათ ნასესხები აქვთ, ნოვალის-ტიკის რომანტულ ლექსიკონიდან!).

Tertium non datur!

ყველა ფილისტერია, ვინც ხელოვანი არაა!

აქამდის მწერალს მთელი ქვეყნის ტანჯვა ანუხებდა, ამიერიდან იგი მხოლოდ თავის თავს ჰხედავს. მას მხოლოდ თავის სულის ტკივილები ახსოვს.

ხელოვანი თავის თავს უწოდებს „ავადმყოფ ბავშვს“. ეს იყო *fin de siècle*.

დასასრული საუკუნისა.

„ჩვენა ვართ მგოსანნი დალუპვისა, მწუხრისა, დანთქმისა“. — ეუბნება ვერლენი რუდოლფ ლოტარს პარიზში.

მგოსანნი დეკადანსისა.

ცხოვრება დათრობა უნდა იქნას.

დათრობა და დატკობა, ამ კულტს საუკეთესო გამომხატველი გაუჩნდა დ'ანუნციოს სახით. დ'ანუნციო ისეთივე ლოთია სიტყვისა და აბზენტისა, როგორც იყვნენ მისი ფრანგი თანამოკალმეები; აღზრდილი ვაგნერზე და ნიცშეზე დ'ანუნციო თვალსაჩინო გამომხატველია სიტყვისა და გრძნობის ლოთობის პოეზიაში.

სიტყვის ლოთობა და სიტყვის კულტი!

ამიერიდან სიტყვა და მისი ფორმაა შემოქმედების უკანასკნელი კოლუმბიადის თვითმიზანი.

დ'ანუნციოს ენა მართლაც და საოცარი სინტეზია მუსიკის, პლასტიკისა და ფერადის. იგი თქმაში და ფერადში ეჯიბრება თავის სახელოვან თანამემამულეებს — ტიცინანს, რაფაელს და კორეჯიოს, მუსიკა მისი მათრობელი სიტყვებისა თავისი ვულკანიური სიმძიმით და მოქნევით კვალ და კვალ მისდევს მის შეუდარებელ გერმანელ მანესტროს რიჰარდ ვაგნერის მუსიკას. სკანდინავიაში ამ მოძრაობას ძლიერი მოლაშქრე უჩნდება იენს პეტერ იაკობსენის სახით.

მთელი ამ თაობის აღსარება იყო ვერლენის:

De la musique avant tout chose...

Fin de siècle! აღსასრული საუკუნისა და დეკადანსი. ასე გრძნობს ყოველი ავადმყოფი თაობა. მაგრამ ავადმყოფობა ხშირად ცხოვრების სიტკობებს მოაწყურვებს ადამიანს. ავადმყოფობის შემდეგ ხშირად ადამიანი მეორე უკიდურესობას ხვდება, რადგანაც როგორც პიროვნებას, ისე მთელ თაობას არ შეუძლია ერთ განსაზღვრულ სულიერ პოზაში, ერთ განსაკუთრებულ მდგომარეობაში დარჩენა. ასეთია ადამიანის სულისა და მსოფლიო დინამიკის კანონი. თუ ნიცშეს მსოფლიო და ცხოვრება „ყინულოვანი უდაბნო“ იყო, ი. რომენი სწერს თავის Manuel de deifications, აქ ხდება განღმერთება ადამიანისა და სამყაროსი. ახალი ჰიმნი სიცოცხლემოსილ ადამიანისა და ღმერთშემოსილ ცხოვრებისადმი.

სვიმბოლიზმმა დიდი სამსახური გაუწია მწერლობას ფორმის დასრულებით. ყოველი სტიქიონური მოძრაობა უკიდურესობას, ექსტრემალობას ეტრფის. ყოველ იდეის გამარჯვებაშივე დაცულია მისი საწინააღმდეგო მოძრაობის გამომწვევი პირველქალა. რადგანაც აზროვნება გოეთესებური ოქროს გველია, რომელსაც ხელის მოვლებას ვერ მოასწრებ და ხელიდან გისხლტება. დღევანდელ ადამიანობისთვის საქმე წელთა სიმრავლეში როდია, არამედ განცდის ინტენსივობაში, ამიტომაც თანამედროვე სულობა განუწყვეტელ ფორმის მეტამორფოზას განიცდის.

საერთოდ სვიმბოლიზმი აღიზარდა ევროპიული კაპიტალიზმის იმ ეპოქაში, როცა სულს უმოძრაო დაობება ელოდა. დაიწყო ომი თავისი ძლიერი ტკივილებით, თავისი ენორმული განცდებით და სისხლის წვიმებით.

ერთის დაჰკვრით შეირყა და შეიცვალა ფორმატი და ჩარჩო თანამედროვე მსოფლიოს სურათისა. თავისთავად ცხადია ეს მომენტი ძალოვან გავლენას მოახდენდა თანამედროვე ხელოვნებაზედაც.

მსოფლიო სურათის და მსოფლიოს განცდის უზომო და უეცრად გაზდასთან იმპრესიონისტული-სვიმბოლისტური ხელოვნება, ასეთივე დიდი პანორამა როდია, არამედ პატარა და ნაზი ნაუანსებით მოჩითული მოზაიკა.

იმპრესიონიზმის უკანასკნელი თავმესაფარი გახდა ალოგიური, ნახტომებიანი ფუტურიზმი, რომელიც თავის უტოპისტურ თეორიებით ესთეტიურ აბსურდამდის მივიდა.

საფრანგეთში ჯერ კიდევ 910-14 წლებში საგრძნობი ხდება რენესანსური მისტიურ რელიგიური ტენდენცია, როგორც აზროვნებაში, ისე პოეზიაში.

ნიცმეს მონაფე — ანრი ბერგსონი ხდება ახალი თაობის იდეური დირიჟორი, რომლის მოძღვრება ინტუიტიური ძალის გამოცხადებაზე, ერთგვარ სახარებად ხდება უახლოესი თაობისათვის. თუ სვიმბოლისტური ხელოვნება და ხელოვნური შემოქმედება უაღრესად ეგოცენტრიული იყო, ახალი თაობა, რომელსაც გერმანიაში აქტივისტები ანუ ექსპრესიონისტები უწოდეს, უაღრესად კოსმოცენტრიულია. სვიმბოლისტებისთვის „მეობა“ იყო საზომი სამყაროვსა. ექსპრესიონისტებისათვის უკუღმა, კოსმოსია საზომი მეობისა, სვიმბოლიზმი უაღრესად პასიურობას გულისხმობდა, ექსპრესიონიზმი მოძრავი ყოფის ტრფიალს. ამ ახალმა პანდინამისტურმა ხელოვნებამ უნდა გადვას ხიდი კოსმიურსა და ინდივიდუალურს, მესა და არა მეს, პიროვნებასა და სამყაროს შორის. უნდა მოიძებნოს ახალი საშვალეობა პიროვნებასა და კოსმიურობას შორის ჰარმონიულ დამოკიდებულების აღსადგენად.

ძველი თაობა, თაობა ვერლენისა და დ'ანუნციოსი, თაობა იაკობსენისა და ბოდლერის, უაღრესად ეროტიული თაობა იყო, ეროსი იყო უმთავრესი სერაფიმი მათი „ინტერიორის“.

სვიმბოლისტური თაობა აღვირახსნილი იყო ყოველივე ეთიურ არტახებისაგან. ახალი თაობა აეროტიულია, მისი ხელოვნება ეთიური და როგორც ასეთი, უსათუოდ მეტაფიზიკური. სვიმბოლისტურ ხელოვანისათვის თვითდატკბობა ეს ერთი თვითმიზანთაგანია შემოქმედ პიროვნებისათვის, ახალი თაობა უარყოფს ამ თავაშვებულ ჰედონიზმს ძველი ესთეტიკისას. ამ გზით ეს თაობა უარს ამბობს ძველი ყალიბის ყოყლოჩინა, მანია გრანდიოზათი შეპყრობილ ესთეტიკაზე. ახალი თაობა აეროტიულია იმ მხრით, რომ იგი ეროტიულ მომენტში ვერა ჰხედავს ყოველის შემცველ ძალას, არამედ ერთს, ყოველ შემთხვევაში მეორე რანგის ფენომენს კოსმიურ ფენომენთა შორის.

ექსპრესიონისტებისათვის სამყარო უზარმაზარი და ვრცელი ლანდშაფტია, რომელიც ღმერთმა ჩვენ კაცთა მოგვცა.

სვიმბოლიზმი უარყოფდა ყოველივე რეალობას და ამ ხელოვნებაში შემომქმედი აბსურდულ ქიმერებს აფარებს თავს.

ექსპრესიონისტებისთვის სამყარო და ბუნება ერთი დიდი და მისტიური გამოცხადებაა. აქედან: ხელოვნება უნდა იყოს ვიზიონერული.

ჩვენ რეალობა როდი უნდა უარვყოთ, არამედ ჩვენ უნდა შევქმნათ უფრო ძლიერი რეალობა ვიდრე ყოველივე მოცემული რეალობა.

ამგვარად ექსპრესიონიზმი ხელოვანისათვის სივრცეც ვიზიონერული ფასადია სულობისა.

იგი როდი ხედავს ამ სანახაობას, არამედ სჭვრეტს მას. იგი როდი ხატავს მას, არამედ განიცდის. აქ მუშაობა რეპროდუქტიული როდია, არამედ ფორმად ქმნა და განსახიერება. ამ ხელოვნებისთვის არ არსებობს ფაქტები, როგორც იყვნენ ნატურალიზმისათვის: ქარხნები, მუშები, დაზგები, ქუჩები, დიდი ქალაქის კოკოტები. ფაქტებს იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც შემოქმედი მათ ჩრდილთა გადაღმა სჭვრეტს ყოველ მათგანის ვიზიონერულ სახეს, მათ ნამდვილ პირველიდეას.

ექსპრესიონისტი კოკოტებში მათ მარად ადამიანურ სახეობას სჭვრეტს, ფაბრიკებში მათ ღვთაებრივს. მისთვის არ არსებობს რჩეული და ყოველდღიური, პერსპექტივა და დეტალი, რადგანაც ყველა და ყველაფერი ბოლოს და ბოლოს ერთი დეტალია იმ დიდი ღვთაებრივი პანორამის, რომელსაც სამყარო უფლისა ეწოდება. ექსპრესიონისტი ხელოვანი ბოდლერივით ინდოეთში წასვლაზე როდი ოცნებობს, არამედ ყოველი დიდი ქალაქის მჭვარტილიანს ქარხანაშიაც მონახავს ძლიერსა და ღვთიურ მისტერიას, რადგანაც მის თვალებს გადაცლილი აქვს ის სიბრმავის აპკა, რომელიც თვალზე გადაკრული აქვთ ემპირიული სიბრმავით შეპყრობილ ადამიანებს.

ყველაფერი ღვთაებრივია ამ უთვალავ ფერებით მოცემულ სამყაროში. ყველაფერს აქვს ბოლოს და ბოლოს დამოკიდებულება და კავშირი ღვთაებრივთან.

არა უკიდურესი ფორმალიზმია ხელოვნება.

ელნაპერნკალი სულობისა და გრიგალი გრძნობისა ჰქმნიან ხელოვნურ გამოცხადებას. ხელოვნებასა და ღმერთობას შორის სულ ერთი ნაბიჯია.

ხელოვნების მიზნები ღვთაების კალთაში უნდა ვიგულოთ.

ექსპრესიონიზმი მარტოოდენ სტილისა და ტექნიკის საკითხი როდია, არამედ ახალი დიდი პრობლემაა სულობისა.

იგი არც თუ ნაციონალურია, ფრანგული ან გერმანული, არამედ ზენაციონალური, კოსმიური მოვლენაა.

ყოველ დროში ყოფილა ექსპრესიონიზმი. როკოკო, რენესანსი, გოტიკა, საბერძნეთი, ეგვიპტე, სპარსეთი. რადგან ექსპრესიონიზმი ხელოვნური ემანაციაა ღვთაებრივი სულობის. როგორც ასეთს, მას ყოველი კულტურა იცნობდა და შეიცავდა, რამდენადაც ყოველი დიდი სტილის კულტურა, დიდი სტილის რელიგიის პირმშო ყოფილა მარად. ექსპრესიონიზმი იყო ხალხების ყრმისებურ მითების ტიტინში, სადაც მოთხრობილია უბინო ჩასახვა ღმერთისა და სასწაული სულისა. ასე უპანიშადებში, მაჰაბარატაში, ჩინურ პოეზიაში, შექსპირში, შტრინდბერგში ჩრდილოს ედებში, ყველგან და ყოველ დროს.

ხოლო ამ ჟამად ეს მოძღვრება ევროპის უახლეს თაობას იპყრობს.

ყოველი ახალი სულიერი მოძრაობის შვაკი სტიქიონურია, ვიდრე იგი კალაპოტში ჩადგება.

ამიტომაც მის გაქანებისა და დენის საზღვრების წინასწარ შეტყობა ძნელია. როცა ეს მოხდება, როცა სულიერი მოძრაობის პროგრამა და რეცეპტი დაინერება, იგი უკვე მკვდარია, იგი უკვე ისეთივე გადასული სულობა გახდება, როგორც რომანტიზმი, რეალიზმი თუნდაც სვიმბოლიზმი, მაგრამ საქმეს არასოდეს პროგრამა და მიმართულება არა სწყვეტს. შეიძლება ძველი იმპრესიონისტი უფრო დიდი ხელოვანი იყოს, ვიდრე ახალი ექსპრესიონისტი. სიახლე მუდამ არ მოასწავებს სიკარგეს.

საქმეს ღმერთთან განდობილი ხელოვანის ძალა გადასწყვეტს მუდამ.

ძალა ღვთიურისა, ადამიანში გამოსახული, მხოლოდ ეს არის ძალა ხელოვნებისა.

კონია გამსახურდია

ნიკო ფიროსმანაშვილი

დასაწყისი პრიმიტივი და დასასრული სრულსახეობა. ასეთია მუდამ ხელოვნების გზები.

თანამედროვე ქართული მხატვრობა, ჯერჯერობით, პრიმიტიულია; და თუ არსებობს ჩვენში თითო ოროლა მხატვარი, რომელთაც შეუძლიათ შექმნა კლასიური სახეების, ამით არ დახასიათდება თანამედროვე ტიპიური ქართული მხატვრობა.

ერის ეპოქის საერთო კულტურული ნივოს დახასიათებას ჩვენ ვერ ვაკუთნებთ ერთს ან ორს ფენომენალურ მოვლენას, რომელთაც შეგნებით გაუსწრეს არსებულ საზოგადოებას.

როდესაც ჩვენ ვეძებთ მასალას ამა თუ იმ ხანის პორტრეტებისათვის, მის ასასახავათ, — ჩვენ უნდა უშუალოთ გადავიდეთ მათ თანამედროვეობაზე. და იქიდან შევქმნათ ის, რასაც ვეძებთ. ქართული ახალი მხატვრობის ტრადიცია მხოლოდ ახლა იწყება. და თუ ვილაპარაკებთ დღეს ქართულ მხატვრობაზე უნდა ვილაპარაკოთ მხატვარ ნიკო ფიროსმანაშვილზე, რომელიც ტიპიური წარმომადგენელია საქართველოს თანამედროვე პრიმიტიულ მხატვრული კულტურის, — მისმა გენიამ ამოანათა ღვინის სარდაფებიდან, როგორც ფენომენმა და გაქრა უკვალოდ.

თვით ცხოვრება ფიროსმანასი (როგორც მას ეძახიან), ჩვენ გვიხატავს ტრაგიზმით ავსილ სურათს ქართველი მხატვრისას და მის თანამედროვე, გემოვნება დაცემულ საზოგადოებისას. განა არ არის ტრაგედია საქართველოსი და მისი კულტურული დაქვეითების ის, რომ, ნიკო ფიროსმანაშვილი, გენიოსი მხატვარი — შემომქმედი, პოეტური ცეცხლით ანთებული, შემცნობელი და ამსახველი მისი ფსიხიურ და გარეგან მოვლენათა, ისე მოკვდეს და უკვალოთ დაიკარგოს, რომ დღეს მისი საფლავიც არვინ იცოდეს. აი, ეს არის ტრაგედია ხელოვნებისა კულტურულათ ჩამორჩენილ საქართველოსი.

ჩვენთვის დღეს ორი ერთნაირი ტრაგიული პორტრეტია: ფიროსმანა და საქართველო.

ბიოგრაფიული ცნობები დღემდე ნიკო ფიროსმანაშვილზე არავინ იცის გარდა იმისა, რომ ერთ დროს იგი კონდუქტორათ იყო. შემდეგ გახსნა სარძევე, — აქ იყო ის მოხალისე მხატვარი. შემდეგ გაკოტრდა — და მიყო ხელი „ვივესკების“ წერას. იყო კარგი მეგობარი თფილისელ სირაჯხანების. თავზეხელაღებული ლოთი. სურათებს ახატვინებდენ მიკიტნები. აძლევდენ ცოტა სასყიდელს და ასმევდენ ღვინოს (რასაკვირველია, მორიგებით) ურომლისოდ მისი მუშაობა და არსებობაც წარმოუდგენელი იყო.

მისი სურათები ტფილისში მოგზაურმა ფრანგებმა შემთხვევით ნახეს სამიკიტნოში. შეისყიდეს, წაიღეს პარიზში გამოფენაზე და იქაური პრესა ფიროსმანაშვილს ქებით იხსენიებს, როგორც საკუთარი მიმდინარეობის შემქმნელს და მემარცხენე ფრთის სიმაგრეს. ეს ამბავი საქართველოში უცნობი მხატვრის შესახებ პარიზიდან მოაქვთ ძმებს ზდანევიჩებს და ქართველი მოწინავე საზოგადოების ერთი პატარა ჯგუფი შემდეგ აკვირდება, რომ ქართველებს ტფილისში ერთი ნიჭიერი მხატვარი ჰყოლიათ, რომელსაც საფრანგეთში იცნობენ და სამშობლოში არა.

ამის შემდეგ იძიეს, მონახეს ის ერთი სახლის კიბის ქვეშ, სადაც მას დაედვა ბინა. აქ უხვად ეყარა ცარიელი არაყის ბოთლები და მისი საყვარელი ფერადები და შავი ფისტილოები. ამის შემდეგ იცნობს მას ჩვენი მოწინავე საზოგადოების ერთი პატარა ჯგუფი (თორემ სირაჯხანებში დიდი ხანია მას იცნობდენ როგორც „ლოთ მხატვარს“). ვერც ამ ჯგუფმა მოაშორა ფიროსმანა სამიკიტნოებს, რადგანაც მისი მუზა იქით უხმობდა. და მართლაც მთელი მისი შემოქმედებანი სამიკიტნოებში იყო დაგროვილი (დღესაც ბევრია).

917 თუ 18 წლის შემდეგ ფიროსმანა არვის უნახავს და დღესაც არ იცის მისი ასავალდასავალი მან, ვისაც ფიროსმანა აინტერესებს.

ასე სფინქსივით გამოუცნობელია ჩვენთვის მისი მოვლენა და მისი ყოფა.

ვინ იცის, ამ გზებზე ჩვენში რამდენი ფიროსმანები იღუპებიან.

შემოქმედება ფიროსმანასი არის წმინდა ხალხური და ქართული ხასიათის, როგორც სიუჟეტები, აგრეთვე ფერადები.

იგი, როგორც ნიჭიერი ხალხური პოეტი, მოხდენილი ფოკუსებით და ფერადებით მეტყველებს. პრიმიტიულია მისი შემოქმედება, როგორც ზოგიერთები უსაყვედურებენ მას, — მის სურათებში არა ჩანს ანატომია. ხშირად ირღვევა პროპორციაც, მაგრამ აქ პრიმიტივობა გენიალობის ორდენს ვერ წაართმევს ფიროსმანას.

ჩვენ ვიცნობთ პრიმიტივისტ ხელოვნებსაც, დაწყებული ძველი ეგვიპტიდან გათავებული საფრანგეთს ექსპრესიონისტებამდის — მართალია, პრიმიტიულია ფიროსმანას შემოქმედებაც, ხშირად თვითეული ტიპი უშნო და ულამაზოა, მაგრამ მთლიანი სურათი იმდენად ჯადოსნური მიმზიდველობით არის შექმნილი, რომ ძალაუნებურათ წაგართმევს ეს მუნჯი საგანი მხედველობას, თვალს არასოდეს არ მოწყინდება და არ იღლებს მისი ფერადებისა და სცენების ცქერით.

აი, აქ არის გენიალობა ფიროსმანასი, რომ მისი სურათები მუდამ რალაცა მიმზიდველ ჯადოთი ეთილისმება მაცქერალის პსიხიკას. ხშირათ ფიროსმანას სურათებში არ

არის რეალურ მოვლენათა ზომიერება, ხშირათ ისეთ რამეებსა ხატავს, რაც სინამდვილეში შეუძლებელია, მაგრამ ადამიანის წარმოდგენაში კი შესაძლებელია.

მისთვის სულ ერთია ყოველივე, თუ კი მის სურათებს დაამშვენებს და მაცქერალთა სულში ჩაიძირება; იგი არაფრის წინაშე არ დაიხვეს და გონებაში წარმოდგენილ სურათს ბავშური ფანტაზიით ხატავს, როგორც არის მისი აღდგომის ბატკანი და სხვა. აიღეთ მისი სურათი „ქორწილი სოფლად“, სადაც ერთ სურათზე გამოხატულია ქეიფთან შეერთებული ნადირობა, ცხენის ჯირითი, თონეში პურის ცხობა და სხვა. ან მისი „შავი ზღვა“, სადაც ზღვის გაღმით მოჩანს სახლები, ტყე, და ტყეში ისეთი ნადირობა მხეცებზე, რაც სინამდვილეში წარმოუდგენელია. ამ მხრით იგი სინამდვილეთა დარღვევაში და ფანტაზიათა გადავარდნაში ძალიანა ჰგავს მისთვის შორეულს და უცნობ ლიტველ მხატვარს ჩურლიანესს; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩურლიანესი კოსმიური იყო ფანტაზიაში გადავარდნისას, ფიროსმანა კი ხალხური. ფერადები ფიროსმანასი არის ნამდვილი ქართული: შავი, ყვითელი, წითელი, თეთრი. ის გარკვეული მცირე ფერები, რომლიდანაც მან შეათანხმა და შექმნა ლამაზ ჰარმონიად, რომლებიც მიუხედავად იმისა, ფერადი არ არის სუფთა და გამსჭვირვალე, ჩვენ მზერას იგი არ ეხამუშება და სიამით ვუცქერთ.

ფიროსმანას შემოქმედების განხილვას ეს პატარა წერილი ვერ დაიტევს და ჩვენ ვეცდებით შემდეგ უფრო ვრცლათ ვისაუბროთ მასზე.

ფიროსმანას მთელი სურათები დაწერილია შავ ფისტილოზე.

როგორც იტალიის რენესანსის დასაწყისის პრიმიტივისტი ჯიოტო (რომელიც ძალიან გავს ფიროსმანას) წინამორბედი იყო ალორძინების ხანის, რომლის შემდეგ იტალიის ფონზე გადაიშალა ის უჭკნობი და წარმტაცი ყვავილები, ჩვენ უნდა ვინამოთ: პრიმიტივისტი ფიროსმანას საქართველოში უცილოდ მოჰყვება რენესანსი ქართული მხატვრობისა.

ირაკლი ტოფაძე

ქართველი მხატვრები

უწინდელ ქართულ მხატვრობას, რომელიც გამოიხატება ძველ ფრესკებში, სახარებებში, აქვს თავისი ეროვნული სახე, სტილი.

რაც შეეხება თანამედროვე მხატვრობას დაწყებულ მე-80 წლებიდან დღემდის იგი უშუალო დამონებულ ერის უგზო-უკვლო გამოძახილია ჯერ რუსეთის და შემდეგ ევროპის ზედაპირულ გავლენის. ძველი ქართული მხატვრობის კვლევა-ძიების საქმე არ იყო დაწყებული და მცირე რიცხვი ქართველი მხატვრებისა, მოკლებულნი ეროვნულ ნიადაგს, მაინც მუშაობდნენ. რაც მათ შეჰქმნეს — ეს მხოლოდ საკუთარი ნიჭით.

მხატვრობის შეგნებისათვის ჩვენი ინტელიგენცია მოუმზადებელია ეხლაც და მაშინ, მე-20 საუკუნის დაწყებამდის თითქმის არავინ იყო ამისათვის მომზადებული მაშინ და მეტი წილი ეხლაც მხატვრობას აფასებენ იმდენად, რამდენადაც მათთვის გასაგებია შინაარსი. ასეთმა გარემოებამ ძალიან ჩამოაშორა ქართული მხატვრობა ტენნიკურ და წმინდა ხელოვნურ განვითარებას.

მაგრამ მიუხედავად ამისა ქართველი მხატვრების სასახელოდ მოიპოვება რამოდენიმე ნაწარმოები ყოველ მხრივ სრული და დამთავრებული. მე ამ წერილში ძალიან მოკლეთ დავახსიანებ ქართველ მხატვრებს.

პირველად გამოსულ მხატვართა შორის იყვენ: გველესიანი, ბერიძე, გაბაშვილი, მრეველიშვილი და მოსე თოიძე. უკანასკნელის შესახებ სხვა იტყვის თავის აზრს.

გველესიანს ახასიათებდა იმ დროის მიმართულების აკადემიური ეტიუდები, რომლებშიც სჩანდა უტყუარი ნიჭი და დიდ იმედებს იძლეოდა, მაგრამ სრულიად ახალგაზრდა უდროოდ გარდაიცვალა. ბერიძე, რომელიც ჩამოვიდა იტალიიდან, დაიწყო ხალისიან ფერებით ფართო მანერით ეტიუდების ხატვა, მუშაობდა ხუთ-ექვს ნელინადს გატაცებული, დახატა ძველი ქართული თეატრის ფარდა, რომელიც ძლიერი იყო ფერების მხრივ და შინაარსითაც საინტერესო: ქართველი ქალები სალხინოდ გამოსულნი. სამწუხაროდ, ფარდა დაიკარგა. აგრეთვე მცხეთაში კერამიკის საქმის მხატვრულ განვითარებას შეუდგა, მაგრამ სილარიბის და ყველასაგან უყურადღებობის გამო იძულებული იყო მოეტყუებინა ყველაფერი და მასწავლებლად წასულიყო, გადაიყვანეს კავკავში და ოცი წელიწადია, აღარავის არ უნახავს არც თვით მხატვარი, არც მისი ნაწარმოები. როგორც შევიტყუეთ, ორი ნელინადია, რაც გარდაიცვალა.

გაბაშვილი ძალიან ნიჭიერი მხატვარია. იყო დრო, როდესაც მთელ თბილისში ქართველთა და ყველა ეროვნების მხატვართა შორისაც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა და ყველა მოელოდა მის ახალ-ახალ ნაწარმოებს. მისი სურათი „ძველი მოქალაქეები“ დიდებულია ყოველ მხრივ. ძალიან ცოცხლად ხატავდა დუქან-ბაზარს აკვარელით, მხოლოდ უკანასკნელად დაიწყო სამარკანდის მოტივების ხატვა, რის შემდეგაც ძალიან დაეტყო მხატვრების ვერეშჩაგინის და რუბოს გავლენა, მის საღ ფერებს შეერია უმარილივით თეთრი ფერი და სუსტ ადგილებს ბოლის მსგავსი ბუნდი მიაფარა. მრევლიშვილმა გაათავა მოსკოვის სამხატვრო სასწავლებელი, მოიარა ევროპა და ჟიულიანის აკადემიაშიც სწავლობდა სამ ნელინადს. მას ახასიათებენ სურათები სოფლის ცხოვრებიდან. ტეხნიკური მხარე სუსტობს. ხატვა მისი მუდმივი საქმე არ იყო. იშვიათად, როცა გუნებაზე იყო, მაშინ ხატავდა. ამ სამი წლის წინად ქართულ ეროვნულ გამოფენაზე იყო მისი დიდი სურათი „მეფე ირაკლი“, სადაც ფსიხოლოგიური მხარე კარგი იყო, მაგრამ მოხაზულობა, სიმტკიცე ფორმისა ვერ იყო დამაკმაყოფილებელი.

ნიჭს არ ახლდა მედგარი ბრძოლის უნარი.

შემდეგ გამოვიდა მთელი რიგი ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვრების, რომელთა შორისაც იყვენ: ციმაკურიძე, ხმალაძე, სიღამონ-ერისთავი, გრ. მესხი, გუდიაშვილი, კაკაბაძე, ქიქოძე, თოიძე, ირ. გველესიანი, თავაძე, ელ. ახვლედიანი და სხვ.

მათ შორის მე დავახასიათებ სამ მხატვარს, რომელთა სახე უფრო გამორკვეულია; ესენი არიან: ლადო გუდიაშვილი, ირაკლი თოიძე და დავით კაკაბაძე. გუდიაშვილი ნიჭიერი დეკადენტი, მის ნაწარმოებში ძველი ქართული ფრესკების გავლენით, ფუტურიზმი ქართულ ხასიათს იღებს.

ირაკლი თოიძე, რომელიც მხატვარის სუდეიკინის სიტყვით, ქართველი ერის გენიაა, ყველაზედ ღრმად სწვდება ეროვნულ სულს და აყალიბებს კლასიკურ ფორმებში. ჩემი პირადი აზრი სხვაა და თავს ვიკავებ.

კაკაბაძე, როგორც მრავალ ფეროვანი ტეხნიკის ოსტატი და მეცნიერი, საყურადღებოა.

ბოლო დროს გამოვიდნენ კიდევ რამოდენიმე ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრები, რომელთა შორის ყურადღებას იქცევენ: გამრეკელი, ჯაფარიძე და განსაკუთრებით გოცირიძე, რომლის სურათები ტეხნიკურად დამუშავებული, უაღრესად მოდერნისტულია და იმავე დროს ქართული ხასიათის მატარებელი.

ვათავებ რა ქართველ მხატვართა მოკლე დახასიათებას, მოვიხსენებ ერთ ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვარს, როგორც შევიტყუეთ, სამწუხაროდ, ფრაიბურგში გარდაცვლილს, შალვა ქიქოძეს. დიდი ყურადღების ღირსია მისი დამახასიათებელი შარყები და ეტიუდები.

ბიბლიობრაფია

„ხომალდი“ 1921 წლ. დეკემბერი. წიგნი პირველი. ჟურნალი იხსნება ს. აბაშელის „შორეული ნაპირით“. ლექსში ფოლადის წკრიალი ისმის. სახეები ტროპიული ყვავილებით ვით ყელმოღერებულნი. რითმები ახალზე უახლესი. ამ სტრიქონებს მართლადაც სიღბო აქვს ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა. გარდაიცვალა ძველი ზღაპარი და ანგელოზივით ძირს დაიხრება ოცნება, სულის ნაზი მხლებელი და დამშვიდებულ გულში იღვრება მოგონებათა ნელსაცხებელი. პოეტი აქ თავის ნაზ მხლებლის იდუმალ ჩურჩულში ჰპოულობს ერთგვარ რეზიგნაციას.

მესამე ლექსში ახალი ელემენტი შემოჭრილა. მისტიურ-რელიგიური, — ეს ელემენტი უჩვევია აბაშელის პოეზიისათვის. პოეზია მოგონებაა სულისა ღვთივსახიერი ყოფნის, „ამ დროს ეკუთვნის კურთხევა ჩემი და მოგონება უძვირფასესი“.

ლექსი მეოთხე. პოეტი გრძნობს თავის სულში მიმომავალს ვიღაც უცნობს. სული ერთ მთლიან და შემარიგებელ რეზიგნაციით დაოკებული, შორს მიჰყავს ისევ „ბედის საშიშ ქარებს“. მაგრამ „არ არის კარი, უნდა დაიწვას საკანი ძველი. და მოვარდება მზის ნიაღვარი და გარდარეცხა ათასი წელი“. „ო, რა ჩქარია მწველი და მკაცრი დროთა საზღვარზე შემოლამება...“

სული პოეტისა ისევ ახალ რეზიგნაციას პოულობს. სული პოეტისა ცეცხლზე და დროზე უძლიერესი და ფოლადზე უმკვიდრესი ისევ ახალ გათენებას ეტრფის და მისი სული რექვიუმს მოუთხრობს ძველ ქვეყანას. აქ ძლიერი შეგნებაა ძველი სამყაროს დაღუპვისა. პოეტს ცალი ფეხი ამ ძველ სამყაროში აქვს და მას არ შეუძლია უნაღვლეღად გამოეთხოვოს ამ ძველ სამყაროს და ილენება ბორკილთან ერთად წარსულ დიდების თეთრი სვეტები. ასე გრძნობს ს. აბაშელი მსოფლიო მეტომორფოზას. ასე გრძნობს მგოსანი კოსმიურობისა.

მაგრამ სხვა ცეცხლიც სწვავს მის სულს.

მის ბაგეზე დაჰფარფატებს ერის ნაღველის ორი სახელი „კრწანისის ველი და თებერვალი“. ორი დიდი უფსკრული რომელთა გაღმა იწყება ეპოქა ცრემლისა და ბორკილების ლესვისა.

ერი, ტანჯვის ჩირაღდანით განათებული. საქართველო ტანჯვისა და ცეცხლის ელიპსზე, ჟამთა სივრცეში გაქანებული. სად ბრძოლის რაინდებს მიუვალი გზის ახმაურება უყვართ. სადაც სძულთ ნაძირალის სული ნაყიდი და გაყიდილი. სად გზას იკაფავს ნათელ სპირალით ახალი ძველთან გადახიდილი.

ლექსი ეპიკური გამონმაურებაა მთელი იმ იმედებისა და ტკივილებისა, რომელნიც გვალეღვებენ ჩვენ როგორც მსოფლიოს და საქართველოს შვილთ. იგი ჭეშმარიტად ცივ ბრინჯაოს ჩარჩოა. აბაშელი ერთი უძლიერესი წარმომადგენელთაგანია ფრთიანი ფოლადის ლექსით მეტყველი თაობისა.

მისი ემპედოკლესებური გადასვლა ახალ ეპიურ ვიზიონერობაში ჩვენ სულს ახარებს. მაშ, უსურვოთ მას ბრწყინვალე მომავალი.

ახალ გზებს ეძებს ახალგაზრდა ვარდოშვილი.

„და მოდის რაზმი ტკბილ მიზნებისკენ გამარჯვებიდან გამარჯვებამდის“. თვალსაჩინო პროგრესს აკეთებს ობოლი მუშა.

ვ. რუხაძე მაინც ბორკილების ლენვისკენ მოგვიხმობს. იგი არ ლალატობს მებრძოლი თაობის მეთაურის ტრადიციებს.

პოეტი ტუქსიშვილი უნდა მოსცილდეს ხალხური პოეზიის პრიმიტიულ სახეებს. ჩვენში ვაჟა არაა დაფასებული, თორემ ტუქსიშვილი მიხვდებოდა, სად თავდება სფერო ხალხური პოეზიისა და სად იწყება გზა ინდივიდუალურ ხელოვნური შემოქმედებისა.

ცნობილი მწერლის ლეო ქიაჩელის მოთხრობა „შეურაცხყოფა“ მისი უკანასკნელი ეპოქის პირმშო არაა.

ლეო ქიაჩელი რეალისტურ წერის მანერაზე უფრო შორს წავიდა. მისი ახალი გზა არის დარღვევა „რეალური“ რეალობის და ახალი უფრო მკვიდრი და გამძლე რეალობის შექმნა.

კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს დემნა შენგელაიას „დედოფალა მია“.

რომანტიკა ცისფერ თვალბიანი. ვფიქრობ ნეორომანტიული ქროლვა, რომელიც დაინყო ნ. ლორთქიფანიძით, ქართულს პროზაში, თავის ეტლს აგრძელებს დემნა შენგელაიას მინანქარის სტრიქონებით. იგი ცალი თვალით „ღამეს უცქერის უბეში“, ცალითაც ეთერულ ღმერთის ბრწყინვალეობას უსწორებს თვალს. ვნახოთ „ხომალდის“ შემდეგი ნომრები...

კ. გ.

ხელოვნების მათიანი

საქართველო

სალიტერატურო ხუთშაბათები. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივით დაწესდა სალიტერატურო ხუთშაბათები. უკვე შესდგა შემდეგი ხუთშაბათები: 1. კონია გამსახურდია: სტეფან გეორგე. 2. ლეო ქიაჩელი: ქართული მწერლობის გზები და მიზნები. 3. კონია გამსახურდია: თომას მანი. 4. აკაკი შანიძე: ქართული კრიპტოგრაფია. ილია ნაკაშიძე: ეროვნული შემოქმედება. 5. კოკი აბაშიძე: ტრალიკული მხარეები ქართული შემოქმედებისა. 6. დ. უზნაძე: ნიკო ბარათაშვილი.

ეროვნული სამხატვრო გალერეია. დაარსებულია 1920 წლის 30 მარტის დამფუძნებელ კრების დეკრეტით. მიზანი: ძველი ქართული და ევროპის მხატვრული სურათების შექმნა, მეცნიერულად შესწავლა და მუზეუმის მოწყობა. ამავე წელს ამ მიზნისათვის მოენყო გამოფენა და მთავრობის მიერ შექმნილ იქნა თვალსაჩინო სურათები, მოხდა აგრეთვე სხვა და სხვა მუზეუმთა კონცეფტრაცია.

საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნილ იქნა რამოდენიმე კოლექცია და გალერეასთან ერთად დაარსდა მხატვრული ბიბლიოთეკა. მოკლე ხანში დასრულდება კლასიფიკაცია სურათებისა, რის შემდეგ გაიმართება გამოფენა.

გალერეას ხელმძღვანელობს დამაარსებელი და ორგანიზატორი დიმიტრი შევარდნაძე.

აკაკი წერეთლის სახლი. დ. საჩხერის რეგკომის თავმჯდომარეს განუზრახავს აკაკის სახლში, რომელშიაც დაცულია მგოსნის მთელი ქონება, ჩაასახლოს რკინის გზის მუშები. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა კომისარიატის წინაშე დაცულ იქნეს პოეტის ქონება და ბინა, როგორც ქართველი ერის საისტორიო ღირებულება.

აკაკი წერეთლის ანდერძი. აკაკიმ მთელი თვისი ადგილ-მამული უანდერძა ქართველ საზოგადოებას სამეურნეო შკოლის გასახსნელად. ანდერძი დღემდის არ არის სისრულეში მოყვანილი. აკაკის მოურავი კოტე აბდუშელიშვილი ამავე მიზნით სწირავს მთელ თავის ქონებას, ოღონდ აკაკის ანდერძი იქნას შესრულებული. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე აკაკის ანდერძის სისრულეში მოსაყვანად.

მხატვართა სექციაში. ხელოვანთა მთავარ კომიტეტთან არსებულმა მხატვართა სექციამ დაადგინა გახსნას სამხატვრო სტუდია.

სურათების გამოფენა. იანვარში გაიმართება მხატვრების მოსე, ირაკლი, გოგა და ნინო თოიძეების სურათების გამოფენა. გამოფენილი იქნება ამ ზაფხულს გურიაში ნამუშავარი და უკანასკნელი ნახატები.

„ქიმერიონი“. მწერალთა კავშირის საბჭოსაგან იჯარით აიღეს „ქიმერიონი“ ტიცინ ტაბიძემ და ნ. მინიშვილმა.

უცხოეთი

ნობელის პრემია. უკანასკნელი ნობელის პრემია, როგორც ფრანგული გაზეთები იუწყებიან, მიუღია საფრანგეთის დიდ რომანისტს ანატოლ ფრანსს. ფრანსი ამჟამად 77 წლისაა.

პლატონიური აკადემია დარმშტატში. ცნობილმა ახალგაზდა გერმანელმა ფილოსოფოსმა გრაფ ჰერმან ფონ კაიზერლინგმა, რომელმაც 1918-19 წლებში გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი თხზულებანი „ფილოსოფია ვითარცა ხელოვნება“ და „სამგზავრო დღიური ფილოსოფოსისა“ დააარსა დარმშტატში პლატონიური აკადემია. გაიხსნა გასულ სექტემბერში. აკადემიის მოხსენებათა პირველი სერია ასეთი იყო: გრაფ კაიზერლინგი: „რა გვინდა“, „ჩვენი გზა“, „ჩვენი მიზანი“. ერვინ რუსსელე: ბუდისტური, დასავლური და ორიფიული მეტამორფოზები. რიჰარდ ვილჰელმ: ჩინური სიბრძნეთა წიგნი: მეტამორფოზები.

რაბინდრანათ ტაგორე ევროპაში. ტაგორე ამ ზაფხულს ეწვია გერმანიას. მან ბერლინის უნივერსიტეტში წაიკითხა ერთი თავისი ახალი პოემა და წარმოსთქვა სიტყვა: „სიჭაბუკე“. ტაგორეს დიდი ოვაციები გაუმართა დამსწრე საზოგადოებამ. ბერლინიდან ტაგორე ეწვია გრაფ კაიზერლინგს დარმშტატში.

ბოკაჩიოს ნეშტი. ფლორენციის მახლობლად კერტალდოში ერთ სახლის ფუნდამენტში იპოვნეს იტალიელი მწერლის ბოკაჩიოს ნეშტი. (+1395) ასევე სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს დანტეს ნეშტიც ერთ დროს.

ახალი რომანები. გერმანელმა მწერალმა ქალმა რიკარდა ჰუხმა, რომელიც ცნობილია თავისი ისტორიული რომანებით, გამოაქვეყნა სერია ახალი რომანებისა: რომის დაცვა და ბრძოლა რომისთვის.

დოსტოევსკის შესახებ. შვეიცარიის გაზეთებში გამოქვეყნდა რუსის მწერლის თედორე დოსტოევსკის ქალიშვილის ლიუბოვ დოსტოევსკის ასულის წერილები, სადაც იგი ამტკიცებს, რომ მამა მისი რუსი არ ყოფილა, რომ მათი გვარი ლატვიური მოდგმისაა და არც მას სურს, რუსად იქნეს ჩათვლილი, ამიტომაც თავის რუსულ სახელს ლიუბოვს ამიერიდან სცვლის ფრანგულ „ემედ“.

დანტეს გარშემო. სექტემბრის ოცს, იტალიის გაერთიანების დღესასწაულს დაერთო დანტეს დღესასწაული. ამ დღეს მთელი იტალია იგონებდა დანტეს, როგორც მსოფლიო მონარქიის იდეოლოგსა და დიდ ნაციონალურ პოეტს. ამ შემთხვევისთვის იტალიის საფოსტო უწყებამ გამოაქვეყნა სერია დანტეს მარკებისა. ამ მარკებს აწერია S. N. D. A. Società Nazionale Dante Alighieri (დანტე ალიგიერის ნაციონალური საზოგადოება). ამ მარკების შემოსავალი მოხმარდება დანტეს სახელობის საზოგადოების ფინანსიურად გაძლიერების საქმეს.

გერჰარტ ჰაუპტმანი ვენაში. ვენას ესტუმრა გერმ. მწერალი გერჰარტ ჰაუპტმანი ნოემბრის 12-ს რესპუბლიკის მთავრობა და ხალხი დიდის ოვაციებით შეეგება მწერალს. იმავ საღამოს ბურგის თეატრში დაიდგა მისი ახალი პიესა „და პიპა ცეკვავს“.

გოეთეს ახალი პოემა. ერთმა გერმანელმა ფილოლოგმა იპოვნა პოემა „იოსები“, რომელსაც გოეთეს აწერენ. პოემა ესთეტიურის თვალსაზრისით არაფერს წარმოადგენს. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ეს 16 წლის გოეთეს უნდა დაეწერა. გოეთეს მემკვიდრეებმა უკვე განაცხადეს ამ ნაწერზე თავისი პრეტენზიები, თუმცა ფილოლოგიურ და ლიტერატურულ წრეებში ჯერაც არ დაბოლოებულა ცხარე კამათი ამ პოემის აუტენტიურობის შესახებ.

კარუზოს გარდაცვალება. იტალიანურ გაზეთების ცნობით, ნეაპოლში გარდაიცვალა ენრიკო კარუზო.

„ლომისი“. 1922. 8 იანვარი, №2

თათრის ქალი სუფსარქისში

შენმა ყაბარჩამ უცხო რანგი ვერ შეითვისა,
დადიხარ მუდამ სუფსარქისში, ჩემო ლამაზო,
ინახავ ნუმსა, რომ ლოცვებით შემოიკმაზო,
მაგრამ რად გიყვარს შენ, თათრის ქალს, ხატები სხვისა!
შენი კბილები მძივებია სუფსარქისისა,
თვალი — მაშხალა, ფეხი — ყანნი, ხმა — მუხამბაზი
შენს დასაპყრობად ალბათ მოვა კვლავ შახაბაზი,
რომ ტკბილის ნულლით ამოგივსოს მკერდი ქისისა.
როცა გიყურებ, შენი თვალი არ ტოკავს, არ თრთის,
ღვთის მშობლის წინ კი შენ ყვითლდები ვით დოში თართის,
ო, შენმა ჩადრმა გული ჩემი ორად გახია,
შევცქერ შენს წარბებს სახარების ნაშლილ სტრიქონებს,
შენ მგოსნებისგან მოგიმზადებ ჩემნაირ მონებს
და რაც მომივა, დე, მოვიდეს, ჩემზე ახია!

ი. გრიშაშვილი

პატარას

შენ კი მეტრფი, პატარავ, მაგრამ აბა რალა დროს,
ლამის სევდამ ეს სული ამოსწვას და დაღადროს,
ლამის კუბოდ გადმექცეს ზეციური თავანი,
ლამის მზეც კი დავწყევლო, მთვარის ავანჩავანი.
აღარა მაქვს სიციელქე, აღარა მაქვს ხალისი
და ლოთი ვარ ლექსისა, ლოთი შესაბრალისი...
ჩემი ძველი ალერსი დრომ თან გადაიყოლა,
დამივიწყე, პატარავ, „იყო არა-იყო რა!“
და დღეს, როცა ეს გული, გამოზრდილი თაფლითა,
მტრის შხამიან ბარდებმა დაგლიჯა და დაფლითა,
როცა სევდამ შეგრაგნა რუქა ჩემი სახისა
და მაშინებს სიჩუმე ჩემივე ოთახისა,
როცა გამოვეთხოვე ჩემს მეგობრებს, ჩემს მიზნებს,
ეხლა ვის რად ვუნდივარ, ეხლა ვინ შემინიზნებს.
ჩემი ძველი ალერსი დრომ თან გადაიყოლა,
დამივიწყე, პატარავ, „იყო-არა-იყო-რა!“
მაგონდება, ჩემს რითმებს როცა ვნება დაღლიდა,
ამ ქვეყნიურ სიყვარულს მოვუხმობდი მაღლიდან,

მაშინ თვალის ხავერდზე ნამი ჩუმად დნებოდა,
და ქვებიც კი, ღმერთმანი, ვარდათ მეჩვენებოდა,
სად იყავი შენ ამ დროს, საით იდუმალობდი,
ჩემ სიცილის ხეივანს რატომ არა სწყალობდი,
დღეს კი ჩემი ალერსი დრომ თან გადაიყოლა,
დამივიწყე, პატარავ, „იყო-არა იყო-რა!“

ი. გრიშაშვილი

რომანსერო

ალერსით ნათელით, თბილით
ნამტირალ თვალების ნამს
მოაშრობს. აინთვის დილით,
ჩაჰქრება მნუხრისა ჟამს.
კოშმარულ ღამისა მთევველს,
ეკლიან გზითა როს ხვალ
გჯერა, რომ შვებისა მძლევველს
მზე-დედას იხილავ ხვალ,
ტრფობითა ნარნარით, ჩვილით
მემზევა კაეშნის ნამს.
ერთმანეთს შევხვდით ჩვენ დილით,
განვშორდით მნუხრისა ჟამს...
ფითრდება ღამეცა ბნელი,
ამოდის მეუღლე ცის
იმავე ადგილზე ველი...
ამაოდ!.. არ მოვა ის!..

კ. მაყაშვილი

* * *

გამიშრნენ ცრემლები, გაქვავდნენ ფიქრები...
ნამქერში ვმარხავ მე სულს!
კაეშნის ლოდის ქვეშ კუბომდის ვიხრები...
არც მიყვარს... აღარცა მძულს!

უფსკრული... იქიდან ვილაცა მეძახის,
ვილაცა ჩემთვისა სტირს!..
და უკანასკნელი იმედი მესახვის:
მოვდივარ! ცისაკენ... ძირს!..

კ. მაყაშვილი

Panta Rei

ერთი და იგივე: მოდიან, მიდიან.
 შფოთავენ, იძენენ... ყველაფერს ჰკარგავენ!
 მაგრობენ მთებივით და ბენვზე ჰკიდიან,
 გონებას და გულსა სცლიან და... ჰკარგავენ.
 მირაჟთა სინათლე თავში რა დიდია,
 ბოლოში წყდიადი... არც გზა, არც ხიდია!..

კ. მაცაშვილი

1921 წლის გადაცვალებაზე

ჩვენ — ქარიშხლებით გულდასერილებს
 წაგვიღებს სადღაც დრო უნაპირო.
 და თვალდახუჭულ ბედის წერილებს
 გააფრენს რაში უუნაგო.

მსუბუქ ნისლივით გაჰქრება ცაში
 ოცნება, ტანჯვა და იმედები.
 და ჩვენი სულიც დათვრება მაშინ,
 როცა იმღერებს გლოვას გედები.

და ვით თმათეთრი წმინდა ბასილე
 მოგონებებით დავიტვირთებით,
 თუ საზღვარს როგორ გადავაცილეთ
 და ვზიდეთ ჯვარი დაჭრილ თითებით.

საუკუნეთა მთელმა ცოდვებმა
 ჩვენს ქედზე უღვთოდ გადაიარა.
 და გულგაჩეხილ ერის გოდება
 სულმა წამებით გაიზიარა.

ჩვენ სიჭაბუკეც არ გვლირსებია,
 ადრე დაგვჩხავლა ყვავმა ბედითმა.
 ჩვენის სიცოდვით აივსებთან,
 თუ ველარ შესძლეს წლებმა მეტი თქმა.

ჩვენ გვეძახოდა ხმა შორეული,
 როგორც ოცნების ნაზი ღიმილი.
 და დაგვრჩა მხოლოდ ღამე წყეული,
 გედების გლოვა და სამძიმილი.

ამ უდაბნოში უკვდავებისთვის
 უკანასკნელად სული ენთება.
 და ვიტანჯებით ციურ ხმებისთვის:
 ოდესმე სადმე გაგვითენდება.

ნამების ჯვარით წელში მოხრილებს
გვაფარებს რიდეს დრო უნაპირო.
და მოგონებით თეთრად მოსილებს
მიგვაფრენს რაში უუნაგირო.

ობოლი მუშა

რკინის კანონი

(რითმა ნაკლები)

ეს საუკუნე ფოლადის მკერდით
და მოელვარე რკინის თვალეებით, —
ამბოხებათა ცეცხლის ტალ-კვესი, —
მოფრინავს ჩვენსკენ წითელი რაშით,
რომ ძველ ქვეყანას აუგოს წესი.
გუგუნებს ალი კიდით კიდემდე,
ზანზარებს მიწა, ირყევა ზეცა
და ეკარგებათ ძველ ღმერთებს ფასი,
დღემდე ჩვენს გულში რომ ედგათ ტახტი, —
და ინერება ახალი მრწამსი.
არის ჭიდილი ორ ქვეყნის შორის
დაუნდობელი და საშინელი
ურთერთს მუსრავენ ადამის ძენი
და სისხლის სუნით გაჟღენთილია
ჰაერი, მიწა — სამყარო ჩვენი.
ახლოა წამი საბედისწერო
და მის წინაშე კაცის გონება,
ვით საფლავის წინ, თრთის და კანკალებს,
ეჭვთა ბრჭყალებში გამომწყვდეული,
თითქო წააწყდა შავბნელ ნაპრალებს.
ცხოვრება კი სდგას, წინ მიისწრაფის,
ისმის გრიალი მძვინვარ ტალღათა
და ბრძანებს: „თქვენ, ჰე! ვისაც გშურთ შველა,
ჩქარის ნაბიჯით იარეთ წინ-წინ:
წინ სინათლეა, უკან კი ბნელა!“
და ჩვენც მივდივართ. საით, ან ვისთან, —
არა გვაქვს კარგად გამორკვეული,
მაგრამ დარჩენაც არ შეიძლება:
ასე გვიბრძანა მეფე ცხოვრებამ
და მისი სიტყვა ვით შეიცვლება!

ვ. რუხაძე

1920 წ., 1 მაისი

სადედოფლო სარტყელი

„ჰაი, შე უშნოვ! როგორ უმიზნებ?! მთელი ნაბიჯი ასცდა ჯილა!“

„კარგი, გიგო, თუ ძმა ხარ! ახლა შენ დამნავეს... ისეც წაგებაში ვარ“.

„მაჩვენე კოჭი!.. მარცხენა ჩატიყვიანებია. მარჯვენა უნდა, რომ ცერი დაენდოს თოხანს, სალოკი ხვდება ეხლა გლუვ მხარეს, სხლტება სროლის დროს...“

„გეყოფა ერთი! ძალიან მასწავლებელი გამოსვედი... დასხი შენც! გინდა?“

„დავსხამ! — არ კი მიშაროთ: ძალიან მშთან, მეხუთე გაკვეთილიდან მოვდივარ; მარტო ერთ ხელს ვითამაშებ: წავაგებ, ალალი იყოს; მოვიგებ, წავალ“.

„ხუთხუთია!“

ჩაამწკრივეს კაკლები. სულ დაბროლილი იყო. დიდი წრის შემოვლება დასჭირდათ: ბევრი იყო მოთამაშე ტოლ-სწორი. ყარეს კოჭი, ვის როდის ესროლნა, ამოილო გიგომ ჯილა, ვერძის კოჭი სუფთად ჩატიყვიანებული, მცირედ ჭუკუნალესილი.

„ასცდა!“

„ვაჰ, მაღლა მომივიდა“.

„ასცდა! რომ აუცურებ, არ იცი, ვერ მოარტყავ; მტვრიან მიწაზედ მოცურება?!“

„კენწლა! ბენვის ტოლაც და წრეს გააცილებდა თეთრ კაკალს: ძლიერად მიბზრიალებდა ჯილა“.

„ერიჰა! კოჭურით?! ვინ მოგცემს ნებას?!“

„არა მაქვს ჯილა!“

„აჰა ჩემი!“

„აფუ მე! ფეხი ნამიცდა...“

„არა, ეგენი არ იყოს... ჩამოდეგ!“

„ესროლოს, არა უშავს რა“.

„ასცდა!“

„ჩემი ჯვრია!“ — წამოიძახა გიგომ და მოიხსნა წიგნებით სავსე აბგა, გადასცა ამხანაგს.

„ჭახ!“

„კიდევ?!“

„ჭახ!“

„გეყოფა!“

„მაცა!“

„სულ გაიტანს კაკლებს!“

მთლად არა, უმრავლესობა კი გააცილა წრეს. ჩაიყარა კაკლები ჯიბეში, გადიგდო მკლავზედ აბგა. იქვე გაკვნიტა ერთი, პირს იკრა მსუქანი ლებანი. დაეშვა სტომით შინისკენ.

* * *

მიხტოდა ბავშვი, მიგოგმანებდა; პირი უღიმოდა. კარგი დღე იყო მისთვის: სკოლაში გაუმარჯვდა, ორ საგანში ხუთიანები მიიღო, სხვებს რომ შიმშით თუ შხეპლით ჩააჭდიეს სწავლის საჭიროება და მუხლის თავებით შეაგრძნობინეს მისი აუცილებლობა, იმას ქორხორზედ გადაუსვეს ხელი. ამისთვისაც მიუხაროდა შინ, რომ კარგ ამბავს მიუტანდა თავის ტოლ-სწორს. ძალიან უყვარდათ იმათ გიგო. ჩვეულნიც იყვნენ კარგ ამბების სმენას მაღხაზი ბაღისაგან ნიჭიერისა.

„ვინც პირველად შემხვდება, კაკალს ვაჭმევ მონაგებს“, ფიქრობდა.

მიეშურებოდა. შიმშილიც კი მიაჩქარებდა: ჯიბით წამოღებული ყუა დილითვე გაათავა.

მეტადრე გოგოები ევლებოდნენ თავს. ლამაზი ბალლი იყო, მგრძნობიარე, მხიარული; თანაც უწყინარ-უზაკველი, მთლადაც მისანდობელი. ერიდებოდნენ სხვებს, ავზნიანებს: აღარც ისე პატარები იყვნენ, ქალ-ვაჟთა ზღაპარი სამარადისო მთლად უცნობი ყოფილიყო მათთვის;

უკვე ჰქონდათ მათ ბუნდოვანი წარმოდგენა ამ ლამაზ არაკად. ეს უფრო აახლოვებდა გოგონებს გიგოსთან. ბრძნულად მოწყობილი ოჯახის შვილი იყო ზნეფაქიზისა და უბნის ტოლ ქალებს ისე უყურებდა, როგორც თავის დებს. არ იცოდა ორაზროვანი ქცევა თუ თქმა, არ ეხერხებოდა; გულწრფელად უყვარდა ისინი, სასწავლებელში სულით მოღლილი იმათში ისვენებდა, ხალისდებოდა. იმათაც გიგოს ნალველი თავის დარდად მიაჩნდათ, მისი სიამე თავის სიხარულად.

გასცდა დიდ ქუჩას, ჩაუხვია ქუჩაბანდისკენ. შემოეგება ლიზიკო.

„ძლივს არ გამოჩნდი! რამდენი ხანია გიცდი“.

„ეხლა გავათავეთ გაკვეთილები“.

„სხვა ბალებმა რა ხანია გაიარეს“.

„ჰო, ერთი ხელობა წრე ვითამაშე ზევით. რა კაკლებია!“ — უთხრა ბალებმა და ამოალაგა ჯიბიდან.

„ნუშოსაც მიეც, ანიკოსაც; დაურიგე, ვისაც გაჰხვდეს“.

„შენ?“

„გზაგზა ვსჭამდი... კარგ ფეხზედ ავდექ დღეს: ხუთიანებიც მივიღე, კაკლებიც მოვიგე“.

„კარგი ხარ და იმისთვის! მეც რამე უნდა გახარო. გიცდიდი, რომ პირველად მე მეთქვა“.

„მამა ჩამოვიდა? რამდენ ხილს ჩამოგვიტანდა!“

„არა. დაიცა! ბატონიანთ ქორწილი აქვსთ ამაღამ, მჭვირვალის: ციაგასა სწერენ ჯვარს“.

„გუყუროთ; საყდარშიც გავყვეთ, როგორ მდიდრულად იქნება მორთული!“

„დაიცა, ბიჭო! აღარ ათქმევინებ?!“ — შენიშნა მაგნომ, რომელიც მიეტოლა მათ.

„ის უნდა მეთქვა: ქორწილში შენ დაგიძახებენ“.

„სარდაფის მართამა სთქვა, გიგოს დაუძახებენო“. — ჩაურთო ნუშომ.

„თურმე იმისთვის უნდა დაგიძახონ, რომ სარტყელი შემოარტყა პატარძალს“. — ჩამოართვა სიტყვა ბაბილომ.

„მართლა?! მაგრამ საიმათო ტანისამოსი რომ არა მაქვს. სულ თავადიშვილები იქნებიან, დიდკაცები... იჰ, არ წავალ!“

„შენ გენაცვალე, ნადი!“

„უნდა წახვიდე! დაათვალიერე ყველაფერი და გვიამბე. ძალიან მდიდრები არიან, სულ ოქრო-ქსოვილში და თვალ-მარგალიტში ჩასვამენ დედოფალს“. — უბრძანა კონამ.

* * *

მჭვირვალის... ციაგა... ნადი!.. ადვილი სათქმელი იყო ყველა ეს, მაგრამ ძნელი ასასრულებელი ვიღაც ქუჩის ბიჭისათვის, თუნდაც სკოლაში გამარჯვებულისა.

ორსართულიანი დიდი სახლი მტკვარზედ გადაკიდებული აივნებით; ზევით მხარეს მშვენიერი ნალკოტი, ალვის ხეები; ლითონის ლომები ალაყაფის დარაჯად; მარმარილოს კიბეები ნითელი სკლატით დაფენილი; სამადლიანი ფანჯრები მთლიანი ბროლისა, მზის სხივებზედ რომ თვალსა სჭრიან ლაპლაპით; ბატონი გრიგოლი გრძელტარიანი ყალიონით, უშველებელი ნაგაზი რომ ახლავს განუშორებლივ. რა მგრგვინავი ხმა აქვს! ახლა იმდენი დიდკაცობა...

„ძალიან მეძნელება; მეშინიან... ციაგას სარტყელიო, უმხლებლოდ რომ არ გაივლის, იმ მზეთუნახავისა... მისი მედიდური ღიმილი დამცინავი... არა!“

„ნადი, თავს შემოგვევლე! შენი ბაბილო არა ვარ?! აბა, თვალებში ჩამომხედე და ისე მითხარ უარი“.

„შენს ანიკოსაც უარს ეუბნები?! აკი სულ იმას მეტყობდი, შენთვის ქვესკნელის ცეცხლს გავაპობ და დევისაგან დაგიხსნიო, პირვეთელ დევისაგან თვალცეცხლიანისა“.

მოდი და ნუ ნახვალ, ნუ გაიტყინებ, შეკრთომა დაიჩინე და შიში!

ერთხანს გაჩუმდა გიგო: კვლავ ყოყმობდა; მერმე წელში გაიმართა, თავი მოიმამა-ცურა, ქოჩორზედ ხელი გადასვა. მუხლი მაინც უთრთოდა: ძნელ საქმეს უბრძანებდნენ სასტიკი მაცთური ხვეწნით, ლამაზ ალერსით.

„მიდიხარ? აი ყოჩაღ! ისევე ჩვენი გიგო ხარ“.

„იცი, გენაცვა, ნადი, ისადილე, გაკვეთილებიც დაამზადე. სალამოზედ მოვალთ, რომ გნახოთ, როგორ იქნები ჩაცმულ-დახურული“.

„ხალათი გახამებულ პერანგზედ ჩაიცვი: ხელადვე გავავლებ წყალში და გაგიხამებ“.

„ლილები ხომ არ აკლია ხალათს? გავსინჯავ, დაგიკერ-დაგიმაგრებ, კიდეც დაგიუ-თოვებ“.

„ჩემთვის უნდა დაევალებინათ ეგ საქმე, რომ სულ ხტომით წავსულიყავი; მაგდენი ხვეწნა კი არ დამჭირდებოდა“. — სთქვა ვალიკომ, რომელიც დიდი ამხანაგი იყო გიგოსი, მაგრამ მაინც შურით უყურებდა ეხლა მის გამარჯვებას.

„შენ რად დაგიძახებდნენ? გიგოსთან როგორ მოხვალ შენ?! ამას ბედნიერი ხელი აქვს.“

„ამისი ხელი ბევრჯერა სცადეს და ყველამ იცის, ბედნიერი ხელი აქვს. შენც კარგად იცი ეს და ნეტა ტყუილ-უბრალოდ რალად ლაპარაკობ?!“ — შერისხა ის ბაბილომ და ზურგი შეაქცია.

* * *

„რა პატარძლის მომრთავ-მომკაზმი იქნებოდა ვილაცა ბიჭი და მერმე დიდებულ ოჯახ-ში, ბატონიშვილის სწორი კაცის სასახლეში?! არ მესმის: რასაკვირველ რასმე ამბობ“.

„არც საკვირველს ვამბობ, არც დაუჯერებელს. აღარ თუ გახსოვს ჩვენი ქართული ჩვეულება. მისმინე! ქორწილს ბევრი ჩვეულება ასდევს ზოგი გამოცდილების შედეგი, სხვა ცრურწმენისაგან წარმოშობილი, ზოგი სიმბოლიური, შორიდან მანიშნებელი, ერთ ამ ჩვე-ულებათაგანია: პატარძალს სარტყელს შემოარტყამს გამთავნებელი ოჯახის პირმშო ვაჟი ბალღმრავალ კერისა. გიგო უფროსი შვილი იყო ამგვარ ოჯახისა. მისი მშობლები იღვწოდნენ ფრიად, გულმოდგინედ ასრულებდნენ ეკლესიის ბრძანებას: „განმრავლდი, ვითარცა იაკობ!“ მოგეხსენება, თორმეტი მარტო ვაჟი ჰყვანდა ამ მამათმთავარს; ქა-ლებს აღარა ვსთვლი, გიგოს დედ-მამას მიზნად დაესახნათ, ებაძნათ იაკობ-რახილისათ-ვის და მიმზგავსებოდნენ მათ. დიდ იმედებსაც იძლეოდნენ: მათი პირმშო რომ ჯერ თერ-თმეტ-თორმეტი წლისა იყო, ოთხი ძმა სხვა ჰყვანდა, ერთიც დაიკო. მერმე როგორ ღვი-ოდნენ წვრილფეხობის მშობლები! ეს იყო მიზეზი, რომ გიგოს სახელი დაუვარდა, ბედნი-ერი ოჯახისა არისო.“

თითონ ბალღიც მიმზიდველი იყო. ნაქვთად კარგი, ეშხიანი; ცეცხლმფრქვეველი თვა-ლები აზრიანი; მოსიყვარულე გული ალერსიანი; გამარჯვებულად სწავლა სკოლაში. რჩე-ული ბალღი იყო. უბნის უბრალო ხალხი ალერსით უყურებდა მალხაზს. სოფლიდან იყო; ხელმოკლე ადამიანის სახლში სცხოვრობდა, ნათესავის კერაზედ. მისი იქ ყოფნა დაბეჩა-ვებულ თვისისათვის რომ ხელსაყრელი იყო, ბალღისათვისაც კარგი გამოდგა. უცხოო-ბას არა გრძნობდა გულკეთილი დიასახლისის ხელში.

ერთობ სუფთა ქცევა-ზნეობისაც იყო ბალღი: ახალი იაკობ-რახილი თვალის გუგა-სავით უფრთხილდებოდნენ თავიანთ ლამაზ კერას, იქ ვერ გაიწანანებდა ზნეობის შემ-ლახი სიტყვა თუ ქცევა; მათ სახლში დაევანა უმანკო ნათელს მხიარულს და პატარასაც იგი ნათელი ჩაჰქარგოდა ბუნებაში. მიტომ უმზეროდნენ მას მახლობელნი ლამაზი ღიმი-

ლით. ყისმათიანიც იყო: უბანში რამდენიმე პატარძლისათვის შემოერტყა მას სადედოფლო სარტყელი და ყველას საბედნიეროდ მოხდენოდა მისი ხელი: უკვე ოქროსქორჩიანი ვაჟები ეჭირათ ხელში, სხვებსაც მოელოდნენ.

რა ვუყოთ, რომ მჭვირვალის დიდი დიდკაცები იყვენ?! მაინც ქართველები იყვენ, ქართულ ჩვეულებათა მიმდევარნი, თუნდაც საწყალ ხალხში ფეხმოკიდებულ ჩვეულებათა.

* * *

გიგოს სახელი მჭვირვალის მანდილოსნებსაც გაეგონათ: მოსარეცხე, პურის მცხობელი, მეუმარილე, პირის მკეთებელი სულ იმ უბნიდანა ჰყვანდათ და ქუჩის ამბებს რომ უამბობდენ ისინი დიდებულ დიასახლისებს, ბაღლსაც ახსენებდნენ, ქებით იტყოდნენ მის სახელს. ეხლაც პირის მკეთებელმა სალომემ ურჩია დიდ ქალბატონს, გიგოსათვის ებრძანებინა, სარტყელი შემოერტყა პატარძლისათვის.

„ბედნიერი ხელი აქვს იმ ბავშვს! ნაცადია: იმან შემოარტყა სარტყელი მკერვალის კაკატოს, ნონოქანთ ანოს, ღორისკუდაანთ ბაბალეს, ყრუმატიანთ ქეთეთოს. ყველანი ბედნიერი დედები შეიქმნენ: წლის თავზედ მარწყვივით ვაჟები ეჭირათ ხელში, ხომ ჰნატრობ, ქალბატონო, ამ შენმა ციაგამ შვილისშვილს შეგასწროს, ბედნიერი დედა შეიქმნას?“

„ჩემი ოცნებაა ეგ!“

„მაშ, უბრძანე, ის ბალლი მოიყვანონ, იმან შემოარტყას სარტყელი“.

„აქვს რამე სუფთა ტანისამოსი, რომ ამოდენა სტუმრობაში...“

„რა ბრძანებაა! არც ისეთი ღარიბია. სუფთა ხალათი, შალვარი, წულები... თქვენც კი მოგეწონებათ, ისეთი გვრიტივით ვაჟია“. — ეუბნებოდა დედაკაცი.

და თან პირს უკეთებდა მზეთუნახავს, შიგადაშიგ სიტყვის შეწყვეტა უნდებოდა დედაკაცს: მუშაობის დროს ძაფის ერთს წვერს პირში იჭერდა.

„როგორ თუ პირს უკეთებდა?!“

„არც ეგ იცი?! ეჰ, გასაკვირველიც არ არის: მთლად დაივიწყეს პირის გამოქნა... მისმინე! მაშინ ქალის სახის მორთულობად არ ითვლებოდა ბალანი. გამჩენს ქალი პირტიტველი გაუნესებია, ვაჟი პირბანჯგვლიანი. სადაც ბუნება გარეწრობას იჩენდა და თვის კანონს თითონვე არღვევდა, იქ ხელოვნება ასწორებდა მის შეცთომას: მტკიცედ გრეხილი ძაფი ნახვენი ძირიანად აგებდა ბენვის ნასახს ლამაზის სახეზედ. რა დახელოვნებული იყო სალომე! მარდად, სუფთად, უნინკნელად; ნარბებსაც აუვლ-ჩაუვლიდა გადაგრეხილი ძაფით, რომ ბენვს განზედ არ გაედგა ფესვი და გიშრის მშვილდთა მოზიდულება არ ეუშნობინა, ვუჯექ მუხლის ძირს და შეეცქეროდი. ეხლა რა! ვაჟნი მთელ სახეს საქალამნესავით იფხეკენ, ქალნი პირის ბუსუსს თვალისჩინივით უფრთხილდებიან და ამრავლებენ“.

„ცდილობენ, აქაც ქალ-ვაჟთ თანასწორობა დაამყარონ.“

„ან რა ქმნან: განათლებული ევროპა ეგრე იფხიკება. ხელსაყრელიც არის: ახალი მოსჩანს ვაჟკაცი, ჯერ ისევ პატარა“.

„მაინც ვფიქრობ, ვერძს რქები ამვენებს, ვაჟკაცს წვერ-ულვაში რქათა ბადალი...“

„ჰო და სალომეს გაეკვლივნა გიგოსათვის გზა მჭვირვალის სასახლეში. მეუმარილე მართაც მიაშველებდა“.

* * *

გაჩირაღდებული სავანე დიდებულთა. ქალები, ვერცხლის შანდლები, წვივმაღალი ლამპრები. მთელი იატაკი ორხოებით მოფარდაგული. კედლები დიდრონი სურათებით მოფენილი. ხავერდის სავარძლები, სელები; შირმაით მოოჭვილი სკამები. სხვა და სხვა ჯურის მაგიდა თაიგულებით დატვირთული, ლამაზ-ლამაზ მამრავებში ჩადგმულ ყვავილთა კონებით. ვერცხლის სურები, თასები, ფიალები, ჩოგრათოები. ზეკაცთა სადგომი სამოთხისებური. რა

შრილა ტანთსაცმელი! მანდილოსანნი, ქალ-რძალნი პირადპირადად შემკულნი. ჯინჯილდეზებიანი რაინდები მზაროქროიანნი და მათ შორის რიხიანი ბატონი ბაგრატა ყურთმაჯებ გადაყრილი. განა ერთი ოთახი, მთელი წყობა სხვადასხვა გემოზედ მორთულ დარბაზისა, გალიაკებისა. სუნი სუნნადსუნელი. საიდანღაც საკრავთა ჟღერა. ტკბილი ღიღინი.

„აქათ, ბალო, აქათ! მე მომყევ. როგორ აცაბაცა მიგირბის თვალები. აგერ თითონ პატარძალიც. მიდი!“

მიდიო! დააბნია ბავშვი უნახავმა სიმდიდრემ მრავალგვარმა, ამოდენა ბატონებისა და ქალბატონების ყრილობამ. მიდიო! კინალამ მთლად შეკრთა და შეშინდა ბალო.

„რა პირით ლა ვეჩვენო ჩემებს“. — გაურბინა ელვასავით ფიქრმა.

დაეხატა გონების სარკვეში სანდომი სურათები თავის მეგობრებისა, ქუჩაში რომ იყვნენ ეხლა შეჯგუფულნი და შიშით თუ ცნობისმოყვარეობით ელოდნენ თავიანთ გიგოს: იცოდნენ ლამაზებმა, რა ძნელი საქმისათვის შეაგულიანეს ის.

„იცი, გოგოჯან, ისე მაკანკალებს, თითქო იანვარიო: გიგოს მაგივრად მე მეშინიან“.

„მე ვერ შევბედავდი სასახლეში, ფეხსაც ვერ შევდგამდი“.

„მეტადრე ეხლა, როცა ამოდენა ხალხი შეყრილა იქ, სულ დიდკაცობა“.

„მართლა კი არ შეშინდეს ი ბიჭი, ხელი არ აუკანკალდეს, რასმე არ დაეჯახოს“.

„მეფიქრება, არაფერზედ გაურისხდეს დიდი ბატონი: ჯავრიანიო, ბოროტი“.

ტყვილადა შიშობდნენ კარგები: მათმა სახემ გაამხნევა გიგო, ერთს ნუთზე შესდგა პატარძლის წინ შემკრთალი — აღელვებული, მაგრამ მაშინვე შეიბერტყა, ქოჩორზედ ხელი გადისვა, თავი მოიმამაცურა და წარსდგა ბიჭი. დაჰკრა თვალი ციაგას. სხარტი ქალი, ტანწვრილი, მალალმალალი. მშვილდივით წარბები. შავი თვალები დიდრონ-დიდრონი. კეხიანი ცხვირი...

„მაინც ნუშა გჯობია, ლიზაც, ეონაც“. — გაიფიქრა პატარამ.

დედოფალი მთლად ფარჩაში იჯდა სირმანაკერში. ელავდა თვალმარგალიტით მოოჭვილი. კაბის წინკალთა შეტაცებით იდგა, პანანა ფეხი მოსჩანდა მალალ ქუსლიან თეთრ მაშიაში. ქალმა აღერსიანად დახედა პატარას. მოწყალე თვალმა ოდნავ მოლიმარემ გაამხნევა ბიჭი.

„სარტყელი!“ — ბრძანა ქალბატონმა.

მოიღეს სარტყელი და რა სარტყელი! უბრალოსა ჰგვანდა ერთის შეხედვით იგი ფასდაუდები: უმანკო თეთრი ქსოვილი აბრეშუმისა, მჭიდროდ ნაჭედი, მძიმე; სარტყელის ტოტებზედ ამოქარგული გაშლილი რტონი ყვავილოვანნი, ოდნავ დახრილნი; მთელი რტო, — ღეროც, ფოთლებიც, ყვავილებიც, — მარგალიტის შეფარებული მარცვლებით გამოყვანილი, დიდის გემოვნებით ნახელოვნები.

თვალი მოსტაცა პატარას სარტყელმა, სხვა ყველა სანახავი დაჩრდილა. იქნება იმისთვის, რომ მხოლოდ ამ სარტყელთანა ჰქონდა მას საქმე, მარტო მან შეადგმევინა ფეხი დიდებულ სახლში.

„ბედნიერი ხელი გქონია, ბალო; აბა, შემოარტყი ეს სარტყელი ჩემს ქალს, კეთილი უსურვე“.

გამხნევედა ვაჟი. თამამად ჩამოართვა სარტყელი, მიუახლოვდა ქალს, შემოავლო ნელზედ მკლავები. ძალიან ახლო მოუხდა მისვლა, სახე შეახო მკერდს: პატარა იყო, შორიდან ვერ შემოანვდინა მკლავები.

„სიხარულიმც შემოგერტყმება ახალ ცხოვრებაში!“ — წარსტყვა დასწავლილი სიტყვა, არა ერთხელ განმეორებული.

„აი გაიხარე!“

„მართალი თქვეს, ჭკვიანი ბალოლია“.

„დაბალ ნოდებაშიც გამოდის შიგა-და-შიგ შესამჩნევი ყმანვილი“.

„უბნის საყვარელი ბავშვიაო“.

„ტოლსნორს ხომ უყვარს, დიდრონებსაც შვილივით მიაჩნიათო.

„აი, პატარავ, ეს საკუთრივ შენ! ეს კი შენც გეყოფა, შენ ტოლ-ამხანაგებსაც“. — უთხრა ქალბატონმა.

და ერთს ხელში ოქრო ჩაუდვა, მეორეში ქალაღდის პარკი მისცა პირამდისინ შაქარ-ლამით სავსე.

„ესეც ჩემი მხრივ!“ — უთხრა სხვამ.

და ჯიბე-უბე აივსო ლანგრებიდან აღებულ ხილეულობით.

„ბიჭო, პატარავ, აბა ერთი შემომხედე!“ — უბრძანა დიდმა ბატონმა.

და ნიკაპი აუნია ორი თითით.

„კარგი სჩანხარ! აი ესეც ჩემი მხრივ!“ — უთხრა და სხვა ოქრო ჩაუდვა ხელში.

აღარ ახსოვდა, როგორ გამოიარა იმოდენა ოთახები. ჩამოაცილეს კიბეზედ, გამოხტა ქუჩაში გაჭარხლებული. ჰკითხავდნენ. ეტყოდა. არ აცლიდნენ. ერთი საგნიდან მეორეზე ხტებოდა; ერთი აზრიდან მეორეზედ ფრინავდა ფრთიანი სიტყვა. რა უშავდა! ყველა საგანი კარგი იყო, სურათთა ყველა ნატეხი თვალთნარმტაცია. დაურიგა ნაშოვარი. დიდრონებსაც გულმა ველარ გაუძლოთ: მივიდნენ, ჰკითხავდნენ, აქებდნენ. მათაც ერთს სატკბარუნები.

* * *

ახ, რა კარგი დღე იყო იგი დღე გიგოსთვის, ლამაზი, ბედნიერი! განა ბევრი არის ადამიანის ცხოვრებაში ამისთანა შემკული ჟამი! ეწვალე-ენამება იგი მთელ თავის სიცოცხლეში, საკუთარის მარჯვენითა ჰკაფავს გზას ეკლიან სავალზედ თვისის ყოფისა, უდიერის შრომით აპობს მის წინ გადახირულ საბრკმელთა სიმრავლეს.

რამდენჯერ დაიკვნესებს იგი ტვირთ-მძიმე რკინის უღელ ქვეშ, დაჰგმენს უჩუმრად; რამდენჯერ დაიმუხლისთავებს მინამდინ დაზნექილი. ზევე აღსდგება! იბრძვის უტეხი! მაინც ისევ სისხლზედ ზელილი პური უდევს ხალთაგუდაში ცალიერი, უსატანო; მაინც საოცნებო რჩება მისთვის რძეზედ მოზელილი პური, სანატრი.

და გამოჰყურავს იგი ცხოვრება მთელ მის არსებას. ჩაუნელებს და ჩაუქრობს მის გონებას ლამპარს მანათობელს, რომლის შუქს მისდევდა გულუბრყვილო, რომლის მიწდომას ოცნებობდა გამოუცდელო; ნამოუცალიერებს გულს, გრძნობის შესაკრებელს, მისთვის თურმე არ დანერილ ლამაზ გრძნობებისა; უხეშად გადაზნექს მის ნებისყოფას, მთლადაც გადაჰფშვნეტს მის სურვილთა თუ მისწრაფებათა მისაყრდნობელ სვეტს და უძლოურ შეჰქმნის კაცს მსახურებად სინათლისა. საფუძვლით შეარყევს ბრძოლის კოშკებს მის სულიერ აღმოფრენათა და იმ გოდოლთა ნალენ-ნამსხვრევებით დაჰფარავს მის ჭრელფრთიან ოცნებებს სანატრელთ.

და ცხოვრების იგი სიმძაფრე არ იკმარებს მისი სულის გაპარტახებასა, იავარ-ქმნას მის ნათელ აზრთა, ლამაზ გრძნობათა თუ კეთილ მისწრაფებათა, სევდის მგვრელ სახედ გადაეფინება ნივთიერ მის არსებასაც: გამოჰყურავს მას, ლალას დაუნთქავს, ჩვილ ტანს გაუშრობს, გაუგმობს; დააჭკნობს მის ღანვზედ გაშლილ ვარდს მაისისას; ყორნის ფრთის ფერს თმასა ცივად დაუთრთვილ-დაუთოვლავს; ჩაუნელებს თვალთა სინათლეს, ჩაუნავლავს და ჩაუქრობს მუნ გზნებულ ცეცხლს ტკბილად დამწველსა; მოხრის სარო ტანს, მოსტეხსცა იმას, სამით ატარებს; დაჰლარავს მის შუბლს ოდესმე მტკიცეს და...

და გადასტყორცნის კასკას-ხარხარით თვით უფსკრულში საზარელის არარაობისა... ესე ახლა სხვას, ესე კვლავ სხვასა, ესე სიმრავლეს უთვლელს, უამრავს...

და შეგხვდება მოძრავ ჩონჩხად იგი სამინედ გამზადებული, ოდესმე სიცოცხლით სავსე, კეთილ ძალთა სავანედ წარმოშობილი. ის არის, მაინც ის არ არის! მოდის, გილიმის;

შენც უცინი; გეტყვის რასმე, სიტყვას გამოგითამაშებს, შენც მიუგებ, თქმასვე გადუძღვნი; მაინც იცი, ის არ არის, თუმცა იგია: ლანდია მისი უშნოდ ნალრეჯი...

და გისევდიანებს გულსა უბინდოს, ჩამოგიბინდებს ნათელსა დილას...

ნახე ნალკოტში ყვავილთა კორდი ზამთრისა სუსხით ნახრობ-ნაშალი. აგტკივა გული: აღარ დამრჩალა არც ნასახი მათ სიტურფისა. აგერ გამხმარა, მტვრად ქცეულა ლალი ზამბახი; აჰა, ჩამპალა ეს სუნნელი ტურფა ბილილა...

ამაო ამაოებათა! მაგრამ...

სისაძაგლე იგი მოოხრებისა! მაგრამ...

* * *

„გამარჯვება, დათიკოჯან!“

„გაგიმარჯოს, ჩემო გიგო!“

„ხომ თითქმის ყოველდღე ვხვდებით ამ გზაზედ ერთმანეთს, მაინც ეხლა ვინატრე შენი ნახვა და ამისრულდა“.

„ბედნიერი ნუთი! ნეტა სხვა რამ კარგი გენატრა, თუნდა „თეთრით გუდა გუდაზედა“. მაინც?“ — შევედექ. აღელვებული მეჩვენა გიგო: თვალები უელავდა, წყნარად ველარ იდგა, სახე უთამაშებდა. გაკვირდი.

მე და გიგო ერთი კბილისანი ვართ, ერთ უბანში გამოზდილები. ორი სასწავლებელი გაგვითავებია ერთად, ერთ მეორეზედა. მეგობრები ვართ. ერთმანეთშიც კი დავდივართ ათასში ერთხელ. ძალიან ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, თითქმის ყოველ დღე: ის რომ აღმა მიდის სამსახურში, მე დაღმა მივდივარ სამსახურშივე; ის რომ დაღმა ბრუნდება შრომიდან, მე აღმა ავსდევ გზას ბინისაკენ. გაუულიმებთ ერთმანეთს, სიტყვას გადუგდებთ, გვიამება: განა ბევრი ლა შეგვრჩა გარშემო ჩვენი ხნის მახლობელი.

შემჭკნარ-შემხმარი კაცია. ჩანაოჭებული ყვრიმალზე თუ ლოყაზე მიწის ფერი ასდევს ნალურჯო. ქეჩოზედ-ლა შერჩენია თმა, შუბლი და ქალა მოლიპილი აქვს. არა თოვს, მაინც თეთრად არის გადაბარდნული. ნელში მოხრილა მკვიდრად ნაგები. სადღა არის მისი მოხდენილი რონინი?! სამით მოდის, მძიმედ მოაბიჯებს, რყევით. ჩამქრალი თვალები. ზრუნვის ხაზები ნაკეც შუბლზედა, საყოველღეო დრტვინვისაგან ნაწურ ადამიანის მანიშნებელი ფიქრის ღარები.

რა ოცნებებს ევლებოდა ოდესმე თავს! რა ნატვრის ყვავილებს ეწვდებოდა მოსათვლელადა! იმ სუნნელოვან მდელითაგან ჰლამოდა ლამაზ თაიგულის შეკონვას, ტურფა სამშობლოსთვის რომ ჰსურდა ესროლნა საყვარელ გულში მისდამი გამიჯნურებულს. დაცრცნილ-დაბებკილი ჩანთა გადასანერ ქალაღებთი სავსე, მჭადის ფასს რომ მიუპყრობს, იმ ეტრატებისა. ნუ თუ ეს ლა დარჩა სხივის ნატეხივით მოციმციმე ბალღისაგან, ცეცხლის ბირთვივით მცხინვარე ჭაბუკისაგან?! ესე ლა დაგვრჩა სანაცვლოდ იმ იმედისა დიდისა...

„გცალიან? შეგიძლიან ნახევარი საათით შეიფერხო?“

„არა მცალიან... შემიძლიან... მითხარ!“

„ნამო, გიჩვენო რამე. დეე დაგვიგვიანდეს“.

„იარე!“

* * *

დავბრუნდით. ჩავიარეთ ქუჩა. შესახვევში დიდი მალაზია იყო, მდიდარი. ყველა ნაირი ნივთი ელაგა ფართო ფანჯარაში, ძველის ძველი სიმდიდრე საოჯახო. ხმალი, ვერცხლის ჩარჩოიანი სარკე. ვინ იცის, რამდენი ტურფა სახე იყო მის მინაზედ აღბეჭდილი, ქარვის კრიალოსანი ოქროს ღილებ ჩართული, ფარჩის საბანი აბრეშუმის ყვავილ შეყრილი, მუზარადი წარწერით, ხმლის ფხა რომ ეტყობოდა შუბლის ისართან... ვინ მოსთვლის?!

ზოგი ისეთი განძი მოჩანდა, საშვილიშვილოდ რომ გადადიოდა ოჯახში საუკუნეთა განმავლობაში. იცი შენ, რა ღვარამაც გამოიტაცა ეს მძიმედ დაცული სიმდიდრე სალაროებიდან, დუქნებში გამორიყა; კარგად იცი! ისეთი ძალა მოიპოვა მჭადმა, ველარაფერი გაუმაგრდა მას, ცხრაკლიტული რკინის კარები ჩაღენა მისმა ძლიერებამ და წამოაცალიერა ურყევი საგანძურები...

რა ვუყოთ! ახლად დავიბადენით ისტორიულად და ავი არ უნდა გვიკვირდეს დუშმანისაგან აკლებულ-მისუსტებულთ, სიკვდილის პირად მიტანილთ. წამოვჯობინდებით, მუხლს მოვიმაგრებთ, დავმშვენიდებით რიხით, სიძლიერით, შემმართებლობით და...

და უკეთეს განძეულობას შევუკრებთ ერსა, ნივთიერ თუ სულიერ სიმდიდრეს. ამირანიც ხომ თვალ დაზიანებული გამოვიდა ვეშაპის გვამიდან, წვერ-ულვაშ გაცვივნილი. ტყუილა ნაღვლობდა კარგი ქართველი, ამოდ წყრებოდა: მტრისავე ფილტვის ნაკვეთით გაიმთელა თვალი; იგრი-ბატონის ჯადო-წყალი რომ გადაივლო, ჯალჯი თმა ლომის ფაფარივით გადაეფინა, ყორნის ფრთასავით შავმა წვერ-ულვაშმა რიხი უორკეცა შავ ღრუბლის მზგავს შესახარ ვაჟკაცს.

„დახედე! დაათვალიერე!“

„კაცო, ამის გულისათვის როგორ წამომიყვანე და მომაცდინე?! რამდენჯერ დამითვალიერებია...“

„გასინჯე მეთქი, ძალიან ძვირფას რასმე შეჰნიშნავ“.

ავათვალ-ჩავათვალიერე.

„სულ ყველაფერი ძვირფასია. რომელს დავადვა ხელი?!“

„ეგ, ერთი შეხედე ამ სარტყელს...“

„ძალიან ლამაზია. ეშხით არის ნაკერი, დიდის ხელოვნებით. მართლა და რა ძვირფასია!“

„ჩემი ნაცნობი განძია, ბაღლობიდან ნანახი; ხელშიც მჭერია“.

გაკვირვებით შევხედე: ვინ გიგო, სად ესეთი განძი ფასდაუდები?!

„არა გჯერა? გიამბობ!“

და მიაბო ყველაფერი მჭვირვალისაგან, ციაგაზედ, სარტყელის შემორტყმაზედ.

„ფული მქონდეს, უთუოდ შევიძენდი“.

„კარგი მასალა გკლებია! თანხა მქონდეს, იცი, მე რას ვიყიდი?“ — ვუთხარ და თითებზედ ჩამოვუთვალე, რასაც მოვივაჭრებდი. ძალიან მოეწონა, სულ ელეტ-მელეტი მოსდიოდა; თვალი მანინც იმ სარტყელისკენ ეჭირა, იმ სადედოფლო სამკაულისკენ. ამოდ: ვინ შესწავლებოდა?! გულში ჩამეჭრა, მენახა სარტყელის გამყიდავი. ვკითხე სოვდაგარს. დედაბერმა მომიცა; არ ემეტებოდა, მაგრამ მეტი გზა აღარა ჰქონდაო. მანიშნა. უთუოდ ვნახავ.

ვასილ ბარნოვი

თეოდორე დოსტოევსკი

დოსტოევსკიზე გოეთეს სიტყვები ზეგამოჭრილია: ხელოვნება განხარისხებული დემონიურობაა. დოსტოევსკიც განხორციელებული დემონიურობაა, დემონიურობის მაქსიმუმი, ადამიანის პირით მეტყველი. უფრო მეტი. იგი დემონია ადამიანურობის საღტეებით შებოჭვილი. ბრძოლა მარად ადამიანურ და მარად დემონიურ ელემენტებს შორის, ეს არის ატმოსფერა დოსტოევსკის გენიის ზრდისა. დემონსა და ადამიანს შორის ბნელი ქაოსია, დემონიურსა და ადამიანურ მიჯნას გადამცდარი ადამიანი ეს არის გმირი დოსტოევსკისა.

შეხედეთ მის სახეს. მთელი ჩვენი საუკუნის ტკივილებს იქ ნახავთ. ჩაიხედეთ მის სტრიქონების ორლობებში, ჩაიხედეთ მის ნაოჭების არეებში, თქვენ ნახავთ, რა ღრმაა ქვეყნის ტკივილი, ნახავთ, რა მძიმეა ჯვარი განგების ხელით რო დაეტივრთება ამ ქვეყნად ისეთს ადამიანებს, რომელნიც მარიონეტით ჰქანაობენ ღვთაებრივსა და დემონიურს შორის.

სევდით დავსილი თვალები მისი ელავენ დემონით შეპყრობილ ადამიანის ტანჯვით. მისი მაღალი შუბლი ფრთიანი არწივისებური აზრების საბუდარია. მისი ეპილეპტიური კონვულსიებით მოკუმშული ტუჩი მე შოპენჰაუერის ნერვიულად მოკუმშულ ბაგეს მომაგონებს. რამდენი რამ ჰქონდათ ორთავეს სათქმელი და რა ცოტა სთქვეს შედარებით. ქვეყანაც იმიტომ იტანჯება ასე უღმერთოდ, რადგან ნაგრძნობი სჭარბობს ნათქვამს მუდამ.

ასი წლის წინად დაიბადა იგი. ამ ქვეყნად სამოცი დაჰყო მან. ვინ დატანჯულა მასავით მწარედ. ეგებ იესო, ჩვენი მინიერი ტანჯვა რო იტივრთა და ჯვარზე ავიდა ისე, როგორც არც ერთი გვირგვინოსანი ტახტზე. ეგებ ფრიდრიჰ ნიცშე, დიდი ანტიპოდი ნაზარეველის, ანტიქრისტე და ჯვარცმული დიონისე. და სადაც ნიცშეს წმინდა სახელი იხსენება, იქ იხსენება დოსტოევსკის სახელიც, რადგან მასზე სთქვა ნიცშემ: „ერთად ერთი ფსიქოლოგი, რომელმაც ცოტა რამ მასწავლა მე“.

ვინ არ ისწავლის მისგან!

მან მთელი ჩვენი საუკუნის ტკივილები საუკუნით ადრე არ გამოჰხატა? „მოჰკალ ეგ მდიდარი, კრიჟანგი ბებერი“ — ასე უკარნახებდა რასკოლნიკოვს თავისი სინიდისი.

მისმა რუსეთმა ეს კბილებ ჩამღვრძვალნი ბებერი მოჰკლა, მაგრამ განა ჩვენ საუკუნეს ტვირთი შეუმსუბუქდა? განა ნათელ მოსილი სიმშვიდით არ შემოგვნათის დღესაც ნაზარეველის სათნო აღთქმა: „ბოროტებას წინ არ აღუდგე“, რადგან თვით ბოროტებაც ისე აუცილებელია ადამიანურ ცხოვრებისათვის, როგორც ღმერთ შეყვარებული სათნობა? მასავით არავის უგრძნია ის საშინელი კონფლიქტი ადამიანურ საზოგადოებისა, რომელიც განადგურებას უქადის ჩვენ თანამედროვე კულტურას.

„ეს მართლაც ღრმა ადამიანი ათეცად მართალი იყო“, ამბობს ნიცშე. მართალი იყო დოსტოევსკი, როცა მასში გრძნობა და წინასწარგრძნობა მეტყველდებოდა. ხოლო გონკური: დოსტოევსკიმ თავისი ეფექტები ფრანგულ რეალისტურ რომანიდან ისესხა და მერე თავისი ნაწერები აავსო, აავსო ედგარ პოეთი.

განა მარტო პოეთი? დოსტოევსკიმ რუსეთით, ჭლექით, სპლინით, შიმშილით, სიგიჟით და ეპილეპსიით აავსო თავისი ხსოვნათა ურნა.

ეპილეპტიკი და ენა დაბმული მისტიკოსი. ამორი და პსიხე, დეკადანსი და გარიჟრაჟი. ერეტიკოსი და ღმერთის მაძიებელი, ქრისტე და ანტიქრისტე. ყველაზე უწინ დიდი ინკვიზიტორი. ესაა დოსტოევსკი. სულ ყველგან კონტრასტები, ყველგან გოეთესებური პოლარულობათა ჭიდილი. და ამ საშინელ მსოფლიო კონტრასტების სტიქიონურ ჭიდილის გამომხატველი ხელოვანი, რომელმაც ქვეყანა „ყვითელ სახლში“ გადაიტანა, იყო თვით დოსტოევსკი. ამ ყვითელ სახლში ნახა მან ალიგიერი დანტეს L'inferno. საქმეც ის არის, ამ ქვეყანაზე იარო ადამიანური სამოსით და ადამიანურად მგრძნობიარე გულით, ხოლო მისანისა და ნათელ მხილველი თვალთ იხილო ჯოჯოხეთი სულიერ წარღვნათა და ცისკარი განწმენდის მთათა კირჩხიბებზე გარდმომდგარი. რა დიდი იყო დოსტოევსკი როგორც ხელოვანი, რა მარტივი მისი ადამიანური ცხოვრება! ეპილეპტიკი. რედაქტორი. მშიერი სტრიქონების შემყურე მწერალი, რომელიც ავანსების მიღებამდის სჭამდა ავანსებს. ჟურნალისტი და კატორღელი. უმართებულოდ დასჯილი, მაგრამ მაინც დამნაშავე, რომელმაც კაცის მკვლელის გამართლებაც კი მოინდომა მაღალი აზრის სახელით. მაკიაველი ადამიანურ მორალში და ამორალისტი Par excellence. მაგრამ მაინც კაცი, რომელიც ზეკაცისთვის ქოხს აშენებდა ამ ქვეყნად და ამიტომაც გვიყვარს იგი ჩვენ.

ჩვენ გვიყვარს ის, როგორც ადამიანებს და როგორც ქართველებს, თუმცა პანქართ-ველიზმი და პანსლავიზმი შეუთავსებელი მცნებებია.

დიდ ადამიანებს ხშირად დიდი შეცდომებიც ჰქვინის, შვენის მაგრამ ეს არ ამართ-ლებს მათ. მისი პანსლავიზმი ისეთივე აბსურდი იყო, როგორც მთელი მისი კულტურულ-ფილოსოფია. მას გულწრფელად სჯეროდა, რომ სლავიანელები ყველაზე მაღლა უნდა დავაყენოთ, რადგან ისინი ყველაზე წინ მიდიან (sic). ევროპის დიდ ცივილიზაციაზე და კულტურაზე მას ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. მან ვაგონის ფანჯრიდან და-ათვალიერა გერმანია, შვეიცარია, ერთი ღამეც ფლორენციაში და ორიოდე კვირა ლონ-დონ სიტის მიდამოებში და უკვე მზად იყო ზღაპარი „კბილ ჩამღვრძალ ევროპის შესახებ“.

მას არ უნდოდა ანგარიში გაენია იმ დიდ არტისტიულ და ეთიურ კულტურისათვის, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყვნენ დანტე და გოეთე, შექსპირი და მიქელ-ანჯელო. მისი დიდი თანამემამულე ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა ქედი მოედრი-კა ამ სახელების წინაშე.

მაგრამ ჩვენ გვიყვარს არა დოსტოევსკი რომანსიე (მისი რომანი, დღეს უფორმო ყურ-ნალიზმად მოგეჩვენებათ), არც თუ დოსტოევსკი სტილისტი, იგი ბლუკუნა გენიოსი იყო შექსპირთან და დანტესთან შედარებით, არც თუ დოსტოევსკი ყურნალისტი დილეტან-ტურად გადაძქრელი დიდი კულტურ-ფილოსოფიური პრობლემებისა, არამედ დოსტო-ევსკი კოსმიურ პრობლემების დამყენებელი, დოსტოევსკი რელიგიური გენიოსი, დოს-ტოევსკი მისანი და ნათელ მხილველი, მამამთავარი და წინამორბედი ძლიერი ეთიკისა და მსოფლიო გაგების. ამ პუნქტებში იგი ძმურად ხელს უწვდის ჩვენი თანამედროვეობის შეუდარებელ ჰეროლდს, ფრიდრიჰ ნიცშეს.

და ჩვენ გვიყვარს ახალი სულისა და სამყაროს ახალი იდეების მახარობელი დოსტო-ევსკი, რომელიც იტყოდა: „შემდეგ მოვიდის ცხოვრება ახალი, ძე კაცისა ახალი, ყველა-ფერი ახლად იქნება, შემდგომად დაჰყოფენ მსოფლიო ისტორიას ორ ნაკვეთად: გორი-ლადან ღმერთის დამხობის დღემდის, ხოლო ღმერთების დამხობიდან მიწისპირისა და ადა-მიანობის მოდგმის ხელახალ ფერისცვალებამდის. და კაცი გარდიქმნება ღმერთად და ფსიქიურად ფერს იცვლის, სამყარო, ქცევანი და მოქცევანი, აზრნი და გრძნობანი ადა-მიანობის მოდგმისა იცვლიან სახეს“. ამ დიდი მსოფლიო მეტამორფოზის მახარობელ დოს-ტოევსკის ეკუთვნის ჩვენი ღრმა ფიქრი და სიყვარული, მისი დაბადების ასი წლის თავზე.

კონია გამსახურდია

ტფილისი, 1922 წლის იანვრის 5-ს.

ხელოვნების მათიანი

საქართველო

აკაკი წერეთლის სახლი. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა თავისი მიმარ-თვის პასუხად (იხ. „ლომისი“, №1) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან შემდეგი პასუხი მიიღო: „თქვენს მომართვაზე აკაკი წერეთლის სახლის დაცვის შესახებ, კომისარია-ტი გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ გაცემული არის სასტიკი განკარგულება შორაპნის რეგკო-მისადმი აკაკი წერეთლის სახლკარის აღრიცხვიდან ჩამოსხნისა და დაცვის შესახებ“.

აკაკი წერეთლის ანდერძი. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა მის მიერ აღძრულ შუამდგომლობის შესახებ (იხ. „ლომისი“, №1), რათა სისრულეში იქნას მოყვანილი აკაკის ანდერძი, განათლების კომისარიატისაგან მიიღო შემდეგი პასუხი: „განათლების კომისარიატი გაცნობებთ, რომ აკაკის მამულში სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი გაიხსნება მომავალ წლიდან“.

სრულიად საქართველოს მწერალთა ანკეტა. მწერალთა კავშირის საბჭომ დასაბეჭდათ დაამზადა საანკეტო ფურცლები, რომელიც ამ დღეებში დაურიგდება კავშირის წევრებს შესავსებად.

ქართული ლიტერატურის გავრცელება. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს რკინის-გზების სამმართველოს წინაშე, რომ მას იჯარით გადაეცეს რკინის-გზის ყველა კიოსკები ქართული ლიტერატურის გავრცელების სათანადო დონეზე დასაყენებლად.

ლიტერატურული ხუთშაბათები. 5 იანვარს ხელოვნების სასახლეში შესდგა მორიგი (მეშვიდე) ხუთშაბათი: ობოლი მუშა — პროლეტარული პოეზია.

ვასო აბაშიძის იუბილე. 15 იანვარს რუსთაველის თეატრში გაიმართება ვასო აბაშიძის 50 წლის იუბილე.

დანტეს საღამო. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო იანვრის 12, დანტეს გარდაცვალების 600 წლის თავზე გამართავს საზეიმო მერვე ლიტერატურულ ხუთშაბათს, რომელზედაც მონვეული იქნებიან აგრეთვე საპატიო სტუმრებიც.

ხელოვანთა კომიტეტი. მოხდა ქართველ ხელოვანთა მთავარი კომიტეტის რეორგანიზაცია შემდეგ საფუძველზე: ხელოვანთა კომიტეტის საბჭო შესდგება ცამეტი კაცი-საგან: 7 ადგილი დაეთმო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს, რომელმაც თავისი მხრით სამი ადგილი დაუთმო ახლად დაარსებულ ასსოციაციებს. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე — პოეტი კოტე მაყაშვილი.

ი. გრიშაშვილის წიგნი. გამოდის მეორე ტომი ი. გრიშაშვილის ლექსებისა.

ახალი წიგნები. რედაქციამ მიიღო შალვა კარმელის ლექსები „ბაბილონი“ და რაჟდენ გვეტაძის „ღამეები“.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირში. საქართველოს მწერალთა კავშირის მესამე კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლუციები:

გამომცემლობის შესახებ: „საქართველოს მწერალთა მესამე ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება მწერალთა კავშირის საბჭოსი გამომცემლობის შესახებ, აღნიშნავს, რომ სახელმწიფო გამომცემლობის არსებული პირობები ვერ აკმაყოფილებენ მწერალთა კავშირის მიერ დასახულ მიზნების განხორციელებას ამ სფეროში. მწერალთა ყრილობა საჭიროდ ცნობს, მიეცეს მწერალთა კავშირს უფლება თვით ჩაუდგეს სათავეში გამომცემლობის საქმეს, რისთვისაც შუამდგომლობს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რომ მიეცეს მას სტამბა და სხვა საგამომცემლო ტეხნიკური საშუალებანი“.

ხელოვანთა სასახლის ორგანიზაციის შესახებ: საქართველოს მწერალთა ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება მწერალთა კავშირის საბჭოსი ხელოვანთა სასახლის ორგანიზაციის შესახებ დაადგინა: ხელოვანთა მთავარ კომიტეტის მწერალთა კავშირის წარმომადგენელთ ევალებათ ხელი შეუწყონ კომიტეტს, რათა ხელოვანთა სასახლეში ახლო მომავალში გაცხოველდეს მუშაობა და სასახლე გადაიქცეს ცენტრად ქართული ხელოვნებისა და კულტურისა. მწერალთა ყრილობას არა სასურველად მიაჩნია სასახლეში კერძო ბინების არსებობა. მწერალთა კავშირი თავის მუშაობისათვის იკავებს საჭირო ნაწილს ხელოვანთა სასახლის ბინისას. კავშირის წარმომადგენლები იღებენ თავის თავზე, მონა-

ყონ სასახლეში სალიტერატურო საღამოები, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მწერალთა სამუშაო ოთახი. მწერალთა კავშირი უფლებას იტოვებს თავის საქმეების ავტონომიურად წარმოებისას და მთავარ კომიტეტში შედის, როგორც თავისუფალი ასოციაცია“.

„რაბისში“ წევრად ჩაწერის შესახებ: „კონფერენცია სასურველად სცნობს კავშირის წევრები პერსონალურად ჩაენერონ „რაბისში“.

სამეურნეო საბჭოს დაარსების შესახებ: კონფერენცია იღებს პროექტის დებულებას მწერალთა საბჭოსთან სამეურნეო საბჭოს დაარსების შესახებ.

უცხოეთი

დანტეს ნეშტი. რავენას ქალაქის თავის წინადადებით დანტეს დღესასწაულის დღეს საფლავიდან ამოიღეს რამოდენიმე წუთით დანტეს ნეშტი, რომელიც 1865 წელს რალაც მანქანებით საფლავიდან მოიპარეს და იმავე წელს იპოვნეს ისევ.

რიჰარდ შტრაუსს ნევ-იორკში დიდის ოვაციებით შეეგებნენ. იგი მიიღო საპატიო სიტყვით ნევ-იორკის ლორდმერმა.

დოსტოვესკის დაბადების დღე ნოემბერში გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებში იდღესასწაულეს. ამ დღეს გამოქვეყნდა ახალი 25 ტომიანი თარგმანი დოსტოვესკის ნაწერებისა.

ლეონარდო დავინჩის დაკარგული ხელთნაწერები, ტაიმსის ცნობით, აღმოაჩინა იტალიელმა მეცნიერმა დე ტონიმ.

ახალი ნობელის პრემია, სტოკჰოლმელ გაზეთების ცნობით, დაახლოებით 140,000 ოქროს შევედ. კრონა დანიშნულია ინგლისელ მწერლის თომას ჰარდისათვის.

გერჰარტ ჰაუპტმანს პრაგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურმა ფაკულტეტმა უბოძა ფილოსოფიის დოქტორის საპატიო ხარისხი.

მაქსიმ გორკი, რომელიც დამძეულ რუსეთისათვის დახმარების მოსახვეჭად იყო ევროპას წასული, გერმანიაში ავად გამხდარა.

ვლადიმერ გალაკტიონის ძე კოროლენკო. რუსეთის მწერალი კოროლენკო გარდაცვლილა.

ევროპიულ მხატვრობის გამოფენა იაპონიაში. „ფოსიშე ცაფცტუნგი“ სწერს: დღემდის იაპონია შორიდან უმზერდა მხოლოდ ევროპიულ მხატვრობასა და პლასტიკას. ხოლო ამ წელს ცნობილმა გემების ამშენებელმა კ. მატსუკატამ დიდძალი თანხა გადასდო დიდი სტილის სამხატვრო გალერიის გასახსნელად ტოკიოს ერთ სერზე. მან ამ საქმის ხელმძღვანელად მოიწვია ინგლისელი მხატვარი და გრაფიკოსი ფრანკ ბრანგვან. ჯერჯერობით ამ გალერეაში მოთავსებულია 50 სხვა და სხვა ნაწარმოები. აქვე გამოფენილია დეგასის, კუზანეს, პუპის, დე შაკანის და სხვათა ნახატები.

„ლომისი“, 1922, 15 იანვარი, №3



ვასო აბაშიძე

ჩემს მამას

ინოდებოდი: „ცაცია გრიშად“.
 გიყვარდა მხოლოდ ქალი და კრივი.
 და თუმც ცოლები გყავდა დავრიშად,
 მაგრამ ყოველთვის იყავი ქვრივი.
 როცა სერავდი მწვადებს ანაგებს:
 შენ ღვინის სმის დროს არ იყავ ლოთი;
 კრივში ჰხიბლავდა შენს ამხანაგებს:
 მკლავი ცაცია, თავი მელოტი.
 შენი მიზანი, შენი საგანი
 იყო სიმართლის შექმნა ნამდვილად,
 და იყავ ერთი იმათთაგანი,
 ვინც სიამაყეს ჰგზავნის მარტვილად.
 და მეც შენსავით ხალხს ტლანქს და ზარმაცს
 ჩემი თათმანი მივე გირაოდ,
 არხიმედივით ვეძებ აზარმაცს,
 რომ დედამინა ავაყირაო!
 ასეთ ბრძოლაში ჩემ სულს რა მოღლის,
 მან დრო და სივრცე ბრძოლით განჭვრიტა,
 და თუ შვილი ვარ მე ყარაჩოღლის:
 ჩემს კალამს მუდამ ექნება დვრიტა.
 როცა შენს გრძნობას ლექსებს ვატანდი,
 მამავ, მტერს ჰკლავდა სიტყვა ნყობილი,
 და ვხარობ, რომ ვარ მე პროტესტანტი,
 ვიდრე აღსავსე და კმაყოფილი.
 და თუ სიცოცხლემ მეც გამაბრაზა,
 და თუ გამივა ალერსის ყავლი:
 ნერტილის ნაცვლად დამრჩება ფრაზა
 და ჩემს მგოსნობას სხვას შევასწავლი.

ი. გრიშაშვილი

პათოსები

დაინვა სანთლები... დარბაზი დაბნელდა.
 ნადიმი დასრულდა... ხურავენ კარს!
 დამძიმდა ჰაერი, სურნელი განელდა,
 წყვდიადი ბროლის კოშკს ეხვევა გარს!..
 ფიქრები მისდევენ იმედსა მწუხარედ,
 ვით მგლოვიარენი ძვირფასსა მკვდარს.
 ოცნება-კოცონი, მგზნებარე მქუხარედ,
 მიყურდა... მიუჯდა კვამლიან კვარს!..
 გვირგვინი ეხურათ... ოქსინო ეფარათ...

მსწრაფლ მიუახლოვდნენ მიღწევის თხემს,
 ბორძიკი!.. დაქანდნენ, შემოკრბენ ერთ ფარად,
 ეძებენ უფსკრულში ჩაჩეხილ მწყემსს!..
 და ეხლა მისდევენ... მისდევენ მწუხარედ,
 ვით მგლოვიარენი ძვირფასსა მკვდარს.
 დაფერფლდა კოცონი, მგზნებარი მქუხარედ,
 ოცნება მიუჯდა კვამლიან კვარს!..
 მივიღეთ ბარათი საძილოდ წვევისა;
 ნუ ვებლაუჭებით შიშისგან ხავსს.
 დრო არის განქრობის... არაფრად ქცევისა
 და ნულარ ვატყუებთ უგნურად თავს!
 არც ვიძინთ, არც ვკარგავთ... მქუხარეს უაზროდ
 ცხოვრებას ვუზურგოთ, მოსაწყენს, ნავსს!
 ჩავიდეთ კიდეზე, მოვმართოთ უსაზღვრო
 ნირვანის მკერდზედა მთვლემარე ნავს!..
 ფანჯრიდან ჭიკჭიკი ხმა ტკბილი მომესმა,
 გულის წყლულს მალამოდ მომეცხო, მომესვა.
 „შენა ხარ, ჩიტუნი, დაიკო ფრთოსანო,
 ცად მახეტიალე გაისის მგოსანო?!“ —
 „ჰო, მე ვარ! ლამისა მყვირალა დარდები
 დაამხე მინაზე, წამოხტი ზე!
 გააღე ფანჯარა, ახადე ფარდები
 ოთახში და გულში შეუშვი მზე!..“
 წამოვხტი, გავქანდი!.. მოვგლიჯე ფარდები.
 გაუღლე ფანჯარა სტუმარსა ტკბილს
 შემეჭრნენ გულში მე სხივთ იავარდები,
 ვგრძნობთ იმათ ამბორსა სუნნელსა, თბილს.
 ვივსები სინათლით, ტიტანის ძალითა,
 მთელდება გული და მწარედ არ სწუხს.
 მიმქრალი თვალეები მენთება ალითა,
 ძარღვებში ხმაურობს სისხლი და სდულს!
 ნარნარი ლაჟვარდის ფირუზი-ჭევლები
 მეხვივნენ, მიბანენ გალეღილ მკერდს.
 ცამ გამომიგზავნა ზავისა მძევლები.
 შევრიგდეთ!.. დიდება დილისა ღმერთს!
 გამარჯობა ჩიტუნიავ! გმადლობ, ჩემო კარგო!
 რომ იცოდე, შენმა ნახვამ ჩემ სულს როგორ არგო!
 ლამის სევდამ გულს ჩამასო თვისი კლანჭი მჭრელი
 მომისია ეჭვის გველი, ტვინის მწოველ-მხრელი,
 მე ოცნებას მიღრჩობს ღამე!.. ჰაერი არ მყოფნის!..
 მიმწარდება, მიშხამდება სიტკბოება ყოფნის.
 ეხლა კი მწამს, რომ ხარ ცისა სანატრელი გზირი
 აღმადგინე... სიცოცხლისკენ კვლავ იბრუნე პირი!..
 მოალერსე თვალეებითა შემომხედა სირმა.
 შეფრთხილდა. მზის სხივები ტურფად მოისირმა,
 მონკრიალე, ვერცხლის ხმითა მან მოსძაფა არე:

გამიშალა თვალნი ბგერა და ფერადთა მხარე!
 გამიტაცა... აღმიტაცა!.. და მივფრინავ მეცა.
 მალლა, მალლა, მალლა... ქვევით დამრჩა ზეცა.
 მივსრიალებ სულის სხივად, აღარა ვგრძნობ სხეულს,
 თავს ვეველები მსოფლიოსა, ჩემ სამეფოდ ქცეულს!
 არ მზღუდავენ იქ სიტყვები, იქ სდუმს ქვეყნის ენა,
 იქ ნეტარობს გულის თვალი, ტკბება გულის სმენა!
 ვერ მომწვდება ულმობელის დროის ცივი ხელი,
 ვერც სიკვდილის საშინელი, სისხლიანი ცელი.
 უცნობია ჩემთვის რული, უცნობია დაღლა;
 სულის სხივად მივსრიალებ მალლა, მალლა, მალლა!..
 გაზაფხული თავის სამოსს ხეებსა და ყვავილთ აცმევს.
 დამათრობელ სურნელებას მადლიანის ხელით აკმევს
 ცის გუმბათი ილიმება ცეცხლეულის ფერადითა,
 მზის სიმღერა მწველი ისმის ლაჟვარდოვან ვერანდიდან.
 ჰქუხს საყვირი სიცოცხლისა ბრძანებიან-ვნებიანი!
 სიცილის და რისხვის ხმანი, სიმთ ლივლივი საამური,
 ზართა რეკა, ეტლთ გრიალი, ნაზი კვნესა სალამურის,
 რკინის შლინგვა, ქვის რახუნნი, სისინ-შფოთი მანქანათა,
 ვეშაპური ამოქმინვა და ქოთქოთი ქარხანათა,
 ხმათა ზღვაში შემდინარდნენ ქაოტიურ-უსრულეები,
 მოეფინენ მზის ქვეშეთსა, ამოავსეს უფსკრულები!..
 აბობოქრდა ხალხის ტალღა, სიტყვიანობს და მოქმედობს
 არსებობის დასაცავად იძვრის, იღწვის, შემოქმედობს.
 მომავლის და აწმყოს ზღვარზე მდგარ დაბურულს ტყესა ჰკაფავს
 და სიკვდილი იმის ძლიერ კვერის ქვეშა სულსა ლაფავს!..

მოსანვევ ძახილსა
 გზნებარეს, მახვილსა
 მოვკრავ რა ყურს —
 ვივსები ძალითა,
 უძლევის ალითა;
 ბრძოლა, ჰე, მსურს!
 ოცნების ქადილო,
 მზერათა მანდილო,
 ჩემგანა შორს!
 არწივი ფრთებითა,
 მზურთავი მთებითა,
 არ დავემსგავსები
 ბარისა მძოვრს!
 მომყევით! მენება
 ნგრევა და შენება,
 ფიქრი და ქმნა!
 გაბნევა ქაოსის,
 შესაძლისთ ახოსი!
 ბარვა და ხვნა!

ნადიმსა გავმართავთ
 მწვერვალზე!.. ავმართავთ
 მთაზედა მთას.
 ფოლადის ნებითა,
 მწველ შურის გებითა
 შევანგრევთ ცას!
 ჩვენია წუთები
 დავსჭიმოთ კუნთები,
 ვერა ვინ გვძლევს!
 ტიტანოსთ გუნდები
 მოდიან ხუნდებით.
 გვიფრთხილდი, ზევს!..

კ. მაცაშვილი

1920. X

შენ გიყვარს დედა?..

შენ გიყვარს დედა, გიყვარს ძალიან,
 გაცოცხლებს მისი ალერსი ტკბილი,
 მთელი დღე უმზერ და გიხაროიან,
 სიამით გავსებს მისი ღიმილი,
 და ღამე კიდევ, მის გულს ჩაკრული,
 იძინებ მშვიდად, იძინებ წყნარად?..
 ჰო, გიყვარს და გსურს, ეს სიყვარული
 აროდეს ჩაქრეს, ბრწყინავდეს მარად!..
 მაშ, შეევედრე განგების ძალებს,
 რომ იყო მუდამ ეგრევე ბავში
 და გეგულვოდეს იმისი კალთა
 მფარველად ყოველს გაჭირვებაში!
 არა, არ მოგწონს ბავშვად დარჩენა,
 ცდილობ საკუთარ ფეხზე დადგომას,
 გსურს ცხოვრებაში კვალის დაჩენა,
 ნატრობ დიდებას, გმირად გახდომას?
 მაშ, სიყვარულსა თქვენსას, თუ გინდა,
 არ მოეფინოს მცირედიც ჩრდილი
 და იყოს, როგორც ახლა, სულ წმინდა,
 ღმერთს სთხოვე მისი ადრე სიკვდილი!
 თორემ, როდესაც შენ გაიზრდები
 და ის საჭირო აღარ იქნება,
 ეს ზრუნვა, დღეს რომ ისე მით სტკბები,
 მძიმე ბორკილად გარდაიქმნება!

და მაშინ ვაი, თუ სიყვარული
დაახშოს ზიზღმა და მძულვარებამ
და ეს სიამე და სიხარული
შესცვალოს ტანჯვამ და მნუხარებამ!..

დუტუ მეგრელი

სასამართლოში...

(მოთხრობა)

„უკანასკნელი სიტყვა თქვენია, ბრალდებულო!“ — ცალყბად მიჰმართა თავმჯდომარემ ტუსალს, ალმაცერად შემოავლო თვალი საბრალმდებლო სკამს, ჯერ მარჯვნივ მჯდომარე ახალგაზრდა თანამსაჯულს ჩაუჩურჩულა რალაც, მერე მარცხნივ მყოფს, — უფრო ხნიერს, — ხმა დაბლა გამოელაპარაკა, ბოლოს იდაყვებზე ნიკაპი დააყრდნო და სმენად გადაიქცა.

ტუსალი, ანდრია ნაზლაიძე, ნამოდგა, რუხი მაზარა მოიჯუჯკა, გულხელი დაიკრიბა და დაიწყო...

სასამართლოს დარბაზი შეირხა, ყველამ კისერი წაიგძელა, მოლაპარაკეს დააცქერდა.

ტუსალი იგი შუახნის კაცი იყო, მაღალ-მაღალი, გამხდარი, ბეჭებში ცოტა მოხრილი. ხშირი, ქალარა თმის კულულები ფართე შუბლზე გადმოსჯაროდენ და მის დათენთილს და გაფითრებულ სახეს უფრო აფერმკრთალებდენ. კარგახნის გაუკრეჭავი, აბურძგვნილი წვერ-ულვაში ყომრალი ბაღდადივით შემოხვეოდა ბაგე-ყბებზე, თუმცა სავსებით ვერ დაეჩრდილა ტუსალის ჭკვიანური და საზრიანი გამომეტყველება. მშვენიერი, დიდრონი, სევდით სავსე შავი თვალები ჰქონდა ნაზლაიძეს, მაგრამ ისე მოკრძალებით მიმსხდარიყვნენ შუბლის ძირას, თითქოს უკან გაბრუნებულან და ჭირნახული ადამიანის გულის სიღრმეს ჩამტერებიანო.

ცოტა დანჟღრეული და ხან მკვეთრი ხმა მისი გლოვის ზუზუნად გაისმოდა სიჩუმით მოცულ დარბაზში.

თავმჯდომარე — მეტად მკაცრი სახის ადამიანი, — გატაცებული მისჩერებოდა მობირდაპირე კედლის ერთ-ერთ წერტილს.

თანამსაჯულებს მოემარჯვებინათ სანერ-კალამი და საქმიანის სახით ქალაღზე ხელებს აცოფვილებდენ.

ერთს თანამსაჯულს — ახალგაზრდას, — უკვე გამოეყვანა ლამაზი ქალის სახე და დაჟინებით უსწორებდა წარბ-წამწამს.

მოხუცი მსაჯული კი ჯღაბნიდა ჯორსა თუ ცხენს. ცხოვრებაში მეურნეობა, ცხენები და ძროხები იყო მისი ტრფიალი!

„აქ რამდენჯერმე მკითხეს — აუმაღლა ხმას ბრალდებულმა — რად მოჰკალი ვექილი ჩანჩალაძეო? გადაჭრით ვაცხადებ მოსამართლეთა წინაშე, რომ იგი **მე არ მომიკლავს** და არცოდესმე განმიზრახავს ისეთების მოკვლა, ვინაიდან კაცის მოკვლაში კაცისავე სისხლს თხოულობენ ხოლმე და განა ჩანჩალაძე ადამიანი იყო? არა! ბუნებას შეცდომით მიეცა მისთვის სახება კაცისა: ის იყო განხორციელებული ლირფობა, მშიშარაობა და თავისხვეჭიაობა; ის იყო გასულდგმულებული გულ-ქვაობა, თვალთმაქცობა და ფარისევლობა; ის იყო გამონაჟური იმ სიგლახისა, იმ სულმოკლეობისა და იმ თავდავინწყებისა, უცხო სკოლა-

მა და აღზრდამ რომ შესძლვნა ჩვენ ნასწავლ თაობის დიდ უმრავლესობას, ეგრედ ნოდებულ, ინტელიგენციას, ამ მრავალ თავიანსა და უყალიბო ანარეკლს ხალხისას... ოხ, რომ იცოდეთ, როგორ მეჯავრება გადაგვარებული ადამიანი, რა ტომისაც უნდა იყოს იგი!“

„გთხოვთ საგანზე ილაპარაკოთ!“ — მოულოდნელად გააწყვეტინა სიტყვა თავმჯდომარემ და წარბები შეიკრა.

ბრალდებული შეეყოყმანდა და შემდეგ განაგრძო:

„ეს რამდენიმე თვეა, ციხეში ვგდვიარ და ხმა არ ამომიღია... ნება მიბოძეთ, მოვიქარვო გულის ნადები. გარდა ამისა, კაცი, აგერ, დავბერდი და არასოდეს საშუალება არა მქონია... ყურისმგდებელი არა მყოლია, რომ ბოლომდის მეთქვა, ბოლომდის მოესმინათ ჩემი სიტყვა! ვიტყვდი რამეს თუ არა, ჭილყვაგვებევით დამეხვეოდენ ხოლმე ძალადმაცხოვნე ხელმძღვანელები იმ სხვის აზრებით, სხვის ნებისყოფით დარეტიანებულ ქვეყნისა, რომელსაც ჩვენი სამშობლო ჰქვიან...“

„ეგ საქმეს არ შეეხება... თქვენ ილაპარაკეთ მხოლოდ იმაზე, თუ რად მოჰკალით ვექილი, რამ გაიძულათ და სხვა — კვლავ შეუტია თავმჯდომარემ.“

„მე არ მომიკლავს-მეთქი ვექილი ჩანჩალაძე, — აკი მოგახსენეთ! ის მოჰკლა თავისმა სიმხდალემ... თავისმა უგნურებამ“.

„როგორ მოხდა ეგ საკვირველი ამბავი... აი, რა უნდა გვაუწყოთ!“ — დასცინა თავმჯდომარემ და სკამის ზურგს გადაეყუდა, უკმაყოფილო, პირმქუში.

„გრძელი ისტორიაა და თუ მათქმევინებთ“... — სთქვა ტუსალმა.

„მოკლედ კი ბრძანეთ... უკვე ოთხი საათია!“ — დაიბუზუნა თავმჯდომარემ. აქ ძვირფასი ოქროს საათი ამოიღო, ხელში შეათამაშა, დახედა და ისევ უბეში ჩაიდო...

„ნეტა შეიძლებოდეს წლობით ნატანჯის საათობით ამონურვა!“ — გაიფიქრა ტუსალმა. ხმა მალლა კი განაგრძო:

„ვის გინახავთ გაშიშვლებული სიღარიბე? ვის გინახავთ დანგრეული ქოხი, შიგნითაც რო ისე სწვიმს ხოლმე, როგორც გარეთ. ვის გინახავთ ულუკმა-პუროდ დარჩენილი ქვრივობლები, უპატრონონი, უადამიანონი, უნუგეშონი? აი, ასეთი გაუბედურებული ოჯახის შვილი ვარ. მამის სიკვდილის შემდეგ დედა-ჩვენს დავრჩით ერთი ერთმანეთზე მომდევნო ექვსი ბავშვი. ვერაფერს გეტყვით: როგორ გამოვდიოდით, როგორ ვიბრუნებდით სულს. მეზობლების ანაბარად ვიყავით. ერთი კია, რომ დედა ჩემმა წერაკითხვა იცოდა და ოსტატობა დაინყო: ხუთი ექვსი სოფლელი გოგო ყოველთვის ჰყავდა ხოლმე აბარებული ანბანის სასწავლებლად. წერას ხარის ბეჭზე ასწავლიდა კალმად გამოჭრილ ბატის კანჭით. წყალში გაქნილ ქვაბის მურის მკრთალი მელნით ამ ბეჭზე უჯლაბნიდა პატარ-პატარა ლოცვებს და მერე რის ვაი-ვაგლახით არკვევინებდა ამოსალებს. დიდი მოთმენა, წვალემა და ჩიჩინი უნდოდა ასეთს სწავლებას. გოგოები ხშირად გარბოდენ ხოლმე სახლში და ოსტატს ხვეწნამუდართა და ათასგვარი დაპირებით უხდებოდა მათი ისევ შეკრება. ჩვენი ქოხი ხან მღუმარებით იყო ხოლმე მოცული, ხან კი ჯიჯინითა და ღრიანცელით ივსებოდა.“

და-ძმებში ყველაზე უფროსი მე ვიყავ. მე ვიყავ მათი მომვლელიც. როცა დედა ჩვენი გოგოებს უჩიჩინებდა, ჭუკიებსავით დავილაღავდი ხოლმე ჩემს და-ძმათ და მიმყავდა მინდორ-ველად, რომ შეგირდ-გოგოებისათვის ხელი არ შეეშალათ.

ჩვენი ქოხის ცოტა მოშორებით, მზის გულზე, ხეხილით შემოფარგლული ერთი მყუდრო კორდი იყო. აი, ამ კორდზე მივდიოდით ხოლმე და თითქმის საღამომდე იქა ვრჩებოდით. კორდის თხემიდან კალმით აუწერელი დიდებული სურათი იშლებოდა: შორს გამდგარი, თოვლით დაფენილი ბრუტ-საბრძელა¹ ისე ახლოს მოსჩანდა, გეგონებოდათ, ხელს მივანვდენო. მის ჩამოდაღმა მდევებივით განოლილიყვნენ ტყით დაფენილი კეცა-კეცა

1. ერთ-ერთი მწვერვალი კავკასიონის ქედისა, იგივე — იალბუზი.

მთები, ადგილ მწვანეთ მოლალანე, ადგილ ჩაშავებულ-ჩაბნელებულნი და ანდამატივით იზიდავდენ კაცის გულსა და გონებას. შორიდან მოისმოდა გიჟი ლიახვის ხვივილი და ეს საიდუმლო ხმა ჟრუანტიელად მივლიდა ტანში.

თვით კორდზე, გაზაფხულობით, წელამდე ბალახი ბიბინებდა ხოლმე, ათასგვარ ყვავილებით აჭრელებული. უთვალავი ფერადი პეპელა და ბუზ-მწერები დაჰფრენდა იქ. კორდის ძირას მორაკრაკე ნაკადულიც სირმასავით მიელვარებდა და დაუსრულებლად ჰბანდა პირს თავებ მოკანტურე ზიზილებს.

მთელი დღე ვიჯექ ხოლმე რომელიმე ბუჩქის ძირას და გავყურებდი მოკრიალებულ ცის დასავალს, ხე-ტყით დაფენილ მთა-გორაკებს, ყურს ვუგდებდი ლიახვის ხვივილს, ბალახების შრიალს, მწერ-პეპელათა ფარფატს, ფუტკრების ბზუილს, ყვავილების ფშვინვას და“...

„გთხოვთ, თავი დაანებოთ უადგილო რომანტიულობას!“ — ველარ მოითმინა თავმჯდომარემ და უკმეხად სიტყვა გაანყვეტინა.

ნაზლაიძემ თმაზე ხელი გადაისვა, მწარედ ამოიოხრა, თითქოს მოგონებათა ლანდებმა შეანუხესო და უპასუხა:

„მე კი მგონია, ბატონო მოსამართლენო, რომ სწორედ აქ არის ჩამარხული... აქედან იწყება ჩემი ზიზილი ყოველივე მახინჯობისა და უმგვანობისადმი... — ტუსალი კვლავ შეჩერდა და მერე ნირშეუშლელად განაგრძო — გული გამოურკვეველი სიხარულით მევსებოდა. თვალეებზე ნეტარების ცრემლები მადგებოდა. მკერდი მიფართოვდებოდა, ფიქრები მეზრდებოდა. ფრთები... ჰაერობა... მენატრებოდა, რო მოვვლებოდი მთა-ველებს, ავსულიყავ ცაში, მოვხვევოდი მნათობებს, მთის მწვერვალებს, თითოეულ ხეს, თითოეულ ბუჩქს, თითოეულ ღეროს ბალახისას. მინდოდა, გავქნილიყავ ნისლივით, დავმდნარიყავ წმინდა-სანთელივით ბუნების წიაღში!.. ვინ იცის, რამდენჯერ წამოვარდნილვარ ოცნებით გატაცებული და გიჟივით ვადამიკოცნია ბექობზე შეფენილი გვირილები, ყაყაჩოები, ზიზილები, ბალახები“...

ნაზლაიძე გაჩუმდა ცოტასხანს, სულის მოსაბრუნებლად, თავმჯდომარემ გაკვირვებით მხრები აიჩეჩა. ახალგაზრდა მსაჯულმაც გაფანტვით მიმოავლო თვალი დარბაზს და მერე ისევ თავის მხატვრობას დაუბრუნდა. მოხუც მსაჯულს კი... არხეინად სთვლემდა.

„სამაგიეროდ უბედური ვიყავ ხოლმე შინ ყოფნისას, — განაგრძო ტუსალმა, — ზანტი, უენო, მოდუნებული, დაფანტული. მე ყურში ჩამესმოდა ბუნების ხმები, თვალწინ მემლებოდა მისი სურათები. მე მინდოდა, ვყოფილიყავ თავისუფალი, ვით შვლის ნუკრი და მეოცნებე, ვით ანგელოზი და დედა ჩემი კი დამძახოდა:

„ბიჭო, ჩინჩხვრები მოიტანე... ბატები მოდენე... გოჭი გარეთ არ დარჩეს... რას გამოლენჩებულხარ, რას გაბუცებულხარ, შე უბედურო...“

დიახ, უბედური ვიყავ დედაჩემის თვალში მაშინ და უბედურადვე დავრჩი დღევანდლამდე, — ვინაიდგან ბედნიერად სთვლიან მხოლოდ მაძღრებს, მორთულ მოკაზმულებს, თვალთმაქცებს, მატყუარებს; ვინც არხეინად სთლის და სჭამს ყრუ ქვეყანასა და ყრუ ხალხს...

„იძულებული ვარ სიტყვა წაგართვათ, თუ საგანს არ დაუბრუნდებით“ — გაგულისდა თავმჯდომარე. მოხუცმა მსაჯულმა თვალეები აჭყიტა და რეტიანივით აქეთ-იქით ყურება დაიწყო. ამის დამნახველმა დარბაზში ვილაცამ დაიფრუტუნა, სიცილი ველარ შეიკავა.

„ბოდიშს ვითხოვ, ბატონო თავმჯდომარე, მაგრამ თუ მოსამართლეები ბრძანდებით, თუ გნებავთ, შეაფასოთ ჩემი საქციელი, მე მგონია“ განაგრძო ნაზლაიძემ, მაგრამ თავმჯდომარემ აღარ დააცალა:

„მე საქმე არა მაქვს იმასთან, თუ თქვენ რა გგონიათ... გთხოვთ, საგანს დაუბრუნდეთ-მეთქი!“ — დაიღრიჯა უბედურად თავმჯდომარე.

„დიახ, მე მგონია, — გაბედვით ჩაურთო ტუსალმა, — თქვენ მოვალენი ხართ, ყური დამიგდოთ იმ დრომდე, ვიდრე არ გამოარკვევთ დასაბამს ბრალდებულის ხასიათისას, მაგრამ სჩანს აქაც, — სასამართლოშიაც, — ენსი მოკვნიტა ყოფილა საჭირო. ამიტომ

მოკლედ მოვსჭრი... თავმჯდომარემ იწყინა ტუსალის კადნიერება და მთელი დარიგება წაიკითხა, თუ როგორ ძვირფასია დრო და როგორ უნდა ეჭიროს კაცს თავი, თუნდაც იგი ბრალდებულიც... დამნაშავეც, იყოს. დარბაზმა სული განაბა... თავმჯდომარემ იგრძნო თავისი გავლენა და სულგრძელობის გამოსაჩენად, როდის-როდის წარბშეკვრით უბრძანა ტუსალს: — განაგრძეო.

ნაზლაიძემ განაგრძო:

„ბუნების შვილი, სოფლელი ბავშვი ჩამიყვანეს სამაზრო ქალაქად და იქ ერთ დახავსებულ სასწავლებელში მიმაბარეს. როგორ მოახერხა ეს საბრალო დედაჩემმა, მე არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ არ არის ცოტად თუ ბევრად შესმენილი ადამიანი ჩვენში, რომ არ უნდოდეს „შვილი ნასწავლი, განათლებული, წარჩინებული“, რაც იმ დროს, არსებითად, უდრიდა ბავშვის გადაგვარების გზაზე დაყენებას, ვინაიდან უცხო სკოლა და უცხოთა პოლიტიკა მოზარდს ბუნებრივად ვერ აღზრდის. მეც ათი-თორმეტი წელიწადი მალეჭიეს სლავური ლოცვები, მიმოძღვრეს რალაც აბდა-უბდა და სადიპლომოდ მამზადებდენ... აქ გამოჩნდა გავლენა ჩვენი ქვეყნის მშვენიერი ბუნების, აქ იჩინა თავი სურვილმა თავისიანებისადმი სამსახურისამ, აქ დავინახე მთელი შავ-ბნელი პოლიტიკა და განზრახვანი ჩინოვნიკ-აღმზრდელებისა და...“

გავიბრძოლეთ უკუღმართობის წინააღმდეგ. თხებივით გამოგვედევნეს სკოლიდან, დაგვფანტეს, დაგვცხრილეს, უგზო-უკვლოდ დაგვტოვეს, შინაურებსაცა და გარეულებსაც მოწყვეტილნი. მივაშურე ისევ სოფელს, ბუნებას, გლეხობას. მალე იქიდანაც გამომდევენ: — ქვეყანას ურევო. დავბრუნდი კვლავ ქალაქად. ერთი წლის შემდეგ დამიჭირეს და ციხეში ჩამსვეს: — ლარიბ-ლატაკებს გვიგულიანებო...

სად წავსულიყავ, რა მექნა, როგორ მოექცეულიყავ? — აღარ ვიციოდი...

ამასობაში გადიოდა თვეები და წლები. ცხოვრება რთულდებოდა, სიდუხჭირე ორკეცდებოდა. ჯურღმულებიდან მოისმოდა ყრუ გუგუნის უკმაყოფილებისა, ხოლო ვინც ალლო აულო ცხოვრების ქართა ქროლვას, იგი პირველ ადგილს წამოსკუპდა.

ერთი მათგანი იყო ვექილი ჩანჩალაძე. უამისოდ არც ერთი საქმე არა კეთდებოდა.

„**ბატონო**, სარდიონ ივანიჩი!“ (ასე ერქვა ჩანჩალაძეს) მოწინებით მიმართავდენ ხოლმე მას ცარიზმის დროს და ისიც იჭიმებოდა, მედიდურობდა, როგორც შეეფერებოდა ნამდვილ ბატონს, ამაცხს, თავ-ქეიფას, ყმისა და მამულის პატრონს, — თუმცა მამა მისი ერთი რალაც გადამღვძალი დიაკვანი იყო.

„**მამულიშვილო!**“ — დასძახოდნენ მას მისი ტოლნი და სწორნი, როცა პირველად შეირყა ტახტი თვითმპყრობლობისა და დემოკრატობა მოეფინა ქვეყანას და ისიც ისე გამოიყურებოდა ხოლმე, როგორც ეკადრებოდა ქვეყნისათვის თავდადებულ მამულიშვილს.

– **ამხანაგო!** — ეხვეოდნენ მას მაშვრალნი და ტვირთ მიძიმენი, როცა დაიმსხვრა ბორკილი მონობისა, როცა ძმობა-ერთობა შეიქმნა პირველ თქმად, პირველ ლოზუნგად დიდისა თუ პატარისათვის და... ჩანჩალაძესაც ისე ეჭირა თავი, როგორც პირველ სოციალისტს, პირველ მებრძოლს, პირველ კაცს...

ასეთი იყო გარეგნული, საჯარო ყოფნა ჩანჩალაძისა. არც ერთ ხანას, არც ერთ ქროლვას ქარისას და არც ერთ ტალღას ხალხთა ლელვისას იგი არ დაუჩრდილავს, არ დაუფარავს, არ დაურჩვია. პირიქით, მუდამ უვნებლად ტივტივებდა ცხოვრების ზედა-პირზე და მუდამ სჩანდა იგი, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწე. მეფის დროს ეტლით დაიარებოდა, ძმობა-ერთობისას კი — ავტომობილებით დაჰქროდა, მორთულ-მოკაზმული, კრიალა, ადგილ მოლიმარი, ვით ანგელოზი და ადგილ წარბშეკრული, დაფიქრებული, ვით ბრძენი დიპლომატი.

ჭეშმარიტად უცნაურია ხალხი, მასსა, ბრბო! თუ ენდო-ვისმე, — გააღმერთებს და თუ შეიძულა ვინმე, — ფეხით გაჰქელავს.

ჩანჩალაძემ კარგად იცოდა ხალხის ეს თვისება და ისე ათამაშებდა მას, როგორც ხელოვანი დამკვრელი ათამაშებს ხოლმე ვიოლინოს სიმებს...

თითქმის არავინ იცოდა, რომ, არსებითად, ვექილი ჩანჩალაძე დიდი ქვენაგრძობის კაცი იყო, დიდი ქამელეონი, დიდი თვალთ-მაქცი და თავისხვეჭია. იგი დასცინოდა ბრბოს, დასცინოდა გულუბრყვილო ხალხს, სპეკულიანტობდა მისის ნდობითა და ხმით. ფრთხილი იყო, ვით კურდღელი და შემპარავი, ვით მელა. რაც ზევით სჩანდა, ხუთი იმოდენა მინაში დაძვრებოდა და ისე აკვარახჭინებდა თავის პირად საქმეებს, რომ ეჭვსაც ვერ აიღებდით მის გაიძვერობაში... ადგილ რიხიანი და მჭერმეტყველი, ადგილ მდუმარე, ვით სამარე შორიდან ზვერაავდა ხოლმე თავის პოზიციებს და სკუპ-სკუპით იჭერდა მათ...

ათი-თორმეტი წელიწადი იყო გასული, რომ ჩანჩალაძე აღარ მენახა. ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ გადამხდა, ბევრი რამ განვიცაადე. დიდი ხნის დაცოლშვილიანებუ-ლი ვიყავ, ღარიბი, ლატაკი, იდეალისტი, კვლავ მეოცნებე, ყოველ გვარ ბოროტებისა და თვალთმაქცობის დაუძინებელი მტერი, პირალია, ფიცხი, მოურიდებელი. ჩემისთანა კაცს თავის მტერს, თავიჭამიას ეძახიან და მართლაც გათიშული დავრჩი ყველასაგან და ყველაფერში. გაბატონებულ მოძღვრებას ვერ შევეთვისე, არსებულ პარტიებს ვერ მოვურიგდი. სიცრუე და სიყალბე მარჯვნიდან, თუ მარცხნიდან მამრახებდა, მლიქვნელობა ძლიერთა წინაშე, თუ ბრბოს ფეხის ლოკვა ერთნაირად მეზიზღებოდა და...

დავხეტებოდი უადგილოდ, უბინაოდ, შეუსაფარი. ნახევარზე მშვიერი, ნახევარზე მწყურვალი.

ცხოვრება მე დამცინოდა და მე — ცხოვრებას...

ერთ დღეს ბინას დავეძებდი ქალაქში. ბინა აღმომიჩნდა იმ სახლის ქვედა სართულში, სადაც სცხოვრობდა თურმე ვექილი ჩანჩალაძე, იმ დროს დიდი ამხანაგი, გამგე რალაც დიდი საზოგადოებრივ დაწესებულებებისა. შევხვდით. სალამი-ქალამი. მოგონებანი. კამათი. ყრუ უკმაყოფილება ერთმანეთისადმი და განშორება უფრო ღრმა და შეურიგებელი, ვიდრე სტუდენტობის დროს გვექონდა. ის უზრუნველყოფილი, სახელოვანი, ცნობილი კაცი, ქურქიანი, ხელთათმანიანი, ნდობით აღჭურვილი, ავტომობილიანი სოციალისტი, — მე კი... ჩამოფლეთილი, დევნილი, გაუსწორებელი იდეალისტი-ევოლუციონისტი, არასოციალისტი — დღევანდელის აზრით — „შოვინისტი-ნაციონალისტი“ და სხვა ამისთანა მკვრეხველობის მატარებელი!

გახურებული რევოლუციის ხანა იყო. ქალაქი, ქვეყანა სიმშლითა და სიტიტვლით იყო მოცული და მე ხომ სულ ნატისუსალი ამდიოდა. ამავე დროს ოჯახიც არეული მქონდა. ჩემი სამი ვაჟი — ერთი ბალშევიკი, მეორე მენშევიკი, მესამე სინდიკალისტი, თუ ანარქისტი — წინათვე დაერივნენ ერთმანეთს, მიმატოვეს და სადღაც გადაიღუპნენ. ორი ქალიშვილი ვიღაც-ვიღაცებს გაჰყვნენ — ერთი რუსს, მეორე გერმანელს (დღესაც არ ვიცი, სად არიან). დავრჩით მე და ჩემი უდროოდ დაბერებული ცოლი. სამ დღეში ერთხელ თუ გავლექდით ხოლმე ხმელა ჭადს. მშვირები ვიღრძობოდით და გაბუტებულებივით ვისხედით ხოლმე ნესტიან, ჯურღმულის მსგავს, გამოფხეკილ ოთახის ცალ-ცალკე კუთხეში. მე არ ვიცი, რასა ჰფიქრობდა იგი დაუსრულებელ სიჩუმის დროს, მე კი მაგონდებოდა ხოლმე ჩემი სიყმანვილე, სამშობლოს ბუნება, მისი თავგადასავალი, დღევანდელი ყოფნა... პირველი სიყვარული. ჩვენი კორდი, მონაფეობა, სტუდენტობა, ოცნებანი... დამსხვრეული იმედები, დაკარგული დრო და ჟამი, მოახლოებული სიბერე და სიკვდილი, — არარაობად ქცევა, იმ ზმანების შემდეგ, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია და რომლის ასავალ-დასავალიც ვერავის დაულაგებია ისე, რომ ყველა ბედნიერი იყოს ამ უკმეხ წუთისოფელში! თუ დამიჯერებთ, სიკვდილისა არასოდეს არ მშინებია, მაგრამ ვიდრე სიკვდილი მენვეოდა, მე მინდოდა მომეგონებინა ისეთი რამ მანქანა, ჯადოსნობა, გრძნეულობა, სასწაული, რომლის საშუალებითაც ერთბაშად მოსპობილიყო ბოროტება და თვალთ-მაქ-

ცობა მსოფლიოს მასშტაბით! ვეგდე ხოლმე გაშოტილი ტახტზე და ვფიქრობდი: იმ უცნაურ მანქანაზე... მთელი ქვეყნის გაძღობაზე, გათბობაზე, გაადამიანებაზე... სისხლზე მოვყავდი, ვინც კი ამ ოცნებიდან გამომარკვევდა და დღის სიცხადეს, ფლიდსა და ორპირ დღის სიცხადეს, დამიბრუნებდა ხოლმე“...

„გიჟი ყოფილა, საცოდავი!“ — ნასწურჩულა თავმჯდომარემ ხანში შესულ თანამსაჯულს და მოთმინება დაკარგულივით შეიმშუშნა.

„ჰა? ჰო! დიახ! — ნაილულულა მოხუცმა მსაჯულმა და თვალები კვლავ სასაცილოდ დააჭყიტა. ნაზლაიძე კი განაგრძობდა.

„სისხლზე მოვყავდი ჩანჩალადის გულცივობასა და მატყუვრობასაც. სიცივე-სიმშობის გამო ქალაქში დიდი მთარულები იყო. ხალხი ბუზივით იხოცებოდა. დილით საღამომდე მლოცველებივით მოდიოდნენ ღარიბ ლატაკნი ჩანჩალადის კარებთან. ჩანჩალადე მოვალე იყო თავის თანამდებობისა გამო გზები ეჩვენებინა მათთვის, დაემშვიდებინა, დაეპურებინა საზოგადო ულუფისაგან, წინ გასძლოლოდა, ეპატრონა, მაგრამ იგი ყურსაც არ იბერტყდა. ზიზლით ექცეოდა, უყვიროდა, უშტიალებდა, ხშირად ემალებოდა კიდეც, როცა სახლში იყო ხოლმე და აინუნშიაც არ იგდებდა მთხოვნელთა ვედრება-მუდარას. მთხოვნელნი კი მაინც არა შორდებოდნენ ჩანჩალადის კარ-ფანჯრებს, არახუნებდნენ, ანკარუნებდნენ, აჯაჯგურებდნენ მათ და იდგა ხოლმე ერთი დაუსრულებელი ღრიანციელი და კბილთა ღრჭენა. ასე გადიოდა დღეები, კვირეები, თვეები. ზაფრამ ამიტანა. მთელი ქვეყნის თვალთმაქცობა, დამცირება და უსამართლობა იქვე, ჩემ თვალწინვე, იშლებოდა...“

იმ დღეს, როცა ჩანჩალადე მოკვდა, სამი დღის მშვიერი ვიყავ. უკანასკნელი საცვლელი ბიცი დამეხა... მკბენარი დამეხვა... ცოლი გულსაკლავად ქვითინებდა: ერთ-ერთი შვილის რალაც უბედურების ამბავი მოგვივიდა. გულზე ცეცხლი მეკიდა. აფთარივით დავრბოდი ჩემს ოთახში. მძულდა ჩემი თავი, მძულდა მთელი ქვეყანა, ბრმა და ყრუ კაცობრიობა...

მალლა სართულიდან მოისმოდა როიალის ჟღერიალი და კმაყოფილი, მაძლარი სიცილხარხარი“.

„ბრახ! ბრახ! ბრახ!“ — ასტყდა ამ დროს თავგანწირული ბრახუნი ვექილის კარებისა.

„ვინ გინდათ?“ — მედიდურად გამოეხმაურა ზევიდან ჩანჩალადის მსახური.

„ვექილი... გვშიან... ვკვდებით... გვიშველეთ“.

„ვექილი შინ არა ბრძანდება!..“

„ბრახ! ბრახ! ბრახ!“ — არ ასვენებდნენ კარებს. ეს ბრახუნი ლურსმებივით მესობოდა გულში, ტვინში, მთელს არსებაში.

„ვექილი შინ არ არის-მეთქი!“ — ჩამოჰყვირა მსახურმა მომსვლელს და ერთი ლაზათიანად შეუკურთხა.

„სტყუის! სტყუიან ყველანი, უბედურნო, უკეთურნო, დაბრმავებულნო!“ — დავიღრიალე სიბრაზისაგან გადარეულმა, დერეფანში გავვარდი, ჩანჩალადის კიბესთან გავჩნდი და მოვმართე მისი გვარის ღრიალი.

„რა გაყვირებს, ოხერო!“ — მომესმა ზევიდან მრისხანე ხმა ვექილისა, რომელიც კიბეზე ჩამოდიოდა.

მისმა მაძლარმა სახემ, მისმე მედიდურებამ გონება უარესად დამიბნია და კიბეზე ავვარდი.

აღბად საზარელი სახე უნდა მქონოდა, რომ ვექილი უცხად გაფითრდა, კანკალმა აიტანა... მე... მე... მე!.. ნაილულულა, შეტორტმანდა, კიბის საფეხურზე ფეხი დაუცდა და ქვევითკენ დაგორდა...

როცა ხმაურობაზე მისიანები გამოცვინდნენ და ძირს ჩამოგორებული ვექილი წამოაყენეს, იგი უკვე მკვდარი იყო... აღბად ან შიშისაგან გაუსქდა გული და ან დაგორების დროს რაიმე როკს დაჰკრა საფეთქელი...

მონმე არავინა მყავს. ის კაცი, რომელიც ჩანჩალაძეს იხმობდა, სადღაც მიიმალა და არც ვიცნობ, ვინ არის...

მე გავათავე ჩემი სიტყვა“. — დააბოლოვა ნაზლაიძემ და თავი ჩაჰკიდა.

„უჰ!“ — ამოიქშინა თავმჯდომარემ, დაავლო ქალაღდებს ხელი და სათათბირო ოთახისაკენ გასწია. მას უკან გაჰყვენ თანამსაჯულნიც.

სასამართლოს დარბაზში დარჩენენ განაჩენის მომლოდინე ტუსალი და მოგუგუნე დამსწრენი.

მოსამართლეთა მწვანე მაუდით დაფენილ გრძელ მაგიდას ამშვენებდა ახალგაზრდა მსაჯულის მიერ სიჩქარით დავიწყებულ ქალაღდზე დახატული ლამაზი ქალი...

ნახატი ქალი, იგი უდარდელად იღიმებოდა.

ია ეკალაძე

3 იანვარი, 1922 წ.

ვასო აბაშიძე

(სილუეტი)

ვოლტერის სახის — ცხვირ-ნანვეტილი ნიკაპ-გამახვილებული, ცოცხალის, მოძრავის და ცლანგი თვალების პატრონი. ტუჩები ვიწრო და დაუნდობელ არშია მოკუმული.

ხოლო, როდესაც გაიხსნება ეს ტუჩები — რამდენი სიცილია ამ ხახაში!

ამას თქვენ ველარ უძლებთ და ზოგჯერ იცინით მასთან ერთად თვით ისტერიამდე.

როდესაც განათდებით მისი სახის უცნაურ, კომიკურ შუქით, შემდეგ დაპყრობილი ხართ მუდმივად და ავად ხდებით უკუბრუნებელი სენით.

იმ სენით, რომელიც მედიცინამ არ იცის, მაგრამ აგერ ნახევარი საუკუნეა, რაც თითქმის მთელი საქართველო დაავადმყოფებულია.

ეს ავადმყოფობა თვით ვასო აბაშიძეა.

მაგრამ, აბა, რაღა თქმა უნდა, რომ ამით დაავადება ყველასთვის სასიამოვნოა, ყველას უნდა ეს სენი შეეყაროს, რადგან ამით ცოცხლდება კაცი, კეთილშობილდება ამ მაღალი მხატვარის შემოქმედებასთან ზიარებით, ამაყობს ეროვნულად და ისვენებს სულიერად.

და ამ უცნაურმა კაცმა მთელი თავისი ცხოვრება სიცილ-ხარხარით მოიტანა სამსხვერპლოდ მისთვის, რომ აეგო უზარმაზარი, ეროვნული ტაძარი ქართული თეატრისა.

ყველამ ვიცით, რომ ქართული თეატრი მეცხრამეტე საუკუნისა შთაისახა იანვრის 2-ს, 1850 წლისა, მაგრამ ნამდვილი და მუდმივი დასი დაარსდა ვასო აბაშიძესთან და ვასო აბაშიძით.

ამ გვარათ, ვასო, ამ ჟამად, ჩვენდა სასიხარულოდ, ცოცხალი ისტორია და ცოცხალი ტრადიციაა ქართული თეატრისა.

როგორი მსახიობიც არის ვასო აბაზე იმდენი დაწერილა და თქმულა, რომ თუ რამოდენიმე არა, ერთი დიდი და მოზრდილი ტომი მაინც გამოვა.

ეს ისეთი დიდი სახე და დიდი მოვლენაა ჩვენს მხატვრულ შემოქმედებაში, რომ ამ პატარა წერილით არ ამოიწურება.

ამიტომ ამ ჟამად მე ამას არ გამოუდგები.

მაგრამ ვასო, როგორც პიროვნებაა საინტერესო, როგორც ფენომენი.

დიდი შფოთი, დიდი დონ-ყუანი, დაუდგრომელი და მალალი, ნერვიული ტემპერამენტის მექონი ის პირველი ქართველი ბოჰემელია, სწორ-უპოვარი.

რა არ შეხვედრია, რა არ გადახდენია, როგორ არ უცხოვრია.

იმიტომაც იფეთქა ლეგენდარულმა ეპიზოდებმა მისი სახელის გარშემო.

მეც მახსოვს ერთი მათგანი.

დიდი არაფერია, მაგრამ დიდი კაცის ლაპსუსიც კი შესამჩნევია და გული არ მითმენს, ამ საზეიმო დღეს საჯაროთ არ დავაბეზლო ერთს პატარა დონ-ყუანობაში ჩვენი საყვარელი ვასო. ვასოსთანა ვარ ნომერში. უკვე შეღამებულია. ორნი ვართ მხოლოდ. ჩაით გამიმასპინძლდა ვასო. უნდა გვახსოვდეს, რომ ვასო მშვენიერი მასპინძელია, იცის ეს ხელობა. საერთოთ დიდი კულინარია.

ჩაიც მშვენივრათ დადგა. კარგი იყო.

„როგორია?“ — მეკითხება ვასო.

„დიდებული“.

„ჰო და ამ ჩაის სვამს ჩინეთის ბოგდინხანი, პოპოვი და მე“. — წარმოსთქვა ვასომ თავისებური მიმიკით.

გავიდა ხანი, ჟამი. გარეთ კოკისპირულ წვიმს. ვსხედვართ კვლავ ორნი, ვმასლაათობთ. ვასო აწრიალდა. ეტყობა, სადღაც წასვლა უნდა, ან ვისმე მოეღის.

წასვლა დავაპირე.

„არა, არა, ქაჯან, ჩემთან უნდა წამოხვიდე. ერთად გავიდეთ“.

მივდივართ. „ულმერთოდ ასხამს“.

ვმდუმარებთ. გაუხვიეთ ერთი ქუჩიდან, გაუხვიეთ მეორიდან.

„რანდევუზე მივდივარ, ქაჯან. შენ ყმანვილი ხარ და, როდესაც ჩემ ბიოგრაფიას დასწერ, ეს ამბავიც არ დაგავინწყდეს“.

ვიცინით.

აი, მივალწიეთ დანიშნულ ალაგას. ჩამობნელებულ სახლის წინ შევდექით.

„აქ უნდა დავიცადოთ, შალვაჯან. მალე ფანჯრის დარაბა გაიღება და ჩემი სატრფო სანთელს გააქანებს. ეს იმის ნიშანია, რომ შემიძლია სახლში თავისუფლად შევიდე“...

დავიცადეთ. კარგა ხანმა განვლო. სანატრელი დარაბა არ იღება. არცა გვაქვს ქოლგა და არც არის ისეთი რაიმე თავ-შესაფარი, რომ წვიმას ავერიდნეთ.

ძალზე გავიწუნეთ.

ვასოს მოუთმენლობა დაეტყო. უნდა გამოვტყდე, ვერც მე ვარ გუნებაზე.

ეს ხანდაზმული რომეო კიდევ ჰო, გასაგებია, ამ საშინელს თქეშში მოვიდა მის ჯული-ეტასთან. მის მოლოდინს დიდი საბაბი აქვს, მაგრამ მე ვილა ვარ. სირანო ბერჟერაკიც კი არა ვარ. მხოლოდ მომავალ ბიოგრაფად მონათლული უბრალო შინაყმა.

ძლივს!

ეტყობა დარაბა გაიღო და სანთელი ნაზათ მიმოქანდა წყვდიადში.

არ ვიცი, რომელს უფრო აუფანცქალდა გული სიხარულით.

ორმოცი წლის ვასო ოცი წლის ჭაბუკივით გამოშპა და დიდი სიმარდით გაქანებულმა მომაძახა:

„არ წახვიდე, ქაჯან, დამიცადე!“

წარმოიდგენთ ჩემს მდგომარეობას.

ვასო იქ... მშვენივრადა გრძნობს თავს და მე კი ნიაღვარი კისერში მცემს.

ბედის მორჩილი დიდხანს ვიდექ ქუჩაში.

კიდევ კარგი ჭაჭანება არ არის, ისეთი ამინდია. სულ გავილუმპე.

ძლივს, ძლივს... ცისიერი გაიცრიცა.

გამოდის ვასო. კარებში კიდევ ნაზი ხმაურობა მოისმის.

ძლივს ვარჩევ სიტყვებს ალერსისას.
 ვასო სრული კმაყოფილი მოემართება.
 შემხედა:
 „ოჰ, შალვაჯან აქა ხარ!..“
 დავავინწყდი ბედნიერს.
 და აი ეხლა ვასრულებ მის მაშინდელ ბრძანებას — ჩავწერე ბიოგრაფიაში.
 მეორეს მხრით სამაგიეროს ვუხედი ჩემი განუწვისათვის.

შალვა დადიანი
 1922 წ., იანვარი

ახალი საქართველო და ეროვნული შემოქმედება

I

ამ ორი წლის წინად ჩვენ შემთხვევა გვექონდა მოვგეთავსებინა ერთ-ერთ პერიოდიულ გამოცემაში რამოდენიმე ფელეტონი ეროვნულ შემოქმედების შესახებ ასეთივე სათაურით. მაშინ ჩვენ, ბრწყინვალე და დიადი იმედებით გამსჭვალულნი, იმ აზრს გამოვსთქვამდით, რომ ახალი საქართველო ასოცი წლის მონობისა და მძიმე ბორკილების დამსხვრევის შემდგომ ახალ სიტყვას, ძლიერ ეროვნულ შემოქმედებას ნარმოშობს. ჩვენ გვრწამდა და დღესაც ამ რწმენით ვსულდგმულობთ, რომ თავისუფალი საქართველო, დამოუკიდებელი ერი თავისუფალსა და დამოუკიდებელ შემოქმედების გზას დაადგება. მაშინ ჩვენ ვასაბუთებდით კიდევაც ამ დებულებას სხვა და სხვა ისტორიული მაგალითებით, თეორიულის მოსაზრებით და ვამტკიცებდით, რომ ეროვნული პესიმიზმი, რომლითაც გამსჭვალული იყო ჩვენში ხელოვნების ყველა დარგი, მწუხარება და სევდა, რომელიც ნარმოშობილ იქმნა სოციალურ პესიმიზმის ზეგავლენით ძლეულ იქნება, რადგანაც მწუხარება, ეროვნული ჩაგვრით გამოწვეული, ხანმოკლეა და ტანჯვა, სოციალურ უთანასწორობაზე აღმოცენებული, უდღეო, ნარმავალი.

დღესაც შეურყევლად ვადგევართ ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრს და გვინდა გაუზიაროთ მკითხველ საზოგადოებას ის შთაბეჭდილებანი და განცდანი, რომელნიც ჩვენ მივიღეთ ამ ერთი წლის განმავლობაში ეროვნულ შემოქმედების განვითარების პროცესის შესწავლის დროს.

მეტად დიდი ამბების მონამენი შევიქენით ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში: შესამჩნევად შეიცვალა წესწყობილება ჩვენი ქვეყნისა. ქალაქებმა და დაბებმა სულ სხვა სახე, იერი მიიღეს. სხვანაირად გამოიყურებიან თვით ქუჩები ჩვენი რესპუბლიკის დედა ქალაქისა. ამგვარმა გადატეხამ, რასაკვირველია, თავისი კვალი დაამჩნია ერის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას: შეიცვალა ნივთები და სოციალური მდგომარეობა. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში მოქალაქის სულიერი განცდა, ერის დღევანდელი სულის კვეთება უფრო გვიანტერესებს ვიდრე წმინდა სოციალურ პოლიტიკური ხასიათის პერტრუბაციები.

რა შედეგი მოჰყვა შექმნილ მდგომარეობას? პასუხი ერთია: ეროვნული შეგნების გამტკიცება, ერის სასიცოცხლო ინტერესებისათვის თავდადება, თავისუფლების მტკიცედ შეგნება. აი, ის მთავარი, კარდინალური რეზულტატი, სავსებით რომ იბყრობს დღეს ყოველ ქართველს განურჩევლად მიმართულებისა და მდგომარეობისა.

ჩვენ ვიცით, თუ რა ღირებულება აქვს, საზოგადოდ, ობიექტიურ პირობებს და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის ცვალებადობას. ისიც საკმარისად გვაქვს გათვალისწინებული — თუ რა ბრძოლა სწარმოებს დღეს მსოფლიოში და რა ფარგლებში ვითარდება და მიმდინარეობს იგი. გვახსოვს აგრეთვე ბრძნული სიტყვები დიდი გოეტისი: „ავსეთ თქვენი გული და გონება, რაც უნდა საგრძნობი იყოს მათი სიდიდე, თქვენი საუკუნის იდეებითა და გრძნობებით და მხატვრული ნაწარმოების წარმოშობა არ დაიგვიანებს.“ და ჩვენც სწორედ ამ იდეებისა და გრძნობათა სამყაროს გვინდა დავენაფოთ, რომლითაც ხასიათდება ჩვენი ხანა და ქართველი მწერლის თვალსაზრისით, საქართველოს მასშტაბით განვიხილოთ, დავუახლოვდეთ ამ საკითხს. „ნაციონალურის გზით — ინტერნაციონალიზმისაკენ!“ ეს იყო ჭეშმარიტი სიტყვა, გულიდან ამოღებული ზრახვა ჩვენი უკანასკნელი დროისა, და არა მარტო ეკონომიურსა და სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში, არამედ ხელოვნების საკითხშიაც.

მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენებულ წმინდა ხელოვნებით — მსოფლიო მოტივების მატარებელ ჭეშმარიტ ხელოვნებისაკენ! დიადი ეროვნულ შემოქმედების გზით — უნივერსალურ, სამარადისო ხასიათის მატარებელ შემოქმედებისაკენ.

და მართლაც ხელოვნება, დაშორებული ეროვნულ ნიადაგს, მოკლებული ნაციონალურ სულს, მაჯის ცემას — უნიათოა და ულაზათო.

ჭეშმარიტი ხელოვნება ერთსა და იმავე დროს ეროვნულიც არის და უნივერსალურიც და სწორედ ამასია სიდიადე, ძლიერება ჭეშმარიტი ხელოვნებისა.

შექსპირის „ჰამლეტი“ დანიელთა ცხოვრებიდან არის აღებული, მაგრამ ამასთანავე საკაცობრიო, უნივერსალური მოტივებიც ახასიათებენ მას.

„ფაუსტი“ გერმანელ ხალხთა ძლიერი სულის ნაჟურია, მაგრამ ამასთანავე მთელი კაცობრიობის საამაყო შემოქმედებაც.

შოთას „ვეფხისტყაოსანი“ ქართველ ხალხის გენიის გამმჟღავნებელია, მასში არის ჩაქსოვილი ტემპერამენტი, ძლიერი სული და მტკიცე ნებისყოფა ქართველი ერისა, მაგრამ ამასთანავე საკაცობრიო, უნივერსალური ხასიათის მატარებელია იგი.

ასეთია ერთად-ერთი გზა თავისუფალ ხელოვნებისა, ასეთია მისი დამახასიათებელი თვისებები და ამგვარი გზა უნდა აირჩიოს ჩვენმა ხელოვნებამაც.

კ. აბაშიძე

ხელოვნების მათიანე

საქართველო

დანტეს საზეიმო ხუთშაბათი. სდ. საქ. მწერალთა კავშირის საბჭომ ხუთშაბათს სალამოს, იანვრის 12-ს გამართა ალიგიერი დანტეს გარდაცვალებიდან ექვსასი წლის შესრულების გამო საზეიმო ხუთშაბათი (მერვე). მონვეული სტუმრებით სავსეა დარბაზი. ყველას ყურადღება მიპყრობილია ალიგიერი დანტეს სურათზე, რომელიც ამ სალამოსთვის დახატა მხატვარმა შარლემანმა. სალამოს ხსნის პოეტი გრიშაშვილი. კ. აბაშიძე კითხულობს ა. დანტეს ბიოგრაფიას. ახასიათებს დანტეს ეპოქას. ლეო ქიაჩელი ეხება დანტეს წინა ეპოქის ტრუბადურების პოეზიას. ბოლო სიტყვა: კონია გამსახურდია აღნიშნავს, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა საქართველოში ევროპიელი პოეტის იუბი-

ლიარული სალამო იმართება. დანტე პირველი პოეტია ევროპული დასავლეთისა. იგი ეხება იტალიურ რენესანსს და მის წინამორბედს დანტეს. მის Vita nuova-ს და Divina Comedia-ს აღნიშნავს წარმართულ ბერძნულ და ქრისტიანულ მისტიურ ელემენტს დანტეს პოეზიაში. შემდეგ ახასიათებს დანტეს როგორც მისტიკოსს. სალამო 1/2 10-ზე დასრულდა.

წიგნებისა და ჟურნალების გამოფენა. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში ამჟამად გამართულია გამოფენა წიგნებისა და ჟურნალებისა, რომელიც კი ამ მოკლე ხანში გამოსულა საქართველოში.

ჰაზირა. გარდაიცვალა სახალხო მგოსანი ჰაზირა.

ვასო აბაშიძის ბიოგრაფია. გამოვიდა შალვა ამირეჯიბის მიერ შედგენილი ბიოგრაფია ვასო აბაშიძისა.

რუსთაველის თეატრში. ვ. აბაშიძის საიუბილეო კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე დადგენილ იქნა: საზეიმო სხდომა მოენწყოს დილით 12 საათიდან, ხოლო სალამოთი წარმოდგენილ იქნება გ. ერისთავის პიესა „გაყრა“ თვით იუბილიარისა და განსაკუთრებით ჩვენი დამსახურებული მსახიობთა მონაწილეობით.

ბანკეტი. ვასო აბაშიძის იუბილეს დღეს, იანვრის 15-ს, სალამოს წარმოდგენის შემდეგ გაიმართება საზეიმო ბანკეტი იუბილიარის საპატივცემულოდ. მსურველთ წინასწარ უნდა ჩაენერონ რუსთაველის თეატრში.

ვასო აბაშიძის იუბილე გრანდიოზულ ხასიათს იღებს. საიუბილეო კომიტეტს დღემდე მრავალი ცნობები მოსდიოდა, როგორც ადგილობრივ სხვა და სხვა ორგანიზაციებისა და დანესებულებისაგან, ისე პროვინციის ქალაქებიდან, რათა საშუალება მისცემოდათ, მხურვალე მონაწილეობა მიეღოთ მსახიობის დღესასწაულში.

მხატვარმა ჭიაურელმა დაასრულა ვასო აბაშიძის ქანდაკების ჩამოსხმა, რომელიც დღეს იანვრის 15-ს დადგმული იქნება რუსთაველის თეატრში თვალსაჩინო ადგილას.

მხატვარმა ვ. სიდამონ-ერისთავმა იუბილეს დღისათვის დაამზადა ვ. აბაშიძის სურათები როლებში.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა დაავალა საბჭოს წევრებს — ია ეკალაძეს და კონია გამსახურდიას მიულოცონ მწერალთა კავშირის სახელით ვასო აბაშიძის 50 წლის სცენაზე მოღვაწეობა.

მეცხრე ხუთშაბათი. ი. გრიშაშვილი. ჰაზირა.

უცხოეთი

ფლობერის ძეგლი. დაბადებიდან (12/XII, 1821 წ.) ასი წლის აღსანიშნავად 1921 წ. დეკემბრის 12-ს პარიზში დიდის ზეიმით აკურთხეს ფლობერის ძეგლი. სიტყვები წარმოსთქვეს სხვათა შორის მწერალთა საზოგადოების სახელით ედმონდ ჰაროკურმა, ხოლო ფრანგ რომანისტების სახელით პოლ ბურჟემ.

გერმანელ პოეტების პასუხი ვერსალს. ასეთი სათაურით გამოვიდა გერმანელ პოეტების წიგნი, რომელშიაც გამოცხადებულია პროტესტი ვერსალში მიღებულ სამშვიდობო პირობების წინააღმდეგ.

პიერ ლოტის ახალი რომანი. ცნობილმა ფრანგმა რომანისტმა პ. ლოტიმ კიდევ აღიმალა ხმა ოსმალების და ისლამის სასარგებლოდ. გამოიცა მისი უკანასკნელი წიგნი ამ საგანზე — „Suprêmes vision d'Orient“.

ფრანგ პოეტების ანთოლოგია შვედურ ენაზე. გრაფ ეჰრენსვანდმა დაამთავრა საფრანგეთის პოეტების თარგმანი. მისი წიგნი შეიცავს საფრანგეთის პოეზიას ანდრე შენიელდან ვერლენამდე.

მოლიერის 300 წლის იუბილე. საფრანგეთის სენატმა გახსნა 100.000 ფრან. კრედიტი მოლიერის დაბადებიდან (1622 წ.) 300 წლის აღსანიშნავად.

გაბრიელ დ'ანუნციოს წერილი ამერიკულ გაზეთებში. იტალიურ გაზეთების ცნობით, გაბრიელ დ'ანუნციომ წერილი დაბეჭდა ამერიკულ გაზეთებში ვაშინგტონის კონფერენციის შესახებ. ამ წერილში იტალიელი მწერალი ჰკიცხავს დიდიბრიტანეთის პოლიტიკას და უარყოფს ვაშინგტონის კონფერენციის მნიშვნელობას მსოფლიო მშვიდობიანობის დამყარების საქმეში.

იყო თუ არა დანტე პარიზში. ფრანგი მწერალი გაბრიელ მოგენი „Revue de France“-ში ახალი საბუთებით ამტკიცებს, რომ ალიგიერი დანტე იყო პარიზში მისი ფლორენციიდან გაქცევის ხანაში და ისმენდა თეოსოფიის და ფილოსოფიის ლექციებს.

პოლ ადანის ბოგრაფია და კრიტიკა. საფრანგეთში გამოიცა ახალი წიგნი: პოლ ადანის ბოგრაფია და კრიტიკა.

ნობელის პრემიის კანდიდატები. „დოიცუმე ალგემან ცაფტუნგი“ სწერს: უახლესი ნობელის პრემიის კანდიდატებად წარდგენილ არიან: ინგლისელი რომანსიე თომას ჰარდი, ინგლ. დრამატურგი ჯონ გალს ვორზ, ბერნარდ შოუ, გერმანელი რომანსიე თომას მანი, დანიელი ლიტერატორი გეორგ ბრანდესი, ფრანგი ფილოსოფოსი პ. ბერგსონი, პაულ კლოდელ და რომანსიე მარსელ პრევო.

დანტეს სალამო ბერლინში. ოქტომბრის დამლევს, ბერლინში დანტეს 600 წლის იუბილარულ სალამოზე ღრმად ნაგრძნობი სიტყვა წარმოსთქვა დოქტ. ვ. ლაფაუზენმა. მანვე წაიკითხა ადგილები ღვთაებრივი კომედიიდან. „დ. ალგ. ცაფტ.“ ცნობით სალამო უჩვეულო ენტუზიაზმით ჩატარდა.

გერჰარტ ჰაუპტმანს დაუწერია ახალი ტრალიკომედია: პეტერ ბრაუერ.

ვილლა ფალკონიერი. ვილლა ფალკონიერი უმშვენიერესი ხელოვნების სასახლეა რომის ახლოს. იგი გაშენებულია მე-16 საუკ. პაპა პავლე მე-III კარდინალის ალესანდრო რუფფინის ხელმძღვანელობით. ამ ვილაში მოთავსებული იყო უძვირფასესი ხელოვნების საუნჯენი. უკანასკნელად აქ ცხოვრობდა გერმანელი პოეტი რიჰარდ ფოსი, რომლის რჩევითაც გერმანელმა ბანკიემ მანდელსონ ბარტოლდიმ შეიძინა იგი. ომის დროს იგი სექსტრალური წესით მიითვისა იტალიამ. ირკვევა, რომ ეს ძვირფასი სასახლე ამიერიდან იტალიის ხელში დარჩება („დ. ა. ც.“).

ეკატერინე სარაჯიშვილისას

ამ ლექს გინერ ჩემს სახსოვრად,
შიგ გაგიხვევ მე ჩემს გულსა,
სადც ვინახავ, ვით მარგალიტს,
შენსა და-ძმურს სიყვარულსა.

ილია ჭავჭავაძე

სათხოვარი სულისადმი

ლექსი მეხუთე

სულო დაღლილო, უთვალავი საუკუნეა
ჩვენი ცხოვრება, მკვდარ დღეებით შემონაგარი,
იშვა ხმაური უცნაური, ეს გუგუნია,
შენს ნაპრალებში ატეხილი შფოთიან ქარის.

აჰყევ ამ ხმაურს და იცოდე: დასაბამიდან
შენი წამება იყო მძიმე და სავალალო,
მაგრამ ეს ხვედრი შენ მიიღე შუალამიდან
და ეს სიავე სხვას არავის არ დააბრალო.

არ დააბრალო, რადგან ჩრდილი შენი მბურავი
გაჩენის დღიდან იყო მზეზე გადაფენილი,
დღეს მე ვარ მხოლოდ შენი მსხვერპლი და მომდურავი,
საზღვარს გადაღმა რომ ხარ მარად გადაფრენილი.

შენს მარტოობას ახლავს ხსოვნა თეთრი დიღების
და მოჩვენება — გამოვლილი ქარის ხელებში.
გამოუცნობი მნუხარების კვამლად ილევით,
სულო აჩრდილო, განბანილო ცრემლის ლეღეში.

ცის სარბიელი — ვარსკვლავებით გაცილებული
ღამეს მოუთხრობს გახარებით შენს სიკარგეზე.
მე სინამდვილეს გადამცდარი, დაცილებული
გემუდარები, ნუ ეცემი მთვარის სარკეზე.

თორემ იქნები სიცივეში დანატოვარი
 სამარადისოდ — მზე იქნება შენი მგმობელი,
 სულო, დაღლილო, მომისმინე ეს სათხოვარი
 სულო, შენ ღმერთო, ქვეყნისაგან შეუცნობელო!

ხარიტონ ვარდოშვილი

1921 წ.

შემოდგომის რვეულები

მარტოობაში — ხშირად ვითვლი გულის ხვეულებს.
 გადავშლი ნაცნობ შემოდგომის წითელ რვეულებს.

შუადღის სიცხე შეათრთოლებს ველს გაყვითლებულს,
 შემოდგომის ცას გაეკვრება ბურუსი თხელი.
 ისევ ზარები გამოსცემენ ხმას გაფითრებულს, —
 და გასწორდება სულის რწმენა, სიამე მრთელი.

ანჩხლი ნიავი გადაისვრის მოწყვეტილ ფოთლებს.
 ახმაურდება ნაცნობი ტყის გრძელი ქალარა.
 დაბარულ მინას სიცივისაგან კვლავ შეითრთოლებს
 და შეიკვრება გადაშლილი ცისა კამარა.

ელვის ღიმილი უკანასკნელ შეაკრთობს ტატნობს —
 და ნაბზარი ცა შეუმჩნევლად გაიგლისება.
 ღამის ზმანებას დღის სიცხადე ძველებზე გაადნობს —
 და ამ ზმანებით გრძელი ღამე კვლავ გაივსება.

მარტოობაში მე ისევ ვთვლი გულის ხვეულებს.
 და ძველებზე ვფურცლავ შემოდგომის ნაცნობ რვეულებს.

იასამანი

სალამოვდება

სალამოვდება, სალამოვდება.
 ცა ბინდის ფერმა დანისლა უკვე
 და ღამაზე სიკვდილს უახლოვდება
 ჩემი ოცნება და სიჭაბუკე.
 რა კარგი იყო ყრმობის ზღაპარი
 ჭაბუკურ სულის ნაზი წამება
 ისე მათრობდა, ვით ველს ამბარი
 და ვარდს ცვარ-წამის გადანამება.

სადღაც, შორეთში მიჰქროდა სული
ჩემი ოცნების ცათა გადაღმა,
არც კი მეგონა მზე ამოსული
და ყვავილები უკვე გადახმა
ო, რა უდროოთ სალამოვდება!
ცა ბინდის ფერმა დანისლა უკვე
და ლამაზ სიკვდილს უახლოვდება
ჩემი ოცნება და სიჭაბუკე.

სიმონ წეველი

ბათუმი

„Les Fleurs du Mal“-ის უკანასკნელი კორრექტურა

ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში ემილ ჰენრიოტი დიდის ინტერესით აღნიშნავს ახლად ნაპოვნს „Les Fleurs du Mal“-ის უკანასკნელს საკორრექტურო ფურცლებს, რომლებზე-დაც უმუშავებდა თითონ ბოდლერს.

ეს ფურცლები მხოლოდ ბოდლერისტებისათვის კი არ წარმოადგენენ ინტერესს. ერთხელ კიდევ ისინი შლიან სურათს, თუ რა მწვავედ სწარმოებს ხოლმე ბრძოლა შემომქმედსა და იმ სულიერ თუ უსულო საგნებს შორის, რომლებიც უკანასკნელ მეცალიბედ ევლინებიან შემოქმედებას.

თავისუფალი შემოქმედებაო და კეთილინებეთ არ დაექვემდებაროთ სიტყვებს და მათ საზღვრებს, ქალღმერთსა და მის მოცულობას, შრიფტსა და მის ხაზებს!!.. არ დაექვემდებარებით — და არ არის ლიტერატურა... დაექვემდებარებით — და შეიზღუდებით!.. ნამება აუცილებელია! ამ მხრით ბოდლერის ნამება ჯვარცმას უდრიდა და იგი გარდა იმისა, რომ დამახასიათებელია, უძვირფასესი სტრიქონებია პოეზიის ისტორიისათვის... რაოდენის თანაგრძნობით წაიკითხავენ მას განსაკუთრებით პოეტები!

უნყებულები ფურცლები, რომლებიც იძლევიან დღემდე უცნობს ახალ მასალებს ბოდლერის დასახასიათებლად და მისი პოეზიის შესაცნობად დაუცავს შთამომავლობისათვის რომელსაღაც ბიბლიოფილს, რომელსაც შეუძენია ისინი ბოდლერის ცნობილ გამომცემლის პულემალასის ბიბლიოტეკიდან ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ.

(ბიბლიოფილობა დიდი კულტურული მოვლენაა. ფრანგებს, მგონია პირველი ადგილი უჭირავთ ამ საქმეში. ჩვენში ცნობილი ზაქარია ჭიჭინაძე დიდი ბიბლიოფილია. ჩვენი მწერლობის აწინდელს თაობას მართებს მისი ღირსეული დაფასება).

1857 წ. თებერვალში მიუცია სტამბაში ბოდლერს მისი საყვარელი „Les Fleurs du Mal“, სტამბიდან კი გამოსულა იგი წიგნად მხოლოდ ივანობისთვეში, და მთელი ამ ხუთი თვის განმავლობაში ბოდლერი „ასწორებდა კორრექტურას“.

„ვიცი, ძვირფასო ბოდლერ, რომ დიდად მიჯავრდებით, მაგრამ მე ეს არ დამიმსახურებია. ეს ორი თვეა, რაც ჩვენ ვდგევართ Les Fleurs du Mal-ზე და ხუთი ფურცელი და მოგვითავებია. ამის შესახებ ამაზე მეტს ვერ გეტყვით: ეს ოთხი დღეა თქვენ გაქვთ მეექვსე ფურცელი“... სწერდა გამომცემელი ბოდლერს. ხოლო ბოდლერი ესოდენს ზრუნავდა და აგვიანებდა გასწორებას, როგორც ის აღნიშნავს თავის წერილებში, არა მხოლოდ იმისათვის, რომ მისი გრძნობები რაც შეიძლება სავსებით გამოხატულიყვნენ, არამედ „დეკლამაციისათვისაც“. და ათასჯერ იცვლებოდნენ სიტყვები, ადგილები, სათაურებიც...

კომპოზიციაც კი... სახეებიც კი! იცვლებოდნენ, რათა კვლავ შეცვლილიყვნენ და ასე დაუსრულებლად. — საბოლოოდ გასწორებულს კვლავ მოითხოვდა გასასწორებლად და, როცა ეს უკვე ზარალს აყენებდა სტამბას, ის იხდიდა ამ ზარალს. ხოლო ცნობილია, რომ ბოდლერი ლარიბი იყო!

უბრალო რამ თითქო, როგორც არის წიგნის ან ნაწარმოების მიძღვნა ვისმესადმი, ინვეეს დაუსრულებელს ტანჯვას... ტეოფილ გოტიეს: *magicien és langue (მერმე შეცვლილია: lettres) française*“. მიძღვნის ტექსტი წინასიტყვაობას ნააგავს. ეს ინვეეს ნამებას. შეიცვლება იგი. თითონ გოტიე მოეშველება: — სრულიად ახალი რედაქცია!

სრულყოფა, აი, რისთვის იტანჯებოდა ბოდლერი! სრულყოფა გამოთქმის, რაც ადამიანისათვის არ მოუცია განგებას. იგი მოითხოვდა მისი წიგნისათვის „აბსოლიუტურად დამაკმაყოფილებელს“ პირობებს. გამომცემელის თვალში, რასაკვირველია, ბოდლერი „გიჟი“ იქნებოდა... უკანასკნელი კორექტურის ფურცლები სამაგალითო ნამუშევარს წარმოადგენენ და თითოეული გასწორება — ბოდლერის გამარჯვებაა, როგორც იუწყება ე. ჰენრიოტი, როგორც თქმის მუსიკალობის მხრით, აგრეთვე შინაარსისა და სახეების განსრულების მხრით.

აი, ორიოდე მაგალითი: „De vieilles au miroir avec des vierges nues“, მეორე ნაწილი შეცვლილია: „...et d'enfants toutes nues“. ლექსი: *Je veux te raconter, pour que tu le connaisse* შეცვლილია მეორე ნაწილი: *o molle enchanteresse*.

„Ta gorge calme et fière=ta gorge triomphante“.

„Odelicieuse douceur=o vertigineuse douceur“.

და მრავალი ასეთი საყურადღებო მაგალითებით სავსეა ეს შესანიშნავი დოკუმენტი. იგი უთუოდ გახდება ღრმა შესწავლის საგნად და ბევრსაც იტყვის ახალს ბოდლერის პოეზიისათვის.

ალერტი

ვან-ჰოგი

30 წელი შესრულდა მისი გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ ხელოვნებისათვის უკვდავია მისი სახე, რომელიც ძიების წყურვილით იყო მარად აგზნებული. ძვირფასია ხსოვნა ამ ადამიანისა, რომელიც ასეთი გრძნობებით და გატაცებით ემსხვერპლა შემოქმედებას.

ვან-ჰოგი ცხოვრობდა იმ დროს, როდესაც იმპრესიონიზმა დაამთავრა თვისი რკალი, როგორც ხელოვნების ახალმა გამოცხადებამ.

მისი პრინციპი იყო საგნის განცალკევება ჩვეულებრივი წრიდან და მისი გაერთიანება კოსმიურ სულობასთან.

ეს პირველად შეიგნეს იმპრესიონისტებმა.

ძველი სკოლა ანსახიერებდა ადამიანს და მის გარშემო არსებულ საგნებს რეალობაში მოცემულ შაბლონით. მხატვრულ ფორმაშიც რჩებოდა საგნის შაბლონური ფორმა.

მაგრამ ყოველი ცალკე მოვლენა შეკავშირებულია ბუნების სხვა მოვლენებთან და განიცდის დაუსრულებელ ცვლილებას.

ამიტომ იმპრესიონისტ-მხატვარმა უარყო ძველი შეხედულება და შექმნა ახალი კონცეპცია: მხატვარი უნდა ანსახიერებდეს ბუნებისაგან მიღებულ კონკრეტულ შთაბეჭდილებას ქუჩაში, ღია ცის ქვეშ და არა ჩაკეტილ სტუდიაში უკვე გამზადებულ აპრიორულ ფორმების მიხედვით.

ვან-ჰოგი იყო ის მხატვარი, რომელმაც ძლიერათ სთქვა იმპრესიონიზმის გედის სიმღერა და აიღო ახალი შტრიხები, რომლებშიც უკვე ტოკავს ახალი სკოლის სასიცოცხლო ნერვი.

ვან-ჰოგის შემოქმედებაში სჩქეფს ძლიერი სული. ენერგიული შტრიხებით ის ქმნის დიად სანახაობას, მაგრამ არა უბრალო რეალობას. მისი შემოქმედება ეს დაუსრულებელი „ბრძოლა მხატვრისა ბუნებასთან“, ბრძოლა, რომელშიც ის სცდილობდა მთელი თავისი ძლიერი ინტუიციით შეეგრძნო ბუნების იდუმალი იდეა.

არც ერთს საგანს მის სურათებში არ აქვს სუბიექტიური მნიშვნელობა. ისინი ერთგვარათ ერთდებიან კოსმიურ გამოცხადებაში..

თუ იმპრესიონიზმისათვის პორტრეტი მიუღწეველი იყო, ვან-ჰოგის ტალანტი სწორედ პორტრეტში გაიშალა. ის პორტრეტშიაც სცდილობს კოსმიურ ძალთა გამომჟღავნებას.

ცნობილ ავტოპორტრეტში ვან-ჰოგმა მოგვცა სამაგალითო განსახიერება მისი არაჩვეულებრივი „მკაცრი ტალანტის“. იგი წინამორბედა ექსპრესიონიზმისა.

ვან-ჰოგი იყო აგრეთვე პირველთაგანი ახალი შესაძლებლობის დამყარებაში: მან სცადა მისტიური ეკსტაზით მსოფლიოს შეგზნება და იგრძნო ახალი ხელოვნების საჭიროება.

„მე მწამს აბსოლიუტური აუცილებლობა ახალი ხელოვნებისა...“ — ამბობდა იგი.

ხოლო ეს „მარტოოდენ სულისა და ტენიკის საკითხი როდია, არამედ ახალი დიდი პრობლემაა სულობის“.

ვლ. ბოკუჩავა

ალიგიერი დანტეს წინადრო

დიდი სახელები ფრიად პოპულიარულია ჩვენში. დანტეს სახელიც ამათ რიცხვშია, რასაკვირველია. ჩვენ გვიყვარს მსოფლიო გიგანტების ხშირი ხსენება და გვჩვენია მათი თაყვანისცემა. ეს ღირსებად უნდა ჩავვეთვალოს. ამაზე კიდე მეტი: ჩვენ გვიყვარს უკანასკნელი სიტყვები ფილოსოფიისა, პოეზიისა, მეცნიერებისა, მზა-მზარეულად მოცემული, ჩამოყალიბებული. ამ მხრით ჩვენს ინტელიგენციას საყვედური თითქმის არ ეთქმის. მე არ მგონია, ალიგიერი დანტეს არ იცნობდეს რომელიმე ინტელიგენტი საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში მის შესახებ ლიტერატურა არ არსებობს და არც თარგმანი გვაქვს მისი უკვდავი თხზულებისა. მაგრამ უცხო ლიტერატურა დანტეზე იმდენად მდიდარი და ვრცელია, რომ ვინც მცირედ მაინც გაცნობილია ევროპის სულიერ განძს, ის არა ერთხელ შეაჩერებდა ყურადღებას იმ საკვირველებაზე, რომელსაც ალიგიერი დანტე ეწოდება.

ევროპის კრიტიკას ჯერ კიდევ ვერ დაუსრულებია ძიება და შესწავლა დანტესი. აი, ამ ერთი თვის წინად Revue de France-ში გაბრიელ მოგენს ერთხელ კიდე გაუჩხრეკავს ძველი საბუთები, დანტეს დრო და მისი თანამედროვენი და იმის კვლევა-ძიების შემდგომია, იყო თუ არა დანტე პარიზში და მოუსმენია თუ არა საფრანგეთის გამოჩენილ სხოლასტიკების სწავლა-მოძღვრება თეოლოგიასა და მეცნიერებაზე...

რა თქმა უნდა, საქართველოში დანტეზე ახალი ვერ ითქმის. ხოლო მე მგონია, თუ ამ 600 წლის თავის აღსანიშნავად მოვიგონებთ ზოგიერთს ფაქტს დანტეს წინა დროის იტალიანურ ლიტერატურიდან, თუ რას წარმოადგენდა იტალია ლიტერატურულად დანტემდე, მით ჩვენს წარმოდგენას საშვალებას მივცემთ უფრო მკაფიოდ დაგვიხატოს ეს ფენომენალური ფიგურა და უფრო საბუთიანი ჰყოს ჩვენი აღფრთოვანება და გაკვირება ამ ჭეშმარიტის ჰენიოსის წინაშე.

ევროპის საშუალო საუკუნეების ისტორიის პროცესს ერთხელ აღებული სწორი გეზი არა ჰქონია. გარეგანი მისი სახე დაუსრულებელი ქარიშხალია, რომელსაც არა სწამს ლოლიკა და რომლის ფაქტები უცნაურად უხირდებიან ხშირად შედეგებს და პირიქით შედეგები ფაქტებს. ხოლო რაც შეეხება მის შინაგან არსებას, იგი იყო წმინდა წყლის ხლართი რეფლექსიათა, რომელიც ამართლებდა მის უწყებულს გარეგნულ სახეს.

იტალია — საუკეთესო ილუსტრაციაა ამისა. იტალია არ არსებობდა პოლიტიკურად და ლიტერატურულად, მაგრამ მაინც მეთაურობდა საშუალო საუკუნეებს კულტურულად.

ეს საოცარი მოვლენა იმ დროთა დამახასიათებელია, მისი გაგება შესაძლებელია ორი გარემოების გათვალისწინებით. პირველი — მიუხედავად იმ ღრმა ცვლილებათა, რომელიც მოხდა ევროპაში რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, იტალია მაინც საკუთარს ღრმს არ მოსწყვეტია, როგორც სხვა ხალხები ევროპაში მოსულები. მეორე — და იქნება ეს უმთავრესია — იტალიაში არ დახშულან რომის დიადი წარსულის ამყი ტრადიციები, მიუხედავად იმისა, რომ ბურთი და მოედანი ეკუთვნოდა ბარბაროსულ ყიყინას, რომელიც ხელუხლებელ ახალ ენერგიას ამჟღავნებდა ძველი დიდების ნანგრევებზე.

ამ ორმა გარემოებამ უმთავრესად შეარჩინა კულტურული მეთაურობა იტალიას.

მეთაურობდა იტალია, როგორც მოგახსენეთ, ხოლო პოლიტიკურად და ლიტერატურულად იგი უსახო იყო შედარებით გერმანელ ტომებთან და სხვა რომანელებთან..

საქმე ისაა, რომ იტალია მე-6 საუკუნიდან დაწყებული იყო მუდმივი ასპარეზი უცხო ხალხთა ჯირითისა, განუწყვეტელი აღრვისა და ასეთ პირობებში, თავის თავად ცხადია, ის ვერ შექმნიდა ისეთს მტკიცე ერთეულს, რომელიც შექმნეს მაგ., გერმანელმა ტომებმა. აქ უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ იმ გარემოებამ, რომელიც აკუთვნებდა იტალიას კულტურულ პირველობას, ხელი შეუშალა მას ეროვნულ ლიტერატურის წარმოშობის საქმეში — ლათინურ ენაზე სწარმოებდა და ცოცხალ ხალხურ ენას გაქანების საშუალებას არ აძლევდა. გერმანელები კი შორს იყვნენ ამ ენის ასეთი გავლენისაგან და მისმა ხალხურმა ენამაც ფრთა გაშალა.

იტალიაში მწერლობა, ლიტერატურა რჩეულთათვის ღა არსებობდა. ამ მხრით იგი მკვდარი რამ იყო. მას ასულდგმულებდა ისტორიული გარდმოცემანი. უმთავრესად, ძველი დიდების ამბები — ცოცხალი სული კი, ნამდვილი წყარო შემოქმედებისა, სასტიკად მიჩქმალული იყო. მართალი არის, ლათინური ენის წყალობა იყო აზროვნების გაღრმავება, მეცნიერებისა და ფილოსოფიის დაწაფება, — ერთგვარი დაგროვება ცოდნათა და გამოცდილებათა სფეროს გაფართოვება, მაგრამ ეს ყოველივე არ სცილდებოდა მეცნიერთა ამქრების (ცეხების) ვინრო წრეს, და მიუხედავად იმისა, რომ უკვე მე-XI საუკუნეში იტალიის ქალაქები, როგორც იყვნენ ბოლონა, ვენეცია, გენუა, რომი, ნეაპოლო, ფლორენცია და სხ., ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იურიდიულ, ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შკოლების დაარსებაში, იტალიას მაინც საკუთარი ლიტერატურა არ ჰქონდა და მისი ენა არ მეტყველობდა.

ეს უკანასკნელი ფაქტი შეიქმნა კიდე ერთი უცნაურის მოვლენის მიზეზი, როცა ბოლო უნდა მოღებოდა მკვდარი ენის ესოდენ ბატონობას და ცხოვრებას ბოლოს მაინც თავისი გაეტანა — ხალხურ ენაზე აზრის ამეტყველებით, თითქო განგებ ეს ამეტყველება მოხდა არა იტალიანურ ენაზე, არამედ მე-XII ს. ნახევარში იტალიაში შეჭრილ უცხო პროვონსალურ ენაზე. ეს იყო ტრუბადურების პოეზია. უცნაური განსაკუთრებით აქ ის იყო, რომ თვით იტალიელები ამეტყველდნენ ამ ენაზე და თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში იმღერეს, სწერეს, თითქო პროვანსალელი პოეტები ყოფილიყვნენ.

თუმცა ტრუბადურების პოეზიის შემოჭრას მაინც ბევრი დადებითი მხარე ჰქონდა. ზოგი ისტორიკოსი იმას ფიქრობს, რომ პროვანსალურმა პოეზიამ იტალიელებს გაუღვივდა ხალისი საკუთარი პოეზიის შექმნისათვის. ყოველ შემთხვევაში ის მაინც უდავოა, რომ ეს ახალი პოეზია, თუმცა უცხო ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ახალი რამ შექმნიდა ცხოვრებაში, რაც ხალხთან ახლო იყო და მის სულს უფრო ეხებოდა.

ცნობილია, რომ ტრუბადურების პოეზია არა მხოლოდ სასიყვარულო ჰანგებზე მღეროდა, მის სფეროს შეადგენდა აგრეთვე ბრძოლის მოტივები, რაც ანუხებდა თუ ამფოთებდა და აღელვებდა ხალხს. პიერ კარდინალის სერვენტები, ან ბერნარ დე ვანტადურას პოეზია მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მაშინდელ დროში.

იტალიელებმა დიდი სახელიც მოიხვეჭეს ამ ასპარეზზე — გრაფი ალბერტ მალასპინი და განსაკუთრებით კი სორდელი — დიდი სახელებია ტრუბადურების პოეზიის... ფრანც ვეგელის აზრით დანტესაც კი თავისი წვლილი ჰქონდა შეტანილი ამ პოეზიაში...

მაგრამ... აქ უკვე იტალიანური ენაც ალაპარაკდება.

ამ ენის ფორმაცია ფორიელის აზრით არა ერთი საუკუნის საქმეა. მაშინ როდესაც რომის ენა იყო ენა მწერლობისა, მის გვერდით პარალელურად იქმნებოდა ახალი ლათინური, უფრო პოპულიარული, რომელიც ბოლოს გადაიქცა ნამდვილ სახალხო ენად და შეითვისა რა ახალი ბარბაროსული კილოკავები, თავადაც დანაწილდა მრავალ დიალექტზე. ისტორიას ამ ენის მე-IX საუკუნის ნიმუშები აქვს. ხოლო იტალიანურ ენაზე პოეზიის ნიმუშები მოიპოვებიან მე-XII საუკუნიდან მხოლოდ და მომდინარეობენ ჭრიდრის II გოგენშტაუფენის დროიდან. პალერმის სასახლე (სიცილია) ამ დროთ ცენტრი შეიქმნა იტალიის ცივილიზაციისა და ახალმა ენამ და პოეზიამაც პირველად ფრთა სწორედ აქ გაშალეს, როგორც ამაზე მიგვითითებს თვითონ დანტე მის *de vulgari eloquio*-ში. ეს ხანა სიცილიური იტალიანურ პოეზიაში იყო არსებითად ტრუბადურული. იგი მალე შეცვალა ტოსკანურმა შკოლამ, რომლის ცენტრი შეიქმნა ბოლონა და ფლორენცია. ეს ხანა უკვე უფრო საყურადღებოა, როგორც ენის ფორმის, ისე პოეზიის შინაარსის მხრით.

ამ ხანის საუკეთესო წარმომადგენელია გვიდო გვინიჩელი, რომელსაც დანტე დიდს ეძახის Maximus Guido. გვიდო გვინიჩელის ინდივიდუალური მოტივები შეაქვს პოეზიაში და დანტესვე აზრით, არის ნამდვილი დამაარსებელი ახალი იტალიანური პოეზიისა. ამ სკოლაში, თუმცა მეტად მკრთალად უკვე ყველა ელემენტები ისახება მომავლის მდიდარის ენისა და პოეტური შესაძლებლობის. უფრო და უფრო იშლება პოეზიის გარიზონტები, უფრო და უფრო მტკიცდებიან ენის საფუძვლები და სულ მოკლე ხანში ახალ ყვავილებს ისხამენ — ახლა ფლორენცია დაიჭერს პირველს ადგილს ამ საქმეში და 1270 წლიდან უკვე გაისმებიან ასეთი სახელები, როგორც გვიდო კავალკანტი, ორლანდი.. და ბოლოს აგრეთვე ბრუნეტო ლატინიც — დანტეს მასწავლებელი. ეს დრო უკვე პირდაპირ გადადის დანტეზე, რომელიც ხელში იღებს ახალი იტალიანური პოეზიის ბედს და სამარადისოდ განამტკიცებს მის ძლიერებასა და დიდებას.

ახლა უდავო ფაქტად არის აღიარებული, რომ ახალი იტალიანური ენის საფუძველი იყო ტოსკანურ-ფლორენციული დიალექტი. თუმცა თავად დანტე ამას უარყოფს, სამხუნუაროდ უსაფუძვლოდ, როგორც უკვე გამოკვეულია. მას ეგონა, რომ ახალი იტალიანური ენა შეიქმნა ხელოვნურად, ეკლექტიზმის გზით. უცნაურია, რომ თავად ნამდვილი შემქნელი ამ ენისა დანტე ასეთ აზრს იცავს, მაგრამ ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ როცა დანტე სჭედდა ენას, აფოლადებდა მის ფორმებს და შემოქმედების ცეცხლის ალის ხაზებით აქანდაკებდა მის სიტყვებსა და სახეებს, მას ეგონა — და ეს ბუნებრივად იყო — რომ არც ერთ დიალექტზე არ ემყარებოდა და მისთვის ყველა დიალექტი მასალა იყო

მხოლოდ მისი განსაცვიფრებელი ხელოვნებისათვის. აკი მას სწამდა, რომ მასში მეტყვე-
ლობდა შეერთებულის ძალით შემოქმედებითი ძლიერება ზეცისა და დედამიწის.

ის, რაც აქ მოკლედ ავლნიშნეთ შესახებ სხვა და სხვა მომენტებისა ახალი იტალიანუ-
რი ენის წარმოშობის ისტორიიდან, წარმოადგენს მხოლოდ სამზადისის ხანას და არავი-
თარ შემთხვევაში არ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ სიცილიური, ტოსკანურ-ფლო-
რენციულ სკოლების პოეზია ყოფილიყო დამთავრებული პოეტური სახეებისა და ფორ-
მის მხრით. ეს დამთავრება მოხდება მხოლოდ დანტეს პოეზიის წყალობით.

დანტემდე იტალიაში არ წარმოშობილა ისეთი ნიჭი, რომელიც გაცილებოდა ლირი-
კის განსაზღვრულ ფორმებს და შეჰხებოდა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანსა და დიდს
თემებს.

საჭირო კი იყო — დანტეს მოვლინების ლოლიკურად შესაგნებლად — მის წინად ყო-
ფილიყო შექმნილი ახალი ცხოვრების პოეტური სახეები და გამოკვეთილი სიტყვა დიდი
მაშტაბის პოეტური აღფრთოვანებისათვის.

რასაკვირველია, ის, რაც იყო, ვერ გახდებოდა ხალხის სულის მამოძრავებელ ძალად
და არავის გაიტაცებდა იმდენად, რომ მის მოიმედეთ უარეყოთ მრავალრიცხოვან დია-
ლექტების პრეტენზიები და საბოლოოდ მიეღოთ უპირატესობანი უწყებული პოეზიის ენი-
სა. განსაკუთრებით კი იგი ვერ დაამარცხებდა ლათინურ ენას, რომელსაც ახლა ტრადი-
ციასთან ერთად ახალი მონაპოვარიც ჰქონდა და რაც უმთავრესია, ჰყავდა ძლიერი დამ-
ცველები სწავლულთა ამქრების სახით.

და რათა გაემარჯვა ამ ახალ ენას, საჭირო იყო ან დიდი დრო და პოზიციების თან-და-
თანნი დაპყრობა, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდებოდა ხოლმე სხვა ხალხთა ისტორიაში
საუკუნეთა სიგრძეზე, ან სასწაული — რომელიც დაარღვევდა ნორმალური განვითარე-
ბის ჩვეულებრივ კანონებს, დაამარცხებდა დროსა და მის კონსერვატიზმს.

იტალიაში ამ შემთხვევაში სასწაულს მიეცა ადგილი ალიგიერი დანტეს სახით.

მართლაც, სულ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში რა უნდა შექმნილიყო ახა-
ლი პოეზიის მიერ, რომ იგი საფუძვლად დასდებოდა დანტეს საარაკო მოვლინებას? ან რა
ნიადაგი უნდა მომზადებულიყო ამ მოკლე ხნის განმავლობაში ახალი ენის წიაღში რომე-
ლიც ჩვეულებრივს ლოლიკურს მსჯელობას გაამართლებდა დანტეს პოეზიის გაგების სა-
კითხებში?

ამ სასწაულს ისტორიკოსები და ლიტერატურის მკვლევარნი ხსნიან იტალიის იმ დრო-
ინდელი მაღალი გონებრივ-სულიერი კულტურით, იტალიის ლათინურ მწერლობასთან
მჭიდრო კავშირით მრავალ საუკუნეთა განმავლობაში და აგრეთვე პოეტურ მოთხოვნი-
ლებათა მომნიჭებით ხალხში. რა თქმა უნდა, მეცნიერებისათვის სავალდებულოა ახსნას
ყოველი მოვლენა და დაიცვას აზროვნების სისტემის მთლიანობა საზოგადოდ.

მაგრამ... აქ მაგარი ის არის, რომ ფაქტი მაინც ფაქტი რჩება და დანტე დარღვევაა
ჩვეულებრივი მსჯელობის ლოლიკური კანონებისა.

ამ მხრით დანტე შეუცნობელი რამ ძალაა, რომელიც უნათესავდება პირველმყოფელ
შემოქმედს და ცნაურდება ხოლმე ძალიან ძვირად კაცობრიობის ისტორიაში.

დანტე ქმნიდა არა მხოლოდ პოეტურ ფორმებს, არამედ თვით მასალასაც ამ ფორმე-
ბისათვის. და ეს შემთხვევა იქნება ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი და უმაგალითო
იყოს დასაბამიდან...

უსათუოდ ეს გარემოება გაუთვალისწინებია პეტრარკას, როცა უთქვამს:

„ეს შემოქმედება დანტეს არ ეკუთვნის, იგი სულის წმინდისაო“...

მართალია დიდი პეტრარკა. მხოლოდ სული წმინდა იგი მეტყველობდა დანტეს კალ-
მით. დანტეც გრძნობდა ამას.

ლადო გუდიაშვილი

ჩვენს თანამედროვე ახალგაზრდა მხატვართა შორის ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობს ლადო გუდიაშვილი, მან ჯერ კიდევ 1918 წელს სრულიად საქართველოს მხატვართა სურათების გამოფენაზე გაითქვა სახელი თავის არაჩვეულებრივი დეკადენტური ხატულობით, და დღეს მასზე პარიზის გაზეთებშიდაც ინერება ქების სტრიქონები, სადაც გუდიაშვილს უწოდებენ ნიჭიერ მხატვარს და მასთან ნაციონალისტს, რომ მისი შემოქმედებანი არ შორდება მის მშობლიურ ნიადაგს და სხვა.

ეს ცნობები ჩვენამდე კანტი-კუნტად მოვიდა იქაური გაზეთების საშვალეებით და ჩვენ კი დღეს დღეობით საშვალეა არა გვაქვს გავეცნოთ მის უკანასკნელ შემოქმედებებს, თუ რა დონეზე, რა სიმაღლეზე ავიდა და ან როგორი გავლენა იქონია დიდი ევროპის დიადმა კულტურამ ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვარზე, რომელიც ჩვენ მშობლიურ წარსულს მხატვრობაზე აღიზარდა.

ჩვენში ზოგიერთები უწინაც და დღესაც გუდიაშვილს რაღაც გაუგებარ მოვლენად თვლიან, რადგანაც გუდიაშვილის დეკადენტური ფიგურები არ გამოხატავს ფოტოგრაფიულ სინამდვილეს, მათში ძალზე დაშლილია პროპორცია, მოძრაობა ძალზე გადაჭარბებულია, მასთან არაჩვეულებრივი მანერით ასახული.

მაგრამ როდესაც ჩვენ მხატვარ გუდიაშვილის შემოქმედებაზე ვსაუბრობთ, კარგათ უნდა ვიცნობდეთ საქართველოს ძველსა და ახალ მხატვრობას, ვინაიდან გუდიაშვილის შემოქმედებაში ორივე გამოისახა: ძველი, როგორც საფუძველი და ახალი როგორც ზედნაშენი. მთელი მისი შემოქმედება და წერის მანერა გამომდინარეობს საქართველოს ძველი მხატვრობიდან.

როდესაც მივდივართ ჩვენ ძველ მონასტერში და ვათვალიერებთ იქაურ ფრესკებს, ან ძველ საეკლესიო ხელთნანერ სამღვთო ნიგნებში ჩახატულ მინიატურებს, რამდენს შევხვდებით იქ გაჭენებულ შემოქმედებას, რათა მხატვარს ასეთი გადაჭარბებული ხატვის მანერით უფრო ნათელყო თავის გაცეცხლებული სურვილების გამომჟღავნება, თავის აზრის გამოხატვა.

ჯერ კიდევ მეთავე საუკუნეში და უფრო ადრე — როდესაც ქართული მხატვრობა ბიზანტიისა და სპარსული მხატვრობის ფრთაზე იშლებოდა, ასეთი ხატვის მანერა ყოველ ღირსშესანიშნავ ნაწარმოებს აზის, რასაც მხატვარი შემომქმედი აუცილებლათ ყოველთვის მიმართავს. ვინაიდან: ხატვა არის ჭვრეტის საგანი და არა ხელოვნების რომელიმე სხვა დარგი: მუსიკა ან მწერლობა, რომ ვრცელ გადაშლილ ფონზე სიტყვის ჩუქურთმებით ასახოს ავტორმა სიუჟეტები, რომელიც მას სურს.

მხატვარმა გარდა ფერადებისა, გარდა საღებავებისა უნდა მონახოს მთელი აზროვნების სივრცეში ისეთი ალაგი და გააცოცხლოს ის, რაც ერთი შეხედვით ვრცელი მოთხრობის შინაარსს შეიცნობს, გადმოგვცემს.

ამ დებულებას ექვემდებარება ყოველი ჭეშმარიტი მხატვარი და სწორედ ამიტომ მიმართავს მხატვარი, როცა თავის მაღალ განცდას რეალურ ფორმებში ვერ ატევს, იგი შლის, ანგრევს ბუნების გარეგნობას, თავის აშფოთებულ სულს ახვევს შიგ და გადაჭარბებული შტრიხებით, ფერადებით, პოზით, მიმიკით, მოძრაობით წარმოგვიდგენს გაზღაპრებული არსების შინაარსს. ვერასოდეს ხელოვნებათ ვერ ჩაითვლება და ადამიანის ფსიქიკასთან ვერ მივა ის ნაწარმოები, რომელშიაც გადაჭარბებული შტრიხები და ფერადები არ ბრძანებლობს. როდესაც ჩვენ ვეცნობით ძველი მონასტრების ფრესკებს თუ მინიატურებს, ვტყობილობთ, რომ ასეთი გადაჭარბება ყველა ღირს შესანიშნავ ნაწარმოებს აზის. და როდესაც ყოველივე ამას ვიცნობთ, სრულებით აღარ გვიკვირს გუდიაშვილის დეკადენტური ფიგურები, არა გვწამს მისი თითქო რაღაც ახალი გაუგებრობა.

ჩვენს წინაშე დგას გუდიაშვილი ხატულობის მანერით როგორც ძველი საუკუნოების მხატვრობის გაგრძელება, რომლებიც მონასტრის კედლებზე სრული შეგნებით და ცოდნით ხატავდნენ მაღალ ყელიან ანგელოსებს ან და ყველა შესაძლებელ მოდერნისტულ ფორმებში წმინდა მოციქულებს, მეფეებს და მთავრებს, ან კისერ მოგრეხილ ცხენებს, ნიამორებს და სხვა. როდესაც ჩვენ ვშლით ძველ ხელნაწერ საღრმთო ნერილებს, ვნახულობთ გენიალური ფანტაზიით ჩახატულ ცხოველების და ფრინველების მინიატურებს და ყოველივე ამას კარგათ ვეცნობით — მაშინ ჰქრება ის შთაბეჭდილება, რომელსაც ჩვენში მარცხნით თუ მარჯვნივ ატარებენ, თითქოს გუდიაშვილმა შექმნა დამოუკიდებლათ სრულებით ახალი. ან და ის, რომ გუდიაშვილი ფუტურისტია და გაუგებარი.

გუდიაშვილი ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრით, რომ მან პირველმა იცნო და ისარგებლა ჩვენში დავინყებული სიმშვენიერით. მან აიღო ძველი ფორმა და მისცა ის ახალი შინაარსი, რასაც ჩვენში მასზე ადრე ვერ მიხვდნენ და ალლო ვერ აუღეს. ჩვენი ძველი ფრესკები და სხვა მხატვრობა ბევრს მასალებს იძლევა მომავალი მხატვრობისათვის. თვით რუსეთის დიდმა მხატვარმა ვრუბელმა საჭიროდ დაინახა თავის შემოქმედების დროს გელათის მონასტრის ძველი მხატვრობით ესარგებლა.

აი, სწორედ ამ ქართული მივიწყებული გზის მონახვისთვის და მასზე დგომისთვის უნოდებენ პარიზის პრესაში გუდიაშვილს ნაციონალისტ მხატვარს, რაშიდაც ჯერჯერობით არ შეგვიძლია სრულებით დავეთანხმოთ.

მართალია, გუდიაშვილი უსათუოდ ნიჭიერი მხატვარია, მაგრამ მან გვიჩვენა ჯერჯერობით მხოლოდ ქართული სტილით დანერგილი ტფილისის კინტოების პროფილები, რომლებიც შესაძლებელია სრულებითაც არ ახასიათებდნენ ქართულ ცხოვრებას და მის ბუნებას, მაგრამ ჩვენ უსათუოდ უნდა მოველოდეთ ვლ. გუდიაშვილისაგან ქართულ დამთავრებულ სახეებს: გუდიაშვილში აუცილებლად არის ამის შესაძლებლობა.

ირაკლი ტოფაძე

სელოვნების მატინაე

საქართველო

ვასო აბაშიძის იუბილე. 15 იანვარს რუსთაველის თეატრში გადახდილ იქნა ვასო აბაშიძის 50 წლის სცენაზე მოღვაწეობის იუბილე. სცენა და დარბაზი მორთული იყო მწვანე შტოებით, და მხატვრული პლაკატებით; იუბილე გაიხსნა რეჟომის თავმჯდომარის ბუდუ მდივანის სიტყვით. მიესალმა აგრეთვე იუსტიციის კომისარი ს. ქავთარაძე. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით იუბილიარს სიტყვით მიმართა ია ეკალაძემ, მიესალმნენ აგრეთვე შალვა დადიანი, ქართული დრამის წარმომადგენელი. რაბისი, რუსული დრამა, სომხური დრამა, სახელმწიფო ოპერა, სახელმწიფო ბალეტი, რევიოლ. სამხატვრო თეატრი, ი. გრიშაშვილი და სხვ. ხორომ შეასრულა კანტატა, სიმღერით მიესალმნენ სარაჯიშვილი და დები თარხნიშვილები, იუბილიარმა გრძნობიერი სიტყვით მადლობა გადაუხადა ყველას. საღამოთი წარმოდგენილ იქნა იუბილიარის მონაწილეობით გიორგი ერისთავის პიესა „გაყრა“, რის შემდეგაც ხელახლა დაიწყო მისალმებები ტფილისის ყველა თეატრებისა. საქართველოს რევიკომმა ერთდროულად გადასდო ვ. აბა-

შიძისათვის 100 მილიონი და აღმასრულებელმა კომიტეტმა კიდევ 10 მილიონი მანეთი. წარმოდგენის გათავების შემდეგ გაიმართა ბანკეტი.

ფ. მახარაძის წერილი. გაზეთებში გამოქვეყნდა ფ. მახარაძის წერილი, მისალმება ვასო აბაშიძისადმი.

გამომცემლობა. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა „ლომისის“ სარედაქციო კოლეგიას დაავალა დაჩქარებით შეიმუშაოს ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის გამოცემის სათანადო პროექტი. კავშირს აზრათა აქვს მოკლე ხანში შეუდგეს ძველ და ახალ მწერლობის ნაწარმოებთა გამოცემას.

ლიტერატურული ხუთშაბათები. გაიმართა მორიგი მეცხრე ლიტერატურული ხუთშაბათი მოხსენება — ი. გრიშაშვილისა ჰაზირას შესახებ.

რომენ როლანის. ლეო ქიაჩელი მოკლე ხანში ხელოვნების სასახლეში წაიკითხავს მოხსენებას: რომენ როლანის — ჟან კრისტოფ.

გოდება რაქილისა. კრამენიკოვის ცნობილი პიესა, „რაქილის გოდება“, რომელიც რამდენიმეჯერ იქნა დადგმული ტფილისის რევოლუციონურ მხატვრულ თეატრში, ქართულად გადმოთარგმნა მიხ. ბოჭორიშვილმა.

სახელმწიფო დრამატიული შკოლა. მისაღები გამოცდები დაიწყო 16 იანვარს — ხოლო მეცადინეობა 20 იანვარს. გადიან შემდეგ საგნებს: ხმის დაყენება, დიქცია, დეკლამაცია, დრამატიული ხელოვნება, გრიმი (თეორია და პრაქტიკა), იმპროვიზაცია და მიმოდრამა, ცეკვა, პლასტიკა, გიმნასტიკა, ფარეკაობა, პსიქოლოგია სასცენო საკითხებთან დამოკიდებულებით, ხელოვნების ისტორია და ესტეტიკა. მასწავლებლად მიწვეულნი არიან: შალვა ამირეჯიბი, ალ. ახმეტელი, კ. ანდრონიკაშვილი, დიმიტრი გორდეევი, შ. გეგიძე, ა. გრადეცკაია, შალვა დადიანი, კ. დავიდოვსკი, ვ. ჟლენტი, ი. კრუჩინინი, ა. კუმნარიოვი, მიშა ქორელი, ნ. მარგარიტოვი, მ. პერინი, აკაკი ფალავა, ა. პერაკოვსკი, ე. სატინა, კ. ჩხეიძე, ალ. წუნუნავა, ვლადიმირ ელსნერი.

ჰაზირას დასაფლავება. 15 იანვარს დაასაფლავეს ჰაზირა. პროცესია იყო მრავალრიცხოვანი. უკრავდა აღმოსავლეთის მემუსიკეთა ორკესტრი.

სანგანიძე. გარდაიცვალა სანგანიძე (სანდრო გძელიშვილი) წვერი სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა.

ევგენ დვალი. გარდაიცვალა პოეტი ევგენი დვალი.

ილია ჭავჭავაძის ლექსი, მოთავსებული „ლომისის“ ამ ნომერში, სრულიად შემთხვევით იქნა ნაპოვნი ხელოვნების სასახლის ეზოში. ლექსი დაწერილი იყო ალბად ილიას პორტრეტზე, რომელიც პოეტმა მიუძღვნა ეკატერინე სარაჯიშვილისას.

უცხოეთი

მოპასანის გამოუქვეყნებელი მოთხრობა. მოპასანის ხელნაწერებში აღმოჩნდა დაუბეჭდავი მოთხრობა „Heraclius Gloss“. დაწერილია 1875—77 წლებში. თემა მოთხრობისა ფილოსოფიურია, საგანი — ერთი მეცნიერის ცხოვრება.

საფრანგეთის აკადემიის ახალი წვერი. როსტანის ადგილი აკადემიაში დაიჭირა ბედიემ — ამ შემთხვევის გამო გამოქვეყნებული იქნება პირველი და ერთად ერთი პროზაული ნაწარმოები როსტანისა.

გონკურების სახელობის აკადემია ამზადებს გამოსაცემად გონკურების ნაწერებს.

ჟონკინდის სურათების გამოფენა. გაიხსნა ჟონკინდის გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილია 80 სურათი. ეს პირველი დიდი გამოფენაა ჟონკინდისა, რომელიც მთლიანად ახასიათებს ამ მხატვარს და ნათელ წარმოდგენას იძლევა მისი ევოლიუციის შესახებ.

ანრი რენიეს ლექსების კრებული გამოიცა.

ახალგაზდა პოეტმა ჟერარ მანემ გამოაქვეყნა პირველი წიგნი ლექსებისა.

მ. შავანიმ სთარგმნა ჩინურით ჩინური იგავ-არაკები მე-3— 8 საუკუნის პერიოდისა.

რაბ. ტაგორი ფრანგულ ენაზე. გადაითარგმნა და გამოიცა რ. ტაგორის „La fugitive“.

ბალზაკისა და დილეკტას მიწერ-მონერა. „La Revue des deux Mondes“-ში გამოქვეყნებულია აქნამდე დაუბეჭდავი წერილი ბალზაკისა და დილეკტასი.

პოლ ადამის ახალი რომანი. გამოვიდა პ. ადამის რომანი „Dans le ciel d'Arras“, რომელიც ავტორის სიცოცხლეში არ იყო დაბეჭდილი.

ხაზართა სასძლო

(ისტორიული რომანი)

1

იორის შემდინარე აძეძის სათავეში, სადაც იგი ჰსერავს კუხეთის მთას თვით თხემამდისინ და უახლოვდება ნოკორნის ხევსა, მიმართულს უკვე არაგვისაკენ, უღრან ტყეში სდგას მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, წმიდა სიონი, აშენებულია ტაძარი არჩილისაგან. იქვე განისვენებს წამებული: თავი წაჰკვეთა მეფეს არაბთა ემირმა ასიმ.

მშვენიერი ვაჟკაცი იყო არჩილ. პირველში დაინდო იგი თვით კაცთმოძულემ, რომელსაც თვალი მოსჭრა ვაჟკაცის აღნაგობამ.

„აქო მან სიკეთე მისი, სისრულე ჰასაკისა მისისა, უმეტესად მშვენიერებათ პირისა მისისა.

„თვალთ გახვენ შენ ქმნილკეთილობისა შენისათვის, რამეთუ ფრიად ქმნილკეთილ ხარ!“

— ეტყოდა მეფეს ასიმ განცვიფრებული.

ქართველ სასანიანთ გვარად მოსდგამდათ მშვენიერება.

ამ ტაძარში, მარცხენა კედელზედ, დახატული იყო დიდი სურათი არჩილის ოჯახობისა, თითონ იგი და მისი ცოლშვილი. განაპირას ეხატა ქალი მთლად ნორჩი. ძლიერ მიზიდავდა ბაღს ეს ქალწული. მისი დიდრონი თვალნი ოდნავ დახრილნი, წამწამთ ტევრებით მთლად დაჩრდილულნი, დღესაც წინ მიდგანან. სულ მე მიყურებდა ხატი, თვალს არ მაშორებდა. რა დაღონებული სახე ჰქონდა მშვენიერს! მეტყოდნენ მისი თვალები; ქალს უნდოდა ებრძანებინა ჩემთვის, კიდევ მიბრძანებდა. ვერ გაეგონებინა! რომ ვუყურებდი დაჟინებით, ცოცხლდებოდა იგი სურათი. უთუოთ ხმას ამოიღებდა, გამაგონებდა თავის წადილს, თავის სურვილს ძლიერს, თუ მარტო დავრჩებოდი მასთან საყდარში. არ შეიძლებოდა: ნებას არ მაძლევდნენ.

გავიდა ჟამი მრავალი. არ განქრა ჩემში ეს სურათი მეტყველი, არ მიეფარა ჩემის გონების თვალთაგან იგი. ვიცოდი, ბაღლური რამ შეგრძნობა იყო ეს, ძველი სიზმარი საკვირველი, წყალნასაღები; მაინც ვერ ვივიწყებდი: უბრუნდებოდა გონება სურათს.

ვნახე წიგნებში; შევისწავლე, რაც ენერა იმაზედ. გავიგე, რომ ეს უმცროსი ქალი არჩილისა ჰგვანდა მამას სახითაც, აღნაგობითაც; მხოლოდ უფრო ნაზი იყო, ჰაეროვანი. ვერ დავკმაყოფილდი: არსად ენერა, რას მეტყოდა მისი ხატება, რას მიბრძანებდა. მაინც ვიგრძენი სულ ბოლოს დროს იგი სათქმელი, ამოვიკითხე ყოველივე მის თვალებიდან და ავნუსხე სივრცე-სიღრმე ქალის გრძნობათა, ჩემთა განცდათა.

2

მეფე არჩილის კეთილად მიღებამ აგარიანთა ემირის მიერ და მისადმი მეფური პატივის მიბყრობამ იმედები ჩაუსახა ქართველებს გულში: ეგონათ, არაბთა ხალიფი იკმარებდა საქართველოს მოხარჯეთა რიცხვში მოქცევას, იგულვებდა მას თავის მომხრე ქვეყანად და კეთილად შეინყნარებდა მას; ეგონათ, არაბნი არ შეეხებოდათ საქართველოს თავისუფლებას, ქართველთა ხალხის თვითმყოფობასა. საკმარ იქნებოდა ესეთი დამოკიდებულება არაბთათვის, თუ მათ შორს გამჭვრეტელობის უნარი ჰქონოდათ: საქართველო ველარ შესძლებდა, აღარც ინებებდა, დიდი რამ საქვეყნო საქმე დაეწყო აგარიანთა დაუკითხავად, მათის ნების წინააღმდეგ, და მთლად მოისპობოდა საქართველოში ბიზანტიის გავლენა, რომლის უძინებელი მტერი იყო არაბისტანი.

ამით უთუოდ დაკმაყოფილდებოდა საქართველოც: არჩილის თვისი ნებით მოსვლა ემირთან ამ სურვილებზედ იყო დამყარებული, ამგვარ იმედზედ. აღარ შეეძლო საქართველოს კვლავ განეგრძო უსწორო ბრძოლა, დაშვრა იგი და გადბზარა; უკაცური შეიქნებოდა ქართველთა ქვეყანა მშვენიერი; უდაბნოდ გარდაიქმნებოდა ქართველთა სისხლით მორწყული მათი სამკვიდრებელი ედემის სახე, უშენ ადგილად გარდაიქცეოდა. ამის გამო შიშითა და იმედით შეჰყურებდა ქართველი ხალხი არჩილის გზას სახიფათოს, ფრიად საძნელოს, მანამ გაიგებდა, როგორ მიიღო იგი ემირმა.

გავრცელდა ხმა, ემირმა კეთილად მიიღო მეფე; ბრძანა, მეფური პატივი მიეზერათ მისთვის. გაიხარა ქართველმა: ეგონა, დადგა დრო წყნარად ყოფნისა, თავისუფლად მუშაობისა.

მტრებს არ ეამათ ეს ამბავი, ბევრეულ დუშმანს, რომელი ჰყვანდა საქართველოს შიგნით თუ გარეთ და კერძოდ ქართველ სასანიდთა გვარეულობას. გარდაბანელი მთავარი ფეროზ იყო ერთ ამისთანა მტერთაგანი; იგი ელოდა მარჯვედ დროს, რომ სისხლი აელო სასანიანთაგან. იპოვა ჟამი! დაასმინა რჯულ დაკარგულმა არჩილი და განაახლა ემირის რისხვა. ასიშს ვერ აელო ისტორიული სიმართლის ალღო; პირფერობა ყოფილიყო მისი ღმობიერება, უსაფუძვლო მისი შორს ჭვრეტა: უარჰყო არჩილ ქართველთა მეფედ, არ აღიარა საქართველო თავისუფალ სახემწიფოდ თვითმბრძანებელად, მოისურვა მისი შედუღება ხალიფის თვალწინდენელ სახემწიფოსთან. არ დასჯერდა იგი იმ მსხვერპლს, რომელიც მზად იყო საქართველო გაელო და...

და ანამა მეფე — ვაჟკაცი, მამულისთვის, სჯულისათვის თავდადებული გმირი უტყვი.

ამ ამბის გავონებაზედ ბოროტმა ლელვამ აიტანა ქართველნი. გაიხიზნა, მიუვალ ადგილებს შეეფარა ყველა, ვისაც არ შეეძლო პირად მიელო მონაწილეობა ატყვილ ბრძოლაში. დამალეს ყოველივე ქონება თვისი. დაირაზმა მტერთან საბრძოლვედ უკანასკნელი ძალა მებრძოლი. მეფის დაობლებულ ოჯახის წევრნიც ზოგნი შეიხიზნენ კახეთის ხევში, შეაფარეს თავი კასრისა და ლაკვასტის ციხეებს.

ეს ადგილები მიუვალი იყო თვით გამარჯვებულ მტრისათვის აზავებულისა, თუნდაც ის ეხლავე წამოსულიყო სამეფო ოჯახის ასაკლებად და მოსასპობლად. ძლიერ შესაძლო იყო სარკინოზთ ესარგებლნათ ქართველთა დროებითი შეკრთომით და გამოსულიყვნენ გამარჯვებული ციხე-ქალაქებიდან, მოსდებოდნენ მთელ საქართველოს, მოესპოთ ქართველთა თავისუფლებაც, მეფის გვარეულობაც.

სიფრთხილეს ნაჩვევი ქართველები მაინც ესე ფიქრობდნენ, ესე ზომავდნენ საქმეს და ამიტომ ქართველთა დიდებულნი რკალივით შემოერტყნენ მეფის დაობლებულ ოჯახს, მეტადრე არჩილის სიძე-ერისთავები, მისი ძმის მირის ასულთა მეუღლეები. ამ შვიდ წარჩინებულ ერისთავთა შორის მეფის ოჯახობის მცველად იდგნენ ქართლის ერისთავი ნასრე, ვარაზმან კოტმანელი და ხერთვისის ერისთავი ჯუანშერ, რომელთა ჯარები უკვე დარაზმული ჰყვანდათ და საომარ ფეხზედ დაყენებული. სხვა სარდლები გასულიყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და იქ აგროვებდნენ ჯარებს მკვიდრთაგან თუ დაქირავებულ უცხო ტომთაგან, რომ მძლავრად შეჰბოდნენ გალაღებულ მტერს.

არჩილის დაკრძალვის შემდეგ ქვეყნის მმართველად აღიარეს მისი უფროსი შვილი იოანე. მეფედ ვერ აკურთხეს: დრო არ უთხრობდა; შემდეგისათვის გადადეს ეს საზეიმო საქმე, როცა ცოტათი მაინც მომაგრდებოდა და დამშვიდდებოდა. ესე განბჭეს და დაასკვნეს: თითონ იოანე უნდა გადასულიყო დასავლეთ საქართველოში, ეგრისში უნდა დაედვა ბინა, როგორც უშიშ ადვილას, სადაც უფრო ადვილად შეიძლებოდა ახალი ჯარების შეკრება და დარაზმვა; თანაც ეს მხარე უფრო ახლო იყო ბიზანტიასთან: იგი ელინთა ახალშენებს ესამზღვრებოდა შავი ზღვის პირას, და ადვილი იყო საქართველოს მეფეს მიენვდინა ხმა კონსტანტინოპოლში, რომ მიელო იქიდან რაიმე დახმარება ათავსებდებულ მტრის წინააღმდეგ. უნცროსი ძმა ჯუანშერი კი უნდა დაბინავებულიყო კახეთს, რომ მეთაური არ მოჰკლებოდა არც აღმოსავლეთ საქართველოს, რომელიც მაშინ უფრო დიდს განსაცდელში იყო. ბატონიშვილ ჯუანშერის გარშემო უნდა მომხდარიყო აღმოსავლეთ საქართველოს ძალთა შეჯგუფება თუ შენივთება. იოანე რომ გაემართა დასავლეთ საქართველოში, თან წაიყვანა თავისი დედა და დები. უნცროსი და შუშანი დარჩა ჯუანშერთან. ესენი გამაგრდნენ კახეთის ხევში. აქედან უნდა ეწყო ბატონიშვილს მართვა ქვეყნისა: აქ უნდა მოეგროვებინათ ქართველი ლაშქარი და დაემზადებინათ საბრძოლველად. ესე ფიქრობდნენ საქართველოს გამგებელნი თუ მათნი მრჩეველ-მშველელნი.

3

არაბნი ძლიერ წახალისებულნი იყვნენ თავისი გამარჯვებით, ცხებულის სისხლით დამთვრალნი შესდგომოდნენ ხოსროიანთ ამოფხვრას საქართველოში. მწე და მშველელი არსაიდან ასჩემებოდა განწირულ დინასტიას: სპარსეთი, მძლავრი ლომი მთელის ირანისა, სასიკვდილოდ დაჭრილი გართხმული ეგდო უძლეველი ხალიფის ფერხთ ქვეშ; უკვე მოსპობილი იყო ეს ბუნებრივი მოკავშირე საქართველოსი და მშველელი ქართველ მეფეთა. ბიზანტია იმავე თავით ეჭვის თვალთ უმზერდა ქართველ ხოსროიანთ და ეს უნდობლობა მტრობად შეიცვალა, როცა არჩილი ეახლა ჭიჭუმს: ბიზანტიამ დაასკვნა აქედან, რომ ქართველნი მტკიცე ზავს აპირობდნენ არაბებთან. მართალია, არჩილის წამების შემდეგ დარწმუნდა საბერძნეთი, რომ ასიმის ამისთანა ისტორიული შეცთომის გამო საქართველო მთლად გასწყვეტდა კავშირს აგარიანებთან და ისევ ელინებისკენ იბრუნებდა პირს, მაგრამ არჩილის მიხვრა არაბთაკენ, ასიმისაგან ვერ შეგნებული მისი ცდა, მაინც იარად ეტყობოდა მას გულზედ. ბიზანტია ახლა ფიქრს მისცემოდა იმის შესახებ, რომ საქართველო უფრო მჭიდროდ შეეკავშირებინა თავისთან. ამ აზრის გასახორციელებლად კი აუცილებელი იყო სასანიდთა დინასტია ისევ ჩამოსცლოდა საქართველოს ტახტს, მთლადაც მოსპობილიყო ეს აზიისაკენ სურვილით მომზირალი გვარეულობა, ხოლო ტახტი დაეჭირა სხვა შთამამავლობას, მჭიდროდ დაკავშირებულს საბერძნეთთან და რჯულთან ქრისტესი, თუნდაც ისევ იმავე ბაგრატიონთა გვარს, რომელს ნათესაური კავშირი ჰქონდა ბიზანტიის იმპერატორებთან. მაინც ხომ ამ მიზნით იყო ეს გვარეულობა დანიშნებული და თუ სკიპტრა ისევ სასანიდთ ჩაუვარდათ ხელში, ეს სტეფანოზ პირველის ბრალი იყო, რომელმაც არინება თავის მოხრა დიდ ბიზანტიის წინაშე. ელინთა ესეთი გულისთქმა კარგად ესმოდათ სასანიანთ და იოანეს დიდი იმედი არა ჰქონდა ბიზანტიისა ამ მისთვის ძლიერ გაჭირებულ ბრძოლაში. მაინც იქით ინევდა წყალ წაღებული, არა საიმედო საბერძნეთისკენ.

იყო მესამე ძალა ძლიერი კავკასიონის მთათა გადაღმა. ხაზართა სამფლობელო უძლიერესი. ხაზარეთი ამდროს საშინელს ომს აწარმოებდა არაბებთან, ეს დიდი სახელმწიფო ჩრდილოეთისა ჩამოშვებულიყო გურგანის ზღვის და კავკასიონის შუა თვით არებამდინ, აქ შეჭხეთეხიყო სამხრეთიდან მომავალ უძლიერეს ტალღას აგარიანთა და დაწყებულიყო ბრძოლა ბუმბერაზული. ეხლაც სარკინოზთ მძლედ მიუძლოდა ხაზარეთისკენ დიდი სარ-

დალი მასლამა, თვით ხალიფის ძმა, მმართველი ჩრდილოეთ ირანისა; დარუბანდს მისწდომოდა მისი ლაშქარი. ამ გარემოებებში საქართველოსთვის ხელსაყრელი იქნებოდა ხაზარეთთან თანამშრომლობა არაბთა წინააღმდეგ. ხაზართა ძლიერი ძალით და სიმრავლით შეიძლებოდა ესარგებლნა ქართველთ სამეფო ხალხს ამ უკიდურეს განსაცდელის ჟამს: გახსნიდა დარიალს, გადმოიყვანდა იქიდან დაქირავებულ მეომრებს და მათით გააძლიერებდა თავის ლაშქარსა. ნაცადი გზა იყო ეს, ბევრჯერ მიემართათ წინად ამ ხერხისათვის ნებროთანთ გვარის მეფეებსაც, სასანიანთაც. მაგრამ ხოსროიანთათვის ეს გზა მაშინ მთლად დახშილი იყო; ხაზართა ხაკანი მათგან ფრიად ნაწყენი იყო, გარისხებული, და ეს პირადი განცდა ბოროტი ისეთი ძლიერი იყო, რომ ხაზართა კეისრისათვის უდრიდა უდიდეს სახელმწიფო საქმეს. ეს პირადი სიმწარე გარდუვალ ზღუდედ იყო აღმართული და ქართველთა მპყრობელნი ველარ გაიხედავდნენ ჩრდილოეთისკენ იმედის თვალთ. ეს პირადი მტრობა ხაზართა მეფისა იმისაგან იყო გამონვეული, რომ მან მოყვარობა სთხოვა ქართველთა მმართველს, ამან უარჰყო იგი კავშირი, ქალი სთხოვა სასანიანებს, არჩილის ქალი უმრწემესი, მათ არ მიიღეს ხაკანის თხოვნა, დაჰკმეს იგი მისი სურვილი. ხაკანს კი აღარ შეეძლო დაჰხსნოდა თვის სურვილს ვნებად გარდაქმნილს, ვერ ჩაექრო მას თვის მისწრაფება ძლიერი, ვერც ჩაენელებინა. დროს ეძიებდა, მარჯვე შემოხვევას გულის წადილის ასასრულებლად, იპოვა კიდევ ისეთი დრო მოხერხებული, გარემოებებმა შეუწყეს მის სურვილს ხელი.

არჩილის ოჯახი ჯერ ისევ სიონში იყო, მეფისაგან იქ ნაშენ პალატებში: თავს ვერ ანებებდნენ წამებულის ადგილს განსასვენებელს: მეფე იმედს აძლევდა დაობლებულ ოჯახს თვით საფლავიდან, მისი აჩრდილი ჯერ ისევ მიმოვიდოდა ჭირისუფალთ და მათ გარშემო შეჯგუფებულ თავდადებულთა შორის. აღარ კი შეიძლებოდა მეტი ხანი უმოქმედოდ ყოფნა და გლოვა; წამებულ არჩილსაც შეამძიმებდა მის მახლობელთ ნებისყოფის მშლელი ნალველი. ბჭობდნენ ხალხის ჭირისუფალნი, აზრობდნენ, რომ მოზომილად ემოქმედათ ქვეყნის სახსნელად. „მაინც სად წავიდეს ეხლა მეფის სახლობა, რომელ სიმაგრეს მიენდოს იგი, რომელ ბურჯს დაეყრდნოს ამ საერთო რყევის ჟამს?! მე ეს პატარა სიმაგრეც ისევე მისანდობელად მიმაჩნია დღეს, როგორც სხვა ციხე-ქალაქები: ვიცით მაინც, რომ აქ მეფის სახლობის ნამდვილი ერთგულნი ახვევიან გარს“. — ამბობდა გულგატეხილი ერისთავი ნასრე.

„ვერ გეთანხმები! შეუვალი ადგილები, მტერთაგან შეუღახავი, კიდევა გვაქვს საქართველოში; მხოლოდ ძნელია და საშიში მეფის სახლობის იქ გადაყვანა: მტერი თვალს გვადევნებს, შეიძლება გაბედოს, თავს დაგვესხას და განსაცდელში ჩაგვეყაროს ყველა“. — შეუბრუნა სიტყვა ვარაზმან კოტმანელმა.

„აქაც საშიშია: ციხე პატარა არის, მთლად გაუმაგრებელი; უბრალო გალავანია“. — შენიშნა ხერთვისელმა.

„არც თუ ძალიან საშიშია, ოღონდ კი უგრძობლად არ დაგვესხას მტერი თავს, ახლო გვახლავს მთა შუვალი“. — დასძინა ლეონ აფხაზმა, რომელიც მოსულიყო არჩილის საფლავის პატივსაცემად, ჭირისუფალთ სანუგეშებლად.

„ჩემო მოჭირნახულენო! დრო აღარ არის მხოლოდ ჩვენზედ ზრუნვისა, მიუვალ ადგილთ ჩვენთვის ძებნისა. დაუყოვნებლივ დავადგეთ ფართო მოქმედების გზას.

„ბრძანე, დედოფალო!“

„მემკვიდრე იოანე ეხლავ უნდა გამოცხადდეს მეფედ საქართველოსი! ისეთ ადგილას უნდა დავამკვიდროთ იგი, რომ მოშორებით იყოს მტრისაგან, თანაც შესაძლებელი შეიქმნას მისთვის ლაშქრის შეკრება თვისის მეფობის განსამტკიცებლად“. — ბრძანა არჩილის მეუღლემ დიდ უბედურობაში თითქო გაკაჟებულმა.

„ჭეშმარიტსა ბრძანებ, დედოფალო! ან ჩვენი ძალების განმტკიცება და სისხლის აღება, წმიდა სისხლის ანაზღაურება, ან სიკვდილი ბრძოლის ველზედა!“ — წარმოსთქვა ამირ სპასალარმა აღსართან, რომელი ძლიერ ეწინააღმდეგებოდა არჩილს, სარკინოზთა ურდოში ნასუ-

ლიყო. იგი დღესაც ვერ შერიგებოდა იმ უბედურ ნაბიჯს, როდესაც მეფემ თავისი ხელით გადასცა იარაღი მტერს უძინებულს, სამონყალოდ მიაბარა თავისი თავი აფთარს ჯაგარშვილს.

„ერთადერთი გზა არის ხსნისა: დასავლეთ საქართველოში უნდა ნაბრძანდეთ; ეგრი-სია ეხლა მხოლოდ ის მხარე, სადაც საშიში არ არის თქვენი ყოფნა და სადაც შეიძლება საკმაო ჯარი შემოიკრიბოს ბატონმა მეფემ“. — ბრძანა სახლისუცესმა როსტომ.

„ეგრისს ამბობ და კარგად აზრობ! მაგრამ არ შეიძლება მთლად თავი დავანებოთ ქართლ-კახეთს, უმწეოდ დავსტოვოთ, ფხიზელ დარაჯათ არ ვედგეთ მთელ აღმოსავლეთ საქართველოს და დიდებულ სავაჭრო გზებს, რომლებით დასერილია ეს ქვეყანა გარდიგარდმო, თუ აღმა-დაღმა“.

„ჭკვას ახლოა! რახან მეთაურებს გაიგულებს მტერი, უფრო გამძლავრდება და ხელში დაიჭერს მთელ პირაქათ ქვეყნებს; შავა შაუვალ ადგილებშიც ჩვენის მთებისა, სად ჯერ ვერ დაუდგამს მას თავისი ბილწი ფეხი“.

„შეუძლებელია მთელი აღმოსავლეთ ქვეყნის უპატრონოდ დატოვება: იმედს დაჰკარგავს ხალხი, იფიქრებს: ჭირისუფალნი ივლტვიან, ეტყობა, შესაძლო აღარ არისო გაუმკლავდეთ მტერს და...“

„და გაკადნიერდება მტერი, შეაგინებს ხალხის სინმინდეთა, მოსპობს ნათელს ქრისტიანობისა და მის წილ განამრავლებს ბნელ სჯულს ცრუ წინასწარმეტყველისას“. — დაურთო სიტყვა დასითეის ტბილელმა.

„გაუტყდება ხალხს გული, რა განშორდებიან მას მესვეურნი: ვერ დარწმუნდება, რომ ბატონი მეფე სწორედ იმისთვის უნდა ნაბრძანდეს აქედან, რომ დასავლეთიდან განამტკიცოს თვისი სამეფო ტახტი, იხსნას ხალხი სხვის მონობისაგან“.

„მაშ, რა უნდა ვქმნათ?! აქ დარჩენა ჩვენი სახიფათოა, არც სასარგებლო, ამბობთ თქვენ; ჩვენი წასვლაც საზიანოაო. სთქვი შენი სიტყვა“. — მიჰმართა იოანემ ვეზირს.

„ჩემის ჰაზრით, ბატონო მეფე, ესე უნდა მოვიქცეთ: შენ ეხლავე განცხადებულ უნდა იქმნა მეუფედ საქართველოსი, როგორც წესია ჩვენი და კანონი. მეფედ კურთხევა თუნდ შემდეგ მოენყოს. მყისვე უნდა წარემართო ზღვის პირისაკენ, ბატონიშვილი ჯუანშერ აქ უნდა დარჩეს, ქართლ-კახეთში, რომ ხალხმა არ იგრძნოს თავისი თავი მიტოვებულად. მაშინ ჩვენც უკეთ შევსძლებთ ბატონიშვილის წინამძღვრობით ვიმოქმედოთ აქ, მის გარშემო შემოგვკრიბოთ ხალხი და ლაშქარი“.

„მოსაწონია! უბრალო რამ ბრძანებისათვის აღარ დაგვჭირდება კაცების გზავნა და პასუხის ცდა. გამოცხადდეს ჯუანშერ გამგედ ქართლ-კახეთისა, მეფის ხელქვეით მთავრად აღმოსავლეთში“.

„ბატონიშვილი ჯუანშერის მარტო დატოვება არ შეიძლება: გამოუცდელია, მთლად ახალგაზრდა. არც მთავარსარდალი იქნება აქ და...“

„ეგ არაფერი! ჩვენი გამოცდილება გვერდით ახლდება მას“. — დასძინა თავმომწონედ ხუნძთა და ნუქეთის ერისთავმა აბუხვასრომ, რომელს მირის უნცროსი ქალი ჰყვანდა მეუღლედ და განაგებდა მთელს კუხეთსა და მთას.

„ემჯობინება, სამეფო ოჯახი ორად გავანაწილოთ. შენ, დედოფალო დიდებულო, ბატონ მეფეს უნდა გაჰყვე თან: უფრო ძლიერი იქნება მისი მოქმედება გავლენა, როდესაც გვერდს ეყოლება თვით დედოფალი, მეუღლე სჯულისთვის და ქვეყნისთვის წამებულისა“. — დასძინა ვეზირმა დაბეჯითებით.

„თანახმა ვარ. ორს ჩემს დასაც მე წავიყვან თან: დიდი განსაცდელი გვიძევს წინ და თუ ერთნი ჩვენთაგანნი დავილუპებით, მეორენი ეგებ გადავრჩეთ ღვთის განგებითა“. — ბრძანა იოანემ. „გვეყო, ბატონო მეფე, განსაცდელი და ჭირი დიდი: არჩილის წმიდა სული მეოხ გვეყოფის წინაშე მეუფისა ყოვლად მონყალისა“. — წარსთქვა კათალიკოზმა და გადისახა ჯვარი.

ვასილ ბარნოვი

საუკუნის მზეს

უკანასკნელი მზე საუკუნისა დასავლეთის სისხლწითელ ღრუბლებში ინთქება. შიშველი ვნება ხალხებისა ცეკვავს შეშლილ მახვილთა წკრიალში შურისძიების ველურ ყიჟინით ანთებული.

ნაციის მშიერი სხეული უაღრესი გონების დაბნელების ჟამს დაიღუპება. ამ უნიათო მეფლისს დაფუშავს სხივი ზეცისა და გააპობს გაუმაძღარ გულებს. პურპურის ანთება ცისა, შენი ცისკარი ნუ გგონია, ჰოჲ, ერო ჩემო.

ეს ანარეკლია სამსხვერპლო კოცონის, რომელმაც უნდა დაჰფერფლოს უძღები სხე-ულეა ანგარებისა. უნდა დაინვას ხალხების უსაფუძვლო თავმოყვარეობა. ცისკარი შენი აღმოსავლეთის მდუმარე სიბნელეს გადაღმა იცდის, ინდოეთო ჩემო. ცისკარი იგი იცდის მდუმარე და ჭირთამთმენი.

თვალახილე, ჰინდუსტანო ჩემო.
განამზადე ზვარაკი შენი წმინდა მზისამოსვლისათვის.
დეე, შენი ხმა იყოს ხმა პირველი და ერთად ერთი, ხმა მზის მისალმებისა, რომელიც იმღერებს:

მოვედ, მშვიდობავ კაცთა შორის, შენ, ადამიანთა მოდგმის დიდი ტკივილების ასუ-ლო ნაზო.

მოვედ საუნჯითა შენის კრძალულ ბედნიერებით.
მოვედ მახვილით თავგამოდებისა.
მოვედ სინატიფის გვირგვინით შუბლდაშვენებული.
ჰოჲ, ძმანო ჩემნო, ნუ გეკრძალებათ ამპარტავნობის და სიძლიერის თვალისა გაყრა. თქვენი კრძალვამოსილების სისადავის თეთრ სამოსელში.
გვირგვინი თქვენი დე იყოს კრძალვა, თავისუფლება თქვენი — თავისუფლება თქვე-ნი უკვდავი სულისა.

თქვენი ტიტველი სიგლახაკის პიედესტალზე ყოველ დღე აღმართვიდეთ უფლისა ჩვე-ნის ახალსა ტახტს.

და იცოდეთ ყველამ: უძლიერესი არ არის უმაღლესი ამ ქვეყნად და ამპარტავნობა წარმავალობის ფუყე ნიადაგზე იმაგრებს თავს მუდამჟამს.

რაბინდრანათ ტაგორე

სერენადა

თქვენ უსათუოდ გახსოვთ
ღამე ტირილი ქარის
ფიქრებს სევდებში აქსოვთ
ძნელია ზიდვა ჯვარის.

ჩემს ცხოვრებაში მარად
 ვგრძნობდი სინაზე მაკლდა.
 ეხლა მწუხარე ზარად
 ისმის სახელი: მაგდა.

მიდის ზამთარი ნელი
 იღვრება სევდა მთვარის,
 ვით ბაიათი ძველი —
 დამწვარი გლოვა თარის.

მგონი დამტოვა ყველამ
 თუმცა სულ ერთი არი.
 ხმა სერენადის მწველი
 დამყვება ზამთრის ქარით.

ლევან ასათიანი

ალიგიერი დანტე

ესსაი

Eccovi l'uom eh'è stato all Inferno

არაჩვეულებრივის მღელვარებით მიხდება დღეს დანტეზე ლაპარაკი.

საჭიროა დიდი ენტუზიაზმი, რომ ერთ საათში ილაპარაკოთ იმის მაგივრად, ვინც ცამეტი მუნჯი საუკუნის მაგივრად მეტყველობდა ექვსი საუკუნის განმავლობაში. გასული წლის სექტემბრის 13-ს მთელმა კულტურულმა ევროპამ იდღესასწაულა ამ ექვსასი წლის შესრულება.

ჩვენ სულ რამოდენიმე თვით დაგვაგვიანდა.

საერთოდ თვეებით დაგვიანება არაფერია, თუ ჩვენ წლებით და გონებით არ ჩამოვრჩებით კულტურულ ევროპას.

ასეთი იუბილდარული საღამო, ევროპიელ მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი, საქართველოში პირველია. ამ საღამოს პირველად ვდღესასწაულობთ ჩვენ, ქართველები, დასავლეთის კულტურის მაღალი გენიის წარმომადგენლის ხსოვნას.

ეს პირველი დღესასწაულიც რომ დანტეს ერგო, შემთხვევითი მოვლენა არ არის.

დანტე შექსპირზე და გოეთეზე ახლო დგას რუსთაველის და ქართველი ერის გენიასთან, თავისი დიდი ენტუზიაზმით და დიდი ტემპერამენტით.

ამ მხრით საგანგებო მონოგრაფიას მოითხოვს ბეატრიჩეკულტი ნესტანის კულტთან შედარებული.

ალიგიერი დანტე — ცამეტი მუნჯი საუკუნის მაგივრად მეტყველი ოქროპირი. ადამიანობას სულ რამოდენიმე ანალოგიური სახელი მოეძევა.

ჰომერი, დანტე, შექსპირი და რუსთაველი.

მათ შორის დაუსრულებელი პარალელების გაყვანა შეიძლება, ვისაც პარალელები უყვარს.

მაგრამ ყველაფერზე უფრო მათ აერთებს ის გარემოება, რომ ამ ოთხივე მნათობის ადამიანური ცხოვრება ლეგენდათაა ქცეული, რადგან ვერც ერთი ერი, ადამიანურ შეძლებლობის ფარგლებში ვერ დაიხსომებს ამგვარ სახელებს.

მათი ზეადამიანური ბუნება და არსება მუდამ ხმალში იწვევს ერის ფანტაზიას.

ამგვარად იკარგება ნელ-ნელა საზღვრები სინამდვილისა და მომხდარის.

დაუსრულებელ პირამიდალობით იქმნება ლეგენდა ღვთიური ადამიანის სახელის გარშემო.

ასევე იქმნებოდა მითები და ლეგენდები გმირისა და წმინდანის შესახებ.

ადამიანობის მოდგმა მუდამ ამაყობდა და დღესაც ამაყობს, რომ ჩვენს გულში ძლიერია ძალა თაყვანისცემისა. ეს თაყვანისცემა ქვეყანაზე მუდამ ოთხი სხვა და სხვა ბუნების ადამიანს რგებია: გმირსა და წმინდანს, პოეტსა და წინასწარმეტყველს. მათვე ეკუთვნის ყველა ლეგენდა ყველა დროსა.

ჩვენგან სივრცითა და დროით დაშორებული გენია ამ ლეგენდით იკაფავს გზას ჩვენამდის.

ეს უცილოდ რელიგიოზური პროცესია კაცთა მოდგმის შეგნებაში.

ეს ლეგენდა უფრო ძლიერია ვიდრე მშრალი ფაქტების აღნუსხვა, ვიდრე რაციონალური ანალიზი და კვლევა-ძიება.

ამიტომაც პიროვნება ჰომერისა და შექსპირის, პიროვნება დანტესი და რუსთაველის მუდამ ლეგენდარული დარჩება, ფილოლოგებმა და ტექსტის კრიტიკოსებმა რომ ხელი თუნდაც ცამდე აჰყონ.

და ვინც რაციონალური კვლევის მეთოდით მიუდგება მათი ცხოვრების „ნამდვილი“ სინამდვილის აღდგენას, მისთვის ბეჭდითა შვიდითა დაბეჭდულ წიგნად დარჩება გენიის პიროვნული ცხოვრება.

რადგან იოჰანეს სახარების: „პირველითგან იყო სიტყვა“ უნდა გადავასწოროთ: „პირველითგან იყო მითი“. მითი ყოველთვის უფრო მართალია, ვიდრე ყოველი სინამდვილე, რადგან პოეზია უფრო ძლიერია და გამძლე ვიდრე ყოველივე ფაქტოლოგია.

არისტოტელესი აღიარებდა, პოეზია უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე ისტორია.

პოეტური და ლეგენდარული ყოველთვის უფრო სწორია, და მართებული, ამიტომაც ლეგენდარული და პოეტური მუდამ გადაასწრებს ისტორიულს.

ამიტომაც ყოველი დიდი ადამიანის სწორი ბოგრაფიის გადმოცემა ისეთი სისიპის მუშაობაა, რომლითაც დღემდის არ დაღალულან ჰომერის, დანტეს, შექსპირის და რუსთაველის მკვლევარნი.

დანტეს ადამიანურ ცხოვრებიდან სრულიად უმნიშვნელო ცნობებია ჩვენს განკარგულებაში. წარმომშობით რაინდი. ფლორენციელი მოქალაქე. დანტე — დეურანტე. ბეატრიჩეს მიჯნური. სქოლასტი და მისტიკოსი. მონაფე ბონავენტურასი, ფრანც ასისელის, იოაკიმ ფიორელის, თომას აკვინელის. ფლორენციელი ელჩი. ენტუზიასტი. პოლიტიკოსი. ემიგრანტი. უსახლკარო ვაგაბუნდი. ესაა ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით ამ განამებულ ადამიანის ცხოვრებაზე.

დღეს ჩვენთვის ყველაზე დიდი პრობლემაა, თუ როგორ დაუკავშიროთ მისი სულის ბრწყინვალე ლეგენდა ჩვენს თანამედროვეობას, რადგანაც ყველაფერი, რასაც ჩვენი გრძნობა და გონება ცალი ფრთით მაინც შეეხება, ორგანიულად უნდა იქმნეს ამ თანამედროვეობასთან დაკავშირებული.

ხოლო ჩვენი თანამედროვეობის ვიზიონერული სახე მე წარმოდგენილი მაქვს მედუზას სისხლიან თავად.

შემლილი, დემონით შეპყრობილი ადამიანის თვალებით. პირსისხლიანი და უპეჩაც-ვენილი, თითქოს სამუდამაშამოდ გამქრალა სხივი იმედისა და სათნოების, თითქოს სამუდამოდ შემოგვცლია შარავანდედი ღმერთშეყვარებულებს.

რელატივიზმი, სკეპტიციზმი. ნიჰილიზმი, დაუსრულებელი ნიჰილიზმი, გასულმა საუკუნემ რომ გვიანდერძა გაუხარებელი ნობათის სახით.

მე კი მგონია, რომ საქართველოში, სწორედ საქართველოშია საჭირო, რომ ყოველმა ჩვენგანმა რომელი ღმერთის დასუსის თავი გამოიბას, ერთი თვალი მომავლისაკენ გვეჭიროს, მეორეც წარსულისაკენ —

სწორედ საქართველოში უნდა შევძახოთ ჩვენ საუკუნეს და მოზარდ თაობას: „უკან დანტესკენ“ ეს დიდი მოვალეობა იქნება ჩვენი უახლოესი თაობის რათა გამოვასწოროთ ის, რაც ოთხიოდე ნიჰილისტურად განწყობილ თაობის მიერ წარყვნილია, რადგანაც ვერც ერთი თაობა, ვერც ერთი ეპოქა, ვერც ერთი ერი მაღალისა და მშვენიერის შემომქმედი ვერ იქნება თუ იგი ღვთაებრივის უხვი კალთიდან აღარ იღებს სულიერ საზრდოს.

ალბად ბევრმა არ იცის, რომ დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ პირველ ევროპიელ პოეტს. დანტე თანამედროვე დასავლეთ ევროპის პირველი, დიდი სტილის პოეტი იყო.

მისი იტალია, რომელიც დღეს მისივე მეფური სურვილისსამებრ მთლიან იტალიას, *Una Italia*-ას წარმოადგენს მუდამ იამაყებს, რომ დანტე მასწავლებელია როგორც შექსპირის ისე გოეთესი, როგორც კლოფშტოკის ისე კოლრაფჯის. დანტე სათავეა მთელი ევროპიული ლიტერატურისა და პოეზიის. იგია წინაპარი იმ ბრწყინვალე არტისტიული და ფილოსოფიური კულტურისა, რომლის ფასსა და მნიშვნელობას ჩვენ ქართველები მხოლოდ მომავალში თუ გავიგებთ, რადგან საამისოდ საქართველოში არც ერთ თაობას დღემდის არა გაუკეთებია რა. ალიგიერი დანტე. როცა ჩვენ ასეთ დიდ სახელებს ვახსენებთ სრულიად მნიშვნელობა ეკარგება დროსა და სივრცეს — იმ გარემოებას, რომ დანტე ექვსასი წლის წინად სცხოვრობდა და ჩვენ მეოცე საუკუნის ბჭებთანა ვართ მიმდგარი, როცა თვით პოეტურად განწყობილი ადამიანები, ალა შპენგლერ, საქვეყნოთ აღიარებენ: უარყყოთ პლასტიკა, უარყყოთ პოეზია, რადგან ლექსების წერას ხიდეების შენება სჯობია, ხოლო მხატვრობას გრაფიკულ ფიგურების ჩხაპნაო. მნიშვნელობა და წონა ეკარგება იმ გარემოებასაც, რომ დანტე ფლორენციელი მოქალაქე იყო და ჩვენ ქართველები, რადგანაც იგი ვინც ღვთაებრივი კომედია დასწერა, იგი, ვინც ხელოვნურ ქმნილებასავით დასრულებული ცხოვრების და ჰარმონიულად სრულყოფილ ადამიანობის მატარებელი იყო სრულიად არ ემორჩილება არც დროს, არც სივრცეს, არც ეთნოგრაფიას და არც ეროვნებას.

დანტე, ცამეტი მუნჯი საუკუნის მაგივრად მეტყველი. მაგრამ მისი მეტყველება, მეტყველება როდი იყო, არამედ მისტიური და უფსკერო სიმღერა უკანასკნელ საგანთა აღსასრულისათვის. რა ცოტას იღებენ ასეთი ადამიანები თავიანთი ადამიანური ცხოვრების და სამშობლოს ხელიდან და რამდენს აძლევენ ისინი საუკუნეებს და ადამიანობის მოდემას. სამშობლომ განდევნა იგი ცეცხლში დანვის მუქარით და მან სამშობლოს ცეცხლზე და დროზე უძლიერესი ძეგლი აუგო. ულამაზესმა იტალიელ ქალთა შორის იგი მხოლოდ ორიოდე შეხვედრას და გაღიმებას აღირსა, არც თუ ისეთ სიყვარულს, რომელიც მის მაღალ სულს ეკადრებოდა, სანაცვლოდ დანტემ საუკუნე დაუმკვიდრა მას. ასე მოკრძალებული იყო დანტე, რადგანაც ყოველი მართლაც დიდკაცი მოკრძალებულია მუდამ. ასეთივე კრძალვით დაარქვა დანტემ თავის უდიდესს პოემას კომედია, იტალიის ერის სინიდისმა გაუსწორა პოეტს ეს გადაჭარბებული თავმდაბლობა და მის პოემას შეარქვა „დივინა“. ამგვარად დანტემ და მისმა იტალიამ მონათლეს კომედია *Divina Comedia*-ად ყოველი დიდი ქმნილება საზოგადოებისა და პიროვნებას შორის მომხდარი კონფლიქტის

შედევია. დანტე ვერ იცნო სამშობლო და საუკუნემ. დანტე ემიგრანტი, მშვიდი უსახლკარო და უსამშობლო პოეტი, რომელმაც იგემა, თუ რა მწარეა სხვისი პური, რა ძნელია სხვის კიბეებზე თრევა. დანტე მიუსაფარი ვაგაბუნდი, კაცთა საზოგადოებიდან განდევნილი პოეტი. ბედი, რომლის უკეთეს ვერც ერთი პოეტი ვერ ინატრებს. 1314 წელს იგი პარიზს ჩასულა. სადაც იგი თეოსოფიას სწავლობს. მასვე უნდა ენახა ახლანდელი რონისა და, რაინის და ფლანდრიის ჩრდილოეთი ნაპირები, ბოლოს ბრიტანეთიც. შედარებით ცოტა რამ უნახავს მას. ამდენს ყოველი ევროპიელი კომივოდაჟორი ნახავს დღეს.

მისი ლექტურები: არისტოტელეს ლათინურად (რადგან მას ბერძნული არა სცოდნია), თომას აკვინელი, აუგუსტინე, ბონავენტურა, ფრანც ასისელის და იაკიმ ფიორელის ქადაგებანი და რამოდენიმე ბიზანტიური ავტორი. ამდენი ყოველმა, უკანასკნელმა პრივატდოცენტმა იცის დღეს. საქმე არასოდეს მხოლოდ ცოდნაში არ ყოფილა. ბევრის ცოდნა არავის ძალუძს. არც მხოლოდ ნახვით მისწვდება კაცი უკანასკნელ საგნებს. კანტი კონიგსბერგს არ გასცილებია, მაგრამ მანჩესტერის ხიდი ისე ასწერა, თითქოს ლონდონელი მოქალაქე ყოფილიყო. არც დანტეს უნახავს თავისი ჯოჯოხეთის პირველსახე. მისი სიძლიერე იყო მისი პოეტური ინტუიცია, მისი სიმდიდრე — მისი ფანტაზია. ჯერ კიდევ ლუთერი ამბობდა: ძნელია არა მკვდრად ჩასვლა ჯოჯოხეთს, არამედ ცოცხლად ჯოჯოხეთს ჩასვლა — ეს არის ძნელი. რავენას ქალებს, სჯეროდათ დანტეს თმა ჯოჯოხეთის ცეცხლს შეუტრუსავს და მიტომაც გაშავებულაო.

დანტეც ჯოჯოხეთს მიტომც ჩავიდა, რომ ვერსად ეღირსა განსვენებას. მის სამშობლო ქალაქს ჭილობის საფენი ადგილი გაუწყდა მისთვის. ასეთია ყოველი დიდი პოეტისა და წინასწარმეტყველის ბედი. ვინც ღვთიურსა და მაღალს ამ ქვეყნად სმენას ათხოვებს, მისთვის ადგილი არაა ამ ქვეყნად. ეს უბრალო ჭეშმარიტებაა, რომელიც ბავშვებმაც იციან დღეს. ამას ჩვენი თანამედროვეობაც ვერ უარჰყოფს, რომ წინასწარმეტყველური იერი ყოველ დიდ პოეტს თანასდევს. უამისოდ პოეტი უბრალო მოშაირედ რჩება მუდამ. სიტყვა პოეტი ჩვენმა თანამედროვეობამ წარყვნა კიდევაც, მას შემდეგ რაც ევროპაში პოეტობა ხელობად გადაიქცა, როცა პროფესია და პოეტობა ერთი მეორეში აურიეს. დღევანდელი საშუალო პოეტის როლი ამ მხრით წააგავს საშუალო საუკუნეების ტრუბადურების და ტროვატორებისას. რადგანაც დღესაც ურევნ ერთი მეორეში ხელოვნებას ცხოვრების საშუალებას და ხელოვნებას ცხოვრების მიზანს, უკეთ ვსთქვათ, პოეზიით ცხოვრებას, პოეზიისთვის ცხოვრებაში. პოეტი პლატონმა განდევნა თავისი იდეალური სახელმწიფოს საზღვრებიდან. ამის შემდეგ არც ერთ სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობილებას არ მიუჩენია ადგილი ჭეშმარიტ პოეტისათვის. ჩვენმა, პრაქტიკულად განწყობილმა თანამედროვეობამ საქვეყნოდ უარჰყო არამც თუ პოეტი, როგორც სოციალური ექზემპლდარი, არამედ თვით პოეზიაც როგორც ანტისოციალური და უაღრესად უსარგებლო ფენომენი. დღევანდელი საზოგადოება კიდევ ითმენს უტილიტარისტურ პოეზიას, რომელსაც ან ბავშვების აღსაზრდელად, ან ხანგადასულ ქალების თავშესაქცევად, ან არა და მადა დაკარგულ მოხუცების ჟინის გასაღიზიანებლად იყენებს (როცა პოეზიად საღდება პორნოგრაფია), ხოლო ნამდვილი პოეზია დანტეს სტილისა, დღესაც არ ეხამება საუკუნის ფერუმარულს. ნუმც დღეს გაგვიკვირდება, რომ მისმა ფლორენციამ კარები გამოუკეტა დანტეს.

სასწარკვეთილი რეზიგნაციაში ეუბნება პოეტი თავის თავს: „ფლორენცია ვერ უნდა იხილო შენ თვალთ, მაგრამ ჯოჯოხეთი, ცეცხლი განმენდის, და ზეციური ფირმანენტი უნდა ნახო შენ. რა არის ფლორენცია, კან გრანდე დელლა სკალა, ცხოვრებისა და ქვეყნის პატარა ამბები მარადისობასთან შედარებით. მარადისობისაკენ, მხოლოდ მარადისობისაკენ მიდის შენი და ყველა საგნების გზა“. ყოველ გენიოსს თავისი სიდიდე წინასწარ შეგნებული აქვს, მაგრამ სადაც ცრუპენტელები ყოველ გზა-ჯვარედინზე გაჰკვივან

თავისი მოჩვენებითი სიდიდე-სიმაღლეზე, იქ მართლაც ღვთისადამიანები გულის სიღრმეში ატარებენ იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ დიდი ქმნილების შესაქმნელად დიდი თვითშეგნებაა საჭირო, რომ გაუმხელელი შეგნება საკუთარი სიდიდისა და სიმაღლის სიკვდილზე და ამა ქვეყნიურ დიდებაზე უფრო ძვირფასია.

ყოველ დიდ ადამიანს თავის ვარსკვლავის სრბოლისათვის მიუხედავად მუდამ თავისი ბედის იალქანი. ასე გოეთე და ნაპოლეონი. ენდე შენს ვარსკვლავს. Seguri la Stella და ბრწყინვალე იმედის ნავთსაყუდარი მზად იქნება შენთვის. ამ ბედის ვარსკვლავს მინდობილი იწყებს დანტე თავის კომედიას. მაგრამ პირველი ევროპიელი პოეტის სახელი მან უფრო ადრე დაიმსახურა. იტალია აკვანია ევროპიული კულტურისა და პოეზიის. დანტემდის იტალიაში არ არსებობდა პოეზია ჩვენი თანამედროვეობის მასშტაბით. არსებობდა აგრეთნოდებულ ტროვატორების სახალხო პოეზია, რომელიც უმთავრესად ემყარებოდა 12 სტრიქონიან კანცონებს. დანტემდისაც იწყება ძიება ახალი ფორმის, ტროვატორები ერთის მხრით თეთრ ლექსში ეძებენ ახალი მეტყველების ორგანოს. პარალელურად იქმნება სონეტი, რომლის წყობა და სტრიქონთა რიცხვი მუდმივს რყევას განიცდის.

დანტე წინამძღოლობს და ხელმძღვანელობს ტროვატორების პოეზიის ნამდვილ, თანამედროვე გაგების ხელოვნურ პოეზიად გარდამქმნელ მოძრაობას. სონეტი, როგორც ერთგვარი კონდენსატორი აზრისა და გრძნობისა განვითარების ზენიტს აღწევს ჯერ კიდევ დანტეს დროს. დანტეს მიწერ-მოწერიდან ვიცით, რომ მას განზრახული ჰქონდა თავის ტრაქტატში „ვულგარული ენისათვის“ წარმოედგინა თეორეტიული მოსაზრებანი ბალლადისა და სონეტის შესახებ, მაგრამ ამ ძეგლს ჩვენამდის არ მოუღწევია. მისი სონეტების კრებული Vita nuova (რომელიც შეიცავს მისი პროზის ნიმუშებსაც) მოწმობს, რომ მეცამეტე საუკუნის გასულს მხოლოდ დანტე იძლევა ფორმადასრულებულ ხელოვნურ პოეზიის ჭეშმარიტ ნიმუშებს.

დანტე — დიდი ხელოვანი სჩანს Divina Comedia-ში. ამ მხრით Vita nuova მხოლოდ პროლოგია ყოველი სტროფა მისი ფოლადის ლექსისა, გულის ძარღვიდან ამონურული სისხლითაა დაწერილი. ასე დაწერილა მუდამ ყოველი დიდი წიგნი დიდი სულის ცხოვრების შესახებ. დივინა კომედია მარტოოდენ დანტეს ცხოვრების ბოისტორია როდია, არამედ ისტორია ადამიანის სულის ისტორიისა. შექსპირზე სთქვა ერთმა გონება მახვილმა ლორდმა: „შექსპირის გარდა ინგლისის ისტორია მე არ წამიკითხავსო“. იგივე ითქმის დანტეში განსახიერებულ იტალიის ისტორიაზედაც. დანტე გარდაიცვალა, როგორც კი Divina Comedia დაასრულა. Divina Comedia მისი უკანასკნელი სიმღერა უნდა ყოფილიყო უკანასკნელი მისტიური სიმღერა ღმერთისა და მარადისობის სადღეგრძელოდ წარმოთქმული. ეს არ ყოფილა თქმა. ეს იყო სიმღერა, სადაც ფოლადის რითმის წკრიალი განუწყვეტელ რეფრენად მისდევს ჯოჯოხეთიდან განწმენდის მთით ზეციურ სამოთხისაკენ მიმავალ პოეტის სულს, რომელსაც თავისი ხორციელი არსება მუდამ თან ახლდა ვირგილისა და ბეატრიჩეს ლანდებს განდობილს. ალექსანდრე მაკედონელზე ამბობდენ ბერძნები: მან ქაოსამდის გზა გაიკაფაო. იგივე ითქმის დანტეზედაც. ასე ღრმად და ასე შორს ჯერ ხორციელი ადამიანი არ წასულა. ეს არ ყოფილა ადამიანური სვლა, არამედ მთვარეული გადასვლა რეალობიდან ირეალობაში რაციონალურიდან ირაციონალში, ბუნებიდან ზებუნებრივობაში, რამდენადაც მისტიკა ძველებსაც გაეგებოდათ, როგორც აქ დატოვება ხორცისა და ღმერთ დალეულობა. პლოტინი უწოდებს ამგვარ მისტიურ ექზალტაციას სხეულობიდან სულობაში გადასვლას: „მარტოხელის, მარტოობაში გაჭრას“. ამიტომაც სიტყვიდან: Myesis — რომელიც სხვა არაფერია, თუარ თვალების დახუჭვა, წარმოსდგება ჩვენი თანამედროვე მისტიკა. ყველა დიდ მწერალზედ ნაკლებად დანტეს გადათარგმნა შეიძლება, ამიტომაც სიტყვების ჯოჯოხეთი, მთა განწმენდისა და სამოთხის ნაცვლად ჩვენ ვიტყვი: Inferno, Purgatorio, Paradiso. ეს გახლავთ სამი ეტაპი მისი ვიზონერული ღმერთისა და ქვესკნელის ხილვის პროცესში.

თვით დანტე ამბობდა თავის კომედიას: ეს ნამდვილი სიმღერა არისო. *Canto fermo*. ხოლო მისი სიმღერების საერთო ფონი ყველგან მუსიკაა. ტრალიკულის სიმჭევრე ყველაზე უფრო მუსიკაში გამოჩენილა. ამიტომაც *Divina Comedia*-ას ერთად ერთი ეპიგრაფი დაამშვენებდა: მისტიკის წარმოშევა მუსიკის სულიდან. დანტეს *Divina Comedia* წმინდა პეტრე ეკლესიის სტილის კათოლიკურ დომს მომაგონებს გიგანტიური არქიტექტონიკით. გრძელფრთებიანი ქერუბიმების ქორალური მუსიკით. გრძელი და მაღალი, წერწყეტა შანდლებზე სინანულის ცრემლების მფრქვეველ თაფლის სანთლებით, პიეტათი და მისტიციზმით. *Divina Comedia* უკვე დასრულებული იყო, როცა მისი ავტორი რავენას ქუჩებში გამოჩნდებოდა, ხალხი თითოთ აჩვენებდა მასზე და იძახოდა:

Eccovi l'om ch'è stato all Inferno შეხედეთ ამ კაცს, იგი ჯოჯოხეთშია ნამყოფი.

აბოლოუტური სრულ ყოფის მიღწევა მხოლოდ უაღრესი ტანჯვით შეიძლება, ეს სჯეროდა დანტეს. მსოფლიო ლიტერატურაში სულ მცირეა ისეთი ნაწარმოები, სადაც ჰარმონიული შეთანხმება დეტალებისა და საერთო პლანდართულ არქიტექტონიკის ისე სიმეტრიულად იყოს დაცული, როგორცაა ეს *Divina Comedia*-ში. თვით გოეთეს ფაუსტსაც არა აქვს ერთი განუყოფელი მთლიანობის შემცველი არქიტექტურა. თქვენ შეგიძლიათ ფაუსტი უპროლოგოდ იკითხოთ. ბოლოს ფაუსტი მეორე ნაწილის წაუკითხავად. *Divina Comedia*-ს რამოდენიმე ბოლო სიმღერები დიდხანს დაკარგულიყო, ეს ფრიად აძნელებდა მის გაგებას. მისი სრულყოფა კონცენტრიულობაა, მისი სიდიდე სივრცემცველობას როდი გულისხმობს, არამედ სიღრმემცველობას. მოკლე თქმაში და აფორისტულ ტექნიკაში მას რუსთაველი თუ შეედრება, ვერც ერთი თანამედროვე აფორისტი ახლოს ვერ მივა მასთან. მაღალია და მშვენიერი მისი პოეტური სახიერების გარეგანი სახე, მისი ფორმა. ღრმა და უძირო მისი შეგრძნება და შეგნება ადამიანის სულის ტრალედიისა. ადამიანის ტანჯვა ამაზე მკვეთრად არავის გამოუხატავს, როცა პოეტი აღიარებს: *Non han speranza di morte*. მათ იმედი დაუკარგავთ სიკვდილის. უკვდავება მხოლოდ ისეთ ადამიანს დაუმკვიდრებია ამ ქვეყნად, ვინც მაღალი გრძნობის სახელით ცოცხალი ზიარებია სიკვდილს. ასეა ქრისტე და თვით დანტე. გზა უკვდავებისაკენ მიმავალი, მუდამ სიკვდილის არკას ქვეშ გაივლის. სხვა გზით უკვდავება, არ მოკვდინება უდიდესი უბედურობა იქნებოდა ადამიანისათვის.

Non han speranza di morte. გაივლის კიდეც ექვსასი საუკუნე და ადამიანი კიდეც მრავალჯერ დაუფიქრდება ამ ღრმა სიტყვებს. *Inferno Purgatorio, Paradiso*. ეს არის უხილავი სამყარო ხილულ სამყაროს გადაღმა რომ ეგულბოდათ ქრისტიანულ საუკუნეებს. რეალური ცხოვრება ეს იყო მხოლოდ დაბალი საფეხური ამ მაღალ განცდათა რეგიონებში მავალ სულისთვის. ნამდვილი რეალობა არც სააქაოსა აქვს და არც საიქიოს, როგორც ერთი, ისე მეორეც მხოლოდ ფორმებია ჩვენი სამყაროს წარმოდგენის. ერთად ერთი საგანი, რომელსაც ნამდვილი რეალობა აქვს, ეს არის სული უკვდავი ადამიანისა. და როგორც სიკვდილს, ისე უკვდავებასაც მოეძევა თავისი წყევლა და თავისი გოლგოთა. *Divina Comedia* მოგვითხრობს ღმერთის მაძიებელი სულის ოდისედას. ანტიურ ლიტერატურაში ენედას ჰადეს ჩასვლა წაგავს კომედიას გმირის ახირებულ მგზავრობას. ან და ქრისტიანულში მოციქულ პავლეს ცადამალლებას. *Nel mezzo del camin di nostra vita. Mi ritrovai per una selva oscura*. ჩემი ცხოვრების შუაგულ გზაზე. მე გამოვფხიზლდი ერთ უღრან ტყეში. ასე იწყებდნენ საუკუნოები დანტეს კომედიას. თავის ცხოვრების შუაგზად მიაჩნდა დანტეს 35 წლის შესრულება, როცა მინიერ ვნებათაგან სულმოთქმული პოეტი თვალს გაახელს უღრან ტყეში. ეს უღრანი ტყე „selva oscura“ ცხოვრება თავისი დაუთავებელი ველურული ინსტინქტებით, თავის ამაობის ბუზმენტებით შემკული და მოქარგული. ეს გამოფხიზლება კი უნდა იქნეს როგორც მისტიური, სინამდვილეზე თვალის მოხუჭვა, გაგებული. ეს პირველი ნაბიჯია ამ ქვეყნად ნამდვილი, ჭეშმარიტი სულიერ სამყაროს საძიებლად გადადგ-

მული. პოეტი ვირგილი აჩვენებს დანტეს გზას, რომელსაც ჯოჯოხეთის რთულ ლაბირინთში ადამიანურ ვნებების სვიმბოლოებად წარმოგზავნილი ნადირები უღობავენ გზას განწმენდის მთისკენ მავალს, სადაც დახვდება მას ნამდვილი ედემი. პოეტი პარადისში შედის. აქ კი მის წინამძღოლობას კისრულობს ბეატრიჩე. ბეატრიჩეკულტში ორი მომენტი: ერთი დანტეს მიწიერი ეროტიკა, ხოლო მეორე მისი მისტიური ეროტიკა.

დანტეს ტრუმფალური სვლა Inferno-დან Purgatorio-ში, აქედან Paradiso-ში არ უნდა გავიგოთ როგორც ზმანება, ეს ზმანება როდია (როგორც ზოგიერთ დანტეს კომენტარებს ჰგონიათ), არამედ ეს სამი სხვა და სხვა სტილის გავლა ვიზონერული ხილვაა მხოლოდ. ვიზონერული ხილვა ღმერთისა, რომელიც არის იგივე სიყვარული. პირველქალა კომედიის შემომქმედის მამოძრავებელი ეს არის ბეატრიჩე, მისი სიჭაბუკის მიჯნური. Inferno დანტეს წარმოდგენით ეს უშველებელი ძაბრის მაგვარი სივრცეა იერუსალიმს ქვეშ მოთავსებული, რომლის წვეტი სატანას უპყრია ხელში. მასში ვეზუვიდანაა შესავალი. მთელ კომედიაში ერთი მთავარი აზრია: ადამიანის სული ტანჯვით გაივლის გზას ჯოჯოხეთისას, მანძილი Inferno-სა და Paradiso-ს შორის ეს არის ის უცილო გზა, რომელიც ღვთის მაძიებელმა სულმა უნდა გაიაროს ხელმეორედ შობის პროცესში. აქ ჩვენ უცილოდ ვხედავთ ფრანც ასისელის და ბონავენტურას გავლენას დანტეს იდეალთა სამყაროზე.

მთელი საუკუნის ატმოსფერა გაჟღენთილი იყო იმ მისტიური ეროტიკით, რომელსაც ჩვენ დანტემდის ვხედავთ ტომას კელანოს და ჟაკობონო დოდის პოეზიაში. პიროვნული განცდა სულიერი განახლებისა, მისტიური ექზალტაცია და მისტიური შეგრძნება, აი, ამ გზით უნდა იპოვნოს ადამიანის სულმა გზა განახლებისა. ამ მოტივებს ვხვდებით ჩვენ დანტეს სონეტების კრებულში Vita nuova. განახლება ღმერთში, ხოლო ღმერთი იგივე სიყვარულია, რამდენადაც ბეატრიჩე პერსონიფიკაციაა ღვთიური სათნოების. Incipit vita nuova.

ეს იყო ახალი ტკბილი სტილი დანტეს საუკუნისა. Dolce sitti nuovo! მისი სიყვარული ბეატრიჩესადმი ეს მიწიერი სიყვარული როდია, Pergatario-ში მეოცდაოთხე ქებაში ასეთ სიყვარულს უწოდებს დანტე: Donne ch'avete intelletto d'amore.

როგორც იოახიმ დელ ფიორეს, ბონავენტურას, ფრანც ასისელს, რომელთაც არა ერთხელ ახსენებს დანტე Comedia-ში, სწამდათ შინაგანი რეფორმაცია ადამიანის სულისა. Retormatio interioris hominis. პარალელურად ეს მისტიციზმი გულისხმობდა გარე სამყაროს მეტამორფოზასაც. ამ მეტამორფოზის რკალებში მოექცეოდა როგორც ეკლესია, ისე სახელმწიფოც. როგორც იოაკიმ დელ ფიორეს მონაფე დანტეც Dux novus, ახალი წინამძღოლის, ანგელოს პაპის (papa angelicus) მოლოდინშია. იდეალი ადამიანის შინაგან განახლებისა და მასთან ერთად მთელი სამყაროს იდეალურ განახლებისა, ახასიათებს როგორც დანტეს კომედია, ასე მთელ მეცამეტე, მეთოთხმეტე და მეთუთხმეტე საუკუნის ეპოქებს იტალიაში. ამ მხრით ღვთაებრივი კომედია საყურადღებოა არა მარტო როგორც აუტობიოგრაფიული, არამედ როგორც წინასწარმეტყველური ვიზონერობა საუკუნოების იდეალების გამომხატველი. ეს ესხატოლოგიურ-ხილიასტური მოძღვრება იოაკიმ ფიორელისა, დანტეს კომედიაში ერთგვარ თანამედროვეობის კრიტიკასაც შეიცავს.

კან გრანდე დელა სკალასადმი მიწერილ ბარათში თვით დანტე აღიარებს, რომ მისი დივინა კომედია საბოლოოვ აზრია: განაშოროს ძე კაცისა პიროვნულ ცხოვრების უბედურობას და აზიაროს იგი ჭეშმარიტ ბედნიერებას ამ ქვეყანაზე. ჯერ კიდევ თავის ფილოსოფიურ პოლიტიკურ ტრაქტატში De monarchia ჰქადაგებს მსოფლიო მშვიდობიანობის, სამართლიანობისა და თავისუფლების დამყარებას. აპოკალიპსურად შეცნებულ ყველა საგანთა აღსასრულს, რომელსაც უმღეროდნენ იტალიელი მისტიკოსები, დანტე ანაცვალებს რომაელ პოეტების მიერ ნამღერ სატურნულ ოქროს ბედნიერების უკუმოქცევის იდეალს. ეს იყო იდეა, რომელიც ზეციურ სამოთხეში, Paradiso-ში ასულდგმულებს პოეტს.

დანტეს სჯერა, რომ მისი პოეტური გენია და მისი სიტყვის მძლეობა განაახლებდა სულიერად განანამებ ადამიანთა მოდგმას და მობრუნდებოდა მშვიდობიანი ოქროს ეპოქა, ორი სვიმბოლიური მახვილის: მესია პაპისა და მესია კეისარის ქვეყნად მოსვლისას. ამგვარად ხდება დანტე წინამორბედი და მასწავლებელი პეტრარკასი და კოლა დე რინცოსი იდეური ინსპირატორი იმ ბრწყინვალე ეპოქისა ისტორიაში, რომელსაც იტალიანური რენესანსი ეწოდება. აქ არის მისი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობაც. გარდა იტალიელი მისტიკოსებისა, თომას აკვინელის, აუგუსტინესი და ბიზანტიური მისტიკის, ალიგიერი დანტეს რელიგიოზურ მისტიციზმს ასაზრდოებდა ვირგილისა და რომის წარმართული პოეზია. ვირგილის ასტრაეს სახე დანტემ გამოიყენა კომედიაში ხელოვნურ ხელახლად შობის მოძღვრებისათვის. Purgatorio-ში ვირგილისა და დანტეს შემოუერთდებათ მესამე აჩრდილი რომაელი პოეტის სტაციუსის. აქვე აუწყებს რომაელი პოეტი დანტეს, რომ ახლოვდება ჟამი, როცა საუკუნენი ხელმეორედ შობას ეზიარებიან, ქვეყნად ჩამოვა ქალწული ასტრეა, დამყარდება სატურნისა სასუფეველი. უკვე ჩამოდის თაობა ახალი მაღალი ზეციდან. განმენდის მთის მწვერვალზე ვირგილი უარს იტყვის დანტეს წინამძღოლობაზე. დალაღულ მგოსნის თვალწინ იშლება პინიებით შემკული ველი, ეს არის მინიერი სამოთხე. აკვანი ადამიანობის მოდგმისა. მდინარის გაღმა სიმღერით ყვავილებს ჰკრეფს მატელდა.

ერთი და იმავე სათავიდან გამოდის ორი მდინარე ლეტე და ეუნოე. მატელდა წარუძღვება ახლა პოეტებს. გამოჩნდება ბეატრიჩეს პროცესიაც. ბეატრიჩე პოეტის ციური დედოფალი ყვავილთა ქულებით შემკული. დანტეს შეიპყრობს პირველი სიყვარულის ჟროლა. ვირგილი გაჰქრება. ბეატრიჩე მოაგონებს პოეტს მათ პირველ შეხვედრას, როცა პოეტის გულში დაენტო უშვრეტი ცეცხლი ღვთიური სიყვარულისა. მოაგონებს იმ დროს, როცა ბეატრიჩეს მინიერ სიკვდილს შემდეგ პოეტი მინიერ ვნებათაღელვებს ეძლევა, ამიტომაც მოითხოვს ბეატრიჩე დანტესაგან სინანულის ცრემლებს, ვიდრე იგი ლეტეს მდინარეს გადმოვა. მატელდა ჩაიყვანს პოეტს ლეტეს წყალში, ამ ნათლისცემის დროს დანტე იგემებს ლეტეს წყალს.

აქ დანტეს შეეყრებიან ოთხი კარდინალური სიკეთენი, რომელნიც უხუცესს არიან, ვიდრე თვით ქრისტიანობა და ვარსკვლავად ბრწყინავდნენ ფირმამენტზე, ვიდრემდის ბეატრიჩე ამ ქვეყნად მოვიდოდა. რწმენა, სიყვარული და სასოება ანგელოზისებური ხმით მღერიან მელოდიას: „მიაპყარ ბეატრიჩე შენი წმინდა თვალნი შენს უერთგულესს, რომელიც ეგზომ ისწრაფოდა შენად, მიაპყარ მას თვალნი შენნი, გაუმჟღავნე მას შენი მეორე მშვენიერება“. აჰა, გაიხსნა პირი ბეატრიჩემ. ბედნიერი პოეტი სჭვრეტს მისტიურ ვიზანერული ხილვით, იმპერატორის დანიშვნას უფლის მიერ, რომელმაც დაცემული კაცობრიობა უნდა დააბრუნოს მინიერ ბედნიერებისაკენ. იქვე იხილავს პოეტი აპოკალიპსურ მეძავს ეტლზე (იგულისხმება ზნედაცემული პაპობა), პოეტს ანუგეშებს ბეატრიჩე, იგი უწინასწარმეტყველებს ადამიანობის მოდგმას უკეთეს მომავალს. ღმერთი წარმოგზავნის მესიას კეისარს. ლანდები ჰქრებიან. დგება დიადი შუადღე. მატელდა მიიყვანს დანტეს მეორე სამოთხის მდინარის ეუნოეს ნაპირას, სადაც პოეტი ახალს წყაროს ენაფება.

„და ვბრუნდებოდი წმინდა ტალღით ხელახლადქმნილი, ვით მცენარენი გაზაფხულზე მწვანით მოსილნი, ცით განმენდილი და მზად ვიყავ ცად ასაფრენად“.

Riffatto si come piante novelle

Rinovellate di novella fronda

Puro e disposto e salire alle Stelle.

და გაიხსნება ზეციური სამოთხის კარები.

უნმინდეს ადგილას, სადაც რელიგია და პოეზია ხელს უწვდიან ერთი მეორეს სდგას დანტე ალიგიერი, როგორც ხელოვნების მაღალი მოგვი და გზას უნათებს მთელს თანამედროვე პოეზიას — სწერდა ამ ასი წლის წინად ფრიდრიჰ ფონ შელლინგი. ეს სიტყვები

დღესაც უდიდეს ჭეშმარიტებას შეიცავენ. ყოველი დიდი სტილის პოეტი ამ ორი რეგიონის მიწნებზე მდგარა მუდამ ასე, ჰომერი, თუ გინდათ გოეთეც. პოეზია და რელიგია განუყრელი დებია. ჰომერმა დააფუძვნა როგორც ძველი ბერძნული პოეზია, ისე ძველი ბერძნული რელიგიაც. დანტეს კომედიაში მთელი საშუალო საუკუნის ადამიანობის რელიგიური გენია განსახიერდა. ჯოჯოხეთის მეოთხე ლექსში დანტეც პირველობის პალმას უწვდის ჰომერს, მიუხედავად იმისა, რომ ვირგილი და ჰორაცი უფრო ენათესავებოდნენ მას რომაულ კულტურის დიდ მემკვიდრეს. ორივე წარმომადგენელი სტილ დამთავრებულ კულტურათა, ორივე განვითარების ზენიტზე შემდგარ საუკუნეთა შვილნი, ძველი ჰელას და ქვატროჩენტო. ჰომერს მოუხდა ბერძნული რელიგიის დაფუძნება, დანტე უკვე საუკუნოებისაგან გატყეპნილ ნიადაგზე იყო შემდგარი, მაგრამ უაღრესი და უღრმესი თავის საუკუნის რელიგიისა მოგვცა მან თავისი სიცოცხლის მწუხრზე Divina Comedia-ში. ჰომერი აქა-იქ ღმერთების კარიკატურასაც გვაძლევს, დანტე ყველგან და ყოველთვის ქრისტიანულ სარწმუნოების ფუნდამენტზე სდგას, იგი რელიგიის ინსტიტუტის ეკლესიის განახლებას და განსპეტაკებას მოითხოვს მხოლოდ, ჯოჯოხეთში პოეტი ცოდვილი პაპის დანახვაზე პირქვე ემხობა. კათოლიციზმი უძლიერესი და უდიდესი რელიგიაა დასავლეთისა, დანტეს შემოქმედების ერთი საძირკველთაგანი გახლავთ სწორედ კათოლიციზმი.

მაგრამ დანტე ინკარნაცია იყო არა მარტო საშუალო საუკუნის, არამედ მთელი ახალი ევროპის დასავლეთის კულტურის დიდი რელიგიისა. ადრეერენესანსის იტალიამ შესძლო ერთი ადამიანის პირით ეთქვა ის, რასაც ზოგიერთი ერი რამოდენიმე თაობის სიტყვივით ვერ გამოხატავს.

ამიტომაც დანტე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მთლიანი იტალიის — Una Italia-ს იდეალს, თავის სიკვდილის შემდეგაც აერთებდა პოლიტიკურად დაქსაქსულ იტალიას. ეს ვერ შესძლეს ვერც პაპებმა და ვერც მეფეებმა, ვერც ჰერცოგებმა და ვერც ბარონებმა, მაგრამ ექვსი საუკუნის განმავლობაში ამ იტალიას აკავშირებდა ალიგიერი დანტე, როგორც ქართველ ერს მისი რუსთაველი, ბაგრატიონებზე უფრო ხანგრძლივად და მკვიდრად რომ შეგვინახა საქართველოს ტახტი და მისი დროშა.

და ჩვენ ქართველებიც, რომელნიც დანტეს ექვსასი წლის იუბილეს ვდღესასწაულობთ, დანტეს როგორც პირველ დიდ პოეტს დასავლეთისას, მისი კულტურის პირველ დიდ მეჯვარეს, ერთ მოკრძალებულ თაიგულსაც მიუმატებდით იმ უგვირგვინო მეფის გვირგვინს, რომელსაც დაადგამს მას მთელი კულტურული ადამიანობა.

კონსტანტინე გამსახურდია

როდენის კათედრალები

სწორედ ომის დაწყებისას გამოქვეყნდა როდენის „კათედრალები“.

წამსვე გერმანულად გადაითარგმნა იგი (მაქს ბროდის თარგ.).

პარიზის პრესაში დიდის პათოსით შეჰხვდნენ ამ წიგნს. პოლიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა თავიანთი პატრიოტული მიზნებისათვის გამოიყენეს იგი. როდენი სიჭაბუკიდან გოტიკის ტრფიალს ატარებდა გულში.

ეს იდეალური სიყვარული საფრანგეთში გოტიურ ხელოვნების გარდუვალ ნაშტებისადმი მხოლოდ თავის მოხუცებულობის ჟამს გამოამჟღავნა როდენმა.

იგი ხშირად გაექცეოდა პარიზის ატელიეს და მიდიოდა სალარიზოდ შარტს, სუასონს, რაემს, ლაონს. ამგვარად მას მუდამ თვალწინ ედგა დიდ მანქანოთა წარჩინებულნი ქმნილებანი. ხოლო თავის წიგნში „კათედრალები“ როდენი ამ წლების განმავლობაში მიღებულ შთაბეჭდილებათ გვიზიარებს. „განა იმდენად უფრო ძლიერ გავლენას არა სტოვებს ჩვენზე ხელოვნური ნაწარმოები, რამდენათაც მარტივია მისი საშვალეზანი? დიახაც. ხელოვანის უზენაესი მიზანია უუმთავრესის გამოთქმა. ყველაფერი რაც არა არსებითია, იგი ხელოვნებას არ ეკუთვნის. შემდეგ: „...მაგრამ მაშინაც, როცა ბრბო დაჰკარგავს უნარს ხელოვნურ ქმნილების გაგებისას, მაშინ თვით ხელოვანმა უნდა გამოიჩინოს „მასსების გრძობა“, რათა შედეგების გაგება და შექმნა შეიძლოს. რასაც იგი ხელოვანთან შეიგნებს, მან იგივე უნდა იგრძნოს ხალხთან ერთად. ... მუშაობის ტკბილ მარტობაში ინერტება ხელოვანი. მოთმენაში. ხოლო მოთმენა მშობელი დედაა ენერჯისა. აქედან წარმოიშვება მუდამ მარადიული სიჭაბუკე, რომელსაც ძუძუს აწოვებს პიეტეტი და ენტუზიზმი.

იქონიეთ მოთმინება და აამოძრავეთ ინტელექტი. შემდეგ ისწავლით თაყვანისცემას.

ბუნების წინააღმდეგ გალაშქრება უსაფუძვლო ძალთა დახარჯვას იწვევს. იგი უვიცობისაგან წარმოიშობის, იგი ტკივილებით თავდება მუდამ ჟამს.

მუშაობა ჰკლავს შემომქმედში შურიანობის გრძობას. ადამიანი, რომელიც მუშაობის ღირსებას შეიცნობს, იგი ყოველთვის მოახერხებს დაბალ ვნებებზე ამალვებას, იგი მზათაა თავის თანასწორთა წარჩინებას პატივისცემით მოექცეს.

მოექცეთ თქვენს მეგობრებს (ხელოვნებაში) ისე, როგორც რემბრანდს სჩვეოდა ეს. მან სხვისი შემოქმედების დაფასებაც იცოდა, რადგან მან იცოდა თავგამოდებული შრომის ფასიც“.

ბუნება მიუხედავად თავისი ნაირნაირობისა გამომდინარეობს მარტივ კანონებისაგან. ხელოვნებაც. იგიც თავის კანონებს უნდა დაექვემდებაროს.

ვინაიდან გარეგანი პირობები ვერასოდეს ვერ გახდებიან სულისა და კანონის ხელილსუფალი.

ჭეშმარიტება მშვენიერებად იქმნების — ენერჯია — გრაციად. გრაციის ძებნა სისუსტეში — ეს არის გემოვნების წარყვნის ნიშანი. გრაცია გარეგან და შინაგან ძალთა წონასწორობიდან წარმოიშვება მუდამ. სკულპტურისა თუ დიდი კათედრალის მშვენიერება მასსების წონასწორობაში მდგომარეობს. ამიტომაც ყოველ ტორზოში სრულქმნა თვალსაჩინოა. ამიტომაც დიდი ბარბაროსობაა ერთხელ დამსხვრეულ, დასახიჩრებულ სტატუების შესწორება და კათედრალის რესტავრაცია. ხუროთმოძღვრებისა და სკულპტურის მტერი — ცუდი არქიტექტები და მოქანდაკენი გახლავთ — დღევანდელი მოდის ქირურგები, დასახიჩრებულ ხელოვნურ სხეულს რომ ანაზღვეულად აკერებენ ხელფეხს. ხელოვნურ ქმნილებათ არ ავნებს დროსა და მსცოვანების ხელით მოყენებული ზიანი. დრო უაღრესად მართლის მქნელია და ბრძენი. მისი გავლენა სცვეთს ხელოვნურ ქმნილებას, მაგრამ იმავე დროს იგი ბევრსაც იძლევა. იგი ასუსტებს და შლის დეტალებს, მაგრამ ხელოვნურ ქმნილებას დრო მუდამ შეჰმატებს ხოლმე ახალ გლორიას და ახალ შარავანდედს, ახალ ხასიათს.

„ხელოვნება, რომელიც ცხოვრების ნერვის მატარებელია, რესტავრაციას როდი ახდენს, არამედ განაგრძობს უკვე დაწყებულს“.

როდენს გოტიკა საფრანგეთის სულის უორიგინალესს ქმნილებად მიაჩნია. კათედრალები საფრანგეთის გენიის მუნჯი შვილებია. „მსუბუქი და ტკბილი ჰაერი ფრანგული ცისა ჰკვებავდა ჩვენ ხუროთმოძღვრებს გრაციით და ასპეტაკებდა მათ გემოვნებას.

გოტიკაში გამოითქვა ფრანგული გენიის ჩვილი ტიტინი პირველად, გოტიკამვე წარმოშვა ფრანგული რენესანსი.

„კათედრალეები“ როდენის უკანასკნელი სიტყვისა და მისი ანდერძის შემცველი შრომაა. „ჩემს უკანასკნელ წამებში მინდა ვილაპარაკო, რომ საუკუნენი გამოვაფხიზლო და განვაახლო. მე სუნთქვა ვარ პოზაუნის, რომელიც ძლიერ ხმაურს გამოიწვევს. მე ისე ველი ამ კათედრალეების სიკვდილს, როგორც ჩემს სიკვდილს“. ეს იყო მართლაც მისნური წინასწარი გრძნობა საფრანგეთის დიდი ხელოვანისა, თითქოს იგრძნო როდენმა, რომ დიდი მსოფლიო ომის ნიაღვარი დააზიანებდა ჩრდილო საფრანგეთის დიდებულ კათედრალეებს.

„მე გოეთესათვის სიკვდილის ჟამს „მეტ სინათლეს“ კი არ ვინატრებდი, — სწერს როდენი, — მე მინდა წილი დავიდვა იმ ზღაპრულ მღვიმეში, სადაც ყველა, ათას ერთი ლამის მშვენიერი ზღაპრები სთვლემენ. მაშ მეც დავრჩები მასში“.

ზიგფრიდ გუბაძე

ხელოვნების მატინა

საქართველო

ზაქარია ჭიჭინაძის 50 წლის იუბილე. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ დაადგინა გადაუხადოს 50 წლის იუბილედ დამსახურებულ მწიგნობარს ზაქარია ჭიჭინაძეს. ეს იქნება ქართული წიგნის დღესასწაული. საბჭომ მიანდო პრეზიდენტს შეადგინოს ზაქარია ჭიჭინაძის საიუბილეო დღესასწაულის გეგმა.

სანდრო შანშიაშვილი ტფილისის ჩამოვიდა, მან მთავარ სახელოვნო კომიტეტს წარუდგინა ორი ახალი ორიგინალური პიესა.

ი. გრიშაშვილის მეორე წიგნი გამოვიდა. პარალელურად გამოვიდა მისი ლექსების რუსული თარგმანი სახელმწიფო გამომცემლობისა.

პოეტი თედო რაზიკაშვილი, როგორც გორიდან გვატყობინებენ, ბოროტ გამზრახველებს მოუკლავთ.

მისტიური გარსი. კონსტანტინე გამსახურდია აარსებს ტფილისში მისტიკოსების წრეს, სადაც იგი წაიკითხავს მოხსენებათა სერიას: მისტიკა ქრისტიანული და წარმართული. **I აღმოსავლეთი:** სპარსეთის და ინდოეთის მისტიკა. **II იტალიელი მისტიკოსები:** ბონავენტურა, იოაკიმ დელ ფიორე. ფრანჩესკო ასისელი. **III გერმანელი მისტიკოსები.** იაკობ ბოეჰემე, მადსტერ ეკჰარტი, ანგ. სილეზიუს. **IV ჩრდილოეთის მისტიკა:** ემანუელ შვედენბორგ. მისტიკა უახლოეს ლიტერატურაში.

მეათე ხუთშაბათი. ქრ. რაჭველიშვილი. თეიმურაზ პირველი.

მეთერთმეტე ხუთშაბათი. ლეო ნათაძე. ქართული ლექსწყობა.

მეთორმეტე ხუთშაბათი. ლეო ქიაჩელი. რომენ როლანი.

მეცამეტე ხუთშაბათი. კონსტანტინე გამსახურდია. ოსტვალდ შპენგლერი („დასავლეთის დაღუპვა“).

ესთეტიური ტერმინოლოგიის შესამუშავებლად, განათლების კომისარიატის თაოსნობით შესდგა კომისია. პირველი კრება იყო მთავარ სახელოვნო კომიტეტში. დაესწრნენ: გიგო რცხილაძე, კ. მაყაშვილი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, ს. აბაშელი, პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე. მასალა დაიყო დარგებად. პოეტიკის თეორიის მასალებიდან სიტყვების ამოკრება — კონსტანტინე გამსახურდიას, მუსიკიდან — ქართველიშვილს,

მხატვრობიდან — მხატ. შავარდნაძეს, ხუროთმოძღვრებიდან — პროფ. ჩუბინაშვილს. ამ პირებმა თავიანთი ნამუშევარი უნდა წარუდგინონ კომისიას 14 დღის განმავლობაში.

სომხური ჟურნალი „ხელოვნება“. რედაქციამ მიიღო ლევონიანის რედაქტორობით გამოცემული ჟურნალი „გელარვესტ“ (ხელოვნება). ჟურნალში მოთავსებულია განსვენებულ გიორგი თუმანიშვილის და პრივატდოცენტის ლ. მელიქსეტ-ბეგის ნერილები ძველსა და ახალ ქართულ ლიტერატურაზე. წიგნი გამოცემულია ფაქიზად და სუფთად მშვენიერ ქალაღზე. ჟურნალში მოთავსებულია ი. გრიშაშვილის, ირაკლი მეორის და სადთნოვას სურათები.

ია ეკალაძე. შაბათს იანვრის 29-ს ხელოვანთა სასახლეში ია ეკალაძემ ნაიკითხა მოხსენება: „ქართული ლიტერატურა როგორც ტრიბუნა“.

ზაქარია ჭიჭინაძის იუბილე. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა მიანდო პრეზიდიუმს შეადგინოს გეგმა დამსახურებული ქართველი მწიგნობრის ზაქარია ჭიჭინაძის იუბილეს მოსაწყობად.

თედო რაზიკაშვილის ოჯახის დასაცავად. სდ. საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დელეგაცია გაგზავნა შინაგან საქმეთა კომისარიატში, რათა ეთხოვოს მთავრობას სასტიკი გამოძიების დანიშვნა თედო რაზიკაშვილის მოკვლის გამო. აგრეთვე ზომები მიიღოს, თედო რაზიკაშვილის ქონებისა და ოჯახის დასაცავად. დელეგაციაში შედიან: კოტე მაცაშვილი, ლეო ქიაჩელი და ვარლამ რუხაძე.

ვასილ ბარნოვის ახალი რომანი. ჩვენმა მხცოვანმა ბელეტრისტმა ვ. ბარნოვმა დასწერა ახალი რომანი ქალაქის ცხოვრებიდან: „თეთრი გვირგვინი“.

ი. გრიშაშვილი რუსულად. სახელმწიფო გამომცემლობამ დაბეჭდა ი. გრიშაშვილის ლექსები რუსულად. თარგმნები ეკუთვნის ქართველ და რუსის პოეტებს: სანდრო ყანჩელს, მარიჯანს, ვანო ჩერქეზიშვილს, ო. მანდელშტამს, სერგეი გოროდეცკის, ნიკ. ბობროვს და სხვ.

უცხოეთი

„ფლობერი პარიზში“. „ტანში“ მოთავსებულია ს. პ.-ეს წერილი „ფლობერი პარიზში“: „ფლობერის სახელი წმინდაა საფრანგეთისათვის, ამიტომაც ვდღესასწაულობთ ჩვენ მისი გარდაცვალებიდან ასი წლის შესრულებას. ლუდ ბერტრანმა ამ შემთხვევისათვის გამოაქვეყნა თავისი წიგნი — „ფლობერი პარიზში“. ბერტრანი ამჟამადაც თავყვანისცემით ეპყრობა თავის „Grand rouennais“-ს. ავტორი აღმწოდებულია, რომ ფლობერის ძველი რუანში მოთავსებულია სწორედ ტიერის ქუჩაზე, ცნობილია რომ ტიერი სძაგდა „მადამ ბოვარის“ ავტორს. თავის ლიტერატურულ წრეში ფლობერი გიგანტი იყო, გარდა ამისა მას ერთი იშვიათი სიქველე ახლდა მუდამ, ეს იყო მისი დიდი პატრიოტიზმი. კრუასეში ლუდ ბერტრანს დასიზმრებია: ფლობერი ცოცხალი იყო. იგი ბერტრანს წამოჰყვება პარიზს, რათა დაესწროს თავის ასი წლის ზეციურ ცხოვრების იუბილეს“.

კიპლინგი პარიზის უნივერსიტეტის დოქტორი. რედიერდ კიპლინგს პარიზის უნივერსიტეტმა უბოძა დოქტორ პონორის კაუზას ხარისხი (კიპლინგი ავტორია „ჯუნგლისა“ და „რიკ-ტიკი ტაქსა“).

რობერტ მონტესქიუ-ფრეზენსაკ. მენტონში გარდაიცვალა ფრანგის მწერალი რობერტ მონტესქიუ. მონტესქიუ ექსტრემალური ფორმალობის წარმომადგენელი იყო უახლეს ფრანგულ ლიტერატურაში.

ჯორჯ გალსვორტადი. ინგლისის ეპიკურ ლიტერატურაში ყველაზე უფრო პოპულარული მწერალი ყოფილა ჯორჯ გალსვორტადი, რომელსაც თანამედროვე კრიტიკოსები სთვლიან ტექკერებს, დიკენსისა და ჯორჯ ელიოტის ლიტერატურულ მემკვიდრედ.

გონკურის პრემიის გარშემო. ზანგების მწერალმა რენე მარანმა მიიღო გონკურის სახელობის პრემია.

ნიცშე და შტრინდბერგი. „დოიციშე ალგ. ცაფტუნგი“ იუწყება: ლუდვიგ მარკუზემ წაიკითხა მოხსენებათა სერია ბერლინში: ნიცშე და შტრინდბერგი. დაახასიათა ორი დიდი წინამორბედი თანამედროვე ახალი ეთიური კულტურისა. ნიცშე და შტრინდბერგი ორი სხვა და სხვა ტენდენციის ექსპონანტები. ნიცშე იდეოლოგი ექსტრემალური ინდივიდუალიზმისა, შტრინდბერგი, თუმცა აგრეთვე ინდივიდუალისტი იყო, მაგრამ იგი ქედს იხრის ყოველ შემცველი სიყვარულის წინაშე. მოსალოდნელია, ამბობდა მომხსენებელი, რომ ამ ორ ექსტრემებს შორის ჩვენი თანამედროვეობა იპოვნის ერთს სვინტეტიურ ხაზს.

გოეთე და ნაპოლეონი. ბერლინელ გოეთეს საზოგადოებაში დოქტორ შტრეზენმანმა წაიკითხა მოხსენებათა სერია: გოეთე და ნაპოლეონი. შტრეზენმანმა წარმოადგინა მთელი რიგი სრულიად ორიგინალურ მოსაზრებათა ნაპოლეონის გენიის და მის ისტორიულ მნიშვნელობის შესახებ.

შემდეგ იგი შეეხო იმ პოლიტიკურ ტენდენციებს, რომელთაც გაიტაცეს ინგლისისა და პრუსიის ოფიციალური ნაპოლეონის ისტორიკოსები. მომხსენებელი სცდილობდა ამ მიკერძოებულ ისტორიკოსთა უმართებულო მსჯავრისაგან განეთავისუფლებია ნაპოლეონი. ხოლო გოეთე დაუკავშირა მან ნაპოლეონს სწორედ თვით გოეთეს ნაპოლეონის კულტში. გოეთე აფასებდა ნაპოლეონში არა მარტო დიდსა და დემონიური ბუნების ადამიანს, არამედ დიდ მოაზროვნეს, მწერალს და კანონმდებელს, „სტიქიონთა დამაოკებელის“ შტრეზენმანის მოხსენებებს ღრმა ინტერესით უსმენდა გოეთეს საზოგადოების მრავალ-რიცხოვანი აუდიტორია.

ვოლდემარ ბონზელსი. გერმანელი ახალგაზდა მისტიკოსი მწერალი ვოლდემარ ბონზელსი კითხულობს ბერლინში მოხსენებათა სერიას: ქრისტე. ქრისტესთვის ქვეყანა გაპოზილიყო ორ პოლუსად: სამყარო და ზეცის სასუფეველი. ძენი სინათლისა და ძენი სიბნელისა, წარმავალობა და წარუვალობა სააქიო — სული. საიქაო — სულობა. სულობა: მედიუმი, რომლითაც ადამიანი თავს აღიმალლებს ვიწრო ინდივიდუალურიდან ზეადამიანურობამდის. სული, როგორც მიწა — დედობრივი პრინციპია. სულობა კი, — მამობრივი პრინციპი. იგია მკვდრეთით აღდგომის ძალის შინაშემცველი. ქრისტე მშვიდობიანობის მომტანი როდი იყო, არამედ მახვილის.

მახვილი იგი მოასწავებს არა ომიანობას კაცთა შორის, არამედ იგი სვიმბოლო საიქაოდან გაყრისა. მახვილი — გაყრა დედა-მიწისაგან, სააქაოსაგან. ეს გათიშვა უკანასკნელი ქვა-კუთხედეა ქრისტიანობისა. ხოლო აღრევაა საქმე სატანასი. აღრევაშია სული ბოროტისა. სატანა რევს. ვინც სიყვარულის მატარებელია, იგი რჩეულია ამ ქვეყნად. რჩეულნი სიყვარულით გამორჩეულეებს ეწოდებათ. მკვდრეთით აღდგომა სვიმბოლო როდია, არამედ პირწმინდა სულობადქმნა. მხოლოდ ქრისტეს ნათელმა გამოაჩინა გერმანთა რასის შემოქმედებითი სიძლიერე. ჰეგელს ქრისტემ მიანიჭა მისტიური ნათელხილვის ნიჭი და უნარი. აგრეთვე კანტს, შელლინგს, ფიხტეს, ნოვალისს, ჰოლდერლინს თუ შილერს („დ. ა. ც.“).

ხაზართა სასძლო

(ისტორიული რომანი)

4

დასთახმდნენ ბჭენი; გარკვეულ ჰაზრს დაადგნენ იგინი. მცირე საუბარი გამოიწვია კიდევ იმან, რომ ზოგნი მაინც მოითხოვდნენ, იოანე მაშინვე კურთხეულიყო მეფედ. ვერ გაიმარჯვა ამ ჰაზრმა: ძნელი იყო იმ გარემოებებში საქართველოს წარმომადგენელნი უკლებლივ შეეყარნათ, რომ ჩვეულებისამებრ ყველა თემს და ყოველ კუთხიდან მიეღო მონაწილეობა ამ ზეიმში, მით მთელი ხალხის ნებისყოფა დაჰმჩნეოდა იმ დიდებულ მოქმედებას.

„ხალხის მოწვევა და სათანადო დიდებით გარდახდა დღესასწაულისა რომ შეუძლებელია ეხლა, ძლიერ საფრთხილოც არაა ამ ნაბიჯის წადგმა. ბიზანტია არ დაადასტურებს მეთქი ამ დასკვნას: იგი ცდილობს, საქართველოს ტახტზედ აიყვანოს ვინმე თავისიანი“.

„ალარ გვენდობა ბიზანტია: ცხად იქმნა მისთვის ჩვენი სურვილი ხალიფთან შეთანხმებისა, ეს არაბთათვისაც და ჩვენთვისაც ხელსაყრელი ჰაზრი, შეუგნებლად ჩაშლილი ასთმისაგან“.

„თითონ საქართველოშიც ბევრი ჰყავთ ელინთ თანამოაზრე და თანამგრძობი; ისინი ისარგებლებენ ამ ძნელი დროთი და აღრევას შეიტანენ ერში.“

„კარგი! და მით უფრო სწრაფად უნდა მოხდეს ბატონი იოანეს გამგზავრება, თორემ შესაძლოა ბიზანტიელებმა ეხლავე გამოიყვანონ მეფის მეტოქეთ ვინმე სხვა, ამბოხება შემოიტანონ დასავლეთიდან“.

დაასკვნეს, დაუყოვნებლივ გამომგზავრებულიყვნენ იოანე, ქვრივი დედოფალი და მისი ქალები დურანდუხტ და მარიამი; ხოლო ბატონიშვილი ჯუანშერ და მისი დები მირანდუხტ და შუშანი დარჩენილიყვნენ აღმოსავლეთ საქართველოშივე.

„ბოროტს ბოროტი მოსდევს მუხთალ ნუთისოფელში და ეს მაფიქრებს სად უნდა დავიანოს ჯუანშერმა? ისეთი ადგილი უნდა ამოვირჩიოთ, ვერ მისწვდეს მას ვერსაით მხრივ სამტროდ მოწვდილი ჰოროლი“, ბრძანა დედოფალმა.

ბევრი მსჯელობის შემდეგ შეთანხმდნენ ბატონიშვილები დაებინავებინათ კახეთის ხეობაში, ლაკვასტის ციხეში. აქედან უნდა ემოქმედათ მათ აღმოსავლეთ საქართველოს შესაკრებლად და მტრის სანინაალმდეგოდ დასარაზმად.

დაიშალა საბჭო. დედოფალმა ვახშმად იწვია თავის მჭიდრო მახლობელნი და მთლად მისანდონი. ვახშამი მხოლოდ საბაბი იყო, ნამდვილ კი ძნელ საგანზედ ჰსურდათ მოლაპარაკება, სახელმწიფო საქმეზედ დაფარულზედ, მამა-პაპათაგან საიდუმლოდ გადმოცემულზედ.

ამ გაჭივრების ჟამს დიდი უნდოდა სამეფო საგვარეულოს სახელმწიფო საქმეების კეთილად მოსაწყობად, დიდი ხაზინა; სალაროში კი განცხადებით არ იყო შესაფერი სიმდიდრე, თითქმის დაცალიერებული იყო იგი ოქრო-ვერცხლიდან. მაგრამ სასანიანთ ფარულადა ჰქონდათ სიმდიდრე აუარებელი, ზინეთი ფას დაუდები და ამაზედ იყო საუბარი ამ საიდუმლო კრებაზედ. „იგი სიმდიდრე გეყოფათ ხარჯად, ფარულად მოეწყობა მით მართვა-გამგეობის საქმეც, ლაშქრის შეიარაღებაც; შეიძლება კიდევ დაიქირაოთ მშველელი ლაშქარი“.

„ეყოფა! დიდი ხაზინა არის გადაზიდული დასავლეთისკენ მურვან ყრუეს შემოსევის დროს; ფასდაუდებ გვირგვინებისა და სამეფო სამკაულების გარდა ოქრო ვერცხლია გადატანილი იმდენი, რომ ძლივსა ზიდავდა სატვირთავი ხუთასი და მკვირცხლი ორიათა-

სი. ეს სიმდიდრე არის დაფლული ქუთაისს და ციხე გოჯს“, სთქვა ხაზინადარმა თევდორე მარუშიძემ.

„და ეტრატზედ არის ყოველივე დაწვრილებით აღნუსხული. აგრეთვე და ჭეშმარიტებით არის ნაჩვენები და გამოზომილი ის ადგილები, სადაც დაფლულია იგი სიმდიდრე. ჩემს ტაგრუცში ინახება იგი ეტრატი“, ბრძანა დედოფალმა.

„თუ იგი საკმარისი არ შეიქმნება, მაშინ აქედან გამოგიგზავნით: ამოვიღებთ იმ განძს, რომელიც დაფლულია უჯარმოს, შორის ორთა მათ კოშკთა უმცველოთა“.

„ფული და ზინეთი არ შემოგვაკლდება: ტონთიოს სანახებშიც ხომ გაქვს დაფლული უთვალავი განძი ქართლისა და ჯავახეთისა, აგრეთვე აურიცხავი ხაზინა ირაკლი კეისრისა, რომელი დაფლა მან, ოდეს გაემართა ბრძოლად სპარსთა წინააღმდეგ. თუ გაჭირდა, ყველა ამას მოვიხმარებთ: სიმდიდრე ხალხის ხსნისათვის და არა ერის წარწყმედა სიმდიდრისათვის“.

„ოლონდაც! და თუ განრისხდა უფალი და ვიძლიენით, ვაკურთხებ მეფეს, მოიხმაროს ხალხის ხსნისათვის თვით საგანძურნი ყოველნი საქართველოს ეკლესიისანი, რომელნი დაფლულია არჩილისა დიდისა სიონისა მცხეთისა: თუ წარწყმდეს ერი, არლა იყოს ეკლესიაც ხილული“. — ბრძანა კათალიკოზმა.

„გმადლობ, ღირსო მამაო სულიერო! ვხედავ, ერთგულებასა შენსა არა აქვს სამზღვარი; გარნა არ გაგვნირავს სახიერი იქამდისინ, რომ ხელი შევახოთ სინმინდეთა ეკლესიისათა“. — მიუგო იოანემ.

მართალია ახალ მეფეს ჰქონდა საგანძური დასავლეთ საქართველოში საიდუმლოდ შენახული და ეხლა მის ხელში იყო იგი დაფარული სიმდიდრე, მაგრამ ის ქონება შორს იყო; მანამდის იქ მიაღწევდა და ისარგებლებდა დაცული განძით, საჭირო იყო მისთვის საკმარი ოქრო თუ ვერცხლი. თითონ ჯუანშერსაც უნდა ჰქონოდა საჭირო ოქრო და სამკაულნი. დაასკვნეს, იქვე სიონში დაფლულ განძისთვის შეეხოთ ხელი.

„აქაც იმდენი ხაზინაა დაფლული, რომ ჯერ საკმარისი იქნება მისი ნაწილიც“. — ბრძანა დედოფალმა.

და გახსნა ეტრატი, სადაც აღენიშნათ რომელ ადგილას იყო ეს განძი დაკრძალული, როგორ უნდა ეპოვნათ იგი.

5

სამძიმო იყო ოჯახის გაყრა, გამოთხოვება, ძალიან ძნელი. დამდაბლებულ დაკნინებულ სამეფო სახლი ორად იყოფოდა. სხვა და სხვა გზით წამდინარე ცხოვრება, საშიშ სავალით სახიფათოთ. დედოფალს გული სწყდებოდა, რომ თვის სამს შვილს ცალკე სტოვებდა, გალალბებულ მტრის ბუნაგის ახლო; მარადის მებრძოლ მთიელთ მახლობლადაც, რომელთ შეეძლოთ ამ სისუსტის დროს თავისუფლად ეგრძნოთ თავი და სამტროდ დარაზმულიყვნენ მათივე მწე საქართველოს წინააღმდეგ, შეეძლოთ მეგობრობა შეეცვალათ მეკობრობად ჩრდილოეთის კეისრის შთაგონებით მძლეთა მძლე ხაზართა ხაკანისა, რომელი შეურაცხყოფილად სთვლიდა თავს ქართველთაგან, მათ სამეფო გვარეულობისაგან.

ქართველთ ხაკანის სისხლი ემართათ, თვით მისი გულიდან ნაკადად გადმონადენი სისხლი წითელი: დაეკონათ მათ მისთვის გრძნობათა იგი შესაკრებელი, ლახვარი ეგმირნათ შხამში სრთობილი, ტკბილ გესლში უკურნებულში. სევდა ნაჭარბ განსაცდელთა აჩრდილნი დასტრიალებდნენ არჩილის ცოლ-შვილს დალონებულს, მეტადრე მის უნცროს ქალს შუშან მშვენიერს. ქალწულის ბნელი თვალეები, უფსკრულის განუჭვრეტლობის მსახველნი ტბანი მელნისა, უფრო ფართოდ გაშლილიყვნენ ეხლა და ამრავლებდნენ საიდუმ-

ლო აჩრდილებს გარესკნელისა თვის უსაზღვრო სიღრმეში. იქნება მის თვალებს უფრო აუფსკრულდება ის, რომ მისი სევდა გამოუთქმელადა რჩებოდა: ქალი სდუმდა მძიმე დუმილით; იქნება ისიც მეტად აბნელებდა მის უკუნ თვალებს, რომ თითონ იყო მიზეზი ჩრდილოეთის დევის განძვინებისა, მისი ცეცხლებრივ აღტყინებისა, მიზეზი უნებლიეთი და მით უფრო ძლიერი, უნელებელი.

დედის თვალები ჰხედავდნენ ქალწულის სევდას უშუქარს, ხშირად შესდგებოდნენ მის ხედვის ისარნი მის უმრწემესზედ, გარნა ვერ ეტყოდა ქალს სასალბუნებელს, ვერრით უშუშავდა იგი წყლულებს შუშანს სევდიანს: ძლიერ პირადი იყო ქალწულის განცდა, ნაზი, სათუთი და შეამძიმებდა მას ყოველი სიტყვა, ბგერაც ყოველი; თვალი უცხოსი, თუნდაც დედისა, ჩააჭკნობდა მას, მთლადც ჩასთუთქავდა. ეჰ, გრძნობათა აყოლის დრო არ იყო მეფის სახლობისათვის დაჩაგრულისა.

მოქმედი ხელი დაუშრომელი, ნება უტეხი, სვლა შეურყევი!

ის განძი, რომლითაც ხელი უნდა მოენაცვლებინა სამოქმედო გზაზედ დამდგარ მეფის ოჯახს, მარანში იყო დაფლული, ღრმად დამარხული. მარჯვნივ კუთხეში ქვევრი იდგა ჩაკირული. ჭური ჩაკირული სჩანდა, ნამდვილ კი უბრალოდ იყო ჩამაგრებული, ადვილად ამოიღებოდა იგი ბუდიდან. ამოიღებდი, მიწას ამოსთხრიდი და ამოჩნდებოდა სიპი, რომელზედაც გვირგვინი იყო ამოკვეთილი. იგი ჰფარავდა მღვიმეში ჩასავალს, სადაც დაცული იყო სამეფო განძი. ესე ეწერა ერთ-ერთ ეტრატში, რომელიც დედოფალმა ამოიღო ტაგრუციდან. მხოლოდ ერთი სკივრი ამოიტანეს. დანარჩენი ისევ დახშეს და დაკრძალეს.

ახადეს ყუთი, გახსნეს მეშის პარკები. აღმოჩნდა ოქრო, ვერცხლი, თვალნი პატიოსანნი, სამკაული სხვა და სხვა გვარი. ეტრატში ანუსხული იყო ყოველი წვრილიც შენახულის სიმდიდრისა. გაჰყვეს. ჩაიბარა იოანემ. ჩააბარეს ჯუანშერს.

„შვილო შუშანი! აბა, ეს ბეჭედი გაიკეთე ხელზე; ნახე გამოგადგება თუ არა“. — უთხრა დედოფალმა თავის ქალს.

და მიანოდა ლალის ბეჭედი. მდიდარი თვალი იჯდა, ჯავარსრული, გუმბათიანი. ისე მოადგა ქალს სამკაული, თითქო განზრახ მისთვის ეყალიბებინათ. გაუსინჯა დედამ შუშანს ბეჭედი, დაუკოცნა შუშა თითები. შეიშრო ცრემლი თვის ხელმანდილით.

„დადგა ჟამი, გითხრა, შვილო, მაგ ბეჭდის საიდუმლო. მხოლოდ უკანასკნელ წუთს მიჰმართავ მაგ ბეჭდის ძალას, როს გაჭირდება, აღარ გექმნება სხვა ხსნა, სხვა ფონი. საფიცარი უნდა დასდო!“

გადმოიღო პანანინა ოთხთავი და იმ სახარებაზედ ჩამოართვა ქალს ფიცი, რომ იგი არ გასტეხდა დედის ანდერძს და მიჰმართავდა ბეჭედს მხოლოდ განწირულების ჟამს. მოატრიალა დედოფალმა ბეჭდის თვალი, ამოიღო იგი ბუდიდან. თვალ ქვეშ ფიალა რამ ადგილი აღმოჩნდა და შიგ მინანქარი მწვანედ ყინული.

ვასილ ბარნოვი

როდამ

მომქმედნი პირნი:

მეფე

როდამ — მეფის მეორე ცოლი

როინ — მეფის ძმა

ჯუანშერ — როინის მეგობარი

ელიზბარ — კართუხუცესი

შახნავაზ — მოლარე

ცინო — შახნავაზის ასული

კესია — სეფე-ქალი

თადე აზნაური — კარის დარაჯი

თეონა — მისი ცოლი

მსაჯულნი

დარაჯნი

ოთახი სასახლეში. უკან ფარდაა, რომელიც ბოლოს აიხსნება.

I

მეფე და ელიზბარ.

მეფე. კართუხუცესო! გამოტყდი და მითხარი სწორე...
განა შენს თვალებს მათი ქცევა გამოეპარა?
ნუთუ იმდენად მოჰხუცდი, რომ ვერას ამჩნევდი?
ან ამჩნევდი და ეხლა ჰმაღავ...

კართუხ. **ელიზ.** ჩემს მეფეს ვფიცავ...

მეფე. შენს მეფეს ჰფიცავ!.. მე ეგ ფიცი ვერ დამარწმუნებს.

ელიზ. დიდო მეფეო! დაიბარე ბატონიშვილი და თვით დაჰკითხე!

მეფე. ვის დავკითხო? ჩემს ძმას დავკითხო?

და რა დავკითხო? დამნაშავე განა რას იტყვის?

ელიზ. მამ, მბრძანებელო, მოითმინე და დრო გაჩვენებს!

მეფე. ახ! მოთმინება რომ შემეძლოს, რომ გარდვიტანდე,

განა ამდენს-ლა ვიშფოთებდი? ახ! არა, არა!

მინდა გავიგო და დავრწმუნდე... მეც მოვისვენო,

სხვაც მოვასვენო... ძაფი სწყდება მოთმინებისა!

შენ შეგიძლიან სთქვა სისწორე, სთქვა ერთი სიტყვა:

თუ მართალი ვარ, ან თუ ვსცდები...

ელიზ. სცდები, მეფეო!

სისწორეს გეტყვი, თუნდ დახვრეტა ჩემი უბრძანო!

წადი, სარკეში ჩაიხედე, ჰკითხე ჭალარას,

თუ შეგფეროდა ახალგაზრდა პატარძლის ყოლა!

- შენ ეხლა ეჭვობ? ეხლა, როცა შენი ძალღონე
სიბერის მჭლე სენს შეუპყრია, სახე დამჭკნარა...
და სხვა კი ახლად იფურჩნება, ახალ სიცოცხლით
შენ, შენ მოიდნე ერთი ცოლი! იგი მოსწამლე,
რადგან მოგბეზრდა, ხოლო ეხლა —
- მეფე.** ფრთხილად, ვეზირო! (დამშვიდდება).
მისაყვედურე! მაგ გაკიცხვის ალბად ღირსი ვარ!
მაგრამ მისმინე:
მსურდა მემკვიდრე! შენ ჩემს ტანჯვას როგორ გაიგებ!
არ გყავდეს შენი გაგრძელება, რომ მას გარდასცე,
რაც ამოდენა ზრუნვით არის მოპოვებული.
შვილი მინდოდა — ჩემი ძეგლი მომავალისა!
რა სასჯელია, რა სასჯელი! ვისი მაქვს ცოდო?
- ელიზ.** ცოდო მე და შენ ღვთის წინაშე დიდი მიგვიძღვის.
მუხრან ბატონის ქალიშვილის წყევლა აღსრულდა,
როს შენს უფროსს ძმას, ქართლის ტახტის ნამდვილ მემკვიდრეს,
მუხანათურად გავუთხარეთ შავი სამარე!
- მეფე.** ელიზბარ ჩემო! შავს წარსულსა ნუ გამახსენებ.
მაგ ბოროტების ორნივე ვართ მონანილენი...
- ელიზ.** ეხლა ისურვე სამეგრელოს მთავრის ასული,
რომელიც შენს ძმას ეკუთვნოდა სამართლიანად,
რადგან მშობელნი ქალისაც და შენი მშობელნიც
ერთმანეთს შორის ალტქმას სდებდნენ ზეცის წინაშე.
და არც კი იყვნენ მათი შვილნი სამ-სამის წლისა,
რომ საიდუმლო ნიშნობაც კი გარდაიხადეს,
ისე ჩავიდნენ სამარეში შენი მშობლები.
- მეფე.** ეგ არ ვიცოდი!
- ელიზ.** როცა გითხარ, არც გამიგონე!
სთქვი: მეფე ვარ და ასე მსურსო!
მთავრის ასული შენს ძმას როინს ბედმა აღუთქვა,
მაგრამ შენ ჰნახე ის ასული და მოგეწონა.
- მეფე.** მე იმისთანა მშვენიერი ჯერ არ მენახა.
- ელიზ.** და რომ ის ჰნახე...
- მეფე.** ახ ნეტამც კი სულ არ მენახა!
- ელიზ.** მისთვის მოსწამლე დედოფალი კანონიერი!
- მეფე.** (ყელში მივარდება).
არ დასჩუმდები? მერამდენჯერ გამიმეორებ?
- ელიზ.** ძველი ამბავი გავიხსენე შენის ბრძანებით...
ეხლა რომ ეჭვობ და სინდისი ასე გაღლეგებს,
ამის ბრალია! თორემ, აბა, ძმას... ბატონიშვილს
რა ცილს დასწამებ, მბრძანებელო, გარდა იმისა,
რომ შენს მძლე ლაშქარს გონივრულად განაგებს იგი
და ჩემი შვილი ჯუანშერი ჰყავს მას მეგობრად?
- მეფე.** მოლარე ჩემი სულ სხვას ამბობს...
- ელიზ.** იგი რას ამბობს? (სიჩუმე).
მოლარე შენი ცრუ არის და ამპარტავანი!
მას შენცა სძულხარ, მეც, როდამიც, ბატონიშვილიც.

- გორიზი გული მას არასდროს გაენმინდება,
რადგან მწირია და ვერ იტანს დიდბუნებოვანს.
ეხლა კი მესმის! მაშ შენი ძმა მისთვის გაჰგზავნე
მცირე რიცხოვან ჯარით ოსთა ველურ ქვეყანას,
რომ იქ მოეკლათ აჯანყებულთ და ავაზაკებს?
შენ ვითომ ამით შენს მეტოქეს მოიშორებდი
და არ შესვრიდი ნათესავურს სისხლით მაგ ხელებს!
მაგრამ როინი დაგვიბრუნდა გამარჯვებული!
- მეფე-ელიზ.** ელიზბარ ჩემო! გამიგონე: მკაცრი ხარ ჩემდა!
შენ რომ გამხელდნენ და მხილება მკაცრად გეჩვენოს,
შენს თავს ემდურე —
- მეფე-ელიზ.** (მუდარით). გამიგონე, გემუდარები!
შენ გამიგონე, თუ გსურს შენი სულის სიმშვიდე
და მოლარეს კი ყურადღებას ნულარ მიაქცევ!
- მეფე-ელიზ.** მე მიყვარს ყველა —
მეფე-ელიზ. ეგ არა სჩანს შენი საქმიდან!
მეფე-ელიზ. შენ არა ერთხელ ვითქვამს ჩემთვის, ეხლა მეც მჯერა,
რომ ხან ბუნება გარდიქმნება ადამიანის.
ჩემი ბუნება, ჩემი გული, ჩემი არსება
მთლად გარდაიქმნა, რაცხან მთავრის ასული როდამ
ჩემი მეუღლე შეიქმნა და ჩემს გვარს ატარებს.
მისაყვედურე ჭალარა და გარდასულობა,
მაგრამ არასდროს თავი ისე მე არ მიგრძენია,
როგორც ვგრძნობ ეხლა —
თითქოს ხელ-ახლად დავიბადე. ჩემში სჩქეფს სისხლი.
რა არის ჩემთან შედარებით ყმანვილკაცობა?
ეხლა ვარ სრული ბედნიერი! ეხლა ვარ მეფე!
ეს ჰქმნა მისდამი სიყვარულმა და იმას ვშიშობ,
რომ ეს სიცოცხლის წყარო ჩემი არვინ წამართვას,
არვინ წამართვას ნუგეში და ჩემი იმედი!
- ელიზ.** შენ ეჭვიანობ და საბუთი?
მეფე-ელიზ. საბუთი ჩემი ფიქრი არის, ჩემი ოცნება
და ნეტა კიდევ სხვა საბუთი ნუ აღმოჩნდება.
ო, ესეც კმარა, ესეც კმარა ჩემს სატანჯავად!
მაგრამ როდემდის? დასასრული ხომ უნდა ჰქონდეს?

II

იგინივე და მოლარე შახნავაზ.

- შახნ.** ჩემი სალამი!
ელიზ. (პირს იბრუნებს). ჯოჯოხეთი!
მეფე-ელიზ. რას გაურჯიხარ?
შახნ. როგორც მიბრძანე, სანადიმო სუფრა მზად არის.
შენს გასართობად დამკვრელ დასტას შევატყობინე,
რჩეულ სტუმრებსაც აშლილი აქვთ ღვინის სმის მადა.

- მეფე.** კარგი გიქმნია! მსურს დღეს ღვინო, თავდავინყება.
როინს, ჯუანშერს გამარჯვებას იქ მიულოცავ.
- შახნ.** როდის-ღა იყო, რომ ჩვენს მეფეს სურვილისამებრ ხელს არ ვუწყობდი —
- ელიზ.** მან ლაქუცი უკვე დაინყო.
- შახნ.** მე ნამეტნავად...
- ელიზ.** შენ „ნამეტნავად!“ სხვა-კი მეფეს ხელ-ფეხს უბორკავს —
ბარემ სთქვი ესეც.
- შახნ.** ახა, ღმერთო!
კაცს შენ უნდა ყელზე დაადგე,
ელიზბარ ჩემო!..
- ელიზ.** ჩემო შახნავაზ!
(პირშებრუნებული უყურებს და იცინის).
- შახნ.** (მწყრალად). შენთან ძნელია ლაპარაკი!
- ელიზ.** შენთან მით უფრო!
- შახნ.** (ზურგს შეუბრუნებს და მეფეს).
თუ ნებას დამრთავ, დედოფალსაც შევატყობინებ!
- მეფე.** მე თვით... საქმეც მაქვს (გადის).

III

ელიზ. და შახნავაზ.

- ელიზ.** აბა, პირდაპირ შემომხედე, დარბაისელო!
- შახნ.** ჩემთვის არ მკვეთრობს ეგ თვალეზი, ვერ შემოგხედო.
ან და ისეთი რა მიმიძღვის დანაშაული?
- ელიზ.** დიდი მიგიძღვის!
- შახნ.** გამახსენე, მე დამავინყდა!
- ელიზ.** (ირონიით). დიას, შენ დიდი გულმავინყი ბრძანდები, დიას!
- შახნ.** (კილოს აჯავრებს).
დიას, ეგ ჩემი წლოვანების ბრალია, დიას!
- ელიზ.** (მკვეთრად). რა გსურს მეფისგან?
- შახნ.** არაფერი! (სიჩუმე. თვალეზში უყურებს).
შენ ჩემგან რა გსურს?
- ელიზ.** მეც არაფერი!
- შახნ.** მაშ ბარი-ბარ! კიდევ რას მეტყვი?
- ელიზ.** ეთამაშები სხვის სიცოცხლეს, ბოლოს ინანებ!
- შახნ.** ჩემი სიცოცხლეც, გეფიცები, მომბეზრებია,
სხვის დარდი ღა მაქვს?
- ელიზ.** გსურს დალუპვა როდამ დედოფლის!
- შახნ.** (სიცილით გულსატკენად).
მე ხომ არა ვარ ელიზბარი, კართუხუცესი,
რომ მეფეს ჰსურდეს კანონიერ ცოლის დალუპვა
და ხელს ვუწყობდე?
- ელიზ.** (შემკრთალი). საიდან შესთხზე?
- შახნ.** შენ საიდან შესთხზე: მე როდამის დალუპვა მსურდეს?
- ელიზ.** რა ჩაანვეთე მეფეს ყურში, რომ ასე შფოთავს?

- შახნ.** შენი სიტყვები:
„ნადი, სარკეში ჩაიხედე, ჰკითხე ჭალარას!“
გგონია, თქვენი საუბარი გამომეპარა?
შენ თვითონ აგდებ მეფეს ეჭვში! დიახ, შენ თვითონ!
- ელიზ.** ფუი სატანა! (ნასვლას აპირებს).
- შახნ.** შე ქოფაკო! (ელიზბარი მწყრალად უყურებს. ხელს ჩაიქნევს და გადის).
შენ გეზიზღები,
არც კი მე მყევხარ სულში ჩასმული!
ბრახით მოგიდნობ, როგორც შენ სხვა ბევრი მოიდნე!
ბებერ თავს ეხლა ილამაზებს...
არ გაპატიებ დამცირებას! დამავინწყდება:
ჩემს ქალს გვირგვინი სადედოფლო დააკარგვინე.
ვით მე მომწამლეთ, მოგიშხამავთ ყველას სიცოცხლეს!

IV

შახნავაზ და ცინო.

- შახნ.** შენ აქ რა გინდა?
- ცინო.** მარტო არა ვარ, დედაც აქ არის!
- შახნ.** მე აქ მოსვლა ხომ აგიკრძალებ?
- ცინო.** მამავ, ნუ სჯავრობ!
არ ვაპირებდით ჩვენ წამოსვლას მეფის ნადიმზე.
- შახნ.** ცინო! შენ არ ხარ მამიშენის გამგონე, არა!
- ცინო.** ბატონიშვილი ჩვენსა იყო...
- შახნ.** როგორ? როინი?
- ცინო.** ჩვენ მან გადმოგვცა მეფისაგან მოპატიუება.
და დაუმატა: თუ არ მოხვალთ, მენყინებაო.
კესოც იქ იყო. ჩემთან ერთად ბურთს თამაშობდა,
აგერ ყველანი აქ არიან! მინდა რამ გითხრა...
მაგრამ მრცხვენინან...
მერე გიამბობ...
(ყელზე ეხვევა).
რა მიხარიან, მამაჩემო, რა მიხარიან!
- შახნ.** ნადი, დედაშენს არ მოშორდე... თორემ არ ვიცი...
- ცინო.** რა მიხარიან... (გარბის).
- შახნ.** ბატონიშვილი კესოს უყვარს, იმას კი კესო!
და მაგ უბედურს ჩემს ქალიშვილს რა უხარიან!

V

შახნავაზ და თადე დარაჯი.

- შახნ.** თადეს ვახლავარ!
- თადე.** უმდაბლესი ჩემი სალამი!
- შახნ.** (პარკით ოქროს აძლევს). როგორც დაგპირდი!
მეფე დიდად მადლობელია.

- თადე.** ღმერთო! სულ ოქრო! სად გავიქცე, საით გავქანდე?
(გულში ჩაიკრავს).
თვით სიზმარშიაც არ ვიფიქრებდი.
ამით თუნდ ქვეყნის ღვინოს ვიყიდი
ქვევრებიანად, ყანწებიანად!
ვალი ყელამდის მახრჩობდა და ეხლა ამოვალ!
სულ სხვა საქმისთვის დაგეძებდი...
- შახნ.** სხვა ლაპარაკი აღარ არის ჩვენში საჭირო.
წადი და როგორც დაგავალე, ისე მოიქეც!
- თადე.** (საიდუმლოდ). მე ეს წერილი დედოფალმა გადმომცა გუშინ.
- შახნ.** წერილი? ვისთან?
- თადე.** ბატონიშვილს საკუთარს ხელში!
- შახნ.** როინს წერილი!
(წერილს ჰხსნის და კითხულობს. არაჩვეულებრივი სიხარული ეტყობა).
„დაუყოვნებლივ მოდი ჩემთან. როდამ“
ხა! ხა! ხა!
მეფეს ჰღალატობს დედოფალი!
ბატონიშვილი! (თადე უკან მიდგება).

VI

იგინივე, როინ და ჯუანშერ.

- ბატონიშ.** სასიამამროც აქა ყოფილა!
- შახნ.** (თავისთვის). დამცინის, მეფემ რომ უარჰყო ჩემი ასული!
- ჯუანშერ.** შახნავაზ! ეგრე დაღვრემილი არ მინახვიხარ!
- ბატონ.** განსაკუთრებით დღეს მე და შენ უნდა ვილხინოთ!
- შახნ.** მე დღეს სალხინო ასპარეზი მეტად დიდი მაქვს!
- ბატონიშ.** სიმამრს შეჰფერის...
- შახნ.** სიძე ჩემი არ დამინუნებს.
- ბატონ.** დანუნებას ვინ გაგიბედავს?
- ჯუანშერ.** თუ ნამეტნავად ქალს პენი აქვს და სილამაზე!
საქმე ქალია, მიგიზიდოს და შეიყვარო,
რომ შემდეგ სიძემ არ უარჰყოს ქალიც, სიმამრიც.
- შახნ.** მე მცემს მათრახს! (ჯუანშერს)
ტოლი იცოდე!
შენ როდესაც სიმამრს ეძებდე,
ჭკვას არ წააგებ, მამაშენს თუ დაეკითხები!
მე კი ჩვეულ ვარ სიხარულსაც, დამცირებასაც
და ძლიერ ბევრი მომხვედრია კილვის მათრახიც!
- ბატონ.** შახნავაზ ჩემო! საუბარი არ მესმის შენი!
- შახნ.** მე კიდევ თქვენი ორივესი...
(განგებ იცინის).
დღეს ისე რიგად სიხარულით აღვტაცებულვარ,
რომ ენა ჩემი ჩემს გონებას აღარ უდგება,
ვით ზოგიერთი ჭირვეული სიძე-სიმამრი!

შოთა გვასწავლის: სიყვარულსა მალვა უნდაო!
(ახლო მიდის და ბოროტად ყურში).

შენ შოთას ცნება დაგავინწყდა და ყველამ იცის!

ბატონ. ვისთვის რა მითქვამს?

შახნ. მეფის ყურამდე არ მისულა და თუ მივიდა,
არ ვიცი, იგი ვის რამდენად დააჯილდოვებს.

ბატონ. დრო მოვა, მეფეს ვაიძულებ!

შახნ. შენ აიძულებ? (იცინის).

თამამი ხარ ბატონიშვილო!

მე ეხლავ მოვალ!

— ჩემს ხელში ხართ შენც, დედოფალიც.

(გადის. უკან თავი მისდევს).

VII

ბატონიშვილი და ჯუანშერ.

ჯუანშ. მეფესთან მიდის, რომ აუწყოს ბედნიერება!

ბატონ. იქნებ ჯერ მაგან დანვრილებით არც კი იცოდეს,
რომ მაგის ქალი ჩემსა ბეჭედს ხელზე ატარებს!

ჯუანშ. ქალი მართლაც მშვენიერი ჰყავს —

გემოც გცოდნია!

ბატონ. რას ვაქნევ უცხო ხანების და უფლისწულ ქალებს,
როცა თვით ჩვენში ტურფა სარძლო მოიპოვება?
თუმც ჩემი გული სხვას ამბობდა, მაგრამ დავძლიე.
ხომ მიხვდი, ვისზე გეუბნები...

ქალი სულყველა ერთი არის, ტურფა კი იყოს!

ის ნაიშალა!

ბედს შევეურიგდი და მაგის ქალს მტკიცედ შევფიცე.
როგორ გგონია, ვითომ მეფემ ნება არ დამართოს?

ჯუანშ. შე დალოცვილო, ცოლად მეფეს ხომ არ თხოულობ?

ბატონ. შახნავაზ ფრთხილობს: „მალვა უნდაო!“

ჯუანშ. მამაჩემია ჯიუტი, რომ ნებას არ მაძლევს.

ნებას კი არა, მისი ნახვაც კი ამიკრძალა.

აქამდი ომში თავს ვირთობდით...

რა საბრალოა უმოქმედოთ შეყვარებული!

ბატონ. როგორცა ვხედავ, შენ ყოფილხარ მაგრა დაბმული!

რატომ არ ვიცი, თუ ვინ არის?

ჯუანშერ. ის მამაჩემმა

განგებ თუ რალაც მოსაზრებით მე დამაშორა,

მაგრამ ჩვენ მაინც მუდამ ღამე ერთმანეთს ვხედავთ!

ბატონ. სახელი მითხარ!

ჯუანშერ. ის აქ სცხოვრობს!

ბატონ. ვიცი, ვინც არის!

იმ ქალის მამას და მამაშენს სძულთ ერთმანეთი!

ჩვენი კესია!

ჯუანშერ. ის არის სწორედ!
გუშინნინ მიველ სასახლეში შუალამისას —
ხომ სიყვარული უფრო ღამით ცხოველი არის! —
და გადავწყვიტეთ:
მამაჩემი რადგან ხელს გვიშლის,
ღამე ცხენებით გავიპარნეთ სადმე სხვა მხარეს.
აცრემლდებიან მშობლები და შერიგდებიან...
ჩვენც მოგვითხოვენ, მოგვძებნიან...
ბატონ. შენ ტარიელი და მე ავთანდილ!
თქვენი მშობლები — ქაჯთა სამეფო.

VIII

იგინივე, როდამ და კესია.

როდამ. აქა ყოფილან!
სალამი, ყრმანო!
თქვენს საზეიმოთ მეფე ჩემი დიდს ღვინს გიმართავთ,
რადგან არგუნეთ გამარჯვება!

ბატონ. როგორ განითლდა ჩვენი კესია!

როდამ. ბატონიშვილო! კესოს ხომ არცხვენთ!

ბატონ. თუნდ ნაძლევს დავდებ, იტიროს კიდეც!
ჩვენი კესია,
ცეცხლის კვესია
სიყვარულისგან ანაკვენესია!

ვფიცავ, შოთაც კი ვერ იტყოდა ამნარ შაირს!

როდამ. დღეს რა მხიარულ გუნებაზე ბრძანდებით, როინ!

ბატონ. რატომაც არა, დედოფალო, რატომაც არა!

როდამ. მიზეზსაც მეტყვით.

ბატონ. დიდი ბრძანდებით ცნობისმოყვარე.

როდამ. იქნებ ის გალხენთ, რაც თვით მეც ვიცი.

მინდა დავრწმუნდე: ვსცდები თუ არა.

ბატონ. თქვენ არ შესცდებით და არც შემცდარხართ!

როდამ. მაშ, მართალია?

თქვენ საუბრობდით ტარიელსა და ავთანდილზე.
ნესტანის ამბავს ვკითხულობ მხოლოდ.

ბატონ. „ციხეს ზის ეგ ზომ მაღალსა,
თვალნი ვერ შემოსწვდებიან?“

როდამ. ციხეს ზის? არა, ის თავის გმირს მოელოდება.

მარტოკა დადის, თავის სულში საუბრობს მხოლოდ.

დილით გამოვა და ვარდ-ყვავილს თვის დარდს შესჩივის.

ბატონ. ისე მომითხრობთ, თვით გამხადეთ ცნობისმოყვარე!

თქვენ ვის გულისხმობთ?

როდამ. თეთრი პირბადე ვის გადაეც განშორების ჟამს?

ბატონ. ა! არა, არა! გეფიცები, მხოლოდ ის ისე...

კეთილის გულით... მეგობრული თავაზა იყო...

როდამ. მისგან მივიღე გუშინ წერილი,
 მშობლების ამბავს მატყობინებდა.
 თან მაცნობებდა თავის სიყვარულს
 გრძნობის ფერადით სისხლის ცრემლებით.
 აი წერილი (კითხულობს):
 „როდამ! თუ როინს ველარ ვიხილავ,
 არაფრად მიღირს სიცოცხლე კრული,
 მასზე ოცნებით საფლავში ჩავალ!“
 მე ეს მინდოდა თქვენთვის მხოლოდ მეცნობებიანა.
 მეორეც თხოვნა: წერილსაც გწერდით...
 კართუხუცესი ვითმე უნდა დაიყოლიოთ.
 თქვენი აქვს ხათრი, ის თქვენს თხოვნას ვერ გადაუვა.
 რაზედ ჩაფიქრდით?
 ბატონ. ეს ცხოვრება რა მრუდით ბრუნავს:
 ის იმას უყვარს, ხოლო იმას სხვა!
 სხვა კიდევ სხვაზე ამაოდ ოხრავს!
 (კესო და ჯუანშერ აქეთ-იქით გადიან).

IX

როდამ და როინ.

ბატონ. მე ვისაც წინად მოველოდი, ბედმა დამიხშო
 მისდამი გრძნობა სპეტაკი და ჰაეროვანი.
 არა, ჯერ კიდევ არ ჩამქრალა! ახ, დედოფალო!
 ნეტა, წარსული მოგონება არ აგეშალნა!
 ის იყო მხოლოდ ერთად ერთი ტკბილი ოცნება.
 იყო და დღეს კი...
 როდესაც ვნახე, მხოლოდ ნახვამ გული დამწყვიტა!
 ის ოცნება და სინამდვილე მე დამაშორეს.
 ამ ჟამად ჩემთვის ყველაფერი სულერთი არის.

როდამ. შენ დაგაშორეს?.. და შენ ამ დროს რას აკეთებდი?

ბატონ. სპარსეთში ვიყავ ჩვენი ქვეყნის საქმეთა გამო.
 როცა დავბრუნდი, შებრძოლება გვიანდა იყო,
 რადგან ჩემის ძმის სისხლი უნდა მე დამექცია,
 ეს კი ქვეყანას არევდა და აღაშფოთებდა.

როდამ. (შემკრთალი). შენ ჩემზე ამბობ!
 სხვის მოციქულად მოვდიოდი, ჩემზე რა მესმის!

ბატონ. დიახ, მე შენზე ვლაპარაკობ — ჩემს დანიშნულზე —
 ჩვენ რომ ერთმანეთს ბავშვობისას ვხედავდით მხოლოდ
 და უკანასკნელ ნახვის დროს კი შენ სხვისი იყავ!

როდამ. საშინელია შენი ფიქრი!

ბატონ. გარწმუნებთ, არა!
 ეხლა ნაცვალი ჩემს საკუთარს ბეჭედს ატარებს!

როდამ. განა ნაცვალი შეიძლება რაინდისათვის?

ბატონ. ხორციელისთვის შესაძლებელი თურმე ყოფილა.
 კაცს შესძლებია ყველაფერი ნებით დასძლიოს!

- როდამ.** მაშ, განგებ თუ სთქვი, თითქოს იგი ისევ გიყვარდეს.
- ბატონ.** მიყვარს ვით ტკბილი მოგონება, ტკბილი წარსული!
არა, მე ვსცრუობ!
ჭაბუკის გულში რაც ღრმად ერთხელ აღიბეჭდება,
მას სიკვდილი თუ დაავინყებს:
მხოლოდ პირველის წარმოდგენით სულდგმულობს გული!
ჩემ თავს ვატყუებ, რომ სხვაც მისებრ სასურველია!
- როდამ.** მაგ ყალბის გრძნობით კმაყოფილი სხვა არ იქნება!
- ბატონ.** არ ვიცი, იქნებ ისიც ჩემებრ სხვაზე ოცნებობს!
გულახდილობა მაპატიე. მოვსპოთ ბაასი.
(სიჩუმის შემდეგ ნაღვლიანად).
მე ისევ წმინდად მიყვარები, ვით ბავშვობისას!
- როდამ.** სპეტაკი არის შენი სული, ბატონიშვილო!..
მაგრამ მე რა ვქნა? ნეტა ჩემთვის არ გაგემჟღავნა!
- ბატონ.** ჩემს უნებურად, დედოფალო, ჩემს უნებურად!
- როდამ.** ვგრძნობდი კი ნათლად, რომ შენ მუდამ პირს მარიდებდი.
- ბატონ.** როცა გხედავდი, საბრალო გულს ელდა გამკრავდა!
- როდამ.** მე შენსა ნახვას ვნატრულობდი და გაგირბოდი!
- ბატონ.** როცა ვნახავდი, სევდიანის თვალით მიმზერდი.
მესმოდა, რაღაც იდუმალი გრძნობა იწევდა —
- როდამ.** მაგრამ სიტყვის თქმას ერთმანეთს კი ვერ ვუბედავდით!
- ბატონ.** და რაოდენი ტანჯვა იმ დროს მე განმიცდია!
- როდამ.** რამდენჯერ ცრემლი დამიღვრია სხვის უხილავად!
გახსოვს, სახსოვრად რომ მომიძღვენ წმინდა ნაქსოვი,
იმით მე მხოლოდ სიყვარულის ცრემლს ვიშრობ ხოლმე!
(მწუხარედ).
რად დაგვაშორეს?
- ბატონ.** დედოფალო! ღვთის გულისათვის!
- როდამ.** მე არა ვშიშობ! (უცბად გონს მოდის).
მაგრამ ახ, არა! განსაცდელში შენ ჩავარდები!
ჩემი მეუღლე... ახ, მეუღლე, წყეულიმც იყოს!
შენ არ დაგინდობს, მცირე ეჭვიც რომ შეეპაროს!
ჩავიკლავ გრძნობას, განსაცდელში რომ არ ჩავაგდო.
ვერ წარმოიდგენ, რაოდენ ხარ ჩემთვის ძვირფასი!
ან შურით ვუმზერ, ბეჭედი რომ გადაგიცია,
მაგრამ ასრულდეს! გახსოვდე კი და ცოცხლად მყვანდე!

X

იგინივე და ჯუანშერ.

ჯუანშერ. (შემორბის).

როინ, ძვირფასო!

ბატონ. რა ამბავია?

ჯუანშერ. გემუდარებით! (დედოფალს) ნადით, ნადით!

სტუმრები მეფემ დაითხოვა. შფოთავს და ბღღვინავს!
(დედოფალი გადის)

ბატონ. რა ამბავია?

ჯუანშერ. ჩვენ თავს ჰხედება უბედურობა!

ბატონ. ვფიცავ, წინდანინ მზარეულთან დაგილევია.

ჯუანშ. ხუმრობას თავი დაანებე, ბატონიშვილო!
აბა, წავიდეთ!

ბატონ. სად წავიდეთ, გამაგებინე!

ჯუანშერ. უნდა გავიქცეთ!

ასე მიბრძანა მამაჩემმა და ესეც კმარა!
სიბრაზისაგან მეფე თურმე ტანსამოსს იგლეჯს.
წამო, წავიდეთ!

ბატონ. მეფე ასდევს მკითხავის სიზმრებს:

ვილაცას ეთქვა, რომ წავართმევ სამეფო გვირგვინს!
წინად შემძლო ჩავსულიყავ თუნდ ჯოჯოხეთში,
დღეის შემდეგ კი მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი!
როგორ დავსტოვო ის ადგილი, სად იგი სცხოვრობს!
ან რისთვის? მითხარ, რისთვის? რისთვის?

ჯუანშერ. გთხოვს მამაჩემი!

XI

იგინივე და ელიზბარ.

ელიზბარ. თქვენ ისევ აქ ხართ?

ბატონ. რისთვის მტანჯავთ? რაშია საქმე?

ელიზ. ჩემო შვილებო! როინ! აქ მო!

(თვალეებში აცქერდება).

შე უგუნურო!

რად არ იცოდი, ყველაფერი გამჟღავნდებოდა!
წადით, განშორდით! წადით მთებში. მიზეზს ნუ მკითხავ!
მეფის ბრძანებით აქ მოდიან შენს შესაპყრობად!

ბატონ. ჩემს შესაპყრობად? მაშ, მკითხავებს ძალა ჰქონიათ!

ელიზბ. შენ შეურაცხე შენის ძმის და მეფის პატივი!

ბატონიშ. (უცბად აენტება). ჰა? როგორ? ვინ სთქვა?

ელიზბ. წადით აქედან!

ბატონ. მე ვინა მნახეთ ისეთი, რომ ცილსა მწამებდნენ
და თავი ჩემი ვერ ვიმართლო? როგორ გგონიათ?
რომ დაუმტკიცო შეცდომა და ის დავარწმუნო?
ახ, ღმერთო ჩემო! დავარწმუნო! რა უნდა ვუთხრა?
იქნებ ის ვუთხრა, რომ როდამი მე მეკუთვნოდა
და დღეს მისია! რომ მე იგი დღეს აღარ მიყვარს?!
(თითქმის ყვირილით).

ვინ მაკადრებდა? სცრუობს ყველა და მეფეც სცრუობს!
მეც, მეცა ვსცრუობ...

ჯუანშერ. რა გაყვირებს? რა დაგემართა?

ბატონიშ. თავი მანებეთ! გამეცალეთ!

ჯუანშერ. რა მოგდის, როინ?

ელიზბარ. დანყნარდი, შვილო!

მე მესმის შენი ალელვება!

აი, ეს ჩემი გასაღები,

მცველებს უჩვენეთ და უვნებლათ გახვალთ ციხიდან.

ბატონიშ. (ალელვებისგან აცრემლებული).

სხვა იყოს ჩემთან დამნაშავე და მე გავრბოდე?

XII

იგინივე, მოლარე შახნავაზ, კარის დარაჯი და მცველები.

შახნავაზ. აქ არის იგი!

კარის დარაჯი. ამ ბრძანებით შეპყრობილი ხართ!

(ბრძანებას გადასცემს. კითხულობს).

ბატონ. როგორ? მე? მართლა?

(ჰხევს).

აი ბრძანება!.. ყველას ასე დაგხვეთ... დაგგლეჯავთ!

კარის დარაჯი. ბატონიშვილო! მაპატიეთ! ჩვენ მას ვასრულებთ,

რასაც გვიბრძანებს ჩვენი მეფე — გთხოვთ, დაგვმორჩილდეთ!

სისხლში ნუ შეგვრევ, ნუ ინებებ ჩვენსა დალუპვას!

შახნავაზ. ვფიცავ, ყველასთვის სანყენოა, ბატონიშვილო!

ელიზბარ. შე მუზმუზელავ!

ბატონ. მაშ, მე შემიბყრან სასახლეში და ძმის ბრძანებით?!

მე? მე, რომელმაც მოვუპოვე მას გამარჯვება!

მტერიც კი ასეთ დამცირებას ვერ მაკადრებდა!

ძმაო ჯუანშერ!

ბრძოლის ველიდან რად დავბრუნდით გამარჯვებულნი?

აქ ასეთ ყოფას, იქ სიკვდილი სჯობდა ათასჯერ!

(მოლარეს).

უთხარ შენს ასულს, რომ ანაზდად მეფემ შემიბყრო,

არ ვაპატიებ ესრეთ ჩემსა შეურაცხყოფას!

შახნავაზ. ჩემს ქალზე ეჭვობს!

ბატონ. უთხარ, როინი თავის სიტყვას არ უღალატებს

და თუ ცოცხალი გადავურჩი, აღსრულდეს ნება!

შახნავაზ. შენი მუქარა მისაგებელს, დაე, მიეგოს!

ბატონ. განა შენ ეჭვი გეპარება ჩემს სიმართლეში?

მაგრამ ან კმარა! შევხვდებით და მაშინ გავსნორდეთ!

თუ არა — ღმერთმა აპატიოს ჩემს მტერ-მოყვარეს!

საით მიბრძანებთ?

კარის დარაჯი. მე გაგიძღვებით!

ელიზბარ. (ჯუანშერს) უთვალთვალე შორი ახლოს! გაჰყე შენც მაგათ!

(ბატონიშვილი გაჰყავთ).

XIII

ელიზბარ და შახნავაზ.

ელიზბარ. შახნავაზ!

შახნ. რა გსურს?

ელიზ. ეთამაშები სხვის სიცოცხლეს — ინანებ მეთქი!

შახნავ. შენ თვით ინანებ მაგ სიტყვისთვის, თუ კიდევ გითქვამს!

ელიზ. მეც მემუქრები?

შახნავ. შენი მუქარა მე პირველად მაშინ გავიგე,
როცა მირჩევდა... ამირბარად მე მეფე ჩვენი და შენ ჩაჰშალე...
მეორედ, როცა საიდუმლო თათბირს დაესწარ,
მხოლოდ შენ ერთმა არ ისურვე ჩემი ელჩობა.
მესამედ, როცა ჩემს ქალიშვილს მეფე ირთავდა
და შენ მის ნაცვლად მთავრის ქალი მოაყვანინე.
რომელიც ეხლა მეფეს არცხვენს...

ელიზ. ჩუმად! ბოროტო!

შახნავ. ბოროტი შენ ხარ! მეფე ჩვენი შენს ხელში ჩაღპა!

ელიზ. შენ არ ვარგოდი არც ელჩად და არც ამირბარად!
შენს ქალიშვილს-კი აქ ტყუილად იმონმებ მხოლოდ,
რადგან იმისი დედოფლობა შენ გსურდა მარტო
ისევ და შენის მწირი ნების გზის გასაკაფად!

შახნავ. შენ გზა დაუხშე, ვისაც გულით წინსვლა უნდოდა!

ელიზ. ჩემი სინდისი ხალხს უწევდა მუდამ ანგარიშს!

შახნავ. რა იცი, შენზე უკეთესად სხვაც არ გაუწევს?

ელიზ. შენს პირადობას ვერასოდეს ვერ გასცილდები,
ბრმა, თავმოყვარე, გოროზი და დახშული გული
მზაკვრულის ჟინით, ანგარებით სავსე გაქვს მუდამ!

შახნავ. ერთს ხიდზე ვდგევართ დღეს მე და შენ პირისპირ შეხლით,
ჩვენში ერთ-ერთი წყლის ტალღებმა უნდა წაიღოს.

ელიზ. თუ განვსჭვრეტავდი, შენში იყო გველის ნასახი,
არ შევდრკებოდი, როგორც ჭიას ფეხს დაგადგავდი!

შახნავ. ყბედო ბებერო!

XIV

იგინივე და მეფე.

მეფე. მაშ, არ შევმცდარვარ! არა! არა!

რატომ თვალეებმა უფრო ადრე არ დამანახვეს?

არა, ვხედავდი და გონება მეურჩებოდა!

აჰა, საბუთიც! წერილსა სწერს... წერილს... წერილს!..

ელიზბარ! აჰა წაიკითხე და ეხლაც მითხარ,

რომ ვსცდები... ვსცდები...

ეხლა თვით ვნატრობ: ნეტა მართლა ტყუილი იყოს
და მე ვსცდებოდე...

მაგრამ წერილი... მისი ხელი... ო, ღმერთო ჩემო!
 ოთხის თვის წინად ნამძინარევს უცბად წამოსცდა:
 „როინ! ნუ მიხვალ!“ მე მას აქეთ გველი გულს მენვა!..
 წადით, მომიხმეთ ჩემს მსაჯულებს. გაასამართლონ!
 გაასამართლონ და სასჯელიც ეხლავ ასრულდეს...
 არ შემძლიან მათ ვუყურო! ორივე ერთად... ორივე ერთად დაისაჯნენ...

XV

იგინივე და როდამ.

როდამ. ჩემო მეფეო და მეუღლე!

მეფე. დიად, ვარ მეფე, მეფე შენი, — არა მეუღლე!
 წყეულიმც იყოს ის დღე, ოდეს მეუღლედ იქმენ!

როდამ. ჩემსა გარშემო აგინთია ცეცხლი მგზნებარე,
 მე მისი ალი საცა არის მომიდნობს კიდეც...
 ღმერთს რა შევცოდე, ანუ შენთან რა დავაშავე!
 უბრალო მსხვერპლად რად მიმეტებ, ჩემო მეფეო!

მეფე. ქალისთის ცრემლი ავზნეობის პირსაბურია!

როდამ. ჩუმად მოგეკლა ჩემი თავი ცამდის მართალი,
 შხამი-სამსალა შეგერია ჩემსა სასმისში,
 იტყოდნენ: მოკვდა უცაბედის სიკვდილითაო.

ასე საჯაროდ თავის მოჭრას რას მემართლები?

მეფე. უნდა იტანჯო, შეგარცხვინო. შენც შენი გვარიც!

როდამ. რომ მართალი ვარ!

მეფე. მართალი ხარ!? შენ? მართალ ხარ?

როდამ. და უცოდველი შენს წინაშე! — ღმერთთან არ ვიცი, —
 თორემ ამ სასჯელს, დამცირებას ამაცილებდა!

მეფე. თავსა მართლულობს
 ის, ვინც მლაღატობს სულიერად და ხორციელად!
 ჰო, რატომ არა:

მე ჭალარა ვარ, გატეხილი, ის ახალგაზრდა!

გაჭქურდეთ ჩემი სარეცელი ავაზაკურად!

როდამ. სცდები! ცილს მწამებ!

მეფე. ვსცდები, ფანჯრიდან საყვარელს რომ ღამე ატარებ!

ვსცდები, წერილით რომ იბარებ ჟინმორეული!

ვსცდები, ძილშიაც იმის სახელს რომ გაიძახი!

(სადედოფლო ნიშანს ჩამოაგლეჯს. გვირგვინს მოჭხსნის, ფეხით სთელავს).

ღირსი არა ხარ, დღეის შემდეგ მას ატარებდე.

როსკიპო ქალო! დაცემული სულით ხორცამდე!

როდამ. ოჰ, დედა! დედა!

რალად მინდა თავი ცოცხალი!

(ტირილით გადის).

XVI

იგინივე და მსაჯულნი.

უკანა ფარდა გადაინევა. ტახტის გარშემო სხედან მსაჯულნი. წინ უძევთ მსაჯულთა წიგნი. შე-
მოჰყავთ როინ ბატონიშვილი.

მეფე. დარბაისელნო და მსაჯულნო! მსწრაფად შეგკრიფეთ!
მომინვევიხართ არა სხვათა საქმეთა გამო,
არამედ ჩემის საკუთარის განსაჩივლელად!
(გვირგვინს იხდის).

აი, გვირგვინი მომიხდია და არ იფიქროთ,
რომ გვირგვინოსნის სასარგებლოდ საქმე გადასჭრათ.
დღეს თქვენს წინაშე მეც უბრალო ერის კაცი ვარ!
დარბაისელნო! რა სასჯელი ელის ისეთს ძმას,
ვინც შეურაცხყო სარეცელი, მეფის სახელი?

მსაჯული. (სიჩუმის შემდეგ წიგნს ათვალიერებს).

წიგნში სწერია: სიკვდილით დასჯა.
მხოლოდ ვინ არის ამის მონმე, საბუთი გვითხრას?

მეფე. მონმე თვით ჩემი სინდისია და ჩემი რწმენა,
რომ ეს ასეა და სიყალბე არ ურევია!

მსაჯული. ეგ არა კმარა! საბუთი რამ ხელშესახები!..

შახნავაზ. მეფეო ჩემო! თადე დარაჯს უნდა სთქვას რამე!

მეფე. აბა, წამოდექ! სთქვი, რაც იცი!

თადე. გახლავართ თადე, აზნაური მეფის ტახტისა!
ერთ ღამეს ციხის დარაჯობა მე ჩავიბარე.
მამლებს ჯერ არც კი ეყივლათ, რომ იმ ფანჯარიდან,
სადაც დედოფლის ოთახია, კაცი გადმოხტა.
კართუხუცესიც სწორედ იმ დროს ჩემს გვერდით იდგა,
შინ წასასვლელი რაღაც საქმეს მე მავალებდა.
მე ვუთხარ: რაღაც ეშმაკობა მოხდა აქ მეთქი.
როგორც თქვენ გარჩევთ, ვინა ხართ და არა ვსცდები,
იქაც მე ნათლად გავარჩიე ბატონიშვილი!

მეფე. ეს შენ იცოდი, უხუცესო, და არ კი მითხარ?

ელიზ. მართალი არის, მომეჩვენა რაღაც ლანდივით,
მაგრამ მოხუცმა პირისახე ვერ გავარჩიე.
იგი ფანჯარაც უფრო არის დაშორებული,
ვიდრე ამ დარაჯს ჰგონია, თუ მოსჩვენებია!

მეფე. გაიძვერაობ! ხელს აფარებ, ბებერო მელაგ!

მსაჯული. სხვა მონმე კიდევ! სხვა საბუთი, თორემ დარაჯი
შესაძლო არის მართლა სცდება ან მოელანდა.

მეფე. მე სხვა საბუთი და სხვა მონმე — —

შახნავაზ. მეფეო ჩემო! თადეს აცალეთ! —

რაღას აყოვნებ? სთქვი გაბედულად!

თადე. ჩემი მეუღლე მოახლეა ჩვენის დედოფლის.

როდესაც ოთახს ალაგებდა, მას ეს ხანჯალი ეპოვნა სკამზე...

მეფე. აქ მაჩვენეთ! მისია სწორედ!
მე თვით გარდავეც მას სახსოვრად!
რალა საბუთი? სხვა საბუთი? დაიშალენით!
ყველაფერს, აი, ეს უსულო საგანი ამბობს!
წადით, დახვრიტეთ ამ საათში, დაუყოვნებლივ!..
ო, სალახანავ, არამზადავ! მგესლავო გველო!

მსაჯული. დამშვიდდით მეფევ!
არ შეიძლება ბრალდებულსაც არ მოვუსმინოთ!
რას იტყვით, როინ?

ბატონიშ. რაც მოგახსენეს, ყველაფერი სიცრუე არის!
განგებ შეთხზულის წინააღმდეგ ან კი რა მეთქმის?
მეფის თვალეხი ეჭვისაგან დაბრმავებულა
და მისი აზრიც ეჭვისაგან დაბნელებულა
და რომ ეს ასე არ იყოს და გონებას ჰკითხოს,
არ შეიძლება, მეფემ ჩემთან, სისხლ-ხორციტ სწორმა,
ვილაც მოწმეებს დაუჯეროს და მათ ერწმუნოს,
ერწმუნოს მდაბალ არსებათა ცილისწამებას!
არ ჰკითხოს თვის თავს ერთხელ მაინც, თუ ამ გაქნილებს
რა ანგარება, ან რა შური ალაპარაკებთ!
რაოდენ უნდა იყოს კაცი დამდაბლებული,
ბუნებით ხსირი, გარყვნილი და ზნედაცემული,
რომ სპეტაკ სულსაც მიანეროს თვისი ქცევანი,
თვისი ავიზნე მოეჩვენოს სხვა არსებაშიც.
რაც თვითონ არის, სხვაც ისეთი ჰგონია სწორედ!
მე კი არ უნდა ვიყო თქვენს წინ პასუხმგებელი,
ეგ უნდა იყოს დამნაშავის სკამზე მჯდომარე.
ვაჩე ვეზირის ცოლი ჰყვანდა მაგას საყვარლად!
თავად გურგენმა ღამე სცემა ბნელი საქმისთვის...
და რალა ბნელის — მიუვარდა ოჯახში მხეცურ...
ერთ სეფე ქალსა უკანონო შვილი შესძინა.
თავისი სათნო, ანგელოზი ცოლი მონამლა...
ჩემი ძმა მოკლა, სისხლ შესვრილი ტახტი წაართვა...

მეფე. (სკიპტრას ესვრის). გააჩუმეთ! გააჩუმეთ!

ბატონიშ. ვინ გამაჩუმებს? სიკვდილის მეტს სხვას რას მომისჯით?
მან მე წამართვა საცოლო და ბედით აღთქმული
მით დაარღვია მამიჩემის წმინდა ანდერძი!
მტარვალო! ან კი სხვა რაში ხარ ადამიანი?
ლოთი, გახრწნილი, ზარმაცი და ომში მშიშარა!
შენს მაგიერად ქვა რომ იდოს მაგ მეფის ტახტზე,
ჩვენი ქვეყანა მეტს ირგებდა, ვიდრე შენს ხელში!
ერი დაამხე, უნიჭობით გაალატაკე...
მონის უღელქვეშ ამოართვი სული გლეხობას,
ხალხი მიეცი საჯიჯგენელად შენებრ უღირსებს!

- მეფე.** გაიყვანე! კმარა!
(ბატონიშვილი დარაჯებს გაჰყავთ).
- ელიზ.** (მეფეს მუხლს უყრის).
გონიერ მეფეს მე მოხუცი გემუდარები.
პატივი დამდე, დაიმშვიდე მღელვარე გული.
არა გთხოვ, როინს აპატიო, არა მეფეო!
უბრძანე მხოლოდ, შეაჩერონ ერთის დღით დასჯა!
ნუ ასჩქარდები, მბრძანებელო, ნუ ასჩქარდები!

XVII

იგინივე და როდამ.

- როდამ.** (შემოდის მომაკვდავი კედელ-კედელ. მოსამართლეების წინ გაჩერდება და დიდხანს სდუმს).
მოსამართლენო! თქვენს განაჩენს არ დავუცაადე.
მე ამას იქით დამნაშავე აღარ ვიქნები.
ან როდის ვიყავ?!
ქმარს ერთგულებას ვუწევდი და ერთგული ვიყავ!
ვინ შეიტანა ჩემში შური?..
მას ჩემი ცოდო ეკითხებოდეს!..
ჩემი მშობლები ველარ მნახავენ...
და რომ მეცოცხლნა...
შეურაცხყოფილს მე სიცოცხლე აღარად მიღირს.
როინი დღესაც ძვირფასია ჩემი სულისთვის.
წერილს რომ ვსწერდი, მხოლოდ კესოს გულისთვის იყო.
მას შეეხაროდი, ვით მეომარს ჩვენის ქვეყნისთვის...
მიყვარდა, როგორც რაინდი და სულით სპეტაკი.
ეხლა ეს ყველა მორჩა... მორჩა...
(მეფის ტახტის წინ კვდება).

XVIII

იგინივე, ჯუანშერ და თეონა.

- ჯუანშერ.** (გარედანვე ყვირის. შემოჰყავს თეონა, თადეს მეუღლე).
დიდო მეფეო! ამოცანა ჩემს ხელში არის!
მივხვდი, თეონას ყველაფერი უნდა სცოდნოდა.
(როდამს დაინახავს).
საბრალო როდამ! ველარ მოგისწარ!
მეფევე, უბრძანე გადაურჩეს ის მაინც სიკვდილს!
- მეფე.** სთქვი, რას ყმანვილობ! მამიშენის სისხლი გიდგია!
მან ორგულობა გამინია, შენ მიერთგულებ?
- ჯუანშერ.** ჩემს ნათქვამს თუნდაც ყურადღებას ნურც-კი მიაქცევ!
თადეს ჩვენებას გააქარწყლებს მისი მეუღლე!

ის, ვინც ფანჯრიდან გადმოხტა და როინს აბრალებთ,
მე თვით გახლავარ!

მეფე. ნუ თავხედობ!
შენ გინდა მაგით მეგობარი დაიხსნა, განა?

ჯუანშერ. ჰკითხეთ თეონას!
ამან სულ იცის ჩემი საქმის გარემოება.

მეფე. იქ რა გინდოდა? ვისთან იყავ?

ჯუანშერ. კესოსთან ვიყავ! კესო ჩემი დანიშნულია!
მასთან შეხვედრა აკრძალული მქონდა მამისგან!
ჰკითხეთ მამაჩემს! ღამე ფარულ მუდამ ვხედავდი!
მე ვიყავ მასთან. ხმაურობა შენი მოგვესმა.
ფეხი რალაცას წამოჰკარ და თითქოს წაიქეც!
მეც ვიდროვე და ფანჯარიდან გადმოვხტი ბაღში!

მეფე. ეგ ამას წინად! მართალია!

ელიზ. მეც ვუკრძალავდი, მართალია!
მე ვუკრძალავდი, რადგან მშობლებს გვძულდა ერთურთი!
იქნებ ეს ცოდო დატრიალდა ჩემს უნებურად!
ვაი ჩემს თავსა!

ჯუანშერ. ბატონიშვილის საცოლოა მოლარის ქალი!

შახნავ. რაო? რა სთქვი? ღმერთო!

ჯუანშერ. მის ბეჭედს ცინო კარგა ხანი ხელზე ატარებს!

შახნ. ო! ო! ცაო, დამეც რისხვა და მეხი!
გასქდი მიწავ და ჩამიტანე მე უგუნური!
რატომ ვერ მივხვდი — „მიხარიან, მიხარიანო!“
(მსაჯულებს მიუვარდება).
როინი რატომ არ გაამართლეთ?
რატომ ვერ იგრძნეთ, დაგებული ჰქონდა მას მახე?..
წყეულიმც იყოს თქვენი წიგნი! თქვენი კანონი!
ბრმა თოჯინებო! (წიგნს უხევს).
კლდე არსად არის, გადვიჩეხო? ვაი, ვაიმე!
(გამწარებული ყვირილით გარბის).

მეფე. შენ რალას იტყვი, დედაკაცო?

თეონა. დიდო ბატონო! ამ ჩემის ქმრის ძალდატანებით
ბატონიშვილსა მე მოვპარე იგი ხანჯალი.
რისთვის უნდოდა, დღეს ყველანი თქვენ თვითონ ჰხედავთ.
ქმარი ლოთი მყავს. თქვენ წყალობას იმ დღესვე ფლანგავს!
მის ხელში ფული არ მინახავს დღევანდლის გარდა!
დღეს ერთი პარკი ოქრო-ვერცხლი ხელთ ჩამაბარა,
მითხრა: ეს მეფემ მაჩუქაო!

მეფე. (გაბოროტებული). ვინ მოგისყიდა?

თადე. თქვენმა მოლარემ! (იჩოქებს).
მაპატიეთ დანაშაული!
მოლარე ასე მარწმუნებდა, თითქოს თქვენ გსურდათ!
მეც მიხაროდა, რომ ერთგულად თქვენ გამსახურებდით!

მეფე. ო, ბოროტო, გველო შახნავაზ!

ჯუანშერ. დიდო მეფეო! მეგობარი გადამირჩინე!
მეფე. ღმერთო, ნუ დამსჯი! ღმერთო, ნუ დამსჯი!
 ამ სიბერის დროს მაკმარე ცოდო!
 ჩქარა გარდაეც, შეაჩერონ ჩემი ბრძანება!

XIX

იგინივე და დარაჯი.

დარაჯი. დიდო მეფეო!

შვიდს ისრის მსროლელს გააყოლეს ბატონიშვილი.
 მათ წილად ერგოთ დაეხვრიტათ, მაგრამ იმტყუნეს!
 ბატონიშვილთან ერთად შვიდნივ მთებში გაიქცნენ!

მეფე. მოლალატეებს მიეცით ჯილდო!
 ღმერთმა მაკმარა ეს უმანკო მსხვერპლი ვიტირო!
 ო, ჩემო როდამ! საყვარელო, როდამ ძვირფასო!
 მე უგუნური შემიბრალეთ! მიშველეთ, ხალხო!
 ნახეთ ექიმნი! გამონახეთ საშუალება!
 ეგებ როდამი დამიბრუნოთ, ჩემი როდამი!
 როდამ, ხმა გამეც!
 ნუ მიწყრები, ძვირფასო როდამ!
 რაც კი შეგცოდე, მაპატიე, გემუდარები!
 საბრალო მეფე მუხლმოყრილი გემუდარები.
 ცოდვილი მეფე შემიბრალე.
 რატომ არ გინდა მაპატიო?
 არ ვიყავ შენი შესაფერი, ღმერთმა დამსაჯა!
 რა ვქნა, ეს ცოდო რა გზით უნდა მოვინანიო!
 უბრალო მსხვერპლით სული ჩემი მეტად დამძიმდა!
 (სიჩუმე. ქვითინებს).
 რათ არ ვგიჟდები?
 ან და იქნებ უკვე გიჟიც ვარ?
 დანაშაული ჩემი როგორ გამოვისყიდო?
 ჩემს ბაღში ძალად უკვდავების ვარდი დავაჭკნე!
 ხალხო! აიღეთ და დამარტყით ლოდი უბედურს!
 როდამ! როდამ!
 კართუხუცესო! მონასტერში! შორს ამ სოფლიდან!
 აქ მე ადგილი აღარა მაქვს, ბერად შევდგები!
 ესეც იქ უნდა წავასვენო, დავასაფლაო,
 რომ ყოველ დილით და საღამოთ ცრემლი ვაფრქვიო,
 და ჩემი ცოდო, მძიმე ცოდო მოვინანიო!
 ჩემი ძმა იხმეთ! დღეის შემდეგ ის არის მეფე!

ფარდა

ალ. შანშიაშვილი

„...შვილო...“

(ცხოვრების ნამცეცი ძველი ქართული თქმულებით)

„... შვილო...“ — წამოიძახა უსინათლო ღრმად მოხუცებულმა ლომამ, რომელიც ქობის ბოძს მიჰყუდებოდა ზურგით და იმისსავე ახლოს ჩაქრობაზედ მისულ ცეცხლისკენ თავისი გამხმარი ხელები გაეშვირა, როდესაც მოგონებებში გართულს შემოესმა „ჩხაკუნი“. იმან მაშინვე იგრძნო, თუ რას ჰნიშნავდა... იმისმა უმცროსმა შვილმა გოდრის დაწვნი დაინყო და იცოდა კიდევაც, რისთვისაც...

წამოიძახა: „შვილო...“ უნდოდა ეთქვა, მაგრამ მოგონება ისევე თავის კვალში ჩადგა და გაიყოლია თან ლომას გონება... შეაწყვეტინა აზრი... მამის ხმის გაგონებაზე ფოცხვერამ ხელი შეაყენა. ოდნავად თავიც იმისკენ გადახარა, მაგრამ რაკი გაგრძელებას ვეღარ ეღირსა, აამუშავა ხელი და „თავისთვის ბუტბუტებს“-ო, ჩაილაპარაკა...

ლომა კი დაცურავს მოგონების მორევში და სრულებით ავიწყდება დღევანდელი გარემოება...

აგერ სულ ახალგაზრდა, როცა პირველად თავისი სახელი „ლომა“ ეწოდა, წარმოუდგა გონებას... ტყეში მიდის, თავისი უძლეველი კეტი მარჯვენა ხელში უჭირავს. მიდის ჩაფიქრებული, თუკი მაშინ ფიქრი შეეძლო... უფრო გამოურკვეველ სურვილებით შეპყრობილი. ამას ფიქრს უწოდებენ და უწოდებდნენ. სხეულის გამოურკვეველ სურვილებით შეპყრობილი ადამიანი ღრმად ჩაფიქრებული ჰგონიათ... ლომას ხანა ისეთი იყო... მიდის და მიაღწევს... რისთვის... სად?... თითონაც არ იცის... უღრანი ტყე იმისთვის სათამაშოა... უშიშრად მიდის... აგერ სულახლოს რალაც შრიალი შემოესმა და შემდეგ საშინელი ღრიალი... ამ ღრიალმა შიშის ზარი დასცა ტყეს... მთლად შეიპყრო... მხოლოდ ლომა კი არა... სწრაფად გამოერკვა და იქით მიიხედა, საიდანაც ღრიალი და შრიალი მოესმა... ჰხედავს... მარადისი მუხის ტოტები ირხევიან ერთ ადგილას და იმ ტოტების პირდაპირ ნამოქცეულ წიფელზე მდგომ ცხოველთა მეფეს...

ამის ღრიალმა გამოარკვია...

იმანაც შეასწრო ლომას თვალი... თითქოს ერთმანეთი მოეწონათო, წამს იმათი თვალის ისრები სწრაფად შეხვედრაზე აილესნენ და ღრმად... ღრმად ჩაერჭვენენ მოპირდაპირეს... რო იცნეს ერთმანეთი, საბრძოლველად შეუტოკდათ სხეული, იმათი მშვიდათ განშორება შეუძლებელი გახდა...

ცხოველთა მეფე კამარის შესაკრავად მოემზადა...

ლომამაც თავისი უძლეველი შვინდის კეტ-კომბალი მოიმარჯვა... მიდამოს თავის და უნებურად მოავლო თვალი...

ველი დიდი იყო... მოძრაობას არა დაუშლიდა რა...

წამიც არ გასულა, რომ ცხოველთა მეფე ისარივით გადმოეშვა ლომასკენ და...

— ჭახ!.. — წამს ახმაურდა მიდამო.

ცხოველთა მეფე გადატრიალდა რამდენჯერმე და სწრაფად წამოხტა მარდად, მაგრამ წინა ტოტები მოჰფშვნიტოდა...

მაგრამ ცხოველთა მეფეს ეს არ აშინებდა... კბილები ხომ გააღმასებული ჰქონდა...

ლომა გაუხტა გვერდზე, და ამავე დროს კიდევ მოისმა საშინელი ჭახანი...

ოდნავ გმინვა ლა მოისმა... იმის წინ მთრთოლარე ლომი ეგდო...

სახის და კისრის დატენილი სისხლის მილები ნელ-ნელა უფუკდებოდნენ...

მედგრად მცემავი გული უმშვიდდებოდა...

— ლომავ, ლომავ!.. — აშრიალდა მუხის ფოთლები და გამოისმა წკრიალა ხმა...

ლომის ღრიალს ისე არ შეუკრთია ლომა, როგორც უცნაურმა ნაზმა ხმამ...

ხმასთან ერთად მუხის ძირითა ტოტიდან ჩამოეშო ტყის დედოფალი...

ლომა განცვიფრდა. ასეთი სიმშვენიერე თავის დღეში არ უნახავს. ტყის დედოფალი ალერსით შესცქეროდა შორი-ახლოდან და თითქოს მიახლოვების ნებას სთხოვდა...

ლომას ტანში ჟრუანტელმა, სიამის ჟრუანტელმა დაურბინა, დატენილი სისხლის მილები სულ დაეფუჟა და გულის მოძრაობა შეუდგა...

ძლივს მოახერხა ნაფშმუვლა, სახეზე ოდნავ ხელის გადასმა, მუხლები ჩაეკეცა, და ჯერ ისევ მთრთოლარე ლომის სხეულზე მიესვენა...

ტყის დედოფალი წამს იმის გვერდით გაჩნდა და მშობლიურის ალერსით ხელი შეახო...

ლომა გონს მოვიდა. ძლიერი მკლავი შემოურკალა ტყის დედოფალს ლომამ და მკერდზე მიიკრა... ეხლა ლა იგრძნო, თუ ასე გზა აბნევით რას დახეტილებდა... იგრძნო, რაც უნდოდა და რასაც დაეძებდა...

იმ დღეს იქ დაჰყვეს... იქორწილეს და მეორე დღეს განთიადისას ქალმა ლომა ლომით თავის თემის ბანაკში მიიყვანა, როგორც თავისი ქმარი...

ლომამ დაჰყო ცოლურთს რამდენიმე დღე. შემდეგ კი თავის ცოლით თავის თემისკენ გაემგზავრა...

ორი თემი შეაერთა და წინამძღოლად ორივემ ლომა ამოირჩია...

— ჩხაკ... ჩხაკ!..

ლომა გამოარკვია ამ ჩხაკუნმა... მოკუმშული გული უფრო ძლიერად მოეკუმშა და სუსტად დაუნყო ცემა... „გოდორს ჰწნავს!“ — გაიფიქრა ლომამ...

„რომ გამიტანოს მთაზე და იქ დამაგდოს... ეხლა ურგებელი ვარ... და... თითონაც ჩქარა ეს დღე დაადგება... კარგია კიდეც, მე არავისთვის გოდორი არ დამინწავს... მამა ჩემი ბრძოლაში დაიღუპა... დედა ჩემი კი ამის შემდეგ ჩქარა გამოესალმა წუთისოფელს...“ შუბლი შეეჭმუხა მშობლების ხსენებაზე...

„არა... არა... მამისთვის გოდორს არ დავწნავდი... ის მოამაგე იყო... ის...“

— ისეთი გოდორი დანან... — წამოილაპარაკა ლომამ და გაჩუმდა, რადგანაც ისევ მოგონებამ გაიტაცა...

ფოცხვერამ ხელი შეაყენა მამის ხმის გაგონებაზე.

— როგორი, მამავ? — შეეკითხა ფოცხვერა, რაკი ლომამ აღარ დაათავა აზრი, მაგრამ პასუხი მაინც ვერ მიიღო.

„ბოდავსო“ — წაიბუტბუტა ფოცხვერამ და ისევ გოდორის დაწვანას შეუდგა...

ოდნავად ლანუნობდნენ თხილის ნაზი ტოტები და სიამით ეწვენებოდნენ გოდორს...

ლომა კი ამ დროს დაცურავდა თავის მოგონებაში.

ისე უგზო-უკვლოდ აღარ უვლია, რაკი ტყეში თავის გულს შეჰხვდა. ეხლა ყოველი ნაბიჯი წინადვე გაზომილი ჰქონდა. იცოდა, სად და რისთვის მიდიოდა, ან უნდა წასულიყო... წინ მიუძღოდა ორ შეერთებულ თემს და საუკეთესო ადგილებზე ამყოფებდა ზამთარ-ზაფხულს. აი, ეხლა სადაც არის, ხომ ამან ამოარჩია საზაფხულო ბინად და, საითაც დღეს საზამთროდ გაემგზავრა თემი, ხომ იმისივე არჩეულია...

„უჰ, რა ძლიერად აბრიალებს მზე თვალს!..“ რა მყუდრო ადგილი და მზიანია!.. ყველას მოსწონდა ის ადგილი... მეზობელი თემი რამდენჯერ შემოესია, უნდოდა წაერთვა, მაგრამ ლომა ყოველთვის კუდით ქვას ასროლინებდა ხოლმე...

ეხლა?

ეხლა იმ ადგილს ველარ ჰწახავს.

ახ, რო კიდეც შეეძლოს მზის ბღღვრიალა თვალში გახვევა!.. რამდენჯერ იჯდა კლდის ძირას წარსულ ზამთარს... მზე კი პირდაპირ უბღღვრიალებდა თავის დიდ თვალს, რომლის სხივებშიაც მოქცეული იყო მთელი არე, მთლად კლდე და თითონ ხომ სულ შიგ შუა ბაიაში იჯდა!.. მაშინ კიდეც ჰხედავდა... მხოლოდ აქ, საზაფხულო ადგილას წაერთო სი-

ნათლე... თავისუფალი მოძრაობა ამისთვის აღარ შეუძლიან, თორემ ჯერ კიდევ ივლი-
და... ეხლა გზის მაჩვენებელი უნდა ჰყვანდეს... თავისვე ფეხით ჩავიდოდა თავის ბღვრი-
ალა თვალა მზესთან, მაგრამ „ჩხაკ... ჩხაკ... ჩხაკ... ჩხაკ!“ ფოცხვერამ საკმაოდ დაწნა
გოდრის გვერდები და ეხლა კეტიტ სცემდა გარშემო, ზევიდან, რომ წნელი წნელს მკვიდ-
რად დაჰკავშირებოდა... ძირის გამოწვნა ლა დარჩა...

ლომა შეირყა ამ ჩხაკუნით... იგრძნო, ჩქარა გოდორი მზად იქნებოდა, და იმისი აღ-
სასრულიც...

მზის ბღვრიალა თვალში ველარ გამოეხვეოდა... აქნობამდის იცოდა და იმის ნებაც
იყო, სად და რისთვის მიდიოდა. ეხლა კი იცის, სად რა რისთვის მიდის კი არა, წაიღებენ,
მაგრამ იმის უნებოდ... ეს წესი... მართალია, თითონ ამ წესზე არ უვლია, შემთხვევა არ
ჰქონდა ამისა, მაგრამ იმის თემში ბევრი ამისთანა შემთხვევა ჰქონდა ენახა. მაგრამ არა-
ვითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია...

ეხლა ჯერი თითონ ლომაზე მიდგა და...

ხომ არას ამბობს? ჰმორჩილდება წესს... მარტო უნდა ფოცხვერას ამცნოს, რომ იმისი
შვილები არ ეწვალნენ, როგორც ესენი არ წვალობენ, როცა ზამთარ-ზაფხულ ბინას ცვლი-
ლობენ. იმისგან არჩეულ ბინას და გზას არა სტოვებენ და ადვილად მიდიან. თორემ რა
იქნებოდა, რომ ეხლა ახალი ბინა და გზა ეძებნათ... ფოცხვერას შვილებსაც დასჭირდე-
ბათ გოდრის დაწნა...

მაშ...

— შენ შვილებსაც რო გამოადგეს!.. — წამოიძახა ხმა მაღლა ლომამ...

ფოცხვერამ შესწყვიტა ჩხაკუნი და მაშინვე შეეკითხა:

— რა გამოადგეს ჩემ შვილებს?..

— გოდორი!..

— რა გოდორი?

— რა გოდორს მიწნავს! შენთვისაც ხომ მოუნდებათ შენ შვილებს, როცა ჩემსავით
დაუსინათლოვდები...

ფოცხვერამ პირი დაალო...

შ. არავისპირელი

ბარაკი

თავმომწონ კრეტინთა პალაცო — ბარაკი...

ცვეთილი აზრები... ეგ სწორი ხაზები...

ერთი და იგივე დღე და ღამ არაკი.

ერთი და იგივე მყვირალა ფრაზები!..

ცვივიან ბაგეთგან სიტყვები... სიტყვები,

ვით მჩატე, უგულო, ჭიანი კაკლები!

დაძრწიან, ჰკრეფენ მათ სულელი ციყვები,

სულელი... არც მეტი და არცა ნაკლები!..

ტვინი არ მოძრაობს გაყინულ-დამზრალი,

ენა კი მოშლილი იძვრის და ლაქლაქებს!..

კაცუნა წუმპეში ყელთამდის ჩამძვრალი

ბეჯითად დაეძებს მზეზედა შავს ლაქებს!..

რა საშინელია კრეტინთა ბარაკი:
იქ ყველა დიდია, იქ ყველა გმირია!..
ერთსა და იმავეს გვიამბობს არაკი;
მკვდარ პაპსა სჯობია ცოცხალი ვირი აქ!

კ. მაყაშვილი

ცხოვრების ტალღებში

(დაუბეჭდავ რომანიდან)

I

მარცხი

— ალექსეი იგნატიევიჩ! ნებას მიბოძებთ შემოვიდე? — დაინკრიალა დერეფანში ქალის ხმამ.

სტუდენტმა ალექსი კამკამაძემ ყურები აცქვიტა და უპასუხა:

— რატომ... მობრძანდით!

ოთახში შემოვიდა დიასახლისი მარია პეტროვნა.

— უკაცრავად, აქაურობა ასე დაულაგებელია! — ლულულუღებდა ალექსი და თან ბლუზის საკინძეს იკრავდა.

— ეს სულ ჩემი ბრალია... დღეს ველარ მოვიცალე, ოთახი დამელაგებინა... ანაზდეულად სტუმრები მოვიდნენ, — ღიმილით ჩამოართვა მარია პეტროვნამ და ხელი გაუნოდა.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, ჩვენო ბერ-მონაზონო! რატომ არ გვენვიეთ, თქვენთვის ხომ არას მოვიმატებდით? — ნაზად უსაყვედურებდა მარია პეტროვნა და თან თვალებით ეშმაკურად უცინოდა.

— ღმერთს გეფიცებით, არ მეცალა... გამოცდები მაქვს... ხომ იცით, რა ძვირფასია დრო... დაბრძანდით! — მიუთითა სკამზე ალექსიმ, თვითონ კი მერხზე ჩამოჯდა.

— ძვირფასო ალექსი იგნატიევიჩ, მე ბოდიშის მოსახდელად გიახელით.. მოსამსახურე სახლში დამეთხოვა და თქვენთან სამოვრის შემომტანი არავინ არის. არ შეიძლება, ამობრძანდეთ ჩემთან, ზევით? იქ ყველაფერი მზად არის: ჩაი, დასანაყრებელი... ცოტა ღვინო.

— გამადლობთ დიდათ, მარია პეტროვნა! რალაც შეუძლოთა ვარ, ბევრი ვიმეცადინე და თავსბრუ მესხმის, — აღარ იცოდა, რა ეთქვა ალექსის.

— მერე რათა მეცადინეობთ მაგდენს, რატომ არ გაივლ-გამოივლით, არ გამხიარულდებით? თქვენ ახლა ტარბივით უნდა დატრიალებდეთ ახალგაზრდა ქალებში... არ მოეწონებთ თუ? — ალერსიანად უთხრა მარია პეტროვნამ და ისეთი თვალით შეხედა, რომ ალექსიმ უსიტყვოდ თავი დახარა.

უხერხული ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, ისე რომ ჩვენ კიდეც მოვასწრებთ რამდენიმე სიტყვის თქმას დიასახლისის შესახებ.

მარია პეტროვნა ანუ, როგორც მას უძახდნენ, „მადამ მარი“, ქვრივი იყო, 38—40 წლისა, მაგრამ არც ქვრივობასა და არც წლებს მისთვის ვერა დაეკლოთ რა: ტანადი თურაშაული ვაშლივით შეთქვირებული და დიდის გემოვნებით გამონყობილი, თაიგულივით გამონასკულიყო სკამზე და მშვენიერ დიდრონ ლურჯ თვალებს ციცუნისავით ნაბავდა,

რის გამოც გრძელი და ხშირი წამნამები მის კოპნია ცხვირს ჩრდილს აყენებდნენ. მაღალი გულ-მკერდი ყანასავით უღელავდა და თეთრ-წითური სახე სარკესავით უპრიალებდა. ქერა, ხშირი თმა ოქროს ზვინად დასდგომოდა კეფაზე და მარჯანა ტუჩები საყვარლად გაჰპობოდა. ამ წუთას სჩანდა, რომ ბუნებას იგი სააშიკოდ-სალალობოდ გაეჩინა, თუმცა სხვა დროს ვაგლახად ვერავინ რას შეჰკადრებდა: ამაყი იყო, ზოგჯერ უკმეხიც, თავისი თავისა და თავისი სილამაზის ფასი კარგად იცოდა. არც თუ უბირი, უვიცი დედაკაცი დაერქმეოდა — სახელოსნო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. ადრე გათხოვილი ადრევე დაქვრივებულიყო და დღეს სრულიად დამოუკიდებლად სცხოვრობდა. ქალთა ტანისამოსის სამკერვალს პატრონი, ათსა თუ თხუთმეტ გოგოს იმსახურებდა. კარგა ძალი ფულიცა ჰქონდა შემონახული შავი დღისათვის. კოპნია, მუდამ მოღიმარი და ინტელიგენტურ სიტყვა პასუხის მარია პეტროვნა ბევრ სასიძოს უმღელვარებდა გულს, მაგრამ დღევანდლამდე თავი ისე ეჭირა, რომ ყველა პირში ჩალა-გამოვლებული რჩებოდა.

დღეს კი?...

ველარავინ იცნობდა მარია პეტროვნას!

ალექსის დანახვამ პირველ დღიდანვე დაარღვია მისი სულის სიმშვიდე და ლაზლის ძაფივით დასწენა მისი აზრ-ფიქრები. ალექსისთან დაახლოვების სურვილმა ბუმბულივით აიტაცა მარია პეტროვნა და სულ მთლად დაუბნია ჭკუა-გონება, წაართვა ქალური კდემამოსილებაც კი.

მიზეზს ნუ იკითხავთ!

ვინ ჰკითხავს ქარს: რად აღელვებ ზღვასაო, ან ვინ ეტყვის ცეცხლს: რადა სწვავ თივასაო? სიყვარულიც ცეცხლია გულისა, ქარიშხალია ვნებათა-ღელვისა! ბევრჯელ დაიპატიჟა მდგმური-სტუდენტი თავისას მარიმ, ბევრჯელ გადაუგდო ანკესი ალერსიანობისა, მაგრამ ალექსი ან ვერ ჰბედავდა დაახლოვებას, ან ვერ ხვდებოდა ამ ანკესებს:

ვისაც ვინ უყვარს, იმის ლამაზი ის არის! ალექსისაც თავისი საკუთარი გრძნობათა ცეცხლი ეკიდა გულზე და ფიქრთა იალქნები სულ სხვა მხარეს მიაქროლებდნენ მის სურვილებს. მოთმინებიდან გამოსულმა მარიამ პირდაპირი იერიშის მიტანა გადასწყვიტა და სწორედ ამ განზრახვით მოვიდა ალექსისთან ამ საღამოს.

— მაშ, არ ამოხვალთ ჩემსას? — როდის-როდის დაარღვია სიჩუმე ისევ მარიმ.

— მაპატიეთ, არ შემიძლია მეთქი — აკი მოგახსენეთ!

— რატომ?.. გეჯავრებით?..

— რათ უნდა მეჯავრებოდეთ! — გაიკვირვა ალექსიმ.

— მაშ, მოგწონვართ?.. გიყვარვართ?

ალექსიმ განცვიფრებით შეხედა და წამოწითლდა.

— ალექსეი იგნატიევიჩ! ნუ თუ ვერა ხედავთ? — ენის მოკიდებით შეეკითხა მარია პეტროვნა, ჯერ სიყვარულით სავსე თვალებით შეხედა და მერე თავი დახარა. ტუჩები უთრთოდენ. სატირლად ემზადებოდა.

— რასა? — სიტყვა ბანზე აუგდო ალექსიმ და მღელვარების დასაფარავად პაპიროსს მოუკიდა.

— იმას, რომ... ვიტანჯები!

— არა მესმის რა! — მხრები აიწია ალექსიმ.

— მართლა რო ბრმა ყოფილხართ და ყრუ! — დაიხვავა ქალმა, სახეზე ხელები აიფარა და ყრუდ აქვითინდა.

ალექსი ზეზე წამოიჭრა, დაიბნა, დაიფანტა; აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა ექმნა.

— ნუ... ნუ გამწირავთ, მანუგემეთ! — სთქვა ქალმა და ხელები გაუწოდა. წამნამებზე ცრემლები მარგალიტივით გადმოჰკიდებოდნენ.

— რას ამბობ, ადამიანო, რა გვაქვს მე და შენ საერთო?

— ალექსეი იგნატიევიჩ! ალიოშა! ნუ ჯავრობთ, ძვირფასო... მიმიღე... მიმსახურე... უთქვენოდ... უშენოდ სიცოცხლე მიმწარდება...

— თქვენ ანგარიშს არ აძლევთ თქვენ თავს... მთვრალი ხომ არა ხართ?! ხვალ თქვენვე შეგრცხვებათ თქვენივე სიტყვებისა! — თქაფა-თქუფით სთქვა ალექსიმ, ხარივით შებღვირა ქალს და ქუდს მიაშურა.

— ნუ, ნუ წახვალთ! ნუ დამტოვებთ, ჩემო ძვირფასო! დიახ, მე მთვრალი ვარ, მაგრამ არა ღვინით, არამედ... შენის სიყვარულით. ალექსეი იგნატიევიჩ... ალიოშა! — წაეტანა ქალი.

— შეგაჩვენოს ღმერთმა! ეს რა ემშაკი გადამეკიდა! — წაიდუღუნა ალექსიმ ქართულად, ქუდს ხელი დაავლო და გარედ გავარდა.

მარია პეტროვნას განვდილი ხელები ჰაერში დარჩა... სიბრაზისა და სასონარკვეთილებისაგან თავზარდაცემულს მუხლები აუკანკალდა, სახე შეეშალა: მშვენიერი, ნაზი, ალერსიანი ქმნილება ძუ ვეფხვად გადაიქცა.

— ნავიდა!? მაგრამ სად, სად წამიხვალ? ამ დამცირებას არ შეგარჩენ, კავკასიელი თევზო! — ქვითინით წარმოსთქვა მარიმ და ბარბაცით გასწია შინისაკენ...

II

შეყვარებული

იმავე ღამეს მარია პეტროვნა პერანგის ამარა მიგდებულიყო ლოგინზე და ტკბილმწარე საგონებელს მისცემოდა.

ცრემლმა და ქვითინმა ვერ დაამშვიდა მისი ცეცხლმოდებული არსება, ჭაბუკის თავშეკავებამ ვერ ჩააგდო იგი გულისხმაში. პირიქით, რაც უფრო ბევრსა ფიქრობდა, მით უფრო ეღვზნებოდა, მით უფრო სასურველადა და სანატრელად უხდებოდა ალექსის სიახლოვე.

გავარვარებულ-ამრეზილი ოცნებით გამოჰკიდებოდა შავ-თვალა ყმანვილ კაცს და მზად იყო ერთი მისი დანახვისათვის გაენირა მთელი თავისი სიცოცხლე.

ჭერში ჩამოკიდებული ბღღვრიალა ლამფა განცვიფრებით დაჰყურებდა მეოცნებე ქალს და სანოლის პირდაპირ ამართული დიდი სარკე კედლისა აღბეჭდავდა ფიქრად ქცეულ დიაცის სახის ყოველსავე მოძრაობას.

სახე იგი კი ხან მაისის ვარდივით ღაჟღაჟდებოდა, მთვარიან ღამეს ბულბულის მოლოდინში საყვარლად რო გადაიშლება ხოლმე, ხან კი ბნელ ღამესავით პირქუშდებოდა, სანვიმრად მომზადებული ცა უკუნეთად რო აქცევს ხოლმე მიდამოს.

იმედი და სასონარკვეთილება, დათმობა და შურისძიება, პატიება და ზღვევა, — ეს თანამგზავრნი შეურაცხყოფილ შეყვარებულის გუნების ტრიალისა, — რიგ-რიგად ეჯარებოდნენ მარის გულს და ყველა ერთად დნებოდა იმ დაუშრეტელ ცეცხლში, რომელსაც, საზოგადოდ, სიყვარული ეწოდება.

მაგრამ ეს არ იყო სიყვარული ჯერედ უმანკო ცირასი, ნეტარებისა და ბედნიერების ცრემლებს რო აფრქევს ხოლმე შორს წასულ სატრფოს მოგონებაზე.

ეს არ იყო სიყვარული არც დედა-ქალისა, მთელი თავის არსებით რო ეწირება მამას თავის შვილებისას, დასაცავად ოჯახისა და მოვალეობისა.

ეს იყო აღტკინება ფურ-ირემისა, გზა-აბნეული რო ჩამოვარდება ხოლმე ბარად, როცა მთაში გულის ტოლი და სწორი აღარა ჰყავს.

ეს იყო გაბატონება ხორცისა სულზე, გამეუფება გულისა გონებაზე და...

მარია პეტროვნა სწყევლიდა თავის წარსულს, სწყევლიდა თავის ანმყოს, სწყევლიდა თავის მომავალსაც, თუ კი ალექსის ველარ ნახავდა და მის ღრმა თვალეში არ ამოიკითხავდა თავის სიცოცხლის ამოცანას.

„ნუ თუ სამუდამოდ გამშორდა? ნუ თუ მართლა იმდენად დავბერდი, რომ საზიზღარი ვიყო?“ — მეთათსედ დაეკითხა თავის თავს მარი, ქურციკივით წამოიჭრა ლოგინიდან, ერთი ხელის გაქნევით თმები ჩამოიშალა, პერანგი გადაიძრო და სარკესთან გაჩნდა.

ვით ტყის ფერია, ვით ხორცშესხმული გრძნეულება და ჯადოქრობა, ვით სულჩადგმული ვნებათა ღელვა და თავდავიწყება, დატრიალებდა მარია პეტროვნა სარკის წინ და მუშტრის თვალთ სინჯავდა თოვლის ფიფქივით სპეტაკ თვის ტანს, მარმარილოდან გამოკვეთილ თავის მხარ-ბეჭს, სპილოს ძვლებიდან გამონაკვეთულ ბორცვებს თავის მკერდისას, თხემზე რო მარჯნის მძივები გამონასკვოდა და ოქროს თმებში ხელებ გაყრილი უღიმოდა ვილაცას და რალაცას...

ტურფა მაცდურების მომზირალ სარკესაც კი ჟრჟოლის ოფლს ასხამდა და განცვიფრებული სარკე იგი თანდათან უახლოვდებოდა მარის, თითქოს ამ მაცდურების გულში ჩაკონებას ეპირებო.

— ვერა, ვერ ნაუხვალ ჩემს გრძნეულებას, ვერა! — ხითხითებდა მარია პეტროვნა და ალქაჯივით იმანნებოდა...

გათენდა. დღის სიცხადემ ყინულივით გაადნო ლამის ზმანებანი და მღელვარებისაგან დაოსებულმა მარია პეტროვნამ თვალი ველარ გაუხსნორა მზის პირველ სხივებს, რომლებიც სიცილ-კასკასით შემოეხვივნენ ლამაზი ქალის საწოლს. მარამ საბანი წაიხურა და დარცხვენით გაინაბა...

III

წერილის გამო

გავიდა ხუთი თუ ექვსი თვე. ალექსი კამკამაძემ მაშინვე გამოიცვალა ბინა. მარია პეტროვნას აღარსად არ შეხვედრია და დავიწყებასაც კი მისცა იგი...

ერთ მხიარულ საღამოს ალექსიმ მიიღო შემდეგი წერილი:

„ღრმად პატივცემულო ალექსი იგნატიევიჩ! უკანასკნელ დღეში ვარ, — ფილტვების ანთებით. იმ წყეულმა ექიმებმა საშინლად გამანვალეს. ჩემი ავადმყოფობა ჯერ ინფლუენცია ეგონათ, მერე სახადი, ახლა კი ფილტვების ანთებააო — მითხრეს — და თუმცა დიდად მაიმედებენ, მაგრამ მე ვგრძნობ, რომ ჩემი აღსასრულის დღეები მოახლოვებულია. თქვენ, მგონია, იცით, რომ პატრონი არავინა მყავს. ერთი ორი გროში მაქვს შემონახული... არ მინდა, რომ ჩემი მოწყობილი და შემოსავლიანი სახელოსნოც ოხრად დარჩეს. გადავწყვიტე, ჩემი ქონება ვუანდერძო რომელიმე დაწესებულებას... ბევრი ვიფიქრე და თქვენზე უკეთესი მრჩეველი ვერ გამოვნახე. გთხოვთ, გემუდარებით, მინახულოთ მომაკვდავი ადამიანი და უკანასკნელად მანუგეშოთ. თქვენი პატივის მცემელი მარია პეტროვნა“.

ალექსიმ მხრები აინია, თავი გადააქნ-გადმოაქნია, ჩაფიქრდა და სთქვა: „წავალ, თუ მართლა უჭირს რამე... ვურჩევ... ხომ არ შემქამს...“ და ამ სიტყვებით გარედ გამოვიდა.

მარია პეტროვნას მშვენიერი ატლასის საბანი წაეხურნა და თმა-გაშლილი მთვარესავით იწვა ფაფუკ ლოგინში.

ფარდებ ჩამოფარებული და ნახევრად დაბნელებული ოთახი საიდუმლოებით იყო მოცული, ირგვლივ სურნელოვანი წყალით იყო ნაბკურები და მდიდრულად მორთული ოთახი იგი სიყვარულის ღმერთის სადგომს უფრო ჰგავდა, ვიდრე ავადმყოფის საწოლს, მაგრამ მარია პეტროვნა მაინც იწვა და ელოდა...

ზარი დაირეკა. ქალი შეკრთა და ლოგინში გასწორდა. კვნესა დაიწყო.

მოსამსახურე გოგომ ფრთხილად გაალო კარი, ალექსი ავადმყოფის ოთახამდე მიაცილა და გამობრუნდა. ალექსი შეჩერდა. გული ცუდათ უცემდა.

— ვინ არის მანდ? მობრძანდით! — ნელის ხმით იკითხა მარამ.

ალექსიმ კარი შეაღო და კვლავ შეჩერდა.

— თქვენა ხართ, ალექსეი იგნატიევიჩ? გმადლობთ მობრძანებისათვის. აი, აქეთ, აქეთ მობრძანდით, მგონია, სკამი უნდა იდგეს... — უფრო ნაზისა და მისუსტებულის ხმით უთხრა პეტროვნამ და თვალებით სანოლისკენ იწვევდა.

— აი, სკამი... დაბრძანდით... ხელს ვერ ჩამოგართმევთ... ძალიან ოფლი მაქვს... დაბრძანდით, გეთაყვანეთ! — ხავხავებდა ავადმყოფი.

— რა მოგივიდათ, მარია პეტროვნა... არ გიხდებათ ავადმყოფობა! — თანაგრძნობით უთხრა ალექსიმ სხვა რომ ვერა მოახერხარა და სკამზე ჩამოჯდა.

— მე კარგადმყოფობაც არ მიხდებოდა... ყველა გამირბოდა... ყველა მერიდებოდა... მიიღეთ ჩემი წერილი?

— მივიღე... იმიტომაც ვიახელით, არა გიშავთრა, მალე მორჩებით, თქვენ ხომ ისეთი ჯანსაღი იყავით, რომ... — ლულულულებდა ალექსი.

— დიახ, ჯანსაღი ვიყავ, მაგრამ გატყდა ჯანი, დამელია გული, აბა, დახედეთ, ცარიელი ძვლები ღა ვარ! — ამ სიტყვებით ხელი გამოაცოცა საბნიდან, სანოლის ფეხზე მიმაგრებული გასაღები ელექტრონის ლამფისა გადაატრიალა, ოთახი საოცნებოდ გაანათა და საბანი გადაიხადა...

ლოგინში იწვა დედიშობილა მარი და ვარდის წყალით განბანილი მშვენება იგი ხელებ განვდილი, მიბნედილი გულში ჩაკონებას ემუდარებოდა...

ალექსის ჟრუანტელმა დაჰკრა, თვალთ დაუბნელდა და...

ნაწყმდა... ცთომილ იქმნა კამკამაძე, ვით „აბბატი მურე“ ზოლასი, ვით „ნმ. ანტონი“ ფლობერისა, ვით „განდეგილი“ ჩვენი ილიასი.

ია ეკლადე

მთის მეოცნებე

ოდეს შუქურა მთას გაუცინებს,
ჩვენი მეჯოგე გარეკავს ფარებს.
ლამის ვარამი გულს ვერ უმძიმებს,
რომ გარიჟრაჟი შეიხსნის კარებს.
გულ ხელ დაკრეფით ირჩევს ადგილებს,
ზვერავს ბეჯითად შორეულ ღრუბლებს:
გზათა გაკვლევას ცდა უადვილებს,
ხვალისთვის ნაცნობ ნიშანს იგულებს.
ინახავს აზრში მას მოთხრობისთვის.
დროზედაც იცის წერტილის დასმა.
არ დაითმოზა აზრი გრძნობისთვის,
მიზან შენონით კეთდება დასკვნა.
სალ ოცნებაში ჰაეროვანი
ვერ შესცურდება გველებს სრიალით.
ვერ გასტეხს მზერა გამბედოვანი,
ხმა შემპარავი ვერცხლის წკრიალით.

ხშირად გულს ლოდი დაეკიდება,
 გადაეშლება ფიქრები უღვთო.
 მაგრამ ხშირადვე გადაიდება;
 ჩაჰქრება ჭმუნვა და ქარი უფრთო.
 ფიქრნი თუ სევდებს დაუმძიმებენ
 ყოველ დღიურის შრომის და ჯაფის,
 ვარსკვლავნი ტრფობით გაულიმებენ,
 და ბედითობა ველარა სჯაბნის.
 გამოთხოვებულ არსებულ სჯულებს
 არ მოაკლებენ მინდვრები ალერსს.
 მთა გადაუშლის მგზნებარე გულებს
 და ქარიშხლისგან ამოთხრილ თვალებს.
 და ივლის ასე... მასთან იძინებს
 ნიავი ლამის, ზაური დღისა.
 დილის ვარსკვლავი კვლავ გაიცინებს —
 და მთას გაჰყვება მეუფე მთისა...

იასამანი

სალამი

შორეული სალამი... ძველს მეგობარს სალამი...
 ერთხელ მუდმივ ჩემთან იყავ... ერთხელ მხოლოდ ჩემი იყავ...
 მთვარის შუქზე ვფიცულობდით... ვარსკვლავები მოწმეთ გვყავდა..
 და სიყვარულს, ჩვენს ტკბილ ნამებს აღარ ჰქონდა დასასრული...
 დღეს მოსწყდით სევდიან გულს... დღეს არ ხარ ჩემთან ახლო...
 მტერმა სხვაგან გადაგკარგა... მტერმა გაგცა და გაგძარცვა...
 მაგრამ სხვაგან განდევნილი... უცხო ქვეყნად დარგული მუდამ თვალ-წინ მეველინები...
 გაზაფხულის ყვავილებში... თბილი ლამის ვარსკვლავებში შენ მახსოვხარ, შენზე ვფიცავ...
 და ჩემს გულში, მხოლოდ ჩემთვის დარდიანი სულ ვჩურჩულებ:
 — როდის მოვა, როდის ვნახავ?..
 რომ აღვენთო ძველებურათ ახალ-გაზრდულ აღტაცებით და იქვე შენს კალთებში
 მივიძინო, დავისვენო...

შორეული სალამი!.. ძველს მეგობარს სალამი!..
 დავიქანცე შენს ლოდინში... თმას ჭალარა გაერია და სიბერე მეპარება...
 მაგრამ გული არ ბერდება, ძველებურად ახალგაზრდობს.
 ამ ცივ ზამთარს, სევდით, ძაძით მოსილ დღეებს არად აგდებს და შენ გიხმობს,
 შენზე ფიცავს...

არჩილ რუხაძე

ი. გრიშაშვილი

ჩვენში თითქმის შეურყეველ მცნებად არის აღიარებული ის აზრი, რომ თანამედროვე ქართული პოეზიის განვითარების პროცესი უფრო მტკიცე ნიადაგზეა დამყარებული, ვიდრე ხელოვნების სხვა რომელიმე დარგის.

შეიძლება ეს იმიტაც აიხსნებოდეს, რომ ჩვენი ქვეყანა საუკუნოებით უფრო პოეზიის სამეფოდ არის მიჩნეული და არა ქანდაკებათა ჩამომსხმელთა, გამომკვეთელთა მხარედ.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია ჩვენთვის: თანამედროვე ქართული პოეზია უფრო მეტ ცხოველმყოფელობას იჩენს, უფრო დასრულებული და დამთავრებულია, ვიდრე სხვა რომელიმე დარგი ეროვნული შემოქმედებისა.

ამის ერთ-ერთი დამადასტურებელ ფაქტად შეიძლება ი. გრიშაშვილის პოეზიაც ჩავთვალოთ.

საქართველოში იშვიათია პოეტი თვისი შემოქმედების ორი ტომით.

მარტო ეს მხარე რომ მიიღოთ მხედველობაში, დიდ პლიუსად უნდა ჩაეთვალოს პოეტს.

ამბობენ: ი. გრიშაშვილმა ვერაფერი შემატა თავის პირველ ტომს მეორე ტომით.

მე არ შემიძლიან სავსებით დავეთანხმო ამ სიტყვების ავტორს.

თუ თანამედროვე პოეზიაში არსებობს სურვილი შაბლონის გადალახვისა, არის ძიება ახალისა და არის ამასთანავე ერთგვარი მიხნევა, ამგვარი ხალისი გრიშაშვილის პოეზიაშიც მოსჩანს.

პოეტი „ბარაშკაჯან“-ით მოევილინა მკითხველ საზოგადოებას ამ თხუთმეტი წლის წინად. ორიგინალური და ლამაზი იყო პოეტის პირველი გამოსვლა, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, შემოჭრა პოეზიაში თვისი გულწრფელი, უსათუოდ ორიგინალური, მაგრამ ამასთანავე ოდნავ ვულგარული ტონით, გრძნობით. ამ ლექსში სჩქეფდა პოეტური განცდა ყარაჩოღელისა დიდი მამულების ტემპერამენტით. აქ იყო, პოეტური თქმა ეშხით დამწვარ ქალაქელისა სიტყვათა ორიგინალურ ათამაშებით. აქ იყო, თუ გნებავთ, ის აუცილებელი ელემენტი ღვთაებრივისა, ის ძლიერი სულიერი განცდა, რომელიც ახასიათებს პოეტს, შემოქმედს.

შემდგომ: განმეორება იმავე თემისა, მაგრამ უფრო ხელოვნურად, სიტყვის დანმენდით, გაშალაშინებით.

კოცნა, ალერსით დათრობა, მკრთალი ეროტიზმი ხშირი ლაფსუსებით.

და კიდევ: გადამღერება — გადამღერებულისა, თქმა — უკვე თქმულისა, მიხნევა — უკვე მიხნეულისა.

და ბოლოს: „ტრიოლეტები შაითან ბაზარში“.

ტრიოლეტებით გამართლებულია მეორე ტომი პოეტისა. მეორე ტომის შედევრად უსათუოდ ტრიოლეტები უნდა ჩაითვალოს.

გრიშაშვილისთანა კარიერა პოეზიაში თანამედროვე პოეტებში არავის გაუკეთებია.

თუ „ბარაშკაჯან“ პრიმიტივი იყო, ანა-ბანა ახალგაზრდა პოეტისა, — „ტრიოლეტები“ დასრულებული ხელოვნური ნაწარმოებია დახელოვნებულ პოეტისა.

ტრიოლეტებში სჩქეფს ჭეშმარიტი ქალაქური სული ახალი მანერით, ახალი ფორმით განსაზღვრული.

აქ გრიშაშვილი ძველი აზრით — ახალია, ძველი გრძნობით — განახლებულია.

და ამაშია, თუ გნებავთ, მისი ძლიერება, მისი გამარჯვება.

ინტელექტის გაფართოება, ინტუიციის გაფაქიზება, გემოვნებათა გადახალისება, ახალ ღირებულებათა ხელ ახალი შეფასება, აი, უმთავრესი მიზანი, რომელიც ყოველჯამს უნდა ასულდგმულებდეს პოეტის შემოქმედებას.

ჭეშმარიტი პოეტის, უტყუარი ნიჭის სულისთქმა ამგვარია.

და გრიშაშვილმაც თვისი მესამე ტომით უნდა გაამართლოს ეს აზრი.

ჩვენ გვრწამს, რომ პოეტი ასეთი დიდი ტემპერამენტით, დაუშრეტელი გრძნობით უფრო გააძლიერებს, განაახლებს თავის პოეზიას.

ეს იქნება საუკეთესო კარიერა პოეტისა.

კ. აბაშიძე

მოლიერის 300 წლის დღესასწაული ევროპაში

მიმდინარე წელს შესრულდა 300 წელი საფრანგეთის უდიდესი მწერლის, უკვდავი კომედიების შემქმნელის მოლიერის დაბადებიდან (1622—1673). უწინარეს საფრანგეთში და მერე ყველგან ევროპაში ეს დღესასწაული აღინიშნა დიდის ზემიითა და აღფრთოვანებით. ევროპის ყურნალ-გაზეთები ეწირებიან მოლიერის ხსოვნას: მწერლები, დრამატურგები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, პოეტები, ვალად იღებენ, უძღვნან უკვდავ მოლიერს წერილები, სიტყვები, სონეტები. საფრანგეთის პრეზიდენტი მილიერან სიტყვას წარმოსთქვამს სორბონში, სადაც გაიმართა დიდი საღვთისაწაულო ცერემონია. პარიზის მუნიციპალიტეტი ნიშნავს იანვრის 16-ს მილოცვის დღედ და როგორც ფრანგები, ისე უცხოეთის წარმომადგენლები ულოცავენ ამ ბრწყინვალე დღეს პარიზს, მოლიერის მშობელ ქალაქს.

ძველ ლუვრის სასახლეში იმართება წარმოდგენა იმის აღსანიშნავად, რომ 1658 წ. საფრანგეთის მეფემ მოლიერსა და მის დასს პირველად დართო ნება „თამაშისა“ სასახლეში. სწორედ იმავე დარბაზში, იმნაირადვე მორთულში, სადაც მოლიერი პირველად გამოვიდა სცენაზე სასახლის წინაშე, დაიდგა მოლიერის პიესა. დარბაზი და სცენა სანთლით იყო განათებული და გობელინების ფარჩით მორთული. არაფერი აკლდა დეტალს მე-17 საუკუნის ცხოვრების სურათისას, გარდა იმისა, რომ დამსწრე საზოგადოება არ იყო მორთული უწყებული საუკუნის კოსტუმებში.

მეტად საინტერესო და საყურადღებოა თეატრალური ბერლინის მახვილობა: ბერლინის თეატრმა წარმოადგინა „ტარტიუფი“ თანამედროვე სახეებითა და კოსტუმებში, თითქო კომედიის მოქმედება წარმოებულყოფი მიმდინარე 1922 წ. ტარტიუფს ეცვა რედინგოტი, ელმარს უკანასკნელი მოდის კოსტუმი და სხ. წარმოდგენას დიდი შთაბეჭდილება დაუტოვებია და უკვდავ კომედიის უნივერსალური ხასიათი ცხადუყვია. ძველი პიესების მოდერნიზაციის (გათანამედროვების) იდეა არც ისე ახალია. ფრანგს Sarcey-ს ეკუთვნის პირველობა რასინის და კორნელის პიესების „გათანამედროვებაში“.

აღსანიშნავია სტატისტიკაც: 1680 წლის იანვრიდან 1922 წლამდე მხოლოდ ერთს Comedie Francaise-ს წარმოუდგენია მოლიერის პიესები 21,584-ჯერ (100-ჯერ მეტად წელიწადში). ცალკე: 241 წლის განმავლობაში „ტარტიუფი“ — 2, 202-ჯერ, „ექიმი ძალაუნებურად“ (un Medicin malgre lui) — 1702-ჯერ, „ძუნწი“ — 1601-ჯერ, „მიზანტროპი“ — 1302-ჯერ და სხ. მოლიერის პიესებიდან ერთიც — სრულიად უმნიშვნელოც კი — არ დარჩენილა, რომ რეპერტუარში არ ყოფილიყო და არ წარმოდგენილიყო. ასეთი ბედი არ ღირსებია არც კორნელს და არც რასინს, რომლის ბევრი ნაწარმოები დარჩენილია რეპერტუარის გარეშე. დასასრულ, არ შეგვიძლია, არ გამოვსთქვათ სურვილი, რომ მოლიერის 300 წლის თავის დღესასწაული აღნიშნოს ქართულმა მწერლობამაც და თეატრმაც. ორგინალური იქნებოდა, ბერლინის მსგავსად რომ ჩვენი თეატრის რეჟისორები „გათანამედროვებდნენ“ რომელსამე პიესას, მაგ. „ტარტიუფს“ ან „ძუნწს“ და ქართულ სახეებში მოგვცემდნენ მოლიერს. აზიურ სახეებშიაც თუ მოთავსდა მოლიერი, უნივერსალობა მისი სწორედ განსაცვიფრებელი იქნება.

ზაქარია ჭიჭინაძე

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ დაადგინა, გადახდილ იქნას ჭალარით შემოსილ მწიგნობარის ზაქარია ჭიჭინაძის 50 წლის მოღვაწეობის იუბილე, და დაუკავშიროს მას ქართული წიგნის დღესასწაული. მწერალთა კავშირის საბჭომ გამოსცა შემდეგი შინაარსის მონოდება:

„ქართული წიგნი სულია საქართველოს შემოქმედებისა. როდესაც მისი ისტორია დაინერება, იგი იქნება არა მარტო წიგნის, არამედ საქართველოს კულტურის ისტორიაც. იყვნენ და არიან საქართველოში მწიგნობრობის რაინდები. ისინი უანგაროდ ემსახურებოდნენ მისი აყვავების საქმეს. მათ შორის ყველაზე უფრო თავდადებული არის **ზაქარია ჭიჭინაძე**. 50 წლის განმავლობაში მოღვაწეობს ეს რაინდი ქართული წიგნისა. როდესაც იგი ამ ასპარეზზე გამოვიდა, თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ საქართველოში საზოგადოებრივი იდეებით გატაცებული პიროვნებები. **ზაქარია ჭიჭინაძე** თავდადებით შეუდგა უკეთილშობილეს საქმეს: მთელი საქართველო მოფენილია მის მიერ გამოცემულ წიგნებით. მან მრავალი ხელნაწერი პირველად გააცნო საზოგადოებას. მთანმინდის უბნები კიდევ ინახავენ ლეგენდებს იმის შესახებ, თუ ვის ჭერქვეშ იფარებდა თავს ჩვენი დევნილი ახალგაზრდობა, რომელმაც შემდეგ სახელი გაითქვა ლიტერატურაში, პოლიტიკაში და სხვ. ჩვენ არ მოგვწყინდება ამ სახელების ჩამოთვლა: შიო არაგვისპირელი, სილიბისტრო ჯიბლაძე, რამიშვილი, ნოე ჟორდანი, ფილიპე მახარაძე, ეგნატე ნინოშვილი, ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, თედორე რაზიკაშვილი, პოეტი პარმენ ცახელი, იოსებ დავითაშვილი, ნიკო მარი, ალექსანდრე ყაზბეგი, აკაკი წერეთელი, ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი. ამათი რიცხვი ასობით ჩამოითვლება. უფრო მეტია მათი რიცხვი, რომელთაც მიწერ-მოწერა ჰქონდათ **ზაქარია ჭიჭინაძესთან**: აკადემიკოსი მარი ბროსე, პროფესორი დავით ჩუბინაშვილი, პროფ. ილია ოქრომჭედლიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, პატრი მისხილ თამარაშვილი და სხვები.

„სამაჰმადიანო საქართველოში პირველად შეიჭრა ქართული წიგნი **ზაქარია ჭიჭინაძის** წყალობით, იქ მშობლიური ენის აღდგენის საქმეს მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მან. პირველს ეკუთვნის აგრეთვე წერილები ქართველ კათოლიკების შესახებ და დაკანონება სიტყვისა: „ქართველი კათოლიკე“. მან პირველმა დასწერა ქართველი ისრაელების ისტორია, მეტად მნიშვნელოვანი წიგნები ოსების და ლაზების შესახებ. მას ეკუთვნის საქართველოში პირველი წერილი „კარლ მარქსზე“ მისი გადაცვალების გამო 1887 წელს. პირველმა ახსენა ახალი სახელები საქართველოში: პრუდონი, ლუი ბლანი, რობერტ ოუენი, სენ სიმონი, ფურიე. ის თანამშრომლობდა საქართველოს ყველა გაზეთში და მათში დაბეჭდილი მასალები გამოვა რამდენიმე ტომი. რიცხვი ამ გაზეთებისა უდრის რამდენიმე ათას ნომერს. **ზაქარია ჭიჭინაძის** კალამს ეკუთვნის ორას ორმოცდაათამდე წიგნი. ამ რიცხვში დაბეჭდილია მხოლოდ ას თოთხმეტი, დანარჩენი კი, მეტად ძვირფასი მასალა, ჯერ კიდევ დაუბეჭდავია. ძნელია ჯერ კიდევ დათვლა იმ ავტორებისა, რომლებიც ცალკე წიგნებად გამოიციენ **ზაქარია ჭიჭინაძის მიერ**. მან მოიარა მთელი საქართველო, იგი სხვა და სხვა კუთხეში ჰკრებდა ხალხურ შემოქმედების ნიმუშებს, ლეგენდებს, ზღაპრებს, ლექსებს. ქართული ჟურნალ-გაზეთები სავსეა **ზაქარია ჭიჭინაძის** ისტორიული წერილებით, ქართული ლიტერატურის კორიფეები გულწრფელ დაფასებას პოულობდნენ **ზაქარია ჭიჭინაძესთან**. წინად უცნობი და შემდეგში განთქმული სახელები ხშირად პირველად იბეჭდებიან **ზაქარია ჭიჭინაძის** მიერ. ზაქარია ჭიჭინაძე ერთად ერთი ადამიანია, რომელიც პირადად იცნობდა ყველას, უძველესი ქართული ჟურნალის „ცისკარის“ თანამშრომლებიდან დაწყებული. იგი ერთად ერთი ინახავს ძვირფას მოგონებებს ქართული წიგნის აღორძინებისას. იგი გაპი-

როვნებული ტრადიციის ჩვენი მე-19 საუკუნის კულტურისა. იგი მუდამ სუნთქავდა ქართული წიგნის მალაზიების ჰაერით. მისი ტიპიური ბიბლიოფილის სახე მარად ანთებულია ქართული წიგნისადმი სიყვარულით. თვითონაც წიგნია ცოცხალი.

„დადგა დრო, როდესაც დაფასებულ უნდა იქნას ეს უბრალო, მაგრამ დიდი პიროვნება. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო მოუწოდებს მთელ საქართველოს მხურვალე მონაწილეობა მიიღოს **ზაქარია ჭიჭინაძის** საიუბილეო დღესასწაულში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს საზოგადოებრივი აზრი ლიხს იქითაც და აქეთაც ენერგიულად გამოეხმაურება ჩვენს მოწოდებას და ეს იქნება უკეთესი თავდები ამ დღის ბრწყინვალედ ჩატარებისა.“

* * *

პეტრე მირიანაშვილი (იხ. გაზეთი „ტრიბუნა“, №138) ზაქარია ჭიჭინაძის შესახებ სწერს: „მეთვრამეტე საუკუნის ისტორიაში იმას უდრის ვახტანგ VI, მაგრამ უპირატესობა ზაქარიას ეკუთვნის მაინც. როცა ვახტანგ ქართული კულტურის საქმეში ხშირად მბრძანებელი იყო, როგორც მეფე, მაგ. სხვას აბეჭდინებდა წიგნებს და ზოგჯერ თვით მუშაობდა როგორც მეცნიერი მწერალი, ზ. ჭიჭინაძე თვითონ იყო ამწყობი, თვითონვე ბეჭდავდა... და თვითონვე ავრცელებდა ხალხში... არც ერთი საკითხი აღძრულა მწერლობაში ისეთი, რომ ზაქარია ჭიჭინაძეს ან წერილი არ ეძღვნას რომელსამე გაზეთში, ან ბიოგრაფია არ დაენეროს იმ საკითხის გამო... ზ. ჭიჭინაძე ჩვენი ისტორიის ჭიჭიტანაშიაც ახერხებდა გაბედვას და გამოქვეყნებას ისეთი ამბებისას, რომლის არსებობაც მანამდის არავის ეგონა. ასეთი იყო, მაგ., საკითხი ერეკლე მეფის და გიორგი XIII-ის დროს საქართველოს რესპუბლიკის დაარსებისა, რომელსაც თაოსნობდნენ, სხვათა შორის, მაშინდელი კათოლიკე პატრები... ქართულ წიგნს იმაზე უფრო ენერგიული მეგობარი იშვიათად გამოსჩენია... სწორედ საკვირველია, როგორ ახერხებდა ერთი კაცი ამდენი წიგნების ბეჭდვას და გავრცელებას...“

პეტრე მირიანაშვილი კიდევ სხვა ბევრ ღვანლს აღნიშნავს ზაქარია ჭიჭინაძისას და დასასრულ სწერს:

„რაც ჭირი გადაუხდია ამ ქართველ კულტურ-ტრეგერს, დღეს ლხინად უნდა შეეცვალოს, და ლხინი იგი უნდა იქმნეს ზაქარიასთვის 50 წლის მოღვაწეობის იუბილე, რომელიც უნდა გადაუხადოს ქართველმა ერმა“.

* * *

ბ. თავზარაშვილი (იხ. გაზეთი „ტრიბუნა“, №142) სწერს: „არ არის არც ერთი ჰუმანიტარული მიმართულება საქართველოს ერის ცხოვრებაში, რომ ზაქარია ჭიჭინაძის კალამს არ შეესწავლოს და არ აენეროს. განსაკუთრებით იგი ძვირფასია, როგორც ისტორიკოსი. წიგნები, რომლებიც ზაქარიას კალამს ეკუთვნიან და ასწერენ საქართველოს განაპირა კუთხეებს, ძლიერ საინტერესოა არიან. ოსეთი, ოდიშ-აფხაზეთი, სამუსულმანო საქართველო, მესხეთ-ჯავახეთი, არტანუჯ-ლაზისტანი, ლივანა-შავშეთი, — ყველა ამის შესახებ ვრცელი მონოგრაფიები მოეპოება ზაქარია ჭიჭინაძეს.“

„აუარებელი პოლიტიკური ხასიათის შემთხვევა ჩვენი ისტორიის უკანასკნელ (მე-XIX საუკ.) ხანის არენაზე, რომელნიც ჯერ კიდევ უცნობი ან ნაკლებად ცნობილი იყვნენ ქართველ ფართო საზოგადოებისათვის, ისტორიის ენერგიულმა ებგურმა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადა და მისცა საშუალება მოზარდ თაობას გაცნობოდა ერის ახლო წარსულს.“

1804—6 წ.წ. მომხდარი პოლიტიკური აჯანყებანი დასავლეთ საქართველოში, 1812—32 და 1860 წლებში მომხდარი ამბები და შეთქმულებანი რუსეთის მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ... შეისწავლა და გამოსცა ამ იშვიათი ენერგიის პატრონმა ადამიანმა.

დიდი პიროვნებაა ზაქარია როგორც ბიოგრაფიცი, დაუფასებელია იგი როგორც საქრისტიანო, ისე კათოლიკური საეკლესიო მკვლევარი. არ დაუტოვებია აგრეთვე სტამბის და მკურნალობის ისტორია. ქალთა საკითხებზედაც მუშაობდა იგი, მაგრამ რომელი ერთი უნდა ჩამოითვალოს...

თუ ვისმეს სურს იხილოს ცოცხალი ენციკლოპედისტი, გაეცნოს ცოცხალ ისტორიულ სურათს, პირადათ განიცადოს წარსული მოვლენა საქართველოს ცხოვრებიდან, მან უნდა გაიცნოს ზაქარია და მოისმინოს მისი დინჯი გონივრული სჯა და აზრიანი ბაასი.

ამ მოკლე ხანში ქართველ საზოგადოების წინ წარსდგება ზაქარია ჭიჭინაძე, ქართველი ხალხი სიყვარულის გვირგვინით შეამკობს მის მოხუც სახეს, მის სპეტაკ შუბლს“.

* * *

რ. კ. გაზეთ „კომუნისტ“-ში (№40) სწერს:

„ქართველი მკითხველი, რა წრესაც უნდა ეკუთვნოდეს ის, კარგათ იცნობს ზაქარია ჭიჭინაძეს, როგორც ქართული წიგნის გამომცემელს და გამავრცელებელს. მისი იუბილე, ეს იუბილე იქნებოდა ქართული წიგნის, ვინაიდან ის ჩვენში ერთადერთი კაცი არის, რომელმაც 20—30 წლის განმავლობაში მარტოდ-მარტომ იკისრა ქართული წიგნის სისტემატიურათ გამომცემა და მისი გავრცელება ხალხში. ის ნამდვილი პიონერია ამ საქმის და თუ ქართული წიგნი მთავარი იარაღია ჩვენი მუშა ხალხის გათვითცნობიერებისათვის, მაშინ ზაქარიას მოღვაწეობაც ღირსია დაფასების და პატივისცემის ქართველი მუშათა კლასის მხრიდან...“

რუსეთის „60-იანი და 70-იანი“ წლები ჩვენებურათ 80-იანი წლებია, ეს ჩვენებური უტოპიური სოციალიზმის ხანაა. და აი, ამ ხანაში გამოდის ზაქარია ჩვენში ქართული წიგნის გამომცემლათ და გამავრცელებლათ. ის ამ დროს პირველი შეიჭრა ტფილისის მუშახელოსნებში, რომელთა შორის, როგორც თვითონვე ამბობს, „ჩვენებური პატრიოტიული წიგნის გავრცელება მოინდომა“, ვინაიდან ის მაშინ მისივე სიტყვით, „დიდი პატრიოტი იყო“. მაგრამ მალე შენიშნა, „რომ მუშა-ხელოსნებს პატრიოტობა არ აინტერესებდათ, არამედ სოციალისტური აზრები“. ამიტომ მან „აღლო აულო ამ მოვლენას და მუშა-ხელოსანთა ერთი წრე შეადგინა“, სადაც ის სოციალისტური შინაარსის წიგნაკებს კითხულობდა და რუსის სოციალისტ-რევოლუციონერების და ევროპის სოციალისტების ცხოვრება აზრებს აცნობდა.

საყურადღებო არის ის გარემოება, რომ მან ამ წრეში მეცადინეობა თავად ილ. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობით“ და „კაკო ყაჩაღით“ დაიწყო, ხოლო შემდეგ მალე გადავიდა რუსის და ევროპის სოციალისტთა ნაწერების გაცნობაზე.

ამ წრის ერთმა მუშამ, მიხეილ მეტეხელმა ხელნაწერი ჟურნალიც დააარსა, რომელსაც სახელათ „მუშა“ უწოდა და რომლის №№ ჩვენებური ცნობილი ანარქისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის მეოხებით მხოლოთ ბერლინის მუზეუმში იპოვება...

არაა ისეთი საყურადღებო წიგნი რუსული და ქართული, რომელსაც ზაქარია არ გაცნობოდეს.

ზაქარია გაეცნო მრავალ ძველ ხელნაწერს.

ზაქარიას 50 წლის განმავლობაში ქართული წიგნებით დატვირთულს ვხედავთ საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც ის ამ წიგნებს თითქმის მუქათათ ავრცელებს.

მას ვხედავთ საქართველოს ისეთ მივარდნილ განაპირა კუთხეში, როგორიც არის აჭარა, სადაც ის პირველი ცდილობს გაავრცელოს ქართული წიგნი, სადაც ის ამ მიზნით მაჰმადიანობასაც ეცნობა და ამ სარწმუნოების წიგნებსაც ქართულ ენაზე ავრცელებს.

ქართული წიგნი, — აი, რა იყო და არის ზაქარიას სატრფიალო საგანი და ამ საგანს შესწირა მან თავისი ახალგაზრდობა. დღესაც, ღრმა მოხუცების ჟამს, ის დაუზარებლათ, თავდადებით განაგრძობს თავის გზას: ქართული მწერლობის სამსახურს.

ის ცოცხალი მატყანა ჩვენი მწერლობის და ვისაც სურს, გაიგოს ჩვენი აზროვნების განვითარების ისტორია, ის ზაქარიას ვერ აცდება, მან უთუოთ მას უნდა მიმართოს და ისარგებლოს მისი მასალით.

ამიტომ ის ჩვენთვისაც ძვირფასია და ვუსურვებთ მას დღეგრძელობას“.

6. 6.

თედო რაზიკაშვილი

მიმდინარე წლის 19 იანვარს, — ნათლილება დღეს, — ქ. გორის მახლობლად, სოფ. ხელთუბანში მოჰკლეს ქართველი მწერალი თედო რაზიკაშვილი.

თედო რაზიკაშვილი მესამე ძმა იყო მგოსნების ვაჟა-ფშაველასი და ბაჩანასი. მარტო ამ სახელების ხსენებაც საკმარისია, რომ ქართველმა მკითხველმა მოიგონოს თედოს ვინაობაც. თედო ერთგული მსახური იყო იმ დიად ქართულ-ხალხოსნურ წმინდა და ფაქიზ პოეზიისა, რომელიც ასე ძალუმად და იმედიანად მოსჩქეფდა ვაჟას კალმიდან, ასე თავისებურად ყალიბდება ბაჩანას ჩანგში და ასე ვაჟკაცურად ჟღერდა თედოს ლექსებსა და მოთხრობებში.

გაიხსენეთ თედოს მშვენიერი, სიმბოლიური მოთხრობა „ფითრი“, მისი ლექსები „ნიკორა“, „მცხეთის ნანგრევებზე“, რამდენიმე ათეული სხვა მისი ლექსი და მოთხრობა, დაფანტული ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში: გაიხსენეთ მის მიერ დიდის გულმოდგინებით შეკრებილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშები (ლექსები, ანდაზები, არაკები, ზღაპრები), ეს ფასდაუდებელი მასალა ჩვენი ლიტერატურისათვის და დამეთანხმებით, რომ ქართულმა მწერლობამ დაჰკარგა დიდი მოამაგე, ნიჭიერი და თვალსაჩინო მუშაკთაგანი და დაჰკარგა იმ დროს, როცა თედო წელში გასწორდა ქონებრივად, დამნიფდა გონებრივად და გამოინაფა ცხოვრების სიდუხჭირესთან ბრძოლაში.

თედო ჯერ კიდევ ჯან-ღონით აღსავსე ვაჟკაცი იყო, გულგაშლილი, ვით ყვავილებით მოქარგული მდელი საქართველოსი, მხიარული, ვით მთის ნაკადული და მედგარი, ვით სალი კლდე ფშავეთისა, — თედოს მამეულისა!

მოჰკლეს თედო! მოჰკლეს ქართველი მწერალი! ვინ? რათა? რისთვის? — აი, ის საკითხები, პასუხი რომლებზედაც თვალწინ გადაგვიშლის ქართველი მამულიშვილის ბედსა და ყოფნას, საზოგადოდ, და თედოს სიმწარით დასრულებულ დღეებს, კერძოდ.

ამ ოცდა ცხრა წლის წინად თედომ წარჩინებულად დაასრულა გორის საოსტატო სემინარია და, ქართველი მშრომელი ხალხისადმი სიყვარულით გატაცებული, დადგა სოფლის მასწავლებლად ხელთუბანში.

იმ დღიდან დაწყებული, ვიდრე უღირსებმა ხანჯლით გული არ გაუპეს, თედო არ მოშორებია ამ სოფელს. აქვე შეერთო სომეხი გლეხის ქალი ცოლად (ხელთუბანში ძველთაგანვე ქართველებთან ერთად სომეხებიც სახლობენ), აქ შეიძინა პატარა მამული და თავისი დაულალავი შრომა-გარჯილობით ააყვავა და გაამშვენიერა როგორც თავისი სახლკარი, ისე მთელი სოფელი ხელთუბანი: თედო იყო მაგალითი და დამრიგებელი გლეხკაცობისა, მათში წიგნის შემტანი, მათი თვალის ამხელი. მთელი მეფჯრისხევის მიდამო მადლობითა და პატივისცემით იხსენიებდა მას.

რწმენით იგი იყო სოციალისტ-ფედერალისტი; კალმით — ხალხოსანი მწერალი, მოქმედებით — დაულალავი მუშაკი, სიტყვა-პასუხით — მეტყველი, ზრდილი და თავაზიანი, პურ-მარილით — საუკეთესო მასპინძელი, ვაშკაცობით — გულადი და მოურიდებელი, ვით ხირიმის ტყვია: სამშობლოს არავის შეაგინებინებდა, გლეხ-კაცს არავის დააჩაგვრინებდა.

შეიძლება ამისი ბრალიც იყო, რომ მას ჰყავდა ორი მოსისხლე მტერი: რუსის პოლიცია და სოფლის ჭამიები.

1906-7 წლებში, დიდი რეაქციის დროს, დამსჯელმა რაზმმა ზარბაზნებით დაუნგრია სახლ-კარი, თითონ თედო კი შეიპყრო და წამების შემდეგ, გააციმობირა.

ჩრდილოეთიდან დაბრუნებისას თედო გულგაუტეხლად შეუდგა მუშაობას და რამდენიმე წლის ტანჯვა-ვაება-წვალების შემდეგ ისევ ააგო სახლი, მოაკეთა მამული, გაიჩინა ფუტკარი, გააშენა ხეხილის ბაღი...

ქართველ მკითხველსა და ქართველთა ცხოვრების მკვლევარს, ალბად, კარგად მოეხსენება, რომ ასე წლის მონობამ, რუსეთის ცარიზმის დროის უკულმართად აგებულმა სკოლამა და ეკლესიამ, სასამართლომა და ყაზარმამ, დევნამ ყოველივე ქართველურისამ ბევრი ქართველი გადაადგო თავანკარი ქუჩიდან. გარდა ამისა, ვოსტორგოვების და მისი მიმყოლების ვერაგმა პოლიტიკამ და სიძულვილმა საქართველოსადმი, აამღვრია საქართველოში, — ნამეტნავად ამერეთში, — ძველთაგანვე შემოხიზნულ ხალხთა ახალგაზრდობის გულ-გონება და დღეს ქართლის ის სოფლები, სადაც სცხოვრობენ ოსები თუ სომხები, საუბედუროდ ჩვენდა, თითქმის ორ მოპირდაპირე ბანაკად გაყოფილან.

თედო რაზიკაშვილი სასტიკი და უღმობელი მამხილებელი იყო ყოველივე უსამართლობისა სოფლად, მოურიდებელი მდევნელი იყო იმ ნაძირალებისა, თუ ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებისა, — სულ ერთია შინაურებისა თუ გარეულებისა, — რომელნიც ასე უდიერად ატყუებენ და სჩაგრავენ ჩვენს გლეხკაცობას.

აი, ასეთმა მგელ-კაცებმა თუ ნაძირალებმა მოჰკლეს თედო რაზიკაშვილი და მოჰკლეს იმიტომ, რომ შურდათ მისი სიკეთე, თვალში ეკლად ეჩხირებოდათ მისი ქომაგობა ბეჩავ გლეხკაცობისადმი.

ამ უკანასკნელ დროს რამდენჯერმე დაჰპარეს თედოს წვრილ-ფეხობა, სკები, დაუნვეს თივა, ემუქრებოდნენ სიკვდილით...

თედომ დაიჭირა თავისი ქურდები და გადასცა სოფლის ხელისუფლებს, მოსაკლავად დამხდომებს კი ჯოხით ზურგი აუჭრელა: ვაჟკაცი იყო თედო, მკლავ მაგარი, ღონიერა, გულადი, ვაგლახათ ვერავინ რას დააკლებდა, მაგრამ...

დრო შეურჩიეს...

19 იანვარს თედო სტუმრად იყო მეზობლისას. ნასადილევს, შინ რო ბრუნდებოდა, სოფლის სამმართველოს კარებთან ერთმა მისგან მხილებელთაგანმა ჩხუბი აუტეხა და მეორე მიიშველია. თოფიც კი ესროლეს მოსაკლავად, მაგრამ ააცდინეს. მაშინ თედომ იძრო რევოლვერი, ერთი მძიმედ დასჭრა და მეორე კი იქვე დაანვინა უსულოდ.

არ გასულა ორი-სამი საათი, რომ თედოს მიერ მოკლულისა და დაჭრილის ნათესავეები მიიჭრნენ თედოსას, გაბანრეს იგი, შეათრიეს ერთს ბოსელში და იქ დახანჯლეს (გვამს აღმოაჩნდა სამოცზე მეტი ჭრილობა).

ყველაფერი ეს გამოიძია ცენტრალურ მთავრობის მიერ საგანგებოდ დანიშნულმა კომისიამ და ჯერ-ჯერობით ოთხი კაცი დაატუსალა, ოთხივე ადგილობრივი სომხები.

ასე უბედურად დაუბნელეს მზე იმას, ვინც მთელი სიცოცხლის განმავლობაში შესტრფოდა ხალხის ბედნიერებას, ვინც დაულალავად ამეტყველებდა ენას და აკვნესებდა ჩანგს ხალხის გამოსაფხიზლებლად, ვინც თავისი გრძნობა და ფიქრი შესწირა მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთა გაადამიანებას.

არ დაუფასდა თედოს ამაგი სიცოცხლეში, სამაგიეროდ მას ახლა გლოვობს ყველა ქართველი. ღირსეული პატივი სცა მას სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომაც: დროისა და გარემოების შესაფერი დიდებით გადმოასვენა თედოს ცხედარი დედა ქალაქში და მწერალთა პანთეონში, თავის სახელოვან ძმის ვაჟას გვერდით, მიაბარა სამშობლო მინას.

განისვენე, ძმაო თედო, სამარადისოდ... მოვა დრო და ქართველი ერი — შენი მადლიერი ქართველი ერი — უფრო განადიდებს შენს სახელს.

ლეო ნათაძე

მიმდინარე წლის თებერვლის სამს პარტახტიანი ტიფით გარდაიცვალა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლეო იაზონის ძე ნათაძე.

სწორედ იმ დღეებში იგი ხელოვნების სასახლეში აპირებდა საჯარო მოხსენების წაკითხვას შემდეგ თემაზე: „რიომის პრობლემა ქართულ პოეზიაში“. განცხადებები უკვე დაბეჭდილი იყო და საზოგადოება ელოდა მის სიტყვას, მაგრამ განსვენებულმა ეს სიტყვა თან ჩაიტანა ცივ სამარეში.

ლეოს სიკვდილმა მწუხარების ბურუსში გაახვია ყველა, ვინც-კი მის მოღვაწეობას იცნობდა. იცნობდა-კი ბევრი, ძალიან ბევრი, თუ პირადათ არა, გაგონილი მაინც ჰქონდა ხალხისათვის თავგანწირული მებრძოლის სახელი. ლეო ნათაძეს იცნობენ როგორც მწერალს, ავტორს კრიტიკულ წერილებისას, იცნობენ, როგორც საქართველოს დამფუძნებელ კრების თვალსაჩინო წევრს, იცნობენ მას საზოგადო მოღვაწეობის ყოველ დარგის ასპარეზზე. ლეოს ასე უდროოდ სიკვდილი დიდი დანაკლისია ქართველობისთვის. ვინ იცის, რაოდენი ბრწყინვალე ფიქრი, რაოდენი პერსპექტივა მოჰყვებოდა ასე შეუბრალებლად, ასე უდროოდ და დაუნდობლად სიკვდილის საზიზღარმა ცელმა...

მ.

„ვინ არის დამნაშავე?“

ნინო ნაკაშიძის პიესა „ვინ არის დამნაშავე?“ არ ყოფილა ჩვენი თეატრის რეპერტუარის მუდმივ სტუმრად, თუმცა კარგი ათეული წელია, რაც დანერილა და დაბეჭდილი კიდევ. ეს მაუწყებელია მხოლოდ იმისი, თუ როგორ ნაკლებად ვაფასებთ ჩვენს ეროვნულ შემოქმედებას, როგორ უბრალოდ ვკმაყოფილდებით ხშირად უცხოელ მწერალთა დრომოჭმული პიესებით. ტირილი კი ვიცით, რომ „ახალი არა ინერება რაო.“ ნინო ნაკაშიძის პიესა კი ღირდა იმათ, რომ რამპის სინათლის ღირსი ყოფილიყო ყოველ წლიურად.

ვერ ვიტყვით, რომ პიესა ნ. ნაკაშიძისა სავსებით აკმაყოფილებდეს თანამედროვე თეატრის მოთხოვნილებას, მაგრამ მასშია ბევრი რამ ინტიმიური, დრამატიზმით სავსე სცენები, ვნებათა განცდანი, რომელნიც პირდაპირ ყოველდღიურ ჩვენი ცხოვრებიდან ამოუგლეჯია ავტორს.

მიუხედავად გურიის ცხოვრებიდან ამოკრეფილი ჭახჭახა ფერადებისა, ადგილობრივი ცხოვრების გამუქებული კოლორიტისა, თვით ადგილობრივობის ილლიუზიებისა, ამ ნაწარმოებში ჩაქსოვილია საკაცობრიო აზრებიც, რაიც უფრო მეტად აღრმავებს და აფართოვებს თვითონ პიესის მნიშვნელობას. თითქმის ყველა ტიპი დასრულებულია. განსაკუთრებით ზედმინეწითია აზნაური ყარამან გერგილაძე და სალიხე. მიუხედავად იმისა, რომ პიესა ნატურალურია, მასში ხელოვნურად ობობას ქსელსა ჰქსოვს ბედისწერა. ეს განყენებული ცნება, რომელსაც მხოლოდ ისტორიულს ან და ლეგენდარულ შორეულ გმირებს თანა ადევნებდნენ ხოლმე სოფოკლე -ვერიპიდე თუ შექსპირ-კორნელ-რასინები, სეხნია ავტორმა რელიეფურად ამოჰკვეთა ბედისწერის შემადრწუნებელ პერსონაჟად, რომელიც მაშინაც კი ზარსა გცემთ, როცა სდუმს. ამ მხრივ ეს ოჯახური დრამა მალდებდა ჩვენს თვალში, თვისი სერიოზული განზრახვებით, აზრთა ჩაქსოვით, მოქმედ პირთა სულიერ ძალ-ღონის აჭიმვით და დრამატიულ კოლიზიის გარდატეხით, რასაც მივყევართ მეტისმეტად სამწუხარო, მაგრამ საბედისწერო აუცილებელობამდის.

რა თქმა უნდა, პიესას ახლავს დეფექტები, მაგრამ ყველა ეს მეორე ხარისხოვანია. მაგალითად, ავტორმა გაგვინახევრა არსენასი და ფატის დამოკიდებულება. ჯერ კიდევ სიკო არ იყო წასული ამერიკაში, რომ ფატის მოსვენებას არ აძლევდა არსენა. შემდეგ ფატიც მას ფარულ გრძნობით შესცივინათელბდა და თუ „იყავ ნება შენი“ დაავიანა, მხოლოდ იმიტომ, რომ ცოლქმრობის მორალი აკავებდა. ამ ფარულ გრძნობას ხომ ნილაბი უმალ ჩამოეცალა, როცა სატრფიალო საგანს ხიფათი მოელოდა. აქ ფატი აღმალდა და კოცნით დაადასტურა ბუნების გვირგვინოსნობა. და მართლაც, ცოლ-ქმრული სიყვარული ხომ მაღალი გრძნობაა და პატივსადებიც. მაგრამ ლიტერატურაში — როგორც ცხოვრებაში, მას ისეთი გამოძახილი არ მოუპოვებია, როგორც მეორე ჯურის ვნებას, როცა სიყვარული თავისუფალია და კანონმდებლად ერთად ერთი ბუნება მღვდელმსახურებს.

დადგმის მხრივ რეჟისორს ნუნუნავას საბაბი მისცემია ერთხელ კიდევ თავი ესახელებინა თვისი ულტრა რეალისტობით. განსაკუთრებით მას ბადალი არავინა ჰყავს მას-სიურ სცენების დადგმაში.

აღმასრულებლებში ფატის როლს ასახიერებდა ვერიკო ანჯაფარიძე. იქნება ნამდვილად ითქვას, რომ ანჯაფარიძე ამ როლებისთვის არაა დაბადებული. ქართულ სცენას მან აჩუქა უბინო იაუმას ბრინჯაოს მედალიონი და მით საძირკველი ჩაუყარა ჩვენს თეატრის იმ მომავალს, როცა ჩვენ გაზრდილნი, თამამად შევძლებთ მეტერლინკის პიესების გამზეურებასაც. ანჯაფარიძე იაუმამ უნდა გვაჩვენოს და-ბეატრისა, სელიზეტი და საზოგადოდ ყველა ისეთი პერსონალები, რომელნიც მთვარის სხივებით სინაზისა და გრაციის ქსოვილს წარმოადგენენ, ფატისთვის კი ჩვენ გვყვანან სხვა მსახიობნი. ნაზსა და ეთეროვანს ტლანქი რეალობა კი არა, არამედ ნოვალისის ცისფერ ყვავილის სურნელთა ფრქვევა შეჰფერის...

სალიხე — ნუნუნავას ასული პირდაპირი პოვნაა, შეძენა ჩვენი თეატრისთვის სასურველ ძალისა. გურული დედის ტიპი სრულმობხაზულობით ისე დაამთავრა, რომ გადაჭარბება არასფერში არ დასტყობია.

ასეთივე სრული და ზედმინევიტ ჩამოქანდაკებულ იქმნა აზნაური ყარამან გერგილაძე ჟორჟოლიანის მიერ. არ ვიცი, კიდევ შეიძლება ამაზე უკეთესი სახიობა, რომ მიეცათ გაქსუებული აზნაურიშვილის ასეთი საუცხოვო პორტრეტი? განსაკუთრებით შედევრად უნდა ჩაითვალოს სურათი ხელშეკრულობაზე ხელის მოწერისა, აქ ჟორჟოლიანი პირდაპირ ფენომენად იქცა. სიკოს როლს ვასაძე ასრულებდა მისი მდიდრული და დრამატიული ხმა სასურველ მომავალს უქადის მსახიობს. მართალია, როლი მას საკმაო ასპარეზს არ აძლევდა ნიჭის ფრთის გასაშლელად, მაგრამ რაც იყო, ყოველისფერი მგზნებარე ჩარჩოში ამოჰკვეთა.

კორიშელის სეხნია უფრო საუცხოვო ხორცშესხმულობა იქნებოდა ბედისწერისა, რომ მისი ბაბუა უძრაობას აღმატებოდა მისტიურ სამოსელით შესული ხმის ამოღებით.

არსენა ავტორის მიერ ფრთა შეკვეცილია და ლორთქიფანიძესაც არ ჰქონია დიდი გასაქანი, რომ ნიჭის უტყუარობაში დავერწმუნებინეთ.

პიესას წვრილმანი პერსონაჟებიც ახლავან. საზოგადო ფონზე მათი გამოჩენა სასურველ მთლიანობას აღწევდა, რაიც ერთხელ კიდევ რეჟისორის ნიჭს ზედმეტ პლიუსად უნდა ჩაეთვალოს...

დ. კასრაძე

ბიბლიოგრაფია

„ხომალდი“, ყოველთვიური სახელოვნო-სალიტერატურო ჟურნალი, №2, იანვარი, 1922.

„ჭეშმარიტი რეალიზმი“ ესაა საფუძველი, რომელზედაც „ხომალდის“ გარშემო თავმოყრილ მწერლებს სურთ ააგონ ახალი ლიტერატურული შენობა. ჩვენ არ შეგვიძლიან, არ მივესალმით ასეთ დასაწყისს. ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ამნაირი დიფერენციაციით არის შესაძლებელი ჩვენი პოეზიის საბოლოო გამარჯვება.

საჭიროა სასტიკი თვალყურის დევნება, რათა ჭეშმარიტი რეალიზმი არ დაეშვას უბრალო ტლანქ რეალიზმამდე. მაგრამ სრულიადაც საჭირო არ არის ჭეშმარიტი რეალიზმის დასასაბუთებლად ნიცშესა და ანდრეი ბელის ციტატების მიშველება. არ არის აგრეთვე საჭირო მაინცა და მაინც „ქვეყნის ოპტიმისტურად შეცნობა“, არც „დინამიური აქტუალობა“, არც ასეთი აბსურდის თქმა: „ჩვენ შემოქმედებაში პსიქიურ ძალთა კონფლიქტი არ გადადის მისტიციზმის პასიურ ჭვრეტის ბურუსში, არამედ პოულობს ჰარმონიულ სინტეზს დაგუბებულ ენერჯიის გაშლაში“, ერთის სიტყვით, „ხომალდისთვის“ უკეთესია უფრო გასაგები ენით ილაპარაკოს, უფრო ნათელი იდეოლოგია იქონიოს, და ერთი ნამითაც არ უნდა დაივიწყოს მეორე მხარე: შესაძლებლობა მრავალგვარ ავანტიურისა. ხდება ხანდახან, რომ ლიტერატურულ მიმართულებების ახსნაშიაც საჭიროა დიპლომატიური ხრიკების გამოხახვა: იხრებიან აქეთ, იხრებიან იქით, და ბოლოს არა რჩება-რა.

ჟურნალის ამ ნომერში მოთავსებულია ხარიტონ ვარდოშვილის ოთხი შედევერი „ლოცვა უბედურთათვის“, „ღმერთო ხსენებაზე“, „შემლილი წელი“, „ღამე — მაღალი კუბო“. ხარიტონ ვარდოშვილი წარმომადგენელია საქართველოში იმ პლეიადის, რომელთა გრძნობიერი მოტივი არის „ცხოვრების ღამითი მხარე“ (Ночная сторона жизни). ასეთი იყო ედგარ პო თავისი „ყორანი“-თ. ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს მისი ლექსი „ლოცვა უბედურთათვის“. სამწუხაროდ, ადგილი ნებას არ გვაძლევს აქვე მოვიყვანოთ ეს ლექსი. იგი დაწერილია 1920 წელს და არის პოეტის ერთი საუკეთესო ლექსთაგანი. გზა ხარიტონ ვარდოშვილისა არის სწორი გზა.

ლეო ქიაჩელის „სამკაულები“ დაწერილია მეტად ოსტატურად და ლეო ქიაჩელის დამახასიათებელი სტილით. „სამკაულები“ მართლაც საუკეთესო სამკაულია „ხომალდისა“. ამ ნაწარმოებით ავტორს შეუძლია იამაყოს, რადგან იგი დაამშვენებდა ქართულზე უფრო მდიდარ ლიტერატურასაც კი. მას მოაწერდა ხელს ყველა დიდი მწერალი სრულიად თამამად.

„სამკაულების“ კითხვის დროს გაგონდება პოეტი, მარად მეოცნებე უმშვენიერეს ქალზეა ისეთზე, როგორც წარმოდგენილი ჰყავს მას. მას მარად ესიზმრება ლაურა, ბეატრიჩე, მერი. მისი დულცინეა მუდამ განირჩევა სიშორით, მიუწოდომლობით, და პოეტი მუდამ დამარცხებულია, როგორც კი სინამდვილე უახლოვდება მას. უკანასკნელ სურათში პოეტი ურიგდება იმ სულიკოს, იმნაირ სულიკოს, როგორც ცხოვრებამ მას მოუვლინა. „მშვენიერების სამკაულია უმანკოება, ამბობს ქალი, ხოლო ათას უმანკოებისა და ათათას ქალწულობის ყვავილის, თუ გინდა, საუკუნისანი ცხადება ვერ შეედრება ნამდვილი ტანჯვის ნამიერ გაელვებასაც კი. დიად, გულმკერდს მიმკობს არა როგორც ოდესლაც, კოკორი ვარდის არამედ, ხედავ, სისხლიანი ნაფეხური ქუჩის ტლანქი ფეხისა... მაგრამ ჩემში ცეცხლი ანთია, პოეტო“. და პოეტს ესმის ხმა, რომელიც აქამდე არ სმენია, და დიადი განცდის შეგრძნობით, დაეშვება მუხლზე ქალის წინ.

ეს პიესა უსათუოდ უნდა წაიკითხონ ქართველმა რეჟისორებმა. მისი დადგმა მეტად დიდი ეფექტებით შეიძლება და უსათუოდ კვალნაუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენს. ეს პიესა შეიძლება იქცეს უძვირფასეს განძად ჩვენი თეატრის ახალ რეპერტუარში.

„ხომალდის“ ამ ნომერში მოთავსებულია ობოლი მუშის ექვსი ლექსი ერთი სათაურით: „მთებში“. პოეტი, შეგნებით რევოლუციონერი, არა მარტო ლექსებში ახსენებს სისხლისფერ დროშებს, მედგარ ბრძოლას, წითელ ტალღებს. ყოველივე ეს მან განიცადა პირად ცხოვრებაში. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციონურ მოძრაობაში, თავისი უკეთესი, ახალგაზრდა დღეები მეტეხში გაატარა. მთელი წლობით ციხეებში ყოფნამ წაუშლელი კვალი დასტოვა მის პოეტურ სულში.

„სისხლიან ტალღებში, სისხლისფერ ალამით
იბრძოდა განწირვით მამაცი მხედარი“.

ეს თავგანწირული მხედარი მას არადროს არ ავიწყდება.

„ოჰ, მთებო, თქვენ იცით ამ გზების სიშორე,
სად ბრწყინავს უკვდავი სულის მზე ნეტარი.
რომ გაჰქრეს ცხედართა სიშორე,
და აღსდგეს კვლავ ჩემი მხედარი!
არის მომენტები ღრმა მწუხარების...“

მაგრამ პოეტი უფრთხილდება თავის რწმენას, ეშინია არ დაკარგოს იგი.

„რწმენამა სული აშუქოს, მეტი არა მინდა-რა.“

ობოლი მუშა „ხომალდის“ უპირველესი თანამშრომელთაგანია, უიმისოდ წარმოუდგენელია ჟურნალი.

დემნა შენგელაიას „შემოდგომის ბინდები“ ცხადი მაჩვენებელია ავტორის უფაქიზესი სულისა. დემნა შენგელაია პოეტია ნუანსების. შემოდგომის მელანხოლია გადმოცემული აქვს ნელი ხაზებით, ნალვლიანი, ცისფერი პავილიონი, ტყეში შეშის პობა, იქვე ნახევრად დახეული და დამპალი ბონბონიერი და სხვ. დემნა შენგელაიასაგან ჩვენ ველით კიდევ უფრო უკეთეს ნაწარმოებს.

პოეტს იასამანს აწერილი აქვს ტფილისის საღამო:

„და ზარებს რეკენ მწუხრზე შეტევით,
ქალაქს სავსებით მატვია ძალა,
გამოეთხოვა სხივი მთანმინდას,
სერებით ბინდი გადმოიშალა,
აენტო გმირთა ნაძალადევი,
ჩაჰქრა მეტეხი — სთვლემს ნარიყალა.“

იასამანი საკმაოდ ცნობილი პოეტია, სამწუხაროდ, ჯერ არ გამოსულა არც ერთი იმის წიგნი, რომლითაც ფართო საზოგადოება გაეცნობოდა მას.

გიორგი ქუჩიშვილის ერთი ნოველა და ერთი ლექსი უთუოდ დაწერილია უკანასკნელ ხანში; საქართველოში არ მოიპოება არც ერთი პოეტი, რომლის ტემპერამენტი უთანაბრდებოდეს ქუჩიშვილისას. აუდიტორია ტაშისცემით გრგვინავს, როცა სცენაზე ჩნდება გიორგი ქუჩიშვილი, მქუხარე მომწოდებელი მისი ხმა არაჩვეულებრივ სიმძლავრეს იჩენს:

„ფრიალო კლდეთა მძლავრო არწივო,
მეფე არწივო, ფრიალო კლდეთა!“

მის. ბოჭორიშვილის მინიატიურა „ბარათი“ მშვენიერი ენითაა დაწერილი. მის. ბოჭორიშვილი ავტორია მრავალ ნოველა-მოთხრობისა. მის კალამსავე ეკუთვნის უამრავი ნა-

თარგმნი მასალა უცხო ლიტერატურიდან. გამოცემულია მისი მოთხრობების ტომი 1914 წ., ხოლო ამ ორი კვირის წინად გამოვიდა მისი მოზრდილი ნაწარმოები: „მეტეხი“. ყოველივე ამითი ავტორმა მოიპოვა სახელი სეროზული, დინჯი ბელეტრისტისა, „ხომალდში“ მოთავსებული მინიატიურა ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ რა გრძნობით, რა იდუმალი გულისტკივილებით სწერს ეს ავტორი თავის ნაწარმოებს: „სწერე სისხლით“ — ამბობდა ნიცშე.

საქართველოში სამოქალაქო მოტივების რევოლუციონური პოეზიის დირიჟორს იროდიონ ევდოშვილის შემდეგ იყო და არის ვარლამ რუხაძე. ვარლამ რუხაძე დიდად პოპულიარულია ხალხში, იგი ნამდვილი, ჭეშმარიტი რეალიზმის წარმომადგენელია. უკანასკნელი განიცდის სხვა მიმდინარეობათა გავლენასაც, იგი უმღერის მზეს, ცისკრის ვარსკვლავს და სხვ. ვ. რუხაძის უკანასკნელი ლექსი „ხომალდში“ საყურადღებოა მის პოეზიაში.

მიხეილ ბოჭორიშვილი. „მეტეხი“, ტფილისი, 1922 წ.

სუფთად, მშვენიერად გამოცემული ნაწარმოები მ. ბოჭორიშვილისა იწყება ასეთი შენიშვნით: „თქვენ, რომელნიც ყმანვილურ გატაცებით დაიფერფლეთ წამების კოცონზე. თქვენ, რომელთა წმინდა ხსოვნა არ ამეტყველდა უკვდავ ლეგენდებში... მიიძღვენით ეს სტრიქონები.“

დარწმუნებული ვართ, დიდის სიამოვნებით წაიკითხავენ ყველა ისინი, რომელნიც მხედველობაში ჰყავს მიხ. ბოჭორიშვილს, უკანასკნელს ნაწარმოებს ჩვენი ავტორისას.

წიგნი დაყოფილია თავებად, და თვითეულ ნაწილს ამშვენებს შესაფერისი ციტატები უკვდავი ავტორების: აქ არის გოეტე, ნიცშე, სიტყვები აპოკალიპსიდან და სხვ.

„მეტეხი“ მიხ. ბოჭორიშვილის სისხლით დაწერილი ამბავია. იგი საუკეთესო წიგნია ამ ავტორისა, წიგნი შეიცავს 64 გვერდს და ღირს მხოლოდ 30.000 მანეთი.

წიგნს ამშვენებს უცნობი მხატვრის საუცხოოვად შესრულებული ყდა მეტეხის სილუეტით.

ხელოვნების მათიანე

საქართველო

ზაქარია ჭიჭინაძის იუბილე. მოხდა ქართულ კულტურულ დაწესებულებათა თათბირი, რომელზედაც გადამყდა იუბილური გაიმართოს სახელმწიფო ოპერის თეატრში 23 აპრილს. იუბილურის ფართო ხასიათი მიეცემა. მწერალთა კავშირის კომისია, რომელშიაც მინვეულ იქმნენ აგრეთვე მსცოვანი მსახიობი და დრამატურგი ვალერიან გუნია, შალვა დადიანი, იუზა ზარდალიშვილი და სხვანი, ამ ჟამად დიდ მუშაობასა და მზადებაშია. იუბილურის შესახებ ერთი მოწოდება უკვე გამოიცა, მეორე ამ დღეებში გამოვა დაბა-ქალაქებში გასავრცელებლად. გადამყვეტილია აგრეთვე იუბილურისთვის გამოიცეს ზაქარია ჭიჭინაძის ვრცელი ბიოგრაფია. მხატვარმა მოსე თოიძემ უკვე დაამზადა დიდი პორტრეტი ზაქარია ჭიჭინაძისა ფერადი საღებავებით.

ზაქარია ჭიჭინაძის დაუბეჭდავი წიგნები. ზ. ჭიჭინაძეს გამოსაცემად დამზადებული აქვს 50 წიგნამდე, სადაც მრავალი ისტორიული მასალაა მოქცეული. არც ერთი წიგნი დღემდე არ დაბეჭდილა.

გრიგოლ ჩარკვიანი. ტფილისში გარდაიცვალა მწიგნობარი და მოღვაწე გრიგოლ ჩარკვიანი. განსვენებულის მოღვაწეობა მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს ეკუთვნის. ზაქარია ჭიჭინაძესავით გრ. ჩარკვიანიც ქართული წიგნის საქმეს ემსახურებოდა მაშინ, როცა ჩვენში წიგნი ასე იშვიათი და სანთლით საძებარი იყო. განსვენებულს

პატარა სტამბა ჰქონდა, სადაც წიგნაკებს ბეჭდავდა და ხალხში ავრცელებდა. მის კალენდრებს მთელი საქართველო იცნობდა. განსვენებულის დაკრძალვას დაესწრნენ მწერალთა კავშირის წარმომადგენელი.

გიონ საგანელი. სიცოცხლეს გამოესალმა ახალგაზრდა პოეტი გიონ საგანელი. განსვენებულმა სანამლავი დალია. ნაცნობ მეგობრებმა გაიგეს მაშინ, როცა უკვე გვიან იყო. ცხედარი ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წიგნი. ს. ფირცხალავას რედაქციით გამოვიდა ჩვენი უკვდავი პოეტის ნიკ. ბარათაშვილის წიგნი. შინაარსის მხრით ეს წიგნი იშვიათი გამოცემაა. თვით პოეტის ნაწარმოებისა და წერილების გარდა, წიგნში მოთავსებულია მრავალი საყურადღებო წერილი და მასალა. წიგნი სავსეა ძველი და ახალი სურათებით. სამწუხაროდ, გარეგნობით წიგნი არ არის ისე ლამაზად და კარგად გამოცემული, როგორც ეს თავდაპირველად იყო განსაზღვრული. ბიბლიოგრაფიას შემდეგ მოვთავსებთ.

ვასილ ბარნოვის ახალი წიგნი. გამოვიდა ვასილ ბარნოვის ახალი წიგნი „მუშა“, მოთხრობა. წიგნი დაბეჭდილია სახელმწიფო გამომცემლობის მიერ და შეიცავს 30 გვერდს.

პოეტის ალ. შანშიაშვილის წიგნები. სახელმწიფო გამომცემლობამ იკისრა პოეტის ალ. შანშიაშვილის თხზულებათა ორი ტომის გამოცემა. პოეტმა, რომელიც ამისთვის ეხლახან ჩამოვიდა ტფილისში, უკვე გადასცა სახელმწიფო გამომცემლობას მთელი მასალა ამ ორი ტომისთვის. მრავალი ნაწარმოები პოეტისა დღემდე ჟურნალ-გაზეთებშია გაფანტული და ეს პირველი ცალკე გამოცემა იქნება მისი თხზულებებისა. ეს მხოლოდ ნაწილი იმისა, რაც ახალგაზრდა პოეტს დაუწერია. მარტო მისი ორიგინალი ნაწარმოები შვიდრვა ტომი გამოვა. ამას გარდა მრავალი ევროპიელ კლასიკოსის ნაწარმოები აქვს გადმოთარგმნილი: გოეთეს „ფაუსტი“, პირველი ნაწილი, შილლერის „დონ-კარლოსი“ (ორივე გერმანულიდან), როსტანის „შორეული დედოფალი“, რამდენიმე თავი დანტეს „ღვთაებრივ კომედიისა“ და ბაირონის „დონ ჟუანისა“ და „ჩაილდ ჰაროლდისა“ და მრავალი სხვა.

შიო არაგვისპირელის წიგნი. შიო არაგვისპირელმა გამოსაცემად დაამზადა მოთხრობების მეხუთე წიგნი. წიგნს გამოსცემს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი.

პოეტის გალაქტიონ ტაბიძის მესამე ტომი. დამზადებულია გამოსაცემად აგრეთვე გალაქტიონ ტაბიძის ლექსთა მესამე წიგნი, მის ბეჭდვასა ახლო მომავალში შეუდგებიან.

ლეო ქიაჩელის მოთხრობები. განზრახულია ბელეტრისტის ლეო ქიაჩელის მოთხრობების ცალკე წიგნებად გამოცემა. გამოვა სამი წიგნი. მასალა მზად არის და მალე ბეჭდვაც დაიწყება.

ია ეკალაძის პიესა. ია ეკალაძეს განზრახვა აქვს გამოსცეს ცალკე წიგნად პიესა „ოცდა ერთი ჯვრით“. პიესა რამდენჯერმე დაიდგა ქართულ სცენაზე.

მ. ბოჭორიშვილის წიგნი. გამოვიდა ცალკე წიგნად მიხეილ ბოჭორიშვილის მოთხრობა „მეტეხი“.

ტერენტი გრანელის წიგნი. გამოვიდა პოეტი ტერენტი გრანელის ლექსების კრებული: „სულიდან საფლავები“. წიგნი 36 გვერდიანია.

ხელოვნების მოღვაწეთა კომიტეტის ბიბლიოთეკა. ხსენებული კომიტეტი შეუდგა ბიბლიოთეკის მოწყობას ხელოვანთა სასახლეში. სახალხო განათლების კომისარიატმა ნება დართო კომიტეტს, დაათვალიეროს ტფილისში არსებული ბიბლიოთეკები და წიგნთსაცავები და „ხელოვანთა სასახლე“-ში თავი მოუყაროს საუკეთესო წიგნებს მხატვრულ ლიტერატურის დარგიდან სხვა და სხვა ენაზე.

ფიროსმანიშვილის სურათი. ხელოვნების მოღვაწეთა კომიტეტმა შეიძინა „ხელოვანთა სასახლისათვის“ ფიროსმანიშვილის დიდი სურათი.

ლიტერატურული ხუთშაბათები. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი კვლავ განაგრძობს ლიტერატურულ ხუთშაბათების მართვას. ბოლო დროს შემდეგი ხუთშაბათე-

ბი გაიმართა: მეცხრე — გრიშაშვილი: „ჰაზირა“, მეათე — რაჭველიშვილი: „თეიმურაზ პირველი“, მეთერთმეტე — ლეო ქიაჩელი: „რომენ როლანი“, მეთორმეტე — ი. ვართაგავა: „გრიშაშვილი“, მეცამეტე — ალ. ნერეთელი: „შანშიაშვილი“, მეთოხმეტე — ი. ნაკაშიძე: „რომენ როლანი“. მეხუთმეტე — კ. გამსახურდია: „შპენგლერი“.

ბაჩანას სალამო. განზრახულია ამ ახლო მომავალში ტფილისში გაიმართოს პოეტის ბაჩანას (ვაჟა-ფშაველას და თედო რაზიკაშვილის ძმა) სალამო. მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, მსახიობნი და სხვანი.

„სურამის ციხე“ კინოსთვის. უკვე შეუდგენენ „სურამის ციხის“ დამზადებას სინემა-ტოგრაფისთვის. ამ აზრით პერესტიანი თავისი დასით გაგზავნილია სურამში.

განდეგილი. მძიმე ავადმყოფობა გამოიარა პოეტმა ქალმა განდეგილმა (დომინიკა ერისთავმა). ამ ჟამად იგი კარგად არის.

ივანე გომართელი. მწერალი ივანე გომართელი ავად იყო ჭაჭების ანთებით. ეხლა იგი სრულიად განკურნებულია.

ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი გრიგოლ ზოდელისა: „დალურსმული ხელები“. წიგნი გამოცემულია კარგად და შეიცავს 16 გვერდს.

უცხოეთი

პოეტი ქალი – აკადემიის წევრი. ბელგიის ლიტერატურულმა აკადემიამ (ფრანგული ენისა და ლიტერატურის აკადემია) დიდის ზემოთ იდღესასწაულა პოეტი ქალის ნოაილის წევრად ჩარიცხვა. ეს პირველი მაგალითია ევროპაში. ფრანგული პრესა აღნიშნავს, რომ ბელგიის აკადემია უფრო ლიბერალური და სტუმართმოყვარე აღმოჩნდა, ვიდრე ცნობილი აკადემია საფრანგეთისა, რომელიც კარჩაკეტილია და ძველი წესებისა და ადათების დამცველი.

პირველი აკადემიკოსი მწერალი ქალი ქ-ნი ნოაილ დაბადებულია და აღზრდილი საფრანგეთში. მამით რუმინელია, ხოლო დედით — ანდრე შენიეს მსგავსად — ბერძენი. იგი ეკუთვნის არისტოკრატიულ წრეს (La Comtesse deathieu de Noailler). ამ გარემოებით არ აიხსნება, რომ მისი აკადემიაში მიღების დღესასწაულს დაესწრნენ ბელგიის მეფე და დედოფალი, აგრეთვე უცხოეთის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, მეცნიერები, — ქ-ნი ნოაილ ცნობილია ევროპაში როგორც ავტორი Forces éternelles-ის (მარადიული ძალები) და თანამედროვე ბელგიის პოეტებში პირველთაგანია.

რომანისტმა მორის ვილმოტმა, რომელსაც ჰქონდა აკადემიის მიერ დავალებული ახალი წევრის მიღება და სიტყვა, აღნიშნა ქ-ნი ნოაილის პოეზიის მთავარი ღირსებები, რომლებიც გამოიხატებიან ქალურის და ვაჟურის სინტეზში, აგრეთვე აღმოსავლურისა და დასავლურის შეთავსებაში — ერთის მხრით, და ბერძნულისა და რომანულის სულის ათვისებაში — მეორეს მხრით.

დავინყებული პოეტი. ჰენრი ჟირარმა სორბონში წარადგინა თვისი სადოქტორო შრომა პოეტის ემილ დეშამპის შესახებ, რომელიც მის დროს (1830 წ.) რომანტიზმის პიონერთაგანი ყოფილა საფრანგეთში, ხოლო მერე კი დავინყებული. ჟირარის აზრით, უსამართლო და შემცდარია აზრი, რომელიც ჟან-ჟაკ-რუსსოში ხედავს მთავარს სათავეს რომანტიზმისას საფრანგეთში. თუმცა ჟირარი მეორე ხარისხოვან პოეტად სთვლის ემილ დეშამპს და სულაც არ აზვიადებს მის მნიშვნელობას, მაგრამ ამ პოეტის შესწავლამ მას მისცა მტკიცე საბუთები იმის დასამტკიცებლად, თუ რა გავლენა ჰქონდა უცხოეთის რომანტიულ ლიტერატურას ფრანგულისაზე და საზოგადოდ იმ დროის საფრანგეთის ცხოვრებასა და მორალზე.

ემილ დეშამპის პოეზიას იმდენი მნიშვნელობა არა ჰქონია, რამდენიც მის თარგმანებს, რომლებითაც ის პირველად აცნობდა საფრანგეთს უცხოეთის მწერლების საუკეთესო ნიმუშებს: შექსპირის (მაკბეტი, რომეო), შილერის (Ba Cloche), გოეტეს (La Fiancée de corinthe) და სხ., ინგლისელ, გერმანელ, ესპანელ მწერლებისას. დეშამპს დაუნყია წერა იმპერიის დროს ტრუბადურული პოეზიის გავლენით. მერე ქ-ნ სტალისა და შენიეს გავლენის სფეროში მოქცეულა. აქედან იწყება მისი დაახლოვება ფრანგულ რომანტიზმის სკოლის გამოჩენილ წარმომადგენლებთან. მე-XIX საუკუნის სული მთელის არსებით ჰქონდა შესისხლბორცეული და ვოლტერისა და ჟ. ჟ. რუსოს იდეებით გატაცებული, ის მუდამ ოცნებობდა პოეზიაზე და მის განახლებაზე. აღსანიშნავია მისი პიროვნების გავლენა ლიტერატურულ წრეებზე. დიდ ხანს იყო დევიანის მეგობარი. მერე ე. ჰიუგოსი. მას დიდად აფასებდნენ ლამარტინ, გოტიე, ბალზაკ, მიუსსე, სენ-ბიევი... სცხოვრობდა 1871 წლამდე. უკანასკნელს წლებში დასნეულდა, დაბრმავდა. დარჩა მარტო: ძველი მეგობრებიდან, მისი დროის დიდი პოეტებიდან არავინ დარჩა ცოცხალი. ცხოვრების სიმწუხრეს უმსუბუქებდა მოხუც პოეტს ახალი თაობის პატივისცემა და სიყვარული, რომლითაც იგი დააჯილდოვეს: ლეკონტ დე-ლილმა, ბანვილმა, ბოდლერმა... მთელმა პარნასმა. თაყვანის მცემელთა რიცხვში იყვნენ აგრეთვე პ. ვერლენ და სტ. მალარმეც.

„ახალგაზრდა პოეტებს უყვარდათ იგი, — ამბობს გოტიე, — და გარს ეხვეოდნენ, როგორც წიწილები დედას. დეშამპმაც იცოდა ახალგაზრდობის გამხნევება... მისი ეჭვების გაფანტვა.“

ჰიუსმანის ერთი პირველი რომანთაგანი — Mahpet — მეორედ გამოიცა.

ევგენი მონტფორტის ხელმძღვანელობით გამოიცა ფრანგული ლიტერატურის უკანასკნელი 25 წლის ისტორია (1895—1920 წ.)

რემი დე-გურმონის „რჩეული ფურცლები“ გამოიცა მარსელ კულონის რედაქტორობით.

გადართარგმნა ფრანგულად დ. მერეჟკოვსკის ახალი რომანი „Le Mutle roi“.

„ხაზართა სასძლო“¹

(რომანი)

— აი, შვილო, დახედე ამ გამჭვირვალე მყინვარს. საშინელი შხამია ეს! რომ დაასველოს ენის წვერით და შეისუტოს ადამიანმა, მყის გააქრობს, წამს გაათავებს. შეუძლებელი შეიქმნება ხსნა. ასპიტის გესლზე უძნელესია.

— გამოუცდელ ქალს ამისთანა საშინელი თილისმა, დედოფალო?!

— ეს ჯადო ჩვენს გვარში უმშვენიერესისადმი გადადის მემკვიდრეობით. იმედი მაქვს, არ დასჭირდება მისი გახსნა, როგორც არც სხვას დასჭირდა აქამდის, თუმცა ბედმა ძნელმა სიმწარე ბევრი განგვაცდევინა.

— თავის მოკვლა, დედოფალო, საშინელი ცოდვაა, უპატივებელი! — წარმოსთქვა კათალიკოსმა.

— ჭეშმარიტს იტყვი, სჯულის დარაჯო! გარნა შეუნდობს ყოვლადსახიერი შემცოდეს, უკიდურეს განსაცდელისაგან იძულებულს: შეეცინებას, ზნეობრივ სიკვდილს ხორციელად სიკვდილი ემჯობინება. — მიუგო დედოფალმა.

1. იხ. „ლომისი“, №5.

და მიუბრუნდა ქალს:

— კვლავ გეტყვი, საყვარელო: ხელი უნდა ჰყო ბეჭედს უკიდურეს შემთხვევაში, როცა ყოველივე სხვა გზა ხსნისა დახშული იქნება. ვსასოებ, არ გაგვნირავს ყოვლად მოწყალე და შენც ამგვარივე დარიგებით ოდესმე გადასცემ მაგ თილისმას სხვა მშვენიერსა, დამამშვენებელს ჩვენის გვარისა...

— შეასხენი თვალი! ისევ გაუკეთე!

ქალი დამორჩილდა.

— გქონდეს ეს ბეჭედი. ჯვართან ერთად ატარე გულზედ, წმინდა ნაწილთან. ხელზედ საფრთხილოა: ძვირფასი ნახჩისაა, ჯავარსრული ქვა უძევს პატიოსანი და ადვილად მიიზიდავს ავ თვალს. — უბრძანა ქალს.

და მიჰმართა მეინახეთა:

— შუშანს ვაძლევ ამ ძვირფას სამკაულს საბედისწეროს, რადგან მზეთუნახავი რომ არის, ყველაზე მეტი საფრთხეც ამას მოელის.

ცრემლი მოერია დედოფალს, ხმა აუთრთოლდა. შუშანმა კოცნით შეუშრო მას დარდის ნამები.

დედოფალმა უძღვნა გახსნილ საუნჯიდან ყველა თვის ქალს შესაფერი სამკაული. უბოძა სახსოვარი სხვა იქ დამსწრეებსაც, ყველას. გადასცა ზინეთი თვის ვაჟებს — იოანეს და ჯუანშერს. დალოცა გულამომჯდარმა შვილები და ისინიც, ვინც მათთან ერთად მიდიოდნენ დასავლეთისაკენ, ისინიც, რომელნიც რჩებოდნენ აქვე, აღმოსავლეთში.

— მე აქვე დავრჩები, ამ სავანეში, მამის წმიდა საფლავის მახლობლად: ჯერ მისი სული ისევ თავს დასტრიალებს აქაურობას. — სთხოვა დედას მირანდუხტმა.

— მაგრამ, ბატონიშვილო, ნამებულის აჩრდილი ხომ თავს დასტრიალებს მთელ საქართველოს. — უთხრა ვეზირმა.

— და სამუდამოდ თავს შემოევლება თვის წმიდა ქვეყანას ჟამთა დასასრულამდე. — დასძინა პატრიარქმა.

ჯუანშერიც მალე უნდა გამგზავრებულიყო, დამკვიდრებულიყო ლაკვასტის ციხეში და იქიდან ეწარმოებინა ქვეყნის მართვა თუ ლაშქრის შეკრება.

— თვალხმიერად უნდა იყვეთ. გახსოვდეთ, ამ მთების იქითაც დაუძინებელი მტერი გყავს ეხლა, ოდესმე ჩვენგან უარყოფილი მოყვრობის მსურველი. — სთქვა ამირსპასალარმა დაბეჯითებით.

— სიფრთხილეს თავი არ ასტკივა, მაგრამ არა მგონია ხაზართა ხაკანი კიდევ ჟინიანობდეს და მრისხანებდეს: ჩვენი მზეთა მზე უფლისწული ხომ ჯერ არ უნახავს მას, რომ გამიჯნურებულიყოს, აუხსნელად დაბმულიყოს ამის ბადეში. — დაამთავრა საუბარი სახლთუხუცესმა.

და მამობრივი სიყვარულით გარდაჰხედა ამ სიტყვებზედ შეწითლებულს მშვენიერებას. ამ ბჭობისა და მსჯელობის დროს, როდესაც უდიდესი ყურადღება ჰქონდათ მიქცეული მძიმე სახელმწიფო საქმეებისადმი, დიდ მზრუნველობას იჩენდნენ ბატონიშვილ შუშანის შესახებაც, რადგან იგიც განძი იყო ფასდაუდები, საუნჯე უძვირფასესი, ალბეჭდილი დიდის სურვილით უძლიერესის კეისრისა და მისი დაფარვა უფრო ძნელიც იყო, სანამ ყოველი სხვა საუნჯისა.

ამაოდ ნუგეშობდნენ, ხაზართა ხაკანი გადაივიწყებდაო უძლიერეს მისწრაფებას თვისის გულისას, დაივიწყებდაო შუშან მშვენიერს. არც გაჰქარვებოდა ხაკანს იგი გულისთქმა, არც დასცხრომოდა; ალტკინებულ ცეცხლად გარდაჰქმნოდა იგი მას, უნელებლად, რომელიც ისე ძლიერდებოდა წინ დახვედრილ დაბრკოლებათაგან, ვით ნიაღვარი მის წინ აღმართულ საბრკოებისაგან, სად აღქაფებული ზვირთები მოზღვავებულის ღვარისა დულან ბოროტად, რომ

საზარლად აქორჩილნი ეკვეთონ დაბრკოლებას, ნალექონ იგი, მოფხვრან საძირკვლიანად და წაესწრაფონ წინ. მძლავრად აბორგებდა კეისარს იგი ვნება, საშინლად აღელვებდა სურვილთა აღსრულებას ნაჩვევს და მმუსრავ ძალად ამოქმედებდა ბოროტად. თრთოდა მთელი მისი საბრძანებელი მის მრისხანების წინაშე, უნელეღელ ბოლმისაგან ნანვევ მრისხანებისა.

ხაზართა ხაკანის ტანჯვა დაიწყო კარგა ხნის წინად. ძლიერდებოდა იგი ტანჯვა თანდისთან და ან აუტანელად შეიქმნა პირად მისთვის, უფრო მძიმედ მის გარემო მყოფ დიდებულებისთვის, მთელი მისი საბრძანებლისთვის. უზომოდ განდიდებული ყეინისთვის ხაზარეთისა ერთერთ საგანს თვითმოყვარებისას შეადგენდა მის ცოლთა კრებული და მათი სავანე. ჰსურდა, მის მეუღლეთა სახე და მათი სასახლე სიმშვენიერით თუ სიდიდით საარაკო შექმნილიყო, იგავად დასადები მთელ ქვეყანაზედ.

— ზღაპრული ბალ-პალატები სადგომად მნათობთა ჩემთა! მეუღლეთა სიმრავლე გარდარეული! სიმშვენიერე მათი გარდამეტებული! ხოლო მათ შორის უდარებელი ქალი მუშანი, ქართველთა გვარი... ეტყვის იგი ჩემს გარშემო შემოკრებულ ასულთ მშვენიერთ ყველა ქვეყნისა: ეჰა, იხილეთ სიტურფე ჩემი, კეთილქმნილებო! მეფე თქვენი შებყრობილ არს ჩემის მზეობით. დამეძებს იგი ბინდ სალამოს ვარსკვლავთა შორის ახლად ჩენილთა, ხოლო განთიადს შუქთა შორის მღიმარე მზისა; ახალ გაზაფხულს ყვავილთ შორის სუნნელოვანთა, ხოლო მწიფობას ნაყოფთ შორის ტკბილგემოვანთა. დამეძებს მე თქვენი მეუფე! ნიავსა სთხოვს ასმინოს მას ჩემი ხმა ტკბილი. ნუ განრისხდებით, ლამაზნო, ჩემზედ, ნუ აღბორგდებით შურისძიებით: თვითონ დამეძებს მე! მიყვარხართ მე თქვენ, დებად გიგულეთ... — მსწრაფლ აღშენდეს იგი სასახლე არეს მშვენება! მყის დაივანოს ბროლის კოშკში მნათობთა ჩემმა!..

და ეს ციხე-დარბაზი სწრაფად შენდებდა ითილში, ხაკანის სატახტო ქალაქში. ბიზანტიის კეისარმა აახლა მას საუკეთესო ხუროთმოძღვრები და მათ ხელქვეით მუშაობდა აუარებელი რიცხვი მონათა. იპნეოდა ურიცხვი ოქრო, ხალხის სიმდიდრე. დასრულდებოდა და შეიმკობოდა ციხე-დარბაზი. ხოლო ჯერ არ იყო მის ცოლთა შორის უბინდო იგი ვარსკვლავი უდარებელი. ჯერ არ აღმობრწყინებულიყო ხაზარეთის ცაზე ტაგრუცი იგი სრულის სიმშვენიერისა, მცხინვარე ასული ნათელის სამხრეთისა. მალე იქნება! დაბრუნდებიან ჩემგან ელჩებად გაგზავნილები, თან მოიყვანენ ჩემს ახალს სულსა, ჩემის არსების დამატკბობელსა.

— ღვთის შვილი ხარ, კაცთა შორის რჩეული და შეგშვენის ნეტარება უჩრდილო, საზღაპროდ შექმნა შენის დიდების.

— მაინც ჯერ არა ჰყვავის ჩემს საკარდებში კოლხიდის ყვავილი უდარებელი.

— მალე მოანვეს შენს ქვეყანას იგი ქართველთა მეფის ასული, მძლეთა მძლეველო?

— მალე?!

— სწრაფად! და თუ არა, ბრძანე, გადივლის მთებს შენი ლაშქარი უამრავი და მოგართმევს არჩილის ქალს მუშანს თუნდაც ოქროს გალიით...

— ძალით?! გგონია, ნებით არ მეახლება!

— თავის სურვილით მოგვევლინება იგი ასული დიდ დედოფლად. გაანათებს შენს გულს მზესავით.

— ოქროს გალიით?! ჰფიქრობ, ხადუმო, დამინუნებს? თუ დავძაბუნდი ბუმბერაზთ შორის, ისე დავკნინდი გმირად ნაქები, რომ შევიქმენი ქალთაგანაც კი დასანუნი?! — წარმოსთქვა კეისარმა.

და მკაცრი რამ ბგერა ააჩნდა ხმაში. იცოდა საჭურისთ უხუცესმა, რა მედგარი რისხვა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ატკრეცილ ხმას, მყისვე მის დამლუბველი აღტყინება საშინელის მბრძანებლისა, და მიწას განერთხა შეძრწუნებული.

— შენდობა, ღვთის შვილო! ვით გაჰბედავს ხორციელი შენს უარყოფას?! ვინ არ ეახლოს სიხარულით შენს ბრწყინვალეობას?! უაღრესი ბედნიერებაა ასულთათვის მეფეთა სურვილი შენი.

დაშოშმინდა ხაკანი, მცირედ დაეშვა მისი ალბორგება; მთლად კი ვერ დანყნარდა. ვერც დამშვიდდებოდა: მას დასკვნილი ჰქონდა ცოლად მოყვანება არჩილის ქალის შუშანისა, კაცებიც უკვე გაეგზავნა საქართველოში საიშვიათო მოსაკითხებით, შერჩეული ელჩები. წინადადეგზე იმობდა ხაკანი ბედნიერი. გადახალისებულიყო, გაჭაბუკებულიყო წელთა სიმრავლით თითქმის დახრილი, ფრთები შესხმოდა მის ნივთიერ არსებას უკვე შემძიმებულს, ოცნების ფრთები ზე აღმტაცველნი, მაგრამ...

მაგრამ დაიგვიანა პასუხმა, ძლიერ დააყოვნა, აღარ ეღიროსათ ელჩებს დაბრუნება, აღარც ამბავი რამ აცნობეს მბრძანებელს. მარცხი თუ მოუვიდათ, ავი თუ წაეკიდათ რამ და იმან მოსჭრა მათ მუხლი, შეუძმიმა სული; იმიტომ ვერ თუ ბედავდნენ ამბის გამოგზავნასაც. გავრცელდა ხმა ხაზართა შორის, არ გაუმარჯვდათო ხაკანის კაცებს, უარი მიიღესო ქართველთა მეფისაგან. თქმამ ხაკანის ყურამდისაც მიაღწია. კაცების დაგვიანება თითქო ადასტურებდა ამ მძიმე ამბავს მოულოდნელს. ეს იყო, რომ ეჭვებით ავსებდა ეხლა ხაკანის გულსა, ამის გამო დაჰკარგოდა მას მოსვენება. ამისთვის იყო, რომ ცეცხლი მოუდო მას ხადუმის სიტყვამ მოუზომელმა.

გამართლდა ხმები. თურმე სწორედ იქ მოელოდა მძლეთამძლეს დამარცხება, სადაც იგი არ მოელოდა, აზრათაც არ მოსდიოდა პირველში: ხელცარიელნი დაბრუნდნენ ხაკანისაგან საქართველოში წარგზავლინი დიდებულები. არა, ხელცარიელები არ იყვნენ: დიდებული ზღვენიც მორათვეს ელჩებმა ხაკანს ქართველთა მეფისაგან, არა ნაკლები იმ მოსაკითხისა, რაც გაეგზავნა თვით ხაზართ მეფეს, მაგრამ მეფისათვის კი მაინც მთლად ხელცარიელები იყვნენ: ვერ მოიყვანეს ქალი შუშანი! სიტყვაც ვერ მოუტანეს რაიმე იმედის მფენი. უარ ეყო ქალს ხაკანის სურვილი მკაცრის უარით, დაეგმო იგი.

— სასტიკად დაგზარაბა ქალმა, მკაცრად მოგისხენია. — მოახსენა ელჩების მეთაურმა.

— როგორ თუ მაგინა?! სთქვი ყოვილივე!

— სულის საქმეს უნდა ემსახურებოდესო უკვე მინისგან მომზირალი; არა ვარდთა ჭვრეტად თვალთ აშენებდესო, ებრძანებინა მზეთუნახავსა.

— მზეთუნახავს?! —

— საკვირველ ვარსკვლავს ძალზედ მიმზიდველს: ჩვენის თვალებით ვიხილეთ იგი მშვენიერება.

— თვალები უნდა დამეთხარა თქვენთვის, რომ ვერ შესძელით ჩემის ნების აღსრულება! აღარ შეიძლება: მაგ თვალეში ასახულია მისი ხატება.

— საპყრობილეში ყველა ესენი, ძველ საბნელეთში! — ბრძანა განრისხებულმა.

ქართველთა მეფის წერილებიც ადასტურებდა ამ უარს: ქალი ჯერ პატარა არისო, სჯულის შეცვლა არ შეიძლებისო, სამშობლოდან შორს ვერ გასძლებსო. ბევრი რამ მიზეზი იყო ჩამოთვლილი, მაგრამ წიგნის კილოს ეტყობოდა, უარი თვით ქალს გაებედნა, თითონ შუშანსა. ამას შემდეგ იყო, რომ იწყო ბრძღვინვა ხაზართ კეისარმა ვინროებში შემწყვედი ლომივით; საშინელმა მძვინვარებამ აიტაცა იგი. სისხლი სწყუროდა, სისხლის ღვარები.

ველარაფერი ეშველა მეფეთ მეფესა! აღარ მოეკიდა მას აღარც ღვინო, აღარც გართობა, შეიძულა თავისი ცოცხალი სავარდე, მტრად მოეკიდა ცოლთა სიმრავლეს. ვერ გაიტაცა ვერც იმ ბრძოლის მძვინვარებამ, რომელსაც აწარმოებდნენ მაშინ ხაზარნი გურგანის ზღვის ნაპირებით ძღვევამოსილ არაბებთან, რომელნიც მიიწვედნენ წინ ჩრდილოეთისკენ. დაღონდა ხაზარეთი, დიდ საგონებელში ჩავარდა იგი. ერთსა ნატრობდა მეფე მარად ჟამს, მრისხანების დროსაც აღტყინებულისა, სასონარკვეთილების დროსაც მომდუნებელისა:

— ვნახო მისი სახე, თუნდ სიზმრად ვნახო!

როგორ აუსრულდებოდა მძლეთა მძლეს ეს ნატვრა, მისთვის ყოვლად შეუძლებელი?!

— ვერც როგორ! ვერც როდის!

7

ქართველთა სოვდაგართა უხუცესი ჯორჯიკ ოდიშარი შემთხვევით მცხეთაში იყო არჩილის ნამების დროს და დაესწრო წმინდანის დასაფლავებას, შემთხვევით, რადგან ეს სოვდაგარი უმეტეს ნაწილად გზაზედ იმყოფებოდა: საქართველოდან ხაზარეთში, სკვითედიდან ბიზანტიაში, სპარსეთიდან ბაღდადში; თურანსა და ინდოეთსაცა სწვდებოდა მისი ხელი. ყველა მხრის საქონელი ტრიალებდა მისის გამჭრიახი გონების უნარით საქართველოში, ყველა ხალხის ნაწარმოები. დასაფლავების დროს მოჰკრა მან თვალი არჩილის ოჯახობის ხატს დადკორის სიონში და უნებლიეთ შეაყენა თვალთა ისარი შუშანის სურათზე. როდესაც შემდეგში ხაზართა მეფის კარს მოჰყვა იგი და თავისი თვალითა ნახა, რა ნამებას განიცდიდა იგი, გვიან გამიჯნურებული კეისარი, როგორ ნატრობდა იგი მარად ჟამს, ნეტავ ერთხელ მაინც დამანახვა სახე ქალთამზე შუშანისაო, დიდებული აზრი აესახა შორსმჭვრეტელს გონების სარკეში: განიზრახა დაეხატვინებინა ქალის სურათი და მიერთმია იგი მრავალ-ტანჯულ კეისრისათვის. იგი ხომ ხშირად დაიარებოდა საქართველოდან ხაზარეთში, საიდანაც გამოჰქონდა ძვირფასი ბუნვეულობა მთელ წინა აზიაში მოსაფენად.

— ბედნიერი აზრი! სოვდაშიაც ესე ვიცი: დავკრავ თვალს საქონელს და უკვე ვხედავ მის ღირებულებას, ხვავიანსა თუ უშედეგო მის ბოლოს. ჩემი ეს განზრახვა?! რა უხვია ჩემთვის, რა დიდ შედეგიანი, ღმერთო ჩემო! და არა მხოლოდ ჩემთვის, ხაზართათვისაც, ვგონებ, ქართველთათვისაც: იქნებ დაწყნარდეს იგი ყვინი!

გამოიკითხა ვაჭარმა, ვინ იყო იმ ხატის დამწერი ხელოვანი და მივიდა მასთან. მხატვარს კალაში ჰქონდა სახლი, ზედ მტკვრის პირას. მოკეცილი იჯდა. დაზგაზედ თუ დაბალ მაგიდაზედ გადაშლილ ნახატსა სინჯავდა ჩაკვირვებით.

— შენ ხარ გაიოზ ოსტატი?

— მე გახლავარ! რა გნებავს?

— ჯორჯიკი ვარ ოდიშარი, სოვდაგართ უხუცესი. გაგეგონება ჩემი სახელი.

— დიდი ვაჭარი ოდიშარი? ბედნიერი ვარ, რომ გხედავ ჩემს ქვეშ. დაბრძანდით! სოვდაგარი ჩამოჯდა ტახტზედ და თავის ჩვეულებისამებრ პირდაპირ მიჰმართა საგანს:

— გინდა იმდენი ოქრო, რომ შენი მადლიანი მარჯვენა შენვე დაიკოცნო?

— ოქრო ვის არ უნდა, შე დალოცვილო, და მეტადრე მე ეხლა.

— მისმინე! მე ვნახე შენგან დახატული სურათი არჩილ მეფის და მისი ოჯახისა ნადკორის სიონში. მშვენიერია! მომეც იმ სურათიდან მხოლოდ ერთი სახე, შუშანის ხატი, და მიიღე ჩემგან ოქრო, რამდენიც ღირდეს.

— ძნელი იქნება: აღარ გადამაღებინებენ სურათს.

— რაც უფრო მძიმეა საქმე, იმდენი მეტს ოქროს იწონს.

დაფიქრდა ოსტატი. ბევრი ყოყმანისათვის აღარ ეცალა: ლითონის ბჭყვრიალმა შორიდანვე მოსტაცა თვალი. სდუმდა სოვდაგარი, დაკვირვებით დაჰმზეროდა მხატვარს.

— როდისთვისა გნებავთ სურათი?

— რისთვის გინდა ოქრო?

— კარგი! აგისრულე, მაგრამ...

— რამდენს ითხოვ?

ხელოვანმა დაუსახელა თანხა. სოვდაგარს კიდევ ეცოტავა იგი, მაგრამ მაინც შეჩერდა რამდენსამე წუთს, თითქო ვარაუდობსო. შეისხნა ქისა, მიუთვალა.

— ეს საწინდარად. როცა შეასრულე სამუშაოს და ჩამაბარებ, დანარჩენი მაშინ. მხოლოდ მე და შენ ვიცი ეს; სხვამ არავინ იცის, არც უნდა იცოდეს!

— კეთილი! რად გნებავსთ ქალის სურათი?

— რად გინდა ოქრო?

ორივე კითხვა უპასუხოდ დარჩა. მაინც ვაჭარი უფრო მოგებაში იყო. ოქრო ვის რად უნდოდა, ყველამ იცოდა; ქალის სურათი რად დასჭირებოდა სოვდაგარს, ეს ისევე საიდუმლოდა რჩებოდა.

უნაკლულოდ შეასრულა მხატვარმა დავალება, თანაც საიდუმლოდ: ვერც ქალმა, ვერც სასახლემ ვერ გაიგეს, რომ შუშანის სურათი ცალკე გადაიღო მხატვარმა. ხატის შექმნის დროს ოსტატმა ისარგებლა თავისაგანვე დახატულ სურათით, რომელიც გულდასმით გასინჯა მან ეკლესიაში; კიდევ იმითი, რომ მოახერხა თითონ ქალის ნახვა და ჩაკვირვებით დათვალიერება; უფრო კი თავის ძლიერი ამხატველობითი ნიჭით, რომელმაც ცოცხლად წარმოუდგინა მას ქალი გონების სარკეში. ახალ სურათს ბევრი ხანი არ მოუწადა გამოცდილი ხელოვანი.

საუცხოვო ხატი დადგა; გაცოცხლებულიყო ტილოზედ ქალი შუშანი. ახალი იერიც დასდებოდა მის მანგ სახეს: სევდის ფრთა შეჰხებოდა მის მტკიცე შუბლს და ჩაეფიქრებინა ქალი, დაღონებულ თვალთათვისა მეტყველება მიეცა ძლიერი, შორს გამყურავი, უსაზღვრო სივრცისკენ მძლედ მიქცეული, თანაც ამკრეფი ანმყოს დენისაც. დაუსრულებელ ჟამთა დენას თუ განიცდიდა იგი გრძნეული, დროთა სვლას აწინდელს თუ შორ მომავალსა.

— საკვირველია ხელოვნების საქმე! ლამისა ვსთქვა: ოსტატისაგან უნებლიეთი, შეუგნებელი. მაშინ ძალიან გამიძნელდა იმ ხატის ასახვა: ვცდილობდი, ვესწრაფებოდი, მაგრამ ყალბი ვერ მემორჩილებოდა. სწორედ ვერა ვხედავდი შუშანის სახეს მეტყველს; ეხლა კი ერთის დაკვრით ამოვხაზე ქალი და ყალბი ჩემ უნებლიეთ მისცა მას იგი მეტყველება, რომელს მაშინ ისე ძლიერ ვეჭანებოდი, ვერ-კი მომეხერხებინა მთლიანად გადმოტანა ფერადთა საშუალებით.

— რა მეტყველებას?

— უშრეტ რამ სევდის სახვა სულ ახალგაზრდა ბედნიერ ასულში მაშინ, მამის სიკვდილის წინად. ეხლა იგი ანარეკლი უძირო სევდისა ცხადად აჰსახია თვალებში და საკვირველი მჭვრეტელობით შეუმკია მთლად გამოუცდელი მშვენიერი. — ეტყოდა ოსტატი სოვდაგარს.

დიდვაჭარი ჩაჰკვირებოდა სურათს, თვალს ველარ ამორებდა მას. ცხადად ედგა მას თვალთ წინ ბატონიშვილი შუშანი, მთლად გაცოცხლებული ქალწული მადლიანი ყალბის წვერით, საიდუმლო შევენების მსახი არსება, რომლის გიშრის ტბებად შეგუბებული თვალები მძლავრად მიმზიდველ საშიშრობას ეტყოდნენ თვის მჭვრეტელს ყველას. მოსწყვიტა თვალი სურათს, დიდის სიფრთხილით შეახვია ფარჩაში და ისე სათუთად შეინახა, თითქო უკვდავების ნამალი ჩაჰვარდნიაო ხელში.

— ფასდაუდებია ეს შენი ყალბის ნაწარმოები. საკმაო ოქრო მოგეცი, მაინც არაფერია იგი ამ განძის შედარებით. მე ვაჭარი ვარ და ჩემი საქმეა პირნათლად შევასრულო დაპირება. მეტს არც ერთს ქრთილს არ მოგცემ ეხლა. მაგრამ იცოდე: ეს სურათი გაგაბედნიერებს შენც, თუ მიაღწია თვის დანიშნულებას; თუ არა... ჩვენ ეხლა მაინც მთლად გასწორებულნი ვართ.

— ოღონდაც რომ გასწორებულნი ვართ, აღარა გვმართებს რა ერთმანეთისა. — მიუგო გაიოზმა.

და დაფიქრდა. იმაზედ ფიქრობდა იგი, რად მითხრა ისეთი საიდუმლო სიტყვები სოვდაგარმაო. ვერ გაეგო ვერც რა. ის კი ნამდვილ იცოდა, რომ ოდიშარი უბრალოდ არას იტყოდა, უზომელ-უნონელი სიტყვა არ უყვარდა მას, როგორც არც მეტის მიცემა სავაჭროში, პირობით დადებულ ფასზედ რამ მეტი.

დიდებული ხაკანი ღრმად დაფიქრებული იჯდა ოქროს სავარძელში, სახე ჭმუნვილი. კარგა ხანი იყო, მისი შუბლი არ გახსნილიყო თუნდ წუთიერის სიმშვიდით; არც მკაცრად აღტყინებულიყო მისი გული, რომ ჩაექრო სისხლის გუბეში თვისი ბოროტება, თუნდ უდა-

ნაშაულო ადამიანთა სისხლის ღვარებში; აღარც უეცრად მოელხინა თავაშვებით, რომ აღტაცების ერთის დაბერვით გადასწმედოდა ჟანგი ჭმუნვისა. მახლობელთ ერჩინათ, რამე ცვალება დასტყობოდა კეისარს გამორკვეული: ზე აღტაცება ხელური, თუ ბოროტება მკაცრი, დაუნდობელი, როგორც ეს იყო იმის შემდეგ, როცა უარი მიიღო ქართველთა მეფისაგან შუშანის შესახებ. ავად თუ კარგად განცხადდებოდა მაშინ მისი გულის ნადები ან საიდუმლო და განსაზღვრული სახე მიეცემოდა მის ხვაშიადასა. ეხლა კი თრთოდნენ: თქმას ვერ ბედავდნენ ვერაფრისას, არ თქმისაც ეშინოდათ უარესად.

— გადიყრის ფიქრთა ღრუბლებს, გამოფხიზლდება და მოგვთხოვს პასუხს ყოველ საქმეში, სახელმწიფო საზრუნველის გამო ყოველგვარისა. რა პასუხს გავცემთ, როცა არ ვიცით, როგორ ვიმოქმედოთ?! გაფუჭდება რამე თუ გაკეთდება, მაინც დამნაშავენი ვიქმნებით: თუ მის დაუკითხავად ვიზრუნებთ თუნდ სასიკეთოდ, ინყენს, არ დაგიცდიათ ბრძანებისთვისაო, არ ვიმოქმედებთ და ეს ხომ დანაშაული იქნება ჩვენის მხრივ, სამართლიანად ჩაგვეთვლება ცოდვად. — ფიქრობდნენ შენუხებულნი კარისკაცნი.

და არ იცოდნენ, რა ხერხისათვის მიემართათ, რომ გამოერკვივინათ მბრძანებელი ფიქრთა ესე ხანგრძლივი ბურუსისაგან. მიგზავნეს მისი საყვარელი ხუმარა, რომ სხვა რაზედმე მიექცია მისი ყურადღება; ვერ გასჭრა ხერხმა: კეისარმა ანიშნა მასხარას, გაჰრიდებოდა. მიჰმართეს ღრმად მოხუცს დემურჩს დაბრძნობილს, ოდესმე თურანელთა მეფეს, ხოლო ან მუხთალი ბედის გამო ხაკანის კარს მყოფს, მის პატივსადაც მრჩეველს, რომ მას გამოეკითხა გზაგაუგნებელი სიმძიმის მიზეზი. ვერც ამ საშუალებამ იმოქმედა: ხაკანმა აგრძნობინა მას, რომ უდროვო იყო მასთან სადარბაზოდ შესვლა. მიჰმართეს მის ცოცხალ სავარდეს, მშვენიერთა კრებულს, რომ მისი საყვარელი მეუღლეების შემწეობით გაერკვიათ სავალი ბნელით მოცულ არეში: აქედანაც უიმედონი შეიქმნენ: ეშხი დაჰხშოდა ვაჟკაცს, არ ინება საუკეთესო ვარდთა ყნოსვა; ისე მკაცრად გადახედა სხეულთა სიმშვენიერეს, ნაზი ფურცლები შეაჭკნო ზედა.

— ეს იმ დღიდან მოხდა, რაც კოლხიდელი სოვდაგარი იყო მბრძანებელთან. არ უნდა შაგეშო იგი მარტო, უნდა გედარიალებინა. — უსაყვედურა ვეზირს მთავარ სარდალმა ბდუჩანმა.

— ვეცადე! თითონ კეისარმა ბრძანა მასთან განცალკევება. — მიუგო ვეზირმა.

— აუცილებლად საჭიროა მეფის გამორკვევა შავ ფიქრებიდან: დროა გასცეს სამხედრო ბრძანება. უკვე გაზაფხულდა, გზები მალე გაიხსნება და შესაძლო შეიქმნება ფართო სამხედრო მოქმედების დაწყება აგარიანთა წინააღმდეგ; ძალიან მოინევენ წინ.

— ძნელი ის არის, რომ ორი მხრიდან მოდიან; თურანით და კავკასიონით, გურგანის ზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაპირებით.

— სამი მხრით! საქართველოსაც მისთვის ებრძვიან, რომ იქიდანაც გაუახლოვდნენ ჩვენს საზღვრებს.

— მით უფრო ძნელი.

— არ იცი, ვეზირო ბრძენო! სწორედ ეგ არის ხელსაყრელი: ცალცალკე დავამარცხებ დაყოფილ ძალებს.

— შესაძლოა! ეგ შენი საქმეა, ბრძოლაში დახელოვნებულს. მაინც არ იქნა, ისე ვერ დავძლიეთ აგარიანნი, მთლად მოსპობოდათ ხაზარეთისკენ მზერის სურვილი.

— არც თუ ნავახალისეთ ივინი ჩვენთან ბრძოლაში. მთლადაც ჩქარა მოვსპობთ მათ.

— სრული იმედი მაქვს, ბუმბერაზო ხაზარეთისა!..

— უნდა გამოვარკვიოთ მბრძანებელი ამ საკვირველ მდგომარეობისაგან საშიშისა! შენ უნდა სცადო, ხადუმთ უხუცესო: გაგზავნე მასთან ყველაზედ მშვენიერი მისი ცოლი; მოუალერესებს, ეშხზედ მოიყვანს ვაჟკაცს და სხვა მიმართულებას მისცემს მის გრძნობათა დენას.

ვ. ბარნოვი

(ჟამიჯი იქნება)

ილიონი

ჰოეზია ესთეტიკა კრიტიკა

თავიური ჟურნალი



1922

ტფილისი

ნ° 1

ილიონი

ავტორები ალფაბეტით

კოეზიკ

- ქ. გამსახურდია Maria Stella
ი. გრიშაშვილი ჩემი ლოცვა
ნ. თარიშვილი ცბაყბა ციციკა თვალზე
მარიჯან განჯა
ი. მოსაშვილი მწვანე შალღასინი
ს. ფაშალიშვილი ჩემი გვარის მოსაგონად

გელაქრიქიკა

- დ. აგლაძე უცნაურთა
ბარდელი გაზაფხულის ცუღუღუღთმა

ქრიქიკა

- ქ. გამსახურდია გთუთ თუ მისციკოსი
ზრ. რცხილაძე ადღენილი ციპეცი
ბრუბუსი „პოეზიის დღე“

გიგლიქრიქიკა

რედაქტორი: ქ. გამსახურდია.
მე-5 სტამბა ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიკული ცენტრი.

Maria Stella

გარსიდან: რომაული საღამოები

შემოღამდება, გაივსება დისკო მთვარისა
დისკო მთვარისა მოვერცხლილი და მოქარვეული
და გუმბათებზე აენთება ქრისტეს ჯვარისგან,
ქრისტეს ჯვარისგან მოფენილი სხივი ფარული.
როგორც ბინდისას, მათხოვარი ბრმად მოარული
წავა ბარბაცით კანალებში გადაიჭრება.
გატყდება ბროლი მინანქარით შემობზარული,
აედევნება ბნელ ხეივნებს ლანდების წყება.
შადრევანებზე ეზმორებათ დაღრენილ ლომებს
გულში იღვიძებს სათნოება. ქუჩაში ბნელა.
ჩრდილის მანტია მოეხვევა წმინდა ბათლომეს
და მღერის ვილაც პორტალებში: Maria Stella.
მახვილ ამონვდილ ანგელოსის გაჰქრება ლანდი
როგორც დემონი გაფრენილი ბრინჯაოს რაშით,
ამურეტები აიყვანენ ბამბინოს ცაში.
ზეცის ფირმამენტს გულს ჩაიკრავს ტიბროსი ზანტი
და მთვარე სხივთა არტახებში ნაზი ინფანტი
აღმოსავლეთით თეთრ ღრუბლების მოგვებს მოელის.
კაშკაშებს ჯვარი კაპიტოლზე არაკოელის
ვით ბრილიანტი...
დაარისხებენ სან პიეტროს მწუხარე ზარებს,
ნარინჯის ფონზე მოიჭრება ავგუსტუს არკა
და ტრფუმფები მოუნდებათ ისევ ცეზარებს,
ნაზ სერენადებს კვლავ იმღერებს ღამით პეტრარკა.
დავეძებ ღვთიურ ჰარმონიას, ჰანგად დარხეულს,
დავეძებ ტაძარს ღვთაებისას და ვითხოვ შველას!
წავალ — ვემთხვევი მაცხოვარის წამებულ სხეულს
და მუხლმოდრეკით მეც ვიმღერებ: Maria Stella-ს.

კონსტანტინე გამსახურდია

ფრიდრიჰ ნიცშეს

იყო გოლგოთა, ვაიჰმარი და სილს მარია.
 ახალი დროჲს მატიანე შენ მოგინდება,
 შენ გვაგრძნობინე, სინამდვილე რომ სიზმარია,
 რომ ახლოვდება ძველ ღმერთების შემობინდება.
 ანთიხარ ისე... (მაგრამ ნეტავ ვის შეგადარებ),
 ჩემ გულში ცეცხლი უხილავი, უცხო მშვენიების
 და ამიტომაც მირაჟების და მოჩვენების
 სისხლიან მასკებს დაფარულად გულში ვატარებ.
 შენ ამ სამყაროს უდუელოდ ვერ შეეთვისე,
 ნახვედი სოფლით ვარამისგან გულგამეხილი.
 წმინდა ფრიდრიჰი და ჯვარცმული ხარ დიონისე,
 ჭაბუკი მუხა გრიგალისაგან გადატეხილი.
 ოჰ, რა ძნელია შვაგულ გზაზე შემოღამება,
 — რომ უკვდავებით შეისყიდო ქვეყნის წამება.

კონსტანტინე გამსახურდია

ჩემი ლოცვა

მეუფეო, ჩემი ლოცვა დღეს იქნება სულ სხვა გვარი:
 მე არ მინდა სასწაულად მომივლინო ნინოს ჯვარი,
 ახ, არ მინდა მე არც საბა, ახ არ მინდა არც ისახარ —
 დღეს ჩემს გულში, მეუფეო, სულ სხვა ლოცვა ჩაისახა:
 მე მინდა, რომ საქართველო, — ეს სამოთხის შვების წყარო, —
 მტრებს არ მისცე საჯირითოდ შეიტკბო და შეიყვარო!.

.....

მეუფეო! ყოველ მხრიდან გვეხვევოდა მტერი გველად:
 ჩვენი სულის ჩასაქრობად, ჩვენი ნიჭის ასაგველად;
 სელჯუკები, მონღოლები გვეცემოდნენ ურდო-ურდოთ...
 მაგრამ კმარა, მეუფეო, აღარა გვსურს გავიქურდოთ,
 გვეყო, გვეყო ეს სასჯელი, ესოდენი ჭირი, სენი...
 საქართველო, მეუფეო, დაიხსენი... დაიხსენი...

.....

ღმერთო! ხმლების ნიშნობაში ბევრჯელ დილა დავაღამეთ,
 ბევრჯელ ჩვენი პერანგები მტრების სისხლით გავახამეთ —
 და ჰა, ღმერთო, ხელაპყრობით გვედრება ხალხის გული:
 მზით შეგვიმკე ჩვენ ეს შუბლი, შუბლი ტანჯვით გადახნული,
 დავაძინე როგორც ქარი, გავვალვიძე როგორც მთვარე...
 საქართველო, მეუფეო, დაიფარე... დაიფარე...

.....

მაგრამ თუ კი — ოი, ღმერთო — ჩაგვითვლიან ლოცვას ტყვილად:
ლოცვას წყევლად გადავაქცევთ, ავადულებთ ცრემლებს ტყვიად, —
და ვაი მას, ვინც მტრის სტვირზე თავის ჰანგსაც ახმატკბილებს,
მას პასუხსაც არ ვაკადრებთ, მას ჩაუმტვრევთ სიბრძნის კბილებს,
მას შხამადაც შერგებია ჩვენი დედის ტკბილი ხსენი...
საქართველო, მეუფეო, დაიხსენი... დაიხსენი...

ი. გრიშაშვილი

ქალს უღვაშებით, კეპით და ჯოხით

მე რომ მიწოდონ ფადიშახი, დიდი თამაზი,
ძველ მინარეთში, სადაც ჩემთვის სუფევს ნამაზი,
პოეზიისთვის შენი სახე გაიმეფება.

ჩვენ სიახლეზე კვლავ დაიწყებს მტერი მასლაათს,
ტერცინებისთვის გამოვიწვევთ ჰაფიზს და საადს
და ჩემი ლექსიც მხოლოდ შენთვის დაიყეფება.

გიყვარს ოპერა. და ბიჭურად როცა ირთვები:
მკერდის დარაბით გეხურება ვერცხლის ბირთვები.
შენში დავლექე ჩემი ლექსი — გრძნობის ნაჟური.

მაღლეებს შენი — არა, უნდა დავასახელო —
უღვაში. ქუდი. ლურჯი კაშნე. რბილი საყელო
და გამოხედვა ვნებიანი, ცელქი, ვაჟური.

ტფილისელი ვარ! არ გამკიცხავ, ვიცი, ამაზე
რომ შენი სტილი დღეს ამ ლექსით ავალამაზე —
ხარ უსათუოდ პოეტური, კოსტა, ფარეზი.

მსურს შენ — უცხოელს — აზიელზე დაგწერო ჯვარი.
მსურს, უცხოთათვის საქართველოს მიჯნა და ზღვარი
იყოს ტფილისი — ეს ირაკლის ძველი პარიზი.

ი. გრიშაშვილი

იღბალი დისონანსებით

ხელში ბავშვი გეკავა.
მიდიოდი ნაბიჯით —
რომ ბაზრობა პარასკევს
გენახულა ბაჯითში.

და თან, როგორც სარკმელში
ვადიანი ტუსალი,
ტყეს ლექსების სათქმელად
ველარ გადაუძახეთ.

შენ ამბობდი, რომ ერთხელ
აქ წვიმების ყაყანმა
მოსპო და შეათხელა
სიმინდები, ყანები.

მე კი ვერ მოვიხმარე
ეს ჩივილი აპრილზე
და ვნატრობდი ამ მხარეს —
ვიცინოდი კაპრიზით:

გადვისვამდი ხელს შუბლზე
და მხიბლავდა სოფელი,
რომ ხეები ალუბლის
მზეს ესროდნენ პროფილებს.

გძულდა ჩქარი ნაბიჯი.
მძულდა ნელი სიფრთხილე, —
და მოგვდევდა ბაჯითი
ბაღლებით და ხეხილით.

ი. გრიშაშვილი

მარიჯანის სოფელი

ტრაური ცისფერ თვალზე

თეატრი. სცენა. ელექტრონის სინათლე მკრთალი.
უცხო ზმანება აელვარებს გაყინულ სვეტებს.
ლოჟის სიღრმეში უდარდელი ცისფერი თვალი
ღიმილით ჰფანტავს მწუხარების თეთრ სილუეტებს.
ო, ეს საღამო — სიხარულის მუნჯი ექსტაზი.

მე რა ვიცოდი, რომ თვალთაგან ცრემლს დავიდენდი.
 სონეტის მზგავსად იცვლებოდი ჩქარი და ნაზი —
 ხან ყარაჩოლელს მაგონებდი, ხან იყავ დენდი.
 მაგრამ დღეს გულში ასვენია ტრაური ცივი
 ფიქრი გაურბის მოგონების ხაზ-გასმულ ფურცლებს,
 დაიმტვრა ცრემლად სიყვარულის ცისფერი მძივი
 და ჩემს მომავალს ნოემბერი ველარ გაუძღვებს.
 გრძნობას ველოდი, მაგრამ ზიზლიც კი არ მეღირსა.
 უხმოდ დავშორდით ჩვენ ერთმანეთს, არვიცი, რაზე,
 ალბათ, სიტყვები ვერ მოვნახეთ შესაფერისად,
 ეს იყო თეთრი მოჩვენება ყოფნის ეკრანზე.
 ლიმილი ტუჩზე დამეკეცა, ვით გლოვის ნარმა,
 და ეხლა მინდა, ქანდაკებად მხოლოდ გადავიქცე.
 სფინქსის თვალეებში ჩამასვენოს უვნებო ქარმა,
 რომ ჩემს გარშემო აღარ იყოს: არც დრო, არც სივრცე.

ნინო თარიშვილი

განჯა

ელლი ბერიშვილს

წითელ ქლამიდას რომ მოისხმას აღმოსავლეთი,
 ყორანთა ურდო ააყვავებს ბაღში ჩინარებს.
 გამოაღვიძებს ყარაულებს ფეხზე მძინარებს,
 რომ დასტკბნენ ყურძნით, ყალიონით და სიმთვრალეთი.

კმაყოფილია მუსლიმანი მზიურ არეთი
 და ჰყიდის ნოხებს თავრიზიდან ნაირ-ნაირებს,
 მაგრამ მოიტანს შუალამე მუქ ჯავაირებს
 და ჩაფიქრდება აზიდული ცად მინარეთი.

შენ გიკითხავდა სპარსულ ლექსებს პრინცი ნადირი.
 მე კი ვაჟურად გადაცემული ქალურ დარცხვენით
 დავნავარდობდი არაბულად დარახტულ ცხენით.

მაგრამ ჩვენ სევდას არ უჩანდა მაინც ნაპირი:
 გვიჟღერდა ეს მხარე, ეს ჭაობი, ეს ქუჩა ხილის
 და ვნატრულობდით ალიაქოთს, თეატრს და ტფილისს.

მარიჯან

მწვანე ბალდახინი

მიიღვევიან სიყვითლეები,
მოიხედავენ ფერები ბაცი.
კვდებიან მძიმედ ზამთრის დღეები.
და კვირეები თეთრ მანტოებით
მიაქვთ თენებებს მწვანე საკაციტ.

ეხლა საცაა სულ მალე, მალე
მამალი საათს გადასწევს ისარს.
და მალე სადმე მზეზე ნამალი
ზეცა პეპლების ქრელი ამალით
მინდვრებს ჩააცმევს კაბას იისას.

და ღამეები ნავლენ ბნელები
დაიკარგება წკმუტუნი ძაღლის.
აირევიან ცისარტყელები...
ბურქში გველები, ცაზე გველები
სხეულს მზის სითბო მოთენთავს, დაღლის.

თქვენს მობრძანებას მიახლოვებდა
ზამთრის დღეების სირბილი ჩქარი —
და თქვენს ლოდინში დარდი მტოვებდა...
თქვენს სილამაზეს მიახლოვებდა
ახალგაზდობის ტკბილი სიზმარი.

ი. მოსაშვილი

ჩემი გვარის მოსაგონად

მე გადმოვყევი ეფრატიდან მოსულ ქარავანს
და მთვარის ტახტზე ვლოცულობდი არმაზ-გოლიათს, —
გამცვითა ჟამმა, ოქრომკედში დღეს აღარა ვარ
და პაპის ჯილა მამელუკებს თან გაჰყოლიათ,
მე, როგორც რგოლი — განწყვეტილის ჯინჯილებისა,
გადმომისროლა საუკუნემ — ხელით კეთილით,
დღეს სხვა ღმერთი მწამს, ვარ ჰერეთის დინჯი ნებისა
და პოეზიის მაღალ ცეცხლში ვარ ჩაკეტილი.
ჩემი სიჩუმის ოაზისში ვინვი მითებით
და რითმებში ვთვლი გარდაცვლილი ღმერთის სახელებს, —
ფიქრებში მძიმედ გროვდებიან დინამიტები
და გარიჟრაჟზე, როს მზე მინვდის ანთებულ ხელებს —
სულში ნაღმების აფეთქება და ვარჯიშია;

ვცილდები წარსულს და მახარებს გზა მომავალის,
 გვარის ლერბებით არ ვამაყოფ — თუმც ვარ ჯიშთან
 გადმოსახლებულ წინაპრების შთამომავალი!
 ბევრჯერ ბრძოლაში დამკეპია აბჯრის ბალთები.
 გადამიბუგავს მტრის ნახნავეში სამკალ-სათიბი, —
 მაგრამ კრწანისი, ტაბახმელა, კოჯრის კალთებიც
 ხშირად მინახავს ალუბლისფერ სისხლის ქათიბით...
 არაფერია, ბედმა იცის სამაგიერო,
 ვინ გადაჰყვება შუბლ გაცვეთილ საუკუნეებს;
 დღეს მინდა მხოლოდ გრძნობის ცეცხლი გავაძლიერო:
 ძვირფასი ლექსი — სულს დიდებას კვლავ დაუბრუნებს.
 და როცა ჟამი დასამხოზად გადმოიხრება
 და სივრცეები აივსება ღმერთის ძახილით,
 მაშინ ჰანგებად ჩემს ძველ გვარში გადმოიყრება —
 მზის ჟინჟლილები და ბეჭდები — ჩემის სახელით.

ს. ფაშალიშვილი

უცნაური

ქალაქის შუაგულში ბალი იყო გაშენებული. ბალის შუაგულში ამაყი ნაძვი იდგა, ხოლო მოხუცებული გადიების თქმით, ნაძვის გულში ისეთი სული ჰპინადრობდა, რომელიც შუალამისას პატარა ბიჭუნებს ტკბილ სიზმრებს აჩუქებდა ხოლმე.

რა კარგი ყოფილა ამაყი ნაძვი!!

თუმცა ზურმუხტის ფოთლები არა ჰქონდა ნაძვს და ზმირინ ცხებული ტოტი, არც თუ ზურმუხტისებური ბალახი ჰმწვანობდა იმის გარშემო, — მაგრამ მაინც ყოველ შუადღის გულზე, როცა ელვარე მზის სხივები ნიავეთ ატოკებულ მცენარეებზე ისე ჰციალებდნენ, როგორც ვერცხლით ნაქარგი სახე აბრეშუმის სუფრისა, და დამთბარი ჰაერი ისე ჰყუჩობდა, როგორც შორეული კუთხე ეგვიპტური სარკოფაგისა, — ყოველთვის მხიარული ყიჟინით გარს უვლიდა ამაყ ნაძვის ხეს უდარდელი ჯარი პატარა ბავშვებისა, და ზოგი მათგანი ალერსით მხიარულით ძია — შობის ხეს ეძახდა, ზოგი ძირს დაქანებულ ტოტებს ეჭიდებოდა და ცელქობით გახურებულ შუბლს იგრილებდა მათი დაქნევით, ზოგნი ხელჩაკიდულნი ფერხულს უვლიდნენ, ზოგი კი აღტაცებით უცქერდა ამაყ ნაძვს და მნუხარებით იგონებდა, რომ შესაძლებელია, სულ მახლობელ შობას ცულმა წამოაქციოს იგიო. ისე უყვარდათ ბავშვებს ბალის შუაგულში მდგარი ამაყი ნაძვის ხე!

ზაფხული სახეს არ უცვლიდა, ხოლო არც თუ ზამთარში იყო გულჩათხრობილი, როგორც თეთრ წვერა და წარბ-შეუხრელი მბრძანებელი ჩრდილოეთის ზამთრისა, ისეთი ამპარტავნობითა და უკადრისობით იდგა ჩაყვითლებულსა და ჩამომხმარ მეგობართ შორის, როგორც სახება ყინულოვანი ოკეანის თმა ჩამოშლილი ფერიისა, ისეთის რხევით ასდევდა მისი ტოტი ქარის ქროლვას, ხოლო ათასი და უთვალავჯერ ათასი ფიფქი ბზინვით ევლებოდა თავს, ციდან ჩამოფანტული დაფხვნილი ბრილიანტებივით.

ამ დროს ყველაფერი მკვდარი იყო ირგვლივ: ბალის შადრევანიც პირმცინარი მანდარი, ცთომლის მსგავსი იასამანი, ხავერდოვანი ყარამვილი, ტანაყრილი საროც, რომელიც ერთი მეორის შეცვლით ამშვენებდნენ ოდესმე ქალაქის ბალს, — ყველაფერი მკვდა-

რი იყო ამ დროს. მხოლოდ ბალის შუაგულში ამაყად აღმართული ნაძვი სცოცხლობდა სუსხშიაც და მწყაზარი ნარმით მორთული, ჯილამოხდილ დედოფალს ემსგავსებოდა.

ამ დროს უდარდელი ბავშვების ჯარი არ ეხვეოდა ირგვლივ არც თუ სიცვლექით სახე აღანძული გოგონა შეაფარებდა თავს იმის ტოტების ჩრდილს, მაგრამ სამაგიეროდ, ყოველ დილითა და ყოველ ნაშუადღევს გაჭირვებულბული ტირილით ეხვეწებოდენ: თბილს ოთახებში გამდელს, ბიჭუნა ნაძვი მსურს ვნახო, ნაძვთან მიმიყვანეო, და თეთრი პურის ნატეხით ხელში ქუჩის ბაღლები დაჰხტოდნენ, როგორც შობის ხის გარშემო დაჰხტიან განებვირებული ბაღლები, და მღეროდნენ მხიარულს ქუჩის სიმღერებს. ისე უყვარდა ყველას ამაყი ნაძვის ხე!

უყვარდათ იმიტომ, რომ ვნება უცოდინარ გულს სწამდა, ვითომ ტკბილ სიზმრებს, რომელნიც აღელვებს ყმანვილურ ოცნებას, ნაძვის გულში დაბინადრებული სული იძლევა; უყვარდათ იმიტომ, რომ კიდე უცოდინარი სიდიადით გაშლილი ზმარადი ტოტების სიტურფე უნებური ძალით იპყრობდა გულისყურს, უყვარდათ იმიტომ, რომ ნაძვის ირგვლივ საშლინგეთ გასულთ ხელს არავინ შეუშლიდა, უყვარდათ აგრეთვე იმიტომ, რომ განგება თვითონ მოჰკაზმავდა ხოლმე ნაძვს სადღესასწაულოდ და კიდეც სხვა მრავალი მიზეზით უყვარდათ ბავშვებს ეს ამაყი ნაძვი, — მაგრამ სულ სხვა იყო და სულ სხვა ხანისაა ჩემი სიყვარული და ჩემი ტრფობა მისადმი.. მე არ მახსოვს, როდის ვნახე იგი პირველად. არ მახსოვს, როდის დაუახლოვე გული, მახსოვს მხოლოდ ამაყი ნაძვი მხოლოდ ის მახსოვს, ის და სხვა არა ვიცი რა.

იმიტომ რომ დღიდან, რომელიც იყო უწინარეს მრავალ ზაფხულთა და მრავალი ზამთრისა მე არ მიგვრძნია სხვა რამ, ამ ნაძვის სიყვარულის გარეთათ, და იმ დღიდან, რაც მე ვიგრძენი სიყვარული ქალაქში შემთხვევით აღზრდილი ნაძვისა ჩემს სიჩქურეს არ მოჰკარებია სხვა რამ ზმანება, მისი აღნაგის გარეთათ.

მე ხომ მახინჯი ვარ, როგორც აგონიური განცდა ქარიშხალიანი ღამისა. ჩემს სახეს ქუფრი ჰფარავს, მზგავსად უცხოელი აგაროვანისა და ამარტისებურ თვალთა კრთომა, ისე დახტის საგნიდან საგანზე, როგორც წითელი ფერის გველი — სალიდან სალზე.

მე ხომ პატარა ვარ და კუზიანი, როგორც ჭინკა, როგორც მოხუცებული პითაკი, რომელიც სიკეთისა და ბოროტის საზღვარზე სცხოვრობს. ჩემს შუბლს სულ არ ამჩნევია სიამაყის ოდნავი კვალიც კი და ჩემი ყოფნა მევე მაქვს შეძლებული. ჩემი სახე არასოდეს არ იკარებს სიამოვნების ღიმილს, ხოლო ჩემი ბაგე არასოდეს არ ახსნილა საალერსოდ — და სწორედ ამიტომ, რომ მხოლოდ ნაძვი უძლებდა ჩემს მზერას დღიდან, რომელიც იყო უწინარეს მრავალ ზაფხულთა და მრავალ ზამთრისა. მე არ მიგვრძნია სხვა რამ ხილვა, გარდა ნაძვის უბადლოების ხილვისა.

ვუმზერ და ისარივით ატყორცნილი აღნავი, — რომელსაც მრავალი ხელი გაუნვდია სრულყოფის მოსახვეჭად, — აღიზიანებს ჩემს გულს, ხოლო სხვათათვის უჩვეულო სიდინჯე, რომელიც შემოჰპურვია ბალის შუაგულში მდგარ ამაყ ნაძვის ხეს, — მათრობს — და რიგი და რიგი საკუთარ სულის განცდათა მეფარვანება, მზგავსად კუდიანთა არულისა.

და მიკვირს, — გუშინაც ხომ ისეთივე უშნო და კუზიანი ვიყავი, როგორ დღეს, და მაშინ რატომ არ დამესია საკუთარი ფიქრის ლაშქარი, რატომ არ ვიგრძენი ის, რასაც ახლა ვგრძნობ?..

და მომწონს, — მომწონს, რადგან უფრო ადრე, სანამ ნათესავნი იხილავდნენ ჩემს ნაკვერჩხალისებ თვალებს, — ვილაცამ მითხრა, — სწორედ ასეთის განცდით ჰკვდებოდა ერთი ჩინელი ქურუმი ერთი ტაძრის საკურთხეველთანაო. მე ვიცი, რომ ჩემმა სხეულმა შეითვისა სული ამ ქურუმისა და ისიც ვიცი, რომ ჩემს შემდეგ ტურა დაეპატრონება მას, — ვიცი, რამდენადაც სუსტია ჩემი ტანი და ულამაზო, იმდენათ მძლავრია და კიდე უცო-

დინარი ჩემი ლტოლვა, და იგი მოჰკვდება მზგავსად ჩინელი ქურუმისა, ამიტომაც მომნონს ის განცდაც, რომელსაც აქამდე მეც არ ვიცნობდი.

ან რა კარგი ხარ!..

შენ აღვიძებ ჩემში უცნაურ სურვილს და მეც მკლავ. მოდუნებული მივდექ შენი ნადილის დენას. შენ აღვიძებ ჩემში საამო გრძნობას და ჩემი მკერდი ჩაიჩურჩულებს, რომ სამუდამოთ ჰკვდება უხილველი ვნებიანობა ჩემთა ბაგეთა...

ამაყო ნაძვო!

იმიტომ მიყვარხარ, რომ დაუსრულებლობას ვუმზერ შენს გადაშლილს მკერდზე, — რომელიც დასრულებულია ჰაერში გაშეშებული ტოტებით, და მიყვარხარ აგრეთვე იმიტომ, რომ ბუნდოვანი, მკრთალი ნარმოდგენა სისრულისა ყოველ საღამოთი წვება შენს მკლავებზე...

მშვენიერო ნაძვო!

მითხარ, სად არის სხვა, შენი მზგავსი ნაძვი?!

არსად —

და იმიტომ ვესწრაფი მზის ამოსვლისას შენს ნახვას; იმიტომ გემშვიდობები დღის ნასვლისას ალერსით და ნაზად; იმიტომ გხედავ სიზმარში ყოველ ღამით, — რომ არსად არ არის სხვა შენი მზგავსი ნაძვი.

უბრალო ნაძვო!..

როგორც დაწუნებული სატრფო, ისეთი მუდარით გიმზერ გაზაფხულის დღეებში გულხელდაკრეფილი, და თუმც გამვლელ-გამომვლელთ აკვირვებს ეს მზერა, მე მაინც გეცელები, მზგავსად იმ უდარდელი ბავშვებისა, რომელნიც შენს დაშვებულს ტოტებს ეჭიდებიან, როგორც ერთგული ძმად ნაფიცი, ისეთი მზრუნველობით გეველება ჩემი ფიქრი ზამთრის სუსხიან ღამეში — და ჩემი ოცნება კვაზმავს მრავალნაირი სამკაულებით...

სადღაც, ძალიან შორს, წისქვილის ბორბლის ქვეშ, თუ წყალვარდნილის შქერში ჰბინადრობს დედა — ჩემი სულისა, სადღაც, ძალიან შორს, თვალ უწვდენელი უფსკრულის სიღრმეში თუ ღრუბლის პატარა ნაჭერში სთვლემს ჩემი ნადილი, მაგრამ მე პატარა და კუზიანი შვილი, რომლის სიმახინჯე საზარელია — უარვყოფ საკუთარ დედას და ვწყევლი ჩემს წარსულ ნადილს, რადგან ამიერიდან შენი აღნაგია ჩემი ნადილი, და შენი უბადლობა კიდეც — დაფარული ჩემი სურვილი.

მე ვარ ის, რასაც ამიერიდან ეწოდება შენი შინაარსი. მე აღვავსებ შენი ტოტების უუმცირეს ნაწილსაც კი, და თუ ოდესმე ძილში გნახოს ავადმყოფმა ყმანვილმა მამხალეებითა და ოქროს ვაშლებით შემკული, — ქალკიდონის კოლიოთი, წვრილი ბივრილის მძივით და ასხმული მინანქარით, — თუ ოდესმე დაეზმანო ჭლექიან ჭაბუკს მარგალიტით მოკირწყლული, კრთომა შენი ისევე მკრთალი იქნება, როგორც ღიმილი თვით ამ ჭაბუკისა, — იცოდე, ეს სიმშვენიერეა ჩემი სულისა მხოლოდ, მე მეკუთვნის მარტო, რადგანაც მე ასე მნადია!..

უფრო ადრე, სანამ მე გავჩნდებოდი შენს მოტრფიალეთ, განგებამ იცოდა, მე და შენ ერთნი ვართ, ერთმანეთს ვიფარავთ. უფრო ადრე, სანამ ბუნება აღზრდიდა ლალსა და უკადრის ნაძვის ხეს, ქვეყანამ იცოდა, რომ ჩემს მახინჯ სხეულში იფარებოდა შენი სიმშვენიერე, და ვარსკვლავნი ამბობდნენ, რომ შენ უნდა იყვე ჩემი სახე უცილო და ჩემი ნაკვთობა. მითხარი, ვერაგო ნაძვის ხე! რისთვის გასცარცვე უმწეო და აბუჩად აგდებული ჯუჯა?

მარქვი, პატივმოყვარე, რისთვის აღმართულხარ ქალაქის შუაგულში მბრძანებლობის დიდებით, და რისთვის მიიღებ ბავშვთა ალერსს, და რისთვის შეიფერებ ბავშვთა სიყვარულს ისე, თითქოს იგი ნამდვილად შენ გეკუთვნოდეს?!

მარქვი, ლაჩარო, რად მიითვისე ჩემი დიდება, რად ამაყო ჩემი სიკეკლუცით და რატომ არ მიზიარებ ნატამალს მაინც ჩემი საკუთრებისას!?

მე ხომ ვიცი, რომ როდესაც ოდნავი რხევით ასდევს შენი ტოტი ნიავის ქროლვას სალამოს მყუდროებაში გაზაფხულზე, ან ყურძნობისას, როდესაც ფირუზის მზგავსად ჰლანებს მთვარის სხივებზე ფერი შენი სახისა და მწვანე აბრეშუმითა ჰლელავს ტოტსა და ტოტს შუა დაფარული შენი კისკისი — ეს ჩემი სიყმანვილის ლხენაა, რომელიც მომპარე პატარაობითვე; ეს ჩემი ახალგაზდული სიცოცხლის ფერებია ჩემი ახალვაჟური ოცნებისა. მე ხომ ვიცი, რომ თავ-დაჭერილი სურვილი, რომლითაც შენსკენ მოიწვევს ვარამ-უცოდინარი ბავშვი — ეს შედეგია ჩემი ენით უთქმელი სიყვარულისა, რომელიც გამონვეულია შენგან მოპარული ჩემი სილამაზით — და მაშ, რად მიმალავ ყოველივეს, ვერაგო ნაძვის ხევ, რატომ არ მეუბნები, რომ თავყანის ცემა, რომელსაც ყოველ დილით გაღირსებ ხოლმე, თავყანისცემაა საკუთარი თავისა, უშედეგო და უმიზნო!!..

მე ხომ ვიცი, რომ როდესაც მწყაზარი ტოლომა გიმშვენებს მხარს დეკემბრის გასულს, და სპეტაკი რთვილით შემოსილი გაქვს ცად ასული წვერო, — ეს სურათია ჩემი მოხუცებულობისა, წელში მოუხრელი, მხნე და ნარბშეუხრელი მოხუცებულობისა და მაშ, რატომ მეც შენთან არა ვარ ამ წუთს, და რატომ მეც არ ვიზიარებ შენს მედიდურებას, როდესაც სანახაობით აღტაცებული მნახველი დაუსვენებლად იმეორებს: მშვენიერია! მშვენიერია, არა!

მალატობ, მშვენიერო ნაძვო,
მცარცვავე

და გასურს მომტაცო ის, რაც მეკუთვნის და უნდა მეკუთვნოდეს.

მე ხომ მახინჯი ვარ, როგორც აგონიური განცდა ქარიშხლიანი ღამისა. ჩემს სახეს ქუფრი ჰფარავს, მზგავსად უცხოელი აგაროვანისა და ამარტისებურ თვალთა კრთომა, ისე დახტის საგნიდან საგანზე, როგორც წითელი გველი — სალიდან სალზე.

მე ხომ პატარა ვარ და კუზიანი, როგორც ჭინკა, როგორც მოხუცებული პითაკი, რომელიც სიკეთისა და ბოროტების საზღვარზე სცხოვრობს, ჩემს შუბლს სულ არ ამჩნევია სიამაყის ოდნავი კვალიც კი და ჩემი ყოფნა მევე მაქვს შეძლებული — ჩემი სახე არასოდეს არ იკარებს სიამოვნების ღიმისს, ხოლო ჩემი ბაგე არასოდეს არ ახსნილა საალერსოდ. მაშ, დამიბრუნე სასოება ჩემი ნამდვილი სიჭაბუკისა, მომეცი ჩემი მომავალი მოხუცებულობის უცილო სურათი. შენი აღნაგობა, მშვენიერო ნაძვო, მე მეკუთვნის და მე მსურს, ქალაქის შუაგულში შენს ნაცვლად ვიყვე აღმართული ამაყად და მედიდურად...

დ. აგლაძე

ყვითელი ფურცლები

1

გაზაფხულის ცულლუტობა

დღეს ფუქსავატი და ყოვლად შეუსმენელი ჯენტლმენი ვარ დილიდანვე, ლიგინშივე, სასიცოცხლო ენერჯის ისეთი სიჭარბე ვიგრძენი, რომ კატასავით გავიზმორე, მკლავში ძარღვები დავიჭიმე და საბანი მკლავის ერთი მოქნევით იატაკზე დავანარცხე. კარგა ხანს პერანგის ამარა ოთახში დავრბოდი და ნამძინარევი თვალეებით სარკეში ვიჭყიტებოდი. ცოტა იდიოტური გამომეტყველება მქონდა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს იდიოტობას იქ, სადაც გაზაფხულის პირველი სითბო ძარღვებსა სჭიმავს და სისხლი მოძრაობაში მოჰ-

ყავს? ლამაზი მოყვანილობის ცხვირი მაქვს, თეთრი კბილები, პატარა ნითელი ტუჩები; ოდნავ სიყვითლე გადამკრავს, მაგრამ ამ ნაკლს მოჟუჟუნე, ეშმაკურად მოლიმარი დიდი შავი თვალები აქარწყლებს. რა ვუყოთ, რომ შეთხელებულ თმაში დარბაისლობის მუდმივი თანამგზავრი მელოტი თავი ანათებს? სისულელეა. ტიტველა მკლავი სარკეს მივადე და ჩემი სხეულის თეთრი კანი რომ დავინახე, გულმა ჩქროლა დამინყო: ნამოვხტი და მკლავზე ვიკბინე. ასე დაინყო ჩემი დღე, დღე გაზაფხულის სიხარულისა და სიტკბოებისა.

დღეს ფუქსავატი და ყოვლად შეუსმენელი ჯენტლმენი ვარ. გაზაფხულს მარტო მე ვგრძნობ. ის კი, ვისთანაც ამ სალამოს ვიქნები, ვისი ვარდის ფერი თლილი მკლავიც მაგიდაზე გველივით გასრიალდება, გაზაფხულს ვერა გრძნობს. ვნებით ანთებულ თვალებს, ათროთოლებულ ტუჩებს მის სხეულს მივაპყრობ და, რა თქმა უნდა, ვერ დავინახავ, მორცხვად თავს როგორ ჩაღუნავს, ბატისტის პერანგის ქვეშ გული როგორ აუტოკდება. დღეს შეუსმენელი ჯენტლმენი ვარ. კომპლიმენტს ვეუბნები, გაღელილ მკერდს ქურდულად ჩავსცქერი და ვერა ვგრძნობ, ლოყები როგორ უნითლდება, თვალებში საბედისწერო ცეცხლი როგორ ენთება. რა ვქნა, დღეს შეუსმენელი ვარ. ვერაფერსა ვხედავ, ვერაფერსა ვგრძნობ. მიბნედილი, დასუსტებული სავარძელში ჯდება. თვალებში ბოროტი ღიმილი უთამაშებს, ღიმილი შეურაცყოფილი თავმოყვარეობისა. ნაზად, თითქმის შეუმჩნევლად თავის პატარა თითს ხელზე მადებს და ტუჩის ვნებიანი მოძრაობით რაღაცას მეუბნება?

— უკაცრავად, ხომ არ განუხებთ? — და, როგორც ჯენტლმენს შეეფერება, ჩემს სკამს ცოტა უკანა ვსწევ. ხომ მოგახსენეთ? დღეს შეუსმენელი და ფუქსავატი ჯენტლმენი ვარ. თვალებში ბოროტი ღიმილი აღარ უთამაშებს. აღარ ვიცი, თვალებში რა უთამაშებს — ღიმილი თუ ტირილი. თავი სავარძელს მიაყრდნო, თვალები დახუჭა და თეთრი კბილით ქვეითა ტუჩი ჩაიკვნიტა. მიუახლოვდი, ხელები დაუჭირე: თავი ჩემსკენ გადმოხარა; ვარდის ფერი თლილი მკლავები კისერზე მომხვია და ცხელი, გამხმარი ტუჩები ლოყაზე დამადო. სითბო მისი მოქნილი ფაფუკი სხეულისა სისხლს მიმღვრევს, თავსბრუს მახვევს და გაშმაგებული ვკოცნი... ვკოცნი შუბლსში, თვალებში, ცხვირის ნესტოებში და მკლავებში!

მაგრამ არა! ჯერ ფრთხილად! დღეს მხოლოდ ფუქსავატი და ყოვლად შეუსმენელი ჯენტლმენი ვარ. საჩქაროდ ჩავიცივი, სარკის წინ უკანასკნელად თმა გადავივარცხნე, მელოტი თავი როგორც და რითაც კი შემეძლო დავფარე და სასეირნოდ გავედი. გაზაფხულია, ნამდვილი გაზაფხული! ყველას სახეზე ღიმილი უთამაშებს, უმიზეზო და იდიოტური ღიმილი. კარგს, მზიან დღეში ხშირად ამნაირად ძაღლები იღიმებიან. თავს ვუკრავ ნაცნობებს მარჯვნივ, მარცხნივ და ვიღიმები; მეც, ალბათ, ისევე იდიოტურად ვიღიმები, როგორც სხვები. ვიღიმები და რუსთაველის განიერსა და მშვენივრად გადაშლილ პროსპექტზე ვხედავ მხოლოდ შუბლს, თვალებს, ცხვირის ნესტოებს და მკლავებს... ვარდის ფერ ტიტველა მკლავებს.

დალამდა. კარებთანა ვდგევარ, ზარსა ვრეკავ და ისევე ვიღიმები, ჩემს თავს ვუცინი; გამარჯვების მოლოდინით დამთვრალი, ვედარაფერსა ვხედავ.

— კარები ღიაა, მობრძანდით! — ისმის მოსამსახურე ქალის ხმა.

— უკაცრავად!

ქალი იღიმება. ალბათ ყველაფერი იცის. მოსამსახურე ქალი სტუმარს მხოლოდ მაშინ უღიმის, როდესაც ქალბატონის მესაიდუმლედ ჰხდება. ესეც გამოცდილებით ვიცი.

ოთახში შევედი, მინდოდა მასპინძლისთვის მხიარულად ხელი გამეწვდინა და თვალებისთვისაც დროს შესაფერისი გამომეტყველება მიმეცა, მაგრამ ვიგრძენი, რომ თვალები მე აღარ მემორჩილებიან; ღიმილი გაჰქრა. ბაიყუშივით კარებში ავიტუზე და უმწეოდ გადავხედე მაგიდას, რომლის გარშემოც აუარებელი სტუმრები ისხდნენ. ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ მე შემომხედა.

— მობრძანდით! გაიცანით!

თავი დავეუკარი, რალაც ნავილულულე და იქვე კუთხეში სკამზე ჩამოვჯექი. მცირე სიჩუმის შემდეგ სტუმრებმა შეწყვეტილი ბაასი განაახლეს. ის, ვისი ბატისტის პერანგის ქვეშ გული უნდა ათროთლებულიყო, სავარძელში იჯდა. ფეხსაცმელების ნვერებს ათამაშებდა და თავისი დიდი ცისფერი თვალებით, რომლებსაც რკალივით ხშირი გიშერივით შავი წარბები გადაჰკროდა, ხან ერთს სტუმარს უღიმოდა, ხან მეორეს. ლაპარაკი, სიცილი, ყრიაშული და მხიარულობა. მასპინძელი კარგს გუნებაზეა. ქმრისაგან სასიამოვნო წერილი მოსვლია, ატყობინებს, მალე ჩამოვალ. შავ წარბებ გადაკრული დიდი ცისფერი თვალები ჩემსკენ არ იხედებიან. კუთხეში ბაიყუშივით ატუზული ფუქსავატი და შეუსმენელი ჯენტლმენი მოწყენილი ზის და სევდიანად ჭერის კუნჭულში აბლაბუდას უცქერის.

უცბად ოთახის ერთი კუნჭულიდან ხმა მომესმა, კაცის ხმა. შევკრთი. მივიხედე. მასპინძელის პირდაპირ, მეორე სავარძელში, უცნაური რამ არსება იჯდა. რბილსა და ღრმა სავარძელში როგორღაც ჩამძვრალიყო. გადაფთვრებულსა და გამხდარ ლოყებზე საბედისწერო სინითლე გადაჰკროდა. ლამაზი მოყვანილობის ცხვირი გამხდარ სახეზე გრძლად მეჩვენებოდა. დაბლა დაშვებული წითელი ხორციანი ქვეითა ტუჩი ჩაყვითლებულ კბილებს ველარა ჰფარავდა. გაოფლიანებული თმები ერთმანეთს მიჰკროდა და გახევებულიყო. კუზიანი იყო. ხერხემალ მოღრეცილ სხეულში გული ღრმად ჩავარდნოდა; სუნთქვა უძნელდებოდა, როგორღაც უცნაურად ხიხინებდა და თვალებს აქეთ-იქით თავგვივით აცეცებდა.

პირველი გაცემის შემდეგ სავარძელში ჩამძვრალ უცნაურ არსებას მივუახლოვდი, რადგანაც ჩემსკენ იხედებოდა და, ალბად მე მელაპარაკებოდა. სტუმრების საერთო ყრიაშულსა და სიცილში მისი ხრინწიანი ხმა ძლივს ისმოდა; იძულებული გავხდი სკამი უფრო ახლო მიმენია და მარჯვენა ყურიც უფრო მოხერხებულად მომიმარჯვა. კუზიანი თავის თავგადასავალს მიაშობდა, უცნაურ ამბავს ერთი უცნაური სიყვარულისას. გაშტერებული ჩაცმელოდი თვალებში, რომლებიც თანდათან ენთებოდა და მის დასწვლულ სახეს უცნაურ რამ გამომეტყველებას აძლევდა. თანდათან ხმა გაუმავრდა; თვალებს თავგვივით აღარ აცეცებდა, სევდასთან გადანული შფოთვა მისი სულისა თვალებსაც ჭკვიანურ გამომეტყველებას აძლევდა და რალაც უხილავი, საიდუმლო ძალით მოსაუბრის ყურადღებას ჰბორკავდა.

უცებ ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ინსტინქტიურად დიასახლისისაკენ მივიხედე და მისი მგრძნობიარე, ალელვებული თვალები დავინახე. ჩამოჭარხლებული, განითლებული სახით ჩვენ შემოგვცქეროდა და ხშირი სუნთქვა მის მღელვარებას ამჟღავნებდა. საშინელმა, თავზარდამცემმა ეჭვმა ელვასავით გამირბინა გულში: ჯერ კუზიანს შევხედე, მერე დიასახლისს და დავმშვიდდი: დიასახლისი უკვე სტუმრებს ელაპარაკებოდა და უდარდელად კისკისებდა; მხოლოდ დრო გამოშვებით თავისი პატარა ლამაზი ხელით თმებს ისწორებდა და კეკლუცი, მადლიერის ღიმილით, შორიდან მიცქეროდა. სტუმრები წამოიშალნენ. მე და კუზიანი-ლა დავრჩით. მისი აღმაფრენა და აღფრთოვანება ჩაიფერფლა. ისევ უცნაურად ჩაძვრა სავარძელში, უფრო საშინლად მოიკუზა და უსიცოცხლოდ თავი ჩაჰკიდა, თვლენა დაიწყო. წასვლას აღარ აპირებდა. საათმა თორმეტი დაჰკრა. დიასახლისმა საათს შეხედა, ზანტად გაიზმორა და მთქნარება ძლივს შეიმავრა. განშორების ჟამის ამ საშინელმა ნიშანმა ეკალივით გულში მიჩხვლიტა და წამოვდექი: კუზიანს გამოვესალმე და დიასახლისს კარებთან ბოროტის ღიმილით შევეკითხე:

— მხიარულად გაატარეთ საღამო?

არაფერი მიპასუხა. ჩუმად დერეფანში გამომყვა, კარები თითონ გამიღო და, როდესაც ქუჩაში გავედი, ნახევრად გაღებული კარებიდან ჩურჩულით მითხრა:

— ნუ ჯავრობთ. ხვალ საღამოს გელით. მარტო ვიქნები.

გულმა ჩქროლვა დამიწყო. ჩაფერფლილმა იმედებმა კვლავ გაიღვიძეს; მთელი საღამოს განმავლობაში ასე მოულოდნელად დატყვევებულმა გრძნობამ ერთბაშად გადმოხეთქა; ალელვებული ქალისკენ გავემართე და... ცხვირ წინ კარები გამომირახუნა.

დაღვრემილი სახლისკენ მივდიოდი; აღარც იდიოტურად ვიღიმებოდი, ვილაც ნაცნობი მომესალმა, მაგრამ პასუხი არ გავეცი. რუსთაველის განიერსა და მშვენიერად გადაშლილ პროსპექტზე სიცარიელე და მყუდროება იყო. ამ მყუდროებას ჩემი ფეხსაცმელების მონატონიური ტაკა-ტუკი-ლა არღვევდა...

დანიშნულ დროს კარებთან ავიტყუე. ათრთოლებულის ხელით ზარსა ვწვდი და დავრეკე. თვით დიასახლისი გამომეგება. კეკლუცის ღიმილით ხელი გამომინოდა და ოთახში შემეყვანა.

- სჩანს, არა ჯავრობთ?
- ვინ მომცა მაგის უფლება?
- ჩემმა სიმკაცრემ.
- რომელსაც დღევანდელი თქვენი მგრძნებიარე თვალები აქარწყლებენ და...
- მობრძანდით!

სასტუმრო ოთახში არავინ იყო. სავარძელში ჩაჯდა და მეც მთხოვა, სკამი ახლო დამედგა. ღრმად ამოჭრილი დეკოლტე... თეთრი, ფაფუკი მკერდი... სავარძელზე გველივით გადაკლაკნული ტიტველა მკლავი...

სუნთქვა შემეკრა. თვალები ამემღვრა. ძარღვები მომიდუნდა. ათრთოლებული ხელი მკლავზე დავადე.

- ნუ ცელქობთ! — ღიმილით მითხრა და სავარძელი უკან დასწია.
- ჩემი ბრალი არ არის. ტიტველა მკლავი... თეთრი მკერდი...
- ჩუმად!
- მარტონი ვართ!

თავ-ზარდაცემული წამოვიჭერი: სასადილო ოთახიდან სვლა მომესმა. სისხლი მეცა თავში, გაბრაზებული ოთახისკენ გავქანდი, მაგრამ წინ დიასახლისი გადამელობა და მტკიცედ შემაჩერა:

- დაბრძანდით!
- უმნეოდ სკამზე დავეშვი. დიასახლისს სახეზე ბოროტმა, დამცინავმა ღიმილა გადაურბინა:
- რამ შეგაშფოთათ?
- იქ ვინ არის? — ხრინწიანი ხმით ჩავილაპარაკე და სასტუმრო ოთახისკენ გავიხედე.
- მერე თქვენ რა? დღევანდელი სალამო თქვენია. ისარგებლეთ ამ სალამოთი, თუ შეგიძლიანთ! — და გამომწვევ ღიმილით თავიდან ფეხებამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

ცივმა ოფლმა დამასხა. ფუქსავატი და შეუსმენელი ჯენტლმენი გაოცებული შესცქეროდა ქალის სახით ასე უცნაურად წამოჭრილ ამოცანას და თრთოდა ამ უჩვეულო და საშინელი ამოცანის წინაშე.

- დამცინით!
- ნუ თუ? თქვენ ხომ ასეთი ლამაზი ხართ! ლამაზი ცხვირი, თეთრი კბილები, პატარა წითელი ტუჩები, ეშმაკურად მოღიმარი დიდი შავი თვალეები! ლამაზი ხართ და სილამაზის წინაშე, ხომ ხედავთ, როგორ მორჩილებით იხრის თავს თქვენი მორჩილი მონა. აბა, შემომხედეთ!

— დამცინით! თქვენც დამცინით და ისიც, მეორე ოთახში რომ ზის, კუზიანი, ხერხემალ გამშრალი ადამიანი!

— დაჩუმდით! — მრისხანედ შემომძახა დიასახლისმა და მოელვარე თვალეები შემომანათა: — თქვენ ხომ ლამაზი ხართ? სხვა რალა გინდათ? — და სარკასტიულად გადისარხარა. — დღევანდელი სალამო თქვენია, ისარგებლეთ, თუ შეგიძლიათ.

დიასახლისი იცინოდა. მის სიცილს სასტუმრო ოთახში კუზიანის ხველასთან შეზავებული ხითხითი დაერთო. იგი მოჩვენებასავით კარებში აიტყუა. შუბლის ქვეშიდან ბოროტად მიცქეროდა. ახველებდა და ხითხითებდა.

— თქვენ ლამაზი ხართ! ხი, ხი, ხი! დღევანდელი სალამო თქვენია! რათა ჯავრობთ, ჯენტლმენო! ხომ გეუბნებათ მშვენიერი მანდილოსანი, დღევანდელი სალამო თქვენია? რალას უცდით? ტიტველა მკლავი, მსუქანი ტიტველა მკლავი! ხი, ხი, ხი!..

თავს ბრუ დამესხა, ბოლმა ყელში მომანვა. ოთახი დატრიალდა და ფეხქვეშ იატაკი შეტორტმანდა.

— დაჩუმდი, შე მახინჯო! — და მუშტ-მოღერებით კუზიანისკენ გავექანე. უცბად თვალთ დამიბნელდა. გონება დამეკარგა... პირველმა აღშფოთებამ რომ გაიარა და თვალები გავახილე, კუზიანი ოთახში ველარ დავინახე. დიასახლისი კი ისევე სავარძელში იჯდა და ღიმილით, თავისებური კეკლუცი ღიმილით მეუბნებოდა:

— დაბრძანდით! მომიალერსეთ!

— ღვთის გულისათვის გამაგებინეთ, სიზმარში ვარ, თუ ყველაფერს ცხადლივ ვხედავ?

— როგორ თუ სიზმარში?

— ის სად არის?

— ვინ ის?

— ის, თქვენი სტუმარი?

— მართლა სიზმარში ყოფილხართ?

თვალები მოვიფშვნიტე. ოთახს უმწეოდ თვალი მოვაველე, მაგრამ ვერსად საშინელი მოჩვენების კვალი ვერ დავინახე.

— მომეცით ხელი! თქვენც თეთრი ხელი გქონიათ, თბილი ხელი. მე ძალიან მიყვარს თბილი ხელი. მომიახლოვდით! რატომ არ გინდათ ჩემი გულ-კეთილობით ისარგებლოთ? ეს სალამო ხომ თქვენია? აი ჩემი მკლავიც, ტიტველა მკლავი! ხომ მოგწონთ? აბა, ტუჩები დაადეთ, რა რბილი და ფაფუკია.

გაშმაგებული მკლავს დავენაფე და კოცნა დავინყე. სისხლი თავში მეცა. სახე ამემღვრა. დიასახლისს ხელებში ვწვდი და ჩემსკენ მივიზიდე.

— აქ ნუ! საწოლ ოთახში შევიდეთ!

დიასახლისი წამოდგა, წელში გასწორდა, უცნაური რამ ბოროტი ღიმილით გადმომხედა და საწოლ ოთახისკენ გაემართა. კარებს ხელი ჰკრა და ჩემს თვალწინ მისი საწოლი გადაიშალა.

— მოდით! საწოლთან მოდით! დღეს ეს საწოლი თქვენია! — მღელვარებით მითხრა და ოთახში შემათრია.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და ერთბაშად გულიდან საშინელი ყვირილი ამომხდა: დიასახლისის ლოგინში კუზიანი იწვა, თმა გაჰბურძვნოდა, თვალებს თავგვივით აცეცებდა და დამცინავი ღიმილით მე შემომცქეროდა.

დიასახლისი გაშმაგებული მივარდა კუზიანს, ხელი მოჰხვია და ვნებითა და ჟინით ტუჩებში კოცნა დაუნყო.

— ხი, ხი, ხი! — ხითხითებდა კუზიანი და თავის გამხდარსა და ძარღვიან ხელებს ჩემსკენ იშვერდა.

თავზარდაცემული ოთახიდან გამოვარდი; მივრბოდი, რომ საშინელი სიყვარულის მონ-მე არ გავმხდარიყავი, მივრბოდი და უკან მომდეგდა თავზარდამცემი ხითხითი კუზიანისა:

— ხი, ხი, ხი!..

გიჟივით სახლისკენ მივრბოდი. რუსთაველის განიერსა და მშვენიერად გადაშლილ პროსპექტზე მყუდროება იყო. ამ მყუდროებას მხოლოდ ჩემი ფეხსაცმელების ნერვიული ტაკა-ტუკი ღა არღვევდა...

გოეთე თუ მისტიკოსი

I

შექსპირი ერთი იმ გვარ ფენომენტაგანია, რომელზედაც არ შეიძლება ლაპარაკი, ყოველ შემთხვევაში კამათი. გვაფრთხილებს გოეთე. გოეთეზე ლაპარაკიც ერთგვარ კადნიერებას არაა მოკლებული. განსაკუთრებით დღეს ძლიერ ძნელია გოეთეზე რაიმე ითქვას, ყველაფერ იმის შემდეგ, რაც ყველა კულტურულ ენაზე დაწერილა გოეთეს შესახებ, მაგრამ მე მგონია, თუ გოეთეს ჩვენს თანამედროვეობას დაუკავშირებთ სწორედ საჭიროა დღეს მასზე ლაპარაკი.

განსაზღვრული სიტყვა, განსაზღვრული აზრიც ორი სხვა და სხვა ადამიანის პირით თქმული ერთი და იგივე არ არის. იდეები და სიტყვები წინასწარ, რომ ერთნაირის მიზნითა და აზრითაც, რომ იყვნენ განზრახული, ისინი ორი ადამიანის პირში ყოველთვის განსხვავებულნი იქნებიან.

მით უმეტეს მე განზრახული არა მაქვს გოეთეს კულტურულ-ისტორიული, ან მარტოოდენ კრიტიკულ ესთეტიური შეფასება, ამაზე ტომები დაწერილა. მე მინდა, ვცადო ჩვენ თანამედროვეობას დავეუკავშირო იგი. ჩვენ სწორედ ისეთ დროს ვცხოვრობთ, რომელზედაც ასი წლის წინად იწინასწარმეტყველა გოეთემ: „მალე პოეზია უპოეზიოდ შეგვრჩება ხელში, ეს იქნება ნამდვილი პოეზიის — (წარმოებული ბერძნული სიტყვიდან — *Poíew* = გაკეთება). პოეტებს მაშინ დაერქმევათ *a densando* მიჯრით მიმწყობი, პოეტები მაშინ მეძებნებებს დაემზავსებიან, რომელნიც თავიანთ გრძნობებს ჩასტენიან ექვს მუხლოვან ჰექზამეტრებისა და ტრიმეტრების ნაწლებებში.“ გოეთეს გენიალური სატირა სანახევროდ ახდენილია ჩვენს თანამედროვეობაში. მე არ ვიტყვი საქართველოზე, ჩვენ ბარე ორი საუკუნე გვიკლია იმ დონემდის რომელზედაც მიღწეული აქვს ევროპიულ ადამიანობას; დასავლეთში, როგორც ეს ავლნიშნე სტეფან გეორგზე წარმოთქმულ სიტყვაში, პოეზიისათვის ცარიელი ადგილი აღარც არის დარჩენილი.

ეს ბუნებრივია. დიდი ცივილიზაცია ყოველთვის ანტიპოეტური, ანტიმუსიკალური მოვლენაა. თანამედროვე ევროპიული ენები დღითი დღე თავისუფლდებიან მუსიკალურ ელემენტებისაგან შეიძლება მართლაც რიჰარდ ვაგნერი ყოფილიყო უკანასკნელი მუსიკალური გმინვა ფაუსტურ დასავლეთურ კულტურის. ვერლენი უთუოდ გრძნობდა ამას, როცა იგი სასონარკვეთილი გაიძახოდა — „დელა მუსიკ ავან ტუ შოზ“ მუსიკა, უმეშველო მეთყველებაა ღვთაებრივისა, როცა კლებულობს ღვთიური ენტუზიაზმი, კლებულობს და შრიალით ჰქრება პოეზიაც.

თამამად ითქმის, რომ თვით გოეთეც არ ყოფილა უაღრესად მუსიკალური ფენომენი; შეიძლება ეს ჰქონდა მხედველობაში ვალდო ემერსონს, როცა მან ეგზომ კადნიერად განაცხადა, რომ გოეთე პოეტი როდი იყო, არამედ ბრძენი მისანიო. მიუხედავად გოეთეს ფაუსტის მუსიკალურ ადგილების, მიუხედავად მისი *Röslein, Röslein*-ის და ტყის მეფისა, გოეთე ვერ ჩაითვლება მხოლოდ და მხოლოდ მუსიკალურ ფენომენად, რადგანაც მისი მსოფლიოს შეცნობის ორგანონი ყური როდი იყო, არამედ თვალი. გოეთეში პლასტიური ელემენტი სჭარბობს.

„მე ეფესტოსებური ოქრომჭედელი ვარ, რომელიც თავის სიცოცხლეს საოცარ ქალღმერთის ტაძრის ჭვრეტაში და მზერაში ატარებს“.

თავის აუტობიოგრაფიულ ქმნილებაში — „დიჰტუნგ უნდ ვაჰრჰაიტ“ გოეთე თითონვე აღიარებს: „უწინარესს ყოვლისა თვალი მაჩნდა მე ისეთ ორგანოდ, რომლითაც მე მსოფლიოს ვწვდებოდი“.

უდიდესი შთაბეჭდილებანი მას თვალის საშუალებით ჰქონდა ამ ქვეყანაზე მიღებული. რიჰარდ ვაგნერი ბრმაც რომ ყოფილიყო, მსოფლიოს მუსიკალურ მისტერიებს მაინც მიწვდებოდა.

დაუკვირდით ამ გარემოებას, დაუკვირდით, თუ რას ამბობს უდიდესი პოეტი ახალი საუკუნოებისა — გოეთე თავის თავზე. იგი თვალთ ცნობილობს მსოფლიოს მისტერიას. მოიგონეთ ანტიკის უდიდეს პოეტზე — ჰომერზე არსებული ლეგენდა, რომ იგი ბრმა ყოფილა. მაშასადამე ჰომერს სწორედ გოეთეს კონტრასტად — შეცნობის ორგანოდ სმენა ჰქონდა. მუსიკა იყო მისი პირველ ფენომენი.

ერთერთ თავის ლექსის გმირს ათქმევინებს გოეთე: *Zum sehen geboren gum schauen bestellt* — „ხედვისთვის შობილი, ჭვრეტისთვის ხმობილი“.

გოეთე ავტორი თავის სიჭაბუკის ლირიკისა და ფაუსტის პირველი ნაწილის უმთავრესად მუსიკალურია, ხოლო მისი შემოქმედების მეორე პერიოდი მის მისწერ ნათელ ხილვას საზრდოს აწვდის თვალი; კლებულობს მუსიკალური ტემპი, სამაგიეროდ ბასრდება და მძაფრდება მისი თვალისხედვა, იგი თვითვე აღიარებს: „რაც უფრო ნელდებოდა ჩემში ხელოვნური შემოქმედების ძალა, მით უფრო მემატებოდა ბუნებისმეტყველური კვლევის უნარი. ფაუსტის მეორე ნაწილიც უფრო გიგანტიური არქიტექტონიკით განძრახული მსოფლიო პანორამაა, ვიდრე მუსიკალური დრამატიული პოემა. როცა გოეთეს ლექსებს ლიბრეტოდ მოიხმარდნენ მისი თანამედროვე კომპოზიტორები, გოეთე ბრაზობდა, სიტყვები, სიტყვები მელუპებაო.“

გოეთეს თვალმა აღმოაჩინა ადამიანის ზემო ყბაში შუათანა ძვალი, კანონი ანტაგონისტურ ფერადების, კანონები მცენარეთა მეტამორფოზებისა;

საგულისხმოა ისიც, რომ გოეთე მთელი თავის ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში პლასტიურ ხელოვნებებით იყო გატაცებული: გოეთე მუდამ ოპტიკურ აპარატებს უტრიალებდა: მიკროსკოპებს, ტელესკოპებს, მგზავრობის დროს მუდამ თვალი ეჭირა მთებისა და ღრუბლების კონტურების ორიგინალურ მოხაზულობაზე.

აკვირდებოდა, ფოთლების, მინერალების, ფულების, ნაქსოვების, ქანდაკებების, ხიდეების, ციხეების, კათედრალების ხაზებს, ფორმებს; ყველგან სურვილი ჰარმონიულ მოხატვის, სიმეტრიის, ჰარმონიის თვალთ შენიშვნისა. ყველგან და ყოველთვის თვალია მისი შეცნობის მთავარი ორგანო როგორც ბუნებაში, ისე ხელოვნებაში და კულტურაში.

გოეთემ ყველაზე უწინ დააფასა რენესანსი და გოტიკა, მიქელანჯელო, დურერ და ლუკას კრანახი. მისი იტალიანური მგზავრობის მემუარებიდან კიდევ დიდხანს ისწავლიან ხელოვნების ოფიციალური ისტორიკოსები.

ასეთი იყო გოეთეს თვალი.

გოეთე უთუოდ არა მუსიკალური ფენომენი იყო, თუმცა იგი შესაფერ ხარკს აძლევს მუსიკასაც — „ტონალური მუსიკა ის ჭეშმარიტი ელემენტია, რომლისგანაც იშობვის ყოველივე პოეზია“. — მაგრამ თანაც დასძენს: „ენა რომ უცილოდ უმაღლესი რანგის ფენომენი არ იყოს ჩვენთვის, მე მაშინ მუსიკას უფრო მაღლა დავაყენებდიო“. ეს ნამდვილი დიპლომატიური პასუხია, ბოლოს და ბოლოს გოეთე მაინც ხომ ენას აყენებს მუსიკაზე მაღლა.

1772 წელს იოჰან ქრისტიან კესტნერი მოგვითხრობს ახალგაზრდა გოეთეზე. „იგი მრავალნაირი ტალანტითაა დაჯილდოვებული, გარდა ამისა მას უაღრესად მძაფრი ფანტაზია აქვს. ამიტომაც იგი უმეტესად ხატებით, მეტაფორებით მეტყველობს. იგი თვითონ აღიარებს, რომ მას პირდაპირი გამოთქმა არ ემარჯვება, როცა ხანში შევალ, ალბად, აზრებს ისე გამოვთქვამ როგორც მომინდებაო.“

იგი თავის აფექტებში ძლიერ ტემპერამენტიანია, თუმცა ხშირად თავს იკავებს. მას უყვარს ბავშვები. განსაკუთრებით ბავშვებსა და ქალებს უყვართ იგი.

მოსწონს რუსსო, თუმცა არ შეიძლება ითქვას რომ ბრმა თავყანისმცემელი იყოს მისი. მას სძაგს სკეპტიციზმი.

მას ბევრი უმუშავნია, ბევრი ცოდნა შეუძენია, ბევრი უკითხავს, უფრო მეტი უფიქრნია, მისი მთავარი ხელობაა მშვენიერი მეცნიერებანი, აგრედნოდებული პრაქტიკული მეცნიერებანი არ უყვარს მას“.

კესტნერის დახასიათებაში სწორედ ეს უაღრესად მძაფრი ფანტაზიაა საყურადღებო. ადამიანის სულიერ ცხოვრებაში ყველა ფენომენზე უფრო რთული და საოცარი ფენომენი ეს არის — ფანტაზია.

ფანტაზიის ინტენსიურობით განისაზღვრება დიდი მწერლის სიდიდე და სიმაღლე. გოეთეს სიძლიერე მის არა ჩვეულებრივ პოეტურ ფანტაზიაშია. დიდია და საოცარია რიჰარდ ვაგნერის ფანტაზია, მაგრამ მის ფანტაზიას ბუნების საშოში დამალული ძალები სმენის საშუალებით ეხმაურებიან, ხოლო გოეთე ამავე ემოციებს თვალის საშუალებით ლებულობს.

ამ ფანტაზიის წყალობით თავის რომანების გმირებს თავის თანატოლებად სთვლიდა დიკენსი, იშვებდა და იხარებდა მათთან ერთად და როგორც კი კატასტროფა მოუახლოვდებოდა რომელიმე მათგანს, პოეტის სულს საშინელი პანიკა მოიცავდა. ბალზაკი ისე ლაპარაკობდა თავის *comédie humaine*-ის გმირებზე, თითქოს ისინი ხორციელნი ყოფილიყვნენ. ამიტომაც „ტრალედიის დასრულებამდის შეიძლება მეც ტრალედიის გმირთან ერთად დავილუპო“ — ამბობს გოეთე.

გოეთეც არაჩვეულებრივი პოეტური ფანტაზიით დახასიათდება.

ფანტაზია სიტყვის, გამოთქმის სფეროში. იგი სიტყვის მეფე გახდა ამ ფანტაზიის წყალობით, ქვეყანა იმისთვის იტანჯება, რომ ნაგრძნობი სჭარბობს ხოლმე ნათქვამს. გენიოსი იმითაა ბედნიერი, რომ მას სწორედ ეს გამოთქმა ემარჯვება სხვაზე მეტად. ვალაპარაკოთ თვითონ გოეთე თავის პოეტურ ფანტაზიის შესახებ:

„მე შემეძლო, როცა თვალს დავხუჭავდი, თავჩაქინდრულს, ხედვის ორგანოს შუაგულში წარმომედგინა რომელიმე ყვავილი, ეს ყვავილი ერთი წამის შემდეგ სახეს იცვლიდა, ირღვეოდა, იშლებოდა, იცრიცებოდა იგი და ჩემს თვალს ელანდებოდა ახალი და ახალი ყვავილები ნაირ-ნაირი ფერადობისა და ნაირ-ნაირი ფურცლობისა. ეს ყვავილები ბუნებრივი ყვავილები როდი იყვნენ, არამედ ფანტასტიურნი, მიუხედავად ამისა, იმათში ისევე დაცული იყო სიმეტრია, როგორც მოქანდაკის როზეტებში. ჩემთვის შეუძლებელი იყო მათი მოხაზულობის სრული დეტალების დამახსოვრება, მაგრამ ფერადების კრთომა არ იჩრდილებოდა, არც ძლიერდებოდა; მე შემეძლო თვალ-დახუჭულს დიდხანს მემზირა მათთვის. ამავე ყვავილების, — ხსოვნაში განახლება შემეძლო მე თამამად, როცა ეკლესიის ქრელად შელებილ მინებს შევხედავდი, რომელნიც ცენტრიდან პერიფერიებისაკენ ისე აფრქვევდნენ ფერადებს, როგორც ჩვენ დროში ახლად მოგონილი კალედოსკოპი“.

„ჩემი შეგრძნობითი ნიჭი, — უამბობს გოეთე კანცლერ მჟულლერს, ისე საოცრად მოწყობილია, რომ ნახულის მოხაზვა და ფორმა მკაფიოდ მრჩება ხსოვნაში. და ეს ძლიერი შთაბეჭდილების მიღებისა და შეგრძნობის უნარი რომ არ მოეცა ჩემთვის ღმერთს, ჩემი გმირების სახისა და აღნაგობის ინდივიდუალციას მე ვერც კი მოვახერხებდი. ამ ბეჯითი, პრეციზული დამახსოვრების და შთაბეჭდილების ნიჭის წყალობით მე დიდხანს, დიდხანს ვარწმუნებდი ჩემ თავს, რომ ჩემი ტალანტი მხატვრობაში ჩვეულებრივზე უფრო დიდი იქნებოდა.“ გოეთეს ფანტაზია ისეთის ძლევა მოსილობით იკვლევდა გზას გოეთეს ცხოვრებაში, რომ თვით ვადმარის ლიტერატურულ წრეებში, სადაც მთელი მაშინდელი გერმანიის ლიტერატურის მეტეორები თავს იყრიდნენ, გოეთე მარტოობას ეძებს, ჟამიდან ჟამზე გოეთე გაურბის თავის მეგობრებს, რათა მარტოობაში ებაასოს თავის დაუცხრომელი ფანტაზიის დემონს. ასეთ წამებში იგი „დემონით შეპყრობილი“ ეგონა მის მეგობარს იაკობს.

II

გოეთე ერთად ერთი გერმანელია, შეიძლება ერთად ერთი წარმომადგენელი ევროპიულ ადამიანობის, რომელმაც აბსოლუტურ, ჰარმონიულ სრულყოფას მიაღწია. ამიტომაც განუყრელია მისი ქმნილება და მისი პიროვნება. გოეთეს ბოგრაფიას რომ არ მოეღწია ჩვენამდის, მისი ქმნილება მაინც ნათელი იქნებოდა ჩვენთვის. უკულმა: ჩვენ მარტო მისი ბოგრაფია რომ დაგვრჩენოდა, ჩვენ მაინც თითო გავიშვერდით მის პიროვნებაზე საჩვენებლად.

მისი ქმნილება პირნავარდნილი ტყუპია მისი პიროვნების. როცა ჩვენ დონკიხოტს ვკითხულობთ ვერც კი გაგვიგია, როგორ შეიძლება, რომ სერვანტესი ქურდი ყოფილიყო, ეს გოეთეს ცხოვრებაში შეუძლებელი იქნებოდა.

ჰარმონიულ სრულყოფას წარმოადგენს არა მარტო გოეთეს პიროვნულ ადამიანური ცხოვრება, არამედ მისი გარეგნობაც.

ჯერ არავის უნახავს, რომ ღვთაებრივი ჰარმონია გულში და სახეზე თანასწორად ყოფილიყოს ისე განსახიერებელი, როგორც გოეთეს გარეგნობაში. 80 წლის გოეთეს სახე ისევე ღვთაებრივია, როგორც ახალგაზრდა ლაშქციგელი სტუდენტ გოეთესი.

სტუდენტი გოეთე — ლაშქციგელ ქალების საყვარელი, გიჟმაჟი, გონება მახვილი ჭაბუკი, ისე დადიოდა, როგორც ახალგაზრდა ღმერთი, მინიერ ელემენტისაგან შვებული. მოხუცი გოეთე — ვადმარის უგვირგვინო მეფე!

ყოვლის შემცნობი და ყოვლის შემწვდომი თვალები, რომელნიც დამწვარან ღმერთის ახლოხილვით, და ნაოჭი ისე ახვევია მის თვალებს, როგორც წმინდანისას შარავანდედის მთიები.

მისი ავტობიოგრაფია *Dichtung u. Wahrheit*, დინჯი, ობექტიური ანალიზია საკუთარი ცხოვრების, არსად ტრაბახი, არსად ისეთი ყოყლოჩინა პარნასიზმი, ან ყალბი პათოსი, როგორც სჩვეოდა ვიქტორ ჰუგოს, ან ფრანგის სვიმბოლისტებს.

მისი არსებობა განუწყვეტელი და დაუსრულებელი ფორმად ქმნაა, დაუსრულებელი მეტამორფოზა, წინსვლა. არსად განსვენება, არსად მდაბიო მოქალაქური თვით კმაყოფილება, მუდმივი წყურვილი დასრულების, შევსების, მეტის გრძნობის, მეტის ცოდნის.

გოეთეზე წერა და ლაპარაკი არ შეიძლება იმ გზით, რომელიც არა ერთხელ უცდიათ გოეთე ფილოლოგებს. ფილოლოგების საერთო სენია, რეკონსტრუქცია, დახსნა, დარღვევა, ანალიზი და შემდეგ სინტეზი.

ვისაც გოეთეს ფენომენის შეცნობა უნდა, მან გოეთე უნდა განიცადოს, როგორც ჰარმონიული, ორგანიული მთლიანობა.

ამიტომაც იმ უამრავ წიგნებში, რომელიც ყველა კულტურულ ენებზე დაწერილა გოეთეს შესახებ, სულ რამოდენიმე ამოიჩევა, რომელთა ნაკითხვა ღირდეს. ყველაფერს, რაც გოეთეზე დაწერილა, მე ვარჩევ ჰარტლებენის „გოეთე-ბრევიერს“, სადაც გოეთე თვითვე ლაპარაკობს თავის ქმნილებებზე, თავის ადამიანურ ცხოვრებაზე, თავის გენიის მარტვილობაზე, თავის ადამიანურ ვნებებზე, თავის ზეკაცურ ნამებაზე, ნაკლზე და ღირსებაზე. გოეთეს მკვლევართა მაგალითი გვიჩვენებს, რომ პსიხოლოგები, სუსტიმატიკოსები და პატენტიანი კრიტიკოსები ამაოდ ინუხებენ თავს თავიანთ კვლევით, გამორკვევით, ტრაქტატებით, ჰიპოტეზებით და დაუსრულებელი კამათით. გენიოსის შესაცნობად ერთად ერთი გზაა — გზა კონგენიალური შეგრძნობისა. ხოლო უცილო იარაღია გენიოსის საგრძნობად არა ტენდენციური კრიტიკა და დილექტანტური ჩხირკედელაობა, არამედ თავდაბლური მოკრძალება, მიმღებობა. ყოველ ჭეშმარიტად მაღალთან ქუდ მოხდილად უნდა მიხვიდეთ.

ვინც წმ. პეტრეს ეკლესიაში, რომში, დიდის პრეტენზიებით და ცოდნის ტენდენციით აღჭურვილი შევა, იგი ისევე ცარიელი გამოვა იქიდან, როგორც შესულა. ვისაც ღმერთის სიყვარული ბერისა, მოთმენა ასკეტისა, თავმდაბლობა მონასტრის მორჩილისა, და ენ-

ტუზიაზში პოეტისა თანდაჰყვება, მას გულს გაუხსნის ამ დიდზე უდიდესი ტაძრის ღმერთშემოსილება და დიდებულება.

ასეა გოეთეც.

გოეთემ თვითონ სთქვა თავის ნაწერებზე: ჩემი ქმნილებანი ცოდვათა მონანებანიანო. ამაზე უფრო ძლიერი თვითკრიტიკა, ამაზე მეტი ობექტივიზმი თავის პიროვნებისა, თავის ადამიანურ მეობის მიმართ, ჯერედ მწერალსა და პოეტს არ გამოუჩენია. ყოველი დიდი ხელოვანი თავისთავზე ამალლების ცდაშია მუდამ. ყოველი დიდი პოეტი და ბრძენი ცდილობს თავის ადამიანურ მეობაზე მალლა დადგეს. ასე გრძნობს გენიოსი, რომ მისი სხეულება და არსებობა ამ ქვეყნად წარმავლობაა. უკვდავია მხოლოდ მისი სული, მისი ქმნილება, მისი *Ens realissimum* როცა გაითვალისწინებ ადამიანი ამ ჭეშმარიტად ბედნიერი პრინციის, ღმერთების საყვარელის მიწიერ ცხოვრებას, გიკვირს კიდევაც, რომ მას წამოცდა პირიდან, რომ მისი ადამიანური ცხოვრება მონანიებას საჭიროებს; მაგრამ ღმერთისაგან გამოგზავნილი ადამიანები ყველაზე მძიმედ გრძნობენ იმ სერიოზულ მოვალეობას, რომელსაც ცხოვრება ეწოდება. ისინი ცასთან და ღვთაებასთან ახლოს არიან, ისინი უფრო შორს იყურებიან, ვიდრე ხილული სამყაროს ფარგლები სწვდება. ისინი მუდამ უკმაყოფილონი არიან თავიანთ სრულყოფით, რადგანაც ღმერთის პირისაგან უხილავთ აბსოლუტური და სრულყოფილი. ისინი მუდამ უკმაყოფილონი და დაუდეგარნი არიან ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანები, რომელნიც ფულით, ქალებით, სახელით და პატივით თავს იტყუებენ.

გოეთეზე წერა ყოველთვის შეიძლება, რადგანაც საკმაოდ არავის ულაპარაკია გოეთეზე. ყოველი თაობა, ყოველი კულტურული წრე ახალ და ახალ საუნჯეებს ჰხედავს და აღმოაჩენს ხოლმე მის შემოქმედებაში. ყოველი თაობა ახალ ჭეშმარიტებათ სწავლობს მისგან.

ყოველი თაობის წარმოდგენაში სულ სხვა და სხვანაირია გოეთე. მის თანამედროვეებს მუდამ გაურბოდა იგი.

„როცა ადამიანებს ჰგონიათ, მე ვაფმარში ვარ, სწერს გოეთე, ამასობაში უკვე ერთფურტში ვარ“. თანაც „გამოცვლილ მეგობარს“ უწოდებს იგი თავისთავს. გოეთე, როგორც მისი ოქროს გველი, მუდამ ხელიდან და შემეცნებიდან უსხლტებოდა თანამედროვეებს. თუმცა ყველაზე მეტი ჭაპანწყვეტა გოეთეს გასაგებად გერმანელ გერმანისტებს გადაუვლიათ გოეთე ფენომენის შესაცნობად, მაგრამ ნიცშე მაინც ფიქრობდა: გოეთე გერმანელებს მარტო არ შერჩებათო.

როცა მეოთხმოდცაათე წლებში გაისმა პაროლი: „უკუვიქცეთ გოეთესკენ“, ახალმა თაობამ ხელახლად თავისთავი დაინახა მარმალაილოს გოეთეში და მოინდომა მასში მონისტი ეპოვნა.

ამგვარად გოეთე — მატარებელი მთელი ადამიანობისა ერთი მონისტის სახით წარმოუდგა თვალწინ ამ თაობას, რადგანაც გოეთე ყოველის შემცველია. ბერძნული კლასიციზმი, როკოკო და რომანტიზმი, ვოლტერი და კანტი, ჰერდერი და სპინოზა, მისტიკა და კათოლიციზმი, ყველაფერი გოეთეშია, მაგრამ გოეთე არც ერთი ცალცალკე არ არის, არამედ ყველას შემცველი. იგი მაგიური მოზაიკაა, ამიტომაც არ შეიძლება ითქვას: როკოკო — ეს არის გოეთე. ან ბაროკო, ან რომანტიზმი, ან მისტიციზმი. ამოიღეთ რომელიმე ქვა მოზაიკიდან, ეს არამც და არამც არ იქნება მოზაიკა, არამედ ერთი სახეობა მრავალ სახიერობისა. ასეთია გოეთეც.

1813 წლის იანვრის 8-ის თარიღით იაკობისადმი მიწერილ ბარათში გოეთე აღიარებს: „მე ჩემის მხრით, ჩემი არსების მრავალმხრივი მიმართულების მეოხებით არ შემიძლია ერთი რომელიმე აზროვნულ მიმდინარეობის წარმომადგენელი ვიყო.

როგორც პოეტი და ხელოვანი — მე პოლიტიკისტი ვარ.

როგორც ბუნებისმეტყველი — პანთეისტი.

ზეციური და მიწიერი საგნები ისეთ რთულსა და ვრცელ სამყაროს წარმოადგენენ, რომ არსების ყველა ორგანოთა მომართვაა საჭირო მათ შესაცნობად“. უფრო გარკვევით თავის ბუნებისმეტყველურ აფორიზმებში:

„პოეზია მიუთითებს ბუნების საიდუმლოებას და ცდილობს, იგი ხატიტ გადმოგვცეს. ფილოსოფია მიუთითებს ბუნების საიდუმლოებაზე და ცდილობს, იგი სიტყვით და გონების ძალით შეიცნოს.

მისტიკა მიუთითებს ბუნებაში მიჩქმალულ საიდუმლოებას და ცდილობს სიტყვით და ხატიტ ამოიკითხოს“.

გოეთე გამოტყვილად ამბობს, რომ ჩვენ ამ ნიშნების, მითითების მეტი არა შეგვიძლია-რა. იგი აღიარებს რომ მისი საქმეა, მხოლოდ ბუნებაში არსებულ პირველ ფენომენების ნიშნება, გაკვრით შეხება.

„ჭეშმარიტებას სრულიად ჩვენ ვერასოდეს ვერ შევიცნობთ. ვერც გამოვთქვამთ ჩვენ მას სრულყოფილად. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ, ჭეშმარიტებად მოვიქცეთ. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ, ბუნების წიაღში დაცული საიდუმლოება და მისტერია ვიგრძნოთ“; ბოლოს და ბოლოს უმთავრესი და უღრმესი მუდამ გამოუთქმელი რჩება. იგი ჰერაკლიტესეულ ღმერთივით მხოლოდ ანიშნებს, მხოლოდ მიუთითებს. მთელი მისი მწერლობა განუწყვეტელი მითითებაა ამ დიდი მისტერიისა, რომელიც სამყაროში დაცულია.

„ღმერთის წამება, — ამბობს გოეთე, — ეს მშვენიერი და საქებარი სიტყვაა, მაგრამ ღმერთად მოქცევა და იმის გაგება, თუ სად და როდის ხდება მისი პირისჩენა და გამოცხადება, ეს არის უდიდესი ბედნიერება ქვეყანაზე“.

მისი დიდი ქმნილება ეს ცდაა ბუნებაში და ადამიანებში ღმერთის პირის ჩენისა და გამოცხადებისაკენ მიმართული. „მაქსიმუმი ჩვენი შეძლებისა ეს არის მოდიფიკაცია შეუცნობისა. ჩვენს მიერ ნახევრად შეტყობა ცოდნას ხელს უშლის, ხოლო ყოველი ცოდნა, ყოველი შეცნობა მუდამ სანახევროა, ერთი მათემათიკური იქსი ყოველთვის მოუძებნელი რჩება ადამიანის გონებას. ყოველივე ცოდნის გამოჩენა უძღურია, ვიდრე ჩვენ შინა-არსებიდან არ გამოყოფნავს და არ მოგვემატება ძალა, რომელიც გამოამყლავნებს მას, რისი შეცნობაც ჩვენ გვწადია. ეს შინაგანი ძალა მუდამ უხილველი და შეუცნობი დარჩება ჩვენთვის“. ამ ძალაში გოეთე ინტუიციას უნდა გულისხმობდეს, რომელიც როგორც პოეტ კაცს, ისე მეცნიერს თანაბრად ესაჭიროება მისის აზრით.

გოეთე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ ებრძვის გენიალი პიროვნება თავის საუკუნეს და თავის თანამედროებას.

როცა ჩვეულებრივი ადამიანი საუკუნის გემოვნებას და სულიერ განწყობილებას ეტმასნება, გენიოსი ცდილობს საუკუნის ბეჭედი კი არ დაიტყოს, არამედ საუკუნეს დაატყოს თავისი ინდივიდუალობის ბეჭედი. მთელი ადამიანური კულტურის ღირებულებანი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ატეხილ ბრძოლებშია შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ გოეთე ვოლტერის და ფრიდრიხის რაციონალისტურ საუკუნის იდეურ ფონზე გაიზარდა, ჯერ კიდევ ჭაბუკი გოეთე საიდუმლო — ფრადმაუერების კლუბებში ეწერება.

ეს ტენდენცია ადამიანში და ბუნებაში მიჩქმალულ საიდუმლოების გზის გაკვლევისა ახასიათებდა გოეთეს სიჭაბუკიდან. ნაპოლეონიც ამბობდა: J'ai toujours cherché le merveilleux — „მე მუდამ ვეძებდი საკვირველებასო“.

III

ბუნება მასალაა მხოლოდ ჩვენი შემოქმედებისა. გოეთესთვის უდიდესი პრობლემა იყო დიდი ბუნების ვრცელი მასალიდან მაღალი და ბრწყინვალე კულტურის შექმნა. ბუნების კულტურად გადახურდავება ეს არის თვითმიზანი ყოველი დიდი ხელოვნებისა. სწო-

რედ აქ არის გოეთეს გენია, სწორედ აქ სჭარბობს იგი თავის Sturm-ისა და Drang-ის დროს თანამოკალმეებს.

ბუნება *Misterium magnum*-ს წარმოადგენს, სწორედ ამ დიდი მისტერიის შესაცნობად ამბობდა გოეთე, რომ „არსების ყველა ორგანოთა მომართვაა საჭირო“ ამ ბუნებაში დაცულ შვიდ ბექდიან ნიგნის შესაცნობად.

ამიტომაც არ დარჩენილა არც ერთი ორგანო ხელოვნურ გამოთქმისა, რომელისთვისაც გოეთეს არ მიემართა.

ტრალედია, დრამა, რომანი, ნოველა, პოემა, ბალადა, სონეტი, ბლექფერზი, დღიური, წერილები, თქმანი, აფორიზმი, ესეა, მეცნიერული პროზა. ყველა დარგში მოგვეპოვება ჩვენ მისი ხელის ქმნილება. მის ნაწარებში, თითქმის ყველამ მოაღწია ჩვენამდის, კანტი კუნტად ახლაც პოულობენ უმნიშვნელო ფრაგმენტების ან ორმაგ ექზემპლიარებს, სულ ნახევარი წლის წინად ერთმა გერმანისტმა იპოვნა მისი ჯერედ უცნობი პოემა იაკობი, და ჯერაც არ დასრულებულა დავა ამ პოემის აუტენტიურობის შესახებ.

საოცარია, რომ იგი ისეთივე დიდი მოაზროვნე და მეცნიერია, როგორც პოეტი. უკანასკნელ ორ საუკუნეში არც ერთი დიდი პრობლემა არ დასმულა ევროპის ინტელექტუალურ ცხოვრებაში, რომელსაც გოეთე არ შეჰხებოდა, რომელზედაც გოეთეს არ მიეთითებია, ბოლოგიაში, ბოტანიკაში, გეოდეზიაში, გეოგრაფიაში, მინერალოგიაში, ფიზიკაში, ყველგან, უმუშავნია გოეთეს, ყველგან გოეთეს ხელი სჩანს; მისი ინტელექტუალური ლოგოსი ისევე მძაფრი და ნათელია, როგორც მისი ინტელექტუალური ეროსი, რადგანაც ეროსი და ლოგოსი არამც და არამც ანტიპოდები არ არიან, არამედ ერთი მეორის დასრულება, ერთი მეორის დამატება.

გოეთემდის პირდაპირი ხაზის გავლება შეიძლება გოეთე ჯიორდანო ბრუნო პლატონამდის. გოეთეს შემდეგ ეს ხაზი სწვდება ნიცშე დილტაე, კაზერლინგ დეჰმელამდის.

ადამიანი ბუნებაში თუ მონახავს იმის მაგალითს რომ ერთსახიერ *Ens realissimus*-ს ასე მრავალფეროვანი, მრავალ სახიერი, მრავალ ხმოვანი, მრავალაზროვანი გამომეტყველობა ეპოვნოს.

როგორაა ეს მოსახერხებელი, რომ მისი ათასგვარი, ათასი დარგის მეტყველობის და შემოქმედების მრავალფეროვანება იყოს ანარეკლი იმ ერთი დიდი და ღვთაებრივი ცეცხლისა, რომელიც ეგზომ მძლედ ენთო ამ ვადმარელ ოლიმპიელის გულში, რომელსაც მისი თანამედროვენი „მარმალილოს გოეთეს“ ეძახოდნენ. გოეთეს წარმოდგენა შეიძლება სფერიულ ბურთის წრეშენიერად, დასრულებულ სვეულების სახით, რომელსაც არსად ნაპრალი, არსად დისპარმონია, არსად გადატეხა, არსად უეცარი გადასვლა და გადახტომა არ ეტყობა.

გოეთეს განვითარებაში შეიძლება მხოლოდ წრეშენიერად, დასრულებულ რკალების დანახვა, არსად შესვენება, არსად გადატეხა განვითარების ტემპოსი და ხაზისა. ასე ჰარმონიულად რონინობს და მდინარებს ყოველი დიდი ხელოვანის, ყოველი დიდი პიროვნების განვითარება და ეტლი.

„ჯიშიდან ზეჯიშისაკენ“.

ჩვენი თანამედროვე მცნება დიდი პიროვნებისა, დიდი ინდივიდუუმის სრულიად გაუგებარი იყო ანტიკურ სამყაროში.

ანტიკური ჰეროს, ღვთიური ადამიანი იყო, მიტომაც ასე უყვარს ჰომერს, თქმა: ღვთიური ოდისოხს, ღვთიური აქილესს, თვით ოდისოხს მეფის ერთგულ მელორესაც იგი ღვთიური ღორის მწყემს უძახის. რადგანაც ღვთიურობა ანტიკაში ჯიშდასრულებას, სრულყოფას უდრიდა. ანტიკური ღმერთები იგივე ღვთიური სრულყოფილი ადამიანები იყვნენ. ჩვენი „დიდი პიროვნება“ უდრიდა ანტიკურ საუკეთესოს (თავის ჯიშში, თავის რანგში, წოდებაში ან ხელოვნებაში). მომაკვდავ ადამიანის ბედი და ასპარეზი ანტიკაში შემოფარ-

დული იყო კანონით, რომელსაც ღმერთი სწერდა, მხოლოდ ღვთიურნი ახერხებდნენ ამ კანონიერების მიჯნის გადალახვას და გადასვლას. ანტიკურ სამყაროში ხელოვნებაც ღვთაებრივი ფუნქცია იყო, ღვთაებრივი ემანაცია იმ მსოფლიო ლოგოსისა, რომელიც ადამიანში სთვლემს.

აქედან წარმოსდგა იდუმალი გამრავლების, დაორსულების მისტერიებიდან აღებული სიტყვა „გენოს“, რომელიც თანამედროვეობამ თანამედროვე მცნების გენიის გამო-სახატავად გამოიყენა.

ამ გენუს ჯიშის წარმომადგენელი გადალახავდა ღვთაებრივობის მიერ დათქმულ მიჯნასა და საზღვარს, როგორც კი ამ ჯიშის წარმომადგენელი ადამიანი ხელოვნების ორგანო და მეტყველობა გახდებოდა. რენესანსის დროს ადამიანი სავსებით ითავისუფლებს თავს ამ ღვთაებრივ ტრადიციისაგან, ამ ღვთაებრივ კანონშენიშვითობისაგან, ისეთი დიდი ნებისყოფის ადამიანი, როგორც კოლა დე რიენცო ან ჩეზარე ბორჯია, ისეთი დიდი ხელოვანი როგორც მიქელ ანჯელო ღვთაებრივობის როგორც საზღვარსა და მიჯნას არ განიცდიან. ღვთაებრივობა მათ გარეშე აღარ არსებობს, არამედ ღვთაებრივობა მათ პიროვნებაში გადადის.

ნიცშესთვის ნებისყოფა ანთავისუფლებს ადამიანს. ნებისყოფა ბატონობისადმი ჩეზარე ბორჯიას კოლა დერიენცოს, ნებისყოფა შემოქმედებისადმი მიქელ ანჯელოს, რომელმაც ასე გულწრფელად წამოიძახა შემოქმედების პროცესში: „უფალო, უფალო რა ძლიერი ხარ შენ ჩემში“!

როგორც ვხედავთ რენესანსის დროს სიმძიმის ცენტრი ღვთაებრივობის თვით პიროვნებაში იქმნა გადატანილი, ანტიკაში იგი პიროვნების გარეშე ეგულებოდათ.

არც ჩეზარე ბორჯია, არც რიენცო, არც მიქელ ანჯელო და არც დანტე უკვე აღარ ეტყვიან იმ საერთო კატეგორიაში, რომელსაც მოდგმა — ჯიში ეწოდება. აქედან პირდაპირი გზა მიდის ჯიშს ზევით, ჯიშს გაღმა, ნიცშეს ენით რომ ვთქვათ, ზეჯიშისაკენ. ანტიკაში, შემომქმედი დამსრულებელია ჯიშისა. თანამედროვე ინდივიდუალისტურ იდეურ სამყაროში შემომქმედი მოდგმის წრიდან გამოსულია, იგი მის გარეშე ეძიებს პოზიციას, მის ზევით და არასოდეს მასში.

რენესანსიდან დიდი ადამიანი უარისმყოფელია ჯიშობისა, ანტიკაში ღვთაებაა მსოფლიოს ცენტრი.

რენესანსისა და თანამედროვეობისათვის მეობაა ცენტრალური სკსტემა სამყაროს საერთო სკსტემაში.

გოეთეც ამიტომ გვეჩვენება ჩვენ მარად ახალ და მარად ჭაბუკ შემოქმედად, რომ იგი მსოფლიოს ცენტრში შემომქმედის მეობას ათავსებს. შემომქმედი იტანჯება მსოფლიოს და ბუნების დაუსრულებლობით. გენიოსი ამ დაუსრულებელ ქაოსს სტიქიონებისას თავის პიროვნულ სრულყოფას, თავის შემოქმედების ჰარმონიულსა და ორგანიულ მთლიანობას უპირდაპირებს. აქ იწყება საზღვარი მესა და არამეს, პიროვნებას და სამყაროს, შემოქმედებასა და ბუნებას, კულტურასა და ბუნების ნედლ მასალას შორის.

გოეთე სრულყოფილ, ჰარმონიულ ქმნილებას უპირდაპირებს უსრულო ბუნებას.

ნაპოლეონი საკუთარ ნებისყოფას — თავის სოციალურ წრის ქაოტიურობას.

გოეთე თავის ქმნილებაში ეძიებს ჰარმონიულ მთლიანობას.

ნაპოლეონი თავის იდეალურ სახელმწიფოში პოულობს გამოსავალს იმ ქაოსიდან, რომელიც დამყარდა მის თანამედროვე საფრანგეთში და ლამის მთელს ევროპაში.

ჩვენ დავინახეთ, რომ რენესანსისა და თანამედროვეობის მსოფლიო გაგებაში პიროვნება, ინდივიდუმი ხდება ცენტრალური ფიგურა კოსმიურ ძალთა სრბოლაში.

ადამიანის ფიზიკურ არსობის შესწავლამ მიიყვანა გოეთე ანატომიამდის, რომელსაც ასე გულმოდგინეთ სწავლობს იგი რომში ყოფნის დროს.

მოქანდაკის მასალის — მარმარილოს შესწავლის ინტერესს მიჰყავს იგი მინერალოგიასა და გეოლოგიამდის. მხატვრობის ფენომენის გამოსარკვევად გოეთე საკუთარ თეორიას იმუშავებს, თავის თეორიას ფერადების შესახებ.

მისი მოძღვრება: *ἀσφατιας μετριον ἀπ᾿ἀντων* — ჩვენი სხეული საფუძველია ჩვენი მსოფლიო შეგნებისა, კონსექვენტური ინდივიდუალისტური გაგებაა ბუნებისა და კოსმიურ ძალთა.

გოეთე გონების იზოლიაციით როდი აზროვნებდა, არამედ მთელი თავისი სხეულებით, ყველა თავის შემეცნების ორგანოების შემნეობით.

ბუნების ფენომენებში განცდილ სტიქიათა სვიმბოლოებს ხედავდა გოეთე და არა მოფიქრებულ მცნებების ალეგორიებს. აქ არის ცენტრალური პუნქტი მისი ბუნების ფილოსოფიისა.

ბუნებაში გოეთე მხოლოდ პოლარიულობასა და გრადაციას ხედავდა.

სუსტოლეს და დიასეტოლს, აქტიურსა და პასიურ ფერადებს, შესუნთქვა-ამოსუნთქვას, ნათელსა და ჩრდილს, ქალურსა და ვაჟურს, სიმძიმეს და გავრცელებას. ყველაფერი ეს პოლარიულობაა.

ზრდისა და მოძრაობის ფენომენებს იგი უქვემდებარებდა ხარისხობის, გრადაციის პრინციპს.

თვითონ თავისი ბუნება მას წარმოედგინა, როგორც პოლარიულობიდან შემდგარი არსება, რომელიც ამ ერთი მეორის მონინალმდევე სტიქიათა შეგუების, შეხამების, ჰარმონიულ შედუღებისაკენ მიისწრაფის. გოეთეს ბუნების სვიმბოლოა კონცენტრიული სიმრგვალე.

„ბერძნებმა მსოფლიოს დიდი ჭეშმარიტებანი ღმერთებში მოათავსეს, ჩვენ მათ მცნებებში მოუყარეთ თავი“. გვასწავლის იგი. გოეთე ცდილობს ჰარმონიული შეხამება დაინახოს ადამიანსა და კოსმოსს შორის, ჰარმონიულობა დაამყაროს.

IV

გოეთე პოეტის, გოეთე მისტიკოსის შესაცნობად, უცილოდ საჭიროა თვალი შევასწროთ გოეთეს ბუნებისმეტყველს. მაგრამ ბუნებისმეტყველი გოეთე ისევ და ისევ მისტიკოსი გოეთე რჩება. ისინი ვისაც გოეთეს პაგანისტურ, წარმართულ პერიოდებზე ასე უყვართ ლაპარაკი, ხშირად ივინყებენ, რომ გოეთე ქრისტიანული მისტიკით იწყებს, და მისტიკითვე ათავებს.

პირველი მისი პოეტური სიტყვაა: „*Poetische Gedanken aut die Hollenfahrt Christi*“ — პოეტური აზრები ქრისტეს ჯოჯოხეთად ჩასვლის შესახებ, ხოლო უკანასკნელი, მისი მთელი შემოქმედების, მისი ნაწერების გვირგვინი ფაუსტის მეორე ნაწილი. პირველი პროლოგია მისტიკოს გოეთესი, ხოლო უკანასკნელი მისივე ეპილოგი. ქრისტეს ჯოჯოხეთად ჩასვლის ამბავი ერთად ერთი და უძლიერესი აკორდია: „*Unsterbliche heben verlorene Kinder, mif feurigen Armen zum Himmel empor*“. და სულნი უკვდავნი, დაკარგულ შვილებს ცეცხლოვან ხელებით ასწევნ ზე.

ქრისტიანული მისტიკა გახლავთ ძირითადი ტონი არამარტო გოეთესი არამედ ყველა დიდ ევროპიელ პოეტის შემოქმედებისა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა როგორც დანტე, ისე კლოფშტოკი, როგორც მილტონი, ისე თვით გოეთეც.

როგორც „პოეტურ აზრებში“, ისე ფაუსტში ერთი დიადი ღერძია: ეს გახლავთ მაღალი აზრი ქრისტეს სწავლისა, რომ ჭეშმარიტი, მაღალი და კეთილი დასძლევს ბოროტებას და სატანას.

Auch dièser sol mein Opfer werden, sprach Satanas und freute sich. Doch weh, dir Satan ewiglich.

როგორც პოეტურ აზრებში, ისე ფაუსტში მხსნელ მაცხოვარის სახით წარმოდგენილია მარად ქალურის — (Das Ewigweibliche) პერსონიფიკაცია, მადონა, რომელმაც ასე დიდი როლი ითამაშა მთელი დასავლეთის პოეზიასა და მხატვრობაში. ეს მარად ქალური ელემენტია განსახიერება სიყვარულის, სიბრძნის და სათნოების, რომელმაც წარწყმენდას გადაარჩინა ფაუსტის ბოზოქარი სული. აქაც იგივე მაღალი შეგნება, რომელიც ასე ნაზად, ასე სათუთად გამოჰხატა მიქელ ანჯელომ თავის (Pieta) — „პიეტა“-ში. როცა დააკვირდებით გოეთეს მთელ ნაწერებს, რომელნიც 50 ტომს აღემატებიან, თქვენ დაინახავთ, რომ ყველგან ეს პრინციპია დაცული, პრინციპი განვითარებისა.

ამ მაღალ, განვითარების პრინციპს სჭვრეტდა და ეძებდა გოეთე როგორც ბუნებაში, ისე ხელოვნებაში. მას მომარაგებული ჰქონდა მაღალი სათვალყურო პუნქტი თავის შემოქმედების ოლიმპზე Zum Sehen geboren, zum Schauen bestellt, dem Turner geschworen gefällt mir die Welt.

მომწონს მე ქვეყანა. ეს გახლავთ გოეთე ფაუსტისებური ჰოსთქმა ბუნებაზე და ქვეყანაზე. აქაც იგივე „ხედვისთვის შობილი, ჭვრეტისთვის ხმობილი“. ხოლო ხედვა — ჭვრეტისათვის უცილო პირობაა. — სინათლე, მეტი სინათლე. — ეს გახლავთ უკანასკნელი ფრაზა მომაკვდავი გოეთესი. სინათლე, მეტი სინათლე. როგორ ესაჭიროებოდა ეს სინათლე გოეთეს დროს, მისი სიკვდილიდან თითქმის ერთმა საუკუნემ გაიარა და ჩვენ თაობას კიდევ სჭირია სინათლე, მეტი სინათლე.

ეს იყო უკანასკნელი სურვილი იმ კაცის, რომელიც თვით სინათლის ღმერთის მოციქული იყო ამ ქვეყნად.

განა თვით სინათლის პირველ წყაროზე მზეზე არ ამბობდა გოეთე — „მზე თვით დალუპვის, ბნელს ჩასვლის დროსაც მზე დარჩებაო“! ასე ხარბი იყო გოეთეს თვალი, მონყურვებული მარად, ბუნების დიდისა და საკვირველი მისტერიებისათვის ემზირა. როცა მისი პოეტური ჰარფა მხოლოდ უკანასკნელ აკორდებს იძლეოდა, გოეთე განაგრძობდა ბუნების კვლევასა და ჭვრეტას.

„ადამიანი სრული უმაღლესი მწვერვალია ბუნებაში არსებულ სხეულებათა შორის“ — გვასწავლის გოეთე ბუნების მეტყველი. გოეთეს ბუნების ოთხი მთავარი პრინციპი მოეპოვება: ლტოლვა ფორმისადმი, მუდმივობა, შეუჩერებელი განვითარება და პერიოდიული მეტამორფოზა.

მანვე ახსენა პირველად პარადოქსალური მცნება „შინაგანი ფორმისა“. „გარეგანი ფორმა ანარეკლია და სვიმბოლო თვალმიუწვდენელ შინაგან ფორმისა“ — ეს ითქმის როგორც ბუნების ექზემპლარებზე ისე ხელოვნურ ქმნილებაზედაც.

არსობის ნასახს ჰხედავს გოეთე თავის პირველ ფენომენში — Uhr Phänomen.

უზენაესი, რასაც შეუძლია ადამიანმა მიაღწიოს, ეს არის განცვიფრება ამ ურფენომენით აღძრული. აქ არის საზღვარი ჩვენი შემეცნებისა.

ურფენომენი წმინდა იდეაა არის ქცევისა. სწავლა ურფენომენის შესახებ გოეთეს აზრით საფუძვლად დაედება, როგორც მცენარეთა და ცხოველთა სამეფოს შეცნებას, ისე ადამიანთა მოდგმის ცხოვრებას. ეს მოძღვრება ურფენომენისა საუცხოვოდ გამოიყენა ჩვენმა თანამედროვე, ახალგაზრდა ფილოსოფოსმა ოსვალდ შპენგლერმა, თავის შრომაში „Der Untergang des Abendlandes“. შპენგლერმა ურფენომენის მოძღვრებით სცადა რეკონსტრუქცია მსოფლიო ისტორიისა.

მარადიული უკუმოქცევის პრინციპზე ჯერ კიდევ ახალგაზრდობის დროს მიგვითითა გოეთემ ერთ თავის ლექსში: „Des Menschen Seele gleicht dem Wasser vom Himmt kommt es, zum Himmel steigt es“.

„წყალს ედარების სული კაცისა,

ციტ ჩამოსული კვლავ ზეცისკენ ალევლინება“.

გოეთეს მეცნიერულ მუშაობაში ჰქონდა თავისი საკუთარი გზა. მისი კვლევის მთავარი იარაღი იყო ძალა ინტუიციისა.

„მე გავეყარე ყოველივე ფილოსოფიას და შევიმუშავე ჩემი თანდაყოლილი მეთოდიკა“ — ამბობს გოეთე. ამ თანდაყოლილ მეთოდიკაში ცხადია ინტუიტიურ ძალას გულისხმობდა იგი, რადგანაც, შექსპირის არ იყოს, მასაც სჯეროდა, რომ ამ ქვეყანაზე უფრო დიდი საიდუმლოებანი მოიპოვებიან, „ვიდრე ფილოსოფიას ოდესმე დასიზმრებია“.

ბუნებასთან დაპირდაპირებული მეორე პოლარობის ზონად გოეთეს კულტურა მიაჩნდა. სიტყვა კულტურა ევროპაში და იტალიის გვიან რენესანსის დროს იხმარა ფილიპპო ბერალდომ.

კულტურა სულისა ეს ზურგის შექცევას ყოველივე სიმდაბლისა და წარმავლობისათვის, იგი — ყოველივე მშვენიერების და ჭეშმარიტებისადმი მიქცევას მოასწავებს.

კულტურის ინკარნაციას წარმოადგენდა მაშინდელი ფლორენცია, რომელშიაც ეგზომ განვითარებული იყო პოლიტიკური Virtus — სიქველე.

აქედან იწყება ევროპაში ჭეშმარიტი დანტესეზური ცხოვრება ახალ რომანულ-გერმანული ადამიანობისა. აქ არის პირველი კვანძი იმ დიდი ინდივიდუალისტური რომანულ-გერმანული კულტურისა, რომლის წარმომადგენელი გახლდათ პოეზიაში გოეთე, სახელმწიფოში — ნაპოლეონი და ფილოსოფიაში — ფრიდრიჰ ნიცშე. კულტურა გოეთეს გაგებით ნებსითი განხეთქილებაა ბუნებასთან.

ხელოვნება და ხელოვნური ქმნილება ეს უკანასკნელი ფორმაციაა ბუნებისა; კულტურის მცნებაში გოეთე გულისხმობს რელიგიურ ცხოვრებას, რელიგიურ კულტს, ღმერთმსახურებას და სამღვთო ღარიბობას.

კათოლიციზმი, რომლის უდიდესი ქმნილებანი მან თავისი თვალთ ნახა რომში, ვერონაში, ნეაპოლში, ფლორენციაში, გოეთესთვის კულტურფენომენია Par excellence.

გოეთემ თავისი იტალიანური მგზავრობის დროს აღიარა, რომ იგი აქ ამ უდიდეს კულტურის ცენტრში, თითქოს ხელმეორედ მოვიდა თავის მზიან სამშობლოში, ჩრდილოეთის თეთრ დათევზე ნადირობიდან დაბრუნებული.

აქ მან თავის თვალთ ნახა ჭეშმარიტი მშვენიერი ნახევარი გერმანულ-რომანულ სამყაროვსა. ეს მოხდა რომში წმ. პეტრეს ეკლესიაში. ამ უდიდებულეს ღმერთის სასახლეში თავი მოიხარა ქერა ბესტიის — გერმანულ ქედმაღალობის — უდიდესმა წარმომადგენელმა და აღიარა რომ ოლიმპიიდან განდევნილ ღმერთებს წმ. პეტრეს კათედრალის გუმბათის ქვეშ შემოუხიზნებიათ თავიო. აქ იგრძნო ბერძნულ-წარმართული კლასიციზმით გატაცებულმა ვადმარელმა პარნასელმა სიძლიერე კათოლიციზმისა და ევროპიული კულტურის მისტიურ-ქრისტიანული ნახევარისა. მე უდიდეს მომენტად მიმაჩნია გოეთეს განვითარების ისტორიაში ის დღე, როცა იგი რომში ხელმეორედ მოსული წმ. პეტრეს ტაძრის გუმბათზე ავიდა და აქედან გადაჰხედა მძინარე კამპანიას და ოქროვან ადრიატიის ნაპირებს, სადაც ნელ-თბილი ტალღების მოძახილზე წარმოიშვა და გაიზარდა ის მძლე კულტურა, რომლის გენიალი წარმომადგენელი არიან: დანტე და მიქელ ანჯელო, რაფაელი და გვიდო რენი, პეტრარკა და ტიცინი. იტალიანურ კულტურის შეფასებაში გოეთეს, ბურკჰარტ, ტენ, — სტენდალისეზური კულტურ-ისტორიული კრიტიერიუმი არა ჰქონია. მისი მაღალი ჩიჩერონე იყო ვინკელმანი, რომელსაც იშველიებდა იგი იტალიანურ მხატვრობის და ხუროთმოძღვრების შეფასებაში.

რომს გოეთე მსოფლიოს სატახტო ქალაქს ეძახის და მართლაც აქ დაინახა მან, თუ როგორ შეზრდილან, განუყრელად გადაჭდობიან ერთი მეორეს ისტორია და ხელოვნება.

აქ დაინახა მან, თუ რა ძლიერია ღმერთი ადამიანში, აქ დაინახა, თუ როგორ აშენებენ მარადისობის სასახლებს მიწაზე.

V

გოეთეს ტიტანიზმის პირმშო ფაუსტიც მოქალაქეთა წრიდანაა გამოსული. ჯადოსანი და მისტიკოსი, ბუნების შეცნობის ნყურვილით ანთებული, Das ich erkenne was die Welt...

გოეთეს არც ერთ ქმნილებაში ისე ძლიერად არ არის გამოხატული მისი დემონიური ელემენტი და ბუნება, როგორც ფაუსტში. არც პრომეთე და არც მოჰამედი, არც გოტცი და არც ვილჰელმ მაღსტერი ისე ახლოს არ იდგნენ გოეთესთან. ფაუსტი გოეთესავით ტიტანიურ ექსპანსიურობითაა შეპყრობილი. იგი ვერ დაკმაყოფილებულა მოკლე ცხოვრებით, მცირედის გრძნობით, მცირეს შეცნობით. ჩვენი ინტელექტუალური და ემოციალური აპერცეპცია მსოფლიოსი განსაზღვრულია დროით და სივრცით. ფაუსტი აპირობს ადამიანურ ცხოვრების დისტანცია გააგრძელოს, ადამიანური შეგრძნების სიღრმე გაადიდოს.

ფაუსტის სახით ევროპიულ ლიტერატურაში პირველად წარმოდგენილ იქმნა ნიცშესეზური ზეკაცია, რომელიც ადამიანურ ძალებს ზევით, ადამიანურ შესაძლებლობის გაღმა მიისწრაფის (სიტყვა ზეკაცია ნიცშემ გოეთესგან აიღო). Ich ebenbild der Gottheit — „მე, თანაბარი ღვთაებისა“.

მისტიკოსი და ჯადოსანი ტრალიკულ კონფლიქტს განიცდის, იგი იტანჯება მსოფლიოს დაუსრულებლობით, იგი იტანჯება ადამიანის დაუსრულებლობით, მისი უმწეობით.

ფაუსტში საგრძნობლად ხდება გოეთე, როგორც მისტიკოსი. აქ სრულყოფას აღწევს მისი პარაცელზური ბუნება.

ფაუსტში წარმოდგენილია ბრძოლა სივრცით და დროით შეზღუდულ ადამიანსა და ბუნების განუსაზღვრელობას შორის.

ფაუსტი თვითონ აღიარებს, რომ „ორი სული ცხოვრობს მის გულში“. ერთი ადამიანურ ფიზიოლოგიური ინსტინქტებითაა შებოროკილი, მეორე „მაღალ წინაპართა“ მაღალ რეგიონებისაკენ მიისწრაფის. ეს დუალზმი ადამიანობის ბუნებისა: ჩვენი ზოოლოგიური ხორციელობა და ჩვენი ტრანსცენდენტალური სულობა.

ფაუსტი ჰამლეტზე და ბაჰრონის მანფრედზე უფრო ნათლად გრძნობს, რომ წარმავალობის ჯეჯილი ღვთაების ხელითაა დათესილი. იგი ნიცშესავით ატყობს, რომ მსოფლიო და ბუნება განუსაზღვრელად ღრმია, ამიტომაც სატანას მიჰყიდის სულს, რომ ღვთაებრივობის ატრიბუტები და უპირატესობანი მოიპოვოს.

მეფისტოფელი ეს მეორე მხარეა გოეთეს დემონიური ელემენტისა. მაგრამ იგი უფრო აქტიურია, ვიდრე თვით გოეთე და მისი ფაუსტი, იგი თავისი მსოფლიო პესიმიზმით და უარსყოფით ნაპოლენს ან შოპენჰაუერს უფრო უახლოვდება.

ფაუსტი, როგორც ყოველი დემონი მარტოა ქვეყანაზე, იგი მარტოა თვით მომხიბლველი ქალის საზოგადოებაში, რადგანაც ყოველი სულით მაღალი მამაკაცია ქალისთვის მუდამ გაუგებარი და შეუწდომელია, ეს მარტოხელა დემონი სატანას დაუმეგობრდება.

ფაუსტი კოსმიური ლოგოსის წარმომადგენელია, მეფისტო — კოსმიურ იჭვენეულობის. ფაუსტი აბსოლუტური კოსმიურ ჰარმონიის წარმომადგენელია, რომელმაც ქვეყანაზე და ცხოვრებაზე ჰო უნდა სთქვას. მეფისტო აბსოლუტურს დისჰარმონიას წარმოადგენს, მან ცხოვრებაზე და ღვთაებაზე უარი უნდა სთქვას.

ფაუსტი სულია კულტურის და ღვთაებრივობის, სათნოების და რელიგიის, მეფისტო — რელატივიზმისა და სკეპტიციზმის.

ფაუსტის სული მხოლოდ ღმერთში ჰპოულობს განსვენებას. სული სააქაოზე ჰოსმთქმელი, რომელიც მარად ქალურმა — მსხნელმა მადონამ დაუბრუნა ცხოვრებას. ფაუსტის პრობლემათა გარსში გოეთეს ეროტიკაც საგულისხმოა.

ჩვენი საუკუნე, ჩვენი თანამედროვეობა ანტიეროტიულია, რადგანაც თანამედროვე სულობამ დაჰკარგა უნარი ზომიერებისა და რომანტიული მოკრძალების. დღეს გადარჩენილი ეროტიკა ან სადიზმია ან პორნოგრაფია. სულ სხვაა გოეთეს ეროტიკა. ფაუსტ-გრეტხენის დამოკიდებულება გვაჩვენებს, თუ რა დიდი უფსკრულია ქალსა და ვაჟს შორის ბუნების ხელით გათხრილი. ასე უსწორო იყო გოეთეს დამოკიდებულება ფრედერიკასთან, შარლოტე ფონ შტაინთან, ბარონესსა ფონ ლევენცოვის ასულთან. მეთვრამეტე საუკუნის უგანათლებულესს არისტოკრატ ქალს, შარლოტე ფონ შტაინს, გოეთე თავის ქათმების შესახებ ესაუბრება წერილებში.

გოეთეს დიდი ინტერესი და ლტოლვა ქალისადმი მისი უშველებელი ექსპანსიურობის კონკრეტიზაციაა მხოლოდ.

ფაუსტის აქტიურობა გოეთემ თვითვე შეადარა მთის ნიაღვარს, რომელიც ანადგურებს ყველაფერს თავის სრბოლის გზაზე.

აქტიური, ვაჟური პოლარიულობა ფაუსტში გრეტხენის წიაღში როდი ჩერდება, არამედ ანადგურებს მას როგორც დაბრკოლებას, ვინაიდან ქალი ხშირად დაბრკოლებაა ყოველივე აღმაფრენისაკენ. გოეთეს არ ესმის მორალური ბრალის საკითხი გრეტხენის ტრალედიში. ფაუსტი შეგნებულად ღუპავს გრეტხენს, ბრალი ბუნებისავე აუცილებლობას და შეზღუდულობას ედება და არა ფაუსტს. ბოლოს ყველაფერს ამართლებს: — Das Ewigweibliche zieht uns hinan.

ფაუსტ-გრეტხენის ტრალედია სოციალურ ხასიათის როდია, არამედ კოსმიური უცილებლობით შექმნილი. ამ კოსმიური უცილებლობის მსხვერპლად ბუნებას ქალი გაუწირავს.

გოეთეს არა სწამდა შაბლონიური ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, ამ ბრძოლაში იგი პოლარულ რეალობათა ჭიდილს ჰხედავდა. დემონის დამარცხება მხოლოდ დემონს შეუძლია.

ფაუსტიც ამ დემონთან ბრძოლაში გამარჯვებული ზეკაცია. ზეკაცი, ყოველივე სოციალურ წყობილების გარეშე მდგარი. მას ეზიზღება კოლექტიური, მასსიური სულობა, თვით თავისი სახელი და ბრბოს ტაშისცემაც, ამიტომაც იგი იძულებულია, ადამიანებს გაეცალოს, იგი დემონებთან უკეთეს განწყობილებაშია.

ფაუსტის პირველი ნაწილი რომანტიული ოდისეადაა ადამიანის სულისა. მეორე ნაწილი მისტიურ-ვიზიონერული წინასწარხილვაა ჩვენი საუკუნის. ის დიდი ცივილიზაციური კომბინაციები, რომელიც მოგვიტანა მაშინების და ელექტრონის საუკუნემ მეორე ნაწილ ფაუსტში ალეგორიულ პანორამებითაა გადმოცემული.

„პირველითგანვე იყო სიტყვა“ მეორე ნაწილში შეცვლილია „პირველითგანვე იყო საქმე“. ეს უდიდესი პრინციპია ფაუსტურ-გერმანული კულტურისა. ეს აქტივიზმი ჩვენმა თანამედროვეობამ მაშინათა სვიმბოლოებით გამოხატა; ეს გახლავთ ჩვენი თანამედროვეობის ფოლადში და გრანიტში გაყინული სულობა. პირველ აქტში შეშფოთებული, დაქანცული ფაუსტი ისვენებს ყვავილოვან მტილზე. მინის სულელები ეხვევიან მას გარს. ფაუსტი კვალად ძალებს იკრებს და ცხოვრებას უბრუნდება. ფაუსტი იმპერატორის ფალცში გამოჩნდება მეფისტოს თანხლებით. ახლა მას სწადია, ბოროტის ნაცვლად სიკეთე და სარგებლობა მოუტანოს ადამიანთა მოდგმას — იმპერატორი დიდს გასაჭირშია ჩავარდნილი, სახელმწიფოში შემოქმედებითი მუშაობა შეფერხებულია უფულობის გამო. ფაუსტი მოიგონებს ქალაქის ფულს და იმპერატორის სასახლეში იმართება სადღესასწაულო მასკარადები. მეფისტოფელი სასახლის მასხარის თანამდებობას ღებულობს.

ფაუსტი იმპერატორის გულს მოიგებს. იმპერატორს მოსწუყრდება პარისისა და ჰელენის ხილვა. ახლა ფაუსტს ანტიკურ ქვესამყაროს — ჰადესის სულელები ემსახურებიან, იწყება ჰელენას ძებნა ვალპურუგის ღამეში — ფარსალიის მინდვრებზე. ჰელენა

ჯადოსნური ძალების შემწეობით ხორცს ისხამს და შეუღლდება ანტიკა და რომანტიკა. ამას მოჰყვება ეუფორიონის შობა. ეუფორიონი პირმშოა მშვენიერისა და სიბრძნისა: ესე იგი გერმანულ-რომანულის და ბერძნულ-რომაულ ელემენტებისა.

ვერც კლასიკურ ესთეტიციზმში, ვერც რომანტიზმში ფაუსტი სიჭარბეს ვერა გრძნობს. იგი ლამობს თავი დაახნოს ჯადოსნობას და შეურიგდეს მსოფლიოს ზნეობრივ წყობას. რწმენა ქრისტიანული ოპტიმიზმისა შეიპყრობს მის სულს.

ფაუსტი იმპერატორის ისტორიული უფლებების დასაცავად აჯანყებებს ჩააქრობს, რის ნაცვლად ზღვის სანაპირო მიწებს მიიღებს საკოლონიზაციოდ და სამფლობელოდ.

იგი ზღვას წაართმევს მიწას ძლიერი დამბების საშუალებით და თავისი პატარა ქვეყანა ვაჭრობით და ზღვაოსნობით უნდა ააყვავოს. ჯადოსანი და მისტიკოსი ინჟინერის და კოლონიზატორის როლში! იგი წინასწარ გრძნობს, რომ დედამიწის გული მალე რკინისგზების სალტეებით უნდა დაიღადროს და გემები დასერავენ ოკეანის სივრცეებს. ლაჟვარდი აიძვრევა ორთქლით და ბენზინით.

ამგვარად ხდება გოეთე პირველი დიდი პოეტი ჩვენის დროს დიდი ცივილიზაციისა. ფაუსტის მეორე ნაწილი მისტიური წინასწარ თქმაა ჩვენი ახალი ეპოქისა. მისნური ნათელხილვა. მართლაც ის სული და რომანტიკა, რომელიც საუკუნის წინად გოტიურ ტაძრებში, ხიდეების არკებში და კოშკებში იმალებოდა, დღეს დიდი ქალაქის ფოლადისა და გრანიტის სარკოფაგებში და დიდი ქარხნების გამურულ საყვირებში გადასახლდა.

თანამედროვეობის პოეტი ისეთივე ენტუზიაზმით უმღერის ქარხნების სირენების ფოლადის ძახილს, როგორც როკოკოს დროს პოეტი რომანტიულ პოსტილიონის ბუკის ხმას. ნურავის ჰგონია რომ ელექტრონის შუქი ნაკლებ საკვირველებათა შემცველი იყოს, ვიდრე რომანტიული მთვარის კაშკაში.

გოეთედან პირდაპირი გზაა ვერჰარნისკენ.

დაძლეულია როგორც კლასიციზმი, ისე რომანტიკა! აბსოლუტურმა სულმა თუჯის და ფოლადის მასკები აიფარა. გაღრმავდა და გაფართოვდა ჩვენი გრძნობისა და შეგნების ჩარჩო. ეს საუკუნით ადრე იგრძნო გოეთემ — მიტომაც მისი დიდი ლანდი ასე ახლოსაა ჩვენთან. მაშინებიც ხომ მოდიფიკაციაა სულობისა, რადგან გოეთეს თქმითაც, „ყოველივე წარმავალი სვიმბოლოა მხოლოდ“.

კონსტანტინე გამსახურდია

აცდენილი ტიპები

ქართულ პროზის მიმოხილვას ვაპირებდი. მინდოდა, კალმით გამოქანადკებული და-მენახა, ვინც ცხოვრების სარბიელზე ჩემს ყურადღებას იპყრობს. მინდოდა, დავმტკბარიყავ მათის მხატვრულად გალამაზებულის სახით, ჩამეხედნა მათს სულის სიღრმეში, და-მენახა მათი ყოფა უფრო რთულ პირობებში, ვიდრე ის საყოველღეო სინამდვილე, მათს სახეს რომ ჩრდილავს... შეიძლება ჩემი სალიტერატურო ჩამორჩენის მიზეზი იყოს და არა ქართულ კაზმული მწერლობის, მე არც ბრალმდებლობას ვკისრულობ, არც ცილისწამება მინდა — მაგრამ ვისაც ვეძებდი, ვერსად ვნახე.

ჩვენს მწერლობას ერთგვარი ნაფლეთური ხასიათი აქვს. ქართულ კალამს ნაწყვეტების გლეჯა უფრო ეხალისება, ვიდრე ტიპების შექმნა. ალბად ამას თავისი ისტორიული მიზეზი აქვს. შესაძლებელია, ეს ფრაგმენტარობა ქართული ცხოვრების საერთო სტილს

გამოჰხატავდეს. კაზმული პროზა ინტელექტუალური აკტივობის ერთ-ერთი ფუნქციაა და იმისი სტილი იგივეა, რაც საერთოდ ახასიათებს ქართულ გონების მუშაობას. ქართველი ხალხის ისტორია, ეს რამდენსამე ათეულ საუკუნეზე გაშლილი დრამატული მოთხრობა ერის ცხოვრებისა, — განა ჯერ ისევ წარსულის ნამტვრევებს არ წარმოადგენს?! განა იგი ჯერ კიდევ არქეოლოგიური საგანი არ არის, მოლოდინე თავის ისტორიკოსისა?! ქართული მეცნიერება — განა ეს მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცოდნა არ არის, უცხოეთში შემთხვევით მოგლეჯილი და ასევე შემთხვევით გადმოქართულებული? ქართული მუსიკა — განა ის ქართულ სახალხო სიმღერების შემთხვევითი კრებული არ არის, მაძებარი ქართულ მუსიკალურ შემოქმედისა? ქართული მეურნეობა — განა ისიც ფრაგმენტარული და შემთხვევითი არ არის, განა ის კი თავის გრიუნდერებს არ მოეღის, რომ გასცდეს ვინრო სადღესო გამორჩენის ინტერესს?!.. ცხოვრება მრავალ კუთხიანია, მრავალფეროვანი; მაგრამ ქართულ ცხოვრების რა სფეროსაც გნებავთ გაუხსნორეთ თვალი, ყველგან მის საერთო ხასიათს, მის საერთო სტილს აღმოაჩენთ. ვერსად ბოლომდე, თავის უკანასკნელ დასკვნებამდე ნაფიქრს იდეას ვერ იპოვით; ვერსად გრძნობათა თამაშის ლოლიკურად განვითარებულ სისრულეს ვერ აღმოაჩენთ; ვერსად მისწრაფებათა გარდაქმნას მისტიურ ამოცანად ვერა ნახავთ. ასეთია ქართული ინტელექტის სტილი. ყოველ შემთხვევაში თანამედროვე ქართული ინტელექტი, თითქოს დაშინებული იყოსო, გაურბის პრობლემების გაღრმავებას და რთულ მდგომარეობათა ანალიზს მათს მარტივ ელემენტებამდე. გაურბის რეალობის შეფასებას უკანასკნელ საპერსპექტივო დასკვნების ამოკრეფამდე და ამიტომ მისი აკტივობის ნაყოფი ყველა სფეროში კუდშეკვეცილია და ფერმკრთალი. ამ სტილს ემორჩილება ქართული შემოქმედებითი ინტუიციაც ან, თუ გნებავთ, ნიჭი. მარტივი ემოციების მონყვეტა, მომცრო ინციდენტების აღწერა, პატარა ლექსი და მოკლე ეტაჟი უფრო ეხერხება თანამედროვე ქართულ მწერლობას, ვიდრე ტიპის განვითარება და იმის წარმოშობის ძიება რთულ ცხოვრების პირობებში. ამ საერთო სტილის ფერმიხდილობის მხოლოდ ერთ-ერთი და ამასთან სხვებთან შედარებით ნაკლებ მტიკონეული ეფექტია ის, რომ ბევრი რამ, რაც უმოქმედების ნიჭს თავის თემად უნდა გადაექცია, დღემდე ხელშეუვალა და იმის გულისყურის გარეშე რჩება. უმეტესი მნიშვნელობა ამ გვერდ-აქცეულ თემებში იმას ეკუთვნის, რაც დროულია, რაც თავის წარმავალობით სათვალყურო ასპარეზიდან იშლება, წარსულის ზღვას ერთვის და ჰკარგავს თავის თვალსაჩინობას. ან, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, ისე ღრმად იცვლის გარეგან ფორმებს, რომ უხილველი ჰხდება და იკარგვის, ასეთ თემას წარმოადგენს ქართველ ადამიანის თანამედროვე ტიპი, რომელსაც ქართული მხატვრული კალამი არ ეკარება და აცდენილი მხატვრულ შეფასებას ისე ამოიჭამს თავის თავს, რომ შეიძლება კვალაც აღარ დარჩეს იმის მისაგნებად.

ტიპი სანიმუშო პიროვნებაა. პიროვნების არსებითი შინაარსი კი იმისი პსიქიური მთლიანობაა. პიროვნება განცდათა რთული კომპლექსია, რომელსაც სხვადასხვა წყარო აქვს და რომელთა შედუღებაც ურღვევ, განუკვეთელ ერთიანობად წარმოადგენს პიროვნების პრობლემას. პიროვნების განცდათა შეუთანხმობა და შეურიგებლობა, ამ განცდათა კონფლიქტი, პიროვნების ტრალიკული მომენტია. პიროვნულ განცდათა შეხმატკბილება, მათი შეზავება — პიროვნების იდილიაა. ახალი რამ განცდა, ჯერ შეუთვისებელი და დანარჩენ განცდათა ხვეულისთვის ჯერ უცხო, არღვევს პიროვნების იდილიას და ჰქმნის პიროვნულ პრობლემას. ამ პრობლემის დაძლევა ისწრაფის დაშლილ პსიქიურ სასწორის აღდგენისაკენ. პიროვნების განცდათა სისწორის გადახრა ერთ-ერთ მიმართულებით და სწრაფვა ამ სასწორის აღდგენისათვის, წარმოადგენს პიროვნულ ცხოვრების ფონს. იმისდა მიხედვით, თუ როგორ ჰხდება განცდათა კონფლიქტები და შემდეგ ამ კონფლიქტების დაძლევა პიროვნულ ცხოვრების პროცესში, ამისდა მიხედვით განირჩევიან და განსხვავდები-

ან ერთმანეთისაგან ტიპები. პიროვნების უმაღლესი ტიპი ისეთი პიროვნებაა, რომელიც მუდამ ინტენსიურად ისწრაფვის თავის განცდათა გამთლიანებისთვის, განუწყვეტლივ ისწრაფვის „იყოს ის, რაც არის“, „იყოს თავისი თავი“, „ეყუდნოს თავის თავს“, ხოლო პიროვნების უმდაბლესი ტიპი ისეთი პიროვნებაა, რომელსაც დაჩლუნგებული აქვს ლტოლვა პსიქიური მთლიანობისთვის, ფასს არა სდებს თავის საკუთარ „მე“-ს, წინააღმდეგობაში ჩავარდნილი არ ებრძვის ან სუსტად ებრძვის განცდათა კონფლიქტებს, უარყოფს თავის საქციელით თავის თავს, სცრუობს და ფლიდობს. უმდაბლესი და უმაღლესი ტიპი, ორივე აცილებულია რეალურ სინამდვილის პირობებში, სრულ პსიქიურ მთლიანობის წერტილს, ისე როგორც ზღვის ტალღებია აცდენილი ზღვის დონეს. მხოლოდ როგორც ზღვაში წყალი ზოგან ქარტყილით აბობოქრებული დონეზე მაღლა აწეული, ზოგან კი ზღვის ძირისკენ იზნიქება, ისე პიროვნებაც ზოგიერთის მიმართულებით სცილდება პსიქიურ მთლიანობის წერტილს, ზოგი — მეორის მიმართულებით, ზოგი მაღლდება, ზოგი დაბლდება. პსიქიური მთლიანობა იდეური სამიჯნო ცნებაა და ემზავება მოძრავს და არა უძრავ მიჯნის ცნებას. თავისთავად სრული მთლიანობა ისევე მიუწოდომელია, როგორც აბსოლუტური სიტუბო, მაგრამ ამ მთლიანობის წერტილიდან ისეთივე ხელშეველილი განსხვავება სჩანს მაღლის ან, თუ გნებავთ, პოზიტიური ტიპის და დაბალის ან უარყოფითი ტიპის შუა, როგორც თბილსა და ცივს სხეულს შუა. პიროვნების ტიპი ღირებულების ცნებაა და ამიტომ მაღალსა და დაბალს ტიპს შუა არსებობს არა აბსოლუტური, არამედ შედარებითი ანუ რელატიური განსხვავება. მაღალი ტიპის პიროვნება სწორწონიან მდგომარეობიდან გამოყვანილ თავის პსიქიურ მთლიანობას აღადგენს იმით, რომ უფრო რთულს და უფრო მჭიდრო პსიქიურ გაერთიანებას შეიქს. დაბალი ტიპის პიროვნება კი, პირიქით, უფრო და უფრო ჰშორდება პსიქიურ მთლიანობის საზღვარს, უფრო და უფრო ემორჩილება განცალკევებულ ემოციებს, ჰკარგავს ბატონობას თავის თავზე, ჰკარგავს თავის „მე“-ს და უახლოვდება პირუტყვულ ინსტიკტების მონობას. საყოველღეო ცხოვრებაში ჩვენ ჩვეულებრივი ადამიანები, განუწყვეტლივ ვანარმოებთ პიროვნებათა დალაგებას მაღალ და დაბალ ტიპის რიგში, ვწონავთ მათ პსიქიურ მთლიანობას სასწორზე და გავარჩევთ ერთმანეთისაგან ავსა და კარგს. ეს ზნეობრივი შეფასება გამომდინარეობს სოციალურ ცხოვრების პრაქტიკულ ინტერესიდან, რომელსაც ამიტომ აკმაყოფილებს პიროვნებათა უბრალო აღნიშვნა, — სიკეთის ან სიცუდის ნიშნით, მაგრამ არსებითად ეს ზნეობრივი შეფასება იგივეა, რაც პიროვნებათა ტიპების შემუშავება, რასაც მხატვრული შემოქმედებითი ნიჭი ისახავს თავის მიზნად. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ შემოქმედებითი ნიჭი გულისყურს აქცევს და აღნიშნავს არა ზნეობრივი შეფასების დასკვნას, არამედ ამ დასკვნის საფუძველს, რასაც შეადგენს გარკვეული წარმოდგენა პიროვნების პსიქიურ მთლიანობის შესახებ. აქ, ამ თვალსაზრისით, სრულიად გასაგები ხდება, თუ რა მნიშვნელობა და რა აზრი აქვს იმ ობექტივობას, რომელიც მოეთხოვება მხატვრის შემოქმედებას. მხატვრის კალმით პიროვნებათა შეფასება თხოულობს არა ზნეობრივ ეთიკეტების დანესებას, არამედ პიროვნებათა პსიქიურ აკტების აღწერას, ამ აკტების მთლიანობის ან დარღვეულობის აღნიშვნას, ამ მთლიანობის სიძლიერის ან სისუსტის მითითებას, ამ პსიქიურ სწორწონობის სურათის დახატვას, რომელსაც პიროვნების პსიქიური მთლიანობა იძლევა, იმ მიმდინარეობათა აღნიშვნას, რომელნიც ან არკვევენ ან ამტკიცებენ ამ პსიქიურ სწორწონობას.

პიროვნების ტიპი, როგორც ვხედავთ, მეტად რთული ცნებაა; შეიძლება ვთქვათ ისევე რთულია, როგორც თვით ადამიანის ცხოვრება. თითოეული პსიქიური ელემენტი, რომელთა კომპლექსიც შეიქს ტიპს, დაკავშირებულია ადამიანის არსებობის ფიზიკურ და სოციალურ ცხოვრების პირობებთან. პიროვნული ტიპები თავისი კონკრეტი შინაარსით გადაბმული არიან როგორც წარსულთან, აგრეთვე მომავალთან. ერთი რიგი თავის ტიპიურ ელემენტებისა ადამიანს ან წარსულიდან აქვს მიღებული ან საკუთარ ფიზიკურ

ბუნებიდან, მეორე რიგი ელემენტებისა ეძლევა მის მიმდინარე ცხოვრების პირობებში და მესამე, ასრულებს და აგვირგვინებს ტიპს, ამოიკრიფება მომავლის პერსპექტივებიდან. ასეთია ტიპის სქემა. განსაზღვრულ ისტორიულ შინაარსით ამ სქემის შევსება, რაც მხატვრულ შემოქმედებითი ნიჭის საქმეს შეადგენს, თხოულობს ღრმა დაკვირვებას, მჭრელ ანალიზს და რაც უმთავრესია, მომავლის პერსპექტივების განჭვრეტას. თითოეული ადამიანი, თითოეული პიროვნება თავის არსებობით, თავის ცხოვრებით, განუწყვეტლივ აწარმოებს მუშაობას თავის საკუთარი ტიპის შემუშავებისთვის, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, თითოეულ ადამიანში განუწყვეტლივ სწარმოებს პსიქიური მუშაობა იმის ტიპის შემუშავებისთვის. ეს პსიქიური მუშაობა არის თვით ცხოვრების პროცესი. ამ პროცესის განმცდელი ადამიანი ჰგრძნობს თავის თავს განსაზღვრულ პსიქიურ ელემენტების კომპლექსად, რასაც ის თავის „მეს“ უწოდებს, მაგრამ ანგარიშს არ აძლევს თავის თავს იმაზე, თუ საიდან წარმოიშვა ამ „მეს“ ელემენტები და რამ შეჰქმნა მათი კავშირი. პიროვნება თავის „მე“-ზე არა ფიქრობს, ის მას „მოცემული“ აქვს, ეს იმის პსიქიური არსებობის პასიური ფონია. ამ თავის „მე“-ში მოქცეულ პსიქიურ სასწორს სწორწონობის მდგომარეობიდან გამოიყვანს, მაგრამ ამ მომენტსაც პიროვნება ჰგრძნობს თავის კონკრეტი „მოცემულის“ შინაარსით, როგორც საჭიროებას სწრაფვათა ასრულებისას ან ნაკლებობის შევსებისას, და არა როგორც პსიქიურ სწორწონობის დარღვევას. ადამიანის საქციელი თავის კონკრეტი ისტორიული შინაარსით არის აკტი დარღვეულ პსიქიურ სწორწონობის აღდგენისა და ამიტომ აკტი მის მიერ თავის ტიპის შემოქმედებისა, მაგრამ ის ამ თავის აკტს განიცდის არა როგორც ტიპის შექმნის მომენტს, არამედ როგორც მიზნის, ე. ი. საპერსპექტივო საგნის ასრულებისთვის მეცადინეობას. თვით პერსპექტივები მომქმედ პიროვნებას თავის ამოქმედების მიზნად ესახება და ეს მიზანი სწრაფილავს მის თვალისათვის ღირებულების იდეას, რომელიც აწარმოებს შიგრიწევას ევენტუალ პერსპექტივათა უსაზღვრო ზღვაში. ეს ღირებულების იდეა განსაზღვრავს დარღვეულ პსიქიურ სწორწონობის აღდგენის მოდუსს და აკტივურ ფუნქციას ასრულებს ტიპის შესაქმნელად, მაგრამ მომქმედი ადამიანი ჰხედავს საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ იმის პრაკტიულ (ზნეობრივ) წონას და არა იმის მნიშვნელობას ტიპის შემუშავების პროცესში.

მოკლედ რომ ვთქვათ, ყოველი პიროვნება ცხოვრების პროცესში მუდამ თავის საკუთარ ტიპის გამოხატვაშია, მაგრამ ეს პროცესი საკუთარი ტიპის შემუშავებისა პიროვნების ქვეშევსებაში ხდება. პიროვნების შეგნება ამ პროცესში დაინტერესებულია და ამიტომ გულისყურს ადევნებს მიმდინარე ცხოვრების კონკრეტ ისტორიულ შინაარსს და არა იმ ფუნქციებს, რომელთა ეფექტიც თვით პიროვნებაა თავის პსიქიური აგებულებით, ე. ი. თავის ტიპით. პიროვნება ცხოვრების პროცესში, ყველაფერს ჰხედავს, თავის ტიპს და თავის ტიპის შექმნას კი ვერა.

რიგი პიროვნული აკტების, რომელიც მიისწრაფვის ცხოვრების რეალურ პირობებში ტიპის შექმნისკენ და რომელიც ისტორიულ ეპოქებს ნაირ-ნაირ ყვავილოვან ტიპებით ამკობს, ეს რიგი აკტებისა შეიძლება განხილულ იქმნას რეტროსპექტივურად, ე. ი. არა დასაწყისიდან საბოლოო ეფექტისაკენ მიმართულ მიმდინარეობაში, არამედ საბოლოო ეფექტიდან, ე. ი. შემუშავებულ ტიპიდან დასაწყისისაკენ, ასეთი უკუ შეტრიალებული განხილვა აუცილებელია მხატვრისთვის, რომელიც მოინდომებს რეალურ ცხოვრების ნაყოფ ტიპების გაგებას, მათ ბუნების და თვისებების გათვალისწინებას, მათს ადგილს ისტორიის პროცესში და მათს სოციალურ ღირებულებას. ასეთი რეტროსპექტივური განხილვა არის რაციონალიზმის შეტანა იმ ბუნებრივ ისტორიულ პროცესში, რომელიც ჰქმნის ტიპებს. მხატვრულ მწერლობის ლექსიკონით ამ რაციონალიზმს შემოქმედება ჰქვია, მაგრამ მწერლობა, რომელიც მიენდობა ნიჭს და იწყებს ლოდინს, თუ როდის გაიშლება მხატვრულ ნიჭიერების ნიაღში ტიპების სურათი, ასეთი მწერლობა მალე, ძალიან მალე, მეტად თვალსაჩინო

ნოდ ჩამოჰრჩება ცხოვრებას. ქვეშეცნებაში მიმდინარე პროცესი ტიპების შექმნისა ისეთივე ბუნებითი პროცესისა, როგორც მინის ტრიალი თავის ღერძზე, მაგრამ როგორც ეს ფაქტი იყო დატოვებული ადამიანთა შეგნების გარედ, ვიდრე რენესანსის ეპოქის ამოძრავებელი ინტელექტი არ შეიტანდა რაციონალიზმის შუქს მოძრაობის ფაქტებში, ასევე შეუმჩნეველი დარჩებოდა რეალურად არსებული ტიპები იმ დრომდე, სანამ მხატვრული გონება რაციონალიზმის მეთოდებით არ მიუდგება მიმდინარე ცხოვრების ფაქტს.

ეს იტაუდი მხატვრულ ტიპის შესახებ დავინწყეთ შენიშვნით, რომ ქართული მწერლობა არ იძლევა იმ ტიპების მხატვრულ ქანდაკებს, ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას, რომ აჭრელდებენ თავის ფერადებით. ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ მხატვრულ შემოქმედების ნიჭს აცდენილი ტიპების არსებობა ქართულ ინტელექტუალურ აკტივობის საერთო სტილს ახასიათებს. ამ შეხედულების გაშუქებისათვის სრულიად მიზანშეწონილად იქნებოდა სისტემატიური აღწერის აცდენილის ტიპების, მაგრამ ამისთვის სწორედ მხატვრული შემოქმედებითი ნიჭია საჭირო. ეს ჩვენთვის მიუხდომელია. სამაგიეროდ ჩვენ შეგვიძლიან გაუზიაროთ მკითხველს რამოდენიმე შენიშვნა ქართულ ტიპების შესახებ და თუმცა ეს შენიშვნები ვერ დაიკავებენ თვით ტიპების აღწერის ადგილს, მაგრამ მაინც საკმაო თვალსაჩინოებით გამოააშკარავენ აცდენილ ტიპების სიმრავლეს.

ილია ჭავჭავაძის და დავით კლდიაშვილის ცნობილ მოთხრობების გარდა, ქართულ ტიპების განვითარებულ სურათს ვერც ერთ ქართულ მხატვრულ ნაწარმოებში ვერ აღმოაჩინთ. მართალია, არის კიდევ რამოდენიმე ცდა ქართული ტიპის დასურათებისა, მაგალითად არდაზიანის დავინწყებულ რომანს „მეფლანუაშვილში“, მელანიას მოთხრობა „ბნელო“-ში, ს. მგალობლიშვილის მოთხრობაში „ლამის მეხრე ცეცო“, ნინოშვილის მოთხრობაში „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და სხვა, მაგრამ საერთოდ ეს თხზულებანი უფრო ყოფაცხოვრების აღწერილობას წარმოადგენენ, ვიდრე ტიპების განვითარებას და ტიპიურ ხასიათების გაშლას. მოიპოვება აგრეთვე რამდენიმე მოთხრობა, სადაც თანამედროვე ქართული ცხოვრების ზოგიერთი მომენტი გაპიროვნებულია, მაგრამ ისე ცალმხრივად და ისე სქემატიურად, რომ ტიპების ნაცვლად იქ უსიცოცხლო კარიკატურებს ვხედავთ.

თითქმის ყველა თვალსაჩინო ცდა ქართულ ხასიათის დახატვისა თავის თემად უარყოფით ანუ დაბალ ტიპებს ირჩევს, თითქმის ყველა განვითარებულ ტიპის სურათი შეიცავს საკარიკატურო ელემენტებს. ჩვენის ფიქრით, ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის. ჩვენ გვგონია, რომ ეს ნაკარნახევია თვით ქართული ცხოვრების მიერ. ქართველმა ხალხმა მე-XII საუკუნის შემდეგ განიცადა მთელი რიგი საშინელი კრიზისებისა. საერთო ფონი ამ კრიზისებისა ქვეყნის საგარეო ანუ საერთაშორისო მდგომარეობიდან მომდინარეობდა. ქართველ ხალხს არ აღმოაჩნდა იმდენი ძალა და ღონე, რომ ეს კრიზისები ხალხთა საერთაშორისო ურთიერთობის ფორმებში დაეძლია. საგარეო ასპარეზზე დამარცხებული ქართველი ხალხი მეთვრამეტე საუკუნის დასასრულიდან დაუძლეველ კრიზისს ებრძვის უკვე მხოლოდ ფიზიკურ არსებობის შერჩენის ნათლად გამოხატულ ნიშნის ქვეშ. ფიზიკური არსებობა ამ დროდღან ჰხდება ქართულ ცხოვრების ultima ratio ფიზიკური არსებობისთვის ქართველს ადამიანს პრინციპიალურად, უკვე განირული აქვს ამ დროდღან ყოველგვარი ღირებულება, როგორც ნაციონალური და პოლიტიკური, აგრეთვე მორალური და სოციალური. ეს პრინციპიალური განწირვა უნდა ვიფიქროთ არა როგორც მთელი ხალხის მიერ ერთის გადაწყვეტილებით აღებული გეზი მოქმედებისა, არამედ როგორც ისტორიული ტენდენცია, რომელიც თავს იჩენს და ვითარდება სისტემატიურის თანდათანობით. ეს განწირვა ფიზიკურ არსებობის შერჩენისთვის გულისხმობს მორალურ, ნაციონალურ და სოციალურ ღირებულებათა დათმობას, ქართველ ადამიანის პსიქიურ მთლიანობის დარღვევას, პიროვნულ „მე“-ს დასუსტებას, ფიზიკურად აღმატებულ საგარეო ძალების მოთხოვნათა შეგუებას, ამ ძალისთვის პირმოთნეობით გუნდრუკის კმევას. სიამაყის დაკარგვას,

თავის თავის პატივისცემის გადაჩვევას, გარეშეთა განდიდებას, სულიერ დაცემას, გაფლიდებას და გაცუღლუტებას. ცხადია, რა უარყოფითი ტიპის შემუშავება უნდა წარმოებულყო ამ ისტორიულ ეპოქაში. ეჭვს გარეშეთა, ქართულ ისტორიულ პირობებში უარყოფითი ტიპის წარმოშობა უნდა დაწყებულიყო ჯერ ისევ იმ დროს, როცა ქვეყანა საგარეო კრიზისების ხანაში იმყოფებოდა, მაგრამ რაც მაშინ მხოლოდ თითო-ორი პირზე იქონიებდა თავის გამრყენელ გავლენას, შემდეგ, როცა კრიზისების ხანამ ადგილი დაუთმო დამარცხებულ მდგომარეობას, უფრო ფართოდ გაჰშლიდა ფრთებს და მასსიურ ხასიათს მიიღებდა. ეჭვს გარეშეთა აგრეთვე, რომ შეგუების ტენდენციას კრიზისების შემდეგაც წინაღუდგებოდნენ ისეთი პიროვნებანი, რომელთაც მეტი ძლიერების პსიქიური მთლიანობა ექნებოდათ შერჩენილი, მაგრამ ისტორიულ ტენდენციასთან ბრძოლას ისინი ფიზიკურად ვერ გაუძლებდნენ და თანდათან განადგურდებოდნენ. თავის თავად ცხადია, ეს ისტორიული ტენდენცია უპირველეს ყოვლისა თავის გავლენის ქვეშ ქართველ ხალხის იმ წრეებს მოაქცევდა, რომელნიც ერის ცხოვრების მესვეურებას ეწეოდნენ, და მხოლოდ თანდათანობით, უფრო ნაკლების მტკივნეულობით, მოედებოდა ხალხის სხვა წრეებს.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველი ადამიანის საერთო ტიპი ევოლიუციას განიცდის არა ამაღლების და გაძლიერებისაკენ, არამედ დაქვეითების და დაუძღლურებისაკენ. ამ ნიშანს ქვეშ სწარმოებს ქართველ ადამიანის პიროვნულ თვისებათა და ხასიათის შემოქმედება თაობიდან თაობამდე, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის მეოთხედში პირველი მკრთალი ნიშნები არ გაჩნდება პიროვნული ღირსების დაცვისა და გამოსარჩლებისა. მაგრამ ეს გაჯანსაღების რეაქცია იმდენად სუსტია, რომ იმისი გავლენა ქართველ ტიპებში დღესაც უჩინარია, საერთოდ კი ქართველი ხალხის თანამედროვე ტიპები იმავ ისტორიულ ფორმაციას წარმოადგენენ, რასაც მეთვრამეტე საუკუნიდან ან კიდევ უფრო ადრე დროდგან განსაზღვრული ტენდენცია აქვს დაქვეითებისაკენ.

ტიპი იგივეა, რაც ხასიათი, ამიტომ, ხალხის ცხოვრების რა პირობათა გავლენით ჰხდება ტიპის შემუშავება, ეს — ერთი საგანია, ხოლო ცხოვრების რომელ სარბიელზე უფრო ნათლად და მკაფიოდ გამოჩნდება ტიპის თვისება, ეს — მეორე საგანია. რა კი ერთი შემუშავდება ესა თუ ის ტიპი, რის ეფექტსაც უნდა წარმოადგენდეს იგი — სულ ერთია თავის ფუნქციებს დაგვანახვებს იგი ყველგან, სადაც კი მას ვნახავთ. შეიძლება ვთქვათ, რომ ხალხის ცხოვრების საერთო ისტორიულ პირობებს ყოველთვის უპირველესი და უდიდესი გავლენა აქვს ტიპის თვისებისთვის, მაგრამ როცა ეს პირობანი წარმოშობენ პსიქიურ მთლიანობას მოკლებულ პიროვნების ტიპს, ეს ისეთი პიროვნებაა, რომელის თვალშიაც არავითარი ღირებულება არ აქვს არც ხალხს, არც იმის ისტორიას, არც იმის ცხოვრების საერთო პირობებს და არც სხვა რასმეს, რაც პირდაპირ და უშუალოდ მას თავის პირად ინტერესად არ მოეველინება. ვინროდ შემოხაზული ეგოიზმი — ეს ისეთი თვისებაა, რომელიც ყოველთვის და ყველგან განსაკუთრებით სიძლიერით გამოიხატვის და იმ გვარ დაბალ ტიპებში, ქართველ ხალხის პირობებში რომ შეჰქმნეს და გაამრავლეს. ეგოიზმი, როგორც ხასიათის ანუ ტიპის თვისება, სასტიკად უნდა დაუპირისპირდეს ინდივიდუალიზმს. ინდივიდუალიზმი, სიტყვა-სიტყვით რომ ითარგმნოს ქართულად, ნიშნავს განუყოფელს. ინდივიდუალიზმი ხასიათის ისეთი თვისებაა, რომელიც გამოჰხატავს განუყოფელ, ურღვევ მთლიანობას პიროვნების შემადგენელ ელემენტებისას. ეს ელემენტები კი არიან არა მარტო ფიზიკური, არამედ ამასთანავე ერთად სოციალური, ნაციონალური, პოლიტიკური, ინტერნაციონალური და სხვა. ინდივიდუალიზმი ყველა ამ ელემენტს გაუწირავს ღირებულებათ სთვლის და თითოეულ მათგანისთვის აბრძოლებს პიროვნებას მთელის მისის არსებით და ძალღონით. ეგოიზმი პირიქით უარყოფს პიროვნების შემადგენელ ელემენტების ამ განუკვეთელობას და გაუწირავს. ეგოიზმი და ინდივიდუალიზმი ანტიპოდური ცნებებია: ეგოიზმი დათმობას, ლალატს და განირვას გულისხმობს იქ, სადაც ინდივიდუალიზმი უტეხ გმირობას

ითხოვს. ეგოიზმის ტენდენცია სულიერი გამდიდრებაა. ეგოიზმი სოციალურ კავშირებს ეგუება მხოლოდ როგორც გარეშე ძალას, ინდივიდუალიზმი ამ კავშირებს ასისხლხორცებს პიროვნებას, როგორც მის საკუთარ არსებობის პრინციპს. ინდივიდუალიზმი სოციალობის ანუ სოციალიზმისთვის აუცილებელი მორალური დისციპლინაა, ეგოიზმი პირიქით ამ სოციალურ დისციპლინის ჩაშლა და უარყოფაა.

ჩვენი დროს ქართველ ადამიანის ტიპს ყოვლის უწინარეს ასეთი პიროვნების დამშლელი ეგოიზმი ახასიათებს. პიროვნების უქონლობა, უპიროვნობა — აი, რას წარმოადგენს ყოვლის უწინარეს ქართული ტიპი. უპიროვნო ადამიანს შეუძლებელია თავის საკუთარ „მეს“ პატივისცემა ჰქონდეს, შეუძლებელია ამაცობდეს თავის თავით, არ გაურბოდეს თავის თავს, არ ემალებოდეს მას. საქართველოში ძნელად თუ ისეთი ადამიანი შეგხვდეთ, არ ინუნებდეს თავის პროფესიას, ღვთის წყნობად და ბედის უკუღმართობად არ მიაჩნდეს, რომ მას თავის პროფესიაში უხდება შრომა და არა სხვაგან სადმე. საქართველოს გლეხობის გარდა, სხვა არც ერთი წრის ადამიანს არ მიაჩნია სასურველათ, იმის ოჯახის მომავალი თაობა იმავე საპროფესიო ან სოციალურ წრის წევრებად იყვნენ, რომელსაც თითონ ეკუთვნის. არავის არა აქვს სურვილი იყოს ის, რაც ის არის ნამდვილად. ქართველ ადამიანს თითქოს ყოველთვის ერთგვარი მისწრაფება აქვს დაუსხლტეს თავის თავს და გაექცეს მას. სრული უქონლობა კონსერვატორულის გრძნობების იმას მაინც ხელს არ უშლის ნამდვილად უაღრესად კონსერვატორი იყოს, რადგან იმისი უარყოფითი შეხედულება თავის თავზე და თავის მდგომარეობაზე არის მხოლოდ ფუნქცია მისი უპიროვნობის და არა თვითკრიტიკის, რომლისთვისაც მას საკრიტიკო ღირებულება არ გააჩნია.

აუტანელი და სულის შემხუთავი იქნებოდა ქართველი ხალხის ცხოვრება, მთლად ასეთი უარყოფითი ტიპის პიროვნებანი, რომ შეადგენდნენ მას. მაგრამ ტიპი სანიმუშო პიროვნებაა და არა კანონი. რაც ტიპიურ პიროვნებაში თავმოყრილა და უკანასკნელ დასკვნამდე განვითარებული, ის ნამდვილად მრავალ პირთა შორის არის დაფანტული და მეტ-ნაკლებობით უწევნ ლოლიკურ სისრულეს. გარდა ამისა ჩვენ შევჩერდით ისეთ ტიპზე, რომლის განვითარებასაც ინვესს ქართულ ცხოვრების ტენდენცია, მაგრამ ნამდვილათ ეს ერთად ერთი ტენდენცია არ არის, მას რაც რომ ახასიათებდეს. იმას ერთგვარ წინააღმდეგობას უწევნ ცხოვრების სხვა ტენდენციები და რაოდენამდე მის ნეიტრალიზაციას აღწევნ. ტიპის განვითარება ერთის ხელის მოსმით არა სრულდება ნამდვილად; პირიქით, ეს განვითარება ხანგრძლივი პროცესია და ვიდრე ბოლომდე დასრულდებოდა, ევოლუციის ეტაპების მთელი რიგი უნდა იქნას გავლილი. ამიტომ ქართული ცხოვრება ნამდვილად ისე შემზარავი არ არის, როგორც ჩვენ მიერ აღნიშნული თვისებები ქართული ტიპისა. ოსკარ უაილდის „ესტეტიკურ მანიფესტში“ ვკითხულობთ, მხატვრობა სარკე არისო, სადაც სინამდვილე გამოისახება, პირიქით თვით ეს სინამდვილეა, მხატვრობის სურათებს რომ ჰბაძავს. ოსკარ უაილდი მართალია იმ მხრივ, რომ მხატვრული შემოქმედება წინ უნდა უსწრებდეს ისტორიულ ტენდენციის მუშაობას და უფრო ადრე, ვიდრე ეს ტენდენცია წინასწარვე ლოლიკურ სისრულემდე ანვითარებდეს სინამდვილის შთანასახებს. ოსკარ უაილდი მართალია აგრეთვე იმ მხრივ, რომ შემოქმედებითი ნიჭის მიერ დახატულ სურათებს ყოველთვის მეტი რელიეფობა აქვს, ვიდრე თვით სინამდვილეს, რადგან შემოქმედებითი ნიჭი განსაზღვრულ ჩარჩოში მოაქცევს იმას, რასაც სინამდვილეში არავითარი საზღვარი არ გამოჰყოფს რეალობის სხვა ფაქტებიდან.

ქართული ცხოვრება ისეთი საშინელება არ არის, როგორც ის პიროვნული თვისებები, რომლებზედაც ჩვენ მიუთითეთ, მაგრამ ქართული მხატვრული მწერლობა, რომ გვერდს არ უქცევდეს მათ და თავის კალმით აფერადებდეს ქართულ ტიპებს, მოგებული იქმნებოდნენ მწერლობაც და ცხოვრებაც.

„პოეზიის დღე“

პოეზიის დღე წელს თითქმის ყველგან იდღესასწაულეს. გაზეთები გამოიშვა ქუთაისის და ბათომშიაც. ყოვლადია პოეზია. ყველგან ერთსა და იმავე ღმერთს — მშვენიერებას აღუვლენენ პოეზიის ქურუმნი მხურვალე ლოცვას. სხვა და სხვაა აქ ჰანგი, მაგრამ ერთია ის, რაც პოეზიის არსებობას შეადგენს — ადგილმდებარეობა გამოცემისა, ამ მხრით გავლენას არ უნდა ახდენდეს. მართლაც ასეა. მაგრამ არის დაპირდაპირება ტფილისში: აქ ორი „პოეზიის დღე“ გამოიცა: ს-დ საქართველოს და მეორეც ეგრედ წოდებულ „ახალ“ მწერლობის კავშირისა, ეს არის ნაყოფი იმ განხეთქილების, რომლის შედეგიც იყო ერთი ჯგუფის გარჩევა მწერალთა მთავარ შტაბიდან. ორი „პოეზიის დღე“ — ეს ხომ აშკარა ბრძოლაა. მივხედოთ მებრძოლთ.

პირველ კავშირის მიერ გამოცემულ გაზეთში მოგროვილია ქართული ლიტერატურის საუკეთესო ძალები. აქ არის სახელები, რომელნიც თავის თავად ლაპარაკობენ, მაგრამ არის სუსტი ადგილებიც. ყოველ შემთხვევაში აქ ანათებს სინიდიისი და პატოსნება ქართული პოეზიისა.

„საქართველოსთვის უპირველეს ყოვლისა არსებობს პოეზია და პოეტებისათვის უპირველესად ყოვლისა საქართველო“ — ამბობს თავის წერილში გალაკტიონ ტაბიძე.

მაგრამ რალაც სიმძიმის ატმოსფერა დასწოლია ავტორებს. შეკუმშულია გული და სიტყვა არ ელავს ისე, როგორც ზემოხსენებული ლოზუნგი მოითხოვს. ეს ხომ მათი ბრალი არაა...

მწერლობის გულწრფელი სიყვარულით და ჩვენს დროში მივიწყებულ ობექტივობით არის დაწერილი კ. გამსახურდიას „Orbis literarum“. სიხარულით აღნიშნავს ავტორი ყოველივე კულტურულ მოვლენას ჩვენში, თუნდ იგი მონინაალმდეგეთა ბანაკს ეხებოდეს. ეს იმიტომ, რომ მას კარგად ესმის ჩვენი მდგომარეობა: „სიკვდილი საქართველოსთვის, ანთება და ენტუზიაზმი საქართველოსთვის. ეს მუდამ შეენიერება საქართველოს ქართული პოეზიის პარნასიდან: სულ ერთია, ეკლის გვირგვინი ედგმება მას თავზე, თუ ძლევისა და დიდების შარავანდედი“.

ლექსთა კონაში ერთმანეთს ამშვენებენ ი. გრიშაშვილი, ს. აბაშელი, ს. ფაშალიშვილი, კ. მაყაშვილი, კ. გამსახურდია. აქვეა არაგვისპირელის, ბარნოვის და ქიაჩელის ფრაგმენტები.

„მოსწანს შორიდან დარკინული ციხე თამარის და დარიალი, ბროლის ჯაჭვით გადარაზული“. მშვენიერია ეს ლექსი აბაშელისა, მაგრამ მე მაგონდება კიტა აბაშიძის კერძო სიტყვა: აბაშელის ლექსებში შედარებანი და სახეები იმდენად სჭარბობს, რომ სიტბოს უკარგავს და შთაბეჭდილებას ანელებსო.

უჩვეულია ქალაქის პოეზიის ისეთი შედეგრი, როგორიცაა კ. გამსახურდიას „ანტექრისტე დიდ ქალაქში“. გამოკვეთილ, დაბროლებულ, ენერგიით სავსე სტროფებში აქ მოცემულია „ნახშირის, ორთქლის, ელექტრონის, რკინის და რვალის“ პოეზია. ვერჰარნს გაგონებთ, მაგრამ მისტიური ელფერით:

„და ეგ სამყარო კვლავ ქაოსად გადაიქცევა, ერთხელ შექმნილი უმიზეზო ღმერთის თამაშში“.

ი. გრიშაშვილი აქაც ისე გაიჭრა, „როგორც ყაბახზე ბატონიშვილი“ თავის „ჭირიანი ზურმუხვით“. სიყვარულის ნაირ-ნაირ ემოციათა თვალმჭრელი მგოსანი, რომლის ლექსებში ხშირია: „კბილი — ნუში, თვალი — ელვის ნახშირი“. მაგრამ მის ნაზ გრძნობაში მძლავრად იჭრება თანადროულობა: „და მოვკვდები საქართველოს კუბოზე“... აქვეა ნაზი გრძნობის მტვირთველი ს. ფაშალიშვილი. მისი ლექსი, დიდი ხანი იყო, არ გვენახა. „უამინდობა ყვავილებს ავნებს“ — ეს მართალია. მაგრამ ფაშალიშვილის „ღამე ქარში“

მის შემოქმედებაში ახალი ჰანგია — სავსებით გამართლებული. ეს პოეტი თავმდაბალია და მორიდებული, — როგორც თვით პოეზია.

ობოლი მარგალიტივით გამოიყურება კ. მაყაშვილი: „მდულარებაჲ სულისა“ — ლექსი „ჩემს მაროს“. აქ არის ტრაგედია მამის და სამშობლოსი: „საქართველო თუ შენ, — რომელი, აჰ, ვიტყვო, რომელი?“ — კითხულობს მგოსანი. აქ არის მწვერვალზე ასვლა და ცრემლები, აიაზმასავით რომ ესხურება მკითხველს.

„მაროს მამა — ლაჩარავით როგორ უნდა შევშინდე?“

არა! არც სამშობლო შეშინებულა: „სადარაჯოს არა სტოვებს, ავდარს აგდებს არადა“.

აქვეა მარიჯან, რომლის „ნატიფ სულსაც“ არასოდეს არ „მოეკიდება შმორი და ობი“.

არიან ახლებიც: ნ. თარიშვილი. მას ეტყობა გრიშაშვილის გავლენა. ნაკლებად სჩანს ჯერჯერობით მისი ინდივიდუალობა. მაგრამ უეჭველი ნიჭით არის იგი დაჯილდოებული და მისი გაფურჩქვნა ერთ სურნელოვან ყვავილს შეჰმატებს ქართულ პოეზიის თაიგულს. ამ კავშირის ორგანოში ახალი გამოჩენაა ი. მოსაშვილი, რომელიც მოდის ჩირალდანით და მისი ლირიკა გათენების ზარივით რეკავს სივრცეში. მას მოელის გამარჯვება.

გადავხედოთ „ახალ კავშირის“ ნომერს, უპირველესად ყოვლისა, ძველია ის უკულტურობა, რაც მათ მიერ გამოცემულ „პოეზიის დღის“ ტექნიკას ეტყობა: აუარებელი კორექტურული შეცდომები, სტილის დაუდევრობა — ისედაც ბინდ ნანერებს, უფრო აბნელებს. განსაკუთრებით არეულადაა დაბეჭდილი მეორე ნერილი: „კუპდ'ეტა“.

რა არის ახალი ამ ჯგუფის მოვლინებასა და ნანერებში? აქ ტონის მიმცემნი — ეგრედწოდებული „სიმბოლისტები“ (ან როგორც ხშირად ეძახიან მათ — „ფუტურისტები“) არიან. ამიტომ ჩვენ მხოლოდ მათზე ვილაპარაკებთ.

„სიმბოლისტების“ ჯგუფი ჩვენში კარგი ხანია, რაც გამოვიდა. მან თავისი „მანიფესტებით“ „პერმანენტული კონფერენციებით“ მთელ მკითხველ საზოგადოებას და „ძველ“ პოეზიას ომი გამოუცხადა: „შექსპირს — უარი“.

მათივე სიტყვით — ბრძოლა თურმე არავის მიუღია. საკვირველი როდია ეს, პოეზიის სამყაროში მარტოოდენ „მანიფესტებით“ და ძველის უარყოფით შეუძლებელია ადგილის მოპოება. და თუ ქართული მწერლობა „სიმბოლისტებს“ ნაკლებ ყურადღებას აქცევს — ალბად არ არიან ყურადღების ღირსნი.

მიუხედავად ამისა, მათ აქვთ ერთი პლდუსი: მათმა ხმაურობამ ზოგიერთ ნამდვილ პოეტს გაუღვიძა ფორმის გაუმჯობესების ძიება, ნაახალისა. ეს არის „სიმბოლისტების“ დამსახურების თავი და ბოლო. გარდა ამისა, მათ გადმოიტანეს ბრმად „სიმბოლისტების“ მანერა წერისა. მაგრამ ეს უკვე ახალი არაა. ევროპაში დღეს კურიოზია მალარმესა და სხვებზე ლაპარაკი. აღსანიშნავია ისიც, რომ ფრანგ მწერლების გავლენა ჩვენმა „სიმბოლისტებმა“ განიცადეს რუსული თარგმანების საშუალებით: მიიღეს ერთგვარი რუსული სოუსით.

მაგრამ თვით ისინი ფრიად მაღალი აზრისანი ყოფილან საკუთარ პერსონალზე. მათ აქვთ „პოეტების ორდენი“ (უფრო კი პანსიონი!), რომლის პირველი მუხლი მოითხოვს ყველა წევრებისაგან ერთმანეთის გენიალობის აღიარებას. ჩამოვა ვინმე რუსის პოეტი, მხატვარი ან მოქანდაკე, ჩვენი პოეზიის დობჩინსკი-ბობჩინსკები უეჭველად სადგურზე დახვდებიან: საქართველოში არიან პოეტები და ეს პოეტები ჩვენ ვართო. შემდეგ იწყება საკუთარი სურათების ბეჭდვა, რესტორანების კედლებზე ხატვა, ბიუსტების შეკვეთა და სხვ. სიმბოლისტების აზრით, ყველა მათგანი რაიმე ფენომენია. არ გჯერათ? ყური დაუგდეთ ტ. ტაბიძეს.

გრიგოლ რობაქიძე ყოფილა თურმე მათში პირველი პოეტი. „მისი ყოველი გამოსვლა, საქართველოში, აყენებს ტოლედოს სანახაობასო“. მას დაუნერია ამ სეზონში „გენიალური ლექსი“ — „ტფილისის ხერხემალი“, რომელსაც შეიძლება წინასწარმეტყველების (?) ხასიათი ჰქონდეს“. ეს ლექსი დაუბეჭდავია, მაგრამ რობაქიძეს იგი ნაუკითხავს მეორე „გენიოსის ქორწილში“.

„პაოლო იაშვილი, ესეც მოულოდნელობის გენიააო“ — განაგრძობს ავტორი.

ამ მწერალს მართლაც აქვს ნიჭი. ამას ამტკიცებს მისი „წერილი დედას“ და „პოეზიის დღეშივე“ დაბეჭდილი ლექსი: „ტანიტ ტაბიძე“. აქ არის მიუცილებლად სულის ასახვა, ბინდ-ბუნდი მელანქოლიისა. მაგრამ გენიალობა?.. კალამი დაუჭირეთ „წლიდან წლამდის“ ავტორს: მან უზომოდ შესტოპა!

შემდეგ ვალერიან გაფრინდაშვილი. „ქართული პოეზია დაკარგავდა აზრს, რომ ვალერიან გაფრინდაშვილი არ იყოსო“. ერთი სიტყვით, ბევრი სხვა „გენიოსებია“ კიდევ ჩამოთვლილი, რომელნიც თურმე იბრძვიან „ფრონტზე ახალი შეგნებისა და ეროვნული რენესანსისთვის“. მოდით და ნუ გაგეცინებათ!

გრ. რობაქიძეს ჩვენ პატივს ვსცემთ, როგორც ქართველ მწერალს და ლექტორს. მაგრამ ამ მხრით იგი უფრო წარსულშია, ვიდრე აწმყოში. შეიძლება ამაში დამნაშავე იყოს ის უბედური დღე, როდესაც რობაქიძემ ლექსების წერა დაიწყო. არა, მართლა, იქნებ ვინმე სერიოზულად ჰფიქრობდეს, რომ იმ „ნაქნარს“ (რობაქიძეს ტერმინია!), „სიმბოლისტები“ რომ ლექსებს უწოდებენ და რომელთაც ხშირად რობაქიძის გვარი აწერია ქვეშ — პოეზიის ეცხოს რამე? მათ ხომ ყოველთვის „ოფლის სუნი“ უდით? და განა თვით რობაქიძე არგაიძახობდა: სადაც ოფლის სუნი ტრიალებს, იქ შემოქმედება ჰქრებაო. ესეც არ იყოს, ჩვენ გვაგონდება ერთი სპარსული სენტენცია: ვინც ოცდაათის წლის შემდეგ თარს ისწავლის, იგი საიქიოს დაუკრავსო.

ტიტე ტაბიძეზე ჩვენ იმავე აზრის ვართ, როგორც რობაქიძეზე. მას შეუძლია წერა, მაგრამ სასაცილოა ტიტე ტაბიძის პოეტობაზე ლაპარაკი. აი, ერთი მისი უკანასკნელი „შედევი“, რომელიც ამ ახალ კავშირის „პოეზიის დღეშია“ დაბეჭდილი:

„სამხედრო სტამბაში ლექსი ვინ გაიგონა, ამ ხმაურს გაუძლებს მარტო მარინეტი (რომელმაც ცეპელინი მგონი მოიგონა). მის სახელს არ სჭირია არაფერი მეტი“.

არ ვიცი, „გაუძლებს“ თუ არა ამ ლექსს მარინეტი, ჩვენ კი — ეს მოგვიტეოს. იგი ჩიხოვის ტელეგრაფისტს გვაგონებს: Они хотят свою ученность показать, потому непонятные слова говорят-с. რაჟდენ გვეტაძე, — რომელსაც ყველა ყანწელებზე უფრო ნაპერწკლიანობა ეტყობა, — გამოჩნდა ახალი ტემით.

„ვირები პროსპექტზე გათენებისას“ და „ჩოჩორი“ კარგია, მაგრამ ახალგაზრდა ჯერ გაუფრთხილდეს: ამნაირ ცხოველით შორს ვერავინ წავა.

მშვენიერია კ. ჭიჭინაძის „აკვარელი“, მაგრამ ჭიჭინაძე ხომ „სიმბოლისტი“ არ არის...

აქვე ნ. ლ-ძე, რომლის მოთხრობათა ვუალ-აფარებული და მელანქოლიური ფონი ყოველთვის იზიდავს მკითხველს. მას შეეძლო უფრო კარგი რამ მოეცა, ვიდრე „ბედის ვარსკვლავი“. მით უმეტეს, რომ ეს მოთხრობა უკვე დაბეჭდილი იყო ქუთათურ მხატვრულ კრებულში („უქემირონი“, 1 აპრილი).

დაბოლოს აღსანიშნავია „ახლების“ სახელთა უცნაურობა: ტიცციან, კოლაუ, პაოლო და სხვა. რა ბრმა ნაბაძვია აქაც! სწორედ ასე სჩადიოდენ ფრანგის „სიმბოლისტები“ და დეკადენტები ოთხმოცდაათიან წლებში: სენ-პელ რუ „Le Magnifique“ სარპელადან და მრავალი სხვა. იმათგან აქვთ გადმოღებული ეს მანერა. მაგრამ რუსის სიმბოლისტებისაგან ყურმოკვრით. ძველია, თარგმნილია ყველაფერი ეს. ასეთი სულიერი მონობა ჩვენ „სიმბოლისტების“ მოუმწიფებლობის ნაყოფია მხოლოდ. მაგრამ მოუცადოთ: ბავშვობიდან სიყრმეში გადავლენ, ალბად. ეგები ჟამმა თავისი გაიტანოს „სიმბოლისტების“ ბაქიაობა და პრეტენზიანობა კი მართლაც ახალია ჩვენს მწერლობაში. ამ მხრით მათ არ ჰყავთ ქართულ პოეზიაში პროტოტიპები. მაგრამ არ გვგონია ამისთანა „სიახლეში“ მათ შეეცილოს ვინმე. და მათ ყოველთვის ექნებათ უდავო უფლება სთქვან: „ძველი“ ილიას დამციწავი სიტყვები: „ვისაც ვებრძვით, არ გვებრძვიან, სჩანს, ჩვენ ვართ გამარჯვებულნი“.

ბიბლიოგრაფია

ი. გრიშაშვილი: მეორე ტომი. 1922 წ. ტფილისი. გრიშაშვილის როგორც პირველი, ისე მეორე წიგნი გარეგნულად ძალიან სადათაა გამოცემული. ერთხელ გრიშაშვილმა მაჩვენა სპარსული ხალიჩის იმიტაცია საუცხოვო ფერადობისა, რომელიც ყდად უნდა ჰქონოდა მის წიგნს, მაგრამ ალბად დღევანდელი სასტამბო პირობების გამო შემდეგისთვის შეინახა. მართლაც რა კარგი იქნებოდა სულ ორიოდ ასეული წიგნი გამოეცა გრიშაშვილს, ოღონდ ამგვარ ფანტასტიურ სამოსელით გამოსულიყო მისი მეორე ტომი. ქართველმა მწერლებმა უნდა შეიგნონ, რომ პოეზია რაც უფრო წინ მიდის, მით უფრო მცირდება მისი მრევლი. საჭირო არ არის კარგი წიგნი ათასი ცალობით გამოიცეს, წიგნი მხოლოდ იმას უნდა ერგოს, ვისაც ის მართლაც უყვარს.

გრიშაშვილს აქვს მახვილი ესთეტიური გემოვნება და მე მის ადგილზე გამოვცემდი ამ წიგნს უფრო მცირედის ფორმატით, მეტ ყურადღებას მივაქცევდი წიგნის ყდასაც. ყდა პირველი კარია, პირველი შთაბეჭდილება. წიგნი თუ სიყვარულის ტაძარია, სადაც ისმის ფარჩეულის შრიალი და ნელსაცხებლის კმევა, ეს საამო სურნელოვანება კარის შეღების უმაღ უნდა გეცეს...

რაც არ უნდა სთქვან ღვარძლებმა — ი. გრიშაშვილი საოცარი ფენომენია ჩვენს ლიტერატურაში. მე არ მეგულება მსოფლიო ლიტერატურაში ისეთი მწერალი, რომელსაც ასე მარტივი მოტივები და იდეები ჰქონდეს და ასე ვირტუოზულად ეთამაშებოდეს მარად მშვენიერს. გრიშაშვილის ალფა და ომეგა მისი ეროტიკაა. მაგრამ ამასთანავე უნდა ითქვას, გრიშაშვილის ეროტიკა თანამედროვე არ არის. მე პირადად სავსებით არ მესმის გრიშაშვილის ეროტიკა. თანამედროვე მამაკაცი გრიშაშვილივით არ უყურებს ქალს. უფრო მეტი: თანამედროვეობა სავსებით აეროტიულია. შეიძლება ეს ჩვენი დეგენერაციის მომასწავებელი იყოს. ეს კი ასეა, თანამედროვეობის თვალში ქალი ის ინფერნალი ნახევარია ადამიანობისა, რომელიც სულით მაღალმა კაცმა უნდა შეიძულოს. შტრინდბერგი ქალით იწყებს და ქალით ათავებს. შტრინდბერგიც ქალვაჟურ დამოკიდებულებათა და უსრულებელ ვარიანტებს გვიჩვენებს. მაგრამ შტრინდბერგი უარის თქმაა ქალზე. გრიშაშვილი ჰოს თქმაა ამ ცდუნებით სავსე ელემენტზე. შეიძლება გრიშაშვილის ქალმოყვარეობა მისი ქართული ტემპერამენტით დასაბუთდებოდეს, რადგან ანტიფემინიზმს მხოლოდ ცივი სკანდინავია და გერმანია იცნობს.

„ზღაპარი გამაკვი“ პირველი ლექსია მეორე წიგნში და ყველაზე უფრო დამახასიათებელი პოეტისთვის. აქ გასაოცარი ვიზიონერული ხილვაა ქალისა, ბუნების ნაირ-ნაირ ელემენტებში. ეს მარად ქალური პოლარულობის ხილვაა ბუნებაში. ამ ბუნებაში გრიშაშვილი მხოლოდ ქალურ პოლარულობას ჰხედავს: ქალი მას ხან ტყის შველად, ხან თოვლის ქანდაკად, ხან სტიქიონურად მთიდან მონანყვეტ ნიაღვარის სახით ელანდება. ეს საოცარი ცალთვალა მზერაა სამყაროში, მართალია ბუნების ცალი ფერდის ხილვაა, მაგრამ მას არც უნდა ამ ბუნების მეორე მხარე, პოლარულობის მეორე ელემენტი სახელდობრ ვაჟური ელემენტი შეამჩნიოს.

ასე ვინროა მისი ჭვრეტისა და ხილვის ჰორიზონტი და პოეტს სრულიად საფუძვლიანად ეშინია, რომ მასზედაც არ გამართლდეს „ჰაინეს ლეგენდა ძველი“.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პოეტი ალაგ-ალაგ გადაჭარბებულია თავის სექსუალში, ერთი ლექსის („ქორწილი ჩვენს უბანში“) უკანასკნელი სტროფის ბოლო სტრიქონი ასე თავდება: „საბნის ნაოჭში დაიმალა მათი სხეული“. ნამდვილი პოეზია უნდა გაურბოდეს ყოველთვის ტრივიალობას.

გარდა ეროტიული მომენტისა, მეორე წიგნში გრიშაშვილი საგრძნობელი ხდება როგორც ნაციონალური პოეტი. ტყუილად ჰგონიათ, რომ თანამედროვე პოეტს არ შეეძლოს

ნაციონალურ მოტივების არჩევა. საკმარისია მოვიგონოთ ვერჰარნი (მისი საუკეთესო ეპოპეია ბელგიელების გამირობისა გერმანელების შემოსევის დროს). დანუნციოს სიტყვები და ნაწერები უკანასკნელ ამბების გამო, მთელი რიგი სალაშქრო ლექსებისა საფრანგეთის და გერმანიის უახლეს მწერლობაში.

გრიშაშვილი ყველაზე მკაფიო ნაციონალური პოეტია დღეს ჩვენში. მისი „ტრიოლეტები შეითანბაზარში“, „მეფე ვახტანგი“ და „ავლაბარი“, ეს ახალი ამღერებაა ტფილისის და ბაგრატიონების გამქრალ დიდებისათვის. საოცარია, ამ გვარს რა დიდი სიყვარული დაუთესია საქართველოში, რომ საუკუნის შემდეგაც ასეთი გულწრფელი და თბილი გლოვა ისმის ქართულს პოეზიაში. „ახ, ნეტამც იმდროს, როცა სწერდა დასტურლამალსა მეფე ვახტანგი!“ გრიშაშვილი დღეს ერთად ერთი მემკვიდრეა ორბელიანების პოლიტიკური რომანტიზმისა. იგი ბესიკის საქართველოს უმღერის დღესაც. იგი აქაც არამოდერნულია. მისი საქართველო გროტესკური ყარაჩოლელების საქართველოა. ასეთ საქართველოში ჩვენ სახრჩობელა გაგვიხდებოდა სანატრელად, მაგრამ პოეტს ეს საქართველო უყვარს. მისი პატრიოტიზმი ტფილისური პატრიოტიზმია, საქართველოს არც ერთი კუთხის ბუნებას ისე ინტიმურად არა გრძნობს პოეტი, როგორც ტფილისს, ეს გვაგონებს პეტრარკას რომაულ პატრიოტიზმს. ტფილისია მისი სტიქიონი და ამ ტფილისში იგი მუდამ გულში წყევლას აჩაღებს. „და წყევლა იმას, ვინც მაღრიბის ველურ ყაჩაღებს გაულოკარი თერგდალეულ დარიალისა“. მართლაც წყევლა იმათ!

ტფილისი, ძველი ტფილისია მისი სავანე, რადგან იგი თავიდანვე სკეპტიკურად შეხვდა ამ ეგრედ წოდებულ „კულტურას“, რომელიც თერგდალეულ დარიალიდან შემოვიდა. მას თერგის წყალი არ უსვამს და მიტომაც წმინდაა წყალი მისი პატრიოტული პოეზიისა; ან რას უმღეროს ახალ ტფილისში ქართველმა პოეტმა, ტფილისში, სადაც შემოხიზნული გადამთიელი პარაზიტები, სპეკულიანტები და უცხო ენებზე შეთითხნილი აფიშები სწამლავენ ქუჩებს. ამ ტფილისს პოეტი სამართლიანად არჩევს ყარაჩოლელების ტფილისს, ნარიყალას, შეითან ბაზარს და ისანს, სადაც დღესაც უფრო მეტადაა ქართული ელფერი შენახული. ქართული მამტაბით ნიგნი საუკეთესო გამოცემად უნდა ჩაითვალოს.

ზიგფრიდ გუბაძე

სომალდი №3 აბაშელის ტანჯვის ბარძიმით იხსნება. არის ორი კატეგორია პოეტების: პოეტი კოსმიურ ჰარმონიისა და პოეტი კოსმიურ დისჰარმონიისა. საშა აბაშელი კოსმიურ ჰარმონიის მგოსანია. მის პოეზიაში ხშირად თავს ვერ იმაღლავს მისი ელასტიური მაგრამ მძაფრი ინტელექტი. ტანჯვის ბარძიმში მუსიკის შქერი ვერ ერევა ინტელექტუალურ ჩონჩხს. აბაშელი პიონერია ეგრედ წოდებული, ხელოვნური პოეზიისა ჩვენში. ამაოდ ჰგონია ზოგიერთებს, რომ აბაშელი მხოლოდ ახლა შევიდა ახალი პოეზიის ორბიტრში.

ლექსის მეხუთე თავში ძლიერ ლამაზი სტრიქონებია, რომელნიც შორეულ ნაპირის მინანქარის გვირისტებს მოგვაგონებენ.

ლეო ქიაჩელის უცნაურ მოთხრობებში ექსპრესიონისტული შტრიხები ელავენ აქაიქ. სხვათა შორის ძლიერ ლამაზია — „მეუფეო ჩემო, უფალო, კვლავ უფსკრულებს შორის ვარ მომწყვდეული“...

ვარლამ რუხაძის „ჩემი ცხოვრება“ ნამდვილი სულის მდულარებაა პრიმიტიული პოეტისა.

დემნა შეგნელადა საოცრად ფაქიზ სტილს იმუშავებს. ამ მწერალს ესმის ენის კულტურა. მხოლოდ საჭიროა მისთვის ახალი იდეები. დონალის პოეტი და რითმა ძლიერ ლამაზადაა დაწერილი, ეტყობა, რომ პოეტის დაწერილია.

ყურადღებას იქცევს ლეო ქიაჩელის რომენ როლანის ჟანკრისტოფი. ეს მეტად საინტერესო წერილი ზოგიერთ „ნახირა“ მწერლებს არ ეამათ. რა თქმა უნდა, ვლ. სოლოვიოვზე, ან ანდრეი ბელიზე რომ ყოფილიყო დაწერილი, მაშინ უფრო გულდადებით ილაპარაკებდნენ.

კებდნენ. ან როგორ გაიგებენ რუსის მწერლებზე შეშლილები რომენ როლანს, ან მის ქართველ ინტერპრეტატორს, რომელიც ფრანგულ კულტურაზე აღზრდილა.

ერთში არ ვეთანხმები ლეო ქიაჩელს, იგი ტოლსტოის ამზგავსებს როლანს. მე კი ვფიქრობ, რომ როლანი ტოლსტოის ანტიპოდაა. სად ტოლსტოის ბარბაროსული კულტურ ფილოსოფია, რომელიც რუსის მუჟიკის კრიტიკიუმით უდგებოდა დასავლეთ ევროპიულ კულტურას და სად როლანი, რომელიც დასავლეთის ახალი დიდი იდეალიზმის მოციქულია. განა ის მდგომარეობა რომ ჟანკრისტოფი გიგანტიური ნაშენობის რომანია, საბაბს გვაძლევს იგი ვინმეს შევადაროთ? ქართული ლიტერატურის კრიზისის მიზეზთაგანი, მისი იდეებით სიღარიბეა, ასეთი ცდა, რომელიც მიმართულია დასავლეთის დიდი ლიტერატურის დაახლოებისაკენ დიახაც წასახალისებელია.

„ბახტრიონი“. ყანწელების საქმე დღითიდღე უკან მიდის. ისინი სავსებით გამოიფიტენ იდეურად. ამ 6-7 წლის განმავლობაში მათ ვერ გვიჩვენეს ვერც ერთი სტრიქონი, რომელსაც შემოქმედება ჰქონდეს (გარდა აუქციონის კუპლეტების და თარგმანების) და მხოლოდ დაპირებებით, რეკლამებით და დებოშებით გადიოდნენ ფონს: მათი არსებობა დღეს უკვე ტრაურით შემოვლებული განცხადებაა! ეს ფაქტია, რომელსაც ვერც ერთი გულწრფელი პოეზიის მეგობარი ვერ უარყოფს. ასე გასინჯეთ: თავიანთ შორის მეთაურობის უნარიც კი დაჰკარგეს. ამას ამტკიცებს ვაზ. „ბახტრიონის“ გამოცემა, რომელიც არის ორგანო აფიშების, განცხადებების და ქრონიკის, ეს გაზეთი — თუ შეიძლება ასეთი ზრდილობიანი სახელი ეწოდოს — არის სათაურ შეცვლილი „ბარკადი“ და რუსული „ფიგარო“. ამ გაზეთის რედაქტორია ერთი აბითურენტი გ. ლევანიძე, რომელმაც ყანწების სტატუსის მიხედვით გვარი „ლეონიძე“ შეიცვალა — და ამით თავი მოაქვს რომაულ ბატვიით.

პირველ ნომერში წერილია პაოლო იაშვილისა — „პოეტები საქართველოში“, სადაც თავიანთ ჩვეულებრივ ტრადიციას არ ღალატობენ და იმეორებენ იმას, რომ ძველი მწერლობა — მიქარვააო და ბარათაშვილის, ილიას და აკაკი ლანძღვა მონოპოლიად გამოვაცხადეთო! „ბარათაშვილის მერანი ბებერია, ტყავ გამხმარი და ფერდებ ჩაცვივნილი, ჭაკი ცხენი ველარ გაგვაკვირვებსო“, „ილიას ქართველ დედას ძუძუები დაუშრია და ისინი გალურჯებულ გულის ტყავზე ჰკიდია, როგორც ორი რკინის ლაფათქაო“(!), „აკაკიმ აღმართ-აღმართ სიარულით მწვერვალს ვერ მიაღწიაო!..“ ავინყდებით ამ მართლაც „პოეზიის წერილფეხა ნუკალებს“, რომ ამავე სიტყვებით დაიწყეს თავიანთი პირველი გამოსვლები ქუთაისში და 6-7 წლის შემდეგაც, ხალხმა რომ არანორმალურად დასახა ეს ავანტიურისტები — ეხლაც სიკვდილის ჟამს ამასვე იმეორებენ. ეს არის შემოქმედება?! ეს არის სიახლე პოეზიაში? ეს არის „მწვერვალს მიღწევა?“

მკითხველებს ალბად ახსოვთ, ამ რამდენიმე თვის წინად „ტრიბუნაში“ დასტამბული ფელეტონები ყანწელების „ეროვნული იდეალების“ შესახებ. ეს იყო ცდა რეაბილიტაციისა. ასეთივე ცდაა გაზეთი „ბახტრიონი“, რომელიც ყურებს გვიჭედავს ქართული მესიანიზმით. ჩვენ გვაგონდება ერთი ქართველი პოეტის „სადღეგრძელო“, რომელიც აგრედვე მესიანიზმით დაიწყო და ნიკოლოზ I-ლის მრავალჟამიერით გათავდა. ასი წლის შემდეგაც ბარე ორს კალმოსანს დასჭირდა სადღეგრძელოების ცუდად დაბოლოება.

ჩვენში ეროვნული იდეალები მოიკოჭლებენო — ამბობს პაოლო იაშვილი! რასაკვირველია, პატრიოტიზმი არასოდეს ისე არ ესმოდა ქართველ ხალხს, როგორც უშაკოვის გაზეთში თანამშრომლობა! მართლაც, რომ მარიონეტებით ქანაობს ეს ხალხი ორ უკიდურესობათა შორის, ალბად მათ ხშირად ჰონორარები წონასწორობას აკარგვინებს. ყანწელები არ იყვნენ, რომ 1920 წელს სულთანის მთვარეს ემუქრებოდნენ ქართული „ფუტურისტული მესიანიზმით?“

განა 1921 წელს ტიტე ტაბიძე სერიოზულად არ დაემუქრა კონსერვატიულ აღმოსავლეთს: (გაზეთ „კომუნისტში“) „ტფილისს კოსმიურ რევოლუციის შტაბად გადავაქცევთ და მცირე აზიას ავიღებთ!“ შესაფერისად დააფასა ქართველმა საზოგადოებამ ეს და იმიტომაც არის, რომ ყანწელების ვითომდა ეროვნულობისკენ გადახრა და ამ მიზნით გაზეთ „ბახტრიონის“ დაარსება მათი სამი მეთაურის საქმის გამოსასწორებლად — ოხუნჯი ხალხის ბაქიაობაა და სხვა არაფერი. კარგი იქნება გაზეთი „ბახტრიონი“ განცხადებებს დაუთმობდეს ოთხივე გვერდს. ისინი საერთოდ ალღოს ამღები ხალხია და დღეს ჩვენში ხომ ახალი ეკონომიური პოლიტიკაა.

ფუტურისტული კარიერა კი მათ უკვე წაართვეს ქუთათურმა ახალგაზრდებმა, რომელთაც ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე გაკოტრებულად გამოაცხადეს ყანწელები...

წერილს ვათავებთ და ვგრძნობთ, რომ ამ გაზეთზე ლაპარაკი მისთვის ანგარიშის განევას ნიშნავს. ამიტომ არავითარი სურვილი არა გვაქვს, ლიტერატურის ზედაპირზე ამოტივტივებულ გასტროლიორებს ფაქტებით ველაპარაკოთ, — ამისათვის ჩვენ სხვა გაზეთი დაგვჭირდება. მაგრამ ჩვენში გაჩუმება ხშირად დამარცხებდად მიაჩნიათ ხოლმე და ჩვენც გვაიძულებს ამ ბიბლიოგრაფიის დაწერას. რაც შეეხება ბახტრიონის „ეროვნული პოზიციის გამაგრებას“ ცოტა ფრთხილად უნდა იყვნენ ეს პოეზიის რეპარტიორები. ვინაიდან ბახტრიონის სიმაგრეში თავის შეფარება ვერ დაჰფარავს მათ უნიჭობას და რენეგატობას.

სხვა ციხის აგება დაგვჭირდება მათთვის.

ჩვენ

ნ. ბარათაშვილი. ვ. გაფრინდაშვილის რუსული გამოცემა. ამ წიგნზე ვრცლად შემდეგ, ხოლო ახლა უნდა ვთქვათ, რომ საოცარია: სახელმწიფო გამომცემლობას რაში მოაგონდა ბარათაშვილის რუსულად გამოცემა, მაშინ როცა ჯერ არც ერთი ქართველი კლასიკი არ გამოუცია. ნუ თუ მათი გეგმა გეგმათვე რჩება! ნუ თუ ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ ტფილისელ რუსებისა და სხვა უცხოელებისათვის წიგნის გამოცემა აბსურდია, რადგან საქართველოში შემოხიზნულ პარაზიტებს ქართული ლიტერატურის შესწავლა კი არ აინტერესებთ, არამედ ქართველი ხალხის ქონებრივი ექსპლოატაცია. ბოლოს და ბოლოს ეს წიგნი შერჩება ხელში იმ ქართველ დეგენერატებს, რომელთაც რუსული წიგნი და რუსული გაზეთი თუ არ შეაჩიჩე ხელში, ყველა ენაზე კითხვას გადაეჩვევიან. საერთოდ ეს წიგნი ძალიან ცუდათაა გამოცემული. დაუბეჭდავთ რაღაც უხეირო ტრანსპარეტულ ფულის ქალაღზე და შრიფტიც ულაზათოა. დროა რუსულ კულტურის მაჭანკლობას თავი დაანებონ მწერლებმა მაინც. დროა „ზაკავკასკაია რეჩის“ და „ფიგაროს“ პატრიოტებმა ჭკუა ისწავლონ.

შუბოსანი

ვასილ ბარნოვი: „ხაზართა სასძლო“ ისტორ. რომანი. წიგნის ვიტრინებში გამოჩნდა ვასილ ბარნოვის ახალი რომანი, სდუჟეტი აღებულია საქართველოს შორეულ წარსულიდან. საერთოდ: ვასილ ბარნოვის სტილი მეტად ხორკლებიანია. სამწუხაროდ, ეს რომანიც ფრიად მძიმე ენითაა დატვირთული. ბარნოვს უთუოდ აქვს ენის კულტურა, მაგრამ იგი არ არის წახნაგული. მისი ენის კულტურას აკლია ახალი სიღბო, ვასილ ბარნოვი განზე სდგას, თითქოს მას არ შეჰხებია ის მოძრაობა, რომელიც დღესაც გრძელდება ქართულ ლიტერატურაში ენის მოდერნიზაციის მიმართულებით: შეიძლება ეს იყოს მისი ორიგინალობა ქართულ ლიტერატურაში. ამ რომანის დეტალურ გარჩევა შემდეგ ნომერში მოვათავსებთ. ხოლო არ შეგვიძლიან, არ შევნიშნოთ პატივცემულ ავტორს, რომ მის წელთა დაზიდულობისათვის სრულიად შეუფერებელია ის ზაქ. ქიჩინაძისებური რე-

ვერანსი, რომლითაც იგი წიგნის ბოლოში უმასპინძლდება ერთ-ერთ თავის სემინარიელ შევირდს, რომელსაც თურმე რაღაც „გემოვნებას“ ჰქონია...

წიგნი, სხვათა შორის, 122 გვერდია.

ხარონი

ემილ ვერჰარნი: „რიჟრაჟი“. ემილ ვერჰარნი მეტეორივით მოევლინა მსოფლიოს. მთელი მისი რაობის თავი და ბოლო პოეზიის გამარჯვებით იტვირთება. სამწუხაროდ, ამ „ცეცხლის და რკინის კაცს“ ნაკლებად იცნობს ქართველი მკითხველი, ნათარგმნია სულ რამდენიმე ლექსი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ყველა ამ თარგმანებში ვერჰარნი ნაკლებ სჩანდა, ხოლო მთარგმნელების ინდივიდუალობა კი სავსებით: ამ შემთხვევაში ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ შეიძლება ითარგმნოს აზრი, სტილი. შეიძლება გადაითარგმნოს სინტაქსი და რიტმი, მაგრამ შეუძლებელია ითარგმნოს რითმა, რომელიც ყველა ენაში ირაციონალურია.

ვერჰარნის „რიჟრაჟი“ ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია, როგორც რევოლუციონური ზარის რეკა. ამ პიესამ დიდი გავლენა მოახდინა თვით პოეტებზედაც კი, ასე წარმოიდგინეთ, რუსულად დადგმულ ერთ მისტერიის ავტორზედაც. სამწუხაროდ, ეს პიესა რუსულ თარგმანში მეიერხოლდის და ბებუთოვის მიერ ძლიერ შემოკლებულია და დამახინჯებულიც.

ს. ფაშალიშვილის თარგმანი კი გვაკმაყოფილებს მხოლოდ ტექნიკურად. მაგრამ ასეთ ნაწარმოებზე, თუ გინდ იგი კარგი თარგმანიც იყოს, გულწრფელი მწერლის გვარის მონერა მისი დამარცხებაა. დამარცხებულია მთარგმნელი ამ მხრივ. ჩვენ გვინდა, გულწრფელი ვიყოთ ამ საყვედურში.

მარუთა შუამდინარელი

ნ. ლორთქიფანიძის „კრებული“. ეს დიდ ტანოვანი წიგნი, რომელიც შეიცავს 336 გვერდს, გამოვიდა ქუთაისში. ქუთაისის ბატონი — ნიკო ლორთქიფანიძე ამ შემთხვევაში არ არის ისეთი „მრისხანე“, როგორც ბათუმის მწერალთა მეთაური დავით კასრაძე. მწერლობა უეჭველად უნდა დაიხვეწოს ზედმეტ ბალასტისაგან, ამ შემთხვევაში ამ ორ მწერალს (ნ. ლორთქიფანიძეს, დავით კასრაძეს), რომელნიც მეთაურობენ ორ დიდ ქალაქში, და რომელთაც ნიჭთან ერთად ცოდნა და გამოცდილება აქვთ — უფრო მეტი სიფხიზლე, პირდაპირობა და თვალის შეიარაღება სჭირიათ.

„კრებულში“ დაბეჭდილია ბევრი ავტორი, რომელიც ასეთ „კრებულისთვის“ შეუფერებელი არიან...

წერილებში ყურადღებას იპყრობს კაპანელი (კ. ჭანტურია): „ქალი და სიყვარული ქართულ პოეზიაში“ კაპანელი უნდა დაუბრუნდეს ხელოვნებას და სერიოზულად მოეპყრას თავის შემოქმედებას, ქლიბი სჭირია უსათუოდ მისს სტილს.

საინტერესოა ჩვენი ძველი პუბლიცისტის იაკობ ფანცხავას წერილი „ნიკო ბარათაშვილი“. სამწუხაროა, რომ ეს წერილი ნ. ბარათაშვილის აკადემიურ გამოცემაში ვერ მოხვდა.

სილოვანის „ვაჟა-ფშაველაში“ ორიგინალური აზრებია გაბნეული, შეიძლება ბევრი არ დაეთანხმოს, მაგრამ ბევრს კი დააფიქრებს.

დასასრულ აღსანიშნავია მელიტონ კელენჯერიძის დიდი წერილი: „ვეფხის ტყაოსნის ტიპები“ ორიოდ შენიშვნა ტექნიკურ მხარეზე: წიგნის გარეკანი სიფრიფინა ქალაღბეა დაბეჭდილი, სულ არ არის აკინძული და არც სარჩევი აქვს დართული.

ეს კი საგრძნობელი ნაკლია!

ილიონელი

„უქიმერიონი“ №1-2. მართალია, ცფილისი უკანასკნელ ხანს ქუთაისად გადაიქცა, მაგრამ მაინც მოიპოვებინა ქუთაისში ხელოვნების მოყვარულნი, რომელთა ინიციატივითაც დაარსდა „კავშირი მხატვრული მწერლობის“. ეს კავშირი თითქმის ყოველთვიურად ჰბეჭდავს ჟურნალს, რომლის სათაურიც ზემორე ამოვწერეთ, უქიმერიონი ციხეა ქუთაისის არეს და საკვირველია, რომ ჩვენი კავშირები თავიანთი ნაწერების პირველ კარს ამ ბოლო დროს ციხის ბოქლომებით ჰკეტავენ ხოლმე: „პოეზია კი, — ერთი ჩვენი პოეტის თქმისა არ იყოს, — დახურულ ქარვასლაში ვერ გაივლის: მას ყაბახივით გაშლილი ადგილი სჭირია“.

ამ ჟურნალში უსათუოდ საინტერესო პოეტები არიან: ვასო გორგაძე და ტ. გრანელი. პროზაში კი — ფასკუნჯის თვალეზივით ანათებენ ნ. ლორთქიფანიძე, დია ჩიანელი, ს. ცირეკიძე და ჯაჯუ ჯორჯიკია. ეს უკანასკნელი კარგა ხანს სდუმდა, მართალია, მისი ზოგიერთი მინიატურა სიბრძნე სიცრუის არაკებს ჩამოჰგავს, მაგრამ მაინც ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამ კულტურულ პიროვნების დაბრუნებას პოეზიის შტაბში; რაც შეეხება ვარლამ ხუროძის გამოკამათებას კ. გამსახურდიასთან პროლეტარულ პოეზიის პრობლემაში, უნდა განვაცხადოთ, რომ კ. გამსახურდია ფილოსოფიური მისტიციზმის იდეოლოგია და სხვა პოზიციის აღება მისი მხრით ულოლიკო იქნებოდა. „პროლეტარული პოეზია“ როგორც ხუროძეს ესმის — ლუნაჩარსკიმაც უარჰყო ბოლოდროს. რაც შეეხება ყანწელებისა და ტ. ტაბიძის პოზიციას პროლეტარულ პოეზიის საკითხში, და „გაზეთ „კომუნისტთან“ არშიყობას“ როგორც ამას სწერს ხუროძე (იხ. „უქიმერიონი“, №2, გვ. 48) — ქუთათურმა ორგანომ არ იცის, თუ რომელ ქარს აჰყვებიან ხოლმე ეს სათუთ ყნოსვიანი კალმოსნები? აქ, რასაკვირველია, მე არ მინდა მარტო „ნოხების ნებართვას“ დავაბრალო — ეს გზა უფრო ნიჭიერად დააგვირვინა ერთმა მათმა ეპიგონმა: „ჩემი გზა არის — გზა წვერნითელა, ისკარიოტისო“. (იხ. „წმინდანინი“, გვ. 12). ჩვენც მეტი რა გზა გვაქვს, რომ ეს გზა მათ არ დაულოცოთ!!.

არმან დიუვალ

გ. ქუჩიშვილის მეხუთე წიგნი. სასიამოვნოა, რომ იმ ორ ფურცლოვან წიგნებს შორის, რომელსაც დღეს, ზოგიერთი საეჭვო პოეტი ჰბეჭდავს — ხანდისხან გამოჩნდება ხოლმე ხელმოსაკიდი წიგნიც. ქუჩიშვილი თავის მეხუთე წიგნში სუსტადაა წარმოდგენილი. მისი პოეზია საერთოდ სულ ცოტათი განსხვავდება პრიმიტიულ სახალხო შაირებისაგან. ქუჩიშვილის უკანასკნელ ლექსებს კი ბევრი ხალხური შაირი შორს გაუსწრებს. ქუჩიშვილი თუ არ დაენაფა ლიტერატურას (ჩვენი ძველი ქართული მწერლობა მაინც ნაიკითხოს) — მასზედაც განმეორდება ის იგავი და იმ უგუნურ მონის ამბავი, რომელმაც თავისი ტალანტი მიწაში უსარგებლოდ ჩაფლა.

სოსელი

ი. მჭედლიშვილი ლექსები. წიგნი I. ი. მჭედლიშვილს თავისი ადგილი აქვს ჩვენს ახალ მწერლობაში. მისი ბუნება პრიმიტიულია უფრო და ამიტომ არის, რომ უცხო გავლენა მის სულს ნაკლებად ეკარება. ამ მხრით იგი ვაჟას მოგაგონებთ: მასავით ხშირად ეტყობა სტილის პრიმიტივობა, ხოლო გრძნობა არასოდეს აკლია. მჭედლიშვილის მოტივები არ სცილდება იმ რკალს, ჩვენმა დიდმა პოეტებმა რომ შემოხაზეს: პატრიოტიკა და სიყვარული. ძლიერია მჭედლიშვილი აგრეთვე ბუნების აღწერაში, რომლის გრძნობა და გაგება აქვს. ხოლო მისი პატრიოტიკა მუდამ ახალი იქნება, ვიდრე საქართველოს მიჯაჭულ ამირანთან შედარება არ დაძველდება. ხსენებულ წიგნში არ არის მოთავსებული მისი საუკეთესო ლექსები უკანასკნელ დროს: „მწუხრნი პარასკევისანი“ და „შაბათის“ მიზეზი გასაგებია. აქაიქ ეტყობა ავტორს გარემუს სასტიკი ხელი, რომელსაც წერტილები მოწმობენ.

უფრო დანვრილებით შემდეგ ნომერში.

„ილიონი“, 1922. სექტემბერი, №2.

ბებუთი მაგიდაზე

აღმოსავლეთმა ეს ბებუთი შხამით შემოსა.
სისხლი დასწურა საქართველოს ტკბილ სანნახელში.
მითხრეს: ტფილისში როს იხილო მტრების შემოსვლა —
იბრძოლე აბჯრის დაცვეთამდე ბებუთით ხელში.

არ ვიცი, ჩემი სურვილები სად დაივანებს —
ვისუნთქო კალმის სინოცივრით, თუ სისხლის ომით?
დღეს მე ჩიტები შემოვარტყი ჩემს აივანებს
და მზე ავაგსე გამოუცნობ პოეტურ ნდომით.

ანტონიოსმა მარგალიტი გახსნა ღვინოში
და კლეოპატრას მიაწოდა ტანწვრილი ჭიქა.
გაირღვა გული, როგორც ზარი შიომღვიმისა
და სიყვარულმა სამარეში ველარ იჭექა.

რა ვქნა! ანდერძი წინაპართა ვერ დავაფასე.
უმოქმედობა შემომეგლო როგორც ღრუბელი.
რა იქნებოდა: ამ ბებუთით კუბოს დაფაზე
გამეკრა მაინც ერთი მტერი დასალუპელი.

დავიცე გულში? მაგრამ ვშიშობ სისხლი არ იყოს.
სიბრძნის პერანგი გადავიცვა გველივით ჭრელად?
ვიბრძოლო? ბებუთს აღარა სურს მტერი გარეკოს:
ჩემს მაგიდაზე ასვენია წიგნის საჭრელად.

ი. გრიშაშვილი

სიცოცხლის გრადაცია

წითელი მზე აელვარდა მინებთან.
მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე.
უიმედო გულის ძგერა მინელდა,
შენ, წმინდაო მაცხოვარო, ამინ!

გამიარა ჟრუანტელის ალმა,
სადღაც ქარი გადაფრინდა ნაპირზე.
გული მიდის, არ ვიქნები ალბად,
მწუხარეა ჩემი მკრთალი ნაბიჯი.

ჩაესვენა სურვილების გროვა,
როგორც შორი იმედების სერია.
ეხლა უფრო დაფიქრების დროა,
დაშვებული შეცდომები ბევრია.

ჩემი სახე რომ ყვითლდება, ვხედავ,
შორეული ყვავილებიც ხმებიან.
სამარისკენ აცილებენ ცხედარს,
და მუსიკის მგლოვია რე ხმებია.

ო, ეს გული, ისევ გული მტკივა.
სიჩუმეა უსულდგმო ველების.
რანაირი ნაწამები მივალ,
მიმაქვს ჩემი დაკრეფილი ხელები.

წითელი მზე აელვარდა მინებთან.
მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე.
უიმედო გულის ძგერა მინელდა,
შენ, წმინდაო მაცხოვარო, ამინ!

ტერენტი გრანელი

მთვარის საცოლე

ლამაზი ცალი ხელი.
მარჯვენ ლოყაზე ხალი..
ლურჯი სუმბული: ყელი.
ხართ იისფერი ქალი.

როს გაიშლება ვარდათ
თვალები უცოდველი,
ჩნდებით პროსპექტზე მარტო
როგორც დამფრთხალი შველი.

ტანი: ახრილი ალვად
მკერდს — სათნოების ჯვარი.
გშენით ქართული გავლა
სიდარბაისლე გვარის.

თეთრ ყვავილებად მაშინ
გერხვავთ სამოსელი.
და ფერხთა სულისთქმაში
გაივლის ვნება ცხელი.

ეს ნიაზია ნელი
 თქვენგან მოკლული თვალის.
 უსათუთესი, — ლელი —
 ხართ იისფერი ქალი...

თქვენზე ოცნება მკრთალი
 ჟამი გავლილი ასე...
 თქვენ — იისფერი ქალი,
 უცნობი სიძვირფასე.

გაქროლებული სული.
 მარადიული თრთოლა.
 თეთრი სიზმრების რული
 და მოჩვენება მხოლოდ.

ამბობენ: თითქოს ივნისს
 დანვა სურს თქვენი თვალის.
 გული გაქვთ თურმე ყინვის
 და ხართ საცოლემ მთვარის.

ხარიტონ ვარდოშვილი

შენი წიგნი

ალერსით უხვი ხავერდის პირი.
 თვალი ცისფერი. სახე ნარცისის.
 დაუთვლელ ფიქრის სიტყვები ძვირი.
 ვეტრფი მკრთალ ხელებს, მაგრამ არ იცის.

შორსა ვარ შენზე — მეხვევი დარდათ.
 ცრემლით ვაშენებ სევდის აკლდამებს.
 ვიგონებ ტფილისს. იხსნება ფარდა.
 ველარ გაუძლებ, რა ვქნა, აქ ლამეს.

ვიგონებ ელლეს „პატარას“ თარგმანს —
 ლიმილს რომ ვსვამდით მარწყვის თასებით..
 წარსულის ლანდი დღევანდელს არ ჰგავს
 და ცა ელვარებს ვერცხლის თასმებით.

მარტო ვარ! მარტო მტრედისფერ წიგნით..
 სიყვარულს ვატან ლექსებს პრობლემად.
 ოცნების ბორბალს შევყევი შიგნით —
 მე და ეს წიგნი დავრჩით ობლებად.

*ნინო თარიშვილი
 მირზაანი*

პასუხი ჭიანურებს

მე სხვის სუფრიდან ანამცეცებს არ ვარ ჩვეული.
დღეს კი ცხოვრება იფარგლება სხვა ნახანაგებით.
ისევ ვარჩიე ვიდუმლო ამხანაგებით,
რადგან კვლავ მიყვარს საფირონი და ფარჩეული.

დღევანდელ ნადიმს არა ვწყალობ, არ ვარ წვეული,
მაგრამ როს ჰაერს დაარხევენ ახალ ჰანგებით —
იქ სხვები მივლენ ბინძურ სახით და პერანგებით:
მე კი დედაჩემს მივაჩნივარ როგორც რჩეული.

ო, ნუ დამძრახავთ, რომ უარვყოფ მე ამ გვარ თემას.
ვყიდულობ ხშირად წითელ მიხაკს, თეთრ ხრიზანტემას,
რომ ჩუმი სევდით ჩავალამო თვალის ხავერდი.

გამმრალ ცრემლებით მოვაშორე ჩემს სულს ლაქები,
არა ვსთქვი ლოცვა სხვა ყაიდის, სხვისი საქები
და ამიტომაც მე ამდენხანს არაფერს ვწერდი.

მარიჯან

ძველს ტყეში

ისევ ტყეში ვარ, ჩემ ზღაპრულ ტყეში!
მთათა მწვერვალნი ჰზომავენ ღამეს
და დედამიწის მჭმუნვარე ლეში
ისეა, თითქო იტყვისო რამეს.
მარტო დავეძებ ჩემ ნეტარ წარსულს,
დედის ნანასთან ტყეში რომ გაჰქრა
და მას შევჩივი, რომ ეხლა მკვდარ სულს
სიკვდილის მეტი აღარა მაქვს-რა.
გზა, ბილიკები ჩემგან ნაკვერი
ბალახს მოუცავს, წყალს ნაულია
და ისე მიმზერს სუყველაფერი,
თითქო რაც მერქვა, აღარა მქვია...
ტყეში ვარ, ტყეში, ჩემ ზღაპრულ ტყეში,
მთათა მწვერვალნი ჰზომავენ ღამეს
და დედამიწის მჭმუნვარე ლეში
ისეა, თითქო იტყვისო რამეს.
აქ იცინოდა გვირილა თეთრად;
აქ მღერდა სული, მსურსო ვმწერობდე;
აქვე ბერ ნიფლებს მკერდზე აეკრათ
ლურჯი ფათალო ხმელ კენწერომდე.

აქ ფრინველების ნიჭიერ მგოსანს
 გაჰქონდა კვნესა დლითა თუ ღამით
 და ვერ აძღობდა მთას გვირგვინოსანს
 ახალ-ახალი ჰანგების გამმით.
 ვით არ ვიტყოდი აქ მე გულს მთელად!
 ან ვით ვიტყოდი, ბარს მოვესურნე.
 სადაც ყურს ახშობს განუწყვეტელად
 ჭიჭინობელა — სიცხის მეზურნე.
 ბრთხილს, ცეცხლიანს და თვალ-გაუსნორებს,
 სმენის რადიო მედგა ყურებზე
 და ვპოულობდი მეხბორე ხბორებს
 ფაჩა-ფურსა და ნაფეხურებზე.
 შუადღეს, როცა მზე მიაღწევდა
 მის ხელმწიფების უმაღლესობას,
 მთის წყაროსაკენ გული გამწვავდა,
 რომ ცივი წყალი ხარბად ესო მას..
 და შემხვდებოდა იქ ფშავლის ქალი,
 მეტყოდა: „ვაჟავ, შენს კვნესამეო,
 ხომ არ გინახავს გზად მიმავალი
 ბერწ-ხბოიანი ფური სამეო?“...
 „არა, ქალაუ“, — ვეტყოდი მეცა
 და დავსხდებოდით ორნივე წყაროზე.
 მერე მეტყოდა: „როგორ იმხეცა
 ნუხელ ბუნებამ მთელ სამყაროზე!
 როგორ ელავდა! როგორა ჰქუხდა!
 მეხი რარიგად აპობდა ხეებს!
 ძაღლების ყეფა გაგვიმარწუხდა
 ქობში ავდრისგან შერეკილ ტყვეებს!“...
 „ჰო, — ვიტყოდი მეც, ნუხელ ღელეში
 დაუბეჭნია დათვს ერთი კაცი,
 და ეხლაც თურმე იქ გდია ღელეში,
 ნიაღვარისგან ვერ წანატაცი“...
 და შევჩიოდით ერთმანეთს სევდით.
 იგი მე მყავდა, იმას მე ვყავდი,
 და ასე ბაასს გავავრძელებდით,
 ვიდრე კვლავ ხბორებს არ დავკარგავდი...
 ეხლა?.. გათავდა!.. ტყეში ვარ, ტყეში!
 მთათა მწვერვალნი ჰზომავენ ღამეს
 და დედამინის მჭმუნვარე ღელეში
 არც ისმენს რასა, არც ამბობს რამეს!

ი. მჭედლიშვილი

მინიონ

გოეთეს ბალადა

იცი ქვეყანა, სად ლიმონი ჰყვავის საამოდ,
სადაც ფოთლების სიბნელეში ღვივის ნარინჯი,
როს მტრედის ფრთებით დაეშვება მუქი სალამო
და ფირუზის ცით მოირხევა ზეფირი დინჯი, —
სვია და სურო ცად იწვევენ კენწეროებით,
სადაც ღრუბლები გადივლიან ვით წეროები
წყნარად და ამოდ...
იცნობ იმ მხარეს?
იქითკენ წამო, საყვარელო, იქითკენ წამო...

იცნობ შენ იმ სახლს, მარმარილოს სვეტებზე რომ დგას,
სადაც ნაკვეთი ჩუქურთმები შუქს მოუქარგავს,
სადაც ანთია დარბაზები მზის ბრწყინვალეებით,
და როს შევდივარ მის სიღრმეში სხივ-ნაკრძალები,
ქანდაკებანი მიცქერიან შურის თვალეებით
და მისტიური მღელვარება სულში იალებს
სანეტარ-წამოდ.
იცნობ იმ მხარეს?
იქითკენ წამო, საყვარელო, იქითკენ წამო...

იცნობ შენ იმ მთას, რომლის წვეტსაც ცა მზით ჩასცქერის.
სადაც ნისლები დაკიდულან უზანგოებათ
და გზას უკრავენ ველურ ჯორცხენს ქაჯთა ბრბოები,
და კლდის სიბუბზე ალმასის ცვრებს ამტვრევს ჩანჩქერი, —
სადაც ბინადრობს გველეშაპი უძველეს თესლის,
სად ჯურღმულიდან მგზავრს — მიმავალს — ქამანდებს ესვრის
ჭინკა ბებერი, უცხვირპირო და უწამწამო...
იცნობ იმ მხარეს?
იქითკენ წამო, საყვარელო, იქითკენ წამო...

ს. ფაშალიშვილი

კაცის მკვლელი

რა მიზეზმა გამოიწვია, არ ვიცი, მაგრამ ბავშვობის დროიდან ხსოვნაში ჩამრჩა ერთი ხმა: „და იშვა რაინდი შუბლ გაციებულნი, და მოჰკვდა რაინდი ჭრილობით გულში“...

მას შემდეგ ძალიან დიდმა და გრძელმა ხანმა განვლო.

ბევრჯერ მინახავს სისხლით შეღებილი სახე შვიდი წლის ბიჭიკოსი, როცა ფრთამაღლი მერცხლის დასაჭერად გაქცეულს ფეხი წამოუკრავს რისთვისმე და შუბლ გაციებულს ცრემლი აუღლესნია სისხლში; ბევრჯერმინახავს ტყეში ან შარა გზაზე ავაზაკებისაგან მოკლუ-

ლი ჭაბუკი, რომელსაც თეთრსა და ძაღვან მკერდზე ალუბლის ფერი ხაზით ეტყობოდა პირბასრი ხანჯლის კვალი; ბევრჯერ გაუსვენებიათ ჩემს თვალწინ შავ კატაფალკში შებმული შავი ცხენებით მიცვალებული, რომელსაც თურმე სიცოცხლის დასასრული უფერულს საკანში უნახავს, ნაცვლად მდიდრული პალატებისა, სიცოცხლის დასაწყისში რომა სცხოვრობდა, რადგან გამარჯვებული რაყიფი მოეკლა სიყვარულით გონება დახშულს; ბევრი მინახავს სიკვდილი, სიკვდილი უფერული და უშნო, მაგრამ მაინც იმავე ძალით ეუფლებოდა ჩემს ხსოვნას ეს უაზრო და უცნაური თქმა... ყოველთვის, როცა დავინახავდი ახოვანსა და სახენათელ ვაჟკაცს, როცა ყვითელი ხავერდის ქულაჯაში გამონწყობილი და ბრინჯაოს ფერი სახის ახალგაზრდა გაივლიდა ჩემს ახლო, მოსხლეტილი ნელზე ნახევარ მთვარესავით მოხრილი და ოქროს სევადიანი ხმლით, ან ხორსნის ხანჯლით. ყოველთვის მომაგონებოდა რაინდი, რომელიც იშვა შუბლ გატეხილი და რომელიც მოჰკვდა გულში ჭრილობისაგან.

და მიკვირდა...

რა კავშირი აქვს ნეტავი, თუნდაც აი იმ მოყმეს, დღეს რომ ლურჯა ჩააქროლა ჩემი სარკმელის წინ, ვილაცა რაინდთან შუბლ გატეხილი რომ დაბადებულა...

ან იქნებ უნებური მოწონებით იმიტომ დაენათესავა ჩემს გონებას მოკლე ამბავი რაინდისა, რომ მე თვითონ მაჩნია მაღალსა და ამას შუბლზე კვალი ჩემი ყრმული სიცვლქისა, როცა მნიფე ალუჩის მოსაწყვეტათ განვდილმა ხელმა დამძლია და წვეტიანი ქვა განვბანე უცოდველი სხეულის სისხლში?

ეჰ, კარგი იყო სიყმანვილე!..

არა და არა, თუმცა შუბლ გატეხილი ვარ, მაგრამ მე ხომ დაბადებით არ დამყოლია ეს ჭდე, როგორც ჩემი ხსოვნის გმირს?

თუმცა დიდის წადილითა მნადს საშუალო საუკუნეთა რაინდობა, მაგრამ არასოდეს არ მინატრნია სიკვდილი.

ცივი რკინისაგან, არასოდეს მომისურვილებია ტრფობისა და ვნების სასახლეს, — ჩემს გულს, შეჰრეოდა ცივი ფოლადი...

მე მიყვარს, როცა თვალის მომჭრელი ელვარებითა ჰკაშკაშებს მზის სხივზე ოქროს ტარში ჩასმული პირი, მე მიყვარს მისი სისინი, როცა მაგარი მკლავით სასიკვდილოდ ჩაეკონება შიშით ფერმკრთალ მსხვერპლს, მე მიყვარს ჟრუანტელის მომგვრელი მისი სიბასრე, მე მიყვარს ქარქამ მოცილებული იარაღის გულადობა — მაგრამ მეშინიან მისი სიმკაცრისა და მაფრთხობს მისი სიტყვლე, ურცხვი და ბედიით.

არა, თუმცა შუბლ გატეხილი ვარ მეცა, მაგრამ არა მსურს სიკვდილი ჭრილობიანი გულის! მე მირჩევნია ქარის ქროლვით ატაცებული იალქონი ჩემი ნავიც იმავე ქარის სიმძაფრით დაიფხრინოს, აქაფებულმა ტალღამ მოიტაცოს ჩემი სხეული და ფრთხილად გადასცეს ზღვის ძირს მრავალნაირი, ლამაზი და ულამაზო თევზების საკვებად...

არა, მე არ ვიცი, რა მიზეზმა გამოიწვია, რომ ჩემი ბავშვობის დროდგან ხსოვნაში ჩამრჩა ერთი თქმა: „და იშვა რაინდი შუბლ გატეხილი, და მოჰკვდა რაინდი ჭრილობით გულში“...

არ ვიცი, და ასეთის უცოდინარობით ვალოლიავებდი საკვირველ ფრაზას მრავალ დღეთა განმავლობაში. თანდათანობით ჩემ საყვარელ აზრად გარდაიქმნა იგი, და ჩემი მდიდარი ოცნების უთვალავი ფერებით ვამშვენიერებდი, ვალამაზებდი და ვაუკეთესებდი. მარტივი და უბრალო, როგორც სილამაზე, ჩემის წყალობით შეიკაზმა ძვირფასეულობით, და ჩემს წარმოდგენაში უხილველი და უცნობი რაინდი ჰბუმბეროზობდა მთელი მსოფლიოს სილამაზით. მე ვფიქრობდი, რომ გულადობითა და უშიშარობით შეპყრობილი მისი გული აღსავსე უნდა ყოფილიყო უკეთილშობილესი განცდით; მე ვფიქრობდი, რომ სიმშვენიერე და თვალწარმტაცი უბადლობა მისი აღნაგისა თანდაყოლილი უნდა ყოფილიყო გრძნობის

ზეციერი სინრფელით, და თუ ალობდა დანურული რქანითელივით მისი ბაგე, და თუ ჰტკბილობდა ბუდეშურივით მზერა იმის თვალთა, თუ ვარდის ფერი დაჰკრავდა ხავერდოვან სხეულს თუ სიზმრისებური სიკეკლუცე, მხოლოდ იმიტომ, რომ ზღაპრული ხემნიფის ზღაპრული სასახლის ბაღრის ყვავილთა სიცოცხლით გაფურჩქნილი გული რკინის მკერდს ქვეშ...

დიალ, უცნობი რაინდის მოკლე და უცნაური ამბავი მე ავზარდე დაუსრულებელს ისტორიათ, და ჩემი ფანტაზიის საუკეთესო ტანსაბურველი მივართვი ძღვნად, და ტახტად — ჩემი გული, სხვა თვალთაგან დაფარული, თავადური კეთილშობილებით.

უნაზესი ალერსით და უსამზღვრო სიფრთხილით შევინახავდი ჩემი შემოქმედების საიდუმლოებას, და არავისათვის მითქვამს, არსად გამომიმუღავებია, რომ სადღაც, ოდესღაც სცხოვრობდა რაინდი ნაკვთად ლომი და პირბადრი, როგორც ტარიელი, როგორც რამინი. ან რათ ვიტყოდ?

განა ცოტაა ქურდბაცაცა, და ხელმრუდე?

რომ განეცარცვა ჩემი საგანძური?

და მართლაც არსად მითქვამს, გარნა ერთხელ რომელიღაც სპარსულს სასადილოში, ქართული ღვინით დამთვრალმა, ნების წინააღმდეგი ხმინად გავიშეთრე ჩემს ხსოვნაში ჩახლართული, ჩემი საყვარელი თქმა. მაგრამ უყურადღებო დარჩა, რადგან ჩემზე უფრო მთვრალნი იყო ჩემი ამქარი... .. ამის შემდეგ ძალიან დიდმა და გრძელმა ხანმა განვლო.

მე უკვე ვერცხლი ამერია გიშერში, და აღარც ის ხალისი მაქვს, როგორც მაშინა მქონდა...

ბევრი რამ ვიხილე, ბევრი რამ განვიცადე, ბევრი რამ ვიახლე და ბევრი რამ ვიშორე.

ვინ არა ყოფილა ჩემი მეგობარი. ვის არა ჰღირსებია ჩემი ალერსი და ჩემი კოცნა, მხურვალე და მწველი? მაგრამ ყოველთვის ორი მსოფლიო მქონდა. ყოველთვის ხარკს ვაძლევდი ჩემს ოცნებას ცალკე, და ჩემს სიჭაბუკეს ცალკე.

ვერასოდეს დავაახლოვე ერთი მეორეს!..

და აი, ეხლა, ჩემს წინ შენა დგეხარ, ოცი წლის ჭაბუკი, რომელმაც მხოლოდ ოცჯერ განიცადე სიმშვენიერე ახალგაზრდობისა. ჩემს წინ შენა დგეხარ ახოვანი და ტანადი, როგორც კვიპაროსი. ჩემს წინ შენა დგეხარ შეუდარებელი, უცილო და ნათელი, როგორც ჭეშმარიტება, როგორც დღის კრთომა სპეტაკი თოვლით დაფენილს ნალკოტში, როგორც მიცვალებული მეფის ასულის ბაგეზე ღიმილად დამკვდარი სიამოვნება... ჩემს წინ შენა დგეხარ, გეყურება, ჭაბუკო, შენა დგეხარ, რომლის სიცილი, მსგავსია ნარგიზის სიცილისა, რომლის ლხენა, თავაშვებული სიოს ქროლვითა და შემოდგომის სიმდიდრით ევლება მაყურებელს თავს...

აბა, მითხარი რა გნადს?

– ტილოზე გადავიტანო შენი სხეულის სიმშვენიერე, რომ ძალგედენ დასტკბე შენივე სრულყოფით?

კარგი.

აბა, გაიძრე სამოსი, საჩინო ჰყავი სიტყვლე შენი ხორცისა. დადექი, ხალიჩებით მორთული ჩემი ოთახის აი იმ კუთხეში, სადაც მარაოსავით გაუშლია ფოთოლი პალმას, ხუჭუჭა თმაზე შემოიგრკალე მაგნოლია გვირგვინათ, და წითელი შვინდის მშვილდი მოჭიდე შვინდისავე ისრის გასატყორცნათ...

აი ასე, საუცხოოა!

შენ შეუდარებელი სიუყეტი ხარ კუპიდონისათვის, რომელიც აფროდიტას შეჰყვარებია. შენი სხეული თეთრია, როგორც თეთრი ქარვა, და უფრო თეთრი, ვიდრე სითეთრე სპილოს ძვლისა. შენი გადაშლილი მკერდი ისეთი სიძლიერითა ჰფეთქს, როგორც ვეზუვი; და ატლანტიის ოკეანის ტალღაზე უფრო მუქია ფერი შენი თვალთა სიღრმისა...

აბა, დავინყოთ... აი ასე, საუცხოოა!

მე ვიცი, ალბათ, ყოველ ღამე გენვევა ხოლმე საიქიოს სიმსუბუქით ფერია, რომელსაც ნეტარების ფერია ეწოდება, და რომელსაც წამოსხმული აქვს საბურველი წმინდა ქსოვილისაგან და შემკული სიზმრის ყვავილებით. მე ვიცი, ალბათ, ყოველ ღამე დაეუფლება შენს სურვილს განცხრომა მპყრობელის მბრძანებლობით, და მაშინ ბრონეულისებური შენი ბაგე ინამება ვნების წინკლებით, და ავ-ხორცობა ეტმასნება შენს სიყმანვილეს. მთვარეული ქვის სიმკრთალე მოუტაცნია შენს თითებს, სირაქლემას ფრთების მსგავსად იშლება შენი კულული. როგორც მთის ჩანჩქერი, ისე მრავალხმიანია შენი კისკისი, და უძლველოა გარშემოჭრტყმია შენი სხეულის ხავერდოვანს ნაკვეთებს, როგორც თეთრი მიტკლის სუდარა მიცვალებულს. შენ საუცხოო სიუყუტი ხარ რაინდისათვის, მაგრამ მოიცადე!..

შენს მარმარილოსებურს შუბლს რათ დასჩნევია პირისფერი მუქი ზოლით ჩემთვის უცნობი ჭდე?! დაბადებითვე ასე დაგყოლია?

კარგი...

მაშ, იცი, მე დიდებული ხელოვანი ვარ. ჩემი ნიჭი იუპიტერის ნიჭსა სჩრდილავს, და ჩემს ყალამს ძალუძს აჰსახოს უხილაობის მრავალფეროვანება: ჩემი მზგავსი ხელოვანი არ უნახავს დედამინას, და ჩემგან ტილოზე გადაღებულს მახინჯ სახესაც კი მილოსელი ვენერას კმაყოფილებით უცხოვრნია დიდხანს: უცილოდ მე დიდი ხელოვანი ვარ, და აი, მე მწადს ტურფა და უზადო შენი სხეულისა და პირის ანარეკლი გადავიღო საკუთარი ოცნების ფერებით, საკუთარი გულით ქარვაზე, ნუ გაიოცებ! ამისთანა პორტრეტი მე უკვე შევქმენი, მაგრამ მე მინდა, შენ პირველი იყო, რომელსაც გამოვაქვეყნებ უგუნურთა და გონიერთა სამზერად... შენი გამონაკვეთული ტანი, ბევრით უფრო კარგია, ვიდრე პოსეიდონის ზღვის ქაფისებური სხეული; შენი გულმკერდი ბევრით უფრო კარგია, ვიდრე ჰერკულესისა, და იცი, რაც უფრო დიდხანს გიმზერ, მით უფრო მომწონხარ... მგონი, შეგიყვარე კიდეც... შენ უფრო კარგი ხარ, ვიდრე ჩემი ხსოვნის რაინდი, რომელიც შუბლგატეხილი დაიბადა და მოჰკვდა ჭრილობისაგან...

საკვირველია!.. ჰო. ჩემს მზეს გეფიცები, შენ უფრო მიყვარხარ, ვიდრე ის შორს მყოფი რაინდი.

მაგრამ არა, მოითმინეთ: თუ შენს გულს უშიშარსა და შეუდრეკელს უკეთილშობილესი განცდა ეუფლება; თუ ჩემგან მოწონებული, შენი სილამაზე დამარცხებულია შენი სულის სილამაზისგან; თუ სუსტია შენი სხეული, მე რომ დამიმონავა, შენი გულის სიძლიერესთან, მაშინ გადავივინყებ ჩემს რაინდს და ხელით უქნარი, ძვირფასი, ტილო ჩემი საჩუქრისა სამოთხის სიმშვენიერით მხოლოდ შენს სხეულს გადაიღებს... აბა, ჩამოდი პედესტალიდან, რბილს ხალიჩაზე, მომიახლოვდი და მომიშვირე შენი მკერდი, რომელიც საამურია თეთრი ხავერდით...

ნუ შეგაშინებს ავაზაკისებური დიდი დანა, მე რომ მიჭირავს ხელში. მე ისე ფრთხილად შეგეხები, ისე უმტკივნეულოდ გავაპობ ერთს ნუთს შენს გულს, რომ ვერც კი გაიგებ, განა ძნელი რომ ყოფილიყო ჭრილობა, კლეოპატრა გაჰბედავდა გულის ალერსს, ან საშიში რომ ყოფილიყო სისხლის დენა მაცხოვარი დაჰყაბულდებოდა ჯვარცმას? არა — სულ ადვილია, უფრო ადვილი, ვიდრე ამბორი, და მით უმეტეს ისეთი დიდი ხელოვნისაგან, როგორც მე ვარ...

ი, ასე, მომიახლოვდი, საუცხოვოა! მე დარწმუნებული ვარ, თეთრი გვირილის მკერდს, სადაც ვარდის კოკორივით, — ჭალარა და ნორჩი კოკორივით, — გამონასკულა ძუძუ, ისე მოუხდება ჭრილობა, როგორც თლილი ქვის მზგავსს შენ შუბლს დაბადებით თან დაყოლილი ჭდე... ჩემი ხსოვნის რაინდიც ასეთი იყო! შენ ნუ სწუხარ, მე ხელი იმიტომ მითრთის, რომ ვლელავ, ვიდრე ვიხილავდე შენი გულის სიმშვენიერეს... აბა, დავინყოთ... ერთი, ორი, სამი... — ტსსს, ითქრიალა სისხლმა. საუცხოვოა.

როგორც რთველში წითელი ყურძნისაგან წითლად შეღებილი ნავის კიდე, ისე აწითლდა ჩემი დანის ტარი და ცეცხლის სითბოთი დამიარა მჩქეფარე სისხლმა მთელს სხეულში. როგორც ძირში გადაჭრილი ჩინარი, ისე შეირხა აყრილი შენი ტანი და მთელი სიმძიმით დაეცა სპარსულ ხალიჩაზე... ადექი, ჩქარა ადექი, თორემ დალაქავდება ჩემი საყვარელი ხალიჩა; ადექი, თორემ დარჩება კვალი ჩვენი საიდუმლოსი... შენ არა გნადს ადგომა? — მაშ, კარგი. იწექი. მაგრამ მე ვერაფერსა ვხედავ შენს გაპობილს მკერდში. გარდა სიბნელისა, და საზარელი ოშნივარი ანუხებს ჩემს ყნოსვას.. ნუ თუ მომატყუა გრძნობამ, ნუ თუ მიღალატა გონებამ, ნუ თუ შევცდი ფიქრში და სისულელე იყო ჩემი ოცნება?! სად არის მარჯნისებური სინითლე შენი გულისა. სად არის მონეულთა და ვარდის ფერი ქარვის სიმშვენიერით შემკული შენი გრძნობა, სად არის, მითხარი, სად არის, მთელი სილამაზე შენი სულისა?.. — მე ვერაფერსა ვხედავ გარდა შავ ნარევი სისხლისა. და უფსკრულის საშინელებით დაუღია პირი ჭრილობას შენს მკერდზე... — რაო, რა გინდა? — გიშველო! აბა, როგორ გიშველო, როცა მე თვითონ უმწეო ვარ. — რაო, ჰკვდები?!

მოჰკვდი. მოჰკვდი რადგან, რაღაცა მოჰკვდა ჩემშიაც. მე არ ვიცი. ამიერიდან რწმენა საკუთარი სურვილისა, მე არ ვიცი ამიერიდან ოცნება მძლავრი და ლაღი, როგორც თავისუფლება, მე არ ვიცი სიტკბო სილამაზისა, მე არ ვიცი არაფერი, არცა მსურს ვიცოდე... მე, დიდი ხელოვანი ვარ, განებივრებული და ძლევამოსილი ქურუმი განმარტოებული ტაძრისა, რომელსაც ყოველდღე და ყოველ წელიწადს ეახლება ათასი და ათიათასი მლოცველი, მე რომელიც ვწინასწარმეტყველობდი ხსნისა და წარღვნის ნუთებს, მოვტყუვდი, შევცდი და კაცის მკვლეელი გავჰხდი. დიაღ, კაცის მკვლეელი, რადგან აი, ეხლა, ჩემს წინ შენა გდისარ ოცი წლის ჭაბუკი, რომელმაც ახალგაზრდობის ოცდამეერთე განცდაზე იგემა სიბასრე გონება შეშლილი ბებრის დიდი დანისა. ჩემს წინ გდისარ ახოვანი და ტანადი, როგორც ალვა, როგორც კვიპაროზი. ჩემს წინ შენა გდისარ შეუდარებელი, უცილო და ნათელი, როგორც ჭეშმარიტება, მაგრამ ცივი ხარ, როგორც დეკემბრის ღამე და მდუმარე, როგორც უპატრონო სასახლე. ველარავინ იხილავს შენს სხეულის სილამაზეს, ველარავინ დასტკბება შენი სურნელებით, — მუშკისა, ამბარის, ნარდისა და ვარდისწყლისებური სურნელებით, — ველარავინ ისიამოვნებს შენი შორეული ამბორით და ახალგაზრდა ვაჟკაცის სურვილი დაშორებული მანძილის გადალახვით ველარ შემოგვევლება თავს როგორც ნოეს მტრედი... მიყურე, მე ვსტირი, მე სახეს ვიხოკ, მე მოვთქვამ, მე ვგლოვობ, მე ცრემლს ვაფრქვევ, — რადგან ბებერი ვარ, გონებაშეშლილი და კაცის მკვლეელი.

დათა აგლაძე

ყვითელი ფურცლები

2. მკვლელობა

სოფელ ვარდისუბანში მკვლელობა მოჰხდა. მთელი სოფელი შეშფოთებული იყო. ყოველ-დღე, სამუშაოს გათავების შემდეგ, გლეხკაცები ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდნენ, ბჭობდნენ და საშინელი მკვლელობის ამბავს მრავალჯერ ერთმანეთს უმეორებდნენ. თუ რომელიმე მათგანს შემთხვევით იმ სახლის გვერდით მოუხდებოდა გავლა, სადაც მკვლელობა მოჰხდა, ფეხს აუჩქარებდა და თავ-ჩაღუნული გაივლიდა, რომ ცნობის მოყვარეობას არ დაეძლია და უცაბედად არ მიეხედნა იქითკენ, სადაც ადამიანის სისხლი დაიღვარა და ცოდვა დატრიალდა. მკვლელობა, როგორც იმ დროინდელი პოლიციული ქრონიკა გად-

მოგვცემდა, რომანტიული ხასიათისა იყო: სოფლის ერთს დედაკაცს, რომელსაც ლამაზი ქალის სახელი ჰქონდა დავარდნილი, ღამე მეზობელი შეუვარდა, გაუპატიურება უნდოდა. დედაკაცმა ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა, შეურაცმყოფელს გაუძლიანდა, ლოგინიდან უცაბედად გამოღებული ქმრის დანით მოჰკლა და მერე სოფელი შეჰყარა საშველად. ამ ოჯახს კარგად ვიცნობდი. ქმარი მუყაითი, მხნე და პატიოსანი კაცი იყო, ღარიბი ოჯახისშვილი, — მაგრამ ცოლ-შვილს მაინც კარგად ინახავდა. მათს მშვიდობიანსა და მყუდრო ცხოვრებას არაფერი არღვევდა. უბედურება მოულოდნელად და მეხვიით დაატყდათ თავსა. პირველი შთაბეჭდილების საშინელმა ნუთებმა რომ გაიარა, ჩემთან ჩამოვიდნენ და შველა მთხოვეს. ვუშველე. ნაცნობმა ვექილმა უსასყიდლოდ იკისრა საქმის წარმოება სასამართლოში, სადაც წინდანინვე ყველაფერი მომზადებული, — პატიოსნებისთვის თავ-დადებული დედაკაცის გასამართლებად. სასამართლომ მკვლელი გაამართლა, და ოჯახიც ჩვეულებრივ შრომას შეუდგა.

მაგრამ გარეგნულად მყუდრო ცხოვრებას მკვლელობის შემდეგ საშინელი დალი დააჩნდა. სოფელმა ოჯახი აითვალნუნა. დედაკაცები ადამიანის მკვლელს აღარ ჰმეზობლობდნენ, გაურბოდნენ და განაპირებული ჰყავდათ. თვით მკვლელიც ერთავად თავ-ჩაღუნული, თავშალ აკრული და დაღონებული ლანდივით დაიპარებოდა სოფლის ორღობეებში. თანდათან გახდა, ჩვეულებრივი ნითური ფერი დაეკარგა. შენუხებულმა ქმარმა შემომჩივლა: თვალ-ცრემლიანი თავის გაჭირვებას მიამბობდა და დახმარებას მთხოვდა.

ჩემთან მოჯამაგირედ გადმოვიყვანე. ქვეითა სართულში ოთახი მივეცი, ვურჩიე დროებით თავისი უბნისთვის მოჰშორებოდა და ცოლ-შვილით ჩემთან დასახლებულიყო. მარტოხელა კაცი ვიყავი და მუყაითი ოჯახის ჩამოსახლება ჩემი მეურნეობისთვისაც სასარგებლო იყო. ერთი წელიწადი იცხოვრეს ჩემთან. ერთი წლის შემდეგ კი ისევ თავის უბანში გადასახლდნენ. სოფელმა თანდათან მკვლელობა დაივიწყა და ათვალისწინებულ ოჯახსაც შეურიგდა. მკვლელი კი მაინც დაღონებული დადიოდა. „სისხლი ანუხებსო“, ამბობდნენ სოფლის დედაკაცები.

დრო გამოშვებით დედაკაცი ჩემთან ჩამოდიოდა. იმ თანაგრძნობისთვის, რომელიც უბედურობის დროს აღმოვუჩინე, რძესა, კვერცხებსა და კარაქს მიზიდავდა. ჩუმად ამოვიდოდა კიბეზე, უსიტყვოდ აივნის მოაჯირზე ძღვენს დასდებდა და ისევ ჩუმად გაბრუნდებოდა. რამდენჯერმე დალაპარაკება ვცადე, მაგრამ პასუხი არ გამცა. ერთხელ, საღამო ჟამს, ჩვეულებისამებრ, აივანზე ვიჯექი და ჩამამავალი მზის სხივებით ლამაზად აფერადებულ გადაჭიმულ მინდორს გადავცქეროდი. ყვითლად აბიბინებულ ყანებს გვერდით მწვანედ გადაჭიმული სიმინდი მისდევდა, შუაში აქა-იქ ანეულად გადახნული მინდვრები შავად იჭრებოდა და შორიდან ყველაფერი ეს, ჩამამავალი მზის სხივებში, მშვენივრად მოქარგულ ხალიჩად მოსჩანდა.

ბუნების ამ საუცხოვო სანახაობით ისე ვიყავი გატაცებული, რომ ვერც კი შევამჩნიე დედაკაცი როგორ ამოვიდა და ჩვეულებისამებრ აივნის მოაჯირზე ჯამით კარაქი როგორ დასდგა. კიბეზე რომ ჩამოდიოდა, მხოლოდ მაშინ დავინახე. ერთხელ შემომხედა და მიიმალა.

უცბად თავში რაღაც უცნაურმა აზრმა გამიბრინა. არის შეხედვა, რომელსაც შეუძლიან თქვენი აზრთა მიმდინარეობა ძირიან-ფესვიანად შეარყიოს და სრულიად ახალი მიმართულება მისცეს. არის შეხედვა, რომელიც ერთბაშად, მოულოდნელად სრულიად სხვანაირ არსებად დაგანახვებთ იმას, ვისაც ეს შეხედვა ეკუთვნის. რაღაც იდუმალი დაფებით ადამიანის სულის მოძრაობა მხოლოდ ერთის შეხედვით ახალ გამოხმაურებასა ჰპოულობს თქვენს სულში და ის, რაც თქვენთვის ამ შეხედვამდე დაფარული და შეუცნობელი იყო, გასაგები და თვალსაჩინო ჰხდება. დედაკაცში დავინახე რაღაც, რასაც დღემდის ვერა ვხედავდი. გულის სიღრმეში იგი რაღაც საიდუმლოს ატარებდა, საიდუმლოს,

რომელიც იმის მეტმა არავინ იცოდა, და რომელიც მის ლამაზს დიდს შავს თვალებს ღრმა მწუხარების გამომეტყველებას აძლევდა.

ერთს კვირა დღეს დედაკაცმა ისევ ჩამომიტანა ძღვენი. ეხლა მეტის ცნობის მოყვარეობით გადავავლე თვალი, როდესაც კიბეზე ამოვიდა. შემომხვდა, განითლდა, თავი ჩალუნა და ხმა ამოუღებელივ გაბრუნდა. მას შემდეგ აღარ ჩამოსულა: ძღვენი ეხლა ქმარს მოჰქონდა.

ამ გარემოებამ ცნობის მოყვარეობა უფრო გამიძლიერა. დედაკაცის უკანასკნელი შეხედვა აჩრდილივით დამდეგდა და მოსვენებას არ მაძლევდა. მის გულში საიდუმლო იყო დაფარული, დიდი საიდუმლო და მინდოდა ეს საიდუმლო გამეგო. დიდხანს ვებრძოდი ჩემს თავს, მაგრამ ბოლოს ცნობის მოყვარეობამ მძლია, და მეც მეზობელ სოფლისკენ გავემართე. საზაფხულო პალტო მკლავზე მქონდა გადადებული და ჩალის ქუდით სახეს ვიგრილებდი. სოფელში რომ შევედი, აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფათ შეგროვილმა გლეხკაცებმა ცნობის მოყვარეობით თვალიერება დამიწყეს. გვერდზე რომ გავუვლიდი, დაჩუმდებოდნენ და თვალს გამომაყოლებდნენ ხოლმე. ზოგი მათგანი სალამს მაძლევდა. მეც სალამითვე ვუპასუხებდი.

სახლს რომ მიუახლოვდი, ძალმა ყეფვა დაიწყო. დედაკაცმა ოთახიდან გამოიხედა და მე რომ დამინახა, საჩქაროთ გამომეგება. პატარა ერთსართულიანი სახლი სუფთად იყო დალაგებული. ბუხრის თავზე „ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება იყო გაკრული. კედელსა და კედელს შუა დიდი ტახტი იდგა; მეორე მხარეს კი, ტახტის პირდაპირ, ლურჯ სუფრა გადაფარებული მაგიდა. მიწური იატაკი დიასახლისის ის იყო მოერწყო და დაეგავა. დიასახლისმა ოთახში შემეპატიჟა და საჩქაროდ იქაურობა მიაღაგ-მოაღაგა.

— ხომ არ გიკვირს, ასეთს დროს რომ ამოვედი? კარგი სალამო დადგა და გამოსიერება მომიწდა. დიდი ხანია აქეთკენ არა ვყოფილვარ; ვიფიქრე, ჰაერსაც ჩავყლაპავ და ნათლიდედასაც ვნახავ მეთქი, — ვუთხარი დედაკაცს, როდესაც მაგიდის გვერდით სკამზე ჩამოვჯექი.

— რატომაც არა! იშვიათი სტუმარი ბრძანდებით. წინათ უფრო ხშირად მობრძანდებოდით.

— წინათ ახალგაზრდა ვიყავი, გული მერჩოდა.

— არც ეხლა ბრძანდებით მოხუცებული! — მიპასუხა დედაკაცმა და მორცხვად თავი ჩალუნა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ვფიქრობდი, როგორ ჩამომეგდო საუბარი იმ საგანზე, რომლისთვისაც აქ მოვედი, რანაირი სიტყვები გამომეძებნა, რომ დედაკაცი არ შეშინებულიყო და ჩემი განზრახვისთვის ეჭვის თვალით არ შეეხედა.

— ეხლაც საეჭვოა აქეთ წამოვსულიყავი, შენთან მცირეოდენი რამ საქმე რომ არა მქონოდა, — პატარა პაუზის შემდეგ ვუთხარი დედაკაცს და თვალებში ჩავაცქერდი.

დედაკაცს გაკვირვება აღებეჭდა სახეზე, სკამი უფრო ახლო მოიდგა და მუხლებზე იდაყვ-დაყრდნობილმა ცქერა დამიწყო.

— ჩემო ნათლი-დედ! — დავიწყე ბოლოს და შევეცადე ხმისთვის აღერსიანი კილო მიმეცა. — ხომ გახსოვს, რანაირი დახმარება აღმოგიჩინე იმ საშინელი უბედურობის დროს! ნათესავი არ ვიყავი, დავალება არაფერი მქონდა. შენცა და შენი ქმარიც კარგი ადამიანები ხართ, კარგი ოჯახისშვილები, პატიოსან შრომას ეწევი და ნაამაგარ ლუკმასა სჭამთ, ამიტომა გცემთ პატივსა, ამიტომ დაგეხმარეთ. ხომ მართალს ვამბობ??

— მართალია, ბატონო! — ნაილულულა ქალმა და ვიგრძენი ყელში მომჯდარი ნერწყვი როგორ გადაჰყლაპა. თავისი შავი დიდი თვალებით, რომლებიც გადაფითრებულ სახეზე უფრო შავად მოსჩანდნენ, ცნობის მოყვარეობით შემომცქეროდა და ცდილობდა აღეღვება დაემალა.

— ამიტომ მუდამ ჟამს შენი ოჯახის მეგობრად უნდა მიგულებდე. ხომ დაგიმტკიცეთ მეგობრობა? — ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია და შუბლზე ხელი გადაისვა. ხელი უკანკალებდა.

— თუ მეგობარი ვარ, მართალი უნდა მითხრა? — მოკლედ მოვჭერი სიტყვა და ჩავაცქერდი.

ქალი გადაფითრდა, აკანკალდა და თვალებში ცრემლი მოერია.

— რაზე მეკითხებით?

— რათ მოჰკალი?

ქალი წამოდგა, შეტორტმანდა, შეშინებული გაგანიერებული თვალები შემომანათა, მერე უმწეოდ ისევ სკამზე დაეშვა და ორივე ხელი სახეზე მიიფარა.

— თუ არ მენდობი, ნუ მეტყვი! — ალერსიანად ვუთხარი, წამოვდექი და ქუდს ხელი წავავლე.

— არა, არა! — ქვითინით წამოიძახა ერთბაშად დედაკაცმა. — დავიტანჯე, მეტის ატანა აღარ შემიძლიან. ყველაფერს გეტყვით, ყველაფერსა! იქნება მაშინ მაინც დაწყნარდეს და დამშვიდდეს ეს წყეული გული! თქვენს მეტს არავის ვენდობი! განათლებული ადამიანი ხართ, არ დამძრახავთ, არ გამცემთ, ოჯახს არ დამილუპავთ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიუბნებოდა დედაკაცი და კაბის ბოლოთი ცრემლებს ინმენდავდა. — იქ ღმერთი იყოს და აქ თქვენ ჩემი მსაჯული. — დაუმატა ცოტა ხნის შემდეგ დედაკაცმა.

* * *

„ოთხი წლის მოსული ვიყავი ამ ოჯახში, — დაიწყო თავისი ამბავი დედაკაცმა, — ის ბიჭი რომ სოფელში მოვიდა. ჯარისკაცად იყო წასული და არ მენახა. იმ უბედურის დედაკი ხშირად გადმოდიოდა და თვალცრემლიანი შვილს იგონებდა. დაბრუნდა თუ არა, მხნე მუშაობას შეუდგა. ჯარში ყოფნის დროს მამა მოუკვდა და სახლ-კარი ქვრივი დედაკაცის ანაბარად იყო დარჩენილი. ის უბედური ქორივით დატრიალდა. ოჯახი ერთბაშად ფეხზე დააყენა. სოფელი ჰხედავდა, როგორა მხნეობდა და მხარს აძლევდა. დინჯი, ჭკვიანი, ჩაფიქრებული ბიჭი იყო. საცოლოდ შეღერებულ ყმანვილს ბევრი ჰმაჭანკლობდა, მაგრამ ცოლის შერთვაზე დიდს უარს იყო. ერთხელ წყლის მოსატანად წყაროზე ჩავედი. ის იყო კოკა მხარზე გავიდე, რომ ორღობიდან ის უბედური გადმოხტა და პირდაპირ ჩემკენ გამოექანა. შევეკრთი, მაგრამ სვიმანა რომ დავინახე, დავმშვიდდი. დარცხვენილი, ლოყებ-ალენილი მომიახლოვდა და ჩურჩულით მითხრა:

— პატარა ხანს მოიცადე, ქალო!

— საქმე რამ ხომ არა გაქვს? — შევეკითხე და კოკა მინაზე დავდე.

— საქმე როგორ არა მაქვს, დავდნი კაცი!

— რა დაგემართა? ავათ ხომ არა ხარ?

თვალებში ცეცხლი აენთო. მთლად აცახცახდა.

— ვაჰმე! — კბილის კრაჭუნით წამოიძახა და პასუხის ნაცვლად იფნის სახრე ლოპეს გადაუტყლაშუნა.

ვიგრძენი, ცუდად იყო ატეხილი ის ბიჭი. საჩქაროდ კოკა მხარზე დავიდგი და ალერსიანად ვუთხარი:

— ეხლა მეჩქარება, სვიმანა! მერე გადმოიარე, თუ საქმე რამა გაქვს.

აღარაფერი მითხრა, მწარედ ამოიოხრა და ისევ ლოპეზე გადახტა.

მას შემდეგ კარგა ხანს აღარ დამინახავს. მეზობლები ამბობდნენ, სვიმანა ტყეში გაიქრა ხეებსა სჭრის, გამშავებული მუშაობს და ამბობს, სანამ ოც ხეს არ მოვჭრი, სოფელში არ ჩამოვალ. აღარ მინახავს, მაგრამ იმისი სახე თვალთაგან აღარ მომშორებია. მოგეხსენებათ, სვიმანა კობტა ვაჟკაცი იყო. ლოპეზე ჯვირანივით გადმოეშვა. ახალუხის საკინძე ჩამოხსნილი ჰქონდა, მოხშირებულ სუნთქვას ძლივს იმაგრებდა და თავისი დიდი შავი თვალებით შუბლის ქვეშიდან ისე მორცხვად გამოიყურებოდა, რომ ჯადო ნაკრავივით მთლად ავცახცახდი და თვალები მოვარიდე. სადაც არ უნდა წავსულიყავი, სვიმანას

სახე თან დამდევდა. ვნუხდი, დავინწყებას ვსცდილობდი, მაგრამ ვერას გავხდდი. იმ დროს რომ სადმე შევხვედროდი, ჩვენს შორის უბედურება დატრიალდებოდა. ერთ სალამოს სვიმანას დედამ ჩამოირბინა და მითხრა, ჩემი შვილი ტყიდან დაბრუნდა, საშინლად დაღლილა, მთლად ჩამომხმარა საცოდავი ბიჭო. გულმა ცემა დამიწყო. თავი მოვარიდე და თახჩაში წურჭელს დავუწყე დალაგება.

— ყოჩალი ბიჭი გყავს სვიმანა! — ძლივს მოვახერხე სიტყვის ამოღება, — რატომ ცოლს არა ჰრთავ?

— უი, შენს გახარებასა, მაგ ბედნიერებას რომ ველირსო, მეტი რალა მინდა! არა სჩადის! იმ დღეს სიტყვა ჩამოვუგდე, და ისე შემომიტია, ისე გადმომიბრიალა თვალები, ველარაფერი გავუბედე?

— კარგი კი იქნება ცოლი შეირთოს! — ვუთხარი დედა-კაცს და თახჩას მოვცილდი.

— ნეტავი, შენს გახარებასა, შეირთოს, ვინ თავ-მკვდარი დაუშლის! — მწარედ ამოიოხრა მოხუცმა და ჩაფიქრდა. — ალბათ ვინმე თუ უყვარს! — წამოიძახა ერთბაშად დედა-კაცმა და ისე შემომხედა, თითქოს თავისი ეჭვებისა თითონვე ეშინიანო.

ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ყურებში ისეთი ბზუილი დამიწყო, თითქოს თავში კეტი დამარტყესო. იქვე ტახტზე რომ არ ჩამოვმჯდარიყავი, წავიქცეოდი.

— რატომ არ შეირთავს, თუ უყვარს? — ძლივს წავილულულე.

— იქნება ქალს არ უნდა?

— რა დასაჯერებელია! აბა, ერთხელა კიდევა ჰკითხეთ და სცადეთ, გამოგიტყდეთ; რომელი გასათხოვარი გოგო დაინუნებს თქვენს სვიმანასა!

— მეც ეგრე ვფიქრობ, შვილო! — მიპასუხა ნასიამოვნებმა დედამ და საჩქაროდ სახლში დაბრუნდა.

მეორედ პირისპირ სვიმანას ჩვენს ხატობაში შევხვდი. დღეობა იყო. ეკლესიის გალავანში ხალხი ირეოდა. ზოგან ლეკურს თამაშობდნენ, ზოგან ჭიდაობდნენ. დედაკაცები გალავნის პირას სადილს ვამზადებდით. უცბად ერთ ჯგუფში ჩოჩქოლი ატყდა. დედაკაცებმა წივილი დაიწყეს. ჩვენც წამოვიშალენით. კაცები იქითკენ გაქანდნენ. უცბად თვალი მოვკარი, რომ წრე გაირღვა და იქიდან გადაფითრებული სვიმანა გადმოხტა. ვილაც კაცს საყელოთი მოათრევდა და თავისი იფნის სახრით, რომელსაც არასოდეს ხელიდან არ იშორებდა, თავპირს უსისხლიანებდა.

ჩემი ქმარი მაშინათვე სვიმანას მივარდა, თავ-პირ დასისხლიანებული კაცი ხელიდან გამოჰგლიჯა და სვიმანა ჩვენთან მოიყვანა.

— რა დაგემართა, ბიჭო! — სიცილით შეეკითხა ჩემი ქმარი, როდესაც ყველანი დაწყნარდნენ და შეწყვეტილი მხიარულება განახლდა.

— რაც დამემართა, იმან იცის! — წაიბუზლუნა სვიმანამ და დარცხვენით ჩემსკენ გადმოიხედა. — მეორეთ ველარ გაბედავს ბინძურ ლაპარაკსა! იმას რა ეგონა, ჩვარში შემკრავდა თუ რა იყო? ისე დავუმჟავო ის გვერდები, სიკვდილამდის მიქელ-გაბრიელი ელანდებოდეს! ჩვენს დედაკაცებზე რომ ლაპარაკობდა, მამ რა ეგონა!

მივხვდი, რომ ჩხუბის მიზეზი მე ვიყავი, არც მაშინ და არც მერე სვიმანას ამ ჩხუბის შესახებ აღარაფერი უთქვამს, მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვიყავი, რომ სვიმანა ჩემს პატიოსნებასა და ქალურ ღირსებას გამოექომაგა. მინდოდა, ახლო მისვლიყავი და დავლაპარაკებოდი, მაგრამ ადგილიდან ვერ დავიძერი. მხოლოდ ერთხელ შევხედე: ამღვრეული თვალებით ისე ხარბად მიცქეროდა, რომ თვალი ვერ გავუსწორე და საჩქაროდ ჩვენი უბნის მეზობელ დედაკაცებს შევეფარე“.

დედაკაცმა ამოიოხრა და ჩაფიქრდა. გარედან ბავშვების კისკისი მოისმა. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში უფროსი ქალი შემოვარდა, მის უკან მომავალი ბაჯბაჯით პატარა ბიჭი კი ჯერ დარცხვენით კარებში აიტუხა, მერე დედისკენ გაქანდა, თავისი ხუჭუჭა თავი კალთაში ჩაუდო და შორიდან ბღვერა დამიწყო.

— გამარჯობა, ბიჭუკელავ! — ვუთხარი ბავშვს და ხელი გავუწოდე.

— ნადი, შვილო, ხელი ჩამოართვი ნათლიასა! — ალერსით ეუბნებოდა დედა და თან ცხვირსა სწმინდავდა.

— დედა! ძროხა მოიყვანეს! — უთხრა უფროსმა.

— ძლოხა მოიყვანეს! — გაიმეორა პატარამ და თავისი დიდი თვალები დედას შეანათა.

— კარგი, ეხლავე მოვალ! — უპასუხა დედამ და ბავშვები გარეთ გაისტუმრა.

* * *

„იმ საღამოს, როდესაც ის უბედურობა დატრიალდა, — სახლში მარტოკა ვიყავი. ქმარი ტყეში იყო წასული. უფროსი ქალიც მეზობლისას დანვა. მარტო ყოფნა ეშინოდა და მთხოვა, ერთ საღამოს შენი ქალი ჩემთან დარჩესო. სახლში მარტო ის პატარა ბიჭი მყავდა. ბავშვი დავაძინე და ბოსელში შევედი, მინდოდა დაძინებამდე საქონლისთვის მიმეხედნა. ბოსლიდან რომ გამოვბრუნდი, ჩურჩული მომესმა. შევკრთი. კედელთან ავიტუზე ნინ ფეხი ველარ გადავდგი.

— ნუ გეშინიან, მე ვარ, სვიმანა! — აკანკალებული ხმით მეუბნებოდა სვიმანა და მიახლოვდებოდა.

— აქ რას აკეთებ, ბიჭო, რატომ სახლში არა ხარ?

— არა მაქვს სახლი, სადა მაქვს სახლი! მეტი აღარ შემიძლიან, შემიბრაღე, ქალო!

— არ მესმის, რა გინდა ჩემგან! — ნავიბუტბუტე და სახლისკენ გავეშურე.

— მოიცა, ქალო! — ხრინნიანი ხმით მომადახა სვიმანამ და ხელში მწვდა.

ტანის ცახცახი ამიტყდა, მუხლები ამიკანკალდა. ბოსლის კედელს მივეყუდე და თვალებზე ხელები მივიფარე. მაშინ სვიმანამ თავისკენ მიმიზიდა და კოცნა დამიწყო. თვალთ დამიბნელდა. ველარაფერსა ვხედავდი, ველარაფერსა ვგრძნობდი, სვიმანას გაშმაგებულ კოცნის მეტსა.

— შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე! — ქშენით ჩამჩურჩულებდა ყურში და ამ ალერსით თავბრუ დასხმული ველარა ვხედავდი, ტანზე კაბას როგორ მაგლეჯავდა.

— რას შვრები, ბიჭო! — წამოვიძახე ერთბაშად, ჩემი გაღელვლილი გული რომ დავინახე.

— უარს ნუ მეტყვი, მეტი აღარ შემიძლიან, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მეუბნებოდა სვიმანა და ხელიდან არ მიშვებდა.

— ეხლა ნუ, სვიმანავ, ეხლა ნუ! — უმწეოდ ვლულულულებდი და ვცდილობდი თავი გამენთავისუფლებინა.

უცბად სვიმანა მომცილდა. საშინელი სახე ჰქონდა. მწუხარებითა და ტანჯვით ჩემს კარმიდამოს თვალი მიმოავლო და ბოღმა-ნაღველით სავსე ხმით შიგ ყურში ჩამჩურჩულა.

— თავს მოვიკლამ! სადმე კლდეზე გადავიხეჩები, ან ვისმეს წავახრჩობ! მეტი აღარ შემიძლიან!

შემეცოდა. თვალთავან ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამომდიოდა. ნატმირალევი რომ დამინახა, ისევ მომვარდა, გულში ჩამიხუტა და ტურებში კოცნა დამიწყო. ველარ გავუძალიანდი. მის ათრთოლებულ მკერდს მივენდე და მკლავები კისერზე მოვხვიე... ბარბაცით ჩემი ოთახისკენ მივდიოდი და სვიმანაც ფეხ-აკრეფით ათრთოლებული და აღელვებული უკან მომდევდა.

ოთახში შევიყვანე, ლოგინი გავშალე და ლამფა ჩავაქრე...

უცბად კარებში კაკუნი მომესმა. საჩქაროდ წამოვხტი. თავზარ დაცემული კარებს მივაშტერდი და ფანჯრიდან თითქოს ჩემი ქმრის ჩრდილი დავინახე. თვალთ დამიბნელდა. იატაკი შეტორტმანდა. კედლებმა ზანზარი დაიწყეს. კიდეც წუთი და კარები გაიღება. შემოვა ქმარი. თავის ლოგინში სხვა კაცს დაინახავს, ალიაქოთი ატყდება, მეზობლები მოცვივიან, ჩემი ქალიც მოიჭრება, პატარა ბიჭუკელა გაიღვიძებს, სირცხვილი, სასოფ-

ლო სირცხვილი დამატყდება თავსა, შვილი შემომხედავს, ატირდება. დედა ეს ვინ არის აქა, მამა სადღა არის, ჩემი მამა სად არისო, შემომბლავლებს... მიშველეთ, მიშველეთ! — დავიკვივლე საშინელის ხმით.

სვიმანა წამოიჭრა, პერანგის ამარა კარებს მივარდა და სული განაბა. შეშლივივით ბალიშს წამოვავლე ხელი და გულზე მივიფარე. ბალიშს რომ ვილებდი, ლეიბის ქვეშ უცაბედად ქმრის დანას მოვკარი ხელი, მეც არ ვიცი, დანა ხელში როგორ მოჭხვდა. ეს კი მახსოვს სვიმანასკენ გავექანე.

— რას შვრები, დედაკაცო! — დაიყვირა სვიმანამ და ხელში მწვდა. საჩქაროდ გამოვუსხლტდი, დანა მოვუქნიე და გულში დავარტყი.

თბილი სისხლი სახეში მეცა... მეტი არაფერი მიგრძვინია. რას ვშვრებოდი, რას ვაკეთებდი ამის შემდეგ, აღარ ვიცი.

გონს რომ მოვედი, ჩემს წინ სისხლში ამოსვრილი სვიმანა ეგდო. თვრამეტი ჭრილობა აღმოაჩნდა. ეზოში მთელი სოფელი მოგროვილიყო. ერთ დედაკაცს ჯამით წყალი დაეჭირა და სვიმანას სისხლით მოთხუპნულ პირისახეს ბანდა. ოთახში ბული იდგა. ვილაცამ მკლავში ხელი წამავლო და მოსასულიერებლად ჰაერზე გამიყვანა. აივანზე რომ გავედით, კარებთან ჩამოკიდებულ ფინალს ნიავმა დაჰკრა, გააქანა და კარებს დააჯახა. ფინალმა დააკაკუნა“...

დედაკაცს კიდევ რალაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ველარ მოასწრო.

კარები გაიღო და ოთახში აღელვებული და გახარებული ბავშვები შემოცვივდნენ.

— დედა! ჩვენმა ძროხამ ხბო მოიგო! — დაიძახა უფროსმა და ოთახში ხტუნაობა დაიწყო.

— ჩვენმა ძლოხამ ხბო მოიგო! — იმეორებდა უმცროსი და ისიც ბზრიალასავით პრონიალობდა.

დედამ ხელი წამოავლო პატარას, გულში ჩაიხუტა, კოცნა დაუნყო და თვალთაგან გადმონადენი ცრემლები ბავშვის პერანგით მოიწმინდა...

გარდელი

ბერთუბნის სატრაპეზოს ფრესკები

ქართული საეკლესიო მხატვრობის შესწავლისათვის ძვირფას მასალას წარმოადგენს სატრაპეზოების კედლის მხატვრობა, რომლის საუკეთესო ნიმუშები დაცულია დავით გარეჯის და ბერთუბნის მონასტრებში.

სატრაპეზოების მხატვრობის წარმოშობა და იკონოგრაფიული შემადგენლობა ადვილად აიხსნება, თუ მხედველობაში მივიღებთ სატრაპეზოს დანიშნულებას მონასტრის ცხოვრებაში. დავით გარეჯის და მის მახლობლად მდებარე მონასტრების სატრაპეზოების მხატვრობის იკონოგრაფიული შემადგენლობა ერთი და იგივეა, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამგვარ შენობისათვის ქართულმა საეკლესიო მხატვრობამ შეიმუშავა გარკვეული სქემა და იკონოგრაფია. ამ მხრით საინტერესოა, რომ საღმრთო წერილიდან საგანგებოდ არჩეულია ისეთი სიუჟეტები, რომელნიც პურის ჭამას ეხება.

თვით სატრაპეზოთა არქიტექტურული მოყვანილობა და ფორმები საინტერესოა ქართული ხუროთ-მოძღვრების მკვლევარისათვის და მოითხოვს ცალკე მონოგრაფიულ შესწავლას.

საყურადღებოა, რომ ამ მხრით ბერთუბნის და დავით გარეჯის სატრაპეზოები ეკუთვნის ერთსა და იმავე ტიპს, რომელიც არსებითად განსხვავდება სხვა ქართულ სატრაპეზოებისაგან.

ბერთუბნის სატრაპეზო მოთავსებულია საგანგებოდ გამოკვეთილ მღვიმეში, რომელიც შიგნიდან მოხატულია ფრესკებით. შესავლის პირდაპირ მდებარე კედელში ამოკვეთილია ღრმა ნიში, რომელიც ალბად წარმოადგენდა წინამძღვრის ადგილს ტრაპეზის დროს.

აქვე, ამავე კედელში გამოჭრილია შესავალი მეორე მღვიმეში, რომელშიაც, ალბად, ინახებოდა სურსათ-სანოვავე მონასტრისათვის. სატრაპეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის შუა გულში მოთავსებულია აპსიდა, რომელიც საკურთხეველს წარმოადგენდა.

წინამძღვრის ადგილიდან იწყება გრძელი, მთლიანი და ვიწრო ქვის სუფრა საჯდომები თურთ, რომელიც შესავლისაკენ არის მიმართული. ალბად ამ სუფრაზე ხდებოდა ჩვეულებრივი პურის ჭამა მონასტერში. კედლის მხატვრობა სატრაპეზოსი თუმცა ზოგან ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ სიუჟეტების გამოცნობა არ წარმოადგენს სიძნელეს. ფერადები თუმცა ზოგ ადგილას ჟამთა ვითარებისაგან გადასულა, მაგრამ პირვანდელი სიცხოველე საუცხოვოდ აქვს შერჩენილი და დღესაც აღტაცებაში მოჰყავს ადამიანი თავისი კოლორიტით და ინტენსივობით.

მხატვრობა განისაზღვრება ერთი რიგით, რომელსაც ქვევით გარს უვლის ორნამენტალური ზოლი.

ხოლო რაც შეეხება მხატვრობის წარმოშობას, ის ეკუთვნის ერთს დროს და ერთი მხატვრის მიერ არის შესრულებული.

სატრაპეზოს ნიშიში მოთავსებულია გულ-მკერდამდის მაცხოვარი enface, რომლის ნიშის მახლობლად დაცულია ჩვეულებრივი. მაცხოვრის გამოსახულების ქვემოთ, შიდა ნიშის თაღზე კარგად ირჩევა ასომთავრული წარწერა იმავე შინაარსისა ქ. ევმანოი(ლ): ჩვენ თანაა ღმერთი: მაცხოვრის გამოსახულების ორივე მხრივ არეზე მოთავსებულია ყვავილოსანი მცენარეები და მათ შორის ფრთა გაშლილი ტრედი.

ნიშის თაღის ზედა ნაწილის შუა გულში წარმოდგენილია მედალიონი ჯვრით, რომელიც ხელში უჭირავს ორ ანგელოზს, თაღის გვერდებზედ მოთავსებულებს მთელი ტანით ენფაცე.

ხოლო შიდა ნიში, რომელიც ამოკვეთილია მთავარ ნიშიში, სულ მთლად მოხატულია მცენარეთა სახეებისაგან შემდგარ წნულებით, ხოლო შუა გულში მოთავსებულია მედალიონები ფრთოსან ლომების გამოსახულებით, რომელიც შესრულების მხრით სავსებით გადმოგვცემს სასანელთა დროის ქსოვილების სახეებს, რომელთაც ახასიათებს იგივე მოტივები.

ნიშის თაღს გარედან ამკობს ასომთავრული წარწერა, რომელიც ძლიერ გადასულია და არ ირჩევა გარკვევით.

მთავარ ნიშის ზემოთ მოთავსებულია დიდი კომპოზიცია, ორ ნაწილად გაყოფილი, რომელიც წარმოადგენს ხუთი პურით და თევზით ხუთი ათასი კაცის განძღომას მაცხოვრის მიერ.

სურათის მარჯვენა (მხედველისათვის) ნაწილი მოთავსებულია მთელი ტანით ^{3/4} მაცხოვარი, რომელსაც მარცხენა ხელში უჭირავს დახვეული გრავნილი, ხოლო მარჯვენა ხელი განვდენილი აქვს მის წინაშე მდგომარე მოციქულისაკენ, მაცხოვრის წინ მოსჩანს ოთხი პური და თევზი.

ნიშის ზემოთ მოთავსებულია ორი მოციქული მთელი ტანით; ერთი მათგანი მიემართება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაცხოვრისაკენ, მეორე კი ხელს უწვდის „ერს“, რომელიც მოთავსებულია სურათის მარცხენა (მხ.) ნაწილზე. „ერი“ წარმოდგენილია ერთ მჭიდრო ჯგუფად მუხლებ მოკეცილი, enface, ხელები კი გულზე აქვს დაწყობილი. ერთს მათ-

განს ხელში უჭირავს მრგვალი პური. „ერში“ მოსჩანს ფეხზე მდგომი ორი მოციქული, რომელიც აწვდიან პურს. ერთი მოციქულთაგანი ძლიერ დაზიანებულია.

სურათის არეზე მოსჩანს მთები და გორაკები და აგრეთვე ბრონეულის ხეები ნაყოფებით, რაც მეტად საყურადღებო წვრილმანს წარმოადგენს.

ამავე კედელზე მარჯვნივ (მხ.) მოთავსებულია — აბრაამის სამხარი, ანგელოზები სხედან სელებზე მრგვალ მაგიდის გარშემო. აბრაამი, რომელიც მოთავსებულია ქვევით სურათის მარცხენა (მხ.) ნაწილზე, აწვდის მათ პურს; იქვე მუხლებ-მოკეცილი სდგას მეუღლე მისი სარა და ხელებ განვდენილი ვედრებით შეჰყურებს ანგელოზთ; მაგიდის წინ მოსჩანს სამსხვერპლო ცხოველი. სურათის მარცხენა კუთხეში ზევით მოსჩანს შენობის ნაწილი, ხოლო ანგელოზთან ზემოთ ოდნავ ირჩევა გადასული მოხაზულობა მუხის ტოტებისა.

ჩრდილოეთ-დასავლეთის კედელი სატრაპეზოსი მოკავებული აქვს ორს კომპოზიციას — სასწაულთ-მოქმედებას ქორნილის დროს კანაში და მაცხოვრის საუბარს სამარიტელ დედაკაცთან.

პირველი კომპოზიცია ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ სფუჟეტი ადვილად გამოსაცნობია. შუაში მაგიდასთან ზის მაცხოვარი. რომლის გვერდით, მარჯვნივ (მხ.) მოთავსებულია ღვთისმშობელი განვდენილი ხელებით ვედრების აღსანიშნავად. ღვთისმშობლის გვერდით სხედან ჯერ დედოფალი და შემდგომ კი მეფე. ქვევით მარცხენა (მხ.) კუთხეში სურათისა ღვინის ჭურებთან ირჩევა ფრაგმენტი ორი კაცისა, რომელთაგან ერთს ნიშბი აქვს. სურათის არეზე მოსჩანს შენობის ნაწილები.

ამ კომპოზიციის გვერდით წარმოდგენილია მაცხოვრის საუბარი სამარიტელ დედაკაცთან. მაცხოვარი ზის ხის ქვეშ, მარჯვენა ხელი განვდენილი აქვს სამარიტელ დედაკაცისაკენ, რომელიც წყლის ჭურჭლით მარჯვენა ხელში, სდგას მის წინაშე და მოწინებთ ყურს უგდებს. მარცხენა ხელი უჭირავს გულ-მკერდის წინ, ხოლო ხელის გული მიმართულია მხედველისაკენ. მაცხოვრის და სამარიტელ დედაკაცის შუა მოთავსებულია ასო მთვარული წარწერა ჯურღმული: იაკობისი.

სამხრეთ-დასავლეთის კედელზე აღმოსავლეთ კუთხისა წარმოდგენილია სერობა, რომელიც ძლიერ გადასულა და გარკვევით აღარ ირჩევა. სურათის მარცხენა ნაწილში მოთავსებულია მრგვალ მაგიდასთან მაცხოვარი, რომელსაც მარჯვენა ხელი ჭურჭლის ასაღებად აქვს განვდენილი.

მის წინ მოთავსებულია მოციქული იოანე, რომელიც თავით ეყრდნობა მაცხოვრის გულ-მკერდს.

დანარჩენი მოციქულები სდგანან მაგიდასთან ერთ რიგათ $3/4$ -ად შებრუნებული. სურათის არეზე მოსჩანს შენობის ნაწილები.

საკურთხევლის კონქში მოთავსებული ყოფილა ვედრება, მაგრამ ამ კომპოზიციიდან ბევრი რამ არ დარჩენილა.

კონქის მარცხენა (მხ.) ნაწილში მოსჩანს ფრაგმენტი ღვთისმშობლის თავისა და სახეულის მცირე ნაწილის; აქვე ირჩევა ბერძნული წარწერა მისივე სახელის. სხვა აღარ ირჩევა. ხოლო ეჭვს გარეშეა, რომ კონქში წარმოდგენილი იქნებოდა ღვთისმშობლის გარდა მაცხოვარი და იოანე ნათლის მცემელი.

ამავე კომპოზიციის გაგრძელებას წარმოადგენს მთავარანგელოზთა სურათები გაშიშვლებული ხმლით ხელში, რომელნიც მოთავსებულია კედელზე საკურთხევლის აპსიდის გარეშე. მარცხენა (მხ.) მთავარანგელოზი, როგორც ბერძნული წარწერა მოწმობს, არის მიქელ მთავარანგელოზი, ხოლო მეორე კი უნდა იყოს მთავარანგელოზი გაბრიელი, მაგრამ წარწერა სახელისა არ არის დაცული.

უკანასკნელი კომპოზიცია ამ კედელზე წარმოადგენს დავით გარეჯელის ცხოვრებიდან ამოღებულ სიუჟეტს. სურათის მარცხენა ნაწილში დაცულია ფრაგმენტი დავით გარეჯელისა, რომელსაც ხელები განვდენილი აქვს ვედრების აღსანიშნავად. ხოლო სურათის მეორე ნაწილში მოთავსებულია მონაფე ნმიდა დავითისა ლუკიანე, რომელიც წველის ირემს. აქვე წარმოდგენილი ირმების მთელი ჯოგი, ლუკიანე წარმოდგენილია უნიმბოთ; წარწერა მისი სახელისა კარგად ირჩევა მის თავ ზემოთ. ლუკიანე. სატრაპეზოს ჭერისებულ ცადაქნილის შუა გულში მოთავსებულია თანასწორ მხრებიანი ჯვარი მედალიონში.

მხატვრობა შესრულებულია არტისტიულად, რაც საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ხელოვანი მეტის მეტად გამოცდილი და დახელოვნებული მხატვარი ყოფილა.

ფერადები, რომელსაც ხმარობს მხატვარი, არ არის მდიდარი შემადგენლობის სხვადასხვა ფერობით და სიმრავლით, მაგრამ გასაოცარია ერთი და იგივე ფერის სხვა და სხვა სახეების შერჩევით და დაპირისპირებით. უმთავრესად იგი ხმარობს რამოდენიმე მისთვის მთავარ და ძირითად ფერადებს მაგ. ლურჯსა, ტრედის ფერს, მუქ იისფერს, შინდის ფერს, მომწვანო ოქროს ფერს, ვარდის ფერს და ამ ფერადების სხვა და სხვა სახეებს. მთელი სიძლიერე მხატვრისა სწორედ აქ გამოიხატება. ზემოთ ჩამოთვლილ ფერადების სახეების შერჩევასა და დაპირისპირებაში, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს ადამიანის თვალი. დიდი გრძნობა კოლორიტის ფერადების სიცხოველე და მადლიანობა ახასიათებს მხატვარს. საზოგადო მოხაზულობა გადმოცემულია წითური ფერით, ხოლო სახეების მოდელიზაცია შესრულებულია წერის რთული ტექნიკით. სურათის პირველ ძირითად პირზე მოხაზულობა სახეებისა, ტანსაცმელისა და ნაოჭებისა თავისუფალია, მოქნილი და მოკლებულია ერთგვარ სიმშრალეს, თუმცა კვალი სტილიზაციისა ზოგან ეტყობა.

ტანსაცმელის ნაოჭების მიმართულება და მოხაზულობა სავსებით გადმოგვცემს სამოსელში დაფარულს ფორმებს სხეულისას. პროპორციები საუცხოვოდ და ზედმიწევნით დაცულია მხატვრის მიერ. მოძრაობა სხეულისა თავისუფალია და ბუნებრივი, თუმცა ერთგვარ სტილიზაციას არ არის მოკლებული.

აგრეთვე დიდი ნიჭი გამოიჩინა მხატვარმა სურათების კომპოზიციაში; ის ანგარიშს უწევს იმ ადგილის და სივრცის ფორმას, ზომას და მოყვანილობას, რომელზედაც უნდა მოათავსოს სურათი, იგი არსად არ ჰკარგავს მთლიანობას; ყველა მოქმედნი პირნი მჭიდროდ, ბუნებრივად დაკავშირებული არიან ერთი მეორესთან და ერთი მთავარი იდეა აკავშირებთ მათ (მაგალ. ხუთი პურით ხუთი ათასი მშვიერის განძობა მაცხოვრის მიერ).

მაგრამ მხატვარს მორთულობაში შემოაქვს სასანელთა დროის ხელოვნების მოტივები და ელემენტები (ფრთოსანი ლომები), რომელნიც, როგორც აღვნიშნეთ წინეთ, ნაკარნახევი უნდა იყოს სახეებიანი ქსოვილების სიყვარულით. დამახასიათებელია, რომ მხატვარს, ბიზანტიური (ამ ტერმინის ფართო მნიშვნელობით), საეკლესიო მხატვრობის ტრადიციებზედ აღზრდილს, შემოაქვს თავის მხატვრობაში საქართველოს რეალური ცხოვრების ელემენტები, იმავე დროს იგი თავისუფლად და შეგნებით ეპყრობოდა უცხო ქვეყნებიდან ნასესხ მოტივებს. ყველა ეს ამტკიცებს, რომ საეკლესიო მხატვრობას ჩვენში ჰქონდა ხანგრძლივი და დიდი მხატვრული ღირსების კედლის მხატვრობის ტრადიციები, ვინაიდან უცბად ამგვარი ძეგლის წარმოშობა საქართველოს ნიადაგზე შეუძლებლად უნდა ჩავთვალოთ.

მხატვრობა თავისი სტილით და იკონოგრაფის მიხედვით მე-XII-XIII ს. უნდა ეკუთვნოდეს. ასეთი საყურადღებო ძეგლი ჩვენი ხელოვნებისა საჭიროა, რომ იყოს მონოგრაფიულად შესწავლული და გამოცემული.

კრიტიკა და შემოქმედება

სულიერ ცხოვრების პოლარიულობის ორეულია: კრიტიკა და შემოქმედება. ორი სხვა და სხვა ბუნების ფუნქცია სულისა. წინად კრიტიკას ისე უყურებდნენ, როგორც ბირჟის მაკლერს, რომელიც დიდი კაპიტალისტის აქციებს და ვალიუტას ასაღებს მრავალ წვრილ ვაჭარზე და მომხმარებელზე, თუ ჩვენ შილლერს გავყევით და ხელოვნება ვინამეთ როგორც ფენომენი კაცობრიობის მოდემის აღმზრდელი ასეთი კრიტიკოსი — მაკლერი უთუოდ საჭირო იქნება. რადგან ათი ათასებს ისე ნაკლებად შეუძლიათ გაიგონ ნამდვილი ხელოვნება, როგორც მაღალი მათემატიკა ან პოლიტიკა. შემომქმედი ხატებით მეტყვევლია. კრიტიკოსი მცნებათა კატეგორიებში ხსნის ხელოვანის ირაციონალს. იგი ხსნის და ამარტივებს ამ ირაციონალს, გვიჩვენებს ყველა ელემენტებს, რომელიც მოუხმარია ხელოვანს ფერადების, ტროპების, მეტაფორების, ძირითად იდეების, თემის, კონსტრუქციის სახით.

შემდეგ იწყება ფასდადება რომელიმე თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში უთუოდ უნდა იგულისხმებოდეს გარკვეული ფილოსოფიური მეთოდიკა. კუნო ფიშერი სხვა არაფერია თუ არა და შექსპირზე მოაზროვნე ფილოსოფოსი. ამგვარად ძველი გაგების კრიტიკოსი სცდება ლიტერატურის ფარგალს. კრიტიკოსის მიზანს თუ ხელოვნების, კერძოდ ლიტერატურის სფეროში ირაციონალის გახსნას შეადგენს, ირაციონალი ფილოსოფიის სამთავროა. მიუდგება კრიტიკოსი ფსიქოლოგიურის მეთოდით ხელოვნურ ქმნილებას, როგორც ვილჰელმ დილტაჰ, მაშინაც ფილოსოფიას მიეკუთნება მისი ნაშრომი.

ჩვენში ზოგიერთი კრიტიკოსები ერთი მეორეში ურევენ კრიტიკოსის და ლიტერატურის ისტორიკოსის მოვალეობას. კრიტიკოსი თანამედროვეობის თვალსაზრისზე სდგას მუდამ. ლიტერატურის ისტორიკოსს თვალეები უკუქცეული აქვს წარსულისკენ. თანამედროვეობა მას იმდენად ეხება, რამდენადაც ყოველი თანამედროვეობა ბოლოს და ბოლოს ისტორიკოსს უნდა ჩაუვარდეს ხელში. ტრივიალური გაგებით ხელოვანი არის, ვინც რამეს ქმნის, კრიტიკოსი, ვინც უკანასკნელზე რაიმეს იტყვის.

ლიტერატურის ისტორიას რომ თვალს გადავავლებთ, ჩვენ ვხედავთ, რომ ლიტერატურაში კრიტიკოსს თავისი კუთხე არა აქვს. თვით გეორგ ბრანდესაც არა ჰქონია თავისი გზა. ბრანდესი რომ მოკვდება, ვერც ერთი კაცი ვერ გაივლის მისს გზაზე, რადგან მან ვერ გამოარკვია, თუ სად არის საყრდნობი პუნქტი მისი ლიტერატურული ონონარისა, რომლითაც იგი მთელ მსოფლიოს ლიტერატურას მოედო. ევროპაში დღეს ეს მესამე კაცი უადგილოდ დახეტილობს გაზეთების რედაქციებში, უსაქმო კაცივით ატუზულია დიდი თეატრებისა, რედაქციების კულუარებში. ის ყველას ესაჭიროება, როგორც პოეტებს, დრამატურგებს, მსახიობებს, ისე მკითხველ საზოგადოებას, რომელმაც ჯერ გაზეთში უნდა ნახოს თავისი საყვარელი ავტორის და დრამატურგის სახელი უზომოდ ნაქები, ან უზომოდ ნაგინები, რომ მისი ნაკითხვის წყურვილი აღეძრას, მაგრამ მას მაინც თავისი საკუთარი შინა არა აქვს. ტრადიციული გაგების კრიტიკოსი დღეს ზედმეტი მესამე პირის როლშია, რადგან დღეს ყოველი დიდი შემომქმედი დიდი კრიტიკოსიც არის. ასე ანატოლ ფრანს, მორის ბარე, თომას მან, რიჰარდ დეჰმელ, არნო ჰოლც, ჰანს ფიცგე.

ეს ორივე პოლარიულობა — კრიტიკა და შემოქმედება — დღეს ერთ პიროვნებაში ეტევა, რადგან ჩვენი თანამედროვეობა გაცილებით მეტ მოთხოვნილებას უყენებს შემომქმედს, ვიდრე რომელიმე საუკუნეში. უზენაესის შემგრძნობი უზენაესის შემცნობიც უნდა იყოს. ახალ ეპოქაში ლესსინგია ასეთი მწერლის პროტოტიპი. პოპულარიზატორები დღეს არავის სჭირია, რადგან თანამედროვე დასავლეთის კულტურა თავისი შინა ბუნებით უაღრესად არისტოკრატიულია. თანამედროვე ევროპის ტრადიციის კვანძი სწორედ აქ არის, რომ რაც დრო გადის მისი სოციალური ცხოვრების სტრუქტურა დემოკრატიული, მასსიუ-

რი ხდება, ხოლო მისი კულტურული ესენციალი სული, მისი მეტყველება უაღრესად არისტოკრატიული — მიაშიტი შემოქმედება ნელ-ნელა უთმობს გზას შეგნებულ შემოქმედებას, რაფაელი და ვალტერ ფონ ფოგელვაადე, მღეროდნენ და ლაღად ჰხატავდნენ, მიქელ ანჯელო და დავინჩი, შილერი და დეჰმელი პროფექციებით, პლანებით, გეგმებით. წინასწარ გამიჯნულ არქიტექტონიკას აგებენ ჯერ, შემდეგ ჰქმნიან. თვით უაღრესად მუსიკალური პოეტი დასავლეთისა პოლ ვერლენი პროგრამულ ლექსებს სწერს. აქ — ინტელექტი ისევე ძვირფასი სამკაულია, როგორც ძალა მიაშიტი ინტუიციისა. დასავლეთის დიდი კულტურა სწორედ ამითაა მომხიბვლელი, რომ მან პირველმა აღმოაჩინა ბუნებაში კანონი, ამიტომაც მარტო ერთი კანტი აინონის მთელ ლაოძეს და ჩინეთის ფილოსოფიას. გოეთეს დიდკაცური თავმდაბლობა ალაპარაკებდა როცა იგი თავს უყადრებდა სპარსელ მოშიარეებს. დღეს უკვე ნათელია, თუ რათ არის უაღრესად კასტიური ხასიათის როგორც დასავლეთის ფილოსოფია, ისე ხელოვნებაც. რადგან თვით ურთულესს აღმოსავლეთის სანკია ფილოსოფიას და რიგვედას მათი დემოკრატიული სტილის წყალობით, ყოველი ქიშმიშის გამყიდველიც გაიგებს. სულ სხვაა ნიცშეს ან კირკეგოს ფილოსოფია, დანტი გაბრიელ როზეტი, აუგუსტ როდენი, ან არნო ჰოლცი. აქ მირონის მიმღებს ისეთივე დიდი სულიერი კულტურა უნდა უძლოდეს წინ, როგორც მირონცხებულს. შეიძლება აქ იყოს ერთი იმ უფსკრულთაგანი, რომელშიაც განრისხებული კალიბანივით იმზირება ადამიანობის მოდგმა. ყველაფერს სპეციფიური ინდივიდუალური უნარი უნდა, კონგენიალური გაგების უნარი, როგორც კანტ ლაპლასის კოსმოლოგიას, ისე რიჰარდ ვაგნერს, დეურერს, თუ სტიფან გეორგეს. ამიტომაც პოპულარიზატორის მუშაობა სისიპის მუშაობაა, სამყარო სახედარის ნაკვალევში ჩაგუბებულ წყალში არ ჩაეტევა, არც ხელოვნების რთული ირაციონალი პოპულარულ კრიტიკოსის კალმის წვერში. ჩვენი დროს ხელოვნება არისტოკრატიულია თავის ბუნებით. კულტურის ემანაცია რჩეულების თავზე გადმოდის, როგორც სული წმინდა ათ თორმეტ მოციქულის თავზე. მილიონებმა რომ ბუნებაში და ხელოვნებაში დაცული საიდუმლოებანი გაიგონ, ქვეყანა საგიჟეთად გადაიქცევა.

ვიწროვდება ხელოვნების მრევლის გარსი.

სულ სხვაა თანამედროვე გაგების კრიტიკაც. ალა ფრანს, ან თომას მან. შემომქმედი მეორე შემომქმედის ქმნილებით ენთება და მას თავისი სუბიექტიური და ახალი შეაქვს წინამდებარეში. მთელი ჩვენი კულტურა მიღებისა და გაცემის პრინციპზე ემყარება, ისე როგორც ჩვენი დროს ეკონომიური პოლიტიკა. სფერო შემომქმედისა ინდივიდუალ განცდათა ფარგალში რომ ჩაიმწყვდეს, იგი დაღარიბდება, პიროვნების შემოქმედების სფერო რთულდება და მდიდრდება სხვა იდეურ სამყაროებთან ფრთების შეჭხებით. ამგვარად იდება ხიდი ყოფნასა და სხვა ყოფნას შორის ფორმას და ფორმას შორის, ამ გზით იქმნება სული საუკუნისა, რომლის განპიროვნებაა ლიტერატურის ანსამბლი. ამგვარად მოძრაობს იდეათა მარადი გარსი, რომელსაც საუკუნეს ეძახიან.

ნიცშე ამბობდა: დიდები გადასძახებენ ხოლმე პაროლებს ცარიელ საუკუნოებს. ამ დიდების გადასძახილი, ერთი მეორესთან გასაუბრება აზრის და გრძნობის გაცვლა-გამოცვლა, ეს ქმნის ნამდვილ ლიტერატურას. ხელოვანი ერთის წამითაც არ სცილდება თავის იდეათა სამყაროს, როცა იგი თანატოლის ქმნილებას სხვა ენით გადმოგვცემს. იგი თავის ესთეტიურ აპერცეპციის პრიზმაში გაატარებს ახალ მასალას და მასში იმოსება ეს ახალი, ახალი სიძვირფასით როგორც მზის სხივი ჩვენი დროის საოცარ კალეიდესკოპში.

კონსტანტინე გამსახურდია

ანატოლ ფრანსის

Les Dieux Ont Soif

ათი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ რაც პირველად დაისტამბა „Revue de Paris“-ში ანატოლ ფრანსის რომანი — „Les dieux ont soif“¹. როდესაც რომანის პირველი თავები გამოქვეყნდა საფრანგეთის კონსერვატიული წრის პუბლიცისტების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; მათ თავიანთ მკითხველთ ამცვენეს, ცნობილმა მწერალმა თავისი ახალი რომანით ის მოისაქმა, რაც ტენმა, ე. ი. მოსპო, გააბათილა რევოლიუცია და რესპუბლიკაო. მაგრამ სულ მალე მემარჯვენე პრესამ შესწყვიტა ბაასი ანატოლ ფრანსის მოქცევაზე; სავსებით მიყუჩდა ეს პრესა, რომ მკითხველისათვის არ აღეძრა ინტერესი, რომანისადმი, რომელმაც მისი იმედები არ გაამართლა.

ამ საინტერესო ისტორიას მოგვითხრობს საფრანგეთის რევოლიუციის ცნობილი ისტორიკოსი ოლარი, რომელსაც ანატოლ ფრანსის რომანი მიაჩნია ერთ საუკუნესო წიგნად, ისტორიულ რომანად, სადაც „პოეზია სიმართლის გამომხატველია“. „ეს წიგნი, — დასძენს ოლარი, — სავსეა ისტორიული სიმართლით. თუ რომელიმე პედანტი მოინდინებს, ნახოს იქ ზოგიერთი ანახრონიზმი, ეს იმისი მაჩვენებელი იქნებოდა მხოლოდ, რომ მან ვერაფერი გაიგო პოეტის მეთოდისა, რომელიც აერთებს, ისტორიიდან ამონაკრეფ ელემენტებს მეცნიერის ტაქტთან“. რომანის მთავარი გმირიც, ევარისტ ჰამელენი დიადი დრამის ერთი პატარა აქტიორთაგანია და იგი ოლარს მიაჩნია „არა რომანის კარიკატურად, არამედ ისტორიულ ტიპად“.

ანატოლ ფრანსის რომანის მოქმედება ტერორის ხანას შეეხება, მისი დასაწყისი — 1793 წლის გაზაფხულს, დასასრული — 1793 წლის ზაფხულს (თუ არ მივიღებთ მხედველობაში რომანის უკანასკნელ თავს, რომელიც იმავე წლის თერმიდორიანულ რეაქციის ხანის ეპილოგია). კერძო ეპიზოდების ხრონოლოგია განისაზღვრება იმ უაქტობის უმეტეს შემთხვევაში გაკვრით ხსენებით, რომელთაც მაშინ ადგილი ჰქონდათ. ავტორს ნამდვილი, სწორი დატეხი არ მოჰყავს და ამ მხრით პედანტიურ კრიტიკას ბევრი რამ შეუძლიან უსაყვედუროს რომანისგან. მაგრამ კრიტიკა ამგვარ წვრილმანებს არ უნდა გამოეკიდოს: რომანი სამეცნიერო დისერტაცია როდია, რომ სრული სისწორე მოვითხოვოთ. როდესაც „Les dieux ont soif“-ს კითხულობთ და ყოველ ნაბიჯზე ნაცნობ ფაქტებს, გაკვრით გამოთქმულ შენიშვნებს, მაშინდელ პარიზის ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენათა აღნიშვნას ხვდებით, სრულ კმაყოფილებას გრძნობთ და დიდ სიამოვნებას განიცდით; ავტორი კარგად იცნობს ხალხს და საუცხოვოდ აქვს წარმოდგენილი და შეთვისებული დიად ეპოქის ფაქტები და მოვლენები, თვით ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, მასის განწყობილება, წვრილმანებიც კი, რომელთა აღნიშვნა მონაშობს, რომ ავტორს გათვალისწინებული აქვს ფრიად დიდი საგნებიც კი, რომელთან დაკავშირებული არიან ეს წვრილმანები. ვისაც კი წაუკითხავს მხატვრული აღწერილობა იმ ადგილების, რომელიც ოდესღაც თვით ინახულა, ის კარგად იცნობს სიამოვნების იმ გრძნობას, რომელიც მისს მენსიერებაში აღიძრება მიღებული შთაბეჭდილებათა განახლებით, ხშირად ერთი მოსწრებული სიტყვით ან და მხატვრული შედარებით ან და უმნიშვნელო გაკვრით თქმით.

ანატოლ ფრანსის რომანში ვერ ნახავთ გრძელ და ვრცელ, დანვრილებით აღწერას, თუ სად და როგორ ეს თუ ის ამბავი ანუ მოვლენა წარმოიშვა, როცა ავგინერს სექციათა ცხოვრებას ან და ქუჩის სცენებს, როცა რევოლიუციონურ სასამართლოს კრებებზე გვაი-

1. Les dieux ont soif — ღმერთებს წყურიათ.

ძულეებს დავესწროთ ან და ციხეებში, სადაც პოლიტიკური ტუსალები იტანჯებოდნენ, შეგვიყვანს და სხვა. თუ ეპოქა გაცნობილი და შესწავლილი გაქვთ, ბევრს თვით შეავსებთ საკუთარის წარმოდგენით. ზოგჯერ ანატოლ ფრანსის რომანში სცენაზე ისტორიული პირებიც გამოჩნდებიან ხოლმე, მაგრამ აქაც საქმე გვაქვს მხოლოდ ჩონჩხთან, რომლის ორმა თუ სამმა ხაზმა უნდა მოგვაგონოს ნაცნობი პიროვნება და ესეც იმიტომ, რომ შეგვაგნებინოს, თუ როგორ უყურებს ამ პიროვნებას თვით ავტორი. მაგალითად, ანატოლ ფრანსი რომანის სხვა და სხვა ადგილას რობესპიერს წარმოგვიდგენს ხან იაკობინელთა კლუბის ტრიბუნაზე, ხან უმაღლეს არსების დღესასწაულზე, ხან მარბეფის ბაღში სეირნობის დროს, ან და ტერმიდორს საბედისწერო დღეს კომუნაში, და ყოველთვის მხოლოდ თვალის მოკვრით და მხოლოდ გარეგან სახის აღნიშვნით. ანატოლ ფრანსი რობესპიერის მნიშვნელობის განსაზღვრას და განმარტებას კი არ იძლევა, არამედ მხოლოდ საშუალებას, რომ ეს მნიშვნელობა ვიგრძნოთ, და მხოლოდ ერთ ადგილას გაკვრით აღნიშნავს, რა გავლენა ჰქონდა მას ხალხზე, რომელიც რობესპიერს მიაწერდა „ყველა ბედნიერ და უბედურ მოვლენებს რესპუბლიკაში, კანონებს, ჩვეულებებს, წელიწადის დროთა მიმდინარეობას, მოსავალს, ავადმყოფობას“; მეორე ადგილას კი ანატოლ ფრანსი ამბობს, რობესპიერი იყო სიტყვის, კომიტეტების, ტრიბუნის კაცი, რომელსაც არ შეეძლო სწრაფი გადაწყვეტილების მიღება და რევოლიუციონური აქტის ჩადენაო. ამ უკანასკნელ შენიშვნას თვით ანატოლ ფრანსი როდი აკეთებს, ამას რობესპიერის მომხრენი სჩადიან და სწორედ იმ გადამწყვეტ მომენტში, როცა მათი ყოფნა-არყოფნის საკითხია დასმული.

ეს ერთი მაგალითია იმ მრავალ მაგალითთა შორის, რომელიც შეიძლება მოვიყვანოთ იმის საერთო დასახასიათებლად, თუ როგორ არის რომანში აღწერილი ანუ აღნიშნული ეპოქის მთავარი მოვლენები და პირები, რაც სურათის მხოლოდ საერთო ფონს შეადგენს, ერთგვარ უკანა მოხაზულობას მთავარ პიროვნებისათვის. თვით ამ პიროვნებას წარმოადგენს უკვე დასახელებული მხატვარი და იაკობინელი, ევარისტი ჰამელენი. მართალია, მის გვერდით არიან სხვა პირებიც, ცოტად თუ ბევრად დეტალურად დასურათებული ავტორის მიერ, მაგრამ ისინიც ან საერთო ფონის აკსესუარებს შეადგენენ, ან ასე ვსთქვათ, გმირის პირადი ანტიურაჟია, როგორც მისი დედა, მისი სატრფო ელოდია ბლეზ, მისი თაყვანისმცემელი და სხვა მისი ნაცნობები, რომელთა შორის გამოცალკავებული უნდა იყოს ერთი პირი, ვინაიდან იგი თამაშობს საკმაო დიდ როლს როგორც მისი ანტიპოდი რევოლიუციის გაგებაში. „Les dieux ont soif“-ეს საშუალო იაკობინელის პსიხოლოგიაა, თუ სიტყვას იაკობინელს ჩვენ გავიგებთ, როგორც გარკვეულ პარტიას, პოლიტიკურ აზროვნებისა და მოქმედების გარკვეულ მიმართულებას, რომელიც აგრე ნათლად რობესპიერის პიროვნებაში გამოიხატა.

ამ მხრით ანატოლ ფრანსის რომანი მხატვრული ნაწარმოებია. ტენის „თანამედროვე საფრანგეთის წარმოშობის“ მესამე ტომის *La conquête jacobine*. განსაკუთრებით ამ ტომის პირველ ნაწილში, სადაც იაკობინელის პსიხოლოგიის შესახებ არის ბაასი. მოვაგონებ მკითხველს, რომ იაკობინელის ხასიათის მთავარ და ძირითად თვისებად ტენს მიაჩნდა სიამაყე და დოგმატიზმი, ახალგაზრდობის თავისებური „სენი“, რომელიც უკიდურესად განვითარდა იმ პირობებში, რომელშიც რევოლიუციამ საფრანგეთი ჩააყენა. ანატოლ ფრანს უბრალოდ კი არ დაუსახავს თავის რომანის გმირი ახალგაზრდად, რომელიც კარგად გრძნობს, რომ მისი მოწოდება სამშობლოს ხსნაა და რომელსაც აგრეთვე სწამს, რომ ამ ხსნის საშუალება მხოლოდ ერთია. ამ შემთხვევაში ტენი და ანატოლ ფრანსი ერთი და იმავე აზრისა არიან და ამისათვის ზედმეტად საგულისხმიეროა ის, რომ ოლარის განწყობილობა ტენისადმი უარყოფითია, მაშინ როცა ანატოლ ფრანს დიდი სიმპატიით ეპყრობა.

II

ევარისტი ჰამელენი, რომანის გმირი, იყო ერთი იმ მრავალ პატარა პირთაგანი, რომლებმაც „ტახტი დაანგრის და ძველი ქვეყანა გადაატრიალეს“; რასაკვირველია, ეს ხალხი არავითარ შებრალებას თავის მტრებისაგან არ მოელოდა; გამარჯვება ან სიკვდილი — აი მათი ალტერნატივა. როგორც სხვა დანარჩენი ამგვარივე პირები პარიზის წვრილ ბურჟუაზიის ან ხალხის წრიდან, ის იყო ბრბოს ნამდვილი გამოძახილი. ჰამელენის პირით ანატოლ ფრანსი იმას ამბობს, რაც იმ დროს პარიზში ყველას ენაზე ეკრა. სიმშობილი და სიძვირე ეს სპეკულიანტების და ჩარჩების საქმეაო, რომ როგორმე ხალხს სიძულვილი აღუძრან რესპუბლიკისადმი და მით თავისუფლება მოსპონ. კარგი, თუ ფედერალისტები იარაღით ხელში არ მოვლენ პარიზში, რათა დახოცონ პატრიოტები, რომლებსაც სიმშობილი ისე ინტენსიურად არ ანადგურებს; უნდა დანესდეს ფქვილზე ტაქსა და ყველა ისინი, ვინც სპეკულიაციას ეწევა, ამბობებს ამზადებს, სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკება აქვს და სხვა უნდა დახვრეთილ, ან ჩამოხრჩობილ იქნეს. ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჰამელენის ამხანაგები, როცა ის რევოლიუციონურ სასამართლოს წევრად გახდა, იმგვარივე იყვნენ, როგორც თვით ჰამელენი. „ესენი იყვნენ, — ამბობს ის, — უმეტეს შემთხვევაში უბრალო ხალხი და როდესაც გასამართლების ფორმები გამარტივდა, მათ იგრძნეს თავის თავი უფრო კარგად. გამარტივებული და შეზღუდული მართლმსაჯულება მათ აკმაყოფილებდა. არაფერი ამ მართლმსაჯულების სწრაფ მიმდინარეობასთან მათ აღელვებდასა და შეძრწუნებდას არ იწვევდა. ისინი სცილობდნენ მხოლოდ გაეგოთ სამართლის ქვეშე მყოფთა შეხედულებანი. მათ სწამდათ, რომ მათ მხარეზეა სიმართლე და სინამდვილე, გონიერება, უმაღლესი სიკეთე... ისინი თავიანთ მონიშნულმდეგებს მიაწერდნენ ცდომილებასა და ბოროტებას. ისინი გრძნობდნენ სიძლიერეს; ისინი ღვთაებას ხედავდნენ. მართლაც, ხედავდნენ ღვთაებას, რევოლიუციონურ სასამართლოს ნაფიცნი! უმაღლესი არსება, მაქსიმოლიანეს (რობესპიერის) მიერ აღიარებული და ცნობილი, მათ საღვთო ალით აშუქებდა. მათ უყვარდათ და სწამდათ“.

არაფრით არ განირჩევა ჰამელენი იმ წრის ხალხიდან, რომელიც გარს ახვევია. ამიტომაც ავტორს, რომელიც თავის გმირს ახასიათებს, როგორც საშუალო პატარა ადამიანს, რომელსაც ისტორიამ დიადი საქმე დააკისრა, შეგვიძლია ვთქვათ, განძრახვა აქვს ჰამელენის სახით ჩვეულებრივი იაკობინელის ტიპური ფიგურა წარმოგვიდგინოს. ინდივიდუალური თვისებები, რომლებითაც ანატოლ ფრანსი თავის გმირს შეამკობს, — თვისებები, ხშირად სიმპატიური, სრულიადაც არ იძლევა საბაბს, უარყოფთ ავტორის განზრახვა.

ჰამელენი ნაკლებ განთქმული მხატვარი იყო; სამუშაოს ძიებაში ის ყოველთვის ბედნიერი როდი ყოფილა; მაგრამ ხელოვნებაში დიად მიზნებს ისახავდა. რევოლიუციამ გაიტაცა ის როგორც მხატვარი; ამ გარემოებაზე ანატოლ ფრანსი, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ხარისხოვან საგნების გამო სიტყვის გაგრძელება არ უყვარს, საკმაოდ დიდხანს ჩერდება. ჰამელენი მოდას ანგარიშს უწევს; ფუფუნებით სავსე ცხოვრებიდან სცენებს ხატავს; მაგრამ არსებითად ეს სცენები მის ხასიათს, მის „გაუსწორებელ უმანკობას“ არ შეეფერებოდა, ასე რომ მოყვარენი არ სცდებოდნენ, როცა ამტკიცებდნენ, რომ ის არ იყო „ეროტიული არტისტი“. ეხლა, რევოლიუციის განვითარების დროს, ამ მოდაში ნახულობდა მხოლოდ მეფის სასახლისა და წარჩინებულთა სინამხთრისა და გარყვნილობის ნაშთს და ნახშირით ხატავდა ის სხვა და სხვა თავისუფლებას, რესპუბლიკანურ ღირსებას, სახალხო ჰერკულესებს, რომელნიც ტირანიის ჰიდრას სპობენ, თუმცა ყველაფერი ეს, საუბედუროდ, მატერიალურად არ აკმაყოფილებს ახალგაზდა მხატვარს: მას არავითარი საშუალება არ მოეპოება, რომ როგორმე დაასრულოს უკვე დაწყებული სურათი „ტირანი

ფურიათა მიერ დევნილი“. ლუკმა პურზე ზრუნვამ გამოაგონებინა ახალი სათამაშო კარტი, სადაც ძველი რეჟიმის მეფეების, ქალბატონების და ვალეტების მაგიერ უნდა ყოფილიყვნენ სხვა და სხვა გენიოსები, ან წითელი მოქალაქენი, პიკის სანკილოტები და სხვ. სხვათა შორის ჰამელენი იძულებული იყო ემუშავა იმ ვაჭრის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომელიც ესტამპებს, კარტს, სხვა და სხვა სათამაშოებს ყიდდა და რომლის მალაზიას, სადაც განსაკუთრებით საუცხოვო სცენებს მდიდრულ ცხოვრებიდან თხოულობდენ, შემდეგი წარწერა ჰქონდა: „Amour Peintre“. ამ მალაზიის პატრონი, ჟან ბლეზი, ახალგაზრდა მხატვრის სატროფოს მამა, გარდა ამისა არავითარ ჩარჩობას არ გაუბოდა.

ჰამელენს ხელოვნების გარკვეული იდეალი ჰქონდა. მხატვრის თვალში ყველაფერი ძველი, ცუდი გემოვნების საქმე იყო, რომელიც ტირანიის უღელის ქვეშ აღიზარდა და განვითარდა. „საჭიროა, — ქადაგებს ჰამელენი, — დავუბრუნდეთ ანტიურს. ახალ ცხოვრებისათვის ალორძინებულმა ფრანგებმა უნდა უარყონ მონობის მემკვიდრეობა. ცუდი გემოვნება, ცუდი ფორმები, ცუდი სურათი. ვატო, ბუშე, ფრაგონარი, — ამტკიცებს ის, — მუშაობდენ ტირანებისა და მონებისათვის და ჩამომავლობას უნდა სძაგდეს მათი ზერეულე, არა სერიოზული ნაწარმოები. დავიძმა გამოძებნა ახალი გზა; ის უახლოვდება ანტიურს, მაგრამ ის ჯერ კიდევ საკმარისად მარტივი როდია“ და სხვა. ერთხელ ელოდია ქარგავდა; ჰამელენმა ნახა; მას არ მოეწონა მისი საკერავის სახე და შეპირდა სურათის დახატვას — „ჰარმოდის მახვილი ყვავილებით შემკული“.

სასტიკი სიმარტივე, დაბრუნება ანტიურისდამი, ცივილური სიუჟეტები — აი, რაში მდგომარეობს credo ჰამელენისა, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს არა მარტო პოლიტიკურ სიუჟეტებს, არამედ იმ სიუჟეტებსაც, რომელნიც მორალურ პრობლემასაც შეეხებიან.

ჰამელენის ძლიერ მოფიქრებულ და დაწყებულ სურათთა შორის იყო ერთი, რომელიც გამოხატავდა ელექტრას ავადმყოფ ორესტის სანოლთან მჯდარს. ეს სურათი გამონვეული იყო უბრალო შემთხვევით, რომელიც მან როგორღაც ამოიკითხა ევრიპიდეს ნაწარმოებში. „ოდესღაც, — განმარტავდა ის თავის განზრახვას, — ენეკსენმა ხელოვნურად დაასურათა ორესტის მრისხანება, მაგრამ ორესტი გვაღელვებს ჩვენ კიდევ უფრო თავისი მწუხარებით, ვიდრე მრისხანებით. რა გასაოცარი, საკვირველი ბედია! განა მან არ ჩაიდინა თავისი დანაშაულობა უმთავრესად მამა-შვილურ გრძნობის გამო, დაემორჩილა რა საღვთო ანდერძს, დანაშაულობა, რომელიც ღმერთებმა უნდა აპატიონ, მაგრამ ადამიანი არასოდეს არ აპატიებს. გათელილ სიმართლის შურისძიებასათვის მან დაახშო თავის არსებაში ბუნების ხმა, ის უღმობელი, შეუბრალებელი შეიქმნა, ამოგლიჯა დახშული გული და ამაყი დარჩა თავის საზიზღარ და გამაცვიფრებელ ბოროტმოქმედების უღელს ქვეშ. აი, — დაუმატა მან, — რა მინდოდა დამეხატა“.

ახალგაზრდა მხატვარის ასეთ განზრახვაზე, შესაძლებელია აქ არ გველაპარაკნა, რომ რომანისტიკის ნებით ამ განზრახვაში არ ყოფილიყო ჩაქსოვილი რაღაც სანინასწარმეტყველო. ჰამელენის წილად ხვდა განეცადა ის, რაც მისი აზრით, უნდა განეცადა ორესტის მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებისა და დანაშაულობის გამო. ერთმა მნახველმა ქალმა, რომელსაც მან სურათი აჩვენა და მისი შინაარსი განუმარტა, ორესტში მისივე მზგავსება დაინახა. კიდევ უფრო გვიან ჰამელენის ღვიძლი და მზათ იყო ორესტში თვით იგი ემცნო, — იმ ორესტში, რომელსაც მხეცური და მოხრენჯილი სახე ჰქონდა.

ჰამელენი მართლაც უღმობელი შეიქმნა, როცა დაემორჩილა იმას, რაც სამშობლოსადმი მართებულ მოვალეობად მიაჩნდა მხოლოდ, მისი აზრით, ის არ იყო დედის მკვლეელი, ვინაიდან, პირიქით, როგორც თვითონ ამბობდა, „შვილური სიყვარულის გამო ის უხვად ღვრიდა სამშობლოს მტრების ბინძურ სისხლს“. ანატოლ ფრანსმა გახადა თავისი ჰამელენი დარწმუნებულ ტერორისტად, რომელიც მუდმივ სიკვდილით დასჯას მოითხოვდა და ათობით გილიოტინაზე აგზავნიდა ხალხს. ავტორს სრულიადაც არ სურს ამ ტერო-

რისტში დაინახოს ბუნებითი დამნაშავე ანუ მელოდრამატიული ავაზაკი. პირიქით, აქა-იქ რომანში აღნიშნული თვისებები ადასტურებენ სათნოებას ამ ახალგაზრდა მხატვრისა, რომელიც რევოლიუციონურ სასამართლოს სასტიკი და შეუბრალებელი ნაფიცო მოსამართლე შეიქმნა. მოხუცს დედას მეტად უყვარდა თავისი კარგი, კეთილი ევარისტი; მისი ქალი არ იყო ძმით კმაყოფილი, — ამისათვის საკმაო საბუთები ჰქონდა, — ამიტომ მტრულ განწყობილებაში იყო ძმასთან; დედა შვილის მხარეზე იყო. რომანში არის ერთი ადგილი სადაც დედა, მოიგონებს-რა თავის ევარისტის სიყმაწვილეს, ეუბნება მას: „შენ, შვილო, თავდაბალი და მშვიდი ხასიათისა იყავი. შენს დას ცუდი გული როდი ჰქონია, მაგრამ ის იყო თავმოყვარე და მკვახე. შენ უფრო მეტის-მეტი სიბრალურს იჩენდი უბედურთადმი ვიდრე შენი და. როცა პატარა ცელქები ხეებზე ბუდეებს ანადგურებდნენ, შენ ყოველთვის იმის ცდაში იყავი, რომ როგორმე მათვის ბარტყები წაგერთმია, დედისათვის დაგებრუნებინა, და მხოლოდ მაშინ შესწყვეტიდი ამ ცდას, როცა ნაგაქცევდნენ და გაგლახავდნენ. შვიდი წლისა იყავ, — განაგრძობდა დედა, — იმის მაგიერ რომ საქმე გქონოდა ცელქებთან, შენ წყნარად ქუჩაში დასეირნობდი, კათეხიზმს იმეორებდი და ყოველ გლახას, რომელსაც კი შეხვდებოდი, სახლში მოიყვანდი, რომ მოწყალება რამ მიგვეცა; ამის გამო შენ რამოდენჯერმე კიდევაც გაგლახე... შენ არ შეგეძლო არ გეტირა, როცა სხვის ტანჯვას დაინახავდი“. და შემდეგ როცა ევარისტი წამოიზარდა, ის ისეთივე მშვიდი, წყნარი ჭაბუკი დარჩა და სახლში ყოფნა უყვარდა. „სიკვდილის ჟამსაც, — დაუმატა მოხუცმა დედამ, — ვიტყვი, ევარისტო, რომ შენ კარგი შვილი ხარ. მამის სიკვდილის შემდეგ მხნედ შეუდექი ჩემთვის ზრუნვას; ბევრს რასმეს ვერ შოულობდი, მაგრამ არაფერს მაკლებდი“. ანატოლ ფრანსი ვითომ თავის მხრითაც დასძენს, რომ ეს ასე იყო. სხვათა შორის ის რომანის ერთს ადგილას ამბობს, 1792 წელს ჰამელენს მოხალისედ წასვლა უნდოდა; დედის სიყვარულმა ამაზე უარი ათქმევინა, ვინაიდან ის ამ შემთხვევაში ულუკმა-პუროთ დარჩებოდა. ჰამელენი თვით ჩადგებოდა ხოლმე რიგში პურის საყიდლად, რომ დედა ამისთვის არ შეეწუხებინა. ერთხელ პური იყიდა, სახლისაკენ წამოვიდა, გზაზე შეხვდა ქალი ძუძუმწოვარა ბავშვით; ქალი შიმშილით გულშენუხებული იყო; ჰამელენმა ნაყიდი პურის ნახევარი მას მისცა, დედას კი სახლში უთხრა: მომშვივდო და ჩემი პორცია გზაზე შეეჭამეო.

აღნიშნულ ადგილებში ანატოლ ფრანსი ხაზს უსვამს თავის რომანის გმირის გულკეთილობასა და გულშემატკივრობას.

ევარისტ ჰამელენს ამასთანავე ზედ-მეტად განვითარებული აქვს მოვალეობის გრძნობა, რომელმაც მის პიროვნებაში სარწმუნოებრივი ხასიათი მიიღო. ავტორი მოგვითხრობს, რომ ჰამელენს შეუძლია ფილანტროპიულ ოცნებასაც მიეცეს; ის ხშირად ზედმეტ გრძნობიერებასაც განიცდის; ეს გრძნობიერება დიდ მოდაში იყო მაშინ საფრანგეთში. რომანში სხვათა შორის აღწერილია ჰამელენის ქალაქს გარედ გამგზავრება ამხანაგებითურთ. აქ მინდორთა და ველთა სივრცეში ის „ბუნებისადმი სიყვარულმა შეიპყრო“ და როდესაც დაინახა „მკელნი, რომელნიც ძნებს კრავდნენ, თვალებიდან ცრემლები გადმოუვიდა და გული და სული მისი თანხმობისა და სიყვარულის ოცნებით აივსო“. ერთხელ კიდევ რევოლიუციონურ სასამართლოს კარებზე ჰამელენმა იტირა: სამართლის ქვეშე მყოფი გაამართლეს; თავმჯდომარემ აღელვებულის ხმით ვერდიქტი წაიკითხა; დარბაზში საოცარი ტაშის ცემა გაისმა. ჟანდარმი, რომელმაც ბრალდებული მოიყვანა, მას გადაეხვია; თავმჯდომარემაც დაუძახა მას და ძმურად გადაკოცნა. ნაფიცმა მოსამართლეებმაც ის გადაკოცნეს“. არა ერთხელ ვხედავთ ჰამელენს მტირალს ღმობიერსა და გულმტკივნეულს როგორც იყო, მაგალითად, უმაღლეს არსების დღესასწაულზე, როცა რობესპიერმა „ალიარა ღმერთად ჟან-ჟაკი“... მაქსიმილიანე (რობესპიერი) აიღებს ფაკელს, ალი სჩანთქავს გველეშაპს და წარმოიშობა სიბრძნე; ერთი ხელით ის თავისთავზე მიუთითებს, მეორეში მას ვარსკვლავთა გვირგვინი აქვს. ტიულერიის სასახლესთან ესტრადა-

ზე ევარისტ ჰამელენი გაელვებულ ხალხის წინაშე ლმობიერების ცრემლებს აფრქვევს და ღვთაებას მადლობას უძღვნის. ის უკვე ბედნიერების ხანას ხედავს. და ბოლოს ჩურჩულებს იგი, „ჩვენ, ბედნიერები შევიქნებით, თუ რომ ავაზაკებმა და მტარვალებმა ხელი არ შეგვიშალეს“.

III

ანატოლ ფრანსის წარმოდგენით, ევარისტ ჰამელენი ბუნებით გულშემატკივარი, კეთილი და გრძობიერი ადამიანია. გარდა ამისა, — რომანის სხვა და სხვა ადგილას ავტორი ამბობს, რომ მისი გმირი არ იყო დამჯდარი მტკიცე ხასიათისა, ხშირად თავს მიანებებდა იმათ, ვისაც ადიდებდა, ვისიც ყოველისფერი სწამდა, ვისაც მიჰყვებოდა, ვინც უყვარდა. რევოლიუციის დროს ბრბო ხშირად გამოიცვლიდა ხოლმე კერპებს, და ჰამელენიც ამ ბრბოში იყო, მასთან ერთად ვიდოდა, დღეს ქებასა და დიდებას შეასხავდა მოთავეთა ერთ წყებას, ხვალ მეორეს და ყოველთვის, როცა კი უარყობდა წინანდელ კერპებს, ის თავის მერყეობას როდი ხედავდა.

ჰამელენის ხასიათის ამ თვისებას ანატოლ ფრანსი დედის პირით გვამცნობს, დედა კარგად იცნობდა თავის შვილს. როცა ერთხელ ჰამელენმა მას უთხრა, რომ ერთად ერთი პირი, რომელსაც რესპუბლიკის გადარჩენა, ხსნა შეუძლია, ეს მარატიამ, მან იმ წამსვე შენიშნა, თუ რას ამბობდა ის წინეთ: „ის, რასაც ეხლა მარატის შესახებ ამბობ, შვილო, ამას ამბობდი მირაბოს, ლაფაიეტის, პეტიონის, ბრისოს შესახებაც“. — „არასოდეს!“ — წამოიძახა ევარისტმა, „გულწრფელმა, გულმაგინყმა“ — დასძენს ანატოლ ფრანსი. რომანის მეორე ადგილას გადმოცემულია ჰამელენისა და მალაზიის პატრონის, ჟან ბლეზის შორის ბაასი, უკანასკნელი არა მოქალაქობრივად მსჯელობდა რევოლიუციის შესახებ. „კმარა, — ამბობდა ის, — ჩვენ კარგად ვიცნობთ მათ, ყველა იმ დიდ მოქალაქეთ, რომლებიც მოგიყვანიათ კაპიტოლზე მხოლოდ იმისათვის, რომ შემდეგ ჩამოგეგდოთ ტარპეის სალ კლდიდან, კმარა, ჩვენ კარგად ვიცნობთ ნეკერს, მირაბოს, ლაფაიეტს, ბაილის, პეტიონს, მანუელს და მრავალ სხვა პირთ; ვინ არის თავდები, რომ თქვენ არ უმზადებთ იმგვარივე მომავალს თქვენ ახალ გმირებს“.

„დამისახელეთ, მოქალაქე ბლეზ, — უპასუხა ჰამელენმა, — დამისახელეთ ის გმირები, რომელთა მსხვერპლად მიტანა ჩვენ გავგიძრახავს!“ ეს ჰამელენმა იმ გვარი ტონითა სთქვა, რომ ბლეზს გაახსენდა, რომ მას დიდი სიფრთხილე სჭირია, თავის მართლება დაინყო და სთქვა, რომ სრულიად მას ეჭვი არ ეპარება ჰამელენის მოქალაქობრიობაში და სრულიადაც არ ამტყუნებს მას მერყეობაში.

რომანისტის განზრახვა იყო, საქმე სწორედ ეგრე წარმოედგინა. როცა ჰამელენმა, უკვე რევოლიუციონური ტრიბუნალის ნაფიცმა წევრმა, ჟირონდისტების გასამართლებაში მონაწილეობა მიიღო, მას, როგორც ბევრს სხვას დაავინყდა, რომ ოდესღაც მათ განუსაზღვრელ პატივსა და თავყვანს სცემდა. „ეს ხალხი, ტრიბუნის — ამბობს ანატოლ ფრანსი, — რომელიც მათ (ჟირონდისტებს) გინებითა და ხმაურობით ხვდება, მოსამართლე, ნაფიცი, თვით ხალხი მათ მჭერმეტყველებას ტაშს უკრავდა, ალტაცებით ხვდებოდა, ადიდებდა მათ ნიჭს, ქებას ასხავდა მათ ღირსებას... მაგრამ დღეს ყველაფერი აღარ ასოვთ, დავინყებას მისცეს; ევარისტის წინეთ აღმერთებდა ვერნიოს, ადიდებდა ბრისოს. მაგრამ დღეს ამას არ იგონებს და თუ მის მესხიერებაში წინანდელ გატაცების კვალი კიდევ დარჩა, ეს მხოლოდ იმ აზრით, რომ ამ გველეშაპებმა შეაცდინეს საფრანგეთის საუკეთესო მოქალაქენი“.

ანატოლ ფრანსის რომანის მიხედვით შესაძლებელია გამორკვევა იმისა, თუ როგორ იცვლებოდნენ ხალხის კერპები. ნეკერი, მირაბო, ბაილი, ლაფაიეტი, ვერნიო, ბრისო, ერ-

თი მეორეზე საზოგადოებრივ თავყვანისცემის სიმაღლეზე ადიოდნენ და შემდეგ უბსკრულში ცვივდებოდნენ. იმ თვეებში, როცა რომანის მოქმედება წარმოებს, ჰამელენის კერპად მარატი იყო, მისი სიკვდილის შემდეგ კი — რობესპიერი, რომელმაც საბოლოოდ დაუმორჩილა ის თავის ფილოსოფიის გავლენას. ორივენი მიაჩნდა მას იმ პირებად, რომელთაც რესპუბლიკის ხსნა შეეძლოთ. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რას ეუბნებოდა ჰამელენი მარატის შესახებ დედას, რომელმაც შენიშნა, რომ ამასვე ამბობდა იგი სხვების შესახებაც. ერთ ადგილას ჰამელენი მონმეა იმის, თუ როგორ მიდიოდა მარატი, აუარებელი ხალხის თანხლებით, კონვენტში; ეს რევოლიუციონურ სასამართლოში მისი გასამართლებისა და გამართლების შემდეგ მოხდა. ამ გზაზე ჰამელენი თავმოგლეჯილი აუარებელ ხალხთან ერთად გაიძახოდა: „გაუმარჯოს მარატს!“

ტრიუმფატორი, განაგრძობს ანატოლ ფრანსი, როგორც ბედის წერა, კონვენტის დარბაზში შევიდა. სანამ ბრბო ნელის ნაბიჯით სვლას განაგრძობდა, ჰამელენი ჰონორეს ქუჩაზე კუნძზე ჩამოჯდა და გულის ცემას ხელით აჩერებდა. რაც რომ იხილა, ყველაფერმა ამან მისი არსება წარმოუდგენელი ალტაცებით შეიპყრო. ჰამელენი გრძნობდა ღრმა პატივისცემას მარატისადმი, მზად იყო გაეღმერთებინა ის და გულის სიღრმეში ფიცსა სდებდა, რომ სიკვდილამდე პატრიოტი იქნებოდა. როდესაც რამოდენიმე დღის შემდეგ ჰამელენი ერთმა მანდილოსანმა, რომელსაც საქმე ჰქონდა მარატთან, ინახულა, ჰამელენმა ურჩია მარატთან მოსვლა. „თუ თქვენ უბედური ხართ, — უთხრა მან, — მარტო თქვენ მიგიღებთ: მის დიად გულს თანაგრძნობა და შებრალება სჩვევია. ის მიგიღებთ მაშინაც, თუ თქვენ გინდათ შეატყობინოთ რამე, რაც საზოგადოებრივ მშვიდობიანობასა და რესპუბლიკის ხსნას შეეხება, ვინაიდან ის ყოველთვის მზად არის მოლაღატეთა თვალთმაქცობა და ცბიერობა გამოამჟღავნოს“. მაშასადამე, ორი მოტივი უკარნახებდა ამ რჩევას: მარატი გულშემატკივარი ადამიანი იყო და მასთან ერთად სამშობლოს მხსნელი.

ეს სწორედ მარატის მოკვლის წინა დღეებში იყო. მარატის სიკვდილმა მას თავზარი დასცა; პირად მწუხარებისა და პატრიოტული შიშის გამო მისი თვალები ცრემლებით იყო სავსე. „აი, კიდე ერთი სიკვდილი! — ამბობს ჰამელენი — მე შევიგნე ბედი პატრიოტების. მათ ჰკლავენ მარსის მინდორზე, ნანსში, პარიზში... ისინი ყველანი დაიღუპებიან!“ რამდენი საშიშროება მოგველის კიდეც, რამდენი საზიზღარი შეთქმულება, ლალატი... ყველაფერს გამოარკვევდა და ბოლოს მოუღებდა მხოლოდ მარატის გონიერება და წინდახედულება.

„ხალხის მეგობრის“ სიკვდილამდე ჰამელენი მთელ დროს კორდელიერთა კლუბში ატარებდა; ეხლა მარატის სიკვდილის შემდეგ რობესპიერის პატივმცემელი გახდა და იაკობინელთა კლუბში დაიარება. აქ არ იყო, ამბობს, საბო კარმანიოლა, დანტონისტების ხმაურობა; აქ გამეფებული იყო ადმინისტრაციული თავის დაჭერა და ბურჟუაზიული მართებულობა. ჰამელენი, როცა ოქმების კითხვას ყურს უგდებდა, დაბნეულათ ათვალაიერებდა ტიტველ და მონყენილ კედლებს. ამ კედლებს ოდესღაც უხილავთ ერესის დიდ ინკვიზიტორის სულიერი შვილნი, ეხლა კი ეს კედლები უცქერიან სამშობლოს მოლაღატეთა ინკვიზიტორების კრებას“. დიდი მონინებითა და კრძალვით აღვსილი იყო ჰამელენი ამ ადამიანთა მიმართ; მას უკვირდა მათი ფხიზლობა, იჭვიანობა. დოგმატიური აზრი, წესიერებისადმი სიყვარული, მართვა-გამგეობის ხერხი, გონიერობა... განსაკუთრებით რობესპიერი იწვევდა მის ალტაცებას. რობესპიერის ბაგეებმა გააგებინა მას უმაღლესი სიბრძნე. „წინეთ ჰამელენი ჟირონდას ამტყუნებდა იმაში, რომ მას მონარქიის აღდგენა სურდა ანდა ორლენანთა ხროვის გამარჯვება და გმირულ ქალაქის დაღუპვა, იმ ქალაქის, რომელმაც გაათავისუფლა საფრანგეთი და სულ მალე გაათავისუფლებს მსოფლიოს. ეხლა მის წინ გადაიშალა უფრო მაღალი და უფრო წმინდა ჭეშმარიტებანი, სიმართლენი: მან შეითვისა რევოლიუციონური მეტაფიზიკა, რომელიც ამაღლებდა მის სულს. ათავი-

სუფლებდა ცთომილებისაგან და აბსოლუტის სფეროში გადაყავდა. საგნები თავის თავად შერეული და გადახლართული არიან, და ფაქტების სირთულე ისეთია, რომ სავსებით დაიკარგება ადამიანი იქ. რობესპიერმა გაუმარტივა ყოველისფერი; სიკეთე და სიბოროტე მარტივ და ნათელ ფორმულებით დაუსახა. ფედერალიზმი, განუყოფელობა; ხსნა განუყოფელობაში და მთლიანობაშია, ჰამელენი გრძნობს ნაცნობ სიტყვას, რომელსაც ხსნა შეუძლია. დღეიდან რევოლიუციონური სასამართლო, როგორც ადრინდელი საეკლესიო სასამართლოები, განაგებს აბსოლუტურ დანაშაულობას, სიტყვიერ დანაშაულობას. ვინაიდან ევარისტს სარწმუნოებრივი განწყობილება ჰქონდა, ის ყველა ამ აღმოჩენებს მწუხარე ენტუზიაზმით ითვისებდა; მისი გული ცახცახებდა და ხარობდა იმ აზრის გამო, რომ ანი მას აქვს სიმბოლო დანაშაულობისა და შეუცოდველობის გასარჩევად“. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. „გონიერმა მაქსიმილიანემ შეაგნებინა მას იმათი განზრახვანი, ვისაც სურდა ქონების გათანაბნობა და მიწების დაყოფა, სიმდიდრისა და სიღარიბის მოსპობა და ყველასათვის ბედნიერ საშუალობის დანესება. გატაცებული მათი წესებით, მას თავდაპირველად მოსწონდა მათი გეგმა, რომელიც ჭეშმარიტ რესპუბლიკანელის პრინციპებს სავსებით ეთანხმებოდა. მაგრამ რობესპიერმა თავისი სიტყვებით იაკობინელთა კლუბში გამოამჟღავნა მის წინაშე ამ ხალხის ზრახვანი, რომელნიც ჰამელენს მიაჩნდა სამართლიანად, და განუმარტა, რომ ამ ვაჟბატონებს რესპუბლიკის დაღუპვა უნდოდათ და ამიტომ მდიდართა შორის პანიკას ჰქმნიდნენ და სხვ. ერთი სიტყვით, ესენი გახდნენ „მოლალატენი და ავაზაკნი, უფრო საშიში, ვიდრე ფედერალისტები“.

ჰამელენმა რობესპიერის განმარტების შემდეგ შეიგნო, თუ რამდენად მავნებელია ატიეზმი. თვითონ ის არასოდეს არ უარყოფდა ღმერთის არსებობას, დეისტი იყო, თუმცა ნათლად და გარკვევით როდი ჰქონდა წარმოდგენილი უმაღლესი არსება, მაგრამ ის როდი ამბობდა, რომ პატიოსან ხალხს არ შეუძლია უარყოს ღვთაების არსებობა, თუ კი ეს ხალხი თავის გულში ატარებს სიკეთის წყაროს. ის ერთგვარ სიმპათიასაც გრძნობდა ატიესტებისადმი, როდესაც ამ უკანასკნელებს ლანძღავდნენ და სდევნიდნენ. რობესპიერმა თვალები აუხილა ჰამელენს, აუხსნა ატიეზმის ნამდვილი ხასიათი, მისი ბუნება, მისი წადილები და მისი შედეგები, ატიეზმის, რომელიც წარმოიშვა არისტოკრატიულ სალონებში და ბუდუარებში, რომელიც ხალხის მტრებმა გამოიტანეს მის გასათახსირებლად და კიდევ უფრო მის დასამონაველად, ვინაიდან დანაშაულობაა ადამიანისათვის დამამშვიდებელი რწმენის წართმევა... ჰამელენს ამ განმარტებების შემდეგ ატიესტები შესძულდნენ.

მისი აზრი აღელდა და იჭვით აივსო. „როდესაც ელოდიას სანახავად ღამე წავიდოდა ცუდათ განათლებულ ქუჩებით ყველა სარდაფში ყალბ ასიგნაციების საჭრელი მანქანები ელანდებოდა; პურის მცხოვლის ან ბაყლის მაღაზიაში მას ეჩვენებოდა გადამალული სურსათი; ბრწყინვალე რესტორანებიდან მას ესმოდა იმ აჟიოტერების მუსაიფი, რომლებიც ქვეყნის განადგურებას ამზადებდნენ მაშინ, როცა მშვენიერ ღვინოს შეექცეოდნენ. ბინძურ, ტალახიან გადასახვევებში ის გრძნობდა როსკიპებს, რომელნიც მზად იყვნენ ფეხით გაეთელათ ეროვნული კოკარდები, დროშები... ყველგან შეთქმულებს და მოლალატეებს ხედავდა, და ფიქრობდა: „რესპუბლიკავ! რამდენი ფარული და ცხადი მტერი გყავს! მათ წინააღმდეგ შენთვის მხოლოდ ერთი ხსნაა... წმინდა გილიოტინავ, იხსენ სამშობლო!“

არის ადგილი, სადაც ანატოლ ფრანსი გადმოგვცემს ჰამელენის ფიქრებს; ეს ფიქრები პანეგორიკაა რობესპიერისა, ამ ახალ მესიასი, რომლის თვალში რესპუბლიკის მტრებია დანტონი, ემილ დემულენი, ებერი, შომეტი: ყველანი ისინი დახოცილი იყვნენ და მხოლოდ ამგვარად რესპუბლიკა გადარჩა. „როგორ! ხალხის საქმის მოლალატეობისთვის მაშასადამე არ იყო საკმარისი მირაბო, ლაფაიეტი, ბაილი, პეტიონი, ბრისო. საჭირო იყვნენ კიდევ ისინიც, ვინც ამხილა ეს მოლალატეები. როგორ! ყველა ის ხალხი, რომელმაც რევოლიუცია

შექმნა იმისთვის, რომ დაბოლოს დაეღუპათ! ნუ თუ იმ პირთა შორის, რომლებმაც სიკვდილით დასაჯეს ვერაგი დანტონები და ვერაგი შომეტები, რობესპიერის გამჭრიახი თვალი ვერ აღმოაჩინეს უფრო ვერაგებს? და სად შეჩერდება შეწყვეტილი ჯაჭვი მოლალატეთა, რომელნიც ერთგული იყვნენ, და შეუსყიდავის გამჭრიახობისა“.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ჰამელენის ფიქრი ამავე საგანს დაუბრუნდა. ფლერიუსთან გამარჯვებამ მოაგონა მას, თუ როგორ მიმდინარეობდა საზოგადოებრივი ცხოვრება გასულ წლებში. სასტიკ ზომების გარეშე, რომლის დიდი, მხურვალე მომხრე თვით იყო, ავსტრიელების ცხენები ტიულერის ბალის ხეების ქერქს დაჰღრღინდნენ; ეხლა კი ის ზის იქ, ფიქრობს სამშობლოს ბედ-იღბალზე და აღტაცებულია „მსხნელ ტერორის, სათნო ტერორის, საყვარელ გილიოტინის ნაყოფით“. მას უკვირს საზოგადოებრივ პარტიის ნიშნები, როცა ამდენი მოლალატენი და შეთქმულები არიან კიდეც, როცა რევოლუციონურ კომიტეტების შემადგენლობით განახლება და კონვენტის განწმენდაა საჭირო, როცა სამშობლო უნდა განთავისუფლდეს ყველა ამ ფუშეებისა, ტალიენებისა, რევეროვებისა და ბურბონებისაგან, რომელთაც ხელები სისხლში აქვთ ამოსვრილი. „შენ გძინავს, რობესპიერო, მაშინ როცა ავაზაკებს, დამთვრალი გულის წყრომით, შენი მოკვლა აქვთ განზრახული და თავისუფლების დასამარებას ემზადებიან. კუტონო, სენ-ჟუსტო! რატომ არ გინდათ ამხილოთ ახალი შეთქმულება? როგორ! ძველი სახელმწიფო თავს იცავდა მით, რომ ციხეებში ყოველ წელს ოთხას ათას ადამიანს ამწყდევდა, ხუთმეტ ათასს ახჩობდა, სამ ათას ურმის თვალზე დააკრავდნენ სატანჯველად. ნუ თუ საფრანგეთის რესპუბლიკამ არ უნდა მიიტანოს სხვერპლად რამოდენიმე ასი კაცი თავის არსებობისა და ძლიერებისათვის. დავიხრჩოთ სისხლის მორევში და გადავარჩინოთ სამშობლო“.

ალ. მდივანი

ნიცშე და შტრინდბერგი

როცა ჩვენ უკანასკნელი სამი გენერაციის თანამედროვე ტრალიკულ ადამიანს ვადარებთ წინასაუკუნოების ტრალიკულად განწყობილ ადამიანებს, ჩვენ ვამჩნევთ, რომ თანამედროვე ტრალიკული ადამიანი ვერაა სრულყოფილ მთლიანობის განსახიერება. სულიერი ძირითადი ფორმების სხვაობანი თავს იჩენენ თვით სილუეტურ მოხაზვაშიც.

ნიცშეს და შტრინდბერგის ცხოვრებაში, მათს დამოკიდებულებაში სამყაროსთან ორი მთავარი ხაზის გარკვევაა საჭირო: ერთია სულიერი, მეორე — ეროტიული.

ეროტიული და სულიერი ელემენტები მიზეზია მათი ანტიპოდურ დამოკიდებულების. ორივე ტრალიკულად იყო განწყობილი. ორთავე განსხვავებულ პოლარულობათა წარმომადგენელი. ერთის დამოკიდებულებაა, დამოკიდებულება შეყვარებულის, მეორის სიყვარულისა. შტრინდბერგის იდეებით შეპყრობილობა პირდაპირ ეროსიდან მოდის. ნიცშეს ეროტიკა მიზან-იდეებითაა მეტყველი. ნიცშე — მუსიკოსი, ნიცშე — იბრძოდა. შტრინდბერგი — პოლიტიკოსი, შტრინდბერგი — ლოცულობდა. ადამიანის არსება არასოდეს ისე მკაფიოდ არ იხატება მის პასიურ განწყობილებაში სამყაროსადმი — არამედ მისი აქტიური განწყობილებაა მისი სულობის საუკეთესო პრიზმა.

შტრინდბერგი ვერ მოსცილდა ქალს, დედაკაცს, თუმცა იგი ნიცშეს თვალებით შესცქეროდა მას.

ნიცშე ახლოსაც ვერ მივიდა ქალთან, თუმცა იგიც შტრინდბერგის თვალთ შეჰყურებდა ქალს.

ნიცშესთვის ოჯახი უდიდესი დაბრკოლება იყო დამოუკიდებელ ადამიანისათვის. ნიცშე როგორც მეოჯახე — ეს სრულიად წარმოუდგენელია. შტრინდბერგი სათუთი ქმარი და მამა იყო, ეს ცოტაა, იგი ოჯახს უმღეროდა ისეთი ნაზი ტონებით, რომ ჩვენი რღვევისა და დეგენერაციის საუკუნეში, როცა ყოველივე კავშირი რღვევისაკენ ისწრაფვის, ეს სიმღერა ისმოდა როგორც ძველთა ძველი და მომჯადოებელი მელოდია.

ნიცშეს ცხოვრება მუდამ მიმართული იყო მეგობრულ კავშირების ძლევისაკენ, იგი რაც უფრო წინ მიდიოდა, იმდენად მარტოვდებოდა. შტრინდბერგი მუდამ იმ უფსკრულის ამოვსებას ელტვოდა, რომელითაც გაყოფილი იყო ადამიანობისგან. მარტოხელა ნიცშე, მარტოხელა შტრინდბერგი ეს ორი სხვა და სხვა მარტოობაა. მარტოხელა შტრინდბერგი per distance განიცდიდა ათას კონკრეტულ ბედისწერას, მარტოხელა ნიცშე, სილს მარიას მწვერვალზე, თავის ტრალიკულ ბედზე ქმუნავდა მხოლოდ. ნიცშეს შვეიცარიის მაღალი გლეტმერები უყვარდა, ფანტასტიური მოხაზვით და კონტურებით, უსუბსტანცო თეთრი-ცისფერი ობერ ენგადინისა და სილს მარიასი.

ხოლო შტრინდბერგი სტოკჰოლმელი ზღვის სანახებზე იყო შეყვარებული, ამ ლანდ-შაფტში არ ურევია ეროტიული ელემენტი.

ნიცშეს გზა შოპენჰაუერის პესიმისტური ფილოსოფიიდან გამოდის და ზეკაცის გმირულ-რიგორისტური მორალით სრულდება.

შტრინდბერგის გზა სულ წინააღმდეგ: პირველიდგან იგი შეუდრეკელი რეფორმატორია, შემდეგ კი ქრისტიანულ-რომანტიული მისტიციზმით ათავებს თავის სიცოცხლეს.

პირველი ტანჯვით იკაფავს გზას ცხოვრებისას, ტანჯვაში გმირობას ეძიებს, მეორე ნელ-ნელა შორდება სამყაროსა და რეალობას და გადაჭარბებული დინამიკით აფეთქდება მისი ცხოვრება. სიყვარული და ზიზღი იყო მარტოხელა შტრინდბერგის პოლიუსები.

კოსმურ ატმოსფერასა და კოსმიურ სიძულვილს შორის სრულდება მარტოხელა ნიცშეს მარტვილობა. საშინელი სისასტიკის შემცველია უკანასკნელი სიტყვები, გულთბილი და ნაზი ნიუანსებითაა სავსე შტრინდბერგის უკანასკნელი ქმნილება. დასასრულში სასომიხდილი პოეტი ქედს იხრის: მე უბრალო მომაკვდავი ვარ. ეს იყო მისი ცხოვრების უკანასკნელი აღსარება.

წინასწარმეტყველი აღსრულდება, როგორც ჰიბრის ორნაირ ზეცის: დიონისო და ჯვარცმული. ბედმა არ აღირსა არც ნიცშეს და არც შტრინდბერგს, გოეთე-შილერის კვალობაზე მეგობრულ ინტიმურობაში ეცხოვრათ და ემუშავნათ.

ნიცშეს წერილი ბრანდესისადმი ამოწმებს, ნიცშეს და შტრინდბერგის ანალოგიურ განწყობილებას ქალისადმი.

როცა ნიცშეს შტრინდბერგმა თავისი „მამა“ გაუგზავნა, მან საპასუხო ნობათად მიიღო ზარატუსტრა. მხოლოდ შტრინდბერგის ნოველა „ჩანდალას“ შემდეგ იზრდება უფსკრული ამ ორ გიგანტიურ სუვერენთა შორის.

ეს ბუნებრივი იყო: იდეას უფლება სჭირია, ხოლო სიყვარულს სათნობა. ნიცშე-შტრინდბერგის მიწერ-მოწერა ნიცშეს გონების დაბნელებამ მოულოდნელად შესწყვიტა. როცა შტრინდბერგი თავის დამასკიდან დაბრუნდა, მან აღიარა თავისი აზრი იმ ადამიანის შესახებ, რომელზედაც მას „წლების განმავლობაში უფიქრია“.

„ცეცხლში გადაგდებული შანთი“, — სთქვა შტრინდბერგმა ნიცშეზე.

ხოლო თუ როგორ ფიქრობდა ნიცშე შტრინდბერგზე, ამისთვის საკმაოა მოვიგონოთ, რომ იგი თავის „ვალ ვაგნერში“ სიტყვა ვაგნერს „შტრინდბერგით“ სცვლის.

შტრინდბერგი და ნიცშე დიდი ანტიპოდებიც იყვნენ და ამავე დროს ტყუპი შვილები ერთი და იმავე ვულკანიური ელემენტის.

ექსპრესიონიზმი

ექსპრესიონიზმი უახლესი ლიტერატურული პაროლია, მას არაფერი საერთო არა აქვს იმპრესიონიზმთან. არც თუ გაგრძელებაა იმპრესიონიზმის ტრადიციების და მისი მანერის.

ექსპრესიონიზმის ძირითადი ფონი იყო: გრადაცია იდეისა და ძალისა.

ექსპრესიონიზმს მრავალ გვარი წინაპარი მოეპოვება სიდიდისა და ტოტალურობის მიხედვით, მისი ფესვები ყოველ დროში და ყოველ ქვეყანაში მოიპოვება.

ის რასაც ექსპრესიონისტურს ვხედავთ დღეს, ეს მხოლოდ მისი სახეა, რომელიც ჩვენ გვალეღვებს; სისხლს ჩვენ ველარ ვხედავთ. ხელოვნებაში პროგრამების პოსტულაცია ადვილია, ხოლო პაროლების ასრულებაა ძნელი.

ისინი, ვინც შემოქმედების ბნელ ინსტინქტს აყოლილნი ქმნიდნენ, ჩვენს წინაშე დგანან როგორც ექსპრესიონიზმის მქადაგებელნი.

როცა მე ამ სამი წლის წინად ჩემი პირველი წიგნი გამოვაქვეყნე, მე სრულიად მიზნად არა მქონია ექსპრესიონიზმი დასახული, მხოლოდ სხვებმა სთქვეს, ეს წმინდა წყლის ექსპრესიონიზმია. მხოლოდ უნაყოფონი ასტეხენ ხოლმე თეორიის გარშემო აურზაურს.

საკუთარი გეზისთვის ბრძოლა კეთილშობილი საქმეა.

მაგრამ თავის თავის რომელიმე ხელოვნურ მიმართულებების უბადლო და ერთად ერთ მოციქულად გამოცხადება ეს ფილისტერული ბაქიობაა, სხვა არაფერი.

საქმეს საბოლოოდ ყოველთვის შემოქმედებითი ძალა სწყვეტს.

გაჩნდნენ ახალი მოძრაობის ხელოვანნი.

ისინი არ კმაყოფილდებიან მსუბუქი ეფექტებით.

ისინი არ კმაყოფილდებიან შიშველი ფაქტებით.

ისინი აღარ ექვემდებარებიან მხოლოდ იდეებს, არც თუ წვრილ ბურჟუაზიულსა და კაპიტალისტურ საზოგადოების პიროვნულ ტრადედიას.

მათ უსაზღვრო გრძნობა გამოეცხადა.

ისინი როდი ჰხედავენ.

ისინი სჭვრეტენ.

იმათ ფოტოგრაფიული გადმოღება ანი აღარ სწამთ.

ისინი ვიზიონერულ ხილვას არიან მოწყურვებული.

მაშხალის ნაცვლად მათ შეჰქმნეს მუდმივი ღელვა.

მომენტალურ განცდის მაგივრად — მუდმივი გავლენა დროზე.

მათ ეზარებათ ბრწყინვალე პარადი ცირკების.

მათ უყვართ ნამდვილი და წრფელი განცდა.

კაზიმირ ედშმიტი

გალაკტიონ ტაბიძე

(სილუეტი)

მთელი საუკუნის განმავლობაში ჰკვდებოდა საქართველო.

იყო ბარათაშვილი და მისმა სათუთმა სულმა იგრძნო მძიმე ავადმყოფ დედოფლის, სასიკვდილო აგონიის დასაწყისი.

ბედით დაჩაგრული, მოხელეობით დაწყევლილი გენია დასტიროდა ქართლის ბედს.

უკუნეთი...

ხსნა არსით სჩანდა. არ იყო გზა. იყო მხოლოდ ერთი გამოსავალი, — მონობაში ორგია და თავდავინყებაში გადავარდნა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ტრალიკული სიკვდილი...

გრ. ორბელიანი სადღეგრძელოებში და ლოპიანას მუხამბაზებში იკლავდა პატრიოტულ ჟინს.

„დავლიეთ გაგიხარია...“

ვამაყოხ საქართველოთი“ (გ. ტაბიძე).

იყო უდაბნოება.

„ბარაბანიტა და მუზიკით კვდება საქართველო!“ — ამბობდა მწუხარედ პატრი ნიკოლა.

„რა კარგი გამოგონებაა სასაფლაო!“ — ამბობდა დამტვრეულ რუსულით ბარათაშვილი.

შემდეგ ერთი საუკუნის უდაბნო აქა-იქ ოდნავ ნაღვლიანად მბჟუტავ კელაპტრებით. მივინყებულ მონასტრის კედლებში ნაღვლიანი ცეკვა სამაიისა.

საუკუნეებით დაბინდული სახე ქართველ ქალებისა...

ქართული სულის ინტერესი სამზარეულოს სიბრძნით დამთავრდა.

რუსთველიდან და ბესიკიდან კნ. ჯორჯაძემდის.

„ვეფხის ტყაოსნის“ უნაზეს აკვნესებიდან საქართველო კერესელიძის „ციცკრის“ რედაქციამდის მივიდა, სადაც გულმოდგინედ სწავლობდნენ კომბოსტოს დამყავებას და ბოზბაშის კეთებას.

შემდეგ ილღუზია ლიტერატურულ რევოლუციისა.

თერგდალეულთა პოეზია.

კეთილშობილი გაქანება მოქალაქეობრივ მოტივებში და კასტრაცია პოეზიისა!

ბანკობია და აპელაცია.

კრილოვის იგავ-არაკებით თავის გართობა.

და ასე უდაბნოება და უდაბნოება...

შემდეგ შეიქმნა ახალი გაჭენებული ცხოვრება...

პროპელერმა დააფრთხო ზეცის იდუმალობა.

სივრცე აცახცახდა რადიოს ტოკვით.

დრო გაფრინდა ელვის სისწრაფით.

მანქანების ქარიშხალმა გაანიავა წარსული.

და აი, მოვიდა ვაჟი დათენთილი ამ სასტიკ ქარიშხალით, დათენთილი ქალაქის შემოდგომიან დღეებით, დაწვნილი სულით.

მოვიდა იგი „დაღლილ ქალივით“ და მას შორეულად ეალერსებოდნენ წარსულიდან თეთრ პარიკებით, მალალ წინდებიანი და თეთრ ხელთათმანიან პაჟების გვერდით პირი მზის სამაია თავისი ოქროს ბალთიან ქოშით და ამდგარი ცამეტი სვეტი.

მოვიდა იგი ნაზი, მოქანცული და დაემხო შემოდგომის ფოთლებით დაფურცლულ, ანიავებულ ჟამთა ვითარების გამო გამოყვითლებულ, მივინყებულ მარმარილოს თლილ კიბეებზე და აქვითინდა უცხო ხმაზე.

საგნებმა და მოვლენებმა უღალატეს ადამიანს.

ისინი არ იძლეოდნენ ჩვეულებრივ სახეებს.

ისინი არ ეგებებოდნენ ჩვეულებრივად მოსიყვარულე ქალივით შემოქმედს. და პოეტი დაიბნა. პოეტმა იგრძნო ღალატი სამყაროდა. იგი ვერ იჭერს ჩვეულებრივ გამოსახვას საგანთა შინაგან არსისას და სასონარკვეთილი იმწყვდევს თავის სულში.

და ნაღვლიანი აქვითინდა პოეტი.

ჯერ არავის ეგრძნო ასეთი ლალატი სამყაროსა და სმენა მიაპყრეს პოეტს.

ჯერ არავის გაეგონა ასეთი ქვითინი, ასეთი ნაზი ტიტინი აკვნესებულ სულისა.

ჰქვითინებდა იგი თეთრ ვერსალზე, საუკუნეების ქარიშხლით დაღწილ ძველ მცხეთაზე და თეთრ სვეტიცხოველზე.

მოვიდა იგი და მას მტრულად განწყობილი ცხოვრება დახვდა ბროლის ვაზებისა და ნერწყვთ დედოფლის მაგიერ.

მათ უკვე კარგა ხანია სცენა დასტოვეს. სცენა ცარიელია. იგი კი ისე შემოიჭრა კულისებიდან ნეტარ მოლოდინით აღსავსე, მაგრამ სიცარიელე და ათითხნილი, ბინძური დეკორაციები დაჰხვდა ლეგენდების მაგიერ.

მას მეტად დააგვიანდა გამოსვლა.

იგი დაგვიანებული გრძნობების მაყარია მივარდნილ აივნებისა, რომელზედაც კევილექია, ხავერდისფერ თვალეზიანი, დამწველი თავდახურული ქალები რომ გადმოეფინებოდნენ ხოლმე ჭრელ ნოსებივით. მოვიდა იგი ნაზი, სათუთი და მოიტანა თავისი გამხდარი, გრძნობებით დათენთილი ნერვები.

მოვიდა და ჰკითხულობს უმანკო გულუბრყვილობით:

„შორეული ქალის ეშხი
მოვა... მაგრამ როდის?
სიყვარული სასახლეში
მხოლოდ ერთხელ მოდის!..“

იგი ჭიანურის კვნესასავით ნაზია და ჰშიშობ, რომ გრძნობათა ამონთხევაში სული არ დალიოს წყნარად, ნაზად, როგორც უიმედო სიყვარულით დაჭლექებული ასული, გაეპარება ხოლმე ერთ მოქათქათე ღამეში სიცოცხლეს.

მეცხრამეტე საუკუნის სულის დაღევაში არიყრაყდა ანთებული მე-XX საუკუნე.

გ. ტაბიძე მოვიდა წარსულის პანაშვიდზე და გამოიტირა იგი.

და პანაშვიდი იგი მიაგავს ხანდახან ლიუციფერის შავბნელ მესსას, შავს მესსას ფარულ ღვთის გმობით:

გალაკტიონი შევიდა ძველ პარკში და დაიძირა მის ნოტიო ბინდების მტევნებში. მთვარე ოდნავ ანათებს უნუგემო მათხოვარ ქალის მკლავებივით დაძონძილ ხეებს.

ოქროს ფერია ყველგან თავადათ.

მივიწყებული, ნახევრად დანგრეული და ჩამშრალი აუზი.

დაცარიელებულ და თაღებ ჩამოქცეულ ძველ სრა-სასახლეებში დადის ლანდებთან ერთად ნაღვლიანი პაჟი ნელა.

და აქ გ. ტაბიძე ჯადოქრობს ძველ კარაბადინით. ამოდრავდებიან მარიონეტები, ცოცხლდებიან ნილაბები:

„ღამეა. მთვარე. ხეივანი.
— ოჰ, მეგობარო!
მომჯადოებელ ვარდს ვეძახდი
გუშინ რუსუდანს.
— მაშ ახლა უნდა მოგილოცო.
თუ გსურს მართალი,
მე მშვენიერი მირჩევნია
ყველას თამარი!
რაც შეეხება ლამაზ ნინოს...“

(დაბოლოება წარმოითქმის
სავსებით წყნარად:
ხელი მეგობრის დაეყრდნობა
მოსაუბრის ხელს).
— დეე, იყოს ასე! მაგრამ შერიფს!..
ოჰ, ეს შერიფი!
(ლურჯდება ჰაერი
ენტება ღამე)“.

ასეთია საუბარი ძველ პარკში.

საოცარი მოუსვენრობაა გამეფებული მის წიგნში.

ყველაფერი მოულოდნელია და თეთრი საშინელება იპყრობს შენს სულს, საშინელება თენებისა, როდესაც ჰგრძნობ სიცრუეს, ჰგრძნობ შეფგუფებულ კომმარებს დღისას.

მისი წიგნი ცახცახებს ნერვიულად.

მისი ნალველი გიპყრობთ თქვენ და უმწეობას გაგრძნობინებს.

უმწეობა და ირონია.

არ არის ხსნა. არ შეიძლება გამოხლართვა იმ წარსულის სახეებისა თანამედროვე ცხოვრების კანვაზე. ფორმა დაშორდა შინაარსს. საგანი არ ენდობა თანამედროვე თვალებს.

„ჯვარს ეცვი თუ გინდა საშველი,
არ არის, არ არის, არ არის“.

მაგრამ პოეტი იმედს მაინც არ ჰკარგავს. იგი იპოვნის სულს საგნისას, სულს გარემოისას. ხანდახან მისმა სულმაც იცის მოლოდინი და იმედი.

„როგორმე ქარმა თუ მიმატოვა,
როგორმე ზამთარს თუ გადაურჩი!..“

ჰკვივის იგი აწივლებული სულით, მაგრამ ლურჯა ცხენები მიჰქრიან.

„შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეები,
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!“

ასეთია გ. ტაბიძე.

მერის სახელი არ ასვენებდა მის სულს, სახელი, რომელიც ისე სასტიკად აკვნესებდა შელლისაც. სახელი, რომელიც ლეგენდად გადაიქცა.

დადგა ბებერი როკაპივით ავი ზამთარი.

თოვლით დაიბინდა ყველაფერი.

ლამაზია ზამთარი, მაგრამ ნალვლიანი.

ალვები დაყუნწული არიან თოვლის ბრილიანტებით.

„ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს გადაზნექილი სიზმრების წელი!..“ — ნატრობს პოეტი.

„ათოვდა ზამთრის ბალებს.
მიჰქონდათ შავი კუბო“
და შლიდა ბაირალებს
თმა განწილი ქარი“.
გზა იყო უდაბური,
უსახო უპირქუბო,
მიჰქონდათ კიდეც კუბო.

ყორნების საუბარი;
დარეკე!.. დაუბარე!..“
ათოვდა ზამთრის ბალებს“.

გალაკტიონი დათენთილია ტფილისით.

მას უყვარს იგი.

და მას ელანდება მისი მოჩვენებანი. მოსვენებას არ აძლევს მის სულს მადათოვი, მა-
მადავითი, არსენალი. მას უყვარს ტფილისი და სულის კანკალით შესცქერის ყორნის მა-
დათოვზე გადმოფრენას, სადაც მიყრუებული რესტორანი ანათებს ტივებიან ნაპირებს.

იგი მოვიდა დატვირთული ძველ სახეებით, ძველ, ძვირფას ნივთებით, მაგრამ თანა-
მედროვეობას არ ესმის ამ ნივთების მნიშვნელობა. თანამედროვე სასძლოს არ უნდა იგი.
და იგი დადის მარტო, დადის თავისთვის.

თამაშობს ამ ძვირფას ქვებთან...

ეალერსება მათ...

იტანჯება მათთან ერთად — და ცრემლით დატვირთულს ისვრის ზღვაში თავორეს
მეზღვაურით.

მეტად სასტიკია, ავი ქარიშხალი დაუნდობელი.

პოეტის სული კი მეტად ნაზია, რომ მას გაუძლოს.

იგი სასაფლაოზე აშოლტილ კიპაროსის წელივით იზნიქება ქარიშხლიან ღამეში და
მისი ტოტები სტვენენ, ჰქვითინებენ ზამთრის სისასტიკეს.

და მწვავეა ეს ქვითინი მწვავე. პოეტმა არ იცის, სად მიიტანოს იგი, ვის სულში დაას-
ვენოს, რადგან მეტად უყვარს თავის ნამება, უყვარს ტანჯვა და ეძნელება, რომ ანდოს
იგი ვისმეს.

პოეტმა სულიდან ამოიგლიჯა მოფართქალე გული, ჯერ კიდევ მოცახცახე არტერი-
ებით და სწურავს იგი თავისსავე გულს, სწურავს და შიში გიპყრობს, რომ იგი დაიცლება
სისხლისაგან და დაეცემა პაჟი დედოფლის ფერხითით უსულო.

და დედოფალს თვალიდგან რამდენიმე მდულარე ცრემლი ჩამოვარდება და მარგა-
ლიტად გაყინულ მკერდზე დაებნევა პაჟს.

გათავდება პიერო, სულს დალევს იგი და ნაზი კოლომბინა დაიტირებს მას.

გათავდება ყველაფერი, გათავდება...

ფარდა...

პარტერი დაიცლება.

და დარჩება ცარიელი სცენა და ცარიელი პარტერი, ნაღვლიანი, დასევდიანებული
ნაზ მოგონებათა და იდუმალ ფუსფუსით.

იქ, მძიმე ვარდის ფოჩვებ ქვეშ, პატარა ჯუჯა გამოძვრება მშვილდისრით და პატარა
რუხ თავგს უდარაჯებს მოსაკლავად.

ნილაბები კედელზე ჰკიდია და ელიან ხელახლად მგოსანს.

ნილაბები ელიან პოეტს განუსაზღვრელი სურვილით ამეტყველებას მოსურვებულნი.

საათი კი კაკუნობს, კაკუნობს.

ნილაბები ხელახლა გაცოცხლდებიან და იტყვიან ახალ სიტყვას, იტყვიან...

ნილაბები ელიან მგოსანს...

დემნა შენგელაია

ჰეროდა

საბერძნეთის ლიტერატურის ისტორიაში მოიპოვება მრავალი მწერალი, რომელთა შესახებ უკეთეს პირობებში შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ მცირერიცხოვან და მცირესიტყვიერ ნაწყვეტებით, უარეს პირობებში კი მოკლე, ერთიმეორის მოწინააღმდეგე და ხანდახან ყალბ ცნობებით.

ასეთ მწერალთა შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მათგან დარჩა მხოლოდ ჩრდილი და ისიც არა სალამოსი, არამედ შუადღისა, თვალთავან ოდნავ შესამჩნევი.

ასეთ მდგომარეობაში იყო 30 წლის წინად პოეტი ჰეროდაც, რომლის შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე დაფანტულ ლექსებს, ნაშთს მისი შემოქმედებისას, ჩვენ მხოლოდ ვიცოდით, რომ ის სწერდა მიმიამბებს, ე. ი. მიმებს, ანუ ყოველდღიური ცხოვრების სცენებს იამბიურ ზომით. ვიტყვი კიდევ მეტს! დროც კი, რომელშიც იგი ცხოვრობდა, შეუძლებელი იყო ნათლად გამორკვეულიყო. თავის დროს კი ეს მწერალი მეტად განთქმული იყო, როგორც ეს მაგ. პლინიუს უმცროსის სიტყვებითგან სჩანს, რომლითაც იგი ანტონინეს მიჰმართავს. (Ep, IV, 3, 3): „მე ალტაცებაში მოვედი, როდესაც შენი ეპიგრამები და მიმიამბები წავიკითხე. რამდენი მოხდენილობაა და სილამაზე, გონება მახვილობა და სწორი ასახვა სინამდვილისა! მე მეგონა, ხელში მეკავა კალიმახის, ან ჰეროდას ქმნილებანი!“ მაგრამ არც განთქმულმა სახელმა დაიხსნა ჰეროდა დაინწყებისაგან და ბედნიერი შემთხვევა რომ არ ყოფილიყო, იგი ჩვენთვის დარჩებოდა ცარიელ ხმად.

მაგრამ აი 1890 წ. ეგვიპტეში აღმოჩენილი იქმნა მშვენიერი პაპირუსის ხვეული, რომელშიც მოთავსებული იყო ჰეროდას 8 მიმი, და მივიწყებული პოეტი აღსდგა ახალ ცხოვრებისთავის: მისი მიმები, რომელთაც იგი ჰქმნიდა თანამედროვეთათვის, „ნაყოფნი თავისუფალ შრომისა მუზეუმში“, როგორც თვითონ ამბობს (VIII, 71), გახდნენ ბოლოს და ბოლოს ჩვენს კუთვნილებად.¹ ეს კიდევ ცოტაა: აქამდის თუ მისი ცხოვრების დროც კი არ იყო სათანადოდ გამორკვეული, სამაგიეროდ ახლა ეს კითხვაც დაკმაყოფილებულია, — ჩვენ ვიცით, რომ ჰეროდა ცხოვრობდა მე-III საუკუნის პირველ ნახევარში ქრ. წ., ე. ი. ელლინურ პოეზიის მთავარ წარმომადგენელთა თანამედროვე, როგორც მაგ. კალიმახისა და თეოკრიტისი.

მართალია, თვით პოეტი არაფერს ამბობს თავის თავზე, თავის ცხოვრებაზე და წრეზე, რომელშიც იგი ტრიალებდა, და თუ ამბობს, — ისე ბუნდოვანად, რომ მის სიტყვებიდან შეუძლებელია ფართო დასკვნის გამოტანა, მაგრამ აქა-იქ გაბნეული ბუნდოვან ცნობებით მაინც შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ პოეტის სამშობლო (წარმოშობით დორიელი, რასაც მისი სახელი გვიმონმებს) დორიის კუნძული კოსი იყო, სადაც დაიბადა აგრეთვე მეფე პტოლომე VI ფილადელფოსი. ეს კუნძული იყო მთავარი ლიტერატურული ცენტრთაგანი და საზოგადოთ იგი ელლინისტური განათლების ისტორიაში დიდ როლს თამაშობდა. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რომელი პტოლომეს დროს მიაღწია უმაღლეს მწვერვალს ჰეროდას პოეტურმა შემოქმედებამ, სადავოა. თუმცა, როგორც ჩვენს განკარგულებაში მყოფი საბუთები ამბობენ, ჰეროდას უნდა ეცხოვრა პტოლომე II ფილადელფოსის დროს, რომელიც ფაქტიური დამაარსებელი იყო ალექსანდრიის მუზეუმისა და შესანიშნავი შემფასებელი, როგორც მეცნიერული ისე კაზმულ ლიტერატურისა,² მაგრამ თუ მისი ცხოვრების დროს გამორკვევა დაახლოვებით შესაძლებელი გახდება, სამაგიეროდ ამით ამოიწურება ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით ამ პოეტის შესახებ, მის ალექსანდრიის

1. Kenyon. Classical texts from papyri in the British Museum including the newly discovered poems of Herodas. London, 1891.

2. Gerhard, Herodas (Pauly — Wissowa's Bealencyclopädie, VIII, 1089).

ლიტერატურულ წრეებთან დამოკიდებულების შესახებ მაინც შეიძლება გავიგოთ ცოტა რამე ერთი ადგილით მე-VIII მიმიდან, სადაც ის იხსენიებს მუზეუმს, როგორც თავის სამეცადინო ადგილს (იხ. ზემოთ); მის ნაცნობობას პტოლომეთა სატახტო ქალაქის ახმაურებულ ცხოვრებასთან თვალსაჩინოდ გვიხატავს მისი I-ლი მიმი, რომლის სათაური „სიზმარი“-ა. ჩვენ ვიგებთ იქიდან, თუმცა ქარაგმულად, მაგრამ მაინც, რომ მას ლიტერატურული მტრები ჰყოლია, რომელნიც მას სახელში ედავებოდნენ. პირველი ადგილი ამ მტერთა შორის, რომელნიც გამოჰყავს „თხის მწყემსთა“ ნილაბით, არის რომელიღაც მოხუცი, რომელიც ეჯიბრება ჰეროდას ერთსა და იმავე ასპარეზზე. აქ ჩვენ აღბად უნდა ვიგულისხმოთ ჰეროდას დროის ელლინური პოეზიის ერთი კორიფეოსთაგანი, მაგრამ რომელი, დანამდვილებით ძნელია თქმა. შესაძლებელია იგი კალიმახს ჰგულისხმობდეს ასეთად, რომელიც სხვათა შორის სცდიდა თავისთავს იამბიურ უნარშიც და „თხის მწყემსებად“ კი თეოკრიტეს, რომელიც იყო ავტორი ბუკოლიური, ე. ი. მწყემსური ლექსებისა და სხვა პოეტებს, რომელნიც თავს იყრიდნენ კალიმახის ირგვლივ და იზიარებდნენ მის ლიტერატურულ გემოვნებასა და შეხედულებებს.¹ ასეთ შემთხვევაში ჩვენ წინ ერთხელ კიდევ გადიშლება საინტერესო ადგილი იმ თავისებურ პირად დამოკიდებულებათა, რომელნიც არსებობდნენ მაშინდელ ლიტერატორთა შორის. ჩვენ უკვე ვიცოდით ადრე აპოლონ როდოსელის და კალიმახის გამწარებული ბრძოლის შესახებ, რომელიც აშენდა მათ ლიტერატურული გემოვნებათა შეუთანხმებლობაზე. ვიცოდით სასტიკი წინააღმდეგობა კალიმახისა ყოველგვარი სიახლისადმი ლიტერატურაში და მისი ავადმყოფური თავმოყვარეობა და წარმოდგენა თავის თავზე. ასეთ პირობებში კალიმახისა და ჰეროდას შეტაკება იქნებოდა სრულიად ბუნებრივი. ყოველ შემთხვევაში, თვით ჰეროდას სიტყვებიდანაც ნათლად სჩანს, რომ მას უხდებოდა მედგრად დგომა ბრძოლით მოპოვებულ ადგილზე და გამარჯვებასთან ერთად მოწინააღმდეგეთა მოგერიება, რის გამოხატვასაც იგი შეეცადა თავის პიესაში, — ფორმით მიმი, რომელიც დანერგულია ამკარა აზრითა და მიზნით. მისი მიზანი იყო, ხაზი გაესვა თავისი ღვანლისათვის პოეზიაში და უზრუნველყო თავის პირველობა მიმის შემოტანისათვის, ელლინისტურ ლიტერატურაში, რომელიც მან მოათავსა ხოლიამბიურ ზომაში და, რომელიც გადმოიღო მე-VI საუკ. ქრ. წ. პოეტი აბრკოს ჰიპონანკტესაგან. სწორედ ეს უნდა სთქვას ჰეროდამ, როდესაც ის ამბობს მე-VIII მიმის ბოლოში:

„მაგრამ მუზებსა ვფიცავარ, განსხვავება არ არის დიდობაში,
ვინ მომცემს მე პირველობას ექვს იამბიან ლექსებში,
ან და მეორედ ჩამთვლიან, ჰიპონანკეტეს კი პირველად,
რომელმაც ძველად მოიპოვა დიდება კოჭლი ლექსებით,
და რომელთაც იგი ჰქმნიდა კარგ მომსმენ ქსუფიდემისთვის“.

ამგვარად ჰეროდა ამაცობდა, რომ მან მიმები გადაიტანა ელლინისტურ ნიადაგზე. და ეს მართლაც დიდი დამსახურება იყო მის მიერ. მაგრამ არც მეორე დამსახურებაა პირველზე ნაკლები, სახელდობრ: მან მიმებს შეარჩინა მისი ძირითადი ხასიათი, რომელიც მას მისცა მიმების შემქმნელმა სოფრონმა, მე-V საუკ. ქრ. წ. მწერალმა, ე. ი. ჰეროდამ არ შეიტანა შიგ არც იდეალიზაცია და არც ფანტაზია: მისი პიესები ტრიალებენ რეალიზმის სფეროში და ამ თვალსაზრისით საბერძნეთის ლიტერატურის ისტორიისთვის წარმოადგენენ განსაკუთრებულ მოვლენას.

მაგრამ რა არის მიმი? მიმი ყოფაცხოვრების სცენაა, რომელიც გვიხატავს ჩვეულებრივ ტიპებს ისე, როგორც ეს პოეტს ეჩვენება. პოეტი, რომელიც უცქერის ხალხსა და მათს

1. შეად. Crusis, Untersuchungen zu den Mimiámben des Herodas, 1911.

ცხოვრებას, იხატავს ერთად ერთ მიზნად გადმოსცეს ის, რასაც ჰხედავს და თავი შეიკავოს ყოველგვარ კრიტიკულ ხასიათის შენიშვნებისაგან და ფაბულისა და მოქმედების გართულებისაგან. ვიტყვი მეტს: ნამდვილი მოქმედება მიმეზღვი არ არის, აქედან მიიღება მხოლოდ უბრალო მომენტალური ფოტოგრაფიები, გადმოღებულნი იმიტომ, რომ აჩვენონ, როგორი არიან ადამიანები თავის ცხოვრების სხვა და სხვა მომენტებში და საზოგადოდ როგორი ტიპები არსებობენ ქვეყანაზე და საზოგადოების სხვადასხვა წრეებში. აქედან ცხადია, რომ შინაარსს მიმებს, რაც გნებავთ ის მისცემდა. უბრალო შეხვედრა, დღესასწაული, შეტაკება, — ყველაფერი ეს იყო მართებული ფონი მიმისათვის და შემდეგ ამ შემთხვევით ფონზე იხატებოდა შესაფერისი სურათი. მომქმედ პირთა შორის იბმებოდა ბაასი. ეს ბაასი იმართებოდა ჩვეულებრივ, ხანდახან ხალხურ ენაზე, აუარებელ ანდაზების შერევით, თქმულებებით და სხარტულ თქმებით. და ამ მუსაიფში იშლებოდა ხალხის ზნე-ჩვეულებანი, შეხედულებანი ცხოვრებაზე, ფიქრები და გულისცემანი. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის რაიცა შეადგენს ტიპს. დაბოლოს ყოველივე ამას მიუმატეთ რამდენიმე რიგი საოხუნჯო მდგომარეობისა, მოუხეშავი, ხანდახან რისკიანი გამოსვლები და სხვა ყოველდღიური თვისებები და თქვენ წინ წარმოადგება ბერძნული მიმი, როგორც ის სოფრონმა შეჰქმნა.

განვითარდა თუ არა იგი სიცილიაში დორიულ ნიადაგზე და მიიღო თუ არა მხატვრული გადახალისება სოფრონის ხელში, უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ თითქოს ჩაკვდა იგი, ყოველ შემთხვევაში შეჩერდა თავის განვითარებაში. მართალია სოფრონის მიმები გადატანილ იქმნენ ათინაში, რომელთაც იქ დიდის თანაგრძობით შეხვდნენ, მაგრამ ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია მიმის ისტორიაში, მხატვრული მიმი წინ არ წასულა, თითქოს იგი წარმოადგენდა სრულიად დამთავრებულ შენობას. მაგრამ აი „კლასიკურ პერიოდის“ საბერძნეთის ლიტერატურას სცვლის „ელლინისტური“ ლიტერატურა, რომელიც სწავლობს ყველაფერ ძველს და გადმოაქვს თავის ნიადაგზე. მან არც მიმები დასტოვა უყურადღებოდ. ეს ჟანრი სავსებით უდგებოდა მათს გემოვნებას, ყოველ შემთხვევაში იმ წრის გემოვნებას, რომლის მიმართულებაც ჰბატონობდა მაშინ. საქმე იმაშია, რომ ელლინისტურ პოეზიაში იყო ორი მიმართულება: ერთი წმინდა-ობიექტური, რომელიც ყოველდღიურ ჭირვარამის მოვლენის გარეშე იდგა, მეორე — რეალისტური, რომელიც სცდილობდა მისდგომოდა სინამდვილეს და აესახა მისი განსაკუთრებული ხასიათი. პირველი მიმდინარეობა განსაკუთრებით დასახასიათებელი იყო ელლინისტურ პოეზიისათვის, რომელსაც იგი მესვეურობდა და რომელიც გაცოცხლებული იყო პირველ პტოლომეთა თანამედროვე მწერლის დიდებულ ფილეტის მიერ, რომლის მეცნიერულმა და პოეტურმა მოღვაწეობამ დალი დაამჩნია მთელ ელლინისტურ პოეზიის სახეს. ფილეთი იყო პირველი „მეცნიერი“ პოეტი: მისი აღმაფრენა ეყრდნობოდა ღრმა ცოდნას, რომელიც ანტიურმა ქვეყანამ გამოიმუშავა, და ეს ცოდნა იყო მისი შემოქმედების საფუძველი და მითოლოგიური ელემენტები, ეპიგრამები თანახმად ეპოპეების დროის სახე შეცვლილ ფორმებისა.

ეს თავისებური პსევდო-კლასიკური მიმართულება განსაკუთრებულის ძალით გატარებულ იქმნა პოეტების კალიმახისა და აპოლონ როდოსელის მიერ, რომელნიც ზედმინწევით ამუშავებდნენ და ამშვენიერებდნენ გარეგნულ ფორმებს, თანდათან შეიტანეს პოეზიაში პირობითი სიცივე და გულგრილობა. მხოლოდ ხანდახან თუ იფეთქებს მათში უშუალო აღმაფრენის ნაპენკალი, უმეტეს შემთხვევაში კი საგრძნობია არაბუნებრივობა, მანჭობა, განზრახული, რალაცაზე გამოანგარიშებული პათოსი და სრულიად ზედმეტი, დამტვირთველი ცოდნა, რომელიც ამზავსება მათ ენციკლოპედისტებს. მაგრამ აი, სწორედ ეს პსევდო-კლასიკური პოეზია მოსწონდა ალექსანდრიის მაშინდელ რჩეულ საზოგადოებას, რომელიც ჰხედავდა მათში ანტიკის გამოძახილს და რალაც ხელშესახებს, რომელიც თითქმის გამოიხატებოდა მათს ტონში და სტილში. მაგრამ ელლინისტუ-

რი პსევდო-კლასიკებიც ჩამოდიოდნენ ხანდახან თავიანთ კონტურებიდან და ცივი, განგებ შექმნილ პათოსის შემდეგ მოჰყავდათ, რომელიმე დეტალი მაშინდელ ცხოვრებიდან, დეტალი რეალისტური ხასიათისა, რომელსაც თითქოს ადგილი არ უნდა ჰქონოდა ჰიმნების დარბაისელ პოეზიაში ანუ ეპოსში. ასე მაგალითად: აპოლონ როდოსელის „არგონავტიკაში“ ჩვენ ორჯელ გვაქვს საქმე წმინდა წყლის დღიურ სცენებთან, — ასეა, როდესაც იგი ასწერს კიპრიდასთან ჰერასა და ათენას სტუმრობას და შემდეგ კიპრიდას ბაასი ეროსთან. დამახასიათებელი თვისებები, რომელიც მისცა ავტორმა კიპრიდას, მისი ლალადი შვილის უფარგისობაზე, მისი სიტყვები, რომლითაც იგი მიჰმართავს მობაასე ბანოვანთ და მისდამი ამ უკანასკნელთა მოპყრობა, — ყველაფერი ეს ნაკლებ ერგება ჩვეულებრივ ცხოვრებას და კერძოდ იმ ცხოვრებას, რომელსაც ატარებდნენ ალექსანდრიის მაღალწოდების ბანოვანნი, რომელთა დრო გადიოდა სიამოვნებაში და თავის გარეგნობაზე და ტანსაცმელზე ზრუნვაში. ასევე არ უხდება ეპიკურ სიღინჯეს ჰანიმედისა და ეროსის კამათლით თამაშობის შემდეგი აღწერა და თითქოს ყოველდღიური სინამდვილიდან არის ამოღებული კიპრიდას ბაასი თავის მცირეწლოვან შვილთან, რომელმაც ჰანიმედი ცრემლებამდის მიიყვანა, შემდეგ დედას ტანისამოსში ჩაეტანა და ეხვეწება აჩუქოს მას ოქროს ბურთი. ასეთივე რეალისტური დეტალების პოვნა შეიძლება იმ მაღალ ტონიან კალლიმახის ჰიმნებში. მისივე ეპილიებზე „ჰეკალეზე“ რომ არ ვილაპარაკოთ სადაც მხატვრულ რეალიზმით არის დახატული გმირის ოჯახური ცხოვრება, მისი სახლის უბადრუკი მორთულობა და ის განსაზღვრული საჭმელები, რომლითაც იგი უმასპინძლდება შემთხვევით მასთან მოსულ ბატონიშვილს თეზეოსს. მართალია, ასეთ რეალიზმს არ შეგვიძლია უწოდოთ რეალიზმი „თავისთავად“: იგი თამაშობს მეორე ხარისხოვან როლს და თავის მნიშვნელობით დადის ერთ დამატებითი ხასიათის დეტალამდის. რომელიც ახალისებს, ასე ვთქვათ, საზოგადო სიტუაციას, მაგრამ იგი მაინც ძლიერ დამახასიათებელია და მიუთითებს უკვე მომნიშვნეულ მოთხოვნილებას რეალიზმისას ლიტერატურაში და ამიტომ მისაღება იმის საილლიუსტრაციოდ, თუ როგორ გაატანა რეალიზმმა პსევდო-კლასიკურ პოეზიაში, მიუხედავად მისი მტკიცე ცოდნის და გულგრილობის საჭურველისა. უსულო პსევდო-კლასიციზმი ჰსაჭიროებდა კორრელატივს და ამ კორრელატივით წარმოიშვა წმინდა რეალისტური მიმართულება, რომელიც თითქმის არ იცოდა საბერძნეთის კლასიკურ პერიოდის ლიტერატურამ.

პროფ. ვრ. ფ. ნერეთელი

ბიბლიოგრაფია

ნიკო ბარათაშვილი. ს. ფირცხალავას რედაქციით. ტფილისი. 1922.

მიხეილ გედევანიშვილის მიერ გამოცემულ ილია ჭავჭავაძის წიგნის შემდეგ, ასეთი წიგნი ჯერ არ გვინახავს. სამსონ ფირცხალავას რედაქციით გამოცემული „ბარათაშვილი“ აკადემიური გამოცემაა. აქ ყოველივე წვრილმანი — რაც მგოსნის გარშემო მომხდარა — დიდის სათუთობით არის დალაგებული. ბარათაშვილზე ბევრია დაწერილი, მაგრამ ყოველი ნაწერი თითქოს ერთი მეორეს ჰგავს: ყველა კრიტიკოსს ახასიათებს ერთხელვე მიღებული ზოგადობა და გაცვეთილი კლიშე. მართალია, ბარათაშვილის შემოქმედებას სევდა ახასიათებს, მაგრამ ზოგიერთ ლექსებში თუ მიწერ-მოწერაში პოეტი მოსჩანს როგორც სიცოცხლის აზრის მაძიებელი, მხიარული, ცელქი, ოპტიმისტი. ამ ორ ჩანასახს დიდი ანალიზი სჭირია და პირადად მე მისი კერძო წერილები უფრო მაინტერესებს ამ

მსრივ: აქ პოეტი ხან თუ „მარტოობას“ სწყევლის და „მონყინება“ ისადგურებს მის „ობოლ სულში“ ხან მეტისმეტად ატაცებულა, არშიყი, ონავარი და ასე წარმოიდგინეთ: ისე ჰყვარება მომღერალი სათარა, რომ პოეტს „ქართლში რომელიღაც ეკლესიის კედლებზედ დაუნერია ამ მომღერლის ქება!“ პოეტი უეჭველად პოეტმა უნდა დააფასოს. და ამიტომაც ბარათაშვილის ლექსები სრულიად სხვაგვარ განათებას მოითხოვს თვით პოეტისაგან. დღეს ჩვენში, როცა ზოგიერთ ძველ ხელოვანთა გარშემო ლიტერატურული ექსპლოატაცია ხდება და „ცდილობენ, რომ მკვდრებიც კი ერთმანეთს გადაჰკიდონ“ ერთ საოხუნჯო ჟურნალის თქმისა არ იყოს — „ბარათაშვილის მიმართულებით ჯერ კიდევ სინყნარეა“. დუმის დარღვევა უნდა. საჭირო აღარ არის ყალბი პათოსი, ტრადიციული ფრაზები. ბარათაშვილი უეჭველად თვით პოეტმა უნდა შეიგრძნოს და მე მრწამს, რომ პოეზიის გადასარჩენად შეიძლება ავტორიც გასწიროს კაცმა.

„მერანზე“ უფრო ჩვენ მოგვწონს: „ცისა ფერს“, „ჩინარი“, „საყურე“ და „ღამე ყაბახზედ“ — აქ სრულებით არა სჩანს რიოში მარგალიტები და არც ნატყვიარი ჩიტის ფარფატი. ამ ლექსებში ბარათაშვილს აქვს, სხვათა შორის, რამდენიმე მოდერნისტული შედარებანი და თქმები, რომელიც პირველი იყო მაშინდელ მწერლობაში:

„ნეტავი იმას, ვინც თავის სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს“ (საყურე).

ეს პოეტური თქმა დღევანდელ საგაზეთო ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ, აქ არის „კოცნა ყურის ძირში“.

„ამ დროს ნიაგმა თეთრი კაბა მიმოუქროლა
და ბუდეშური მის ფეფები ლამაზად სჩანდა“ (ღამე ყაბახზედ).

აქ კი რომელიღაც ქალის ფეხებს ბუდეშურის ყურძნის მარცვალს ადარებს, რომელიც თავისი ჯიშთანობით მოგრძოა და შედარებაც ლამაზი, „სიამის ცნობათ წამლებია“ — როგორც ამბობს პოეტი.

ასეთივე გულადი თქმა აქვს: ჭავჭავაძეს, ალექსანდრეს — „როს მუხლნი შენნი აბალიმდენ თავსა ჩემსა“.

„ჩინარს“, „ცისა ფერს“, „საყურეს“ და „ყაბახს“ მხოლოდ ამ ოთხ ლექსს — ჩვენ კვლავ დაუბრუნდებით უფრო ვრცლად ჩვენს მოხსენებაში. ამ ჟამად საინტერესოა რედაქტორის შეუდრეკელი ენერგია. მართალია, წიგნის ბოლოში ვკითხულობთ, რომ გამოცემის ხასიათის და გეგმის გამოსაკვლევად შემდგარა კომისია, რომელშიაც ყოფილან: კიტა აბაშიძე, იოს. გედევანიშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. ლასხიშვილი, გრ. რობაქიძე, დ. შვეარდნაძე და ივ. ჯავახიშვილი — მაგრამ, როგორც ვიცით, საქმის მთელი სიმძიმე სამსონ ფირცხალავას დაანვა, მაგრამ იგი მაინც იდგა თავის სადარაჯოზე როგორც უკანასკნელი პოროლი. მთელი ოთხი წელიწადი მუშაობდა ს. ფირცხალავა ამ წიგნზე: ჩვენ მონმე ვიყავით თუ როგორის ენერგიით, როგორის მეცნიერულ სიღინჯით სუნთქავდა არხივების სუნოვანობას პატივცემული რედაქტორი, რომ წიგნი — რომელიც ეკატერინე ერისთავის თაოსნობით გამოდიოდა — სავსებით სავსე ყოფილიყო. აი, ასე იკრიბებოდა ყოველი მომენტი ბარათაშვილის ცხოვრებაში, რაც დღეს სრულ ქმნის ჩვენს პოეტს.

დღეს როცა რედაქტორობა ფრჩხილებში ჩასასმელი სიტყვა გახდა: პირდაპირ სანიმუშოდ ხდება ის მოკრძალება, რომლითაც წიგნის ერთ პატარა კუნჭულში, პატარა ასოებით ვკითხულობთ: „სამსონ ფირცხალავას რედაქციით“.

სამსონ ფირცხალავას უეჭველად აქვს ესთეტიური ალღო. 1909 წელს მან პირველად გამოსცა პოეზიის გაზეთი „მზე“ (შემდეგ „ფასკუნჯი“), რომელშიაც იბეჭდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ისეთი წერილები, რომელთაც წმინდა ხელოვნების დამლაჰქონდა. ნიკო ბარათაშვილის წიგნიც გამთბარია ასეთი ნიაგით.

ნიგნს დართული აქვს ჩვენში ცნობილ კრიტიკოსების წერილები ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ: ყურადსაღებია გ. ჯავახიშვილის წერილი: „ბარათაშვილის წინამორბედნი“ და თვით რედაქტორის: „ვარიანტების განსხვავება და განმარტებანი“. ნიგნში მოთავსებულია ბევრი სურათი, რომლებსაც დღეს ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

მარუთა შუამდინარელი

ვალ. გაფრინდაშვილი. დაისები. ქუთაისი. 1918.

ვალერიან გაფრინდაშვილი მე ასე წარმომიდგენია: მჭვუნვარე, თვალნალვლიანი, აშორდიას შავ ნაბადით ბურვილი, ცოტა შეპუდრული ხელოვნური პოეზიის კოსმეტიკით, კინალამ ცოტაზე მეტი. ხშირად უნდა შეგაშინოს, იქ სადაც სულ არაფერია საშიშარი. სიტყვების ჟონგლიორია. ჟონგლიორობა იქამდის მიდის, რომ ცდილობს, ყოველ სიტყვაში მეტი „ჩასტენოს“, ვიდრე ეს სიტყვა ჩაიტევს. მაგ. სიტყვა ბელურას ისეთის ტრალიზმით ხმარობს თითქოს ბელურა ჰამლეტის მსოფლიო ქმუნვის მატარებელი იყოს. შეიძლება იგი მართალი იყოს. გაფრინდაშვილი უთუოდ კულტურული მწერალია. გვეყო პრიმიტივები, სახალხო მოშიარეები, რითმის აკრობატები. მოიტათ მეტი სულიერი კულტურა. მაგრამ ბევრი კოსმეტიკაც არ ვარგა. არც ერთ დროსთვის არ გასვლია ვადა ბერძნების დევიზს — „არც მეტი და არც ნაკლები“. მე მიინდა დაისებზე კარგი რამე ვსთქვა, რადგან სულ არაფრის თქმას კარგის თქმა სჯობია. დაისები აქა-იქ გაბზარულია, მე ის მაინც სიყვარულით ნავიკითხე. ქართული პოეზიის შედეგვრებად დარჩება მისი „ძაღლის სიმღერა“, „ლამის ფოთლები“, „ქალს ჩაჟენილ თვალით“, „ვარ მოწყენილი ვით ზამთარში ნაზი ბელურა“. დაისებში მიინდა პოეტის გამარჯვება დავინახო. პირველი ნიგნი დიდი სარკეა პოეტისთვის, მაგრამ ის მაინც გადამწყვეტი არ არის. ჩვენ არ ვიცით, როდის იტყვის ესა თუ ის პოეტი უძლიერესს სიტყვას. ამ ნიგნიდან ხშირად სიცივე ჰქრის, მაგრამ აქვეა მალაღლი პათოსი, ჩუმი მელანქოლია, ხელ-მარჯვე ცემა ჩოგნისა. არის ტემპერამენტიც დარდით დაბინდული.

ნიგნის მთავარი ნაკლია: საშინელი, მონოტონური აკვიატება სახეებისა და ხატების: „გამლეტები“ (რატომ ჰამლეტი არაა?), ოფელია, კოლომბინა, კალიოსტრო, აშორდია. საინტერესოა გაფრინდაშვილის ეროტიკა („ნითელი ბატონები“, „ხელის ორეული“ და სხვ.). მასში იფარება რომანტიული შორით აელვა, იშვიათი სამკაული ჩვენის დროისა. კურიოზულია გაფრინდაშვილ-აშორდიას დიალოგი. საკვირველია, რამ შეაყვარა პოეტს ეს გაქსუებული აზნაური.

შედარებებში გაფრინდაშვილი ბედით სალტო-მორტალებს აკეთებს. მაგ. ნიგნის 65 გვ. პოეტი ერთ თავის მეგობარს „პოეზიის წურბელს“ ეძახის; სიტყვა ორლესული მახვილია. სიტყვას ფრთხილად უნდა მოვლა. ნიგნი ლამაზია. მხოლოდ ძალზე სადა. ვუსურვოთ გაფრინდაშვილს, მეორე ნიგნში აიშოროს პირველის დეფექტები, რომელზედაც ჩვენ განძრახ გვინდა გავჩუმდეთ.

ჰექტორი

ტერენტი გრანელი. სულიდან საფლავები. ტფილისი.

1922. ჩვენი თანამედროვეობა მისტიკის სანიშნოს უყურებს. ჩემზე კი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა პოეტის საოცარის გამბედაობით გამოცემულმა ნიგნაკმა, რომელიც უფრო საოცარ წარწერას ატარებს: „ტ. გრანელი მოდის სისხლიან სამარიდან“. ჩვენ დროს ესაჭიროება ქრისტეს სისხლიან სახის დემონიური შემოხედვა. ევროპიულის მასშტაბით მოხდა დიდი გადატეხა. რადიკალიზმიდან მარჯვნივ. ფილოსოფიაში მისტიკა

იმარჯვებს. პოეზიასაც მისტიური ქროლვა ეუფლება. ახალგაზრდა ტ. გრანელი სიმბტომატიურია ამ მხრით. წიგნში მრავალი გულწრფელი ცრემლებია, დიდი ჭმუნვარება, დიდი სევდა, გაუხარებელ ნაღველში გამოზრდილ თაობისა. სტრიქონები აქა-იქ სევდიანია, როგორც ცოცხელი ქერუბიმების თეთრი ფრთების შრიალი.

ლექსების ტექნიკაშიაც დიდი წინსვლა ეტყობა პოეტს. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ტერენტი გრანელიც ალაგ-ალაგ დაშინებას გვიპირებს თავის „მკვდრების“ პანტომიმებით. ჩვენ ისეთ საშინელ ვაკხანალიის განმცდელი თაობის წარმომადგენელი ვართ, რომ სისხლიანი სურათებით ვერავინ დაგვაშინებს. დღეს რეალობა უფრო მეტ ტრალიკულ მოტივებს იძლევა. ვურჩევთ ახალგაზრდა პოეტს მოიზომოს ფერადები, ფერადების ნაძალადევი დამუქება მხოლოდ იმას ამონებებს ყოველთვის, რომ ავტორს ალაგ-ალაგ ფერადების ჰარმონია აკლია.

ეს წიგნი უახლესს პოეზიაში ძლიერ თამამი სიტყვაა, მას ჩვენ თავის დროზე ჯეროვან ყურადღებას მივაქცევთ. საოცარი მატერიალური სიღარიბე ეტყობა წიგნს, მაგრამ ეს აორკეცებს იმ ცრემლიან ჭმუნვარებას, რომელიც ასე ძლიერად ჰქრის ამ მინანქრის სტრიქონებიდან.

ჰ-ი

ა) პროფ. დ. უზნაძე. ანრი ბერგსონი. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. 249 გვ. 1920 წ.

ბ) პროფ. შ. ნუცუბიძე. ალეთოლოგიის საფუძვლები. წიგნი I. ჭეშმარიტების პრობლემა. ტფილისი. 1922 წ. 240 გვ.

სიხარულით შეეგება ყოველი ქართველი პატრიოტი ამ ორი წიგნის გამოსვლას. ეს სიმბტომებია, რომ ახალი საქართველო დიდი მასშტაბით იწყებს მუშაობას. ჩვენ ამ წიგნებზე გვახსენდება ის ბედნიერი დღე, როცა ქართული ისტორიის თუკიდიდესმა — ივ. ჯავახიშვილმა 1918 წელს თავისი ძველქართველური, დარბაისლური სიტყვით გახსნილად გამოაცხადა ტფილისის უნივერსიტეტის კარები, როგორც რომის პაპი ჯვარის მიკარებით რომ შეანგრევს ყოველ 25 წლის შემდეგ წმ. პეტრეს ეკლესიის კარებს. ასეთი მაიესტეტური ჟესტი იყო ივ. ჯავახიშვილის მიერ ეს აქტიც. ეს იყო ნამდვილი ამალღებად სულისა ქართულისა. ამ დღეს აზერბეიჯანელმა სტუმარმა — განსვენებულმა ხანხოისკიმ აღიარა: დღეს ამიერკავკასიაში ირგვლივ სისხლის სუნია და ქართველებმა კი მეცნიერებისა და სიბრძნის თეთრი დროშა ააფრიალესო. ესეც დიდი დაფასება იყო დიდი აქტისა. ამ დღეს საქართველოს მტრები კბილის ღრჭენით შესცქეროდნენ, ზოგიერთი ჩვენი „მოყვარეც“ უსისიანებდა მაშინდელ რუსის მთავრობას — ქართველებს უნივერსიტეტი უნდათ, სეპარატისტული განზრახვები აქეთო; ცხადია კერენსკი და სხვა რუსის „სოციალისტებიც“ ბევრს ეცადნენ ხელი შეეშალათ, რადგან წინასწარ გრძნობდნენ, რომ ტფილისის უნივერსიტეტი იქნებოდა მაღალი ჯილა ქართული სულისა და კულტურისა. დღეს ყოველი ახალი წიგნი ამ უნივერსიტეტის მუშაკთა ხელიდან გამოსული, ლახვრად ხვდება საქართველოს მტრებს, როგორც მიუვალი ციხის სათოფურიდან გამოსროლილი ყუმბარა. ქართველებისთვის კი ყოველი ასეთი წიგნი ძვირფასი საჩუქარია. პროფ. უზნაძისა და პროფ. ნუცუბიძის წიგნების გამოსვლა დიდი მოვლენაა ლარიბ ქართულ აზროვნების ისტორიაში.

ლიტერატურა და ფილოსოფია კუნო ფიშერის არ იყოს ორი განუყრელი დაა. ყოველ დროს და ყოველ ხალხში ისინი ერთი მეორეს ანაყოფიერებდენ იდეიურად. ქართული ფილოსოფიური აზროვნება ამ ორი ახალგაზრდა მეცნიერიდან დაითვლის თავის ანალებს. (ჩვენ არ გვესმის, რატომ სთვლის ნიკო მარი პეტრინონელს პირველ ქართველ ფილოსოფოსად. პეტრინონელი მხოლოდ მთარგმნელი და კომენტატორი იყო ნემ. ემესელის). მა-

შასადამე, ქართული ფილოსოფიის აკვანი პირველად ტფილისის უნივერსიტეტმა დაარ-
ნია. ამ ორი წიგნის გამოსვლაც საყვარელი ენის ადგმაა ყრმა ქართული ფილოსოფიისა.

პროფ. ნუცუბიძის წიგნს სულერთიანად ექვაქტურ ფილოსოფიის რევიონებში გადა-
ყევართ. პროფ. უზნაძის წიგნი ეხება ჩვენ თანამედროვე ფრანგის ფილოსოფოსს — ანრი
ბერგსონს, რომელმაც ისეთივე ძალოვანი გავლენა მოახდინა მთელ დასავლეთის ლიტე-
რატურაზე, როგორც ფრიდრიჰ ნიცშემ თავის დროს. ორივე წიგნის ინტერპრეტაცია და
დეტალური გარჩევა ჩვენ გადაგვიყოლიებდა ექვაქტურ ფილოსოფიის სამთავროში, ამ
მხრით აქ აღძრულ პრობლემებს პირდაპირი კავშირი არ ექნებოდა ლიტერატურასთან. მხო-
ლოდ „ანრი ბერგსონის“ ავტორს არ შეგვიძლია მცირე საყვედური არ შევკადროთ (თუ ეს
სათანადო მასალების უქონლობით არ მოსვლია მას): მას უგულვებულ უყვია ანრი ბერგსო-
ნი როგორც ესთეტიკოსი. ამ მხრით ბერგსონის ინტერპრეტაცია ფრიად საინტერესოა ჩვენ-
თვის. ბ. პროფ. ნუცუბიძის კვლევის სფერო — ლოლიკა უფრო დაშორებულია ესთეტიურ
და ლიტერატურულ პრობლემებთან. პსიქოლოგს — უზნაძეს ყოველთვის ექნება საშუა-
ლება დილტანსებური მდიდარი პსიქოლოგიური ანალიზებით გადმოიჭრას ლიტერატუ-
რაში (პროფ. უზნაძემ სცადა ეს ნ. ბარათაშვილზე და ერთი ფრიად სერიოზული მონოგრა-
ფიაც აჩუქა ქართულ ლიტერატურას). ჩვენ მივესალმებით ამ დიოსკურების მუშაობას ქარ-
თული ფილოსოფიის ასპარეზზე. ქართული ლიტერატურა ამით ბევრს შეიძენს. *Wolahn!*

ორივე წიგნის ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ არც ერთს ინდექსი არა აქვს დართუ-
ლი. ინდექსი მიუცილებელი სამკაულია, ყოველი მეცნიერული შრომის.

K. G.

მის. ბოჭორიშვილი. მეტეხი. ტფ. 22 წ.

მიხეილ ბოჭორიშვილს აქვს სიახლის განცდები. თუ არ ვცდები, მგონი, ეს პირველად
„ლეილამ“ აღნიშნა. მის პირველ წიგნს „ეტიუდებს“ მოჰყვა მოთხრობა: „მეტეხი“. „მეტე-
ხი“ უფრო რომანია, ოღონდ შეკუმშული და ახალი მანერით დაწერილი. წიგნიდან შეიძ-
ლება ამოღება მთლიანი მინიატურების...

ამ მინიატურულ რომანში ასახულია საქართველოს განვლილი ცხოვრება 18 წლის 26
მაისამდე.

მომქმედნი პირნი ატარებენ რევოლიუციის ამბოხებულ ფერადებს. მაგრამ ამასთა-
ნავე მათი სული განწყობილია პოეტურ სხვადასხვაობით და სევდიანი აღტაცებებით!
საინტერესოა, რომ შაქრო, გედეონი და სხვ. აცილებულია ყოველგვარ პარტიულ დოქტ-
რინორობას და მათი გული გამთბარია სამშობლოსადმი სიყვარულით, რომელსაც სნი-
რავენ სიცოცხლეს და თავიანთ სიყვარულის საგანსაც.

აქამდის ჩვენში იყო ცდები ვითომდა „სათაურებით“ კეკემალულობისა — მაგრამ აქ
შემოქმედება ნაკლები სჩანდა ყოველთვის. ხოლო რომელი მწერალიც კი შეეხო 905 წლის
რევოლიუციასა და მის შედეგებს ყველამ მხოლოდ უხეირო ფოტოგრაფიული სურათები
მოგვცა (მაგალ., მოთხრობები: „ახალი ტალღები“, „ტყის ძმები“ და სხვ.). მიხეილ ბოჭო-
რიშვილის „მეტეხი“ ლამაზი პოემაა სალი ლირიზმით დატვირთული. კარგია საქართვე-
ლოს პოლონეთთან შეფარდების ადგილები, ნერვიული დიალოგები და ზოგიერთი ამოძა-
ხილი მამულიშვილთა:

— დეე, დამახრჩონ, ოღონდ სახრჩობელის ბოძები მშობლიურ მინაზე იყოს დადგმული.

აქ გვაგონდება ერთი მისივე მინიატურა:

— ო, მეგობრებო, ქაშვეთი რომ მიყვარდა, თავს მაბეზრებს ასეთი ხშირი პანაშვიდებით.

წიგნში ალაგ-ალაგ მოიპოვება თოვლდაყრილი სტრიქონები, ბუნდოვანი მელანხო-
ლია გედეონისა.

საზოგადოთ, ქართველი მკითხველი დაჩვეულია ბოლომდე გაფცქენილ სიტყვას და აზრის ტრაფარეტულად დალაგებას. მიხეილ ბოჭორიშვილის წიგნი კი — ეს ერთგვარი ნკიპურტია მკითხველის გონების ასამუშავებლად.

წიგნს ამშვენებს მეტეხის მშვენიერი სილუეტით ახალგაზდა მხატვრის ირ. ტოფაძის მიერ შესრულებული.

მართა შუამდინარელი

ალ. მიქაბერიძე: ტროადის ომი. ტფ. 1922 წ.

მშვენიერი ენით დაწერილი წიგნი. დიდტანოვანი. მთელი საბერძნეთის მითოლოგია შესანიშნავი სიმარტივით და თანდათანობითი მსვლელობით არის განათებული. ავტორს ტროადის ომის გარშემო არსებული ყველა მითი დიდის მონივნებით შეუკრებია და მოთხრობის სტილით გადმოცემული აქვს ჰომეროსის „ილიადის“ შინაარსი.

ასეთი დიდი წიგნი საბერძნეთის მითებზე პირველია ჩვენს ლიტერატურაში — თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1903 წელში გამოცემულ პატარა წიგნაკს, ჰომეროსის „აქილიანს“, რომლის თარგმანიც ეკუთვნის ბერძენთა ლიტერატურის არშიყს პეტრე მირიანაშვილს; კიდევ მამია გურიელის მიერ ლექსად ნათარგმანს „ილიადას“ (იხ. კრებ. „ცდა“ №2.) და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გაბნეულ ალექსი ჭიჭინაძის მიერ შეკრებილ რამდენიმე მითს.

ალ. მიქაბერიძის „ტროადის ომი“ დაყოფილია თავებად და ყველა თავს ცალკე სათაური აქვს: ასე მარტივად შედგენილი წიგნი უეჭველად მკითხველის თვალს ასვენებს.

ალ. მიქაბერიძის „ტროადის ომი“ დაწერილია მშვენიერის ქართული ენით და საბერძნეთის მითოლოგია რომ სულ არ იცოდეთ, ისე კარგად არის შედგენილი ეს წიგნი რომ ამ ბრძოლების მიმდინარეობას გაიგებთ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით.

„ტროადის ომი“ როგორც სკოლაში, ისე ოჯახში სახმარებელი წიგნია. წიგნში არის ბევრი ჩვეულებანი რომელიც პირნმინდათ ჰგავს ჩვენს ადათებს (მაგ. სტუმართმოყვარეობა, ძმადნაფიცობა, ტირილი, ლხინი და სხვ.), მაგრამ რაც საინტერესოა — ეს არის გამირობა, სამშობლოსთვის თავის დადება, კეთილშობილება.

ალ. მიქაბერიძის „ტროადის ომში“ განსაკუთრებული სიყვარულით არის გადმოცემული ეს მამულიშვილობა, რომელიც გვაგონებს ჩვენი მამულის სვეს.

წიგნის ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ დაბეჭდილია რალაც ავადმყოფ ქალაქზე, აკინძულია მავთულით და რაც უმთავრესია, არ ახლავს წინასიტყვაობა, სადაც განმარტებული უნდა ყოფილიყო, „ილიადის“ დიადი მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურაში.

მეორე გამოცემისთვის ზოგიერთი მონოლოგი მოითხოვს შემჭიდროებას, ვინაიდან მონოლოგების ფონი ისედაც აშკარად ხდის აზრს.

არის აგრედვე ისეთი გამოთქმანი, სადაც გამირობის თუ ქალაქების საკუთარი სახელები ყველგან ერთგვარად არ არის დაცული...

ალბად, დღევანდელი ახალგაზრდობა — როგორც შეგირდები ისე სკოლაგაუვლელები — დიდის ხალისით წაიკითხავენ ამ ბრძოლის სინოცივრით დამთვრალ წიგნს.

ვრი-ვრი.

მარიჯან. ლექსები. გამომცემლობა „მორაპანი“. 1921 წ.

ეს ლექსების პატარა კონა შარშან გამოვიდა, მაგრამ მარიჯანზე ლაპარაკი მაინც დაგვიანებული არ არის. მისი თანისთანობითი ზრდა და ქვეყანაში პოეზიის თვალთ გადახედვა, იმედს გვაძლევს, რომ უფრო გაბედული ვიყოთ მარიჯანის მიღებაში.

ქართული პოეზიის ყაბახზე ბევრი ქალის ჯირითი გვინახავს და გვახსოვს ბევრი სახელის გასვენება ისე, რომ „ქალის სათქმელი“ მაინც არავის უთქვამს. ეს იმიტომ, რომ ისინი ასდევდნენ საერთო ქარის ქროლას და ყოველ სოციალურ თუ ეროვნულ ჰანგებს იმეორებდნენ მამაკაცებივით.

ამ შემთხვევაში პირდაპირი გამონაკლისია მარიჯანი; მისი პირველი პერიოდი ფორმის მხრივ — არ იყო ინდივიდუალური, მაგრამ თავიდანვე მან თამამად დაილაპარაკა საკუთარ გრძნობაზე და ქალის დაჭრილი გული საჯაროდ დასდო ლექსთა კოცონზე, სადაც აღმოსავლეთის გათენებით იწვის ტრადიციებით დაღლილი „ქართველი მანდილოსანი“.

ამ რვეულში მოთავსებულია სულ რამოდენიმე ლექსი, მათში ბევრი არ არის გამართლებული პოეტურის მთლიანობით, მაგრამ ბევრი სტრიქონია ძვირფასი კენჭებით სავსე და გულწრფელობით დადაღული. თვით რვეულის გარეგნობაც საკმაოდ ამჟღავნებს ესთეტიურ გაღვიძებას და გავიწყებთ შაბლონს. აქ ნაგრძობია, რომ პოეზია უკვე ინტიმობაში გადადის და საკუთარს სულს საკუთარი გარეგნობა უნდა მიეცეს.

ჩვენ ველით მარიჯანის უფრო მთლიან წიგნს.

ს. ფ.

გ. ყორჩიბაში. ლექსები. 1922 წ.

ამ წიგნზე ბიბლიოგრაფიის წერა ერთი მხრივ დანაშაულობა არის, რადგანაც ეს წიგნი არ არის ღირსი ლიტერატურულ დაფასების. თუ ჩვენ ვწერთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენში კიდევ მოიპოვებიან ასეთი მოლექსეები და ყორჩიბაშები, და ყველა ამ ეპიგონების საყურადღებოთ შეიძლება ერთხელ და სამუდამოთ ელემენტარულ ჭეშმარიტების აღნიშვნა. მეოცე საუკუნეში ყველამ უნდა გაიგოს, რომ დღეს ლექსის წერა მოითხოვს დიდ კულტურას, დღეს პოეზიას მისტიური საგნების სახეები ანათებენ. გრიშაშვილის შემდეგ: „ქალის სილამაზეზე“ წერა არც ისე ადვილია, რადგან გრიშაშვილმა ამ სფეროში სთქვა თითქმის ყველაფერი.

წიგნში მოთავსებული ლექსები არც ერთი არ ვარგა, ყველა ლექსი იძლევა დამარცხების საუკეთესო ნიმუშს.

დუმილი უფრო მეტ შთაბეჭდილებას იძლევა ვიდრე ეს წიგნი.

ჩვენ გულწრფელად ვურჩევთ ავტორს ან შეიგრძნოს ქართული ენა, ან თავი დაანებოს ლექსების წერას, პოეტმა უნდა იცოდეს, რომ სახელის და გვარის პატივისცემა აუცილებელია ადამიანისათვის.

ტ-ი.

რედაქციისაგან.

ამ ნომერში მოთავსებული მასალა უცხო ლიტერატურიდან თარგმნილია კ. გ.-ს რედაქციით. ჟურნალში თარგმანების თარგმანებს ადგილი არ დაეთმობა. ხელმოუწერელი მასალა არ მიიღება. პსევდონიმიან მასალებსაც უცილოდ დართული უნდა ჰქონდეს ავტორის გარკვეულად დაწერილი სახელი და გვარი.

ტრადედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან

Come l'uomo S'eterna

დანტე. ინფერნო

I. მითი

ყოველი დიდი ადამიანი ადამიანობის ხსოვნაში რჩება, როგორც მითი. იგი ეგზომ ახელს მისი თანამედროვეობის ფანტაზიას, რომ ყოველად შეუძლებელი ხდება ემპირიულად მისი დამახსოვრება. იგი, ნებისთ თუ უნებლიეთ, იმოსება ადამიანების ხსოვნაში ლეგენდარულის შარავანდედით. ყოველი ახალი თაობა ხელმეორედ სთხზავს მითს მისი პიროვნებისას, უმატებს ყოველთვის მის სახელს ახალს ფერადებს და ახალ მეტყველებას.

ამგვარად დიდი ადამიანი მუდამ კონტინუერული ზრდის პროცესშია. „როგორი ბალადა იყო ჩემი ცხოვრება“ ამბობს ნიცშე თავის თავზე და მართლაც მისი ცხოვრება სხვა არა იყო რა თუარ ჰეროული ბალადა. ამ ბალადაშია ჩვენი სუბექტიური ფანტაზია და სიყვარულიც უნდა იქნეს შეტანილი, ისე მისი ხელმეორედ „მოგონება“ მისი სახის გამთელება და მისი ხატის სრულყოფა ყოველად შეუძლებელი გახდებოდა. ასეთი ბალადა ყოველთვის ხელმეორედ უნდა დაინეროს. მართლაც, „ყოველი დიდი ადამიანი უთუოდ ჩვენი ქმნილება უნდა იქნეს ბოლოს და ბოლოს“. რა ღარიბი იქნებოდა ჩვენი ფანტაზიის პარნასი, რა ცარიელი იქნებოდა ჩვენი ადამიანური ხსოვნა რომ მას ამ მითის, ამ ლეგენდის დამახსოვრების უნარი არა ჰქონოდა. დიდი ბედნიერებაა ადამიანისთვის მოგონება პლატონიურის გაგებისა, რამდენადაც მოგონებაა მთელი ჩვენი იდეათა სამყარო, მაგრამ უფრო ცარიელი იქნებოდა ჩვენი ფანტაზია, რომ ჩვენ ნიცშესავე სიტყვებით „თავყანისმცემელი ცხოველები“ არ ვიყოთ, რომ ჩვენი გული ისე გაითოშოს სკეპტიციზმისა და რელატივიზმის სუსხით, რომ ჩვენ არ გვეყოს წარმოდგენისა და პიეტეტის ძალა ამ მითის, ამ ლეგენდის დასაჯერებელი.

ანგელუს სილვზიუს მშვენიერ პოეტურ ფორმულას გვანვდის ამ მხრით:

Der volle Christ ist erschienen nicht auf Erden,
Sein götlich Menschenbild
Muss erst vollendet werden.

„ქრისტე ნამდვილი, სრულყოფილი, ჯერ არ შობილა მისი ხატება ღვთიური უნდა დასრულდეს მერმისში“.

ამ მითის წყალობით იკვლევენ გზას ბნელი საუკუნოებიდან ჩვენამდის ქრისტე და ბუდდა, სოკრატეს და პლატონ, ჰომერი და შექსპირი, რუსთაველი და გურამიშვილი.

ამ ლეგენდის წყალობით იმაგრებენ ისინი თავს გულმავინყოფის ოკეანეზე, როგორც ღმერთი დიონისოს, ზღვის ზედაპირზე — დელფინზე დაყრდნობილი. ნიცშეს ცალი ფეხი მეცხრამეტე საუკუნეში ედგა, ადამიანები, რომელთაც ორი საუკუნის მიჯნაზე უხდებათ მოქმედება, მუდამ ატარებენ ერთგვარ ორმაგობის ბეჭედს.

ამიტომაც მის პიროვნებას მუდამ ახლდა ეს გაორება, ამიტომაც იგი მუდამ იქნება ჩვენთვის პავლე მოციქულისებური „ანერ დიპსიხოს“ — ორსულიანი. ორი საუკუნის მიჯ-

ნაზე მდგარ ნიცშეს გულშიაც ორი სული ცხოვრობდა, აკი ამბობდა ლისტენბერჟე ნიცშეზე „მიჯნებზე მუდამ გასაოცარ საგნებს დაინახავთ“.

ამიტომაც საოცარია, რომ ნიცშე წარმომადგენელი ევროპიული ნიჰილიზმისა იმავ დროს დამაფუძნებელია ახალი დიდი რელიგიისა, რომლის იოანე ნათლისმცემლად ვიზიონერული სახე ზარატუსტრასი უნდა ჩაითვალოს.

ნიცშე ღმერთის მკვლელი — მოციქულია ახალის დიდის ღმერთისა. რელიგიური სკეპტიკოსი, — წინასწარმეტყველი თანამედროვე ევროპის უახლესი და უწარჩინებულესი რელიგიისა.

მტერი და უარყოფელი მისი თანამედროვე ევროპის კულტურის, წინამორბედი და გზის გამკაფავი დასავლეთის ფაუსტური სულობის ახალი კულტურფილოსოფიისა, იგი უწარჩინებულესი წარმომადგენელია იმ ახალი თაობისა, რომელსაც მიუხედავად თავისი დიდი სულიერი ტკივილებისა და პრომეთესებური ამტანობისა, კიდევ ამშვენებს ერთგვარი ლუციფერული სიჯიუტე და სიამაყე, რომლითაც წარსდგა დოქტორ მარტინ ლუთერი ვორმისის სამსჯავროს წინაშე და საქვეყნოდ განაცხადა: „დეე, ქვეყანაზე იმდენი ეშმაკები იყვნენ, რამდენიც აგურია ამ ეკლესიის სახურავზე, მე ჩემსას მაინც არ დავიშლიო“.

გოეტე, ნიცშეს დიდი მასწავლებელი თავს აკუთნებდა იმ თაობას, რომელიც სიბნელიდან სინათლისაკენ მიისწრაფოდა, ხოლო ნიცშე იმ თაობის მასწავლებელია, რომელიც ისეთივე ვნებით ეტრფის და ელტვის ამ სიბნელეს, როგორითაც გოეტე და მისი თაობა სინათლეს ეტრფოდნენ.

რადგან ის ვინც მაღლა, ყველაზე მაღლა მიილტვის, ისე ვერ ასცდება სიბნელეს, როგორც ყველაზე უფრო დაბლა მდგარი, სიბნელესაც აქვს თავისი მიმზიდველობა, სიბნელეშიაც არის თავისებური მისტიკა.

ამიტომაც მისი ენტუზიაზმის საყრდნობი და მისი აღმოსავალი წერტილი იყო ის მისტიური სიბნელე, მისი ნილაბი — ბნელ თვალეზიანი ღმერთი დიონისოს, შეიძლება იგი თვით იყო არა მარტო ნილაბი დიონისოსი, არამედ ღმერთი დიონისოს „ორჯერ დაბადებული“.

II. გენეალოგია

რა ითქმის მის ადამიანურ წარმოშევაზე იმაზე მეტი, რაც მისი პიროვნების ლეგენდას არ შეიცავდეს. ან როგორ შეიძლება ლეგენდარულ ადამიანების გენეალოგიაზე ითქვას რაიმე ისე, მაშინ როცა მათ ჩვეულებრივი გაგების გენეალოგია არც მოეპოვებათ.

ის რაც ნიცშემ ერთხელ გაკვრით სთქვა გოეტეზე, იგივე ითქმის მასზედაც.

„გოეტე“, ამბობდა ნიცშე: „არსაიდანაც არ მოსულა, არც წინაპრები ჰყოლია მას, ის მაღლიდან ჩამოვარდა გერმანულ სინამდვილეში. არც მემკვიდრეები გამოსჩენია ამის შემდეგ“.

ნიცშეს ახირებული და ჰიბრიდალური ბუნების ჟინიანობა იყო ბავშვური ლეგენდა მისი ვითომდა წინაპრების პოლონელ გრაფ ნიცკის ხსენება.

საოცარია: თვით წინაპარი სულიერ არისტოკრატიზმისა ახალ ევროპაში, ნიცშე ამ გრაფ ნიცკის იდეე ფიქსით აპირობს ერთგვარ ლეგიტიმურობის მოპოებას. ეს მუდამ ასე ყოფილა, ილეგიტიმური კატილინა რომელიც, თვით თავის არსებით პირდაპირი უარყოფაა ლეგიტიმური ცეზარობის, ბოლოს და ბოლოს ცეზარულ ლეგიტიმურობას ელტვის. ნიცშეს ბუნებაშიაც იყო რაღაც კატილინასებური ილეგიტიმურობა.

უბრალო საქსონელ პასტორის შვილი ახალი ევროპის სულიერ დირიჟორის ჯოხით ხელში, ცხადია, ძალა უნებურად ამ ლეგიტიმურობას ეძიებს. ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაპოლეონი იყო ნიცშეს სტილის კატილინა, უბრალო კაპორალი და უსახელო კორსიკელ მემამულის შვილი, ჰაბსბურგების ძველი სისხლის შერევით რომ აპირობდა ლეგიტიმურობის მოპოებას.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნიცშე გრძნობს, რომ ის სულიერი დირიჟორი გახდებოდა ევროპაში, ამიტომაც ეფიცება იგი ერთ მეგობარს, „კონფულსიებით დაიმანჭება ქვეყანა ჩვენს ხელში“.

ამ ლეგიტიმურობის გრძნობის გამკვიდრებისთვის თითქმის ტრაბახით მოგვითხრობს იგი თავის საამაყო მამაზე და თავის ფაქიზგრძნობიან დედაზე.

12 წლის ჰოლდერლინზე ამბობენ მისი სასწავლებლის ამხანაგები: „იგი გიმნაზიის ზალაში ისე დადიოდა, როგორც ჭაბუკი აპოლონი“.

12 წლის ნიცშეს დღიურში ვკითხულობთ: „12 წლისამ მე ვიხილე ღმერთი თავის დიდების შარავანდედში“.

„იგი ისე შემოგხედავს ხანდახან, რომ სიტყვა გავიწყდება პირში“ — მოგვითხრობენ მისი თანატოლები.

„იგი სასწავლებელში ისე მოდიოდა, როგორც 12 წლის იესო ტაძარში.“

მისი მეტი სახელი: „პატარა პასტორი“.

ჯერ კიდევ ფორტას სასწავლებელში სწერს ნიცშე თავის გასაოცარ ლექსს „უცნობი ღმერთი“.

და ამ უცნობი ღმერთის სამსახურში დალია მან თავისი სიცოცხლე.

ამ უცნობი ღმერთის ხელით დაკვანძულ საიდუმლოების გახსნაა მისი პოეზია, ამ უცნობი ღმერთის პირის ჩენაა მისი წინასწარმეტყველურ ვიზიონერული მისტიციზმი.

თავის წინასწარმეტყველურ ვიზიონერობას, თავის ენორმულ ნაყოფიერებას, თავის გენიალურ გულთამხილაობას, თავის დეკადენტობას უკავშირებს ნიცშე ზემოდ ნახსენებ გრაფ ნიცკის შთამავლობას, რადგან მისი რწმენით დიდი პოეტი, დიდი ფილოსოფოსი, უკანასკნელი სიტყვაა როგორც ამა თუ იმ გვარის, ისე განსაკუთრებული თაობის, განსაზღვრული ეპოქისა და საუკუნისა.

დაიღლება თუ არა ბოლოგიური პოტენცია ამა თუ იმ გვარისა, გვარი წარმოშვებს დიდ არტისტს, დიდ ხელოვანს, დიდ მოაზროვნეს. რადგან მისი თეორიით ატავიზმია ხელოვნება, ატავიზმია თეატრალობა, ატავიზმია ფილოსოფია.

საოცარია, რომ ასეთ ბოლოგიურ არისტოკრატიზმს ჰქადაგებს ადამიანი, რომელიც ყველაზე ხმა მაღლა იცავდა სულიერ არისტოკრატიზმს.

„ჩვენა ვართ პირველი არისტოკრატები ადამიანის ინტელექტის ისტორიაში. ჰისტორიული ყოფა მხოლოდ ჩვენგან დაიწყება“. უფრო გვიან: „ჩემი წინაპრებია: ჰერაკლიტი, ემპედოკლეს, სპინოზა, გოეტე“. ხოლო ზარატუსტრა შვილია ნიცშესი. უკანასკნელი სიტყვა ამ კულტურით დაღალული კაცობრიობის. ზარატუსტრა უკანასკნელი პოეტი, ზარატუსტრა უკანასკნელი გულთამხილველი, უკანასკნელი მისტიკოსი, უკანასკნელი ღმერთის უკანასკნელი ნილაბი, რომელმაც საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ „ღმერთი მოკვდა“. მისი სუვერენული ნების ყოფა ერთგვარ პროკრუსტის სანოლზე ასწორებს წარსულს, მას უნდა წარჩინებული გვარიშვილობა, „რადგან მხოლოდ ბრბოს ახსოვს თავის გენეალოგია მხოლოდ პაპამდის“.

მისი სუვერენული ნებისყოფა მოითხოვს დაკავშირებას გენეტიურ ხაზთან: ჰერაკლიტი, ემპედოკლეს, სპინოზა, გოეტე, შოპენჰაუერ.

ასეთივე სუვერენული ძალდატანებით უდგება იგი მომავალსაც.

„მხოლოდ 50 წლის შემდეგ ზოგიერთები გაიგებენ, თუ რა გავაკეთე მე“.

მას გულწრფელად სჯერა, რომ ზარატუსტრა ერთი ეპოქის პირით როდი მეტყველობს, არამედ ათასეული წლების სანიშნოს უმიზნებს, რომ იგი ათასეული წლების კულტურის მემკვიდრეა.

„თანამედროვე ევროპას წარმოდგენაც არა აქვს, თუ რამდენად დიდ პრობლემების ბორბალზე ვარ მე მიჯაჭვული და რა დიდ კატასტროფას შევიცავ მე ევროპისათვის, ამ კატასტროფის სახელი მე ვიცი, მაგრამ არ გავამხელ“ — სწერს ნიცშე ოვერბეკს.

(1887 წ.). ბოლოს Ecce Homo-ში კარი: „თუ რისთვის მქვია მე ბედისწერა“.

„მე ვიცი ჩემი ხვედრი. მე ვიცი, რომ ჩემ სახელთან დაკავშირებული იქნება საშინელი რამ, უშველებელი კრიზისი, რომლის მზგავსი მინას არ ენახოს. მე უარვყოფ ისე, როგორც არავინ, მიუხედავად ამისა, მე კონტრასტი ვარ უარისმყოფელ სულისა“.

ამ საშინელი, ჯერ არ ნახული კრიზისის ბჭეებთან დგას დღეს არა მარტო ჩვენი თაობა, მთელი კულტურული დასავლეთი, რომლის „გადასვლაზე“ დღეს თვით ევროპიულ კულუარებშიც ხმა მალლა ლაპარაკობენ, ამიტომაც ჩვენ ბუნებრივად უნდა გვეჩვენოს ნიცშეს მოგონება ამ კრიზისთან დაკავშირებული. მართალია, იგი მოციქულია ანტიქრისტიანული მაგრამ მაინც ყველაზე გულწრფელად ამბობდა, რომ „ქრისტიანული ჯვარზე — უზენაესი და უმშვენიერესი სიმბოლოა“, ამიტომაც მის ჰიბრიდულ ბუნებაში ჩვენ გვინტერესებს მისი ჰოსმთქმელი, მისი ღვთიური ნახევარი. ნიცშე — ქადაგი ახალი ღმერთმემოსილობის, ნიცშე აპოსტოლი ახალი კულტურის რელიგიისა.

ამიტომაც დიონისოს ღმერთი თრობისა და შვებისა, ქრისტიან ნიცშეს სხვანაირად ვერ წარმოდგინა, თუ არა და ჯვარზედ, „ჯვარცმული დიონისოს“, ეს ერთი უკანასკნელი წინადადებათაგანია მომაკვდავ ნიცშესი. მას ისე ღრმად ჰქონდა ჯვარზე გაკრულ იესოს ვიზიონერული სახე გულში აღბეჭდილი, რომ თვით ელადურ შვების მახარობელი ღმერთიც ჯვარსაცვა თავის ჰიბრიდულ წარმოდგენაში.

III. მუსიკა

მუსიკა უმთავრესი ელემენტი ნიცშეს განვითარებაში. გოეტეს და ნიცშეს დაპირდაპირება მოითხოვს მუსიკალურ და პლასტიურ ფენომენების დაპირდაპირებას. „უნდა ემღერა ამ ახალ სულს, არ თუ მოეთხრო“, ვკითხულობთ ტრადედიის წარმოშობაში. იმავე წიგნში ნიცშე ნანობს რომ მან სიმღერის, პოეტურ განსახიერების საშუალებით ვერ შეძლო ის ეთქვა, რაც ცნებების ენაზე გამოჰხატა.

შოპენწაუერისთვის მუსიკაა სამყაროს მისტერიის უმეშველო მეტყველება.

ნიცშესთვის თუ ფილოსოფია და პოეზია პატალოგიაა და ატავიზმი, მუსიკა — გედის სიმღერაა როგორც პიროვნების, ისე მთელი ეპოქის. მისი აზროვნების ალოგიზმში მუსიკაა უმთავრესად დამნაშავე, ის საკმაოდ მუსიკალური, საკმაოდ პოეტური ბუნების ადამიანი იყო იმისთვის, რომ სისტემატიკოსი და მოაზროვნე არ გამხდარიყო.

მის პიროვნულ ცხოვრებაშიაც ენორულ როლს თამაშობს მუსიკა. თუ გოეტეს ცხოვრებაში კათოლიციზმის პლასტიურს კულტურას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ლუთერანიზმის მუსიკალურმა კულტურამ სიყრმიდანვე თავისებური გეზი მისცა ნიცშეს აზროვნებას და ფილოსოფიას.

მუსიკა ირაციონალური ენაა სამყაროსი, ამიტომაც ირაციონალია უმთავრესი ელემენტი ნიცშეს ფილოსოფიისა. ნიცშეს მუსიკის სიყვარულის შედეგი იყო მისი ვაგნერით გატაცება და ვაგნერზე გულის აცრუება.

იგი „ადრე სიყრმიდანვე მუსიკისა და მუსიკოსების მეგობარია“.

„ყველა კარგი მუსიკოსები მარტოსულებია და მუსიკოსებს არაფერი აერთებთ ამ სამყაროსთან“ — აღიარებს ნიცშე.

ჯერ კიდევ ჭაბუკი ნიცშე გართულია თავის მუსიკალურ „იმპროვიზაციებითა“ და „ფანტაზიებით“. მუსიკაში ეძლევა თავდავიწყებას ნიცშე, რომელიც არავითარ ამ ქვეყ-

ნიურ გართობაში მონაწილეობას არ იღებდა (ცნობილია მისი განდეგილური ხასიათი ადრე სიჭაბუკიდანვე). „გუშინ თავს დამესხა მუსიკის დემონი“. ვკითხულობთ მის დღიურში. ამ გზით ხდება, ნიცშეს თქმით, ფილოსოფოსი — მუსიკოსი, სოკრატეს — დიონისოს. მას სძულს სოკრატეს ბაზრის ფილოსოფოსი, სოკრატეს რაციონალისტი და აბეზარი ლოლიკოსი, მას მხოლოდ ის სოკრატეს მოსწონს, რომელსაც ათენის სატუსალოში მუსიკის დემონი შეიპყრობს.

მართლაც, ათენის საპყრობილეში მოშაირე და მემუსიკე სოკრატეს უდიდესი მაგალითია იმისა, რომ გზა პოეზიისა და მუსიკისა ის ერთად ერთი გზაა, რომელსაც ყოველი „მონანიებული“ რაციონალისტი და „მხოლოდ თეორეტიკოსი“ უნდა შესდგეს.

მუსიკაა მისი შემოქმედების მუზის დემონი. ეს დემონი უჩვენებდა გზას ნიცშეს პირველი ლექსებიდან ზარატუსტრას მეოთხე ნაწილამდის — ნაუმბერგის შულფორტიდან, ტურინის გონების დაბნელებამდის. მისი პირველი ქმნილება „ტრალედის ნარმოშობა“ მუსიკიდან იშვა, მუსიკაა მისი სტილის ფრთების შემსხმელი.

„მომავალ თაობისაგან 100-ოდე კაცმა რომ იმდენი რამ შეიძინოს მუსიკიდან, რაც მე შემიძენია, — სწერს ნიცშე ერვინ როჰდესს, — მაშინ სრულიად ახალი კულტურაა (ევროპაში) მოსალოდნელი“.

ნიცშე ზიზლით იხსენიებს თავის თანამედროვე ევროპის ცივილიზაციას, როგორც ანტიმუსიკალურ ფენომენს. ცივილიზაცია მუდამ მტრულ განწყობილებაშია მუსიკასთან. „ცივილიზაციას ისე გააქრობს მუსიკა, როგორც დღის სინათლე ლამპის შუქს“ — გვასწავლის რიჰარდ ვაგნერი.

რადგან ცივილიზაციას სხვა რამ უნდა ვიდრე კულტურას, ცივილიზაციაა მისთვის საფრანგეთის რევოლიუციაც, რომელსაც ნიცშე ზიზლით იხსენიებს. ამ მხრით ნიცშე მეორე გენიაა ევროპაში, გოეტეს შემდეგ, რომელიც საფრანგეთის რევოლიუციისადმი მტრულ განწყობილებას იჩენს.

„ბეთჰოვენმა უკეთ ჰქნა ვიდრე შილლერმა, ვაგნერმა უკეთ — ვიდრე კლავსტმა“, ხოლო რიჰარდ ვაგნერი შეიცავდა: ვრაიშუტს, ტიკს და გერმანულ რომანტიკოსებს“.

გერმანული რომანტიზმი მუსიკის და მისტიკის კენტავრი იყო.

მუსიკა და მისტიკა იყო ნიცშეს შემოქმედების უმთავრესი ელემენტები.

„მუსიკა ნაბოლარაა კულტურისა“.

ბეთჰოვენის და როსსინის მუსიკამ გამოიტირა მე-18 საუკუნე. საუკუნე ნებიერ ოცნებისა.

მუსიკა ღვთაებრივი ენაა ბნელს დანთქმული ეპოქისა და წარსული დროებისა.

მუსიკისა და მისტიკის კენტავრი იყო თვით ნიცშეც.

IV. მისტიკა

ნიცშეს ახალი პროფეტია, ნიცშეს ინდივიდუალიზმი თავის განვითარების უკანასკნელ ეტაპებში მისტიკაში გადაიჭრა. ზარატუსტრა საუცხოვო მაგალითია, რომ ჩვენ თანამედროვეობაში, დიახაც, დიდია ღმერთობის შემომქმედი ინსტინქტი.

ნიცშე თავის თავს უწოდებს C'ome l'uome s'eterna. აქედან იწყება მის შემოქმედებაში და პიროვნულ განცდაში განინდივიდუალება (Entpersönlichung). ზარატუსტრა წინასწარმეტყველური გაშიშვლებაა პიროვნების და მისივე ემპოდექლესებური გადასვლა ზეინდივიდუალურში, აქ იხატება დიონისოს თავის სმარაგდის მშვენების მთიებით მოსილი.

ამ მომენტში გოეტეს აპოლინური თვალი ძლევს მოსილ პიროვნების ღმერთში უკუქცევას ჰხედავდა (Das Zurücktreten des Siegreichen Individuums in den Gott).

„რაც დიდია ადამიანში ეს არის ის, რომ იგი ხილია და არა მიზანი, ის რაც სიყვარულის ღირსია ადამიანში, ეს არის ის, რომ იგი გადასვლაა და დაღუპვა...“

მე მიყვარს იგი ვინც ღმერთს მოაქცევს, რადგან მას უყვარს ღმერთი თვისი.

ვინაიდან იგი უნდა დაიღუპოს თავის ღმერთის რისხვისაგან“ (ზარატუსტრას წინათქმა).

ზეკაცი და დიონისოს ნილაბია ერთი და იმავე ღმერთობით დამთვრალ მომავალ ადამიანისა. ვაგნერისა და შოპენჰაუერის ვასალობისაგან განთავისუფლებული ნიციშე თავის შემოქმედების უკანასკნელ ეპოქაში გოეტეს ზედგავლენას განიცდის, მაგრამ აქ უნდა ვიგულისხმოთ მოხუცი გოეტე. გოეტე ავტორი ფაუსტის მეორე ნაწილისა და ეკერმანთან მოსაუბრე ბრძენი. გოეტეს საუბარი ეკერმანთან ნიციშეს სეკულარულ წიგნად მიაჩნია. ხოლო გოეტეს პარნასიზმი და შტურმისა და დრანგის დროის პრომეთეული ტიტანიზმი მისტიკამ დააოკა.

ამ მხრით საინტერესოა გოეტეს „საიდუმლებანი“. აქ გოეტე გვანიშნებს, რომ მხოლოდ ადამიანის საშუალებით შედის ადამიანი ელოიზის მისტიკების რთულ ლაბირინტში.

ხოლო ელოიზის მისტიკები ჰელენისტური გაგებისა თავის სუბქექტად გულისხმობდა არა პიროვნებას სინგულარულად, არამედ პლურალურ პიროვნებას ადამიანობის მოდემისას (გაგებულნი, რა თქმა უნდა, როგორც ბერძენთა ნაცია). ელოიზის აკავშირება ადამიანების კრებულს უხილავ ღმერთთან.

ელოიზის იფარავდა ადამიანობის მოდემას ქაოტიურ დაქსაქსისაგან, ელოიზის მარტვალი იყო როგორც ღმერთობასა და ადამიანობას, ისე ადამიანსა და ადამიანს შორის. გრძნობა სამყაროს გამაერთიანებლის ღმერთისა და პასუხისმგებლობა ადამიანთა მოდემის წინაშე. პასუხის მგებლობა ღვთაების მიმართ, მაშასადამე: ელოიზის მოითხოვს უცილოდ სინგულარულ „მეობის“ და სინგულარულ პასუხისმგებლობის უარყოფას.

ნიციშე კერძო წერილში: *Einer mit seinem Gedanken allein gilt als Narr... Mit zweien beginnt aber die Weisheit* (ერთი მარტოოდენ თავის აზრების ამარად სულელად ითვლება. ორისგან იწყება სიბრძნე)¹.

ოკუმენტური სიგიჟე და ოკუმენტური მისტიკაა საფუძველი როგორც დიონისოს პროცესიებისა, ისე ელოიზის დიდი მისტიკებისა. ეს ოკუმენტური მაგიაა საერთო ფონი ტრადიციის წარმოშობისა და ბერძნული ტრადედია წმინდა რელიგიოზური მისტია, ტრადედია გაგებული როგორც კულტი დიონისოს ღვთაებრივ მაგიასთან დაკავშირებული.

გოეტე: *Der isolierte Mensch gelangt niemals zum Ziele*. განმარტოებული ადამიანი ვერასოდეს მიზანს ვერ მიაღწევს (ამას სწერს გოეტე ფაუსტის დასრულების შემდეგ) მისტიკურია მარტოობაში შეუძლებელია.

Immer einmal eins — das gibt auf die Dauer zwei (მუდამ ერთჯერ ერთი იძლევა ბოლოს: ორს).

და თვით ზარატუსტრა ახალი მისტიკის იოანეს ნათლისმცემელი დიად შუადღეთა და ხრიოკ უდაბნოთა მეგობარი იშვა შუადღეს.

ეს იყო დიადი შუადღე.

Um Mittag war's, da wurde Eins zu Zwei,

Und — Zaratustra ging an mir vorbei.

„იყო შუადღე და ვიხილე ერთი გაორდა. და ზარატუსტრამ ჩემ თვალის წინ გადაირბინა“. ზარატუსტრას და ნიციშეს ტრადედიაა კონფლიქტი ინდივიდუალურ ყოფასა და ოკუმენტურ მისტიკიას შორის. პოემა ზარატუსტრა სხვა რაღაა, თუ არა და კვივილი მისტიკური-

1. შეადარეთ: ნოვალის: *Gemeinschaftlicher Wahnsinn hört auf Wahnsinn zu sein* — ოკუმენტური სიგიჟე უკვე სიგიჟე აღარ არის. იგი მაგიად იქცევა.

საკენ მიქცეული. ზარატუსტრა ქადაგია დიადი მარადიული უკუმოქცევისა, ზარატუსტრა წინასწარმეტყველია ახალი ელოიზის, უნდა მივიდეს ახალი ათასეული წელი ელოიზის მისტერიებში განწმენდილი, უნდა მოვიდეს ახალი ზეკაცური თაობა ელოიზის მისტერიებით პირგაბადრული. მაშინ ჩამოვა ზეცით თაობა ახალი, მაშინ გადაივლის ტრიუმფით მინაზე გაზაფხულის პირზე მეორეჯერ დაბადებული ღმერთი დიონისოს თავის სმარაგდის მშვენების მთიებით მოსილი. „უნდა დადუმდეთ! დიდი საგნების, მეჩვენება, გვიახლოვდება დიად საგნების პირის ჩენა. უნდა დადუმდეთ.

ან იტყოდეთ სიტყვას მაღალსა. და სთქვი სულ სიბრძნით ალტყინებულ სიტყვა მაღალი.

ჰოი, ღამევ, ჰოი, დუმილო.

და სიჩუმევ სამარეების.

ხედავთ, მოჰქროლავს ელვარება

ახალ ცთომილის.

შენ ხარ მნათობი უაღრესს ყოფის,

მიახლოვდები?

ჯერ არავის მოლანდებია

შენის სახის მუნჯი მშვენება“.

Incipit Mysteria!

ელოიზის მოითხოვდა აბსოლუტურად საიდუმლოს დაცვას.

ხილვა. ტანჯვა. დუმილი. სამი უმთავრესი ელემენტი ელოიზის მისტერიების. მე-18-ე საუკუნის განმავლობაში იყო ცდა მისტერიის შენახვისა. გოეტეს ვილჰელმ მაისტერის Turm-Gesellschaften — პედაგოგიური პროვინცია Temenos. ფეხშეუდგმელი ნალკოტი. შემდეგ მისტიური ფრაგმენტი გოეტესი — საიდუმლოებანი.

ბოლოს ჰოლდერლინ — ნოვალის და რომანტიკოსები „საისის ჭაბუკები“.

ქრისტიანულ-პროტესტანტული რელიგიოზური გრძნობა ნიცშესი მაინც ჰელლენურ ხასიათს ატარებს: „მე მგონია ყოველთვის, თითქოს მე მრავალობით რიცხვში ვიყო“.

ზარატუსტრა ელოიზით განახლებულ ათასეული წლის მოლოდინშია.

ზარატუსტრამ განიცადა ყველა ის შინაგანი წამებანი, რომელიც შედეგი იყო პიროვნების შენარჩუნებისა და მისტერიისადმი ნების ყოფის ჭიდილისა. „Das Begreifen ist ein Ende“.

გაგება დასასრულია. ადამიანი მითიურ ბაზილისკივით მოკვდება, როგორც კი თავის თავს დაინახავს აბსოლუტურ შემეცნების სარკეში. ნიცშეში იმარჯვებს ბერძნული იდეა — განინდივიდუალებისა — Ehtpersönlichung!..

არსებობს სპარსული ლეგენდა: მაგიური ბრძენი ინცესტში იბადება.

სიბრძნე წყევლაა ბუნებისა.

„სიტყვა საშიშარია. რამდენი რამ არ უნდა გამოსთქვას ადამიანმა.

რა იცის ადამიანმა თავის თავზე? უმთავრესი ბუნებას დუმილში აქვს შემონახული და ადამიანი ამ საიდუმლოებას ვერასოდეს ვერ მიაგნებს“.

ნიცშე მოითხოვს — როგორც ადამიანის პიროვნება, ისე კულტურა მითიურ ნისლში იყოს. უმითოდ ყოველივე კულტურა დაილუპება.

ყოველივე კულტურა იმითი ინყება, რომ უამრავი საგნები იდუმალობით უნდა იქნას მოცული.

ნიცშე მოითხოვს ელოიზისეულ დუმილს და მოკრძალებას.

ნიცშე უდიდესი ოსტატი და ჯადოქარია სიტყვისა, სიტყვის წინააღმდეგ ილაშქრებს სუსოსა და ანგელუს სილვზიუსის კვალობაზე. „რისი გაცნადაც ჩვენ ძალგვიძს, იმისთვის სიტყვები არასოდეს არ გვეყოფა“.

აქ ნიცშე მოითხოვს უსიტყვო ჭვრეტას.

ამ ჭვრეტას — ხილვას არისტოტელესის ენაზე ეწოდა პათეინ — იგივე განცდა, ხოლო მათეინ — შესწავლა, შეცნობა.

„იმღერე — არ ილაპარაკო“.

ამგვარად მოხდა ნიცშეს ემპედოკლესური გადასვლა ნიჰილიზმისა და სკეპტიციზმისაგან — მისტიკაში, რაციონალურიდან — ირაციონალურში, ლოგიკურიდან — ზელოგიურში. როცა სკეპტიციზმი და ოცნება შეუღლდებიან, წარმოიშვება მისტიკა. დიონისის წამებიდან ყოველწლიურად ხელახლად იქმნება ქვეყანა. ტანჯვიდან ხელმეორედ შობა ძირითადი ფონია დიონისოს რელიგიისა. დიონისოს — ელოიზებში მონაწილედ ტანჯვაში ხელმეორედ შობას განიცდის, რადგან ტანჯვა ათანაბრებს როგორც შემწირველს, ისე შეწირულს. აქ დიონისოს ეხმაურება ლუთერულ ქრისტიანობას:

Alle Christen werden solche Herren, wie der Iesus selbst.

ქრისტიანები ისეთივე ბატონები გახდებიან მინაზე, როგორც თვით ქრისტე. ნიცშე შეწირულია ღმერთის დიონისოსი, რომელიც ალივით დაინვა.

რაფაელს დახატული აქვს პლატონი ზეაპყრობილი ხელებით. უნდა მოვიდეს ახალი რაფაელი, რომელიც ახალი ევროპის ახალ პლატონს ზეაპყრობილი ხელებით დახატავს. ასე დარჩება ნიცშე ადამიანობის ნათელ ხსოვნაში. რადგან იგი იყო როგორც ზვარაკი, ისე თვით ტანჯვაში პირგაბადრული ღმერთი დიონისოს თავის სმარაგდის მშვენიერებაში გაბრწყინებული.

*კონსტანტინე გამსახურდია
ტფილისი, დეკემბერი*

ფრიდრიჰ ნიცშე

მისი დაბადების მესამოცდათვრამეტე წლისთავზე

ესკიზი

Il n'a rein vécu en dehors de lui même, et toute sa vie fut dans le drame de sa pensée.

M-me Lou-Andréas Salomé

ნიცშეს ცხოვრება მისი საკუთარი აზროვნების დრამის განცდაა. იგი თვითონ არის თავისი სულიერი ტრაგედიის გმირი, ჯალათი და მსხვერპლი. მისი ყოველი აზრი პერსონაჟია, რომელიც ლანდის სახით კვლავ იზიდავს მას მომხიბლავი მაცდურობით შემეცნების წარმტაც, მაგრამ სახიფათო მწვერვალებისაკენ.

ნიცშე უკიდურესობის ჯადოქარია, ახალი სიტყვის მაუნყებელი. მასში ბრძენი, მეცნიერი და მსახიობი ერთმანეთს გამარჯვებას ეცილებიან და შეურიგებელ ბრძოლას შემოღობის აპოთეოზით აგვირგვინებენ.

I

მისი პირველი გატაცების საგანი შოპენჰაუერია. ფრანკფურტელი პესიმისტის ზეგავლენით ნიცშე ანტიურ საბერძნეთში ეძიებდა სფინქსის ამოცანას, ადამიანის და არსებობის საიდუმლოებას. ერთხანათ მას მხოლოდ საბერძნეთი ჰყავს საოცნებელად. ჰგონია, რომ იქ, ძველი ელადის კიდეებზე, განხორციელდა არა მარტო ფილოსოფიის, არა-

მედ თვით ფილოსოფიური ცხოვრების იდეალიც, რომ იქ, აკროპოლის და დიონისეს თეატრის ნანგრევებში, ტრაგედია — საბერძნეთის ხელოვნების სული — მას წინ გადაუშლის ელევზისის და დელფოს მისტერიას. იგი აღტაცებაში მოჰყავს ჰერაკლიტეს. „ქვეყნიერებისათვის მუდამ საჭიროა ჭეშმარიტება — ამბობს ნიცშე — და თუ ეს ასეა, მას მუდამ დასჭირდება ჰერაკლიტე“...

მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი შეფერხებაა. მალე ის უსულო ნანგრევებს გარდა ვერაფერს დაინახავს.

სად გაჰქრა საარაკო გმირთა წყება, რომელი ნაშთი დაარღვევს აკლდამის მყუდროებას, რომელი ნანგრევი გამოეხმაურებოდა მას ღვთაებრივი ხოროს ბანიით?!

ამ ხანებში ნიცშე უახლოვდება რიჰარდ ვაგნერს. მისმა ტიტანიურმა პიროვნებამ და მუსიკამ სრულიად შეიპყრო ყრმა ნიცშეს სული და გაიტაცა.

შოპენჰაუერის აზრით, მუსიკა საგნების სულის მხილებაა და მათი უშუალო ექსპრესია. ვაგნერის დრამების უმთავრესი მოტივები და ჰარმონია მართლაც გვიმხელენ მომქმედთა სულიერ მოძრაობას და თითქმის ჩვენი თვალით გვაყურებინებენ მათ გულის ძვერას.

ნიცშე ნეოფიტის აღტაცებით შეჰყურებს ვაგნერის შემოქმედების ელვარებას და ჰფიქრობს, რომ მან უკვე აღმოაჩინა ის, რასაც ელადის სასაფლაოზე ამაოდ ეძიებდა. საბერძნეთის ტრაგედია მის თვალში ან სულ ახალი ელფერით იხატება. მიუხედავად იმ უფსკრულისა, რომელიც არსებობს თანამედროვე და ანტიური თეატრის შორის, ნიცშე რწმუნდება, რომ ტრაგიული გრძნობა ყოველგან და ყოველთვის ყოფნა-არყოფნის მისტერიის ნაკადულია...

ნიცშეს პირველი წიგნი: *Die Geburt der Tragoedie* (1872) დაწერილია ვაგნერის და შოპენჰაუერის ძლიერი ზეგავლენით. საბერძნეთის ხელოვნება ნიცშეს წარმოდგენილი აქვს აპოლონიურ და დიონისურ ელემენტების კომბინაციად. მშვენიერი ინდივიდუალიზმის სანახაობა, პოეზიის და სიზმრის წყარო, გადახლართული უნივერსალური შემოქმედება — დანგრევის, თავდავინყების და მუსიკის ჩანჩქერთან! ტრაგედია უნდა გვათრობდეს ერთ და იმავე დროს ინდივიდუალი არსებობის და კაზმიურ ძალთა სრბოლით. საშინელების და სიბრალულის გზით ის უნდა გვიტაცებდეს დიონისეს სამხიარულო ფერხულისაკენ, სადაც თავდავინყებულნი ჩვენ შეუერთდებით **არსთა-არსის** შეუმუსრავ მოძრაობას და მარადობის შემოქმედ ქარიშხალს.

ეს იყო ნიცშეს პირველი გალაშქრება ოფიციალური ფილოსოფიის წინააღმდეგ, რომელიც ანათემით დარისხავს მას — ბაზელის უნივერსიტეტის ფილოლოგიის პროფესორს. ნიცშეს გაბედულმა სიტყვამ და ტრაგედიის განმარტებამ ვაგნერის მუსიკის შემწეობით გამოიწვია გაშმაგებული კრიტიკა, რომელიც სცდილობდა მისი აღმაფრენის ფრთების შეკვეცას, მაგრამ ამაოდ... ამიერიდან ნიცშე უკდავების წიაღშია მოქცეული!

შემდეგს წლებში ნიცშე აღრმავებს თავის პირველ წიგნში გამოთქმულ აზრებს. ფილოსოფიაში იგი კვლავ შოპენჰაუერის ერთგული მოწაფეა. უკუაგდებს ღმერთს და ადამიანის სულის უკდავებას. მას სწამს მხოლოდ ტრანსცენდენტალი რეალობა, როგორც ბუნების და კაცობრიობის ძალთა და იდეათა იერარქია. ფილოსოფიის სახელით ომს უცხადებს პოზიტინე მეცნიერებას, რომელიც მოვლენათა მხოლოდ გარეგნობას აღნიშნავს და ლამობს ცხოვრების კანონებით შებოჭვას. ინტუიციის და შემეცნების სახელით ნიცშე ებრძვის ისტორიის ტირანიას. ხელოვნება და არა ისტორია, ამბობს ის, არის რეალური არსებობის ინტერპრეტაცია და ამისათვის ქვეყნიერებას სხვა არავითარი ღირებულება არა აქვს-რა, თუ არა ეს-თეტიურ ფენომენის. ნიცშე აცხადებს გენიალობის სუვერენობას და ჰქმნის მის კულტს, რადგანაც გენია არის ტრანსცენდენტალი ჭეშმარიტების გამომხატველი, მისი მაუნყებელი და მამხილებელი. ვაგნერი ერთი მათგანია, დროთა გარეშე შობილი, მარადობის ქადაგი, გერმანიის კულტურის მსხნელი, დიონისეს და აპოლონის ხელოვნების ახალი მოციქული...

II

ათი წლის შემდეგ ნიცშე უწოდებს ვაგნერს დეკადანსის მთავარს, თანამედროვე მუსიკის გამრყენელს და უარსა ჰყოფს მის დრამატიული შემოქმედების ნიჭს.

თვით ნიცშე არაფერს ამბობს ასეთ ცვლილებაზე. იგი მხოლოდ აღნიშნავს: „ჩემი ცხოვრების უდიდესი გამოცდილება, ჩემი სწეულებისაგან განთავისუფლებაა, ვაგნერი ერთ ჩემ სწეულებთაგანი იყო“.

ნიცშე მართლა სასწაულს სჩადის. იგი ძირს ამხობს თავის გუშინდელ სათაყვანებელ კერპს და ტრიუმფატორის სილალით ფეხ-ქვეშა სთელავს არა მარტო ტანჰოიზერის და ლოჰენგრინის ავტორს, არამედ მთელ თავის ოლიმპს, ყველა მისი ღმერთებით.

Menschliches, Allzumenschliches (1878) ნიცშეს სავესებიო მეთამორფოზის სარკეა. მას აღარა სწამს არც გენიალობა, არც მეტაფიზიკა, აღარც ხელოვნება და კაცობრიობა. გუშინდელი აღფრთოვანებული იდეალისტი დღეს უკიდურესი პოზიტივისტი და სკეპტიკია, რომელიც უარსა ჰყოფს ტრანსცენდენტულ ჭეშმარიტებას, როგორც ფანტასმაგორიას და აღიარებს მოვლენათა დაუსაბამო, დაუსრულებელ, უმიზნო ცვალებადობის ერთად-ერთ რეალობას.

ხელოვნება ქიმერის მონაა. თვით საბერძნეთის პოეტები, რომელთაც ნიცშე, ერთ დროს დიდ პატივსა სცემდა, სხვა არაფერს წარმოადგენენ, თუ არა აქტიორებს და ჭეშმარიტების დამმახინჯებელ, გამოქნილ მატყუარებს. დიონისეს ხელოვნების ქურუმნი — გრძნობით მთვრალნი; ენტუზიაზმი — არაყი, რომელიც ნერვებს უშლის ველურ ადამიანს და ღუპავს მას; გენიალობა — იაფ-ფასიანი დიდება და ატავიზმის შედეგი; ზნეობა — ეგოიზმი და ინტერესი; ექსტაზიური ბახუსის მაგიერ — გონიერი სოკრატი... და ამიტომ: *Fiat veritas! pereat vita!*

ამიერიდან ნიცშე თავს ანებებს ცხოვრების შარა-გზას და საკუთარი ბილიკით მიისწრაფის უდაბნოსაკენ, რომლის ცისკამარა თანდათან იქუშება შავი ღრუბლებით და დაღუპვას ემუქრება მწირ მოგზაურს...

„რა დაემართა ღმერთს? მე გეტყვით! ჩვენ ის მოვკალით! ჩვენ ყველანი მისი მკვლელები ვართ!“ მაგრამ შესძლებს თუ არა ნიცშე ამის ატანას? რა წყალი გაჰბანს მის, ღმერთების სისხლში გასვრილ ხელებს? იპოვის თუ არა თავშესაფარს უმეგობრო, უსახლკარო, მოხეტიალე აჰასფერი?..

ნიცშე ახორციელებს მე-XIX საუკუნის ანტირელიგიურ ტენდენციას. სინამდვილე და არა ილუზია. სამყარო მოკლებული ღმერთს, საყრდნობელს, წესებს, პერმანენტ სუბსტანციას, უაზრო, უმიზნო, ცარიელი — ასეთია ნიცშეს ფენომენალიზმი.

ამაოდ სცდილობს ნიცშე ისეთი ავტორიტეტის გამონახვას, რომელიც დაიჭერს დამხობილ ღმერთის ადგილს. „ზნეობრივი შეგნება“ და მისი იმპერატივი, „გონიერება“, „სოციალური ინსტინქტი“, „ისტორია“, „უმრავლესობის ბედნიერება“, ან ყველა ამის მაგიერ — აგნოსტიზმი და ბოლოს — ცხოვრება არარაობაა, ხოლო ჩვენი შემეცნება კი — ბიოლოგიური ფანტასმაგორია და ფალსიფიკაცია...

ნიცშე ჰკლავს ღმერთს, მაგრამ მისი აჩრდილი?

„მგზავრო, ვინა ხარ შენ? — დაისვენე. — დავისვენო? — უცნაური ყოფილხარ! — რა საჭიროა დასვენება? — უკეთესი იქნება მომცე ნილაბი. — რა? კიდევ ერთი ნილაბი? ... ნიცშესათვის საჭიროა ნილაბი, ეხლა იგი მოგზაური და მისი ჩრდილია, რომელიც გადაელობება შეღამებული დღის შორეულ ცისკრებს და მაცდური ლუციფერის ხმით ჩასჩურჩულებს ყურში: „განა შენ არ დაიფიცე ბოლო მოულო ყველა ქიმერებს? მოსპე, მოსპე ზეციური აბსურდი, სიზმარი. გასწი შენი საკუთარი სამეფოსაკენ, სადაც შენ მარტოდ-მარტო იმეფებ“. ამაოდ ეძებს ნიცშე მარტობას. იგი გარს მოუცავს მრავალ აჩრდილს. თან სდევნ მის მიერ

უარყოფილი „მავნე ჯადოქარი“ — შოპენჰაუერი და ვაგნერი. „რა გსურთ ჩემგან? — ეკითხება მოგზაური, — დიდხანია, რაც მე თქვენ დაგხოცეთ, წყეულო მოჩვენებანო!“ „ჩვენ მხოლოდ შენ მასწავლებელთა ლანდები ვართ. შენ მათი ბეჭედი გაზის და ამიტომ დაგყვებით თან. ლანდის მოკვლა შეუძლებელია. ჩვენ შენი ატმოსფეროს სტუმარნი ვართ“ — უპასუხებენ აჩრდილნი. ნიცშე სასტიკად ამათრახებს აბეზარ სტუმრებს და შეუპოვრად განაგრძობს გზას, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე მოესმის მათი იდუმალი ხმა: „აქა ვართ, უფრო შორს გასწი“... მართლა წინა წავა, რომ შეხვდეს თავის გულნადებ ზარატუსტრას.

III

Die fröhliche Wissenschaft (1882) ნიცშეს ახალი მეტამორფოზის კვირმძალია. „მე მსურს ვიფრინო, მხოლოდ ვიფრინო“ — ამბობს ის. ნიცშეს აღარ აკმაყოფილებს პოზიტივიზმის ხუნდების ტარება. მისი ოცნებით სავეს ბუნება ველარ ურიგდება დეტერმინიზმის ატმოსფერას, რომელიც იკისრა, როგორც ებიტიმია... Ehlbien, vogue la galère თავისუფლები-საკენ, რომელიც სასწაულად აღმოცენდება ძლიერი ადამიანის ნებისყოფისაგან. ძირს სოკრატეს გონიერება და გაუმარჯოს ინსტინქტს!

ენგანდინის სიმალეებზე, მის პატარა უძრავ ტბათა შორის, რომელთა სიღრმიდან მარტოობა ლაპარაკობს, ნიცშემ იგემა ზარატუსტრას სიზმარი და შეასხა თავის სულს არწივის აღმაფრენა...

ოცდა-ათი წლის ზარატუსტრა შეუდგა განდეგილის ცხოვრებას. ათი წელიწადი სცხოვრობდა გამოქვაბულში თავის საყვარელ ცხოველებთან — არწივთან და გველთან — ერთად და სტკებოდა თავის მარტოობით. ათი წლის შემდეგ გადასწყვიტა ადამიანებს გამოსმაურებოდა და მათთვის თავის სულიერი საუნჯე გაენანილებინა. გზაზე წააწყდება ერთ მოხუცებულ მეუდაბნოეს, რომლის ლოცვაც არ ესიამოვნება ზარატუსტრას ყურს. მწირს წინ გაუვლის ირონიული ღიმილით და თავის თავს შეეკითხება: „ნუ თუ შესაძლებელია — ამ მოხუც წმიდანს ვერ გაუგია, რომ ღმერთი მოკვდა? მახლობელ ქალაქში ჰპოებს ბრბოს, რომელიც შეყრილა მოედანზე და უცდის ჯამბაზის მოსვლას. ზარატუსტრა მიმართავს ხალხს ქადაგებით... „თქვენ განვლეთ გზა ჭიაყელიდან ადამიანამდე და ბევრი თქვენგანი ჯერ კიდევ მატლია. ერთ დროს თქვენ მაიმუნები იყავით და ეხლაც ადამიანი უფრო მაიმუნია, ვიდრე სხვა რომელიმე მაიმუნი... ერთ დროს ღმერთის შეგინება უსაშინელესი გინება იყო მაგრამ ღმერთი მოკვდა და მას თან გადაჰყვინენ მისი მაგინებელიც... გაფიცებთ, ძმანო, იყვნეთ ერთგულნი ამა სოფლისა და არ დაუჯეროთ მათ, ვინც საიქიო იმედებზე გელაპარაკებინან!.. მე თქვენ გასწავლით ზეკაცს, რომელიც არის აზრი ქვეყნიერებისა... ბრბო ვერ მიხვდება ზარატუსტრას ქადაგებას. მატლი — მაიმუნი — ადამიანი — მკვდარი ღმერთი და მის ადგილას ზეკაცი — მისთვის გაუგებელია.

ამისათვის საჭიროა ადამიანის სამჯერ გარდაქმნა, რომლის იგავს ზარატუსტრა კვლავ დაბრუნებული თავის გამოქვაბულში, უამბობს მასთან მოსულ მონაფეთ. „ადამიანი უნდა გარდაიქცეს აქლემად, ლომად და ბავშვად“. აქლემი მომთმენი და ბევრის ამტანი ცხოველია, რომელიც ზიდავს მძიმე ტვირთს, ადის მაღალ მთებზე, სვამს უწმინდურ წყალს და იკვებება ხმელი ბალახით. ამგვარადვე მოიხვეჭს სული მისთვის საჭირო საუნჯეს. მაგრამ ერთ დღეს აქლემი უდაბნოში ლომად გარდაიქცევა და შეებრძოლება თავის ღმერთს, თავის ვეშაპს, რომელსაც აქამდე ემსახურებოდა და რომლის სახელიც არს: „შენ მოვალე ხარ“. „მე მსურს“ — შესძახებს ლომი, მოსპობს თავისი სიყვარულის საგანს — მოვალეობას — და შეიქმნება თავისუფალი. რა საჭიროა მძლავრი ლომისათვის ბავშვად გარდაქმნა? ბავშვი უმანკოებაა, ლაღობა, თავდავინყება, ინსტინქტი, რომელიც ჰქმნის ახალ ცას და ახალ დედამიწას.

სულის მაგიერ ინსტინქტი, სხეული — ეს მხოლოდ — გრძნობარე პლურალობა, ზავი ომში, ჯოგი, რომელსაც ერთი მწყემსი მწყობს — ასეთია ზარატუსტრას მიწიერების აპოლოგია.

ზარატუსტრა ომს უცხადებს წარსულს და სწყვეტს მაგნიტიურ ჯაჭვს, რომელიც აერთებს დროსა და ჟამს; ანმეოს წარსულთან. წარსულში ყველა ბრძენი და წინასწარმეტყველნი, რეგენნი და პედანტები იყვნენ. მხოლოდ მოცეკვარე, გულცივი, მომცინარე, გულადი ზარატუსტრა შესძლებს მაღალ მთებზე ასვლას, რადგანაც მას შორსჭვრეტა უყვარს, უყვარს თვალმიუწოდომელი ჰორიზონტები, სათნობის და ბოროტების გაღმა ყოფნა.

ერთ დღეს სიზმარს ნახავს: ბავშვი სარკეს მიაწოდებს, ჩაიხედავს და შიგ დაინახავს საშინელი დემონის მოხარხარე სახეს. რას ნიშნავს ეს? მართლა მტერთა კარიკატურას ზარატუსტრას მოძღვრებაზე?.. თუ ეს სინიდისის უკანასკნელი გამაფრთხილებელი ხმაა, მკვდარი ღმერთის ლანდი? მაგრამ სინიდისის ქენჯნა უძღურთა ხვედრია და ზეკაცის გულს არ ეკარება. ზარატუსტრა გამოვარდება გამოქვაბულიდან და დაიწყებს ჰიმნს სანეტარო კუნძულთა სადიდებელათ, რომელნიც მან უნდა დაიპყროს... „დიდ ხანს უსმენდი მარტობას და ამგვარად გადავეჩვიე სიჩუმეს... მსურს, ჩემი სიტყვის ჩანჩქერით მოვრწყო ხეობა, მსურს ახალი გზები, ვგრძნობ ახალი სიტყვის მოვლინებას: როგორც ყველა შემოქმედი, მეც დავილაღე ძველი სიტყვებით, ჩემს სულს აღარ სურს ნაცვეთ ქალამნებით სიარული... როგორც მახარობელი ხმა. მსურს, გადავლახო ზღვანი და ვპოვო სანეტარო კუნძულები, სადაც ჩემი მეგობრები მოსახლეობენ“.

ზარატუსტრა სანეტარო კუნძულებზეა. გვიჩვენებს თუ არა ის თავის მეგობართა და მოწაფეთა ახალ ჯგუფს, ახალ ქალაქს?! კვლავ განდეგილის მონოლოგები, კვლავ გამათახსირებელი სატირა იმ საზოგადოებაზე, რომელიც მან დასტოვა. სასაცილოდ იგდებს თანასწორობის მქადაგებელთ და უწოდებს მათ: „შურისა და სიძულვილის ტარანტულებს“; პოლიტიკოსებს, რომელთაც პატივსა სცემენ იმიტომ, რომ ემსახურებიან ბრბოთა ცრუმორწმუნებას, როგორც შინაური პირუტყვი, ადვილად იდგამენ მის კეხს, ან პატარა სახედარივით შეებმევიან დიდი პოლიტიკის ეტლში. დასცინის ფილოსოფოსთ, რომელნიც მოგვაგონებენ ცუდად გახედნილ ველურ ნადირებს და „ბუნაგთან ნაჩოქილ გარეულ ტახებს“; სძულს მეცნიერნი და ამსგავსებს მათ „მტვერში გახვეულ ფქვილის ტომრებს“. ნამეტნავად ცუდათ იხსენიებს პოეტებს, რომელთაც ძალიან ცოტა იციან, ცუდათ სწავლობენ და ამიტომ იძულებულნი არიან იცრუონ... ცოტა ვნებიანობა, ცოტა მოწყენილობა — ასეთია მათი საუკეთესო ტიპი. ისინი უწოდებენ თავიანთ თავს ზავის ჩამომგდებელთ, მაგრამ ნამდვილათ კი ყალბი მაჭანკლები არიან. „მსურდა ბადე გამემსროლა მათს ზღვაში, მაგრამ გარდა მოხუცი ღმერთის თავისა, იქიდან სხვა ვერაფერი ამოვზიდე... შესაძლებელია, თვითონაც ზღვიერნი იყვნენ? მართალია, იქ მარგალიტებსაც ჰპოვებენ, მაგრამ როდესაც იქ სულს ეძებენ, ჰპოვებენ მხოლოდ მლაშე ქაფს. პოეტებს ზღვისაგან უსწავლიათ ფარშავანგობა და შეუთვისებიათ მისი ამაოება. ისინი ალაც-მალაცს გადადიან და ჯამბაზობენ თვით უმზგავსი კამეჩების წინ, თუ ესენი მათ ცქერას მოისურვებენ. ასეთია ზღვა მათი ამაოების!

ზარატუსტრა დასცინის კულტუროსანთ და განათლებულთ, უწოდებს მათ „ჭრელი ქოთნების სამშობლოს“, საფრთხობელას, ბერნთ, აზროვნების ქარებს, ჩონჩხს, რომელიც მოსპობის ღირსია.

უნდა წარიღვნას ყოველივე, რაც კი სცოცხლობს!... შეუბრალებელია ზარატუსტრა, მის გულს და სულს არ ეკარება ადამიანთა ტანჯვა, იგი სიხარულის მაყარია, მოცეკვარი, ლალი, უდარდელი... მაგრამ რამდენ ხანს გასტანს ლხენით სიმთვრალე და საზეიმო საგალობელი?!

ზარატუსტრა, ვხედავ, შენი სანეტარო კუნძულების მზეს უკვე ბინდი ეპარება და, საცაა, ხეობიდან სუსხიანი თერხვი ამოვარდება. აგერ ზიხარ და გსურს დასტკბე ზღვის ტალღებში ჩამავალი მზის მშვენიერების სურათით. აგერ ელვარე ტალღებში საფლავებით სა-

სე შავი კუნძული აღმოცენდა, შენ მათ უძახი მტერთა სასაფლაოს და ირწმუნები, რომ კლდე-თა დამმსხვრევი შენი ნებისყოფა, როგორც მარადობის ჭაბუკი, ზედ აზის დამარცხებულ-თა აკლდამას... მაშ, რა განუხებს? ნუ თუ მართლა მწუხარე კუნძული შენი ახალგაზრდო-ბის ძვირფასი სიზმრების სასაფლაოა და მწარედ მოსთქვამ მათს დაკარგვას!?. მაგრამ გვი-ანლა — *allia iacta est*, უკან ველარ დაბრუნდები, ან ველარაფერი განუგეშებს...

ერთ ღამეს ზარატუსტრა ქურდულად სტოვებს სანეტარო კუნძულებს და კვლავ თა-ვისი გამოქვაბულის და ძველ მეგობარ არწივის და გველისაკენ მიეშურება. აქ მას ღვთა-ების იდეა მოსვენებას არ აძლევს და დამოკლეს მახვილით თავს დასტრიალებს. მან დი-დხანია ღმერთი უარყო და ეზიზღება ყველა ჩოქზე მდგარი და ლოცვისათვის გულხელ-დაკრეფილი. ლოცვა სიბილნეა... როგორ შეურიგდება ამაყი ზარატუსტრა ღმერთის არ-სებობას?!... „მე ვარ უღმერთო ზარატუსტრა... და ჩემგან უნდა იშვას ზეკაცი“.

ზარატუსტრა აცხადებს თავის ახალ მცნებათა ფიცარს, მის კონცეპციით ცხოვრების საფუძველი ბატონობის სურვილია. უფროსი მონა ბატონს ხელფებს ულოკავს, ამიტომ რომ უნდა თვითონ უმცროსებზე იბატონოს. ასეთია არსებობის მიზანი და შინაარსი. აქედან — მისი შეხედულება ზნეობაზე, სიკეთე და ბოროტება ადამიანების გამოგონილია. სიკეთე უღე-ლია, რომელიც ძლიერთა სუსტთა კისერზე დაუდვიათ, მაშასადამე, მას არავითარი საფუძ-ველი არა აქვს გარდა ძალმომრეობის. „ჰქმენ, რაცა გსურდეს, მაგრამ იცოდე, **„სურვილი“** — ეს არის ზარატუსტრას ზნეობრივი ალექსა. ბოროტებასაც თავისი საფუძველი აქვს. ზა-რატუსტრას უფრო ბოროტნი მოსწონს: მათში მეტი ენერჯიაა. ბოროტებას ჯერ კიდევ მომა-ვალი აქვს და მის მზეს ჯერ კიდევ არ დაუსამხრია. „საჭიროა, რომ თქვენმა გარეულმა კა-ტებმა ჰშვან ვეფხვნი, თქვენმა ჯოჯოებმა და ხვლიკებმა — ვეშაპნი და ხვითქნი“...

ბოროტო ზარატუსტრა, შენ კვლავ თრთი!? მარადის დაუსრულებელი არსის მოჩვენ-ება სული — სიმძიმისა — ეხლა ზედ მხრებზედ მოგვექცევია, ტყვიად გენვეთება ყურებ-ში, აზრში და ტვინში და ხითხითებს: „ჰოი, ზარატუსტრა, კლდეო სიბრძნისა, კლდეო შურ-დულისა, ვარსკვლავთა მმუსრავო, შენ მალლა აფრინდი, მაგრამ ყოველი ზევით ასრო-ლილი ქვა ძირს ეცემა... შენ მალლა აისროლე ქვა, მაგრამ ის შენ თვითონვე დაგეცემა“... თავს ინუგეშებს, რომ შენი საკუთარი დალუპვისაგან ზეკაცი დაიბადება. ნუ თუ ეს ნუგეში ერთ შენ ნილაბთაგანია?!

ზარატუსტრა შეკრებს თანამედროვე საზოგადოების უნარჩინებულესთ. მათ შორის ჩვენ ვხედავთ ორ ძლიერებით მოღლილ მეფეს, უტახტო პაპს, უბადრუკ ჯადოქართ და სხვებს. ყველა ამათ მოიწვევს საზეიმოთ თავის გამოქვაბულში და გაუმასპინძლდება არ-წივის მიერ მოტანილ კრავით მისდა მოსაგონებლად, რომ სუსტი ძლიერთა საქმელათ არის გაჩენილი... პლატონის ლხინი, ქრისტეს სერობა, თუ ორივეს პაროდია?!

ზარატუსტრა ცოტა ხნით დასტოვებს სტუმრებს და კარში გავა. უკან დაბრუნებისას ნახავს, რომ მისი სტუმრები სახედრის წინ ლოცულობენ და მას გუნდრუკს უკმევენ. ზა-რატუსტრა მიხვდება, რომ თვით უნარჩინებულეს ადამიანთათვის აუცილებელი ყოფი-ლა ვისიმე ან რისიმე გაღმერთება, თუნდაც სახედრის. ისინი ღირსი არ ყოფილან მისი ყურადღების, მასა სჭირია ძლიერნი, რომელიც თავს არ იხრიან. ამ დროს ზარატუსტრა შეამჩნევს მის ფეხ-ქვეშ მწოლიარე ლომს, რომელიც იცინის. სხვებისათვის საშინელი ლომი ზარატუსტრას ხელებს ულოკავს. ფეხზე წამოდგება და დაიღრიალებს. თავზარდაცემუ-ლი სტუმრები გაიქცევიან, წინასწარმეტყველი მარტოკა დარჩება და ჰფიქრობს, რომ რჩე-ულთადმი თანაგრძნობა მისი უკანასკნელი ცოდვა იყო. ეხლა ის მოელოდება თავის ნამ-დვილ შვილთ და ბრწყინავს ამომავალ მზისებრ.

ბრწყინავს ზარატუსტრა, მაგრამ ბნელით და წყვილით იხშობა ნიცმეს გონება. „ათას მოგონებათა შორის რყეული, მოქანცული ყველა ჭრილობით, გათოშილი მრავა-ლი, ყინვით, გაბმული საკუთარ მახეში, ჩემი თავის მცოდნე და ჯალათი! სნეული, რომე-

ლიც კვდება გველის შხამით, ტყვე, რომელსაც მწარე ბედი ეწია, ვმუშაობ ნელში მოხრი-
ლი ჩემს საკუთარ მალაროებში, ჩემს საკუთარ „მე“-ში გამომწყვდეული, როგორც გამოქ-
ვაბულში, მე თვითონ ვასამარებ ჩემს თავს და ჩემი საკუთარი საფლავი ვარ მე, უძლური,
გაშეშებული, ლეში“ — ასე სწერდა ნიცშე უკანასკნელად თავის „დიონისეს დითირამბში“.

ჩაჰქრა ნიცშეს გენია და თან წაიღო ზარატუსტრას მომავალი იმედი, რომელიც მახ-
ვილ ყურთ კვლავ წარმტაც და სასიხარულო ამბის სიტკბოებით ეალერსება... შეეყრება
თუ არა ზარატუსტრა თავის საიმედო პირმშოს, გავიგონებთ თუ არა ოდესმე მის „ამინს“...
რას სჭვრეტდენ მისტერიის ზღვით აღვსილი ნიცშეს თვალეები, როდესაც ის გაჩუმებული,
უმოდრაოთ შესცქეროდა ვაიმარის ცას? — იმედის და სიყვარულის სიმბოლოს — ქრის-
ტეს ჯვარს, ანტიქრისტეს ტახტზე მჯდარ, გამარჯვებულ, ზარატუსტრას, თუ ოქროს-
თმიანი ვალკირიათა გუნდს და თვით ოდინს ვაგნერის სახით.

მოუტანა თუ არა შეშლილობამ რაიმე შვება კაცთა შორის ზეკაც ნიცშეს, რომელზე-
დაც შეგვიძლია ვსთქვათ გოეტეს სიტყვებით:

„Im Weiterschreiten fand er Qual und Gluck,
Er unbefriedigt jeden Augenblick“.

*ირაკლი ტატიშვილი
ტბილისი, 15 ნოემბერი, 1922 წ.*

მე ვარ სარანგი ღამისა

- მე ვარ სარანგი ღამისა: ღამე არის მწვანე მანდილოსანი.
- მე ვარ სარანგი ღამისა: ღამე არის იდუმალის მგოსანი.
- მე ვარ სარანგი ღამისა: ღამე მოგვცა მაცხოვარის ხატმა.
- მე ვარ სარანგი ღამისა: ღამე არის ღვთაებრივის ატმან?
- მე ვარ სარანგი ღამისა: ღამეების სიბნელეში ვიშვით.
- მე ვარ სარანგი ღამისა: დავილევით ღამეების შიშით.
- მე ვარ სარანგი ღამისა: ღამე მოვა სიძე ანაზდეული.
- მე ვარ სარანგი ღამისა: ღამეს ეტრფის ყველა მზედალეული.
- მე ვარ სარანგი ღამისა: ღამე არის ნაღვლიანთა მაცხოვარ.
- მე ვარ სარანგი ღამისა: მადლობა ღმერთს მხოლოდ ღამეს ვახსოვარ
- მე ვარ სარანგი ღამისა.

*კონსტანტინე გამსახურდია
ტფილისი, დეკემბერი*

გამგზავრება გორის წმინდა გიორგიზე სალოცავად 4 ივანობისთვის

მე არასდროს არ ვყოფილვარ ასეთი გულწრფელი!
 მეც მინდა ვიყო მეგობარი წმინდანების,
 როგორც ჩემი წინაპრები:
 მღვდლები: ბესარიონ, შიო,
 რომელთაც დღე დაჰლიეს
 ღმერთის დიდებაში — მარხვით და ლოცვით!
 მჭრელ აღმასებათ
 გაიღვებენ ჩემ წინ დანები
 გარდასულ ცოდვების...
 (მე ყოველთვის მაშინებს იმათი ლანდი!)
 რასსის ტკივილებით
 მომენამლა სისხლი
 და აღარ მასვენებს სახე
 ღვთის მშობლის
 დარბილებული ცრემლით და პურპურით!
 მეც ვიცი:
 დღეს არავის აღარ მოსწონს ჩემი სახე დახეთქილი,
 რომელიც ატარებს მელანქოლიას.
 თუმცა მე ვფიქრობ ახლა სულ სხვაზე:
 ...რომ იცოდეთ:
 როგორ დაღონებულა დღეს ჩვენი სოფელი!
 კრამიტთან სახლებიდან აღარ ამოდის ბოლი.
 ოდელიას ხმები აღარსად გაისმის,
 აღარ მახარებს გოგო-ბიჭების მღერა.
 დღესასწაულზე აღარ დადიან,
 ერთმანეთის მოსაკითხავად!
 მიყვები მე შარას დაბურდულს ეკალათი
 და ხელკალათით.
 მიმაქვს შესაწირავი წმინდა გიორგისთვის,
 რომელიც მფარველობს ჩემ გვარს დიდხანია!
 მივდივარ და გულში
 სასოება მისვენია
 ათასი წლების!
 საუკუნეების!
 მე ვიცი, რომ დღეს ავტირდები უკანასკნელად
 ხატებთან,
 როგორც ქლექიანი ლაფორგი
 და ვგრძნობ დახაშმულ ბაგეზე
 სიტყვების ბარბაცს:
 მაწენ ფიქრებისგან და მიმოცდუნებისგან
 მფარვიდე, წმინდაო გიორგი!

*ვასო გორგაძე
 ოძრაზე, აბასთუმანი, სასახლე
 22 წ., 10-VIII*

მოგონება ქარში

ქარია მძლავრი, და სალამოა,
ცაზე ყვითელი ღრუბლები რბიან.
იმას არ ველი, ის აღარ მოვა,
იმაზე ნუხელ არ მიფიქრია...

მზე დაიმალა ყვითელი ფერით
(არც ეს ბედია ქარზე ნაკლები).
მთებზე ჩამოწვა ლურჯი ღრუბელი,
ღრუბელი მზგავსი მაღალ აქლემის.

ქარია ისევ, და სალამოა,
ქარმა ჩემ სურვილს ფრთები მოსტეხა.
ის არ მოსულა, ის აღარ მოვა,
ის დადიოდა ბაღში ოდესღაც.

ღამდება, და მეც ვცილდები საზღვარს.
სალამოს დარდი უფრო მწარეა.
ის ალბად თეთრი თოვლია სადღაც,
ის შორეული სიმნუხარეა.

ო, ყოველივე როგორ მომბეზრდა,
ქარია ისევ, და სალამოა;
ის დაიკარგა ქარში ოდესღაც,
იმას არ ველი, ის აღარ მოვა.

*ტერენტი გრანელი
ტფილისი, ნოემბერი*

ლექსი შემთხვევით

დღეს შენ გაურბი ქვეყნის ვანდალებს.
ჩემს სამაჯურებს ექვსჯერ აები;
მონყენილ ხატთან სპარსულ შანდალებს
დაანთებს მორცხვად ლექსის ტაეპი.

როდესაც მტერი ტყვიას სთესავდა,
ქუჩებს მოედო ტრაურის მარში,
ჩვენი სხეული დანათესავდა,
გავშალეთ ფრთები ზღაპრულ სიზმარში.

მე შენთან ვრჩები სხვის მონატრული,
მწვავს სხვაზე ფიქრი ალისფერ რკალად.
სხვადასხვაობა მიყვარს მხატვრული,
მაგრამ რად მთვლიან უცნაურ ქალად!

ტანი გავქურდე ცხელ შადრევანში.
თოვლში ზამბახი ავახამხამე.
მაშინებს ვნების ძველი რევანში,
რომ დაგიბრუნო პირველი ღამე.

ლიმილს მივენდე, სევდამ დამტოვა.
ქარი ხეებში ამტვრევს ურდულებს,
და როგორც ბლოკი და ახმატოვა,
გავყვეთ კუბოებს მზით შესუდრულებს.

*მარიჯან
ტფილისი, სექტემბერი*

ჩემი გზა ვრცელი

იყო ანთება. გზა უცხოეთი.
გადასახლება ჩემის ბრძანებით, —
გაგიჟებაში გავხდი პოეტი —
ცოდვების ბოდვით და მონანებით.

ადგენ ქარები გრძელი კუდებით
(უდაბნოებში უფრო ხშირია
მზის დაღამება და გამრუდება..)
და გზები ასჯერ გადაირია.

მივყვანდი ტალღებს გზა-დაბურდული
და მდევდა უკან ბედის მწერალი;
მიმაქანებდა როგორც შურდული
ფიქრი ღმერთებთან ნაქიმერალი.

გადავიფარე ბინდის ზენარი,
ყოველი წუთით განცდა სხვაობდა
და დავსხლტი ისევ და უეცარი
ბედი ოხერი ამიჭაობდა.

და ეხლა ჩემთვის არც უცხოეთი,
სამშობლოც ჩემთვის ბნედას მოუნდა;
უძილო ქართან ჰბოდავს პოეტი,
ღმერთი გაგიჟდა და გაკლოუნდა.

ი. მოსაშვილი

ყვითელი ფურცლები

ჩემი ცხოვრება

...ჩემი ცხოვრების დასაწყისი მოსამსახურე გოგომ ნაგავს გააყოლა. უდაბნოს სიცარიელე ვიგრძენი, როდესაც ოთახში შევედი და აფორიაქებული სანერი მაგიდის ნაცვლად დიასახლისობის კვალი და ნიშანი შევამჩნიე. აღარაფერი თავის ადგილას არ დამხვდა: ყველაზე ადრე თვალში მეცა სამელნე, რომელსაც თავისი ჩვეულებრივი სახე დაჰკარგოდა და განკრიალებული, დრო-გადასული პატარძალივით, ბრიყვული ამპარტავნობით მაგიდის შუა-გულს წამოჭიმულიყო. თავზე სახურავი წამოედო, თითქოს უამისოდ კი ვერ შეასრულებდა თავის საცოდავ დანიშნულებას. სკამები, რომლებიც დღემდის სხვა და სხვა კუთხეებში დგომას იყვნენ დაჩვეულნი, ეხლა სადილის მაგიდას ცირკის ძაღლებივით შემოსხდომოდნენ და კბილებ ჩაცვივნილი ბებერსავით თავიანთი ჩალა-ჩაგლეჯილი ზურგით სულელურად შემომცქეროდნენ. ფეხ-მოტეხილი სავარძელი ასკინკილა მითროკიალებულიყო ბუხართან და მხარზე რალაც ტილო გადაედო, ალბათ, იმისთვის, რომ თავისი მობერებული სახისთვის ბურჟუაზიული კოლორიტი მიეცა. გაღებული ფანჯრიდან ქარი შხულით შემოდოდა და ფარდებს ატკაცუნებდა. შესვლისთანავე მოსამსახურე გოგო გამომეგება და ღრეჭით მითხრა: ხომ ხედავთ, რა კარგათ დავალაგე ოთახი! ფანჯრები შეგიძლიანთ დახუროთ, ჰაერი გაინმინდა. კმაყოფილი ხართ?

მოსამსახურე გოგოს სახელოები ანეული რომ არა ჰქონოდა და მსუქანი მკლავები არ დამენახა, უსათუოდ გავჯავრდებოდი; მაგრამ ახალმა სანახაობამ გულისყური თავისკენ მიიპყრო და დამავინყებინა მეკითხა, ესოდენ დიდი შრომის განწევსთვის რა ჯილდოსა მთხოვდა. პასუხის ნაცვლად თითები სანერ მაგიდაზე დიპლიპიტოს ჩხირებსავით ავათამაშე და ჩავფიქრდი.

— არ მოგწონთ? — ცოტა არ იყოს შემკრთალი კილოთი მკითხა მოსამსახურემ.

— რა? თქვენი მკლავები?

ქალი განითლდა, სახელოები ჩამოიშვა და გაკვირვებით შემომხედა.

— რამდენი ხანია, რაც ჩემთან მსახურობთ?

— სამი დღე.

— ორი კვირისა მიირთვით და ნაბრძანდით, თავისუფალი ხართ. უჯრიდან ფული ამოვიღე და გაცემულ ქალს ხელში ჩავუდე. წავიდა და ჩემი ცხოვრების დასაწყისიც თან წაიღო: ნაგავს გააყოლა ფურცლები, რომლებზედაც აღბეჭდილი იყო დღენი ჩემი ცხოვრებისა. ფურცელი ფურცელს მისდევდა, როგორც დღე-დღეს. მოსამსახურე გოგომ ფურცლებზე აღბეჭდილი დღენი ჩემი ცხოვრებისა სანაგვეში მოაქცია და, ალბათ, ეს აძლევდა მის ჩასუქებულ სახეს კმაყოფილ გამომეტყველებას. ამიტომ ახლად დავინყოთ. წარსულს შავი სუდარა ჩამოვაფაროთ და დავინყოთ იმ დროიდან, როდესაც ისევ მარტო დავრჩი, გაჭვარტლული ლამფისა და აულაგებელი ლოგინის ანაბარა. მე და ჩემი ოთახი! მარტო იმან იცის საიდუმლოებანი ჩემი სულისა, მარტო ის არის ჩემი მესაიდუმლე. მხოლოდ ერთხელ შემოიჭრა ჩემს ოთახში უცხო ადამიანი და ისიც თითქოს იმიტომ, რომ თავისი უხეში, ხორცად ქცეული მკლავებით მოეხვეტა ფურცლები ჩემი ცხოვრებისა და ნაგავისთვის გაეყოლებინა. სკამებიც დაისვენებენ. ტუსაღებსავით მაგიდის გარშემო არ აიტუზებიან და თავისი საცოდავი სახით გულს აღარ დამიძმარებენ. ჩემი ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა: ცარიელ ოთახში სრული არეულობაა.

* * *

მხიარულად გავიღვიძე. ეს იყო სიხარული სიმარტოვისა. იქ, სამზარეულოში აღარავინ მეგულებოდა. ვგრძნობდი, დარაჯსავით კარებს უკან არავინ არ იყო ატუზული და არ

ელოდა იმ წუთს, როდესაც კრაოტის ქრაჭუნი ან უცაბედი დახველება ნებას მისცემდა ოთახში შემოჭრილიყო და ესოდენ სასიამოვნო მარტოობა და მყუდროება დაერღვია. სიამოვნება იმდენად დიდი იყო, რომ გაშმაგებული ძალათი ქრაჭუნი დავანყებინე კრაოტსა და რამდენჯერმე მაგრა ჩავახველე თან სამზარეულოს კარებს შევსცქეროდი და ვიციინოდი, გიჟივით ვიციინოდი, რაკი ვხედავდი, რომ ჩემს ოინებს არავითარი შედეგი არ მოსდევდა და სამზარეულოს კარები არ იღებოდა.

გარედ უკვე კაშკაშა დღე იყო. საჩქაროდ ჩავიცივი, პირი დავიბანე და სასეირნოდ გავედი. აუარებელი ხალხი იყო გამოსული. რუსთაველის პროსპექტზე მიმავალ ადამიანთა ტალღას შეუერთდი და ზღაზნით თავისუფლების მოედნისკენ გავსწიე. თავისუფლების მოედნიდან გამობრუნებას ვაპირებდი, წინ რომ პატარა ბავშვი შემეჩხება. ექვსი-შვიდი წლისა იქნებოდა. ლურჯი მატროსული ტანისამოსი ეცვა. მატროსულსავე ქუდიდან ქერა ხუჭუჭა კულულები მხარზე სცემდა. გასაოცარი სილამაზის ბავშვი იყო. შევჩერდი და თვალეში ჩავაცქერდი. დიდი ცისფერი თვალეები შემომანათა და შეკრთა. ცოტახანს შეჩერდა. გავექანე, მკლავებში ვწვდი, ზევით ავიტაცე და ის იყო, შუბლში უნდა მეკოცა, რომ უკან დედაკაცის ყვირილი მომესმა. ბავშვი დავსვი და გაოცებულმა იქითკენ მივიხედე, საიდანაც ყვირილი ისმოდა. ვილაც დარბაისელი, მდიდრულად ჩაცმული ქალი მიახლოვდებოდა. საჩქაროდ ბავშვი ხელიდან გამომგლიჯა და იქვე ქუჩაში შეუხვია.

პირველ ხანებში გავოცდი. ერთ ადგილას გავჩერდი, მხოლოდ მიმავალ ქალს თვალი გავაყოლე. უცბად საშინელმა აზრმა გამიელვა თავში: ვაი თუ ქალს რამე ეწყინა, იქნება თავის თავს შეურაცყოფილადა ჰგრძნობს? დავედევნე. ქალი ფეხ-აჩქარებით მიდიოდა და დრო გამოშვებით უკან იხედებოდა. დავენიე.

— ქალბატონო! ნება მიბოძეთ... — ქუდი მოვიხადე, მაგრამ! სიტყვის დამთავრება ველარ მოვასწარი: მომიბრუნდა და სილა გამარტყა. თავი ჩავლუნე და გამოვბრუნდი.

— ქუდი დაგრჩათ, ქუდი! — ყვირილით ვილაც ფეხ-შიშველა ბიჭი დამედევნა და ილიაში დაჭყლეტილი ქუდი ამომიღო. მოსიარულე ხალხი თანაგრძნობით მიცქეროდა, ზოგი მათგანი კი გზასაც მითმობდა, შორიდან მივლიდა. ხალხის ამ თანაგრძნობამ ქალის მიერ მოყენებული შეურაცყოფა სრულიად დამავინცა. ისევ მხიარულ გუნებაზე დავდექი. ჩემს სიმხიარულეს ქუჩის ბიჭებიც იზიარებდნენ: ყიყინით უკან დამდევენ: მათს სიცილსა და ხარხარს საზღვარი არ უჩანდა. იცინოდნენ ბავშვები და მეც ვხარხარებდი. ერთი კაცი გავაჩერე. ვთხოვე, ცოტა ხანს თავისი ყურადღება ბავშვთა სიმხიარულის საუცხოვო სანახაობისათვის მიეპყრო და შემდეგ წასულიყო იქით, საითკენაც, ეტყობოდა, ძალიან მიეშურებოდა. კაცი გაჩერდა, როგორღაც უმწეოდ გაიღიმა, გაკვირვებით ბავშვებს გადახედა, განითლდა და ხმა-ამოუღებელივ გზა განაგრძო.

— დაიშალენით! — სამთო ზარბაზანსავით შიგ ყურთან ვილაცამ დაიჭექა. მივიხედე — პოლიციელი იყო. ბავშვები გაფრთხნენ, ახლო-მახლო ქუჩებში მიიმალნენ. პოლიციელის სიბრიყვემ საშინლად ამაღელვა. მხარზე ხელი დავადე და ვსთხოვე, თავისი უცნაური და სრულიად გაუგებარი საქციელი აეხსნა. პოლიციელმა გაიცინა, პასუხი არ მაღირსა და კაპასი კატასავით ეცა ერთ პატარა ბიჭს, რომელიც სახლის კუთხიდან იჭყიტებოდა და უცნაურად ეღრიჭებოდა. წესიერების მცველნი ყოველთვის გიჟები არიან მეთქი, ვიფიქრე და სახლისკენ გავემართე.

ეს დღე სასიამოვნოდ დასრულდებოდა, ერთ მოულოდნელ შემთხვევას თავ-ზარი რომ არ დაეცა ჩემთვის და გონება არ აემღვრია. ჩემი ქუჩის უკანასკნელ შესახვევში ფოტოგრაფიული სურათებია გამოფენილი. თვითონ ფოტოგრაფი იმავე სახლის მეორე სართულშია მოთავსებული. ყოველი გავლის დროს თვალში მეცემოდა ხოლმე დიდი სურათი პატარა ბავშვისა, რომელიც სათამაშო დათვის ეალერსებოდა და მხიარულად იცინოდა. სურათი ვიტრინის განუყოფელ ნაწილად იყო გადაქცეული, როგორც ვიტრინა — იმ ქუჩისა,

სადაც მე და ჩემი მეზობელი ბებერი დედაკაცი ერთსა და იმავე ადგილას ვხვდებოდით. ეს ის ბებერი დედაკაცი იყო, რომელსაც პირველად საკატლეტოში შევხვდი. იმან ნახევარი გირვანქა დაკეპილი ხორცი იყიდა, მე — ოთხი ვაკეთებული კატლეტი. მას შემდეგ ჩვენი ნაცნობობა არ შეწყვეტილა, თუმცა არც ერთი სიტყვა არასოდეს ერთმანეთისთვის არ გვითქვამს. გძელი გახუნებული შავი პალტო მინაზე სთრევედა და სიარულის დროს თავის გამხმარ ფეხებს პალტოს ბოლოს ისე მაგრა უტყაპუნებდა, რომ მტვრის კორიანტელს აყენებდა. პალტო, მახსოვს მხოლოდ ერთხელ გაიხადა: ივლისის ცხრას. ეს უცნაური ამბავი მაშინ კალენდარში აღვნიშნე და შავი ასოებით კალენდრის წითელ არშიაზე წავანერე: ჩემმა მეგობარმა დღეს პალტო გაიხადა. მოხუცებული დედაკაცი ჩემი არსების განუყოფელ ნაწილად გადაიქცა. დღიდან-დღემდე, თვიდან-თვემდე, წლიდან-წლამდე მე და ის დედაკაცი ერთსა და იმავე ქუჩის ერთსა და იმავე მხარეს დავდივართ და სრულს კმაყოფილებას განვიცდით, რომ მსოფლიო ასე ვინროთ არის შემოფარგლული და პატარა ქუჩის თავი და ბოლო პოლუსებად გვეჩვენება. ასე უნდა ვიაროთ მე და იმ დედაკაცმა პატარა ქუჩაზე, უნდა ვიაროთ იმ დრომდე, სანამ ქვა-ფენილი არ გაგვცვითავს და სიკვდილი ჩვენს დაშლილ სხეულს კოსმიურ დაუსრულებლობას არ შეუერთებს. მანამდე კი ასე უნდა ვიაროთ, ერთსა და იმავე მემწვანოვან მწვანოვანი ვიყიდოთ, ერთსა და იმავე მეპურესთან — პური. პატარა ქუჩა, მენვრილმანე, მეპურე, იქვე ნახშირით მოთხუპნული მენავთე, ბებერი დედაკაცი და მე, — აი, ჩვენი კოსმოსი. ამბობენ, სადაც კიდე ვილაცა სცხოვრობსო. შესაძლებელია, ეს ამბავიც, ალბათ, ისეთი ჯადოსნური საშუალებით არის მოსული ჩვენს ყურამდე, როგორც გირვანქა შაქარი, რომელიც ჩემს ნაცნობ დედაკაცს დაუჭერია ხელში და უკვირს, იძულებული რად გაჰხდა დღეს სამი შაური მისცეს, როდესაც გუშინ ცამეტი კაპიკი გადაიხადა. საცოდავმა არ იცის, რომ იმ გირვანქა შაქარს გძელი ბანარი აბია, რომლის ბოლო სადღაც დაუსრულებელ სივრცეში იკარგება და რომელსაც თავის სურვილისამებრ ათამაშებს ვილაც უხილავი და დახელოვნებული ჯამბაზი! ამბობენ, სადღაც პარიზი არისო, ლონდონი, ნიუ-იორკი, ვენეცია, რომი, ტოკიო, პეკინი! რაკი ამბობენ, სჩანს, მართალია! ჩემთვის და ჩემი ნაცნობი დედაკაცისთვის ყველაფერი ეს მხოლოდ ლამაზი ლეგენდაა, ლეგენდა, რომლის რეალურად წარმოდგენა ისევე ძნელია, როგორც წარმოდგენა იმისა, რომ ერთ მშვენიერს დღეს ნაცნობი ბებრუცუნა მზეთუნახავ პატარძლად მომეჩვენება და მე კი მას — საშუალო საუკუნოების ტორეადორად. ეს გარემოება არც გვანუხებს. განათლებული ხალხი ვართ და ვიცით, რომ ლეგენდა სინამდვილეზე ლამაზია. ერთ მშვენიერ დღეს მთელი პარიზი რომ ქვესკნელში შთაინთქას, მე და ჩემი ბებრუცუნა ვერაფერს ვიგრძნობთ: ლეგენდათა დაუსრულებელ სერიას კიდე ერთი ლეგენდა მოემატება: პარიზის შთანთქმა უფსკრულში. ნაცნობი მედუქნის კარის შუშის ჩამსხვრევა კი, ალბათ, სულიერ სწორ-წონობას დაგვირღვევს იმ დრომდე, სანამ სადღესასწაულო დღე არ გავვითენდება და კარებში მთელს, ლამაზად განკრიალებულ შუშას არ დავინახავთ. იმ დღეს მოხუცი ღიმილით შემხვდება და მეც მოზღვავებულ სიამოვნებას ცხვირის ფრუტუნით გამოვხატავ. მე და მოხუცი ერთმანეთს დაუნათესავდით. ერთხელ განზრახ გვერდი ავუხვიე და კუნჭულში დავიმაღლე. იმ ადგილს რომ მოუახლოვდა, სადაც ერთმანეთს ვხვდებოდით, შეჩერდა და მოუსვენრად აქეთ-იქით ცქერა დაიწყო. ჩაფიქრდა, ძალიან ჩაფიქრდა. მერე ჯიბეებში რაღაცას ძებნა დაუნყო, ხელსახოცი ამოიღო, გაშალა, რაღაცა გასინჯა, შეახვია და ისევ ჯიბეში ჩაიღო. მოიხედა მარჯვნივ, მარცხნივ, უკან. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისევ გაჩერდა. ხელ-მეორედ ამოიბრუნა ჯიბეები, მაგრამ დაკარგული მაინც ვერ იპოვა. ის კი, ვისაც საცოდავი ასეთის გამწარებით ეძებდა, კუთხეში იყო ატუზული და ხითხითობდა. დარწმუნებული ვარ, იმ ღამეს მოხუცს მოუსვენრად ეძინა. იმედია, იგი მცირეოდენ ცუდლუტობას მაპატიებს და ამ საქციელს ჩემს ბოროტ თვისებებს არ მიანერს.

მოხუცი დედაკაცი ისევე ორგანიულად იყო შესისხლბორცებული ჩვენს ვინრო და პატარა ქუჩასთან, როგორც მოძველებულ სახლში უადგილოდ შეჩხირული ფოტოგრაფის ვიტრინასთან იმ პატარა ბავშვის სურათი. რამდენიმე წელიწადია ამ ვიტრინის წინ დავდივარ და ყოველთვის ბავშვის მოლიმარ სახეს ვხედავ. შემოიყვარდა ეს ლიმილი. დაუნათესავდი ისევე, როგორც ბებრუცუნას. ამ დღეს მხიარულ გუნებაზე ვიყავი და ამიტომ ჩვეულებრივზე მეტის ლიმილით შევხედე სურათს. ელდა მეცა, გულმა ფრთხილი დამინყო: ბავშვის სურათის ადგილას ვილაც ბრიყვი, ხეპრე, იდიოტსავით თვალებ-დაჭყეტილი ჯარის-კაცი წამოჭიმულიყო. ბავშვის ცქრილა თვალების ნაცვლად ისეთმა ბაიყუშმა გადმომიბრიალა, რომ ერთბაშად გონს ვერ მოვედი. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მტკიცე გარდაწყვეტილებას დავადექი და ფოტოგრაფისკენ გავემართე. კარები დაკეტილი დამხვდა. დავაბრაახუნე. კარები დაბალ-დაბალმა მოხუცმა მელოტმა კაცმა გამილო.

— ფოტოგრაფი თქვენა ბრძანდებით?

— დიახ, მე გახლავართ, მობრძანდით.

— საჭირო არ გახლავთ. მე მხოლოდ იმიტომ გიახელით, ჩემი გულითადი გულის წყრომა გამოგიცხადოთ და აგიხსნათ, რომ თქვენს უზრდელობას საზღვარი არ აქვს.

ფოტოგრაფმა გაკვირვებით შემომხედა, რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა და ცნობისმოყვარეობით ამათვალისწინებ-ჩამათვალისწინებრა.

— უკაცრავად, მაგრამ მე არ გიცნობთ, ვინა ბრძანდებით? რაშია საქმე?

— საქმე იმაშია, ბატონო ფოტოგრაფო, რომ ბავშვის სურათი, რომელიც თქვენს ვიტრინაში იყო გამოკიდული, აგიღიათ და იმის ადგილას გამოგიკიდიათ ვილაც ხეპრე ჯარის-კაცი, იდიოტი, ნამდვილი იდიოტი! ფაჩურობდა თუ არა თქვენს ტვინში აზროვნების ნაპერწკალი მაინც, როდესაც ამისთანა ბარბაროსობას სჩადიოდით?

ფოტოგრაფი განითლდა, გაანჩხლდა.

— მონყალო ხელმწიფე! გთხოვთ ზრდილობიანად ილაპარაკოთ! ნებას არ მოგცემთ, ასე დაუმსახურებლად შეურაცმყოთ. რა უფლების ძალით...

— მაქვს უფლება, მაქვს!.. — შევანყვეტინე ლაპარაკი და პირში ვახალე, — ნუ თუ აქამდის არ იცით, რომ ბავშვი ჩემი ნათესავია!

— ნათესავი? მაინც, ბატონო ჩემო, ზრდილობიანი ლაპარაკი სჯობიან, — მოლბა მელოტი კაცი და გაიღიმა, — რას მიბრძანებთ, რასა მთხოვთ?

— სურათი თავის ადგილას გამოჰფინეთ.

— საუბედუროდ, თქვენი თხოვნის ასრულება ვერ შემძლიან, რადგანაც სურათი გუშინ ერთმა ქალმა შეიძინა, თუ არა ვსცდები, დეიდამ. თქვენ, როგორც ბავშვის ნათესავს, გეცოდინებათ, ვინც არის იმისი დეიდა. იმედა, დაკმაყოფილდით. სხვა თქვენთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვს. მშვიდობით ბრძანდებოდეთ. სხვა დროს ცოტა ზრდილობიანად მოიქეცით, თორემ უსიამოვნებას ნაანყდებით სადმე. — მომადახა შორიდან და კარები გაირახუნა.

* * *

რამდენიმე დღეა სახლის პატრონი დაბლვერილი მიცქერის. ერთხელ ორჯერ დალაპარაკება სცადა, მაგრამ ვერ გაბედა. ყოველთვის გადაჭარბებული ზრდილობით ვასწრობ სალამს, მაგრამ ჩემი ზრდილობა მის შეჭმუხვნილ შუბლს მაინც მალამოდ ვერ ედება. ერთხელ როგორღაც გაბედა და ჩემთან ოთახში შემოვიდა. მაშინათვე სკამი მივართვი და ვთხოვე, აეხსნა მიზეზი უკმაყოფილებისა. სახლის პატრონი ყოყმანობდა და თვალს დამნაშავესავით მარიდებდა.

— ქირის მომატება ხომ არა გსურთ, ყველაფერი გაძვირდა. თუ ქირის მომატება გსურთ, მიბრძანეთ. რამდენსაც მთხოვთ, მოგართმევთ. ოღონდ სახლიდან კი ნუ დამითხოვთ. ამ

ოთახს საშინლად მივეჩვიე. სხვაგან ვერ გავძლებდი. სწორედ ჩემს გემოვნებაზეა მოწყობილი, ნამდვილი ოთახია, მოფარებული, მყუდრო ოთახი! საგანგებოთ თუ არ მოვიდა კაცი, ისე ვერავინ მოაგნებს. ციხის კამერას მაგონებს.

— საუბედუროდ, იძულებული ვხდები გამოვიცხადოთ, რომ ჩემს ოთახში ველარ დაგაყენებთ.

— რატომ?

სახლის პატრონი ჩაფიქრდა, მერე გამომცდელის თვალით შემომხედა და ტყუილის თქმა ამჯობინა:

— ოთახი მე მჭირდება.

ამისთანა საბუთს ველარსად გავეცეცეოდი. მაშინათვე წამოვდექი, ერთი კი გადავავლე თვალი იმ ადგილს, სადაც სრული თხუთმეტი წელიწადი გავატარე, მწარედ ამოვიოხრე და ბარგის შეკვრა დავინყე. სახლის პატრონი შეკრთა, საჩქაროდ წამოდგა და ალელვებული მომიახლოვდა.

— რასა შვრებით?

— ბარგსა ვკრავ.

— რათა?

— თქვენ არა ბრძანეთ, ოთახი მე მჭირდებაო?

— მართალია, მაგრამ ხომ არ გავდებთ? მოითმინეთ ერთი დღე, ორი, თუნდაც ერთი კვირა, თქვენი გემოვნების მოსძებნეთ ოთახი. მიიარ-მოიარეთ, მეც დაგეხმარებით. ღვთის გულისთვის, ნუ მანყეინებთ. ბარგის ალაგებას თავი დაანებეთ.

სახლის პატრონის სულ-გრძელობამ გული ამიჩუყა, ყელში ცრემლები მომეზღინა. ალელვებული ხელებში ვწვდი და გრძნობით ჩამოვართვი. სახლის პატრონიც ალელდა. დარცხვენით თავი ჩალუნა, გამომემშვიდობა და კარებში რალაც წაიბუტბუტა.

— რა ბრძანეთ? — შევეკითხე მიმავალ სახლის პატრონს.

— ვფიქრობ, როგორ დავსაჯო ერთი ადამიანი, რომელმაც თქვენს შესახებ ჭორი შესთხზა და ცოტას გაჰხდა მეც ამ ჭორის მსხვერპლი არ გამხდა. ოთახი არ მჭირდება. იცხოვრეთ, სანამ თქვენი კეთილი სურვილი იქნება. — სთქვა ეს, ერთხელ კიდევ გამომემშვიდობა და ქვეითა სართულის კიბეებში მიიმალა.

მივხვდი, რაშია იყო საქმე: მოსამსახურე გოგომ ჩემი ცხოვრების დასაწყისი ნაგავს გააყოლა და ეხლა ჰსურდა მეც სანაგვეში გადავეგდე. სახლის პატრონი ჭკვიანი კაცი გამოდგა. მაგრამ ასეთივე ჭკვიანი არ გამოდგა ერთი ჩემი ძველი მეგობარი ვახტანგი, რომლისაგანაც ამ სალამოს შემდეგი შინაარსის წერილი მივიღე: „მეგობარო! ვიცი, გაგეხარდება. მოვდივარ, მოვდივარ, მოვდივარ. ეს სამი სიტყვა ყველაფერს აგისხნის. მანდ ვისთან უნდა ჩამოვხტე, თუ არა შენთან, შენთან, შენთან, შენთან! იმხიარულე და იხარე მრავალ-ჟამიერ. შენი ვახტანგი“.

ეს სასიამოვნო წუთიც დადგა. ქუჩიდანვე ჭეჭა-ქუხილი, ყვირილი დაიწყო. ყვირილსა და ღრინაცელს თავ-დაუჭერელი ხარხარი მოჰყვა, სიცილს — ლანძღვა-გინება, ლანძღვა-გინებას — ოხვრა-ვიში, მერე ისევ ჭეჭა-ქუხილი დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ კარები ბრახუნით გაიღო და ოთახში ბურთივით ვახტანგი შემოგორდა.

— რა ბული დგას, რა ბული დგას! ფანჯარა გააღე, ჩქარა ფანჯარა გააღე, თორემ დავიხრჩობი. — საჩქაროდ ფანჯარას მივარდა, გააღო, ჩემოდანი და ყუთი აქეთ-იქით მიჰყარ-მოჰყარა და მხოლოდ ამის შემდეგ გამომინოდა ხელი:

— ეხლა გამარჯვება! აბა, შემომხედე! არ მომწონხარ! რატომ წვერს არ იპარსავ? უღვაშებიც როგორ ჩვენებური ბლალოჩინსავით გაგიშვია! რა დაბღვერილი მიცქერი? ფული არა გაქვს? მეეტლეს უნდა მივცე, დამაკლდა.

ჟილეტის ჯიბიდან მანეთიანი ამოვიღე და მივეცი.

- დაუძახე!
- ვის დაუძახო?
- მოსამსახურეს.
- არა მყავს.
- აი, შე ძუნწო-კარაპეტავ! მაშ, მე თითონ ჩავეთრიო ამ დანყველილ კიბეზე?
- მოიტა, მე ჩავუტან.
- ძალიან კარგს იზამ, მე ძალიან დავიღალე. ორი აბაზი მიეცი.

მანეთიანი გამოვართვი, მეეტლეს გაუსწორდი და ხურდა ვახტანგს დავუბრუნე.

— ჯიბეში ჩამიდე! მითხრა ვახტანგმა, რომელიც ამ დროს ორივე ხელით ჩემოდანს ებლაუჭებოდა და ჰხსნიდა.

ვახტანგი ჩემს ოთახში თავისებურად მოენყო. ყველაფერი ისე მიაღაგ-მოაღაგა, როგორც თითონ მოსწონდა და ესიამოვნებოდა. მხოლოდ ერთხელ მკითხა, შენი კრაოტი სად დავდგათო, მაგრამ, რა კი პასუხი არ გავეცი, ხელი გაიქნია, თავისი ძარღვიანი მკლავით კრაოტი დაითრია და ბუხართან დადგა.

— შეშა ისე შეგიძლიან შეუკეთო, კრაოტიდან არ გადმოხვიდე, ზამთრის სუსხში თუ ფეხ-შიშველა იატაკზე ვიარეთ, მუცელს დავგვგრემს და ბევრს სიამოვნებას მოგვაკლებს.

— დაუმატა ვახტანგმა.

ჯერ ოქტომბერი იყო....

* * *

ვახტანგი ჩემს საწოლზე იჯდა, ის კი — ბუხრის წინ, სავარძელში.

ლამფა არ ენთო. ოთახს მხოლოდ ბუხარში დანთებული ცეცხლი აშუქებდა. ხმელს შეშას ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა. თოვდა. ჩაბნელებულ, ნისლ-ჩამონოლილ ლამფაში ბამბა-სავით გაპენტილი თოვლი მოდიოდა და ქუჩებს ფიფქად ედებოდა. სახურავებს უკვე თეთრ ზენრად გადაეფარა, გაშვლეპილ ხეების ხმელ ტოტებს მძიმედ დაანვა და დაზნიქა. შუა-გული ზამთარი იყო. თეთრი ზამთარი. ფანჯრიდან მეზობელი სახლის თეთრად დათოვლილი სახურავის მეტი არაფერი სჩანდა. ვახტანგი გაჩუმებული იჯდა და დრო-გამოშვებით ბუხარში ნაკვერჩხალს ასწორებდა; ის კი თავისი პატარა ფეხებით ცეცხლს ეთამაშებოდა. ცალი ფეხიდან ფეხ-საცმელი გაეხადა და ბუხრისაკენ გაეშვირა. ლოყები ალენილი ჰქონდა. დრო გამოშვებით ხელებს კრაოტის გაციებულ რკინას ჰკიდებდა და მერე სახეზე იდებდა, ლოყებს იგრილებდა.

არც ერთს ჩვენთავანს სიჩუმის დარღვევა არა ჰსურდა. მესამე დღეა ეს უცნაური არსება შემოიჭრა ჩემს ოთახში და ჩვეულებრივი მიმდინარეობა ჩვენი ცხოვრებისა დაარღვია. „სტუმარი გვეყოლება“ — გამომიცხადა ვახტანგმა და მოიყვანა ის, ვინც ამ ჟამად თავისი პატარა ფეხებით ნაკვერჩხალს ეთამაშებდა. შემოვიდა, ხელი ჩამომართვა, რა გაყინული ხელი გქონიათო, მითხრა, მე კი აი, რანაირი ცხელი შუბლი მაქვსო, დაუმატა; ჩემი ხელი შუბლზე დაიდო და ბუხართან დაჯდა, სწორედ ისე, როგორც ეხლა ზის. უკან-უკან დავინიე, კუთხეში ავიტუხე. ხან ვახტანგს ვუცქეროდი, ხან ქალს. თანდათან ცივს ოფლს მასხამდა. ვკანკალებდი. პალტოში ვეხვეოდი, მაგრამ კანკალს მაინც ვერ ვიმაგრებდი.

— რა დაგემართათ? — მომიბრუნდა ქალი და თავისი ცისფერი თვალები შემომანათა.

— ნუ სწუხდებით! არ შეგეშინდეთ! მალე ციება გაუვლის და ნორმალურად დაილაპარაკებს. — განუმართა ვახტანგმა და ქალიც, ჩემდა საბედნიეროდ, ამ განმარტებით დაკმაყოფილდა.

ღვინო მოითხოვა. ვახტანგმა კამოდის უჯრიდან პორტვინი ამოათრია, გახსნა და დაალევინა. გაცელებული თვალი უცნაურს ბოთლს გავაყოლე, ბოთლს რომლის არსებობა ისევე მოულოდნელი იყო ჩემთვის, როგორც თვით ქალის ყოფნა ბუხართან. აი აქვე, ჩემი

კრაოტის გვერდით, ოთახში, რომლის ჰაერითაც ჯერ უცხო ქალს არ უსუნთქია. იმ დღეს დიდ ხანს არ დარჩენილა. წასვლისას გამიცინა, გაცეცხლებული ხელი ისევ თავის ლოყაზე მიი-
დო და წავიდა. ვახტანგმა გააცილა. მარტო დავრჩი. უცბად უცნაური რამ სიცარიელე
ვიგრძენი. სიჩუმემ ყურებში ბზუილი დამინყო. ბუხართან მივედი, სავარძელს დავხედე და
ოდნავ, სულ ოდნავ სავარძლის ზურგს ხელი გადავუსვი. თბილი იყო. ტანში ჟრუანტელმა
დამიარა; საჩქაროდ განვმორდი, კრაოტზე პირალმა დავნექი და პალტო თავზე გადავიხუ-
რე. მეორე დღეს ვახტანგი და ის ისევ ერთად მოვიდნენ. ვახტანგი მთელი დღე სახლში არ
იყო. ფულს რომ გამომართმევს, საღამომდის დაიკარგება ხოლმე. მაშინაც ეგრე მოუვიდა.
ჯიბიდან ფული ამომაცალა, ქუდი კეფაზე მოიგდო, გამომლანძღა, რატომ ტანისამოსის
სანმედი კარგი არა გაქვსო და სტვენით კიბეზე დაეშვა. საღამოს კი ერთად მოვიდნენ. კა-
რები რომ გაიღო და ქალი შემოვიდა, თავზარადცემული კედელს ვეხეთქე და თვალებზე
ხელები მივიფარე: ქალს ხელში რაღაც თეთრი ეჭირა, ხელს უსვამდა და ილიმებოდა.

— რა დაგემართათ? — იმავე კილოთი მკითხა ქალმა და გაცეცხებით გადახედა ვახ-
ტანგს, რომელიც ცდილობდა ჩემსკენ გადმოეხედა და დროის შესაფერი რამ ოხუნჯობით
უხერხულობა ჩემი უცნაური დახვედრისა განეფანტა.

— სურათი! სურათი! — ვბუტბუტებდი ჩემთვის და თვალებიდან ხელებს ვერ ვიშორებდი.

— ისევ სურათი! — და ქალმა მხრები აიჩიჩა. — ძალღი სამზარეულოში დაამწყვდი-
ეთ, წასვლისას თან წავიყვან. — მოუბრუნდა ვახტანგს და თეთრი პატარა ძალღი გადას-
ცა. — თქვენ კუთხეში რას ატუზულხართ დამნაშავესავით? მოდით, კრაოტზე ჩამოჯე-
ქით, მეც აი აქ, ჩემს სავარძელზე დავჯდები, ეხლავე ცეცხლს დავაგუგუნებთ და შევეთა-
მაშებით. თქვენ ცეცხლთან თამაშობა არ გიყვართ?

ხელი დამიჭირა, ტახტზე დამსვა და თითონ თავის სავარძელზე დაჯდა.

— ეხლა მითხარით, რას ნიშნავს სურათი?

— ვიტრინაში იყო გამოკიდული. ყოველ დღე, თხუთმეტი წლის განმავლობაში ყო-
ველ დღე იმ სურათს ვუცქეროდი. გავუვლიდი, შევცინებდი, გამოვივლიდი — შევცინებ-
დი. იმ დღეს კი, დიახ, იმ დღეს, თქვენ წარმოიდგინეთ, ფოტოგრაფს სურათი ჩამოეხსნა
და ვილაც ჯარის-კაცის სურათი ჩამოეკიდა. თქვენ, ალბათ, ძალიან კარგად მიხვდებით,
რომ ამისთანა სიბრიყვესა და უზრდელობას ფოტოგრაფს ვერ ვაპატიებდი. მაშინათვე
ავედი და მოვახსენე: „მონყალეო ხელმწიფევი! თქვენ ყოვლად საზიზღარი საქციელი ჩაი-
დინეთ. გთხოვთ დაკმაყოფილებას. ან სურათი გამოჰფინეთ, ან იარაღმა გადასწყვიტოს
ჩვენი დავა“. მოხუცი შეშინდა. დამავინყდა მეთქვა, რომ ფოტოგრაფი მოხუცებული კა-
ცი იყო. ფულს მოგართმევთ, რამდენსაც მომთხოვთ, თუ თქვენი უბადრუკი ცხოვრების
ერთად ერთ საზომად და შინაარსად ოქრო გადაქცეულა. მე, მონყალეო ხელმწიფევი, მდი-
დარი ვარ, ძალიან მდიდარი. შემოძლიან თქვენისთანა ფოტოგრაფი თხუთმეტი ვიყიდო
და გავყიდო. დაგლეჯილ პიჯაკს ტყუილათ უცქერით, ბატონო ფოტოგრაფო! ეს თქვენს
გამოსაჯავრებლად ჩავიცვი! დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი, რაინდთანა მქონდა საქ-
მე, რაინდულ ტანთ-საცმელით გეახლებოდით და მაშინ დარწმუნდებოდით...

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა! — მოისმა უსიამოვნო სიცხილი, რომელმაც ჩემი აღფრთოვანებუ-
ლი მჭერმეტყველება შესწყვიტა. — ხო, მერე? მაშინ დარწმუნდებოდით... რაში დავრწ-
მუნდებოდით? — ღრეჭით იმეორებდა ჩემს სიტყვებს ვახტანგი, რომელიც სამზარეუ-
ლოს კარებთან ატუზულიყო და ხარხარებდა.

საცოდავად მოვიბუზე. ხმა ჩამინყდა. მარჯვენა ლოყა ამითამაშდა და სახე დამელმი-
ჭა. იქვე სკამზე ჩამოვჯექი და შემკრთალი თვალებით ვახტანგს შევხედე.

— რას ილრიჭებით? — მკვახედ შესძახა ქალმა და თვალებში მრისხანებამ გაუელვა.
— გთხოვთ, განაგრძოთ! — მომიბრუნდა ქალი, სავარძელი მომიახლოვა და თვალებში
ჩამაშტერდა.

— რა იქნა სურათი?
 — სურათი აქ არის, აი აქ, ჩემს ოთახში, ბუხრის წინ! წელან რომ შემოხვედით...
 — ჩემი სურათი! — დაიკვივლა ერთბაშად ქალმა და წამოჰხტა. — იქაც სავარძელში ვზივარ. პატარა დათვი მიჭირავს, სურათი. ჩემი სურათი!..

* * *

და აი, მესამე დღეა ეს ქალი თავის სავარძელში ზის ჩემი ტახტის გვერდით სხვის სახლის ბუხართან. დღეს ჩაფიქრებულია. ვახტანგიც ჩვეულებისამებრ არ ოხუნჯობს. მხოლოდ ზოგჯერ ქურდულად ერთმანეთს უცქერიან და ილიმებიან. მე ხან ქალის ქერა თმას ვუცქერი, ხან პატარა ფეხსაცმელ გახდილს ფეხს. ქალი ამასა ჰგრძნობს და თავის ფეხს გავარვარებული ნაკვეჩხალის წინ უფრო მეტის სიკეკლუციტ ატრიალებს. სუსხიანი ზამთარი დაგვიდგა. ბუხარს ვერა ვცილდებით. ქუჩაში გასვლა გვეზარება. ქალს თანდათან მოწყენილობა ემჩნევა. ერთბაშად თითქოს ჩასთვლიმა კიდეც, მაგრამ ცეცხლმა ფეხი დასწვა და გამოაფხიზლა.

— დაიძინეთ?

წამოხტა, მომვარდა და გამანჯღრია; მერე ვახტანგთან მივიდა და შუბლში ნკიპურტი ჩაარტყა.

— მოწყენილი ვარ, გამამხიარულეთ!

ვახტანგმა რალაც ოხუნჯობა სცადა, მაგრამ ვერას გახდა.

— ღვინო!

ღვინო აღარა გვექონდა.

— მოიტანეთ!

მაშინათვე წამოვდექი, კამოდის უჯრიდან, სადაც ფული მქონდა შენახული და სადაც ვახტანგი ისევე თავისუფლად ჩაჰყობდა ხოლმე ხელს, როგორც საკუთარ ჯიბეში, საფულე ამოვიღე.

— ვახტანგმა მოიტანოს!

ვახტანგი შეიშმუნა; საცოდავი გამომეტყველებით ფანჯრიდან პირქუშად ჩაბნელებულ ქუჩას გადახედა, მაგრამ მაინც ზღაზნით პალტო ჩაიცვა და ღვინის მოსატანად წავიდა.

— ეხლა ჩემთან ახლო მოდით! — მითხრა ქალმა და თავისკენ მიმიზიდა. — ღვინის დუქანი შორს არის, ვახტანგი წასვლა-მოსვლას ნახევარ საათს მოუნდება. ამ ნახევარი საათის განმავლობაში შეგიძლიანთ ბევრი რამ ისეთი მითხრათ, რასაც სხვა დროს არ მოგისმენთ. აბა, დაიწყეთ!

მე ვუცქეროდი და ვკანკალებდი.

— რატომ არაფერს მეუბნებით? ნუ თუ სათქმელი არაფერი გაქვთ? მაგალითად, რატომ არა მკითხავთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეთ ჩემზე? ან იქნება არ გაინტერესებთ? თხუთმეტი წელიწადი ჩემს სურათს უცქეროდით. ეხლა, თხუთმეტი წლის შემდეგ, ცოცხალ სურათს უცქერით; ის მხოლოდ სურათი იყო, ლამაზი სურათი! მე კი ცოცხალი ადამიანი ვარ. აბა, მომეცით, ხელი მომეცით, ჰხედავთ რა სითბო ტრიალებს ამ სხეულში? თვალებიც ცოცხალი მაქვს, დიდი, ცისფერი თვალები! სურათშიაც დიდი თვალები მაქვს, მაგრამ ის ხომ ბავშვის თვალებია! უსიცოცხლო თვალები. მე კი, აბა, კარგად დამაცქერდით! ხო, ეგრე! განა ვერა ჰგრძნობთ, რა განსხვავებაა ბავშვისა და დიდი ქალის თვალებს შუა! ხა, ხა, ხა, ხა! რა გაშტერებული მიცქერით? ახლო მოდით, უფრო ახლო, უფრო ახლო!.. რატომ არაფერს მეუბნებით?

— სურათი ჩემი იყო.

— ჰკითხეთ, როდესაც დაეპატრონეთ? — ღიმილით შემეკითხა ქალი და ეშმაკურად გადმომხედა.

— სურათს ლაპარაკი ვერ შეუძლიან.

— სასწაული რომ მომხდარიყო და დაელაპარაკა?

— მაშინ იმ ქუჩისკენ აღარ გავივლიდი.

— რად შეგიყვარდათ ეგრე ძალიან?

— იმიტომ, რომ იძულებული არა ვხდებოდი მეთქვა, რასა ვგრძნობდი მაშინ, როდესაც მას ვუცქეროდი. მიცქეროდა და მისი ღიმილი თავისებურ გამომხატვებასა ჰპოულობდა ჩემს სულში. სურათს არაფრად ენაღვლება, რანაირია მოძრაობა ამ სულისა. იგი იცინის, შემომცინის, შემომღიმის და არც ერთხელ არ შეეცდება, ჩემს გულში ფათური დაინყოს. ის თავისთვის არის თავისი ჯადოსნური ღიმილით, მე ჩემთვისა ვარ ჩემი დაფარული და დამალული გრძნობებით.

— მაგრამ სურათი რომ გაცოცხლდა? ვიტრინაზე გამოფენილი სურათი გაჰქრა და იმის ნაცვლად თქვენს წინ წამოიჭიმა ცოცხალი სურათი, თვალები ისეთივე აქვს, შუბლიც, ცხვირიც, ნესტოებიც, ტუჩებიც, თმაც, მკლავებიც. მხოლოდ მცირეოდენი რამ შეიცვალა: სურათმა დაილაპარაკა, მტკიცედ დაილაპარაკა და მოგთხოვათ პასუხი, პასუხი მოგთხოვათ, მონყალეო ხელმწიფე! თქვენ ის არ ბრძანდებოდით, თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩემს წინ რომ დადიოდით? ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩემს ცისფერ თვალებს რომ ეალერსებოდით? გახსოვთ, ერთხელ გახურებული შუბლი გაყინულ შუშას რომ მიადეთ, ქურდულად აქეთ-იქით დაინყეთ ცქერა და მერე ტუჩებში კოცნა დამინყეთ?

— ჩუმად, ჩუმად! ღვთის გულისთვის ჩუმად! — დავიღრიალე, თვალთაგან მდულარე ცრემლები გადმომსკდა და ქალის წინ წავიროქე. ქალმა ამაყენა, სკამზე დამსვა და სიცილი დაიწყო!

— თქვენ ხუმრობის ატანა არა გცოდნიათ.

* * *

დღეს სამსახურიდან დამითხოვეს. დაიღალე, დასვენება გჭირიაო... ვახტანგიც ამას მარწმუნებს, თუმცა ძალიან შეფიქრიანებულია. ჩემი ჯამაგირი იმისი არსებობის წყარო იყო. პერსპექტივა დამშევისა, რა თქმა უნდა, კარგს გუნებაზე ვერ დააყენებდა. საცოდავმა არ იცის, რა სიურპრიზს ვუმზადებ! არ იცის, რომ მამული გავყიდე და ჩემი კამოდის ქვეითა უჯრაში იმდენი ოქრო აწყვიდა, რამდენიც სრულიად საკმარისი იქნება რამდენიმე წლის მხიარული დროს ტარებისათვის. იმხიარულოს! მართალია, ნოტარიუსმა ყოყმანი დაიწყო, რალაც ოპეკაზე ჩამოაგდო საუბარი, მაგრამ მე დავარწმუნე, რომ სრული წლოვანი ვარ, ამისთვის სინოდალური კანტორიდან ოდესღაც წამოღებული მეტრიკული მონშობაც ვაჩვენე და მამულის გაყიდვა მოვახერხე.

ერთი თვეა ვახტანგი აღარ მოსულა. იმ დღიდან, რაც სამსახურში უფროსებმა ჩემს ჯანმრთელობას განსაკუთრებული გულის ყური მიაპყრეს და ფრიად საქები მზრუნველობა გამოიჩინეს, ვახტანგი ჩემი ოთახიდან სხვაგან გადასახლდა. აღარც ის მოსულა. ოთახი დაობლდა, დანესტიანდა. ბუხარი მთელი დღეებით აღარ ინთებოდა. ჭუჭრუტანებიდან შხუილით ქარი შემოდიოდა და აციმციმებდა სანთლის ალს, რომელიც მთვრალი ადამიანის ჩრდილივით დღიურის ფურცლებზე დაფარფატებდა. სახლში ხშირად ველარა ვრჩებოდი. ერთ საღამოს, ჩვეულებისამებრ, ქუჩაში გავედი, მაგრამ საშინელი სისუსტე ვიგრძენი, თავს ბრუ დამესხა და უკან დავბრუნდი. ალყაფის კარებში სახლის პატრონი დამხვდა, დიდის მონინებით საღამო მომცა, მოკრძალებით გზა დამითმო და სევდიანი, ნალვლიანი თვალები გამომაყოლა.

— თქვენთან სტუმრები არიან.

— სტუმრები?

— ქალი და კაცი.

კედელს მივეყუდე. მუხლები ჩამეკეცა. სახლის პატრონი მომვარდა, დამიჭირა და კიბეზე დამსვა.

— რატომ არა წამლობთ! ავადა ხართ. სჯობს, საავადმყოფოში დასწვით. მარტოხელა კაცი ბრძანდებით და მომვლელი არავინა გყავთ. როგორ შეიძლება, თავს უნდა გაუფრთხილდეთ!

— თქვენ კეთილი ადამიანი ხართ, კეთილი ადამიანი ხართ! ცოტა ხანს კიდევ მომიტყუებით და ოთახს გავანთავისუფლებ. ვიცი, ჩემი აქ ყოფნა განუხებთ.

— რასა ბრძანებთ? მე თქვენთვისა ვზრუნავ! — ძლივს წარმოსთქვა სახლის პატრონმა და მორცხვად თავი ჩაღუნა.

ცოტა რომ შევისვენე და სული მოვითქვი, კიბეზე ბარბაცით ავედი.

ჩემი ოთახის კარების წინ ცოტა ხანს კიდევ შევისვენე და გულის ფანცქალით, აკანკალებულის ხელით კარები გამოვადე...

სახლმა ზანზარი დაიწყო, კედლები შეტორტმანდა. ოთახი დატრიალდა; იატაკი თითქოს ფეხიდან მეცლებოდა, დაბლა და დაბლა დაეშვა, მეც თან ჩამითრია და... შიგ კარებში ჩავიკეცი. ის თავის სავარძელში იჯდა და ვახტანგი თვალებში ჰკოცნიდა...

ვახტანგი საჩქაროდ განშორდა, განითლდა და შეშინებული ასაყვანად მომვარდა. იმან კი სავარძლის გვერდიდან ოდნავ გადმოიხედა, მერე ისევ ახლად გაჩაღებულ ბუხარს მოუბრუნდა და მთქნარებით წამოიძახა:

— რა ცივა ამ წყეულ ოთახში!..

ვახტანგს ხელიდან გამოვუსხლტდი, კიბეებზე დავეშვი და ქუჩაში გავვარდი... ტრამვაის ვაგონი... გაჩირაღდებული მალაზია... გაოფლიანებული ცხენი... ბნელი ქუჩა... ძველი სახლის გადმონგრეული ღობე... მატარებლის გუგუნე... ორთქმავალის გამწარებული სტვენა... სიჩუმე... წყვილი... ყრიაშული... ყიყინა... განათებული მალაზია... ტრამვაის ვაგონი... ჩაბნელებული კიბეები... ოთახის კარები...

— ნელა, ნელა! უკანასკნელი საფეხურია. არა უშავს რა, მაგას ოთახში გავწმენდავთ, ქვაფენილზე რომ დაცემულხართ ალაყაფის კარების წინ, მაშინ თუ დასველდით. ეხლა მივედით, აი, ესეც თქვენი ოთახის გასაღები! მე მომაბარეს და თითონ თქვენს საძებნელად წამოვიდნენ. ეხლა მოისვენეთ. ექიმიც, ალბათ, მალე მოვა, ახლო ცხოვრობს, ლამფას ჩაუნევ. ღამე მშვიდობისა! ყოველთვის მეუბნებოდით, კარგი სახლის პატრონი ხართ. აბა, მაშ, დამიჯერეთ, საბანი კარგად დაიხურეთ და ოფლი მოიდინეთ. ნუ გეშინიანთ, მალე გავივლისთ. ღამე მშვიდობისა.

ვიღაცამ კარები გაიხურა და გავიდა. თითქოს ოთახში აღარავინ არის, მაგრამ საშინელი ხმაურობა კი დგას. სადღაც ტრამვაის ვაგონის ვატმანის ყვირილი ისმის: „ჩამოეცალეთ, გაგჭყლიტავთ“. ორთქლმავალი შიგ ყურში მიგუგუნებს. გაოფლიანებული ცხენი თავისი ცხვირით შიგ ყურში მიფშუტუნებს. რა უცნაური ამბავია! მესამე სართულიდან თავზე ადუღებულ წყალს მასხამენ. 26 მაისის ქუჩით სიარული იმიტომ არ მიყვარს, რომ ამ ქუჩას სათავეში მელიქ-აზარიანცის სახლი უდგას. ხომ გახსოვთ, რა შავი, აყლაყუდა და მოუხეშავია ეს სახლი! მთელი თავისი სიმძიმით ეს აყლაყუდა სახლი, რომელშიაც მხოლოდ ნახმარი ნივთები და სხვის გამონაცვალის საცვლები იყიდება, გულზე მანვება და სუნთქვას მიკრავს. მესამე სართულიდან კი ადუღებულ წყალს თავზე მასხამენ. რალა ადუღებული წყალი მინდა, როდესაც ისეც ეთნაზე დავდივარ! ეს ვილაა? გამარჯვება შენი, ქალბატონო! კიდევ ხომ არ გინდა ჩემი დღიურის ფურცლები ნაგავს გააყოლო? ჩემი სიცოცხლის დასაწყისს შეგეძლო ეგრე მოჰქცეოდი, მაგრამ დასასრულს მეტი პატივის ცემით უნდა მოეპყ-

რო. რაც უნდა იყოს, დასასრულია. სხვისთვის იქნება ეს დასასრული არ არის, მაგრამ ჩემთვის ჩემი დასასრული ყველაფრის დასასრულია. გაოცებული რად მიცქერი, მეგობარო? ხომ ხედავ, ოთახში გამეფებულ მყუდროებას არაფერი არღვევს, გარდა ბუზის ბზუილისა. ეს ბუზი საშინლად მაოცებს. აბა, კალენდარს შეხედე! ოცდაათი იანვარია. იანვრის ოცდაათი და ბუზი! შუა ზამთარია. ბუზი კი ბზუის! ხომ ჰხედავ, რა სიცივეა! მიღში წყალი იყინება. დილ-დილობით სამოვარს ვერა ვდგამ, ბუზი კი ბზუის. მტკვრის ნაპირები იყინება, წყალს ყინულის ლოდები მოაქვს, ბუზი კი ბზუის! ვახტანგი რამდენი ხანია ვერ მოსულა, გარედ გამოსვლას ვერა ჰბედავს. ბუზი კი ბზუის. ნუ გეშინიან, ჩემო მეგობარო! ფილოსოფოსები ამბობენ, თვალი რომ არა გვექონდეს, არც შუქი იქნებოდა, ან უკეთ რომა ვსთქვათ, წარმოდგენა შუქზეო, რაც შენთვის ერთი და იგივეა. მეც ყური რომ არა მქონდეს, არც ბუზი იქნება და არც იმისი ბზუილი. მაგრამ რას გაანყობ? ყურს ხომ ვერ მოვიჭრი?

* * *

ექიმმა ნება მომცა, დღეში ერთი საათი, მზის შუა გულს, ვისეირნო დაზიანებული ფილტვების გაჯანსაღებისთვის. ეს საჭირო ყოფილა. პირველ დღეს ექიმის ნებართვით ვისარგებლე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პირველად გავედი ქუჩაში. დიდი მანძილი არ გამივილია. სულ ორიოდე სახლი გავიარე; უცაბედად სამგლოვიარო პროცესიას შევეჯახე. ოთხ კაცს კუბო მიჰქონდა. კუბოს წინ ფრატუნით ღვდელი მისდევდა და რალაცას ბუტბუტებდა; უკან კი ვილაც ორი მოხუცებული დედაკაცი მობარბაცებდა. კუბოს გადავხედე და ჩემი ნაცნობი დედაკაცი დავინახე. ღრმა მორჩილებით გულზე ხელები ჯვარედინად დაეკრიფა და ისევე უჩუმრად მისდევდა საუკუნო განსასვენებელ ადგილას, როგორც უჩუმრად დადიოდა ჩვენს პატარა, ვინრო ქუჩაზე. ქუდი მოვიხადე და თვალი გავაყოლე იმ დრომდე, სანამ პროცესია ქუჩის კუთხეს არ შეეფარა.

ოთახში ვზივარ. ბნელა. სანერ მაგიდაზე სანთლის შუქი ოდნავა ბჟუტავს. დღიურის ფურცლებსა ვკრავ და სანთლის გვერდითა ვდებ. პატარა შუშის მკრთალი შუქი მაგიდაზე ციმციმებს და ამ ციმციმით თავის საბედისწერო არსებობას მაგონებს. ჩემს ლოგინს გადავხედე, საბანს, ბალიშს... ეჰ! კმარა სენტიმენტალობა! დავლიე. კიდეც ცოტა და მალე გნახავ, ჩემო ბებრუცუნავ!..

გარდელი

მოხუცებულები და დეკამერონი

(ცქრიალა გოგონას ნაამბობი)

სასწავლებლიდან რომ შინ მოვდიოდი, ლუდის ქარხნის გვერდით ჩვეულებრივ მუცელ-გუდა შემხვდა; ამ სახელს მე ვარქმევ, თორემ ნამდვილი მისი სახელი, მე არც კი ვიცი. ხელში ვერცხლით მოჭედილი ლამაზი ჯოხი ეჭირა და სწორედ გაგებულ საქვეითო ქვა-ფენილზე რიტმიულად უკაკუნებდა. მე როცა დაუპირდაპირდი, ჯოხი მალლა ასწია, თითქო ჯარის კაცი თოფს იმარჯვებსო. „მე ხომ არ მაძლევს სამხედრო სალამს მეთქი“. გავიფიქრე, მაგრამ ჩქარა შევამჩნიე, რომ ქუჩის გაღმა მხარეს, ღია ფანჯარასთან გამლილ წიგნით ხელში მჯდომ მანდილოსნისაკენ იყო მისი ყურადღება მიქცეული.

— თქვენ კი, ქალბატონო, — არხეინად დაიყვირა მან, თითქო პოლიციელი შოფერს უჯავრდებაო, — მანდ რას იცინით, დეკამერონს ხომ არ კითხულობთ.

— ოჰ, შენა, ძალი ახსენო და ჯოხი მხარზე მოიდევიო, აქ მოეთრიე. — სიცილით მოსძახა მანდილოსანმა და მუცელ-გუდაც იქითკენ წაჩანჩალდა.

მე ჩემი გზა განვავრძე, პატარა ბალი გავიარე და წმიდა იოსების საყდრის პირდაპირ სანიგნოებს ჩამოუარე.

— დეკამერონი ხომ არა გაქვთ. — დავეკითხე ერთ ერთ მენიგნეს. ის თავის პატარა დუქნის კარებთან იჯდა და არხეინად სთვლემდა.

მედუქნემ თვალეხი სჭყიტა და დაკვირვებით ამათვალ-ჩამათვალეირა. „მგონია სადღაცა მაქვს“ — ულაზათოდ მომიგო მან და წიგნებში ჩხრეკა დაიწყო: „სრული არა მქონია, ქალიშვილო. აი, თუ გნებავთ მეორე ტომი, ამაშიაც ბევრი კარგი ამბები სწერია“.

წიგნი უყდო იყო, სათაური სანახევროდ ჩამოგლეჯილი და საკმაოდ ჭუჭყიანი. მე მინდოდა გზა გამეგრძელებინა, მაგრამ შევჩერდი. „რა უნდა მოგცეთ მაგამი?“ — დავეკითხე მე.

— რას მიბოძებთ, თავად მოგართმევთ, სამოცდაათ სანტიმად ინებეთ. — წიგნი ვიყიდე და შინისაკენ გამოვსწიე.

— ეგ რა წიგნია. ეს ჭუჭყიანი წიგნი. — თვალი მოჰკრა დედა ჩემმა, როცა სახლში შემოვიდა... — უი მე? შეხე ერთი დედი, — მიმართა ჩემ დიდედას, რომელიც თავის განუშორებულ სავარძელში ჩვეულებრივ, როგორც ის ამბობდა „განისვენებდა“, — შეხედე ლუიზას, დეკამერონი მოუტანია, ძველ სანიგნოში შეუტანია, ეჭვი არაა.

— რაო? დეკამერონიო? — გაიკვირვა დიდედამ. — ახ, ჩემო გამჩენო! ჯერ ბავშვს თავი არ გადაშრობია და დეკამერონი? აქ მოიტა, აქა, მე მაგას ჩემი სკივრის ფსკერში მოვაქცევ და საუკუნო ტყვეობას მივუსჯი. ცეცხლში დავწვავდი, მაგრამ აუტდაფეს მომხრე არა ვარ, მე ჰუმანისტურ პანსიონში მიმიღია განათლება.

აბა, რას ვიტყვოდი. ცოტა წინააღმდეგობის განწევა დავაპირე, მაგრამ მამა ჩემთან დასმენით დამემუქრნენ და მე ჩავჩუმდი. „ნეტავ ვიცოდე, თუ რა წიგნია დეკამერონი“ — ვამბობდი ჩემს გულში.

* * *

კვირა დღეობით, ნასადილევს, ჩემ ბიძაშვილთან მოვდიოდი ხოლმე. მისი დეიდა „ხნიერი ბერნი“, როგორც მას ეძახდენ (არა მის გასაგონად), ჩვენთან ერთად ქალაქის ტყეში სასეირნოდ მოდიოდა, მერე ტბის შუაგულ ხელოვნურად გაშენებულ ჭალაკს ვინახულებდით და იქ გამართულ ყავა-ხანაში თითო ჭიქა რძეს აუცილებლად დავლევდით. „დეიდა ანნა“, როგორც ეძახდენ მამას დეიდას (ამას კი მის გასაგონადაც), გვარწმუნებდა, ჭალაკის რძეს დიდი ჰიგიენური მნიშვნელობა აქვსო, ადამიანს ფერ-ხორცს მატებსო, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ „დეიდა ანნას“ მიუხედავად მისი ხშირი ხმარებისა, არა აჩნდა რა.

„ოჰ, ღვთის მშობელო, ქალწულო, რა ჯოჯოა, ჩუმად იტყოდენ ხოლმე ჩვენიანები, როცა „ხნიერ ბერნი“ ლაპარაკი ჩამოვარდებოდა.

გზა თითქმის სანახევროდ გავიარე და მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ ჩემი პატარა ხელ-პარკი თან არ მომქონდა. ერთ ხანს დამეზარა შინ დაბრუნება, მაგრამ უხერხულად მეჩვენა მთელი დღე უცხვირსახოცოდ და უფულოდ ყოფნა, საჩქაროდ შემოვტრიალდი და შინისკენ გავეჩქარე. გადავსწყვიტე იქითობას ტრამი ამელო და ბიძისას, მაინც დანიშნულ დროს მივსულიყავი.

ჩვენი პატარა ბალის კარები შემოვალე; იქ ჭაჭანება არ იყო. სახლში შემავალ დერეფანში ჩემი დედ-მამის პალტოები და ქუდები არა სჩანდა. ალბათ ისინი წასულან ავადმყოფი ბიძაშვილის სანახავად, როგორც სადილის დროს ამბობდენ, გავიფიქრე მე. „დიდედას სძინავს, ხელს არ შევუშლი“ — მომივიდა კეთილი აზრი, მაგრამ კარი მაინც ფრთხილად შევალე. ჩემი პატარა ოთახი დედას ოთახს ეკედლებოდა, შემეძლო მეორე მხრივ მომეარა. მაგრამ დრო მსურდა მომიგო.

კარი შევალე და სახტად დავრჩი. დიდედას სავარძელი ცარიელი იყო. თვითონ ის მაგიდასთან სელზე გამოჭიმული-იყო ყოჩაღად და მაგიდაზედ გაშლილ წიგნს გულ-მოდგინეთ კითხულობდა, მის მიერ საუკუნით დაპატიმრება მისჯილს! კარის ნელ ჭრიჭინზე დიდედა არ განძრეულა. ერთ ხანს ვუყურე, სახეზე ჩუმი ღიმი უქროდა და ასეთი განსპეტაკებული სახით მე ის თავისს დღეში არ მენახა. კარი ჩუმადვე მივკეტე. ხმა არ საიდან მომსმენია, სახლში სამარისებული სიჩუმე სუფევდა. საჩქაროდ მეორე მხრივ შემოვიარე, ფრთხილად ჩემს ოთახში შეველ, ხელ პარკი ავიღე, საცდელისკენ გავემართე.

* * *

ტყეში, როცა „ხნიერი ბერნი“ ერთ ერთ გრძელ სკამზე ჩამოჯდა და ჩვეულებრივ წიგნის კითხვა დაიწყო, მე და მაშომ იქვე, მახლობელ მწვანეზე ბურთის თამაშობა გავმართეთ. მე, რასაკვირველია, მაშოს ყოვლისფერი ვუამბე დეკამერონზე. მაშო ძლიერ დაინტერესდა. „იცო, ლუიზ, — მითხრა მან, — მოდი, შენ ის წიგნი მე მომიტანე და ერთად წავიკითხოთ. მე ჯერ არ წამიკითხავს დეკამერონი, მაგრამ კარგი რამ უნდა იყოს, თუ კი დიდედაც ამ ზომამდე გაართო.

— საქმეც იმაშია, მაშო, რომ დიდედამ მე ის წიგნი წამართვა. თავისს სკივრში ყავს დატყვევებული, როგორც ის ამბობს...

— ეხ, ლუიზ, ეშმაკურად მითხრა მან, — ეტყობა არ დაუტყვევებია, ან თუ დაატყვევა ისევ განუთავისუფლებია, თუ კი თვითონ კითხულობს, იმას სკივრში არ შეინახავს, იქვე სადმე მაგიდაზე ექმნება. იხელთე, როგორმე, მარჯვე დრო და...

შევეცადე ჩვეულებრივ დროზე უფრო ადრე დავბრუნებულ ვიყავით ტყიდან. ტრამი ავიღე და პირდაპირ სახლისაკენ გავეშურე. დერეფანში სიცარიელემ და სახლში სიჩუმემ გამაგებინა, რომ ჩვენები ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ. ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა და დიდედას ოთახი წყნარად შევალე. დიდედას სავარძელი ისევ ცარიელი იყო. თვითონ კი მაგიდას ეჯდა, თავი ზედ დაედო და ეძინა. ჩემი დეკამერონი, გაშლილი, თითქმის მის ტუჩს ხვდებოდა და დიდედას ტუჩებიც იმგვარად იყო მომარჯვებული, თითქო ვისიმე კოცნას აპირებსო. ერთის წამის დაკარგვა შეუძლებელი იყო. უკეთეს მარჯვე შემთხვევას ძნელად თუ ვიშოვნოდი. ფეხ აკრეფით ოთახში შევირბინე, წიგნს დავაფრინდი, ვით ქორი წინილას და ისევ გამოვირბინე. დიდედა არ განძრეულა. მას ღრმად ეძინა. წიგნი ჩემს ოთახში, ძლიერ საიდუმლო ალაგას შევინახე და ისევ ქუჩაში გამოველ. შევუხვით ჩვენ გვერდით ვინრო ქუჩისაკენ, დარწმუნებული, რომ იქ ჩვენინებთაგანის არავინ შემხვდებოდა. ასე ხეტილში გავატარე თითქმის ერთ საათამდის და ისევ შინ დავბრუნდი. ახლა კი, იმედი მქონდა, რომ შინ ვინმე დამიხვდებოდა.

ჩვენები მართლა დაბრუნებულიყვნენ და სასადილო ოთახში ყავას მიირთმევდნენ.

— ფრთხილად, ლუიზ, — მითხრა დედა ჩემმა, — დიდედა რალაც უქეიფოთ არის, შენ ხომ რამეში არ გაგიჯავრებია; შენებურად ცელქობით არ შეაწუხო.

— აბა, მე რათ ან როდის გავაჯავრებდი, — ცოტა წყენით მიუგე და მაშინათვე ტკბილად დავუმატე, — ნეტავ რა დამართნია, ცუდად ხომ არ ეძინა?

— აბა, როგორ გითხრა, საიმისო არაფერია, მგონია, რალაც ნაწყენი სახით ვნახე, ყავის მირთმევაზე უარი განაცხადა, საზოგადო უქეიფობას ასახელებს.

* * *

მეორე კვირას, არ მახსოვს, რომელ დღეს, მგონი პარასკევი იყო, ჩვენ ყველანი შინ ვიყავით. ჩემი უფროსი ძმა, უკვე ახალ-გაზდა ვექილი ერთ-ერთ მახლობელ ქალაქიდან, სადაც მუშაობდა, საქმეებისა გამო შემთხვევით ჩამოსულიყო და ისიც იქ გახლდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი დეკამერონი მართალია მაშოს მივუტანე, მაგრამ წიგნის კითხვის გეგმის საწინდანი რჩევაც ხეირიანი ჯერ ვერ მოგვეხდინა.

ერთიც ვნახოთ, ვილაცამ ჩვენი სახლის ზარი დაანკარუნა. გავიხედეთ და „ხნიერი ბერნი“ შემოვიდა, გულმოსული სახით და ჰოი საშინელება, ჩემი დეკამერონიც ხელში ეჭირა.

მცირე მისალმების უმაღლესი „დეიდა ანნამ“ სწორედ რომ ყუმბარასავით იფეთქა და ერთბაშად გადმონთხია ჩემკენ მომართული საყვედურები, შემდეგ ცოტა სული მოითქვა და პროკურორის ტონზე გადავიდა. „მე, ბატონებო, ბოდიშს ვიხდით, თუ ფიცხედ დავინყე, მაგრამ საქმის ვითარება ცხად-ყოფს, რომ ჩემ მხრივ ეს ბუნებრივია, თქვენი ქალიშვილის დამრიგებლობას მე სრულებით არ ვკისრულობ. აქ პირად ჩემი და ჩემი დის ოჯახის კეთილდღეობა გახლავთ სასწორზე დადებული. ჩვენ ოჯახს საშიშროება მოელის და ყოვლისფრის მიზეზი, აი, ეს წიგნაკი გახლავთ, რაც ჩვენს ოჯახში თქვენი ქალიშვილის მიერ მოტანილი აღმოჩნდა. ეს ჩვენ გავიგეთ, აი, ამ დღის სამი საათის წინ და იმიტომაცაა, ამ ამბის მიერ გამოწვეული აღელვება, ჯერ არ დამცხრომია. კიდევ ბოდიშს ვიხდით, ბატონებო, მაგრამ ვთხოვთ, მომისმინოთ თავიდან. აი, ბატონებო, საქმე როგორ იყო: ხუთიოდე დღე იქნება, რომ ეს წიგნი მაშოს ხელში უნახეს. როცა ჰკითხეს, საიდან ჩაუვარდა მას ხელში, ვილაც თავისი ამხანაგი, ჩვენი უცნობი, დაასახელა. ამ ამბავმა ბიძია თადემდე მიაღწია (ბიძია თადე გახლავთ ჩემი ბიძის ცოლის ბიძა, მოხუცი, უცოლშვილო, მდიდარი, ინდუსტრიელი), ის საშინლად გაჯავრდა: „ნეტავ ვიცოდე, თუ რა დროებას მოვესწარი. თითის ტოლა გოგოები დეკამერონს კითხულობენ. გოგოები კი არა, ჩვენ ვაჭიშვილები, პოლიტექნიკუმის სტუდენტობის დროსაც ვერ ვზედავდით დეკამერონის კითხვას. სწორე გითხრა, არც კი მახსოვს, რა ხნის ვიყავი, როცა ის წავიკითხე“... და ამნაირად აპილპილდა ეს კაცი. ასე გონია, ოთხმოცდა ექვსის წლის მოხუცი კი არა ოცდა თუთხმეტის წლის ვაჟკაციაო. „აქ მოიტათ, აქ მოიტათ“, — თითქმის ყვიროდა იგი, — „მე ვიცი, მაგას თუ რას უზამ, მე რომ მკითხო, მაგ სისაძაგლეს ნაფლეთ-ნაფლეთებად ვაქცევდი და ლუმელში შეუძახებდი, მაგრამ მე სრულებით ვინრო შეხედულების კაცი არა ვარ, ბარბაროსობა თავის დღეში არ ჩამიდენია და ისე პატიოსნად, ჩემი შრომით და მუყაითობით ჩემი ცხოვრება ჩამიტარებია. ოცდა ხუთის წლისას ოცდა ხუთი ფრანკიც არ მომეძეოდა და შემდეგ, ჩემ ძმასთან ფილიპესთან ერთად, ოთხი ქარხნის პატრონნი კი გავხდით, რატომ თორმეტი არ გვექნებოდა, ფილიპე რომ მფლანგველი კაცი არ აღმოჩენოდა. აქ მოიტათ, აქ, ის საზიზღარი, მე ვიცი, მაგას სად ვუკრავ თავსა, მას ჩემ საგანგებო ქალაქების რკინის ყუთში დავმაღავო“.

ბიძია თადეს, აბა, პირს ვინ შეუბრუნებდა.

— მერე ამ წიგნაკის გულისთვის ამდენი აურ-ზაური? — მონყენილი ღიმილით, ფრთხილად შენიშნა დედა ჩემმა.

მამა ჩემი მუდამ აუღელვებელი და სულ თავისი მეცნიერულ კითხვებში გართული ჩუმად იჯდა. ჩემი ძმა კი, თვალზე გაბრწყინებული პირში ღიმილთ „ხნიერ ბერნს“ თვალებს არ ამორებდა.

* * *

— მოითმინეთ, ბატონებო, აურზაური ჯერ სად არის, აურზაური და საშიში საქმე მერე მოხდა, — გააგრძელა „დეიდა ანნამ“, — ვნახოთ ეს ორი სამი დღეა ჩვენმა ბიძია თადემ თავი უქეიფოდ იგრძნო. რიგიანად საჭმელს არ იღებს. დღისით მისი ძილი არ გავგონილა. ეს ორი დღეა სულ სთვლემს, სულ ეძინება. სწორედ რომ საშიში სიმპტომებია, ნეტავ რა დაემართა, ასე უეცრად და უმიზეზოდ, შეფიქრიანდა ჩემი სიძე. და მართლაც ხუმრობა საქმე ნუ გგონიათ, ბატონებო, ჰასაკი ისეთია, რომ ბევრი რამ არაა საჭირო კატასტროფის გამოსარკვევად. თქვენც მოგეხსენებათ, რომ თუ ბიძია თადეს რამე მოუვიდა მოულოდნელად, მაშინ სრულ და ერთად ერთ მემკვიდრედ ფილიპე გამოცხადდებოდა. ეგებ ისიც მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ ანდერძი ისეა დაწერილი, რომ ვინც უკანასკ-

ნელი გადარჩება ყოველივე უძრავ მოძრავი მისია, და ნუ გაგვიკვირდებათ, თუ ბიძია თაღეს უძღურობამ ჩვენ ასე დაგვაფრთხო. თუ ფილიპე მემკვიდრე გახდა ის, იმ წამსვე, ყველაფერს გაიძვერა ვექილს პეტრეს დაუმტკიცებს.

— ვექილების ლანძღვას მე ვერ მოვიტყენ. — ძალდატანებული წყენით შენიშნა ჩემმა ძმამ.

— ბოდიში მომიხდია. — ვითომ და ნაზად წარმოთქვა დეიდა ანნამ, ნამდვილად კი მისი უშნო სახე კიდევ უფრო დაიმანჭა.

— ახლა კი მაგათ კუდი ეწვის, ფილიპე თუმცა ხნით ორი წლით უმცროსია ბიძია თაღეზე, მაგრამ დამეთანხმებით ოთხმოცდა ოთხი წელიც საკმაოა, რომ ერთი ცოტა რამე და სამწუხაროდ საქმე გათავდეს, მით უფრო, როცა კაცი ავადმყოფობს, როგორც ბ-ნი ფილიპე. ძლიერ, ძლიერ ცუდად გრძნობს თურმე თავს ბ-ნი ფილიპე. მაგ. ბ-ნს პეტრეს პარიზიდან ვილაც ცნობილი დოსთაქარი დაუბარებია, მაგრამ მას დიდი იმედები არ მიუცია. ამნაირად, თქვენც მოგეხსენებათ, რომ ორი მონინააღმდეგე ბანაკია გაჩაღებული და სამკვდრო-სასიცოცხლოთ ერთი მეორის პირის-პირ გაშმაგებულნი დგანან. თუ ღმერთი განყრა და ბიძია თაღეს რამე შეემთხვა ბ-ნი ფილიპეზე ადრე, ჩვენ წყალ წმინდათ დალუპულები ვართ. ერთი სანტიმი ჩვენ არ მოგვეცემა. ამის შემდეგ სრულებით ბუნებრივია ჩემი სიძის შიში და ჩემიც, მეც ხომ მემკვიდრე ვარ, სულ ერთნაირად ხომ არ იქნება, ბატონებო, მეც გარკვეული გზა და ცხოვრება მწყურია. ამიტომაც სრულებით ბუნებრივია, ჩემმა თვალმა წუხელის, ღამის სამ საათზე თუ პოზიციები დაზვერა, ე. ი. შეიხედა, ბიძია თაღეს ოთახში, მოსვენებით სძინავს, თუ არაო... და სამართლიანი. ღმერთო, შენ დამიფარე! რას ხედავს თურმე ეს კაცი. ბიძია თაღე მაგიდასთან გამოჭიმულა ისე მხნედ და ყოჩაღად, როგორც ამ ორმოცის წლის წინეთ თავის მეტალურგიულ ქარხნის „ბიუროში“ და კითხულობს, აი, ამ დე-კა-მე-რონს.

* * *

სულ ყველას სიცილი წასქდა, თითქმის მამა ჩემიც ხითხითებდა. მეც ვიცინოდი, მაგრამ უფრო მიბაძვით ვიდრე გულით და თან ვფიქრობდი: ნეტავ ვიცოდე, თუ რა წიგნია დეკამერონი.

— მართალია ბატონებო, კაცს სასაცილოდ მოეჩვენება, მაგრამ ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ამ უბრალო რამეს დიდად სამწუხარო შედეგი მოყოლოდა. იმ ღამეს ჩემი სიძე აბა რას ეტყოდა, ჩუმაღვე განშორებულიყო ბიძია თაღეს ოთახს. დღესაც, ანგარიშს რომ ვერ მოსთხოვდა დეკამერონის კითხვის შესახებ. ჩვენ მხოლოდ პატრონის მიერ თავის წიგნის მოთხოვნა მოვიმიზეზეთ და როგორც იყო, წიგნი გამოვართვით. მერე მაშოზე მოვიმიზეზე, მივიტანეთ იერიში, ნამდვილი ეთქვა, თუ ვისი იყო წიგნი, ჯერ გამაგრდა, მერე დიპლომატია გააბა, მაგრამ ჩვენ არ მოვეშვით და იძულებული შეიქნა წყალ წმიდად იარაღი დაეყარა და გამოტეხილიყო.

— რა ვქნა, აკი, დედამ თავის სკივრში დამალა ეს უბედური წიგნი — მორიდებით შენიშნა დედა ჩემმა.

— რა ვუყოთ, დედი, ეს წიგნი მოუსვენარი ვინმე ყოფილა, რომ სკივრიდან კი არა, ზღვის ფსქერიდანაც ამოვიდოდა. — იოხუნჯა ჩემმა ძმამ.

ამ დროს კარები გაიღო და დიდედა ყავარჯენზე დაყრდნობილი კარებში გამოჩნდა:

— ნეტავ, რა ხმაურობა იყო „ახ! მადმუაზელ!“ „დეიდა ანნა“. — მიესალმა დიდედა „ხნიერ ბერნს“.

— აა... დიდედამაც მოგვასწრო, დიდი ამბავი მომხდარა, მხიარულად მიაძახა ჩემმა ძმამ. — ბიძია თაღე შეყვარებულა.

— ვისზე ნეტავ, ჩემო პატარავ.

— რა საკითხავია, დიდედი? ვისზე იქნება შეყვარებული თუ არ შენზე, მდიდარი სასიძოა, რა სათქმელია. აი, მადმუაზელი ანნა შუამავლად გამოუგზავნია და შანად დეკამერონი გამოუყოლებია.

— უი, თვალის დამიდგება, სად დავკარგე მეთქი, რომ ვეძებდი. ერთ დღეს სკივრიდან სხვა ნივთებთან ამომყვა და ჩემ მაგიდაზე მედო, მერე სადღაც გაქრა. ალბათ იმ ცელქმა მომპარა. — ხელი გაიშვირა ჩემსკენ დიდედამ.

— კარგი დარაჯი არ ყოფილხარ დიდედი! ასეთი საშიში ტუსაღის აშვება შესაძლებელია? მან ლამის ბიძია თადეს ცოლის თხოვა გააბედია, ვინ წარმოიდგენს, ამას რა შედეგი მოყვება, რა დიდი უბედურება დატრიალდება, რამდენი იმედები გაცრუებული დარჩება, რამდენი კეთილი სურვილი დაუკმაყოფილებელი...

— კეთილი, კეთილი, ჩემო პანანავ: მაგის უარყოფას ვინ გაბედავს, რომ ბ-ნი თადე იშვიათი სასიძოა. სწორედ მოჯადოებული ვარ ამ საამაყო წინადადებით! მაშ, აქ მოიტათ ჩემი შანა, ხოლო ბ-ს თადეს გაუგზავნია ნაზ გრძნობას და მოკითხვას.

„დეიდა ანნამ“ დიდედას წიგნი გარდასცა. ყველა იცინოდა.

— ახლა კი უფრო ფრთხილად ვიქნები, რიგით ამგვარ წიგნს დანვა ერგება, „აუტოდაფეს“ მომხრე არა ვარ, მე ჰუმანისტურ პანსიონში მისწავლია. — გულ შეუნუხებლად ამბობდა დიდედა და თავის ოთახისკენ მიდიოდა: ბრძოლის ველი უბრძოლველად მას ეკუთვნოდა. ნეტავ რა წიგნია, დეკამერონი, ვეუბნებოდი მე ჩემს თავს და იმედს არ ვკარგავდი, რომ ოდესმე მას ისევ ხელთ ვიგდებდი.

უიარალო

17/X, 1917 წ.

„ლონდა“

მეოცე საუკუნის პირველი ათი წელი რუსეთის ინტელიგენციისა და მწერლობისათვის საბედისწერო ხანა იყო: საზოგადოების მოწინავე ნაწილის ალფრთოვანებულ რევოლიუციონურ ალტყინებას ფრთა შეეკვეცა და თავზარდაცემული ინტელიგენტი იძულებული შეიქმნა დროებით განდევილობის, სულიერ კარჩაკეტილობის პრინციპის აღიარებადმდე მისულიყო.

პოლიტიკურ ფრონტზე დამარცხებულთ, ინტელექტუალური ხასიათის ძიებანი უფრო მეტის ძლიერებით მოედო გულს. ყველა შეუდგა სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა ხელახალ შეფასებას.

სიცოცხლის აზრის ძიება, ტრადიკული მხარე ადამიანის არსებობისა, პიროვნების ტრაგედია, სიკვდილის შიში — აი, რა ახასიათებდა მაშინდელ მწერლებს.

რელიგიური მისტიციზმი, სიმბოლიზმი, უკიდურესი ინდივიდუალიზმი, რომელიც მოითხოვდა შეგნების, შემეცნების რევოლიუციას — აი, რითი განისაზღვრებოდა იმდროინდელი ლიტერატურა. ლ. ანდრეევი, თ. სოლოგუბი, ანდრეი ბელი, დ. მერეჟკოვსკი, ვ. ივანოვი, ლევ შესტოვი, როზანოვი და სხვანი საუკეთესო გამომხატველნი იყვნენ იმდროინდელ რუსეთის სულის კვეთებისა.

რელიგიურ ალფრთოვანებით, ინტელექტუალურ ხასიათის ძიებით განისაზღვრა ეს ხანა.

ხელოვნების ყოველ დარგს დაეცყო ეს გატაცება: ლიტერატურას, მხატვრობას, მუსიკას.

სასცენო ხელოვნების დარგშიაც შეიჭრა ეს ტალღა და რევოლიუცია მოახდინა: ელინისტურ სამეფოსაკენ ლტოლვა, ძველი თეატრის რესტავრაცია, ძველ ნაცად საშუალებ-

ბათა ხელახალი გამოყენება, — ინტიმურ თეატრის შექმნა. სასცენო ხელოვნებაში დროის, სივრცისა და მოქმედების მთლიანობის პრინციპის დაცვა მოინდომეს. ამ ფარგლებში უნდოდათ მოექციათ სასცენო დრამატიული ხელოვნება.

ამ რელიგიურ და მისტიურ გატაცებამ — ფილოსოფიურ აზროვნებამ და სასცენო ხელოვნების დარგში ახალ ფორმების ძიებამ შესამჩნევი გავლენა იქონია გრ. რობაქიძის პოეტურ გრძნობაზე და ამ განცდათა კარნახით, ამ სულიერ აღფრთოვანების ზეგავლენით მან შექმნა თვისი „ლონდა“.

„ლონდა“ ავტორის სულიერ უკმაყოფილების, დაუსრულებელ სულიერ ტანჯვათა შედეგია, სადაც მტკიცედ არის დაცული დროის, სივრცისა და მოქმედების მთლიანობის, ერთიანობის პრინციპი.

„ლონდაში“ არის ნასესხები მოტივები. მაგრამ ამასთანავე ნათლად მოსჩანს პოეტის ტემპერამენტი, თავისებური მიდგომა, განსჭვრეტა მსოფლიოსი, ათვისება საგანთა და მოვლენათა, ორიგინალური დაყენება და გადაჭრა საკითხისა.

გრ. რობაქიძეს შეიძლება არ დავეთანხმოთ ამა თუ იმ მოვლენათა ახსნაში, მაგრამ თქვენ მას ვერ წაართმევთ მთავარს, რაც ყოველჯერაც ახასიათებს შემომქმედს, ესტეტს. მას აქვს საკუთარი პოეტური კონცეპცია, ფართე ჰორიზონტი, გემოვნება ესტეტისა. ეს ნათლად სჩანს „ლონდაში“...

ამ პიესაში არ არის არც ერთი მომენტი, სადაც არ სჩქეფდეს უალრესი ტრალიზმი ადამიანის არსებობისა...

...იშვიათ გვალვის გამო იწვის ქვეყანა. გოდებსა და მოსთქვამს ხალხი. უცნაურ შიშს შეუბყრია დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი. უბედურებას თან მოსდევს თავზარ დამცემი ამბები, ამ ქვეყნიურ საშინელებას იმ ქვეყნიური გაუგებრობა, საიდუმლოება აორკეცებს, თითქო მოახლოვებულია აღსასრული ქვეყნისა...

მსოფლიოს ბედი სტიქიურ მოვლენათა კაპრიზზეა დამოკიდებული. მზის სხივები ადამიანის მასულდგმულბეღია, ბუნების მაცოცხლებელი; მისგან ხარობს ყოველი. მაგრამ მასვე შეუძლიან განადგურება, მოსპობა ქვეყნიერებისა, ფატალურია, საბედისწერო ადამიანის, მთელი მსოფლიოს არსებობა. ბედისწერის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან; მეფე და უბრალო მომაკვდავი, მშვენიერებით აღსავსე და მახინჯი, ძლიერი ამა ქვეყნისა და მაშვრალი.

პოეტს სიცოცხლე დაუსრულებელ ტანჯვის პროცესად აქვს წარმოდგენილი: ნეტარების წუთი სიკვდილით სრულდება, ბუნების მშვენიერება — კატასტროფით, სიყვარული — უდღეობით. სილამაზე — წარმავლობით.

ტანჯვაა ცხოვრება მეფის ძისა, რომელსაც გაგიჟებით უყვარს ლონდა, მაგრამ სიყვარულს, ბედისწერის საშინელი განაჩენი, სიკვდილად უცვლის.

ტანჯულია თვით ლონდა, უმანკო მსხვერპლი ბედისწერისა.

იტანჯება მამა-მეფე შვილის უცნაურ დაღუპვით.

მხოლოდ პოეტი — შემომქმედი, რომელიც შეყვარებულია ცხოვრებაზე — გატაცებული ბუნების წარმტაც მშვენიერებით, სილამაზით, იმედს არ ჰკარგავს, გულს არ იტეხს, სრული დარწმუნებული იმაში, რომ ადამიანთა უბედურება ბედნიერებად შეიცვლება, მათი მწუხარება — სიხარულით, ტანჯვა მშვენიერი ზეიმით...

ბრმა რწმენაზეა აგებული ხალხის, მასის მსოფლმხედველობა. რელიგიურია, მისტიური მისი სულის კვეთება. უბედურება მას უორკეცებს ამ რწმენას. იგი მზად არის მსხვერპლად შეიწიროს უმშვენიერესი ქმნილება ამა ქვეყნისა, — წუთი სოფელს გამოასალმოს ის, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე მის კეთილდღეობას ანაცვალა...

მისტიკა თავის თავად ძლიერია, მაგრამ ამასთანავე ყოველთვისა და ყოველ შემთხვევაში ნეიტრალური: იგი არც კეთილია და არც ბოროტი. კეთილი იგი ხდება, თუ მას დასძლევთ უმაღლეს შეგნებით, შემეცნებით, ბოროტი კი თუ მას დაემორჩილებით სავსებით. ჩემის აზრით, გრ. რობაქიძე სავსებით დაემორჩილა მას და ამის გამო მის წარმოდ-

გენაში სამყარო მიუღებელია, ყველაფერი ამ ქვეყნად უაზროა — ჩვენ ვიმყოფებით ბნელ ირაციონალურ ძალთა ხელში.

უკან პირველ ყოფილ ქაოსისაკენ! ამგვარია მთავარი აზრი გრ. რობაქიძისა.

მაგონდება ბრძოლა რუს დეკადენტებსა და მისტიკოსებს შორის — დეკადენტები თავისი „მე“-ს, პიროვნების ძიებით მივიდნენ მარტოობამდე, მარტოობის ტრალედიამდე. მისტიკოსებმა კი გაარღვიეს მარტოობის რკალი, მაგრამ მოიქცნენ არა შეგნებულ პიროვნებათა ურთიერთობის ფარგლებში, არამედ დაუბრუნდნენ წარსულს. დაიხიეს უკან — პირველ ყოფილ ქაოსისაკენ.

უარყოფა ირაციონალურისა, ისე როგორც ამას თავის დროზე სჩადიოდნენ რაციონალიზმის მოტრფიალენი, ჩემის აზრით, მოკლებულია — ნიადაგს.

ხსნა მხოლოდ ამ ორ მცნებათა, ამ ორ დასაწყისთა სინტეზშია.¹ მაგრამ როგორც რაციონალისტები, ისე მით უმეტეს მისტიკოსები ამის შესახებ ძალიან ნაკლებად ფიქრობენ. მათ ბრმად, უკრიტიკოთ მუხლი მოიდრიკეს ირაციონალურ დასაწყისს, მცნების წინაშე და ამით სამუდამოდ დაჩრდილეს თავისი ბუნება, უარყვეს შეგნებული პიროვნება.

გრ. რობაქიძე, როგორც მისტიკოსი, თავისი „ლონდათი“ მოექცა იმ ირაციონალურ მცნებათა სამეფოში და ეზიარა პირველ ყოფილ ქაოსს.

ამ აზრის უარსაყოფად ვერ გამოგვადგება ჩვენ ოპტიმისტური ხასიათის მტკიცება პოეტისა, რომელსაც სწამს ბედნიერება, დარწმუნებულია, რომ ცხოვრება არც ისე უშინაარსოა.

გრ. რობაქიძის დრამა — განსახიერებული ტანჯვაა — ბედის წერაზე, სამყაროს ფატალობაზე დამყარებული.

საკითხავია: შესძლო პოეტმა მხატვრულ ფორმებში ჩამოსხმა ჩონჩხისა?

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ გადაჭრით ითქმის, ამგვარი ცდის სურვილი მოსჩანს.

ავტორს კარგი ენა აქვს, სტილიც თავისებური, და სწორედ სტილისათვის არ უნდა ეღალატნა მას, და თუ მაინც და საჭირო იყო ამ ნაწარმოების სცენაზე გამომზეურება, ისევ ქართულ სცენისათვის გადაეცა იგი.

სული ეროვნულ ნაწარმოებისა მაინც იქნებოდა დაცული.

ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით ამაზე მეტის თქმა ამ პიესის შესახებ შეუძლებელია.

დაუცადოთ მის დაბეჭდვას.

კ. აბაშიძე

ლიტერატურა, როგორც ფსიქოლოგიური დოკუმენტი

(ნ. ბარათაშვილის ნიმუშზე)

ადამიანის სულის საიდუმლოებათა საგანძურისაკენ არსებითად მარტო თვითდაკვირვების გზა მიიმართება. მაგრამ ეს გზა იმდენად ვიწროა, რომ მასზე მოძრაობა მხოლოდ საკუთარი სულის თავისებურებათა მაძიებლისათვისაა, რომელიც ზოგად ფსიქოლოგიურ საქმის მიმდინარეობისა და მდგომარეობისა, სრულიად განსაკუთრებულს, მეტოდოლოგიურად გარდუვალ მნიშვნელობას ჰპოულობს.

ასეთ სიმპტომთა შორის უეჭველია ენას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკუთვნის. მაგრამ ენას — არა იმდენად, რამდენადაც იგი ჩვენი სულიერი მდგომარეობის

1. რედაქცია ამ ადგილას გამოთქმულ მოსაზრებებს არ იზიარებს. რედ.

ცნობიერსა და განზრახულ გამომეტყველებას ემსახურება, არამედ უმთავრესად იმდენად, რამდენადაც იგი თავისი შინაგანი წყობით, მასალის ბუნებითა, ექსპრესიითა და რითმით ობიექტურს, უცნობიერ დოკუმენტს წარმოადგენს მეტყველის შინაგან ბუნებაში მღელვარე სულიერი სინამდვილის თავისებურებისას. ამ მხრივ, ენისა და მეტყველების დოკუმენტების ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შესწავლას ბევრი რამ ისეთი შეუძლია გაითვალისწინოს, რაც უიმისოდ შეიძლება სამუდამოდ გაუფანტველ ბურუსში დარჩენილიყო. და ასეთ დოკუმენტთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოდ მწერლობის და კერძოდ სიტყვაკაზმული მწერლობის ძეგლები უნდა ჩაითვალოს.

მართლაც და, მრავალს სხვა საკითხს რომ თავი დავანებოთ, რომელსაც მხატვრული მწერლობის დოკუმენტთა ფსიქოლოგიური ასპექტით გათვალისწინება ჰფენს ნათელს, ერთი რამ მაინც უაღრესი ინტერესის ღირსად უნდა მივიჩნიოთ: როგორია ის ფსიქოლოგიური მასალა, რომელითაც ესა თუ ის ხელოვანი სარგებლობს? შემოქმედების რომელ დარგში მოჰმართავს იგი უპირატესად სწორედ განსაზღვრული ბუნების ფსიქიურ მასალას, ან და შეიძლება იგი რასაც უნდა ჰქმნიდეს, თავისი სულიერი თავისებურების მიხედვით, ყოველთვის საგანგებოდ განსაზღვრული ბუნების ფსიქიურ არეებში მოძრაობას იყვეს ნაჩვევი?

ლიტერატურულ ნაწარმოებთა დოკუმენტალური მასალის ამ თვალსაზრისით შესწავლა, უეჭველია, მწერლის ფსიქოლოგიური ტიპის საკითხის გადაჭრას ხელს შეუწყობდა. მაშინ ჩვენს ხელთ ისტორიულ-ფილოლოგიური კრიტიკისათვისაც ერთ-ერთი მძლავრი იარაღი გაჩნდებოდა. კერძოდ, თუ რომ დადასტურდებოდა, რომ ესა თუ ის მწერალი თავისი განვითარების სხვა და სხვა საფეხურზე, უპირატესად ამა თუ იმ ფსიქიურ მასალით სარგებლობს, ვთქვათ, მხედველობითი, ან სმენითი წარმოდგენების აღძვრით, მაშინ ჩვენ გვექნებოდა ახალი, საკმაოდ საიმედო საშუალება, მისი რომელისამე უთარილო ნაწარმოებისათვის დაახლოებით თარიღი გამოგვეჩინა; ან და კიდევ, ყალბი ადგილების ან ნაწარმოების საკითხის გადასაჭრელად ამ გზით განა მცირე მჭრელობის იარაღს შევიძენდით?

რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტია ის თეორეტიული ინტერესი, რომელსაც მხატვრული მწერლობის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა აკმაყოფილებს. მაგრამ ყველაფრის ამის აღნიშვნა შორს წაგვიყვანდა.

მწერლობის ასეთი თვალსაზრით შესწავლა საკმაოდ ახალი საქმეა. ამიტომ ბევრი რამ ამ მიმართულებით არსად არ გაკეთებულა. სამაგიეროდ ჩვენში იგი სრულად უჩვეულო საქმეა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შესწავლის დროს სრულიად ბუნებრივად დაისვა საკითხი: რით აღწევს მგოსანი ესთეტიურ ეფექტს, მაშინ როდესაც ყველა მისი ნაწარმოებისათვის „მხატვრულობა“, თვალსაჩინოების აზრით, არა ჩვეულებრივის სიძუნწით არის წარმოდგენილი? მართლაც და, განა გასაოცარი არ არის, რომ ბარათაშვილის ლექსების სრული უხატოვანობის მიუხედავად მათი ესთეტიური ეფექტი ხშირად და სრულიად განსაკუთრებული ინტენსივობის დონეს აღწევს? მაშასადამე: არსებობს თუ არა აუცილებელი კავშირი მხატვრულობასა და თვალსაჩინოებას, ან და სხვანაირად, ხატოვანობას შორის? ამ საკითხის გადასაწყვეტათ საჭირო იყო ზედმიწევნითი შესწავლა ბარათაშვილის ნაწარმოებთა, რათა გამორკვეულიყო, რა როლს ასრულებს მის შემოქმედებაში ის მარტივი ფსიქიური პროცესები, რომელთაც ჩვენ გარე სამყაროდან გრძნობათა ორგანოების საშუალებით აღვიქვამთ.¹ მხატვრულს თვალსაჩინო სურათს ხომ მხოლოდ ასეთი ფსიქიური მასალა აგებს ჩვენს ცნობიერებაში!

1. აღქმა, აღვიქვამ — Wahrnehmung, восприятие, ვფიქრობ, რომ ეს ტერმინი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უკვე თავის ბუნებრივობით სჯობს ხელოვნურ „ათვისებას“.

ვინაიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენს ე. წ. უმაღლეს გრძნობებს: მხედველობასა და სმენასა აქვს, ამიტომ ჩემი ყურადღება სწორედ სმენისა და მხედველობითი შეგრძნებითი მასალისაკენ მიიმართა. მაგრამ ამასთან ერთად, საინტერესო იყო იმ ემოციონალური მასალის შესწავლა, რომელსაც პირველისავე შეხედვით ასე ჭარბად მოჰმართავს ჩვენი მგოსანი.

ამ ზოგად საკითხთან ერთად თავისთავად უნდა გადაჭრილიყო მთელი რიგი სხვა საკითხებისაც:

1. ეკუთვნის თუ არა ბარათაშვილი, ამა თუ იმ ჯგუფის, ფსიქიური მასალით სარგებლობის მხრივ, განსაკუთრებულსა და დასრულებულ ტიპს, თუ იგი ჯერ კიდევ ამ მხრივაც გაურკვეველია?

2. იცვლება თუ არა ის ფსიქიური არე, საიდანაც მგოსანი თავისი შემოქმედების შეგრძნებისა და ემოციონალურ მასალას ჰკრებს, იმის მიხედვით, თუ როგორც თვით სახე მისი ნაწარმოებისა (ლირიკა, ეპოსი და სხვ.)? და ამასთან დაკავშირებული ზოგადი ხასიათის საკითხი. 3. არის თუ არა ბუნებრივი აუცილებლობითი კავშირი ნაწარმოების სახესა და შეგრძნებით მასალას შორის, რომლითაც მწერალი სარგებლობს? ბარათაშვილის ყველა ლექსებისა და მისი ერთი პოემის განხილვამ „ღამე ყაბახზედ“ და „ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი“-ს გამოკლებით) აღმოაჩინა შემდეგი:

ბარათაშვილის ლექსების მთელი ტექსტი შეიცავს სულ 5146 სიტყვას. აქედან სმენითი შეგრძნების შინაარსის სიტყვათა რიცხვი უდრის 51-ს, ე. ი. 0,9%-ს, მხედველობითის — 98-ს, ე. ი. 1,9%-ს და ემოციონალური შინაარსის — 275-ს, ე. ი. 5,2%. დასკვნა აქ ცხადია: ბარათაშვილი სრულიად არ ცდილობს, სმენითი ან მხედველობითი შინაარსის ნარმოდგენები აღძრას ჩვენს ცნობიერებაში, მისთვის ესთეტიურ განცდათა გამოსაწვევად, თვალსაჩინო სურათი, ან ესთეტიური ხატება სრულიად ზედმეტი ჩანს. მაშასადამე, მას უეჭველია მოეპოვება საშუალება, ესთეტიური განცდანი ესთეზის (აისტესის) გარეშეც გამოიწვიოს. ჩვენთვის ზედმეტი იქნებოდა, გამოგვერკვია, თუ რაში უნდა ვსჭვრეტდეთ ამ საშუალებას: უმთავრესი აქ ფაქტია, და ფაქტი კი ასეთია.

სამაგიეროდ შედარებით უხვია ბარათაშვილი ემოციონალური შინაარსის (5,2%) სიტყვათა გამოყენებაში და საინტერესო აქ სწორედ ის არის, რომ მიუხედავად თავისი, ასე ვთქვათ, ემოციონალობისა ჩვენი მგოსანი შედარებითს უპირატესობას შეგრძნებითი შინაარსის მასალაში მხედველობის არეს აკუთვნებს (სმენითი მასალა — 0,9%, მხედველობითი — 1,9, ე. ი. ვიზუალურ შეგრძნებებს ორჯერ უფრო ხშირად მიჰმართავს, ვიდრე აკუსტიურს). ჩვეულებრივ კი, შეიძლება საბოლოოდ დადასტურებულ ფაქტად ჩაითვალოს, რომ გრძნობითი ტანი სმენით შეგრძნებებს გაცილებით უფრო მკაფიოდ და ინტენსიურად აქვთ ჩამოყალიბებული, ვიდრე მხედველობითს, მაშასადამე, მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, ჩვენს ემოციონალურ მგოსანს უფრო ხშირად სმენითი შეგრძნებისათვის მიემართა, ვიდრე მხედველობისათვის. მაგრამ თუ ეს ასე არ არის, ერთხელ კიდევ იმის საბუთით, რომ ბარათაშვილისათვის გრძნობათა აღსაძვრელად გარე სამყაროს სურათებს თითქოს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ და მის ემოციონალურ ბუნებას ალბად უფრო შინა სამყაროს პროცესები ალაგზნებენ. საინტერესოა: იცვლება თუ არა მგოსნის შემოქმედების ფსიქოლოგიური მასალა, მასალა, როდესაც იგი შედარებით უფრო ეპიური შინაარსის ნაწარმოებს ჰქმნის? „ბედი ქართლისა“ 1707 სიტყვას შეიცავს, და აქედან სმენითი შინაარსის 15 სიტყვაა, ე. ი. 0,8%, მხედველობითის — 14, ე. ი. კვლავ 0,8% და ემოციონალურის — 72, ე. ი. 4,2% — მაშასადამე, საერთო ტენდენციით მგოსნის ცნობიერებისათვის სავსებით უცვლელი რჩება: იგი კვლავ მკაფიოდ ჩამოყალიბებული „ემოციონალისტი“, ხოლო მისი შეგრძნებითი მასალისადმი დამოკიდებულება თითქოს სხვა სახეს ჰქონდეს, მაგრამ მხოლოდ თითქოს, ვინაიდან თვით ეს მასალა ემოციონალურთან

შედარებით იმდენად მცირეა (ერთ პროცენტსაც ვერ აღწევს), რომ საერთო სულიერი განწყობილების დასახასიათებლად თითქმის არავითარ როლს არ ასრულებს.

მაგრამ ისმის საკითხი: ბარათაშვილი იმთავითვე „ემოციონალისტი“ იყო თუ მან მხოლოდ ხანგრძლივი განვითარების პროცესში მიაღწია აღნიშნულ ფსიქოლოგიურ სახეს?

ამ საკითხის გადასაჭრელად ჩვენი მგონის წინსვლის საფეხურები უნდა იქნეს ვათვალისწინებულნი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში პოეტის განცდათა განვითარების ეტაპებს აქვს, და აქ ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო ჩამოყალიბებულად სამი ხანა უნდა ჩაითვალოს: 1) 1834—1837 წლამდე; 2) 1837—1843-მდე და 3) 1843—1845-მდე.¹ რა ფსიქიური მასალით სარგებლობდა პოეტი თითოეულს ამ ხანაში? ცხრილი (I, II, III) ცხად პასუხს იძლევა ამ საკითხზე.

	აღსარიც. I		II		III	
	აბს. რაოდ.	%	აბს. რაოდ.	%	აბს. რაოდ.	%
1. საერთო რიცხვი სიტყვათა	563		3707	0,8	776	
2. სმენითი	16	2,8	33	0,7	10	1,2
3. მხედველობითი	17	2,9	68	0,9	13	1,6
4. ემოციონალური	45	8	176	4,7	54	6,9

შეგრძნებითი შინაარსის სიტყვათა სიმცირე ემოციონალურთან შედარებით ყველა საფეხურისათვის თანაბრად დამახასიათებელია. თუ საერთოდ პოეტის ყველა ლექსებში შეგრძნებითი შინაარსის სიტყვათა რიცხვი უდრიდა $98+51=149$ -ს და ემოციონალური შინაარსის 275-ს, ე. ი. დაახლოებით ორჯერ მეტს, იგივე უნდა ითქვას თითოეული ხანისათვის ცალკე: დამოკიდებულება შეგრძნებითისა და ემოციონალური შინაარსის სიტყვათა რაოდენობისა აქაც თითქმის იგივეა: I ხანისათვის — $45/33$; II-ისათვის — $176/101$ და III-ისათვის $54/23$. მაშასადამე, ცხადია, რომ საერთოდ ჩვენი მგონის თავისი შემოქმედების ყველა საფეხურზე თავის ფანტაზიას განსაკუთრებით გრძნობათა სფეროში ამოძრავებს.

ხოლო რაც შეეხება საგანგებოდ შეგრძნებათა მასალის არეს, უეჭველია, ბარათაშვილს თავისი განვითარების პროცესში არც ამ მხრივ განუცდია საგრძნობი ცვლილება. თუ რომ მთელი თავისი შემოქმედების გასაქანზე იგი მხედველობითი შეგრძნებათა სამკვიდროს ორჯერ უფრო ხშირად მიჰმართავს, ვიდრე სმენითისას, თავისი განვითარების მეორე საფეხურზეც არ იქცევა სხვაგვარად. სამაგიეროდ იგივე არ ითქმის პირველისა, და მესამე ხანის შესახებ: აქ სმენა და მხედველობა ურთიერთს მეტოქეობას უწევენ, და გამარჯვების სასწორი მხოლოდ ოდნავ მხედველობისაკენ (I. 16-17, III. 10-13). მაგრამ ხომ ასეთსავე მოვლენასთან გვაქვს საქმე „ბედი ქართლისა“-შიც (15-14). ეს კი ძლიერ დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან I და III საფეხური ძლიერ მცირე რიცხვს შეიცავს ლექსებისას (I— 2-ს; III — 5-ს); და მაშასადამე, შეგრძნებითი მასალის რაოდენობის დაახლოებითი თანასწორობა სწორედ ამ სიმცირით უნდა აიხსნას. მაშასადამე, სრული უფლება გვაქვს დავასკნათ, რომ ჩვენი მგონის ფანტაზიას არც შეგრძნებითი მასალის

1. შეად. ჩემი წერილი ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემაში: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ტფილისი, 1922, გვ. 192—209.

არეში განუცდია საგრძნობი ცვლილება: ბარათაშვილი ამ მხრივ თავისი განვითარების ყველა საფეხურზე ბარათაშვილადვე რჩება.

მაგრამ აქედან ძლიერ საგულისხმო ზოგადი ფსიქოლოგიური საკითხი გამომდინარეობს: იცვლება თუ არა წარმოდგენის ტიპი ინდივიდის განვითარების პროცესში? და თუ არ იცვლება, თანდაყოლილად უნდა ჩაითვალოს იგი (თუნდა დისპოზიციის სახით), თუ ინდივიდის ქმნადობის პროცესში გენეტიური გზით შექმნილად? უკანასკნელ შემთხვევაში, რა ფაქტორებს უნდა მიეკუთვნოს გადამწყვეტი მნიშვნელობა? — მაგრამ ეს საკითხი ზოგადფსიქოლოგიური გასაქანის საკითხია და როგორც ასეთი, ჩვენი წერილის ვინროდ შემოფარგლულ ზღუდეებს სცილდება.

დ. უზნაძე

ტფილისი, 2/X, 1922

ეროვნული სამხატვრო გალერეია

არის ადგილი თვალის სეირის, მუნჯი და მრავალ მეტყველი, სადაც საუკუნოების კულტურისა და ცხოვრების მატთანეთა ვებერთელა ტომებს ერთი წამით შეიცნობ, ერთი თვალის გადავლებით გადაიკითხავ.

აქ იხურება წიგნი ენა მეტყველთა და მაცქერალი მხატვრის შემოქმედებით ასახული დროის სიღრმეებში ჩაიძირება, ხშირსა და დაბინდულ განცდათა ხეივნებში დახეტილობს ძვირფასი ქვების ასაკრეფად, და ეს მარგალიტების ზვირთები გონებას კი არ ღალავს სიამით ათრობს და დამთვრალი უკვდავების ძიებაშია. იქ, სადაც მხატვარი მთელს ეპოქას ერთ ტილოზე დატევს და შესაფერი ფერადებით აამეტყველებს, სადაც მოქნილი პოზით და ნილაბის ქცევით გადმომცემს შინაგან განცდას და ფერადებით აამღერებს სულში სონატებს, — ეს არის მხატვართა სამყარო.

ეს არის სამხატვრო გალერეია.

ტფილისი არის სამხატვრო გალერეია, რომელიც ნორჩია მაგრამ ღირსება მისი — მაღალი. აქ მეთუთხმეტე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნემდის ძვირფას ჩარჩოებში ელვარებენ მუნჯი პოემები, დატვირთული თანადროული კულტურის სახით.

აქ არის თითქმის აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურის ხალხების შემოქმედებანი, ძვირფასი ორგინალები: სპარსული, ქართული, იტალიანური, ფრანგული, გერმანული, პოლანდიური, ნეაპოლიტანური, ბელგიური, ფლამანდრიული და რუსული სკოლა.

აქ მხატვართა სამყაროა დახურეთ წიგნი და მიაცქერდით თითუელ ხალხის მხატვართა შემოქმედებას და თქვენ უფრო მალე შეიცნობთ და გადაიკითხავთ იმ ხალხის ზნე ჩვეულებას, ნების ყოფას, ისტორიას, მათ ესთეტიკას და ტემპერამენტს, ვიდრე სქელ ტომებში. რა ძვირფასია სპარსული მხატვრობა. ის ორი და, ერთმანეთს, რომ ჰგვანან, ახალგაზრდა ქალი და შველი ან, ყმანვილი კაცი შევარდენით, თარზე დამკვრელი და სხვ. განა მათი პოზა, მათი გამომეტყველება, ეშხი და ქცევა, არ იძლევა სპარსეთის ხალხის ესთეტიკას, მათ ნების ყოფას? მათი მინიატურული და დაწმენდილი სტილი არ ზომავს მათ ტემპერამენტს და მაჯის ცემას?!

ან გადავავლოთ თვალი საქართველოს ძველ მხატვრობას (მარჯვენა მხარე აღმოსავლეთით) მე-17 საუკუნიდან მე-18 და მე-19 საუკუნემდე განა ყველა ეს შემოქმედებანი, ეს პორტრეტები არ გამოხატავენ თავის ეპოქას? როგორი ყოფილა ჩვენში მხატვრული კულტურა, რა დონეზე იყო ესთეტიური განვითარება, ან ვინ თამაშობდენ საქართველოს

ფონზე უმთავრეს როლებს, ან რომელ ხალხის კულტურას ქონდა გავლენა ჩვენზე. აქ ისტორიაც რომ არ იცოდეთ, ყოველივე ამას ინსტიქტით იყნოსავთ.

რა ძვირფასია თავადი ჩოლოყაშვილის პორტრეტი (დახატული მისი ყმის მიერ), გარსევან ჭავჭავაძის და მისი მეუღლის პორტრეტები. რა შესანიშნავი და სრულ ყოფილია თავადი ყარანოზაშვილის პორტრეტი, რომელსაც ხმაღზე აწერია (за храниость) განა ეს რუსული წარწერა არ ახასიათებს მე-18 და მე-19 საუკუნის ეპოქას, მაშინდელ მონინავე საზოგადოების ლტოლვას და გემოვნებას? მშვენიერი დახატულია ასული მეფის ირაკლი II-ის თეკლა (დედა პოეტის ვახტანგ ორბელიანის). ან რა დიდებული ოსტატობით და ცოდნით არის შესრულებული პორტრეტი ბოდბელი მიტროპოლიტი იოვანესი, რომლის ტანზე შემოსილი ოლარი ოქრო მკედით ქსოვილი ისეთი სიძლიერით არის გადმოცემული რომლის მგზავს ვერ შეეხვდებით ვერც ერთი ხალხის მხატვრობაში. არის კიდევ მრავალი პორტრეტი ძლიერი ოსტატობით შესრულებული.

აქ გამოფენილ ქართულ მხატვრობას აღარ აზის ბეჭედი არც სპარსულის და არც ბიზანტიურის, ეს უფრო მძლავრი ნაკარნახევია იტალიის რენესანსის.

გადახედეთ აქვე მარცხენა მხარეს, აქ არის მოცემა დასავლეთი ევროპის და რუსეთის.

აქათ თვითეული ერის შემოქმედებას ღრმად აჩნია თავის ეპოქალური განვითარების ძარღვები. ხალხის ხასიათი ზნე ჩვეულება და გემოვნება.

აქ არის შესანიშნავი ორგინალები: მხატვარ ვანზონის, დიუპრეს, ბელანჟეს, იაკობ რუისდალის, დოუ, სალვატორ როზა, ჟერარის, ცუკარელი, შოუ, დომინიკინო, პერინო დელვაკე (რაფაელის მოწაფე), ვან ოვი, პეროვი, ლევიცკი და ბოროვიკოვი. არის კოპიო რუბენსიდან „პასტორალი“ და დოლჩის „ივდითი“. მრავალი შესანიშნავ ქმნილებათა ავტორები არა სჩანან.

რადგან ძველ დროში დღევანდელ მხატვრებივით არ უყვარდათ თავის შემოქმედებაზე ხელის მონერით პოპულიარული ყოფილიყვენ. მაგრამ ყოველივე ეს ისევ პრობლემად დარჩება.

გალერეიაში მოთავსებულია ძვირფასი ბიბლიოთეკა დიდძალი ნიგნებით, ევროპისა და აზიის ხელოვნებაზე, არის შესანიშნავი სპარსული და ევროპიული მინიატურები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, ამ მშვენიერების ტაძრის დაარსება-მოწყობაში დიდი შრომა მიუძღვის მხატვარ დიმიტრი შევარდნაძეს, რომელმაც განსაკუთრებული მზრუნველობით და ენერგიით შექმნა ეს ეროვნული საგანძური და მშვენიერების ძეგლი.

ირაკლი ტოფაძე

ახალ საზღვართან

ნერილი პირველი

(ძღვნათ მ-ს)

ჰენრიკ სენკევიჩს აქვს ერთი საყურადღებო მოთხრობა: „მივყვეთ მას“. რომ მის ლალი და მშვენიერი ასული ცინა ავადმყოფობის გამო, რომელიც უმთავრესად უდიდესი სულიერი ლელვისაგან იყო გამონვეული, თვის საყვარელ არსებასთან ერთად მოგზაურობს და ბუნების მრავალფეროვან წარმტაც სურათთა ხილვაში ლამობს სულის საღმობათა და ჭრილობათა დაყუჩებას. გარეგნულ ბრწყინვალეობასთან ქალწულს აკლდა ნაცნობის, შორეულის, მაგრამ უახლოესის პირის ძიებით დარღვეული სახე. იერუსალიმში მოხდა შემთხვევა,

რომელმაც ეს პირი ცინასთვის რეალურად ნაცნობი გახადა, მის ძიებას ხორცი შეასხა. მან იხილა იესო ნაზარეველი, რომელიც გოლგოთაზე მიეზიდებოდა წამების ჯვარს. ღონემიხდილი, გვემული ეკლის გვირგვინით შემკული, საბრალო ბრბოსაგან შეურაცხყოფილი, ფერნასული, მაგრამ ამაყი და ბრწყინვალე, ვით სპეტაკი ჭაღარით შემოსილი მთის მწერვალი, არა ამ ქვეყნიური სიმშვიდით მიემართებოდა მოძღვარი სასჯელის ადგილისაკენ.

მართალია, ამ დროს სდუმდა მისი ბაგე, მაგრამ მეტყველებდნენ მისი თვალები, რომელნიც მიმოაბნევდნენ სხივებს ღვთაებრივი სიყვარულისა და სათნოებისას. ერთი ასეთი სხივი ცინას სულსაც მოხვდა და მასში გადასწყდა დიდი ხნის ღელვა და ბრძოლა... მართალია, ცინას წინად არ უნახავს იგი, არც მისი დამატყვევებელი ქადაგება მოუსმენია, რომლის „მეტყველების დროს ხმაურობა მსწრაფლ სწყდებოდა; ზექვეყნიური სიმძიმით ეშვებოდა შეუდარებელი სიჩუმე, რომელშიაც, თითქოს, მონანილეობას იღებდნენ ფრინველები, მცენარეები და თვით ჰაერი. ამ სიჩუმეში გაისმოდა ხოლმე არასოდეს სმენილი ხმა, დროსა და სივრცეზე გამეფებული, ნაზი და ძლიერი, ვნებითა, სიხარულით და სიყვარულით დამთვრალი, შორეული და ამავე დროს ყველას სულის მახლობელი და ყველას სულში არსებული...¹ ცინას აგონდება, რომ იგი მას უნახავს და უნახავს არა ერთხელ თვის ოცნებაში, სულის სწრაფვაში. სულმა მაძიებელმა იცნო და შეითვისა ჭეშმარიტების და მშვენიერების უდიდესი და ულამაზესი განსახიერება. შეიცნო იგი და „მივჰყვეთ მას“-ო მოუწოდა თვის ამ ქვეყნიურ მეგობარს...

შეიძლება ითქვას, რომ მზგავს სულიერ განწყობილებას, ჭეშმარიტებისა და მშვენიერების უძლიერეს ძიებას განიცდის დღეს კაცობრიობა: იგი ეძიებს თვის იესოს, რომელმაც წამების ჯვარზე გაკრულ პიროვნებას შთაბეროს მაღლი სიყვარულისა, თავისუფლებისა და ბედნიერებისა, რომელმაც გარდაუხსნას მას სინამდვილის მიღმა არსებული ქვეყანა და გამსჭვირვალე გახადოს მის საზღვართან არსებული კრეტსამბელი.

ყოველგვარი ღირებულების გადაფარებას, შერყვნილ ზნეობას და ადამიანობას, კაცთა ძვლებზე და ხორცზე გახრწნილ ვაჭრობას, იდეალების შებილწვას, უსაზღვრო ქიშპობის ორომტრიალში კეთილსინდისიერების დაკარგვას რომელსაც ჩვენი დრო განიცდის, უაღრესი სევდით შეუბორკავს კაცობრიობის საუკეთესო შვილთა სული და იწყება გამალებული ძიება ახალ ღირებულებათა, ახალ დასაყრდნობთა, ახალ ნავთსადგურთა, სადაც ადამიანს შეეძლება კვლავ მოიპოვოს „თავი თვისი“, გარდახსნას ეკლის გვირგვინი და გვემულ სულს ააშოროს დამამცირებელი და ტლანქი არტახები, ვილაც ბოროტი არსების მიერ მის გარშემო დახვეული. ხოლო თუ ცინამ თვისი სულის უსაზღვრო სრბოლვა იესოს ხილვით დააცხრო, დღევანდელი ადამიანი ამ ბედნიერებასაც მოკლებულია.

„როდესაც რომმა იგრძნო თვისი აღსასრულის მოახლოება, მას ჰქონდა ნუგეში, — ამბობს გუსტავ ფლობერი, — მან თვისი სუდარის ქსოვილიდან განსჭვრიტა იმ ჯვრის კოშკაში, რომელიც საუკუნო ცხოვრებას აღუთქვამდა; ამ სარწმუნოებამ ორი ათასი წელი იარსება, მაგრამ მაინც აღარ აკმაყოფილებს ადამიანთ, რომელნიც მასხრად იგდებენ მას; ტაძრები იმსხვრევიან, ხოლო სასაფლაოები მიცვალებულებით აღივსენ. — ჩვენი სარწმუნოება როგორიღა იქნება? რამდენად ხნიერი ვართ, ხოლო ჯერ კიდევ უდაბნოში დავეხეტებით, როგორც ეგვიპტიდან ლტოლვილნი ებრაელები“.² ამ სიტყვების თქმა შეეძლო ზნეობრივად ფაქიზ და მგრძნობიარე ადამიანს, რომელიც ჩვენ ცხოვრებაში წინასწარ ნათლად ამჩნევს მაღალი მორალის და ადამიანობის განადგურებას, წრფელ მისწრაფებათა სავაჭრო დაზგაზე გაშალაშინებას, ადამიანთა სინმინდის ველურობის ორგიათა ნიაღში შებლაღვას და ჩაკვლას.

1. იხ. მორის მეტერლინკი: „მარიამ მაგდალინელი“.

2. იხ. მისი „შემოღობის წერილები“.

ეს მწველი ფიქრებია, რომ სასოს წარგიკვეთენ და ხშირად ჩვენ ცხოვრებაში ღრმა პესიმიზმს აკუთვნებენ დასაბამს.

რამდენი ლამაზი და წარმტაცი, უმაღლესი სამართლიანობით აღსავსე გეგმა და ლოზუნგი, მოწოდება და ფორმულა შეგვისწავლია, გვსმენია, დაგვიწერია და გაგვივრცელე-ბია ადამიანთა საბედნიეროდ, კაცთა შორის სათნოებისა და სიყვარულის სუფევის დასამყარებლად. ხოლო რამდენად შეუბრალებლად და ტლანქად დაუმსხვრევია არა ერთხელ ყოველივე ეს ცხოვრების ბრმა და შეუწყალელებელ მიმდინარეობას. ისიც უნდა ითქვას, რომ ვერც ერთ ფორმულის ჩარჩოებში ვერ მოთავსებულა „ცოცხალი“ ცხოვრების მრავალფეროვანი და მუდამ ცვალებადი გამოკრთომა. გარდა ამისა ყოველდღიურობა, შაბლონი, რუტინა ჰკლავს ადამიანის სულის უძლიერესს და უწმინდეს სწრაფვას და განცდათ. ამასთან განსაკუთრებით დღევანდელ აქაფებულ ცხოვრებაში მოაზროვნე ადამიანის ყურადღებას გარდა პოლიტიკურ-ეკონომიური საკითხებისა უდიდესად იპყრობს ეთიური, თუ გნებავთ, მეტაფიზიკური პრობლემები: „საიდან მოვალთ, სად მივდივართ, რა მიზანი გვაქვს ჩვენ დასახული“? თუ წარსულ საუკუნეში მეცნიერების ძლევა-მოსილ-მა მსვლელობამ ბევრს იმედით გული აუტოკა, რომ ადამიანის გონების ნათელი სვეტი გაანათებდა ქვეყნიური არსებობის მრავალ წყეულ საკითხს. დღეს ცხადია, რომ „იდუმალ-ლობით“ მოცული მხარე კვლავ შავსა და განუჭვრეტელ სამოსელში გახვეული დარჩა. თუ მეცნიერებამ შეგნებულად საზღვარი დაუდვა ცხოვრების შეცნობას და თავის სამეფოდ — პოზიტიური ქვეყანა აღიარა, ესევე ვერ შეძლო და არც შეეძლო ჩაედინა ფილოსოფი-ას და ხელოვნებას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მოწოდებულია ინტუიციით ჩანვ-დეს მკვდარ მოვლენათა „შინაგან არსებას“, სინამდვილის მიღმა მიმართოს გამახვილე-ბული მხატვრული თვალი და საუკუნეთა მარადისობის წიგნის ფურცლებზე გახსნას და ამოიკითხოს ქვეყნისა და სიცოცხლის საიდუმლოება და „ხელთუქმნელი“ ამბავი.

მეორეს მხრივ, თუ წარსულშივე არაჩვეულებრივი ალტყინებით უგალობდენ ჰიმნს ადამიანის პოლიტიკურისა და ეკონომიურ გათავისუფლებას, დღეს ამ სფეროშიაც წა-მოიჭრა ამათთან ერთად სხვა უაღრესად ეთიური ხასიათის საკითხები: რა არის პიროვ-ნება, ან სქესი საზოგადოდ, სიდან მომდინარეობს, ან რას წარმოადგენს ადამიანის უნა-ზესი გრძნობა — სიყვარული, როგორი უნდა იყოს გარეშე პოლიტიკისა და ეკონომიკისა პიროვნებათა ურთიერთ შორის და საერთოდ საზოგადოებასთან დამოკიდებულება, რა სახე უნდა მიეცეს ოჯახს და სხვ. აქაც ხელოვნებაა მოწოდებული, თავისი სპეციური თვი-სებებით ღრმად შეგვიყვანოს ამ საკითხთა მორევში, გადაგვიშალოს ადამიანთა ცხოვრე-ბის ზღვის ტალღათა სრბოლა და შეგვაგრძნობოს ის იდუმალი ძაფები, რომლითაც გა-დახლართულია ადამიანთა სულიერი ცხოვრება.

საკვირველი არაა, თუ ანიშნული სულიერი განწყობილების უდიდეს გავლენის ქვეშ მიმდინარეობს ჩვენი დროის ხელოვნების განვითარება, ეს სულიერი განწყობილებაა, რომ ინვესს შემოქმედთა ცხოვრებაში მრავალგვარ რყევას; მაღალი იმედის უძირო უიმედო-ბით, საზეიმო ჰანგების სამგლოვიარო მოთქმით, ზეალმაფრენის სასონარკვეთით, უდი-დეს ზნეობრიობის — ამორალიზმით, ცხოველმყოფელი საზოგადოებრიობის — აპოლი-ტიზმისა და სხვ. და სხვა გვარი „ეგოიზმით“ შეცვლას, რომელიც ჩვენი დროის მხატვრულ კვლევა-ძიებას თეთრი ზოლივით გასდევს. თანამედროვე შემოქმედის მშფოთარე სული, უდიდესი ძიებით შეპყრობილი, გასაქანს ეძიებს და ცდილობს, ოცნებაში მაინც შექმნას ლამაზი და წარმტაცი „არ არსებული სინამდვილე“. თუ დღეს გამეფებული ამერიკანიზმი მთელი თვისი მანქანა-ფაბრიკებით ადამიანს ცხოვრებაში უბრალო ვინტის როლს აკუთ-ვნებს, ხელოვნებას სურვილი აქვს ლამაზ სახეთა და იდეათა სამეფოში შეგვაცუროს, სა-დაც ყოველ პიროვნებას შეეძლება თავისუფლად შეჰკრას შემოქმედების კამარა.

ასეთ განწყობილების დროს საკვირველი არ უნდა იყოს ისიც, რომ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ ისეთი ფილოსოფოსნი, როგორც იყვენ, მაგ., შოპენჰაუერი და ნიცშე და ისეთი მწერლები, როგორც მაგ., ედგარ პო, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს თანამედროვე სიტყვა-კაზმულ მწერლობაზე. ზერელედაც რომ თვალი გადაავლოთ ჩვენი დროის ხელოვნებას, დაინახავთ, რომ მას ახასიათებს უალრესი სუბიექტივიზმი, დაუსრულებელი ძიება, სწრაფვა უცხო ქვეყნისაკენ მზისაკენ, შიში გამოუცნობი ძალების წინაშე, ნალველ ნარევი განწყობილება, ექსპრესიონიზმი, „საგნებია თავისთავად“ შემეცნება თვით ხელოვნანის პიროვნების ათასგვარი ბრუნვა, გარღმავება და სხვ. ამ თვისებათა მიხედვით სხვას რომ თავი დავანებოთ, ახალი მიმართულება თვისი განწყობილებით და სინამდვილესადმი დამოკიდებულებით უალრესად ენათესავება რომანტიზმს. ეს გარემოება გვექონდა მხედველობაში, როდესაც მას ნეორომანტიზმი ვუწოდეთ.¹

აღნიშნულ მოვლენასთან უდიდესად დაკვირვებულა სტილისა და წერის მანერის შეცვლა ც. ყოფა-ცხოვრების და ბუნების მოვლენათა ძველ რეალისტურ აღწერას თვისი მიმზიდველობა ეკარგება და მის ადგილს ახალი მხატვრული ხერხი და საშუალება იკავებს. ნეორომანტიკოსთა ბინდის გრძობათა და გაურკვეველ სწრაფვათა გადმოსაცემად ძველი სტილი უკვე მიუღებელი და ვიწრო აღმოჩნდა; მათი ჭვრეტისათვის ძველი, უმთავრესად ნატურალისტური ასახვა მიუღებელი შეიქნა, მათ მაგიერ ვიხილეთ თავისუფალი, უფრო მუსიკალური, ვიდრე პლასტიური მეტრები, ეკზოტიური სიმშვენიერე, გარეგნული მოკაზმულობა, დაკლაკნილ-დაგრეხილი, ხშირად მყვირალა, მაგრამ მხიბლავი და ლამაზი ენა, მოკლე, დაუსრულებელი, ორიოდ სიტყვით გამოთქმული შედარება და მხატვრული განსახიერება... ახალ სამკაულებში ისახება ახალ განცდათა და შემეცნებათა რგოლი და ამ მხრივაც ჩვენ მოწამენი ვართ ჩვენი დროის მოუსვენარი და მაძიებელი სულიერი განწყობილების. მხატვრულად გადმოცემა საუცხოოდ შესძლეს ქანდაკებაში — როდენმა, მხატვრობაში — მანემ, სეზანმა, ვანგოგმა, მუსიკაში — ვაგნერმა, სიტყვა-კაზმულ მწერლობაში — ვერჰარნმა, სტეფან გეორგემ, ფრანსმა, ალ. ბლოკმა და სხვ.

ჩვენს მწერლობაშიაც აღმოჩნდენ ნიჭიერი მწერლები, რომელთაც ახალ საუკუნეს ახალი სიტყვა შეძლენეს. ასეთები არიან: ს. აბაშელი, კ. გამსახურდია, ტ. გრანელი, ი. გრიშაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ტაბიძე, ს. შანშიაშვილი, ნ. ჩხიკვაძე, ს. ფაშალიშვილი, ჯ. ჯორჯიკია, ლ. ქიაჩელი (მისი უკანასკნელი ნაწერების მიხედვით) თუ სხვ.² ამ თაობის გამოსვლასთანაა უმთავრესად დაკავშირებული ახალი სტილის შექმნის ცდა ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში. ზევით ჩვენ აღვნიშნეთ ის სულის სწრაფვა და განცდა, რომლითაც მოცულია ჩვენი დრო. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ განყოფილების გადმოცემაში ბევრს არა მხატვრულ მოვლენას აქვს ადგილი, ზოგიერთი, ვითომდა ხელოვანი, უსიცოცხლოდ და უგულწრფელოდ აჟღერებს თავის ჩანგს და თანაზიარს ვერ გვხდის თვისი სულისკვეთებისა და ძიებისას.

ხოლო თითოეული თანამედროვე ჭეშმარიტი ხელოვანი თვისი საუცხოო, ხშირად ნალვლიანი სიმღერით ჩვენი საუკუნის სულისკვეთებას გვაახლოებს და გვიმზადებს იმ წმინდა ემბაზს, რომელშიაც უნდა განვიბანოთ სულის ჭრილობები და განწმენდილებმა მოვისვენოთ ახალი „მზიური“ ქვეყანა...

მაგრამ დღეს ბევრი შიშობს: გამეფებული უტილიტარისტული სულისკვეთება და ამერიკანიზმი ჰკლავს მხატვრულ შემოქმედებას და მომავალში ეს გარემოება უფრო სამწუხარო ძლიერებას მიახწევსო. ამ მხრივ მართლაც სამართლიანად ჰგოდებს მოქანდაკე რო-

1. ამ საკითხს ცალკე წერილს ვუძღვნი.

2. ამათ შემოქმედებასაც ცალკე წერილებში შევეხებით.

დენი: „ჩვენი საუკუნე – ინჟენერთა და მექარხნეთა საუკუნეა, თანამედროვე ცხოვრებაში ყველაფერი სარგებლობიანობისადმი მიისწრაფვის, ყოველივე ნივთიერ პირობათა გაუმჯობესობისაკენ არის მიმართული; მეცნიერება ყოველდღე იგონებს ახალ საშუალებათ ჩვენი გამოკვების შემოსვისა და მოგზაურობისათვის; იგი იაფად ჰქმნის ცუდ პროდუქტებს, რომ ადამიანთა რაც შეიძლება უდიდეს რიცხვს მიანიჭოს დაბალხარისხოვანი განცხრომანი; მართალია, იმავე დროს უკეთესდება ყოველივე ის რაც ჩვენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება. მაგრამ სად არის სულიერი სანყისი? სად არის აზრი, ოცნება? მათთან საქმე აღარავის აქვს. **ხელოვნება დაიღუპა**¹. იგი კმაყოფილებაა სულისა, რომელიც სწვდება ბუნებას და გამოიცნობს მასში სულიერ სანყისს. იგი ზეიმია სულისა, რომელიც ერკვევა მსოფლიოში და შეგნების მიმოფენით გადმოგვცემს მას. **ხელოვნება — ადამიანის უმაღლესი მონოდება**², მაგრამ ჩვენს დროში ადამიანებს ჰგონიათ, რომ შეუძლიათ ცხოვრების გარეშე იარსებონ; მეტად აღარ უნდათ ჩაუფიქრდნენ, განსჭვრიტონ, იოცნებონ; მაღალი და ღრმა ჭეშმარიტება აღარავის იტაცებს...

ჩვენი საუკუნის ლოზუნგია: სასარგებლო არ უნდა იყოს ლამაზი. ყოველივე დამახინჯდა, ყოველივე საჩქაროდ. ყოველგვარ მიმზიდველობის მოკლებულად კეთდება „ბლაგვგონებიანი“ მანქანებით. ხელოვანი მტერი გახდა³. ასე მწარედ სწუხს დიდი ხელოვანი ჩვენი დროის მხატვრულ განცდათა დაქვეითებასა და დაკნინებაზე და სასონარკვეთილად ამბობს: ხელოვნება დაიღუპაო, მაგრამ ის, რაც „ადამიანის უმაღლესი მონოდებაა“, ჩვენის ღრმა რწმენისთ სავესებით გადალახავს უდიდესი უტილიტარიზმის საზღვარს და კვლავ აამეტყველებს ადამიანის არსებაში დღეს მოკლე მთვლემარე ესტეტიურ ემოციებს. ამის თავდება თვით როდენის და მისებრ ღვთიური ცეცხლით ალგზნებულ ხელოვანთა შემოქმედება⁴.

საზოგადოდ ფრიად რთულ და მღელვარე დროს უხდება თავისი „სიტყვის“ თქმა თანამედროვე ხელოვნებას და ამ მღელვარებასა და სირთულეშია ტრალედია ჭეშმარიტი შემოქმედისა. მხოლოდ სულის ფართო დიპაზონის მქონე და მაღალი ნიჭით შემკულ პირთ ძალუძთ გაფანტონ შავი ბურუსი, ჩვენი დროის სულიერ ცხოვრებას რომ დასწოლია, და გაგვიტენონ „დღე ბრწყინვალე, დღე დიადი“. ასეთების მიმართ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ დიდი გოეტეს სიტყვები:

„Wer für die Besten seiner Zeit gelebt,
Der hat gelebt für alle Zeiten“.

ალ. წერეთელი

რედაქციისაგან.

ამ ნომერში ბიბლიოგრაფია ვერ მოთავსდა.

1. ამათ შემოქმედებასაც ცალკე წერილებში შევეხებით.
2. ხაზი ყველგან ჩვენია.
3. იხ. როდენი – „ხელოვნება“ გზელის მიერ ჩანერილი.
4. დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. ჩემი წერილები 1914 წ. „თ. ც-ში“ „რას უქადის ხელოვნებას მომავალი“, №№22–28-მდი.

„ილიონი“, 1923, აპრილი, №4

მე და ევროპა

მე ტფილისმა შემამკო, მე ტფილისმა შემზარდა,
და მეც ვმღერი თამამად, როგორც შეხერეზადა.

მიყვარს ლექსის სიცხარე — თემა აღმოსავლური —
მაგრამ მუდამ მალეღვებს მე ევროპა სწავლული.

ჩემში ორი გრძნობაა, ორი ენამჭევრობა,
სინაზე და სიტლანქე, ტფილისი და ევროპა.

გულო, უცხო კარები შეაღე და შერაზე
და იქ დარჩი მზვერავად ქართულ ჯვარის ნერაზე.

მეგობრები მარქმევენ პოეზიის შეფს, თავადს,
მაგრამ რითმის კამათზე ვერ მომთხოვენ შეღავათს.

და, როს ძარღვებს მე ვჭიმავ ჭიანურის თოკებად:
ღვინო როდი მჭირია ვნების ასატოკებად.

და ჩემს ლამაზ ხუმრობას და ჩემს ჭკვიან შენიშვნებს —
თუ ტფილისი დასჩაგრავს: მას ევროპა შეიშვნევს.

პოეტებო, ისმინეთ, პოეტი გეუბნებათ:
მსურს ევროპა გარდავქმნა მე ტფილისის უბნებად.

ი. გრიშაშვილი

სიჩუმე და სიმარტოვე

ჩემი სული სიზმარია,
ბედზე დარდი მივატოვე.
და მე ასე მიხარია
სიჩუმე და სიმარტოვე.

დღესაც ბალში ვიმალები,
როგორც თეთრი მდუმარება.
და მიზიდავს გრიგალივით
სიჩუმე და მწუხარება.

მალლა თეთრი თავანია,
გლოვა ისევ აინთება.
ეხლა ჩემი სავანეა
სიჩუმე და გარინდება.

გული შენთან მეგონება,
ეს ეკლია დაფენილი:
ასე ჩნდება მოგონება,
ზარის ხმაზე გაფრენილი.

სადღაც მკრთალი მიდამოა
და ცისფერი მოჩვენება.
და მწყურია სამუდამო
სიჩუმე და მოსვენება.

ლამის მიერ შენაფერი —
მე ვედრებაც მივატოვე.
და მგონია ყველაფერი
სიჩუმე და სიმარტოვე.

*ტერენტი გრანელი
ტფილისი*

შენი ქორწილი

გილოცავ გვირგვინს, თუმცა გასტეხე ფიცი და სიტყვა:
გახდი სხვის ქმარი, სხვას ეტოლე, სხვა შეიჯუფეთ;
მოულოდნელად ყოველივე დასწვი, დასეტყვე,
მაგრამ ჩემს ხსოვნას კვლავ დაურჩი უვნებო, სუფთა.

მებოდიშები! თითქოს იყვე დანაშაული
გზაჯვარედინზე რომ გიპოვნე დაკარგულ განძად.
რა საჭიროა დღეს სიტყვების ცრუ ნართაული
და ან ლექსების მოგონება: „ნელი“ და „განჯა“.

შენი ქორწილი გულწრფელობას ვერ მატყობინებს.
მხიარულ ფარჩებს ჩაეკერა თალხი ფერადი.
ჩემს ამაღაში ენდობოდი ძვირფას დობილებს
და როგორც ვეფხი მუქ თვალებით ხარბად მზვერავდი.

შენ გინდა ღიმილს გაატანო სევდა იჯარით,
შეკვეთილ ვნებით უიმედოთ ჰფანტავ ფირუზებს.
მე კი ნატყვიარ გულის ფსკერით, გულის ნიჟარით
ცაზე დავანთებ სიძულვილის ძველ პაპირუსებს.

მაგრამ როდესაც შენი ხელი იმოგზაურებს
პატარძლის ტანის გასაცნობად და დასარბევად:
ჩემი სახელი თქვენს ტუჩებზე გაიხმაურებს
და თეთრ ბალიშზე გაიშლება ყორნის წარბებად.

მარიჯან

დოღში სწორებთან

შელებილია ჩემი სისხლი არაგვის ქვიშით.
 დღეს ცხელი მკერდი ალაზანმა გადამილამა.
 ბედი შემება და ნაქცევა ჩემი ილამა.
 მაგრამ მთებისკენ მიმაქანებს ამაყი ჯიში.

შეუპოვარი მყავდა მამა და დედა მწყემსი —
 ეხლაც ბუხართან მეგონება ცოლი დევისა.
 ბევრჯელ მებურა მეც ღრუბელი და ნათევი ცა.
 ღამის მელანში გავლებული — ნოლილა ჩემზე.

ფშავსა და ქიზიყს ვაქორნილებ როგორც ჯილაგებს,
 როცა დოლიდან საქართველოს მოუტან ბაღდადს.
 ბედი გვირგვინებს წინ დამიფენს და დამილაგებს.

მივენდე ყისმათს. სიმაღლეებს ვქმნი განგებიდან.
 და თუ მოვტყუვდი და მიზნები აღარ განაღდა,
 ...უფსკრულებისკენ.. — გაფრენილი უზანგებიდან.

ი. მოსაშვილი

ტფილისი, 1923 წ., იანვარი

La Dernière

ჩემთვის ბრწყინავდა მზე დიადი, სხივმოელვარე,
 ძვირფას თვლებივით ციმციმებდნენ სულში მთიები,
 ჩემს თანაგრძნობას ვერცხლით რთავდა პირსავსე მთვარე,
 გულში ხარობდნენ გაზაფხულის ნაზი იები.
 განთიადის ფრთას აჰყვებოდა ჩემი სიმღერა,
 ხან ლოცვასავით მოჩურჩულე, ხან ანთებული,
 ერთს უგალობდა ჩემი სულის ყოველი ბგერა,
 ერთისთვის იყო ნება ჩემი წარმართებული.
 სულაც არ დამრჩა საუნჯეში ძვირფასი თვალი —
 ყველა ოქროს თავს მივუძღვენი მე დიადემად,
 მის სამსხვერპლოზე ჩავანელე ოცნების ალი,
 წრფელი ზრახვანი ფეხთ დაუგე ტურფა ედემად.
 და შენატრიდა ჩემს დიდებას ადამის ტომი:
 თქმათა გამართვით ვპირველობდი გრძნობის მგოსანი,
 შურით და ელდით ივსებოდა ბოროტის მდომი,
 ვმეფობდი ლალად სიყვარულის გვირგვინოსანი!...
 მაგრამ ჩამოჰკრა შემოდგომამ ყვითელი ზარი,
 პირგამგუნებით სხვა ქვეყნისკენ მზე გაეშურა,
 თან მოიტანა ჩრდილოს ქარმა სუნთქვა საზარი,
 ლურჯთვალა იებს ცივი რთვილი პირს დაესხურა.

და, აჰა, ეხლა მის ნაზ გულში სცურავს ყინული...
დე, მოკვდეს უხმოდ სიტყვა ჩემი ვნებით აღძრული,
ალარც გაილოს საგანძური ან დარკინული
და თეთრს ოცნებას ფრთა შეახმეს მისგან დაზრული!..

ა. ჭუმბაძე
სატახტო ქალაქი

ფარული მნუხარება

გადასული ლოდინი
და ცისფერი ოცნება:
ლამეებში ლოთივით,
დასჭრის სულს გაოცება.

როცა მამა ვიცანი,
მე პირველი ნამიდან,
როგორც ძვირი მიზანი,
მნუხარებით ნავიდა.

შავი ლანდი მელოდა,
ავი წლების ფლიდობით;
ტრაური სახელოდან,
ვერ დავტოვე მშვიდობით.

ლამე მუდამ მნუხარე,
შავად შემომესია,
და დამქრალი ბუხარი,
უამიდოთ მეწვია.

მოლანდების ფერები,
ჩემი ბეჭდის თვალია
და ძვირფას მიფერებით,
გადავყვები ვალიანს.

კიდევ ბევჯერ ვინვიმებ
და სხეული გალხვება.
და ანთებულ სინითლეს
ჩემი ბედიც გაყვება.

გადასული ლოდინი
და მნუხარე ოცნება.
ლამეებში ლოთივით,
დასჭრის სულს გაოცება.

ირაკლი ყანჩელი
ტფილისი

გარსი მარადი

მისტერია

ნიშნება ძველთაგან ენაა ღმერთების

ამ მისტერიის სცენაზე დადგმა აკრძალულია ავტორის დაუკითხავად.

ძღვნა ნ-...ს

თქვენს სრულ სახელს მე არ ვახსენებ: რადგან საგნის პირდაპირი ხსენება ყოველთვის საშიშია, თქვენი ადამიანური სახელი არც კი გამოჰხატავს იმ ძვირფასს სახეს, რომელიც ჩემს ხსოვნაში სინატიფის მთიებითაა გარემოსილი. თქვენ ისედაც გაიგებთ, რომ ეს პოემა თქვენ გეკუთვნით, როგორც ყველაფერი, რაც ჩემს სამყაროსადმი დამოკიდებულებას გამოჰხატავს. თქვენ ისედაც გაიგებთ, რომ ბევრი, ბევრი რამ ჩვენთვის ძვირფასი და საყვარელი მითიურ ნისლით უნდა იქნეს შემოსილი; ასე სათუთად ვინახავ მე თქვენს ძვირფასს სახელს. ამ წამში მგონია, რომ გიყურებთ ცხადლივ და გებაასებით, ჩემს ბნელ თვალებიან ღმერთს.

მიიღეთ ეს მცირე ნობათი ჩემი ცხოვრების შუაგზიდან. ნეტავი იმ დროს, როცა ქვეყანა სიზმარი მეგონა და ლექსი ღმერთისა დიდის.

კონსტანტინე გამსახურდია

სატახტო ქალაქი. 1923. 15. I.

მომქმედნი: მგზავრი
ბნელი
12 მონაპირე
ნათელი
მისანი
ციხის უფროსი
გუშაგნი
მთის სულები
ტუსალები

მოქმედებათა დასასრულამდის ფარდა არ ჩამოიშვას!

კოსტიუმები დროს ელფერის გარეშე.

პროლოგი

ნაპირი დაღუპულთა

სინათლე მურუყიანი.

ქისაიის ფარდის გაღმა მოსჩანს ზღვისპირი რუხი, მაღალ ლოდზე კაცი წევს. მარჯვნივ ფონზე შავი, მაღალი ხის ჯვარი. გამოდიან მარჯვნივ ექვსი თეთრსამოსიანი, მარცხნივ ექვსი შავსამოსიანი მონაპირენი (მონაპირეებს აცვიათ თავისუფალი, ბერძნული ტოგას მზგავსი სამოსები).

მონაპირენი: (ცეკვით ყველანი ერთად, ტუჩებზე ხელის მიტანით).

სუუ, სუ, უ, უ, სუ, უ, უ, უ, ს, უ, უ.....

(მონაპირენი ცეკვავენ ლოდზე მწოლარის გარშემო).

პირველი: (გამოდის ფერხულიდან, — უახლოვდება მძინარეს).
ახალი კაცია!

მეორე: მძინარე.

პირველი: მას ესიზმრება.

მეორე: ხომალდები, რომელნიც არასოდეს მოვლენ.

მესამე: ხომალდები, რომელნიც ჯერ არ მოსულან!

მეოთხე: აფრები, რომელნიც არასოდეს გამოჩნდებიან.

მეხუთე: კანდელები, რომელნიც არასოდეს გაანათებენ.

მეექვსე: გემები, რომელნიც ახლა ზღვაურს ებრძვიან.

მეშვიდე: გემები, რომელნიც უნდა დაილუპონ.

მერვე: გემები, რომელნიც ჩვენთან მოაღწევენ.

მეცხრე: მას შემდეგ რაც დაილუპებიან.

მეათე: რადგან ეს არის ნაპირი დალუპულთა.

მეთერთმეტე: არა, — ნაპირი გადარჩენილთა (პაუზა).

პირველი: მას ესიზმრება... (მცირე პაუზა). ჩამქრალი ვარსკვლავები..

მეორე: დიდი ხანძარი, ქვეყანა რომ უნდა გადასწვას...

მესამე: დიდი გრიგალი გემების დამლუპველი...

მეოთხე: დიდი წვიმები ყანების მომსვრელი...

მეხუთე: დიდი გვალვები ჯეჯილების მომსვრელი.

მეექვსე: მას ესიზმრება...

მეშვიდე: დედაკაცი წითელ მხეცზე მჯდომარე.

პირველი: მას უნახავს...

მეორე: სისხლიანი ცისკრები.

მესამე: დაღალული კაცია...

მეოთხე: მან ომები გადაიხადა...

პირველი: მან იხილა...

მეექვსე: მთა განწმენდისა...

მეშვიდე: სინათლე უფსკრულებათა...

მერვე: სილატაკე სათნოებათა...

პირველი: ის იხილავს...

მეორე: ჯვარცმულის მეორეჯერ ჯვარცმას.

მესამე: (გამოდის წრიდან უახლოვდება მძინარეს). ეს ახალი კაცია...

პირველი: (დააჩერდება მძინარეს სახეზე). არა, იგი ხანშია შესული!

მეორე: (გამოდის წრიდან დააჩერდება სახეზე მძინარეს). რა სათნო სახე აქვს!

მესამე: (გამოდის წრიდან უახლოვდება მძინარეს, დააჩერდება სახეზე). რამდენი ნაოჭი აქვს!

მეოთხე: (გამოდის წრიდან უახლოვდება, დააჩერდება სახეზე). რამოდენა შუბლი აქვს!

პირველი: ლამაზია!

მეორე: როგორც ქრისტე გეთსამანიის ბაღში.

მეათე: როგორც იოჰანე ნათლისმცემელი ლანგარზე.

მეთერთმეტე: როგორც ბუდდა უდაბნოში.

მეექვსე: იგი ჯვაროსანია სინათლისა და ცეცხლისა!

პირველი: იგი მდიდარი იყო.

მეორე: მას გემები ჰყავდა.

მესამე: მე მისი მეზღვაური ვყოფილვარ.

მეექვსე: ის ახლაც მდიდარია.

მეორე: რადგან არაფერი აქვს..

მესამე: არც ცეცხლისთვის...

მეოთხე: არც მეკობრებისთვის.

მეხუთე: არც ყაჩაღებისთვის.

მეექვსე: არც დასარიგებელი.

მეშვიდე: არც წასართმევი.

მერვე: არც შესანირავი.

მეცხრე: არც გასაკითხავი.

პირველი: იგი მდიდარია.

მეათე: ცოდვებით.

მეთერთმეტე: შეცდომებით.

მეთორმეტე: სიბრძნით.

პირველი: ის მწერალი იყო.

მეორე: არა, — მეცნიერი.

მესამე: მან უამრავი წიგნები დასწერა.

მეოთხე: წიგნები, რომელნიც არავის დასჭირვებია.

მეხუთე: წიგნები, რომელთაც ჩრჩილი შესჭამს.

მეექვსე: მას ლამაზი ცოლები ჰყავდა.

მეშვიდე: ისინი დაიხოცნენ.

მერვე: რადგან მისი სიყვარული ვერ აიტანეს.

მეცხრე: მე ვნახე, მან ცეცხლზე გადაიარა ფეხშიშველი...

მეათე: და ცეცხლმა იწივლა უდაბნოს ასპიტივით.

მეთერთმეტე: მე მინახავს იგი ლანდებთან მოლაპარაკე.

მეთორმეტე: მან დაახრჩო ჩემი პატარა და ტაძარში ლოცვის დროს.

მეხუთე: მას ისე დასდევდნენ ქალწულები, როგორც ატეხილი ფაშატები წითელ ულაცს.

მეექვსე: და მას შესძულდა ქალის თესლი.

მერვე: რადგან ყველაფერი, რასაც ქალის თესლი გაეკარება...

მეცხრე: გაიხრწნება.

(სცენის გადაღმიდან მოისმის შორეული, მარტოხელა ზარის ხმა. ყველანი შეჰკრთებიან და გოცების ნიშნად ხელებს ზევით ასწევენ. მგზავრი იღვიძებს, თვალების ფშვინით ლოდზე წამოჯდება. შეჰყურებს, გოცებით მის ირგვლივ წრეში მდგარ მონაპირებს).

მგზავრი: ვინა ჰხართ თქვენ?

პირველი: მონაპირენი (პაუზა).

მგზავრი: (ბნელ პანტომზე ხელს იშვერს). ვინაა ეს კაცი?

პირველი: ბნელსა ჰკითხეთ.

მგზავრი: ბნელი ვინლაა?

პირველი: ეგერ რომ დგას.

მგზავრი: რა ჰქვია მას?

პირველი: არავინ იცის.

მგზავრი: საიდან მოვიდა?

პირველი: ის მუდამ აქ იყო.

(მგზავრი განცვიფრებით აჰხედავს ბნელ პანტომს).

მგზავრი: ბნელი მალალია!..

პირველი: ქრისტეზე უფრო.
მეორე: რადგან მას შემეცნება აქვს და სიყვარული აკლია.
მესამე: ქრისტე მხოლოდ სიყვარულმა მოიყვანა მიწაზე.
მეოთხე: მიწას სიყვარული ვერ მოერევა.
მეხუთე: მიწა სიყვარულზე დიდია.
მეექვსე: ბნელი დიდია.
მერვე: ბნელი უსაზღვროა.
მეცხრე: ბნელი უგარსოა.
მეათე: ბნელი სრულყოფილია.
მეთერთმეტე: არავინაა სრულყოფილი. (პაუზა).
მგზავრი: რა უნდა მას?
პირველი: რაც არავის უნდა.
მგზავრი: რა უნახავს მას?
პირველი: რაც არავის უნახავს.
მგზავრი: რა იცის მან?
პირველი: რაც არავინ იცის.
მგზავრი: რა ახსოვს მას?
პირველი: რაც არავის ახსოვს.
მგზავრი: რა არ იცის მან?
პირველი: თუ ვინ იყო ღმერთი.
მგზავრი: მე ვიცი, ვინ იყო ღმერთი.
პირველი: შენ სად ნახე ღმერთი?
მგზავრი: ღმერთი დამესიზმრა.
პირველი: როგორია ღმერთი?
მგზავრი: ღმერთი ღრმად, როგორც ეს ზღვა (ხელს აშვერს ზღვაზე) ვრცელი, როგორც ის ფორმამენტი ვარსკვლავებისა.
(უჩვენებს ვარსკვლავიან ცაზე).
პირველი: როგორი თვალეები აქვს ღმერთს?
მგზავრი: ზღვის კორალების ფერისა.
პირველი: ისინი ანათებენ?
მგზავრი: როგორც ოკეანეში ჩამქრალი მზეები (პაუზა).
პირველი: როგორც ოკეანეში ჩამქრალი მზეები.
თორმეტივე მონაპირე ერთად: როგორც ოკეანეში ჩამქრალი მზეები (პაუზა).
ბნელი: (დაბალი ხმით). როგორც ოკეანეში ჩამქრალი მზეები.
(სცენის გადაღმა შორეული ხმა: როგორც ოკეანეში ჩამქრალი მზეები).
მგზავრი: (წასასვლელად ემზადება).
პირველი: (წინ გადაელობება). გზა საითკენ?
მგზავრი: ჩემი თავის სანახავად.
პირველი: რათ არ დაისვენებ ჩვენთან?
მგზავრი: სურვილი აღარა მაქვს.
მეორე: ვაი იმას, ვისაც სურვილი აღარა აქვს!
მესამე: აქ სურვილიანები ამოდიოდენ აქამდის.
მგზავრი: ვინ გაიარა აქ?
პირველი: მილიონებმა — უსაზღვროების ნაპირზე.

მგზავრი: უსაზღვროებიდან?

პირველი: ჯვაროსნები.

მეორე: მეშანდლეები.

მესამე: მეჩირაღდნენი.

მეოთხე: წინამძღოლნი.

მეხუთე: ნათლისმცემელნი.

პირველი: მაცხოვარნი, რომელნიც ჯვარზე უნდა გასულიყვენ.

მგზავრი: ვინ ლა ჩავა უსაზღვროებაში?

პირველი: რჩეულნი. შენც უსაზღვროებას დაუბრუნდები დაბოლოს.

მგზავრი: თუ მიწას?

პირველი: მიწას, დედა მიწას!

თორმეტივე მონაპირენი: დედა მიწას. დედა მიწას. დედა მიწას.

(მგზავრი მიდის. ყველანი მდუმარედ გასცქერიან ხის ჯვარისკენ მიმავალ მგზავრს).

პირველი სურათი

მთიანი ადგილი

ლილისფერი ატმოსფერა. შავი ხის ჯვარი მარჯვნივ ფონზე. უმაღლეს მწვერვალზე მისანი ზის. მას ფიოლეტის სინათლე სცემს სახეზე.

მგზავრი: (ბილიკზე ამოდის თვალებზე ხელის მიჩრდილვით).

მისანი: (თვალებზე ხელს იჩრდილავს). ვინ ამოდის?

მგზავრი: უსურვილო (მგზავრი მანძილზე შესდგება).

მისანი: სულიერი თუ ხორციელი?

მგზავრი: ხორციელი, რომელმაც ხორცი დასძლია.

მისანი: ის გუშინ ჩამოიღეს ამ ჯვარიდან (უჩვენებს ჯვარზე).

მგზავრი: მერე რა უყვეს?

მისანი: ღამე ქურდებმა მოიპარეს.

მგზავრი: ქურდებს რათ უნდოდათ ჯვარცმული?

მისანი: ჯვარცმული ქურდებისთვის მოვიდა მიწაზე (პაუზა).

მგზავრი: (ნელა უახლოვდება მისანს, შეჰხედავს თვალებში. გაჩუმდება). მიცანი?

მისანი: ჩვენ ყველას ვიცნობთ.

მგზავრი: ყველას?

მისანი: ყველას ვინც ბნელთან ყოფილა.

მგზავრი: ძნელია ბნელთან ყოფნა (პაუზა).

მისანი: მარტო ვერავინ ივლის (პაუზა). ძნელია მარტო სვლა, ძნელია მარტოსულობა. მარტოსული ვერ გაძლებს. (პაუზა) გირჩევ დაისვენო (პაუზა). ხომ დარწმუნდი: წიგნები სტყუიანი. რელიგიები თვალს უხვევენ. ოქროები ამოდ ბრჭყვიალებენ. პოეტები თავს იტყუებენ, მეცნიერები — ერთმანეთს. მოისვენე, შენ არ იცი, რა მოგელის.

მგზავრი: ვიცი, რა მომელის... უფსკრულები.

მისანი: დიახ, ადამიანებთან მისვლა, ან სხვა რომელიმე მშვიერ აფთარებთან.

მგზავრი: ახალი პლანეტი მირჩევნია ძველს მიწას.

მისანი: აფთარი თუ კაცი?

მგზავრი: აფთარი სჯობია ადამიანს. ადამიანები მე ჯვარს მაცმევენ, როცა მათ უკანასკნელ სიმართლეს ვეტყვი: რომ მათი ღმერთი მოკვდა. მათ ოქროებს ნონა დაეკარ-

გა, მათი თავისუფლება საპყრობილეში ფასდება, მათი უბინოება — საროსკიპოში, მათი გონიერება — საგიჟეთში.

მისანი: ვერც შენ ეტყვი მათ უკანასკნელ სიმართლეს. სიმართლეს კაცი ვერ ზიდავს. სიმართლეს ქვეყანა ვერ აიტანს. სიმართლე რომ გაიგონ — ქალაქებს ხანძარებს დაულოცავენ. დასწავავენ თეატრებს, ბიბლიოთეკებს, ციხეებს, საროსკიპოებს და საგიჟეთებს გაალებენ...

მგზავრი: მაშ, ხელცარიელი დავუბრუნდე ადამიანებს? მათ ხელცარიელნი არ უყვართ.

მისანი: სჯობს ხელცარიელი მიხვიდე ადამიანებთან.

მგზავრი: მე წავალ მათთან.

მისანი: როგორც?..

მგზავრი: როგორც წინასწარმეტყველი, სინათლი, ჯვაროსანი.

მისანი: არა, — მიდი ადამიანებთან როგორც თანასწორი, როგორც მეთევზე, ან მხედარი, ყველა ამ გზით მისულა მათთან, ვისაც მათი მოქცევა ნდომებია. ისინიც ჯვარს აცვეს.

მგზავრი: მათი სიტყვა ხომ დარჩა? მათი სინათლე ხომ ნათლობს? სინათლეს ვერავინ აიტანს ჯვარზე.

მისანი: სინათლეს მეშანდლე უნდა, სიტყვას — ძალა.

მგზავრი: მე მინდა, მეშანდლე ვიყო. სიტყვის ძალა ვიყო.

მისანი: სიტყვა მკვდარია უსაქმოდ.

მგზავრი: მე მინდა, საქმე ვიყო.

მისანი: მაშინ სიტყვა წაგერთმევა; სინათლეს ვერ მოჰფენ.

მგზავრი: მე მინდა, შანდალი ვიყო.

მისანი: მაშინ ვერ გაანათებ. მეშანდლე უნდა მონახო. მარტო შანდალი ვერ გაანათებს. შანდალს ანთება უნდა. შანდალს ტარება უნდა. შანდალს ნათელი უნდა.

მგზავრი: მე მინდა, ეგ ნათელი ვიყო.

მისანი: მაშინ უნდა დაიწვა.

მგზავრი: მე მინდა, სიმართლის ჯვაროსანი ვიყო.

მისანი: ჯვარი არ დაგავინყდეს, თორემ შენვე მოგატანიებენ, როგორც იესოს მოატანიეს თავისი ჯვარი (ჰაუზა). ყოველ წინასწარმეტყველს ილღიაში უნდა ჰქონდეს თავისი ჯვარი. სხვა გზა არ არის.

მგზავრი: მიჩვენე გზა ადამიანებისკენ.

მისანი: ყველა გზები შენშია.

მეორე სურათი

ოდნავ ბნელა. მთის ორწოხებში ნისლი. უმაღლეს მწვერვალზე თეთრსამოსიანი ნათელი ზის. მისი სილუეტი მოსჩანს.

ხმა უფსკრულიდან: ღამე არის მწვანე მანდილოსანი.

ნათელი: მე ვარ სარანგი ღამისა.

ხმა უფსკრულიდან: ღამე არის იდუმალის მგოსანი.

ნათელი: მე ვარ სარანგი ღამისა.

ხმა უფსკრულიდან: ღამე მოგვცა მაცხოვარის ხატმა.

ნათელი: მე ვარ სარანგი ღამისა.

ხმა უფსკრულიდან: ღამე არის ღვთაებრივის ატმან.

ნათელი: მე ვარ სარანგი ღამისა.

ხმა უფსკრულიდან: ღამეების სიბნელეში ვიშვით.

ნათელი: მე ვარ სარანგი ღამისა.

ხმა უფსკრულიდან: დავიღვევით ღამეების შიშით.

ნათელი: მე ვარ სარანგი ღამისა.

ხმა უფსკრულიდან: ღამე მოვა — სიძე ანაზღეული.

ნათელი: მე ვარ სარანგი ღამისა.

ხმა უფსკრულიდან: ღამეს ეტრფის ყველა მზედალეული.

ნათელი: მე ვარ სარანგი ღამისა.

ხმა უფსკრულიდან: ღამე არის ნალვლიანთა მაცხოვარ.

ნათელი: მე ვარ სარანგი ღამისა.

ხმა უფსკრულიდან: მადლობა ღმერთს, მხოლოდ ღამეს ვახსოვარ.

ნათელი: მე ვარ სარანგი ღამისა.

ხმა უფსკრულიდან: ჰაუ, ჰარ, ჰაუ, ჰაუ, უ, უ (ჰაუზა — ნათელი ყურს უგდებს).

მთის სულელების ხორო: ნათელო სადა ხარ, სადა.

ნათელო, დაგეძებთ გელით.

ვარსკვლავნი გამქრალან ცათა,

გრიგალზე დაჰქროლავს ბნელი.

გამცდარა მგზავრისა სანდალი,

გამქრალა მზის ჩირაღდანი,

დავკარგეთ სინათლის შანდალი.

დავკარგეთ სიმართლის გზანი.

მოისმის ძახილი წეროთა,

შორეულ მღვიმეთა ეხო

და მუნჯი მუსიკა სფეროთა (მცირე ჰაუზა).

გავედრებთ, ვინც მზეზე მღეროდა,

უფსკრულში არ გადასჩეხო.

ნათელი: (ნამოდგება ძირს გადაიხედავს — ნაპრალებიკენ). ჰეი მგზავრო აქეთკენ, აქეთკენ!

მგზავრის ხმა: უფსკრულში არ გადამჩეხო (მგზავრი ბილიკზე ხვწმვით ამოდის. ჯერ მხოლოდ ზემოტანი უჩანს).

მგზავრი: ვინა ხარ?

ნათელი: მე ვარ სარანგი ღამისა.

მგზავრი: მაშ შენ გზას მიჩვენებ?

ნათელი: მე გზას უჩვენებ მხოლოდ.

მგზავრი: ვინ დაგაკისრა?

ნათელი: ყოვლისმცოდნემ (ჰაუზა). რას ეძებ?

მგზავრი: უკანასკნელ სიმართლეს.

ნათელი: უკანასკნელი სიმართლე — უკანასკნელს მოჰკითხე.

მგზავრი: ვინ იქნება უკანასკნელი?

ნათელი: ვინც უპირველესი იყო.

მგზავრი: ვინ იყო პირველი და უკანასკნელი.

ნათელი: უზენაესი.

მგზავრი: მაშ უზენაესი მეტყვის უკანასკნელ სიმართლეს

ნათელი: უზენაესი არასოდეს არ ლაპარაკობს.

მგზავრი: მაშ ღმერთი დადუმებულა.

ნათელი: ღმერთი დადუმდა — რაც კაცმა ლაპარაკი ისწავლა.

მგზავრი: მამ ვინ მეტყვის უკანასკნელ სიმართლეს?

ნათელი: ამას ზევით გაიგებ.

მესამე სურათი

მთა გამოცხადებისა

ვარსკვლავების რეგიონები.

აბსოლუტური სითეთრე!

მგზავრი: აქ სიცივია.. თავი მებრუის.

ნათელი: აქ შემეცნების მწვერვალია და მიტომაც ბარის სინოტივს მიჩვეულს მწვერვალზე თავბრუსხმის (პაუზა). სადაც უმაღლესი შეგნებაა — იქ უდიდესი სიცივე. შეგნება და სიცივე ტყუილი დებია (პაუზა). აქ სიჩუმეა და სიცივე.

მგზავრი: (ფლეგმატიურად). სიჩუმე და სიცივე... ნუ თუ ერთად დადიან? აკი ამბობდი აქ უკანასკნელ სიმართლეს მეტყვიან.

ნათელი: აიხედე ზევით.

მგზავრი: ჩემს ზევით ვარსკვლავებია.

ნათელი: ის — ვარსკვლავებს გადაღმა.

მგზავრი: შენ?..

ნათელი: მე შუაგული ვარ ვარსკვლავების უფსკრულებისა.

მგზავრი: ვარსკვლავი მოსწყდა. ჩემსკენ მოექანება.

ნათელი: გაეხმაურე.

მგზავრი: ჰეი, ვინა ხარ?

ვარსკვლავის ხმა: მე ვარ შენ.

მგზავრი: შენ რომელი?

ვარსკვლავის ხმა: რომელიც ეთერის უფსკრულებში ენთება და ჰქრება.

მგზავრი: ვინა ხარ, ჰეი, სთქვი გამოტეხით?

ვარსკვლავის ხმა: მე ვარ შენ (მოგზაური მობრუნდება ნათელისკენ. მას მოულოდნელად ბნელი პანტომი წინ აეტუზება).

მგზავრი: (უკან იხევს). შენ აქაც ამოსულხარ?

ბნელი: მე ყველგანა ვარ.

მგზავრი: ვინ გაგანესა ამ სიმაღლეზე?

ბნელი: არავინ. მე თვით ხელმწიფე ვარ სიმაღლეთა და უფსკრულებათა! (პაუზა).

მგზავრი: (ხმა დაბლა). ხელმწიფე სიმაღლეთა და უფსკრულებათა! (პაუზა). შენ აქ ნათელს ამოასწარი?..

ბნელი: მე ნათელზე ადრე ვიყავი, მის შემდეგაც ვიქნები.

მგზავრი: ილაპარაკე მარტივად.

ბნელი: ჩემი ენა მარტივია როგორც ეთერი.

მგზავრი: სულიერი ხარ თუ ხორციელი?

ბნელი: ხორციელი რომ ვიყო, — მწვერვალზე ვერ გავძლებდი. სხეული ამძიმებს საგნებს. მიტომაც ეცემიან ხორციელნი (პაუზა). ვინც ხორცს დასძლევს, მწვერვალზე ის გასძლევს.

მგზავრი: მამ, მე?

ბნელი: დასძლიე ხორცი და გამიტოლდი.

მგზავრი: მაგრამ სადღაა უკანასკნელი სიმართლე?

ბნელი: უკანასკნელი სიმართლე უკანასკნელებს შორის —

მგზავრი: უკანასკნელი ვინ უნდა იყოს.

ბნელი: ადამიანია უკანასკნელი.


მგზავრი: სად არიან ისინი?

ბნელი: ქვესკნელის წიაღში.

მგზავრი: რატომ ქვესკნელში?

ბნელი: რადგან მათ უფსკრულები უყვართ.

მეოთხე სურათი წიაღი ქვესკნელისა



მარცხნით ციხის უფროსის ოთახი. გრძელი არე თეთრად შეღესილი მაღალი კედლებით. ციხის უფროსის მაგიდაზე ქალაქები — და სამი მაღალი, წითელი ფანარი. კუთხეში თოფებია მიყუდებული. მარჯვნივ ტუსალების ვრცელი კამერა. კარი გადის ციხის უფროსის ოთახიდან დიდ კამერაში. სანახევროდ ბნელა. კუთხეებში მაღალი წითელი ფანარები — ოდნავ მბჟუტავი. ტუსალები ნარებზე წვანან — ხვრინავენ. კარიდან პირველ სანოლზე უპერანგო ტუსალი წამომჯდარა და მკბენარებს ეძებს თავის პერანგში.

უპერანგო ტუსალი: (დაიჭერს და ჰკლავს მკბენარს). აჰა, ასე გაეუჭეჭყე თავი ჩემი ცოლის საყვარელს. ისიც ამ ტილისავით ქერანამწამებიანი მლილი იყო (პაუზა. განაგრძობს თავის საქმეს).

ციხის უფროსი: (თავის მაგიდაზე სწერს. ალაგებს ქალაქებს. ნიშნავს, ხელს აწერს. ციხის უფროსს დიდი, ყვითელი სათვალეები აქვს).

გარედან გუშაგის ხმა: (ბოხი. მბრძანებელი. ცივი). ტუსალი ნომერი 113.

პასუხი: აქა ვარ.

გუშაგის ხმა: ტუსალი — ნომერი 114.

პასუხი: აქავარ.

გუშაგის ხმა: ტუსალი — ნომერი 115.

პასუხი: აქა ვარ.

გუშაგის ხმა: ტუსალი — ნომერი 116 (არავინ იძლევა პასუხს).

გუშაგის ხმა: ტუსალი — ნომერი 116 (სიჩუმე). **გუშაგის ხმა:** ტუსალი — ნომერი 116.

პასუხი: აღარ არის! პაუზა. წუხელ მომკვდარა.

გუშაგის ხმა: მამ თავისუფალია (ვიღაც ცინიკურად იცინის).

გუშაგის ხმა: ტუსალი ნომერი 117.

პასუხი: ლაზარეთშია.

გუშაგის ხმა: ტუსალი — ნომერი 118.

ქალის ხმა: აქავარ.

გუშაგის ხმა: ტუსალი — ნომერი 119 (სიჩუმე).

გუშაგის ხმა: ტუსალი — ნომერი 119.

ქალის ხმა: მოსალოგინებლად წაიყვანეს ლაზარეთში.

გუშაგის ხმა: ტუსალი — ნომერი 120.

პასუხი: აქავარ.

გუშაგის ხმა სწყდება. ისმის ტუსალების ფეხის ხმა. ხრიალი. გინება. ხმები: „მეექვსე კამერა. მეექვსე კამერა. მოდის... სუუ... მოდის. სუუ... წამოდი, ქალო. აქეთაა ჩვენი კამერა (ქალის ხმა). ვილაც ბოხით: „ნუ ხმაურობთ, რას უცდი, გველისწინილო?“ სიჩუმე. მიწყდება ხმაურობა. (ციხის უფროსი ზარს აწკარუნებს. შემოდის თოფიანი გუშაგი. წელში გასწორდება კამერები სულ დათვლილია.

ც. უფროსი: ახალი პარტია?

გუშაგი: სამი ამ კამერაში (ციხის უფროსი ანიშნებს და წერას განაგრძობს). გუშაგი გატრი-აღდება. კარებს გაიხურავს ბეჯითად (პაუზა). ორ გუშაგს სამი ტუსალი შემოჰყავს. ტუსა-ლებს კუთხეში დააყენებენ. ციხის უფროსს დოკუმენტებს გადასცემს ერთი გუშაგთაგანი.

ც. უფროსი: (თავის აულებლად, ქალაღდს აჩერდება). ტუსალი — ნომერი 227 (გრძელ წვერია-ნი, წარმოდგება კუთხიანი სახით — აჩერდება ც. უფროსს). „მე დამნაშავე არავარ“.

ც. უფროსი: (შეჰხედავს სახეში. თითს უჩვენებს კამერის კარზე). დანაშაულს იქ გეტყვიან (ტუსალი გაჰყავს გუშაგს, კარს გადაურაზავს).

ც. უფროსი: ტუსალი — ნომერი 228.

ახალგაზდა ტუსალი: მე არა ვარ დამნაშავე (ც. უფროსი მასაც ისევე — როგორც პირ-ველს. გუშაგს მიჰყავს — კარებს გადაურაზავს).

ც. უფროსი: ტუსალი — ნომერი 229.

მესამე ტუსალი: „მე არავარ დამნაშავე“.

ც. უფროსი: გაბრალებენ?..

მესამე ტუსალი: ადამიანებისათვის უკანასკნელი სიმართლის თქმას.

ც. უფროსი: რა უთხარი ადამიანებს?

მესამე ტუსალი: მე მგზავრი ვიყავი და ვუთხარი ადამიანებს უკანასკნელი სიმართლე.

ც. უფროსი: მაინც?

მგზავრი: მე ვუთხარი ადამიანებს, რომ მათი ღმერთი მოკვდა. მათ ოქროებს წონა დაეკარგა. მათი თავისუფლება საპყრობილეში ფასდება, მათი უბინოება — საროსკიპოში, მათი გონიერება — საგიჟეთში.

ც. უფროსი: (ოდნავ ილიმება). ჰმ, ღმერთი მოკვდა? შეხედავს მრისხანედ ტუსალს. ანიშ-ნებს გუშაგს, მასაც ისე გადაურაზავენ კარებს როგორც პირველ ორს (კამერაში მგზავრი უპერანგო ტუსალის გვერდით ჩამოჯდება ნარზე).

უპერანგო ტუსალი: (მგზავრს). ააა, ახალი კაცი! ათვალეერებს მგზავრს (პაუზა).

უპერანგო: შენ რატომ?...

მგზავრი: მე უთხარი ადამიანებს, რომ მათი ღმერთი მოკვდა. მათ ოქროებს წონა და-ეკარგა. მათი თავისუფლება საპყრობილეში ფასდება. მათი უბინოება — საროსკიპოში, მათი გონიერება საგიჟეთში.

უპერანგო: კიდეც ერთი უდანაშაულო!

ტუსალები: (ნარებიდან). ააა, კიდეც ერთი უდანაშაულო!

უპერანგო: აბა, კიდევ სთქვი, მგზავრო, რა უთხარი ადამიანებს?

მგზავრი: მე უთხარი ადამიანებს, რომ მათი ღმერთი მოკვდა. მათ ოქროებს წონა დაეკარგა. მათი თავისუფლება საპყრობილეში ფასდება. მათი უბინოება — საროსკიპოში, მათი გონიერება საგიჟეთში.

უპერანგო: ღმერთი მომკვდარა!

ტუსალები: (ფეხზე წამოსცივიან, ნარებზე შესდგებიან. გაცუბით, ხმა მაღლა ყველანი ერთად). ღმერთი მომკვდარა. ღმერთი მომკვდარა!!!

უპერანგო: მაშ, ჩვენ დამნაშავე არა ვყოფილვართ, თუ ღმერთი მოკვდა.

უპერანგო: (თავის მეზობელს). შენ რა დააშავე?

მეზობელი: დედა მოვკალი.

შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე?

პასუხი: როსკიპი შემომაკვდა.

შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე?

პასუხი: ეკლესია გავქურდე.

შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე?

პასუხი: ცოლის საყვარელი მოვკალი.

შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე?

პასუხი: მცირე წლოვანი გავაუპატივრე.

შემდეგი შემდეგს: შენ?

პასუხი: ქრთამი ავიღე.

შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე?

პასუხი: ქარხანა გადავწვი.

შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე?

პასუხი: მეც იმას ვეხმარებოდი.

შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე?

პასუხი: მეც იმას ვეხმარებოდი.

შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე?

პასუხი: მეც იმას ვეხმარებოდი.

შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე?

პასუხი: მეც იმას ვეხმარებოდი.

შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე?

პასუხი: მეც იმას ვეხმარებოდი.

შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე?

პასუხი: მე დავლენე დაზგები, რომელთანაც ათი წელი ვიყავი ხარით დაბმული.

შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე?

პასუხი: მე მაშინა დავამსხვრიე, რომელმაც ცერი მომწყვიტა. ჩემი ცერი ახლაც სახლშიაქვს ჩემს ცოლს შენახული.

შემდეგი შემდეგს: შენ რა დააშავე?

პასუხი: მე მაშინას ვინტები მოვპარე. იმ მანქანას დამბლა დაცემული კაცივით სახსრები გაუჩერდა მერე.

შემდეგი — ნარზე უკანასკნელს: შენ რა დააშავე?

პასუხი: მე არა ვარ დამნაშავე.

მგზავრი: არავინაა დამნაშავე.

ყველა ტუსალები ერთად: მაშ ვინლაა დამნაშავე?

მგზავრი: დამნაშავეა, ვინც დანაშაული მოიგონა.

უპერანგო: არავინაა დამნაშავე.

მგზავრი: დამნაშავეა, ვინც თავდაპირველად დააშავა.

ტუსალები ერთად: ჩვენ არა ვართ დამნაშავე, რომ ვილაცამ თავდაპირველად დააშავა. ჩვენ არა ვართ დამნაშავე, ჩვენ არა ვართ დამნაშავე, ჩვენ არა ვართ დამნაშავე.

ც. უფროსი: (შემოდის ყურში კალმით. სათვალეებს ისწორებს). რა ამბავია, რა მოხდა?

უპერანგო: ღმერთი მომკვდარა და ტუსალებს თავისუფლება უნდათ.

ც. უფროსი: დამნაშავეებს თავისუფლება? მაშ რისთვის სვამენ დამნაშავეებს ციხეებში?

მგზავრი: თავისუფლებმა რომ გარედ თავისუფლად დააშავონ.

ც. უფროსი: მაშ, არავინ ყოფილა დამნაშავე?

ტუსალები: (ერთად). ჩვენ არა ვართ დამნაშავე, რომ ვილაცას თავდაპირველად და-
უშავებია.

ც. უფროსი: მე მხოლოდ დამნაშავეებს ვუყურებ.

ტუსალები: ჩვენ არა ვართ დამნაშავე.

ც. უფროსი: მე მხოლოდ დამნაშავეებს ვუყურებ.

მგზავრი: დაამტვრიეთ ფანრები და ვერც ერთს დამნაშავეს ველარ ნახავთ.
(ტუსალები დალენავენ წითელ ფანრებს. კამერაში ბნელდება).

ც. უფროსი: მაშ, ვინლაა დამნაშავე?

მგზავრი: არავინაა დამნაშავე, როცა ბნელა.

უპერანგო: შენა ხარ დამნაშავე, შე იუდა, ღმერთის გამყიდველო.

მგზავრი: არც იუდაა დამნაშავე, რომ ღმერთი გაჰყიდა. იუდას ღმერთი რომ არ გაე-
ყიდა, ღმერთს არ დააფასებდენ. ადამიანები ვაჭრებია, მხოლოდ ძვირად ნაყიდ საქო-
ნელს აფასებენ (ისმის ბორკილების ჩხრიალი).

ხმები: ვაიმე ბორკილები!

მგზავრი: ვინც ბორკილებს დაივინყებს, ის თავისუფალია.

ხმები: როგორ გავითავისუფლოთ მგზავრო თავი?

მგზავრი: ყველამ იპოვნოს თავის თავი (ილენება ბორკილები. ტუსალები კარებს მისცვივებთან).

ხმები: რა უყოთ ურდულებს?

მგზავრი: მოვა ანგელოსი უფლისა... ურდულები ძირს დასცვივიან.

ტუსალები: (ერთად). მოვა ანგელოსი უფლისა... ურდულები ძირს დასცვივიან. (გა-
მოჩნდება ცეცხლის მახვილიანი ანგელოსი. ურდულები სცვივიან).

მგზავრი: (მას თავზე სინათლის შარავანდედი ადგება). მომყევით სინათლის გზისკენ!

მეხუთე სურათი
წალკოტი შვებისა

სინათლე ოდნავ მურუყიანი. სილუეტები მოსჩანან. ადგილი: მაღალი პლატო. ბილიკებზე სხვა და სხვა მხრიდან ჯგუფ-ჯგუფად ამოდინ ქალები და კაცები (ხელში ანთებული ჩირაღდნებით).

I ჯგუფი: ჩვენ დავსწვით ქარხნები.

მე-II ჯგუფი: დავლენეთ დაზგები.

მე-III ჯგუფი: სახლები მივეციტ ხანძარს.

მე-IV ჯგუფი: მოვდივართ, მოვდივართ, ელდისა ალგზნებით.

მე-V ჯგუფი: დავანგრევთ უფლისა ტაძარს.

I ჯგუფი: მოვდივართ, მოვდივართ ელდისა ალგზნებით.

მე-II ჯგუფი: ხუნდები აღარსად არიან,
მოდიან, მოდიან ნათელი დღეები!

მე-III ჯგუფი: მზეები, მზეები, წითელი მზეები მოჰქრიან და მოიჩქარიან.

ყველანი ერთად: ჩვენ დავსწვით ქარხნები
დავლენეთ დაზგები,
ხუნდები აღარსად არიან.
ჩვენ ღმერთი გაყვიდეთ.
ჩვენ დავწვით ტრაპეზი.
ჩვენ მოგვიხარიან, ჩვენ მოგვიხარიან.

პლატოზე იგივე სიმღერა და ეკზალტიური ცეკვა ფაკელებით ხელში. ისმის მელანქოლიური, მონოტონური მუსიკა. დაქანცულები მოიკეცავენ. ყველანი ფეხმორთხმულნი დასხდებიან. სდუმან. პაუზა.

პირველი ტუსალი: ჩემი ცოლი მრუში, მე მოვკალი შარშან ამდროს მურუყიან გათენებაზე.

ტუსალი ქალი: ჩემი ბავში დავახრჩე — შვილი — გველის წინილის (პაუზა). აი, ასე ამოვიწყვიტე მუცლიდან — როგორც ეს გვირილა (დასწვდება მიწას და სწყვეტს გვირილას მიწიდან).

მეორე ქალი: როგორც თეთრი გვირილა დედამიწის საშოს მოგლეჯილი.

ყველა ქალები ერთად: როგორც თეთრი გვირილა დედამიწის საშოს მოგლეჯილი.

მესამე ქალი: თოვლივით თეეთერი, თეეთერი გვირილა დედამიწის მუცლიდან. გვირილა, გვირილა, გვირილა...

ერთი ტუსალი ვაჟი: რა კარგია გვირილა!

მეორე ტუსალი: ხუთი წელია, გვირილა არ მინახავს.

მესამე ტუსალი: ათი წელია, გვირილა არ მინახავს.

მეოთხე ტუსალი: მე ათი წელია მზეს ვნატრობდი... რომ არ ამოდის?..

მეხუთე ტუსალი: (ხელს უსობს მიწას). რა კარგი მოლია, რბილი, რბილი როგორც საყვარლის თმები.

მექექსე ტუსალი: რა სუფთა ჰაერია.

მეშვიდე ტუსალი: სადაც ადამიანი არაა, — ყველგან სუფთა ჰაერია.

მერვე ტუსალი: მე ვაკოცებ ამ მიწას.

მეცხრე ტუსალი: მიწა მსუქანია და ნოყიერი.

მეათე ტუსალი: მიწა მოხუც დედასავით ალერსიანია.

მეთერთმეტე ტუსალი: მიწა მოხუცი დედაა.

მგზავრი: მე მიყვარს ახალი მიწა.

ყველანი ერთად: გვიჩვენეთ ახალი მიწა!

ვილაცა ბრბოში: სადაა ჩვენი წინამძღოლი, გვიჩვენეთ ახალი მიწა.

მგზავრი: ადექით და ნახავთ (ყველანი სდგებიან. ისმის შორეული ზარების რეკა. ყველა ხმა გაკმედილი).

ვილაცა ბრბოში: ეს სატუსალოში რეკავენ!

მგზავრი: მიწა რეკავს, მიწა გეძახით!

ტუსალები: მიწა რეკავს, მიწა გვეძახის!

მგზავრი: თაყვანი მიწას, თაყვანი ბალახებს! თაყვანი მზეს!

მზე ამოდის, ნათდება ალისფრად.

(ტუსალები მარჯვენა ხელებს რიტმიულად იშვერენ მზისკენ).

ტუსალები: მზე. მზე. მზე. მზე. მზე. მზე. მზე. (ტუსალები მუხლებზე ეცემიან).

მგზავრი: (გამოეყოფა ბრბოს, რომელიც ნისლის ლაქასავით მოსჩანს ძირს დამხოვილი). იყავით მიწა!

ეპილოგი

მღვიმე ხელმეორედშობისა

ზღვისპირა რუხი. ბნელხახიანი მღვიმე. მარცხნით შესავალთან ბნელი პანტომი. მარჯვნივ ფონზე შავი, ხის ჯვარი. მოისმის შორეული ზღვის რიტმიული ხშილი.

ბნელი: გესმის?

მგზავრის ხმა: (იგი არ მოსჩანს ხმა მღვიმიდან). ეს ზღვა უნდა იყოს.

ბნელი: ხომ დაუბრუნდი უსაზღვროებას?

მგზავრის ხმა: მეორე მხრიდან.

ბნელი: და შენი თავი იპოვნე!

მგზავრის ხმა: სთქვი გარკვეულად!

ბნელი: ვინც თავს იპოვნის, უსაზღვროებას შემოუვლის.

მგზავრის ხმა: მაშ, ძალა მქონია.

ბნელი: იყავ ძალა უსხეულო.

მგზავრის ხმა: ახლა ძალა ვარ უსხეულო! (პაუზა). ჰაუ, ბნელა, ნისლებმა მომიტაცეს...ის-მის შორეული, მშობიარე ქალის კვილი. სცენაზე გამოდიან ნათელი და 12 მონაპირე.

მონაპირენი: (ცეკვით ტუჩებზე ხელების მიტანით). სუ, სუ, უ, უ, უ...

ბნელი: იგი ხელ მეორედ იშვა.

ნათელი: მან იპოვნა უკანასკნელი სიმართლე.

პირველი: მან იხილა.

ნათელი: ღმერთის პირისჩენა.

(ზარი შორეული რეკავს. სცენაზე სოსანის ფერი სინათლის ტალღების ლივლივი).

ბნელი და ნათელი: მღვიმის შესავლის მარცხნითა და მარჯვნივ დგანან და ბნელ ხახიან მღვიმეს შესცქერიან.

12 მონაპირე:

პირველი ჯგუფი: ყველა დაშრება, ყველა გაჰქრება!

გზას გადასცდება სატურნი, მარსი.

მეორე ჯგუფი: მოკვდება ღმერთი, მოკვდება ჭია

და შეიცვლება უაზრო ფარსი.

მესამე ჯგუფი: მზე დალეული დღეების ტრიალს

ნაუვა ფერი და შინაარსი.

მეოთხე ჯგუფი: გარდაუვალი დარჩება მხოლოდ

მარადი გარსი, მარადი გარსი.

12-ივე ერთად: მარადი გარსი, მარადი გარსი.

ფარდა

კონსტანტინე გამსახურდია

ტფილისი, 1923, I, 16

სამი შეხვედრა (პატარა ტრილოგია)

I

...უცნაური იყო ჩვენი პირველი შეხვედრა, უცნაური... შენ მაშინ 17 წლისა თუ იქნებოდი. მონაფის კაბაში გამოწყობილი ტოლ-ამხანაგებთან ერთად უდარდელად სტკეპნიდი ზღვის პირად გაშლილს ჩვენს ბაღს. ძონეულის ფერ მოლაყლაყე ლოყებზე მადლიანი ღიმილი დაგთამაშებდა, ხოლო შენი ყუყუნა თვალები ისე გამოკრთოდენ, ისეთის ნდომით დაჰყურებდნენ ხეივნის გასწვრივ ჩამწყრივებულს ახლად გაშლილს ვარდის ბუჩქებს, რომ შემთხვევით გამვლელსაც კი არ შეეძლო არ გაჩერებულიყო და უნებურად არ შეეხედნა შენთვის...

ბაღლო! საყვარელო ბაღლო!.. რაოდენ ტკბილ გრძნობათ, რაოდენ ტკბილ ფიქრთა და სურვილთა აღმძვრელი იყავ მაშინ!..

ბუნებას საგაზაფხულო ფერხული ჰქონდა გამართული, ხოლო ფერად ყვავილებში ჩამჯდარი და მზის სხივებით გულ-გამთბარი ჩვენი ბაღი, მართლაც რომ საარაკო სანახაობას წარმოადგენდა. და ამ თვალისა და გულის მომჯადოებელ სანახაობის დამამშვენებელი გვირგვინი — შენ იყავი... ყველაფერი შენით ჰხარობდა, შენით ნეტარებდა. ძნელი იყო იმისი თქმა, რა უფრო მოქმედებდა მწვანით შექოჩრილ, ვნებით დამთვრალ არემარეზე: მზის მაცოცხლებელი სხივები, თუ შენ — ბუნების ჯადოსნურ ძალთა შემოქმედების ნაშთი... ცხოვრების ველზე ახლად აყლორტილი, შენ სრული სახიერება იყავი გაზაფხულისა, რომლის უხილავი ძალის ზედგავლენით მთელი ბუნება პატარძალივით საზეიმოდ იმოსებოდა და სასიცოცხლო ებანსა სცემდა გარემოს... შორიდან დაგინახე თუ არა, რაღაც უცნაური ძალით ამოძრავებული გამოვფურე შენსკენ. დაიჯერე, დღესაც არ ვიცი, რა მიხდოდა, ან რა უნდა მეთქვა შენთვის. და, ის-ის იყო ხელით უნდა შეგხებოდი, რომ უცებ შევდეგ. ერთს ალაგს გავქვავდი... ცივმა ოფლმა დამასხა, ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ალბად, მეტად საცოდავ სანახაობას წარმოვადგენდი, რადგან შენს თვალებში წყრომისა და გაკვირვების ნაცვლად სიბრალულის გრძნობა ამოვიკითხე... გონს მხოლოდ მაშინ მოვედი, როდესაც გარს გამეფებული სიჩუმე უცებ შენმა გულიანმა სიცილმა დაარღვია...

— ხა, ხა, ხა, ხა!.. — თავდავინწყებით ხითხითებდი შენ და შენს მადლიანს სიცილს ბანს აძლევდნენ შენსავით უდარდელი შენი მეგობრები, რომელნიც არა ნაკლებ იყვნენ გაკვირვებულნი ჩემი თავხედური საქციელით და ერთმანეთს ანიშნებდნენ ჩემზე.

მიმოვიხედე, შენ უკვე ჩემგან კარგა შორს იყავ მოცილებული. ისევ ისე ხმა-მალა იცინოდი, მაგრამ შენი მადლიანი თვალები მაინც ჩემსკენ იყურებოდნენ და, თითქოს მადლობას მითვლიდნენ იმ მხიარულ წუთების განცდისათვის, რომლის უნებური მიზეზი თქვენთვის მე ვიყავი...

შენ ვერ მიმიხვდი, ბავშო, თუ რა მამოძრავებდა მაშინ, როდესაც, ვინ იცის, რა გრძნობებით გატაცებული მოგიახლოვდი და შენის შვენებით მოხიბლული ერთბაშად გავქვავდი შენს წინაშე...

შენ მაშინ უდარდელი, ცხოვრების მდელიოზე ახლად გაშლილი გაზაფხულის ყვავილი იყავ, საკუთარი ბედნიერებით დამთვრალი ყვავილი...

მე კი... ჭაბუკი ვიყავ, მაგრამ ჩემი სიცოცხლის ზაფხულს ვწურავდი უკვე და ყველაფერზე გულგატეხილი თალხს დღეებს ჩემსას მხოლოდ მით ვფენდი იერს, რომ მშვენიე-

რებას ვეძებდი მუდამ... და მშვენიერების მონა-მორჩილმა გნახე, თუ არა ბუნებისაგან
 ასე საგანგებოდ ნაჭედი, შენსკენ გამოვეშურე,
 მაგრამ...
 უცნაური იყო ჩვენი პირველი შეხვედრა, უცნაური...

II

და ისევ გიხილე...

ზაფხულის სალამო იყო. ბაღში აუარებელი ხალხი ფუსფუსებდა. ზოგი ზღვის პირად
 ჩამწკრივებულს პატარა მაგიდას უჯდა, და სხვა და სხვა სასმელით იგრილებდა გულს;
 ზოგი ბნელ ხეივნისაკენ მიეშურებოდა, რათა დამტკბარიყო სატრფოსთან მარტო ყოფ-
 ნით. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც არაფრად ეპიტნავენბოდათ ხალხში, ან ვინმესთან ერ-
 თად ყოფნა და არჩევდნენ ტკბილად მოდუდუნე ზღვის პირად განმარტოებით ჯდომას.
 ამ უკანასკნელთა რიცხვში მეც ვერიე. ჩემს სულში კვლავ მოეკალათნა ჩემი სიცოცხლის
 განუყრელს თანამგზავრს — საყვარელ სევდას. საყვარელი სევდა! არ ვიცი, როდის დაი-
 ბადა იგი ჩემში, რა ნაირად გაჩნდა, რამ წარმოშვა. ვიცი მხოლოდ: ჩემს არსებაში ღრმად
 არის ჩაქსოვილი იგი, და ჩემთან ერთად ერთგულად სცვეთს თაღს დღეებს ჩემის სი-
 ცოცხლისას...

მხარ-თეძოზე წამონოლილი ჩვეულებრივ გავეხვიე სევდის სამოსელში და ოცნების
 სამთავროში შევტოპე. ცხადლივ წარმოვიდგინე განვლილ სიცოცხლის ბედნიერი წუთე-
 ბი, ჩემი სიჭაბუკე, პირველი უანგარო გატაცება. თაღლით სატრფოს ლალატი, საზოგა-
 დოებრივ ასპარეზზე გამოსვლა და ამ გამოსვლასთან ერთად დაკავშირებული მწარე კითხ-
 ვები... შემდეგ უშინაარსოდ, ფუჭად, „უსიყვარულოდ განვლილნი დღენი“ და წყეული
 მარტოობა, წითელ ზოლად რომ ჰქონდა გავლებული მთელს ჩემს სიცოცხლეს.

გარეგნობით ჭაბუკს, მაგრამ სულით უკვე მოხუცებულს, წარმომიდგა ჩემი ყრმობის
 ხანაც, როდესაც სულს აღტაცებულს ათას-გვარ კეთილშობილურ ზრახვა-მისწრაფე-
 ბით ასე სწყუროდა ჭეშმარიტ სიყვარულის განცდა და მით დატკბობა. მაგრამ კაცთა
 სიავით გულგატეხილს არ დამცალდა მის სპეტაკ სამსხვერპლოზე მეც მიმეტანა შეუგი-
 ნებლად მსხვერპლი ჩემი და...

— ჩემო ყველავ, გიყვარვარ? ხომ გიყვარვარ? ჩემი ხარ?.. — მომესმა ამ დროს ვიღაც
 ვაჟის მიერ მხურვალე გრძნობით წარმოთქმული სიტყვები.

— შენი ვარ, შენი, ჩემო ძვირფასო! — აპობდა ჰაერს ყმანვილის შეკითხვით აჟღერე-
 ბული ქალის ბაგენი და მხურვალე, ჟინ-მორეული კოცნის ხმა ვნების ცეცხლით სწავდა
 იქაურობას...

სულ რამდენსამე ნაბიჯზე, სადაც ზღვის ნაპირი ოდნავ იყო შეღრმავებული, სწორედ
 იქ, შეეფარებინათ თავი შეყვარებულებს. თავიანთ თავის მარტოდ მგულუბელნი, ვერც
 კი მამჩნევდნენ, მე, მათ გვერდით მყოფს ცოცხალ ადამიანს, რომელსაც, ვინ იცის, შეიძ-
 ლება ასევე მწყუროდა სიყვარულის ალში გახვევა, როგორც მათ, ბუნების კალთაზე სიყ-
 ვარულის სადიდებლად საგანგებოდ მოსულებს...

წამოვინიე, მარჯვენა ხელს დავებჯინე და, ჰოი განგებავ! მთვარის შუქზე აშკარად
 დაგინახე შენ, ღვთაება ჩემი, რომელსაც ჟამსა ყრმობისას მხოლოდ ერთხელ შეგხვდი შემ-
 თხვევით და მას შემდეგ სამუდამოდ ჩამრჩი გულში, ვით მშვენიერების საუცხოო ხატება...

საკინძე გარდასხნილი, გულმკერდ გაღელილი შენ თვით ვნებად, ხორცსხმული ვნების
 ღმერთად იყავ ქცეული და ხარბად სწურავდი საკოცნელად გამოწვდილ სატრფოს ტუჩებს.

მთვარის შუქი... თეთრ ხავერდათ აქოჩრილი ზღვა, მისი მომჯადოებელი შხუილი, ვნებით გაჟღერებული ჰაერი!.. მკვდარსაც კი აღადგენდა მკვდრებით ასეთი წამის განცდა და... ხორცსხმულმა ადამიანმა ვერ დავთმე, გველნაკბენივით ზეზე წამოვიჭერ, და მოურიდეზლად თავს წამოგადექით.

— განანებ მაგ თავხედობას, უზრდელო ადამიანო! — ბრაზიანად დაისისინა შენმა ცხოვრების თანამგზავრმა — სხვად ვერ წარმომედგინა მე იგი, შენი აშოკი, რადგან შენ ჩემთვის ამ წუთშიაც მხოლოდ უმანკოება იყავი. და ელვის უმაღლეს დამბაჩა გაათამაშა ჰაერში.

— არ მოჰკლა!.. — სასონარკვეთით შეჰკვივლე შენ და ჩვენს შორის ვეფხვივით შემოიჭერ გასაზავებლად.

რა მომხიბლავი, რა წარმტაცი იყავი მაშინ! მკერდ ამოჭრილ, გვირილისფერ კაბით შენ თვით ვნების ღმერთად იყავ ქცეული, ხოლო შენი თვალები, დიდი ჟუჟუნა თვალები, ისე ანათებდნენ, როგორც მაშინ, პირველად რომ ვნახე ჟამსა ყრმობისას...

და თვალნი ჩვენი შეხვდნენ ერთმანეთს... შეხვდნენ და...

— ხა, ხა, ხა, ხა! — ზარით გაისმა ამ დროს შენი სიცილი — ისევ ის, უცნაური ადამიანი!.. — ხითხითებდი შენ თავდავინწყებით და ზედმეტი სიცილისაგან აცრემლებული თვალებით უკან მიენეოდი შენს სატრფოს, რომელსაც თუმცა კარგად არ ესმოდა, თუ რა ხდებოდა შენში, მაგრამ შენი მაღლიანი სიცილით ერთბაშად გულდამცხრალი ისიც იცინოდა შენსავით და გაკვირვების ნიშნად უცნაურად შლიდა ჰაერში ხელებს...

როგორც წინად, ეხლაც ვერ მიმიხვდი, ბაღლო, თუ რამ მომიყვანა შენთან, ჩემს ხატებასთან, როს სიყვარულად ქცეული ხარბად სწოვდი სატრფოს მხურვალე ტუჩებს... შენ ამ წუთშიაც ისევ ის უდარდელი, ცხოვრებისაგან ხელშეუხებელი, ხოლო უკვე გაშლილი ზაფხულის ყვავილი იყავ, ხსოვნაში რომ ჩამრჩი ჟამსა პირველის შეხვედრისას...

მე კი... ჭაბუკი, ჩემი სიცოცხლის შემოდგომას ვწურავდი უკვე და სატრფოს ღალატით გულგატეხილი თალხს დღეებს ჩემსას მხოლოდ მით ვფენდი იერს, რომ ჭეშმარიტს სიყვარულს ვეძებდი ყველგან... და რა გიხილე შენ, სიყვარულად ქცეული, სიხარულით გამოვეშურე შენსკენ...

მაგრამ...

უცნაური იყო ჩვენი მეორე შეხვედრა, უცნაური...

III

და კვლავ გიხილე...

ნაშუადღევს 4 საათი იქნებოდა. მზე უკვე დასავლეთისაკენ მიეშურებოდა და მკრთალი სხივი მისი ძლივს ატანდა ტყვიისფერ ღრუბლებს, რომლითაც ცა თანდათან იგრანებოდა. შემოდგომა ჰლაფავდა სულს და საზამთროდ გამზადებული ბუნება ხანდაზმულს საპატარძლოს წააგავდა. ხეს ფოთლები გასცვივნოდა და გაშიშვლებულს ტოტებს ჩვეულებრივ არ ამკობდა მწვანე ჯავარი. მუდამ მხიარული და ფერად ყვავილებით გულ ჩაქარგული ჩვენი ბალი სევდის სამოსელში გახვეულიყო ხოლო შემოდგომისაგან ურცხვად გაძარცული ხეივანი ნალვლიანად იგონებდა წარსულ დღეთა დიდებას, როდესაც თავით ფეხამდე მწვანე და ფერად ყვავილებში ჩამჯდარი საერთო ოცნების საგნად იყო ქცეული.

სტიროდა ჩვენი კეკლუცი ბალი და მთელი ჩემი არსებით ვგრძნობდი მის ტანჯვას, მის სულის ძრწოლას. ცხოვრებისაგან მეც ხომ მისებრ ვიყავ გაძარცული. სახე დანაოჭებული, თმა შევერცხლილს წარსულ-ანმყოზე ფიქრი სრულიად არ მანუხებდა, ხოლო მყო-

ბადში ერთი რამ-ლა დამშენოდა: ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი ჟამი — ზამთარი — უნდა ამომენურა, რომ შემდეგ მსგავსად მრავალთა, არყოფნის სამთავროში მეც მეპოვა საუკუნოდ განსასვენებელი ბინა...

სევდით დაისრულს არც შემიმჩნევია, თუ როგორ გაისმა მახლობელ ეკლესიის სამრეკლოდან სამგლოვიარო ზარის ხმა!.. ოჰ, ეს გლოვის ზარი. რა ღრმა და უცნაურ განცდით სავსე გრძნობათ ამშლელია იგი... მე მიყვარს გლოვის ზარი განსაკუთრებით საღამოს ჟამს, როდესაც დღე ნელ-ნელა ჰქრება და მის ნაცვლად ნყვდიადი ეფინება მიდამოს. მაშინ ჰანგი იგი სავსებით იპყრობს მთელს ჩემს არსებას და მე ვგრძნობ, თუ როგორ ენათესავება იგი ჩემს ობლად შთენილ სულს...

გლოვის ზარი ხომ ქვეყნიური, უკანასკნელი საღამია საიმქვეყნოდ გამზადებულ ადამიანისათვის, რომელსაც მუხთალ წუთისოფლისაგან მხოლოდ ერთი რამ-ლა მიჰყვება თან: ხუთიოდე ფიცარი, თეთრი სუდარა და გვირგვინი ყოველივე ამის — გაუმძღარი შავი სამარე... გლოვის ზარი ისევ წკრიალებდა ჰაერში, ხოლო ხმა ტკბილად შეწყობილი სულთათანა, ძველს ქართულს კილოზე თქმული, წარმოუდგენელის ძალით მიმინევდა ეკლესიისაკენ, სადაც უნდა შეესვენებინათ მიცვალებულის ცხედარი. ეკლესიის გაღვანის ხალხით იყო გაჭედული დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს ერთი რამ ჰქონდათ სამწუნხარო: ყველა დასტიროდა ახალგაზრდა ვაჟის უდროოდ სიკვდილს და შებრალებით იხსენიებდნენ ახლად დაქვრივებულს...

და კვლავ გიხილე შენ...

თმა გაშლილი, სახე დახოკილი, მძიმე შავებში გახვეული, შენ თვით განხორციელებული ტანჯვა იყავი. მოულოდნელ უბედურებას სევდით დაეჩრდილა სახე შენი, ხოლო ღრმად ჩამჯდარი შენი დიდროვანი თვალები — ეს უტყუარი სარკე შენი სპეტაკი სულისა — მდიდრულად მორთულს კუბოს დაჟინებით მისჩერებოდნენ და საყვარელ ადამიანის უსულო ცხედრის გარდა ვერას ამჩნევდნენ.

ჩემს უამურად განვლილ დღეთა სვლაში მე ვნახე ერთხელ საუცხოოდ აკვეთილი მარმარილოს ქანდაკება: სახელგანთქმულ მოქანდაკეს ახალგაზრდა ქალის სახეზე უღრმესი ტანჯვა და მწუხარება საოცარი ხელოვნებით ჰქონდა აღბეჭდილი. და მახსოვს, თუ რა მძაფრი შთაბეჭდილება იქონია მაშინ ქანდაკებამ ჩემზე... უნებურად შეგადარე ძვირფას ნაკვეთს უსულოს, მაგრამ მთელი ქვეყნის ტანჯვისა და მწუხარების იდებით განცხოვრებულის მარმარილოს და... მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ რა დიდი და განუზომელი იყო მწუხარება შენი...

დასრულდა ანდერძის აგება. ცხედარი ნელა ასწიეს და გამოასვენეს ეკლესიიდან. მშობელთა და ჭირისუფალთ ქვითინი ლახვრად ხვდებოდა იქ მყოფთა გულს, ხოლო შენ სდუმდი და ხმას არ იღებდი. გლოვა იყო შენს სულში დაბუდებული და, თითქოს გეშინოდა ხმის ამოღებით არ დაგეჩრდილა იგი... და როდესაც სასაფლაოს აღმართს შეუდექით, ისე საშინლად დაუშვა წვიმამ, რომ წუთის განმავლობაში მთელი ქუჩა მდინარედ იქცა. ყველა იქ მყოფი მიიფანტ-მოიფანტა, ცხედართან დარჩნენ მხოლოდ მახლობელი ჭირისუფალნი, შენ და... მე, შენგან უცნობი, მაგრამ შენის მწუხარებით გულ-განანონი ადამიანი...

აჰა, მივალნიეთ კიდევ იმ ადგილს, სადაც უნდა განყვეტილიყო სამუდამოდ შენი და შენი ცხოვრების მაცისკროვნებელ არსების ამ ქვეყნიური კავშირი. აჰა, შავი სამარე, გაუმძღარი, პირქუში სამარე — საუკუნო განსასვენებელი ბინა იმის, ვის მეოხებითაც შენ პირველად სცან და იგემე სიამენი ამა სოფლისა, დასტკბი ჭეშმარიტ სიყვარულის ძლევა-მოსილ განცდით, და საკუთარ ბედნიერებით დამთვრალმა, სულაც არ უწყოდი ამ ქვეყ-

ნად გამეფებული ტანჯვა-ვაება... მაგრამ ცხოვრების ბალნარში ვის მოუკრეფია ვარდი უეკლოდ. და, აკი არ დაგინდო წყეულმა სანუთრომ: მოულოდნელად მოგტაცა ცხოვრების თანამგზავრი, რომელიც შინაარსს აძლევდა მთელს შენს სიცოცხლეს და მით შენს ბედნიერ დღეთა სვლასაც საუკუნოდ მოუღო ბოლო. ამიერიდან ბედნიერება-სიყვარულის ნაცვლად სევდა და მწუხარება მოჰფენდნენ იერს შენი სიცოცხლის სავალს გზას და ასე იქნებოდა მანამ, ვიდრე არ დადგებოდა ჟამი შენი ქვეყნიური აღსასრულისა და ტანჯული სული შენი არ ჰპოვებდა ბინას, სადაც „არ არს არცა ურვა, არცა მწუხარება...“

სულ განაბული ვიდექ შენს წინაშე და თვალს არ გაშორებდი: მეშინოდა, არ გამომპაროდა შენი სახის თვით უმცირესი მოძრაობა. შენ კი კვლავ სდუმდი, ხმას არ იღებდი... მხოლოდ მაშინ, როდესაც ასნიეს კუბო და სამარის პირად დაასვენეს, საშინელი კივილი აღმოგხდა გულის სიღრმიდან და მონყევით დაეკონე საყვარელ სატრფოს გაცივებულს მკერდს. დიდი ხნის დაგუბებულმა გრძნობამ ეხლა ჰპოვა გამოსავალი, უცებ გადმოხეთქა. და მთელი სხეული შენი ისე კრთოდა და კანკალებდა, ვით ქარისაგან წაღებული მხოლოდ ვერხვის ფოთოლი...

და, როდესაც ძალდატანებით მოგწყვიტეს კუბოს: მე, შენი მწუხარებით დამწვარმა, ვერ დავთმე და ისევ მოგიახლოვდი შენ, ჩემგან უცნაურს პირობებში ოდესღაც ნახულს, ჩემს გულში მშვენიერებისა და სიყვარულის ხატებათ ჩაქსოვილს...

ჩუმად, ხმის ამოუღებლად გამოგინოდე ხელი. შენ თითქოს იგრძენი შენსავით ობოლ ნათესავ სულის მოახლოვება და გამონვდილი ხელი ნდობით ჩამომართვი. და, ჰოი განგებავ, რა მალე გალღვა ის გაუგებრობის ყინული, რომლითაც მოცული იყო ჩვენი წინანდელი ორგზობითი შეხვედრა. საკმარისი იყო ჩვენი მთრთოლვარე ხელები მხოლოდ ნუთით შეხებოდნენ ერთმანეთს, რომ წარსულში არსებულს ყოველივე გაუგებრობას ერთბაშათ ბოლო მოღებოდა და ნაცვლად უხილავი მაგრამ მრავალ მეტყველი სიმი გაბმულიყო ჩვენს შორის... ამიერიდან ჩვენ გვესმოდა ერთმანეთის გულის ნადები... ფარული აზრები...

ვაი, რომ სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე შევიძლეთ მხოლოდ ერთმანეთის შეცნობა!..

მწუხარება ჰქსოვდა ჩვენი სულის შემაერთებელს ძაფს და იგივე გაიდო ხიდათ აქამდე ჩვენს შორის არსებულს გაუგებრობის უფსკრულზე, რომლის ამოვსებაც ვერ შესძლო შენში განსახიერებულმა მშვენიერებამ, და ყოვლის შემძლე სიყვარულმა...

მაგრამ გვიანლა იყო...

სახე დანაოჭებულს, თმა შევერცხლილს, ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი ჟამი — ზამთარი — უნდა ამომეწურა, რომ შემდეგ არ ყოფნის სამთავროში, მსგავსად შენი მეგობრისა, მეც მეპოვა საუკუნოდ განსასვენებელი ბინა...

მწუხარებამ შეგვაერთა ჩვენ მხოლოდ ერთი ნუთით და... სამუდამოდ დაგვაშორა ერთმანეთს...

მხოლოდ თვალებით გითხარი უკანასკნელი მშვიდობით და გაგცილდი სამუდამოდ... უცნაური იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაც, უცნაური...

ლადო ახოზაძე

სტამბოლი, 1919 წ.

მოზროვნე „ტრილობიტი“

(A mon cher maitre, Monsieur, le professeur Douis Dolleo).

ახალ-გაზრდა სტუდენტი ლაბორატორიაში მაგიდასთან იჯდა. დილა იყო. ის დღეს ადრე მოვიდა სამუშაოდ; ამ ორ დღეში გამოცდა უნდა ჩაებარებია და ამიტომ გულმოდგინედ ემზადებოდა. მის წინ, მაგიდაზე რამდენიმე პალეონტოლოგიური ნიმუში, ოდესღაც ყოფილი ცხოველების ნაშთი, ეწყო. ერთი ნიმუში მან ხელში აიღო. ეს იყო ტრილობიტი კიბოს მაგვარი, უუძველესი გეოლოგიური ხანის, ცხოველის, მოლურჯო თიხნარ ქვაზე აღნაბეჭდი. „ეს არის ტრილობიტი“, — დაიწყო სტუდენტმა და თან რვეულში იხედებოდა, — „ტრილობიტი იმიტომ ჰქვია, რომ სამ ნაწილად, სამ აბორცვალად, იყოფა როგორც სიგრძეზე, ისე განზე. ეს ნაწილებია, სიგრძეზე: თავი, ტანი და ბოლო, ხოლო... ეს, ღმერთიც დასწყევლის! ამის სწავლაც ერთი ხათაბალა კია... რა უხეირო პროგრამაა... მე მომავალ ექიმს, ესენი, აბა, რად მეჭირვება; უამისოდ კი კანონით შეუძლებელია, თუ არ დავისწავლე, გამოცდის დროს ჩავიჭრები... ჩვენი პროფესორი სასტიკი კაცია, ყოველგვარ უმეცრების მიმართ შეუბრალებელი... ეს! ერთი ჩქარა მოვრჩებოდე აქაურობას“ — ამბობდა გულში ყმანვილი კაცი და სიხარულის ნაპერწკლებით თვალები ეწვეებოდა. მან თავისი თავი უკვე ექიმად წარმოიდგინა... და მერე, როგორ ექიმად, ერთ კარგ ექიმად, აი, ის უკვე ექიმია, სოფელში... არა... რატომ, სოფელში კი არა, ქალაქში... პატარა სამაზრო ქალაქში კი არა, დიდ... სატახტო ქალაქში. მას უკვე ბევრი იცნობს, მასთან ბევრი ავადმყოფი მოდის, ასე გასინჯეთ, შორეული უბნებიდანაც კი მოდიან მასთან, თუმცა ქალაქში ექიმი ქვიშასავით ყრია. მან უკვე რამდენიმე ძლიერ პასუხის საგები „ოპერაცია“ ჩინებულად გააკეთა და დიდი სახელიც მოიხვეჭა... ის უკვე სახელოვანი დოსთაქარია, მას უნივერსიტეტში პროფესორად ინვევენ... კაცი საკმაო ქონების პატრონი უნდა იყოს, რომ ის მოიწვიოს; ას ფრანკზე ნაკლებს მას ვერ შესთავაზებ...

* * *

„ემშაკს წაუღია, ოცნებამ გამიტაცა“ — გამოერკვა ყმანვილი კაცი და ისევ ტრილობიტს მიუბრუნდა: „თავის შუა მოგრძოდ აბორცვილს გლაბელი ჰქვია, ის ხშირად დაღარულია განდაგან, ასე გგონია, ნაოჭებიან... ჰო, მართლაც და ამ ტრილობიტის თავს, რომ დაუკვირდეთ, გასაოცარი რამეა... ერთი შეხვით, რანაირი დანაოჭებული შუბლი აქვს, თითქო ფიქრობსო, თითქო აზროვნობსო, ასე გგონია, დიდი რამ ამოცანის ახსნაში იყო გართული და იმის გადაწყვეტის ფიქრებში საუკუნოდ დაუხუჭავს თვალები... ეეს! ექვსი წელიწადი კიდევ წინ მიდევს გადასაყლაპავი, რამდენი მუშაობა, რამდენი შრომა, რამდენი გამოცდა, რამდენი ძიქვა გაცვდება ამ ხნის განმავლობაში... კარგი ექიმი მაინც გამოვიდოდე ეგ ოხერი... კარგად მოვენყობოდე, კარგად გავიმართებოდე; ერთი საშუალო, მაგრამ ლამაზი სახლი, კოხტა „ოტო“... მდიდარი და ლამაზი ცოლი... ეს ცოლის არჩევაც ხომ დიდი თავის ტეხაა. იქნებ ისეთ ანჩხლს ვისმე წააწყდე, რომ სადოსტაქრო ნესტარის სავარჯიშოდ საკუთარი გულ-მკერდი აგარჩევინოს“...

„ვაჰ! ეგ რა მომდის! დღეს სულ ვვოცნებობ“ — უკმაყოფილოდ თავის დაქნევით ნაიბუტბუტა სტუდენტმა და ისევ ტრილობიტს მიუბრუნდა.

„თავი, ესე იგი, წინა ნაწილი ტრილობიტს ნახევრად მრგვალი აქვს, ცოტათი ფარს წააგავს. წინა კიდეზე არშია აქვს გამოვლებული. ამ არშიას ლემბი ჰქვია... დღეს ადრე რომ მოვედი ლაბორატორიაში, ეს სწორედ კარგი ექენი, ჯერ, სანამ ჩემი ამხანაგები არ მოსულან, ტრილობიტები ყველა უნდა გადავსინჯო, თორემ, როცა ყველანი მოგროვდე-

ბიან, მაშინ ხომ ერთი ალიაქოთი ატყდება და ბევრს ვერასფერს გავაკეთებ... ტრილობიტები კი არა, მეტი არ იქნება, „ბრაკიოპოდებიც“ რომ განვიმეორო“...

„ეგ რა მემართება, დღეს ჩემ თავს ვერა ვცნობ, სულ ვოცნებობ“ — ჯავრობდა ყმანვილი კაცი, — „არა, ახლა კი ბეჯითად საქმეს უნდა შეუდგე... ტრილობიტს თავის შუა აბორცვილი აქვს, მოგრძო, ამას გლაბელი ჰქვია, ეს ხომ ვთქვი ერთხელ, აი ესაა, ასე რომ, საუცხოოდ დანაოჭებულია ტვინით... ჰაი, ღმერთო! ვითომ ნამდვილად ფიქრობდა რასმე ეს ერთი ბენო ცხოველი? ესეც ვითომ რასმე სწავლობდა? აბა, რას ისწავლიდა ზღვის უფსკრულში... მე კი ნამდვილი საქმიანი სწავლა მაშინ დამენწყება, როცა ადამიანის ანატომიის გაცნობას შევუდგები და მკვდრების გაჭრას დავინწყებ. ცოტა არ იყოს ჭუჭყიანი სამუშაო კია, მაგრამ დიდად საინტერესო... სხვა გზა არაა, თამამად უნდა მოვკიდო ხელი, არ უნდა შემეზიზნოს რამე. ზიზლი რა ექიმის საკადრისია. აკი პროფესორმა გვითხრა: „ბუნებაში არც სუფთა არსებობს რამე და არც უსუფთაო, წმინდა და ჭუჭყიანი ეს მხოლოდ ფილოსოფოსების მიერ გამოგონილია, ბუნებაში ე. ი. სინამდვილეში, მხოლოდ ქიმიური შეცვლა გამოცვლა და კომბინაციაა“.

„ფუ! ეშმაკსაც წაულია, ეს მეტის მეტია“ — ბრაზობდა სტუდენტი „დღეს მე თითონ ჩემ თავს ვერა ვცნობ, ამდენი ოცნებაც არ გამიგონია. ვა! შუაგულ სახარაში ხომ არა ვარ. ეი, შენ, კაცო? ჩემო თავო, ჯერ იმეცადინე და მერე იოცნებე! — კი ბატონო, თუმცა დაღლილი კი ვარ გულის სიღრმეში რომ ჩავიხედო, ნუხელაც ცუდად მეძინა. გლამელის აქეთ აქით ყბებია, ყბებს შუა მთავარი ნაწიბური გადის და ყოფს მას ორ ნაწილად: შიგნიდან არის ყბა უძრავი, გარედან მოძრავი. ყბა ყბის შუა არის აგრეთვე თვალი... ზოგს... არა... აქვს... ზოგს ძლიერ... ალბათ კარგად... ხე...დავ...და...“

— ჭეშმარიტად. — კვერი დაუკრა ტრილობიტმა. ერთიც წამოხტა და ისევ დადუმდა. კეფის ნაოჭები კიდევ უფრო შეიჭმუხა.

ყმანვილ კაცს ტანში ჟრუანტელმა გაუარა... „შეხეთ, ღმერთო ჩემო, ტრილობიტი ლაპარაკობს“ — გაუელვა მას გულის სიღრმეში.

— ეგ რა ფიქრი მოგდის, რატომაც არ უნდა ვილაპარაკო, რატომაც არ უნდა ვიფიქრო და ვიაზროვნო, თამამად განიმეორო ტრილობიტმა და მაგიდაზედ ახტა და დახტა, — განა გიკვირს? შენ ხომ ლაპარაკობ, ფიქრობ და აზროვნობ.

„როგორ არ მიკვირს, მე თუ ვაზროვნობ, მე „ჰომო საპიენსი“, ადამიანი ვარ“ — თითქო თავის და უნებურად გაუელვა ფიქრმა სტუდენტს.

— რაო, რა იფიქრე? „ჰომო საპიენსი“ ვარო?, ხა, ხა, ხა, ხა, — ხარხარებდა ტრილობიტი და მაგიდაზედ წამ და უნუმ ხტოდა, თითქო ლეკურს უვლისო, — „ჰომო საპიენსი“, სწორედ დიდი ვინმე ყოფილა! — აქ ტრილობიტი საშინლად გაიბერა, ისე გადიდდა, რომ სტუდენტის პირამდე მოახწია, მერე ისევ დაპატარავდა, შეხტა და შემოტრიალდა. „ღმერთო ჩემო, გულთ-მისანი ყოფილა“ — ფიქრობდა ყმანვილი კაცი და სულს ძლივს იბრუნებდა.

— რაო? გიკვირს, რომ გულთ-მისანი ვარ, — დინჯად წარმოსთქვა ტრილობიტმა, თითქო კარგად მომზადებული პროფესორი თავისს კურსს შესავალს უკეთებსო, — არა, ჩემო ბატონო, აქ საკვირველი არა არის რა. თქვენ, შვილოსან, ადამიანებს, „**ჰომო საპიენსებს**“ — დაცინვით ხაზი გაუსვა ამ სიტყვას ტრილობიტმა, — სულ ტყუილად, გადაჭარბებულად მოგწონთ თავი, სულ ტყუილად იბერებით, ძველი ტიკტორასავით. ყველაფერი კარგი, გონიერი და მაღალი თქვენ საკუთარ საქმედ და ნამოქმედარად მიგაჩნიათ. მეტყველება კი თქვენ დამახასიათებელ თვისებად გაქვთ წარმოდგენილი. რა ყოყორებაა, რა ტყუილია, რა უმეცრებაა!

* * *

— აკი, ადამიანი ბუნების გვირგვინიაო — გაუელვა თავში ყმანვილ კაცს. ოდესღაც გიმნაზიის რეტორიკის კლასში ყოფნის დროს ამონაკითხი ფრაზა მოაგონდა და მაშინათვე შეეცადა ფიქრი შეეჩერებინა, ტრილობიტი უკვე მიუხვდა.

— ბუნების გვირგვინი, ე. ი. დამავირგვინებელი! — ისევე დინჯად სრულებით უკომენტაროდ გააგრძელა ტრილობიტმა. — ბუნების დავირგვინებაზე რა მოგახსენო და ბუნების დანგრევაზე რომ ყოჩაღები ხართ, ეს კი ცხადზე უცხადესია. თქვენი საქმე, ჩემო ბატონო, სხვა არა არის რა, თუ არა ბუნების მშვენიერი ნამოქმედების დაქცევა და დანგრევა. სჩეხავთ, უწყალოდ და უაზროდ ანადგურებთ თვალ წარმტაც ფიჭვნარ-ნაძვნარი-იფნარებს: ამტვრევთ და ამსხვრევთ ახოვანად ზე ატყორცნილ კლდეებს, სდევნით და ხოცავთ მაგ კლდეებზედ ამაყად მოსიარულე ჯეირნებს და ჯიხვებს... დაოხრებული და განადგურებული ტყე-კლდეების მასალას მიათრევთ და შეხანხლავთ რალაც ტლანქ ხუხულაკებს, რომელსაც სახლებს და სასახლებს უწოდებთ და იქ ნახევარ სიბნელეში, მტვერში და სინესტეში ყოფნით იფუჭებთ, უიმისოდაც ბუნებით დაზიანებულ ფილტვებს, რომ უდროოდ ჩაბარდეთ პატრონს. ქვეყნის ყველა ცხოველი, ყველა მცენარე და სხვა სიმდიდრე თქვენ საკუთრებათ მიგაჩნიათ. მერე რატომ, შვილოსან, რომელი კანონის ძალით; თქვენც ისეთივე ცხოველები ხართ, ისეთივე ბუნების შვილნი, როგორც სხვები. ეს საყოველთაო დარბევის უპირატესობა კი ვინ მოგანიჭათ. „დალახვრა ღმერთმა, აკი ჩვენ მივალწიეთ გონიერების უმაღლეს საფეხურამდე... შევიგნეთ თითქმის ძმობა, ერთობა, თავისუფლება“... — მაინც არ ასვენებდა ფიქრი სტუდენტს, თუმცა გაბედულად პირდაპირ წამოძახებდას ტრილობიტის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ველარ ბედავდა.

ტრილობიტი კი მის გულზე ისე კითხულობდა, როგორც გამოცდილი დიაკვანი დავითნს. ახალგაზრდამ მოფიქრებაც ვერ მოასწრო, ხოლო ტრილობიტი უკვე სხაპა-სხუპით, თუმცა გულდამშვიდებულად პასუხს აძლევდა.

— სიყვარული, ძმობა, ერთობა, თავისუფლება? — დასცინა ტრილობიტმა. მე კი ჩემ თავს ნებას მივცემდი მომეხსენებინა პირიქით: სიძულვილი, გაუტანლობა, ეგოიზმი და მონობა, საცოდავი მონობა, აი, რა არის, ბატონო, თქვენში ნამდვილად გამეფებული. ბუნებას ყური გამოუჭედეთ ამდენი სიყვარულის ქადაგებით, სინამდვილეში კი ხოცავთ და ყლტავთ უმონყალოდ ერთმანეთს. რისთვის? ხან ღვთის, ხან მეფეების, ხან თავისუფლების სახელით, მაგრამ სახელი რაც გინდა ის დაირქვი, სისხლი კი იღვრება. მკვლელობა ყოველთვის მკვლელობაა, სახრჩობელა ყოველთვის სახრჩობელაა, ბრძოლის ველი ყოველთვის ბრძოლის ველია, საზიზღარი და თქვენ გარდა ყოველი ცოცხალი არსებისთვის დასაგმობი. სულ ერთია, თუ რა იყო ამ ვერაგობის გამომწვევი მიზეზი, შედეგი მაინც საშინელებაა. თქვენი თავი თავისუფლად მიგაჩნიათ. რა სიბეცეა, უბედურნო, იმასაც კი ვერ ამჩნევთ, რომ თავისუფალი კი არა, უძლურნი, თქვენივე მეზობლის მონები, ყმები ბრძანდებით. შენ უკვე მისდევ თვალ ახვეულად, ბრმად შენს მეზობელს. მოუფიქრებლად იწყობ შენს ცხოვრებას ასე, როგორც შენი თანამეგობს, რაგინდ მავნებელი და უხერხული იყოს იგი. სხვა ნაირად რომ მოიქცე, გეშინია, ჩემზე ცუდად იფიქრებენო, ცუდს იტყვიანო; გულში კი ფიქრობ, თავს იტყუებ, მე ადამიანი ვარ თავისუფალი მოქალაქეო, ხა, ხა, ხა, თავისუფალი მოქალაქე? აჯავრებდა ტრილობიტი და პირფართედ იცინოდა.

„ჰაი, ეშმაკსა, რამსიდიდე პირი ჰქონია, ჩვენთვის კი პროფესორს ტრილობიტის პირზე არა უთქვამს რა“ — ხეირიანად ვერც კი გაუელვა თავში სტუდენტს, რომ ტრილობიტი უკვე პასუხს აძლევდა.

— სტყუი, ბატონო, როგორ არ უთქვამს ძალიან კარგათაც გითხრათ ბ-მა პროფესორმა, დაფაზედაც დაგიხატათ, მაგრამ შენ იმ დღეს უნივერსიტეტში არც შეგიხედნია, პარკში ვილაც კოხტა კაბიანს და ლამაზ, სიფრიფანა წინდებიანს უკან დასდევდი. პირი კი მაქვს, მაგრამ არა თქვენსავით გაუმაძღარი. — ნაზად დაუმატა ტრილობიტმა.

* * *

— ღმერთო, ღმერთო! — კანკალებდა სტუდენტი, მას უკვე ცივ ოფლს ასხამდა.

„ღმერთი? აი, სწორედ სიტყვაზე, ყველაზე უფრო სასაცილოა იმ უბედური თქვენი ღმერთის მდგომარეობა, — გააგრძელა ტრილობიტმა. — ვაი, მისი ბრალი! მუხლს იყრით მის წინაშე და ევედრებით, კარისკაცებს ირჩევთ, რომ ღმერთთან საქმე გაჩარხოს, ქრთამს აძლევთ და ფეშკაშები მიგაქვთ, მერე რისთვის, რასა სთხოვთ? იმას რომ ისეთივე ცხოველი, თქვენი სასიქადულო „ჰომო საპიენსი“ დასაჯოს, ნააგებინოს საქმე თქვენდა სასარგებლოდ, ყოველი მისი ქონება თქვენზედ გადმოიტანოს. მაგრამ იმავე დროს ის თქვენ მიერ ათვალისწინებული „ჰომოც“ ფიზიკადაა, ისიც მუხლს იყრის და ღვთის ქურუმთან ქრთამს ამზადებს, რაც შეიძლება მჭერმეტყველურად გამოხატოს ღვთის წინაშე შენი დაქცევის, დამცირების, ხოლო მისი აშენება-ამაღლების ღალადისი, და ასე იქცევით, შვილო, არა ერთი და ორი, ათი და ასი, ათასი და ორი ათასი, არამედ ასობით მილიონები. ის კი ერთი, გესმის კარგათ ერთად ერთია, ვის გაუგონოს, ვის დაუფეროს ვის გაამარჯვებინოს. სწორედ რომ საშინელებაა მისი მდგომარეობა. მე ის სწორედ რომ მეცოდება, მას სრულებით საბუთი არა აქვს, რომ ვისმე დაემდუროს თქვენთაგანს. თუ იტალიელებმა წაპეტრეს დიდებული ტაძარი აღუშენეს, გერმანელებიც არ დამსხდარან გულ-ხელ დაკრეფილნი, მათ იმავე ღვთის სადიდებლათ კოლნის ტაძარი, არა ნაკლებ დიდებული აუგიათ; თუმცა ფრანგებს უღვთოებს ეძახიან, არც იმათ დაუვიწყნიათ ღმერთი, რადგან პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი თავს არსად არ დამალავს, ან თქვენი წმიდა გუდული, ვითომ რა ცუდია. წარმოიდგინეთ ქართველებსაც, ერთ-ერთ პატარა ერს წინა აზიაში, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი მუდამ სხვისი უხეში უღლის სატარებლად გახლავთ გაჩენილი, მაინც სადღაც მოუძებნიათ დრო, მოუკრეფიათ მხნეობა და მცხეთის ტაძარი აუგიათ. მინგრეულ ქოხმახებს შორის კი არა, სადაც ახლა სდგას, „ბულვარ ანსპაკზე“ რომ გამოჭიმო, მასაც კი დაამშვენებდა. სხვა რამდენი ასი და ათასი გინდა ჩამოგიტვალო, ის კი, ღმერთი, ერთია, რა ქნას, ვისი მხარი დაიჭიროს, ვისკენ უფრო გადაიხაროს; ყველა კი, ერთი მეორის დაქცევა-დარბევას სთხოვს. აი, ასეთია, შვილოსან, თქვენი ლოლიკა, რაც ყველა ცოცხალ არსების ლოლიკაზე უფრო შეგნებულ და უფრო მაღალი გგონიათ. მე კი მაგისტანა ლოლიკას გზაზედ რომ მენახა, არ ავიღებდი. საცოდავ ლანგულას მუდამ ზღვის ძირში მიკრულს და უტვინოს, იმასაც არა აქვს ასეთი სუსტი ლოლიკა.“

* * *

— ეს მეტის მეტი შეურაცხყოფაა, ბატონო ტრილობიტო. — როგორც იყო მოიკრიბა მოქალაქეობრივი მხნეობა სტუდენტმა.

— ოო! მაღლობა მომიხსენებია, ახლა მეძახით ბატონ ტრილობიტს, როცა მეტყველება დავიწყე და გულთმისნობა გამოვიჩინე, ჩქარა მოუჭრა ტრილობიტმა. — წინეთ კი, შე კაიკაცო, ზიზლით და სრულებით უბოდიშოდ ხელში მათამაშებდი, როგორც უბრალო ლურჯი ქვის ნაჭერს, რა ხანია, თქვენი ლაბორატორიის ბიჭი ლუიაც შეურაცხყოფას მაყენებს და არც ერთი თქვენთაგანი არ გამომქომაგებია, რომ მისთვის ეთქვა: „ამხანაგო ლუი, ისიც კმარა, რომ ჩვენ სტუდენტებს უკმეხად გვექცევი“. აი, იმ დღესაც პროფესორ-

მა უბრძანა: ლუი, ამ ტრილობიტს ტუალეტი სჭირია, მეტად გაჭუჭყიანებული ამდენი ხელდახელ ტარებითო, ქლორის ნყალ-ჟანგში გარეცხე და გაასუფთავეო. ჯერ უნდა მოგახსენო, რომ „ტუალეტის“ გავონებაზე მე სულ მურივით გავშავდი. ე. ი. თქვენებურად, „ჰომურა“-დ, რომ ვსთქვათ გავნითლდი და ეს სრულებით საკვირველი არაა, რადგან გამოვცდები, რომ იმ დროს, როცა მე ზღვის უფსკრულებში დავცურავდი, დედრობითი სქესისა ვიყავი, ერთი საუკეთესო ქალიშვილის სახელი მქონდა გავარდნილი ტრილობიტთა შორის. რამდენი ღირსეული და გულადი „Paradoxydes“-ები შეჯახებიან ერთმანეთს ჩემი გულისათვის და თავიანთი გრძელი ყბის წვერები აუთამაშებიათ. მგონი, ნახევარზე მეტი ჩემი გულისთვის მიანყდა ერთმანეთს. და აი, ამისთანა ღირსშესანიშნავ ტრილობიტს იმ ტლანქმა ხელი მომავლო და ბუზლუნით წყლით სავსე კასრში გადამისროლა. „მე ხომ ამ ქვის ნატეხის მონად გავჩენილვარ, ბუტბუტებდა ის უხეში ლუი, „რაც მე ეს მირეცხია, ბოლო არ უჩანს. გაიქონება მა რა იქნება, მიღეთის ხალხი მას ხელში ატრიალებს. ღმერთო, რა დღეს მოვესწარი მე, ყოფილი პოლიციელი; ბევრი ხანი არაა მას აქეთ, რაც მე თავზე ორმაგად ბრტყელი სირმა მოვლებული ქუდი მეხურა და ახლა კი ტრილობიტის მეტუალეტე გავხდი. ჟანგი? ჟანგი კი არა, არ უნდა, ფერუმარილი? „ტუალეტი“? „პორტდანამიურის „კოკოტი“ ხომ არ არის“, ასე მამცირებდა ის უხეში და თან მისი დასიებული, ნაპრალეზიანი ხელებით მრეცხდა. და ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ვგრძნობდი თავს მე ტრილობიტთა შორის თვალ წარმტაცი ქალწული.

* * *

— მაშ, ქალიშვილო ტრილობიტო, — მხიარულად და თვალების ანთებული ბრიალით, გაანყვეტინა სტუდენტმა და თითონაც ვერ გაეგო, თუ ასეთი სიმხნევე საიდან მოდიოდა.

— ჰო, ახლა შენც არშიყოზა დამიწყე, — ნაზად წარმოსთქვა ტრილობიტმა და მართლაც გაშავდა, მერე განათლდა. სტუდენტი დააჩერდა. ეს ტრილობიტი სრულებით არ იყო, მის წინ მშვენიერი, კოხტად გამონყოზილი ქალიშვილი იდგა. აი, სწორედ ის, რომლისთვისაც იმ დღეს იმდენი დრო და გაკვეთილიც გაცდინა, მაგრამ მისი ყურადღების ღირსი მაინც ვერ შეიქმნა. ახლა კი ქალწული პირდაპირ სახეში შესცქეროდა თავისი დიდრონი ნაცრის ფერი თვალებით. ღმობიერად ეთამაშებოდა. „შენ დღეს, ჩემო სულიკოვ, ბევრი იმეცადინე, — სიცილით უთხრა ქალმა და წამნამები აათამაშა, — ტრილობიტებიც გაიმეორე და ბრაკოოპოდებიც. უჰ! რამდენი იმეცადინე, შენ კი თავს შემოგეველე, უეჭველია, გამოცდაში გაიმარჯვებ და ბოლოს დიდი ექიმი გამოხვალ. ფულს ბევრს იშოვნი ავადმყოფების მორჩენით, ე. ი. მათი საიქიოს დანიშნულ დროზე ადრე გამგზავრებით და იმ მობოჭილ ფულით მე ბრილიანტებს მიყიდი და ცოლად შემირთავ. რომ იცოდე, მერე რა ბედნიერად ვიცხოვრებთ? შენ შემცდარი ხარ, ამას წინად რომ გაიფიქრე სააპერაციო ნესტარით თავი არ მომაკვლევინოსო. არა, ნესტარი რად გავსვაროთ, უბრალო თოკითაც შეიძლება თავის ჩამოხრჩობა და გარწმუნებ, რომ ეს ძლიერ სუფთა და უტყუარი საშვალეზაა სასონარკვეთილთათვის“.

ყმანვილ კაცს თავი ერთობ დაუმძიმდა, სული შეეხუთა, შიშმა აიტანა, თვალები დახუჭა, ისევ გაალო. მის წინ იგივე ტრილობიტი იდგა თავის წვეტიან „პიგიდიუმზე“ დამდგარი და მრისხანედ უყურებდა.

— ქალბატონო ტრილობიტო, — ზრდილობიანად მიმართა სტუდენტმა.

— რას მიბრძანებთ... ვიცი, რაც გინდა მთხოვოთ, მე ხომ გულთმისანი ვარ. გამოცდამდე, ჩემო ბატონო, ერთი დღეა დარჩა, თქვენ კი ჯერ არაფერი გაგიკეთებიათ. ჩემთ-

ვის ტრილობიტის დარქმევა არ კმარა. პროფესორი ამას არ დაგჯერდებათ, უფრო მეტი წვრილმანები უნდა იცოდეთ ჩემზე. „ეს რომელი ტრილობიტიაო“, პროფესორი რომ გეტყვის, შენი ამბავი რომ ვიცე „ფაკოსა“-დ მომნათლავ, ნამდვილად კი მე დალმანაია ვარ, ქვედა სალუზიანისა. ყველა ეს თქვენ „ჰომო“-ების მიერ მოგონილი სახელებია, თორემ ნამდვილ ჩემ სახელს თავისს დღეში ვერ გაიგებთ, რადგან ჩემი სახელწოდება და დაბადების აღნუსხვა გენეზისის ფიქალზეა აღბეჭდილი და ქვეყნის შუაგულის უფსკრულისაკენაა გადასროლილი. მას შემდეგ სწორედ ას ოცდა რვა მილიონი ოთხას სამოცდა ხუთი ათასი, შვიდას ოცდა რვა წელიწადი შვიდი თვე, სამი დღე, ცხრა საათი და რვა წუთია, ხოლო დანარჩენი რამდენი წუთი გაიარს კიდევ ჩვენ მუსაიფში, ის შენ თვითონ გამოიანგარიშე, საათი ხომ გაქვს, და მიუმატე.

— ქალბატონო ტრილობიტო, — ხვეწნით ამბობდა სტუდენტი, მაგრამ აქ ტრილობიტი ახტა და დახტა, ისე მაღლა ხტებოდა რომ ყმანვილ კაცს თითქმის ცერამდე სწვდებოდა. ამავე დროს საშინელი ჭეჭა და ქუხილი მოისმოდა.

— ხა, ხა, ხა. — ისმოდა საერთო ხარხარი. „კაცნო, თავი დაანებეთ იძინოს, რას დაეძებთ“.

— ხა, ხა, ხა, ტუჩებს, როგორ აცმაკუნებს თითქოს ლოცულობსო. — ისმოდა ხმა.

— ალბათ ესიზმრება რალაცა...

— ხა, ხა, ხა, ხა...

„ოოჰ!“ — გააზმორა ტრილობიტთან მოსაუბრე სტუდენტს და თვალეები ოდნავ გააჭყიტა. „დასწყევლოს ღმერთმა, ტრილობიტი ლაპარაკობდა“... — ნაიბუტბუტა მან ჯერ კიდევ ძილისაგან გამოურკვეველმა.

— ტრილობიტი ლაპარაკობდაო? ხა, ხა, ხა, ხა... — იცინოდენ სტუდენტები.

— პატიოსანი სიტყვა, ცხადი იყო, მგონია, ღმერთმანი!

უიარაღო

„გარსი მარადი“

„ყველა დაშრება, ყველა გაქრება, გზას გადასცდება სატურნი, მარსი.

მოკვდება ღმერთი, მოკვდება ჭია და შეიცვლება უაზრო ფარსი.

მზე დალეული დღეების ტრიალს ნაუვა ფერი და შინაარსი.

გარდაუვალი დარჩება მხოლოდ მარადი გარსი, „მარადი გარსი“.

ეს არის მთავარი აზრი კონსტანტინე გამსახურდიას ახალი პოემის. და განა მარტო გამსახურდიას პოემის? გარდაუვალი კლდესავით არის აღმართული ეს საკითხი მთელი კაცობრიობის წინაშე. ყოველივე წარმავალია, ამ ქვეყნად. „ყველა დაშრება, ყველა გაქრება, გზას გადასცდება სატურნი, მარსი“, უაზრო და უთავებოლო ფარსად გადაიქცევა ყოველივე გარშემო. დაეკარგება შინაარსი მზე დალეულ დღეებს. გარდაუვალი დარჩება მხოლოდ გარსი მარადი. დიახ! მართალია პოეტი. ყველაფერს ამ ქვეყნად სიკვდილის დალი ასვია. ყოველივე გარშემო წუთიერი და ტრალიკული იერიითაა დაშტამპული.

სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, იმდენადვე ძველი საკითხია, როგორც თვით ადამიანის არსებობა ამ ქვეყნად. ამ საიდუმლოების გარშემო ტრიალებდა კაცობრიობა. ყოველი საუკუნე, ყოველი ხანა, უუძველესიც კი ამ საკითხის გადაჭრას ლამობდა. წყურვილი

ძებნისა, გრძნობა მარადისობისა და ამაოებისა ყოველ ჟამს თან დასდევდა ადამიანის დანალვლიანებულ გულსა და სულს. ვერ გაეგო, თუ საიდან წარმოსდგა სიცოცხლე და რა არის სიკვდილი. სად არის დასაწყისი და დასასრული სიცოცხლისა. დასტიროდნენ თავისი გონების უძლურებას, დასტიროდნენ იმას, რომ ვერ დაეძლიათ თავისი უძლური გონებით ფიზიკური არსებობის წარმავლობა.

მრავალ საუკუნეთა წინ ქრისტეს დაბადებამდე ამავე პრობლემებს ვამჩნევთ ძველ ინდოეთელთა წმ. უპანიშადებში: აკვირდებოდნენ სიცოცხლის პრობლემას, სიცოცხლის საიდუმლოებას, ვერ შერიგებოდნენ იმ აზრს, რომ ადამიანის სიცოცხლე წარმავალია, რომ მისი სხეული სიკვდილის შემდგომ მტვრად უნდა იქცეს, გაქარწყლდეს ეს წყურვილი ძებნისა. ეს უსაშველო ნაღველი და მწუხარება მოსჩანს ღვთაებრივი პლატონის დიალოგებში.

რა არის ბრამანთა და ბუდას ფილოსოფია, კონფუციუსისა და ლაოძის მოძღვრება, ელინთა სიბრძნე, მეთვრამეტე და, მეოცე საუკუნის ფილოსოფოსთა უძლური ემპირიული საზღვრების გადალახვის სურვილი... საუკუნემ განვლო. მას შემდგომ, რაც კანტმა აღნიშნა, რომ არის მცნება, რომელიც ექვემდებარება ჩვენს შეგნებას, შემეცნებას; ადამიანს შეუძლიან დასძლიოს, გაიგოს, შეითვისოს ის, რაც ჩვენი შემეცნების ფარგლებშია მოთავსებული, რასაც ჩვენ ვხედავთ, განვიცდით დამოუკიდებლად. მაგრამ იმასთანავე შეუძლია იმისი ცნობა, გაგება, წარმოდგენა, შეთვისება და სინამდვილეთ აღიარება, რაც ჩვენს შეგნებას აღემატება, ის რაც ტრანსცენდენტალურ მხარეს ეკუთვნის, გაუგებრობისა და საიდუმლოების ბურუსით არის მოცული და დაფარული.

არის მხარე, რომელიც ექვემდებარება ჩვენს შემეცნებას და არის ღამითი მხარეები ბუნების მეტყველებისა, სადაც ჩვენი შემეცნება უძლურია. და ამ აზრის უკუგდება, ემპირულ საზღვრების გადალახვა შეუძლიან მხოლოდ იმას, ვინც უმეტეს შემთხვევაში გრძნობას ექვემდებარება.

ამ მხრივ პოეტების და, საზოგადოთ, შემომქმედთა სამეფო ყოველთვის გრძნობათა მხარე იყო.

იქ სადაც ცოდნა, მეცნიერება უძლურია დასძლიოს დაუძლეველი, ახსნას აუხსნელი, პოეტი — შემომქმედი მძლეთა-მძლეთ ხდება. გრძნობას ამეტყველებს, ფანტაზიის ფრთას ასხამს და მისი სიტყვა ამ შემთხვევაში უფრო გასაგებია, ვიდრე მეცნიერების ბრძნული მტკიცება.

თანამედროვე ქართველი პოეტები, რომელთაც ღვთიური ცეცხლი უღვივით გულში და თანაც ნაზი გრძნობების მატარებელნი არიან პოეტები, რომელთაც შეუძლიანთ ათვისება საგანთა და მოვლენათა შეგრძნობა, იწვიან იმ საშინელი ცეცხლით, რომელიც მარადისობის ძიებით, მსოფლიო ამაოების გრძნობით განისაზღვრება.

კონსტანტინე გამსახურდია თვისი ახალი პოემით „გარსი მარადი“, ისე როგორც გრიგოლ რობაქიძე თავისი „ლონდათი“ ერთსა და იმავე საკითხს დასტრიალებენ თავს, მაგრამ მათი მიდგომა ამ საკითხისადმი ერთი-მეორესაგან დიამეტრალურად განსხვავდება.

თუ გრიგოლ რობაქიძემ მსოფლიოს ბედის ტრიალი ფატალურ შემთხვევაზე დაამყარა, და ამ ფატუმის წინაშე ქედი მოიხარა, კონსტანტინე გამსახურდიამ გაარღვია ეს უცნაური რკალი შეუცნობისა და რწმენას დაეყრდნო, მისტიურად ხელმეორედ შობილ-ზეკაცის მოლოდინში.

თუ პირველი სავსებით დაემორჩილა ბნელ ირაციონალურ ძალებს და მსოფლიოს ბედი აუცილებელ კატასტროფით განსაზღვრა — უკანასკნელმა იხილა „ღმერთის პირისჩენა“, „ანთებული ღმერთის თვალები“ და იწამა იგი, როგორც „უკანასკნელი სიმართლე“.

პოეტი მონადინებულია უსაზღვროებას შემოუაროს, შეიცნოს ის, რაც შეუცნობელია და ამ გზით ეზიაროს მარადისობას.

ის, ვინც იხილა „მთა განმენდისა, სინათლე უბესკულებათა, სილატაკე სათნობათა, ჯვარცმულის მეორეჯერ ჯვარცმა“, უსათუოდ „ახალი კაცია“, მაგრამ მან მაინც არ იცის, საიდან მოვიდა „ბნელი“, რადგან ადამიანის ხსოვნაში იგი მუდამ აქ იყო. რადგან „ბნელი უსაზღვროა, უგარსოა, სრულყოფილი“, მან იხილა ის, რაც „არავის უნახავს“. მას ახსოვს ის, „რაც არავის ახსოვს“. და შეუდგა „ახალი ადამიანი“ თვისი თავის ძებნას. მან გაიარა დაღუპულთა ნაპირები, სადაც მილიონებს გაუვლია, მაგრამ ვერ იპოვა უკანასკნელი სიმართლე, რადგან „სიმართლეს ადამიანი ვერ ზიდავს, სიმართლეს ქვეყანა ვერ აიტანს“.

„უკანასკნელი სიმართლე მეორედ შობის რწმენაშია!“ — აი, დევიზი კონსტანტინე გამსახურდიას პოემისა.

მისტიკოსების სისუსტე და, თუ გნებავთ ბედნიერებაც, სწორედ ამ რწმენაშია.

კ. გამსახურდიას სწამს, რომ არსებობს „ძალა უსხეულო“, როგორც ბარათაშვილს და ვაჟას ესმოდათ ენა და მეტყველება „უასკოთა“. მას სწამს უკვდავება სულისა და სწორედ ამაშია მისი სისუსტე და ძლიერებაც, რადგან პოეტი სრული დარწმუნებულია, რომ მიაგნო, იპოვნა „უკანასკნელი სიმართლე“. საქმეც უკანასკნელ საგანამდე მიღწევაა.

ჩვენს უაღრესად მატერიალისტურ ხანაში, როდესაც საზოგადოებას ეროვნული და სოციალური საკითხები უფრო იტაცებენ, როდესაც გარშემო ნაციონალიზაციისა და სოციალიზაციის პრობლემებით არის დატვირთული, ამ გვარი შემოქმედება უსათუოდ შესამჩნევ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

კ. გამსახურდიას პოემაში არის შეგრძნობა სამყაროს ტრალიკულობისა, გოეტეს — მსოფლიო ამოებით გამონვეული მარადისობის გრძნობა, ნამდვილი პოეტი ყოველთვის ანიშნებს, იგი ყველაფერს არ ამბობს, პოეტურ თქმაში, ბევრი რამ უთქმელი უნდა დარჩეს. კონსტანტინე გამსახურდიას ახალი პოემა „გარსი მარადი“ ისე, როგორც გრიგოლ რობაქიძის „ლონდა“, უსათუოდ ახალი მიჯნის მიღწევაა თანამედროვე ქართული პოეზიისა. ხდება ხელ-ახალი შეფასება ღირებულებათა. არის ძიება ახალისა და არის ერთგვარი მიღწევაც ამ ძიებაში.

შეიძლება ჩვენთვის ბევრი რამ მიუღებელი იყოს საკითხის ამ გვარ დაყენებაში, ბევრს რამეში არ ვეთანხმებოდეთ ავტორს, მაგრამ უარყოფა მისი მნიშვნელობისა შეუძლებელია.

კონსტანტინე გამსახურდიამ თავის ახალ პოემაში შესძლო ხელოვნურ ფორმებში ჩამოსხმა თვის რელიგიურ-მისტიურ ზრახვათა და მისწრაფებათა. მან შესძლო ათვისება და განცდა სოციალური რევოლიუციისა, რევოლიუციონურ გზის გარეისად, რელიგიურ-მისტიური შეგრძნობითა და ამაშია სწორედ მისი გამართლება (ამ მხრით საყურადღებოა სცენები: „საპურობილე“ და „ნალკოტი შვებისა“).

არის მეორე მხარე ამ პოემაში, რომელიც არა ნაკლებ საინტერესოა ჩვენთვის.

თანამედროვე თეატრი, მსოფლიო მაშტაბით აღებული — კრიზისის ხანაში იმყოფება, გარდამავალ პერიოდს განიცდის. დრამატიულ ხელოვნობის განახლებისათვის მისი, განვითარებისათვის იღწვიან. არის ტენდენცია ბერძნულ ტრადედიისაკენ მიბრუნებისა, ძველ ნაცად საშუალებათა ხელახალი გამოყენება, მუსიკისა და პლასტიკის საშუალებით დრამატიულ ნაწარმოების განცხოველება — აი, ის გზები და მიზნები, რომელთა საშუალებით თანამედროვე მწერალნი მონადინებულნი არიან თავი დაახნიონ იმ ბუნებრივ განსაცდელს, რომელიც გამზადებული აქვს დრამატიულ ხელოვნებას.

კონსტანტინე გამსახურდიას მისტერია ამ მხრივ თანამედროვე ძიებით არის გამსჭვალული, თანამედროების სულით სულდგმულობს.

ავტორი მიმართავს იმ საშუალებებს, რომელნიც უსათუოდ დამახასიათებელნი არიან ამ მხრით: მუსიკა, პლასტიკა, სინათლის ეფექტები დრამატიულ ნაწარმოებში სანახაობას აძლიერებენ, შინაარსს აფაქიზებენ, სურათს აცხოველებენ. კ. გამსახურდიამ იცის ყოველივე ეს და იყენებს ამ საშუალებებს თავის პოემის შინაარსის გასაძრელებლად.

ამ გვარია მოკლეთ ის შთაბეჭდილებანი, რომელნიც ჩვენ განვიცადეთ „მარადი გარსის“ გაცნობის დროს. ვნახოთ კ. მარჯანიშვილის ჯადოსნური ძალა რას შეჰმატებს მას.

გარსი მარადიდან იწყება ახალი მიჯნა, როცა ქართული დრამა ზურგს აქცევს ყოფაცხოვრების მოტივებს და ახალ სიტყვას ხომ ახალი ფორმა უნდა.

*კ. აბაშიძე
1923 წლის თებერვალი*

შალვა კარმელი

შენ დაილუპე, როგორც პილოტი
გადმოვარდნილი დანგრეულ ციდან
მე — განშორების მნუხარე ლოდი,
ძმაო, გულს მანევს ამიერიდან!
იყავი ბავშვი შენ ნორჩი სულით...
ერთად ვიჭერდით ჩვენ ოქროს თევზებს..
მომავონდება წმინდა წარსული:
ცელქი ნავარდი ქალებში, მთებზე!
მსუქან ფიჭვებში ლამაზ ხროებათ
ზურმუხტის ცვრებით თრთოდა ვერანდი..
შენ თურმე საფლავს გაახლოებდა
კოხის ჩხირებით სიკვდილის ლანდი.
პოეზიისგან განწირულები
ველოდით სიკვდილს, ვით სახრჩობელას..
რა სიამაყით ფეთქდნენ გულები!
როცა ამაოთ ვითხოვდით შველას.
ბუხარში ცეცხლი ჩუმად ჰქერებოდა
რალაც მისტიურ საშინელებით, —
როს შენი სული გვეთხოვებოდა
სისხლის რწყევით და მწარე ხველებით.
ამ დროს სარკმელის მაღალ თალიდან
გადაგეფარა ლამის ზენარი, —
და მეც განწირულ სიამაყიდან
ავტირდი ჩუმი და უეცარი!

*ვასო გორგაძე
ბათომი, 23,13, III*

კრიშნა

„მერმე და მერმე, როს მიიძინებს სიქველე და უმართებლობა თავს წამოყოფს, წარმოვშვებ ჩემსავე თავს. კეთილთა ფარად, ბოროტთა თრგუნვად და სიქველის სამკვიდროდ წარმოვიშვები ქვეყანაზე“.

ბავადგიტა IV, §7-8. Trad. M. E. Burnouf

ინდოეთი მზისა და მთვარის სინტეზია: ბრწყინვალე მზის პირმშო არიელთა რასა, ჩაქსოვილი ღამის გუშაგის, მთვარის შავკანიან შთამომავლობაში. ორი კულტი მზისა და მთვარის. თეთრკანიანი რასა, რომელსაც ახასიათებს მაღალი ზნეობა, მეტაფიზიკური აღმაფრენა ერთღვთაების იდეა, ქალის პატივისცემა, წინაპართა კულტი, დემოკრატიულ-პატრიარქალურ წესწყობილება — თავყანსა სცემს მამა-მზეს. შავკანიანი ბუნების ბრმა ძალთა მონაა, ემსახურება კერპებს, მისი სული შავი მაგიის საპყარია, მისი ენერგია ვნებიანი, მაგრამ გამანადგურებელი, მისი იდეალი: ტირანია და პოლიგამია, იგი დედა-მთვარის ნაშობია.

საშინელი იყო მზისა და მთვარის — **პანდავას და კურავას** დინასტიათა შორის ბრძოლა. ერთ დროს კურავას დინასტია სძლევს პანდავას სამეფო სახლს. მისი გვარეულობა თავს შეაფარებს დაბურულ ტყეებს და ხის კანში გახვეული, გლახაკის კვერთხით ხელში მოუსვენრად დაძრწის.

მაგრამ ნუ თუ ბნელეთი გაიმარჯვებს და სამუდამოდ მოსპობს ნათელს? ნუ თუ უკუნეთი ღამის ქმნილება — რაკშა დაამარცხებს ბრწყინვალე დევას? ნუ თუ ტირანია შემუსრავს მზისარჩელთ და ბოროტ ვნებათა ქარიშხალი მიწის პირიდგან ალგვის წინაპართა წმინდა ცეცხლის საკურთხეველს?

ინდოეთს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია თავისი რელიგიოზური ევოლიუცია. მის გაუვალ და იღუმალი ტყეებიდგან გამოვსა მშვიდობისყოფელი მარტვილი და შეარიგებს მოსისხლე მტერს დაჩრდილული დღის კავშირით.

უხსოვარ დროიდგან ინდოეთის ტყეებში, მის მთებში, მდინარეთა და წმიდა ტბათა სიახლოვით იღვწოდნენ მეუდაბნოვენი. მათ — ძველ ბრძენთა (რიში) სულიერ მემკვიდრეთ — ხელთ ჰქონდათ უძველეს წერილთა ვედას ახსნა-განმარტების საიდუმლოება და შავი მაგიის გასაღები.

ბედნიერი იყო ყველა ვინც მათს ლოცვა-კურთხევას მიიღებდა, ხოლო წყევლა-კრულვა ენეოდა მათ შემგინებელთ მესამე ხორცშესხმამდე. მეფენი და ძლიერნი თრთოდნენ მათი შიშით. მათი ეშინოდათ თვით ღმერთებსაც კი. ესეთი იყო მათი ზნეობრივი და სულიერი ძლიერება... კრიშნა მათ რიცხვთაგანია. ბრაჰმანიზმის პირველი მესია, რომელიც მზიდან მთვარისკენ პირველ ცისარტყელას გადასტყორცნის.

I

სამი ათასი წლის წინედ ქრისტეს მოვლენამდე ინდოეთში გაიმარჯვა მთვარის დინასტიამ და მასთან ერთად ქვეყანაზე დამყარდა შური და ბოროტება. ჩრდილოეთით, ერთ ვეებერთელა მდინარის ნაპირზე გაშენებული იყო ასკარიანი და ასციხოვანი ქალაქი **მადურა**, რომელსაც ამშვენებდა ათი ტაძარი და ათი სასახლე. აქ მეფობდა ძლიერებით გაუმადლარი **კანზა**. განიზრახა მთელი ინდოეთის დაპყრობა და ამ მიზნით დახმარება

სთხოვა ყვითელ კანიანთა მეფეს **კალაიენს**, ბოროტს, სიკვდილის ღმერთის მსახურს, ჯადოქარს და ღამის ავსულთა მეგობარს. **კალაიენმა** აღუთქვა **კანზასს**, ყოველგვარი დახმარება იმ პირობით, თუ მის ქალს — ნიზუმბას ცოლად შეირთავდა.

მომხიბლავი იყო და ამაყი კალაიენის ასული, სახით მრისხანე მთავარის მოლურჯო სხივებით მოკაზმულ ღრუბელს წააგავდა, რომელზედაც ნავარდობდა მის ორ თვალთა ელვარება და ალისფერად სთოვდა მის ტუჩებზე.

ნიზუმბამ დაიპყრო **კანზას** გული. ოცნებობდა, რომ მის ტურფა ცოლს ვაჟი-შვილი ეყოლებოდა და შემდეგში სამეფო ტახტს მას დაულოცავდა, მაგრამ **ნიზუმბა** უნაყოფო გამოდგა. ამო იყო ჯადოქარ მეფის **კალაიანეს** და მოგვთა ლოცვა-ვედრება და მსხვერპლი. ღმერთები არ სწყალობდნენ მადურას დედოფალს. ერთ დღეს **კანზამ** მოუწოდა ქვეშევრდომთ და უბრძანა ღმერთებისთვის მსხვერპლი შეენირათ, რათა ამით მოეგო მათი გული და ვაჟი შესძენოდა. ღმერთებმა არ შეინირეს მსხვერპლი: **ნიზუმბა** უნაყოფო უნდა დარჩენილიყო, შენუხებული **კანზა** ჰკითხავდა მოგვებს: „რომელ ჩემს ცოლთაგანს ჩაესახება ქვეყნის მომავალი მბრძანებელი?“

ამ დროს სამსხვერპლო კოცონს მიუახლოვდა მეფის და, ქალწული **დევაკი**. გულმხურვალეთ ევედრებოდა ღმერთებს მოელოთ წყალობა და ვაჟი-შვილი ებოძებინათ მისი ძმისა და **ნიზუმბასთვის**. დევაკის დანახვაზე მოგვმა შეჰყვირა: „არც ერთი შენი შვილთაგანი არ იქნება ქვეყნის მბრძანებელი, მას შობს შენი და“.

ნიზუმბას რისხვას საზღვარი აღარა ჰქონდა. გადასწყვიტა **დევაკის** მოსპობა. ალერსით და მუქარით გამოსტყუა მეფეს ღვიძლი დის სიკვდილით დასჯის განაჩენი. მაგრამ განგება იფარავდა **დევაკის**. ღმერთებმა სიზმარში აუწყეს მოგვს **კანზას** გადანყვებილება, გაფრთხილებულმა **დევაკიმ** ღამით დასტოვა სასახლე; უზენაესი, სხივის სახით წინ უძღოდა მას; გაარღვია ქალაქის კედელი, მცველთა შეუმჩნეველად გაიყვანა გარედ და გზას დააყენა.

მთელი დღე იხეტიალა **დევაკიმ** უგზო-უკვლოდ. საღამო ჟამს მიუახლოვდა ერთს ტბას და გაღმა მეუდაბნოეთა სავანე დაინახა. ნაპირთან ნავი ტივტივებდა, შიგ იჯდა მოხუცი მეუდაბნოე და თითქოს მის მოსვლას ელოდებოდა. ანიშნა **დევაკის**, ნავში ჩამჯდარიყო. რამდენიმე წუთის შემდეგ ნავი მეუდაბნოეთა მამა-მთავრის, ღვთაებრივი **ვაზიხტას**, სადგომს მიადგა. „დევაკი, ბრწყინვალე კანზას დაო, — მიესალმა ჟამმოჭმული მოხუცი **დევაკის** — კეთილ იყოს შენი მოვლენა ჩვენს შორის. უზენაესი **მაჰადევას** წყალობით დაგიტოვებია სოფლის სიმნარე ზეციერი სიტკბოებისთვის. შენ იმყოფები წმინდა **რიშათა** მფარველობის ქვეშ. ესენი არიან საკუთარ გრძნობათა მთურგვენლნი კმაყოფილნი ბედისა და ზეციერი გზის მაძიებელნი. დიდი ხანია გელოდებით, როგორც მწუხრი — ცისკარს. ჩვენა ვართ **დევას** თვალნი, რომელნიც სჭვრეტენ ქვეყანას, ჩვენ განდეგილნი უღრან ტყეებში. ადამიანნი ვერ გვხედავენ, მაგრამ ჩვენ ვხედავთ მათ და მათ ყოფაცხოვრებას. ამოგირჩიეთ ხსნის იდეალად. დედაკაცში უნდა ჩაისახოს ღვთაებრივი ბრწყინვალეების სხივი და ამ სხივმა მიიღოს სახე ადამიანისა“. ამ დროს მეუდაბნოენი სალოცავად გამოვლენ. **ვაზიხტა** უბრძანებს მათ მუხლი მოიდრიკონ **დევაკის** წინაშე და წარმოსთქვამს: „ესე იქმნება დედა ჩვენი, მისგან იშვების სული განახლებისა“. მიუბრუნდება ქალწულს და ეტყვის: „ნა, ასულო, მეუდაბნოენი მიგაცილებენ მახლობელ ტბაზე, სადაც სინანულის ქვეშ მყოფნი დანი სცხოვრობენ, დარჩები მათთან და საიდუმლოება შესრულდება“.

დევაკი სცხოვრობდა განდეგილ დათა შორის... მათი სავანის მახლობლად ამართული იყო ძველის-ძველი ხე და ამ ხეს „ცხოვრების ხე“ ეწოდებოდა. აქ ჩრდილ ქვეშ ოცნებით

გატაცებულ **დევაკის** ხშირად ესმოდა იღუმალი ხმა: „დიდება დევაკის, მოვა გვირგვინით შემკული, დიდი სულისგან გამოსული ფლუიდი და მისი ბრწყინვალეობა ჩააქრობს ვარსკვლავებს; მოვა და ცხოვრება სთურგნავს სიკვდილს და ყველა არსთა სისხლი განახლდება; მოვა თაფლზე და ამრიტაზედ უტკბესი, უნიშნო ბატკანზე და ქალწულის ბაგეზედ უმანკოესი, მოვა და ყველა გულნი სიყვარულით აღივსებიან. დიდება, დიდება დევაკის“.

ერთ დღეს განცხრომით აღივსო **დევაკის** არსება... უეცრად მოესმა ციური მუსიკის ხმა. ათრთოლებულმა ქალწულმა იხილა გაპობილი ცა და სხივოსან არსთა გუნდნი... თვით მზეთა-მზე, **მაჰადევა**, ღვთაებრივის ნათელით შემოსილი, დაეშვა **დევაკისკენ**, რომელმაც ამ დროს დაჰკარგა გრძნობა და... უსაზღვრო ბედნიერებაში შთასახა **ძე ღვთისა...**

შვიდი თვის შემდეგ **ვაზიხტამ** მოუწოდა **დევაკის**: „ასრულდა დევათა ნება, — უთხრა მან, — შენ ჰშობ ძესა და იგი იქმნება მსხნელი ქვეყნისა. მაგრამ შენს ძმას **კანზას** კვლავ სწყურის შენი სიკვდილი და ნაყოფის, რომელიც შენ მუცლად იღე... ძმები ნაგიყვანენ მეცხვარეებთან, მწვერვალ მერუს ძირში რომ მესახლეობენ... იქა ჰშობ ძე-ღვთისას და უწოდებ მას სახელად **კრიშნას**, შენირულს... ნა უშიშრად, ჩვენ შენთანა ვართ“.

II

მეცხვარეთა პატრიარქის **ნანდას** ოჯახში დაიბადა **კრიშნა**. უცნაური იყო მისი ბავშვობა. **კრიშნა** ყველას უყვარდა, თვით ცხოველთაც-კი. მეცხვარეებს ხშირად უნახავთ, როცა ვეფხვებთან ლალობდა... ხანდახან ყველას გაურბოდა და დადუმებული, უძრავი თითქოს თავის სულს ესაუბრებოდა.

ხუთმეტი წლისა შესრულდა კრიშნა, ოდეს **დევაკი** კვლავ იხმო მეუდაბნოეთა მამამთავარმა. ამოდ უცდიდა **კრიშნა** დედის დაბრუნებას, ამოდ ეკითხებოდა **ნანდას** ესწავლებინა მისი გზა. მწუხარებით დათალხული გულით, ალალა-ბედზე ტყე-ღრეში დაეხეტებოდა, მაგრამ შვებას ვერ ჰპოვებდა. ერთხელ თავს ნაანყდება მოხუცს, რომელიც ნაცნობად ეჩვენება, თუმცა პირველადა ჰხედავდა.

„რას ეძებ?“ — ჰკითხა მოხუცმა.

„დედას“.

„აქ აღარ არის“.

„სადა ვპოვებ?“

„მასთან ვინც მარადის უცვლელია“.

„მაგრამ, როგორ ვპოვო იგი“.

„ეძიე“.

„გნახავ ოდესმე შენ?“

„დიახ, ოდეს ვეშაპის ასული ხარის ძეს ბოროტისთვის აამხედრებს, კვლავ მიხილავ მენამულ ცისკარში. შენ მოჰკვლავ ხარს და თავს გაუსრეს ვეშაპს. მაჰადევას ძევ, უწყოდე, მე შენ და **მის** შორის ერთნი ვართ! **ის** ეძიე, ეძიე მარად ჟამს“.

ამ სიტყვების შემდეგ, მოხუცი უჩინარი შეიქმნა.

კრიშნა დაუბრუნდა ტოლ-ამხანაგებს. გადასწყვიტა ბოროტების მოსპობა და მასთან შეზრდილ მეცხვარეებთან ერთად ტყე-ტყე დაძრწოდა, ჟლეტდა ადამიანთა მტერს გარეულ ნადირებს და ებრძოდა ხალხის მჩაგვრელებს... ყური მოჰკრა ვეშაპთა ბრძანებულის **კალაიანის** ამბავს და გაემართა საშინელ და უმზგავს ცხოველებთან საბრძოლად. კალაიანის ბრძანებით **კალის** შავ-ბნელით მოცულ ტაძრიდან მძიმედ გამოიზღაზნა უშ-

ველებელი ქვენარმავალი და შეება ყრმა **კრიშნას**, მოჰკლა **კრიშნამ** ვეშაპი. ვეშაპის მოკვებითმა თავმა ენა ამოიდგა და მიჰმართა **კრიშნას**: „რათ მომკალი, მაჰადევას ძევ? გგონია, ცოცხალთა ჟლეტით ჰპოვო ჭემმარიტება? უგუნურო, ჭემმარიტებას ჰპოვებ მხოლოდ მაშინ, ოდეს შენ თვითონ სიკვდილის კარს მიადგები. სიკვდილი სიცოცხლეშია, სიცოცხლე კი სიკვდილში! გეშინოდეს ვეშაპის ასულისა და დაღვრილი სისხლისა!!!“

კრიშნა გაინმიდა განგის ტალღებში ლოცვით და გულის ზრახვით და დაბრუნდა **მერუს** მეცხვარეებთან. ან გული აღარ ერჩოდა ამა სოფლის საგმირო საქმეთათვის, ოცნებობდა ზეციერზე. სულით ღმერთსა სჭვრეტდა და განიცდიდა და ასწავლიდა თავის ტოლებს საღმრთო ჰიმნებს და ცეკვას.

აქ მას შეიყვარებს ორი ქალწული, პატრიარქი **ნანდას** ასულნი, **სარასვატი** და **ნიმდალი**. მაგრამ მარადისობის მესიას მარადისობა უყვარს და გაურბის მინიერ გრძნობას. ან დროა დასტოვოს **კრიშნამ** მეგობარნი და ჰყოს ნება თვის მომავლინებელისა... **კრიშნა** მარტოდ-მარტო გაჰყვება მწვერვალ **მერუს** გზას...

III

კანზამ შეიტყო, რომ მისმა დამ, **დევაკიმ**, მეუღაბნოეთ შეაფარა თავი. ამაოდ გზავნიდა ჯარებს და ჯაშუშებს მის აღმოსაჩენად: **დევაკი** კვალ-წმიდათ ჩაიყლაპა, და განრისხებული მეფე განდევნილებზე ამოიყრიდა ჯავრს და სდევნიდა მათ. მოხუცი ბრმა **ვაზიხტა** გაემგზავრა მეფის სამხილებლად. გზას უჩვენებდა შველი, რომელმაც სასახლის კარამდე მიიყვანა. მოხუცმა აუნყა მეფეს, რომ **დევაკის** შვილი ცოცხალია, რომ მისი და მისი ცოლის, **ნიზუმბას**, განკითხვის დღე ახლოვდებოდა. სიძულვილით აღვსილმა მეფემ და დედოფალმა განიზრახეს **ვაზიხტასთვის** ბოლო მოეღოთ. **კანზამ** შეიტყო **კრიშნას** საარაკო ამბავი. გადასწყვიტა სასახლეში მოენვია და შეექმნა თავის იარაღად მეუღაბნოეთა მამამთავრის სანინალმდეგო ბრძოლაში. არ იცოდა, რომ **კრიშნა** დევაკის შვილი იყო. **ნანდას** მიერ ნახმობი **კრიშნა** გაემგზავრა ქალაქ მადურასკენ. მეფეს მოენონა ახალგაზრდა გმირი და ჩააბარა თავის საბრძანებელის მოურაობა... **ნიზუმბა** ვნებით აენტო გმირის დანახვაზე; საიდუმლოდ უხმო თავის სანოლში, სადაც თითქმის შიშველი, ჯადოქრულად გადახალისებული, გაყმანვილებული დედოფალი ესიყვარულა მისთვის უცნობ ძე-ღვთისას და აღუთქვამდა ქვეყნიურ დიდებას და მეფის გვირგვინს. „მოჰკალ მეფე, — ეხვენებოდა სურვილით აღტყინებული **ნიზუმბა** ჭაბუკს, — და თვით შეიქმენ ბატონი“... **კრიშნამ** უარჰყო მაცდური დედაკაცის აღერსი და განრისხებულმა დასწყევლა იგი.

ველარ ისვენებდა მეფე. დღე-და-ღამე თვალწინ უდგა ბრმა მოხუცი **ვაზიხტა** და ესმოდა მისი წყევლა-კრულვა. მოუნოდა **კრიშნას** და უბრძანა საბრძოლველად მომზადებულიყო.

მეფე, მისი დიდი მოურავი და მთხრობელი მიუახლოვდნენ წმინდა განდევნილის ტყეს... ცა მოქურუშდა, საშინელი ქარიშხალი მილიონ ავსულთა ყმუილით თავს დაატყდა ტყეს, ლერწამივით ზნექდა მრავალ საუკუნეთა მიერ ნაზარდ ბაობაბებს და თვით **ინდრა**¹ ელვის ისრებით და ჭექა-ქუხილით წინ ელობებოდა უკეთური მეფის ბოროტ განზრახვას.

აგერ მოხუცი **ვაზიხტას** ქოხი. გრძნობს ჯალათის მოახლოვებას და მშვიდობით აღვსილი უცდის აღსასრულს. კრიშნა მიუახლოვდება, რა ნეტარ **ვაზიხტას**, მონინებით მუხლს მოიდრეკს, დაავიწყდება მეფეც და მისი განზრახვაც. ბრმა მოხუცი მას თითქოს ხედავსო,

1. ნვიმის და ელვის ღმერთი.

ფეხზე წამოდგება, დალოცავს და წარმოსთქვამს საიდუმლო სიტყვას **აუმ**¹ უკან ჩამორჩენილი **კანზა** მოუთმელად უცდის კრიშნას. ბოლოს თვითონ გაეშურება განდეგილის ქოხისკენ და დაინახავს მოხუცის წინაშე მინაზედ განრთხმულ ჭაბუკს. **ვაზიხტა** მიაპყრობს მას თავის უსინათლო თვალებს და ეტყვის: „სალამი მეფეს, ჩემი სიკვდილი განგიზრახავს და ამით მანთავისუფლებ სხეულის მონობისგან. გსურს, შეიტყო **დევაკის** ძის ვინაობა? — მას ჩემს წინ მუხლმოდრეკილსა ჰხედავ, ეს არის შენი საკუთარი მოურავი **კრიშნა**, რომელიც ტახტიდან ჩამოგადგებს... გეშინოდეს, წყეულო, და ნულარ ელი ხსნას!...

კანზამ შვილდი მოიმარჯვა. კრიშნასთვის დამიზნებული ისარი **ვაზიხტას** მოხვდა გულში. მოხუცი არც-კი გაინძრა, მაგრამ ჭაბუკმა ერთი საშინლად შეჰყვირა სიმწრისგან, რადგანაც ამ დროს მთელი ქვეყნიერების ტკივილები განიცადა... „ნუ სწუხარ, — ნაილულულა მომაკვდავმა მოხუცმა, — მკვლევობა ამაოებაა, ისარი სულს ვერ მისწვდება და მსხვერპლი მუდამ გამარჯვებულია. გიხაროდეს, კრიშნა! აღსრულდა! პირი ვიქციე მისკენ, ვინც მარადის უცვლელია. ბრაჰმა, მიიბარე სული ჩემი. შენ კი, **მის** მიერ რჩეულო, ქვეყნის მსხნელო, აღსდექ! კრიშნა, კრიშნა!“

კრიშნა წამოდგა და ხელი ხმალს იკრა, რომ მეფისთვის ბოლო მოელო, მაგრამ **კანზა** უკვე ლტოლვილიყო...

ამ დროს ბრწყინვალე სხივმა გააპო შავი ღრუბელი და ამ სხივით მოსილი **კრიშნა** უგრნობელი ძირს დაეცა. მისი სული შეერთო გარდაცვლილ მოხუცის სულს და ამაღლდა **დევათა** მეშვიდე ცადა... ეხლა კრიშნამ იხილა საყვარელი დედა, უთვალავ წმიდათა შორის, უბინო ქალწული, რომელმაც შვილი გულში ჩაიკრა... **კრიშნამ** იგრძნო, რომ ის იყო ძე ღვთისა, ყველა არსთა ღვთაებრივი სული, შემოქმედი სიტყვა... ამგვარად განიცადა ჭეშმარიტება, სცნო თავისი დანიშნულება და კვლავ დაუბრუნდება სულით სხეულს.

IV

კრიშნა მეუდაბნოეთ ნეტარ **ვაზიხტას** მემკვიდრეთ აირჩიეს. **კრიშნა** შვიდის წლით შორდება თავის ახალ სამწყსოს და მწვერვალ **მერუზე** ლოცვით, გულის-ზრახვით და მარხულობით ატარებს დროს, ემზადება ადამიანთა სამსახურისთვის.

შემდეგ **კრიშნა** მოუწოდებს მონაფეთ და გადასცემს მათ სულის არსებობის საიდუმლოებას. სხეული მომაკვდავია, ხოლო სული, რომელიც მას ამოძრავებს უხილავი, უხრწნელი და უკვდავი, როგორც თვით მის შორის ჩასახული ღმერთი. მიწიერი ადამიანი სამეზბა: ინტელექტი, სული და ხორცი. სულის და ინტელექტის კავშირით ადამიანი აღწევს **სატვას** — სიბრძნეს და მშვიდობას. სული, მერყევი ინტელექტისა და სხეულის შორის, ვნებათა მონაა და საგნიდგან საგანში გადადის საბინადროთ. თუ სული დაემორჩილება სხეულს, მას სიბნელე და ჟამიერი სიკვდილი ელის. სიკვდილის შემდეგ ბრძნის სული რამოდენიმე საუკუნე დაბინავდება ზეცას და იგემებს აუნერულ ბედნიერებას, ხოლო შემდეგ კვლავ ბრუნდება დედა-მინაზე, ხორცს ისხამს და ხელახლად იწყებს ცხოვრებას... მაგრამ ნუ თუ ბოლო არ მოელება ასეთ უკუ-ბრუნვას თვით ბრძენთა და კეთილთათვის? — ამისთვის საჭიროა მის სულით სუნთქვა, ვინც ბრძენთათვისაც-კი მოუწოდებელია. ეს ღმერთი ყოველივე ჩვენთაგანშია, მაგრამ ყველა ვერ ჰპოვებს მას. გულში ჩავიკლათ ყველა სურვილები, მსხვერპლად შევწიროთ უზენაესს ჩვენი ვნებანი და საქმენი და მხოლოდ

1. სამება.

მაშინ ვპოვებთ ღმერთს, ვიგრძნობთ ღვთაებრივ ბედნიერებას. ჩვენი სული თავისუფალი შეიქმნება სიკვდილისა, უკუბრუნვისა და სიბერისგან და შესვავს უკვდავების წყაროს.

მონაფეთ სთხოვეს **კრიშნას** მათთვის **მაჰადევა** ეჩვენებინა. კრიშნამ დაიწყო მისი აღწერა: „**მაჰადევა** ყველა არსით სუნთქავს ათასგვარ ფორმით, იცვლება და მარადის იგივეა, ყველგან და არსად არის. მის შორის არის მოთავსებული სამყარო. ბაასის დროს კრიშნას თვალთაგან გამოჰჰკრთა კვაროსტანი შუქი. მონაფეთ ვერ გაუძლეს ამ შუქის სიცხოვლეს და პირქვე დაემხვნენ. ისმინეთ, რას გაუწყებთ ჩემის პირით **მაჰადევა**, — განაგრძო **კრიშნამ**, — მე და თქვენ მრავალჯერ დავიბადეთ ამ ქვეყნად. მე მახსოვს ყოველი ჩემი ხორცთშესხმა, თქვენ კი თქვენი არ გახსოვთ. ყოველთვის, როს მიიძინებს სიქველე და უმართებლობა თავს წამოჰყოფს წარმოვშვებ ჩემსავე თავს. კეთილთა ფარად, ბოროტთა თრგუნვად და სიქველის სამკვიდროდ წარმოვიშვები მე ქვეყანაზე. ყოველი, რომელი შეიგნებს ჩემს ღვთაებრივ ჭეშმარიტებას, ამ ქვეყნად აღარ დაბრუნდება და ჩემს შორის დამკვიდრდება“. მონაფეთ შეჰყვირეს: „შენა ხარ ძე **მაჰადევისი**, შენა ხარ ჭეშმარიტება, შენა ხარ ჩვენი მეუფე!“ **კრიშნა** უპასუხებს: „აქამდე ბრმანი იყავით; გაუწყეთ დიდი საიდუმლოება; თქვენ ხართ ჩემს მიერ რჩეულნი და განსჭვრიტეთ მიზანი; ბრბო კი გზის მხოლოდ ერთს ბოლოს ხედავს. ეხლა ნავიდეთ და ვასწავლოთ ხალხს გზა ხსნისა და სიმართლისა“...

ამგვარად მოამზადა რა მონაფენი **მერუს** მთაზე, **კრიშნა** მათთან ერთად დაეშვა ბარად. დადიოდა დაბა-სოფლად და ასწავლიდა ხალხს ჭეშმარიტების გზას. შეიყვარეთ თქვენი მოყვასი, იყავით მონყალე და სამართლიანი, ბოროტისთვის სიკეთე მიუზღეთ — ასეთია **კრიშნას** ქადაგების მთავარი დებულება. სათნო ადამიანი — მიმართავდა **კრიშნა** ხალხს — უნდა ბოროტის ხელით მოკვდეს, როგორც სანდალის ხე, რომელიც ასრულებს თვით მის მჭრელ ცულს; ჯილდოს ღირსია არა ის, ვინც კეთილთა შორის სცხოვრობს, არამედ ის, ვისაც უკეთურნი არ ეზიზღება და სცდილობს მათ ხსნას. თვით **ვიშნუ**¹ რამდენჯერმე განკაცდა ქვეყნად ურჯულოთა მოსაქცევად.

ურწმუნონი სთხოვდნენ **კრიშნას** განემარტა ღვთის ბუნება. „ადამიანის მეცნიერება ამაოა, — უპასუხებდა მოციქული, — გლახაკნი სულით და გულით უყვარს ღმერთს და სწყალობს მათ, მაგრამ როგორც ზღვარდაუდებელს შეუძლიან განუსაზღვრელის გაგება, აგრეთვე მხოლოდ ღმერთს ძალუძს ღვთაების შემეცნება“.

ერთ დღეს კრიშნა საზეიმოდ იყო მიწვეული. მოვიდა ორი დედაკაცი და დაჟინებით მოითხოვდა მოციქულის ნახვას. **ნიშდალი** და **სარასვატი** შორიდან მოსულიყვნენ მის სანახავად... მოხუცი **ნანდას** სიკვდილის შემდეგ **სარასვატი** გათხოვდა, მაგრამ ქმარს მალე მოსწყინდა მისი ალერსი და ერთ ვაჭარს მიჰყიდა. **სარასვატიმ** მიატოვა ქმარი და გარყვნილებაში ეძებდა თავდავინყებას. ხოლო **ნიშდალი** ქალწულად დარჩა და კვლავინდებურად **კრიშნაზედ** ოცნებობდა... დები შეიყვანეს სადარბაზო ოთახში. ორივე ძირს დაემხვენ და მოციქულს ფეხებზე ეამბორნენ, **სარასვატიმ** აღიარა თავისი შეცოდება და სთხოვდა შენდობას, ხოლო **ნიშდალი** მიესალმა **მაჰადევას** ძის სახელით... დამსწრეთ ჩოჩქოლი შეუდგათ. უკვირდათ, რომ **კრიშნამ** ხელი არა ჰკრა უღირს მხევალთ — ნუ უშლით, დეე, გული მოიჯერონ; ესენი უფრო ღირსეულნი არიან, ვიდრე თქვენ. ერთი რწმენითაა სავსე, მეორე კი სიყვარულით. ცოდვილი **სარასვატი** ამიერიდგან შენდობილია, რადგან მე მიწამა. **ნიშდალის** თავის დუმილით უმეტესად უყვარს ჭეშმარიტება, ვიდრე თქვენ,

1. ვიშნუ ინდოეთის სამების მეორე პირია. კრიშნას სახით მან მერვედ შესისხა ხორცი.

თქვენის ყვირილით და აურზაურით. იცოდეთ, რომ ჩემი ბრწყინვალე დედა **მაჰადევას** მზის შორის, მას საუკუნო სიყვარულის საიდუმლოებას ასწავლის, მაშინ როდესაც თქვენ ჩაფლული იქმნებით დაბალი ცხოვრების უკუხეთში... ამ დღიდგან დები აღარ შორდებოდნენ მოციქულს.

V

კანზა კვლავ მეფობდა, მაგრამ მის მიერ მოკლული **ვაზიხტას** აჩრდილი სიცოცხლეს უმწარებდა. ასრულდა მოხუცებული მარტვილის წინასწარმეტყველება. მისი დისწულის გავლენა დღითი-დღე იზრდებოდა და დღეს თუ ხვალ მას **მადურას** მცხოვრებნიც კარს გაუღებდნენ. **ნიზუმბას** შთაგონებით **კანზამ** ჯარი გაგზავნა **კრიშნას** შესაპყრობად, მაგრამ მის წინააღმდეგ გაგზავნილთა თაყვანი სცეს **დევაკის** ძეს და მასთან დარჩნენ. შემდეგ მეფემ **კრიშნას** მოკვლა დიდებულებს დაავალა, ამათაც ვერ მოახერხეს ბრძანების ასრულება და უკან დაბრუნდნენ — ამგვარი იყო **კრიშნას** მომხიბლავი გავლენა... და ერთ დღეს საზეიმოდ მორთულმა **მადურამ** სასიხარულო კიჟინით მართლაც კარი გაუღო დიდებით და მშვიდობით მომავალ მოციქულს. დიდებულთა და ხალხის სურვილის თანახმად **კრიშნამ** აკურთხა მეფედ თავისი მოწაფე **არჯუნა**, მზის გვარეულობის შთამომავალი და მისცა მრჩევლებად ბრაჰმანეები, რომელნიც შეადგენდნენ უმაღლეს საბჭოს და რომელსაც თვით **კრიშნა** თავმჯდომარეობდა. ახალი სარწმუნოების გამარჯვებისათვის საჭიროა სულიერი ტრიუმფი და მსხვერპლი, რომელიც მას საძირკველად დაედება. მტერთა ისარი გულს გაუგმირავს საზვარაკო კრავს და ამით თვით დამარცხდება. ეს სამსხვერპლო კრავი არის **კრიშნა**, რომელიც გრძნობს ჟამის მოწვევას, სტოვებს ქალაქს **დვირაკს**, რომელიც თვითონ ააშენა და გაამაგრა და თავს აფარებს ერთს განმარტოვებულ სავანეს...

აგერ გამოჩნდნენ **კანზას** მიერ გამოგზავნილნი. **კრიშნა** ხის ქვეშ ლოცულობს; ამასოდ ემუდარება მოციქულს **სარასვატის** მტერს თავი მოარიდოს; იგი გატაცებულია ზეცასთან საუბარით. რა არის სიცოცხლე მისთვის, ვინც იგემებს ღმერთთან გაიგივებას, ვისაც სიყვარულის ფიალა ქვეყანაზე ზევით აღუმართნია?! მოსულნი, მოციქულის დანახვაზე, ჯერ შეკრებიან, შემდეგ დაუნყებენ ლანძღვა-გინებას და ქვების სროლას... **კრიშნა** უმოძრაოა, ვით დუმილი... მიუახლოვდებიან, ხელს სტაცებენ და ხეს მიაკრავენ; განზე გადგებიან. მოხვდა **კრიშნას** პირველი ისარი და წარმოსთქვა: „**ვაზინტა** მზის შვილებმა გაიმარჯვეს“. მეორედ: „ბრწყინვალეებით შემოსილო დედაო, დაუმკვიდრე ჩემთან ერთად შენის ნათელი ყველას, ვინც მე შემეყვარა!“ უკანასკნელი სიტყვა იყო: „**მაჰადევა!**“ და ხორცთშესხმულმა **ვიშნუმ** განუტყევა სული.

ასტყდა ქარიშხალი და ნამქერი, ცას შავი გადაეკრა... შეშინებული მკვლელები უკუიქცნენ... **კრიშნას** გვამი, ჩვეულების თანახმად, მოწაფეებმა კოცონზე დასწვეს; **სარასვატი** და **ნიშდალი** ცეცხლში გადავარდნენ, რათა არ დაშორებოდნენ მოძღვარს და მასწავლებელს. და მართლაც იქ მყოფთ დაინახეს, როგორ ამაღლდა ზეცათ ღვთაებრივი **კრიშნა**, მისთვის თავდადებულ დებთან ხელჩაკიდებული...

ამის შემდეგ ინდოეთის მომეტებულმა ნაწილმა აღიარა **ვიშნუს** კულტი. ამან შეარჩია მზისა და მთვარის თაყვანისმცემელი **ბრაჰმა**¹.

1. მამა-ღმერთი სარწმუნოებაში.

VI

საუკუნეთ განვლეს, ინდოეთს თავს ათასი ქარიშხალი ატყდება. **კრიშნას** მოძღვარება ძლიერ და მედგრად ებრძვის მულალთა, მუსულმანთა და ინგლისელთა გავლენას. ბრაჰმანები ერთგულათ ინახავენ კულტის დოქტრინას და მის ტრადიციებს; იგი ცოცხალია ხალხურს პოეზიაში და მრავალ ფილოსოფიურ სისტემაში. დღესაც მილიონობით ხალხი ადიდება **ვიშნუს**, რომელიც **კრიშნას** სახით მოევილინა ნატურალისტურ კულტში ჩაფლულს ინდოეთს; მან განაახლა არიელთა პრიმიტივი იდეა **ლოგოსის** განკაცებისა და **სამების** დოქტრინით და ურყევად ჰყო იგი საკუთარი მსხვერპლის საძირკვლით ათას ჟამთა განმავლობაში.

კრიშნას მოძღვრება უნივერსალური მოძღვრებაა. შეიცავს რელიგიის და საკრალური ფილოსოფიის ორს უმთავრეს პრინციპს — სულის უკვდავების და ლოგოსის განკაცების იდეას, რომელიც კაცობრიობას პირველად ინდოეთის მოციქულის პირით ეუწყა და ამიერიდან აროდეს დაავინყდება. ყოველთვის, როცა კაცობრიობა იგრძნობს დაცემას, მას მოევილინება მხსნელი — ძე ღვთისა და დაუბრუნებს უკეთურ შვილს მონყალე მამა-ღმერთს. ყველას ერთი და იგივე მზე ათბობს — ასულდგმულებს და ყველა ტაძარში დაიდგამს საკურთხეველს: სპარსეთში — **მიტრა**; ეგვიპტეში — **ჰორუსი**, ელადში — **აპოლონი** და **დიონისე**; იუდეაში — **ქრისტე**, ინდოეთში — არიელთა მიერ ნანახი სიზმრის განმეორება; სხვა და სხვა წახნაგებიდან, მაგრამ ერთი და იგივე მაცხოვარი მზისკენ მიმართული თვალი; ერთი და იგივე ხორც შესხმული, კაცსა და ღმერთს შორის ზავის განმატკიცებელი **სიტყვა**, რომელიც ნუგეშსა სცემს ტანჯულსა და დავრდომილ კაცობრიობას!

ლოგოსის სამშობლო ინდოეთია. „**პირველად იყო სიტყვა**“ — ეს აბრამის და იაკობის შთამომავლობას არ ეკუთვნის. იგი პირველად ითქვა ინდოეთში.

ირაკლი ტატიშვილი

ტფილისი, მარტი, 1923 წ.

სულთა მიგრაცია

ელადა მიჯნავს აღმოსავლეთს და დასავლეთს და თავისი ისტორიის დასაბამიდანვე მჭიდრო კავშირი და მრავალგვარი ურთიერთობა ჰქონია აღმოსავლეთის ქვეყნებთან. დაახლოებით მეექვსე საუკუნის დამლევს თრაქეთით შემოტანილ დიონისეს კულტისა და ორფიული მისტიკის სახით საბერძნეთში თავი იჩინა სულთა მიგრაციის იდეამ, რომელიც პირველი შეხედულებით არსებითად ეწინააღმდეგება ბერძნის ბუნებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ორფიზმი და პითაგორეიზმი დიდს ხანს იყო ერთმანეთის ზეგავლენის ქვეშ. პითაგორა და ორფევს ერთმანეთთან სულის პირველ ყოფილი ცოდვის რწმენა აკავშირებს. ღვთაების წიაღში აღმოცენილი სული სხეულის საპყარია და მხოლოდ განწმენდის საშვალეებით კვლავ იხილავს ღვთაებრივ სამშობლოს. ეს განწმენდა მოხდება განმეორებითი დაბადების გზით, ან სიკვდილის შემდეგ საიქიოს ტანჯვის განცდით. ორფიელები, მათი ოცნებით სავსე, ფანტასტიურ და პესიმისტურ შეხედულების თანახმად, სულს საიქიოთ სამშობლოს უბრუნებენ, რადგანაც ამ ქვეყნად არსებობა თვისი უწმინდურებისა და მწუხარების გამო —

ტანჯვაა. ტურისში აღმოაჩინეს პატარა ოქროს ფიცარი ზენარნერით, რომელიც ეკუთვნის მეოთხე ან მესამე საუკუნეს ქ. წ. აქ, სხეულით თავისუფალი სული, არსებობისგან ხსნის მაძიებელი ინდოელივით, აცხადებს: „**რკალს ვარღვევ მე, რკალს ტანჯვისას და მწუხარებისას**“. მათემატიკურად მოაზროვნე პითაგორა კი უზენაეს მიზანს ჰარმონიაში ეძებს, რომელიც შეიცავს აგრეთვე ადამიანის გახელმეორებულ დაბადებათა ციკლს. პითაგორა უმთავრესად ექსტაზის კი არ ეძებს, როგორც ორფიელნი, არამედ რიცხვს, მტკიცე მათემატიკურ კანონებთან შეთანახმებულს. ადვილი არ არის პითაგორასა და ორფიელთა შორის განსხვავების აღმოჩენა, რადგანაც ერთი მეორეშია შექრილი. დიოგენ ლაერტელი (I. 118, VIII, 40), პირველს მოძღვრებას სულთა მიგრაციის შესახებ მიაწერს ფერეკიდესს, რომელიც ითვლება მრავალ ორფეულ ნაწარმოების ავტორად.

სულთა მიგრაციის დოქტრინა ფრიად გავრცელებულია. მას ვხედავთ არა მარტო ორფეველთა და პითაგორელთა, არამედ მრავალ პრიმიტიულ ხალხთა შორისაც. მაგ., გრენლანდეთა, ზულუსთა, ბორნეოს დაიკთა, ცენტრალურ აფრიკის მცხოვრებთა და განსაკუთრებით დასავლეთ აფრიკელ მანდოგელთა და სხვათა შორის. აქ არსებობს რწმენა, რომ ადამიანის სიკვდილის შემდეგ სული ცხოველის ან ტოტემის სახეს მიიღებს. ზულუსებს, მაგ., სწამთ, რომ სული გველის სხეულში გადავა. ყველა ამათ აკლიათ საიქიო ჯილდოს და განწმედის ეთიურ-ექსხატოლოგიური იდეა. ეს პრიმიტივი ხალხები მთელს ბუნებას სულს ჩაუდგამენ. ამიტომ აქ მხოლოდ ანიმიზმისა და არა სულთა მიგრაციის შესახებ შეგვიძლიან ვილაპარაკოთ. დასავლეთი აფრიკის ამ იდეათ ხშირად ეგვიპტეს უკავშირებენ. ლეო ფრობენიუსის აზრით („Und Afrika sprach“) უკვე მეექვსე საუკუნეში ქ. წ. ფარაონთა სამეფოსა და ხსენებულ ქვეყნებს შორის სხვა და სხვა სახის ურთიერთობა სწარმოებდა. პომპეიუს მელა, მართალია, ბუნდოვანად მაგრამ მაინც სულთა მიგრაციის მოძღვრებას თრაქელთა და სკვითებს მიაწერს. ასეთი აზრი მისაღებია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მეტაფიზიკის მოძღვრება საბერძნეთში ორფიზმის საშუალებით აღმოცენდა, მართალია ჰეროდოტე მისი არსებობის შესახებ სკვითთა შორის არაფერს ლაპარაკობს. ეს მოძღვრება სხვა ერებსაც ჰქონდათ მიღებული, მაგ. გალიის დრუიდებს (ცეზარი VI. I). სიმართლეს არ უნდა იყოს მოკლებული დიოდორის შეხედულება, რომელიც კელტებში გავრცელებულ მოძღვრებას პითაგორას მიაკუთნებს. ქრისტიანული დროის ირლანდელი ლეგენდებიდან სჩანს, რომ ირლანდელთ სწამდათ სულთა მიგრაცია, როგორც გამონაკლისი დიდ გმირთათვის. სკანდინავის ლიტერატურაშიაც მოიპოვება ამისი დამამტკიცებელი საბუთები. ჰეროდოტე მას ეგვიპტელთ მიაკუთნებს და მოგვითხრობს, რომ მათი რწმენით, სული სიკვდილის შემდეგ გადადის რომელიმე ცხოველის სხეულში, ასეთ მდგომარეობაში განიცდის მრავალ ცვალებადებას, და 3000 წლის შემდეგ კვლავ ადამიანად მოევილინება ქვეყანას. მისი აზრით, ეს რწმენა აქ გაავრცელეს ბერძნებმა, რომელნიც ჰეროდოტეს კარგად სცნობია, მაგრამ არ ასახელებს. ზოგიერთის შეხედულებით ჰეროდოტე გულისხმობდა ფერეკიდებს და პითაგორას, ზოგიერთნი კი ასახელებენ ემპედოკლეს, რომელიც ჰეროდოტეს დროს სცხოვრობდა, ეგვიპტელ წყაროთა შესწავლა, გვარწმუნებს, რომ მართალია იქ გავრცელებული იყო საიქიო არსებობის მოძღვრება, მაგრამ არც ერთი ეგვიპტური საბუთი არ მოგვეპოვება მის დასამტკიცებლად, რომ ვითომ მათ მრათლა სწამდათ სულის ხელმეორე შობა. დოისენი (Geschichte der Philosophie I, 2, გვ. 285) ჰფიქრობს, რომ ეგვიპტეში გავრცელებული რწმენა მკვდართა მრავალი სახით აღდგომის შესახებ, ჰეროდოტეს შეცდომით სულთა მიგრაციად დაუხსახავს. ფლინდერს პეტრის აზრით, სულთა მიგრაციის მოძღვრება, აგრეთვე როგორც ასკეტიზმისადმი მიდ-

რეკილება სპარსეთის ეპოქის დროს, შესაძლებელია ეგვიპტეში შეტანილი ყოფილიყვეს ინდოეთიდან.

მაზდაკიტა გასაოცარი სარეფორმო მოძრაობა, სასანიდთა სპარსეთში გვარნმუნებს, რომ მათთაც სცნობიათ სულთა მიგრაციის მოძღვრება. ყოველ შემთხვევაში, შახ-რასტანი დასახავს რა მაზდოკიტთ უკიდურეს შიიტებათ, დასძენს, რომ ისინი სხვა ცრუმორწმუნეობასთან ერთად ჰქადაგებდენ სულთა მიგრაციას (ტანასუხ). ხოლო მის მიერ აღწერილი მოძღვრება არ ჩამოჰგავს სულთა მიგრაციის დოქტრინას, მუსლიმანი ავტორები სულთა მიგრაციის რწმენას არამართლმორწმუნე სექტებს მიაწერენ, ამის გამო მათ მიერ გადმოცემულ ცნობებს უნდა კრიტიკულად შევხედოთ. სულთა მიგრაციის მოძღვრება ქრისტიან ეგნოსტიკთათვისაც არ ყოფილა უცხო. მანიქეველთ არ სწამდათ სულთა მიგრაცია, ყოველ შემთხვევაში, ამ რელიგიის პრიმიტივი, მანის მიერ გადაცემული ფორმით. მანიქეველებს მიღებული ჰქონდათ მხოლოდ სულის განწმენდის მოძღვრება. სულთა ამ ქვეყნად განმეორებითი დაბრუნებისა და მისი სხვა და სხვა ფორმაში არსებობის შესახებ კი მანი არაფერს ამბობს. შესაძლებელია მეტაფსიქოზის მოძღვრება შეჭრილიყოს ამ რელიგიაში შემდეგ მანიქეველთა სექტების ზედგავლენის წყალობით.

ისლამიტ მწვალებლებს ღვთაების განკაცების მოძღვრების გარდა აგრეთვე სულთა მიგრაციაც სწამთ. ე. გ. ბრაუნი თავის „სპარსეთის ლიტერატურის ისტორიაში“ ამ დოქტრინას ირანისთვის „ენდემიურად“ დასახავს. შაჰრასტანი აცხადებს, რომ სულთა მიგრაცია სწამდათ აგრეთვე კერპთაყვანისმცემელ არაბებს. მაგრამ ის, რასაც შაჰრასტანი მეტაფსიქოზს უწოდებს, სხვა არაფერს წარმოადგენს თუ არა პრიმიტიულ რწმენას სულის ცხოველებში დაბინავების შესახებ, რადგანაც ასახელებს ფრინველ ჰამას, რომლის სახითაც სული სხეულსა სტოვებს და ასი წლის შემდეგ საფლავზე მოფრინდება.

ინდოეთი ამ დოქტრინის კლასიკური ქვეყანაა. ინდოელთ მათი სპეკულატიური აზროვნების დასაბამიდანვე სწამდათ, რომ ადამიანის სულმა, მისი ნამოქმედარის მიხედვით უნდა განვლოს უკუქცევის ეტაპები, ვიდრე არსებობას დააღწევდეს თავს და ხსნას ეღირსებოდეს. ასეთ შეხედულებას უკვე მჭიდრო ნიადაგი ჰქონდა მოპოვებული მაჰავირას და ბუდას დროს.

ამ ჟამად ვედას უფრო ძველს დროს მიაწერენ, ვიდრე წარსულში ვარაუდობდნენ. ისეთი მკვლევარიც კი, როგორც არის ბონის მეცნიერი იაკობი, რომელიც დიდის უნდობლობით ეპყრობა ინდოეთის მეცნიერთა ნაწილობრივ ასტრონომიულ ანგარიშზედ დამყარებულ აზრს, ვედას გაცილებით ძველს ეპოქას მიაწერს ვიდრე 2000 წელს ქ. წ. ინდოეთისა და დასავლეთს შორის შესაძლებელია ძველთავე არსებულებიყვეს მისვლა-მოსვლა სპარსეთით და არაბეთით. სამხრეთ არაბეთის კულტურული ცენტრების ნაშთებიც მოწმობენ ამას. ურთიერთობა ინდოეთისა და დასავლეთის შორის უფრო უნდა გაძლიერებულიყო ელინთა ეპოქაში სახელდობრ საბერძნეთ-ბაქტრის და საბერძნეთ-ინდოეთის სახელმწიფოთა გზით. სულთა მიგრაციის დოქტრინის გავრცელებას ინდოეთში უკავშირებენ საარაკო ბრძენის იანვალკიას სახელს, ხოლოთ მისი წარმოშობის შესახებ მრავალი აზრი იქნა გამოთქმული. როგორც პირველყოფილი ტექსტები მოწმობენ, ინდოელთ სწამდათ, რომ სული, ადამიანის ხორციელი სიკვდილის შემდეგ ხუთ ფაზას განივლის — ზეცა, ჰაერი, სივრცე, დედა-მინა, მამა და დედა — და კვლავ მიწიერ არსებობას უბრუნდება. „მამათა გზა“, როგორც სჩანს, „ღმერთთა გზის“ ანტიტეზი ყოფილა (პიტრიანა და დევიანა). ვინტერმიცი სულთა მიგრაციაში განდევილთა ატმანის დოქტრინის მთავარ დოგმას ხედავს და დაუპირისპირებს მას სამხედრო კასტის — ბრამანთა სამსხვერპლო რიცხვს.

წარმოსდგა თუ არა სულთა მიგრაციის მოძღვრება დემონთა დოქტრინისგან, რომლითაც გარდაცვალებულის სულს შეუძლიან სხვა და სხვა ფორმა მიიღოს და კეთილ თუ ბოროტ ქმნილებად მოვევლინოს ქვეყანას, ძნელი გამოსაცნობია. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ საქმე გვაქვს იმ თეოპანისტურ მოძღვრებასთან, რომლის მიმდევარნიც ყველგან ღმერთსა ხედავდნენ და თვით ცხოველებსა და მცენარეებს სულს უდგავდნენ. თუ რანაირად შეურიგდა უპანიშადთა ღრმა ფილოსოფია და ატმან-ბრამანთა მოძღვრება ქვეყნიერებისადმი მტრულად განწყობილ და პესიმისტურ სულთა მიგრაციის დოქტრინას, ჯერ ამოცანადაა დარჩენილი.

სულთა მიგრაციის იდეა სრულიად ეთანხმება პითაგორელთა რიცხვებზე და კანონებზე დამყარებულ არსებულის უკუბრუნვის მოძღვრებას. ძნელი წარმოსადგენია, რომ აქ პალინგენეზის და მეტაპსიქოზის შერევას ჰქონოდეს ალავი. სულთა მიგრაციის მალარებელთა რწმენით, ადამიანთა სულები ერთი და იმავე სახით არ ბრუნდებიან ამ ქვეყნად, პალინგენეზის მოძღვრების თანახმად კი სული არ ჰკარგავს თავის ნივთიერ ინდივიდუალობას. პითაგორელნი ჰფიქრობდნენ, რომ ციკლიური წლისა და დაბადებათა რკალის შორის ერთგვარი კავშირი არსებობს. ძველი საბერძნეთის ფილოსოფია საზოგადოთ მოკლებულია „ხსნის“ დოგმას. ინდოელს სურს, თავი დაახსნიოს კაუზალობის სფეროს, პითაგორელთათვის კი ამ ქვეყნის ჰარმონია უზენაესი მიზანია. პირველად პესიმისტურმა მოტივებმა, რომელიც ყრუდ ისმის ორფიზმის დოგმაში, თავი იჩინა პლატოს ნაწერებში (ფედონ, 81 e, ფედროს 249 b, 617q—620q), სადაც პლატო ლაპარაკობს სულთა მიგრაციის შესახებ. ხოლო გამოურკვეველია ამას თავისით მოგვითხრობს, თუ არსებულ მითებს გადმოგვცემენ, როგორც, მაგ., პაფლოგონელ არმენიოსის ძის შესახებ, რომელშიაც კლიმენტი ალექსანდრიელი ზარატუსტრას ამოიცნობს.

ტიმეოსში 41d პლატო ლაპარაკობს, რომ სულთა რიცხვი ვარსკვლავთა რაოდენობას უდრის. სულთა მიგრაციის შესახებ ლაპარაკობს პლოტინუს (ენეადენ III, 2, 13, III, 4, 2, IV, 3, 24). პითაგორას სულთა მიგრაციას დაუსრულებელ უკუბრუნვის რკალში, ემპედოკლეს დაუკავშირებს სიყვარულისა და სიძულვილის ცვალებადობას. მაგრამ ბერძენი აქაც სააქაო ნიადაგზე რჩება. სურათი რომელსაც იგი გვიხატავს, ეს იმ ბედის ბორბალია, რომელთანაც ყველაფერი ბრუნავს და წინანდელ სახეს ღებულობს.

წინა აზიის ერთა შორის გავრცელებული დოქტრინა უფრო პითაგორას ზეგავლენას უნდა მიეწეროს, ვიდრე ინდოეთს. შაჰრასტანი მოგვითხრობს, რომ საბიელთა ერთი სექტა (ხარბანიჯა) ჰქადაგებდა სულთა მოგზაურობას და რომ აქედგან წარმოსდგა სულთა მიგრაციის და ღვთაებრივი განკაცების ცრუ მოძღვრება. ცნობილია, რომ მუსლიმანთა მიერ კერპთაყვანისცემლად წოდებულ საბიელთ მრავალი ნეოპლატონური და ნეოპითაგორული აზრი შეითვისეს. ამ საბიელთ უნდა ჰგულისხმობდეს ყურანის XXIII 37, 38 სურა, მაგრამ არა მგონია, რომ აქედგან შეიძლებოდეს რამე დასკვნის გამოტანა მეტაპსიქოზის შესახებ.

გნოსტიკების სულთა მიგრაციის დოქტრინა დაკავშირებულია უმთავრესად, სვიმონ მოგვის სახელთან. კარპოკრატინელთ (4 საუკ. ქ. წ.) სწამთ თვით მაღალ სფეროთათვის მომნიჭებულ სულთა განმეორებითი ხორცშესხმა. სისტის სოფიას სცნობია მეტენსომატოზის (იხმშიტ 308), ებრაელთაც ჰქონიათ სულთა მიგრაციის დოქტრინა. იგი პირველად თავს იჩენს ზოხარის ლიტერატურაში (მე-8 და მე-9 საუკუნე) გილგულის სახელწოდებით, რაც ბერძენთა ბედის ბორბალს ანუ ბრუნვას უდრის. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოძღვრება იმავე დროს წარმოიშვა, როგორც გნოსტიციზმი. პილოს შეხედულება უფრო პლატონის მითების გავლენას უნდა მივაწეროთ, ვიდრე ებრაელთა საიდუმლო მოძღვრებას.

სამარიტელთ სწამდათ ხორცშესხმის დოგმა, რომელთაც ადამისა, სიფისა, აბრამისა, ნოესა და მოსეს სახით ერთი და იგივე ძალა ამოქმედებდა. მაგრამ ამას საერთო არა აქვს განწმენდის იდეასთან დაკავშირებულ მეტაფიზიკის მოძღვრებასთან. ღმერთის მრავალი გზითი მანიფესტაციის იდეა დიდ როლს თამაშობდა საზოგადოდ აღმოსავლეთში და განსაკუთრებით კი, შიიტთა მოძღვრებაში, რომელთაც იმამთა დაბრუნება სწამთ. ძველს დროში ფილოსოფია და რელიგია ერთმანეთშია გადარეული და ფრიად საძნელია ამ ორი ელემენტის ცალ-ცალკე გამოყოფა. გარდა ამისა აქ ყოველი დოქტრინა შეზღუდულია ვინრო, ეროვნული საზღვრებით. ინდოელისთვის ქვეყნიერება მხოლოდ ინდოეთია. ისეთი უცნაური საკითხის კვლევა-ძიება, როგორიც არის სულთა მიგრაციის მოძღვრება, გვარწმუნებს, რომ ამგვარ იდეათ შესაძლებელია ფეხი მოეკიდათ მრავალ ერთა შორის სრულიად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამგვარივე ზოგადი მოვლენაა მისტიკა, რომელიც არ შეიძლება მიენეროს ერთ რომელიმე ერს თუ პიროვნებას და ყველგან ადამიანის სულში ჰპოვებს თავის ნიადაგს. პითაგორელთა უკუბრუნვის დოქტრინა გადახლართულია ორფელთა სულის განწმენდის იდეასთან. ინდოეთში კი საიქიო იამას სამეფოში სულთა ცხოვრების მოძღვრება, შეიცვალა მეტაფიზიკის დოქტრინით.

ო. გ. ფონ-ვეზენდონკ

ჰეროდა¹

რასაკვირველია, რეალიზმი არ იყო მთლად უცხო ანტიური პოეზიისათვის. მაგრამ ეს რეალიზმი, თუ მხედველობაში სოფრონეს არ მივიღებთ, სინამდვილის ინტერესებიდან არ გამომდინარეობდა და მუდამ ან იდეალიზაციას, ან კარიკატურას შეიცავდა. ანტიურობის წარმომადგენელი თითქოს ვერ ჰბედავდენ მის იმდენად დაწურვას, რამდენადაც ამას საჭიროება მოითხოვდა. ისინი მასში მუდამ ურევდენ უცხო სახეებს. ყველაზე უწინ **ვერიპიდე** დაუახლოვა პოეზია ცხოვრებას: მან, ასე ვსთქვათ, განაადამიანა დრამა და დასახა ახალი გზა, რომელიც შემდეგ მენანდრემ გააღრმავა თავისი ყოფა-ცხოვრების კომედიებით².

ერთი სიტყვით, რეალიზმისათვის სათანადო ნიადაგის მოსამზადებლად მუშაობა დიდხანს გრძელდებოდა, რაიცა თავის მხრივ საზოგადოებას თანდათანობით ამზადებდა მის შესათვისებლად. ამგვარად ელინურ პოეზიის აყვავების დროს რეალიზმის ნიადაგი უკვე მზად იყო და მის საბოლოოდ გამოქვეყნებას ორი პოეტი შეუდგა: თეოკრიტე, სენტიმენტალური რეალიზმის წარმომადგენელი და ჰეროდა, ნამდვილი რეალისტი.

თეოკრიტეს ნაწარმოებთა შორის ცენტრალური ადგილი მის „იდილიებს“ უჭირავს, რომელნიც ორ ჯგუფად განიყოფიან: პირველს ბუკოლიური ხასიათის სცენები ეკუთვნის და მეორეს მიმები. განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ მიმმა სიმღერა არ იცის, მაშინ როდესაც ბუკოლიური სცენა უამისოდ წარმოუდგენელია. მთელი მისი სიმძიმის ცენტრი სიმღერაშია და იგი შეიცავს მთავარ ინტერესს. მაგრამ ჩვენ ახლა თეოკრიტეს ბუკოლიური სცენები კი არ გვინტერესებს, არამედ მისი მიმები. ჩვენ ამ მიმებს

1. გაგრძელება (იხ. ილიონი №2).

2. Церетели. Новые комедии менаандры, 7 ст.

მივმართავთ, რომ მათი თავისებურობის გამორკვევის შემდეგ ჰეროდასა და მისი შემოქმედების განხილვას შეუდგეთ.

თეოკრიტე, როგორც ჰეროდა და, როგორც საერთოდ ყოველი ელინისტური პოეტი, თავის შემოქმედების საფუძველში არ იყო დამოუკიდებელი: ის მთლად ანტიურობას და ბუკოლიკას ემყარებოდა და მიმის სანიმუშად სდევრონე ჰყავდა სახეში. მაგრამ თუ თეოკრიტე ზოგიერთ სიუჟეტების არჩევანში და დორიული დიალექტის შენარჩუნებაში სოფრონეს მისდევდა, სამაგიეროდ იგი დაჰშორდა მას იმითი, რომ თავის თხზულებებს დაქტილური ჰექზამეტრის ფორმაში სწერდა, მაშინ როდესაც სოფრონე სილაბიულილი პროზით სწერდა. გარდა ამისა მან სოფრონეს უხეში რეალიზმი დაარბილა, მოაშორა მისი უხეშობა და სენტიმენტალიზმის საგრძნობი ნაკადი შეურია. მაგალითისათვის ავიღოთ თეოკრიტეს მიმი „ჯადოსნები“. მისი შინაარსი სულ უბრალოა. ქალი, რომელიც დასტოვა სატრფომ გადასწყვეტს მიმართოს ჯადოსნობას, რათა როგორმე დაიბრუნოს იგი. მოახლის თანხლებით გადის იგი ღამე ქალაქს გარეთ და აქ ჰელენესადმი მცირე მიმართვის შემდეგ შეუდგება შელოცვას. ერთი შელოცვა სცვლის მეორეს, ერთი ჯადოსნობა ადგილს უთმობს მეორეს და მუდამ, ყოველ განსაზღვრულ დროის შემდეგ გაისმის ერთი და იგივე დაჟინებით განმეორებული მიმღერება:

ინგს, დამიბრუნე ჩემი საყვარელი ქმარი!..

სიმეთა, ასე ჰქვია ქალს, სცდილობს მთელი თავის არსებით შესცურდეს ამ ჯადოსნურ აქტში, მაგრამ ეს მის ძალას აღემატება, მისი სულის ტრალიკული მდგომარეობა ისევ და ისევ აღმოხეთქს. ავიწყდება ჯადოსნობის წესი და თავის დარდს უბრუნდება:

აი ზღვაც დანყნარდა, დანყნარდა ქარიც,
მხოლოდ ჩემს გულში სევდა არ წყნარდება არც ერთი წამით.

მაგრამ ის მაშინვე ერკვევა, უბრუნდება შელოცვას და მას ისევ გმინვა აღმოხდება:

ბოროტო ეროს, რისთვის მომეკარ ჭაობის ნურბელასავით
და მთლად ამომწოვე გულიდან აღისფერი სისხლი!

მაგრამ აი, შელოცვაც გათავდა, მხევალი, რომელიც ეხმარებოდა, გაგზავნილია უკანასკნელ ჯადოსნ შესასრულებლად და სიმეთა რჩება მარტო.

ახლა სულ მარტოდ შეთენილმა ვით გამოვიტირო სიყვარული
რითი დავიწყო ამბავი ან ვინ მომიძღვნა ეს წამება?..

მთავარი მიზეზი, რომელმაც აიძულა ჯადოსნობისათვის მიემართა იპყრობს მის სულს. მას უნდა, გონებით მაინც ერთხელ კიდევ განიცადოს ის ბედნიერება, რომელიც მას სიყვარულმა მისცა და აი, ის ცივ ბუნების წინაშე იგონებს ყველა იმ შორეულ, ნეტარ წუთებს, რომელმაც იგი ამ მდგომარეობამდის მიიყვანა.

სიმეთას უბრალო მონოლოგი უნებლიედ ჰხვდება მკითხველის გულს, აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ სიმეთა ღარიბი ქალიშვილია და სცხოვრობს ერთი მხეველის ანაბარა ქალაქის განაპირას. ერთხელ ის ერთ ნაცნობ მოხუც ქალთან ერთად წასულა სახალხო სეირნობაზე, გზაში შეხვედრია მისი მომავალი სატრფო. სიმეთას შეუყვარდა იგი, რამდენიმე ხანს ებრძოლა ამ გრძნობას, მაგრამ ბოლოს გამოსავალი რომ ვერ ნახა და დარწმუნდა, რომ იმას ვერავითარი მკითხავები ვერ უშველიან თავისი შელოცვებით, ის ჰგზავნის მხეველს დელფისთან, ახალგაზდა გოლიათთან, რომელიც მის გულს დაეუფლა. ვაჟი მოხიბლული ასეთი მსუბუქი გამარჯვებით, მიდის ქალთან და მიჰმართავს სიტყვებით,

რომელსაც სიმეთა ისეთი განსაკუთრებული სინაზით იმეორებს. ამ სიტყვებიდან სჩანს, რომ ჩვენ წინ სდგას მარად ახალგაზდა ტიპი ქალების გულის დამპყრობელისა. და ეს სიტყვები, როგორათაც ის არ უნდა იყოს ნათქვამი, სჩანს, რომ უსულოა, მაგრამ ის ლამაზია, ის ეალერსება ქალის გრძნობას თავის ნიუანსებით და თითქოს აჯადოვებს ადამიანს თავის გარეგან მომხიბვლელით. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ჩვენთვის უკვე გასაგები ხდება, თუ რას უნდა მოველოდეთ ამ კაცისაგან და არც გვიკვირს, რომ სიმეთა მისგან დავინყებულნი და მიტოვებულნი. თვითონ სიმეთაც წარსულის მოგონების დროს, თითქოს ჰგრძნობს, რომ ყველაფერი გათავებულია და რომ ეს შელოცვებიც ყოვლად უსარგებლოა, მაგრამ მას არ შეუძლია თავი დააღწიოს იმ ძლიერ გრძნობას. მას ეჭვები აღრჩობენ, იგი მზად არის დელფის მოკვლისათვისაც. შემდეგ მას ისევ ის მძიმე ფიქრები იპყრობენ რომ ბედნიერება სამუდამოდ დაკარგულია. ის თითქოს პირველად ჰგრძნობს, რომ სულ მარტოა, რომ ღმერთები შორს არიან, რომ ბუნებას ადამიანის ნაღველთან საქმე არა აქვს და ერთ გვარ საბოლოო აკორდათ გაისმის სიმეთას უკანასკნელი სიტყვები, სიტყვები ბრძოლაში დაღლილ ადამიანისა:

გარეკე ჩქარა ოკეანესკენ, ქალღმერთო, ცხენები,
მე კი ჩემს ტანჯვას ვატარებ გულით, როგორც მიტარებია.
გიხაროდეს, ბრწყინვალე სილენავ, გიხაროდეთ, ვარსკვლავნო.
იღუმალ ღამის ეტლს რომ მისდევთ!..

პიესის მოკლე გარჩევიდან, როგორი ზერელეც არ უნდა იყოს იგი, სჩანს, რომ თეოკრიტეს დიდი ნიჭს არ შეეძლო შეზღუდულიყო მიმიური პოეზიის ვიწრო ფარგლებით. მისთვის ცოტას ნიშნავდა ფოტოგრაფია და წვრილმალ დაკვირვება. მისი სურვილი იყო ღრმად ჩასწვდომოდა ადამიანის სულს, მას უნდოდა ამ უკანასკნელის იდეალიზაცია, ჰსურდა, პოეზია შეეტანა ჩვეულებრივ ცხოვრებაში და აი სიმეთაც, არსებითად ჩვეულებრივი მგრძნობიარე ქალიშვილი იქნება მხატვრის ხელში წამებულ ადამიანის ლამაზ სახედ. ეს უკვე არ არის მომენტალური ფოტოგრაფია, ეს დიდი ხელოვანის ხელიდან გამოსული მხატვრულად ასრულებული პორტრეტი. ცხადია, თეოკრიტეს ყველა მიმები არ არიან ასე ლამაზი, მაგრამ ყოველ მათგანს მაინც აზის იდეალიზმის ელფერი, ყოველ მათგანში საგრძნობია რაღაც უხილავი მოხდენილობა და პოეზია, რომელიც ღრმავდება მოქნილ და ხმოვან ლექსის ჰარმონიით. მას თითქოს არ უნდა შეეხოს სავსებით მიწას და მუდამ მის მაღლა დასცურავს. ამიტომაც მიმი — უბრალო ყოფა-ცხოვრების სურათი, სცდება თავის ფარგლებს და აღარ არის მიმი ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. თეოკრიტე მეტად პოეტური იყო მიმისათვის. ამ უკანასკნელს კი სჭიროდა უფრო უბრალო და მოუქნელი, უფრო ზერელე და წმიდა რეალობას დაწაფებული ნიჭი. ასეთი ნიჭი იყო ჰეროდა.

ორ ლუზაზეა მიმაგრებული ჰეროდას შემოქმედება: **ჰიპონაქტე და სოფრონე ზე**. პირველი ჰეროდეს მიმებს აძლევს გარეგან საფარს, პირს, მეორე კი შინაარსს, ტონს და საერთო ხასიათს. მართალია, თვით ჰეროდა მხოლოდ ჰიპონაქტეს იხსენიებს, მაგრამ, როგორც ფაქტები ჰლალადებენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ჰეროდა სოფრონეთიც სარგებლობდა. ჰეროდას ჰიპონაქტესგან ნასესხები აქვს ლექსის ზომა თავის მიმებისათვის, სახელდობრ: ხოლსაბრური ტრიმეტრი, რომელიც ჩვეულებრივ იამბურიდან უკანასკნელ ცეზაში სპონდების არსებობით განირჩევა, რის გამო ლექსი ბოლოში თითქოს სუსტდება და ხდება ერთგვარი შეერთება და მით პროზის ხასიათს იღებს. ზომის გარდა, რომელიც მისი დანიშნულებას სავსებით უდგება (ცხოვრების პროზის განსახიერებას), ჰეროდა და-

ვალეზულია ჰიპონაქტესაგან კიდევ მრავალი სხვა მხარეებითაც, თუმცა ჰეროდა სატირიულ მიზნებს სრულიად არ ისახავდა, ურომლისოდაც ჰიპონაქტე წარმოუდგენელია, თუმცა ისიც იმავე წრეს და მდგომარეობას იღებს თავის თემებისათვის. იგი იმავე იონიურ დიალექტს სტოვებს და ბოლოს მრავალ შემთხვევაში ჰიპონაქტეს მიერ შემოღებულ ხალხურ ენას ხმარობს, აგრეთვე მის იდიომებს, ითვისებს ანდაზებს და საერთო სურათის ასახვის მანერას. რაც შეეხება სოფრონეს, ჰეროდა მისგან უკვე განმზადებულ რეალისტურ მიმის სესხულობს მის დამახასიათებელს თვისებებს სავსებით ინარჩუნებს. ის არა ერთხელ სესხულობს სოფრონესაგან აგრეთვე ფაბულასაც, რასაც მისი პირველი და მეოთხე მიმი გვიმონებს. ბოლოს იგი იმავე სოფრონესაგან სწავლობს ზუსტ და სწორ დაკვირვებას და ითვისებს მისგან ბუნებრივსა და უბრალო სტილს. ჰიპონაქტესა და სოფრონეს გარდა ჰეროდაზე გავლენა იქონია აგრეთვე ბერძნულმა კომედიათ, უმთავრესად ახალმა თავის წარმომადგენელის მენანდრეს სახით. ერთი სიტყვით, ჰეროდამ, როგორც ნამდვილმა ჰელენისტურმა პოეტმა, ზედმინევით შეისწავლა მთელი წინამორბედი ლიტერატურა, ე. ი. სახეობანი, რომელიც მას შემდეგში გამოადგებოდა. ამგვარად ჩვენ შეგვიძლია მას განსაზღვრულ საზღვრებში ვუწოდოთ „სწავლული“ პოეტი, ფუტკარი, რომელიც ყველგან ჰკრეფს საჭირო მასალას და შემდეგ თავისებურად გადაამუშავებს.

მაგრამ ჰეროდა არ იქნებოდა ჭეშმარიტი პოეტი, რომ, გარდა ამგვარ დამყარებისა წინამორბედებზე, შემოქმედებაში არ შეეტანა თავისებური, ორიგინალური და ახალი სახეები. მართალია, ჰეროდამ ზედმინევით შეისწავლა ძველი ხელოვანნი, მაგრამ მათს მონურ მიბაძვისაგან შორს იყო. გამოსავალი წერტილი მისი შემოქმედებისა იყო მისი თანადროული ცხოვრება, რომლის გამოხატვასაც ის მის მიერ გამომუშავებულ მანერით სცდილობდა: როგორც ჭეშმარიტი „მიმოლოგი“, იგი არ სწერდა წინასწარ დასახულ მიზნით და დიდაკტიურ, სატირიულ ტენდენციებით. იგი სცდილობდა, ის გადაეღო ზუსტად, რასაც ჰხედავდა და ესმოდა იმ წრეებში, რომელიც მან აირჩია თავის დაკვირვების საგნად. ასეთი ხალხი ჰეროდასათვის იყო ის, ასე ვსთქვათ, „პატარა ადამიანები“, რომელთა ინტერესი არ სცილდება ჩვეულებრივ ფარგლებს. მათი ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი, მათი სიტყვები და მოქმედებანი, მათი სიხარული და მწუხარება ჰპოვებდა ჰეროდაში სწორსა და ნამდვილს ამსახველს. მიმის კანონის-და თანახმად, იგი სრულიადაც არ სცდილობდა ღრმად შეჭრილიყო თავის გმირთა ფსიხოლოგიაში: მისთვის სრულიად საკმარისი იყო უბრალო მომენტალური სურათები, იმისდა დამოუკიდებლად — კარგს თუ ცუდს მხარეს გამოჰხატავდნენ ისინი. ამიტომაც ჰეროდას ყველა სცენები ავტორის სრულ მოუდგომლობას ამჟღავნებენ. ის არ იტანჯება თავის პერსონაჟებისათვის, მას არ აშფოთებს მათი ბედი, არ ჰხარობს მათი სიხარულით. როგორც ფოტოგრაფი ჰქმნის იგი თავის სურათებს და შემდეგ გამოაქვეყნებს, თითქოს ყველას მოუწოდებს, შეხედონ, თუ რა ხდება და როგორ სცხოვრობენ ხალხის ცხოვრების სხვადასხვა კუნჭულში.

ავილოთ თუნდ პირველი მიმი „შუამავალი“. საშუალო შეძლების ოჯახი. ქმარი სახლში არ არის, იგი სავაჭროდ გაემგზავრა ეგვიპტეში, სახლში დარჩა მისი მეუღლე მეტრიხა და ფრაკიელი მხევალი. მეტრიხა თავის საქმეებითა და ქმარზედ ფიქრით არის გართული. სტუმრებისათვის არ სცხელა. მაგრამ აი, სტუმრები ახლოს არიან: მოდის დედაბერი ჰილდიდე, მან შეიტყო, რომ მეტრიხა მარტოა და შემოიარა, შორიდან იწყებს იგი ლაპარაკს, ხან იმაზე, ხან ამაზე და ნელ-ნელა გადადის თავის სტუმრობის ნამდვილ მიზანზე, ნელა, ნამდვილი შუამავლის ხერხით უქებს იგი მეტრიხას ერთ ყმანვილ კაცს, მას თითქმის არც ერთი ღირსება არ აკლია; ლამაზია, მდიდარი, განთქმული მოჭიდავე და მორი-

დებული და მორცხვი, როგორც ქალიშვილი. ასეთ ვაჟთან ჰილდიდეს აზრით, ცოდვა არ არის, ქმარს რომ უღალატოს ქალმა, მით უფრო, რომ ერთი ცოდვა სათვალავში მოსატანიც არ არის. მაგრამ ტყუილ-უბრალოდ ენაწყლიანობს ჰილდიდე. მეტრიხა მას სიტყვას აწყვეტინებს და თავხედ წინადადებაზე უარს აცხადებს. შემდეგ ყველაფერს ხუმრობად აქცევს და სმის მოყვარულ დედაბერს ერთი ჭიქა ღვინით გაუმასპინძლდება. ჰილდიდე კი მიდის იმ იმედით, რომ ორ სხვა კლიენტთან მაინც უფრო ბედიანი იქნება.

ჰილდიდას პარალელად ივარგებს საროსკიპო სახლის პატრონი **ბატარი**, მეორე მისის მომქმედი პირი. მოქმედების ადგილი სასამართლოა, რომელზედაც **ბატარი** ბრალდებულად გამოდის **არტიმე-თალესის** წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი ღამით შევარდნილა ბატარის დანესებულებაში. ცეცხლი კინალამ გაუჩენია, პატრონი უცემია და ერთი ქალთავანი ძალით წაუყვანია და გაუუპატიურებია. ყველაფერ ამას ბატარი ამბობს თავის სიტყვაში, რაიცა საუცხოვო პაროდიაა ჩვეულებრივ ჰიპერიდისებურ სასამართლოს სიტყვისა. კაცი აღტაცებაში შეიძლება მოვიდეს იმ ხელოვნებითა და ოსტატობით, რომელითაც ჰეროდამ ხაზი გაუსვა ორ კონტრასტს: სიტყვის მაღალ პათოსსა და მოლაპარაკის გულახდილ თავხედობასა და სიმდაბლეს. შეიძლება ბატარის ტიპი ახალი არ იყოს, მისით არა ერთხელ უსარგებლია კომედიას — მაგრამ იგი სულ ახალი ინტერპრეტაციით არის ახალი, ხალხური ენის ოსტატური მოხმარებით და ბოლოს იგი ახალია, ექსპრესიოზობაა სიცხოველის თვალსაზრისითაც. ტყუილად კი არ გახდა იგი შემდეგ ძველ ქვეყნის ლიტერატურაში საყოველთაოდ ცნობილ ტიპად!

მაგრამ აი, მოქმედება გადატანილია სულ სხვა ადგილას. მესამე მიმში ჩვენ ვხედავთ სკოლას და მის გამგეს — ლამპრისეს, ეს უკანასკნელი „მოჩხუბარ **ორბილიუს**“ გაგონებთ, რომელიც ღრმა სიბერემდისაც კი ვერ დაივიწყა ჰორაციუსმა. ამ ლამპრისესთან მიდის მიმი ნათესავი ქალი **მეტროტიმე** თავის ვაჟით **კოტალათი**. დედამ ვერ შესძლო შვილის მოჭკვიანება: ბიჭი არ სწავლობს, სულ საეჭვო ბიჭებს ეამხანაგება და ისედაც მშობლების ქონებას ფლანგავს. საჭიროა ჭკუის სწავლება და აი იგი ამისთვის მოიყვანეს აქ. მეტროტიმეს დაბეჯითებით თხოვნისამებრ, რომ რაიმე ზომა მიიღოს ლამპრისამ, იგი საქმის სისრულეში მოყვანას მაშინვე შეუდგება. ბიჭი „ზეცად“ აჰყავს და იწყება ირონიულ ნიშნის მოგებით წკეპლვა, რომელიც იქამდის ჰგრძელდება, სანამ კოტალის ზურგი „გველივით არ აუჭრელდება“. მართალია, დედა არ არის ამით დაკმაყოფილებული, მაგრამ ლამპრისე ამშვიდებს, რომ ის ამ ახლო მომავალში კიდევ დასჯის მის შვილს. მეტროტიმე უკვე დამოკიდებული მიდის სახლში დასჯილ კოტალას თანხლებით. მიმის სიმძიმის ცენტრი თვით მეტროტიმეს ხასიათშია, მაგრამ არა ნაკლებ კარგად არის მოხაზული პედანტი მასწავლებელიც თავისი სიდარბაისლით და ირონიით. აგრეთვე საბოლოოდ გაფუჭებული ბიჭის კოტლის ტიპიც მშვენივრად არის ასახული, ნათლად არის აგრეთვე დახატული ღარიბ ოჯახის მთელი ცხოვრება, სადაც ყველაფერი დედის მხრებს აწევს და თვით ეს უკანასკნელიც გაბოროტებული და შვილზე დამყარებულ იმედებში გაცრუებული, დედაა, რომელმაც თითქმის მთლად დაჰკარგა ადამიანური სახე მუდმივ უბედობისა და გაჭირვების გამო.

თუმცა ღარიბი ცხოვრება მეტად მძიმეა, მაგრამ მათაც აქვთ ხანდახან სულიერ სიმშვიდისა და მოსვენების წუთები. ამის გამოხატვას უნდება თეოკრიტეს მიმი „სირაკუზელი ქალები“ და ამავე თემას ეხება ჰეროდას მეოთხე მიმიც: „ქალები ასკლეპიას ტაძარში“. ამ მიმს გარდა ამისა აქვს დიდი არქეოლოგიური ინტერესი და მნიშვნელობა. ჩვენ კუნძულ კოსზე ვართ ასკლეპიას ტაძართან. თენდება. ტაძარს უახლოვდება ორი ქალი ერთ მხეველის თანხლებით, ორი მლოცავი მეგობარი ქალი კოკალა და კინნო. ისინი სალოცავად და

მამლის მსხვერპლად შესანიშნავად მოვიდნენ, რათა ავადმყოფობისაგან განიკურნონ. ლოცვით, რომელშიც რიტუალური წესის ზედმინევენით ასრულება გულუბრყვილობას უერთდება, კოკალა მიჰმართავს ასკლეპიას.

კინო კი, როგორც უფრო გამოცდილს, ამხანაგს ხელმძღვანელობს. მან კარგად იცის კერპთმსახურების ყველა წესები მთელი თავისი წვრილმანებით და აგრეთვე ყველა ღირს შესანიშნავი წმინდა ადგილები და, როგორც კარგად გამოცდილი გიდი კოკალას ყურადღებას აქცევს, რომ იხილოს ყველა ღირსშესანიშნავობანი. პირველ ყოვლისა მეგობრები ქანდაკებათა, მთელ რიგს ეცნობიან, რომელიც მოთავსებულია ტაძრის წინ სამსხვერპლოსთან და, შემდეგ როცა ტაძრის შესავალი კარი იღება, ესენი ხალხთან ერთად შედიან საკურთხეველის ცელლაში და აღტაცებულნი რჩებიან აპელესის სურათით, რომელიც მსხვერპლის მიტანის პროცესიას წარმოადგენს. მათი აღტაცება ცხადია, პრიმიტიულია: მათ სწორედ ის მოსწონთ, რაშიც მეტი სიცოცხლეა. მოსწონთ ის ხელოვნური ნაწარმოები, რომელიც სინამდვილის ილლიუზიას იძლევა და თვალს ვერ აშორებენ. ეს კიდევ ცოტაა: ისინი მზად არიან ხელი შეახონ ყოველ გამოსახულ საგანს, გასინჯონ და ყველასგან მოითხოვენ, რომ მათაც გაიზიარონ მათი გულუბრყვილო აღტაცება. მაგრამ ყოველივე ეს მათ ხელს არ უშლის გზა და გზა მხევალი ლანძღონ. ცხოვრების სიმძიმეზე რომ ინუნუნონ, ერთი სიტყვით, არ შეუძლიათ, არ გადუხვიონ იმ ჩვეულებრივ უბადრუკ ცხოვრებისაგან, რომელშიც ისინი ჩაფლული არიან. თითქმის რელიგია და ყველაფერი მასთან დაკავშირებული, მხოლოდ რამდენიმე წუთით ალაფრენს ხოლმე მათ მიწიდან. თეოკრიტეს სირაკუზელი ქალები უფრო მგრძნობიარენი და უფრო პოეტური არიან, ვიდრე ჰეროდას მლოცველები. სამაგიეროდ ეს უკანასკნელნი გაცილებით რეალურნი არიან და უფრო ნამდვილნიც თავისი უხეში უშუალობის თვალსაზრისით. მაგრამ გარდა სხვა მხარეებისა კიდევ ზემოთ გარჩეული მიმი ძვირფასია აგრეთვე არქეოლოგიურის მხრივ. ზემო ხსენებულ ხელოვნურ ნაწარმოებთა შესახებ, რომელიც ამ მიმში არის მოხსენებული, გასაოცარის სიზუსტით არის აწერილი, როგორც ეს კუნძულ კოსზე ასკლეპიის ტაძრის ნანგრევთა მოთხრამ დაამტკიცა. Archiv fur Religionswissenschaft X (1907), არც ერთი შეცდომა ჰეროდას აწერილობაში არ მოიპოვება, ყველაფერი ზედმინევენით დანვრილებით არის გადმოცემული და ჩვენ, როცა ტაძრის ნანგრევებს უცქერით ადვილი შესაძლებელი ხდება წარმოვიდგინოთ, თუ სად იდგა ქანდაკებები (მათგან მხოლოდ საფუძვლები-ლა დარჩა), რომელსაც უცქეროდნენ ჰეროდას მლოცველები. ნათლად ირკვევა, თუ სად იდგა ის ქვის გველი, რომელის ხახაშიც ისინი თავის წვლილს ჩაუშვებდენ, სად იყო მოთავსებული ასკლეპიას და მისი ოჯახის ქანდაკებებით მორთული საკურთხეველი, რომლის წინამეც უნდა ელოცა ჰეროდას წარმოდგენის კოკალს. პოეტ-რეალისტიმა არც აქ უღალატა თავის თავს: მან ის დაგვიხატა, რაც არა ერთხელ ენახა მას თავისი თვალთ, აგვიწერა ის, რითაც თვითონ არა ერთხელ აღტაცებულა და აღწერილობისათვის არც არაფერი დაუკლია და არც მიუმატებია. მხოლოდ ერთში აქვს შეცდომა. უბრალო ქალისთვის მეტად გადაჭარბებულია ის ქება, რომლითაც იგი აპოლოს მიჰმართავს და მეტად ნათლად არჩევს იგი პრაქსიტელის ვაჟებს სხვა ქანდაკებათაგან. პოეტი საკუთარ განწყობილებასა და მიდგომას ხომ არ ამჟღავნებს ამ ხელოვანთადმი?..

კიდევ უფრო ნაკლებად სასიამოვნო სურათს გვიხატავს მიმი „იჭვიანები“. ჩვენ აქ შევდივართ ადამიანის პიროვნების დამონებისა და დამცირების სამეფოში. ჰეროდას გმირები მეტად ცუდად ექცევიან თავის მონებს, ისინი მათში არ ჰხედავენ ადამიანს და ათასგვარ უხეშ სიტყვებით ლანძღავენ. თვით კეთილშობილი მეტრიხე სხვა სიტყვას ვერ ჰპო-

ულობს თავის ფრაკიელ მხევალისათვის, გარდა „გაეთრიე მონავ!..“ მაგრამ მე-5 მიმს ჩვენ კიდევ უფრო ბნელ სამყაროში შევყავართ. ჩვენ აქ მოწმე ვხდებით ეჭვიანობის ველურ სცენისა, რომელსაც მგრძნობიარე და თავშეუკავებელი ქალბატონი **ბიტინე** უწყობს თავის საყვარელს მონა **გასტრონს**. იგი ეჭვს იღებს, თითქოს მას სამიჯნურო დამოკიდებულება ჰქონდეს მეზობელ ქალ **ამფიტეასთან** მიუხედავად მუდარისა გამოტყვისა და პატიების თხოვნისა, იგი გაბანრულს ჰგზავნის მას ვილაც ჰერმონთან ეკუთვნიანისათვის. ერთი წუთის შემდეგ იგი მას უკანვე აბრუნებს, მაგრამ საპატიებლად კი არა, არამედ იმიტომ რომ სამარცხვინო დალი დააკრას. და მხოლოდ მოახლე კიდილას თხოვნა, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ქალბატონზე, იხსნის გასტრონს სასჯელისაგან, ბიტინა აპატიებს მას. ბიტინა მიმის ცენტრალური ფიგურაა. მისი თავგასულობა, ცინიზმი, უხეშობა და შეუკავებლობა ჰეროდას მშვენიერად აქვს დახატული. ეს ტიპია საბოლოოდ დაცემულ ქალბატონისა. არა ნაკლებ ოსტატურად არის დახატული მის ირგვლივ მყოფნი: შიშისაგან აცახცახებული მსახურნი, უარყოფილი საყვარელი, მოპყრობა მისდამი მონობაში თანამოზიარე ამხანაგებისა, ყველაფერი ეს ისეთ საძაგელ ხასიათს ატარებს, რომ სუნთქვა შეგეკვრებათ. ირგვლივ საშინელი უკუნეთია და ხსნა არსაიდან სჩანს. მაგრამ ის, რასაც მე-5-ე მიმი „გულახდილი ბაასი“ გამოხატავს კიდევ უარესია თავის საშინელებით. აქ მოზაასე ქალბატონები პროტოტიპები არიან მოპასსანის „la petite barone“ „la petite marquise“-ის პერსონაჟებისა. მაგრამ ესენი გაცილებით უბრალო არიან თავის გახრწნილებაში, ვიდრე მოპასანის გმირები. მათზე შეიძლება ითქვას, რომ მათ გასამართლებლად არის „leuro andeur dans la dépravation“¹, მაგრამ თუ ამ ბაასის შინაარსს გვერდს აუვლით, დანარჩენი წვრილმანები ამ მიმისა ღირსია ყურადღებისა და აღნიშვნისა. ისინი ზედმინვენით გვიხატავენ ალექსანდრიის გარყვნილ საზოგადოებას, განსაკუთრებით ქალთა წრეს, რომელიც არაფრის წინაშე არ ჩერდება, ოღონდ კი თავშეუკავებელი მგრძნობიარება დაიკმაყოფილონ. მეორეს მხრივ, ამ საზოგადოების გარეგნული ბრწყინვალეობა, რაიცა გამოიხატება სტუმრის მიღების ცოდნაში და ძალდაუტანებელი „causerie“-ის წარმოებაში და რომელიც სრულიად არ უარყოფს მაშინდელ ქალბატონების მოუხეშავობას, რითაც ისინი თავს ატყდებოდნენ თავის მოახლეებს. ბოლოს ეს მონებიც გონება ბნელნი და დამფთხალნი და ამასთანავე ზარმაცნი და მოუხერხებელნი არიან, მათ არაფერი არ აინტერესებთ გარდა ჭამისა, უბადრუკ სიცრუისა.

მაგრამ სურათი ისევ იცვლება. იმ სახლიდან, სადაც „ინტიმური“ საუბარია, მხატვარს გადავყავართ მეწაღე კერდონეს სამუშაო ოთახში, მუშა ხალხის წრეში. და აი, ამ სახელოსნოში სწარმოებს მოქმედება, ერთ კერდონის მუშტარ ქალს, მეტროს, მოჰყავს მასთან ორი ამხანაგი. მათ ფეხსაცმელის ყიდვა უნდათ: მოხერხებული და ცბიერი კერდონი, რომელსაც მოხდენილი სიტყვა მუდამ მზად აქვს, წმინდა ნოქრულ მოხერხებით ართობს თავის სტუმრებს. ის აოცებს მათ სხვადასხვა საქონლით ხან აქებს საქონელს, ხან სჩივის ცხოვრების სიდუხჭირეზე, თან ქათინაურებს ეუბნება და საშინელ ძვირ ფასებს აპარებს. ბოლოს იგი დიდი ცდის შემდეგ მიზანს აღწევს. ფეხსაცმელი ნაყიდა, მისივე გამოთქმით, „თევზი ბადეს მოჰყვა“. მხოლოდ მეტროს მადლობა უნდა გადაუხადოს. კერდონი მას ცალკე გაიწვევს და სთხოვს, რამდენიმე დღის შემდეგ შემოვიდეს ფეხსამოსისათვის და თან კი თავის თავს ეუბნება გულში: „მეწაღე, თუ თავში ჭკუა გაქვს, რაც გათბობს ის შენი ხელით გააკეთე“.

1. Dalmeyda, Les mimes d’Nerodas, 23.

ჰეროდას მიმების გარკვევა უკვე გათავებულია, მათი თავისებურება საკმაოდ თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი. ჩვენ ახლა უკვე ვიცით, თუ რას წარმოადგენენ ჰეროდას გმირები. ისინი არ სცილდებიან ჩვეულებრივ, გარყვნილ და გათახსირებულ ხალხის დონეს. მათი ინტერესები მეტად უბრალოა და მათი იდეალები მეტად მინიერი. მათი ზრუნვაა მხოლოდ დღევანდელი დღე და მის იქით მათთვის ჭეშმარიტი ცხოვრება არ არსებობს. არაფერს მაღალს ისინი არ ესწრაფიან. მთელი პოეზია მათთვის მხოლოდ უბრალო პრიმიტიულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა. ამის იქით რაიმეს დანახვა მათ ძალას აღემატება. ისინი ცხოვრების სიდუხჭირემ ჩაითრია, ჭაობში ტრიალებენ და შიგ თავს ისე ჰგრძნობენ, როგორც მშობლიურ, შეჩვეულ სტიქიაში.

ასეთი არიან ჰეროდას ყოფა-ცხოვრების სცენების მოქმედი პირები. უკვე ნათელია, რომ ამ სცენებში არ არის არავითარი ამაღლება, არც ფანტაზმის აღმაფრენა, არ არის აგრეთვე რომანტიული ელფერი, რომელიც თეოკრიტეს ემჩნევა: ესენი არიან მეტად *Terre a Terre*. თეოკრიტეს ჰეკზამეტრის საწინააღმდეგოდ — დაბეჭდილი ლექსიც კი არ შეიცავს ჰარმონიას და სილამაზეს. მისი უმთავრესი მიზანია, რაც შეიძლება ზუსტად გამოჰხატოს ჩვეულებრივი სახმარებელი ენა.

მეორე მხრით ჰეროდას მიმებში არ არის არავითარი ცდა თავის გმირების ხასიათში ღრმად ჩანვდომისა, არც სურვილი გაანათოს ყველაფერი იდეათა სინათლითა და ზნეობრივ იდეალებით. ყველაფერი ეს ჰეროდას მიმებს გარეშე რჩება და მიუწვდომელია მისთვის. სამაგიეროდ მათში არის გარეგან ხასიათის სწორი დაკვირვებანი და ყოველ ნაბიჯზე გვხვდება თითქოს შემთხვევითი, მაგრამ ნამდვილად კი აუცილებელი დეტალები აღებულ პირის დასახატავად, რომელნიც ერთად შეკრებილნი თანდათანობით გარკვეულობით ჰხატავენ ამა თუ იმ სცენის პერსონაჟს. ბოლოს ჰეროდას მიმებს არ ემჩნევა, როგორც ეს ზემოთ ვსთქვით არც ფანტასტიკა და არც იდეალიზაციისაკენ მისწრაფება. ავტორი, როგორც რეალიზმის წარმომადგენელი გაურბის ამას და არ მალავს არც ერთ ნაკლს თავის გმირებისას, არც ერთ უხეშ წვრილმანს მათი ყოფა-ცხოვრებისას. ის იმას გადმოგვცემს, რასაც ჰხედავს. არც ხაზს უსვამს და არც ასხვაფერებს და ბოლოს შედეგად იღებს ყოფა-ცხოვრების პატარ-პატარა მომენტალურ ფოტოგრაფიებს და მის თანამედროვე „საშუალო“ და „დაბალ“ კლასის სულის კვეთებას. და თუ ჰეროდას მიმების საერთო ხასიათი მის პირად აღმოჩენათ არ ჩაითვლება, ვინაიდან ის ძველ ნიმუშებს ჰბაძავს, დაკვირვება და ცოდნა, რეალურ წვრილმანების შეჯგუფებისა კი მის ნიჭს უნდა მივანეროთ, თუ სიტყვას არ გავაგრძელებთ მის მიერ სალაპარაკო ენის ხმარებაზე, რომელიც სავსე იყო აფორიზმებით და მოსწრებულ თქმებით.

ამ გვარათ ჰეროდას სახით ჩვენ წინ სდგას საინტერესო რეალისტი მწერალი, რომელიც იძლევა, იქნებ მცირე და ზერელე, მაგრამ ამასთანავე ცოცხალ ცხოვრების სურათებს, რომელშიც ისევე როგორც შნიცლერის „ფერხულში“ ჩაივლის ჩვენ წინ გადახლართული ჯაჭვი, მუდამ ყმანვილი ტიპები და ეს ტიპები არსებობდნენ ძველ დროში და ახლაც გვხვდებიან ყოველ ნაბიჯზე. შეიცვალა მხოლოდ მათი გარეგანი სახეობა და არა არსი: ის იმყოფება და იქნება მუდამ უცვლელად.

დაგვრჩა კიდევ ერთი კითხვა, რისთვის ინერებოდა ჰეროდას მიმები, უბრალო საკითხავად, თუ სცენისათვის? მეცნიერებაში, არ არსებობს ამის შესახებ შეთანხმებული აზრი. მეცნიერების ნაწილი აქამდის იმ შეხედულებისა არის, რომ ჰეროდას მიმების დანიშნულება სახალხოდ წაკითხვა იყო, სადაც ისინი დიდს აღტაცებას გამოიწვევდნენ თავისი ძალითა და ბრწყინვალე გადმოცემით. მაგრამ ამ შეხედულებას ძლიერ სუსტი სა-

ფუძველი აქვს. თითქმის ერთად ერთი მე-8 მიმი არ შეეფერება სცენას თავის განსაკუთრებულ მიზნის გამო და ნაწილობრივ აგრეთვე იმ ფორმის გამო, რომელიც მას ბოლოში ეძლევა, ეს უფრო პოეტის „აღსარებაა“, ვიდრე თეატრისათვის დანერგილი ყოფა-ცხოვრების სცენა. სამაგიეროდ დანარჩენი მიმები სავსებით უდგება სცენიურ „მინიატიურათა“ ტიპს. საკმარისია მოვიგონოთ მათი შინაარსი, რომელიც ბევრს ჰკარგავს უბრალო ნაკითხვაში (მაგ. მე-3 და მე-7 მიმი) და წინააღმდეგ ბევრს იგებს, თუ თეატრში შესაფერ მონყობილებაში გადავიტანეთ და თუ სცენებს შესაფერ ამსრულებლებს მივცემთ. მხოლოდ მაშინ გამოჩნდება სავსებით მათი ღირსება-ნაკლებობები. შემდეგ ამისა არ უნდა ვიფიქროთ, რომ თითქოს სცენების დგმა შეერთებულ იყოს რაიმე ფორმალურ დაბრკოლებასთან. ორი, სამი მსახიობი, რომელთა შორის მოქმედების სიმძიმე მხოლოდ ერთს აწევს და მთლად პრიმიტიული დეკორაციები: დანაკლისს მაყურებლის ფანტაზია შეავსებს. დაბოლოს საჭიროება არ მოითხოვს მოქმედების ადგილის გამოცვლას, ყველაფერი ეს სავსებით ეთანხმება რომელიმე „Variete“-ს ტიპის პატარა თეატრის ძალებს. ამ სცენების მინიატიურობა დააბრკოლებდა მათ დასადგმელად: რადგან ადვილად შეიძლება მათი წყვილად შეერთება, ერთი მეორის მიყოლებით წარმოდგენა, მით უმეტეს, რომ ზოგი მათგანი თითქოს ახლო დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან (შეად., მაგ., მე-6 და მე-7 მიმი. პირველში ლაპარაკია მეწაღე კერძონზე, მეორეში კი იგი თვითონ გამოდის მთელ თავის თვისებების ბრწყინვალეობით). ერთი სიტყვით, არ არის არავითარი საფუძველი, რომელიც ხელს უშლიდეს იმ ფიქრს, რომ ჰეროდას მიმები ისევე, როგორც სხვა მიმები სცენაზე არ იდგმებოდა. ისინი სავსებით უდგებოდნენ ამ მიზანს და შესანიშნავად შეეძლო მიეზიდა საზოგადოება ამ მიმებით, სხვა და სხვა ჰელენისტურ „კაბარეტებს“!

პროფ. გრ. ფ. წერეთელი

ბიბლიოგრაფია

„გალაკტიონ ტაბიძის ყურნალი“ №5, „ასპიროზი“ №3, კრებული „კოლხეთი“ №1, გაზეთი „რუბიკონი“. მე საერთოდ გვიან ვიცი პასუხის გაცემა. კარგი იქნებოდა, ზოგიერთი კრიტიკოსებიც გაიგებდნენ, რომ ექსპრომტად ნათქვამ უაზრობას ხშირად ნაკვინევად ნათქვამი სიმართლე სჯობია. განსვენებულ არჩილ ჯორჯაძეს ერთ ადგილას შეუდარებლად აქვს დახასიათებული ქართველი ინტელიგენტის ტიპი: ზერელე, ტრაბახა, დილეტანტი, „აქაც არის, იქაც არის“, მდივანი, წევრი ან თავმჯდომარე ყველა საქველმოქმედო საზოგადოებათა, იდეალებისთვის მძიმე ლაშქრობას ვერ გადაიტანს, ცოლს რომ შეირთავს, იდეალებს ფეხებზე დაიკიდებს და სხვა. ამ დახასიათებას მე მიუმატებდი: მისი გული დახურულია სხვისი სიყვარულისა და სიტყვისათვის. ეზარება სიღრმეები და უფსკრულები, რადგან მეორე დიმენსიის გრძნობაზე მწყრალად არის. ამ დახასიათებას, ცხადია, ბევრი რამ მიუმატება. კიდევ ერთი: ქართველ ინტელიგენტს აბსოლუტურად აკლია სხვისი სიტყვისა და საქმის პატივისცემის და ანგარიშის განწევის უნარი. ყველაფერზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ საქართველოში იშვიათად ნახავთ დიდს, და მოსიყვარულე გულს სხვის სიყვარულისა და პატივისცემის მთიებით გამთბარს. ასეთი დიდი გული ახლო წარსულში ნეტარ ხსენებულ კიტა აბაშიძეს, არჩილ ჯორჯაძეს და ჩვენს საყვა-

რელს, მარადის დაუფინყარ სამსონ ფირცხალავას ჰქონდათ ლიტერატურაში. ეს დიდი მოსიყვარულე გულია ლიტერატურის და პოეზიის უდიდესი მეცენანტი, რადგან პოეზია კეთილი სანყისია, იგი სიყვარულის სტიქიონის ერთი ელემენტთაგანია. ალტრუისტი არ გახლავართ, მაგრამ ავლნიშნავ: **ის ადამიანი ვერაოდეს ვერაფერს შექმნის, რომელიც თავის თავს მუდამ მრავლობით რიცხვში არ გულისხმობს.** ეს დიდი გული წარსულშიაც არ ყოფილა ჩვენს მწერლობაში, ამიტომ რამდენი ქართველი პოეტი დაჰლუპა მარტობამ და ღვარძლმა: ნ. ბარათაშვილი, ალ. ყაზბეგი, გრ. აბაშიძე. რამდენს სრულიად გაავდებია კალამი ხელიდან!

კულტურის ემანაცია მხოლოდ ისეთი ადამიანის შუბლზე გადმოვა, რომელიც ისეთივე უშურო, ღია თვალებით შეჰყურებს სამყაროსა და ადამიანებს, როგორც ჩვენი ზეციერი დედა — მზე. პატარა, ღვარძლით დაკოჰრილი გულის მატარებელი ადამიანები მხოლოდ შურის ნაპერწკლებით ანთებული ირევიან სინათლის გარშემო. პოეზიისა და კულტურის მაღალი წიგნი მუდამ ბეჭდითა შვიდითა დაბეჭდული წიგნი დარჩება მათთვის.

მეორე დიდი უბედობა, რომელიც უცილოდ უნდა ეწვიოს საქართველოს მიწაზე ყოველ ახალს მთქმელსა და გამკეთებელს ეს ის არის, რომ ყველაზე უწინ ისეთები აგიტეხენ ბრძოლას, რომელნიც ბრძოლად არა ჰღირან. ეს ბრძოლა, რა თქმა უნდა, ყოველთვის პიროვნულ სიმპატია-ანტიპატიითაა გამონწეული.

სხვანაირი „გამოხმაურება“ საქართველოში იშვიათია: არსებითად კი ეს გამოხმაურება ჰქმნის ლიტერატურისა და პოეზიის იმპულსს. გამოხმაურება აგრძნობინებს მწერალს, რომ ის კაცთა შორის იღწვის და იბრძვის და არა უდაბნოში! სადაც ამ გამოხმაურების, ნომინალური გაგების სურვილიც აღარ არის, იქ უეჭველი უდაბნოა. საქართველოში ბევრ პოეტსაც არ უნდა იმის გაგება, რომ მწერლისთვის, პოეტისათვის შეუფერებელია წვრილანი ინტრიგა. ეს წარსულის პარტიული კინკლაობიდან გადმოვიდა ლიტერატურაში.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ მოთავსებულია 1922 წლის ლიტ. კრიტიკის მიმოხილვა მირბახის პსევდონიმით. ეს დამახასიათებელი მოვლენაა, როცა კალმოსანი ისეთ საგნებზე იძლევა თავის შთაბეჭდილებას რაზედაც მას დაახლოებითი წარმოდგენაც არა აქვს. შთაბეჭდილების გადმოცემის უფლება ლიტერატურაში ისეთ ადამიანსა აქვს, რომლის შთაბეჭდილებაც რაიმე ახალს შეიცავს თავის თავად. სხვათა შორის, ჩემზე ასეთ რეცენზიას იძლევა ავტორი: „ლომისის №1-ში ჩვენ გვხვდება კ. გამსახურდიას იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი.“

ბ. მირბახს კრიტიკული წერილების წერის პრეტენზია ჰქონია, მაგრამ ამ წერილზე იგი ვერაფერს ამბობს ვერც დადებით და ვერც უარყოფითად. მე არ შევეხები, რა თქმა უნდა, ჩემი წერილის ღირსებას, მაგრამ ექსპრესიონიზმი, რომელსაც საქართველოში მე შევეხე პირველად, ეს ისეთი გრანდიოზული მოვლენაა ევროპის უახლეს ლიტერატურაში, რომ კრიტიკოსს მართებდა, თუ ჩემ წერილს ანგარიშს არ გაუნედა, თვითონ მაინც ეთქვა რამე. მაგრამ თქმა არც ისე ადვილია, როგორც სხვისი სიტყვის იგნორაცია.

დავყვეთ ქვეით: ბ. მირბახმა გამოარკვია, რომ მე მთელი წელიწადი ვმუშაობდი ხელოვანთა სასახლეში და პოეტური წვით „ვინოდი“, „მაგრამ აი, თვალი გადაავლეთ მისი მთელი წლის ნამუშევარს და დარწმუნდებით, რომ, სამწუხაროდ, ამ ხნის განმავლობაში ყველაზე დიდი დამარცხება და ყველაზე უფრო დროს დაკარგვა კ. გამსახურდიას რგებია წილად“...

ამის მიზეზები, მირბახის აზრით, ის ყოფილა, რომ მე, თურმე, მხოლოდ ჩემი სახელის პოპულარიზაციისთვის ვმუშაობდი.

ერთი, რომ ჯერ ვერავინ იტყვის მე დავმარცხდი თუ არა, რადგან მე ჯერ ლიტერატურული ბრძოლა და მუშაობა არ დამისრულებია. მაგრამ გასული წლის განმავლობაში, ხელოვნების სასახლეში მე ნაწილობრივი დამარცხება ვიგემე, ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ მე მხოლოდ სახელის მოსახვეჭად ვმუშაობდი. ეს სურვილი ყოველ მწერალსა აქვს და იგი არც ისე გასაკიცხია, რადგან სახელის მოხვეჭა შოთასაც უდიდესს მოსახვეჭელად ჰქონდა მიჩნეული. არამედ ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ საქართველო ჯერაც ისეთი უდაბნოა, ჯერაც ისეთი ჭაობია ბანალობისა და რუტინის, რომელშიაც მე და ჩემი ლიტერატურული მეგობრები ალბად მრავალ დამარცხებას ვიგემებთ კიდევ, იმისთვის რომ ერთხელ ძლიერად გავიმარჯვოთ. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ საქართველოში არშინ მაღალანის კულტი იძლევა ჯერ სრულ რეზონანს, რომ საქართველოში სწორედ ის დიდი და მოსიყვარულე გული არ არის, რომელიც შორეული ციალით გაგათბობს და გაგამხნევებს, თუ გინდ იგი შენი იდეური მონინაალმდეგეც იყოს.

ის დიდი გული, რომელსაც დიდი რადიუსი აქვს პოლიუსიდან პოლიუსზე გადასანვდენი, რომელსაც დიდი მოთმინება აქვს ახალი და უცნობი იდეების მოსასმენად.

ჯერ არც ისე ადვილია ნამდვილი გამარჯვება, ამისთვის ჯერ მრავალი ჭაობია ამოსაშრობი, თაობების მუშაობაა საჭირო იმ რუტინის უგემურობის, კლოუნობის, ესთეტიური შაბლონების და სულმდაბალი ინტრიგანობის აღსაგველად, რომელიც საუკუნოებით დაღეკილია ქართული სულის ფსკერზე. მთელი თაობებია საჭირო ქართული ინტელექტუალური სტომაქის და მასში დაგუბებული ბალასტის გასანმენდად. საქართველოში არ არსებობს არავითარი, ერთ წრეში, ერთ ადგილას შედედებული აზრი, ერთი ფუნდამენტი, რომელსაც შეიძლება დაემყაროს ახალის მთქმელი; ჩვენში მწერალი მუდამ მკითხველის და მსმენელის მდაბალსა და შაბლონურ გემოვნების და აზროვნების დონემდის უნდა ჩამოქვეითებულიყო, რომ მათი ყურადღება მიექცია, ამიტომაც ჩვენი ახლო წარსულის უდიდესი პოეტები (გარდა ვაჟასი და ნიკო ბარათაშვილისა) მკითხველი საზოგადოების აუტორიტეტით არიან შექმნილი. მხოლოდ ნიკო ბარათაშვილი და ვაჟა ილია ჭავჭავაძემ აიყვანა თავიანთ სიმაღლეზე. სხვა ქვეყნებში აკადემიების, ლიტერატორების აუტორიტეტი გახლავთ ის იერარქიული კიბე, რომელზედაც პოეტები, მწერლები, მოაზროვნენი ადიან და მწვერვალებს აღწევენ. საქართველოში ეს დღემდისაც შეუძლებელია, რადგან ჩვენში სწორედ ის დიდი მოსიყვარულე გული არ არის, სხვისი პატივისცემისა და თავყვანისცემის მთიებით გამთბარი, რადგან საქართველო ჯერაც უდაბნოა! მირბახი ბრძანებს: „შეცდომა გამსახურდიასი ის არის, რომ იგი ეტანება უცხოეთის ლიტერატურას, ყველაფერს გერმანული საზომით ზომავს, რაც სრულებით არ ეგუება ქართულ კულტურის ბუნებას, ვინაიდან ქართული კულტურა, როგორც არასდროს, დღეს ლამობს თავისი საკუთარი სახით აღდგომას. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ მთელი ჩემი წერილები „ყალბი ეროვნული ფერებითაა შეღებილი, რომ მათში უცხოეთის ქარი ჰქრის“.

რაც შეეხება ყალბ ეროვნულ ფერებს, ეს გემოვნების საქმეა, მე ახალი საქართველოს ფერები ცოტა სხვანაირად მაქვს წარმოდგენილი, ვიდრე იმ ხალხს, რომელსაც ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ფერადების მოძღვრებზე.

ახლა ვკითხვით ჩემ კრიტიკოსს, რა მიზეზებითაა ქართული ლიტერატურის კრიზისი გამოწვეული? ჩვენ არ ვიცით, როგორ ესმის ეს მირბახს (მისი წერილიდან არა სჩანს და არც სხვაგან გაგვიგია მისი აზრები), ჩვენთვის ცხადია: ქართული ლიტერატურა იდეურად ჩამორჩენილია, ლიტერატურა, რომელიც თანადროულობას ვერ გაუსწორებს ნაბიჯს, იგი უნაყოფო კალმის წრიპინია.

ქართველობის წინაშე დღეს რადიკალური პრობლემა სდგას: მოდერნიზაცია. მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა სრულიად ჩამორჩენილი იყო თავის დროს, იმ პრიმიტიულმა იდეებმა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ და მათმა ლიტერატურულმა მარქაფებმა ჩამოიტანეს რუსეთიდან, ქართული სულისა და კულტურის რენესანსი ვერ გამოიწვიეს. ამის შედეგები ჩვენ დრომდისაც აღწევენ: **მომავალი ისტორიკოსი ქართული ლიტერატურისა აღნიშნავს, ალბად, რომ მე სწორედ ქართული ლიტერატურის ამ აქილევსის ქუსლს მივადექი. მე არ ვუარყოფ, რომ ჩემზე ადრე** გრ. რობაქიძემ აიღო ეს გეზი, მაგრამ იგი მერეჟკოვსკისა და ვ. ივანოვის ზედგავლენით სულ სხვა პოლიუსში გადავიდა. მხოლოდ 1921 წელს დაუბრუნდა იგი ამ ხაზს.

მე თავიდანვე დასავლეთის კულტურის აპოლოგეტი ვიყავი, პოეზიაშიც პირველმა მიუთითე ურბანისტურ გზებზე (1918 წ.), რადგან მსჯეროდა და მჯერა, რომ თანადროული კულტურა უცილოდ ურბანისტული უნდა იყოს. დღეს პროვინციალური კულტურა ჩამორჩენილი კულტურაა. ქართულმა კულტურამ სწორედ ის ხაზი უნდა აიღოს, რომელსაც მისდევდა საბერძნეთით, რომით და იტალიის რენესანსის სანიშნობით აღორძინებული დასავლეთის კულტურა. **დღეს დღეობით კი, ქვეყანაზე თუმცა მრავალი კულტურანი არსებობენ, მაგრამ ერთად ერთი სწორი გეზი დასავლეთის კულტურასა აქვს აღებული, მის გარეშე ყველაფერი წარსულს, ეთნოგრაფიას და მსოფლიო პროვინციას ეკუთვნის.**

მე არ ვუარყოფ, რომ მე ამ „უცხო ქარის“ მთესველი ვარ. ახლა ვნახოთ, რამდენად უცხოა ჩემი იდეები ქართული სულისა და კულტურისათვის.

უწინარეს ყოვლისა, ყველამ უნდა იცოდეს, რომ არც ერთი ეროვნების მწერალს არა აქვს მარტოდენ „ნაციონალური“ იდეები; პლატონს, ქსენოფონს, ევრიპიდეს, ინდოელებისა და ეგვიპტელებისაგან ჰქონდათ იდეები ნასესხები, დანტეს, გოეტეს, გეორგეს — ბერძნებისაგან, და სხვა. მე ქრისტიანული მისტიციზმის იდეოლოგიას ვადექი დღემდის საქართველოში (ჩემ წერილებში: გოეტე, ილია ჭავჭავაძე, დანტე, ნიცუე და სხვა).

დასავლეთის კულტურა ამ გზით მიდის დღესაც. ქართული კულტურაც ამ იდეურ ფონზე გაიშალა და სწორედ აქ არის ის მარჯვალე, რომელიც ჩვენ ორგანიულად გვაკავშირებს დასავლეთის კულტურასთან. მე-19 საუკ. ქართული კულტურა ასცდა ამ გეზს, დღეს ჩვენ სწორ გზაზე ვლამობთ გამოსვლას.

ახლა ვიკითხოთ, ვინ ყოფილა ქართული კულტურის მკვდრეთით აღდგომის მნათე? 1920-21-22 წლებში ხელოვანთა სასახლეში, და კონსერვატ. დარბაზში წარმოთქმულ სიტყვებში მე შევეხე: შპენგლერს, ნიცუმეს, გოეტეს, დანტეს, სტეფან გეორგეს, ვაჟა ფშაველას, დ. ყიფიანს, აკაკი წერეთელს და სხვა. ამ სიტყვებში მოცემული იყო მთელი თანამედროვე ლიტერატურის ესთეტიკის და პოეზიის პრობლემები; სულ სხვაა ყველა მეთანხმებოდა თუ არა პრობლემების დასმაში და გარკვევაში, მაგრამ ამ სიტყვებში იმდენი მასალა იყო, რომ დღემდის საქართველოში არსებულ ლიტერატურულ იდეოლოგიებს რომ მეციხოვნე ჰყოლოდა, ამ იდეების გარშემო მთელი ლიტერატურული ომი უნდა გამართულიყო, მაგრამ ჩვენში ნამდვილი მეომრები ცოტაა და წვრილი ინტრიგანები კი, რამდენიც გნებავთ. ომი ყოველ კაცს არ შეუძლია და ინტრიგანობა ყველას. თანაც უნდა აღვნიშნო, რომ მე ამ ხნის განმავლობაში ყოველ, ზეპირად წარმოსთქმულ სიტყვას ცოტა ხნის შემდეგ ვბეჭდავდი კიდევაც. უმეტესად ასეთი „იდეური ომი“, ჩემს წინააღმდეგ ყოველთვის გამოიხატებოდა პსევდონიმ მონერილ უმგვანო პამფლეტებში, ამ პამფლეტებს მე ყოველთვის სტილზე ვატყობდი, რომ მისი ავტორები ისევ ზოგიერთი მწერლები იყვნ-

ნენ. ბევრი დამეთანხმება, რომ ამისთანა ხალხთან ბრძოლა და მათზე გამარჯვებაც ბრძოლად არა ღირს.

მირბახი განაგრძობს: „ნავიდა ის დრო, როდესაც ქართველ მკითხველის გემოვნება-სა და მოთხოვნილების ანგარიშის განწევა მაინც და მაინც არ მიაჩნდათ დიდ სავალდებულოდ (ქართული მირბახს ეკუთვნის) და, როდესაც ბ-ნი კ. გამსახურდია კადნიერდება და ამბობს: „საქართველოში ჯერ ვერა ვხედავთ ისეთ კონტიგენტს მკითხველებისას, რომლის ესთეტიურ გემოვნებას ანგარიში უნდა გაუწიოს მწერალმა“, ეს კადნიერებაა.“

განა ჩემი თქმა მართლაც კადნიერებაა?

მადლობა ღმერთს, ივ. ჯავახიშვილმა უკვე დაამტკიცა, რომ ქართული მწერლობა უკვე 15 საუკუნეა, რაც არსებობს. საქართველოში რომ მკითხველების თვალსაჩინო კონტიგენტი არსებობდეს, განა ჩვენი ლიტერატურა მეოცე საუკუნეში ერთი ორი ლიტ. გაზებით და ჟურნალით უნდა ამოიწურებოდეს? მერე ყოველი მათგანი 1,000 ცალამდის ვერ ადის. განა საქართველოში 40 ათასი წერა-კითხვის მცოდნე არ მოიძევა? მოიძევა მეტიც, მაგრამ ქართველ კაცს, ქართველ ინტელიგენტს „ან მასს“ არავითარი კულტურული მოთხოვნილება არა აქვს. ის თუ კითხულობს, შემთხვევით კურობულ რამეებს თუ ნაანყდა. ნამდვილი მკითხველი ჩვენში შეიძლება იმდენი იქნეს, რამდენიც ნამდვილი მწერალი, ხოლო ყველამ იცის, რომ ნამდვილი მწერალიც ცოტაა ჩვენში. ჩვენ ინტელიგენციას არა აქვს ორგანიული სიყვარული ქართული მწერლობისა და ქართული წიგნსადმი. აიღეთ პრესა. ტფილისში გამოდის ერთი და იმავე პარტიის ორგანო ქართულად და რუსულად. მათი გავრცელების პროპორცია დაახლოებით ასეთია: 15:150. რატომ? იმიტომ რომ ქართული მკითხველი აბსოლუტურად გადაგვარებულია. მე იდეალისტი ვარ და გარეგანი პირობებით ვერავინ იმართლებს თავს.

ჩვენ ვიცით მაგალითებიდან, რომ, როცა ერი პოლიტიკურ ფრონტზე მარცხდება, იგი კულტურულ ფრონტზე მიაბჯენს ყველა თავის სასიცოცხლო ძალებს. დღეს ჩვენში გააფთრებული მუშაობა უნდა იყოს. საქართველოში კულტურული „საალყო წესები“ უნდა იყოს გამოცხადებული და კულტურული დიქტატურა.

ჩვენთვის დღეს პირდაპირ არსებობის საკითხია ქართული კულტურის ფრონტის გაძლიერება. დღეს ყოველი ერი ისეთი მძაფრი ჭიდილისა და ბრძოლის სფეროებში შედის, რომ ვისაც თავის კულტურის დროშის მალა აწევა არ შეუძლია, მას ისე გადააღაჯებენ, ისე გასთქვეფავენ, როგორც უბრალო ეთნოგრაფიულ მასალას. ესმის ეს ქართველ ინტელიგენციას? ესმის თუ არა ეს ქართულ საზოგადოებრივ აზრს? მაგრამ სადაა ან ერთი, ან მეორე?

ქართველმა ინტელიგენციამ ამ ორ უკანასკნელ წელს თავის სრული უსუსურება და აბსოლუტური, სულიერი სიკოტრე გამოაშკარავა. ეს ინტელიგენცია ცრუ პატრიოტიზმით გაჟღენთილი, გაქსუებული ადამიანების კრებული აღმოჩნდა. რითი გავს ეს ხალხი იმ ქართველებს, რომელნიც ათასეული წლების განმავლობაში ჯვარისა და მახვილის მბყრობელი ჰკაფავდა ჩვენზე მოიერიშე ბარბაროსების ურდოებს. რითი ჰგვანან ეს უდღეური ეპიგონები თავიანთ წინაპრებს, რომელნიც საქართველოს ციცაბო კლდეებს გულბოყვს შეუნგრევდნენ და უფსკრულების პირზე აგებდნენ ხელოვნებისა და მარადისობის გარდაუვალ ძეგლებს — ქართულ კათედრალებს. სადღაა ის მოსიყვარულე ხელი, რომელიც მღვიმეებში და მონასტრებში ინახავდა და უვლიდა ქართველი მწერლების გულის სისხლით დანერილ ეტრატებს, ქართული მწერლობის ძეგლებს? განა ყველაფერ ამის შემდეგ კადნიერებად ჩამეთვლება მე იმის მტკიცება, რომ საქართველოში არამც თუ მკითხ-

ველი, არამედ მოაზროვნე საზოგადოებაც არ არის. საქართველოში ყველას სძულს აზროვნებაც და კითხვაც, ლაპარაკი ყველაფერს ურჩევნიათ, რადგან ლაპარაკი ყველაფერზე შეიძლება.

მე მირბახის წერილს იმიტომ შევეხე ასე დეტალურად, რომ მისმა დამწერმა და მასთან სხვადასხვა გზით, რომ ყველაფერზე არ შეიძლება ხელალებით ლაპარაკი.

მირბახზე მეტი მოეთხოვებოდა ჩემს თვალში **ბ. ინასს** (იხ. „ასპიროზი“ №3. ბათუმი. 1923). მე ვიცი, რომ ამ პსევდონიმს უკან იმალება რიგიანი ქართველი პუბლიცისტი, რომელიც რამოდენჯერმე გაკვრით შეეხო ჩემ ნაწერებს (ყურნალ კოოპერაც. კავშირში) და ყოველთვის ზერელებს. საქმე ის კი არ არის, რომ იგი ჩემ ნაწერებს შეეხო, არა მანაც ხელალებით მოინდომა მრავალი სერიოზული საკითხის თავზე აჩქარებულად გადასვლა. ეგებ მას დრო არა ჰქონდა, მაგრამ ვისაც საკმაოდ დრო არა აქვს, მან წერას თავი უნდა დაანებოს, რადგან აწი აღარ შეიძლება სხვათა შორის წერა და სხვათა შორის კითხვა.

თავის ასპიროზულ ფელეტონში იგი ეხება მთელ უახლოეს ქართულ ლიტერატურას.

ბ. მირბახზე ნათქვამის ერთი ნაწილი მასაც შეეხება. ბ. ინასი გაკვრით ეხება თითქმის მთელი ახალი ქართული ლიტერატურის იდეოლოგიას. მაპატიოს ასეთი სიმკაცრე და იგიც ვერ იჩენს მიუდგომლობას, იგიც ისე დილეტანტურად გადადის სალტო მორტალებს, როგორც პირველი კრიტიკოსი. თუმცა მას მეტი მოეთხოვებოდა ამ შემთხვევაში. მან გამოარკვია, რომ საქართველოს ახალ ლიტერატურაში „ვარლამ რუხაძის შკოლა მდგარა ყველაზე უფრო ნათელ გზაზე“. ჩვენ არ ვიცით, რა შკოლა აქვს ვარლამ რუხაძეს ქართულ ლიტერატურაში. ან რა იდეოლოგიით გაუმარჯვინა მას საქართველოს მწერლობაში. მისი დამსახურება ეს არის, რომ მან ნაწილობრივად აკაკის და ნაწილობრივად ევდოშვილის ჰანგები და იდეები გაავითარა. მაგრამ ქვეყანამ იცის, რომ დღეს აკაკი წერეთლის და ევდოშვილის ჰანგებითა და იდეებით ვერაფერს გავა ფონს, ისე, როგორც ილია ჭავჭავაძის და ეგნატე ნინოშვილის იდეების პრიზმა არ გამოადგება ჩვენ სინამდვილეს.

ამისთვის ადამიანმა თვალი უნდა აიხვიოს არა მარტო იმის დასანახავად, რაც საქართველოში მოხდა იდეურად უკანასკნელ ათეულ წლებში, არამედ იმაზედაც, რაც ქვეყანამ განიცადა ომამდის და ომის შემდეგ. ბ. ინასს ნიშანში ამოუღია ჩემი წერილი (ლომისში „ახალი სიტყვები“).

ინასს ჰგონია, რომ უახლესი ქართული მწერლობის იდეოლოგიები მხოლოდ სიტყვების სინტაქსის და ლექსიკის სხვაობით ცდილობენ ძველი ლიტერატურიდან გამომიჯვნას.

ასეთივე ძველიდან გამომიჯვნის სურვილია კ. გამსახურდიას „ახალ სიტყვებში“ — სწერს ბ. ინასი.

ნუ თუ ლექსიკური სხვაობის მეტი ვერაფერი დაინახა ბ. ინასმა ჩემ პროგრამულ წერილებში: „სტეფან გეორგე“, „იმპრესიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი“, „გოეტე თუ მისტიკოსი“, ბოლოს ჩემს დეკლარაციაში („საქ. სამრეკლო“, №1). ამ დეკლარაციაში კატეგორული იდეური გამომიჯვნა ძველი ქართული ლიტერატურიდან და იქვე ნაჩვენებია ახალი გზები ქართული ლიტერატურისა.

დღეს მთელს ევროპაში ექსპრესიონიზმის იდეოლოგიაა გამეფებული.

განა სერიოზულ მწერალს ეკადრება ასეთი ზერელები აზრების გადასროლა, როგორც ამას სჩადის ბ. ინასი თავის ფელეტონში. მაგრამ საქართველოში ყოველ დარგში, ყოველ საქმეში ერთი დამლუბველი სენია გამეფებული ძველი „ნათლიმამობა“ და ახალ მოდის „პარტიულობა“ გვაროვნული და ჯგუფური მასშტაბები ლიტერატურის მოვლენების შე-

ფასების დროს ყოვლად შეუწყნარებელია. ეს არის თხუნელის მასშტაბი, ეს არის პატარა პროვინციალური აზროვნების კრიტიკიუმი. ლიტერატურას კი თვალღია, გულღია, ფართე და ვრცელი ჰორიზონტები სჭირია, პოეზიას — დიდი და მოსიყვარულე გული.

კ. კაპანელმა საუცხოვოდ აღნიშნა ქართული ხასიათის ერთი საოცარი თვისება, ეს არის: „უჩემოდ ვინ იმღერეთა“.

„ზნეთა სჭირთ ესე ქართველთა
დიდთა და გინდა მცირეთა
აზვავდებიან იტყვიან:
უჩემოდ ვინ იმღერეთა“.

მართლაც, ქართული სულის მანკიერებანი ჯერაც არ არიან სავსებით დახატული, ისტორიულადაც ასე იყო: ყოველი კუთხის ერისთავი „ერისთავთ ერისთავს“ უწოდებდა თავს, ყოველი ქართველი პროვინციის მეფე თავისთავს „მეფეთ მეფეს“ ეძახდა. პოლიტიკაში ასეთი სოლიპსიზმი კიდევ გასაგებია, ხოლო ლიტერატურაში ეს მოვლენა დამლუპველია. მე მგონია, მწერალმა მწერალზე ან კარგი უნდა სთქვას, ან სულ არაფერი. თუ ესა თუ ის მწერალი თქვენ იდეურ სამყაროს გარეშე დგას, სჯობია მასზე გაჩუმდეთ; ეს ისეთ შემთხვევაში, როცა თქვენ სუბიექტიური შემოქმედების გარსში ტრიალებთ, ხოლო როცა თქვენ ობიექტიური მსაჯულის როლში გადადიხართ აქ „უჩემოდ ვინ იმღერეთობა“ ჰოტენტოტობაა.

ქუთაისში გამოვიდა ამას წინედ ერთი კრებული — ქუთაისის მხატვრული კავშირისა. სიტყვა „მხატვრული“ სათაურშივე უადგილოდაა ნახმარი. მათ უნდა ეხმარათ ყოველ შემთხვევაში „ხელოვნური“. ამ კრებულში მოთავსებულ ბიბლიოგრაფიის ავტორს ბ. ვ. წერეთელს უნდა მოვახსენოთ, რომ იგი ძლიერ სასტიკად ექცევა უახლესს ქართულ ლიტერატურას. ჩვენი ლიტერატურა „უფსკრულისკენ დაქანებული“ მაშინ იქნებოდა, რომ მასში არ ყოფილიყო განახლებისაკენ მიმართული იმპულსი. დღეს ილია ჭავჭავაძის დროის იდეალებით ჩვენი ლიტერატურა ვერ ისულდგმულეხს, ბოლოს: გაზეთ „რუბიკონში“ მოთავსებულია ვ. გაფრინდაშვილის წერილი „რიტმა — 1922 წ.“ ჩვენ ვალ. გაფრინდაშვილზე უფრო კარგი აზრის ვიყავით. ამ წერილზე მ. შუამდინარელმა გასცა პასუხი. ჩვენ ვიტყვით მხოლოდ, რომ „უჩემოდ ვინ იმღერეთობის“ სენი არც მას აცდენია.

მოკლედ, ქართული ლიტერატურის ატმოსფერა ძლიერ მოშხამულია, ქართულ ინტელექტუალურ სტომაქში დიდი ბალასტია მოგროვილი ერთსაც და მეორესაც გენერალური განწმენდა ესაჭიროება.

კ. გამსახურდია
ტფილისი, 1923, 1 აპრილი

ლონდა¹

*Unb drängt nicht alles
Nach Haupt und Herzen dir
Und veht in ewigem geheimniss
Unsichtbar sichtbar, neber dir.*

Goethe

გრიგოლ რობაქიძემ პირველმა დაარღვია საქართველოს პარნასის მყუდროება. პირველმა აახმაურა შემოქმედების ზარი ახალი სიტყვით. მის ხმამ პირველ მკაცრ დიონისად დაიჟღერია ჩვენი ლიტერატურული კმაყოფილების უდაბნოში...

გრიგოლ რობაქიძეს ჰყავს თავისი თაყვანის მცემელნიც და მტრებიც, მასწავლებლისადმი სიყვარულით აღვსილი ნეოფიტებიც და მეგობრებიც, რომელნიც ეზიარნენ მისი სულის საიდუმლოებას.

განკვეთილ ანგელოზთა შურით წყრომილნი, პოეზიის პენსიონერნი, დღესაც მას უნი-ადაგო ნოვატორად დასახვევენ. ჩრდილოეთის ნიჰილიზმით მირონცხებულნი კი მას უკვე მოხუცებულის საპატიო სავარძლისაკენ ეპატიჟებიან. ასეთია ცხოვრების ქიმერა, ასეთია ყველა ძლიერის წავარნა ამ ქვეყნის ასპარეზი. სადაც ლიტერატურული ესტეტიკა ჯერ კიდევ აკვანში განისვენებს, სადაც კრიტიკა ვერა გასცილება პირადი სიმპატიანტიპატიის შურის მისრით შეზღუდულ არეს, სადაც პიროვნების დაფასება პატივისცემა შორეულ ჟამთა არაკად გარდაქმნილა, სადაც ყველა კუთხეში პამპულას ძონძებში გამოწყობილი, ფაფარ აშლილ კადნიერებას თავის ბალაგანი დაუდგავს და უამრავ „საკუთარ ფირმათა“ ჭრელი იარლიკების გამოფენა ადამიანს თავბრუს დაახვევს, სადაც ყველა უსუსურს ბავშვსაც კი წარმოდგენილი აქვს, რომ ზეცას ცეცხლი მოსტაცა, რათა თავის მოძმე უბედურ მომაკვდავთ ძვალრბილი გაუთბოს. რა გასაკვირველია: ჩვენი ქვეყანა ხომ ამირანის ქვეყანაა!?

* * *

მაგრამ მით უფრო ძვირფასია გრიგოლ რობაქიძე, როგორც პიროვნება, რომ ამ აურზაურში არასოდეს გადაუხვევია იმ გზისთვის, რომელიც მის სულმა განსჭვრიტა.

„ლონდა“ მარად ცვლილი და მარად უცვლელი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების ახალი ნაკვეთია, ახალი ხიდი, რომელიც ჩვენს თეატრს თავის ბუნებრივ ექსპრესიას, თავის პრიმიტიულ, სამშობლო, მსოფლიურ კერას დაუბრუნებს.

ყოველი დრამა, თუნდაც წმიდა ნატურალისტური, თავის თავად მისტერიაა და კონკრეტულის სიმბოლოს გზით სამარადისო საკითხებით ლაპარაკობს.

მაგრამ ლონდა მართლა მისტერიაა იმავე მნიშვნელობით, როგორც ეს შეიძლება ითქვას გოეტეს „ფაუსტისა“ და შოუს „კაცისა და ზეკაცის“ შესახებ.

აქაც უზენაესი, ცხოველმყოფელი სადდასაი, ადამიანი და სამყარო.

* * *

საშინელი გვალვა, არე მოზურული სვარტის სისხლიანი თალხით, მზე სდაგავს და აშრობს მიწის ძუძუებს, სიცხით ირევა სულიერი და უსულო გაჭირვება და გოდება. მიწამ

1. ადგილის უქონლობის გამო იძულებული ვარ, მხოლოდ გაკვრით ვილაპარაკო.

შესცოდა და დაარღვია ღვთის კანონი. „იტყვი, მინავ: რამეთუ აღსასრული შენი მოახლოვებულია“. „შეირყევა მინა და სიკვდილი მოიცავს ყოველს, რამეთუ სიავემ შეიპყრო ქვეყანა. სადდასაი მოითხოვს ადამიანის მსხვერპლს. მაგრამ ადამიანი განა თვით ღმერთი არ არის? „ღმერთია ყოველი და ყოველი ღმერთია“. „არსი ყოველი აცნაურებს ამ საიდუმლოებას“. რას უბნობ, ბილწო მგომბელო? — „მხოლოდ თავის შენირვით ძალუძს ადამიანს ზიარ ექმნეს უზენაესს, მხოლოდ მსხვერპლის გაღებით შეირთვის იგი საშოსა ღვთისასა“. მაშინ ღმერთი ჩამოეშვება ქვეყნად, „ვითარცა კავშირი უხილავი“, „ვითარცა კავშირი ნყალთა შორის გაღობილი“, შეირიგებს და შეირთავს მინას. „მსხვერპლი სხვა გვარიცაა. წირვა მრავალნაირია“. ამაოდ სცდილობს უძლური ქმნილება „მინის ჰსჯულს“ თავი დაახნოს. მისი სისხლიანი თვალი უკუნეთ ბნელს ცხრათვალა მზეებით გაანათებს და ქვეყანას *jus laudium*-ად მოევიწიება. ურყეველია **მისი** განაჩენი. ღმერთისა და კაცთა შორის კავშირი მარად რჩეულთა სისხლით ყოფილა შეზავებული. „სადდასაი ითხოვს რჩეულ მსხვერპლს“. „იტყვი, მინავ, რამე თუ აღსასრული შენი ახლო არის“. უცნაური, უსამშობლო, ტანთეთრი, მარადისობის ტალღებით მინად გამორიყული მშვენიერი ღმერთი აურჩევია სადასაის თავის იდუმალ საზრდოდ. ღმერთი შეენირება მისთვის უცნობ ღმერთს, საკუთარი სისხლით გააპოხიერებს მინას და გაამთელებს კავშირს.

* * *

ღმერთი სიცხით გარინდებული ქვეყნიერების მისტერიაა. მზის აღმშრის რითმი, პლასტიკა და მუსიკა, რომლის ჰარმონია თვით ყრუთ და ბრმათ მოხიბლავს და სულში უხილავი ტრალედიით შეიჭრება. არავითარი პათოსი და ვნებათა სრბოლა, მარტივი სიტყვა და მარტივი მოქმედება როგორც ზღაპარში. ელადის არხიტექტონიკა, ინდოეთის მისტიკა (მამა-მზე) და ესტეტიური პროცესი საკვირველი ხელოვნებით არის აქ შედუღებული. მხოლოდ არ შეგვიძლიან, არ უსაყვედუროთ ავტორს, რომ მან თავისი დიდი ზღაპარი ასეთ ვიწრო ფარგლებში მოათავსა, რაც მას ერთგვარ ეპიზოდურ ხასიათს აძლევს. რაც შეეხება ღმერთს დადგმას, ვგონებ, კ. მარჯანიშვილი იმდენად ძლიერი თეატრალური ესტეტიკა, რომ მას უკეთეს კრიტიკას ვერავინ გაუწევს. მან, ვფიქრობ, უკვე სთქვა თავისი სიტყვა...

მუსიკა?!.. მე რომ გრიგოლ რობაქიძის ადგილს ვყოფილიყავი... მინდა ვსთქვა, რომ მამა-მზის მისტერიის მუსიკა უნდა მამა-კაცს დაენერა...

* * *

არ შეგვიძლია, ორიოდ სიტყვა კოტე მარჯანიშვილს არ უძღვნათ, ამ ჭეშმარიტ „შტაინახს“ ქართული თეატრისას. მართალია, „ღმერთი“ ნაწილობრივ დამარცხდა, მაგრამ ისეთი „დამარცხება“ ყოველთვის პირველი სურპრიზია ახალის, ჩვენი საზოგადოების გემოვნება ჯერაც არშინ მაღალანის იქით არ მიდის. კოტე მარჯანიშვილი ისე დაიღუპება, როგორც ბევრი მაღალი დაღუპულა ამ უგემურობის ქაობაში, თუ კი მან ამ „გემოვნებას“ ყური ათხოვა. არც მზის დაბნელება, არც ფუნტე არ ყოფილა მისი სტიქიონი, ამ პიესებით მან კომპრომისები გააკეთა. ეს იყო უცილოდ კომპრომისი მარჯანიშვილის მხრით. დღემდის არსებულ ქართულ რეპერტუარში მარჯანიშვილის შესაფერი ბევრი არაფერია. მაშასადამე, მან უნდა გამოიწვიოს მთელი რიგი ახალგაზდებისა, რომელიც მხოლოდ მისი თეატრისათვის დასწერენ. ჩვენ მეტს ვიტყვით, თუ მარჯანიშვილი ქართულ თეატრს შერჩება, ქართული თეატრი თავის დღევანდელი ეკლექტიური სახით მას ვერ შერჩება. მან თავისი ახალი თეატრი უნდა შექმნას საქართველოში. ახალი, მარჯანიშვილის თეატრ-

რი, რომელიც იქნება ახალი, სულით მაღალი საქართველოს ტრიბუნა. იქ ადგილი არ ექნება „მზის დაბნელებას“, ეთნოგრაფიას, იქ ნამდვილი დედა-მზის საბატონო იქნება. დომინიუმი საქართველოს ახალი მზისა. ჩვენ ვიმეორებთ: კ. მარჯანაშვილი უნდა დარწმუნდეს, რომ არც ერთი მინა ისე მკვიდრი პიედისტალი არ იქნება მისი შემოქმედებისთვის, როგორც მინა ქართული.

Einsiedler

საშა აბაშელი. „ანთებული ხეივანი“. ტფილისი. 1923. ფასი 5 შაური.

ჩვენს პოეზიაშიც იწყება პერიოდი, როცა ლექსები „თვალებით უნდა იკითხო“. დღეს ხმამაღლა არავინ კითხულობს არც ლექსს და არც პროზას. ლექსის მუსიკალური ტემბრი კლებულობს, სამაგიეროდ პოეტი ფერადებით ახდენს ჩვენს თვალეზე შემოქმედებას. აქედან: პოეზიაში პლასტიური ელემენტი სძლევს მუსიკალურს.

საშა აბაშელი თვალსაჩინო ფიგურაა ჩვენ უახლესს პოეზიაში. ლიტ. ისტორიულადაც იგი ფრიად საინტერესო პოეტია, აბაშელის სახით სრული თემატიური რევოლუცია იწყება. მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართულ პოეზიაში უნდა მომხდარიყო ამ მხრივ რადიკალური გადატეხა. თემატიურად მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა ძლიერ ღარიბია. ვარდი, ბულბული, ერი, კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრა — ეს იყო მთელი მოტივები იმ დროის პოეზიისა და ლიტერატურის. თითქოს ამ საგნების მეტი სხვა სათქმელი არა იყო რა. ვაჟა განზე დარჩა, რადგან იგი ქართული ლიტერატურის ორგანიულ განვითარების შედეგი არა ყოფილა. საშა აბაშელის პოეზიაში უკვე ელავენ კოსმიური პრობლემები. პოეზია რუსთაველსაც ესმოდა, მხოლოდ ვითარცა „სიბრძნის ერთი დარგი“. ის მწერალი, რომლის ლექსი ისე არ გამოსახავს სამყაროს, როგორც დილის ცვარი, ყაყაჩოს ნამნამზე დაკიდებული, იგი მწერლად არ ჩაითვლება. აბაშელის პოეზია უაღრესად კოსმოცენტრიულია. ქართული შემოქმედების წინაშე დღეს გენერალური პრობლემაა: გადავლახოთ ვინრო ეთნიური ფარგლები! ეთნოგრაფიული ფერადებით საშუალო საუკუნის პოეზია თუ დამშვენდებოდა.

ძირს პროვინციალიზმი, ძირს „ეთნოგრაფია“!

ხელოვნებაში ესაა მორიგი ლოზუნგი თანადროულობის. ქართველი შემომქმედი ყოველ წამს უნდა მზად იყოს, რომ მის ლექსს, მის რომანს, მის დრამას სხვა კულტურულ ერის შემოქმედებას დაუპირდაპირებენ. ამ შეჯიბრებაში ვინც გაიმარჯვებს, იგი საქართველოს მარადიულ სულსაც გაამარჯვებებს. აბაშელის მეორე წიგნში მოთავსებული ლექსები უკვე ნაცნობი სიმღერებია ჩვენთვის. პოეტიც აღიარებს:

„მევე შემძულდა ჩემი ნაწერი
და მინდა ჩქარა გამოვეთხოვო“.

როგორი მიაშიტი პოეტური თავმდაბლობაა! ის ადამიანი არასოდეს არ დაბერდება, (არც მისი ნაწერი დაძველდება), რომელსაც მუდმივი თვითდაძლევის იმპულსი მოეპოვება.

ეს ლექსები მე ერთ საღამოს გადავიკითხე. წიგნმა უდიდესი „ეგზამენი“ დაიჭირა. სპარსულ მოზაიკისავით მოჩითული პოეტური სახეები, არსად გადაჭარბებული ფერადების დამუქება, არსად ბანალობა, არსად გადამღერება.

როგორი ნათელი და კრისტალური პოეტური სახეები, გასაოცარი იდეების სირთულე: მიტომაც არ მოგწყინდებათ ამ ლექსების კითხვა. პოეტს ფრიად რთული იდეების

სამყარო აქვს. მართალია, აბაშელის სახეები არ აეკვიატება თქვენს ხსოვნას, როგორც ლექსები გიდო გიზელესი! რაინერ მარია რილკესი, ან ბოდლერის, მაგრამ აბაშელის სახეები ვიზიონერულ ჰალიუცინაციებსავით მოქმედებენ, მაგრამ ეს ის ცხადლივი ვიზიონერული გამოცხადებანი გახლავთ, რომელზედაც გოეტეს ოტილია გვიამბობს.

არის მომენტი, როცა არ გინდა ადამიანს მძიმე და კომპარული ვიზიონები, არის ნამი, როცა გინდათ, პოეზიის მარაო ოდნავის რხევით გეთამაშებოდეს შუბლზე, მაშინ აიღეთ აბაშელის ლექსები. რაც შეეხება გამოცემის ტექნიკას, ეს წიგნი უკანასკნელი სიტყვაა ქართული გამომცემლობის. სარჩევს აკლია ლექსების დატა.

მინდოდა, პირველი და უკანასკნელი ლექსი გადმომებეჭდა, მაგრამ ვერ მოვტაცე ახლად გამოსულ წიგნს უძვირფასესი სამკაულები.

ზიგფრიდ გუბაძე

კ. კაპანელი. სული და იდეა. ბათუმი. 1923 წ. აღ. ესაკიას გამოცემა.

ამ მოკლე ხანში ბათუმში გამოვიდა კ. კაპანელის წიგნი სული და იდეა. ეს წიგნი ეხება ფილოსოფიურ და ესთეტიურ საკითხებს. ორი მხრითაა ამ წიგნის გამოსვლა ფრიად საყურადღებო: დღეს წიგნის გამოცემა საერთოდ დიდს სიძნელესთანაა დაკავშირებული. პატარა ბროშიურებმა, უდლეურმა ესკიზებმა და მინიატიურებმა აგერ ათ წელზე მეტია, რაც სერიოზული წიგნის ადგილი დაიკავეს. საქართველოში მოდამი შემოვიდა ამ უკანასკნელ ხანებში „შტებირ ჰალლესის“ სტილი მწერლობაში. დილეთანტ მკითხველსა და დილეთანტ მწერალსაც აკმაყოფილებს ეს საშინელი ალტენბერგიზმი ლიტერატურაში. კაპანელის წიგნი იშვიათი გამონაკლისია ამ მხრით. მეორეს მხრით კაპანელის წიგნი უფრო საყურადღებოა, უპირველესი შთაბეჭდილება, რომელსაც სული და იდეას ნაკითხვიდან იღებს ადამიანი, ეს არის მისი პრობლემატიურობა. ცხადია, ავტორს ეტყობა, რომ იგი კულტურულ პრობლემების ორბიტშია მოქცეული. ღრმა პრობლემებზე ფიქრი არ უყვარს არც ქართველ მკითხველს და არც ქართველ მწერალს. კ. კაპანელის წიგნში ფრიად ორიგინალური და თავისებური იდეებია გაბნეული. წიგნის პირველი ნახევარი, ცოტა არ იყოს, ულტრაპარადოქსალური აზრებით დახასიათდება, წიგნის მეორე ნახევარში, იქ სადაც ავტორი ქართული სულისა და კულტურის პრობლემებს ეხება, იგი საკითხებს მუდამ მძაფრი ანალიზით უდგება. მას არ აკლია დაკვირვებული „აპერსიუს“ უნარი, მჭრელი სარკაზმი და გონება-მახვილობა. მესამე ნაწილში ჩართულია იდილიური ესკიზები, რომელსაც მცირეოდენი დისონანსი შეაქვს ამ წერილების რკალში. ფრიად საინტერესო ანალოგებია ხანებში: „პროგრესი და მარადისობის იდეა“ და „ქართული კულტურის სული“. პირველი ორი ხანა წიგნისა ჩვენ არ გვანტერესებს, რადგან აქ მოთავსებული წერილები სცილდებიან ლიტერატურულ-ესთეტიური პრობლემის რკალს. ამ კატეგორიის წერილებში ფრიად მძიმე სტილი აქვს ავტორს. მას უცილოდ ეტყობა ფილოსოფიური ტერმინების ნაძალადევი გადაქართულება. ავტორს უყვარს რთული, ორ სართულიანი სიტყვების ხმარა, მაგ. „ორგანოტროპიული“, „ბიოპსიხიური“ და სხ. შემდეგ გვიკვირს, რატომ ქართულად არ იტყვის იგი მცნებას per se: **თავისთავად**. საერთოდ კი ავტორს დიდი ერუდიცია ეტყობა. ჩვენი მეგობრული რჩევაა — სტილი უფრო ფაქიზათ შეიმუშაოს, მით უმეტეს ზოგიერთ თავებში მას კარგი ენა აქვს. მხოლოდ ნეოლოგიზმებს ხშირად ძლიერ თამამად ხმარობს.

წერილში „პროგრესი არ არსებობს“ ავტორი საკითხს სათანადოთ ვერ აყენებს. როცა ამბობენ: პროგრესი არ არსებობს, საკითხი ისმება პროგრესი საიდან სადამდის? რომელ კატეგორიებთან შედარებით? ზოგადად აღებული, პროგრესი მართლად არ არსებობს, რად-

გან წინსვლა რელატიური მცნებაა და არა აბსოლუტური. ადამიანობის ტენიკის დარგში პროგრესი უცილოდ არსებობს, რადგან ჩვენი ცივილიზაცია უეჭველი შედეგია ტენიკურ პროგრესისა. სულ სხვაა კულტურაში, ლიტერატურაში, პოეზიაში. კულტურის ამ დარგებში „პროგრესის“ საკითხი არც კი დაისმის, რადგან ყოველი ეპოქის ხელოვნება სრულიად დასრულებულია, ყოველი დროის ხელოვნება მუდამ თავის მიზანის ბჭესაა მიმდგარი.

არც იმ უნუგემო პესიმიზმში ვეთანხმებით კაპანელს, რომელსაც იჩენს იგი ევროპიული ცივილიზაციის მიმართ. ჩვენი თაობის ერთი ნაწილი ჯერაც ვერ განკურნებულა ევროპის ცივილიზაციის უარყოფისგან, რომელიც ახასიათებდა საერთოთ სლავიანელ მოაზროვნებს და რუსების უდიდეს „მუჟიკს“ ლეონ ტოლსტოის. ცივილიზაციას თავისი დიდი რეზონი აქვს, არ შეიძლება ცივილიზაციის ასე მძაფრად გამოთიშვა სულიერი კულტურიდან. კაპანელი ძალზე ამუქებს ფერადებს, როცა იგი ქალაქურ კულტურას ეხება, არსებითად კი დღეს კულტურის ავანგარდში დიდი ქალაქი დგას, მის გარეშე ყველაფერი მსოფლიო პროვინციაა.

თქვენ დიდი ქალაქის „ავადმყოფობის“ გეშინიათ? ხომ არ შეიძლება მაქს ნორდაუსის ფილისტერული კრიტიკიუმით მისვლა ამ საკითხთან. დეე, კულტურა ავადმყოფობა იყოს, ბარბაროსობა ჯანმრთელობაა. უეჭველია, რომ ამ ავადმყოფობის გზით თუ გაივლის ადამიანი „მთას განწმედისას“, მის გადაღმა ილიმებიან პირსისხლიანი ცისკრები ჩვენი მომავლისა.

აგრეთვე აჭარბებს კაპანელი „შემთხვევის“ როლს ისტორიაში, ის რაც მოაზროვნეს კაზუალური მიზეზებით ვერ აუხსნია, მას მოთავსებული აქვს არაფრის მთქმელი სიტყვის „შემთხვევის“ რუბრიკის ქვეშ. ისტორია არც ისეთი უაზრო ფარსია, როგორც ბევრს ჰგონია, ეპოქებს შორის არსებობს შემაერთებელი მარჯვლები; ასე რომ, ადამიანობის მოდგმის ისტორია არ შეიძლება ბრმად მოარული მათხოვარის სახით წარმოვიდგინოთ, საინტერესოა კაპანელის პოზიცია ქართველი ქალის მიმართ. ბევრი მწარე სიმართლეა კაპანელის სტრიქონებში, რომ ქართველი ქალი ჯერაც უმწეო და უსახო პროტოპლაზმაა, ამას ის გარემოობაც ამტკიცებს, რომ ქართულ ლიტერატურაში ქართველი ქალის სახე ჯერაც არ გამოჩენილა.

ერთად ერთი ტიპი ქართველი ქალისა, რომელიც ლიტერატურაში დღემდის განსახიერებულა, ეს არის დ. კლდიაშვილის „კაროჟნა“. კაროჟნა უკვდავი ტიპია ქართველი ქალისა. ჩვენში რომ რომანი ჯერაც არ დაწერილა, ამის მიზეზიც ქართველი ქალის საოცარი ნახევრად ამაზონური, ნახევრად კაროჟნული სახეა. ჩვენ გვინდოდა, ამ წიგნიდან საინტერესო ადგილები გადმოგვებეჭდა, მაგრამ უადგილობის გამო სხვა ბიბლიოგრაფიულ მასალებთან ერთად მისი გადადებაც მოგვიხდა. ჩვენ მივესალმებით ამ წიგნის გამოსვლას. მის ავტორს ცოდნაცა და გემოვნებაც საკმაოდ ხელს უწყებს, რომ მან მეორე წიგნში უფრო მეტი ყურადღება ლიტერატურულ-ესთეტიურ პრობლემებს მიაქციოს და სერიოზული ანალიზებით შეეხოს ქართულ ლიტერატურას. რაც შეეხება იმ ექვაქტულ ფილოსოფიურ იდეებს, რომელსაც იგი ეხება თავის წიგნში, ამ პრობლემებს მხოლოდ თეორეტიული ინტერესი თუ ექნება.

დასასრულ საყურადღებოა, რომ საქართველოს პროვინციაში ასე კარგად გამოცემული წიგნი იცემა.

გაზეთი „ასპიროზი“. კარგი ხანია ბათუმში გამოდის ლიტერატურული გაზეთი „ასპიროზი“, უკვე მე-4 ნომერი გამვიდა. გაზეთში თანამშრომლობენ უმეტესად: კ. კაპანე-

ლი, თ. სიხარულიძე, გრ. ნუცუბიძე, სასიხარულო მოვლენაა, რომ ეს ახალგაზდები დღევანდელ პირობებში ბათუმშიაც კი ახერხებენ კვირეული გაზეთის გამოცემას. იმედია, ისინი ყოველდღიურ გაზეთად აქცევენ „ასპიროზს“. პირველ ნომერში საკმაოდ მკვახე ტონი იყო სხვა და სხვა ლიტერატურულ მონინააღმდეგეთა მიმართ. სასურველია, ეს ტონი შერბილდეს, ამის ნიშნები უკვე იყო. დღეს მთელ ქართულ ლიტერატურას ეჭირვება საქმიანი, სერიოზული ტონის აღება. დეე, იქნეს კამათი, მაგრამ ლიტერატურულ ეთიკის ფარგლებში. იმედია, გაზეთი უფრო მკაფიოდ გამოაშკარავებს მომავალში თავის ლიტერატურულ სახეს.

იონე მარუშიძე

რედაქციისაგან.

ჩვენმა ჟურნალმა თავისი დაპირება ვერ შეასრულა იმ ტეხნიკური პირობების გამო, რომელიც დღეს წინ ეღობება გამომცემლობის საქმეს. ეს ნომერი დაგვიანებით გამოდის, სამაგიეროდ, ჩვეულებრივზე მეტ მასალას შეიცავს.

ამ ნომერში დაბეჭდილი ვ. გორგაძის ლექსი რედაქციამ გვიან მიიღო, ამიტომაც იგი ვერ დაისტამბა სხვა ლექსთა შორის.

ავტორთა საძიებელი

აბაშელი ალექსანდრე (საშა) (ისაკ ჩოჩია), ხომალდელი, ალერტი, დონალი, ა. – 241, 261, 264, 266, 291, 295, 299, 314, 326, 327, 390, 446

აბაშიძე კონსტანტინე (კოკი) – 440, 505, 650, 691

აგლაძე დათა – 536, 579

ამირანაშვილი შალვა – 588

ამირაჯიბი შალვა – 42

არაგვისპირელი (დედაბრიშვილი) შიო – 497

ასათიანი ლევან – 96, 460

აფხაიძე შალვა – 12, 18, 32, 87, 110, 126, 137, 202, 215

ახობაძე ლადო – 682

ბარნოვი (ბარნაველი) ვასილ – 421, 458, 475, 524

ბერეკაშვილი აკაკი – 172, 190

ბოკუჩავა ვლადიმერ – 447

ბოჭორიშვილი მიხეილ – 286, 363

ბრიუსოვი ვალერი – 149

ბრუტუსი, ბ-სი (რაჭველიშვილი ქრისტეფორე) – 563, 569

გამსახურდია კონსტანტინე (კონია), კ. გ., ზიგფრიდ გუბაძე, ჰექტორი, K. G., ხარონი – 402, 407, 423, 468, 470, 527, 528, 554, 565, 568, 590, 611, 613, 623, 629, 677, 717, 721

გარდელი (ჯაჯანაშვილი არჩილ) – 540, 585, 643

გაფრინდაშვილი ვალერიან, ტრისტან მაჩაბელი, ვ. გ. – 11, 12, 20, 24, 31, 40, 44, 51, 57, 63, 70, 76, 82, 89, 93, 100, 103, 113, 115, 127, 133, 142, 149, 156, 157, 159, 162, 200, 210, 217, 218, 230

გვეტაძე რაჟდენ – 15, 33, 44, 88, 112, 126, 139, 151, 179, 193, 201, 224

გოგობია რაუდ – 181

გომართელი ივანე – 375

გორგაძე ვასილ (ვასო) – 630, 691

გოტიე თეოფილ – 216

გრ. ჯაფარი (გრიგოლ ჯაფარიძე) – 13, 29, 45, 58, 74

გრიშაშვილი (მამულაიშვილი) იოსებ, მართუა შუამდინარელი, ილიონელი, არმან დი-უვალ, სოსელი, გრი-გრი, იონანე მარუშიძე – 410, 411, 427, 529, 530, 568, 569, 570, 611, 614, 660, 723

დადიანი შალვა – 439

დია ჩიანელი (ჩხეიძე დავით) – 49, 206

დუტუ მეგრელი (ხომტარია დიმიტრი) – 431

ებრალიძე კონსტანტინე (კოკი) – 76, 183

ედშიძე კაზიმირ – 601

ვარდოშვილი ხარიტონ – 242, 267, 268, 300, 328, 329, 444, 572
 ვეზენდონკი ოტო გიუნტერ – 703
 ვერლენი პოლ – 218

თაგორი რაბინდრანათ – 459
 თარიშვილი ნინო – 531, 572
 თოიძე მოსე – 405

ია ეკალაძე, კობა-ია (ცინცაძე იაკობ) – 437, 502, 510
 იასამანი (კინწურაშვილი მიხეილ) – 243, 282, 283, 301, 444, 503
 იაშვილი პაოლო, ელენე დარიანი – 10, 28, 96, 98, 108, 111, 124, 141, 199
 ინ-რე-ჟან (ჟორდანიას იოველ) – 34, 47, 58, 75

კარმელი (გოგიაშვილი) შალვა – 14, 33, 47, 88, 180, 194, 222, 223
 კასრაძე დავით – 512
 კლდიაშვილი სერგო – 36, 48, 61, 78, 98, 117, 144, 160, 226
 კონნე სპერელლი (გაჩეჩილაძე კონსტანტინე) – 166, 170, 172
 კორბიერი ტრისტან (ედუარ ჟოაკენ) – 158
 კორინთელი არჩილ – 167, 168, 170

ლენიძე გიორგი – 84, 111, 140, 154, 179
 ლომთათიძე ჭოლა (სპირიდონ მცირიშვილი) – 351
 ლორთქიფანიძე ნიკო, ნ. ლ. – 35, 203, 226

მ. – 511

მარიჯან (ალექსიძე მარიამ) – 531, 573, 632, 661
 მარკუზე ლუდვიგ – 600
 მაყაშვილი კოტე – 411, 412, 430, 498
 მაჭავარიანი ლადო – 180, 192
 მდივანი ალექსანდრე – 599
 მეგრელიშვილი გრიგოლ – 185
 მეუნარგია ლილი – 85
 მინიშვილი (სირბილაძე) ნიკოლოზ (ნიკოლო) – 34, 46, 86, 202
 მოსაშვილი ილო – 532, 632, 662
 მჭედლიშვილი იოსებ – 574

ნ. – 505

ნადირაძე კოლაუ (ნიკოლოზ) – 13, 30, 43, 56, 75, 85, 99, 138, 153, 199, 212, 219, 220, 221, 234

ობოლი მუშა (თავაძე სოლომონ) – 245, 280, 302, 332, 383, 413

რობაქიძე გრიგოლ – 9, 27, 41, 55, 73, 83, 95, 107, 120, 123, 135, 197, 216
 რუხაძე არჩილ – 503
 რუხაძე ვარლამ – 246, 285, 302, 333, 334, 413
 რცხილაძე გრიგოლ – 560

ს. – 380

ტაბიძე გალაკტიონ, ნ. ნ. – 178, 189, 394, 398, 509

ტაბიძე ტიციან, ვარამ გაგელი – 10, 28, 41, 84, 94, 97, 106, 109, 124, 130, 136, 148, 150, 198, 208

ტატიშვილი ერეკლე, Einsiedler – 629, 699, 720

ტერენტი (ტერენტუს) გრანელი (კვირკველია), ტ. ნალენჯიხელი, ტ. ნ., ტ-ი – 165, 166, 167, 169, 171, 174, 571, 615, 631, 661

ტოფაძე ირაკლი – 404, 452, 655

ტუქსიშვილი (ჩოხელაშვილი) ვასო – 247, 248

უზნაძე დიმიტრი – 654

უიარაღო (თათარაშვილი კონდრატე) – 648, 688

ფაშალიშვილი სიკო, ს. ფ. – 533, 575, 615

ქიაჩელი ლეო (შენგელაია ლეონ) – 252, 276, 305, 325, 396, 450

ქუჩიშვილი (ჩხეიძე) გიორგი – 248, 249, 284, 287, 334

ყანჩელი ჰერკულეს (ირაკლი) – 168, 171, 663

ყიფიანი ივანე (იოანნე) – 31, 135, 189

შ. ლორდელი, შ. ლ-ი, ს. (ლორთქიფანიძე ალექსანდრე) – 184, 187

შანშიაშვილი ალექსანდრე (სანდრო) – 494

შენგელაია დემნა – 173, 258, 281, 312, 372, 605

შუბოსანი – 567

ჩვენ (გამსახურდია კონსტანტინე და გრიშაშვილი იოსებ) – 567

ცეცხლაძე გრიგოლ, გრიგოლ ზოდელი, ლიენა ლანი, Narcis, გრ. – 95, 181, 183, 184, 186, 187, 191

ცირეკიძე ალექსანდრე (სანდრო), ა. ც. – 16, 22, 48, 53, 60, 77, 79, 91, 131, 227, 232

წეველი (გაჩეჩილაძე) სიმონ – 445

წერეთელი ალექსანდრე – 659

წერეთელი გრიგოლ – 609, 711

ჭავჭავაძე ილია – 443

ჭუმბაძე არისტო – 663

ჯაფარიძე ლელი (ლევან) – 29

ჰ-ი – 612

სარჩევი

„აქოხნაჲ ნიასოკაჲი“, 1919, თიბერკალი, №1

გრიგოლ რობაქიძე – უაღლი პარიზში	9
პაოლო იაშვილი – ოფელიას ორდენის კავალერს	10
ტიციან ტაბიძე – პეტერბურგი	10
ვალერიან გაფრინდაშვილი – მისტიური მარულა	11
ვალერიან გაფრინდაშვილი – ჯვარისწერები დაისში	11
შალვა აფხაიძე – ქარვის სონეტი	12
კოლაუ ნადირაძე – ივანე მაჩაბელს	13
გრ. ჯაფარი – Requiem	13
შალვა კარმელი – ლამის ფრაგმენტი	14
რაჟდენ გვეტაძე – ხავერდის ქალი	14
რაჟდენ გვეტაძე – ავტოპორტრეტი	15
სანდრო ცირეკიძე – ლადა	15
შალვა აფხაიძე – ქართული პოეზიის პერსპექტივები	16
ვალერიან გაფრინდაშვილი – სონეტის პრობლემა	18
ალექსანდრე ცირეკიძე – მინიატურა	20
მხატვრული მატრიანე	22

„აქოხნაჲ ნიასოკაჲი“, 1919, აპრილი, №2

გრიგოლ რობაქიძე – დიდი შუადღე	27
პაოლო იაშვილი – ავტოპორტრეტი	27
ტიციან ტაბიძე – 2 აპრილი	28
გრ. ჯაფარი – თეთრი კარავი	28
ლელი ჯაფარიძე – მატარებლიდან	29
კოლაუ ნადირაძე – ბალდახინი	30
ვალერიან გაფრინდაშვილი – დაისი მესამე	30
ივანე ყიფიანი – არიჟრაჟება	31
შალვა აფხაიძე – თეთრი საღამო	32
რაჟდენ გვეტაძე – რევმაჲ	32
შალვა კარმელი – მეფისქალნი ტრაურებში	33
ინ-რე-ჟან – ნიასორები	33
ნიკოლოზ მინიშვილი – წმინდანიანი	34
ნ. ლ. – მთვარიან ლამის ჩრდილში	34
სერგო კლდიაშვილი – მთვრალ საუბარით	36
ვალერიან გაფრინდაშვილი – სტეჲან მალარმე	36

„აქოხნაჲ ნიასოკაჲი“, 1919, ღჲკაჲბერი, №3

გრიგოლ რობაქიძე – ვასაკა	41
ტიციან ტაბიძე – ფატმან-ხათუნი	41
შალვა ამირაჯიბი – თბილისის ოფორტი	42
შალვა ამირაჯიბი – მწვანე კაკაღუ	42
კოლაუ ნადირაძე – ყალბი ავტობიოგრაფია	42

რაჟდენ გვეტაძე – სევდის ჭარმანდი	43
ვალერიან გაფრინდაშვილი – ზამთრის დღეების გასვენება	44
გრ. ჯაფარი – ბინდის ფერები	45
ნიკოლოზ მინიშვილი – სამგლოვიარო მარში	45
შალვა კარმელი – ბოდლერის ოქტორტი	46
ინ-რე-ჟან – ვაგნერი და ნიცშე	47
სერგო კლდიაშვილი – ევა ტაძარში	48
სანდრო ცირეკიძე – მოზაიკის ღვთიშობელი	48
დია ჩიანელი – სევდიანი ფრაგმენტი	49
ვალერიან გაფრინდაშვილი – შენიშვნები ლირიკაზე	50
სანდრო ცირეკიძე – სათაური პოეზიაში	52

„აქოხნაბა ნიამოკაბი“, 1920, ივნისი, №4

გრიგოლ რობაქიძე – ვასილი კამენსკის	55
კოლაუ ნადირაძე – L'art	56
ვალერიან გაფრინდაშვილი – ჯვარის დანერა მარგალიტზე გოტიურ ტაძარში	56
გრ. ჯაფარი – საღამოები ზღვის პირზე	57
ინ-რე-ჟან – მეთე მუზა	58
სანდრო ცირეკიძე – რომანი	58
სერგო კლდიაშვილი – წმინდა ქალწულის ცისფერი გადმოხედვა ციდან ქვეყანაზე	60
ტრისტან მაჩაბელი – ქართული პოეზია	61
ვალერიან გაფრინდაშვილი – დავით გურამიშვილი	63

„აქოხნაბა ნიამოკაბი“, 1921, იანვარი, №5

გრიგოლ რობაქიძე – ტიცინი ტაბიძეს	73
გრიგოლ რობაქიძე – ვალერიან გაფრინდაშვილს	73
გრ. ჯაფარი – თეთრი თოვლის მოგონებები	74
კოლაუ ნადირაძე – მონოლოგი საქართველოზე ნაშუალამევს 28 სექტემბერს	74
ინ-რე-ჟან – ჩვენება ლამის ტაძარში	75
ვალერიან გაფრინდაშვილი – სამგლოვიარო ტოსტი აშორდიას გარდაცვალებაზე	75
კოკი ებრაელიძე – ტირილი თხის ფეხთან	76
სანდრო ცირეკიძე – სონეტი პროზით	77
სერგო კლდიაშვილი – მზე ბალდახინზე	77
სანდრო ცირეკიძე – პარალელები	78
ვალერიან გაფრინდაშვილი – Terror Antiquus	79

„აქოხნაბა ნიამოკაბი“, 1921, ოქტომბერი, №6

გრიგოლ რობაქიძე – რთველი	83
ტიციან ტაბიძე – პაოლო იაშვილს	84
გიორგი ლეონიძე – ავტოპორტრეტი	84
ლილი მეუნარგია – ინფანტა	85
კოლაუ ნადირაძე – ყვითელი მალაული — პოეტი მანეკენი	85
ნიკოლოზ მინიშვილი – გამოთხოვება	86
შალვა აფხაიძე – წერილი სანდროს ტფილისიდან	87

რაჟდენ გვეტაძე – მარო მაყაშვილს	87
შალვა კარმელი – მკვდარი ბრფუგვე	88
ვალერიან გაფრინდაშვილი – Divagation	89
სანდრო ცირეკიძე – პოეზიის ნაპირები	89
ვალერიან გაფრინდაშვილი – სახელების მაგია	91
ვარამ გაგელი – პოეტები სტამბაში	93

„მომსახე ნიამოკაზი“, 1922, ნოემბერი, №7

გრიგოლ რობაქიძე – ავტომედალიონი	95
გრიგოლ ზოდელი – უცხო თვალები შუშაბანდში	95
პაოლო იაშვილი – ლილი მეუნარგიას	96
ლევან ასათიანი – სეზონი უიმედო მგზავრობის	96
ტიციან ტაბიძე – ცხენი ანგელოსით	97
ელენე დარიანი – ცისფერი ქოლგა	98
სერგო კლდიაშვილი – Natur Morte	98
კოლაუ ნადირაძე – გამგზავრება მალაელთან ერთად ჩემს დაბადების დღეს 24 თებერვალს	99
ვალერიან გაფრინდაშვილი – საფირონი-აშორდია	99
ვალერიან გაფრინდაშვილი – დეკლარაცია	100
ტიციან ტაბიძე – ორპირის ოქროპირი მალდარორი	103

„მომსახე ნიამოკაზი“, 1922, დეკემბერი, №8

გრიგოლ რობაქიძე – მინის სჯული	107
პაოლო იაშვილი – ევროპა	108
ტიციან ტაბიძე – სეზონის ფალავანი	109
შალვა აფხაიძე – სოლო სიონში	109
გიორგი ლეონიძე – ახალი მთვარე — კახეთში	110
ელენე დარიანი – წერილი ანნა ახმატოვას	111
რაჟდენ გვეტაძე – მანიფესტი ვირებს	112
ვალერიან გაფრინდაშვილი – ივანე მაჩაბელს	112
ვალერიან გაფრინდაშვილი – ყიულ ლაფორგი	113
სერგო კლდიაშვილი – დაბრუნება	116
გრიგოლ რობაქიძე – სიტყვის როია	117

„მომსახე ნიამოკაზი“, 1923, იანვარი, №9

გრიგოლ რობაქიძე – წმინდა ნინო	122
პაოლო იაშვილი – პავლე ინგოროყვას	123
ტიციან ტაბიძე – ნინა მაყაშვილს	124
შალვა აფხაიძე – ღამის პეიზაჟი	125
რაჟდენ გვეტაძე – ელამი სარკე	126
ვალერიან გაფრინდაშვილი – ყელსახვევის პოეტიკა	127
ტიციან ტაბიძე – ირონია და ცინიზმი	127
სანდრო ცირეკიძე – პოეტი და მკითხველი	130
ვალერიან გაფრინდაშვილი – ლირიკის ელიზიუმი	131

„მეოსნება ნიამორაჰი“, 1923, ღაქამბარი, №10

გრიგოლ რობაქიძე – მზის ნარქენი	134
იოანნე ყიფიანი – ჩემს თავზე	135
ტიციან ტაბიძე – მელიტა	136
შალვა აფხაიძე – იოკაგამა	136
კოლაუ ნადირაძე – დიჭირამბები	137
რაჟდენ გვეტაძე – წერილი	139
გიორგი ლეონიძე – ტფილისის სასაკლავო	139
ელენე დარიანი – დარიანული	141
ვალერიან გაფრინდაშვილი – მაჩაბლის მთვარე	142
სერგო კლდიაშვილი – გონორარი ყელსახვევისთვის	143
ტიციან ტაბიძე – დადაიზმი და ცისფერი ყანნები	145

„მეოსნება ნიამორაჰი“, 1924, ღაქამბარი, №11

ვალერი ბრიუსოვი (ვ. გაფრინდაშვილი) – ნითელი დროშა	149
ტიციან ტაბიძე – უჟმური კვირეები	150
რაჟდენ გვეტაძე – მდაბიო	151
კოლაუ ნადირაძე – ჯიოკონდა	152
კოლაუ ნადირაძე – თამარის ხიდი	153
გიორგი ლეონიძე – ვეფხი	154
ვალერიან გაფრინდაშვილი – ტომას ჩატერტონ	155
ვალერიან გაფრინდაშვილი – ბალლადა	157
ტრისტან კორბიერ (ვ. გაფრინდაშვილი) – ორი პარიზი	158
სერგო კლდიაშვილი – ტავერნა გზაჯვარედინზე	159
ვალერიან გაფრინდაშვილი – ტრისტან კორბიერ	160

„ქრონოსის სარკაჲ“, 1919, ოქტომბერი, №1

ახალ სამყაროში	165
ტ. ნალენჯიხელი – სონეტი	165
ტ. ნალენჯიხელი – სონეტი	166
კონნე სპერელლი – თეთრი გვირგვინოსანი	166
ტერენტი გრანელი – სონეტი	167
არჩილ კორინთელი – ძველ პოეზიას	167
არჩილ კორინთელი – ტრიოლეტი	168
ჰერკულეს ყანჩელი – შავი ყაბახი	168

„ქრონოსის სარკაჲ“, 1919, ნოემბერი, №2

ტ. ნალენჯიხელი – სონეტი	169
კონნე სპერელლი – ჩემი მართალი	169
არჩილ კორინთელი – ოდრიკალიდან	170
ტერენტიუს გრანელი – ფანტასტიური ლამე	170
ჰერკულეს ყანჩელი – შამილის ლოცვა	171
კონნე სპერელლი – შავი წვეთები	171
აკაკი ბერეკაშვილი – შემონაჩრდილი	172
დემნა შენგელაია – „სისხლის ყვავილები“	173

ტ. ნ. – „დაისები“	174
ტ. ნ. – „ხელოვნება“	174

„თოლაბულისის სარგჟელი“, 1919 . აპრილი, №1

ეკრანკამარა	177
გალაკტიონ ტაბიძე – შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში	177
გიორგი ლეონიძე – უცნობ ქალს კაბარეში	178
რაჟდენ გვეტაძე – ღაზო-სონეტი	179
შალვა კარმელი – ხავერდის ჩარჩო	179
შალვა კარმელი – სონეტი გიორგი სააკაძეს	180
ლადო მაჭავარიანი – ტრიოლეტი	180
რაჟდენ გოგობია – კავალკადა	181
გრიგოლ ცეცხლაძე – სალამი ყველას	181
გრიგოლ ცეცხლაძე – ავი სიზმრები	181
კოკი ებრალიძე – ტრიოლეტი	183
ლიენა ლანი – ირმები	183
შ. ლორდელი – აუტო-და-ფე	184
შ. ლორდელი – გადაიფრინა	184
გრიგოლ მეგრელიშვილი – ტრიოლეტები	185
Narcis – დონია	185
Narcis – ფოთოლთა შრიალი	186
ნელი ხაზები	186

„თოლაბულისის სარგჟელი“, 1919, მაისი, №2

გალაკტიონ ტაბიძე – ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი	189
ივანე ყიფიანი – მარსული	189
აკაკი ბერეკაშვილი – ცისკარი ფანჯარაში	190
გრიგოლ ცეცხლაძე – გაჭენებული მონუმენტი	191
ლადო მაჭავარიანი – ქუთაისი	192
რაჟდენ გვეტაძე – საფირონის ნატეხები	192
შალვა კარმელი – მარგალიტის მანიაკიდან	193

„შვილქოსანი“, 1920, იანვარი, №1

გრიგოლ რობაქიძე – ფრანგ პოეტს	197
ტიციან ტაბიძე – ღვდელი და მალჟარია	197
პაოლო იაშვილი – ალი არსენიშვილს	198
კოლაუ ნადირაძე – საქორწინო მოგზაურობა მთვარესთან	199
ვალერიან გაფრინდაშვილი – საფერფლე	200
რაჟდენ გვეტაძე – სასაფლაო და ყვავები	200
შალვა აფხაიძე – ღვთისმშობელი პროსპექტზე	201
ნიკოლოზ მინიშვილი – დეკემბრის აგონია	202
ნიკო ლორთქიფანიძე – ჩარდაში	202
დია ჩიანელი – საუკუნეთა ორლობეში	203
ტიციან ტაბიძე – დაისრული სებასტიანე	206
ვალერიან გაფრინდაშვილი – რითმა და ასონანსი	208

კოლაუ ნადირაძე – ქართული პოეზია	210
შალვა აფხაიძე – ლიტერატურული პროფილები	213

„შვილდოსანი“, 1920, თიბერძნული-მარტი, №2-3

გრიგოლ რობაქიძე – ამორძალი ლონდა	216
თეოფილ გოტიე (ვალერიან გაფრინდაშვილი) – L' Art	216
პოლ ვერლენი (ვალერიან გაფრინდაშვილი) – L' Art Poétique	218
კოლაუ ნადირაძე – მთვარის ნყალობა	219
კოლაუ ნადირაძე – ოცნება საქართველოზე 28 იანვარს	219
კოლაუ ნადირაძე – დისონანსები	220
კოლაუ ნადირაძე – ქალბატონებს	220
კოლაუ ნადირაძე – პირველი მარტი	221
შალვა კარმელი – მასკები კარნავალში	222
შალვა კარმელი – გამოთხოვება: სულთან ავამყოფ სხეულის	222
შალვა კარმელი – არტემიდა	223
რაჟდენ გვეტაძე – დატეხილი	223
რაჟდენ გვეტაძე – დამქვრალი სანთლები	224
ნიკო ლორთქიფანიძე – ბებრები	225
სერგო კლდიაშვილი – ხალიფი უზლაპროთ	226
სანდრო ცირეკიძე – პეიზაჟი	227
სანდრო ცირეკიძე – ზამთრის ქიმერა	227
ვალერიან გაფრინდაშვილი – ბოგემა	228
სანდრო ცირეკიძე – ორსახიანი იანუსი	231
კოლაუ ნადირაძე – ქართული პოეზია	233

„სომალდი“, 1921, დეკემბერი, №1

ალექსანდრე აბაშელი – შორეული ნაპირი	237
ხარიტონ ვარდოშვილი – სამდურავი შუალამეს	241
იასამანი – ზღვაზე	242
იასამანი – შენდამი	243
ობოლი მუშა – მე — რკალებში	244
ვარლამ რუხაძე – სულს	246
ვასო ტუქსიშვილი – ძველი ალექმა	246
ვასო ტუქსიშვილი – სანათა	248
გიორგი ქუჩიშვილი – ჟამსა ავადმყოფობისას	248
გიორგი ქუჩიშვილი – ნაცნობ-მეგობრები	249
ლეო ქიაჩელი – შეურაცყოფა	249
დემნა შენგელაია – დედოფალი მია	252
ალერტი – ჩვენი მწერლობის შორი-ახლო	258
სომალდელი – ბიბლიოგრაფია	261

„სომალდი“, 1922, იანვარი, №2

ა. – ჭეშმარიტი რეალიზმი	265
ხარიტონ ვარდოშვილი – ლოცვა უბედურთათვის	267
ხარიტონ ვარდოშვილი – ღმერთის ხსენებაზე	267

ხარიტონ ვარდოშვილი – შეშლილი წელი	268
ხარიტონ ვარდოშვილი – ღამე — მაღალი კუბო	268
ლევო ქიაჩელი – სამკაულები	269
ობოლი მუშა – მთებში	277
დემნა შენგელაია – შემოდგომის ბინდები	280
იასამანი – მწუხრი დედაქალაქში	282
იასამანი – შემოთენება	282
გიორგი ქუჩიშვილი – ჩემი დღიური	283
ვარლამ რუხაძე – მოდი! მახარე... ..	284
მიხეილ ბოჭორიშვილი – ბარათი	285
გიორგი ქუჩიშვილი – სულის კვილი	286
დონალი – პროლეტარიატი და ხელოვნება	287
ხომალდელი – ბიბლიოგრაფია	292

„სოპალი“, 1922, მარტი, №3

ალექსანდრე აბაშელი – ტანჯვის ბარძიმი	296
ხარიტონ ვარდოშვილი – ყველასადმი	299
იასამანი – კლდეზე	300
ობოლი მუშა – კარებთან	301
ვარლამ რუხაძე – ჩემი ცხოვრება	302
ლევო ქიაჩელი – უფსკრულებს შორის	303
დემნა შენგელაია – ნაწყმედილი ბერი	305
დონალი – პოეტი და რიტმა	313
ლევო ქიაჩელი – რომენ როლან: „ჟან კრისტოფ“	314

„სოპალი“, 1922, ნოემბერი, №4-5

ალექსანდრე აბაშელი – ანთებული საღამოები	326
ალექსანდრე აბაშელი – ოქტომბერი	326
ალექსანდრე აბაშელი – სასახლის ბაღში	327
ხარიტონ ვარდოშვილი – სახეები ცეცხლიდან	327
ხარიტონ ვარდოშვილი – სათხოვარი სულისადმი	328
ობოლი მუშა – გარღვეული რკალები	329
ვარლამ რუხაძე – დაზიანებული გული	333
ვარლამ რუხაძე – ნაპრალის პირად	333
გიორგი ქუჩიშვილი – ქართულ სუფრაზე	334
ჭოლა ლომთათიძე – პირველი მაისი	335
მიხეილ ბოჭორიშვილი – მწუხრი	352
დემნა შენგელაია – ალმაცერი ღამე	364
ივანე გომართელი – საქართველო და პოეზია	373
ს. – მეთვალყურის დღიური	375
ობოლი მუშა – ჭოლა ლომთათიძე	380
ხომალდელი – ბიბლიოგრაფია	384

„ლომისი“, 1922, 1 იანვარი, №1.

გალაკტიონ ტაბიძე – ზამთარი	393
ლევო ქიაჩელი – უცნაური მოთხრობები	394

გალაკტიონ ტაბიძე – პოეზია უპირველეს ყოვლისა.....	396
კონია გამსახურდია – იმპრესიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი	398
ირაკლი ტოფაძე – ნიკო ფიროსმანაშვილი	402
მოსე თოიძე – ქართველი მხატვრები	404
კ. გ. – ბიბლიოგრაფია	406
ხელოვნების მატთანე	407

„ლომისი“, 1922, 8 იანვარი, №2

იოსებ გრიშაშვილი – თათრის ქალი სუფსარქისში	410
იოსებ გრიშაშვილი – პატარას	410
კოტე მაცაშვილი – რომანსერო	411
კოტე მაცაშვილი – * * * „გამიშრნენ ცრემლები...“	411
კოტე მაცაშვილი – Panta Rei	412
ობოლი მუშა – 1921 წლის გადაცვალებაზე	412
ვარლამ რუხაძე – რკინის კანონი	413
ვასილ ბარნოვი – სადედოფლო სარტყელი	414
კონია გამსახურდია – თეოდორე დოსტოევსკი	421
ხელოვნების მატთანე	423

„ლომისი“, 1922, 15 იანვარი, №3

იოსებ გრიშაშვილი – ჩემს მამას	427
კოტე მაცაშვილი – პათოსები	427
დუტუ მეგრელი – შენ გიყვარს დედა?..	430
ია ეკალაძე – სასამართლოში...	431
შალვა დადიანი – ვასო აბაშიძე	437
კონსტანტინე აბაშიძე – ახალი საქართველო და ეროვნული შემოქმედება	439
ხელოვნების მატთანე	440

„ლომისი“, 1922, 22 იანვარი, №4

ილია ჭავჭავაძე – ეკატერინე სარაჯიშვილისას	443
ხარიტონ ვარდოშვილი – სათხოვარი სულისადმი	443
იასამანი – შემოდგომის რვეულები	444
სიმონ წეველი – სალამოვდება	444
ალერტი – „Les Fleurs du Mal“-ის უკანასკნელი კორრექტურა	445
ვლადიმერ ბოკუჩავა – ვან-ჰოგი	446
ლევო ქიაჩელი – ალიგიერი დანტეს წინააღმდეგ	447
ირაკლი ტოფაძე – ლადო გუდიაშვილი	451
ხელოვნების მატთანე	452
ვასილ ბარნოვი – ხაზართა სასძლო	454

„ლომისი“, 1922, 29 იანვარი, №5

რაბინდრანათ თაგორი – საუკუნის მზეს	459
ლევან ასათიანი – სერენადა	459
კონსტანტინე გამსახურდია – ალიგიერი დანტე	460
ზიგფრიდ გუბაძე – როდენის კათედრალები	468
ხელოვნების მატთანე	470
ვასილ ბარნოვი – ხაზართა სასძლო	473

„ლომისი“, 1922, 26 მარტი, №6-7

ალექსანდრე შანშიაშვილი – როდამ	476
შოი არაგვისპირელი – „...შვილო...“	495
კოტე მაცაშვილი – ბარაკი	497
ია ეკალაძე – ცხოვრების ტალღებში	498
იასამანი – მთის მეოცნებე	502
არჩილ რუხაძე – სალამი	503
კოკი აბაშიძე – ი. გრიშაშვილი	504
ნ. – მოლიერის 300 წლის დღესასწაული ევროპაში	505
ნ. ნ. – ზაქარია ჭიჭინაძე	506
კობა-ია – თედო რაზიკაშვილი	509
მ. – ლეო ნათაძე	511
დავით კასრაძე – „ვინ არის დამნაშავე?“	511
ბიბლიოგრაფია	513
ხელოვნების მათიანე	515
ვასილ ბარნოვი – „ხაზართა სასძლო“	518

„ილიონი“, 1922, აპრილი, №1

კონსტანტინე გამსახურდია – Maria Stella	527
კონსტანტინე გამსახურდია – ფრიდრიჰ ნიცშეს	528
იოსებ გრიშაშვილი – ჩემი ლოცვა	528
იოსებ გრიშაშვილი – ქალს უღვაშებით კეპით და ჯოხით	529
იოსებ გრიშაშვილი – იღბალი დისონანსებით	530
ნინო თარიშვილი – ტრაური ცისფერ თვალზე	530
მარიჯან – განჯა	531
ილო მოსაშვილი – მწვანე ბალდახინი	532
სიკო ფაშალიშვილი – ჩემი გვარის მოსაგონად	532
დათა აგლაძე – უცნაური	533
გარდელი – ყვითელი ფურცლები	536
კონსტანტინე გამსახურდია – გოეთე თუ მისტიკოსი	541
გრიგოლ რცხილაძე – აცდენილი ტიპები	554
ბრუტუსი – „პოეზიის დღე“	561
ბიბლიოგრაფია	564

„ილიონი“, 1922, სექტემბერი, №2

იოსებ გრიშაშვილი – ბებუთი მაგიდაზე	570
ტერენტი გრანელი – სიცოცხლის გრადაცია	570
ხარიტონ ვარდოშვილი – მთვარის საცოლე	571
ნინო თარიშვილი – შენი წიგნი	572
მარიჯან – პასუხი ჭიანჭურებს	573
იოსებ მჭედლიშვილი – ძველს ტყეში	573
სიკო ფაშალიშვილი – მინიონ	575
დათა აგლაძე – კაცის მკვლეელი	575
გარდელი – ყვითელი ფურცლები	579
შალვა ამირანაშვილი – ბერთუბნის სატრაპეზოს ფრესკები	585

კონსტანტინე გამსახურდია – კრიტიკა და შემოქმედება	589
ალექსანდრე მდივანი – ანატოლ ფრანსის Les Dieux Ont Soif	591
ლუდვიგ მარკუზე – ნიცშე და შტრინდბერგი	599
კაზიმირ ედშმიდი – ექსპრესიონიზმი	601
დემნა შენგელაია – გალაკტიონ ტაბიძე	601
გრიგოლ წერეთელი – ჰეროდა	606
ბიბლიოგრაფია	609

„ილიონი“. 1922. №3

კონსტანტინე გამსახურდია – ტრალედის წარმოშობა მისტიკის სულიდან	616
ირაკლი ტატიშვილი – ფრიდრიჰ ნიცშე	623
კონსტანტინე გამსახურდია – მე ვარ სარანგი ლამისა	629
ვასო გორგაძე – გამგზავრება გორის წმინდა გიორგიზე	630
ტერენტი გრანელი – მოგონება ქარში	631
მარიჯან – ლექსი შემთხვევით	631
ილო მოსაშვილი – ჩემი გზა ვრცელი	632
გარდელი – ყვითელი ფურცლები	633
უიარალო – მოხუცებულები და დეკამერონი	643
კოკი აბაშიძე – „ლონდა“	648
დიმიტრი უზნაძე – ლიტერატურა, როგორც ფსიქოლოგიური დოკუმენტი	650
ირაკლი ტოფაძე – ეროვნული სამხატვრო გალერეია	654
ალექსანდრე წერეთელი – ახალ საზღვართან	655

„ილიონი“. 1923. აპრილი. №4

იოსებ გრიშაშვილი – მე და ევროპა	660
ტერენტი გრანელი – სიჩუმე და სიმარტოვე	660
მარიჯან – შენი ქორწილი	661
ილო მოსაშვილი – დოღში სწორებთან	662
არისტო ჭუმბაძე – La Dernière	662
ირაკლი ყანჩელი – ფარული მწუხარება	663
კონსტანტინე გამსახურდია – გარსი მარადი	664
ლადო ახოზაძე – სამი შეხვედრა	678
უიარალო – მოაზროვნე „ტრილობიტი“	683
კოკი აბაშიძე – „გარსი მარადი“	688
ვასო გორგაძე – შალვა კარმელი	691
ირაკლი ტატიშვილი – კრიშნა	692
ოტო გიუნტერ ფონ-ვეზენდონკ – სულთა მიგრაცია	699
გრიგოლ წერეთელი – ჰეროდა	703
ბიბლიოგრაფია	711
ავტორთა საძიებელი	724